ნორბერტ ელიასი

ცივილიზაციის პროცესის შესახებ

წიგნი II

Norbert Elias
Über den Prozeß der Zivilisation

მთარგმნელი:
ირმა წერეთელი

სამეცნიერო რედაქტორი:
გია ბარამიძე

დიზაინი და დაკაბადონება:
გიორგი ბაგრატიონი

წიგნი გამოცემულია „ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის მთარმგნელობითი პროექტის" (CEU Translation Project) მხარდაჭერით, ფონდის — OSI-Zug, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის გამომცემლობის განვითარების ცენტრისა (CPD) და ფონდის „ღია საზოგადოება — საქართველო" (OSGF) საგამომცემლო მთარგმნელობითი პროგრამის (TP) ფინანსური ხელშეწყობით.

The edition was published with the support of the "Central European University Translation Project", sponsored by the OSI-Zug Foundation and with the contribution of the Center for Publishing Development of the Open Society Institute-Budapest and Publishing-translation Program of the Open Society – Georgia Foundation.

საგამომცემლო ჯგუფი:
ნ. კალანდაძე
ი. მარგველაშვილი
ნ. ქვაჩახია
ნ. ჩავლეშვილი
ნ. ჩიტაია

© თარგმანი და წინასიტყვაობა ირმა წერეთელისა, 2008

© გამომცემლობა „ნეკერი", 2008

ISBN 99940-866-3-4
ISBN 99940-866-9-3 ორივე ტომის

სარჩევი

დასავლური სამყაროს ცივილიზაციის სოციოგენეზისისათვის
კურტუაზიული საზოგადოების მიმოხილვა 5

აბსოლუტიზმის სოციოგენეზის წინასწარი მოკლე მიმოხილვა 10

საზოგადოების განვითარების მექანიკა შუა საუკუნეებში 15

შესავალი 15

ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალები
შუა საუკუნეების სახელისუფლო აპარატში 17

მოსახლეობის რიცხვის ზრდა ხალხთა გადასახლების შემდგომ ... 33

რამდენიმე დაკვირვება ჯვაროსნულ მსვლელობათა
სოციოგენეზისათვის 41

საზოგადოების შინაგანი გავრცობა: ახალ ორგანოთა და
ინსტრუმენტთა წარმოქმნა 49

შუა საუკუნეების საზოგადოების სტრუქტურაში ანტიკურისაგან
განსხვავებული რამდენიმე ახალი ელემენტის შესახებ 56

ფეოდალიზმის სოციოგენეზისისათვის 62

მინეზანგისა და კურტუაზიული მანერების
სოციოგენეზისისათვის 71

ნაწილი მეორე 99

სახელმწიფოს სოციოგენეზისისათვის 99

ექსკურსი ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის განვითარების
პროცესის განსხვავებათა შესახებ 104

მონოპოლიური მექანიზმების შესახებ 113

ადრეული კონკურენტული ბრძოლები იმპერიის საზღვრებში 127

ცენტრიდანული ძალების ახალი მომძლავრება: პრინცების
კონკურენტული წრე 142

ბოლო თავისუფალი კონკურენტული ბრძოლების და
გამარჯვებულის მონოპოლიური მდგომარეობის საბოლოო
დადგენა 161

ძალთა თანაფარდობის განაწილება ხელისუფლებაში მისი
მნიშვნელობა ცენტრალური ხელისუფლებისათვის „სამეფო
მექანიზმის“ ჩამოყალიბება 174

საგადასახადო მონოპოლიის სოციოგენეზისისათვის 219

ცივილიზაციის თეორიის მონახაზი 245

საზოგადოებრივი იძულება თვითიძულებისაკენ 247

იძულებათა გავრცობა პერსპექტიულ ხედვამდე და
თვითიძულების გაფართოება 265

კონტრასტების შემცირება, ვარიაციების მატება.....269
მეომართა გაკურტუაზება 277
ლტოლვათა ჩაცხრობა.....291
სირცხვილი და უსიამოვნება.....312
ზედა ფენების შებოჭილობის ზრდა 323
მოკლე შეჯამება 342
შენიშვნები მესამე ნაწილისათვის.....358
გამომცემლის შენიშვნა 388
თარგმანები.....391
საძიებელი.....404

თავი III

დასავლური სამყაროს ცივილიზაციის სოციოგენეზისათვის კურტუაზიული საზოგადოების მიმოხილვა

1. ბრძოლები არისტოკრატიას, ეკლესიასა და თავადებს შორის ქვეყნის შემოსავლებში თავიანთი წილისა და ხელისუფლებისათვის, მთელი შუა საუკუნეების მანძილზე მიმდინარეობს. მე-12 და მე-13 საუკუნეების განმავლობაში ძალთა თამაშში პარტნიორად გამოდის კიდევ ერთი ჯგუფი, პრივილეგირებული მოქალაქენი, „ბურჟუაზია“.

სხვადასხვა ქვეყნებში ძალზე განსხვავებულია ამ მუდმივი შეჭიდებისა და მონინააღმდეგე ძალთა თანაფარდობის სურათი. ბრძოლების შედეგი, მისი სტრუქტურისდა მიხედვით, თითქმის, ყოველთვის ერთი და იგივეა: კონტინენტის ყველა დიდ ქვეყანაში, ზოგჯერ ინგლისშიც, თავადების ან მათ წარმომადგენელთა ხელში, საბოლოოდ თავს იყრის ძალაუფლება, რომელიც ამ ფენებისათვის მეტისმეტად დიდია. ბევრი ადამიანის დამოუკიდებლობა, ფენების მონაწილეობა ხელისუფლებაში ნაბიჯ-ნაბიჯ იზღუდება და სათავეში მყოფი ერთი ადამიანის დიქტატორული ანუ „აბსოლუტური“ ბატონობა თანდათანობით, უფრო ხანგრძლივი ან შედარებით მოკლე დროით, მიიღწევა საფრანგეთში, ინგლისში და მეფის ჰაბსბურგიულ მიწებზე, ტერიტორიული მმართველთა გერმანულ და იტალიურ სივრცეებში.

2. მთელი რიგი წარმოდგენები მიგვანიშნებს, როგორ ზრდიდნენ თავიანთ ძალაუფლებას ფრანგი მეფეები ფილიპ აუგუსტუსიდან მოყოლებული ფრანც პირველამდე და ანრი მეოთხემდე, ან როგორ ჩამოიშორებს ბრანდერბურგის კურფიურსტი ფრიდრიხ ვილჰელმი პროვინციულ ფენებს, ფლორენციაში მედიჩები — პატრიციებს და სენატს, ტიუდორები ინგლისში — არისტოკრატიას და პარლამენტს. ყველგან ვხედავთ ცალკეულ მოქმედ პირთა აქციებს, თვალწინ წარმოგვიდგება მათი პიროვნული სისუსტეები თუ ნიჭიერება. უეჭველად აუცილებელი და ნაყოფიერია, რომ ისტორია დავინახოთ ამ დიმენსიაში, როგორც ცალკეულ ინდივიდთა ცალკეულ ქმედებათა მოზაიკა.

მაგრამ, სავსებით ცხადია, რომ აქ საქმე ეხება კიდევ რაღაც სხვას. ეს არ არის მხოლოდ მთელი რიგი დიდი თავადების შემთხვევითი გამოჩენა და ბევრი, ცალკეული ტერიტორიული მმართველის ან მეფის შემთხვევითი გამარჯვება ამა თუ იმ ცალკეულ ფენაზე, დაახლოებით ერთსა და იმავე დროს. შემთხვევით არ საუბრობენ აბსოლუტიზმის საუკუნეზე. რაც ხელისუფლების ფორმის ამ ცვლილებაში გამოიხატება, არის მთლიანად დასავლური საზოგადოების სტრუქტურული ცვლილება. ძალაუფლებას მოიპოვებს არა მხოლოდ ცალკეული მეფე, არამედ მეფის ან თავადთა სოციალური ინსტიტუტი, რომელიც მთელი საზოგადოების თანდათანობითი

გარდაქმნის პროცესში აშკარად ახალ წონას, ძალაუფლების ნამატს შეიძენს. ეს ნამატი შანსს აძლევდა ამ ძალაუფლების მფლობელებს ან მათ წარმომადგენლებსა და მსახურებს.

ერთი მხრივ, შეიძლება ვიკითხოთ, როგორ მოიპოვებდა ესა თუ ის პირი თავის ძალაუფლებას, როგორ ზრდიდნენ ან კარგავდნენ თავიანთ ძალაუფლებას, „აბსოლუტიზმის" აზრით, ის ან მისი მემკვიდრენი.

მეორე მხრივ, შეიძლება გამოვიკვლიოთ, რომელი სოციალური ცვლილებების საფუძველზე იძენდა მეფის ან თავადთა შუასაუკუნეობრივი ინსტიტუტი განსაზღვრულ საუკუნეებში იმ ხასიათს და იმ ძალაუფლებრივ ნამატს, რომელსაც „აბსოლუტიზმის" ან „განუსაზღვრელობის" ცნებით გამოხატავენ; საზოგადოების რომელი სტრუქტურა, ადამიანური ურთიერთობების როგორი განვითარება ხდიდა შესაძლებელს მისი ამგვარი სახით არსებობას უფრო ხანგრძლივი თუ შედარებით მოკლე პერიოდის მანძილზე.

ამ ორივე კითხვას დაახლოებით ერთსა და იმავე მასალასთან აქვს საქმე. მხოლოდ მეორე გააღწევს სოციალური სინამდვილის იმ დონეზე, სადაც ცივილიზაციის პროცესი მიმდინარეობს.

იმ საუკუნეებში, როცა მეფისა და თავადების ძალაუფლება თავის აბსოლუტისტურ სახეს იღებს, უფრო ძლიერად იგრძნობა ის აფექტური შეკავება და გაწონასწორება, ქცევის ის „ცივილიზაცია", რომელზედაც უკვე იყო საუბარი. ეს არ არის უბრალოდ შემთხვევითი, დროში ერთმანეთის გვერდით არსებობა. ზემოთ მოყვანილ ციტატებში, რომლებიც ქცევის ამ ცვლილებზე მოწმობს, ხანდახან მართლაც, ნათლად გამოვლინდებოდა, რამდენად მჭიდროდ უკავშირდებოდა ეს ცვლილება იმ იერარქიული, საზოგადოებრივი წესრიგის ჩამოყალიბებას, რომლის უმაღლესი ორგანო არის აბსოლუტური მმართველი და უფრო ფართო მასშტაბით, თუ განვიხილავთ, მისი სასახლის კარი.

3. დაახლოებით იმ ეპოქაში, რომელსაც ჩვენ „რენესანსს" ვუწოდებთ, დასავლურ საზოგადოებაში ახალ სახეს, ახალ დატვირთვას შეიძენს სასახლის კარიც და მებატონის სამფლობელოც. ეს ხდებოდა იმ პროცესში, რომელმაც ნელ-ნელა მთელ ევროპას გადაუარა, რათა ზოგან უფრო ადრე, ზოგან კი გვიან კვლავ მინავლებულიყო.

ამ დროისათვის რამდენიმე სასახლის კარი, ერთიმეორის მიყოლებით დასავლური სამყაროს ჭეშმარიტი სტილის დამდგენ ცენტრად იქცევა. წინა ფაზაში მათ ეს ფუნქცია სოციალურ ძალთა თანაფარდობის მიხედვით, ხან ეკლესიასთან, ხან ქალაქებთან, ხან დიდ ვასალთა და რაინდთა მთელ ქვეყანაში გაბნეულ სხვადასხვა სასახლის კართან უნდა გაეყოთ და დროებით სხვა ცენტრებისათვის გადაეცათ. აქედან მოყოლებული, ცენტრალური სასახლის კარი თავის ფუნქციას გერმანულ, განსაკუთრებით პროტესტანტულ სივრცეში, უნივერსიტეტებთან, თავადური წარმოშობის მოხელეობის განათლების ცენტრებთან ინაწილებდა. რომანულ სივრცეში (ალბათ,

ეს უნდა გადავამოწმოთ), ყველა კათოლიკურ ქვეყანაში, თავადთა სასახლის კარის და კურტუაზიული საზოგადოების მნიშვნელობა, როგორც სოციალური კონტროლის ინსტანციისა, როგორც ადამიანური ქცევის მოდელირების სამჭედლოსი, ბევრად აჭარბებს უნივერსიტეტების და ამ ეპოქის ყველა სხვა სოციალური ფორმაციის მნიშვნელობას. კურტუაზიულ სტილს, არაერთმნიშვნელოვნად ჯერ კიდევ წარმოადგენს ფლორენციული ადრეული რენესანსი, გამოხატული მასაჩიოს, ჯიბერტის, ბრუნელეჩის და დონატელოს ხელოვნებაში, უფრო მეტად ე.წ. იტალიური მაღალი რენესანსი და აშკარად გამოხატულად ბაროკო, როკოკო, ლუი XV-ის და ლუი XVI-ის სტილი, ბოლოს კი, უკვე გარდამავალ საფეხურზე, უფრო მძლავრად ბოლო მათგანი, კერძოდ კი უკვე ინდუსტრიულ-ბურჟუაზიული თვისებებით შეფერადებული „Empire".

სასახლის კარზე ჩნდება ერთგვარი საზოგადოება, ადამიანთა ინტეგრაციის ფორმა, რომლისთვისაც გერმანულში არ მოიძებნება ძალზე სპეციფიკური და სრულიად ერთმნიშვნელოვანი აღნიშვნა, ცხადია, იმიტომ, რომ გერანიაში მას არასოდეს არ მოუპოვებია მთლად ცენტრალური და გადამწყვეტი მნიშვნელობა, ყოველ შემთხვევაში, ვაიმარის ეპოქის ბოლო და გარდამავალ ფორმაში. „კარგი საზოგადოების" ან უბრალოდ „საზოგადოების" გერმანულ ცნებას „monde"-ს აზრით, ისევე როგორც თავად შესაბამის, სოციალურ წარმონაქმნს, არა აქვს ისეთი მკვეთრი პროფილი, როგორც ფრანგულ და ინგლისურ დასახელებებს. ფრანგები საუბრობენ „société polie"-ს ცნებაზე. ფრანგული ცნებები: „bonne compagnie" და „gens de la Cour", ინგლისური „society", სულ ცოტა, იმავე მიმართულებაზე მიუთითებს.

4. როგორც ვიცით, სანიმუშო კურტუაზიული საზოგადოება საფრანგეთში ყალიბდებოდა. პარიზიდან ვრცელდებოდა ქცევის ფორმები, მანერები, გემოვნება და ენა, უფრო მოკლე თუ ხანგრძლივი დროით, ევროპის ყველა სხვა სასახლის კარზე. ეს გავრცელება ხდებოდა არა მარტო იმიტომ, რომ საფრანგეთი ამ დროის უმძლავრესი ქვეყანა იყო, არამედ ეს გავრცელება ამ ფორმით შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმიტომ, რომ ევროპული საზოგადოების ამ მიმდინარე ტრანსფორმაციაში ყველგან მსგავსი სოციალური ფორმაციები, საზოგადოების იგივეობრივი ტიპი, ადამიანური ურთიერთობის ანალოგიური ფორმები აღმოცენდებოდა. სხვა ქვეყნების აბსოლუტისტურ-კურტუაზიული არისტოკრატია გადმოიღებდა ამ დროის ყველაზე მდიდარი, ყველაზე ძლიერი და ყველაზე მეტად ცენტრალიზებული ქვეყნებიდან იმას, რაც მის საკუთარ სოციალურ მოთხოვნილებას შეესაბამებოდა — დახვეწილ თავაზიანობას და ენას, რომელიც მას გამოარჩევდა და გარეშეთაგან განასხვავებდა. ამ ქვეყნების არსიტოკრატიას საფრანგეთში ყველაზე ნაყოფიერად განვითარებული ეჩვენებოდა ის, რაც მონათესავე,

სოციალური მდგომარეობის წყალობით მის საკუთარ იდეალებს შეესატყვისებოდა: ადამიანები, რომლებმაც იცოდნენ საკუთარი თავის წარმოჩენა და რომლებსაც, ამავე დროს, შეეძლოთ მანერათა ნიუანსებში, მისალმების ფორმასა და ენობრივი გამოთქმების არჩევაში ზემდგომთან თუ ქვეშემრდომებთან თავიანთი ურთიერთობების ზუსტი ხაზგასმა მოეხდინათ, ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ „დახვეწილობა", „ცივილურობა". სხვადასხვა მმართველები ფრანგული ეტიკეტისა და პარიზული ცერემონიების გადმოღებასთან ერთად იძენდნენ სასურველ ინსტრუმენტებს თავიანთი ღირსების გამოსახატავად, რათა თვალსაჩინო გაეხადათ საზოგადოების იერარქია და ყველაფერი ის, რითაც თვით კურტუაზიულ არისტოკრატიას მათზე დამოკიდებულებას აგრძნობინებდნენ.

5. აქაც საკმარისი არ იქნება ის, რომ ცალკეული ფენომენები სხვადასხვა ქვეყნებში იზოლირებულად განვიხილოთ და აღვწეროთ. სულ სხვა სურათი ამოტივტივდება და შესაძლებელი გახდება ახლებური გაგება, თუ დასავლური სამყაროს ამ ბევრ, ცალკეულ სასახლის კარს, თავისი შედარებით ერთიანი აღზრდილობით, როგორც საკომუნიკაციო ორგანოთი, ევროპულ საზოგადოებასთან მთლიანობაში შევხედავთ. ის რაც შუა საუკუნეების დასასრულს თანდათან იწყებს ჩამოყალიბებას, არ არის მხოლოდ ერთი კურტუაზიული საზოგადოება აქ და მეორე — იქ. ეს არის ერთი, დასავლური სამყაროს მომცველი, კურტუაზიული არისტოკრატია მისი ცენტრით პარიზში, მისი დამოკიდებულებით ყველა სხვა სამეფო კარზე და მისი შიკრიკებით ყველა დანარჩენ წრეში, პირველ ყოვლისა, ბურჟუაზიის უმაღლეს წრეებში, ნაწილობრივ კი საშუალო წოდების უფრო ფართო ფენებშიც, რომლებიც იმაზე აცხადებენ პრეტენზიას, რომ ამ „სამყაროს" და „საზოგადოებას" ეკუთვნიან.

ამ მრავალწევრიანი საზოგადოების წარმომდაგენლები მთელს ევროპაში ერთ ენაზე საუბრობენ, თავდაპირველად იტალიურად, შემდეგ ფრანგულად, ისინი ერთსა და იმავე წიგნებს კითხულობენ, ერთნაირი გემოვნება აქვთ, ერთნაირი მანერები და დონეთა სხვაობის გათვალისწინებით, ერთნაირი ცხოვრების სტილი. მიუხედავად ყველა პოლიტიკური განსხვავებებისა და ომებისა, რომელსაც ერთმანეთთან აწარმოებენ, ისინი ხანგრძლივად თუ უფრო მოკლე დროით საკმაოდ ერთსულოვნად მიემართებიან პარიზის ცენტრისაკენ. და სოციალური კომუნიკაციები ორ სხვადასხვა სასახლის კარს შორის, ე.ი. კურტუაზიულ-არისტოკრატიული საზოგადოების შიგნით, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში, უფრო მჭიდრო რჩება, ვიდრე კომუნიკაცია და კონტაქტები ერთი ქვეყნის კურტუაზიულ საზოგადოებასა და სხვა ფენებს შორის. ეს უკვე საერთო ენაში გამოვლინდება. შემდეგ, დაახლოებით მე-18 საუკუნის შუა წლებიდან, ყველგან, ერთ ქვეყანაში უფრო ადრე, მეორეში კი უფრო გვიან, საშუალო ფენების მკვეთრი დაწინაურების პარალელურად, სოციალური და პოლიტიკური სიმძიმის ცენტრის თანდათანობითი გადანაცვლებით სასახლის

კარიდან სხვადასხვა, ნაციონალურ სამოქალაქო საზოგადოებებში, ნელ-ნელა სუსტდება კონტაქტები სხვადასხვა ერების კურტუაზიულ-არისტოკრატიულ საზოგადოებებს შორის, თუმცა ისინი სრულად არასოდეს ქრება. ზედა ფენებში ფრანგული განდევნის სამოქალაქო, ნაციონალურ ენებს, თუმცა არა მძაფრი ბრძოლის გარეშე. კურტუაზიული საზოგადოებაც უფრო და უფრო დიფერენცირდება საკუთარ თავში ბურჟუაზიული საზოგადოების მსგავსად, მით უმეტეს რომ ფრანგულ რევოლუციასთან ერთად ძველი არისტოკრატიული საზოგადოება საბოლოოდ კარგავს თავის ცენტრს. წოდებრივ-სოციალური ინტეგრაციის ფორმასთან მიმართებაში პრიმატს ნაციონალური მოიპოვებს.

6. თუ გამოვძებნით საზოგადოებრივ ტრადიციებს, რომელთაგან დასავლური სამყაროს სხვადასხვა, ნაციონალურ ტრადიციათა სართო ძირითადი ტონი, ღრმა ერთიანობა აღმოცენდება, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ არა მარტო ქრისტიანულ ეკლესიაზე, საერთო რომაულ-ლათინურ მემკვიდრეობაზე, არამედ უნდა წარმოვიდგინოთ ამ ბოლო, დიდი, წინანაციონალური სოციალური ფორმაციის სურათი, რომელიც დასავლურ საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად უკვე ნაციონალური დიფერენცირების ჩრდილში ამოიზრდებოდა სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ქვედა და საშუალო ფენებისაგან. აქ შეიქმნება მშვიდობიანი ურთიერთობის მოდელები, რომელთაც ევროპული საზოგადოების ტრანსფორმაცია, შუა საუკუნეების დასასრულიდან მოყოლებული, ყველა ფენისათვის მეტ-ნაკლებად აუცილებელს ხდიდა. შუა საუკუნეების საზოგადოების მეომართა ზედა ფენის უფრო უხეში ზნე, უფრო ველური და შეუკავებელი ჩვეულებანი, რომელიც არასაიმედო, მუდმივად სახიფათო ცხოვრების გარდაუვალ შედეგს წარმოადგენდა, აქ, „შერბილებული“, „გაპრიალებული“ და „ცივილიზებული“ ხდება. სასახლის კარის ცხოვრების ზეწოლა, კონკურენცია თავადის ან „დიდი კაცის“ კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, შემდეგ, ზოგადად, აუცილებლობა სხვათაგან გამორჩევისა და შანსებისათვის შედარებით მშვიდობიანი საშუალებებით, ინტრიგებითა და დიპლომატიით ბრძოლისა, აფექტთა შეკავების, თვითდისციპლინის ანუ „self-control”-ისა, თავისებური კურტუაზიული რაციონალურობისაკენ უბიძგებდა. მე-18 საუკუნის ოპოზიციურ ბურჟუაზიას, განსაკუთრებით გერმანიაში, მაგრამ ასევე ინგლისშიც, უპირველეს ყოვლისა კარისკაცს, ეს ყოველთვის რაციონალურ ადამიანად წარმოადგენდა.

და აქაც, ამ წინანაციონალურ, კურტუაზიულ-არისტოკრატიულ საზოგადოებაში, აშკარად გამოიხატა ან სულ ცოტა, საწყისი ფორმით ჩამოყალიბდა იმ მოთხოვნათა და აკრძალვების ერთი ნაწილი, რომელიც დღეს ჯერ კიდევ იგრძნობა ყველა ნაციონალური სხვადასხვაობის მიღმა, როგორც რაღაც დასავლური სამყაროსათვის საზოგადო რამ და რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს იმაში, რომ დასავლური სამყაროს ყველა ხალხს, მიუხედავად ამა თუ იმ განსხვავებისა, ერთი საერთო

ბეჭედი, სპეციფიკური ცივილიზაციის დაღი აზის.

ის, რომ ამ აბსოლუტისტურ-კურტუაზიული საზოგადოების თანდათანობით წარმოშობასთან ერთად ასევე ხორციელდება ლტოლვითი სამყაროს და ზედა ფენების ქცევის სხვაგვარი ფორმირება „ცივილიზაციის" აზრით, მთელი რიგი მაგალითებით იქნა ნაჩვენები. მინიშნების სახით ისიც ცხადი გახდა, რამდენად ძლიერ ურთიერთდამოკიდებულებაშია ლტოლვითი სამყაროს ეს შებოჭილობა და რეგულირება უფრო ძლიერ სოციალურ ვალდებულებასთან, არისტოკრატიის ცენტრალურ მმართველებზე, მეფეებსა და თავადებზე მზარდ დამოკიდებულებასთან.

როგორ მივიდა საქმე ასეთ გაძლიერებულ შებოჭილობასა და დამოკიდებულებამდე? რატომ დაიკავა შედარებით თავისუფალ მეომართა და რაინდთა ზედა ფენის ადგილი კარისკაცთა მეტნაკლებად პაციფიცირებულმა ზედა ფენამ? რატომ იზღუდებოდა ნაბიჯ-ნაბიჯ შუა საუკუნეების მანძილზე, წოდებრივი ფორმაციების გადაწყვეტილების მიღებაში თანამონაწილეობის უფლება და რატომ ხორციელდებოდა, ადრე თუ გვიან, სათავეში მყოფი ერთი ადამიანის დიქტატორული, „აბსოლუტური" ბატონობა და მასთან ერთად კურტუაზიული ეტიკეტის იძულება, უფრო დიდი თუ პატარა მხარეების პაციფიცირება ერთი ცენტრიდან, დიდი თუ მცირე ხნის მანძილზე, ევროპის ყველა ქვეყანაში? აბსოლუტიზმის სოციოგენეზისი ცივილიზაციის მთლიან პროცესში, ფაქტიურად, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს: შეუძლებელია ქცევის ცივილიზაციისა და ადამიანის ცნობიერებითი თუ ლტოლვითი სამყაროს შესაბამისი გარდაქმნის გაგება, ისე რომ არ მივყვეთ სახელმწიფოს წარმოშობის პროცესს და მასში საზოგადოების იმ პროგრესირებად ცენტრალიზებას, რომელიც, უპირველესად, ძალაუფლების აბსოლუტისტურ ფორმაში პოულობს განსაკუთრებით თვალსაჩინო გამოხატულებას.

აბსოლუტიზმის სოციოგენეზის წინასწარი მოკლე მიმოხილვა

პირველსავე ხელსაყრელ შემთხვევაში ორიოდე სიტყვით უნდა აღვწეროთ რამდენიმე წყვილი უმნიშვნელოვანესი მექანიზმი, რომელიც ამა თუ იმ სამფლობელოს ცენტრალურ ხელისუფლებას შუა საუკუნეების დასასრულს დიდ შანსებს აძლევდა. ისინი დასავლური სამყაროს ყველა დიდ ქვეყანაში საკმაოდ მსგავსია, განსაკუთრებით ნათლად და მკვეთრად კი საფრანგეთის სამეფოს განვითარებაში გამოჩნდება.

შუა საუკუნეებში, საფინანსო ეკონომიკური სექტორის ზრდას ნატურალური მეურნეობის სექტორის ხარჯზე განსზღვრულ რეგიონებში სრულიად განსხვავებული შედეგები მოჰყვა ერთი მხრივ, მებრძოლი არისტოკრატიის უმეტესი ნაწილისათვის და მეორე მხრივ,

ამ რეგიონის მეფისა და თავადებისათვის. რაც უფრო მეტი ფული იყო მიმოქცევაში ამა თუ იმ მხარეში, მით უფრო იზრდებოდა ფასები. ყველა ფენა, რომელთა გასამრჯელო შესაბამისად არ მატულობდა, ყველა ადამიანი, რომელსაც მყარად დადგენილი შემოსავალი ჰქონდა, ამით დაზარალდა, პირველ ყოვლისა, ფეოდალი მმართველები, რომლებიც თავიანთი მამულებიდან მყარ შემოსავალს იღებდნენ.

ის სოციალური ფუნქციები, რომელთა შემოსავალი შესაბამისად იზრდებოდა გამომუშავების ახალ შანსებთან ერთად, ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, მათ შორის ბურჟუაზიის გარკვეული წრეები, პირველ ყოვლისა მეფე, ცენტრალური მმართველი, რადგან მას საგადასახადო აპარატის მეშვეობით მზარდი სიმდიდრის წილი ეკუთვნოდა; მას შეეძლო მიეღო ერთი ნაწილი მთელი სამფლობელოს ყოველი გასამრჯელოდან და ამის შედეგად მისი შემოსავლები განსაკუთრებით მრავლდებოდა ფულის მიმოქცევის ზრდასთან ერთად.

ამ მექანიზმის საფუძველზე, რომელიც, როგორც ყოველთვის, თავიდან ძალიან ნელა და თანაც დაგვიანებით, დაინტერესებულ პირთა შეგნებული მცდელობით, მოგვიანებით კი, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა მონდომებით საშინაო პოლიტიკის პრინციპად იქცა, დასაწყისისათვის, მეტ-ნაკლებად ავტომატურად, უფრო და უფრო მეტი შემოსავალი შემოდიოდა ცენტრალურ მმართველთა განკარგულებაში. ეს იყო ერთ-ერთი წინაპირობა, რომლითაც მეფის ან მთავართა ინსტიტუტი თანდათანობით აბსოლუტურობის ანუ განუსაზღვრელობის ხასიათს იძენდა.

2. ცენტრალური ფუნქციის ფინანსური შანსების პროპორციულად, იზრდებოდა მისი სამხედრო შანსებიც. მას, ვინც მთელი ქვეყნის გადასახადებს განაგებდა, ჰქონდა შესაძლებლობა, უფრო მეტი მეომარი დაექირავებინა, ვიდრე სხვას; ამავე დროს, ის შედარებით თავისუფალი იყო სამხედრო სამსახურისაგან, რომელიც ფეოდალთა ამალის წევრებს ლენის სახით მიღებული მიწის საკუთრების საფუძველზე ევალებოდა.

ესეც იმ პროცესებს განეკუთვნება, რომლებიც სხვა დანარჩენთა მსგავსად ძალიან ადრე იწყება და მხოლოდ თანდათანობით მიდის მყარი ინსტიტუტების ჩამოყალიბებისაკენ. უკვე ვილჰელმ დამპყრობელი მიემგზავრება ინგლისში ჯარით, რომელიც ნაწილობრივ ფეოდალებისაგან, ნაწილობრივ კი დაქირავებული რაინდებისაგან შედგება. აქედან მოყოლებული, ცენტრალური მმართველების მიერ რეგულარული არმიის ჩამოყალიბებამდე საუკუნეებმა განვლო. გადასახადთა მზარდ შემოსავლებთან ერთად ამის წინაპირობა იყო ადამიანთა მოთხოვნას აღმატებული სიჭარბე, ის დისპროპორციულობა განსაზღვრულ საზოგადოებაში ადამიანთა და „სამსახურის“ რაოდენობასა და შემოსავლიანობას შორის, რომელიც დღეს უმუშევრობის ფორმითაა ცნობილი. ამგვარი სიჭარბის მქონე მხარეები, მაგალითად, შვეიცარია და გერმანიის ერთი ნაწილი, ყველას აწვდიდა დაქირავებულებს, ვისაც გადახდა შეეძლო. ძალიან

გვიან, ფრიდრიხ დიდის პროპაგანდისტული ტაქტიკა აჩვენებს, რა უნდა ექნა თავადს, თუ მის სამფლობელოში უფრო ნაკლები ადამიანი იყო გათავისუფლებული, ვიდრე მას სამხედრო მიზნებისათვის სჭირდებოდა. ყველა შემთხვევაში, სამხედრო უპირატესობა, რომელიც ფინანსურის პარალელურად ვითარდებოდა, მეორე, გადამწყვეტი წანამძღვარი იყო იმისათვის, რომ ამა თუ იმ სამფლობელოს ცენტრალურ ხელისუფლებას „განუსაზღვრელობის" ხასიათი შეეძინა.

განვითარების ამ პროცესს მოსდევდა და აძლიერებდა საბრძოლო ტექნიკის გარდაქმნა. ცეცხლსასროლი იარაღის ნელი განვითარების შედეგად, ფეხოსანმა, მდაბიო მასამ საბრძოლო ღირსებებით გადააჭარბა რიცხობრივად უფრო ნაკლებ არისტოკრატიას, რომელიც ცხენებზე ამხედრებული იბრძოდა. ესეც ცენტრალური ძალაუფლების სასიკეთოდ მოქმედებდა.

მეფე, რომელიც, მაგალითად, საფრანგეთში ადრეულ კაპეტინგების ეპოქაში, ბევრად აღმატებული არ იყო ვიდრე ბარონი, ვიდრე ტერიტორიული მმართველი თანაბარი ძალაუფლების მქონეთა შორის, ზოგჯერ კი ნაკლებად ძლიერიც კი, ვიდრე ადგილობრივი მმართველი, შემოსავლების ზრდასთან ერთად ქვეყნის ყველა სამხედრო ძალაზე სამხედრო უპირატესობის შანსებსაც იღებდა. რომელ არისტოკრატიულ სახლს ერგებოდა მემკვიდრეობით ამა თუ იმ ადგილას მეფის გვირგვინი და ამით ამ შანსებთან მისასვლელიც, მთელ რიგ ფაქტორებზე იყო დამოკიდებული, მათ შორის, ცალკეულ ადამიანთა პიროვნულ მონაცემებზეც, ხშირად კი შემთხვევითობაზეც. ფინანსური და სამხედრო ძლიერების ზრდა, რომელიც თანდათანობით უკავშირდებოდა მეფის ფუნქციას, არ იყო დამოკიდებული ერთეულთა ნებასა და ნიჭიერებაზე. ეს შეესატყვისებოდა მკაცრ კანონზომიერებას, რომელსაც ყველგან წავაწყდებით, თუ სოციალურ პროცესებს თვითონ დავაკვირდებით.

და მაშასადამე, ცენტრალური ფუნქციის ეს შანსების მატება იყო განსაზღვრული, დიდი თუ პატარა სამფლობელოს ცენტრიდან მართული პაციფიცირების წანამძღვარიც.

3. განვითარების ორივე ტენდენცია, რომელიც ძლიერ ცენტრალურ ხელისუფლებაზე სასიკეთოდ აისახებოდა, ძველ, შუა საუკუნეების მებრძოლთა ფენაზე ყოველთვის არასასიკეთო გავლენას ახდენდა. საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობების მზარდ სექტორთან მათ არავითარი პირდაპირი კავშირი არ გააჩნდათ. მებრძოლებს ძნელად თუ შეეძლოთ სარგებელი მიეღოთ ახალი საშემოსავლო თანხებისაგან. ისინი მხოლოდ დევალვაციას, ფასების ზრდას გრძნობდნენ.

გამოიანგარიშეს, რომ 1200 წელს 22 000 ფრანკად შეფასებული ქონება, 1300 წელს 16 000 ფრანკი, 1400 წელს 7500 ფრანკი, 1500 წელს — 6500 ფრანკის ღირებულების იყო. მე-16 საუკუნეში პროცესი დაჩქარდა; თანხის ღირებულებამ 2500-მდე დაიწია. და ის, რასაც ამ საუკუნეში საფრანგეთში შეიძლება დავაკვირდეთ, დაახლოებით იმავე მასშტაბებით, სამართლიანია მთელ ევროპასთან მიმართებაში.[1]

პროცესი, რომელიც დიდი ხნით ადრე, შუა საუკუნეებში იღებს დასაბამს, მე-16 საუკუნეში განსაკუთრებით ჩქარდება. ფრანსუა I-ის მმართველობის დროიდან მოყოლებული, 1610 წლამდე ფრანგული ფუნტი დაახლოებით ამგვარი შეფარდებით გაუფასურდა: 100:19,67. განვითარების ამ ტრაექტორიის მნიშვნელობა საზოგადოების გარდაქმნისათვის უფრო დიდი იყო, ვიდრე რამდენიმე სიტყვით გამოითქმოდა. მაშინ, როცა ფულის მიმოქცევა იზრდებოდა და სავაჭრო საქმიანობა ვითარდებოდა, მაშინ, როცა ბურჟუაზიული ნრეებისა და ცენტრალური ხელისუფლების შემოსავლები ზემოთ იწევდა, მთელი დანარჩენი არისტოკრატიის შემოსავლები მცირდებოდა. რაინდთა ერთი ნაწილი ღარიბული ცხოვრებისათვის იყო განწირული, მეორე ნაწილი ყაჩაღობით და ძალადობით იღებდა იმას, რაც მისთვის მშვიდობიანი გზით უკვე მიუწვდომელი იყო. სხვანი უძლებდნენ, სანამ ეს ასატანი იყო თავიანთი მამულებისა და წყლების გაყიდვის ხარჯზე. არისტოკრატიის მნიშვნელოვანი ნაწილი, ამ გარემოებით იძულებული და ახალი შანსებით მოხიბლული, მეფისა ან იმ თავადების სამსახურში შედიოდა, რომელთაც გადახდა შეეძლოთ. ეს იყო შანსები, რომელიც ფულის მიმოქცევის და სავაჭრო ქსელის ზრდასთან კავშირის არმქონე მებრძოლთა ფენას ეკონომიკური თვალსაზრისით ეძლეოდა.

4. როგორ მოქმედებდა მათ საზიანოდ საბრძოლო ტექნიკის განვითარება, უკვე ითქვა: მდაბიო ფეხოსნები ბრძოლაში უფრო მნიშვნელოვანი გახდნენ, ვიდრე რაინდობა. ამით არა მხოლოდ საბრძოლო უპირატესობა, არამედ შუა საუკუნეების მეომართა ფენის იარაღზე მონოპოლიაც დაირღვა. იმ მდგომარეობიდან, როცა წარჩინებულნი, არისტოკრატები, ყველანი მეომრები იყვნენ ან პირიქით რომ ვთქვათ, ყველა მეომარი კეთილშობილი და არისტოკრატი იყო, ცვლილება დაიწყო იმ მიმართულებით, როცა არისტოკრატი, უკეთეს შემთხვევაში, მდაბიოთა სამხედრო ნაწილის ოფიცერი შეიძლებოდა ყოფილიყო, ნაწილისა, რომლისთვისაც ფული უნდა გადაეხადათ. იარაღის ფლობის მონოპოლია და სამხედრო ძალაუფლება არისტოკრატიის ხელიდან მთლიანად მისი ცალკეული წარმომადგენლების, თავადებისა და მეფის ხელში გადადიოდა, მეფისა, რომელსაც ეყრდნობოდა რა მთელი მხარის საგადასახადო შემოსავლებს, შეეძლო ამ მხარეში უდიდესი სამხედრო ნაწილი დაექირავებინა. ამით შედარებით თავისუფალ მეომართა და რაინდთა უმეტესი ნაწილი ცენტრალური მმართველის სამსახურში მყოფ დაქირავებულ მეომრებად და ოფიცრებად იქცა.

ეს არის ამ ცვლილების რამდენიმე უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ხაზი.

5. ამას დაემატა შემდეგი: საზოგადოებაში საფინანსო-ეკონომიკური სექტორის ზრდასთან ერთად არისტოკრატი კარგავდა ძლიერებას, მაშინ როცა ბურჟუაზიული ფენები ამით ძალაუფლებას მოიპოვებდნენ. მაგრამ, ზოგადად, ამ ორიდან არცერთი ფენა არ აღმოჩნდა საკმარისად ძლიერი

იმისათვის, რომ დიდი ხნის განმავლობაში შეენარჩუნებინა გამარჯვება მეორეზე. დაძაბულობებს მუდმივად ჰქონდა ადგილი და ისინი დროდადრო ყველგან ომების სახით იფეთქებდა ხოლმე. ამასთან, საბრძოლო ფრონტი თითოეულ შემთხვევაში, განსხვავებული და რთული იყო. გარკვეულ გარემოებებში არსებობდა კავშირები არისტოკრატიის და ბურჟუაზიის ცალკეულ ფენებს შორის; არსებობდა გარდამავალი ფორმები და გაერთიანებებიც კი ორივე ფენის მცირე ჯგუფებს შორის. მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, დაწინაურება, ისევე როგორც ცენტრალური ინსტიტუტის ძალაუფლების სისრულე და შეუზღუდაობა, იმაზე იყო დამოკიდებული, რომ არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას შორის ეს დაძაბულობა არსებობდა და განაგრძობდა არსებობას.

მეფისა და თავადთა აბსოლუტური ხელისუფლების სტრუქტურულ წანამძღვრებს განეკუთვნებოდა ის, რომ ამ ფენებიდან და მათში არსებულ ჯგუფთაგან ვერცერთი ვერ მოიპოვებდა გამარჯვებას. აბსოლუტური ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად ფხიზლად უნდა ყოფილიყვნენ, რომ შენარჩუნებული ყოფილიყო ეს ლაბილური წონასწორობა მათი სამფლობელოს ფენებსა და ჯგუფებს შორის. სადაც ეს წონასწორობა დაირღვა, სადაც ერთი ჯგუფი ან ფენა მეტისმეტად გაძლიერდა, ან სადაც, თუნდაც დროებით, არისტოკრატიული ჯგუფები ან ბურჟუაზიის უმაღლესი წრეები მოკავშირენი ხდებოდნენ, ცენტრალური ხელისუფლების შეუზღუდაობა უკიდურესი საფრთხის ქვეშ იდგა ან დასაღუპად იყო განწირული, როგორც ინგლისში. ამის შესაბამისად, ხშირად ვხედავთ, რომ ხელისუფალთა წრის ერთი ნაწილი, თითქოსდა, ბურჟუაზიას იცავს და უყწობს ხელს, რადგან არისტოკრატია მეტისმეტად მომძლავრებულად და აქედან გამომდინარე, სახიფათოდ ეჩვენება, მეორე და მესამენი კი ისევ უფრო მიუკერძოებელ პოზიციას იკავებენ არისტოკრატიასთან მიმართებაში, რადგან ეს უკანასკნელი თავად მეტისმეტად სუსტია ან ბურჟუაზია ზედმეტად გაძლიერდა და გაჯიუტდა, თანაც ისე, რომ მეორე დამბალანსებელს მთლიანად არასოდეს ივიწყებენ. ერთპიროვნულ ცენტრალურ მმართველებს, სრულად ჰქონდათ გაცნობიერებული მათ ეს თუ არა, უნდა ეთამაშათ ამ სოციალურ აპარატზე, რომელიც მათ თავად არ შეუქმნიათ. მათი სოციალური ექსისტენცი დამოკიდებული იყო ამ აპარატის სიმტკიცესა და ფუნქციონირებაზე. ისინიც დაკავშირებულნი არიან სოციალურ კანონიერებასთან, „რომლის სახელითაც თავადვე გამოდიან". ეს კანონიერება, საზოგადოების ეს სტრუქტურა, ადრე თუ გვიან, მრავალმხრივ მოდიფიცირებული სახით, დასავლური სამყაროს თითქმის ყველა ქვეყანაში ყალიბდება. მაგრამ მისი მთლიანი პროფილი მაცქერალს მაშინ წარმოუდგება თვალწინ, როცა კონკრეტულ მაგალითზე ხედავს, როგორ ყალიბდება ის. საფრანგეთის განვითარება, ქვეყნისა, რომელშიც ეს პროცესი დროის განსაზღვრული მომენტიდან ყველაზე სწორხაზოვნად მიმდინარეობს, აქ შეიძლება მაგალითად გამოგვადგეს.

საზოგადოების განვითარების მექანიკა შუა საუკუნეებში

ნაწილი პირველი

ფეოდალიზების მექანიზმები

შესავალი

1. თუ საფრანგეთში, ინგლისში და გერმანულ იმპერიაში მე-17 საუკუნის შუა წლებში ცენტრალური ძალაუფლების სიმტკიცეს გავზომავთ, საფრანგეთის მეფე განსაკუთრებით ძლიერი გამოჩნდება ინგლისის მეფესთან და პირველ ყოვლისა, გერმანული იმპერიის კაიზერთან შედარებით. მაგრამ ეს მდგომარეობა ძალზე ხანგრძლივი განვითარების შედეგია.

კაროლინგების ეპოქის დასასრულს და კაპეტინგების ეპოქის დასაწყისში, ეს ვითარება, თითქმის, საპირისპიროა. ამ დროს გერმანიის კაიზერის ცენტრალური ძალაუფლება მეტია საფრანგეთის მეფის ძალაუფლებასთან შედარებით. ინგლისს ჯერ კიდევ წინა აქვს გადამწყვეტი გაერთიანება და მმართველობის რეორგანიზაცია ნორმანთა მიერ.

გერმანულ იმპერიაში, ამ დროიდან მოყოლებული, ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლება (თუმცა, გარკვეული უკუბიძგებით), უფრო და უფრო დანაწევრდება.

ინგლისში, ნორმანელთა დროიდან, მეფის ძლიერი ხელისუფლება ასეთი ძლიერი, წოდებრივი ან პარლამენტარული ხელისუფლებით იცვლება.

საფრანგეთში, დაახლოებით მე-12 საუკუნის დასაწყისში, იზრდება მეფის ძალაუფლება. უწყვეტ ხაზს კაპეტგებიდან ვალუას გავლით ბურბონებამდე მივყავართ.

არა გვაქვს არავითარი საფუძველი ამ განსხვავებათა გარდაუვალობა ვივარაუდოთ. ძალიან ნელა, სამი ქვეყნის სხვადასხვა მხარე ნაციონალური ერთიანობის ქსელში ჩაერთვება. თავდაპირველად, სანამ ამ მხარეთა (რომლებიც მოგვიანებით „საფრანგეთი“, „გერმანია“, „იტალია“, და „ინგლისი“ გახდება) ინტეგრაცია და გადაჯაჭვულობა საკმაოდ მცირეა. მათ ერთიანობას, მათ საკუთარ წონას, როგორც სოციალური ორგანიზმისა, სოციალურ ძალთა თამაშში ჯერ კიდევ არ გააჩნია ძალიან დიდი მნიშვნელობა. და ამ ერების ისტორიაში განვითარების ძალიან მნიშვნელოვანი პროცესებიც ამ სტადიაზე ბევრად უფრო მეტად განისაზღვრება ცალკეული ადამიანის ბედნიერებით და უბედურებით, პიროვნული უნარებით, სიმპათია-ანტიპათიებით თუ „შემთხვევებით“, ვიდრე მოგვიანებით, როცა „ინგლისმა“, „გერმანიამ“ თუ „საფრანგეთმა“, როგორც სრულიად განსაზღვრულ სტრუქტურათა სოციალურმა ქსელმა, საკუთა-

რი წონა და საკუთარი კანონზომიერება შეიძინა. დასაწყისში, ისტორიული განვითარების ხაზი ჯერ კიდევ ძლიერად განისაზღვრება იმ ფაქტორებით, რომელთაც, თუ მოგვიანებით მთლიანობაში შევხედავთ, არავითარი აუცილებლობა არ ახასიათებთ.[2] შემდეგ, უფრო დიდი ოლქებისა და ადამიანთა მასების მზარდ შეკავშირებასთან ერთად, თანდათან გამოიკვეთება კანონზომიერება, რომელიც ძლიერ ინდივიდთა თვითნებობას, ახირებას, ინტერესებს, სიტუაციისდა მიხედვით, საზღვრებს უწესებს ან შანსებს სთავაზობს. და მოგვიანებით, ამ სოციალურ ერთეულთა განვითარების კანონზომიერება ყველა შემთხვევაზე მეტად ძლიერდება ან მას, სულ ცოტა, თავის დაღს დაასვამს.

2. არ გვაქვს საფუძველი თავიდანვე მივუთითოთ იმ გარდუვალობაზე, რომ სწორედ ილ დე ფრანსის საჰერცოგო, „Isle de France" გახდა ერის კრისტალიზაციის პუნქტი. კულტურულად და პოლიტიკურად სამხრეთ-ფრანგული მხარეები ჩრდილოეთ-ესპანურ და მოსაზღვრე იტალიურ მხარეებთან უფრო მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი, ვიდრე პარიზის გარშემო ოლქებთან. განსხვავება ძველ, „პროვენცალურის", ძლიერად კელტო-რომანულ მხარეებს, langue d'oc-ისა და langue d'oïl-ის ქვეყნებს, მაშასადამე, უფრო მეტად ფრანკული ორიენტაციის მქონე მხარეებს შორის, უპირველესად, ჩრდილოეთ ლუარის, პუატის, ბერის, ბურგუნდიის, სანტონჟეს და ფრანშ-კომტეს მხარეებს შორის, ყოველთვის ძალიან საგრძნობი იყო.[3]

სასაზღვრო ხაზებიც, რომლებიც ვერდენის (843) და შემდეგ მერსენის (870) ხელშეკრულებით, დასავლეთ-ფრანკული იმპერიისათვის აღმოსავლეთით დაადგინა, სულ სხვაგვარად გამოიყურებოდა, ვიდრე საზღვრები იმ წარმონაქმნებს შორის, რაც თანდათანობით „საფრანგეთად", „გერმანიად" და „იტალიად" ყალიბდებოდა.

ვერდენის ხელშეკრულება დასავლეთ-ფრანკული იმპერიის აღმოსავლეთ საზღვარს იმ ხაზზე გაავლებდა, რომელსაც სამხრეთში ლიონის დღევანდელი ყურედან, დასავლეთით რონის გასწვრივ, ჩრდილოეთის მიმართულებით გენტის მიდამოებამდე მივყავდით. ლოტარინგია და ბურგუნდია — საონის დასავლეთით მდებარე ჰერცოგთა სამფლობელოების გამოკლებით — ე.ი. არლი, ლიონი, ტრირი და მეციც, ამით დასავლეთ-ფრანკული იმპერიის საზღვრებს გარეთ აღმოჩნდებოდა, მაშინ როცა სამხრეთში, ბარსელონას საგრაფოც კი მის საზღვრებში ექცეოდა.[4]

მერსენის ხელშეკრულებით რონი წარმოადგენდა უშუალოდ სასაზღვრო მდინარეს დასავლეთ-ფრანკულ და აღმოსავლეთ-ფრანკულ სახელმწიფოებს შორის; შემდეგ საზღვარი იზერის გასწვრივ მიდიოდა, უფრო მოშორებით, ჩრდილოეთით, კი, მოზელს მიუყვებოდა. ამით ტრირი და მეცი სასაზღვრო ქალაქებად გადაიქცა, ზუსტად ისევე, როგორც ჩრდილოეთით მერსენი — ადგილი, რომლის სახელიც ხელშეკრულებამ მიიღო. და ბოლოს სასაზღვრო ხაზი

სრულდებოდა რაინის შესართავის ჩრდილოეთით, სამხრეთ ფრიზ-ლანდის მიდამოებში. მაგრამ ის, რაც ამგვარი საზღვრებით ერთმა-ნეთისაგან განცალკევდა, არც სახელმწიფოები იყო და არც ხალხები ან ერები, თუ მათ ქვეშ რაღაც აზრით ერთიან, ჩაკეტილ და სტაბილურ სოციალურ წარმონაქმნებს გავიგებთ. რაც ამ ფაზაში ყველა დიდ სამფლობელოში, უპირველეს ყოვლისა, თვალში გვხვდება, არის მისი ერთიანობის ნაკლები სტაბილურობა და ცენტრიდანული ძალების ძლიერება, რომლებიც დანაწევრებისაკენ უბიძგებდა.

რა სახისაა ეს ცენტრიდანული ძალები? ამ სახელისუფლო წარმონაქმნების კონსტრუქციის რა თავისებურება აძლევს ამგვარ ძალებს განსაკუთრებულ სიმტკიცეს? და საზოგადოების კონსტრუქ-ციის რა ცვლილებები განაპირობებს შემდგომში, მე-15, მე-16, მე-17 საუკუნეებიდან მოყოლებული ცენტრალური ხელისუფლების უპი-რატესობას ყველა ცენტრიდანულ ძალაზე და ამით ამავდროულად, სამფლობელოთა უფრო მეტ სტაბილურობას?

ცენტრისკენული და ცენტრიდანული ძალები შუა საუკუნეების სახელისუფლო აპარატში

3. კარლოს დიდის უზარმაზარი იმპერია დაპყრობების გზით შეიქმნა. ცხადია, არა ერთადერთი, მაგრამ ელემენტარული ფუნქცია მისი უშუალო წინამორბედისა და პირველ რიგში, კარლოსისა, ნამდვი-ლად იყო ფუნქცია ძლევამოსილი, დამპყრობელი და დამცველი მხედართმთავრისა. ეს ფუნქცია ქმნიდა მისი მეფური ძალაუფლების, მისი პატივისცემის, მისი სოციალური ძლიერების საფუძველს.

როგორც მხედართმთავარი, კარლოს დიდი განაგებდა დაპყრო-ბილ და მის მფარველობაში მყოფ ქვეყნებს. როგორც ძლევამოსილი მთავარი, ის მიწით ასაჩუქრებდა მეომრებს, რომლებიც მის ამალას შეადგენდნენ. და ამ ავტორიტეტის ძალით ის მათ ერთიანობაში ინარჩუნებდა, მაშინაც კი როცა ეს მხლებლები მთელ ქვეყანაში გაბნეულნი, თავიანთ მიწებს, თავიანთ მამულებს განაგებდნენ.

კაიზერს და მეფეს არ შეეძლოთ მარტო მოეევლოთ მთელი ქვეყნისათვის; ისინი თავიანთ ნდობით აღჭურვილ პირებს და მსახურებს აგზავნიდნენ ქვეყანაში, რათა ამ უკანასკნელთ მათ ნაცვლად თვალყური ედევნებინათ კანონების შესრულებისათვის, ეზრუნათ გადასახადების შემოსვლისათვის, მოთხოვნილი სამსახუ-რის შესრულებისათვის და დაესაჯათ აჯანყებულნი. ის მათ სამსახურს ფულით არ ანაზღაურებდა. ამ ფაზაში მართალია, ასეთ რაიმეს ზოგჯერ ჰქონდა კიდეც ადგილი, მაგრამ შედარებით მცირე მასშტაბებით. მოთხოვნილების დიდი ნაწილი უშუალოდ მიწებით, სახნავ-სათესით, ტყეებით, ფარეხებით და კარ-მიდამოში განხორ-ციელებული სამუშაოებით იფარებოდა. ადგილობრივი გრაფები, ჰერცოგები თუ ცენტრალური ხელისუფლების სხვა რწმუნებულები,

რა წოდებაც უნდა ჰქონოდათ მათ, თვითონ და მათი ამალა — ყველანი იმ მამულით ინახავდნენ თავს, რომელსაც ისინი განაგებდნენ, იმ მიწებით, რომლებიც მათ ცენტრალური ხელისუფლებისაგან საჩუქრად მიიღეს. ამ ფაზაში საზოგადოების სახელისუფლო აპარატს, ეკონომიკის სტრუქტურის შესაბამისად, სხვა ხასიათი ჰქონდა, ვიდრე იმ ეპოქაში, როცა არსებობდა „სახელმწიფოები", ამ სიტყვის ზუსტი აზრით. „მოხელეთა" უმეტესობა, ნათქვამია ამ ფაზის შესახებ,[5] „მიწათმფლობელები იყვნენ, რომლებიც მხოლოდ გარკვეულ დროს ან გაუთვალისწინებელი მოვლენებისას იყვნენ დაკავებულნი "სამსახურებრივად" და რომლებიც შეიძლება შევადაროთ მემამულეებს, რომელთაც პოლიციური და სასამართლო ხელისუფლება აქვთ. ისინი ამ პოლიციურ და სასამართლო ფუნქციასთან სამხედრო ფუნქციასაც აკავშირებდნენ; ისინი იყვნენ მებრძოლები, საბრძოლო რაზმის წინამძღოლები და გარეშე მტრის მუქარის შემთხვევაში, სარდლები იმ რეგიონის ყველა სხვა მინათმფლობელთა, რომელიც მათ მეფემ უბოძა. ერთი სიტყვით, მათ ხელთ ეპყრათ ყოველგვარი სახელისუფლო ფუნქცია.

მაგრამ ამ თავისებურ სახელისუფლო აპარატს — ამ სოციალურ ფაზაში შრომის დანაწილებისა და დიფერენციაციის დონის მაგალითს — ისევ და ისევ სრულიად სპეციფიკურ დაძაბულობებამდე მივყავართ, რომელთაც ამგვარ სტრუქტურაში ჰქონდა საფუძველი. ის ქმნიდა განსაზღვრულ ტიპიურ მიმდინარეობებს, რომლებიც, გარკვეული მოდიფიკაციებით, მუდმივად მეორდება.

4. ვისაც ერთხელ ცენტრალური მმართველები ბატონობის ფუნქციებს ანდობდნენ და ვინც ამით, ფაქტიურად, მთელ მხარეს განაგებდა, მას უნდა ეზრუნა საკუთარი თავის და თავისიანების გამოკვებაზე და დაცვაზე და ის თითქოს, არ იყო დამოკიდებული ცენტრალურ მმართველთა მხარდაჭერაზე, სულ ცოტა მანამ, სანამ გარედან ან სამეზობლოდან უფრო ძლიერი მტერი არ დაემუქრებოდა. ამიტომ ის ან მისი მემკვიდრენი, ცდილობდნენ, როგორც კი ეს შესაძლებელი გახდებოდა და როგორც კი ცენტრალური ხელისუფლება სისუსტის რაიმე ნიშანს გამოავლენდა, ერთხელ ჯილდოდ მიღებულ მხარეში აშკარად წარმოეჩინათ თავისი ბატონობის უფლება, თავისი ძალაუფლება და ამით ცენტრალურ ხელისუფლებასთან მიმართებაში თავისი დამოუკიდებლობის დემონსტრირება მოეხდინათ.

საუკუნეთა განმავლობაში ამ სახელისუფლო აპარატურაში მუდმივად ვლინდება ერთი და იგივე ტენდენციები და ფიგურები: ცენტრალური მმართველის კუთვნილი რომელიმე მხარის გამგებლები, ამა თუ იმ გვარის ჰერცოგები ან ტომთა ბელადები, ყოველთვის საფრთხეს წარმოადგენენ ცენტრალური ხელისუფლებისათვის. დამპყრობელი მთავრები და მეფეები, რომლებიც ძლიერი მხედართმთავრები და გარეშე მტრისაგან კარგი დამცველები არიან, პირველ რიგში, ცდილობენ წარმატებით აღკვეთონ ეს საფრთხე თავიანთ სამფლობელოში. შესაძლებლობისდა მიხედვით, წინანდელი

საგვარეულოს თავადთა ნაცვლად ისინი თავიანთი სამეფოს ერთ ნაწილში ხელისუფლების წარმომადგენლებად ნდობით აღჭურვილ პირებს, ნათესავებსა და მსახურებს ნიშნავენ. შედარებით მოკლე დროში, ხშირად კი ერთი თაობის მანძილზე, თამაში მეორდება. ცენტრალური ხელისუფლების ყოფილი წარმომადგენელი ცდილობს, რომ მხარე, რომელშიც ისინი თავდაპირველად ცენტრალურ ძალაუფალთა წარგზავნილებად ან მსახურებად იყვნენ დანიშნულნი, შეძლებისდაგვარად, ცენტრალურ მმართველთა განკარგვის სფეროდან გამოიყვანონ და თვითონ განაგონ მას, როგორც მემკვიდრეობით მიღებულ საკუთრებას და ოჯახის სამფლობელოს.

აქ არიან comes palatii, ადგილობრივი გრაფები, რომელთაც სურთ გარკვეული მხარის დამოუკიდებელ ბატონებად გადაიქცნენ. ამ სიტყვამ თითქმის არ შემოგვინახა მოგონება იმის შესახებ, რომ ის ოდესღაც მეფის სასახლის სახლთუხუცესს აღნიშნავდა. აქვე არიან სასაზღვრო მხარეების გრაფები, ჰერცოგები, გრაფები, ბარონები და მეფის მინისტრები. სამხედრო ძლიერების მქონე დამპყრობელი მეფეები ახალ-ახალ პარტიებად გზავნიან თავიანთ ნდობით აღჭურვილ პირებს, ნათესავებს, მოსამსახურეებს რწმუნებულებად მთელ ქვეყანაში და მუდმივად განახლებული ძალით იბრძვიან უწინდელი რწმუნებულები თუ შთამომავალნი, გვაროვნული თავადები თუ ტერიტორიული მმართველები ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ თავიანთი მხარის მემკვიდრეობითობის ან ფაქტიური დამოუკიდებლობისათვის, მხარისა, რომელიც თავდაპირველად, მხოლოდ ლენის სახით იყო გაცემული.

ერთი მხრივ, მეფენი იძულებულნი იყვნენ თავიანთი სამეფოს ერთი ნაწილის გამგებლობა სხვა ადამიანებისათვის გადაებარებინათ. ომის, ეკონომიკის და ტრანსპორტის ორგანიზების მდგომარეობა მათ სხვა არჩევანს არ უტოვებდა. მათ ფინანსური შემოსავლების წყაროებს საზოგადოება იმ მასშტაბით არ სთავაზობდა, რომ დაქირავებული არმია ან დელეგირებული მოხელეები, ხელფასის გადახდის გზით, მათზე დამოკიდებულებაში ემყოფებინათ. მათ ანაზღაურების სახით, მხოლოდ მიწები მიეცემოდათ, როგორც ჯილდო ან ლენი და თანაც დიდი მიწები, რათა ისინი, როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები, მართლაც, უფრო ძლიერები ყოფილიყვნენ, ვიდრე ამ მხარის სხვა მეომრები ან მიწათმფლობელები.

ლენის მფლობელებს, ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს, მეორე მხრივ, არც ფეოდალთა ფიცი და არც ვასალური ერთგულება არ აკავებდა იმ მხარის დამოუკიდებლობისათვის ებრძოლა, რომელსაც ისინი განაგებდნენ, როცა ურთიერთდამოკიდებულება ცენტრალურ მმართველებსა და მათ ყოფილ დელეგირებულთა შორის ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ იცვლებოდა. ტერიტორიულმა მმართველებმა თუ გვაროვნულმა თავადებმა, ფაქტიურად, მიისაკუთრეს ის მიწა, რომელსაც ოდესღაც მეფე მათ სასარგებლოდ განაგებდა. გარეშე საფრთხის განსაზღვრულ შემ-

თხვევებს თუ მხედველობაში არ მივიღებთ, მათ მეფე აღარ სჭირდებათ. ისინი აღარ ემორჩილებიან მის ხელისუფლებას. თუ მათ ის დასჭირდებათ და გამოვლინდება მეფის, როგორც მხედართმთავრის ფუნქცია, მოძრაობა ისევ საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის და გარემოებისდა მიხედვით თამაში ისევ თავიდან იწყება იმ ვარაუდით, რომ ცენტრალური მმართველი ომში წარმატებას მიაღწევს. შემდგომ, იმ ძალისა და მუქარის წყალობით, რომელიც მისი მახვილიდან მოდის, ცენტრალური მმართველი კვლავ მოიპოვებს ფაქტიურ გამგებლობას მთელი მხარის მიწებზე და შეუძლია ამ მიწების ხელახალი განაწილება განახორციელოს. ეს არის ადრეულ შუა საუკუნეებში დასავლური საზოგადოების განვითარების მექანიზმში ერთერთი მუდმივი ფიგურა თუ პროცესი, რომელიც მოდიფიცირებული სახით, შეძლებისდაგვარად, გვიანდელ ეპოქაშიც შენარჩუნდება.

5. ამგვარ პროცესთა მაგალითებს დღესაც ვხვდებით ევროპის ფარგლებს გარეთ, მსგავსი სოციალური სტრუქტურის მქონე მხარეებში. აბასინიის განვითარება ამგვარი ფიგურების მთელ სიმრავლეს აჩვენებდა, თუმცა ბოლო დროს, ევროპიდან ფულის და სხვა ინსტიტუტების შემოსვლის შედეგად ისინი უკვე გარკვეულწილად, მოდიფიცირებული გახდნენ. მაგრამ რას ტაფარის დაწინაურება, მთელი მხარის ცენტრალურ მმართველად თუ კაიზერად, ძლევამოსილი ტერიტორიალური მმართველების ბრძოლით დამორჩილების შედეგად გახდა შესაძლებელი და იტალიის წინააღმდეგ აჯანყების მოულოდნელად სწრაფი ჩაქრობა იმითაც უნდა აიხსნას, რომ ამ ფეოდალურ და უპირატესად ნატურალური მეურნეობის მქონე სამფლობელოში, ცალკეულ ტერიტორიათა ცენტრიდანული ძალები მაშინვე ძლიერდებოდა, როცა ცენტრალურ მმართველს არ შეეძლო თავისი უმნიშვნელოვანესი ამოცანის შესრულება, გარეშე მტრის მოგერიება და ، მგვარად, „სისუსტეს“ იჩენდა.

დასავლური სამყაროს ისტორიაში ამ მექანიზმის ნიშნები უკვე ჩანს მეროვინგების ეპოქაში. აქ უკვე სახეზეა „იმ განვითარების საწყისები, რომელიც უმაღლეს იმპერიულ თანამდებობებს მემკვიდრეობით ხელისუფლებად გარდაქმნის“,[6] ამ დროისათვის უკვე სამართლიანია ეს წინადადება: „რაც უფრო იმატებდა ამ თანამდებობის მქონეთა ძალაუფლება, ეკონომიკური და სოციალური მხარდაჭერა, მით უფრო ნაკლებ შეეძლო მეფის ხელისუფლებას იმაზე ეფიქრა, რომ ამ თანამდებობას, მისი მფლობელის სიკვდილის შემთხვევაში სხვას, მისი ოჯახის გარეშე პირს გადასცემდა“.[7] მით უფრო ერთმნიშვნელოვნად გადადიოდა, სხვა სიტყვებით, სამეფოს დიდი ნაწილები ცენტრალურ მმართველთა განმგებლობიდან ტერიტორიულ მმართველთა განკარგულებაში.

ამგვარი პროცესები კაროლინგების ეპოქაში უფრო ცხადად გამოდის წინა პლანზე: კარლოს დიდი, ისევე როგორც აბისინიის კაიზერი, შეძლებისდაგვარად ჩამოიშორებს გვაროვნულ ჰერცოგებს და მათ ადგილას ნიშნავს თავის საკუთარ „მოხელეებს“, გრაფებს.

როცა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში შესამჩნევი ხდება გრაფების თვითნებობა და მათთვის ჩაბარებულ მხარეზე მათი ფაქტიური გაბატონება, ის ახალ ნაკადად გზავნის თავისი გარემოცვიდან ხალხს მეფის მაცნეებად, როგორც "missi dominici", რათა თვალყური ადევნონ მათ.

უკვე ლუი მოწყალეს მმართველობის პერიოდში გრაფის ფუნქცია მემკვიდრეობით გადაცემადი ხდება. კარლოსის მემკვიდრეებს „აღარ შეუძლიათ თავიდან აიცილონ მემკვიდრეობითობაზე პრეტენზიის ფაქტიური აღიარება".[8] და მეფის მაცნეთა ინსტიტუტი თავისთავად კარგავს აზრს. ლუი მოწყალე უკვე იძულებულია missi dominici იმ რეგიონებიდან გამოიყვანოს, რომლებიც მათ უნდა შეემოწმებინათ. უკვე მისი მმართველობის დროს, როცა მას მხარს არ უმაგრებს კარლოსის საბრძოლო ავტორიტეტი, ნათლად გამოვლინდება ცენტრიდანული ტენდენციების ძლიერება ამ სამეფო და სოციალური ორგანიზაციის შიგნით. ისინი უმაღლეს წერტილს შარლ III-ის დროს აღწევენ. ამ უკანასკნელს 887 წელს აღარ შეუძლია გარეშე მტრები, კერძოდ დანიელი ნორმანები, პარიზიდან შორს შეაჩეროს თავისი მახვილით და ფულით. ნიშანდობლივია, რომ უშუალოდ კაროლინგთა ეპოქის დასრულების შემდეგ, გვირგვინი არნულ ფონ კერნტენს, კარლმანის ბუშს, შარლ სქელის ძმისშვილს ერგება. მან სასაზღვრო ომებში უცხო ტომების წინააღმდეგ თავი გამოჩინა, როგორც მხედართმთავარმა. როცა ის (თავდაპირველად ბავარიის სათავეში მყოფი), სუსტი ცენტრალური მმართველის წინააღმდეგ გამოდის, მაშინვე მოიპოვებს სხვა ტომთა, აღმოსავლეთ ფრანკების, ტიურინგელთა, საქსონელების და შვაბების აღიარებას. ის, როგორც მხედართმთავარი, ამ სიტყვის ნამდვილი აზრით, გერმანელ ტომთა არისტოკრატი მეომრიდან კვლავ მეფობამდე ამაღლდება.[9] ისევ უშუალოდ გამოჩნდება, რა აძლევს ამ საზოგადოებაში მეფის ფუნქციას ძალას და ის მოახერხებს 891 წელს ნორმანებს უკან დაახევინოს ლოვენთან დაილზე, მაგრამ როგორც კი მხედართმთავრის რანგში ახალი საფრთხის შემთხვევაში ყოყმანს დაიწყებს, რეაქცია არ აყოვნებს; მაშინვე, მის სუსტად შეკრულ სამეფოში უპირატესობას ცენტრიდანული ძალები მოიპოვებენ: „Illo diu morante, multi reguli in Europa vel regno Karoli sui patruelis excrevere", ამბობს ერთი ამ დროის მწერალი.[10] ყველგან, მთელს ევროპაში, თავს წამოყოფენ პატარა მეფეები, სანამ ის კარგა ხანს ყოყმანობდა ებრძოლა თუ არა. ერთ წინადადებაში მოკლედ რომ შევაჯამოთ, ეს არის სოციალური კანონზომიერება, რომელიც თავის დაღს დაასვამს ევროპული საზოგადოების განვითარების პროცესს ამ ფაზაში.

საქსონიის პირველი კაიზერის მმართველობის ხანაში მოძრაობა ისევ საწინააღმდეგო მიმართულებით მიდის. ის რომ სწორედ საქსონელ ჰერცოგებს ერგოთ მთელი სამეფოს გვირგვინი, კიდევ ერთხელ ნათლად აჩვენებს, რა იყო ამ საზოგადოებაში ცენტრალური

მმართველის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია. საქსონელები განსაკუთ-
რებული მასშტაბით განიცდიდნენ აღმოსავლეთიდან შემოჭრილი,
არაგერმანული ტომების ზეწოლას. მათ ჰერცოგებს, უპირველეს
ყოვლისა, მფარველობა უნდა გაეწიათ და დაეცვათ თავიანთი ტომის
მხარე, მაგრამ ამით ისინი, ამავე დროს, იცავდნენ სხვა გერმანული
ტომების მხარეებსაც. 924 წელს ჰაინრიხ I-მა მოახერხა დასაწყი-
სისათვის ზავი მაინც დაედო შემოჭრილ უნგრელებთან; 928 წელს ის
თავად გაიჭრება წინ ბრანდენბურგამდე; 929 წელს ჰაინრიხ I ააშენებს
მაისენის სასაზღვრო ციხე-სიმაგრეს: 933 წელს ის ამარცხებს
უნგრელებს რიადესთან, მაგრამ ისე რომ, არც ანადგურებს მათ და
არსებითად არ აღმოფხვრის საფრთხეს; 934 წელს ჰანრიხ I
მოახერხებს ჩრდილოეთით, მარკ შლეზვიგში კვლავ დაადგინოს
საზღვრები შემოჭრილ დანიელებთან.[11] ამ ყველაფერს ის აღწევს,
როგორც საქსონიის ჰერცოგი. პირველ რიგში, ეს არის საქსონელთა
გამარჯვებები იმ ხალხებზე, რომლებიც მათ საზღვრებს უტევენ და
მათ მხარეში შემოჭრით იმუქრებიან. მაგრამ როცა საქსონიის
ჰერცოგები საზღვრებთან იბრძვიან, იმარჯვებენ და იპყრობენ, ისინი
იმ საბრძოლო ძლიერებას და ავტორიტეტსაც მოიპოვებენ, რომელიც
აუცილებელია იმისათვის, რათა შეუტიონ ცენტრიდანულ ძალებს
ქვეყნის შიგნით. გარეშე მტერზე გამარჯვებით ისინი ქმნიან ქვეყნის
შიგნით ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერების საფუძველს.

ჰაინრიხ I-მა ფაქტიურად შეინარჩუნა და გაამყარა საზღვრები,
სულ ცოტა, ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში. მისი სიკვდილის შემდეგ
ვენდები მაშინვე დაარღვევენ ზავს საქსონელებთან. და ჰაინრიხის
ვაჟი ოტო მათ უკუდარტყმას მიაყენებს. შემდეგ, 937 და 938 წლებში
უნგრელები ისევ შემოიჭრებიან და ისევ უკან დაიხევენ. მოგვიანებით
იწყება უფრო ძლიერი, ახალი ექსპანსია; 940 წელს გერმანიის სამეფო
ოდერის მიდამოებამდე გაფართოვდება; და როგორც ყოველთვის,
თანამედროვე ეპოქაშიც, ახალი მიწების დაპყრობას მოჰყვება
საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც მაშინ, ბევრად უფრო ძლიერად,
ვიდრე დღეს, ხელისუფლების სიმტკიცეს ემსახურებოდა.

იგივე ხდება სამხრეთ-აღმოსავლეთში. 955 წელს, ისევ გერმანიის
მხარეში, ლეხის ველზე, აუგსბურგთან უნგრელები დამარცხდებიან
და ამით საკმაოდ დიდი ხნით განიდევნებიან. მათგან თავდასაცავად
აღიმართება ოსტმარკი, შემდგომში ავსტრიის ჩანასახოვანი უჯრედი,
რომლის საზღვრები დაახლოებით პრესბურგის მიდამოებში
მდებარეობს. მისგან აღმოსავლეთით, შუა დონაუზე, ნელ-ნელა
მკვიდრდებიან უნგრელები. ოტოს, როგორც მხედართმთავრის ეს
წარმატებები შეესაბამება მის ძლიერებას სამეფოს შიგნით. ის
ცდილობდა, სადაც კი მივიდოდა, უწინდელ კაიზერთა რწმუნე-
ბულების ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მათი შთამომავლების ადგი-
ლზე, რომლებიც მას ტომის ბელადის ან ტერიტორიული მმართველის
რანგში უპირისპირდებოდნენ, ყველგან საკუთარი ნათესავები და
ნდობით აღჭურვილი პირები დაენიშნა. შვაბეთი გადადის მისი ვაჟის

ლუდოლფის, ბაიერნი – მისი ძმის ჰაინრიხის, ლოტარინგია მისი სიძის, კონრადის ხელში. ამ უკანასკნელის ვაჟს, ოტოს ერგება შვაბეთი, როცა ლუდოლფი აჯანყდება. ამავე დროს ის, როგორც ჩანს, უფრო გაცნობიერებულად, ვიდრე მისი წინამორბედნი, ცდილობს წინ აღუდგეს მექანიზმებს, რომლებიც ისევ და ისევ ასუსტებს ცენტრალურ ხელისუფლებას და ანადგურებს სახელისუფლო აპარატის ცენტრალიზმს. ერთი მხრივ, ის ამას იმით ცდილობს, რომ ამა თუ იმ ადგილას, ერთეული ადამიანის მოქმედების სფეროს, რომელსაც ის გარკვეული მხარის მმართველად ნიშნავს, ადრინდელზე უფრო შეამცირებს და ფუნქციებს შემოსაზღვრავს. მეორე მხრივ, ის და კიდევ უფრო მეტად მისი მემკვიდრენი ცდილობენ წინ აღუდგნენ ამ მექანიზმს, იმით, რომ ისინი სასულიერო პირებს გარკვეულ სფეროზე მმართველობის უფლებით აღჭურვავენ. საეპისკოპოსოს წარმომადგენლებს საერო საგრაფოსაც ანდობენ. ამგვარი ნდობით მაღალი სასულიერო წოდების მქონე პირებისადმი, რომელთაც მემკვიდრენი არ გააჩნდათ, ისინი წინ უნდა აღდგომოდნენ ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციონერთა გარდასახვას „მემკვიდრეობით, მინათმფლობელ არისტოკრატიად", რომელსაც დამოუკიდებლობისადმი ძლიერი სწრაფვა ჰქონდა.

მაგრამ ფაქტიურად, დეცენტრალიზაციის ძალები ამ ღონისძიებებით, რომლებსაც სინამდვილეში მათ საწინააღმდეგოდ უნდა ემოქმედა, დროთა განმავლობაში მხოლოდ, ძლიერდებოდა. ამგვარ მოწყობას საბოლოოდ მივყავდით სასულიერო მმართველობის ოლქების თავადურ, საერო სამფლობელოებად გარდაქმნამდე. ცენტრიდანული ტენდენციების ცენტრისკენულზე აღმატება, რომელიც საზოგადოების სტრუქტურაში იყო დაფუძნებული, ხელახლა გამოდის წინა პლანზე. მაღალი წოდების სასულიერო პირები, როგორც ჩანს, არანაკლებ ფიქრობენ შეინარჩუნონ დამოუკიდებელი გამგებლობის უფლება მათთვის მინდობილ მხარეზე, ვიდრე საერონი. ისინიც, როგორც საერო ტერიტორიული მმართველები, უკვე დაინტერესებულნი იყვნენ იმაში, რომ ცენტრალური ხელისუფლება მეტისმეტად არ გაძლიერებულიყო. უმაღლეს სასულიერო და საერო პირების ინტერესთა ამ ერთდროულმა ამოქმედებამ არცთუ მცირე წვლილი შეიტანა იმაში, რომ გერმანიის სამეფოში ცენტრალური ხელისუფლების ფაქტობრივი ძალა საუკუნეთა მანძილზე უფრო მცირე რჩებოდა და მტკიცდებოდა ტერიტორიულ მმართველთა გამგებლობის ძალაუფლება, დამოუკიდებლობა, მაშინ როცა საფრანგეთში ამის საპირისპირო სურათს ვხედავთ. აქ უმაღლესი სასულიერო პირები იშვიათად თუ გამხდარან უფრო დიდი ხელისუფალნი, ვიდრე საერონი. ეპისკოპოსები, რომელთა მამულები ზოგჯერ სხვადასხვა ტერიტორიულ მმართველთა მხარეში იყო გაბნეული, საკუთარი თავდაცვის მიზნით ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობაში დაინტერესებულნი რჩებოდნენ. ეკლესიისა და მეფის ხელისუფლების ეს საერთო მიმართულება, რომელიც დროში საკმაოდ

მყარი იყო, წარმოადგენდა არცთუ უმნიშვნელო ფაქტორს, რომელიც იქ, საფრანგეთში, საბოლოოდ ცენტრალურ ხელისუფლებას ცენტრიდანულ ძალებზე უპირატესობას მოაპოვებინებდა. სხვათა შორის, თავდაპირველად, დასავლეთ ფრანკული სამეფოს დეზინტეგრაცია ანალოგიური კანონზომიერების მიხედვით უფრო სწრაფად და რადიკალურად ხორციელდებოდა, ვიდრე აღმოსავლეთ ფრანკულისა.

6. ეს უკანასკნელნი, დასავლეთ-ფრანკონელი კაროლინგები პიროვნულად, როგორც ამბობდნენ,[12] უფრო გამბედავნი და ნათლად მოაზროვნე მამაკაცები იყვნენ, ნაწილობრივ მაღალი ღირსების მქონენიც, მაგრამ ისინი იბრძოდნენ იმ სიტუაციაში, რომელიც ცენტრალურ მმართველს ნაკლებ შანსებს სთავაზობდა და რომელიც განსაკუთრებით ნათლად აჩვენებდა, რა ადვილად გადანაცვლებადი იყო საზოგადოების ამგვარი სტრუქტურისას სიმძიმის ცენტრი ცენტრალური მმართველის ინტერესების საწინააღმდეგოდ.

ცენტრალურ მმართველთა სოციალური ძლიერების საფუძველს ქმნიდა მისი ოჯახის მამული, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მისი, როგორც მხედართმთავრის, დამპყრობლის, ახალი მიწების გამნაწილებელის ძლიერებას. ეს იყო ქვეყანა, რომელსაც ის უშუალოდ განაგებდა და რომლითაც მას საკუთარი თავი, მსახურები, თავისი სასახლის კარი და არმია უნდა ერჩინა. ამ თვალსაზრისით ცენტრალური მმართველი ბევრად არ განირჩეოდა რომელიმე ტერიტორიული მმართველისაგან. მაგრამ დასავლეთ-ფრანკონელ კაროლინგთა საკუთრება, მათი საკუთარი „ტერიტორია" ხანგრძლივ ომებში დამსახურებისათვის გაცემული და ამდენად, დანაწევრებული იყო. მამებს ლენის სახით უნდა გაეცათ მიწები, რათა მიეღოთ დახმარება და აენაზღაურებინათ იგი. მიწის ყოველი გაცემა, ახალი დაპყრობის გარეშე, ამცირებდა მათი სახლის კუთვნილ ქონებას. მით უფრო მეტად საჭიროებდნენ დახმარებას მათი ვაჟები. ახალ დახმარებას მიწების ახალი გაცემა მოსდევდა. ბოლოს, მემკვიდრეებს აღარ რჩებოდათ მიწა გასაცემად. რიცხოვნება საბრძოლო რაზმებისა, რომელიც მათ უნდა გამოეკვებათ და დაესაჩუქრებინათ, უფრო და უფრო მცირდებოდა. ზოგჯერ, დასავლეთ-ფრანკონიის კაროლინგთა მემკვიდრეებს სასოწარკვეთილ მდგომარეობაში ვხედავთ. მოიჯარეები ვალდებულნი იყვნენ ემსახურათ ჯარში, მაგრამ, თუ ომის მსვლელობას რაიმე პიროვნული ინტერესი არ უკავშირდებოდა, ცხადია, მხოლოდ უფრო ძლიერი ფეოდალის აშკარა ან ფარულ ზეწოლას შეეძლო იძულებული გაეხადა ისინი შეესრულებინათ ვალდებულება. რაც უფრო ნაკლები ვასალი მიჰყვებოდა მეფეს, მით უფრო ნაკლებ საშიში იყო მისი ძლიერება, რაც თავის მხრივ, კვლავ ვასალების რიცხვის შემცირებას იწვევდა. კაროლინგების ხელისუფლებას, რომელმაც ერთხელ უკვე დაიწყო დაღმასვლა, როგორც მიწებასე საკუთრების, ისე სამხედრო ძლიერების თვალსაზრისით, უკეთესი და უფრო ეექაჩება ქვემოთ ეს სოციალური მექანიზმები.

ლუი IV-ს, რომელიც პირადად მამაცურად და სასოწარკვეთილი

იბრძოდა, ზოგჯერ უწოდებენ „Le roi de Monloon"— ლანის მეფეს. კაროლინგების მთელი ქონებიდან მას ბევრი აღარაფერი დარჩა ვესტე ლანის გარდა. სახლის უკანასკნელ წარმომადგენლებს, თითქმის, აღარ შერჩათ თავის განკარგულებაში სამხედრო ნაწილები, რათა დაეცვათ თავიანთი ინტერესები, ისევე როგორც აღარ შერჩათ მიწები, რათა გამოეკვებათ თავიანთი ამალა და გადაეხადათ მათთვის : „Un jour est venu, où le descendant de Charlemagne, entouré de propriétaires, qui sont maîtres de leurs domaines, n'a plus trouvé d'autre moyen de garder des hommes à son service, que de leur distribuer des terres de fisc avec des concessions d'im munité, c'est-à-dire, pour se les attacher, de les rendre de plus en plus indépendants et, pour pouvoir régner encore, d'abdiquer toujours de plus en plus.[13]»

მეფის ფუნქცია იძულებით დაკნინდება და ყველაფერი რასაც ამ ფუნქციის მქონე ადამიანები აკეთებენ თავიანთი პოზიციების გასაძლიერებლად, საბოლოოდ ისევ მათ სანინააღმდეგოდ შემობრუნდება.

7. დასავლეთ-ფრანკონელი კაროლინგების ყოფილი სამფლობელო, მომავალი საფრანგეთის მონახაზი, ამ დროისათვის, ფაქტიურად სხვადასხვა მხარეებად იყო დაქუცმაცებული. დაახლოებით თანაბარი ძალის მქონე ტერიტორიულ სამფლობელოებს შორის სხვადასხვა მიმართულების ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, ამ მხარეში ერთგვარი წონასწორობა ჩამოყალიბდა. როცა კაროლინგებს აღარ დარჩათ პირდაპირი მემკვიდრეები, გვარის წინამძღოლთა და ტერიტორიულ მმართველთაგან მეფედ ირჩევენ მას, რომლის სახლიც ყველაზე მეტად გამოირჩეოდა უცხო ნორმანელთა წინააღმდეგ ბრძოლაში და სწორედ ამიტომ, უკვე დიდი ხნიდან მოყოლებული, დასუსტებული სამეფო სახლის კონკურენტი იყო. მსგავსად ამისა, კაროლინგების ეპოქის დასასრულს, აღმოსავლეთ-ფრანკონიის მხარეში, გვაროვნული თავადები ბოლოს მეფობამდე ამაღლდნენ. ესენი იყვნენ საქსონიის ჰერცოგები, რომლებიც ქვეყანას აღმოსავლეთის თუ ჩრდილოეთის ხალხების, სლავების, უნგრელების, დანიელების შემოსევებისაგან იცავდნენ.

ამას წინ უძღოდა ხანგრძლივი ომი ილ დე ფრანსის სახლსა და უკანასკნელ, დასავლეთ-ფრანკონელი კაროლინგების სახლს შორის.

როცა ჰუგო კაპეტს გვირგვინი ერგო, გარკვეულ მოვლენათა განვითარების შედეგად (მსგავსად იმ პროცესებისა, რომლებმაც კაროლინგების მდგომარეობა გააუარესა), ილ დე ფრანსი თავადაც დასუსტებული იყო. ილ დე ფრანსის ჰერცოგებიც ამყარებდნენ კავშირებს, მოითხოვდნენ სამსახურს და უნდა გადაეხადათ მიწებისა და უფლებათა გაცემით. ამ დროს დასახლებული და გაქრისტიანებული ნორმანდიის, აქვიტანიის და ბურგუნდიის ჰერცოგთა სამფლობელოები, ანჟუს, ფლანდრიის, ვერმანდუის და შამპანის საგრაფოებს სიდიდით არ ჩამოუვარდებოდა და მნიშვნელობით, ნანილობრივ,

აჭარბებდა კიდეც მეფის ახალი სახლის, ილ დე ფრანსის ჰერცოგების სახლის ძლიერებას და ტერიტორიას. ეს ძალაუფლება და ტერიტორია იყო ის, რასაც ყურადღება ექცეოდა. ძალაუფლების ის საშუალებანი, რომელსაც მეფეს თავისი საგვარეულო საკუთრება აძლევდა, მისი სამეფო ძლიერების ნამდვილი საფუძველიც იყო. თუ სამეფო სახლის ეს საგვარეულო საკუთრება ტერიტორიულ მმართველთა საგვარეულო საკუთრებას არ აღემატებოდა, არც მეფის ძალაუფლება არ აჭარბებდა მათსას. მხოლოდ თავიანთი საგვარეულო საკუთრებიდან და ტერიტორიებიდან იღებდნენ ისინი რეგულარულად შემოსავლებს. უკიდურეს შემთხვევაში ამას ემატებოდა საეკლესიო გადასახადები სხვა ტერიტორიებიდან. რასაც ისინი ამას გარდა ღებულობდნენ, როგორც „მეფეები", მინიმალური იყო. მაგრამ ის ფუნქცია, რომელიც გერმანიის მხარეებში მეფის ცენტრალურ ხელისუფლებას, ტერიტორიულ მმართველთა ცენტრიდანულ ტენდენციებთან შედარებით, ახალ-ახალი ბიძგებით უპირატესობას აძლევდა, კერძოდ კი, მხედართმთავრის ფუნქცია (რაც გარეშე მტრების წინააღმდეგ ბრძოლაში და ახალი მიწების დაპყრობაში გამოიხატებოდა), დასავლეთ-ფრანკონიის მხარეში შედარებით ადრიანად შესუსტდა; და ეს არის გადამყვეტი მიზეზი იმისა, რომ მეფის სამფლობელოს დაყოფა ტერიტორიულ სამფლობელოებად აქ უფრო ადრე და უფრო რადიკალურად მიმდინარეობდა, ვიდრე იქ. აღმოსავლეთ-ფრანკონიის მხარეები უფრო დიდი ხნის განმავლობაში განიცდიდნენ უცხო ტომების იერიშებს და მუქარას. ამის შედეგად, მეფენი არა მხოლოდ წინამძღოლებად გამოდიოდნენ იმ ბრძოლებში, რომლებიც თავიანთი მხარის დასაცავად რამდენიმე ტომთან ერთად უნდა მოეგოთ; მათ ეძლეოდათ შესაძლებლობაც, რომ სხვა მხარეში შეჭრილიყვნენ და ახალი მიწები დაეპყროთ, რომელთა განმგებლობა და განაწილება მათი უფლება იყო. ამით ისინი თავისი გავლენის ქვეშ ამყოფებდნენ მოსამსახურეთა და მოიჯარეთა საკმაოდ დიდ ოდენობას.

ამის საპირისპიროდ, დასავლეთ-ფრანკულ მხარეს, ნორმანელთა დასახლების შემდეგ, იშვიათად თუ დამუქრებია საფრთხე უცხო ტომთა მხრიდან. ამავე დროს, აღმოსავლეთ-ფრანკული მხარისაგან განსხვავებით, უშუალოდ მის საზღვრების გარეთ აღარ არსებობდა თავისუფალი სივრცე, ახალი მიწების დაპყრობის არავითარი შესაძლებლობა. ამით დაჩქარდა მისი დეზინტეგრაცია. არ არსებობდა არსებითი ფაქტორები, თავდაცვა და დაპყრობითი თავდასხმა, რომელთა წყალობითაც მეფეს შეეძლო უპირატესობა მოეპოვებინა ცენტრიდანულ ძალებზე. რადგან საზოგადოების ამგვარი აგებულებისას ყველაზე მეტად ეს განაპირობებდა სხვადასხვა მხარეების ცენტრალური მმართველებისათვის გადაცემას, ფაქტიურად, მეფის გამგებლობაში საკუთარი ტერიტორიის გარდა ბევრი არაფერი რჩებოდა.

„ეს ე.წ. სუვერენი არის უბრალო ბარონი, რომელიც სენისა და ლუარის ნაპირებზე რამდენიმე საგრაფოს ფლობს. ესენი ძლივს თუ

შეესატყვისებიან დღევანდელ ოთხ-ხუთ დეპარტამენტს (ადმინისტრაციული ოლქი საფრანგეთში, მთარგ. შენიშვნა). მეფის დომენი გაჭირვებით უზრუნველყოფს მის სამეფო დიდებულებას. ის არც ყველაზე დიდია და არც ყველაზე მდიდარი იმ ტერიტორიულ სამფლობელოთაგან, რომელთა კავშირსაც დღევანდელი საფრანგეთი წარმოადგენს. მეფე უფრო ნაკლებ ძლიერია, ვიდრე ცალკეული დიდი ვასალები. და ის, მათ მსგავსად, თავისი მამულების შემოსავლებით, გლეხებისაგან აკრეფილი გადასახადებით, თავისი ყმების შრომით და ამ რეგიონის აბატებისა და ეპისკოპოსების "ნებაყოფლობითი ძღვენით" ცხოვრობს.[14]

ჰუგო კაპეტის ტახტზე ასვლიდან ცოტა ხნის შემდეგ, ნელ-ნელა და გამუდმებით მატულობს არა ცალკეულ მეფეთა, არამედ მეფის ფუნქციის არსებითი სისუსტე და მასთან ერთად სამეფოს დეზინტეგრაცია. პირველი კაპეტინგები ჯერ კიდევ თავიანთ სასახლის კართან ერთად მოგზაურობენ მთელს ქვეყანაში. ადგილები, სადაც ხელი მოეწერა მეფის სიგელებს, გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმის შესახებ, თუ საიდან სად გადაადგილდებოდნენ ისინი. მეფეები სასამართლოებს ჯერ კიდევ სხვა, დიდ, ფეოდალთა მამულებში მართავენ. თავად, სამხრეთ საფრანგეთში, მათ, ჯერ კიდევ გააჩნიათ გარკვეული, ტრადიციული გავლენა.

მე-12 საუკუნის დასაწყისში, სხვადასხვა ტერიტორიული სამეფოების, მეფის ადრინდელი, ლენის სახით გაცემული მხარეების მემკვიდრეობითობა და დამოუკიდებლობა, სრული რეალობა ხდება. მეხუთე კაპეტინგს, ლუი სქელს (1108-1137), რომელიც პიროვნულად მამაცი და მეომარი მეფე იყო და არა უსუსური, თავისი ტერიტორიის ფარგლებს მიღმა ბევრი არაფერი ეთქმოდა. მეფის აქტები აჩვენებს, რომ ის იშვიათად თუ მოგზაურობდა თავისი საკუთარი საჰერცოგოს ფარგლებს გარეთ.[15] ის უმეტესად თავის მამულში ცხოვრობს. მას უკვე აღარ აქვს სასახლის კარი თავისი დიდი ვასალების მხარეებში. ისინი თავადაც იშვიათად გამოჩნდებიან მეფის სასახლის კარზე, უფრო ნაკლებად სტუმრობენ ერთმანეთს მეგობრულად, იშვიათად აქვთ მიმოწერა სხვებთან, განსაკუთრებით სამეფოს სამხრეთ ნაწილში. მე-12 საუკუნის დასაწყისში საფრანგეთი, უკეთეს შემთხვევაში, საფეოდალოების გაერთიანებაა, დიდი და პატარა სამფლობელოთა მერყევი კავშირი, რომელთა შორის თავდაპირველად გარკვეული სახის ბალანსი დამყარდება.

8. გერმანიის იმპერიაში მეფისა და კაიზერის გვირგვინის მფლობელთა და ძლიერ ჰერცოგთა ოჯახს შორის საუკუნოვანი გამალებული ომების შემდეგ, მე-12 საუკუნეში შვაბთა ჰერცოგის ოჯახი ახერხებს გამარჯვება მოიპოვოს და გარკვეული დროის განმავლობაში ცენტრალური ხელისუფლება ძალაუფლების აუცილებელი საშუალებებით უზრუნველყოს.

მე-12 საუკუნის ბოლოდან გერმანიაშიც სოციალური სიმძიმის ცენტრი უფრო და უფრო აშკარად და შეუქცევადად გადაიხრება

ტერიტორიული სამფლობელოებისაკენ. მაგრამ იმ დროს, როცა აქ, გერმანიის იმპერიის „Imperium Romanum"-ის ან როგორც მას მოგვიანებით უწოდებდნენ „Sacrum Imperium"–ის უზარმაზარ სივრცეში ტერიტორიალური სამთავროები იმდენად განმტკიცდება, რომ აქედან მოყოლებული ყოველთვის შეუძლიათ ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების და ამით მთელი მხარის უფრო მძლავრი ინტეგრაციის თავიდან აცილება, საფრანგეთის უფრო პატარა მხარეებში, უკვე მე-12 საუკუნის ბოლოდან, მიუხედავად ცალკეული უკუსვლებისა, უკიდურესი დეზინტეგრაციიდან საკმაოდ თანმიმდევრულად მიემართებიან ცენტრალური ხელისუფლების კვლავ გაძლიერებისა და ერთი ცენტრის გარშემო უფრო დიდი სფეროების თანდათანობითი რეინტეგრაციისაკენ.

ამ რადიკალური დეზინტეგრაციის სურათი გარკვეულწილად ქმნის ამოსავალ პუნქტს, რომელიც თვალწინ უნდა გვქონდეს, თუ გვსურს გავიგოთ, რა გზით ამყარებენ უფრო პატარა რეგიონებში უფრო მჭიდრო ერთიანობას და რა პროცესების შედეგად წარმოიქმნება საზოგადოებაში უფრო დიდ სამფლობელოთა ცენტრალური ორგანო, რომელსაც ჩვენ „აბსოლუტიზმის" ცნებით აღვნიშნავთ და ის სახელისუფლებო აპარატი, რომელიც თანამედროვე სახელმწიფოს ჩონჩხს ქმნის. იმ ფაზაში, რომელსაც ჩვენ „აბსოლუტიზმის საუკუნეს" ვუწოდებთ, ცენტრალური ხელისუფლების და ცენტრალურ ორგანოთა სტაბილურობა ძლიერად უპირსპირდება წინა „ფეოდალური" ფაზის ცენტრალური ხელისუფლების ყოველმხრივ არასტაბილურობას.

რა იყო საზოგადოების სტრუქტურაში ის, რაც იქ ცენტრალიზებას უწყობდა ხელს, აქ კი ცენტრალიზების საწინააღმდეგოდ მოქმედ ძალებს?

კითხვას სოციალური პროცესების, მამოძრავებელი მექანიზმებისაკენ, ადამიანური გადაჯაჭვულობისა და დამოკიდებულების ფორმათა ცვლილებებისაკენ მივყავართ, რომლებიც ქცევას და ლტოლვათა მდგომარეობას „ცივილიზაციის" აზრით ცვლიდა.

9. ძნელი არ არის იმის დანახვა, რა ანიჭებდა შუა საუკუნეების, განსაკუთრებით ადრეული შუა საუკუნეების საზოგადოებაში, ცენტრიდანულ ძალებს ხელახალ უპირატესობას ცენტრისკენულ ძალებზე. ეს ამ ეპოქის ისტორიკოსთა მიერ, ზოგჯერ, ამა თუ იმ ფორმით, ხაზგასმულია. „სახელმწიფოთა სამყაროს ფეოდალიზება", ამბობს, მაგალითად, ჰამპე დასავლური მაღალი შუა საუკუნეების შესახებ,[16] „აიძულებდა ყველგან მებატონეებს მიწის ნაკვეთი მიეცათ თავიანთი რაზმის მეთაურებისა და მოხელეებისათვის, თუ მათ არ სურდათ სიღარიბეში ჩაფლულიყვნენ და სანაცვლოდ ვასალების სამხედრო სამსახური გამოეყენებინათ. მათ ეს სნორედ დამპყრობლური გაფართოების ცდებისაკენ უბიძგებდა, რომლებიც ავტომატურად მეზობლად არსებული უძლური რეგიონებისაკენ იყო მიმართული. თანამედროვე ბიუროკრატიის ჩამოყალიბების გზით ამგვარი შებოჭილობის გადალახვისათვის მაშინ, პირველ ყოვლისა, არ არსებობდა

ეკონომიკური წანამძღვარი".

ეს წინადადებანი იმპლიციტურად კარგად აჩვენებენ თითქმის ყოველივე არსებითს, რაც შეიძლება ითქვას იმ ცენტრიდანული ძალებისა და მექანიზმების მაიძულებელი ბუნების შესახებ, რომლებშიც გახლართული აღმოჩნდა ამ საზოგადოების მეფის ხელისუფლება, მაგრამ „ფეოდალიზაციის" ქვეშ არ უნდა გვესმოდეს ყველა ამ ცვლილების რაღაც გარეგნული „მიზეზი"; მეომართა და მოხელეების მინებით უზრუნველყოფის იძულება, მეფის საკუთრების ავტომატური შემცირება ახალი დაპყრობითი პროცესების არარსებობის შემთხვევაში, მშვიდობიან დროს ცენტრალური ხელისუფლების შესუსტება — ყველაფერი ეს თვით „ფეოდალიზების" დიდი პროცესის შემადგენელი მოვლენებია. მოყვანილი წინადადებანი ამავე დროს მიუთითებს იმაზე, თუ რა განუყრელად უკავშირდება ბატონობის ეს სპეციფიკური ფორმა და აპარატურა განსაზღვრულ ეკონომიკურ ფორმას.

უფრო გასაგებად რომ ვთქვათ: სანამ საზოგადოებაში ნატურალური სამეურნეო ურთიერთობები ბატონობდა, თითქმის, შეუძლებელი იყო მკვეთრად გამოხატული, ცენტრალიზებული ბიუროკრატიის, სტაბილური, უპირატესად მშვიდობიანი საშუალებებით მომუშავე, მუდმივად ცენტრიდან მართული სახელისუფლო აპარატის ჩამოყალიბება. აღწერილი ავტომატიზმები — დამპყრობელი მეფე, ქვეყნის სამართავად ცენტრალური ხელისუფლების რწმუნებულთა წარგზავნა, წარგზავნილთა ან მათ შთამომავალთა ტერიტორიულ მმართველებად ქცევა და მათი ბრძოლა ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ — შეესაბამებოდა ეკონომიკურ ურთიერთობათა განსაზღვრულ ფორმებს. რადგან ქვეყნის პატარა თუ დიდ ნაწილში წარმოებული პროდუქცია საზოგადოებაში საკმარისი იყო იმისათვის, რომ ადამიანთა ყველა არსებითი ყოველდღიური მოთხოვნილება დაეკმაყოფილებინა, ტანსაცმლიდან დაწყებული საჭმლითა და საოჯახო ნივთებით დამთავრებული, შრომის დანაწილება და პროდუქციის გაცვლა უფრო დიდ მანძილებზე ნაკლებად იყო განვითარებული. შესაბამისად, — ეს ყველაფერი ინტეგრაციის ერთი და იგივე ფორმის სხვადასხვა მხარეებია — გზები ცუდი იყო, სატრანსპორტო საშუალებები განუვითარებელი და სხვადასხვა რეგიონთა კავშირი — ნაკლები. პირველად მაშინ, როცა ინტერდეპენდენცი მნიშვნელოვნად იზრდება, შეიძლება უფრო დიდი მხარეებისათვის გარკვეული სტაბილურობის მქონე ცენტრალური ინსტიტუტები ჩამოყალიბდეს. დასაწყისში კი საზოგადოების სტრუქტურა ამისათვის არავითარ შესაძლებლობებს არ გვთავაზობს.

„ჩვენ ძნელად თუ შეგვიძლია", ამბობს ამ ეპოქის ერთი „ისტორიკოსი",[17] „წარმოვიდგინოთ, რა რთული იყო შუა საუკუნეების სამიმოსვლო კავშირების პირობებში ვრცელი იმპერიის რეგულირება და მართვა".

კარლოს დიდიც კი საკუთარ თავს და სასახლის კარს, არსებითად,

თავისი გვარისა და სახლის ძველი მამულის შემოსავლებით გამო-კვებავდა, მამულისა, რომელიც რაინს, მაასსა და მოზელს შორის იყო გადაჭიმული. ყოველ „Palatium"-ს, ყოველ სასახლეს - დოპშის[18] ნათელი წარმოდგენის თანახმად, მიეკუთვნებოდა გარკვეული რაოდენობის, მეტ-ნაკლებად ახლო მდებარე კარმიდამოები და სოფლები. კაიზერი და მეფე ამ შედარებით პატარა ოლქში სასახლიდან სასახლეში გადადიოდნენ და როგორც საკუთარ თავს, ისე თავისიანებს გარშემო მდებარე კარმიდამოსა და სოფლებიდან მიღებული შემოსავლებით კვებავდნენ. თუმცა, ამ ეპოქაში მაინც არსებობდა ვაჭრობა შორეულ მანძილებზე; მაგრამ, არსებითად ეს იყო ვაჭრობა ფუფუნების საგნებით და არა ყოველდღიური მოთხოვნილების საქონლით. ღვინოც არ გადაჰქონდათ დიდ მანძილებზე. ვისაც ღვინის დალევა სურდა, ვაზი თავის საკუთარ მხარეში უნდა დაერგო. დოვლათი მხოლოდ მეზობლად მცხოვრებლებთან იცვლებოდა, ამიტომ შუა საუკუნეებში ვაზის ნარგავები იყო იმ მხარეებშიც, სადაც დღეს ვაზის მოშენებას აღარ მისდევენ, რადგან მცენარე მეტისმეტად მწარეა ან პლანტაცია მეტისმეტად „არარენტაბელური" გახდა, როგორც, მაგალითად, ფლანდრიაში ან ნორმანდიაში. მეორე მხრივ, აქედან გამომდინარე, არსებობდა მხარეები, როგორიცაა ბურგუნდია, რომელთაც ჩვენ ჩვეულებრივ, ჭეშმარიტად ღვინის წარმოების რეგიონებად მივიჩნევთ და რომლებიც ჯერ კიდევ სრულიად არ იყვნენ ისე სპეციალიზებული ვაზის მოშენებაზე, როგორც მოგვიანებით. იქაც ყოველი გლეხის ყოველი მამული გარკვეულ დონემდე „დამოუკიდებელი" უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში ბურგუნდიაში 11 თემი იყო, რომელშიც ყველა ღვინის მწარმოებელი იყო[19]. ასე ნელ-ნელა ხდება სხვადასხვა რეგიონთა გადაჯაჭვა ერთმანეთთან, თანდათან უფრო და უფრო მჭიდრო ხდება კომუნიკაცია, უფრო დიდი მხარეებისა და ადამიანთა მასების შრომის დანაწილება, განუწყვეტლივ მატულობს ინტეგრაცია და ამის შესაბამისად იზრდება მოთხოვნილება გაცვლის და ანგარიშის საშუალებაზე — ფულზე.

ცივილიზაციის პროცესების გასაგებად ძალზე მნიშვნელოვანია, სრულიად ცხადი წარმოდგენა გვქონდეს ამ სოციალური პროცესების შესახებ, იმის შესახებ, რასაც სინამდვილეში „ნატურალური და საშინაო მეურნეობა", „საფინანსო მეურნეობა", „ადამიანთა დიდი რაოდენობის გადაჯაჭვულობა", „ინდივიდის სოციალური დამოკიდებულების ცვლილება", „ფუნქციათა მზარდი დანაწილება" და მსგავსი ცნებები გულისხმობს. ძალიან ადვილად ეს ცნებები სიტყვიერ ფეტიშებად იქცევიან, რომელთაც დაკარგული აქვთ ყოველგვარი დამაჯერებლობა და ამით, არსებითად, ყოველგვარი სიცხადეც. იმის გათვალისწინებით, რომ აქ აუცილებლად მოკლედ უნდა ითქვას სათქმელი, მაინც შეიძლება გარკვეული შეხედულება შეგვექმნას სოციალურ ურთიერთობაზე, რომელსაც უნდა ეყრდნობოდეს „ნატურალური მეურნეობის" ცნება. რასაც ის გვიჩვენებს, არის ძალზე სპეციფიკური ფორმა, რომელშიც ადამიანები ერთმანეთთან

დაკავშირებულნი და ერთმანეთზე დამოკიდებულნი არიან. ის ეხება საზოგადოებას, რომელშიც დოვლათის გადასვლა ამ დოვლათის მიწიდან, ბუნებისაგან მომპოვებლის ხელიდან მისი მომხმარებლის ხელში, უშუალოდ, უფრო ზუსტად, გამაშუალებელი რგოლების გარეშე ან მათი მინიმალური მონაწილეობით ხორციელდება. გადამუშავება ამა თუ იმ ადამიანის სახლში ხდება, რომელიც, სხვათა შორის, შეიძლება, საერთო იყოს. ეს გზა თანდათანობით დიფერენცირდება. უფრო და უფრო მეტი ადამიანი ჩაერთვება, გადამუშავების და განაწილების ფუნქციონერთა სახით, დოვლათის პირველი მწარმოებლიდან უკანასკნელ მომხმარებლამდე გადასვლის პროცესში. ცალკე საკითხია, როგორ და უპირველეს ყოვლისა, რატომ ხდება ეს, რა აძლევს იმპულსს ჯაჭვების ამ გაგრძელებას. ყოველ შემთხვევაში, ფული სხვა არაფერია, თუ არა ინსტრუმენტი, რომელიც სჭირდებათ და რომელსაც საზოგადოება შექმნის, როცა ეს ჯაჭვები უფრო დაგრძელდება, როცა სამუშაო და განაწილება დიფერენცირებული გახდება და გარკვეულ გარემოებებში, ამ დიფერენციაციის გაძლიერებისაკენ სწრაფვა შეინიშნება. როცა „ნატურალური მეურნეობის“ და „საფინანსო მეურნეობის“ ცნებებს ვიყენებთ, ეს ისე გამოიყურება, თითქოს ამ ორივე „ეკონომიკურ ფორმას“ შორის აბსოლუტური დაპირისპირება იყოს. წარმოდგენა ასეთი დაპირისპირების შესახებ ბევრი კამათის საფუძველი ხდება. კონკრეტულ, სოციალურ პროცესში წარმოებასა და მოხმარებას შორის არსებული ჯაჭვები ძალიან ნელა გადაადგილდება და დიფერენცირდება, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ დასავლური საზოგადოების განსაზღვრულ სექტორებში ეკონომიკური კომუნიკაცია დიდ მანძილებზე და ამდენად, ფულის გამოყენებაც მთლიანად არასოდეს შეწყვეტილა. მაშასადამე, დასავლურ საზოგადოებაში, ძალიან ნელა იზრდება საფინანსო-ეკონომიკური სექტორიც, საზოგადოებრივი ფუნქციების დიფერენციაცია, სხვადასხვა სფეროთა გადაჯაჭვულობა, ადამიანთა დიდი მასების ურთიერთდამოკიდებულება; ყველაფერი ეს ერთი და იმავე სოციალური პროცესის სხვადასხვა ასპექტია. და მმართველობის ფორმისა და აპარატურის ცვლილება, რომელზედაც უკვე იყო საუბარი, სხვა არაფერია, თუ არა ამ პროცესის ერთი მხარე. ცენტრალური ორგანოს სტრუქტურა შეესაბამება ფუნქციათა განაწილების და გადაჯაჭვის კომპოზიციას. ცენტრიდანული, ლოკალურ პოლიტიკურ დამოუკიდებლობაზე მიმართული ტენდენციების ძლიერება უპირატესად ნატურალური მეურნეობის საზოგადოებებში, ლოკალური ეკონომიკური დამოუკიდებლობის ხარისხს შეესაბამება.

10. ასეთი უპირატესად ნატურალური მეურნეობის მქონე მეომართა საზოგადოებების განვითარებაში ზოგადად შეიძლება ორი ფაზა გამოვყოთ, რომლებიც ძალზე ხშირად ან, ერთხელ მაინც, მეორდება: მეომარი, გაფართოებისაკენ მისწრაფების მქონე, დამპყრობელი ცენტრალური მმართველის ფაზა და დამცველი, კონსერვატიულ მისწრაფებათა მქონე მბრძანებლისა, რომელიც ძველ მიწებს

ახალს არ მიუმატებს.

პირველ ფაზაში ცენტრალური ხელისუფლება ძლიერია. მასში უშუალოდ გამოჩნდება ცენტრალური მმართველის პირველადი სოციალური ფუნქცია, ფუნქცია მხედართმთავრისა. იქ, სადაც სამეფო სახლი მისი ამ საბრძოლო ფუნქციით დიდი ხნის განმავლობაში არ გვევლინდება, როცა მისი, როგორც ბრძოლის წარმმართველის საჭიროება არ არის ან სადაც მბრძანებლები წარმატებული მხედართმთავრები არ არიან, იკარგება მეორადი ფუნქციაც, მთელი მხარის უმაღლესი მედიატორისა და მოსამართლის ფუნქცია. მეფე არსებითად სხვა არაფრითაა აღმატებული დანარჩენ ტერიტორიულ მმართველებზე, თუ არა ტიტულით.

სხვა ფაზაში, როცა საზღვრებს მტერი ემუქრება და როცა, ამა თუ იმ საფუძვლიდან გამომდინარე, ახალი მიწების დაპყრობის გზა ჩაკეტილია, ცენტრიდანული ძალები მექანიკურად მოიპოვებენ უპირატესობას. თუ დამპყრობელი მეფე, ფაქტიურად, მთელს ქვეყანას განაგებს, შედარებით მშვიდობიან დროში მის სახლს უფრო და უფრო უსხლტება ხელიდან განკარგვის ძალაუფლება. ყოველი, რომელიც მიწის ერთ ნაჭერს ფლობს, საკუთარ თავს ბატონად თვლის. ეს არსებითად, შეესაბამება მის დამოკიდებულებას ცენტრალურ მმართველზე. ეს დამოკიდებულება მშვიდობიან პერიოდებში მინიმალურია.

აქ, სადაც უფრო დიდი სფეროების ეკონომიკური დამოკიდებულება და ინტეგრაცია არ არსებობს, ან ყოველ შემთხვევაში ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების პროცესშია, წინა პლანზე უფრო მძლავრად გამოდის ინტეგრაციის სხვა ფორმა, არა ეკონომიკური, არამედ საბრძოლო ინტეგრაცია, გაერთიანება საერთო მტრისაგან თავდასაცავად. ტრადიციული ერთიანობის გრძნობას უძლიერესი საყრდენები აქვს საერთო რწმენაში და ყველაზე ძლიერი მხარდამჭერები ჰყავს სამღვდელოების სახით, რომელიც თავისთავად, მარტოოდენ ვერასოდეს აიცილებს თავიდან დაყოფას და ვერ განახორციელებს გაერთიანებას, არამედ პირიქით, აძლიერებს ამ დაყოფას და გარკვეულ მიმართულებას აძლევს. დაპყრობისაკენ ლტოლვა, თავდაცვის იძულება არის ერთმანეთისაგან შედარებით მოშორებული მხარეების ადამიანთა ყველაზე არსებითი შემაკავშირებელი საშუალება. სწორედ ამიტომ არის ამ საზოგადოებაში, გვიანდელთან შედარებით, ყოველი ამგვარი გაერთიანება ასე არასტაბილური და დეცენტრალიზაციის ძალების უპირატესობა ასე დიდი. არსებითად ნატურალური მეურნეობის საზოგადოების ორი ფაზა, რომელზედაც უკვე იყო საუბარი, დამპყრობელი და დამცველი მმართველის ფაზა, თუ ბიძგები ერთი ან მეორე მიმართულებით, შეიძლება ხშირად ცვლიდეს ერთმანეთს. სწორედ ამ ფაქტთან გვაქვს საქმე დასავლური ქვეყნების ისტორიაში, მაგრამ გერმანიის და საფრანგეთის განვითარების მაგალითები ამავე დროს აჩვენებს, რომ აქ, დამპყრობელი მმართველების ეპოქაში, განსაზღვრული უკანდახევების მიუხედავად, გარკვეულ მომენტამდე მუდმივად

მატულობს ტენდენცია უფრო დიდი სამფლობელოების დეზინტეგრაციისა, ცენტრალური მმართველის განკარგულებიდან მიწების ოდესღაც მოიჯარეთა გამგებლობაში გადასვლისა.

რატომ? შემცირდა თუ არა ამ ეპოქაში გარეგანი საფრთხე ყოფილი კაროლინგული იმპერიებისა, რომლებიც არსებითად, მაშინ დასავლურ სამყაროს წარმოადგენდნენ? არსებობდა თუ არა სხვა საფუძვლები კაროლინგების იმპერიის მუდმივი დეცენტრალიზებისა?

ამ პროცესის მამოძრავებელი ძალების შესახებ კითხვა მნიშვნელოვანი გახდება, თუ მას ნაცნობ ცნებას დავუკავშირებთ. ეს თანდათანობითი დეცენტრალიზაცია ძალაუფლებისა და მიწებისა, ქვეყნის გადასვლა დამპყრობელი ცენტრალური მმართველის გამგებლობიდან მებრძოლთა კასტის, როგორც მთელის განკარგულებაში, სხვა არაფერია თუ არა „ფეოდალიზების" სახელით ცნობილი პროცესი.

მოსახლეობის რიცხვის ზრდა ხალხთა გადასახლების შემდგომ

11. ფეოდალიზაციის პრობლემამ დიდი ხანია არსებითი ცვლილება განიცადა, რომელიც, ალბათ, უფრო ღრმა და გააზრებულ განხილვას იმსახურებს. როგორც, საერთოდ, სოციალურ პროცესებთან, ასევე დასავლური სამყაროს ფეოდალიზებასთან მიმართებაშიც ისტორიის კვლევის ძველმა სკოლამ სწორი მიდგომა ვერ მოძებნა. მისწრაფება იმისაკენ, რომ ყველგან ცალკეულ ინიციატორებზე ეფიქრათ, აზროვნების ჩვევა, ეძიათ სოციალური ტრანსფორმაციების ინდივიდუალური შემოქმედნი ან საზოგადოებრივში მხოლოდ იურიდიული ინსტიტუტები დაენახათ, ეძიათ იდეალები, რომელთა მიხედვით ისინი ამა თუ იმ ადამიანის მიერ შეიქმნა — ყველაფერი ეს, განმსჯელი ცნობიერებისათვის მიუწვდომელს ხდის ამ პროცესებს და ინსტიტუტებს, ისევე როგორც, ოდესღაც ბუნებრივი პროცესები იყო მიუწვდომელი სქოლაქტიკური ეპოქის მოაზროვნეთათვის.

ახალ დროში ისტორიის მკვლევარებმა გარდატეხა შეიტანეს საკითხის ახლებურ დასმაში. სულ უფრო და უფრო მეტი მკვლევარი, რომელიც ფეოდალიზმის შესწავლითაა დაკავებული, აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ საქმე ეხება არა ცალკეულ ადამიანთა რაიმე გეგმაზომიერ ქმედებებს ან ინსტიტუტებს, რომელთა ახსნა რომელიმე ძველი ინსტიტუტით იქნებოდა შესაძლებელი. „აქ საუბარია," ამბობს მაგალითად დოპში[20] ფეოდალიზაციის თაობაზე, „ორგანიზაციათა შესახებ, რომლებიც სახელმწიფოს ან სახელმწიფო ხელისუფლების მატარებლებს არ დაუფუძნებიათ გეგმაზომიერად და ცნობიერი განზრახვით, რათა გარკვეული პოლიტიკური მიზნები განეხორციელებინათ".

კალეტი[21] უფრო ნათლად ჩამოაყალიბებს კითხვას ისტორიის სოციალური პროცესების შესახებ. „ის რომ ფეოდალური სისტემა",

ამბობს ის, „ასე განსხვავებულია მანამდე არსებულისაგან, ეს უშუალოდ მისგან მომდინარეობს. არცერთ რევოლუციას, ინდივიდუალურ ნებას არ გამოუწვევია. ეს ფენომენი თანდათანობით ყალიბდება ევოლუციის გზაზე. ფეოდალობა იმ მახასიათებელ კატეგორიას განეკუთვნება, რომლისთვისაც შეიძლებოდა ისტორიაში „ბუნებრივი მოვლენა", ან „ბუნებრივი ფაქტი" გვეწოდებინა. მისი ფორმაცია გარკვეული ზომით, განპირობებული იყო მექანიკური ძალებით (des forces pour ainsi dire mécaniques) და ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ".

მისი შემაჯამებელი ნაშრომის: „La société féodale"[22] -ს სხვა ადგილას ნაქვამია: „ცხადია, საინტერესო და მრავლისმთქმელია ისტორიაში ანტეცედენციების, მაშასადამე, მსგავსი ფენომენების ცოდნა, რომელიც სხვას უძღვის წინ და ჩვენც ამას დავუბრუნდებით. მაგრამ ეს „ანტეცედენციები" არ წარმოადგენენ ერთადერთ და ალბათ, არც ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორებს. პირველ რიგში, საუბარია არა იმაზე, რომ ვიცოდეთ, საიდან მოდის „élément féodal", მისი საწყისი რომში უნდა ვეძებოთ თუ გერმანელებთან, არამედ ის, თუ რატომ მიიღო ამ ელემენტმა „ფეოდალურის" ხასიათი. იმას, რომ ეს საფუძვლები ასე ჩამოყალიბდა, ისინი უნდა უმადლოდნენ ევოლუციას, რომლის საიდუმლოს ვერც რომს და ვერც გერმანელებს ვერ ვკითხავთ.... მისი ფორმირება იმ ძალების შედეგია, რომლებიც მხოლოდ გეოლოგიურ ძალებს შეიძლება შევადაროთ".

სანამ ჩვენს ენას არ გამოუმუშავებია საკუთარი, ნათელი და სპეციფიკური სიტყვათა მარაგი ისტორიულ-სოციალური პროცესებისათვის, თავიდან ვერ ავიცილებთ ბუნებისა და ტექნიკის სფეროდან აღებული ხატების გამოყენებას. ადვილად გასაგებია, რატომ მიმართავენ პირველ რიგში ამ სფეროთა სურათებს: ისინი დასაწყისისათვის საკმარისად გამოხატავენ ისტორიაში სოციალური პროცესებისათვის მახასიათებელ იძულებას. და რამდენადაც დიდი უნდა იყოს გაუგებრობა, თითქოს, ადამიანთა გადაჯაჭვულობიდან წარმოქმნილი სოციალური პროცესები და იძულებანი ფაქტობრივადაც და არსებითადაც იმავე ბუნებისანი არიან, როგორც მაგალითად, დედამიწის მოძრაობა მზის გარშემო ან მანქანის ძრავის მუშაობა, ამგვარ ფორმულირებებში მაინც სრულიად ერთმნიშვნელოვნად გამოიხატება ბრძოლა საკითხის ახალი სტრუქტურულ-ისტორიული დასმისათვის. კითხვა, წინა ფაზის რომელ მსგავს ინსტიტუტთან შეიძლება იყოს მიმართებაში გვიანდელი ინსტიტუტი, ყოველთვის მნიშვნელოვანია. მაგრამ გადამწყვეტი, ისტორიული კითხვა აქ არის ის, რატომ იცვლება ინსტიტუტები ან ქცევები და აფექტური მდგომარეობანი და რატომ იცვლებიან ისინი სწორედ ამგვარად. ამ კითხვას ისტორიულ-სოციალური ცვლილებების მკაცრ წესრიგამდე მივყავართ. და ალბათ, დღეს ჯერ კიდევ არ არის მარტივად გასაგები ის, რომ ეს ცვლილებები არ აიხსნება ისეთი რაიმედან, რაც უცვლელი რჩება და კიდევ უფრო ძნელი გასაგებია ის, რომ ისტორიაში

რომელიმე ფენომენი იზოლირებადი ფაქტის მხოლოდ თავისთვის, ამა თუ იმ სახით მოქმედებს და არა სხვებთან გადაჯაჭვულობაში.

ამოუცნობი რჩება ეს ცვლილებები მანამ, სანამ მათი ახსნისას წიგნებში დალექილი იდეებით შემოვიფარგლებით. როცა კითხვას ვსვამთ სოციალური პროცესების შესახებ, მაშინ უშუალოდ ადამიანურ ურთიერთობათა ქსელში, თვით საზოგადოებაში უნდა ვეძებოთ ის იძულებანი, რომლებიც მათ მოძრაობაში ამყოფებს და გარემოებისდა მიხედვით, ამ განსაზღვრულ სახეს და ამ განსაზღვრულ მიმართულებას აძლევს. ეს სამართლიანია ფეოდალიზაციის პროცესთან ან შრომის მზარდ დანაწილებასთან მიმართებაში. ეს სამართლიანია ბევრ, სხვა ცალკეულ პროცესთან მიმართებაში, რომელიც ჩვენს ცნებით აპარატში პროცესული ხასიათის გარეშე, მხოლოდ სიტყვების საშუალებით, გარკვეული, პროცესში ჩამოყალიბებული ინსტიტუტების წინ წამონევით, ცნებების მეშვეობით იქნებიან წარმოდგენილი, ცნებებისა, როგორებიცაა: „აბსოლუტიზმი“, ‘კაპიტალიზმი“, „ნატურალური მეურნეობა“, „ფინანსური მეურნეობა“ და სხვა მსგავსნი. ეს ყველაფერი მიუთითებს ცვლილებებზე ადამიანურ ურთიერთობათა სტრუქტურაში, რომლებიც ცხადია, დაგეგმილი იყო არა ერთეული ადამიანის მიერ და რომელთაც უნდა დამორჩილებოდა ეს ერთეული, სურდა მას ეს თუ არა. და ეს მართებულია, ბოლოს და ბოლოს, თვით ადამიანურ ჰაბიტუსთან, ცივილიზების თუ ცივილიზაციის პროცესთან მიმართებაშიც.

12. ადამიანური ურთიერთობების სტრუქტურისა და შესაბამისი ინსტიტუტების ცვლილებათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოტორი არის მოსახლეობის რიცხვის ზრდა ან შემცირება. მისი მოწყვეტა ადამიანურ ურთიერთობათა მთელი მამოძრავებელი მექანიზმისაგან შეუძლებელია. ის არ ქმნის ისტორიულ-სოციალური მოძრაობის „პირველ მიზეზს“ მხოლოდ თავისთვის, დაახლოებით ისე, როგორც ამაში ჩვენს დარწმუნებას აზროვნების გაბატონებული მიმართულება ცდილობს. მაგრამ ის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ცვალებად ფაქტორთა მონაცვლეობით თამაშში, რაც თვალთახედვიდან არ უნდა გამოგვეპაროს. ეს, ამავდროულად, განსაკუთრებით ცხადად ახდენს ამ სოციალური ძალების მაიძულებელი ხასიათის დემონსტრირებას. შესასწავლი რჩება, რა როლს თამაშობს ამგვარი ფაქტორები უკვე გამოკვლეულ ფაზაში. ალბათ, ამის გაგებაში დაგვეხმარებოდა ადამიანთა გადასახლების პერიოდის უკანასკნელ მოძრაობათა მოკლე გახსენება.

მე-8 და მე-9 საუკუნემდეც კი, ევროპის უფრო ადრე დასახლებულ ნაწილში ახალ-ახალ პარტიებად შეიჭრებიან მომთაბარე ხალხები აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან. ეს არის ბოლო და ყველაზე ძლიერი ტალღა პროცესისა, რომელიც დიდი ხნის მანძილზე მიმდინარეობს. რაც ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, ეს არის პატარა მონაკვეთები: მცირე აზიის დასახლებულ მიწაზე და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე ელინი „ბარბაროსების“ შეჭრა და

იტალიელი „ბარბაროსების“ თავდასხმა მეზობელ, დასავლეთით მდებარე ნახევარკუნძულზე, კელტი „ბარბაროსების“ შეჭრა პირველთა მიწებზე, რომლებიც, თავის მხრივ, გარკვეული სახით „ცივიზებულნი“ არიან და რომელთა ქვეყანა „უძველეს კულტურულ ქვეყნად იქცა“. და ამ კელტური ტომების საბოლოო დამკვიდრება მათგან დასავლეთით და ნაწილობრივ ჩრდილოეთით.

ბოლოს, გერმანული ტომები მიაწყდებიან იმ ტერიტორიის დიდ ნაწილს, რომელიც ამასობაში, როგორც მთელი, „ძველი კულტურული ქვეყანა“ ხდება. გერმანელები თავის მხრივ, იცავენ მათ მიერ დაპყრობილ ამ „ძველი კულტურის ქვეყანას“ ხალხთა ახალი ტალღებისაგან, რომლებიც ყველა მხრიდან მოიწევენ წინ.

632 წელს მუჰამედის გარდაცვალებიდან ცოტა ხნის შემდეგ, საქმეში ერთვებიან არაბები.[23] 713 წელს მათ დაიპყრეს მთელი ესპანეთი, ასტურიის მთების გარდა. დაახლოებით მე-8 საუკუნის შუა წლებში ეს ტალღა საფრანგეთის სამხრეთ საზღვრებთან შეჩერდება, ისევე როგორც ოდესღაც კელტური ტალღა რომის კარიბჭესთან.

აღმოსავლეთიდან საფრანგეთისაკენ მოიწევენ სლავური ტომები. ისინი მე-8 საუკუნის ბოლოსათვის ელბაზე დგანან.

„800 წელს რომ პოლიტიკურ წინასწარმეტყველს ევროპის რუქა ჰქონოდა, როგორც ჩვენ ახლა მისი კონსტრუირება შეგვიძლია, მას ექნებოდა ცდუნება ეწინასწარმეტყველა, რომ კონტინენტის მთელი აღმოსავლეთ ნაწილი დანიის ნახევარკუნძულიდან პელოპონესამდე იმისათვის იყო განსაზღვრული, რომ სლავების იმპერია გამხდარიყო ან სულ ცოტა სლავური ქვეყნების ძლიერი ჯგუფი შეექმნა. ელბის შესართავიდან იონიის ზღვამდე სლავი ხალხების უწყვეტი ხაზი გადიოდა ... როგორც ჩანს, ამ ხაზს უნდა მოენიშნა გერმანელთა სამყაროს საზღვრები.[24]“

მათი მოძრაობა ცოტა უფრო გვიან ჩაწყნარდება, ვიდრე არაბებისა. ბრძოლა დიდი ხნის განმავლობაში მაინც დაუსრულებელია. საზღვრები გერმანულ და სლავურ ტომებს შორის ხან წინ წაინაცვლებს და ხან ისევ უკან. მთლიანობაში სლავური ხალხების ტალღა დაახლოებით 800 ნლიდან მოყოლებული, ფეხს იკიდებს ელბაზე.

ის, რასაც დასავლური სამყაროს „ძველი დასახლებული ტერიტორია“ შეიძლება ვუწოდოთ, გერმანული ტომების ბატონობისა და მმართველობის პერიოდში თავის საზღვრებში იქნა შენარჩუნებული, მომთაბარე ტომების თავდასხმების მიუხედავად. გადასახლების უფრო ადრინდელი ტალღის წარმომადგენლები იცავენ მას შემდეგი, გადასახლების ბოლო ტალღის წარმომადგენელთაგან, ტალღისა, რომელიც მთელ ევროპას გადაუვლის. ისინი, წინ აღუდგებიან რა შემდგომ შემოჭრას, თავად ნელ-ნელა დასახლდებიან ფრანკთა იმპერიის საზღვრებში და მათ გარშემო. ევროპის დიდ კონტინენტურ ნაწილში იქმნება დასახლებულ მხარეთა რკალი. ქვეყანას ეუფლებიან ოდესღაც მომთაბარე ტომები. დიდი მომთაბარეობის მოძრაობები

თანდათან ჩაწყნარდება და მოხეტიალე ხალხების ახალი შემოსევები, რომელიც დროდადრო მეორდება, ჯერ უნგრელებისა, შემდეგ კი თურქებისა, ადრე თუ გვიან შეწყდება მკვიდრი მოსახლეობის უკეთესი თავდაცვითი ტექნიკისა და ძლირების წყალობით.

13. სიტუაცია შეიცვალა. ევროპაში აღარ იყო თავისუფალი სივრცეები, აღარ იყო ან თითქმის აღარ დარჩა გამოსადეგი მიწა, გამოსადეგი გადამუშავების ტექნიკის მდგომარეობის შესაბამისად, რომელსაც ვინმე არ ფლობდა. ევროპის დასახლება, უპირველეს ყოვლისა, კი მისი ვრცელი კონტინენტური რაიონებისა, მთლიანობაში უფრო სრულყოფილი იყო, ვიდრე უწინ, თუმცა, ბევრად ნაკლებად მჭიდროდ დასახლებული, ვიდრე შემდგომ საუკუნეებში. ყველა ნიშანი მიუთითებს იმაზე, რომ რა ზომითაც დაბლა ეშვებოდა დიდი გადასახლების მოძრაობის ტალღები, იმ ზომით იზრდებოდა მოსახლეობის რიცხვი. ამით იცვლებოდა დაძაბულობის მთელი სისტემა სხვადასხვა ხალხებს შორის და მათ შიგნით.

გვიანდელი ანტიკურობის პერიოდში, „ძველი კულტურის ქვეყნის" მოსახლეობა ხან ნელა, ხან კი სწრაფად კლებულობს. ამის შედეგად ქრება სოციალური ინსტიტუტებიც, რომელიც უფრო დიდ და მჭიდრო დასახლებებს შეესატყვისება. მაგალითად, ფულის გამოყენება საზოგადოების შიგნით დაკავშირებულია მოსახლეობის სიმჭიდროვის გარკვეულ მდგომარეობასთან. ის ერთ-ერთი აუცილებელი წინაპირობაა შრომის დიფერენციაციისა და ბაზრების ჩამოყალიბებისათვის. თუ მოსახლეობის რაოდენობა გარკვეულ ზღვარს ჩამოსცდება, სულ ერთია რა მიზეზითაც უნდა იყოს ეს, მაშინ ავტომატურად ცარიელდება ბაზრებიც; ჯაჭვები მათ შორის, ვინც ბუნების დოვლათს მოიპოვებს და ვინც მას მოიხმარს, უფრო მოკლდება. ფულადი ინსტრუმენტი თავის აზრს კარგავს: ამ მიმართულებით მიდის განვითარების პროცესი ანტიკურობის დასასრულს. საზოგადოების საქალაქო სექტორი უფრო მცირდება, საზოგადოების აგრარული ხასიათი კი ძლიერდება. ეს განვითარების პროცესი უფრო ადვილად შეიძლებოდა წარმართულიყო, რადგან ანტიკურ ხანაში შრომის დანაწილების პროცესი ოდნავ მიახლოებულიც კი არასოდეს ყოფილა იმ ინტენსივობასთან, როგორც ამას დღეს, ჩვენს საკუთარ საზოგადოებაში აქვს ადგილი. ქალაქის ბიუჯეტის ერთი ნაწილი გარკვეულ დონემდე სულ უფრო უშუალოდ, ვაჭრობის ან გადამუშავების დამოუკიდებელი რგოლების გარეშე, ივსებოდა დიდი მონათმფლობელური მამულებიდან და რადგან ტრანსპორტირება მამულებიდან დიდ მანძილებზე, ატიკური ტექნიკის მდგომარეობის შესაბამისად, ყოველთვის მეტისმეტად გართულებული იყო, შორეულ რეგიონებთან ვაჭრობა არსებითად საწყალოსნო ტრანსპორტით იყო შემოფარგლული. ძირითადად, წყლის სანაპიროზე შეიძლებოდა განვითარებულიყო დიდი ბაზრები, დიდი ქალაქები და ფულის გაცხოველებული მიმოქცევა. ქვეყნის კონტინენტური ნაწილი ყოველთვის უპირატესად საშინაო მეურნეო-

ბის ხასიათს ინარჩუნებდა. დამოუკიდებელ სასახლის კარს, საკუთარი მამულებიდან თავის შენახვას ისე არასოდეს დაუკარგავს მნიშვნელობა ქალაქის ფენებისათვის, როგორც დასავლური საზოგადოების ახალ ეპოქაში. მოსახლეობის რიცხვის შემცირებასთან ერთად ანტიკური საზოგადოების სტრუქტურის ეს მხარე ისევ მძლავრად იჩენდა თავს.

ხალხთა მომთაბარეობის ჩაწყნარების პარალელურად, პროცესი ისევ საწინააღმდეგო მიმართულებით წავიდა. ამდენი ახალი ტომის შემოდინება და საბოლოოდ დამკვიდრება ქმნიდა საფუძველს მთელი ევროპული სივრცის ახალი და უფრო ფართო დასახლებისათვის. კაროლინგების ხანაში ამ დასახლებას მთლიანად საშინაო მეურნეობის ხასიათი ჰქონდა, ალბათ, უფრო მეტადაც კი, ვიდრე მეროვინგების ეპოქაში.[25] ამის გამოხატულება შეიძლება იყოს ის, რომ პოლიტიკური ცენტრი კიდევ უფრო ინაცვლებდა კონტინენტის შიგნით, სადაც აქამდე, როგორც უკვე ითქვა, სახმელეთო ტრანსპორტთან დაკავშირებულ სიძნელეთა გამო, თითქმის არ არსებობდა დასავლური სამყაროს მასშტაბებით, დიდ სახელისუფლო ერთეულთა პოლიტიკური ცენტრი, იშვიათ გამონაკლისს თუ მხედველობაში არ მივიღებთ, როგორიც იყო ხეთების სამეფო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უკვე ამ პერიოდში მოსახლეობის რიცხვი თანდათან მატულობდა. გვესმის აქა-იქ ტყის გაჩეხვის შესახებაც, რაც ყოველთვის იმის დასაწყისის ნიშანია, რომ მიწების რაოდენობა თითქმის ამოიწურა. იზრდება დასახლების სიმჭიდროვე. მაგრამ ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, თავდაპირველად, მხოლოდ საწყისებია. პირველად, დაახლოებით მე-9 საუკუნიდან მატულობს იმის ნიშნები, რომ მოსახლეობის რიცხვი მკვეთრად იწევს მაღლა. და არცთუ დიდი ხნის შემდეგ, აქა-იქ კაროლინგების მემკვიდრეთა მხარეებში უკვე ჩანს სიმპტომები მოსახლეობის საზოგადოებრივი სიჭარბისა.

მოსახლეობის რიცხვის შემცირება ანტიკურობის დასაწყისში, შემდგომ ნელი ზრდა ხალხთა მომთაბარეობის შემდგომი ეპოქის შეცვლილ პირობებში — ამ პროცესების შემაჯამებელი თვალის გადავლება აქ საკმარისი უნდა იყოს იმისათვის, რომ მეხსიერებაში კვლავ გაცოცხლდეს მოძრაობის ტრაექტორია.

14. მოსახლეობის საგრძნობი სიჭარბის ფაზები ევროპული ხალხების ისტორიაში ასეთ, უფრო ნაკლები შინაგანი დაძაბულობის ფაზებს ენაცვლება. მაგრამ ის, რაც მოსახლეობის სიჭარბეში უნდა გვესმოდეს, განმარტებას საჭიროებს. საქმე ეხება არა ადამიანების აბსოლუტურ რიცხვს, რომლებიც განსაზღვრულ სივრცეში ცხოვრობენ. ძლიერად ინდუსტრიალიზებულ საზოგადოებაში, მიწების შედარებით ინტენსიური სამეურნეო მართვით, განვითარებული შორეული ვაჭრობით და მმართველობის დაახლოებით ისეთი ფორმით, რომელიც ინდუსტრიული სექტორის უპირატესობას აგრარულთან მიმართებაში იმპორტზე და ექსპორტზე ბაჟის დაწესებით ამარ-

თლებს, ადამიანთა გარკვეული რაოდენობა შეიძლება მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფილად ცხოვრობდეს, რაც, დასახლების ექსტენსიური მეთოდების და შორ მანძილზე ვაჭრობის ნაკლები მოცულობის მქონე, ნატურალური მეურნეობის საზოგადოებაში მოსახლეობის სიჭარბეს შეიძლება ნიშნავდეს, ამ მდგომარეობის მახასიათებელი ტიპიური სიმპტომებით. მაშასადამე, „მოსახლეობის სიჭარბეს" ვუწოდებთ განსაზღვრულ მხარეთა მოსახლეობის ისეთ ზრდას, როცა საზოგადოების არსებული სტრუქტურისას, სულ უფრო ცოტა ადამიანისათვისაა შესაძლებელი მათი სტანდარტული მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ჩვენი აქამდელი გამოცდილება გვაცნობს მხოლოდ ერთ „სიჭარბეს მოსახლეობისა", განსაზღვრულ საზოგადოებრივ ფორმებთან და მოთხოვნილების გარკვეულ სტანდარტთან მიმართებაში. ეს არის მოსახლეობის სოციალური სიჭარბე.

გარკვეული ზომით დიფერენცირებულ საზოგადოებებში მისი სიმპტომები ძირითადად ერთნაირია: დაძაბულობის ზრდა საზოგადოების შიგნით, უპირატესად ნატურალური მეურნეობის საზოგადოების შემთხვევაში „მქონებელთა", ე.ი. „მიწის მფლობელთა" გაძლიერებული გამოცალკევება მათგან, რომელთაც "არაფერი გააჩნიათ", ან ყოველ შემთხვევაში, საკმარისად არ გააჩნიათ, რათა თავიანთი სტანდარტის შესაბამისად ირჩინონ თავი. ამავე დროს, ხშირად, „მქონებელთა" ("Haves") შორის უფრო შესამჩნევი ხდებოდა მეტის მქონებელთა გამოცალკევება მათგან, რომელთაც ნაკლები ქონება აქვთ. უფრო მტკიცე და ხაზგასმული ხდება ერთი და იმავე სოციალური მდგომარეობის ადამიანთა შეკავშირება, შემოჭრის მსურველ გარეშეთაგან თავდასაცავად ან პირიქით, სხვების მიერ მონოპოლიზებული შანსების მოსაპოვებლად; გარდა ამისა, გაძლიერებულია ზენოლა მეზობლად მდებარე მხარეებზე, რომლებიც ნაკლებ მჭიდროდ არიან დასახლებულნი ან უფრო ცუდად დაცულნი და ბოლოს, გაძლიერებულია გადასახლების ტენდენციები, ლტოლვა ახალი მიწების დაპყრობის ან სულ მცირე, მათზე დასახლებისაკენ მაინც.

ძნელია იმის თქმა, საკმარისია თუ არა ჩვენამდე მოღწეული წყაროები ევროპის მოსახლეობის ზრდის იმდროინდელი ზუსტი სურათის შესაქმნელად, როცა ევროპის დასახლება ხდებოდა და საკმარისია თუ არა ეს სხვადასხვა მხარეთა მოსახლეობის განსხვავებული სიმჭიდროვის სურათის მოცემისათვის.

მაგრამ ერთი რამ აშკარაა: როცა მომთაბარეობის მოძრაობები ჩაწყნარდება, როცა დასრულდება დიდი ბრძოლები და საკუთრების გადანაწილება სხვადასხვა ტომებს შორის, ერთი მეორის მიყოლებით ვლინდება „მოსახლეობის სოციალური სიჭარბის", მოსახლეობისრიცხვის მკვეთრი ზრდის ყველა სიმპტომი, რასაც თან ახლავს სოციალურ ინსტიტუტთა გარდაქმნა.

15. მზარდი დემოგრაფიული ზეწოლის ნიშნები თავდაპირველად, განსაკუთრებით ნათლად, დასავლეთ-ფრანკული სამეფოს სივრცეში იჩენს თავს.

დაახლოებით მე-9 საუკუნეში აქ, განსხვავებით აღმოსავლეთ-ფრანკული იმპერიისაგან, ნელ-ნელა კლებულობს მუქარა უცხო ტომთა მხრიდან. ნორმანები, იმპერიის იმ ნაწილში, რომელსაც სახელი მათ გამო ეწოდა, ბოლოს და ბოლოს ჩაწყნარდნენ. პირველ ყოვლისა, დასავლეთ-ფრანკული ეკლესიის დახმარებით, ისინი ძალზე სწრაფად ითვისებენ იმ ენას, მათ გარშემო არსებულ მთელ იმ ტრადიციას, რომელშიც შერეულია გალორომანული და ფრანკული ელემენტები. ამასთან, თავის მხრივ, ახალ ელემენტებს შეიტანენ მასში. პირველ რიგში, მათგან მნიშვნელოვან იმპულსებს იღებს მმართველობის სტრუქტურა ტერიტორიული სამფლობელოების საზღვრებში. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, აქედან მოყოლებული, ისინი თამაშობენ თავიანთ როლს, როგორც ერთ-ერთი ტომი დასავლეთ-ფრანკულ ტერიტორიულ სამფლობელოთა გართიანებაში და თანაც, როგორც ერთ-ერთი წამყვანი, ამ იმპერიის მთლიანი გაერთიანებისათვის გადამწყვეტი გავლენის მქონე ტომი.

არაბები, სარაცინები ჯერ კიდევ არ აძლევენ მოსვენებას ხმელთაშუა ზღვის კუნძულებს, მაგრამ მთლიანობაში, მე-9 საუკუნიდან მოყოლებული, ისინი თითქმის არავითარ საფრთხეს არ წარმოადგენენ იმპერიის სიმტკიცისათვის.

საფრანგეთის აღმოსავლეთით მდებარეობს გერმანული იმპერიის მხარე, რომელიც ჯერ კიდევ ძალიან ძლიერია საქსონიის კაიზერთა ხელში. თუ მცირე გამონაკლისს მხედველობაში არ მივიღებთ, საზღვრები ამ მხარესა და დასავლეთ-ფრანკულ სამეფოს შორის მეათე საუკუნიდან მეცამეტე საუკუნის პირველ მეოთხედამდე თითქმის არ იცვლება.[26] 925 წელს ლოტარინგია კვლავ უბრუნდება სამეფოს, 1034 წელს — ბურგუნდია. სხვათა შორის, ამ საზღვარზე 1226 წლამდე დაძაბულობა ჯერ კიდევ განსაკუთრებით დიდია. იმპერიის ექსპანსიური ტენდენციები არსებითად აღმოსავლეთზეა მიმართული. მაშასადამე, საფრთხე დასავლეთ-ფრანკული სამეფოსათვის გარედან შედარებით უმნიშვნელოა. მაგრამ ამავე დროს, შესაბამისად მცირეა არსებულ საზღვრებს იქით ექსპანსიის შესაძლებლობანი. პირველ ყოვლისა, აღმოსავლეთი, იქნება ეს დასახლების სიმჭიდრვის, თუ სამეფოს საბრძოლო ძლიერების საშუალებით, ჩაკეტილია დასავლეთ-ფრანკული იმპერიის მიერ ახალი მიწების მოპოვებისათვის.

რადგან გარედან მუქარა გარკვეულწილად მინელდა, მოსახლეობა შესამჩნევად იწყებს ზრდას თვით ამ სივრცის შიგნით. ის ისე მკვეთრად მრავლდება მე-9 საუკუნის შემდგომ, რომ მე-14 საუკუნის დასაწყისში, სავარაუდოდ, დაახლოებით იმდენია, რამდენიც მოგვიანებით, მე-18 საუკუნის დასაწყისში.[27]

ცხადია, არც ეს მოძრაობა იყო სწორხაზოვანი. მაგრამ იმას, რომ მთლიანობაში მოსახლეობა მუდმივად იზრდება, აჩვენებს მთელი რიგი ცალკეული მოვლენები, რომლებიც ერთმანეთთან კავშირში უნდა განვიხილოთ, რათა გავიგოთ მთლიანი მოძრაობის ძალა და ცალკეულ მოვლენათა დატვირთვა მის შიგნით. მე-10 საუკუნის დასასრულიდან, კიდევ

უფრო ძლიერად მე-11 საუკუნეში, დასავლეთ-ფრანკულ მხარეში უფრო და უფრო შესამჩნევი ხდება ბრძოლა მიწებისათვის, მოთხოვნა ახალ ქვეყნებზე და არსებული ტერიტორიების უფრო მეტ მოსავლიანობაზე.

ახალი მიწების ათვისება ხდებოდა, როგორც ითქვა, უკვე კაროლინგების ეპოქაში და ცხადია, გარკვეულ შემთხვევებში, უფრო ადრეც, მაგრამ მე-11 საუკუნეში ყამირის ათვისების ტემპი და მასშტაბები ჩქარდება. ტყეები მცირდება, ჭაობები, რამდენადაც ამის შესაძლებლობას ტექნიკა იძლევა, სახნავ მიწებად გადაიქცევა. დაახლოებით 1050 წლიდან 1300 წლამდე პერიოდი საფრანგეთის მხარისათვის ყამირის ათვისების,[28] შიდა მიწების მოპოვების დიდი ეპოქაა. დაახლოებით 1300 წელს აქ ეს მოძრაობა ისევ შენელდება.

რამდენიმე დაკვირვება ჯვაროსნულ მსვლელობათა სოციოგენეზისათვის

16. გარედან დიდი იერიშები შეწყდა. მიწა ნაყოფიერია. მოსახლეობა მატულობს. მიწა, ამ საზოგადოებაში პროდუქციის წარმოების უმნიშვნელოვანესი საშუალება, საკუთრებისა და სიმდიდრის შინაარსი, საკმარისი აღარ არის. ყამირის ათვისება, ახალი მიწების გამონახვა ქვეყნის შიგნით ვეღარ აღმოფხვრის უკმარისობას. ახალი მიწები საზღვრებს გარეთ უნდა მოინახოს. შიდა კოლონიზაციას ფეხდაფეხ მოსდევს გარე კოლონიზაციაც, ახალი მიწების დაპყრობა სხვა მხარეებში. უკვე მე-11 საუკუნის დასაწყისში, ნორმანელი ცხენოსნები სამხრეთ იტალიაისაკენ გადაინაცვლებენ და ცალკეულ თავადებს თავიანთ სამსახურს სთავაზობენ, როგორც მეომრები.[29] 1029 წელს ერთ-ერთი მათგანი თავისი სამსახურისათვის მიწის პატარა ნაკვეთით დაჯილდოვდება ნეაპოლის საჰერცოგოს ჩრდილოეთ საზღვარზე. სხვებიც მას მიჰყვებიან, მათ შორის, წვრილი ნორმანელი სენიორის, ტანკრედ დე ოტევილის სხვა ვაჟები. მას სულ თორმეტი ვაჟი ჰყავდა და როგორ შეიძლებოდა, თუნდაც თავიანთი სტანდარტის ფარგლებში, მათ მხოლოდ მამისეული მიწებით ერჩინათ თავი? რვა მათგანი სამხრეთ იტალიაში მიემგზავრება და იქ მიაღწევენ ნაბიჯ-ნაბიჯ იმას, რაც მათთვის სამშობლოში მიუღწეველი იყო, კერძოდ მოიპოვებენ მიწის ერთი ნაწილის გამგებლობის უფლებას. ერთ-ერთი ძმა, რობერ გვისკარი ბრძოლაში ნორმანელ მებრძოლთა აღიარებული მეთაური ხდება, ის ერთად უყრის თავს გაბნეულ მამულებს თუ სამფლობელოებს, რომლებიც ცალკეულმა მებრძოლებმა დაიპყრეს. 1600 წლიდან მოყოლებული მისი მეთაურობით ისინი ნელ-ნელა მიიწევენ წინ, სიცილიისაკენ. 1085 წელს რობერ გვისკარის გარდაცვალების მომენტისათვის სარაცინები უკვე თავმოყრილნი არიან კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში. სხვა ყველაფერი ნორმანების საკუთრებას შეადგენს და ახალ, ნორმანულ ფეოდალურ სამეფოს ქმნის.

ეს ყველაფერი სინამდვილეში დაგეგმილი არ იყო. დასაწყისში იყო ზეწოლა და ჩაკეტილი შანსები სამშობლოში, ერთეულთა გადასახლება, რომელთა წარმატება სხვებსაც აიყოლიებს; საბოლოოდ ამისაგან იმპერია იქმნება. იგივე ხდება ესპანეთშიც.

უკვე მე-10 საუკუნეში ფრანგი რაინდები არაბთა წინააღმდეგ ომში ერთვებიან ესპანელი მთავრების დასახმარებლად.

როგორც უკვე ითქვა, დასავლეთ-ფრანკული მხარე, აღმოსავლეთ-ფრანკულისაგან განსხვავებით, არ ესაზღვრება ფართო, მეტნაკლებად ერთმანეთისაგან გათიშული ტომებით დასახლებულ კოლონიზაციურ მხარეს. აღმოსავლეთით შემდგომ ექსპანსიას იმპერია აბრკოლებს. იბერიის ნახევარკუნძული ერთადერთი პირდაპირი გზაა. მე-11 საუკუნის შუა წლებამდე, თავდაპირველად, აქაც ერთეული ადამიანები ან პატარა ჯგუფები გადადიან მთებს იქით. შემდეგ ისინი ნელ-ნელა დაქირავებული მეომრები ხდებიან. არაბებს, რომლებიც შიგნიდან გაიხლიჩნენ, ამ დროისათვის ნაკლები წინააღმდეგობის გაწევა შეეძლოთ. 1085 წელს აღებული იქნა ტოლედო, 1094 წელს სიდის მეთაურობით ვალენსია და მალევე დაიკარგა. ბრძოლა მიდის ხან აქ და ხან იქ. 1095 წელს ფრანგი გრაფი პორტუგალიისგან ლენის სახით იღებს უკან დაბრუნებულ მხარეს. მაგრამ პირველად, 1147 წელს, მეორე ჯვაროსნული მსვლელობის დახმარებით, მისი ვაჟი შესძლებს ლისაბონი საბოლოოდ ჩაიგდოს ხელში და იქ გარკვეულწილად სტაბილური გახადოს მისი, როგორც ფეოდალი მეფის ხელისუფლება.

თუ ესპანეთს მხედველობაში არ მივიღებთ, საფრანგეთის ახლოს მხოლოდ არხის გადაღმა რჩება ერთი შესაძლებლობა ახალი მიწების დაუფლებისა. მე-11 საუკუნის შუა წლებში ამ მიმართულებითაც გადაინაცვლეს ცალკეულმა ნორმანელმა რაინდებმა. 1066 წელს ნორმანელთა ჰერცოგი ნორმანელ და ფრანგ რაინდთა ჯარს გადასხავს კუნძულზე, ხელში აიღებს ძალაუფლებას და მიწებს ხელახლა ანაწილებს. ექსპანსიის შესაძლებლობები, ახალი მიწების პერსპექტივა საფრანგეთთან ახლოს თანდათან მცირდება. მზერა უფრო შორსაა მიმართული.

1095 წელს, ჯერ კიდევ მანამ, სანამ დიდი ფეოდალები მოძრაობაში ჩაებმებიან, რაინდი ვალტერ უქონელის ანუ გოტიე ღარიბის მეთაურობით რაინდების პატარა რაზმი იერუსალიმის გზას დაადგება; ეს რაზმი მცირე აზიაში იღუპება: 1097 წელს წმინდა მიწაზე შედის მძლავრი საბრძოლო არმია ნორმანელ და ფრანგ ტერიტორიულ მმართველთა წინამძღოლობით. ჯვაროსნები თავდაპირველად აიძულებენ აღმოსავლეთ რომის კაიზერს ლენის სახით გადასცეს მათ დასაპყრობი ქვეყნები, შემდეგ ისინი აგრძელებენ გზას, იპყრობენ იერუსალიმს და აფუძნებენ ახალ ტერიტორიულ სამფლობელოებს.

ცხადია, ეს ექსპანსია ეკლესიის წარმმართველი როლის, რწმენის წმინდა მიწასთან კავშირის გარეშე სხვაგვარი იქნებოდა. მაგრამ,

დასავლეთ-ფრანკული იმპერიის, ისევე როგორც ლათინური ქრისტიანობის ყველა სხვა ქვეყნის, შიდა-სოციალური ზეწოლის გარეშე სავარაუდოდ, ადგილი არ ექნებოდა ჯვაროსნულ ლაშქრობებს.

დაძაბულობანი ამ საზოგადოების შიგნით არ გამოიხატება მხოლოდ ახალ მიწებზე და პურზე მოთხოვნით. ისინი სულიერი ჩაგვრის სახით ტვირთად აწვებიან ადამიანებს. სოციალური ზეწოლა მამოძრავებელ ძალას ქმნიდა, ისე როგორც მოტორი ქმნის ელექტროდენს. ამას ადამიანები მოძრაობაში მოჰყავდა. ეკლესია წარმართავდა უკვე სახეზე არსებულ ძალებს. ის ითვალისწინებდა გაჭირვებას და მათ ახალ იმედებს და მიზნებს უსახავდა საფრანგეთის საზღვრებს გარეთ. ის ახალი მიწებისათვის ბრძოლას მრავლისმომცველ აზრს და გამართლებას ანიჭებდა. ეკლესია ნებას რთავდა, ეს ბრძოლა ქცეულიყო ბრძოლად რწმენისათვის.

17. ჯვაროსნული მსვლელობები ქრისტიანული დასავლური სამყაროს პირველი დიდი ექსპანსიური და კოლონიზატორული მოძრაობის სპეციფიკური ფორმაა. ხალხთა ადგილმონაცვლეობაში, რომლის საშუალებით საუკუნეთა განმავლობაში ტომებმა აღმოსავლეთიდან და ჩრდილო-აღმოსავლეთიდან დასავლეთის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით წაინაცვლეს, ევროპის გამოსადეგი ფართობები, ყველაზე შორეულ საზღვრებამდე, ბრიტანულ კუნძულებამდე, ადამიანებით შეივსო. ისინი უკვე მკვიდრად დასახლდნენ. ზომიერი კლიმატი, ნაყოფიერი მიწები, თავისუფალი ლტოლვითი ძალები, ხელს უწყობდა მკვეთრ გამრავლებას. ქვეყანა მეტისმეტად დავიწროვდა. გარკვეულწილად, ადამიანთა ტალღები ჩიხში მომწყვდეული აღმოჩნდა და შევიწროებულებმა უკან აღმოსავლეთისაკენ გადაინაცვლეს, როგორც ჯვაროსნულ მსვლელობებში, ასევე თავად ევროპაში, სადაც გერმანელთა დასახლებული მხარე დაუნდობელ ბრძოლებში ნელ-ნელა უფრო და უფრო ფართოვდებოდა აღმოსავლეთით ელბის იქით ოდერამდე, შემდეგ ვისლის შესართავებამდე და ბოლოს პრუსიამდე, საბოლოოდ კი თვით ბალტიის ქვეყნებამდე, თუმცა იქამდე მხოლოდ გერმანელ რაინდთა მოხეტიალე ჯგუფებმა მიაღწიეს და არა თავად გერმანელმა გლეხებმა.

მაგრამ, სწორედ ეს უკანასკნელი ფენომენი მიუთითებს განსაკუთრებით ნათლად იმ თავისებურებებზე, რომელიც სხვა მთელ რიგ თავისებურებებთან ერთად მოსახლეობის სოციალური სიჭარბის და ექსპანსიის ამ პირველ ფაზას უფრო გვიანდელისაგან გამოარჩევს. როცა ცივილიზაციის პროცესი და მასთან ერთად ლტოლვითი ცხოვრების შებოჭილობა და რეგულირება პროგრესირდება – და იმ საფუძვლებიდან გამომდინარე, რომლებზედაც კიდევ ვისაუბრებთ, ის მაღალ ფენებში უფრო მძლავრად მიიწევს წინ, ვიდრე დაბალ ფენებში – მაშინ ნელ-ნელა კლებულობს მრავალშვილიანობა და თანაც უფრო დაბალ ფენებში ნაკლებად, ვიდრე მაღალ ფენებში. ამ განსხვავებას მაღალ და დაბალ ფენებში საშუალო შვილიანობისა, ხშირად დიდი მნიშვნელობა აქვს მაღალი ფენების სტანდარტის შენარჩუნებისათვის.

მოსახლეობის ზრდის ეს პირველი ფაზა ქრისტიანულ დასავლეთში შემდგომი ფაზისაგან იმით გამოირჩევა, რომ მასში არანაკლებ მრავლდება გაბატონებულთა, მებრძოლთა თუ არისტოკრატიის ფენა, ვიდრე ყმათა, მემამულეზე ნაწილობრივ დამოკიდებულთა, გლეხთა ფენა— მოკლედ მათი, ვინც თავად ამუშავებენ მიწებს. ბრძოლა არსებული შანსებისათვის, რომლებიც მოსახლეობის რიცხვის ზრდასთან ერთად, პირველ რიგში, ერთეული ადამიანისათვის მცირდებოდა, განუწყვეტელი ომები, რომელსაც ეს დაძაბულობა იწვევდა, ბავშვთა მაღალი სიკვდილიანობა, დაავადებანი და სხვაგვარი სენი — შეიძლება, ყველაფერმა ამან ადამიანთა სიჭარბე ნაწილობრივ მოხსნა; და ალბათ შესაძლებელია, რომ შედარებით დაუცველ გლეხთა ფენას ეს მეტად შეეხო, ვიდრე მეომართა ფენას. გარდა ამისა, პირველთა უფლება თავისუფალი გადაადგილებისა ისე შეზღუდული იყო და პირველ რიგში, კომუნიკაცია, ურთიერთგაცვლა სხვადასხვა მხარეებს შორის ისეთი რთული, რომ ჭარბი მუშახელი ვერცერთ შემთხვევაში ვერ განაწილდებოდა სწრაფად და თანაბრად მთელ ქვეყანაში; აქედან გამომდინარე, შეიძლებოდა, ზოგიერთ მხარეში ბრძოლებისა და გაკოტრების, ჭირის, ახალი მიწების აღმოჩენის ან კიდევ ყმების გაქცევის გამო მუშახელის დეფიციტიც კი შექმნილიყო, მაშინ როცა სხვა მხარეში ჭარბი მუშახელი იყრიდა თავს. დროის ფაქტობრივად, ერთი და იმავე მონაკვეთის შესახებ ჩვენამდე მოაღწია სხვადასხვაგვარმა ცხადმა მოწმობებმა, როგორც არათავისუფალთა სიჭარბის შესახებ ერთ მხარეში, ასევე ბატონთა მცდელობების შესახებ სხვაგან, რომ თავიანთი მამულების გადასამუშავებლად მოიზიდონ თავისუფალი, ნაწილობრივ მემამულეზე დამოკიდებული გლეხები, სტუმრები, "hospites",[30] მაშასადამე, მუშახელი, რომელთაც უკეთეს პირობებს შესთავაზებდნენ.

მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, იმ პროცესთა ხასიათისათვის, რომელიც აქ ვითარდებოდა, გადამწყვეტი იყო ის, რომ ამ საზოგადოებაში წარმოიქმნებოდა არა მხოლოდ თავისუფალ ან ნახევრად თავისუფალთა სიჭარბე, „Reservearmee" (სარეზერვო არმია), არამედ *ზედა ფენის* „სარეზერვო არმია", რაინდები, რომელთაც საერთოდ არ გააჩნდათ საკუთრება ან არასაკმარისი საკუთრება ჰქონდათ, რათა თავიანთი სტანდარტი შეენარჩუნებინათ. მხოლოდ ამით შეიძლება ავხსნათ ამ პირველი, დასავლური გაფართოების მოძრაობათა და ექსპანსიური პროცესების ხასიათი. გლეხები, არათავისუფალთა შვილები, რა თქმა უნდა, მონაწილეობდნენ ამა თუ იმ სახით კოლონიზატორულ ბრძოლებში, მაგრამ ძირითად იმპულსს ამგვარი ომები იქედან იღებდა, რომ რაინდებს არ გააჩნდათ საკმარისი მიწები. ახალი მიწები მხოლოდ უშუალოდ მახვილით შეიძლებოდა დაეპყროთ. რაინდები თავიანთი იარაღით ათავისუფლებდნენ გზას, მათ ჰყავდათ ხელმძღვანელობა და ისინი ქმნიდნენ

არმიის ძირითად ნაწილს. ზედა ფენის, არისტოკრატთა სიჭარბე განსაკუთრებულ დაღს ასვამდა ექსპანსიის და კოლონიზაციის ამ პირველ პერიოდს.

ნაპრალი მათ შორის, რომლებსაც რაღაც ფორმით ფლობდნენ მიწებს და მათ შორის, რომელთაც საერთოდ არ გააჩნდათ ან საკმარისი მიწები არ გააჩნდათ, მთელ სიგრძეზე გადასერავს ამ საზოგადოებას. ერთ მხარეს დგანან მიწების მონოპოლისტები, მეომართა ოჯახები, მაშასადამე, არისტოკრატიული სახლები, პირველ რიგში კი მემამულეები, მაგრამ აგრეთვე გლეხები, ყმები, ნახევრად თავისუფალნი, „hospites", რომლებიც სადღაც მიწის ერთი პატარა ნაკვეთით, ღარიბულად თუ შედარებით უკეთ ირჩენდნენ თავს და მკვიდრდებოდნენ. მეორე მხარეს კი დგანან როგორც ერთი, ისე მეორე ფენის წარმომადგენელნი, რომელთაც მიწები არ გააჩნდათ. არაარისტოკრატიული ფენის წარმომადგენლებს, რომლებიც მიწების გარეშე დარჩნენ და შევინროებულები არიან შანსების ნაკლებობის გამო ან ბატონთა ზეწოლით, თავიანთი წვლილი მიუძღვით გადასახლებასა და კოლონიზაციაში, მაგრამ ამავე დროს, ისინი ადამიანურ რესურსებს ქმნიან ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქალაქური კომუნებისათვის. მეომართა ფენიდან გამორიცხულნი, პირდაპირ რომ ვთქვათ, „უმცროსი ვაჟები", რომელთა მემკვიდრეობა მეტისმეტად მცირეა, იქნება ეს უბრალოდ მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად თუ უბრალოდ თავის რჩენისათვის, ყველაზე მეტად „უქონელნი" რაინდთა შორის, საუკუნის მანძილზე ყველაზე მრავალფეროვან, სოციალურ სახასიათო ნიღბებში წარმოგვიდგებიან: როგორც ჯვაროსანი რაინდები, როგორც ბანდის წინამძღოლები, როგორც დიდი ბატონების სამსახურში მყოფი დაქირავებული რაინდები და ბოლოს, ისინი ქმნიან მასალას მუდმივი ჯარის პირველი ფორმებისათვის.

18. ცნობილი და ხშირად ციტირებული წინადადება: არ არსებობს მიწა ბატონის გარეშე ("Kein Boden ohne Seigneur") არა მხოლოდ სამართლებრივი ძირითადი თეზისია. ის, ამავე დროს, მეომართა ფენის სოციალური დევიზია. ის გამოხატავს რაინდთა მოთხოვნილებას, თავის საკუთრებაში აეღოთ ყველა მიწა, რომელიც ასე თუ ისე ხელმისაწვდომი იყო. ადრე თუ გვიან ლათინური ქრისტიანობის ყველა რეგიონში ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე. მიწის ყოველი გამოსადეგი ნაჭერი მუდმივ საკუთრებაში გადადის. მაგრამ მოთხოვნა მიწაზე იგივე რჩება ან იზრდება კიდეც. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების შანსები კი მცირდება. ექსპანსიისაკენ ლტოლვა ისევე იწევს ზემოთ, როგორც დაძაბულობა თავად საზოგადოების შიგნით. მაგრამ, სპეციფიკური დინამიკა, რომელსაც მთელი ეს საზოგადოება ამის შედეგად შეიძენს, არა მხოლოდ დაზარალებულებს ამოძრავებს, არამედ ის აუცილებლად შეეხება მათაც, ვინც მიწებს განკარგავენ, დიდ მიწათმფლობელებს. სოციალური ზეწოლა ღარიბ, ვალების მქონე, დაკნინებულ რაინდებთან ვლინდება, როგორც მარტივი მოთხოვნა მიწის ერთ ნაჭერზე და მუშახელზე, რომლებიც მათ თავიანთი სტანდარტის შესაბამისად

გამოკვებავდა. მდიდარ რაინდებთან, უფრო მსხვილ ფეოდალებსა და ტერიტორიულ მმართველებთან ეს გამოვლინდება, როგორც ლტოლვა ახალი მიწებისაკენ. მაგრამ რაც ქვედა ფენებში მდგომარეობის შესაბამისი არსებობის საშუალებების უბრალო მოთხოვნილებაა, ზედა ფენებში ეს არის ხელისუფლების ზრდისაკენ, „მეტი" მიწისაკენ და და ამით მეტი ძალაუფლებისაკენ სწრაფვა, უფრო დიდი სოციალური ძლიერებისაკენ ლტოლვა. მდიდარი მემამულეების, პირველ რიგში, კი უმაღლეს საფეხურზე მდგომთა, გრაფების, ჰერცოგების და მეფეთა ეს მისწრაფებაც საკუთრების გაზრდისაკენ მხოლოდ ინდივიდის პიროვნული პატივმოყვარეობიდან არ იღებდა სათავეს. ზემოთ, დასავლეთ-ფრანკონელი კაროლინგების და პირველ კაპეტინგთა მაგალითზე ნაჩვენები იქნა, რომ თვით მეფის სახლებიც განუწყვეტლივ განიცდიდნენ იძულებით დაღმასვლას მიწის ფლობასა და მიწის დარიგებაზე მიმართული განსაზოგადოებრიობის ავტომატიზმის საშუალებით, იმ შემთხვევაში, თუ მათ არ ჰქონდათ ახალი მიწების დაპყრობის საშუალება. და თუ ჩვენ გარეგანი და შინაგანი ექსპანსიის მთელი ამ ფაზის განმავლობაში არა მხოლოდ ღარიბ, არამედ ბევრი მდიდარი რაინდის მუდმივ სწრაფვასაც ვხედავთ ახალი მიწების, მათი სახლის ძალაუფლებს გაძლიერებისაკენ, ეს სხვა არაფერია, თუ არა იმის გამოხატულება, რა მძლავრად უბიძგებს ამ საზოგადოების სტრუქტურა და მდგომარეობა ყველა ფენას მუდმივად ახალი მიწების ძიებისაკენ, იქნება ეს მიწის საკუთრებისაკენ ლტოლვა წაგებულთა შემთხვევაში, თუ „მეტი" მიწისაკენ სწრაფვა მდიდრების შემთხვევაში.

ადამიანებს სჯეროდათ, თითქოს „მეტი" საკუთრებისაკენ, შეძენისაკენ ლტოლვა „კაპიტალიზმის" და ამით მაშასადამე, ახალი დროის სპეციფიკური ნიშანია, თითქოს, შუა საუკუნეების საზოგადოება, ამის საპირისპიროდ, იმით იყოს გამორჩეული, რომ სამართლიანი, მდგომარეობის შესაბამისი შემოსავლებით კმაყოფილდებოდეს.

თუ „მეტისაკენ" სწრაფვაში თვალწინ მხოლოდ „მეტი" ფულისაკენ სწრაფვა წარმოგვიდგება, ცხადია, გარკვეული თვალსაზრისით ეს სწორია, მაგრამ შუა საუკუნეების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე საკუთრების ძირითად ფორმას წარმოადგენს მიწის და არა ფულის ფლობა. მაშასადამე, შეძენისაკენ სწრაფვას, თუ ეს გამოთქმა შეიძლება გამოვიყენოთ, აქ აუცილებლად სულ სხვა ფორმა და მიმართულება აქვს. ეს სულ სხვაგვარ ქცევის წესებს მოითხოვს, ვიდრე მეტ-ნაკლებად ჩამოყალიბებული საფინანსო და საბაზრო მეურნეობის მქონე საზოგადოებაში. შეიძლება მართალი იყოს, რომ ახალ დროში, პირველად, წარმოიშობა ვაჭრობაში სპეციალიზებული ფენა, რომლის სწრაფვა იქეთაა მიმართული, რომ განუწყვეტელი შრომით უფრო და უფრო მეტი ფული იშოვოს. საზოგადოების სტრუქტურები, რომლებიც შუა საუკუნეების უპირატესად ნატურალურ-სამეურნეო სექტორში უფრო და უფრო მეტი წარმოების საშუალებათა შეძენისაკენ უბიძგებს (იქაც და აქაც სახეზეა საზოგადოების სტრუქტურული თავისებურებები), ადვილად გამოგვრჩება

მხედველობიდან, რადგან აქ სწრაფვა არა პირდაპირ ფულის, არამედ უფრო მეტი მიწის შეძენაზეა მიმართული. ამას ემატება ისიც, რომ ამ ეპოქაში პოლიტიკური და სამხედრო ფუნქციები ჯერ კიდევ არაა ისე დიფერენცირებული ეკონომიკური ფუნქციებისაგან, როგორც მოგვიანებით, ახალი დროის საზოგადოებაში. სამხედრო აქცია, პოლიტიკური და ეკონომიკური მისწრაფება მნიშვნელოვანწილად იდენტურია და მიწის საკუთრების სახით უფრო მეტი სიმდიდრისაკენ ლტოლვა იმავე მნიშვნელობის მქონეა, რაც ძალაუფლების სფეროს გაზრდისაკენ, სუვერენიტეტისა და სამხედრო ძლიერების ზრდისაკენ სწრაფვა. უმდიდრესი ადამიანი ერთ განსაზღვრულ სფეროში, კერძოდ მიწით მდიდარი, აქ ყველაზე ძლიერიც არის, რომელსაც ყველაზე დიდი ამალის შენახვა შეუძლია. ის, ამავე დროს, მხედარ-თმთავარიც არის და მბრძანებელიც.

სწორედ იმის გამო, რომ ამ საზოგადოებაში მამულის ერთი მფლობელი გარკვეული აზრით, უპირისპირდებოდა მეორეს, ისე როგორც დღეს ერთი სახელმწიფო — მეორეს, მეზობლის მიერ ახალი მიწების დაუფლება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, გულისხმობდა საფრთხეს სხვისათვის. ეს, ისევე როგორც დღეს, სამფლობელოთა უმეტესად ძალზე სუსტად დაბალანსებულ სისტემაში წონასწორობის გადანაცვლებას ნიშნავდა, სამფლობელოებისა, რომლებიც ერთმანეთისათვის პოტენციური მოკავშირენი კი არა, პოტენციური მტრები იყვნენ. და ეს არის, მაშასადამე, მარტივი მექანიზმი, რომელიც შიდა და გარე ექსპანსიის ამ ფაზაში, ისევე ამოძრავებდა უფრო მდიდარ და ძლიერ რაინდებს, როგორც ღარიბებს; ისინი სულ ფრთხილობდნენ სხვების გაძლიერების გამო და გამუდმებით ისწრაფოდნენ საკუთარი ქონების გაზრდისაკენ. როცა საზოგადოება პირველად მოდის მოძრაობაში მიწის ამოწურვის და მოსახლეობის ზეწოლის გამო, ის ვინც არ იბრძვის, მაშინ როცა სხვები იბრძვიან, ვინც მხოლოდ თავის ქონებას იცავს, მაშინ როცა სხვები ქონების გაზრდაზე ზრუნავენ, საბოლოოდ, აუცილებლად უფრო „პატარა“ და უფრო სუსტი აღმჩნდება სხვებთან შედარებით. ის მუდმივი და მზარდი საფრთხის ქვეშაა უახლოეს, ხელსაყრელ შემთხვევაში მათ მორჩილებაში მოექცეს. ამ ეპოქის მდიდარი რაინდები და ტერიტორიული მმართველები ამას ასე თეორიულად და განზოგადებულად ვერ განიხილავდნენ, როგორც ეს აქაა გამოთქმული, მაგრამ ისინი ძალზე კონკრეტულად ხედავდნენ თავიანთ უძლურებას, როცა მათ გვერდით უფრო დიდი მიწებისა და ძალაუფლების მფლობელები იყვნენ ან როცა სხვები მათ მეზობლად ახალ მიწებს და ახალ სამფლობელოებს იძენდნენ. ეს შეიძლება ვაჩვენოთ ჯვაროსანთა მხედართმთავრების მაგალითზე, თუნდაც გოტფრიდ ფონ ბულონის მაგალითზე, რომელიც თავის მშობლიურ მამულს ყიდის და აგირავებს, რათა შორს ახალი, უფრო დიდი მამული ეძებოს და რომელიც სინამდვილეში იმპერიას აღმოაჩენს. უფრო გვიანდელი ეპოქის მაგალითს წარმოადგენენ ჰაბსბურგები, რომლებიც ფაქტიურად, კაიზერის

მსგავსად, შეპყრობილი იყვნენ თავიანთი „სახლის ძალაუფლების“ გაზრდით, მაგრამ რომლებიც, კაიზერის მსგავსადვე, საკუთარი სახლის ძალაზე დაყრდნობის გარეშე, ფაქტიურად, სრულებით უძლურნი იყვნენ. სწორედ მისი სიღარიბისა და უძლურების გამო განიხილებოდა ამ პოზიციაზე ამ სახლის პირველი კაიზერი ძლიერი და თავისი ძალაუფლებისათვის ეჭვიანად მებრძოლი ტერიტორიული მმართველების მიერ. განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ამის ჩვენება იმ მნიშვნელობის გახსენებით შეგვეძლო, რაც ნორმანელ ჰერცოგთა მიერ ინგლისის დაპყრობას ჰქონდა დასავლეთ-ფრანკული იმპერიის განვითარებისათვის. ფაქტიურად, ტერიტორიულ მმართველთა ძალაუფლების ეს ნამატი ნიშნავდა წონასწორობის სრულ გადანაცვლებას ტერიტორიულ სამფლობელოთა კავშირის შიგნით, რომელსაც ეს იმპერია წარმოადგენდა. ნორმანელთა ჰერცოგმა, რომელმაც თავის საკუთარ ტერიტორიაზე, ნორმანდიაში არანაკლებ იწვნია ცენტრიდანული ძალების მოქმედება, ვიდრე ყველა სხვა ტერიტორიულმა მმართველმა, ინგლისი დაიპყრო არა საერთოდ ნორმანების, არამედ თავისი საკუთარი სახლის გაძლიერებისათვის. და ინგლისის მიწების ახალი განაწილება მეომრებზე, რომლებიც მასთან ერთად მოვიდნენ, იმაზე იყო გათვლილი, რომ თავის ახალ სამფლობელოში ხელი შეეშალა ცენტრიდანული ძალების მოქმედებისათვის და თავიდან აეცილებინა უფრო დიდი ტერიტორიული სამფლობელოების შექმნა ინგლისის მიწაზე. ის, რომ მას მიწები თავისი რაინდებისათვის უნდა დაერიგებინა, თავისთავად ცხადი იყო და ამას უკვე მოითხოვდა მართვის აუცილებლობა; მაგრამ ის თავს არიდებდა ვინმესათვის ჩაკეტილი, დიდი სამფლობელოს გამოყოფას. ის უფრო მაღლა მდგომებსაც, რომელთაც თავიანთი მხარდაჭერისათვის შეეძლოთ უფრო მეტი მოგება მოეთხოვათ, მთელ ქვეყანაში მეტ-ნაკლებად გაბნეულ მიწებს უთმობდა.[31]

ამავე დროს ამ დაპყრობით ის ავტომატურად ამაღლდა დასავლეთ-ფრანკული იმპერიის ყველაზე ძლიერ ტერიტორიულ მმართველამდე. ადრე თუ გვიან, ეს მის სახლსა და ჰერცოგის, მეფის ტიტულის მფლობელ სახლს შორის ამ იმპერიაში პირველობისათვის ბრძოლამდე და თავად მეფის გვირგვინისათვის ბრძოლამდე უნდა მისულიყო. და ჩვენ ვიცით, რამდენად არის განსაზღვრული განვითარება შემდგომ საუკუნეებში ილ-დე ფრანსის ჰერცოგსა და ნორმანელთა ჰერცოგს შორის ამ ბრძოლით, როგორ ათანაბრებდნენ ძალთა წონასწორობის ცვლილებას Isle de France–ს მბრძანებლები თავის მხრივ ნელ-ნელა ახალი მხარეების მოპოვებით და როგორ ყალიბდება საბოლოოდ ამ ბრძოლებში არხის ორივე მხარეს ორი განსხვავებული სამფლობელო და ორი განსხვავებული ერი. მაგრამ ცხადია, ეს არის შუა საუკუნეების ამ მართლაც მძლავრი, დინამიური ფაზის ავტომატიზმების ამსახველი მაგალითებიდან მხოლოდ ერთ-ერთი. ეს ავტომატიზმები როგორც მდიდარ, ისე უფრო ღარიბ რაინდებს ახალი მიწების მოპოვებისაკენ უბიძგებს.

19. გზა, რომელზედაც ადამიანთა მზარდ რაოდენობას და მუდმივ საკუთრებაში არსებულ მიწებს შორის დისპროპორციულობა, ამ საზოგადოებრივი ექსპანსიის მოტორები მებატონეთა ფენის დიდ ნაწილს ახალი მიწების დაუფლებისაკენ უბიძგებდა, ქვედა ფენის ადამიანთათვის, მომუშავეთათვის დიდწილად ჩაკეტილი იყო. იძულებებს, რომლებიც აქ ადამიანებს მიწას მოწყვეტდა, უმეტესად სხვა მიმართულებით მიჰყავდა პროცესი, კერძოდ, შრომის დიფერენ-ცირების მიმართულებით. როგორც ითქვა, მიწას მოწყვეტილი, არათავისუფალნი ქმნიდნენ მასალას ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ქალაქებისა და ხელოსანთა დასახლებებისათვის, ეს ხელოს-ნები თანდათანობით თავს იყრიდნენ კარგი მდებარეობის მქონე საბატონო სასახლის გარშემო.

ადამიანთა უფრო დიდ აგლომერაციას (ალბათ, სიტყვა „ქალაქი" არასწორ სურათს ქმნის), ადგილი ჰქონდა უკვე მე-9 საუკუნის ნატურა-ლური მეურნეობის საზოგადოებაში. მაგრამ ესენი არ იყვნენ ის თემები, რომლებიც „ნაცვლად მიწის გადამუშავებისა, უფრო მეტად, ხელოსნობითა და ვაჭრობით ცხოვრობდნენ ან რაიმე განსაკუთრებული უფლებები და განსაკუთრებული ინსტიტუტები ჰქონდათ".[32] ეს იყო დიდ ბატონთა ციხე-სიმაგრეები და ამავე დროს, სასოფლო-სამეურნეო მმართველობის ცენტრები. უწინდელმა ქალაქებმა დაკარგა თავიანთი ერთიანობა. მათ ნაცვლად სახეზე იყო ერთმანეთის გვერდით არსებული მიწის ნაკვეთები, ჯგუფები, რომლებიც ძალზე ხშირად სხვადასხვა რაინდს და ამდენად, სხვადასხვა მამულს ეკუთვნოდა, საეროს თუ სასულიეროს და რომელთაგან ყოველს თავიანთი კერძო სამეურნეო ცხოვრება ჰქონდა. ნებისმიერი სამეურნეო აქტივობა შემოსაზღვრული იყო სამამულო მეურნეობით, ფეოდალის დომენით. პროდუქციის შექმნა და მოხმარება ძირითადად, ერთ ადგილზე ხდებოდა.[33]

მაგრამ, მე-11 საუკუნეში ეს სტრუქტურები მატულობს. აქაც, ისევე როგორც უმეტესი რაინდული ექსპანსიებისას (თუმცა, აქ არათავისუფალთა ფენაში), თავდაპირველად არაორგანიზებულმა ინდივიდებმა შექმნეს სამუშაო ძალის სიჭარბე და მოწყდნენ სასო-ფლო ცენტრებს. მომუშავეთა და მემამულეთა დამოკიდებულება ახალმოსულთა მიმართ, რომლებმაც ყველა შემთხვევაში მანამდე რომელიმე სხვა მამული მიატოვეს, ყოველთვის ერთგვაროვანი არ იყო.[34] ზოგჯერ, ისინი მათ თავისუფლების გარკვეულ მინიმუმს აძლევდნენ; უმეტეს შემთხვევაში, მათგან მოელოდნენ და მოითხოვდნენ იმავე სამსახურსა და გადასახადებს, როგორც სხვა ყმებისა და მემამულეზე დამოკიდებული გლეხებისაგან. მაგრამ, ამგვარ ადამიანთა უფრო მრავალრიცხოვანი თავმოყრა ცვლიდა ძალთა თანაფარდობას მებატონეებსა და ქვედა ფენის ადამიანებს შორის. ახლადმოსულები ძლიერდებიან მათი შეკავშირებულობის

წყალობით და ისინი ძალით მოიპოვებენ თავიანთ ახალ უფლებებს ყველგან, სისხლიან და ხშირად, მართლაც ხანგრძლივ ომებში. ყველაზე ადრე ეს ბრძოლები იტალიაში იფეთქებს, ცოტა გვიან კი ფლანდრიაში; 1030 წელს – კრემონაში, 1057 – მილანში, 1069 – მანსში, 1077 - კამბრში, 1080 – სენ-ქვენტინში, 1099 – ბოვეში, 1108 – 1109ნნ. – ნუაიონში, 1112 – ლანეში, 1127 წელს – სენ-ომერში. ეს თარიღები, რაინდული ექსპანსიის თარიღებთან ერთად, სულ ცოტა, გარკვეულ ზოგად წარმოდგენას გვიქმნის იმ შინაგანი დაძაბულობების შესახებ, რომლებსაც ამ ფაზაში მოძრაობაში მოჰყავს საზოგადოება. საუბარია მომუშავეთა, ქალაქის მცხოვრებლების პირველ განმათავისუფლებელ ბრძოლებზე. ის, რომ მათ რამდენიმე დამარცხების შემდეგ საბოლოოდ ყველგან, ევროპის სხვადასხვა მხარეში, თავიანთი უფლებები, ჯერ მცირე, შემდეგ კი მეტი თავისუფლება მოიპოვეს მეომართა ფენის წარმომადგენლებთან ბრძოლაში, აჩვენებს იმ შანსების სიდიდეს, რასაც მათ სოციალური განვითარება აძლევდა. და ეს თავისთავადი მოვლენა, მომუშავე, დაბალი ფენებიდან ეს ნელი აღმასვლა პოლიტიკურ დამოუკიდებლობამდე, შემდეგ საბოლოოდ, პირველ რიგში პროფესიული ბურჟუაზიის სახით – პოლიტიკურ მართვამდე, მოიცავს გასაღებს თითქმის ყველა იმ სტრუქტურული თავისებურებისათვის, რომლითაც დასავლური საზოგადოებანი განსხვავდება აღმოსავლურთაგან და რომლითაც ისინი თავიანთ სპეციფიკურ თვისებებს შეიძენენ.

მე-11 საუკუნის დასაწყისში არსებობს მხოლოდ ორი კლასი: თავისუფალი ადამიანებისა—მეომრებისა ან წარჩინებულთა და სასულიეროთა. მათ ქვემოთ დგანან მხოლოდ ყმები— არათავისუფალნი და ნახევრად თავისუფალნი; არსებობს „ceux qui prient, ceux qui combattent, ceux qui travaillent".[35]

1200 წლისათვის, ე.ი. ორი საუკუნის ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მხოლოდ საუკუნენახევრის განმავლობაში, როცა ყამირის ათვისებასა და კოლონიზატორული მოძრაობის გაძლიერებასთან ერთად, 1050 წლიდან განსაკუთრებით ჩქარდება ეს პროცესიც, ხელოსანთა მთელმა რიგმა დასახლებებმა, კომუნებმა გარკვეული უფლებების, იურისდიქციის, პრივილეგიებისა და ავტონომიის აღიარებას მიაღწიეს. თავისუფალთა მესამე ფენა სხვების გვერდით გამოდის. საზოგადოება მიწების უკმარობისა და მოსახლეობის ზრდის გავლენით ექსპანსიას ახორციელებს არა მხოლოდ შორეულ ტერიტორიებზე, არამედ გარკვეულწილად ქვეყნის შიგნითაც; ის დფერენციაციას განიცდის; მასში წარმოიქმნება ახალი უჯრედები და მასთან ერთად, ახალი ორგანოები, ქალაქები.

20. მაგრამ შრომის მზარდ დიფერენციაციასთან, ახალ, უფრო დიდ ბაზრებთან ერთად, რომლებიც აქ ჩნდება, დიდ მანძილებზე გაცვლის ნელ პროცესთან ერთად იზრდება მოთხოვნა მობილურ და ერთიან გაცვლის საშუალებაზე. მაშინ როცა ყმებს და უმიწო გლეხებს ბატონისათვის თავიანთი გადასახადები მოჰქონდათ, როცა ჯაჭვები

მწარმოებელთა და მომხმარებელთა შორის ძალიან მოკლე იყო და არ არსებობდა შუალედური რგოლები, საზოგადოებას არ ესაჭიროებოდა საანგარიშო ერთეული, გაცვლის ერთეული, რომელთანაც გაირკვეოდა ყველა სხვა გაცვლილი ობიექტის მიმართება, როგორც საერთო საზომთან. მაგრამ უკვე, მამულის სამეურნეო ერთიანობიდან გადამამუშავებელთა თანდათანობით გამოცალკევების შემდეგ, დამოუკიდებელი სამეურნეო საწარმოების წარმოქმნისა და პროდუქციის რამდენიმე ხელში, გრძელი ჯაჭვის გავლით განხორციელებული გაცვლის შედეგად, რთულდება გაცვლითი აქტების ქსელი. საჭიროა ერთიანი მობილური საზომი, გაცვლის ობიექტი, რომელთანაც შეიძლება დადგინდეს ყველა სხვა ობიექტის მიმართება, როგორც მათ საზომთან. მას შემდეგ, რაც შრომის დიფერენციაცია და გაცვლა უფრო რთული და გაცხოველებული ხდება, საჭიროა მეტი ფული. ფული, ფაქტიურად, არის სოციალური ქსელის ინკარნაციაც, გაცვლითი აქტებისა და ადამიანთა ჯაჭვების ქსელის სიმბოლო, ქსელისა, რომელშიც ნატურალური მდგომარეობიდან დოვლათი მოხმარებამდე მიდის. ეს პირველად საჭირო ხდება მაშინ, როცა გაცვლა-გამოცვლის საზოგადოებაში უფრო გრძელი ჯაჭვები წარმოიქმნება, მაშასადამე, მოსახლეობის განსაზღვრული სიმჭიდროვის, უფრო მეტი სოციალური გადაჯაჭვულობის და დიფერენციაციის შემთხვევაში.

აქ შორს წაგვიყვანდა იმ საკითხის გამოკვლევა, როგორ გადაინაცვლა უკანა პლანზე გვიანდელი ანტიკურობის სხვადასხვა მხარეში საფინანსო-სამეურნეო ურთიერთობებმა და როგორ მოხდა მათი ხელახალი წინ წამოწევა მე-11 საუკუნიდან. მაგრამ შენიშვნა კითხვის მიმართულების შესახებ ზემოთქმულთან კავშირში აუცილებელია.

ცხადია, საჭიროა იმაზე მითითება, რომ ფული სინამდვილეში მთლიანად არასოდეს გამოსულა ხმარებიდან ევროპის შედარებით ძველ დასახლებათა რეგიონში. მთელი ამ დროის განმავლობაში ნატურალური მეურნეობის სფეროში, საფინანსო-სამეურნეო ანკლავების და ამას გარდა, მთელი კაროლინგური სფეროს ფარგლებს გარეთ, არსებობდა ძველი რომის იმპერიის ოლქები, სადაც ფულის მიმოქცევა იმდენად არასოდეს გადასულა უკანა პლანზე, როგორც აქ. მაშასადამე, სრული უფლება გვაქვს დაისვას კითხვა ქრისტიანულ დასავლეთში საფინანსო მეურნეობის „ანტეცედენციების" შესახებ, იმ ანკლავების შესახებ, რომელშიც ის არასოდეს გამქრალა; შეიძლება ვიკითხოთ; საიდან წარმოიშვა საფინანსო მეურნეობა? რა არის მისი საწყისები? ვისგან სწავლობენ კვლავ ფულის მოხმარებას? და ეს კითხვის დასმა, გამოკვლევის მიმართულება ღირებულია, რადგან, სინამდვილეში, ძნელი წარმოსადგენია, რომ ეს ინსტრუმენტი ასე სწრაფად შემოსულიყო ისევ ხმარებაში, სხვა, მანამდე ან მეზობლად არსებულ ცივილიზაციებში ფართოდ რომ არ ყოფილიყო განვითარებული, ან საერთოდ არ რომ სცნობოდათ.

მაგრამ არსებითი მხარე კითხვისა, დასავლურ სამყაროში ფულის

მიმოქცევის კვლავ მატების შესახებ, ამით პასუხგაცემული არ იქნება. გამოსარკვევი რჩება, რატომ სჭირდებოდა დასავლურ საზოგადოებას თავისი განვითარების ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე შედარებით ნაკლები ფული და რატომ გაიზარდა საზოგადოებაში კვლავ ნელ-ნელა ფულზე მოთხოვნა და შემდეგ ფულის მოხმარებაც, მის ყველა გარდამქმნელ შედეგებთან ერთად. აქ კითხვა უნდა დაისვას მამოძრავებელი, ცვლილებების გამომწვევი ფაქტორების შესახებაც. და ეს კითხვა უპასუხოდ დარჩება, თუ მხოლოდ საფინანსო მეურნეობის ანტეცედენციებს, ფულისა და საფინანსო მეურნეობის წარმოშობას გამოვიკვლევთ. მასზე პასუხი გაიცემა მხოლოდ მაშინ, თუ აქტუალურ, სოციალურ პროცესებს შევისწავლით, რომლებსაც გვიანდელ, ანტიკურ სამყაროში ფულის მიმოქცევის ნელი კლების შემდეგ ახალი ადამიანური ურთიერთობები, ინტეგრაციისა და გადაჯაჭვის ფორმები მოჰქონდა. ეს უკანასკნელნი, თავის მხრივ, განაპირობებდნენ ფულზე მოთხოვნის ზრდას: საზოგადოების უჯრედული აგებულება დიფერენციაციას განიცდიდა. ერთი გამოხატულება ამისა იყო ფულის მოხმარების კვლავ მატება. მაშინვე გასაგები ხდება ის, რომ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა არა მხოლოდ შიდა ექსპანსია, არამედ გადასახლებისა და კოლონიზატორული მოძრაობებიც, სწორედ საკუთრების მობილიზების, ახალ მოთხოვნილებათა აღძვრის, დიდ მანძილებზე სავაჭრო ურთიერთობათა დამყარების გზით. ყოველი ერთეული მოძრაობა პროცესთა მთელ თამაშში სხვებზე შემაკავებლად ან გამაძლიერებლად უკუქმედებს. მოძრაობათა და დაძაბულობათა ქსელი, აქედან მოყოლებული, სოციალურ დიფერენციაციასთან ერთად მნიშვნელოვნად რთულდება. ცალკეული ფაქტორების აბსოლუტური იზოლირება შეუძლებელია. მაგრამ თავად საზოგადოების შიგნით დიფერენცირების, მიწების მტკიცე ხელში გადასვლის, მოსახლეობის ძლიერების გაჩენის გარეშე, საზოგადოებაში არასოდეს აიწევდა ასე მკვეთრად მოთხოვნა ფულზე, ვერასოდეს შეძლებდა საფინანსო-სამეურნეო ურთიერთობათა სექტორი კვლავ გაზრდილიყო ასე სწრაფად. შეუძლებელია ფულის, მისი მოხმარების შემცირება თუ მატება თავისთავად გავიგოთ. ის ყოველთვის მხოლოდ ადამიანებიდან, მხოლოდ ადამიანურ ურთიერთობათა სტრუქტურიდან უნდა ავხსნათ. აქ, ამ გარდაქმნების პირველადი ძალები ადამიანურ ინტეგრაციათა ცვლილებებში უნდა ვეძებოთ. სავსებით ნათელია, რომ ფულის მოხმარება, მას შემდეგ, რაც ერთხელ უკვე ზრდა განიცადა, თავის მხრივ, კვლავ აჩქარებდა მთელს ამ მოძრაობას, მოსახლეობის რიცხვის მატებას, დიფერენცირებას, განსაზღვრულ სიჭარბის წერტილამდე ქალაქების ზრდას.

„მე-11 საუკუნის დასაწყისი ჯერ კიდევ ფულის დიდი ტრანსაქციების ნაკლებობით გამოირჩევა. სიმდიდრე გარკვეულწილად უძრავადაა თავმოყრილი ეკლესიისა და საერო ფეოდალთა ხელში“.[36]

შემდეგ თანდათანობით იზრდება მოთხოვნილება მიმოქცევის

უნარმქონე გაცვლის საშუალებაზე. მოჭრილი ფული, რომელიც სახეზეა, არ არის სამარისი. თავდაპირველად მიმართავენ დამხმარე საშუალებას, გაცვლას აწარმოებენ ძვირფასი ლითონის ფირფიტებით და სამკაულებით, რომლებსაც წონიან, რათა გამოსათვლელი ერთეული ჰქონდეთ; ღირებულების საზომის როლი შეიძლება ცხენებმაც ითამაშონ, მზარდი მოთხოვნილების შესაბამისად შემოდის ახლად მოჭრილი ფული, რაც განსაზღვრული წონის მქონე, ავტრიტეტებით ბეჭედდასმულ, კეთილშობილი ლითონის ნაჭრებს გულისხმობდა. სავარაუდოა, რომ მიმოქცევად გაცვლის საშუალებებზე მზარდი მოთხოვნის პროცესი სხვადასხვა საფეხურებზე მეორდებოდა. ალბათ, გაცვლა ნატურალური და ნახევრად ნატურალური დამხმარე საშუალებებით ყოველთვის ხელახლა პოულობდა გავრცელებას, როცა მონეტების მარაგი გაზრდილი მოთხოვნილებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდებოდა. ნელ-ნელა ადამიანურ მოქმედებათა მზარდი დიფერენციაციის და გადაჯაჭვულობის, მზარდი სავაჭრო და გაცვლითი მოცულობის წყალობით იზრდებოდა მონეტების მოცულობა და პირიქით. ამასობაში, მუდმივად ხელახლა წარმოიქმნებოდა დისპროპორციონალობები.

შემდგომ, მე-13 საუკუნის მეორე ნახევარში, ადრე თუ გვიან, ძალზე მნიშვნელოვანი ხდება მოძრავი ქონება. ის საკმაოდ სწრაფ მიმოქცევაშია [37] „ინსტრუმენტების სერიის წყალობით, რომლებიც ამ დროს შეიქმნა". ეს იყო საკუთარი მოჭრილი ოქროს ფული. მანამდე საფრანგეთში, ისევე როგორც აქამდე აბისინიაში, არ იყო მოჭრილი საკუთარი ოქროს ფული; რაც მიმოქცევაში იყო ან ხაზინაში ინახებოდა, იყო ბიზანტიური ოქროს მონეტები, შემდგომ ხურდა ფული, ვექსილი, თამასუქი. ყველაფერი ეს იმის სიმბოლოებია, როგორ მჭიდროვდებოდა გაცვლითი ჯაჭვების უხილავი ქსელი.

21. მაგრამ როგორ დამყარდებოდა გაცვლითი ურთიერთობები სხვადასხვა ადგილებსა და მხარეებს შორის და შრომის დიფერენცირება ლოკალური სფეროს საზღვრებს იქით, თუ სატრანსპორტო საშუალებები მიუწვდომელი იყო, ხოლო საზოგადოებას არ შესწევდა უნარი დიდ მანძილებზე ტვირთების გადატანისა?

უკვე კაროლინგების ეპოქის მაგალითები უჩვენებს, როგორ უნდა ემოგზაურა მეფეს თავისი სასახლის კარით ერთი ადგილიდან მეორეზე, რათა თავისი მამულების პროდუქტები ადგილზე შეეჭამათ. რა მცირეც უნდა ყოფილიყო ეს სასახლის კარის მეურნეობა თვით ადრეული, აბსოლუტური ფაზის სასახლის კარის მეურნეობებთან შედარებით, მაინც იმდენად საძნელო იყო გამოსაკვებად საჭირო დოვლათის მასის გადატანა ერთი ადგილიდან მეორეზე, რომ ამჯობინებდნენ თავად ადამიანებს ემოძრავათ დოვლათის მიმართულებით.

მაგრამ იმავე პერიოდში, როცა მოსახლეობა, ქალაქები, გადაჯაჭვულობა და მათი ინსტრუმენტები უფრო მძლავრად და საგრძნობლად იზრდებოდა, ვითარდებოდა სატრანსპორტო საშუალებებიც.

ცხენის აღკაზმულობა, როგორც გამწევი და ტვირთის მზიდავი ცხოველისა, ზოგადად, ძველ სამყაროში ნაკლებად იყო შექმნილი გრძელ მანძილებზე მძიმე ტვირთის გადასატანად. საკითხავია, რა მანძილის დაძლევა და რა ტვირთის ტარება შეეძლოთ ამით, მაგრამ, გადატანის ეს სახე აშკარად აკმაყოფილებდა ანტიკური მეურნეობის მოთხოვნებსა და სტრუქტურას ქვეყნის შიგნით. მთელი ანტიკურობის მანძილზე სახმელეთო ტრანსპორტი, წყლის ტრანსპორტთან შედარებით, განსაკუთრებით ძვირი,[38] ხანგრძლივი და საძნელო რჩებოდა. პრაქტიკულად ყველა დიდი სავაჭრო ცენტრი ზღვის ან სანაოსნო მდინარეების პირას მდებარეობდა. ძირითადი მიმოსვლის ეს ცენტრირება წყლის არტერიების გარშემო არანაკლებ მახასიათებელი იყო ანტიკური ხანის საზოგადოების სტრუქტურისათვის. აქ, სანაოსნო გზების გასწვრივ და პირველ ყოვლისა, ზღვის სანაპიროზე წარმოიშობოდა მდიდარი და ნაწილობრივ, განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლებული ქალაქური ცენტრები, რომელთა მოთხოვნა კვების პროდუქტებზე და ფუფუნების საგნებზე ძალზე ხშირად, მართლაც, მოშორეული ადგილებიდან კმაყოფილდებოდა და რომლებიც საკვანძო სადგურს, ერთ რგოლს ქმნიდნენ ფართო გაცვლითი მიმოქცევის დიფერენცირებულ ჯაჭვებში. მათ უკან მდებარე უზარმაზარ სივრცეებში, რომლებიც არსებითად ღია იყო შორეული მიმოსვლისათვის, ე.ი. რომაული იმპერიის უმეტეს ნაწილში, მოსახლეობა თავის პირველად მოთხოვნილებას უშუალოდ ახლომდებარე რეგიონების პროდუქციით იკმაყოფილებდა; აქ უპირატესად გაცვლის მოკლე ჯაჭვებს ჰქონდა ადგილი, მაშასადამე, დაახლოებით იმას, რასაც ჩვენ ცოტა არადიფერენცირებულად „ნატურალურ-სამეურნეო ურთიერთობებს" ვუწოდებთ. აქ ფული შედარებით ნაკლებად იყო ხმარებაში; და ფუფუნების საგნებთან მიმართებაში ამ ნატურალურ-სამეურნეო სექტორის მსყიდველობითი ძალა მეტისმეტად მცირე იყო. მაშასადამე, კონტრასტი პატარა, საქალაქო სექტორსა და ძლიერ, კონტინენტურ სფეროებს შორის აშკარად იგრძნობოდა. სანაოსნო გზების გასწვრივ არსებული დიდი ქალაქის დასახლებანი, წვრილი, ნერვული კაპილარების მსგავსად იყო განტოტვილი სოფლის უფრო დიდ ტერიტორიებზე და თავისკენ გადმოქაჩავდა მათ ძალებს, მათ შრომის პროდუქტებს, სანამ ცენტრალიზებული მმართველობის აპარატურის დანგრევასთან ერთად და ნაწილობრივ, პროვინციული ელემენტების ქალაქის მმართველებთან ბრძოლაში, აგრარული სექტორი კვლავ არ გათავისუფლდა ქალაქების უწინდელი ბატონობისაგან, სანამ ეს წვრილი, ძლიერად დიფერენცირებელი, დიდი ქალაქების სექტორი, თავისი ფართო კავშირებით არ განადგურდა და ცოტა შეცვლილი ფორმით, მოკლე, რეგიონალურად შემოფარგლულმა გაცვლითმა კავშირებმა და ნატურალურ-სამეურნეო ინსტიტუტებმა არ ჩაანაცვლა. მაგრამ ანტიკური საზოგადოების ამ ძირითად, ქალაქურ სექტორში არ არსებობდა მოთხოვნილება, სახმელეთო ტრანსპორტის შემდგომი

განვითარებისა. ყველაფერი, რაც მისთვის საკუთარ ქვეყანას არ შეეძლო ან მხოლოდ ძვირი სატრანსპორტო ფასებით შეეძლო მიეწოდებინა, უფრო მოხერხებულად მათ სანაოსნო გზით შემოჰქონდათ.

მაგრამ კაროლინგების ეპოქაში, ხალხთა დიდი გაერთიანება, უპირველეს ყოვლისა, არაბული ექსპანსიის შედეგად, უკვე მოწყვეტილი იყო ძველი სამყაროს ძირითად სატრანსპორტო მაგისტრალს, ხმელთაშუა ზღვას. ხმელთაშუა ზღვისპირეთიდან ამ მოწყვეტის გამო სახმელეთო მიმოსვლა, ქვეყნის შიდა კავშირები სულ სხვა მნიშვნელობას იძენდა, ვიდრე უწინ. ქვეყნის შიდა სახმელეთო კავშირების ზრდა ბიძგს აძლევდა სახმელეთო მიმოსვლის საშუალებათა განვითარებას, რომლითაც ამავე დროს, კვლავ ახალი კავშირები და გაცვლა-გამოცვლა ხორციელდებოდა ამ მიმართულებით. და მაშინაც კი, როცა ანტიკური ხანის მსგავსად, მაგალითად, ვენეციასა და ბიზანტიას შორის არსებული მიმოსვლის ანალოგიური საზღვაო კავშირები ფლანდრიის ქალაქებსა და ინგლისს შორის ხელახლა იძენდა გადამწყვეტ მნიშვნელობას დასავლური სამყაროს შემდგომი სტიმულირებისათვის, დასავლური განვითარების სპეციფიკური ხასიათი არანაკლებ იყო იმ ფაქტით განსაზღვრული, რომ საზღვაო კავშირების ქსელი უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა სახმელეთო კავშირების ქსელს და რომ ქვეყნის შიდა ტერიტორიებზე თანდათანობით ვითარდებოდა უფრო დიდი სავაჭრო ცენტრები და ბაზრები. სახმელეთო ტრანსპორტის განვითარება ანტიკურობის დონეზე მაღლა ევროპის კონტინენტურ ტერიტორიებზე საზოგადოების დიფერენცირებისა და გადაჯაჭვულობის პროცესის განსაკუთრებით თვალსაჩინო მაგალითია.

ცხენის გამნევ ცხოველად გამოყენება, როგორც ითქვა, რომაულ სამყაროში დიდად განვითარებული არ იყო. ლაგამი ცხოველს კისერზე ეკიდა.[29] ალბათ, ეს ძალზე მოსახერხებელი იყო მხედრისათვის, რათა ცხენი დაემორჩილებინა და ადვილად ემართა. უკანგადაგდებული თავი, ცხენის „ამაყი პოზა", რომელსაც ხშირად ვხვდებით ანტიკურ რელიეფებზე, ლაგამის ამოდების ამ მანერას უკავშირდება. მაგრამ ეს მეთოდი ცხენს ან ჯორს შედარებით გამოუსადეგარსაც ხდიდა, როგორც გამნევ ცხოველს, განსაკუთრებით მძიმე ტვირთისათვის, რომელიც მას აუცილებლად კისერს მოუდრეკდა.

იგივე შეიძლება ითქვას ნალის ტიპის შესახებაც. ანტიკურ ხანაში არ არსებობდა დაჭედილი ნალი, რომელიც ცხენის ფეხს სრული გამძლეობის უნარს აძლევდა და გაწევისას მთელი მისი ძალის გამოყენებას შესაძლებელს გახდიდა.

ორივე ეს მომენტი მე-10 საუკუნიდან მოყოლებული ნელ-ნელა იცვლება. იმ ფაზაში, როცა ყამირის ათვისების ტემპი თანდათანობით ჩქარდება, საზოგადოება დიფერენციაციას განიცდის და ქალაქის ბაზრები ჩნდება, როცა ფული როგორც გადაჯაჭვულობის სიმბოლო კვლავ მოხმარებაშია, სახმელეთო ტრანსპორტიც, ცხოველების სამუშაო ძალის გამოყენების მოწყობილობაც, დიდ პროგრესს

განიცდის. და ამ გაუმჯობესებას, რა უმნიშვნელოც უნდა გვეჩვენებოდეს დღეს ის, ამ ფაზაში თითქმის ისეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, რაც სამანქანო ტექნიკის განვითარებას შემდგომ ფაზაში.

„კონკურენტულ სწრაფვაში", როგორც ითქვა,[40] მე-11 და მე-12 საუკუნეების განმავლობაში, ნელ-ნელა იზრდება ცხოველური შრომის გამოყენების სფერო. გასაწევი ტვირთის ძირითადი წონა კისრიდან ზურგზე გადმოინაცვლებს. ჩნდება რკინის ნალი. მე-13 საუკუნეში, პრინციპში, შექმნილია გაწევის თანამედროვე ტექნიკა ცხენისა და გამწევი ხარისათვის. საფუძველი ჩაეყარა სახმელეთო ტრანსპორტს, მძიმე ტვირთების დიდ მანძილზე გადასატანად. ამავე პერიოდში ჩნდება კარეტები და პირველი ქვაფენილი. სატრანსპორტო ტექნიკის განვითარებასთან ერთად მნიშვნელობას იძენს წყლის ნიქვილიც, რომელიც მას ანტიკურ ხანაში არ გააჩნდა. ახლა უკვე უღირდათ, დიდ მანძილზე წაეღოთ მოსავალი[41]. ესეც წინგადადგმული ნაბიჯი იყო დიფერენცირებისა და კავშირების დამყარების, მამულის ჩაკეტილი სივრციდან ფუნქციათა გამოყოფის გზაზე.

შუა საუკუნეების საზოგადოების სტრუქტურაში ანტიკურისაგან განსხვავებული რამდენიმე ახალი ელემენტის შესახებ

22. ქცევისა და ლტოლვითი სამყაროს ცვლილება, რასაც ჩვენ „ცივილიზაციას" ვუწოდებთ, უმჭიდროესად უკავშირდება ადამიანთა შორის უფრო ძლიერი გადაჯაჭვულობის დამყარებას და მათ მზარდ ურთიერთდამოკიდებულებას. იმ რამდენიმე მაგალითით, რომლებიც აქ იქნა მოყვანილი, გარკვეულწილად, შეიძლება ამ კავშირების ქმნადობის პროცესს მივადევნოთ თვალი. უკვე აქ, ამ შედარებით ადრეულ ფაზაში, დასავლური სამყაროს სოციალური კავშირები ანტიკურობასთან შედარებით გარკვეულ პუნქტებში სხვაგვარია. საზოგადოების უჯრედული აგებულება თავიდან იწყებს დიფერენცირებას და თანაც, იმის მრავალმხრივი გამოყენებით, რაც მაღალი დიფერენცირების წინა ფაზის ინსტიტუტებიდან მისაწვდომი დარჩა. მაგრამ ის პირობები, რომელშიც ეს განახლებული დიფერენცირება მიმდინარეობდა, დიფერენცირების ტიპი და მიმართულებაც, გარკვეული თვალსაზრისით, განსხვავებულია დიფერენცირების წინა ფაზის ტიპისა და მიმართულებისაგან.

საუბრობენ მე-11 ან მე-12 საუკუნეში „ვაჭრობის რენესანსის" შესახებ. და თუ ამაში ანტიკური ინსტიტუტების კვლავ გაცოცხლებას გულისხმობენ, ეს ცხადია, სწორია. ანტიკურობის მემკვიდრეობის გარეშე, პრობლემის დაძლევა და მოგვარება, რომლის წინაშეც საზოგადოება იდგა ამ განვითარების პროცესში, რა თქმა უნდა, ამგვარად ვერ მოხდებოდა. გარკვეული თვალსაზრისით, ეს იყო შენება ძველ ფუნდამენტზე. მაგრამ პროცესის მამოძრავებელი მექანიზმი „ანტიკურობისაგან სწავლაში" არ მდგომარეობდა. ის

თავად საზოგადოების შიგნით, ავტომატიზმებში იდო, იმ პირობებში, რომელშიც ადამიანები ერთმანეთს უნდა შეგუებოდნენ. და ეს პირობები, ეს ავტომატიზმებიც აღარ იყო იმდაგვარი, როგორც ანტიკურობის ფაზაში. ძალზე გავრცელებულია შეხედულება, თითქოს დასავლურმა საზოგადოებამ რენესანსით ჯერ ისევ „ანტიკურობის დონეს“ მიაღწია და შემდეგ თანდათანობით „გადააბიჯა მას“. მაგრამ იგულისხმება თუ არა ამ „გადაბიჯებაში“ „პროგრესი“, სტრუქტურული კანონზომიერებები და განვითარების მიმართულება, რომელიც ანტიკურობასთან მიმართებაში რაღაც ახალს წარმოადგენდა, ეს არა თავად რენესანსში, არამედ, გარკვეული სიცხადით, პირველად, ექსპანსიისა და ზრდის იმ ადრეულ ფაზაში გამოჩნდება, რომელზედაც აქ იყო საუბარი.

აქ ორი ამგვარი სტრუქტურული განსხვავება უნდა გამოიკვეთოს: დასავლური საზოგადოებას აკლდა სამხედრო ტყვეთა იაფი მუშახელი, მონები ან თუ ისინი აქა-იქ იყვნენ (სინამდვილეში იაფი მუშახელი რაღაც სახით ყოველთვის არსებობდა), საზოგადოების მთლიან სტრუქტურაში მაინც არ თამაშობდნენ რაიმე მნიშვნელოვან როლს. სოციალურ განვითარებას ეს დასაწყისშივე ახალ მიმართულებას აძლევდა.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო სხვა გარემოება, რომელიც უკვე ვახსენეთ. ახალი დასახლებანი აღმოცენდებოდა არა ზღვის ნაპირას და არა მაინცდამაინც მდინარეების გასწვრივ, არამედ ქვეყნის კონტინენტურ ძირითად ნაწილში, სახმელეთო მიმოსვლის არტერიებთან კავშირში. ორივე ეს მოვლენა, ძალზე ხშირად ისეთი პრობლემის წინაშე აყენებდა დასავლური საზოგადოების ადამიანებს, რომელთა გადაჭრა ანტიკურ საზოგადოებას არ სჭირდებოდა და რომელთა მოქმედებას სოციალური განვითარება ახალ რელსებზე გადაჰყავდა. ის, რომ მონები ნაკლებ როლს თამაშობდნენ დოვლათის გადამუშავებაში, მონათა დიდი ბანაკების არარსებობასთან ან მეომართა ფენის მოთხოვნებისათვის ადგილობრივი ყმების საკმარისად არსებულ რაოდენობასთან შეიძლება იყოს კავშირში. რაც არ უნდა ყოფილიყო, მონათა შრომის ნაკლები მნიშვნელობის გამო არ ფიგურირებდა არც მონათა ბაზრისათვის ტიპიური, სოციალური კანონზომიერებანი. ამ სხვა კანონზომიერებათა საფუძველზე დასავლურის თავისებურება პირველად შეიძენს თავის ნამდვილ შეფერილობას. მონათმფლობელურ საზოგადოებაში სხვაგვარად ვითარდება არა მხოლოდ შრომის დანაწილება, არამედ ადამიანთა კავშირები, ზედა და ქვედა ფენების ორმხრივი დამოკიდებულება და ამასთან ერთად, ამ ორივე ფენის ემოციური მდგომარეობა, ვიდრე იმ საზოგადოებაში, სადაც მეტ-ნაკლებად თავისუფალი შრომის შესაძლებლობაა. სოციალური დაძაბულობებიც და ფუნქციებიც აქ და იქ ერთგვაროვანი არ არის, თუნდაც მხედველობაში არ მივიღოთ თავისუფალი შრომის მნიშვნელობა შრომითი აპარატურის განვითარებისათვის.

იმ პროცესებთან მიმართებაში, რომლებიც დასავლურ სამყაროში ცივილიზაციას სპეციფიკურ სახეს აძლევს, აქ საკმარისი უნდა იყოს მოკლედ განვიხილოთ სხვა პროცესები, რომლებიც მონათა ჩამოყალიბებული ბაზრის მქონე საზოგადოებაში ვითარდება. პირველში ისინი არანაკლებ მაიძულებელია, ვიდრე მეორეში. დღევანდელი კვლევის რეზიუმეს სახით მონათა შრომაზე აგებული საზოგადოების მექანიზმები შემდეგი ფორმით შეიძლება შევაჯამოთ:[42]

»... Slave-labour interfres with the work of production by free-labour. It interfres in three ways: it causes the withdrawal of a number of men from production to supervision and national defence; it diffuses a general sentiment against manual labour and any form of concentrated activity; and more especially it drives free labourers out of the occupations in which the slaves are engaged. Just as, by Gresham's law, bad coins drive out good, so it has been found by experience that, in any given occupation or range of occupations, slave-labour drives out free; so that it is even difficult to find recruits for the higher branches of an occupation if it is necessary for them to acquire skill by serving an apprenticeship side by side with slaves in the lower.

This leads to grave consequences; for the men driven out of these occupations are not themselves rich enough to live on the labour of slaves. They therefore tend to form an intermediate class of idlers who pick up a living as best they can - the class known to modern economists as >mean whites< or >white trash< and to students of Roman history as >clientes< or >faex Romuli-, Such a class tends to emphasize both the social unrest and thé military and aggressive character of a slave-state...

A slave society is therefore a society divided sharply into three classes: masters, mean whites and slaves; and the middle class is an idle class, living on the community or on warfare, or on the upper.

But there is still another result. The general sentiment against productive work leads to a state of affairs in which the slaves tend to be the only producers and the occupations in which they are engaged the only industries of the country. In other words, the community will rely for its wealth upon occupations which themselves admit of no change or adaptation to circumstances, and which, unless they supply deficiencies of labour by breeding, are in perpetual need of capital. But this capital cannot be found elsewhere in the community. It must therefore be sought abroad: and a slave community will tend, either to engage in aggressive warfare, or to become indebted for capital to neighbours with a free-labour system ...«

თავისუფალ მუშახელს სამუშაოს აკარგვინებს არა იმდენად შეუფერებელი სამუშაო, არამედ მონების შრომა. არამომუშავე მონათმფლობელების გვერდით ყალიბდება არამომუშავე *საშუალო ფენა*. საზოგადოება მონების შრომის გამო მიჯაჭვულია შედარებით მარტივ შრომის აპარატურას, ტექნიკურ აპარატურას, რომელთაც შეიძლება მონები მოემსახურონ და რომელიც სწორედ ამიტომ ცვლილებას, გაუმჯობესებას, ახალ სიტუაციაზე მორგებას, შედარებით ძნელად ექვემდებარება. კაპიტალის კვლავწარმოება მონათა კვლავწარმოებას უკავშირდება, მაშასადამე, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ის საომარი პროცესების წარმატებაზე, მონათა რეზერვუარების ნაყოფიერებაზეა დამოკიდებული და არასოდეს არ არის იმ სუზუს-

ტით გამოთვლადი, როგორც იმ საზოგადოებაში, რომელშიც მთლიანად ადამიანს კი არ ყიდულობენ მთელი სიცოცხლის ხანგრძლივობით, არამედ ადამიანის ცალკეულ შრომით უნარებს, ადამიანებისა, რომლებიც სოციალურად მეტ-ნაკლებად თავისუფალნი არიან.

მხოლოდ ამის საფუძველზე გახდება გასაგები, რა მნიშვნელობა ჰქონდა მთელი დასავლური საზოგადოების განვითარებისათვის იმას, რომ ადრეულ შუა საუკუნეებში მოსახლეობის ნელ მატებასთან ერთად საგრძნობი იყო მონების ნაკლებობა ან ისინი, ყოველ შემთხვევაში, დიდ როლს არ თამაშობდნენ. საზოგადოება თავიდანვე სხვა რელსებზე იდგა, ვიდრე რომაული ანტიკურობის ხანაში[43] და განსხვავებულ კანონზომიერებას ემორჩილებოდა. მე-11 და მე-12 საუკუნის ქალაქის რევოლუციები, მიწას მოწყვეტილთა, მომუშავეთა და მოქალაქეთა თანდათანობითი გათავისუფლება რაინდ მემამულეთა ძალაუფლებისაგან, ამის პირველი გამოხატულებაა. აქედან მიემართება დასავლური სამყაროს თანდათანობითი გარდაქმნის პირველი ხაზი მომუშავე საზოგადოების, როგორც მთლიანისაკენ. მონათა იმპორტისა და მონათა შრომის არარსებობა მუშებს, როგორც ქვედა ფენას მნიშვნელოვან, სოციალურ წონას აძლევს. რაც უფრო წინ მიდის ადამიანთა გადაჯაჭვულობა და რაც უფრო მეტად ჩაერთვება მასთან ერთად მიწა და მიწის პროდუქტები სავაჭრო ცირკულაციის პროცესში, ფინანსურ კანონზომიერებაში, მით უფრო მეტად დამოკიდებულნი ხდებიან არამომუშავე ზედა ფენები, მეომრები თუ არისტოკრატია მომუშავე ქვედა და საშუალო ფენებზე, მით უფრო მეტად იძენენ ეს უკანასკნელნი სოციალურ ძალას; ბურჟუაზიული ფენების ზედა ფენებისაკენ სვლა ამ კანონზომიერების გამოხატულებაა. ანტიკურ მონათმფლობელურ საზოგადოებაში ქალაქის თავისუფალი ადამიანები, სულ ცოტა, მათი მნიშვნელოვანი წილი, ყოველთვის ჩამოშორებულია სამუშაოს. სწორედ ამის საპირისპიროდ, თავისუფალთა შრომის შედეგად ყველას ერთმანეთზე მზარდი დამოკიდებულება დასავლურ საზოგადოებაში იმ დროს არამომუშავე ზედა ფენასაც შრომის დანაწილების ცირკულაციაში ითრევს. დასავლური სამყაროს ტექნიკურ განვითარებას, ფულის „კაპიტალის" სპეციფიკურ ფორმად ჩამოყალიბებას, რაც დამახასიათებელია დასავლური სამყაროსათვის, წინ უძღოდა მონათა შრომის არარსებობა და თავისუფალი შრომის განვითარება.

23. მოკლედ რომ შევაჯამოთ, ეს არის ერთი მაგალითი დასავლური განვითარების ტენდენციებისა, რომელთაც შუა საუკუნეებიდან ახალი დროისაკენ მივყავართ.

არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ შუა საუკუნეებში დასახლებები ზღვის პირას არ შენდებოდა. მომთაბარე ტომების პირველ ბიძგებს, როგორც უკვე ითქვა, ევროპულ სივრცეში, სანაპირო და მით უფრო, ხმელთაშუა ზღვის კუნძულთა მხარეში ყოველთვის მეტი ინტენსივობის სავაჭრო კავშირებისა და უფრო დიდი სამხარეო

ერთეულების ინტეგრაციისაკენ მივყავართ. ეს სამართლიანია საბერძნეთთან და პირველ რიგში, რომთან მიმართებაში. რომაელთა მმართველობა თანდათან ვრცელდებოდა ხმელთაშუა ზღვის აუზის გარშემო და ყოველი მხრიდან მოიცავდა მას. „მისი უკიდურესი საზღვრები რაინზე, დონაუზე, ევფრატზე, საჰარაზე ქმნიდნენ უზარმაზარ დამცავ რკალს, რომელიც საიმედოდ იცავდა მისასვლელებს კუნძულთა სარტყელთან. უეჭველია, რომ რომის იმპერიისათვის, ზღვა პოლიტიკური და ეკონომიკური ერთიანობის საფუძველსაც შეადგენდა."[44]

გერმანელი ტომებიც წინ მოიწევენ ყოველი მხრიდან ხმელთაშუა ზღვისაკენ და თავის სამეფოებს აარსებენ რომის იმპერიის მხარეებში, ზღვის ნაპირას, რასაც რომაელებმა „mare nostrum" უწოდეს.[45] ფრანკები ასე შორს აღარ მიდიან. ისინი ყველა ზღვისპირა რეგიონს დაკავებულად თვლიდნენ და ცდილობდნენ ძალით გაჭრილიყვნენ წინ. ალბათ, ყველა ამ ცვლილებამ და ბრძოლამ შეარყია და შეასუსტა ხმელთაშუა ზღვის სანაპიროს კომუნიკაციები. სავარაუდოდ, არაბების შემოჭრით უფრო საფუძვლიანად განადგურდა ხმელთაშუა ზღვის, როგორც დამაკავშირებელი გზის, დამაკავშირებელი საშუალების, ევროპულ ტერიტორიაზე მთელი მაღალი კულტურული განვითარების საფუძველისა და ცენტრის მნიშვნელობა. სწორედ ამით ხდება შესაძლებელი დამაკავშირებელი ძაფების საბოლოოდ გაწყვეტა. რომაული ზღვის დიდი ნაწილი არაბული გახდა. „ბორკილები, რომელიც აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპას, ბიზანტიურ იმპერიას და დასავლეთით გერმანულ იმპერიებს ერთმანეთთან აკავშირებდა, დაიმსხვრა. „L'invasion de l'Islam... eut, en effet, pour conséquence de placer celles-ci dans des conditions qui n'avaient jamais existé depuis les premiers temps de l'histoire".[46] სხვაგვარად რომ ვთქვათ: ყოველ შემთხვევაში, აქამდე, ევროპის კონტინენტურ ნაწილში, დიდ მდინარეთა ხეობებს და რამდენიმე სამხედრო გზას თუ არ ჩავთვლით, არსად განვითარებულა უფრო დიფერენცირებული საზოგადოება და ასე მომეტებულად დიფერცირებული პროდუქცია.

უცებ ძნელი გადასაწყვეტია, მხოლოდ არაბთა შემოჭრა ქმნიდა თუ არა სინამდვილეში, ქვეყნის კონტინენტურ ნაწილზე ორიენტირებული განვითარების პირობებს. ალბათ, ამაში თავისი წვლილი უნდა შეეტანა ევროპული სივრცის შევსებას მომთაბარე ტომებით. მაგრამ დასავლური და ცენტრალური ევროპის საზოგადოების განვითარების მიმართულებისათვის ყველა შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა აქამდელი მოძრაობის ძირითადი არტერიების დროებით გადაკეტვას.

კაროლინგების ეპოქაში, ფაქტიურად პირველად, ძალიან შორს, ქვეყნის კონტინენტურ ნაწილში განთავსებული ცენტრის გარშემო იკვეთება ძლიერი რეგიონი. საზოგადოება დგას ამოცანის წინაშე,

უფრო ძლიერად განავითაროს ქვეყნის შიგა ნაწილის კომუნიკაციები. როცა საუკუნეთა განმავლობაში მათ შეძლეს ეს, ამ მხრივაც, ანტიკური მემკვიდრეობა ახალ პირობებში აღმოჩნდა ჩაყენებული. საფუძველი ჩაეყარა ფორმაციებს, რომელთაც ანტიკურობა არ იცნობდა. ამდენად, გასაგებია სხვაობა ანტიკური ინტეგრაციის ერთეულებს და სხვა ერთეულებს შორის, რომლებიც თანდათანობით ყალიბდებოდა დასავლურ სამყაროში: სახელმწიფოები, ერები, სულ ერთია, რაც არ უნდა ვუწოდოთ მათ, დიდწილად დაჯგუფებულნი არიან კონტინენტური ცენტრებისა თუ დედაქალაქების გარშემო და კონტინენტური არტერიების საშუალებით ერთმანეთთან დაკავშირებულ ხალხთა ჯგუფებს წარმოადგენენ.

მოგვიანებით, დასავლური ცენტრებიდან არა მხოლოდ ზღვის სანაპიროს და დიდი მდინარეების ხეობების გარშემო ტერიტორიათა კოლონიზაცია განხორციელდა და განვითარდა, არამედ დიდი კონტინენტური ტერიტორიის კოლონიზაციაც. დასავლური სამყაროს დიდი ფართობები დაკავებული და დასახლებული აღმოჩნდა. ამის წანამძღვრებს შეადგენდა კონტინენტური კომუნიკაციების ფორმების წარმოქმნა, რომლებიც არ იყო დამოკიდებული მონათა შრომაზე, თვით მშობლიურ ქვეყნებშიც კი. ამ განვითარების საწყისებიც შუა საუკუნეებში უნდა ვეძებოთ.

და თუ დღესაც საზოგადოების კონტინენტურ-აგრარული სექტორი გარკვეული ზომით, დიფერენცირებული შრომის დანაწილების და უფრო დატვირთული გაცვლითი კავშირების ცირკულაციაშია ჩართული, ისე როგორც არასოდეს, ამ განვითარების საწყისებიც სწორედ აქაა.

დღეს არავის შეუძლია თქვას, რომ დასავლური საზოგადოება, რომელიც ერთხელ უკვე დაადგა ამ გზას, აუცილებლად გააგრძელებს მას. ბერკეტების მთელი ქსელი, რომლის დანახვა დღეს ჯერ კიდევ შეუძლებელია, ემსახურებოდა იმას, რომ ეს საზოგადოება ამ გზაზე მდგარიყო და სტაბილური გამხდარიყო. მაგრამ მნიშვნელოვანია შევნიშნოთ, რომ ეს საზოგადოება უკვე აქ, ამ ადრეულ ეპოქაში, დაადგა გზას, რომელზედაც ის მას შემდეგაც დარჩა, ახალ დროში. ადვილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ კაცობრიობის განვითარების თვალსაზრისით, მთელი ეს პერიოდები, შუა საუკუნეები და ახალი დრო, ერთხელაც, ერთ მთლიან ეპოქად, ერთ დიდ „შუა საუკუნეებად" მოგვეჩვენება. და არანაკლებ მნიშვნელოვანია იმის დანახვა, რომ შუა საუკუნეები, ამ სიტყვის უფრო ვიწრო აზრით, არა მხოლოდ სტატიკური პერიოდი, რაღაც „ულრანი ტყე" იყო, როგორც ამას ხშირად აღწერენ, არამედ მასში არსებობდა ფაზები და სექტორები, რომელიც სავსე იყო მოძრაობით და თანაც სწორედ იმ მიმართულებით, რომლითაც შემდგომ ახალი ეპოქა მიდიოდა, კერძოდ, ეს იყო ექსპანსიის, პროგრესირებადი შრომის დანაწილების, სოციალური ტრანსფორმაციისა და რევოლუციების, შრომის იარაღების გაუმჯობესების ფაზები. სხვათა შორის, მათ გვერდით არსებობდა ფაზები და სექტორები, რომლებშიც ინსტიტუტები და

აზრები უფრო მყარდებოდა და გარკვეულწილად „გაქვავდებოდა“ კიდეც. მაგრამ ეს ცვალებადობაც სრული ექსპანსიის ფაზებსა და სექტორებს და იმ ფაზებსა და სექტორებს შორის, რომლებშიც ბრძოლა უფრო არსებულის შენარჩუნებისათვის მიდის, ვიდრე გაფართოებისა და შემდგომი განვითარებისათვის და რომლებშიც სოციალური ინსტიტუტები უფრო გამტკიცდება, უცხო არ არის ახალი დროისათვის, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოებრივი განვითარების ტემპიც და თვით ამ ცვალებადობის ტემპი საგრძნობლად მეტია, ვიდრე შუა საუკუნეებში.

ფეოდალიზმის სოციოგენეზისისათვის

24. საზოგადოების ექსპანსიურ პროცესებს თავისი საზღვრები აქვს. ადრე თუ გვიან, ისინი მყარ კალაპოტში ექცევიან. ექსპანსიური მოძრაობაც, რომელიც დაახლოებით მე-11 საუკუნეში დაიწყო, ნელ-ნელა შეჩერდა. დასავლეთ-ფრანკონელი რაინდისათვის უფრო და უფრო რთული ხდებოდა ყამირის ათვისებით ახალი მიწების მოპოვება. საზღვრის იქითა მიწები თითქმის აღარ იყო თავისუფალი და მხოლოდ მძიმე ბრძოლით შეიძლებოდა მათი ხელში ჩაგდება. პირველი წარმატებების შემდეგ წინ აღარ წასულა კოლონიზაცია ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე. მაგრამ მეომარი მოსახლეობა კვლავ მატულობდა. მებატონეთა ამ ფენის აფექტები და ლტოლვებიც უფრო ნაკლებად იყო შებოჭილი სოციალური დამოკიდებულებებით და ცივილიზაციის პროცესებით, ვიდრე მომდევნო ზედა ფენებისა. ჯერ კიდევ ნაკლებად იყო შერყეული მამაკაცების ქალებზე ბატონობა. „ამ ეპოქის ქრონიკების ყოველ გვერდზე მოხსენიებულნი არიან რაინდები, ბარონები, დიდი თავადები, რომელთაც რვა, ათი, თორმეტი და მეტი ვაჟი ჰყავთ“.[47] ეგრეთ წოდებული „ფეოდალური სისტემა“, რომელიც მე-12 საუკუნეში უფრო აშკარად გამოდიოდა წინა პლანზე და მე-13 საუკუნეში, გარკვეულწილად, მკვიდრდებოდა, სხვა არაფერია, თუ არა ექსპანსიის ამ მოძრაობის დამაგვირგვინებელი ფორმა საზოგადოების აგრარულ სექტორში; ქალაქურ სექტორში ეს მოძრაობა სხვა სახით უფრო დიდხანს არსებობს, სანამ ის თავის დასრულებულ ფორმას საამქროთა ჩაკეტილ სისტემაში არ იპოვნის. ამ საზოგადოების შიგნით ყველა მეომრისათვის, რომელიც აღარ ფლობს მიწის ნაკვეთს, მამულს, უფრო და უფრო რთული ხდება მიწის მიღება. იმ პატარა ოჯახებისათვის, რომლებიც მცირე მიწის საკუთრებას ფლობენ, უფრო ძნელდება ახალის მოპოვება და საკუთრების გაზრდა. საკუთრებითი ურთიერთობები მტკიცდება. დაწინაურება სულ უფრო რთულდება. ამავე დროს მყარად დადგინდება წოდებრივი განსხვავებანი მეომრებს შორის. იერარქია არისტოკრატიის ფენაში, რომელიც მიწის საკუთრების სიდიდეთა

რიგს გვაცნობს, უფრო და უფრო გამოიკვეთება. და სხვადასხვა ტიტულები, რომელიც მაშინ თანამდებობის ხარისხს ან როგორც დღეს ვიტყოდით, „მოხელეთა პოზიციას" აღწერდა, უკვე ახალ მნიშვნელობას იძენს: ისინი უკავშირდებიან გარკვეული სახლის სახელს, როგორც გამოხატულებას წარჩინებულის საკუთრების სიდიდისა და მისი სამხედრო ძლიერებისა. ჰერცოგთა სახლები არიან მემკვიდრენი მეფის სამსახურში მყოფი ადამიანებისა, რომელთაც ოდესღაც მეფე თავის წარმომადგენლად ნიშნავდა გარკვეულ ტერიტორიაზე; ისინი ნელ-ნელა თავად ხდებიან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ფეოდალები მთელს ამ ტერიტორიაზე და მეტ-ნაკლებად დიდი გაუსხვისებელი მამულის მფლობელები თავისი ტერიტორიის ფარგლებში. მათი მსგავსნი არიან გრაფები ანუ „comtes". "vicomtes" არიან შთამომავალნი იმ ადამიანებისა, რომლებიც გრაფმა დანიშნა უფრო პატარა მხარეში, როგორც ვიცე-გრაფები და რომელებიც უკვე განაგებენ ამ მომცრო მხარეს, როგორც თავის მემკვიდრეობით მიღებულ საკუთრებას. "Seigneurs" ანუ "Sires" არიან იმ კაცის შთამომავალნი, რომელიც გრაფმა უწინ დანიშნა რომელიმე ციხე-კოშკის ან სასახლის მეთვალყურედ ან რომელმაც ამ შედარებით პატარა ტერიტორიაზე, სადაც მეთვალყურედ იყო დანიშნული, თავად ააგო ციხე-სიმაგრე.[48] ახლა უკვე მისი სახლისათვის ციხე-კოშკი და გარშემო მდებარე მიწა სამემკვიდრო საკუთრებად იქცა. ყველა ინარჩუნებს იმას, რაც აქვს. ის აღარავის მისცემს ზემდგომთაგან ნებას, რაიმე წაართვან. ქვედა ფენებიდან კი არავის შეუძლია შეიჭრას მის ტერიტორიაზე. მიწა განაწილებულია. ის საზოგადოება, რომელიც შიდა და გარე ექსპანსიას ახორციელებს და რომელშიც დაწინაურება, მიწის მოპოვება ან მეტი მიწის მოპოვება სრულიადაც არაა ძნელი, მაშასადამე, შედარებით გახსნილი შანსებისა და პოზიციების მქონე საზოგადოება, რამდენიმე თაობის შემდეგ მეტ-ნაკლებად ჩაკეტილი პოზიციების საზოგადოებად იქცევა.

25. დაწინაურებისა და ექსპანსიის დიდი შესაძლებლობების მქონე ფაზებიდან სხვა ფაზებზე გადასვლებისას, სადაც დაწინაურებისა და სტანდარტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ნაკლები შანსები არსებობს, ადამიანები უფრო მაგრად დგანან თავიანთ პოზიციებზე და უფრო მტკიცე კავშირს ამყარებენ მსგავს მდგომარეობაში მყოფებთან. ამგვარ პროცესებს ხშირად აქვს ადგილი ისტორიაში. ჩვენ თავად ასეთი ტრანსფორმაციის პროცესში ვართ. ჩვენ მოდიფიცირებული ვართ ინდუსტრიული საზოგადოების განსაკუთრებული ელასტიურობით, იმ შესაძლებლობით, რომ ერთი სექტორის ჩაკეტვით სხვა სექტორში ახალი შანსები გამოჩნდება და ინტერდეპენდენტურ მხარეთა განვითარების სხვადასხვაგვარი დონით. მაგრამ თუ მთლიანობაში შევხედავთ (გარდა იმისა, რომ ყოველი კრიზისი აჩვენებს ბიძგს ერთი მიმართულებით, ყოველი კონიუნქტურა კი, ბიძგს სხვა მიმართულებით), ტენდენცია, რომელიც მთლიანად საზოგადოებას ახასიათებს, უპირველეს ყოვლისა, ცხადად

მიუთითებს ჩაკეტილი პოზიციების მქონე სისტემის მიმართულებაზე.

მსგავს პერიოდებს შორიდანვე ამოვიცნობთ სულების გარკვეული დამძიმებით, სულ მცირე, ახალმოსულთა შემთხვევაში, სოციალური ფორმების გამაგრებით და გაქვავებით, ქვემოდან ამოხტომის ცდებით და როგორც იტყვიან, იერარქიულად თანასწორთა უფრო მტკიცე შეკავშირებით.

ცხადია, უპირატესად ნატურალური მეურნეობის საზოგადოებაში პროცესები ცალკეული თვალსაზრისით სხვაგვარად მიმდინარეობს, ვიდრე საფინანსო ეკონომიკის მქონე საზოგადოებაში, თუმცა, არა ნაკლები სიზუსტით. რაც უფრო გვიანდელი ეპოქის მკვლევარს ფეოდალიზების პროცესში ყველაზე მეტად გაუგებარი ეჩვენება, არის ის ფაქტი, რომ არც მეფეებს, არც ჰერცოგებს, არც სხვა ქვედა რანგობრივ საფეხურზე მყოფთ არ შეუძლიათ თავიდან აიცილონ მათი მომსახურე ადამიანების თანდათანობითი გადაქცევა ლენის მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელ მფლობელებად. სწორედ ამ ფენომენის შეღნევადობა აჩვენებს სოციალური ავტომატიზმების ძალს, რომელზედაც აქ იყო საუბარი. ზემოთ უკვე მოვხაზეთ ის იძულებანი, რომელთაც ნატურალური მეურნეობის მქონე რაინდთა საზოგადოებაში სამეფო სახლი თანდათანობით დაცემისაკენ მიჰყავდათ, თუ გვირგვინის მფლობელი ყოველთვის ვერ ახერხებდა ექსპანსია მოეხდინა, მაშასადამე, ახალი მიწები დაეპყრო. მსგავს პროცესებს აქვს ადგილი ექსპანსიის შესაძლებლობებისა და გარეგანი საფრთხის შემცირებასთან ერთად, მთელს მეომართა საზოგადოებაში. ესენია მიწის საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოების ტიპიური კანონზომიერებანი, რომელშიც სავაჭრო კავშირები დიდ როლს არ თამაშობს, ყოველი მამული მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელია და მეომართა გაერთიანება, თავდაცვის ან თავდასხმის მიზნით, უფრო დიდი სივრცეების ინტეგრაციის პირველადი ფორმაა.

ტომობრივ გაერთიანებებში მეომრები ას-ასად შეკავშირებულნი, შედარებით კომპაქტურად ცხოვრობენ. შემდეგ ისინი ნელ-ნელა მოედებიან მთელს ქვეყანას. მათი რიცხვი იზრდება. მაგრამ რიცხოვნობის მატებასთან და დიდ ტერიტორიაზე გაშლასთან ერთად იკარგება ის დაცულობაც, რომელსაც ოდესღაც ტომი თუ ასეული ინდივიდს სთავაზობდა. ცალკეული ოჯახები, რომლებიც თავისთვის და ნაწილობრივ, ერთმანეთისაგან დიდ მანძილზე მოშორებულნი, თავიანთ მამულებში და ციხე-სიმაგრეებში სხედან, ცალკეული მეომრები, ამ ოჯახთა მთავრებიც, რომლებიც, ამავე დროს, სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მდგომი, მეტ-ნაკლებად მრავალრიცხოვანი ყმების, მოჯამაგირეების, ნახევრად თავისუფალთა ბატონებიც არიან, მოშორებულ მხარეებში უფრო მეტ იზოლაციაში არიან, ვიდრე უწინ. თანდათანობით, მთელს ქვეყანაში მეომართა შორის ყალიბდება ურთიერთობათა ახალი ფორმები, რაოდენობით უფრო მეტი და უფრო ფართო ფუნქციებით, ინდივიდის მეტი იზოლირებისა და მიწაზე საკუთრების კანონზომიერებათა

ფუნქციები.

ტომობრივ გაერთიანებათა თანდათანობითი დაშლით და გერმანელთა მეომართა გალო-რომანული ზედა ფენის წარმომადგენლებთან შერწყმით, მეომართა უფრო დიდ რეგიონში გაფანტვის შედეგად, ცალკეულ ადამიანს არ რჩება სხვა შესაძლებლობა თავი დაიცვას სოციალურად უფრო ძლიერებისაგან, თუ არა ის, რომ ჩადგეს უფრო ძლიერის დაცვის სამსახურში. ამათ, თავის მხრივ, არ გააჩნიათ თავისსავე მსგავსთაგან, დაახლოებით იმავე სიდიდის მიწის ნაკვეთის მფლობელთა და ისეთივე სამხედრო ძლიერების მქონეთაგან თავდაცვის სხვა საშუალება, თუ არა იმ მეომართა დახმარება, რომლებიც მათ თავიანთ სამხედრო სამსახურს, თავიანთ მკლავს სთავაზობენ და რომელთაც ისინი ამის სანაცვლოდ მიწას აძლევენ ან მათ საკუთრებაში უკვე არსებულ მიწას იცავენ.

აქ ვლინდება ინდივიდუალური დამოკიდებულებანი. ცალკეული მეომარი ინდივიდუალურად ფიცით უკავშირდება მეორეს. ისინი, ვისაც ჯარში მაღალი რანგი აქვთ და მიწის უფრო დიდ ნაწილს განაგებენ — ერთი განსაზღვრავს მეორეს და ერთის ცვლილება ამავე დროს, ადრე თუ გვიან, მეორის ცვლილებას იწვევს, — „ფეოდალები" არიან. სოციალურად უფრო სუსტია „ვასალი". ვასალს, თავის მხრივ, შეუძლია გარკვეულ გარემოებებში, სამსახურის სანაცვლოდ დაიცვას ის მეომრები, რომლებიც უფრო ნაკლებ მიწას ფლობენ და რომელთაც წარმოების უფრო სუსტი საშუალებები და სამხედრო აღჭურვილობა აქვთ. ამგვარ კავშირებში შესვლა არის თავდაპირველად ერთადერთი ფორმა, რომლებშიც ადამიანები ერთმანეთისაგან დაცვის გზას პოულობენ.

„ფეოდალური სისტემა" თავისებურ კონტრასტშია ტომობრივ კონსტიტუციასთან. მისი გაუქმებით აუცილებლად წარმოიქმნება ახალი ჯგუფები, ინტეგრაციის ახალი ფორმები. ადგილი აქვს ინდივიდუალიზების ახალ ძლიერ ბიძგს, გაძლიერებულს საზოგადოების მობილურობითა და ექსპანსიის ტენდენციებით. ეს არის მეტი ინდივიდუალიზება *ტომობრივ გაერთიანებებთან შედარებით* და ნაწილობრივ, ოჯახურ გაერთიანებებთან მიმართებაში, ისევე, როგორც შემდგომში ადგილი ექნება ინდივიდუალიზების ბიძგს ფეოდალურ გაერთიანებებთან, ამქართა გაერთიანებებთან და კვლავ და კვლავ, ოჯახურ გაერთიანებებთან მიმართებაში. და ფეოდალის ფიცი სხვა არაფერია, თუ არა თავდაცვითი კავშირის დამტკიცება ცალკეულ მეომრებს შორის, როგორც ინდივიდუალური ურთიერთობის საკრალური ჯაჭვის შეკვრა ერთი მხრივ, მინის გამცემ და დამცველ მეომარსა და მეორეს მხრივ, სამსახურის გამწევ მეომარს შორის. ერთ მხარეს, მოძრაობის საწყის ეტაპზე დგას მეფე. როგორც დამპყრობელი მეფე ის, ფაქტიურად, განაგებს მთელ მიწებს და არავითარ სამსახურს არ ასრულებს; ის მხოლოდ მიწებს გასცემს. პირამიდის მეორე ბოლოში დგას ყმა, მას არავითარი მიწა არ გააჩნია და მხოლოდ მსახურობს, ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, გადასახადებს იხდის. მათ შორის

განთავსებულ ყველა საფეხურს ორმაგი სახე აქვს. ქვემოთ მდგომებზე უნდა გასცენ მიწა და უზრუნველყონ მათი დაცვა, ზემდგომთ კი სამსახური უნდა გაუწიონ. მაგრამ ამ დამოკიდებულებათა ქსელი, კერძოდ, მაღლა მდგომთა სამსახურზე, უპირველესად სამხედრო სამსახურზე და ქვემოთ მდგომთა მიწაზე და დაცვაზე დამოკიდებულების ქსელი, თავის თავში მალავდა დაძაბულობას, რომელსაც სრულიად სპეციფიკური ადგილმონაცვლეობისაკენ მივყავდით. ფეოდალიზების პროცესი სხვა არაფერია, თუ არა ასეთი იძულებითი ადგილმონაცვლეობა დამოკიდებულებათა ქსელში. განსაზღვრულ ფაზაში, დასავლურ სამყაროში, ყველგან და ყოველთვის, მაღლა მდგომთა დამოკიდებულება სხვათა სამსახურზე უფრო მეტია, ვიდრე ვასალებისა დაცვაზე, თუ ისინი ერთხელ უკვე დაეუფლენ მიწის ერთ ნაწილს. ეს აძლიერებს ცენტრიდანულ ძალებს იმ საზოგადოებაში, რომელშიც მიწის ყოველი ნაწილი მის მფლობელ ბატონს გამოკვებავს. ეს არის იმ პროცესის მარტივი კანონზომიერება, რომლის მსვლელობისას მეომართა საზოგადოების მთლიანობას ქმნიან ყოფილი მოსამსახურენი. ესენი ლენის დამოუკიდებელ მფლობელებად იქცნენ და აქამდელი ტიტულები, რომლებიც მხოლოდ მათ სამსახურეობრივ რანგს აღნიშნავდა, ახლა მათი საკუთრების სიდიდეს და სამხედრო ძლიერებას ასახავს.

26. ამ გადაადგილებისა და მექანიზმების განსაზღვრა თავისთავად რთული არ იქნებოდა, თუ გვიანდელი ეპოქის მკვლევარი ფეოდალური საზოგადოების მეომართა შორის ურთიერთობების გასარკვევად ისევ და ისევ არ წამოაყენებდა აზრებს იმის შესახებ, რასაც ის „სამართალს“ უწოდებს. საკუთარი საზოგადოების აზროვნებით ჩვეულებებს ისეთი მაიძულებელი ძალა აქვთ, რომ მას ვისაც რეტროსპექტულად სურს დაინახოს მოვლენები, ეს კითხვა უჩნდება: რატომ უშვებდნენ მეფეები, ჰერცოგები, გრაფები მიწის განკარგვის უფლების წართმევას, რომელსაც ისინი დასაწყისიდანვე მთლიანად თვითონ განაგებდნენ? რატომ არ განაცხადებდნენ ისინი თავიანთ „სამართლებრივ პრეტენზიას“?

მაგრამ აქ საქმე არ ეხება იმას, რასაც დიფერენცირებულ საზოგადოებაში „სამართლებრივ საკითხებს“ უწოდებენ. ფეოდალური საზოგადოების გაგების წინაპირობა არის სწორედ ის, რომ საკუთარი „სამართლებრივი ფორმები“ არ განვიხილოთ, როგორც ზოგადად, სამართალი. სამართლის ფორმები ყოველ დროში საზოგადოების სტრუქტურას შეესაბამება. ზოგადი, წერილობითი და ფიქსირებული სამართლებრივი ნორმების წარმოშობას, რომლებიც ინდუსტრიული საზოგადოების საკუთრების ფორმებად ითვლება, სოციალური გადაჯაჭვულობის ძალზე მაღალი ხარისხი ახასიათებს. ამის წანამძღვარს ქმნის ცენტრალური ინსტიტუტების წარმოქმნა, რომელთაც შეუძლიათ თავის არეალში ერთი და იმავე სამართლის საყოველთაო მოქმედება უზრუნველყონ და რომელთაც საკმარისი ძალა შესწევთ იმისათვის, რომ ამ მხარეში წერილობით

ხელშეკრულებათა, დადგენილი კანონების და მათი სრულუფლებიანი წარმომადგენლების გადაწყვეტილებათა აღიარებას მიაღწიონ, მოწინააღმდეგეთა მხრიდანაც კი. ძალაუფლება, რომელიც ახალ დროში სამართლებრივ ტიტულებს და საკუთრებაზე პრეტენზიებს ზურგს უმაგრებს, აღარ არის ისე გამჭვირვალე. ცალკეულთან მიმართებაში ის იმდენად დიდია, მისი არსებობის სარწმუნოობა, მუქარა, რომელიც მისგან მოდის, იმდენად ცხადია, რომ მას ძალზე იშვიათად თუ გამოიწვევენ აშკარა ბრძოლაში. ამიტომაა ასე ძლიერი იმისაკენ სწრაფვა, რომ ეს სამართალი ისე განვიხილოთ, თითქოს, თავისთავად არსებობდეს, თითქოს ის ციდან ჩამოვარდნილიყოს, თითქოსდა, ის უბრალოდ „სამართალი" იყოს და მაშინაც შეეძლოს არსებობა, თუ ეს სახელისუფლო აპარატურა არ გაუმაგრებდა ზურგს ან ამ აპარატურას სხვა სტრუქტურა ექნებოდა.

სამართლებრივი და სახელისუფლო აპარატის დამაკავშირებელი ჯაჭვები დღეს, უფრო მდიდარი საზოგადოებრივი დიფერენცირების შესაბამისად, დაგრძელდა და რადგან სამართლებრივი აპარატი ძალზე ხშირად, თუ ყოველთვის არა, (მაგრამ არასოდეს მთლიანად) სახელისუფლო აპარატისაგან დამოუკიდებლად მუშაობს, მხედველობიდან ადვილად შეიძლება გამოგვრჩეს, რომ აქ სამართალი, როგორც ყოველ საზოგადოებაში, სოციალური სტრუქტურის ფუნქცია, სოციალურ ძალთა მიმართების გამოხატულება, სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა დაქვემდებარების და დამოკიდებულების ხარისხის სიმბოლო, ან რაც იგივეა, სოციალურ ძალთა მიმართების სიმბოლოა.[49]

ფეოდალურ საზოგადოებაში ეს უფრო შეუნიღბავად გამოვლინდებოდა. ადამიანთა და რეგიონების ურთიერთდამოკიდებულება ნაკლები იყო. მთელ მხარეში არ არსებობდა სტაბილური სახელისუფლებო აპარატი. საკუთრებითი ურთიერთობანი რეგულირდებოდა უშუალოდ ორმხრივი დამოკიდებულების ზომის და ფაქტიური სოციალური ძალის მიხედვით.*

---

* *შენიშვნა სოციალური ძალის ცნების შესახებ.* ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის „სოციალური ძალა" კომპლექსური ფენომენია. ის კავშირშია რა ერთეულ ადამიანთან, არასოდეს არ არის მთლიანად იდენტური მისი ინდივიდუალური ფიზიკური ძალისა და მთელი ჯგუფების შემთხვევაში — მათი ჯამისა. მაგრამ ფიზიკური ძალა და სიმკვირცხლე შეიძლება, გარკვეულ შემთხვევაში, სოციალური ძალის მნიშვნელოვან ელემენტს შეადგენდეს. რა წილი აქვს ფიზიკურ ძალას სოციალურ ძალასთან მიმართებაში, ეს დამოკიდებულია საზოგადოების მთლიან სტრუქტურასა და თითოეულის ადგილზე მასში. ეს სოციალური ძალები თავიანთი სტრუქტურით და კონსტრუქციით იმდენად სხვადასხვაგვარია, როგორც თავად საზოგადოების სტრუქტურა და კონსტრუქცია. მაგალითად, ინდუსტრიულ საზოგადოებაში შეიძლება ცალკეული ადამიანის უმაღლესი, სოციალური ძლიერება უფრო მცირე, ფიზიკურ ძალას უკავშირდებოდეს. თუმცა, შეიძლება არსებობდეს განვითარების ფაზები, რომელშიც ფიზიკური ძალე-

ინდუსტრიულ საზოგადოებაში არის ერთგვარი ურთიერთობა, რომელიც, გარკვეული აზრით, ფეოდალურ საზოგადოებაში მეომართა და ფეოდალთა შორის ურთიერთობას შეიძლება შევადაროთ და რომლითაც ამ ურთიერთობის კანონზომიერება გასაგები შეიძლება

ბი, როგორც სოციალურის შემადგენელი ნაწილი, საყოველთაოდ კვლავ დიდ მნიშვნელობას მოიპოვებს.

ფეოდალურ რაინდულ საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ფიზიკური ძალა სოციალურის აუცილებელი ელემენტია, მაგრამ მხოლოდ ის არ არის გადამწყვეტი. ცოტა უფრო მარტივად შეიძლება ვთქვათ: მამაკაცის სოციალური ძლიერება, შანსების მიხედვით, ფეოდალურ რაინდულ საზოგადოებაში სწორედ იმხელაა, რა სიდიდისაც მიწის მოცულობა და ნაყოფიერება, რომელსაც ის ფაქტიურად განაგებს. მისი ფიზიკური ძალა უეჭველად არსებით ელემენტს შეადგენს განკარგვის ძალაუფლებისა. ვისაც, მეომრის მსგავსად, არ შეუძლია ბრძოლა და ფიზიკურად თავდასხმასა და თავდაცვაში ჩართვა, დიდი ხნის მანძილზე, ამ საზოგადოებაში თითქმის არავითარი შანსი არა აქვს რაიმეს ფლობდეს. მაგრამ თუ ვინმე ამ საზოგადოებაში მიწის უდიდეს ნაკვეთს ფლობს, მას როგორც ამ საზოგადოების უმნიშვნელოვანესი წარმოების საშუალების მონოპოლისტს, სოციალური ძალაც გააჩნია, კერძოდ, ის შანსები, რომელიც მის პიროვნულ, ინდივიდუალურ ძალას აღემატება. მას შეუძლია, სხვებს, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ამ მიწაზე, მისცეს მიწის ნაწილი და სანაცვლოდ მათი სამსახური მიიღოს. ის რომ მისი სოციალური ძალა იმდენად დიდია, რამდენადაც მიწების მოცულობა და მოსავლიანობა, რომელსაც ის ფაქტიურად განაგებს, ამავე დროს ნიშნავს შემდეგს: ის იმდენად ძლიერია, რამდენადაც მისი ამალა, მისი არმია, მისი საბრძოლო ძლიერება.

მაგრამ ამით, ამავე დროს, ნათელი ხდება, რომ ის დამოკიდებულია იმ სამსახურზე, რათა შეინარჩუნოს და დაიცვას თავისი მიწები. მისი ეს დამოკიდებულება სხვადასხვა სოციალური წარმომავლობის მხლებლებზე მათი სოციალური ძალის არსებითი ელემენტია. იზრდება რა მისი დამოკიდებულება მსახურებზე, კლებულობს მისი სოციალური ძლიერება; იზრდება რა არმქონეთა მოთხოვნა და ინტერესი მიწაზე, მაშინვე მატულობს მიწის მფლობელთა სოციალური ძალა; ადამიანის ან ჯგუფის სოციალური ძლიერება სრულყოფილად მხოლოდ პროპორციებში შეიძლება გამოიხატოს; ეს ამის მარტივი მაგალითია.

თავისთავად სხვა ამოცანაა იმის უფრო ზუსტი გამოკვლევა, რა არის „სოციალური ძლიერება". საჭიროც არაა იმის თქმა, რა მნიშვნელობა აქვს ამას წარსულისა და თანამედროვეობის სოციალური მოვლენების გასაგებად. „პოლიტიკური ძალაუფლებაც" სხვა არაფერია, თუ არა სოციალური ძალის განსაზღვრული ფორმა. შეუძლებელია ადამიანთა, ჯგუფების, სოციალური ფენების, სახელმწიფოების მოქმედებათა თუ ბედის გაგება, თუ ფაქტიურ, სოციალური ძლიერებას არ შევამოწმებთ იმისგან დამოუკიდებლად, თუ რას ამბობენ, ან რისი სჯერათ ამ ადამიანებს. თავად პოლიტიკური თამაში ბევრს დაკარგავდა აზარტული ხასიათისა და თავისი მისტერიებისაგან, ყველა ქვეყნის სოციალურ ძალთა მიმართების ქსელი რომ გარკვეულწილად ღიად იყოს მოცემული ანალიზისათვის. ამისათვის უფრო ზუსტი მეთოდების გამომუშავება მომავლის მრავალი სოციოლოგიური ამოცანიდან კვლავაც ერთ-ერთია.

გავხადოთ. ეს არის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა. მასში, ამ ურთიერთობაში, სრულიად დაუფარავად გაირკვევა სოციალური სიძლიერე. ორმხრივ განპირობებულობასა და დამოკიდებულებასთან ერთად, რომელიც ეკონომიკური კავშირებიდან წარმოიშვება, შედარებით დიდი წილი აქვს სამხედრო ძლიერებასაც; სხვათა შორის, რაინდული საზოგადოების მსგავსად, აქაც, საომარი პოტენციალი თავის მხრივ, მნიშვნელოვნად განსაზღვრულია ტერიტორიის სიდიდითა და ნაყოფიერებით, იმ ადამიანთა რიცხვითა და შრომითი პოტენციალით, რომლებმაც ამ ტერიტორიით შეიძლება ირჩინონ თავი.

სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებისათვის არ არსებობს იმგვარი სამართალი, რომელიც მოქმედია თავად ამ სახელმწიფოთა შიგნით. არ არსებობს ფართო სახელისუფლებო აპარატი, რომელიც ასეთ სახელმწიფოთაშორის სამართალს პოზიციებს გაუმაგრებდა. სახალხო სამართლის არსებობა სახელისუფლებო აპარატის გარეშე ვერ გადაფარავს იმ ფაქტს, რომ ხანგრძლივ პერსპექტივაში, ხალხთა შორის ურთიერთობები მხოლოდ და მხოლოდ სოციალურ ძალთა თანაფარდობით რეგულირდება და რომ ყოველი გადაადგილება ამ ძალთა თანაფარდობაში, ძალაუფლების ყოველი ნამატი, ამა თუ იმ ქვეყნის ყოველი გაძლიერება, დედამიწის ნანილების სხვადასხვა ბალანსურ სისტემებში და — მზარდი კავშირების არსებობისას — უკვე მთელი კაცობრიობის მასშტაბით, სხვა ქვეყნების სოციალური ძლიერების ავტომატურ შესუსტებას ნიშნავს.

აქაც ავტომატურად დაძაბულობა „Haves" და „Haves-not"-ს შორის, მათ შორის, ვისაც თავისი პრეტენზიის და თავისი სტანდარტისთვის მეტისმეტად ცოტა აქვს და ვისაც თავიანთი სტანდარტისათვის საკმარისი მიწები და წარმოების საშუალებები აქვს, მით უფრო იზრდება, რაც უფრო მეტად უახლოვდება ბურჟუაზიული კაცობრიობა ამ სექტორში „ჩაკეტილი შანსების სისტემის" მდგომარეობას.

ის, რაც ფეოდალურ საზოგადოებაში ცალკეულ ციხე-სიმაგრეთა მფლობელებსა და ინდუსტრიულ საზოგადოებაში სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში გამოიხატება, იმაზე მეტია, ვიდრე შემთხვევითი ანალოგია. ამ მსგავსებას თავისი საფუძველი თავად დასავლური საზოგადოების განვითარების ტრაექტორიაში აქვს. ამ განვითარების მანძილზე მზარდი კავშირებისა და ინტერდეპენდენციის პროცესში ანალოგიური სახის ურთიერთობათა ფორმები, მათ შორის სამართლებრივი ფორმებიც, რომლებიც თავდაპირველად უფრო მცირე ინტეგრაციულ და სამხარეო ერთეულებს შორის არსებობდა, მუდმივად ახალ საფეხურზე, უფრო მეტი სიდიდის ინტეგრაციულ და სამხარეო ერთეულთა შორის ყალიბდება, მიუხედავად იმისა, რომ სხვა სიდიდის ჯგუფებში გადასვლას თან სდევს თვისობრივი ცვლილება.

აქ უნდა ვაჩვენოთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა იმ პროცესს, რომლის სურათი აქ თანდათან გამოიკვეთება, მაშასადამე, უფრო და უფრო დიდ, შინაგანად შედარებით პაციფიცირებულ, გარეგნულად კი ომისათვის მზადმყოფ ინტეგრაციულ გაერთიანებათა წარმოშობას,

ქცევისა და ლტოლვითი ცხოვრების ცვლილების, ცივილიზაციის პროცესის თვალსაზრისით.

სინამდვილეში ცალკეულ ციხე-სიმაგრეთა მფლობელების ურთიერთობანი დღევანდელ სახელმწიფოთა ურთიერთობას ჰგავდა. ეკონომიკური კავშირები, გაცვლითი მიმოსვლა, შრომის დანაწილება ცალკეულ საფეოდალოებს შორის მე-10, მე-11 საუკუნეებში ჯერ კიდევ შეუდარებლად მცირე იყო, ვიდრე ამ უკანასკნელთა შემთხვევაში და შესაბამისად, ნაკლები იყო მეომართა ეკონომიკური დამოკიდებულება ერთმანეთზე. ერთეულ ადამიანთა ურთიერთობისათვის, მათ სამომარ პოტენციალს, ამალისა და მიწის სიდიდეს, რომელსაც ისინი ფაქტიურად ფლობდნენ, კიდევ უფრო გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ისევ და ისევ შეიძლება შევნიშნოთ, რომ ამ საზოგადოებაში, დიდი ხნის განმავლობაში ვერცერთი ერთგულების ფიცი და შეთანხმება (ისევე როგორც დღეს სახელმწიფოთა ურთიერთობაში), ნინ ვერ აღუდგებოდა სოციალურ ძალთა ცვლილებებს. ვასალის ერთგულება, საბოლოოდ, ყოველთვის ზუსტად რეგულირდებოდა დაკავშირებულთა შორის დამოკიდებულების ფაქტიური სიდიდის მიხედვით, მიწოდებისა და მოთხოვნის თამაშის მიხედვით მათ შორის, ვინც ერთი მხრივ, მიწას და თავშესაფარს გასცემდა და სამსახურს თხოულობდა, ამ სიტყვის ყველაზე ფართო მნიშვნელობით და ვინც, მეორე მხრივ, სამსახურს გასწევდა და მიწას და მფარველობას საჭიროებდა. როცა ექსპანსია, დაპყრობა ან ახალი მიწების მოპოვება რთულდებოდა, უპირველეს ყოვლისა, დიდი შანსები იყო მათ მხარეს, ვინც სამსახურს გასწევდა და მიწებს იღებდა; ეს არის საფუძველი პირველი იმ ცვლილებისა, რომელიც ამ საზოგადოებაში განხორციელდა, კერძოდ, მოსამსახურეთა დამოუკიდებლად ქცევისათვის.

ამ საზოგადოებაში მიწები ყოველთვის მათი „საკუთრებაა", ვინც ფაქტიურად განაგებს მათ, ვინც მართლა იყენებს საკუთრების უფლებებს და ვინც საკმარისად ძლიერია იმისათვის, რომ დაიცვას ის, რაც ერთხელ უკვე ხელში ჩაიგდო. აქედან ის, ვინც მიწები ლენის სახით უნდა გასცეს, რათა სამსახური მიიღოს, არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფება მიწების მიმღებთან, მოსამსახურესთან, მოიჯარესთან მიმართებაში. ცხადია, „ფეოდალს" აქვს უფლება, ლენის სახით გაცემულ მიწებზე, მაგრამ ის ვინც ამ სახით იღებს მიწას, ფაქტიურად განაგებს კიდეც მას. მას შემდეგ, რაც მოიჯარემ ერთხელ უკვე მიიღო მიწა, ერთადერთი, რაც მას ფეოდალზე დამოკიდებულს ხდის, არის მისი მფარველობა, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. მაგრამ მფარველობა ყოველთვის არ სჭირდებათ. ფეოდალური საზოგადოების მეფენი ყოველთვის ძლიერნი არიან, თუ ფეოდალები გარეშე მტრის მუქარის შემთხვევაში მათ მფარველობას და წინამძღოლობას საჭიროებენ და კიდევ უფრო მეტად ძლიერნი, როცა ისინი ახალ ქვეყნებს იპყრობენ და მიწები აქვთ გასანაწილებელი. ამის საპირისპიროდ, ისინი სუსტნი არიან მაშინ, როცა მათ ფეოდალებს არაფერი ემუქრება და ახალ მიწებს არ

ელიან. ასევე იერარქიულად შედარებით დაბლა მდგომი ფეოდალები სუსტნი არიან მაშინ, როცა მას, ვისაც ერთხელ ლენის სახით მიწები მისცეს, ამ მომენტისათვის მათი მფარველობა არ სჭირდებათ.

რომელიმე საფეხურზე მდგომ ფეოდალს შესწევს უნარი აიძულოს თავის ესა თუ ის ვასალი, შეასრულოს მოვალეობა ან ის ძალით გააძევოს მისი მიწიდან. მაგრამ მას არ შეუძლია ასე მოექცეს ყველას, ან ბევრ მათგანს. რადგან არ შეუძლია ფიქრი იმაზე, რომ ყმები შეაიარაღონ, მას სჭირდება მებრძოლთა სამსახური, რათა შეძლოს გააძევოს მეორე მებრძოლი ან ფეოდალს სჭირდება ახალი მიწები, რათა აანაზღაუროს ახალი სამსახური. მაგრამ დაპყრობისთვისაც, თავის მხრივ, მას ახალი სამსახური სჭირდება. განვითარების ამ გზაზე, მე-10 და მე-11 საუკუნეში დასავლეთ-ფრანკული რეგიონი, ფაქტიურად, პატარ-პატარა სამფლობელოებად დაიშლება. ყოველი ბარონი, ყოველი ვიკონტი, ყოველი სენიორი თავისი სასახლიდან თუ სასახლეებიდან განაგებს მამულს და ქონებას, როგორც მეფე სახელმწიფოს. ნომინალური ფეოდალის, ცენტრალური ავტორიტეტის ძალა მცირეა. მოთხოვნისა და მინოდების თამაშში არსებულმა მაიძულებელმა მექანიზმებმა, რომლებიც მიწის ფაქტიურად გამგებელ ვასალს ნაკლებად დამოკიდებულს ხდის ზოგადად, ფეოდალის მფარველობაზე, ვიდრე ამ უკანასკნელთ მათ სამსახურზე, თავისი საქმე გააკეთა.

საკუთრების დეზინტეგრაციამ, მიწების გადასვლამ მეფის განმგებლობიდან რაინდული საზოგადოების იერარქიულ განმგებლობაში მთლიანად, — ეს არის „ფეოდალიზება“ და სხვა არაფერი, — უკიდურეს საზღვარს მიაღწია. მაგრამ საზოგადოებრივი დაძაბულობის სისტემა, რომელიც ამ ძლიერი დეზინტეგრაციით წარმოიქმნება, ამავე დროს შეიცავს იმპულსებს საწინააღმდეგო ბიძგის, ახალი ცენტრალიზებისაკენ.

მინეზანგისა და კურტუაზიული მანერების სოციოგენეზისისათვის

27. ფეოდალიზაციის პროცესში შეიძლება ორი ფაზა გავარჩიოთ: ერთი ფაზა განსაკუთრებული დეზინტეგრაციისა, რომელზედაც სწორედ ახლა იყო საუბარი და შემდეგ ის ფაზა, რომელშიც მოძრაობა უკუსვლით ხასიათს იძენს და პირველი, ჯერ კიდევ სუსტი ფორმები რეინტეგრაციისა უფრო დიდი მასშტაბებით გამოვლინდება. თუ ამ განსაკუთრებული დეზინტეგრაციის მდგომარეობას ამოსავალ წერტილად ავიღებთ, ამით დაიწყება ხანგრძლივი, სოციალური პროცესი, რომლის განმავლობაში სულ უფრო დიდი რეგიონები და ადამიანთა სულ უფრო მეტი რაოდენობა ინტერდეპენდენტურ და ბოლოს მკაცრად ორგანიზებულ ინტეგრაციულ ერთეულებად იქცევა.

„მე-10 და მე-11 საუკუნეში უფრო და უფრო შორს მიდის

სახელმწიფოს დაქუცმაცება. ისე ჩანს, რომ არავის არ დარჩება ძალაუფლების ის წილი, რომელიც საკმარისად დიდი იქნება, რათა განსაზღვრული ეფექტური მოქმედება განახორციელონ. ლენები, ხელისუფლების შანსები, უფლებები, უფრო და უფრო დანაწევრდება ზემოდან ქვემოთ, მთელი იერარქიული კიბის გასწვრივ, ყოველი ავტორიტეტი უფრო მეტი დეზინტეგრაციის გზას ადგას.

მოგვიანებით, უკვე მე-11 და განსაკუთრებით, მე-12 საუკუნეში, ადგილი აქვს უკურეაქციას. წინა პლანზე გამოდის ფენომენი, რომელიც სხვადასხვა ფორმით არაერთხელ განმეორებულა ისტორიაში. მიწათმფლობელები, რომელთაც კარგი მდგომარეობა და უფრო დიდი შანსები აქვთ, კონტროლს მოიპოვებენ ფეოდალურ მოძრაობაზე. ისინი ფეოდალურ სამართალს, რომელიც ახლა ფიქსირდება, სხვა მიმართულებას აძლევენ, კერძოდ, მას ვასალებისათვის არახელსაყრელად დააფიქსირებენ. მათ მონდომებას ხელს უწყობდა განსაზღვრული, უფრო დიდი, ისტორიული ვითარებანი... და ეს რეაქცია, პირველ ყოვლისა, ერთხელ მიღებული პოზიციის კონსოლიდირებაში გამოვლინდება".[50]

რაინდთა საზოგადოების იმ მობილური, ინდივიდისათვის შედარებით დიდი დაწინაურებისა და ექსპანსიის შანსების მქონე ფაზიდან თანდათანობითი გადასვლის შემდეგ მუდმივად ჩაკეტილი პოზიციების ფაზაში, რომელშიც ყოველი ადამიანი თავდაპირველად ჯერ იმას ცდილობს, რაც აქვს ის შეინარჩუნოს და დაიმკვიდროს, თანდათანობით იცვლის ადგილს დაძაბულობის ცენტრი რაინდებს შორის, რომლებიც მთელს ქვეყანაში, თავიანთ ციხე-სიმაგრეებში სხედან, როგორც პატარა მეფეები, როგორც „reguli"; კერძოდ, სხვა წვრილ მიწათმფლობელებთან შედარებით, სოციალურ ძლიერებას უფრო მცირერიცხოვანი და დიდი მიწათმფლობელები მოიპოვებენ.

მონოპოლიური მექანიზმის შესახებ, რომელიც ნელა იწყებს მოქმედებას, შემდეგში უფრო დაწვრილებით იქნება საუბარი. მივუთითებთ მხოლოდ ერთ მამოძრავებელ ფაქტორზე, რომელიც აქედან მოყოლებული ყოველთვის, უფრო მცირერიცხოვანი დიდი რაინდების საკეთილდღეოდ და მრავალი პატარა რაინდის საზიანოდ მოქმედებს: მე-10 და მე-11 საუკუნის ნაკლებად დიფერენცირებულ საზოგადოებაში დამოკიდებულებათა ქსელი, მიწებზე მოთხოვნისა და მიწოდების, მფარველობისა და გაწეული სამსახურის თამაში, ჩამოყალიბების პროცესშია. მე-11 საუკუნეში ნელა, მე-12 საუკუნეში კი, უფრო ძლიერად და სწრაფად, ქსელი რთულდება. კვლევის დღევანდელ სტადიაზე ძნელია უფრო ზუსტად განვსაზღვროთ იმ სავაჭრო მიმოსვლისა და ფინანსურ საშუალებათა ზრდა, რომელიც ამ ეპოქაში მიმოქცევაში ერთვება. მხოლოდ ეს მოგვცემდა შესაძლებლობას უფრო ზუსტად მიმოგვეხილა სოციალურ ძალთა მიმართების ცვლილებანი. შრომის დიფერენცირება, საბაზრო და ფულის მიმოქცევის სექტორი საზოგადოებაში საკმარისად იზრდება, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ და შემდგომაც დიდი ხნის

განმავლობაში, მეურნეობის ნატურალურ ფორმას სხვებთან შედარებით უპირატესობა აქვს; ვაჭრობისა და ფულის მიმოქცევის ეს ზრდა მცირერიცხოვან, მდიდარ და ძლიერ მიწათმფლობელებს უფრო მეტად აძლევს ხელს, ვიდრე წვრილ მიწათმფლობელთა უმეტესობას. ეს უკანასკნელნი ისევ თავიანთი მამულებით ცხოვრობენ, როგორც უწინ; ისინი პირდაპირ ნთქავენ, რასაც მამულებიდან იღებენ და სავაჭრო და გაცვლით ურთიერთობებში მინიმალურად არიან ჩართულნი. მეორენი სავაჭრო ურთიერთობათა ქსელში ერთვებიან არა მხოლოდ მათი მამულებიდან მიღებული ჭარბი მოსავლის გამო. ხელოსანთა და ვაჭართა მზარდი დასახლებანი, ქალაქებიც, ძირითადად დიდი მამულების ციხე-სიმაგრეებს და ადმინისტრაციულ ცენტრებს უერთდება და რა მერყევიც არ უნდა იყოს ურთიერთობა დიდ ბატონთა და მათი მხარის კომუნებს შორის, როგორც უნდა მონაცვლეობდეს ეს უნდობლობას, მტრობას, აშკარა ომსა და მშვიდობიან შეთანხმებებს შორის, საბოლოოდ, თავად ისინიც და ის გადასახადებიც, რომლებიც მათგან მოდის, აძლიერებს დიდ ფეოდალებს პატარებთან მიმართებაში; ისინი მათ იმ შანსებს სთავაზობდნენ, რომლებიც მოიჯარეთა მიერ ლენის დამუშავებისა და სამსახურის ნაცვლად მიწების ლენის სახით გაცემის მარადიული წრებრუნვიდან გამომდინარეობს, შანსებს, რომლებიც ცენტრიდანული ძალების საწინააღმდეგოდ მოქმედებს. დიდ ფეოდალთა კარზე, მათი პირდაპირი თუ არაპირდაპირი ჩართვით სავაჭრო ქსელში, თავს იყრის დიდი სიმდიდრე, იქნება ეს დაბეჭდილი თუ დაუბეჭდავი ძვირფასი ლითონების სახით, რომელიც უფრო წვრილ ფეოდალთა დიდ ნაწილს არ გააჩნია. ეს შანსები თანხვდება შანსებზე მზარდ მოთხოვნას, სამსახურის მზარდ შემოთავაზებას ახლახანს ასპარეზზე გამოსული მეომრებისა თუ მიწას მოწყვეტილ სხვა ადამიანთა მხრიდან. რაც უფრო მცირდება საზოგადოების ექსპანსიის შესაძლებლობანი, მით უფრო იზრდება ყველა ფენის, მათ შორის ზედა ფენის სარეზერვო არმია. ამ ფენის ბევრი ადამიანიც კი უკვე კმაყოფილია, თუ დიდ ფეოდალთა კარზე რაიმე ფუნქციას იპოვნის, იქნება ეს უბრალოდ თავშესაფარი, ჩაცმულობა თუ საკვებით უზრუნველყოფა; და თუ ისინი ოდესღაც ერთხელ დიდი წყალობით მიწის ერთ ნაჭერს, ლენს მიიღებენ, ეს განსაკუთრებით ბედნიერი შემთხვევაა. ამ თვალსაზრისით, ვალტერ ფოგელვაიდელის ეს გერმანიაში კარგად ცნობილი შემთხვევა საფრანგეთშიც ბევრი მამაკაცის ცხოვრებისათვის ტიპიურია და ამ სოციალური გარდაუვალობების საფუძველზე გარკვეულწილად შეიძლება წარმოვიდგინოთ, რა დამცირებები, ამაო სურვილები და იმედგაცრუებანი შეიძლება იდგას ვალტერის ამოძახილის უკან: „მე მაქვს ჩემი ლენი!"

28. დიდი ფეოდალების, მეფეების, ჰერცოგების, გრაფების, მაღალი რანგის ბარონების ან, უფრო ზოგადი სიტყვა რომ ვიხმაროთ, ტერიტორიულ მმართველთა სასახლის კარი მზარდი შანსების

წყალობით თავის პალატებისაკენ იზიდავდა ადამიანების სულ უფრო მეტ რაოდენობას. სრულიად ანალოგიური პროცესები განვითარდა დაახლოებით 100 წლის შემდეგ აბსოლუტ პრინცთა და მეფეთა კარზე, თანაც ინტეგრაციის ახალ საფეხურზე. მაგრამ, მაშინ საზოგადოების კავშირები, სავაჭრო და ფულის მიმოქცევის განვითარება უკვე იმდენად დიდი იყო, რომ მთელი სამფლობელოს რეგულარულ საგადასახადო შემოსავლებს და აბსოლუტური მმართველის მიერ ამ საგადასახადო შემოსავლებით შექმნილ გლეხებისა და ბურჟუათა შვილების არმიას, არისტოკრატი ოფიცრებით, თავისუფლად შეეძლო მოეხდინა ცენტრიდანული ძალების, არისტოკრატი მემამულეების დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვის პარალიზება. აქ, მე-12 საუკუნეში, ინტეგრაცია, მიმოსვლითი და სავაჭრო კავშირები ჯერ კიდევ არაა ისე განვითარებული. სამეფო იმპერიის სიდიდის ქვეყნებში, ჯერ კიდევ შეუძლებელია სადმე წავანყდეთ ცენტრიდანული ძალების ხანგრძლივ მოქმედებას; თვით საჰერცოგოს ან საგრაფოს სიდიდის ტერიტორიებზეც კი, მართლაც, ჯერ კიდევ ძნელია ან პირველად მხოლოდ ასე თუ ისე დაუნდობელი ბრძოლის მერე ხდება შესაძლებელი, ვასალების დამორჩილება, რომელთაც სურთ ფეოდალის გამგებლობას გამოგლიჯონ თავიანთი მიწები. სოციალური ძლიერების ზრდა, პირველ რიგში, მოდის უფრო მდიდარ ფეოდალებზე, მათი სახლის დოვლათის ზრდის, ლენის სახით გაუცემელი საკუთრების საფუძველზე. ამ თვალსაზრისით, თვით მეფის ტიტულის მატარებელიც არ განსხვავდება დიდი ფეოდალი მმართველებისაგან. შანსები, რომლებიც მათ ყველას შეიძლება გაუჩნდეთ თავიანთი დიდი მამულის წყალობით, სავაჭრო და ფინანსური მიმოქცევიდან, უფრო წვრილ, თვითკმაყოფილ რაინდებთან მიმართებაში, უპირატესობას, სამხედრო უპირატესობასაც კი აძლევს. ეს უპირატესობა თავდაპირველად ამ მიდამოს, ტერიტორიის რადიუსზე ვრცელდება; თვით ცუდი საგზაო და სამიმოსვლო ურთიერთობების შემთხვევაშიც კი, ამ ეპოქაში რთული აღარ არის ცენტრალურ ხელისუფლებამდე მიღწევა; და ეს ყველაფერი ერთმანეთს ემატება, რათა განვითარების ამ საფეხურზე იმ მებატონეებმა, რომელთაც საშუალო სიდიდის სამფლობელო აქვთ, უფრო მცირე სამეფოსთან ან „სახელმწიფოსთან" შედარებით, ამ სიტყვის გვიანდელი აზრით ხოლო უფრო დიდი, რაინდთა მამულების უმეტესობასთან შედარებით, განსაკუთრებული, სოციალური მნიშვნელობა შეიძინონ.

მაგრამ ამით სრულიადაც არ არის ნათქვამი, რომ განვითარების ამ დონეზე, თუნდაც ერთი ტერიტორიის სიდიდის ერთეულისათვის, შეიძლებოდა შექმნილიყო სტაბილური მმართველობისა და ადმინისტრირების აპარატურა. მხარეთა ურთიერთდამოკიდებულება და ქვეყნის ფულით გაჯერება ჯერ კიდევ არ იყო ისე განვითარებული, რომ ერთი მხარის უმაღლეს და უმდიდრეს ფეოდალთათვის შესაძლებელი გამხდარიყო მარტოოდენ ან ძირითადად, ფულით

დაქირავებული ბიუროკრატიის შექმნა და ამით მკაცრი ცენტრალიზების განხორციელება. ეს საჭიროებდა ბრძოლათა მთელ სერიებს, რომლებიც ამის გარეშეც კვლავ და კვლავ იფეთქებდა ხოლმე, სანამ ჰერცოგები, მეფეები, გრაფები შეძლებდნენ საკუთარი სოციალური ძლიერება გარკვეულწილად ეფექტურად ექციათ, თავიანთ ტერიტორიაზე მაინც; და როგორც ყოველთვის, ეს ომები მთავრდებოდა. ვასალებს, წვრილ და საშუალო რაინდებს ისევე როგორც უწინ, თავიანთი მამულების ოლქებში მმართველობის უფლებები და ფუნქციები ჰქონდათ; ისინი აქ პატარა მეფეებად წარმოიდგენდნენ თავს; მაგრამ მაშინ, როცა დიდი ფეოდალების კარი ხალხით ივსებოდა, მაშინ როცა პალატები დაკავებული იყო, დოვლათი იწურებოდა და ივსებოდა, შედარებით წვრილ რაინდთა დიდი ნაწილი თავის უპრეტენზიო და ხშირად, მართლაც, მოკრძალებული ცხოვრებით განაგრძობდა ცხოვრებას. ისინი იღებდნენ გლეხებისაგან ყველაფერს, რის აღებას შეიძლებოდა, გაჭირვებით გამოკვებავდნენ რამდენიმე მოსამსახურეს და უამრავ ვაჟებსა და ქალიშვილებს; ისინი ერთმანეთთან განუწყვეტლად ქიშპობაში იყვნენ და ერთადერთი გზა, რომლითაც ამ წვრილ რაინდებს უფრო მეტის მოპოვება შეეძლოთ, ვიდრე მათ საკუთარი მინდვრების მოსავალი აძლევდა, ეს იყო სხვების მინდვრების გაძარცვა, პირველ რიგში, ქურდობა სააბატოების და მონასტრების მხარეში, შემდგომში, კი როცა თანდათანობით ფულის მიმოქცევამ და ამით ფულზე მოთხოვნამაც იმატა, თავდასხმები ქალაქებზე და ტრანსპორტზე, რომლითაც საქონელი გადაჰქონდათ თუ მოგება სამხედრო ტყვეების გამოსასყიდიდან. ომი, ყაჩაღობა, თავდასხმა და ძარცვა ნატურალური მეურნეობის მეომართათვის გამომუშავების რეგულარული, თანაც, ერთადერთი, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმა იყო; და რაც უფრო ღარიბულად ცხოვრობდნენ ისინი, მით უფრო მეტად იყვნენ დამოკიდებული შემოსავლის ამ ფორმაზე.

თანდათანობით მზარდი კომერციალიზება და მონეტიზაცია სინამდვილეში მცირერიცხოვან, უფრო დიდ მემამულეებსა და ფეოდალებს აძლევდა ხელს, წვრილ ფეოდალთა მასასთან შედარებით. მაგრამ მეფეების, ჰერცოგებისა და გრაფების უპირატესობა სრულებითაც არ იყო იმდენად დიდი, როგორც გვიან, აბსოლუტიზმის საუკუნეში.

29. სიმძიმის ცენტრის მსგავს გადანაცვლებებს, როგორც ითქვა, ისტორიაში ხშირად ჰქონდა ადგილი. მსხვილბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ფენებს შორის დამოკიდებულება, შეიძლება, ყველაზე მეტად მე-20 საუკუნის მკვლევარს ვანდოთ. აქაც, თავისუფალი კონკურენციული ბრძოლის ფაზის შემდეგ, რომელსაც წვრილი და საშუალო მესაკუთრეთათვისაც დაწინაურების დიდი შანსები და გამდიდრების შესაძლებლობანი მოჰქონდა, ბურჟუაზიის შიგნით სიმძიმის ცენტრმა თანდათანობით გადაინაცვლა ეკონომიკურად სუსტების საზიანოდ და ეკონომიკურად ძლიერი ჯგუფების სასარგებლოდ. ვისაც მხოლოდ პატარა ან საშუალო

სიდიდის საკუთრება აქვს, თუ რამდენიმე ახალაღმოჩენილ სფეროს მხედველობაში არ მივიღებთ, ყოველთვის უფრო რთულად შეუძლია მოიპოვოს დიდი ქონება. უფრო წვრილ და საშუალო ექსისტენცთა პირდაპირი თუ არაპირდაპირი დამოკიდებულება მსხვილ მესაკუთრეებზე იზრდება და მაშინ, როცა პირველთა შანსები მცირდება, ამ უკანასკნელთ, თითქმის, ავტომატურად გაეხსნებათ შემდგომი გამსხვილების შანსები.

იგივე ხდებოდა დასავლეთ-ფრანკულ რაინდულ საზოგადოებაში მე-11 და მე-12 საუკუნეებში. საზოგადოების უპირატესად ნატურალურ-სამეურნეო აგრარული სექტორის ექსპანსიური შესაძლებლობანი ამონურული იყო. შრომის დანაწილება, საზოგადოების კომერციული სექტორი, რამდენიმე წარუმატებლობის მიუხედავად, ჯერ კიდევ გაფართოებისა და ზრდის პროცესში იყო. რაინდ ფეოდალთა უმეტესი ნაწილი ამ გაფართოებისაგან მხოლოდ მცირე სარგებელს იღებდა. უფრო მცირერიცხოვან, დიდ, რაინდ ფეოდალებს მასში წილი ჰქონდათ და სარგებლობდნენ ამისაგან. ამით თავად ფეოდალურ-რაინდულ საზოგადოებაში ხორციელდებოდა დიფერენცირება, რომელსაც მსოფლხედვისა და ცხოვრების წესისათვის გარკვეული შედეგები ჰქონდა.

„ფეოდალური საზოგადოება როგორც მთელი", ამბობს ლიუშერი ფილიპ აუგუსტუსის[51], დროინდელი საზოგადოების თავის შეუდარებელ წარმოდგენაში „ელიტის გამოკლებით, მე-9 საუკუნიდან მოყოლებული, თითქმის არ იცვლის თავის ჩვეულებებსა და ზნეს. თითქმის ყველგან, ციხე-სიმაგრის მფლობელი რჩება სისხლიან და ყაჩაღ მებრძოლად; ის ებმება ბრძოლაში, იბრძვის შეჯიბრში, მშვიდობიან დროს ნადირობაში ატარებს, ფლანგავს ფულს, ჩაგრავს გლეხებს, ავიწროებს მეზობლებს და ძარცვავს ეკლესიის მიწებს".

ნელ-ნელა, მზარდი შრომის დანაწილებისა და მონეტიზირების ჩაკეტილ წრეში ფენები მოძრაობაში მოდის. სხვები გაქვავებულან და მხოლოდ წინააღმდეგობის შემთხვევაში და თანაც, პასიურად ჩაერთვებიან სახეცვლილი ძალების ელექტრულ წრედში. ცხადია, არასოდეს არაა მთლად მართებული, როცა ამბობენ, თითქოს ესა თუ ის ფენა „უისტორიო" იყოს. მაგრამ რაც შეიძლება ითქვას, არის შემდეგი: უფრო წვრილ მემამულეთა და რაინდთა ცხოვრების პირობები ძალიან ნელა იცვლება. ისინი გაცვლით ქსელში, ფულის მოზღვავებაში, სწრაფ მოძრაობაში, რომელიც ფულის მოზღვავებასთან ერთად საზოგადოებაში მიმდინარეობს, არავითარ პირდაპირ და აქტიურ მონაწილეობას არ იღებენ და თუ ისინი სოციალური მოძრაობების ბიძგებს და რყევებს გრძნობენ, მაშინ ეს, როგორც ყოველთვის, მათთვის არახელსაყრელი ფორმით ხდება. ყველაფერი ეს დაბრკოლებებია, რომელსაც მემამულეები, ისევე როგორც გლეხები, უმეტესად ვერ იგებენ და ძალზე ხშირად ეზიზღებათ, თითქოს მათ ავტარკიული მამულიდან გაყრით მეტნაკლებად ძალადობრივი გზით ერეკებოდნენ აქტიურ ფენებში. ისინი

ჭამენ იმას, რასაც თავიანთი მიწებიდან, ბოსლებიდან თუ მოსამსახურეთა შრომით იღებენ. ამაში არაფერი იცვლება. თუ საკვები იწურება ან მეტი სურთ, ძალადობით, ყაჩაღობითა და ძარცვით შოულობენ. ეს არის მარტივი, ადვილად წარმოსადგენი და დამოუკიდებელი არსებობა; აქ რაინდები, უფრო მოგვიანებით კი გლეხები, გარკვეული აზრით, თავიანთ მიწაზე ბატონები არიან და ასეთად რჩებიან. მართვა, ვაჭრობა, ფული, ბაზრის ფასების აწევა და დაცემა, ყველაფერი ეს ხშირად სხვა სამყაროს უცხო და მტრული გამოვლინებებია.

საზოგადოების ნატურალურ-სამეურნეო სექტორი, რომელიც შუა საუკუნეებში და მას შემდეგ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში, სოციალურ სუბიექტებად ქცეულ ადამიანთა უმეტეს ნაწილს მოიცავს, ცხადია ამ ადრეულ ხანაში შეხებაში მოდის ისტორიულ-სოციალურ მოძრაობასთან. მაგრამ ყველა რყევის მიუხედავად, სუბსტანციურ ცვლილებათა ტემპი, სხვა ფენებში მომხდარ ცვლილებებთან შედარებით, მასში კვლავ ნაკლებია. ის არ არის „ისტორიას მოკლებული“, მაგრამ აქ შუა საუკუნეებში, ადამიანთა ძალიან დიდი რაოდენობისათვის და მხოლოდ მოგვიანებით, ახალ დროში, ადამიანთა უფრო და უფრო მცირე რიცხვისათვის, მუდმივად ერთი და იგივე სასიცოცხლო პირობები წარმოიქმნება. აქ ისევ და ისევ იწარმოება და მოიხმარება, ძირითადად იმავე ეკონომიკური ერთეულის ფართობზე და ფარგლებში; უფრო ძლიერი და ზელოკალური კავშირები საზოგადოების სხვა სფეროებში მხოლოდ გვიან და არაპირდაპირ ხდება საგრძნობი. შრომის დანაწილება და ტექნიკა, რომელიც კომერციალიზებულ სექტორში უფრო სწრაფად შეიჭრება, აქ მხოლოდ ნელა იცვლება.

და გაცილებით გვიან დაწესდება აქ ის თავისებური იძულებანიც, უფრო კატეგორიული რეგულირებანი და შეზღუდვანი ადამიანის სულზე, რომელიც ფინანსურ ქსელში, ფუნქციათა უფრო მეტი დანაწილების სისტემაში ადამიანთა ფორმირებას მზარდი, უხილავი და ხილული დამოკიდებულებით ახდენს. ბევრად მეტი ყოყმანით და ბევრად უფრო ნელა ემორჩილება აქ ლტოლვითი ცხოვრება და ქცევა ცივილიზაციას.

როგორც უკვე ითქვა, შუა საუკუნეებში და მას შემდეგაც, დიდი ხნის განმავლობაში, ეს აგრარული, ნატურალურ-სამეურნეო სექტორი, შრომის ნაკლები დანაწილებით, ნაკლები ზელოკალური კავშირებით და გამყარების დიდი შესაძლებლობებით, მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მოიცავს. იმისათვის, რომ მართლა გავიგოთ ცივილიზაციის პროცესი, ისტორიის ეს პოლიფონია, თვალთახედვის არედან არ უნდა დავკარგოთ ერთი ფენის ცვლილების ნელი და სხვა ფენათა ცვლილების უფრო სწრაფი პროცესი და მათ შორის პროპორცია. შუა საუკუნეების ამ დიდი, აგრარული, ნელა მოძრავი სექტორის ბატონები, რაინდები, თავიანთ ქცევებში და ლტოლვებში, თითქმის, არ არიან ფინანსური ჯაჭვებით შებოჭილი; ისინი თითქმის არ იცნობენ სხვა შუამავალს თავიანთ საარსებო საშუალებებთან და

ამით არავითარ სხვა უშუალო დამოკიდებულებას, გარდა მახვილისა. ცხადია, ფიზიკური დამორჩილების საფრთხეს, აშკარად უფრო ძლიერის საომარ მუქარას, მაშასადამე, პირდაპირ ფიზიკურ იძულებებს, რომლებიც გარედან მოდის, შეუძლია მათ თავშეკავება აიძულოს. სხვა შემთხვევაში მათი აფექტები ყველა ცხოვრებისეულ შიშსა და სიხარულში საკმაოდ თავისუფლად და შეუბოჭავად მოქმედებს. მათი დრო (და დრო, როგორც ფული, სოციალური ინტერდეპენდენცის ფუნქციაა), სხვაზე დამოკიდებულების და მიმართების საშუალებით, მხოლოდ უმცირესი ზომითაა განუწყვეტელი დაყოფისა და რეგულირებისაკენ მიდრეკილი. იგივე ითქმის ლტოლვების შესახებაც. ისინი არიან ველურები, დაუნდობელნი, ჯანყისაკენ მიდრეკილნი და წუთიერ სურვილს მინდობილნი. მათ შეუძლიათ იყვნენ ასეთები. თავიანთ მდგომარეობაში მათ ცოტა რამ თუ აიძულებთ, საკუთარ თავს დაუწესონ იძულება; ცოტა რამ თუ უწყობს ხელს მათში მკაცრი და სტაბილური „ზე-მე"-ს წარმოშობას, რომელიც თვითიძულებებში ტრანსფორმირებულ გარეგან იძულებად და გარეგან დამოკიდებულებად გვევლინება.

დაახლოებით შუა საუკუნეების ბოლოსათვის, უკვე რაინდთა მნიშვნელოვანი ნაწილია მოქცეული დიდ, რაინდულ, ფეოდალურ სასახლის კართა გავლენის სფეროში; და მაგალითები, რომელიც ზემოთ სურათების მთელი რიგის საფუძველზე რაინდის ცხოვრებისთვისაა მოცემული (იხ. წიგნი I, გვ. 376 ff.), ამ წრიდან მომდინარეობს. მაგრამ რაინდთა უმეტესი ნაწილი ამ ეპოქაში ბევრად განსხვავებულად არ ცხოვრობდა, ვიდრე მე-9 და მე-10 საუკუნეში. დიახ, მემამულეთა თანდათანობით კლებადი რაოდენობა მსგავსი ცხოვრებით ცხოვრობდა შუა საუკუნეების შემდეგაც კი და თუ პოეტს, ჟორჟ სანდს შეიძლება ვენდოთ, — ის აშკარად იცავს ისტორიულ სამართლიანობას – თვით საფრანგეთის რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრეც კი, ფრანგული პროვინციის კუნჭულებში ჯერ კიდევ არსებობდნენ ასეთი, ცალკეული, დაუმორჩილებელი ფეოდალები, თუმცა, ისინი ორმაგად ველურნი, უშიშარნი და სასტიკნი იყვნენ, თავიანთი, აუტსაიდერის მდგომარეობის გამო. ის, თავის ნოველაში „Mauprat" აღწერს ცხოვრებას ერთ-ერთ ასეთ უკანასკნელ ციხე-სიმაგრეში, რომელსაც, იმის წყალობით, რომ უფრო მეტად საზოგადოება შეიცვალა მის გარშემო და უფრო ნაკლებ მასში მცხოვრები ადამიანები, ახლა მეტ-ნაკლებად ყაჩაღთა თავშესაფრის ხასიათი აქვს:

«Mon grand-père», ამბობს მოთხრობის გმირი, „était dès lors avec ses huit fils le dernier débris que notre province eût conservé de cette race de petits tyrans féodaux dont la France avait été couverte et infestée pendant tant de siècles. La civilisation, qui marchait rapidement vers la grande convulsion révolutionnaire, effaçait de plus en plus ces exactions et ces brigandages organisés. Les lumières de l'éducation, une sorte de bon goût, reflèt lointain d'une cour galante, et peutêtre le pressentiment d'un réveil prochain et terrible

du peuple pénétraient dans les châteaux et jusque dans le manoir à demi-rustique des gentillâtres.»

ამ აღწერის მთელი მონაკვეთები უნდა მოგვეყვანა იმის საჩვენებლად, თუ როგორ აღმოვაჩენთ მსგავსი საცხოვრებელი პირობების გავლენით, ცალკეულ აუტსაიდერებთან ისევ მანერებს, რომლებიც მე-10, მე-11, მე-12 საუკუნეებში ახასიათებდა ზედა ფენების უდიდეს ნაწილს. აქ ყოველთვის არის ლტოლვათა მოუწესრიგებლობა და დაუმორჩილებლობა. სახეზე არა გვაქვს ჯერ კიდევ მათი გარდაქმნა დახვეწილი სიამოვნების სხვადასხვაგვარ ფორმაში, რომელსაც საზოგადოება უკვე იცნობს. აქ არის უნდობლობა ქალებთან მიმართებაში, რომლებიც არსებითად გრძნობადი დაკმაყოფილების ობიექტს წარმოადგენენ, სიხარული ძარცვისა და ძალადობის გამო, სურვილი არავინ აღიარონ თავისზე მაღლა მდგომ ბატონად, გლეხების მორჩილება, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და ამის იქით იძულებანი, რომელთა გადაჭრა შეუძლებელია იარაღით, ფიზიკური ძალადობით: ვალებში ჩაფლულობა, ცხოვრების სივიწროვე და სიღარიბე მოთხოვნათა სიდიდესთან მკვეთრ კონტრასტში; და უნდობლობა ფულთან მიმართებაში როგორც ბატონებში, ისევე გლეხებში:

»Le Mauprat ne demandait pas d'argent. Les valeurs monétaires sont ce que le paysan de ces contrées réalise avec le plus de peine, ce dont il se dessaisit avec le plus de répugnance. »L'argent est cher» est un de ses proverbes, parce que l'argent représente pour lui autre chose qu'un travail physique. *C'est un commerce avec les choses et les hommes du dehors, un effort de prévoyance ou de circonspection, un marché, une sorte de lutte intellectuelle* qui l'enlève à ses habitudes d'incurie, en un mot, un travail de l'esprit; et pour lui c'est le plus pénible et le plus inquiétant.»

აქ, ჯერ კიდევ უპირატესად ნატურალურ-სამეურნეო ანკლავები ფართო, სავაჭრო ურთიერთობათა და შრომის დანაწილების დაქსელილ ველშია მოქცეული. აქ უკვე შეუძლებელია თავი დაიცვან ფულის ელექტრულ ნრედში ჩართვისაგან. პირველ რიგში, გადასახადები, შემდეგ კი ის აუცილებლობა, რომ საჭიროა იმის ყიდვა, რასაც თავად არ აწარმოებენ, ამისაკენ უბიძგებს. მაგრამ თავისებური, არათვალსაჩინო რეგულირება და ვარაუდი, მისწრაფებათაგან თავშეკავება, აუცილებელი ფიზიკური სამუშაოს ზომიდან გამომდინარე, რომელიც ყოველ საფინანსო ჯაჭვში ჩართულ ადამიანს ეკისრება, არის და რჩება ამ ოლქებში არსებითად საძულველ და გაუგებარ იძულებად.

ეს ციტატა ეხება ბატონებს და გლეხებს მე-18 საუკუნის დასასრულიდან. ალბათ, აქ ეს საკმარისი იქნებოდა იმისათვის, რათა კიდევ ერთხელ გვეჩვენებინა საზოგადოების ამ სექტორის ცვლილების ნელი ტემპი და ცოტა რამ ადამიანების პოზიციის შესახებ.

30. მე-11 საუკუნეში ნელა, მე-12 საუკუნეში კი უკვე აშკარად,

ფართო, ნატურალური მეურნეობის ლანდშაფტიდან, მისი ურიცხვი ციხე-სიმაგრეებით, ბევრი, შედარებით პატარა თუ დიდი სამფლობელოთი, თანდათან წარმოიქმნება სოციალურ ორგანოთა ორი ახალი ტიპი, ახალი დასახლებისა და ადამიანთა ინტეგრაციის ორი ახალი ფორმა: დიდ ფეოდალთა სასახლის კარი და ქალაქის დასახლებანი. ორივე ინსტიტუტი თავისი სოციოგენეზისის მიხედვით უახლოეს კავშირშია ერთმანეთთან, რა უნდობლად და მტრულადაც არ უნდა ექცეოდნენ ორივე ინსტიტუტის წარმომადგენელი ადამიანები ერთმანეთს. ეს სწორად უნდა გავიგოთ. ისე არ ხდება, რომ უფრო დიფერენცირებული სექტორი, დასახლების ფორმები, რომელშიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ, გაცვლისა და შრომის დანაწილების საფუძველზე, ადამიანთა უფრო დიდი მასები შეიძლება გამოიკვებოს, ერთი დარტყმით იქმნებოდა არადიფერენცირებული, ნატურალური მეურნეობის სექტორის საპირისპიროდ. ნატურალური მდგომარეობის დოვლათიდან მოხმარებისაკენ მიმავალ გზაზე დაუსრულებლად ნელა შენდება ახალი, ეკონომიკურად დამოუკიდებელი სადგურები. და ასე ნაბიჯ-ნაბიჯ ამოიზრდება ქალაქები და ფეოდალთა დიდი სასახლის კარი წარმოების იმ ფორმიდან, რომელიც უფრო მცირე დოვლათით ირჩენს თავს. მე-12 საუკუნეში და თვით მას შემდეგაც კი, დიდი ხნის განმავლობაში, ქალაქები სრულიადაც არ არის იმ ზომით დაშორებული ნატურალური მეურნეობის რეგიონებს, როგორც შემდგომ მე-19 საუკუნეში ე.წ. გაშლილ ქვეყანას. პირიქით, ქალაქისა და სოფლის წარმოება აქ ჯერ კიდევ უმჭიდროეს კავშირშია ერთმანეთთან. და თუმცა, დიდი ფეოდალების სასახლის კართა მცირე ნაწილი ჭარბი მოსავლის, გადასახადების საშუალებით, რომელიც მათკენ მიედინება (ისევე როგორც ფუფუნებაზე უფრო მეტი მოთხოვნით), დაკავშირებულია სავაჭრო ქსელთან და საბაზრო მიმოქცევასთან, მათი ყოველდღიური მოთხოვნილების დიდი ნაწილი კვლავ დომენალური მამულების შემოსავლებიდან იფარება; და ამ აზრით, ისინიც უმეტესად ნატურალური მეურნეობის მქონე სასახლის კარს წარმოადგენენ. სხვათა შორის, სწორედ ამ დომენალური საკუთრების სიდიდის გამო, წარმოებაც თავის თავში დიფერენცირებას ახდენს. ისევე როგორც ანტიკურ ხანაში დიდი მონათმფლობელური მამულები, ნაწილობრივ, ბაზრისათვის მუშაობენ, ნაწილობრივ კი ბატონთა დიდი საოჯახო მეურნეობისათვის და ამ აზრით, ჯერ კიდევ ბაზარს მოკლებული მეურნეობისა და წარმოების ფორმის დიფერენცირებულ სახეს წარმოადგენდნენ, ასე იყო ეს დიდი საფეოდალო მამულებიც. ეს შეიძლება, გარკვეულწილად, სამართლიანი იყოს უფრო უბრალო მუშების მისამართით, რომელიც ამ მამულებში მუშაობდნენ და პირველ რიგში, საწარმოს ორგანიზაციის თვალსაზრისით. დიდ ფეოდალთა კუთვნილი მიწები ყველაზე მეტად ქმნის ძლიერ, ბუნებრივად ჩაკეტილ კომპლექსს. მამულებმა ერთ ხელში მოიყარა თავი სრულიად სხვადასხვაგვარი გზით: დაპყრობის გზით, მემკვიდრეობით, ნაჩუქრობით თუ ქორწინების შედეგად. ისინი

უმეტესად სხვადასხვა მიდამოშია გაბნეული ერთი ტერიტორიის ფარგლებში და აქედან გამომდინარე, აღარ არის ისე მარტივად კონტროლირებადი, როგორც პატარა ქონება. საჭიროა ცენტრალური აპარატი, ადამიანები, რომლებიც დოვლათის გასავალს და შემოსავალს ზედამხედველობას გაუწევენ, რომლებიც ანგარიშს აწარმოებენ, რა მარტივადაც უნდა ხდებოდეს ეს დასაწყისში, ადამიანები, რომლებიც გადასახადების შემოსვლას გაუწევენ კონტროლს და აქედან გამომდინარე, ტერიტორიის მართვით იქნებიან დაკავებულნი. „ინტელექტუალური თვალსაზრისით პატარა ფეოდალის სასახლის კარი იყო რუდიმენტული ორგანო, განსაკუთრებით იქ, სადაც ბატონს თავად არც წერა შეეძლო და არც კითხვა“.[52] უფრო დიდ და მდიდარ ფეოდალთა სასახლის კარი, უპირველეს ყოვლისა, მართვის მიზნებით, თავისკენ მიიზიდავს განსწავლულ კლერიკალთა შტაბს. მაგრამ, როგორც იტყვიან, ეს დიდი ფეოდალი მმართველები, იმ შანსების წყალობით, რომლებიც მათ ამ ეპოქაში ეძლევათ, არიან თავიანთი მხარის უმდიდრესი და უძლიერესი კაცები და შესაძლებლობასთან ერთად იზრდება მოთხოვნა, რომ ამ პოზიციას კიდევ მეტი გამომხატველობა მიანიჭონ სასახლის კარის ბრწყინვალებით და მორთულობით. ისინი სიმდიდრით აჭარბებენ არა მხოლოდ სხვა რაინდებს, არამედ უპირველეს ყოვლისა, ნებისმიერ მოქალაქეს. აქედან გამომდინარე დიდ ფეოდალთა სასახლის კარს ამ ეპოქის სურათის შესაქმნელად ბევრად უფრო დიდი, კულტურული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ქალაქებს. ის ტერიტორიულ მმართველთა კონკურენტულ ბრძოლაში გარკვეული მხარის ძალისა და სიმდიდრეს რეპრეზენტაციის კერად იქცევა. ფეოდალები თავისკენ იზიდავენ მწერალ ადამიანებს არა მარტო ადმინისტრირების მიზნებისათვის, არამედ თავიანთი ქმედებებისა და ბედის აღწერის მიზნით. ისინი თავისი ნებით წარუდგენენ თავს მინესტრელებს, რომლებიც მათ და მათ ქალბატონებს ხოტბას ასხამენ. დიდი სასახლის კარი ხდება „ლიტერატურული პატრონაჟის პოტენციური ცენტრი“ და „მატეანის წერის პოტენციური ცენტრი“.[53] ჯერ კიდევ არ არსებობს წიგნის ბაზარი და საერო საზოგადოებაში მათთვის, ვინც წერასა და ლექსების თხზვაზეა სპეციალიზებული, ვინც ამით უნდა იცხოვროს, კლერიკალია ეს თუ არა, სასახლის კარისეული პატრონაჟია ის ერთადერთი ფორმა, რომელშიც მან თავისი არსებობის წყარო შეიძლება იპოვნოს[54].

აქ, როგორც ყოველთვის ისტორიაში, საზოგადოების დიფერენციაციასთან კავშირში, პოეზიის მარტივი სახიდან ვითარდება უფრო მაღალი და დახვეწილი პოეზიის ტიპი, რასაც თან ახლავს საზოგადოებაში მდიდართა უფრო დახვეწილი, წრეების ჩამოყალიბება. აქ პოეტი ჯერ კიდევ არ ქმნის თავის ნაწარმოებს, როგორც მთლიანად თავის თავზე დამყარებული ინდივიდუმი ანონიმური პუბლიკისათვის, სადაც ის მხოლოდ ცალკეულ წარმომადგენლებს იცნობს. ის ქმნის და საუბრობს უშუალოდ იმ ადამიანთათვის, რომელთაც ის იცნობს, რომელთანაც ის ყოველდღიურად ურთიერთობს. და

სალონურობა, ურთიერთობისა და ქცევის ფორმები, საზოგადოების ამ წრის ატმოსფერო, სწორედ ისევე, როგორც სოციალური ადგილი მასში, გამოხატულებას ჰპოვებს მის სიტყვებში.

მინესტრელები ერთი ციხე-სიმაგრიდან მეორეში გადადიან. ისინი არიან მომღერლები, ძალზე ხშირად კი, მხოლოდ ხუმარები და მასხარები ამ სიტყვის უმარტივესი აზრით. ამ სახით მათ ვხვდებით შედარებით უბრალო და პატარა რაინდთა ციხე-სიმაგრეებშიც. მაგრამ ისინი აქ მხოლოდ დროებით სტუმრობენ. აქ დიდი ხნით არც ადგილი, არც ინტერესი, ძალზე ხშირად კი არც საშუალებებია მინესტრელის გამოსაკვებად და დასაჯილდოებლად. მინესტრელთა შორის ფუნქციათა მთელი შკალა შეიძლება მოვიაზროთ, უბრალო ხუმარებიდან და მასხარებიდან დაწყებული, მინეზენგერებით და ტრუბადურებით დამთავრებული. ფუნქციათა დიფერენცირება პუბლიკასთან ერთად ხდება. ყველაზე დიდ, მდიდარ ბატონებს (და ეს ფეოდალურ რანგობრივ იერარქიაში უმაღლესი რანგის მქონეთაც გულისხმობს), ჰქონდათ შანსები, საუკეთესო ძალები მოეზიდათ თავიანთი სასახლის კარზე. აქ უფრო მეტი ადამიანი იკრიბებოდა; აქ იყო შესაძლებლობა დახვეწილი ურთიერთობისა და საუბრისა; აქ იხვეწებოდა პოეზიის ტონიც. შეხედულება „რაც უფრო მაღალია ბატონი და ქალბატონი, მით უფრო დიდი და უკეთესია მომღერალიც" ხშირად გამოითქმოდა ამ ეპოქაში.[56] არსებითად, ეს თავისთავად ცხადად იყო მიჩნეული. და ხშირად დიდ ფეოდალთა კარზე ცხოვრობდა არა ერთი, არამედ რამდენიმე მომღერალი, „რაც უფრო მაღალი პიროვნული თვისებების და რანგის იყო თავადის მეუღლე, რაც უფრო ბრწყინვალე იყო მისი სასახლის კარის მდგომარეობა, მით უფრო მეტი ნაქები პოეტი ჰყავდა მას თავის სამსახურში".[56] ძალაუფლებისათვის ბრძოლა დიდ ფეოდალთა შორის პრესტიჟისათვის მუდმივ ბრძოლაში გამოიხატებოდა. პოეტები, ისევე როგორც მემატიანეები, მათ ინსტრუმენტებს განეკუთვნებოდნენ. ამიტომ ერთი ბატონის სამსახურიდან მეორეს სამსახურში მინეზენ-გერის გადასვლა ნიშნავს იმ პოლიტიკურ შეხედულებათა მთლიან შეცვლას, რომლებიც მან გამოთქვა.[57] მინეზენგერთა სიმღერის შესახებ სამართლიანადაა ნათქვამი: „ეს იყო თავისი აზრის და მიზნის მიხედვით პოლიტიკური პანეგირიკი პიროვნული რევერანსის ფორმაში".[58]

31. რეტროსპექტრულ ხედვას მინეზანგი რაინდული საზოგა-დოების გამოხატვის ფორმად ეჩვენება; მისი ამგვარად დანახვის ჩვევა განმტკიცებული და გაძლიერებული იყო იმით, რომ რაინდული ფუნქციების კვდომის, არისტოკრატიული ზედა ფენების მზარდი შებოჭილობის გამო, აბსოლუტიზმის აღზევების ხანაში თავისუფალი და უფრო ნაკლებ შებოჭილი რაინდული საზოგადოების სურათი მიმომხილველთათვის ნოსტალგიური საბურველით იყო მოცული. მაგრამ ძნელი საფიქრებელია, რომ მინეზანგი და პირველ ყოლისა, მისი უფრო ნაზი ტონი (თუმცა, ის ყოველთვის ნაზი არ არის), იმავე ცხოვრებიდან წარმოიშვა, საიდანაც მძიმე, სასტიკი და უხეში ქცევის ფორმები, რომლებიც მათი მდგომარეობის შესაბამისად, რაინდთა

უმეტესობას უნდა გაეთავისებინა; უკვე ამასაც უსვამენ ხაზს, რომ სინამდვილეში მინეზანგი „რაინდულ საზოგადოებას ძალიან ეწინააღმდეგება"[59]. თვალწინ უნდა წარმოვიდგინოთ მთელი ლანდშაფტი მისი დიფერენციაციის დასაწყისში, რათა შეგვეძლოს ამ წინააღმდეგობის გადაჭრა და ადამიანური პოზიციის გაგება, რომელიც ტრუბადურთა ლირიკაში გამოიხატება.

მე-11 და მე-12 საუკუნეთა დასაწყისში შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი ფორმა რაინდული ბედისა, ერთმანეთში სხვადასხვაგვარი გადასვლებით. აქ არიან უფრო ნვრილი რაინდები— ბატონები ერთი ან რამდენიმე არც ისე ვრცელი მამულისა; აქ არიან დიდი და მდიდარი რაინდები, ტერიტორიული მმართველები, რომლებიც პირველებთან შედარებით მცირერიცხოვანი არიან და ბოლოს რაინდები, რომელთაც მიწა არ გააჩნიათ, ან ცოტა აქვთ და რომლებიც უფრო დიდი რაინდების სამსახურში დგებიან და მათ დაქვემდებარებაში ექცევიან. არა მარტო, მაგრამ ნაწილობრივ, ამ უკანასკნელი ჯგუფიდანაც გამოდიან რაინდი, არისტოკრატი მინეზენგერები. მომღერლისა და მგოსნის გზა დიდი ბატონისა და კეთილშობილი ქალბატონის სამსახურში არის ერთ-ერთი გზა, რომელიც გაეხსნება როგორც ზედა ფენის, ისე ქალაქისა და სოფლის ქვედა ფენის წარმომადგენელთ, რომლებიც მიწას არ ფლობენ. ორივე ფენის მემკვიდრეებს ერთდროულად ვხვდებით ტრუბადურთა ფუნქციით დიდ ფეოდალთა სასახლის კარზე. და მიუხედავად იმისა, რომ ზოგჯერ დიდი ფეოდალი მონაწილეობდა სიმღერასა და ლექსების თხზვაში, ტრუბადურთა ლირიკა და მინეზენგერთა სამსახური თავის თვისებებს ამ სოციალურად დამოკიდებულ, მდიდართა წრეში მოხვედრილ ადამიანთა შებოჭილობიდან და თანდათანობით მყარ ფორმებში მოქცეული ურთიერთობიდან იღებს. ადამიანური ურთიერთობანი და იძულებანი, რომლებიც აქ ყალიბდება, ჯერ კიდევ არაა ისე თანმიმდევრული და მკაცრად მოწესრიგებული, ჯერ კიდევ არაა ისე შეუვალი, როგორც მოგვიანებით, უფრო დიდ და საფინანსო ურთიერთობებით უფრო ძლიერად მოწესრიგებულ აბსოლუტისტურ სასახლეთა კარზე. მაგრამ, ამავე დროს, ისინი უკვე მოქმედებენ ლტოლვათა უფრო მძლავრი რეგულირების მიმართულებით; სასახლის კარის შეზღუდულ წრეში და უწინარეს ყოვლისა, ქალბატონის გარემოცვაში, ქცევის მშვიდობიანი ფორმები სავალდებულოა; აქედან, ცხადია, გადამეტებული წარმოდგენები არ უნდა შეგვექმნას. ადამიანთა სულების პაციფიცირება კიდევ დიდი ხანი არ ნასულა ისე შორს, როგორც მოგვიანებით, როცა მონარქმა საბოლოოდ, დუელიც კი აკრძალა; მახვილი ჯერ კიდევ არ არის მყარად ჩაგებული და ომი და მტრობა ისევ ახლოა; მაგრამ მღელვარებათა მიყუჩება, სუბლიმირება ფეოდალურ-კურტუაზიულ ურთიერთობათა წრეში შეუქცევადი და გარდაუვალია. მომღერლები, სულ ერთია ისინი რაინდთა წარმომადგენელნი არიან თუ ბიურგერებისა, სოციალურად დამოკიდებული ექსისტენცები არიან; და მათი სიმღერის, თავდაჭერის, მათი ლტო-

ლვათა და აფექტური მდგომარეობის სოციალურ ბაზისს ქმნის სამსახურებრივი ურთიერთობები.

„თუ სასახლის კარის მომღერალს სურდა გარანტირებული ჰქონოდა ყურადღება და პატივისცემა მისი ხელოვნებისა და პიროვნების მიმართ, ის მხოლოდ მაშინ შეძლებდა დიდი ხნით ამაღლებულიყო მოგზაურ მსახიობზე, თუ მას სამსახურში თავადი ან მისი მეუღლე აიყვანდა. მინეზენგერის სიმღერას, რომლითაც ის შორიდან მიმართავდა ქალბატონს, რომელსაც ჯერ არ სტუმრებია, სხვა არავითარი მიზანი არ გააჩნდა, თუ არა მზაობა და სურვილი იმის გამოხატვისა, რომ ადრესატი ქალბატონის სასახლის კარზე იმსახუროს. ვითარების მიხედვით ეს იყო და რჩებოდა რეალურ მიზნად ყველასათვის, რომელთაც თავიანთი ხელოვნებით ცხოვრების სახსარი უნდა მოეპოვებინათ, როგორც მდარე წარმომავლობის მამაკაცთათვის, ასევე კეთილშობილთა შვილებისათვის, რომლებიც არ იყვნენ პირველშობილნი და არ გააჩნდათ მემკვიდრეობა....”

„.... ვალტერ ფონ ფოგელვაიდეს სამსახურებრივი ურთიერთობების სახით, კონრად ბურდახსის ნათელი კონსტატაციების წყალობით, ტიპიურ მაგალითს შეიძლება დავაკვირდეთ. მეფე ფილიპმა ვალტერი "თავისთან აიყვანა", ე.ი. მგოსანი ოჯახში მიიღეს; ეს იყო ჩვეულებრივი გამოხატულება შუა საუკუნეების ადმინისტრაციაში შესვლისა. ეს იყო სამსახური მფარველობის (beneficium-ის) გარეშე, სამსახურიდან დათხოვნის განცხადების უფლებით ოთხი კვირიდან ერთ წლამდე. დროის ამოწურვის შემდეგ მას შეეძლო სხვა ბატონი ეძებნა ძველის თანხმობით. ფილიპისაგან ვალტერს ლენი არ მიუღია, არც დიტრიხ ფონ მაისენისაგან, არც ოტო IV-ისა და არც ჰერმან ტიურინგელისაგან, რომლის წრესაც ის ოდესღაც მიეკუთვნებოდა. ეპისკოპოსს ვოლფგერ ფონ ელენბრეხტკირხენთანაც ის მხოლოდ დროებით მსახურობდა, სანამ ბოლოს და ბოლოს, ფრიდრიხ II, ხელოვნების მცოდნე და თავად პოეტი, მას ბენეფიციუმს მიანიჭებდა, რომელიც მას შემოსავლებით უზრუნველყოფდა. „honos”–ი, მიწის, თუ თანამდებობის ლენი (უფრო მოგვიანებით კი ფინანსურიც), ნატურალური მეურნეობის ფეოდალურ ეპოქაში ყველაზე დიდი პატივი იყო გაწეული სამსახურისათვის და ყველაზე უდიდეს ნატვრათა მიზანი. ის ძალზე იშვიათად ენიჭებოდათ მომღერლებს, როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიაში. ხშირად ისინი, როგორც სასახლის კარის მგოსნები, უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ იმით, რომ საზოგადოება საუბრით გაერთოთ და ამის სანაცვლოდ თავშესაფარი და საკვები მიეღოთ და როგორც განსაკუთრებული პატივი... ეტარებინათ მორთულობა, რომელსაც ისინი სასახლის კარზე სამსახურისას საჭირობდნენ“.[60]

32. განსაკუთრებული აფექტური მდგომარეობა, რომელიც მინეზანგში პოულობს გამოხატულებას, განუყოფელია მინეზენგერის ამ სოციალური მდგომარეობისაგან. მე-9 და მე-10 საუკუნის რაინდები და შემდგომშიც, რაინდთა უმეტესი ნაწილი, მთლად ნაზად არ ექცეოდა საკუთარ ცოლებს და განსაკუთრებით სოციალურად ქვედა საფეხურზე მდგომ ქალებს, ზოგადად. სასახლეებში ქალები ყოველთვის უფრო ძლიერ მამაკაცთა ხელში იყვნენ. მათ შეეძლოთ თავი დაეცვათ ეშმაკობითა და ცბიერებით, მაგრამ მბრძანებელი აქ

მამაკაცი იყო. და სქესთა შორის ურთიერთობები, როგორც ყველა რაინდთა საზოგადოებაში, რეგულირდებოდა მამაკაცთა მეტ-ნაკლებად გამოხატული მბრძანებლობით, მათი ძალის მიხედვით და ხშირად ღია თუ არაპირდაპირ ბრძოლაში, რომელსაც ყოველი მამაკაცი თავისი საშუალებებით უძღვებოდა.

ჩვეულებრივ, გვსმენია ქალების შესახებ, რომლებიც, ტემპერამენტისა და მისწრაფებათა მიხედვით, მამაკაცთაგან ცოტათი თუ განირჩევიან. სასახლის მბრძანებელი ქალბატონი ამ შემთხვევაში არის „Virago", ძლიერი ტემპერამენტით, მძაფრი ვნებებით, ახალგაზრდობიდანვე ყველა ფიზიკურ ვარჯიშში გაწაფული, რომელიც ყველა სიამოვნებასა და საფრთხეს ინაწილებს რაინდთან ერთად[61]. მაგრამ მეორე მხრივ, საკმაოდ ხშირად, ვიგებთ როგორ ცემს თავის ცოლს მეომარი, მეფე, ან უბრალო სენიორი. ეს თითქმის მტკიცე ჩვევადაა ქცეული: რაინდი ბრაზდება და ურტყამს ცოლს მუშტს ცხვირში, ისე რომ ქალს სისხლი მოსდის:

"Le roi l'entend et la colère lui monte au visage: il lève le poing et la frappe sur le nez, si bien qu'il fit sortir quatre gouttes de sang. Et la dame dit: Bien grand mersi. Quand il vous plaira, vous pourrez recommencer."

„შეიძლებოდა", ამბობს ლიუშერი[62], „იმავე ჟანრის სხვა სცენების ციტირება მოგვეხდინა: ისევ და ისევ მუშტის დარტყმა ცხვირზე". გარდა ამისა, ხშირად რაინდი, რომელიც რჩევას იღებს თავისი მეუღლისაგან, აშკარა გაკიცხვას იმსახურებს.

"Dame, allez vous mettre à l'ombre", ამბობს მაგალითად, ერთი რაინდი, et, par dedans vos chambres peintes et dorées, allez avec vos suivantes manger et boire, occupez-vous de teindre la soie: C'est votre métier. Le mien est de frapper de l'epee d'acier".

ისევ ლიუშერის თანახმად, „შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ჯერ კიდევ ფილიპ აუგუსტუსის ეპოქაში, მხოლოდ ფეოდალთა წრეში, გამონაკლისის სახით, უნდა შევხვედროდით კურტუაზ, თავაზიან, ქალებისადმი შედარებით კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. სამფლობელოთა და ციხე-სიმაგრეთა უმეტესობაში ისევ ძველი, უპატივცემულობის გამომხატველი და უხეში ტენდენციები ბატონობდა, რომლებსაც გადატანით და თუ გნებავთ, გადაჭარბებულ ფორმაში გამოხატავს „chansons de geste"- ის უმეტესობა. არ შეიძლება, რაიმე ილუზია შეგვექმნას პროვანსალელი ტრუბადურების, რამდენიმე ფლანდრიელი და შამპანელი „Trouvères"-ის სიყვარულის თეორიათა საფუძველზე: გრძობები, რომლებსაც ისინი გამოხატავენ, ჩვენ ვფიქრობთ, ელიტის, ადამიანთა ძალზე მცირე რიცხვის გრძნობები იყო ...[63]"

უფრო მცირე და საშუალო რაინდთა სასახლის კართა უმეტესობასა და უფრო მცირერიცხოვან, დიდ რაინდთა სასახლის კართა შორის დიფერენციაციას, რომელიც მჭიდროდ უკავშირდებოდა

სავაჭრო და ფინანსური კავშირების თანდათანობით მზარდ ქსელს, როგორც ვხედავთ, თან ახლავს, ქცევის დიფერენცირებაც. ცხადია, ეს პოზიციები ისე მკვეთრად არ უპირისპირდებოდა ერთმანეთს, როგორც ეს გვიანდელ კომენტარებშია გამოხატული. აქაც, როგორც ჩანს, ადგილი ჰქონდა გარდამავალ ფორმათა მთელ რიგს, ურთიერთ-გავლენას. მაგრამ, ძირითადად, შეიძლება ვთქვათ, რომ მშვიდობიანი ურთიერთობები სასახლის ქალბატონის წრეში, მხოლოდ ამ დიდ რაინდთა სასახლის კარზე ყალიბდებოდა. მხოლოდ აქ ჰქონდა მომღერალს შანსები, ეპოვნა მეტ-ნაკლებად გრძელვადიანი სამსა-ხური და მხოლოდ აქ ყალიბდებოდა სამსახურში მყოფი კაცის განსაკუთრებული დამოკიდებულება სასახლის ბატონისადმი, რომელიც მინეზენგერთა ლირიკაში გამოიხატება.

განსხვავება დამოკიდებულებას და გრძნობებს შორის, რომელიც მინეზანგში გამოვლინდება და სხვა, უფრო უხეშ დამოკიდებულებას და გრძნობებს შორის, რომელიც chansons de geste-ში დომინირებს და რომლისთვისაც ისტორიულადაც საკმაო საბუთები მოგვეპოვება, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მამაკაცისა და ქალის ორგვარ ურთიერთობაზე დაიყვანება, რომელიც ფეოდალურ საზოგადოებაში არსებულ ორ განსხვავებულ ფენას შეესაბამება და რომელიც მათში წონასწორობის იმ გადანაცვლებით ყალიბდება, რომელზედაც უკვე იყო საუბარი. პროვინციელ აზნაურთა საზოგადოებაში, რომლებიც თავიანთ სასახლეებსა და მამულებში საკმაოდ არამყარად სხედან, მთელ ტერიტორიაზე გაფანტულნი, ზოგადად, შანსები მამაკაცის ქალზე უპირატესობისა, ე.ი. მამაკაცთა მეტ-ნაკლებად დაუფარავი მბრძანებლობისა, ძალიან დიდია. და სადაც მეომართა ან პროვინციელ აზნაურთა ფენა დიდწილად განსაზღვრავს მთელი საზოგადოების ქცევას, პატრიარქატის კვალს აღმოვაჩენთ — წმინდა მამაკაცური ურთიერთობის ფორმებს, თავისი სპეციფიკური ეროტიკით და ქალის გარკვეული იზოლაციით, რომელიც მეტ-ნაკლებად გამოხატული ფორმით გვხვდება ტრადიციაში.

ამგვარი ურთიერთობა დომინირებდა შუა საუკუნეების რაინდულ საზოგადოებაშიც. ამ საზოგადოებისათვის მახასიათებელია სხვადასხვა სქესის ადამიანთა თავისებური უნდობლობა ერთმანე-თისადმი, რაც არის გამოხატულება იმ დიდი სხვაობისა სასიცოცხლო ფორმებსა და სივრცეს შორის, რომელშიც სხვადასხვა სქესის ადამიანები მოძრაობენ და გამოხატულება იმ სულიერი უცხოობისა, რომელიც ამის შედეგად ჩნდება. აქ ისევე ცხოვრობენ, როგორც მოგვიანებით, სანამ ქალი მოკლებულია პროფესიულ ცხოვრებას, აქ ქალი გამორიცხულია მამაკაცური ცხოვრების ცენტრალური სფეროდან, ზოგადად, საომარი საქმიანობიდან, მამაკაცები კი თავიანთი ცხოვრების ძირითად ნაწილს საკუთარ თავს უთმობენ და ერთმანეთთან ატარებენ. და ამ უპირატესობას შეესაბამება მამაკაცის მხრიდან ქალის ასე თუ ისე გამოხატული დამცირება: „მობრძანდით თქვენს გადაპრანჭულ ბუდუარში, ქალბატონებო,

ჩვენი საქმე ბრძოლაა". და ეს ტიპიურია. ქალი ქალთა ოთახში უნდა იჯდეს. ეს დამოკიდებულებაც ძალზე დიდხანს შენარჩუნდება, ისევე როგორც ცხოვრების სტრუქტურა, როგორც, სოციალური ბაზისი, საიდანაც ის წარმოიქმნება. მათი კვალი ფრანგულ ლიტერატურაში მე-16 საუკუნემდე ჩანს, სწორედ იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც ზედა ფენა უმეტესად მეომართა და პროვინციელ არისტოკრატთა ფენას წარმოადგენს[64]. შემდეგ ეს დამოკიდებულება ქრება ლიტერატურიდან, რომელიც საფრანგეთში მხოლოდ სასახლის კარის წარმომადგენელთა მიერაა კონტროლირებული და მოდელირებული, მაგრამ სავსებით ცხადია, ის არ ქრება თავად პროვინციელ აზნაურთა ცხოვრებიდან.

დიდი, აბსოლუტისტური სასახლეთა კარი ევროპულ საზოგადოებაში იმ ადგილს წარმოადგენდა, სადაც აქამდე ყველაზე სრულყოფილად ყალიბდებოდა ცენტრალური სასიცოცხლო სფეროს ერთგვაროვნება და ამით მამაკაცისა და ქალის ქცევის ფორმების გათანაბრება. აქ ძალიან შორს წაგვიყვანდა იმის ჩვენება, რატომ მაინცდამაინც მე-12 საუკუნის დიდ ფეოდალთა სასახლის კარი სთავაზობდა ქალებს განსაკუთრებულ შანსებს პატრიარქატის დაძლევისა და მამაკაცებთან გათანასწორებისათვის. სხვათა შორის, მიუთითებენ იმაზე, რომ სამხრეთ საფრანგეთში ქალები უკვე ადრეულ პერიოდში ხდებიან ფეოდალები, აქვთ მამული და პოლიტიკურ როლს თამაშობენ; და გამოითქმება ვარაუდი, რომ ამ ფაქტმა ხელი შეუწყო მინეზანგის განვითარებას[65]. მაგრამ ამასთან მიმართებაში გარკვეულად წინა პლანზე წამოიწია იმანაც, რომ „ქალიშვილისათვის გვირგვინის მემკვიდრეობით გადაცემა შესაძლებელი იყო მხოლოდ მაშინ, როცა მამრობითი სქესის ნათესავები, ფეოდალი და მეზობლები მემკვიდრე ქალს ხელს არ უშლიდნენ საკუთრების მიღებაში[66]". სინამდვილეში, დიდ ფეოდალთა ვიწრო წრეშიც ყოველთვის იგრძნობოდა მამაკაცის უპირატესობა ქალზე, რაც მამაკაცის საომარი ფუნქციიდან მომდინარეობდა. თავად დიდ ფეოდალთა სასახლის კარის სასიცოცხლო სივრცეში მამაკაცის საომარი ფუნქცია გარკვეულ დონემდე უკანა პლანზე გადაინაცვლებდა. აქ, პირველად საერო საზოგადოებაში, ადამიანთა სულ უფრო დიდი რიცხვი, მათ შორის მამაკაცთა, იერარქიულად მოწესრიგებულ და მუდმივ მჭიდრო კავშირში, ერთმანეთის გვერდით ცხოვრობდა, ცენტრალური მმართველის თვალთახედვის არეში. და უკვე მარტო ესეც კი, აიძულებდა დამოკიდებულ ადამიანებს გარკვეულ თავშეკავებას. აქ მათ უნდა შეესრულებინათ მთელი რიგი არასაომარი, ადმინისტრაციული სამუშაო, წერითი სამუშაო. ყველაფერი ეს ერთგვარ მშვიდობიან ატმოსფეროს ქმნიდა. ისევე როგორც ყველგან, სადაც მამაკაცები იძულებული არიან, უარი თქვან ფიზიკურ ძალადობაზე, აქაც ზემოთ იწევს ქალის სოციალური წონა. აქ, დიდ ფეოდალთა კარზე, წარმოიქმნებოდა მამაკაცისა და ქალის საერთო სასიცოცხლო სივრცე, ყალიბდებოდა მეგობრობა.

ცხადია, ამ სასახლეთა კარზე მამაკაცთა ბატონობა არ იყო ისე გატეხილი, როგორც მოგვიანებით აბსოლუტისტურ სასახლის კარზე. ამ სასახლის კარის ბატონისათვის მისი, როგორც რაინდისა და მხედართმთავრის ფუნქცია ყველა სხვა ფუნქციაზე წინ იდგა; ის მეომრისათვის საჭირო განათლებას იძენდა და ორიენტირებული იყო იარაღის მოხმარებაში დახელოვნებაზე. სწორედ ამიტომ, ქალი სჯაბნიდა მას მშვიდობიანი ურთიერთობის სფეროში. როგორც ხშირად დასავლური სამყაროს ისტორიაში, აქაც, არა მამაკაცი, არამედ უმაღლესი ფენის წარმომადგენელი ქალი იყო გამოთავისუფლებული სულიერი განათლებისა და კითხვისათვის. დიდი სასახლის კარის შესაძლებლობანი ქალს აძლევდა იმის საშუალებას, რომ შეევსო თავისუფალი დრო და მიჰყოლოდა ფუფუნების ასეთ მოთხოვნილებებს; ქალს შეეძლო თავის გარშემო შემოეკრიბა მგოსნები, მომღერლები, განსწავლული სასულიერო პირები; ასე იქმნებოდა დასაწყისში ქალების გარშემო უფრო მშვიდობიანი, სულიერი მოღვაწეობის წრე. „მე-12 საუკუნეში მაღალ საზოგადოებაში, საშუალოდ, ქალის განათლება უფრო დახვეწილი იყო, ვიდრე მამაკაცისა[67]“. ეს, ცხადია, შეეხება იმავე სოციალური მდგომარეობის მამაკაცს, ქმარს. ამასთან, ქმართან ურთიერთობა აქ დიდად არ განსხვავდება რაინდთა საზოგადოებისათვის მახასიათებელი ურთიერთობისაგან. ის ალბათ, შედარებით უფრო გაწონასწორებული და რაღაც უფრო დახვეწილი იყო, ვიდრე წვრილ რაინდთა შემთხვევაში; მაგრამ იძულება, რომელსაც მამაკაცი თავის საკუთარ ცოლთან მიმართებაში იყენებდა, ზოგადად, განსაკუთრებით დიდი არ იყო. აქაც, სრულიად ერთმნიშვნელოვნად მამაკაცი იყო ბატონი.

33. მაგრამ ადამიანური ურთიერთობის ის ფორმა, რაც საფუძვლად უდევს ტრუბადურთა ლირიკას და მინეზანგს, არის არა ურთიერთობა ქმარსა და ცოლს შორის, არამედ სოციალურად დაბლა მდგომი მამაკაცის ურთიერთობა სოციალურად მაღლა მდგომი ქალისადმი. და მხოლოდ იმ ფენაში, იმ სასახლის კართა გარემოში, რომლებიც საკმაოდ მდიდარი და ძლიერი იყო ამგვარ ურთიერთობათა ჩამოყალიბებისა და კულტივირებისათვის, პოულობდა ადგილს მინეზანგი. თუმცა, ის სინამდვილეში, რაინდთა მთელ საზოგადოებასთან შედარებით, ვიწრო ფენას, „ელიტას“ წარმოადგენდა.

ურთიერთობის სოციალურ სტრუქტურასა და ლტოლვითი ცხოვრების აგებულებას შორის კავშირი სავსებით ერთმნიშვნელოვნად გამოვლინდება. ფეოდალური საზოგადოების უდიდეს ნაწილში, სადაც მამაკაცი ბატონია, ქალის მამაკაცზე დამოკიდებულება კი დაუფარავი და თითქმის შეუზღუდავი, მამაკაცს არაფერი უბიძგებს, იძულება და შეზღუდვა დაუწესოს თავის ლტოლვებს. მეომართა ამ საზოგადოებაში „სიყვარულზე“ ცოტას საუბრობენ. და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ შეყვარებული ამ მეომართა შორის სასაცილოდ უნდა გამოჩენილიყო. ქალი, მამაკაცებს, ზოგადად, დაქვემდებარებულ არსებად მიაჩნიათ. ასეთები მრავლად არიან.

ისინი ვნებათა დაკმაყოფილებას ემსახურებიან, ყველაზე უმარტივესი ფორმით. ქალი ეძლევა კაცს „pour sa nécessité et délectation". ასე ითქვა ერთხელ გვიანდელ ეპოქაში; მაგრამ ეს ზუსტად შეესაბამება მეომართა ქცევას ამ ადრეულ ეპოქაშიც. რის დაკმაყოფილებასაც ის ქალში ეძებს, სხეულებრივი ჟინია; ამის ზემოთ „il n'est guère hommes qui, pour avoir patience, endurent leurs femmes[68]".

ის იძულებანი, რომლებიც ტვირთად აწევს ქალის ლტოლვით ცხოვრებას, საგრძნობლად აჭარბებს სოციალურად თანასწორი მამაკაცისათვის დაწესებულ იძულებებს, რომლებიც დასავლური სამყაროს მთელ ამ ისტორიას გასდევს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დიდ, აბსოლუტისტურ მონარქიას. ის, რომ რაინდთა ამ საზოგადოებაში მაღალ პოზიციების და შესაბამისად, თავისუფლების გარკვეული დოზის მქონე ქალი უფრო სწრაფად და ადვილად აღწევს აფექტთა დაძლევას, დახვენას და ნაყოფიერ ტრანსფორმაციას, ვიდრე იმავე სოციალური მდგომარეობის მქონე მამაკაცი, შეიძლება, სხვათა შორის, ამ მიმართულებით განხორციელებული მუდმივი მიჩვევის და ადრეული კონდიციონირების გამოხატულებაც იყოს. გარეგნულად ქალი, სოციალურად თანასწორ მამაკაცთან შედარებით, დამოკიდებული, სოციალურად დაბლა მდგომი არსებაა.

შესაბამისად, სოციალურად დაბლა მდგომი და დამოკიდებული მამაკაცის სოციალურად მაღლა მდგომ ქალთან ურთიერთობა რაინდულ საზოგადოებაში, დასაწყისში მისგან თავდაჭერას, უარის თქმას, ლტოლვათა მოთოკვას და სხვაგვარად ფორმირებას მოითხოვს. შემთხვევითი არ არის, რომ ამ ადამიანურ სიტუაციაში, არა მხოლოდ ინდივიდუალურ, არამედ სოციალურ ფენომენად, სწორედ სოციალურ ფენომენად ყალიბდება ის, რასაც ჩვენ „ლირიკას" ვუწოდებთ და ჟინის ის გარდასახვა, გრძნობის ის შეფერილობა, აფექტების ის სუბლიმაცია და დახვეწა, რასაც ჩვენ „სიყვარულს" ვეძახით. აქ, არა მხოლოდ გამონაკლისის, არამედ სოციალურ-ინსტიტუციონალურად გამყარებული სახით, წარმოიქმნება კონტაქტები მამაკაცსა და ქალს შორის, რომლებიც უფრო ძლიერი მამაკაცისათვის მიუწვდომელს ან ძნელად მისაწვდომს ხდის ქალს და სწორედ იმიტომ, რომ ის უფრო მაღლა დგას, იმიტომ რომ ძნელად მისაწვდომია, ამავე დროს განსაკუთრებით სასურველიც ხდება. ასეთია სიტუაცია, მინეზანგის ემოციური მდგომარეობა, რომელშიც, აქედან მოყოლებული, საუკუნეთა განმავლობაში შეყვარებულები კვლავ შეიცნობენ თავის საკუთარ გრძნობებს.

ცხადია, ტრუბადურთა და მიზენეგერთა სიმღერები, არსებითად, არის გამოხატულება ფეოდალურ-კურტუაზიული კონვენციისა— მორთულობა ურთიერთობისა და ინსტრუმენტები სოციალური თამაშისა. როგორც ჩანს, არსებობდა საკმაოდ ბევრი ტრუბადური, რომელთა შინაგანი ურთიერთობა ქალბატონთან არც ისე გადამეტებული იყო და რომლებიც ამ დანაკლისს პირადად, სხვა, ადვილად

მისაწვდომ ქალებთან იკმაყოფილებდნენ. მაგრამ არც ეს ტრადიცია და არც ეს გრძნობა არ წარმოიშობოდა, რომ არ არსებულიყო ამგვარი ნამდვილი გამოცდილება, გრძნობები. მათში არსებობდა ბუნებრიობის და ნამდვილად განცდილის მარცვალი. ასეთი ტონების გამოგონება და მოჩვენებითი წარმოსახვა შეუძლებელია. იყვნენ ადამიანები, ვისაც უყვარდათ, ვისაც საკმაო ძალა ჰქონდათ და საკმარისად ძლიერი იყვნენ იმისათვის, რომ თავიანთი სიყვარული სიტყვებით გამოეხატათ. არასოდეს არ არის ძნელი იმის თქმა, რომელ ლექსებშია გრძნობა და განცდა ნამდვილი და რომელში – მეტ-ნაკლებად კონვენციონალური. როგორც ჩანს, დასაწყისში, რამდენიმე ადამიანმა იპოვნა სიტყვები თავიანთი გრძნობების გამოსახატავად, რათა შემდეგ სხვებს შესძლებოდათ ამ სიტყვებით ეთამაშათ და გარკვეული შეთანხმებისათვის მიეღწიათ. „დადგენილია, რომ ამგვარ პოეზიაში კარგი პოეტები, სასიყვარულო წარმოსახვებს თავიანთ ჭეშმარიტებას შეურევდნენ: მათი ცხოვრების სისრულიდან მათ ეძლეოდათ მასალა თავიანთი სიმღერებისათვის[69].“

34. ხშირად სვამენ კითხვას მინეზანგის ლიტერატურული წყაროებისა და ნიმუშების შესახებ. და ალბათ, სამართლიანად, მიუთითებენ მის ნათესაობაზე რელიგიურ მინელირიკასა და ლათინურ ვაგანტების პოეზიასთან [70].

მაგრამ მინეზანგის წარმოშობას, არსობრივად, მხოლოდ ლიტერატურული საფუძვლებით ვერ ავხსნით. ვაგანტების ლირიკა და ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი საგალობლები ადამიანთა თვითგამოხატვის შემდგომი განვითარების უამრავ შესაძლებლობას მალავს საკუთარ თავში. რატომ იცვლებოდა ფორმა, რომლითაც ადმიანები თვითგამოხატვას ცდილობდნენ ? რატომ არ რჩება ორივე ეს ფორმა, კითხვა რომ სრულიად მარტივად დავსვათ, — წმიდა მარიამისადმი მიძღვნილი ლირიკა და ვაგანტების ლირიკა — საზოგადოების გამოხატვის დომინანტურ ფორმად? რატომ იღებდნენ ფორმალურ და გრძნობისეულ ელემენტებს მათგან და ქმნიდნენ მისგან რაღაც ახალს? რატომ იძენდა სიახლე სნორედ იმ სახეს, რასაც ჩვენ „მინეზანგის“ სახელით ვიცნობთ? ისტორიას აქვს თავისი უწყვეტობა: უფრო გვიან მომსვლელები, ცნობიერად თუ არაცნობიერად, არსებულს ეყრდნობიან და მის განვითარებას განაგრძობენ. მაგრამ რა არის მოძრაობის დინამიზმები, რა არის ისტორიული გარდაქმნების გამფორმებელი ძალები? ესეც საკითხავია. წყაროების გამოკვლევას, საფუძვლების შესწავლას, რა თქმა უნდა, მინეზანგის გასაგებადაც მეტ-ნაკლებად დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მისი სოციოგენეტიკური და ფსიქოგენეტიკური გამოკვლევის გარეშე მისი წარმოშობა, მისი ფეოდალიზმთან კავშირი ბნელით მოცული რჩება. მინეზანგს, როგორც ზეინდივიდუალურ ფენომენს, კერძოდ მის სოციალურ ფუნქციას, მთლიანად ფეოდალურ საზოგადოებაში ვერ გავიგებთ, ისევე, როგორც მისი ფორმის სპეციფიკურობას, მისი შინაარსებისათვის ტიპიურს, თუ არ ვიცნობთ ურთიერთობის

სპეციფიკურ ფორმას, ადამიანთა აქტუალურ სიტუაციას, რომლებიც მასში საკუთარ თავს გამოხატავენ და თავად ამ სიტუაციის გენეზისს. ამიტომ ამ სპეციალურ პრობლემას უფრო დიდი ადგილი სჭირდება, ვიდრე მას აქ შეიძლება დაეთმოს, როცა მხედველობაში არ მიიღება მოძრაობათა დიდი ურთიერთკავშირი. თუ ცალკეული მოვლენისათვის, როგორიცაა მინეზანგი, ამ მიმართებით დაზუსტებულია კითხვის მიმართულება, მისი სოციოგენეტიკური კონსტიტუციის რამდენიმე ძირითადი ხაზი, მაშინ ყველაფერი გაკეთებულია, რაც აქ ამ ამოცანის გადასაჭრელად შეიძლებოდა გაგვეკეთებინა.

35. დიდ, სოციალურ ცვლილებებს თავიანთი ზუსტი კანონზომიერება ახასიათებს. ძალიან ხშირად, დღეს ვხედებით შეხედულებას, თითქოსდა საზოგადოების ცალკეული წარმონაქმნები, რომელთა ისტორია ისტორიას ქმნის, შემთხვევით ერთმანეთს მისდევენ, როგორც ერთი ღრუბლის ფორმები პერ ჯინტის გონებაში: ის ხან ცხენის მსგავსად გამოიყურება, ხან დათვის. ასევეა საზოგადოებაც, ხან რომანულად ან გოტიკურად გამოიყურება, ხანაც ბაროკოს სტილში.

აქ გაშიშვლებულია სოციალური პროცესების მამოძრავებელი მექანიზმის რამდენიმე ძირითადი ხაზი, რომელთაც „ფეოდალური სისტემის" აზრით საზოგადოების გაფორმებამდე მივყავართ, საბოლოოდ, კი ურთიერთობის იმ მანერამდე, რომელიც მინეზანგში გამოიხატება. ეს არის მოსახლეობის რიცხვის მკვეთრი ზრდა ხალხთა მომთაბარეობის შემდგომ ეპოქაში, უფრო და უფრო მყარ საკუთრებით ურთიერთობებთან კავშირში, ადამიანთა სიჭარბის წარმოქმნა არისტოკრატიის ფენაში, ისევე როგორც არათავისუფალთა ან ნახევრად თავისუფალთა ფენაში და გათავისუფლებულთა იძულება, ეძიონ ახალი სამსახური.

ამას უკავშირდება ინსტანციების თანდათანობითი ჩართვა დოვლათის წარმოებიდან მოხმარებისაკენ მიმავალ გზაზე, მოთხოვნილების ზრდა ერთიან გაცვლით საშუალებაზე, წონასწორობის გადანაცვლება ფეოდალური საზოგადოების შიგნით შედარებით მცირერიცხოვან, დიდ ფეოდალთა სასარგებლოდ და მრავალრიცხოვან, წვრილ ფეოდალთა საზიანოდ, დიდ რაინდთა ფეოდალური კარის ჩამოყალიბება ერთი ტერიტორიის სიდიდის რომელიმე რეგიონის ცენტრში, სადაც რაინდულ-ფეოდალური მისწრაფებანი კურტუაზიულთან თავისებურ ერთიანობადაა შეზრდილი, ისევე როგორც ნატურალურ-სამეურნეო ურთიერთობები საფინანსო-სამეურნეო ურთიერთობებთან მთელს ამ საზოგადოებაში.

ეს არის დიდი ფეოდალების პრესტიჟისა და რეპრეზენტაციის მოთხოვნილება, ფეოდალებისა, რომლებიც ერთმანეთს შორის სისხლიან თუ უსისხლო კონკურენტულ ბრძოლაში არიან ჩაბმული; აქ არის მათი გამორჩეულობისადმი მისწრაფება უფრო წვრილ რაინდებთან მიმართებაში; და ამ ყველაფრის გამოხატულებას წარმოადგენს ის, რომ მგოსნებისა და მომღერლების საქმიანობა, რომლებიც ხოტბას ასხამენ ბატონს და ქალბატონს, სიტყვით გამო-

ხატავენ ბატონის ინტერესებს და პოლიტიკურ შეხედულებებს, ქალბატონის გემოვნებას და სილამაზეს, მეტ-ნაკლებად მყარ, საზოგადოებრივ ინსტიტუტებად იქცევა.

აქ, სწორედ რაინდული საზოგადოების ამ პატარა ზედა ფენაში გვხვდება ემანსიპაციის პირველი ფორმა, უფრო მეტი მოძრაობის თავისუფლება ქალისათვის, ცხადია ძალიან მცირე, თუ ამას ქალის მოქმედების თავისუფლებას შევადარებთ აბსოლუტისტურ, დიდ სასახლეთა კარზე. ეს არის მუდმივი კონტაქტები ამ სასახლის ქალბატონს, სოციალურად მაღლა მდგომ ქალსა და ტრუბადურს, სოციალურად დაბლა მდგომ და დამოკიდებულ კაცს შორის, იქნება ეს რაინდი თუ არა; მიუწვდომელობა ან ძნელად მისაწვდომობა დიდებული ქალისა, თავდაჭერის, სხვისი აზრის გათვალისწინების იძულება სოციალურად დამოკიდებული მამკაცისათვის, ლტოლვითი ცხოვრების ჯერ კიდევ ზომიერი რეგულირება და გარდაქმნა და ბოლოს, მსგავსი რთულად განხორციელებადი სურვილების გამოხატვა ოცნების სფეროში, ლექსში.

ერთი ლექსის სილამაზე, მეორის ცარიელი კონვენციონალობა, ერთი მიზენგერის სიდიდე, მეორის სიპატარავე — ეს თავისთავად, მეტყველი ფაქტებია. მაგრამ მინეზანგი, როგორც საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომლის ფარგლებში ფრთებს გაშლის ინდივიდი, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობთ, უშუალოდ, სოციალური პროცესების ამ თამაშში ყალიბდება.

36. სწორედ ამ სიტუაციაში, კერძოდ, დიდ რაინდ-ფეოდალთა სასახლის კარზე, ამავე დროს, ფიქსირდება უფრო მყარი შეთანხმებანი ურთიერთობათა ფორმების შესახებ, აფექტების გარკვეული შერბილება, მანერების მოწესრიგება. ეს არის მანერების ის სტანდარტი, ურთიერთობის ფორმათა კონვენციები, ქცევის ის გასალაშინება, რომელსაც თვით ამ საზოგადოებაში „Courtoisie" (კურტუაზიას) უწოდებდნენ. და მხოლოდ მაშინ შეიკვრება მთლიანი სურათი, თუ წინა თავში კურტუაზიული ქცევის შესახებ ნათქვამს იმას მოვარგებთ, რაც ამ თავში ფეოდალური სასახლის კართა გაგების მიზნით ითქვა.

ზემოთ კურტუაზიული საზოგადოების წინსვლა სხვადასხვა რიგის მაგალითებით ვაჩვენეთ, რომლებსაც ქცევათა ცივილიზაციის პროცესის ილუსტრირება უნდა მოეხდინათ. დიდ, ფეოდალურ-რაინდულ სასახლის კართა სოციოგენეზისი, ამავე დროს, ამ კურტუაზიულ ქცევათა სოციოგენეზისს წარმოადგენს. „კურტუაზიაც" არის ქცევის ფორმა, რომელიც თავდაპირველად, სოციალურად უფრო დამოკიდებულ ექსისტენცებთან ყალიბდებოდა, ამ რაინდულ-ფეოდალური ზედა ფენების სალონურ წრეში[71]. მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ კიდევ ერთხელ გაცხადდება: კურტუაზიული ქცევის ეს სტანდარტი, არცერთი თვალსაზრისით არ არის დასაწყისი; ის არავითარ შემთხვევაში არ არის იმის მაგალითი, როგორ ფორმას იღებს ქცევა, როცა აფექტები

სოციალურად, კერძოდ, ადამიანთა ურთიერთობის საშუალებით, შეუბოჭავად ანუ „ბუნებრივად“ მოქმედებენ. ლტოლვათა აბსოლუტური შეუბოჭაობის ან „დასაწყისის“ ამგვარი მდგომარეობა საერთოდ არ არსებობს. ლტოლვათა გამოვლენის შედარებით დიდი თავისუფლება კურტუაზიულ ზედა ფენაში, გვიანდელი, დასავლური სამყაროს საერო ზედა ფენებთან შედარებით, ინტეგრაციის ზუსტად იმ ფორმას, ორმხრივი დამოკიდებულების ზომას და ტიპს შეესაბამება, რომელშიც აქ ადამიანები ერთმანეთთან ცხოვრობენ.

შრომის დანაწილება აქ ნაკლებია, ვიდრე იმ ფაზაში, რომელშიც მკაცრი, აბსოლუტუსტური მმართველობის აპარატი ყალიბდება. ნაკლებია სავაჭრო კავშირები, შესაბამისად, ნაკლებია ადამიანთა რიცხვიც, რომელთაც ერთ გარკვეულ ადგილზე შეუძლიათ თავის გამოკვება; და როგორც არ უნდა იყოს გაფორმებული ცალკეულ ადამიანში დამოკიდებულების ურთიერთობანი, დამოკიდებულებათა სოციალური ქსელი, რომელიც თითოეულ ადამიანში გადაიკვეთება, აქ უფრო ნაკლებად მჭიდრო და მრავლისმომცველია, ვიდრე შრომის უფრო დიდი დანაწილების მქონე საზოგადოებაში, ვიდრე იქ, სადაც ადამიანები ერთმანეთთან მუდმივად მჭიდრო კავშირში ცხოვრობენ, ზუსტად გამომუშავებული წესრიგის მიხედვით. ამის შედეგად, აქ ნაკლებად მკაცრი, ნაკლებად უწყვეტი და თანაბარზომიერია რეგულირებისა და შებოჭვის პროცესი, რომელსაც ერთეული ადამიანის ლტოლვითი ცხოვრება ემორჩილება; მაგრამ აქ, დიდ ფეოდალთა კარზე, ის საგრძნობლად მეტია, ვიდრე მომცრო სასახლის კარზე, ვიდრე რაინდთა საზოგადოების უმეტეს ნაწილში, სადაც ადამიანთა ერთმანეთზე დამოკიდებულება, ბევრად უფრო ნაკლებად ფართო და დიფერენცირებულია, ცალკეულ ადამიანთა კავშირები საგრძნობლად მეჩხერი და სადაც სხვა ფუნქციონალური დამოკიდებულება ადამიანებს, თითქმის, არასოდეს აკავშირებს ისე ძლიერად ერთმანეთთან, როგორც ომი და ძალადობა; ქცევასა და აფექტურ მდგომარეობასთან მიმართებაში „Courtoisie“ აქ უკვე დახვეწილობას, განმასხვავებელ ნიშანს წარმოადგენს და პოლემიკა, რომელიც თითქმის უცვლელადაა შემონახული შუა საუკუნეების თხზულებებში მანერათა შესახებ, — ეს გააკეთე და ეს არ გააკეთო — პირდაპირ თუ არაპირდაპირ დაიყვანება ამ ქცევაზე რაინდული საზოგადოების უმეტეს ნაწილში. ეს უკანასკნელი მე-9 ან მე-10 საუკუნიდან დაახლოებით მე-16 საუკუნემდე ისევე ნელა და უმნიშვნელოდ იცვლებოდა, როგორც ამ საზოგადოების სასიცოცხლო პირობები.

37. განვითარების დღევანდელ დონეზე ჯერ კიდევ არ არსებობს ენობრივი აპარატი, რომელიც ყველა ამ პროცესის თანდათანობით განვითარებაზე იქნებოდა მორგებული. ეს ყველაფერი არაზუსტი და მიახლოებითი დამხმარე საშუალებაა, როცა ამბობენ: ადამიანთა და მათი ლტოლვების გამოვლინებების შებოჭილობა „გაიზარდა“, ინტეგრაცია „უფრო მჭიდრო“ გახდა, ურთიერთდაქვემდებარება

„გაძლიერდა“, ზუსტად ისე, როგორც ისტორიულ-საზოგადოებრივ რეალობას მთლად ვერ მიუახლოვდებიან, თუ იტყვიან: ეს „ნატურალურ-სამეურნეოა“, ის — „საფინანსო-ეკონომიკური“, ან გამოხატვის აქ არჩეული ფორმა რომ ვიხმაროთ: „საფინანსო-ეკონომიკური ურთიერთობების სექტორი იზრდებოდა“. და ისმის კითხვა: რამდენად „იზრდებოდა“ ის, ნაბიჯ-ნაბიჯ? რა თვალსაზრისით ხდებოდა კავშირები „უფრო დიდი“, ინტეგრაცია „უფრო მჭიდრო“, ურთიერთდამოკიდებულება „უფრო ძლიერი“? ჩვენი ცნებები მეტისმეტად არადიფერენცირებულია; ისინი მეტისმეტად ებღაუჭებიან მატერიალურ სუბსტანციათა სურათს. ყველაფერ ამასთან ერთად საქმე ეხება არა ხარისხობრივ გადანაცვლებას, როგორიცაა „უფრო მეტი“ ან „უფრო ნაკლები“. კავშირებისა და ურთიერთდამოკიდებულებათა ყოველი „გაძლიერება“ იმის გამოხატულებაა, რომ ადამიანთა შორის კავშირები, მათი ურთიერთდამოკიდებულება, ურთიერთმიმართება, სხვაგვარი ხდება, თვისობრივად სხვაგვარი. სწორედ ამას გულისხმობენ, როცა სოციალური სტრუქტურის სხვადასხვაობაზე საუბრობენ. ურთიერთმიმართების და ურთიერთდამოკიდებულების დინამიურ ქსელთან ერთად, რომელშიც გახლართულია ადამიანის ცხოვრება, სახეს იცვლის ადამიანის ლტოლვები და ქცევის ფორმებიც; ამას გულისხმობენ სულიერი სამყაროს სტრუქტურის ან ქცევათა სტანდარტის სხვადასხვაობაში. ის, რომ ამგვარი თვისობრივი ცვლილებანი, მიუხედავად მოძრაობის აქეთ-იქით გადახვევისა, ისტორიის დიდ მონაკვეთზე ერთი გარკვეული მიმართულების გარდაქმნებს, უწყვეტად მიმდინარე პროცესს წარმოადგენს და არა წესრიგს მოკლებულ გარდაქმნას, მისაწვდომს და შესაძლებელს ხდის იმას, რომ განსხვავებული ფაზების შეპირისპირებისას შედარებითი კატეგორიებით ვისაუბროთ. ამით ის არ არის ნათქვამი, რომ მიმართულება, რომლითაც ეს პროცესი მიდის, უკეთესის, „პროგრესის“ ან უფრო ცუდის, „რეგრესის“ მიმართულებაა. მაგრამ ეს არც იმას ნიშნავს, რომ საუბარი მხოლოდ რაოდენობრივ ცვლილებებს შეეხება. აქ, ისევე როგორც ხშირად ისტორიაში, საქმე გვაქვს სტრუქტურულ ცვლილებებთან, რომელთა გაგება ყველაზე ადვილად, ყველაზე თვალსაჩინოდ, მაგრამ ალბათ, ყველაზე ზედაპირულადაც რაოდენობრივ ცვლილებათა მხრიდან შეიძლება.

ჩვენ ვხედავთ მოძრაობას; ჯერ ციხე-სიმაგრე ციხე-სიმაგრეს უპირისპირდება, შემდეგ ტერიტორია ტერიტორიას, სახელმწიფო სახელმწიფოს და დღეს ისტორიის ჰორიზონტზე უკვე ჩანს პირველი ნიშნები და ბრძოლები კიდევ უფრო დიდი რეგიონებისა და ადამიანთა მასების ინტეგრაციისათვის. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მზარდი გადაჯაჭვულობის კვალობაზე კიდევ უფრო დიდი მასშტაბის ინტეგრაციული ერთეულები თანდათან სტაბილური სახელისუფლო აპარატის ქვეშ მოექცევიან და შინაგანად მშვიდობიან მდგომარეობას მიაღწევენ. მათ, თავის მხრივ, გარეშე მტერთან ბრძოლაში იგივე

იარაღი ასეთივე სიდიდის ადამიანთა ქსელის წინააღმდეგ უნდა მიმართონ, სანამ შემდგომი გადაჯაჭვულობით, დისტანციების უფრო მკვეთრი შემცირებით ისინიც თანდათან არ შეერწყმიან ერთმანეთს და კაცობრიობა არ დამშვიდდება. ეს შეიძლება კიდევ საუკუნეები ან ათასწლეულები გაგრძელდეს. რაც არ უნდა იყოს, ინტეგრაციული და სახელისუფლო ერთეულების გამუდმებული ზრდა მომდევნო სიდიდის ერთეულებისაკენ, ამავე დროს, არის გამოხატულება სტრუქტურული ცვლილებებისა საზოგადოების მშენებლობაში, თავად ადამიანურ ურთიერთობებში. როცა სიმძიმის ცენტრი საზოგადოების შიგნით ახალი სიდიდის ინტეგრაციული ერთეულებისაკენ გადაიხრება, ძალთა თანაფარდობის გადანაცვლებაში დიდი ფეოდალების სასარგებლოდ და წვრილი თუ საშუალო ფეოდალ-მმართველთა საზიანოდ, შემდეგ კი მეფეთა სასარგებლოდ დიდ ფეოდალებსა და ტერიტორიულ მმართველებთან მიმართებაში, ყოველთვის გამოვლინდება ბიძგი ამ მიმართულებით; ცვლილება ყოველთვის კავშირშია იმასთან, რომ სოციალურმა ფუნქციებმა უფრო ძლიერი და სხვაგვარი დიფერენცირება განიცადა, რომ საზოგადოებრივი ორგანიზაციების, როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური ორგანიზაციების აქციათა ჯაჭვებმა უფრო მეტი რგოლი შეიძინა და უფრო გრძელი გახდა; ყოველ ჯერზე ეს ნიშნავს იმას, რომ ურთიერთგანპირობებულობისა და ურთიერთდამოკიდებულების ქსელი, რომელიც ერთეულ ადამიანში გადაიკვეთება, უფრო გაფართოვდა და სტრუქტურულადაც სხვაგვარი გახდა; და ყოველ ჯერზე, ამ დამოკიდებულებათა ქსელის სტრუქტურასთან უზუსტეს შესაბამისობაში იცვლება ქცევის და მთელი ემოციური ცხოვრების მოდელირებაც, სულიერი სამყაროს სახე.

„ცივილიზაციის" პროცესი, ქცევისა და ლტოლვითი ცხოვრების თვალსაზრისით თუ შევხედავთ, იგივეა, რაც ადამიანურ ურთიერთობათა აზრით განხილული პროგრესირებადი გადაჯაჭვულობის პროცესი, სოციალურ ფუნქციათა მზარდი დიფერენციაცია და ამის შესაბამისად, უფრო და უფრო ფართო ინტერდეპენდენცის წარმოქმნა, სულ უფრო დიდ ინტეგრაციულ ერთეულთა ჩამოყალიბება, რომელთა შედეგიანობაზე და მოძრაობაზე დამოკიდებულია ცალკეული ადამიანი, სულ ერთია, იცის თუ არა მან ეს.

აქ ნაცადია ყველაზე ადრეული და მარტივი ფაზის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა თვალსაჩინო ფაქტების შეკრებით. ამ მოძრაობის გაგრძელებაზე, მექანიზმების შესახებ, რომლებიც მას შემდგომშიც ამოძრავებს, აქვე იქნება საუბარი. ჩვენ დავინახეთ, თუ როგორ და რატომ ჰქონდა ჯერ კიდევ ნაკლები შანსები დასავლური სამყაროს ისტორიის ადრეულ, უპირატესად ნატურალური მეურნეობის ფაზაში დიდი იმპერიებისათვის სტაბილური სახელისუფლო აპარატის ინტეგრაციასა და ჩამოყალიბებას. მართალია, აქ დამპყრობელ მეფეებს შეეძლოთ ბრძოლით უზარმაზარი სივრცეები გაეერთიანებინათ და გარკვეული ხნის განმავლობაში თავიანთი

მახვილის ავტორიტეტით მთლიანობაში შეენარჩუნებინათ, მაგრამ საზოგადოების სტრუქტურა ჯერ კიდევ არ იძლეოდა სტაბილური სახელისუფლო ორგანიზაციის შექმნის შესაძლებლობას, რომელიც დაპყრობილ სამეფოს უფრო ხანგრძლივი მშვიდობიანი დროის მანძილზე, შედარებით მშვიდობიანი საშუალებებით გაამყარებდა და გაამტკიცებდა. უნდა ვაჩვენოთ, რა სოციალური პროცესები ხდის შესაძლებელს ამგვარი სტაბილური სახელისუფლო აპარატის წარმოშობას და ამით, ამავე დროს ცალკეული ადამიანის სულ სხვაგვარ შებოჭილობას.

დავინახეთ, როგორ მიაღწია (სულ მცირე, დასავლეთ-ფრანკულ სივრცეში), მე-9 და მე-10 საუკუნეებში ნაკლები გარეგანი საფრთხით და შესაბამისად, უმნიშვნელო, ეკონომიკური კავშირებით სახელისუფლო ფუნქციების დეზინტეგრაციამ განსაკუთრებით მაღალ ხარისხს. ყოველი პატარა მამული არის სახელისუფლო ოლქი, „სახელმწიფო" თავისთვის, ყოველი მცირე რაინდი — მისი დამოუკიდებელი ბატონი და მბრძანებელი. სოციალური ლანდშაფტი სხვას არაფერს აჩვენებს, თუ არა ერთმანეთში კუბოკრულად გადახლართულ სახელისუფლო და ეკონომიკური ერთეულების სისრულეს; ყოველი მათგანი არსებითად ავტარკიულია, არსებობს სხვაზე მნიშვნელოვანი დამოკიდებულების გარეშე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ანკლავს, მაგალითად, უცხო ვაჭრებს ან მონასტრებსა და სააბატოებს, რომლებიც რაღაც უფრო დიდ ზელოკალურ კავშირში არიან გაერთიანებული. საერო მმართველთა ფენაში ომის საშუალებით ინტეგრაცია თავდასხმის ან თავდაცვის დროს გადაჯაჭვულობის ძირითადი ფორმაა. ის წვლილი, რაც მმართველთა ამ ფენის ადამიანებმა აფექტების რეგულარულ და მტკიცე შებოჭვაში შეიძლება შეიტანონ, დიდი არ არის. ეს არის „საზოგადოება", ამ სიტყვის იმ ფართო აზრით, რომლითაც ის საერთოდ ადამიანური ინტეგრაციის ყოველ შესაძლებელ ფორმას აღწერს. ეს ჯერ კიდევ არ არის „საზოგადოება", ამ სიტყვის ვიწრო აზრით, რომელიც ადამიანთა უფრო მტკიცე, შედარებით მჭიდრო და თანაბარზომიერ ინტეგრაციაზე მიუთითებს, ძალადობრივი აქტების გაგრძელების მეტ-ნაკლებად დიდი იძულებით, სულ ცოტა, საშინაო ურთიერთობებში. ასეთი „საზოგადოების" (ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით), ადრეული ფორმა თანდათან ყალიბდება დიდ რაინდ ფეოდალთა სასახლის კარზე. აქ, სადაც მამულების შემოსავლების სიდიდისა და სავაჭრო ქსელთან დაკავშირების გამო, უფრო მეტი დოვლათი გროვდება, სადაც უფრო მეტი ადამიანი იყრის თავს სამსახურის ძებნაში და სადაც მათ შეუძლიათ თავშესაფარი იპოვნონ, უფრო მეტი ადამიანი იძულებულია შიგნით მშვიდობიანი ურთიერთობები იქონიოს და უფრო მტკიცედაა შებოჭილი ამ იძულებით. ეს, სოციალურად მაღლა მდგომ ქალთა საზოგადოებაში, პირველ ყოვლისა, მოითხოვს ქცევის გარკვეულ რეგულირებას და შეკავებას, აფექტებისა და მანერათა უფრო ზუსტ მოდელირებას.

38. ეს თავშეკავება არ შეიძლებოდა ყოველთვის იმდენად დიდი ყოფილიყო, როგორც ამას მინეზანგის ტრადიციის თანახმად მომღერალსა და ქალბატონს შორის ურთიერთობისას ჰქონდა ადგილი. კურტუაზიულ მანერათა მიწერილობანი უფრო ზუსტ სურათს იძლევა ყოველდღიურობის იმ მიღებული სტანდარტისათვის, რომელსაც აქ ითხოვდნენ. აქ გარკვეულწილად, ნათელი მოეფინება რაინდის ქალთან მოქცევას, რაშიც არა მხოლოდ მომღერლის სასახლის ქალბატონთან ურთიერთობა იგულისხმება.

მაგალითად „spruch von den mannen"[72]-ში ნათქვამია.

»Vor allen Dingen hüete dich
daz du mit frowen zühteclich
schallest, daz stât dir wol
.....
ist aber daz es kome dar zuo
daz dich ir einiu sitzen tuo
zuo ir, des bis gemant
und sitz ir niht ûf ir gewant
ouch niht ze nâch, daz rât ich dir
wiltu iht (je) reden heimlich zir,
begrîf sie mit den armen niht
swaz dir ze reden mit ir geschiht.«

ქალებისადმი ყურადღების ეს მასშტაბიც წვრილი რაინდობის სტანდარტის მხრიდან უკვე მნიშვნელოვან დაძაბულობას მოითხოვს; როგორც სხვა კურტუაზიულ მიწერილობათა შემთხვევაში, ის მცირეა იმ თავშეკავებასთან შედარებით, როგორიც მაგალითად, კარისკაცისათვის ნორმალური იყო ლუი IV-ის კარზე. ეს, ამავე დროს, გვიქმნის შთაბეჭდილებას ინტერდეპენდენციის სხვადასხვა მდგომარეობაზე, დამოკიდებულებათა ქსელის განსხვავებებზე, რომელიც, აქაც და იქაც, ყოველი ადამიანის ცხოვრებაში ჩვეულებათა კულტივირებას ახდენდა. მაგრამ ეს აჩვენებს იმასაც, რომ კურტუაზია, ფაქტიურად, ნიშნავს იმ გზაზე გადადგმულ ნაბიჯს, რომელსაც საბოლოოდ ლტოლვათა მოდელირებისაკენ მივყავართ, ნაბიჯს „ცივილიზაციის" მიმართულებით.

ერთი მხრივ, სრულიად მყიფედ ინტეგრირებული მეომრების საერო ზედა ფენა და მათი სიმბოლო, ციხე-სიმაგრე დამოუკიდებელ მამულში და მეორე მხრივ, მჭიდროდ ინტეგრირებული, საერო ზედა ფენა კარისკაცებისა, ერთად თავმოყრილი აბსოლუტისტურ სასახლის კარზე, მეფის იმპერიის ცენტრალურ ორგანოში — ეს არის დაკვირვების ველის პოლუსები, რომელსაც დასაწყისისათვის, აქ ამოვჭრით უფრო ხანგრძლივი და ფართო პროცესიდან, რათა გზა გაგვიხსნას ცივილიზატორული ცვლილების სოციოგენეზისისაკენ.

როგორ წარმოიქმნება ციხე-სიმაგრეთა ლანდშაფტიდან თანდათანობით უფრო დიდ ფეოდალთა სასახლის კარი, კურტუაზიის ცენტრები, ეს გარკვეული მხრიდან, უკვე ნაჩვენები იქნა. რჩება მხოლოდ ის ამოცანა, თვალსაჩინო გავხადოთ პროცესების იმ მამოძრავებელი მექანიზმის ძირითადი ნიშნები, რომლითაც ერთ უდიდეს ფეოდალ და ტერიტორიულ მმართველს, მეფეს, სხვებზე უპირატესობა ენიჭება და ეძლევა შანსი, მართოს იმ სფეროს სტაბილური მმართველობის აპარატი, რომელიც დიდ ტერიტორიებს მოიცავს, მართოს „სახელმწიფო". ეს არის ამავე დროს გზა, რომელსაც „Courtoisie" ქცევის სტანდარტიდან „Civilité"–ს ქცევის სტანდარტისაკენ მივყავართ.

ნაწილი მეორე

სახელმწიფოს სოციოგენეზისისათვის

პირველი ეტაპი სამეფო სახლის დაწინაურების გზაზე: კონკურენტული ბრძოლები და მონოპოლიათა წარმოქმნა გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში

1. სამეფო გვირგვინი საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა ფაზაში სულ სხვადასხვა რაიმეს ნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ მისი მატარებელნი, ფაქტიურად თუ ნომინალურად, ერთნი არიან გარკვეული ცენტრალური ფუნქციების, პირველ ყოვლისა, გარეშე მტრის წინააღმდეგ ბრძოლის წარმართვის ფუნქციის თვალსაზრისით.

მე-12 საუკუნის დასაწყისში, ყოფილი დასავლეთ-ფრანკული იმპერია, რომელსაც ძლიერი გარეშე მტრები თითქმის აღარ ემუქრებოდნენ, საბოლოოდ დაქუცმაცდა სხვადასხვა სახელისუფლო ერთეულებად [73]:

„ჯაჭვი, რომელიც ოდესღაც „პროვინციებს" და ფეოდალურ დინასტიებს მონარქიის „მმართველთან" აკავშირებდა, მთლიანად დაიშალა. გაქრა ფაქტიური იერარქიის ბოლო ნაკვალევიც კი, რომელიც, მართალია, ჰუგო კაპეტსა და მის ვაჟს დიდ საფეოდალო მამულებში მოქმედების ნებას აღარ რთავდა, მაგრამ იქ გამოჩენა, მაინც, შეეძლოთ. პირველი რიგის ფეოდალური ჯგუფები.... დამოუკიდებელ სახელმწიფოთა მსგავს თვითნებობას ავლენენ და ჩაკეტილი არიან მეფის ყოველი გარედან განხორციელებული ზეგავლენისა და თავისთავად ცხადია, მისი აქციებისათვის. უკიდურესად გაიშვიათებულია დიდ ფეოდალთა ურთიერთობები გვირგვინოსან მეფეებთან. და ეს გარდაქმნა უკვე აირეკლება ოფიციალურ ტიტულებსა და ფორმულირებებში. მე-12 საუკუნის ფეოდალი თავადები აღარ უნოდებენ საკუთარ თავს "comtes du Roi"-ს ან "comtes du royaume"-ს.

ამ სიტუაციაში „მეფეც" იმავეს აკეთებს, რასაც სხვა დიდი ფეოდალები: ის კონცენტრირდება თავისი ქონებრივი მდგომარეობის შენარჩუნებაზე, თავისი ძალაუფლების ზრდაზე იმ რეგიონში, რომელზედაც მას, ასე თუ ისე, ჯერ კიდევ მიუწვდება ხელი, კერძოდ ილ-დე ფრანსიც საჰერცოგოში.

ლუი VI, რომელიც 1108-1137 წლებში მეფობდა, მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე ორი ამოცანითაა დაკავებული: გაზარდოს მინაზე თავისი უშუალო მფლობელობა ილ დე ფრანსის საჰერცოგოში, ე.ი. მამულები და ციხე-სიმაგრენი, რომლებიც ან საერთოდ არ არის, ან მხოლოდ პატარ-პატარა ნაწილებადაა ლენის სახით გაცემული, მაშასადამე გაზარდოს მისი სახლისა და დომენის დოვლათი და იმავე ილ დე ფრანსის საჰერცოგოში დაამარცხოს ყველა შესაძლო

კონკურენტი და მეომარი, რომელიც მას ძალაუფლებაში შეიძლება შეეცილოს. ერთი ამოცანა მეორის გადაჭრას უწყობს ხელს: ფეოდალს, რომელიც მან დაიმორჩილა ან დაამარცხა, ართმევს მამულს ან ამ მამულის ნაწილს, ოღონდ ხელმეორედ მთლიანად არ გასცემს ამ მინის ნაკვეთს ლენის სახით; ის სულ ნაბიჯ-ნაბიჯ ზრდის თავისი სამეფო სახლის საკუთრებას, თავისი ძალაუფლების ეკონომიკურ და სამხედრო საფუძვლებს.

2. თავდაპირველად აქ გვირგვინის მატარებელი მეფე არ განსხვავდება დიდი ფეოდალისაგან. მის განკარგულებაში არსებული ძალისმიერი საშუალებანი ჯერ კიდევ იმდენად მცირეა, რომ საშუალო და თვით წვრილ ფეოდალებს ერთიანი ძალებით წარმატებით შეუძლიათ გაუწიონ მას წინააღმდეგობა. იმპერიის დიდ სივრცეში საერთო მხედართმთავრის ფუნქციის უკანა პლანზე გადაწევით და პროგრესირებადი ფეოდალიზებით დაიკარგა არა მხოლოდ სამეფო სახლის ჰეგემონური პოზიცია; ძალზე საეჭვოა მისი უპირატესი ძალაუფლება, მისი მონოპოლიური მდგომარეობა მემკვიდრეობით მიღებული ტერიტორიის ფარგლებშიც; ამ ტერიტორიას სამეფო სახლს უკვე სხვა კონკურენტი ფეოდალები და მეომართა ოჯახები ედავებიან. კაპეტინგების სახლი, ლუი VI-ის სახით იბრძვის მონმორანსის, ბომონტების, როშფორების, მონტლერების, ფერტეალეს, პიუიზესა და სხვათა წინააღმდეგ [74], ისევე როგორც რამდენიმე საუკუნის შემდეგ ჰოენცოლერების სახლი, დიდი კურფიურსტების სახით, — კიტცოვებისა და როჰოვების წინააღმდეგ. თუმცა, კაპეტინგთა შანსები ბევრად უფრო არახელსაყრელი იყო; სხვაობა კაპეტინგთა და მათ მოწინააღმდეგეთა სამხედრო და ფინანსური ძალაუფლების საშუალებებს შორის ფინანსური, საგადასახადო და საბრძოლო ტექნიკის განსხვავებული მდგომარეობის შესაბამისად, მცირე იყო. დიდ კურფიურსტს უკვე ჰქონდა თავისი ტერიტორიის ძალისმიერ საშუალებებზე ერთგვარი მონოპოლიური გამგებლობის ძალაუფლება; ლუი VI, თუ ეკლესიური ინსტიტუტების მხრიდან მფარველობას მხედველობაში არ მივიღებთ, არსებითად დიდი მიწების მფლობელი, დიდი დომენის ბატონ-პატრონი იყო, რომელიც უფრო მცირე საკუთრების და შესაბამისად, ნაკლები სამხედრო ძლიერების მქონე ფეოდალებს უნდა გაჯიბრებოდა. და მხოლოდ ამ ბრძოლაში გამარჯვებულს ხვდებოდა წილად ერთგვარი მონოპოლიური პოზიცია ამ ტერიტორიის ფარგლებში, სხვა სახლების კონკურენტული სფეროსაგან დამოუკიდებელი მდგომარეობა.

მაგრამ თუ თანამედროვეთა ცნობებს გადავხედავთ, შეგვიძლია გავიაზროთ, რა უმნიშვნელოდ აჭარბებდა კაპეტინგთა სახლის სამხედრო და ეკონომიკური ძლიერება ილ დე ფრანსის საჰერცოგოს სხვა ფეოდალთა სახლების ძალისმიერ საშუალებებს და რა რთული იყო ბრძოლა "თავადის" მონოპოლიური მდგომარეობის მისაღწევად სუსტი ეკონომიკური კავშირების, ფეოდალური საჯარისო და საალყო ორგანიზაციის პირობებში, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო

საშუალებათა ნაკლები განვითარებისას, თვით ერთი ტერიტორიის ამ პატარა მხარეშიც კი.

აქ არის მაგალითად მონტლერის ოჯახის ციხე-სიმაგრე, რომელიც კაპეტინგთა დომენის ორი უმნიშვნელოვანესი ნაწილის, პარიზისა და ორლეანის მხარეთა შემაერთებელ გზას განაგებს. კაპეტინგთა მეფემ, რობერმა 1015 წელს თავის ერთ-ერთ მსახურს თუ მოხელეს, "grand forestier"-ს ეს მიწები იმ უფლებით გადასცა, რომ იქ ციხესიმაგრე აეშენებინა. უკვე ამ "grand forestier"-ის შვილიშვილი ციხე-სიმაგრეს და მის მიდამოს ეუფლება, როგორც დამოუკიდებელი ბატონი. ეს არის ერთ-ერთი ტიპიური ცენტრიდანული მოძრაობა, რა სახითაც ის განუხრელად ვრცელდება ყველგან, ამ ეპოქაში [75]. მოგვიანებით, ლუი VI-ის მამა, დიდი ძალისხმევისა და ბრძოლების შედეგად, ახერხებს მონტლერის სახლთან ერთგვარ შეთანხმებას მიაღწიოს; ის მონტლერის სახლის მემკვიდრე ქალიშვილზე დააქორწინებს თავის თითქმის 10 წლის ბუშს და ამით ციხე-სიმაგრეს თავისი სახლის გამგებლობას დაუქვემდებარებს.

„Allons, beau fils Louis", ეუბნება ის გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე თავის უფროს ვაჟს და მემკვიდრეს, ლუი VI-ს[76] „garde bien cette tour de Montlhéry, qui en me causant tant de tourments, m'a vieilli avant l'âge et par laquelle je n'ai jamais pu jouir d'une paix durable ni d'un véritable repos ... Elle était le centre de tous les perfides de près ou de loin et il n'arrivait de désordre que par elle ou avec son concours ... Car Montlhéry se trouvant entre Corbeil d'une part et Châteaufort à droite, toutes les fois qu'il survenait quelque conflit Paris se trouvait investi, de sorte qu'il n'y avait plus de communication possible entre Paris et Orléans, si ce n'est avec une force armée.»

კომუნიკაციის პრობლემები, რომლებიც დღეს სახელმწიფოთა შორის ურთიერთობაში არცთუ უმნიშვნელო როლს თამაშობს, საზოგადოებრივი განვითარების ამ ეტაპზე არანაკლები მნიშვნელობისა და სირთულისაა, თუმცა, მაინც სხვა მასშტაბებში: მაგალითად, ფეოდალთა ურთიერთობებში, რომელთაგან ერთი შეიძლება ატარებდეს მეფის ტიტულს და შეიძლება არა და მანძილის ისეთი შედარებით მიკროსკოპული მონაკვეთისათვის, როგორიცაა პარიზი — ორლეანი; მონტლერი მდებარეობს პარიზიდან 24 კილომეტრის მოშორებით.

ფაქტიურად, შემდგომშიც, ლუი VI-ის მმართველობის ხანის დიდი ნაწილი ამ ციხე- სიმაგრისათვის ბრძოლითაა დაკავებული, სანამ ის მოახერხებს და მონტლერის სახლის საკუთრებიდან ამ მიწებს საბოლოოდ კაპეტინგთა საკუთრებად აქცევს; ისევე როგორც ყოველთვის, მსგავს შემთხვევებში, ეს ნიშნავდა გამარჯვებული სახლის სამხედრო თვალსაზრისით გაძლიერებას და ეკონომიკურ გამდიდრებას. მონტლერების სამეფოს მოჰქონდა შემოსავლები 200 ლივრის ოდენობით, რაც იმ დროისათვის მნიშვნელოვანი თანხა იყო და მათ

ეკუთვნოდათ 13 პირდაპირი ლენი და 20 მათზე დამოკიდებული ე.ი. არაპირდაპირი ანუ მეორადი ლენი[77], რომელთა მფლობელები უკვე კაპეტინგთა სამხედრო ძლიერებას ზრდიდნენ.

არანაკლებ ხანგრძლივი და რთული იყო სხვა ბრძოლები, რომელიც ლუი VI-ს უნდა ეწარმოებინა. სამი ექსპედიცია, 1111, 1112 და 1118 წლებში მას მხოლოდ იმისათვის სჭირდებოდა, რომ ორლეანის მხარის რაინდთა ერთადერთი ოჯახის ჰეგემონიური მდგომარეობა დაერღვია [78]; და მას ოცი წელი დასჭირდა, სანამ როშფორების, ფერტე-ალეს და პიუიზეს ოჯახებს მოუვლიდა და მათ სამფლობელოებს საკუთარი ოჯახის მამულებს მიუერთებდა. მაშინ, სხვათა შორის, კაპეტინგების კუთვნილი დომენი იმდენად დიდი და მყარი იყო, რომ მისი მფლობელები ეკონომიკური და სამხედრო შანსების წყალობით, რომელსაც მათ ასეთი მოცულობის მამულების ფლობა აძლევდა ხელთ, ილ დე ფრანსის საჰერცოგოს სხვა ყველა მეომრის კონკურენციის სფეროს საკმაოდ იყენენ გაცილებულნი და ამ ტერიტორიაზე ერთგვარი მონოპოლიური მდგომარეობა ჰქოდათ.

ოთხი თუ ხუთი საუკუნის შემდეგ გაფორმდა მეფის ფუნქცია, რომლის მფლობელი მონოპოლიურად განაგებდა სამეფოს მთელი ტერიტორიის სამხედრო და ფინანსური ხელისუფლების უზარმაზარ საშუალებებს. ბრძოლები, რომელთაც ლუი VI ერთი ტერიტორიის ფარგლებში სხვა ფეოდალ მებატონეებთან აწარმოებდა, პირველ ნაბიჯებს წარმოადგენს სამეფო სახლის ამ გვიანდელი, მონოპოლიური მდგომარეობის მიღწევის გზაზე. თავდაპირველად, ნომინალურ მეფეთა ეს სახლი მიწაზე თავისი საკუთრებით, სამხედრო და ეკონომიკური ძლიერებით ოდნავ აღმატებული თუ არის მის ირგვლივ არსებულ სხვა ფეოდალთა სახლებზე. საკუთრების დიფერენციაცია შედარებით ნაკლებია, შესაბამისად ნაკლებია მეომართა შორის სოციალური დიფერენციაციაც, როგორიც არ უნდა იყოს ტიტულები, რომლითაც ისინი თავს იწონებენ. შემდეგ ამ სახლებიდან ერთ-ერთი, ქორწინების, შესყიდვის თუ დაპყრობის გზით, საკუთარ ხელში თავს უყრის მიწის უფრო და უფრო დიდ ფართობებს და ამით აუცილებლად მოიპოვებს გაბატონებულ მდგომარეობას თავის მეზობელთა შორის. ის, რომ სწორედ ძველი სამეფო ოჯახი აღწევს ამ ჰეგემონიურ მდგომარეობას ილ დე ფრანსის საჰერცოგოში, შეიძლება მის წარმომადგენელთა პიროვნულ თვისებებს, ეკლესიის მხარდაჭერას და ერთგვარ ტრადიციულ ავტორიტეტს უკავშირდებოდეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ ეს სახლი ყოველთვის ფლობდა მიწის საკუთრების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც მას ახალი აღმასვლის საშუალებას აძლევდა. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, იმავე ეპოქაში, სხვა ტერიტორიებზეც ხორციელდება მფლობელობის იგივე დიფერენცირება მეომრებს შორის. ეს არის ძალთა თანაფარდობის გადანაცვლება მეომართა საზოგადოებაში მცირერიცხოვან, დიდ რაინდთა ოჯახების სასარგებლოდ და მრავალრიცხოვან, წვრილ და საშუალო რაინდთა ოჯახებისათვის

არახელსაყრელად. ადრე თუ გვიან, ნებისმიერ ტერიტორიაზე, მეომრის ერთი რომელიმე ოჯახი ახერხებს მიწის საკუთრების აკუმულაციით უპირატესობა, ერთგვარი ჰეგემონია თუ მონოპოლია მოიპოვოს სხვებთან მიმართებაში. ის, რომ მეფის გვირგვინის მატარებელი, ლუი სქელი ანალოგიურად მოქმედებს, მეფის ფუნ-ქციაზე უარის თქმას წააგავს. მაგრამ სოციალურ ძალაუფლების საშუალებათა ამგვარი განანილებისას მას სხვა აღარაფერი დარჩენია. ვიწრო გვაროვნულ სივრცეში, საზოგადოების ამ სტრუქტურის არსებობის შემთხვევაში, მამული და სამფლობელო მეფის ხელისუფლებისათვისაც უმნიშვნელოვანეს სამხედრო და ფინანსურ ფუნდამენტს ქმნის. ილ დე ფრანსის პატარა მხარეში, თავისი ძალების კონცენტრირებით, გარკვეული ტერიტორიის შემოსაზღვრულ ფართობზე ჰეგემონური და მონოპოლური მდგო-მარეობის მიღწევით, ლუი VI საფუძველს ქმნის თავისი სამეფო სახ-ლის შემდგომი, ექსპანსიური პროცესებისათვის. ამით ის დააფუძნებს პოტენციური კრისტალიზაციის ცენტრს საფრანგეთის უფრო დიდი რეგიონისათვის, თუმცა, არ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მან ეს მომავალი თავის წინასწარმეტყველურ ხედვაში განჭვ-რიტა; ის აქტუალური სიტუაციის უშუალო იძულების გავლენით მოქმედებს; მან *უნდა* გაიმარჯვოს მონტლერიზე, თუ არ სურს დაკარგოს დამაკავშირებელი საკუთარი ტერიტორიის სხვადასხვა მხარეებს შორის. მან *უნდა* დაამარცხოს ორლეანის მხარის ყველაზე ძლიერი ოჯახი, რათა იქ მისი საკუთარი ძალაუფლება არ გაქრეს. თუ კაპეტინგები, მოკლე ხნით თუ ხანგრძლივად, ვერ მოახერხებდნენ გაბატონებული მდგომარეობის მიღწევას ილ დე ფრანსში, ისევე როგორც საფრანგეთის სხვა დანარჩენ მხარეებში, ეს ჰეგემონია სხვა სახლს დარჩებოდა.

ჰეგემონიის ჩამოყალიბების მექანიზმები ყოველთვის ერთი და იგივეა. ამის ანალოგიურად, საკუთრების აკუმულაციის გზით, ახალ დროში, სხვებთან კონკურენციის სფეროდან ნელ-ნელა ამოიზარდა ცალკეული, ეკონომიკური წარმოებანი. ისინი ებრძვიან ერთმანეთს, სანამ ერთი ან ორი მათგანი მონოპოლიურად არ გააკონტროლებს და არ დაეუფლება ეკონომიკის განსაზღვრულ განშტოებას. ზუსტად ამგვარადვე, მიწაზე საკუთრების აკუმულაციისა და ამით სამხედრო და ფინანსური პოტენციალის გაზრდის გზით, ახალ დროში სახელ-მწიფოები იბრძვიან დედამიწის გარკვეულ ნაწილზე ჰეგემონიის მოსაპოვებლად. მაგრამ რაც აქ, ფუნქციათა მეტი დანანილების მქონე საზოგადოებებში, სახელმწიფოთაგან საკმაოდ განსხვავებულად ხდება, კერძოდ, ეკონომიკური და სამხედრო- ძალისმიერი ჰეგემო-ნიის ჩამოყალიბება, ლუი VI-ის ეპოქის უპირატესად ნატურალური მეურნეობის მქონე საზოგადოებაში ჯერ კიდევ ერთმანეთისაგან განუყოფლად ხორცილედება: სახლი, რომელიც განაგებს ერთ ტერიტორიას, არის ამავე დროს ამ ტერიტორიის უმდიდრესი სახლი. ის ამ ტერიტორიის უდიდეს დომენალურ საკუთრებას ფლობს; და

მისი სახელისუფლებო ძალა გაქრება, თუ ის, დომენალური საკუთრების სიდიდის, თავისი ვასალებისა და მხლებლების სიმრავლის წყალობით, სამხედრო ძლიერებით არ აღემატება ნებისმიერი მეომრის ოჯახს თავისი ტერიტორიის ფარგლებში.

თუ რომელიმე მეომარის სახლის ჰეგემონიური მდგომარეობა ამ პატარა მხარეში გარკვეულწილად დაცულია, უკვე წინა პლანზე გამოდის ჰეგემონიისათვის ბრძოლა სხვა სფეროში, ბრძოლა უფრო წვრილ ტერიტორიულ მმართველებს შორის იმპერიის ფარგლებში ჰეგემონიის მოსაპოვებლად. ეს არის ამოცანა, რომელიც ლუი VI-ის მემკვიდრეთა, კაპეტინგების სახლის შემდგომი თაობის წინაშე დგას.

ექსკურსი ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის განვითარების პროცესის განსხვავებათა შესახებ

1. ამოცანა, რომელსაც ჰეგემონიისათვის, მაშასადამე, ცენტრალიზებისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლა მონაწილეთა წინაშე აყენებდა, ძალზე მარტივი საფუძვლიდან გამომდინარე, ინგლისისა და საფრანგეთისათვის სხვაგვარი იყო, ვიდრე გერმანულ-რომაული იმპერიისათვის: ეს იმპერია სულ სხვა ზომის წარმონაქმნი იყო, ვიდრე ორი დანარჩენი. ლანდშაფტური განსხვავებანი, სოციალური დაშორებანი აქ შეუდარებლად უფრო დიდი იყო, ვიდრე იქ; ეს ლოკალურ, ცენტრიდანულ ტენდენციებს სულ სხვა ძალას აძლევდა; ეს ართულებდა ტერიტორიული ჰეგემონიის წარმოქმნას, რომელიც ყველა სხვაზე აღმატებული იქნებოდა. შესაბამისად, შეუდარებლად რთულდებოდა ცენტრალიზების პროცესიც; ამ გერმანულ-რომაული იმპერიის ცენტრიდანული ძალების შებოჭვა და მისი, როგორც მთლიანის, ხანგრძლივად შენარჩუნება, ბევრად უფრო მეტ და ძლიერ ტერიტორიულ და საშინაო ძალაუფლებას მოითხოვდა მმართველი სახლის ძლიერების წყაროს სახით, ვიდრე საფრანგეთსა და ინგლისში. ეს ბევრს რაიმეს გვეუბნება იმაზე, რომ ამოცანა, უზარმაზარ რეგიონში ამ ცენტრიდანული ძალების მუდმივად გაკონტროლებისა, ზოგადად, შრომის დანაწილების, გადაჯაჭვულობის, საომარი, სამიმოსვლო და ადმინისტრაციული ტექნიკის მაშინდელი მდგომარეობისას, თითქმის გადაუჭრადი იყო.

2. ძალთა თანაფარდობა, რომელშიც სოციალური პროცესები თამაშდება, ქმნის მათი სტრუქტურის მნიშვნელოვან ელემენტს, ცხადია, ერთ-ერთს სხვა ელემენტთა შორის. თუ დავსვამთ კითხვას: რატომ ხდებოდა საფრანგეთსა და ინგლისის მხარეში ცენტრალიზება და ინტეგრაცია ბევრად უფრო ადრე და სრულყოფილად, ეს პუნქტი არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ: ამ სამი მხარის განვითარების მიმართულება ამ თვალსაზრისით ძალზე განსხვავებულია.

როცა მეფის გვირგვინი დასავლეთ-ფრანკულ სივრცეში კაპეტინგთა სახლს ერგო, მხარე, რომელშიც ამ სახლს რეალური ძალაუ-

ფლება ჰქონდა, ჩრდილოეთით პარიზიდან სენლისამდე იყო გადაჭიმული, სამხრეთით — ორლეანამდე. მანამდე 25 წლით ადრე რომში კაიზერის გვირგვინი ოტო I-მა დაიდგა. აჯანყების მცდელობანი სხვა გერმანელ გვაროვნულ ბელადთა მხრიდან მის მიერ სისხლში იქნა ჩახშობილი, პირველ ყოვლისა, თავისი საკუთარი საგვარეულო მხარის ომში გამოწრთობილ ძალებზე დაყრდნობით. ოტოს იმპერია ამ დროისათვის გადაჭიმული იყო დაახლოებით ანტვერპენიდან და დასავლეთით კამბრედან, უფრო ზუსტად — ელბის აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარე საგრაფოთა გარეშე — ელბამდე და უფრო შორს სამხრეთით, ბრიუნამდე და აღმოსავლეთით ოლმიუცს იქით. ჩრდილოეთით ის გადასწვდებოდა შლეზვიგამდე და სამხრეთში ვერონასა და ისტრიამდე; ამას ემატებოდა იტალიის მოზრდილი ნაწილი და გარკვეული ხნის მანძილზე, ბურგუნდიაც, კი. რაც აქ ჩვენს წინაა, სინამდვილეში აბსოლუტურად სხვა მასშტაბის წარმონაქმნია და შესაბამისად, გამსჭვალულია უფრო დიდი დაძაბულობებით და ინტერესთა კონფლიქტებით, ვიდრე დასავლეთ-ფრანკული მხარე, თუნდაც, მას უფრო გვიან შეერთებული ნორმანულ-ინგლისური კოლონიაც მივათვალოთ. ამოცანა, რომელიც ილ დე ფრანსისა და ნორმანდიის ან ანჟუს ტერიტორიის ჰერცოგთა, როგორც მეფეთა, წინაშე იდგა ამ მხარეში ჰეგემონიისათვის ბრძოლაში, სულ სხვა იყო, ვიდრე ის ამოცანა, რომელიც გერმანულ-რომაული იმპერიის ყოველ მბრძანებელს უნდა გადაეჭრა. იქ პატარა მხარეში, ცენტრალიზაცია და ინტეგრაცია, მრავალმხრივი გადახრებით, ერთსა თუ მეორე მხარეს, მთლიანობაში საკმაოდ შეუფერხებლად მიმდინარეობდა. აქ, ამის საწინააღმდეგოდ, შეუდარებლად უფრო დიდ სივრცეში, ტერიტორიული მმართველის სახლი, ყოველთვის ხელახლა და თანაც ამაოდ, ცდილობდა კაიზერის გვირგვინთან ერთად მთელს იმპერიაში ნამდვილი, სტაბილური ჰეგემონიისთვისაც მიეღწია. ასეთი რთული ამოცანისათვის ბრძოლაში, ერთ-ერთი ამ სახლებიდან მოიხმარდა იმას, რაც ყველაფრის მიუხედავად, მაინც რჩებოდა მისი შემოსავლების და ამით, მისი ძალაუფლებრივი პოზიციის ცენტრალურ წყაროდ; ისინი ხარჯავდნენ თავიანთ საგვარეულო თუ დომენალურ ქონებას. და ახალი სახლის ყოველ ასეთ წარუმატებელ გააქტიურებას მოჰყვებოდა დეცენტრალიზება, ცენტრიდანული ძალების გამტკიცების პროცესის ერთი ნაბიჯით წინსვლა.

ცოტა ხნით ადრე, სანამ საფრანგეთის სამეფო სახლი თანდათანობით ისევ დაიწყებდა ძალების მოკრებას, სანამ ეს სახლი ლუი VI-ი სახით პირველად შეეცდებოდა თავისი ტერიტორიული და დომენალური საკუთრების გაერთიანებას, გერმანულ-რომაულ იმპერიაში გერმანელ, დიდ ტერიტორიულ მმართველთა ერთობლივი შეტევით, ეკლესიის, ჩრდილო-იტალიური ქალაქებისა და უფროსი ვაჟის, მაშასადამე, სხვადასხვა ცენტრიდანული ძალების იერიშით, კაიზერ ჰაინრიხ IV-ის ძლიერება განადგურდა. ეს ქმნის საფრანგეთის სამეფო

ხელისუფლების ადრეულ ხანასთან გარკვეული შედარების პუნქტსაც. მოგვიანებით, როცა საფრანგეთის მეფეს, ფრანც I-ს, თავისი იმპერიის მთელი ტერიტორია ისე უჭირავს ხელში, რომ აღარ სჭირდება ფენათა შეკრების მოწვევა და ისე ზრდის გადასახადებს, რომ არ ეკითხება მათ, ვინც ეს გადასახადი უნდა გადაიხადოს, კაიზერმა კარლ V-მ და მისმა ადმინისტრაციამ თვით საკუთარ სამემკვიდრო და საგვარეულო მიწების ფარგლებშიც, ლოკალურ ფენათა კრებებზე უნდა მოილაპარაკოს, სანამ ის იმპერიის სასახლის კარის, მუდმივი არმიისა და ადმინისტრაციისათვის აუცილებელ გადასახედებს აკრებს; და ეს ყველაფერი, ზღვისპირა კოლონიების შემოსავლებთან ერთად, ვერ ფარავდა ხარჯებს, რომლებიც მისი მრავალმხრივი სახელისუფლო ამოცანების შესასრულებლად იყო აუცილებელი. როცა კარლ V გადადგა, სამეფო ადმინისტრაცია ფინანსური გაკოტრების წინაშე იდგა. მანაც ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის ბრძოლაში, გაძლიერებული, ცენტრიდანული ძალების დასამორჩილებლად გამოიყენა და დაანგრია ასეთი უზარმაზარი იმპერია. და თუ ჰაბსბურგებმა ძალაუფლება მაინც შეინარჩუნეს, ეს არის გამოხატულება საზოგადოების სხვაგვარი ფორმირებისა და კონკრეტულად, მეფის ფუნქციის გარდაქმნისა.

3. სახელმწიფოს ჩამოყალიბების მექანიზმი,— „სახელმწიფოს“, ამ სიტყვის ახალი მნიშვნელობით,— ევროპულ სივრცეში, სადაც საზოგადოება უპირატესად, ნატურალური მეურნეობის ფაზიდან წყვეტის გარეშე გადადის საფინანსო მეურნეობის ფაზაში, როგორც ითქვა, დიდწილად, ყოველთვის ერთი და იგივეა. ეს ჯერ კიდევ უფრო ზუსტად უნდა ვაჩვენოთ საფრანგეთის მაგალითზე. სულ ცოტა, დიდი ევროპული სახელმწიფოების ისტორიაში მაინც, ვპოულობთ ადრეულ ფაზას, რომლის დროსაც გვიანდელ სახელმწიფოთა სივრცეში გადამწყვეტ როლს თამაშობს ტერიტორიის სიდიდის სახელისუფლებო ერთეულები, მაშასადამე, უფრო პატარა და სუსტი სახელისუფლო ერთეულები, რომლებიც დროდადრო, ყოველთვის წარმოიქმნებოდა დედამიწის ყოველ კუთხეში, ნაკლები შრომის განაწილებისა და გადაჯაჭვულბის არსებობისას, იმ საზღვრების შესაბამისად, რომლებიც ნატურალურ-სამეურნეო ურთიერთობათა ბატონობისას სახელისუფლო ორგანიზაციას დაუწესდა. ამის ერთი მაგალითია ფეოდალური ტერიტორიული სამფლობელოები, რომლებიც გერმანულ-რომაული იმპერიის ფარგლებში, მოგვიანებით, საფინანსო მეურნეობის შემოჭრასთან ერთად, პატარა სამეფოებს, საჰერცოგოებს თუ საგრაფოებს მიემაგრებიან. სხვა შემთხვევაა ისეთი მხარეები, როგორიცაა უელსის სამთავრო ან შოტლანდიის სამეფო, რომლებიც ინგლისთან, დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ იმპერიასთანაა შერწმული; შემდეგ მაგალითს წარმოადგენს ილ დე ფრანსის საჰერცოგო, რომლის განვითარებაზე უფრო მყარ, ფეოდალურ სამფლობელოდ სწორედ ახლა იყო საუბარი.

თუ სქემატურად გამოვსახავთ, სხვადასხვა, მეტ-ნაკლებად ახლომდებარე ტერიტორიულ სამფლობელოთა *შორის* პროცესი ისევე მიმდინარეობს, როგორც მყარად შემოსაზღვრული ტერიტორიის *შიგნით* ცალკეულ ფეოდალებს ან რაინდებს შორის მიმდინარეობდა რომელიმე მათგანის მიერ ჰეგემონიური მდგომარეობის მოპოვებამდე და უფრო მყარი ტერიტორიული სამფლობელოს წარმოქმნამდე. ისე, როგორც თავდაპირველად რამდენიმე საფეოდალო, შემდგომ ფაზაში კონკურენტულ სიტუაციაში აღმოჩნდება მომდევნო სიდიდის სამფლობელოთა, საჰერცოგოთა ან საგრაფოთა ერთი რიგი. ისინი დადგებიან აუცილებლობის წინაშე, მოახდინონ ექსპანსია, თუ არ სურთ, ადრე თუ გვიან, ექსპანსიის განმახორციელებელმა მეზობელმა დაამარცხოს ან მათზე დამოკიდებულნი გახდნენ.

ზემოთ უკვე დაწვრილებით ვაჩვენეთ, როგორ ძლიერდება ამ საზოგადოების შიგნით მიწებისათვის კონკურენცია მოსახლეობის რიცხვის ზრდასთან, მიწაზე საკუთრების დამკვიდრებასთან და გარე ექსპანსიის სირთულეებთან ერთად. ნაჩვენები იქნა, როგორ მეღავნდება ღარიბ რაინდებთან მიწისაკენ ეს ლტოლვა, როგორც მარტივი მოთხოვნა მდგომარეობის შესაბამის დონეზე თავის რჩენისა, უფრო მაღალი მდგომარეობის და უფრო მდიდარ რაინდებთან კი, როგორც ლტოლვა „მეტი“ მიწის მიღებისაკენ; რადგან ვინც ამგვარი კონკურენტული ზენოლის საზოგადოებაში „მეტს“ არ მოიპოვებს და მხოლოდ იმას ინარჩუნებს, რასაც ფლობს, ავტომატურად „უფრო სუსტი“ ხდება. აქ ხელახლა ვხედავთ იმ ზენოლის მოქმედებას, რომელიც ამ საზოგადოებას ზემოდან ქვემოთ გამსჭვალავს: ის ტერიტორიულ მმართველებს ერთმანეთს უპირისპირებს; და ამით მას მოქმედებაში მოჰყავს მონოპოლიზების მექანიზმი. თავდაპირველად, ძალაუფლების საშუალებათა დიფერენციაცია გარკვეულ საზღვრებში რჩება, რაც ტერიტორიულ, ფეოდალურ სამფლობელოთა გარკვეულ რაოდენობას უფლებას აძლევს ერთმანეთს გაეჯიბრონ; მოგვიანებით, მრავალი გამარჯვებისა და დამარცხების შემდეგ, ერთნი ძალაუფლების საშუალებათა აკუმულაციის გზით უფრო ძლიერდებიან, სხვები კი, გამოვარდებიან ჰეგემონიისათვის კონკურეტული ბრძოლიდან; ისინი აღარ არიან პირველი რიგის ფიგურები ამ ბრძოლაში; დანარჩენები კი, რიცხობრივად უფრო მცირენი, შემდგომაც იბრძვიან ერთმანეთთან და შერჩევის პროცესი მეორდება, სანამ ბოლოს, გადაწყვეტილების გამოტანის აუცილებლობა მხოლოდ ორ ტერიტორიულ სამფლობელოს შორის არ დადგება, რომლებიც სხვებზე გამარჯვების გზით, მათი ნებაყოფლობითი თუ იძულებითი მიერთებით გაფართოვდნენ; სხვა დანარჩენები უკვე, სულ ერთია, იღებენ ისინი ბრძოლაში მონაწილეობის თუ ნეიტრალიტეტს ინარჩუნებენ, ამ ორი დიდი სამფლობელოს გაზრდისა და ძალაუფლების სისრულის გამო, მეორე ან მესამე ხარისხის ფიგურათა ხასიათს იძენენ და ამ ფუნქციითაც მათ ჯერ კიდევ აქვთ გარკვეული სოციალური წონა. ის ორი კი მონოპოლიურ მდგომარე-

ობას უახლოვდება; ისინი დანარჩენების კონკურენციის სფეროდან ამოიზარდნენ; მათ შორის უნდა იქნას მიღებული გადაწყვეტილება.

ამ „შერჩევით ბრძოლებში", ამ სოციალური სელექციის პროცესში, ცხადია, ერთეული ადამიანის პიროვნული თვისებები, სწორედ ისევე, როგორც სხვა მრავალფეროვანი „შემთხვევები", როგორებიცაა მაგალითად, ამა თუ იმ კაცის გვიანი გარდაცვალება ან მამრობითი სქესის მემკვიდრის არარსებობა რომელიმე მებატონის სახლში, ხანდახან გადამწყვეტ როლს თამაშობს იმ საკითხში, თუ რომელი ტერიტორია იმარჯვებს, წაიწევს წინ და გაიზრდება.

სოციალური პროცესი, ფაქტი, რომ უფრო ბევრი თანაბარი ძალისა და საკუთრების მქონე ერთეულების საზოგადოება მკაცრი კონკურენტული ზეწოლისას უფრო მცირერიცხოვანთა გაძლიერებისა და ბოლოს, მონოპოლიათა წარმოქმნის მიმართულებით მიდის, მსგავსი შემთხვევებისაგან დიდწილად დამოუკიდებელია; შეიძლებოდა, მათ ამ პროცესზე დამაჩქარებელი ან შემანელებელი გავლენა მოეხდინათ. მაგრამ, სულ ერთია, ვინ არის მონოპოლისტი, ის, რომ საქმე, ადრე თუ გვიან, ასეთი მონოპოლიის შექმნამდე მიდის, სულ ცოტა, საზოგადოების აქამდელი აღმშენებლობის პირობებში, სარწმუნოობის ძალზე მაღალ ხარისხს გულისხმობს. ალბათ, ამ დადგენას ზუსტ, საბუნებისმეტყველო ენაზე „კანონს" უწოდებდნენ. თუ ზუსტად შევხედავთ, საქმე ეხება შედარებით ზუსტ ფორმულირებას მართლაც მარტივი, სოციალური მექანიზმისა, რომელიც, ამოძრავდება რა ერთხელ, საათის მექანიზმის მსგავსად განაგრძობს მუშაობას: ადამიანთა ქსელი, რომელშიც თავიანთი ძალაუფლების საშუალებათა სიდიდის წყალობით, შედარებით ბევრი ერთეული ადამიანი ერთმანეთს კონკურენციას უწევს, იმისაკენ ისწრაფვის, რომ ეს წონასწორობის მდგომარეობა (მრავალთა ბალანსი, ბევრის შედარებით თავისუფალი კონკურენციის საფუძველზე) დატოვოს და სხვას მიუახლოვდეს, რომლის დროსაც სულ უფრო ნაკლებ ადამიანს შეუძლია ერთმანეთთან კონკურირება; ერთი სიტყვით, ის უახლოვდება იმ მდგომარეობას, რომლის დროსაც *ერთი* სოციალური ერთეული, აკუმულაციის გზით მონოპოლიას აღწევს ძალაუფლების სადაო შანსებზე.

4. მონოპოლიზების მექანიზმის დომინანტური ხასიათის შესახებ შემდგომშიც იქნება დაწვრილებით საუბარი. მაგრამ, როგორც ჩანს, მაინც აუცილებელია აქ იმაზე მივუთითოთ, რომ ერთი ამგვარი მექანიზმი სახელმწიფოს ჩამოყალიბებაშიც მოქმედებს ისევე, როგორც უწინ პატარა სამფლობელოთა გაერთიანების, ტერიტორიული მმართველობის ან მოგვიანებით, უფრო დიდი გაერთიანებების შემთხვევაში. მხოლოდ მაშინ, როცა ეს მექანიზმი თვალწინ გვიდგას, შეიძლება გასაგები გავხადოთ, რა ფაქტორები ახდენს მის მოდიფიცირებას სხვადასხვა ქვეყნებს ისტორიაში ან სულაც, აფერხებს ამ პროცესს. მხოლოდ ასე დავინახავთ გარკვეული სიმკვეთრით, რატომ იყო ბევრად უფრო რთულად დასაძლევი ის ამოცანა,

რომელიც გერმანულ-რომაული იმპერიის პოტენციურ ტერიტორიულ მმართველს უნდა გადაეჭრა, დასავლეთ-ფრანკული მხარის პოტენციური მმართველის ამოცანასთან შედარებით. ამ იმპერიაშიც, მთელი რიგი შერჩევითი ბრძოლების, გამარჯვებულის ხელში ტერიტორიათა გამუდმებული თავმოყრის შედეგად, უნდა ჩამოყალიბებულიყო ტერიტორიული მმართველობა, რომელიც ისე გადააჭარბებდა ყველა სხვას, ისე მდიდარი იქნებოდა ძალაუფლების საშუალებებით და ისე გამტკიცდებოდა, რომ მისი ძალაუფლების საშუალებათა თავმოყრის ადგილი, საბატონო სახლი, შეძლებდა დანარჩენები, ერთიმეორის მიყოლებით, მშვიდობიანი ფორმით თუ ბრძოლის გზით, იძულებით თავისზე დამოკიდებული გაეხადა და დაქვემდებარების ან ლიკვიდაციის გზით, საბოლოოდ თავისი სახელისუფლო აპარატისათვის მიეერთებინა. მხოლოდ ასე მიიღწეოდა ამ ერთიანობას მოკლებული იმპერიის ცენტრალიზება. და ჰეგემონიისათვის ბრძოლები, რომლებიც ამ მიმართულებით მიდიოდა, საკმაოდ ხშირი იყო; მათ განეკუთვნებოდა არა მხოლოდ ველფებსა და შტაუფებს, არამედ კაიზერსა და პაპებს შორის ბრძოლებიც, თავიანთი განსაკუთრებული სირთულეებით. ყველა მათგანი ძალზე შორსაა მიზნისაგან. იმის სარწმუნოობა, რომ ჩამოყალიბდებოდა უპირატესი კრისტალიზაციის ცენტრი, ერთმნიშვნელოვანი ჰეგემონია, ასეთი მოცულობის სივრცისა და ასეთი არაერთგვაროვნების შემთხვევაში ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე უფრო მცირე რეგიონების შემთხვევაში. თანაც საუბარია იმ ფაზაზე, რომელშიც ეკონომიკური კავშირები უფრო ნაკლები იყო და დაშორებანი სივრცეში ბევრად უფრო დიდი, ვიდრე გვიანდელ ფაზაში. ყველა შემთხვევაში, მსგავს შერჩევით ბრძოლებს ასეთი დიდი რეგიონების შიგნით უფრო მეტი დრო დასჭირდებოდა, ვიდრე მეზობლად მდებარე პატარა სივრცეებში.

როგორ მივიდა ეს პროცესი, ბოლოს, სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე გერმანულ-რომაული იმპერიის სივრცეში, კარგადაა ცნობილი. გერმანულ ტერიტორიულ სამფლობელოთა შორის, აქ რომ განყენება მოვახდინოთ იტალიურ სამფლობელოებში მიმდინარე ანალოგიური პროცესისაგან, ყალიბდებოდა ტერიტორიული მმართველობა, რომელიც გერმანულ ან ნახევრად გერმანულ კოლონიურ სივრცეში უპირველესად, ექსპანსიის გზით, ნელ-ნელა ჰამსბურგელთა ძველ ხელისუფლებასთან კონკურენტულ სიტუაციაში გადაიზარდა: ეს იყო ჰოენცოლერთა ტერიტორიული მმართველობა. ეს მდგომარეობა ჰეგემონიისათვის ბრძოლამდე, ჰოენცოლერთა გამარჯვებამდე, გერმანულ ტერიტორიულ სამფლობელოთა შორის ერთმნიშვნელოვანი უპირატესობის ჩამოყალიბებამდე და ამით საბოლოოდ, ნაბიჯ-ნაბიჯ, გერმანული ტერიტორიის სახელისუფლო აპარატის ქვეშ გაერთიანებამდე მივიდა. მაგრამ ჰეგემონიისათვის ეს ბრძოლა იმპერიის ორივე ძლიერ ნაწილს შორის, ბრძოლა რომელიც უფრო მეტ ინტეგრაციას, სახელმწიფოს წარმოშობას დაუდებდა სათავეს, ამავე დროს, ნიშნავდა შემდგომ ნაბიჯს კაიზერის ძველი იმპერიის

დეზინტეგაციისაკენ. ჰაბსბურგელთა მიწები მათ დამარცხებასთან ერთად გამოეყოფა სახელისუფლო გაერთიანებას. ეს იყო, არსებითად, საბოლოო ნაბიჯი ძველი იმპერიის ნელი და განუწყვეტელი დაშლის გზაზე. საუკუნეთა მანძილზე ისევ და ისევ გამოცალკევდებოდა გარკვეული მხარეები და დამოუკიდებელ მმართველობით ერთეულებად ყალიბდებოდა. როგორც მთელი, იმპერია მეტისმეტად დიდი, მეტისმეტად დანაწევრებული და ამდენად, ხელისშემშლელი იყო სახელმწიფოთა ჩამოყალიბების პროცესისათვის.

ცხადია, მე-20 საუკუნის სიტუაციის გაგებისათვის მნიშვნელობა აქვს უშუალოდ დავფიქრდეთ იმაზე, თუ რატომ ხდებოდა გერმანულ-რომაული იმპერიის სივრცეში სახელმწიფოთა ჩამოყალიბება ბევრად მეტი ძალისხმევის შედეგად და უფრო გვიან, ვიდრე დასავლეთით მდებარე მეზობელ სახელმწიფოებში; და ასეთი აქტუალური გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორიცაა მაგალითად, განსხვავების გამოცდილება, რომელიც არსებობდა, ერთი მხრივ, დიდი ხნით ადრე განმტკიცებულ, კარგად დაბალანსებულ და ექსპანსიის გზით გაჯერებულ, ევროპულ ქვეყნებსა და მეორე მხრივ, მხოლოდ ცოტა ხნის წინ განმტკიცებულ, ექსპანსიამდე მეტისმეტად გვიან მისულ, ძველი იმპერიის მემკვიდრე ქვეყნებს შორის, ეს კითხვა დღესაც ინარჩუნებს თავის ტონალობას. სტრუქტურული თვალსაზრისებით, ალბათ, არც ისე რთულია, ამაზე პასუხის გაცემა, ყოველ შემთხვევაში, ეს იმაზე რთული არ არის, ვიდრე შემაჯამებელი კითხვა, რომელიც სოციალურ სტრუქტურათა გასაგებად არანაკლები მნიშვნელობის მქონეა და რომელიც აქ, სულ მცირე, მითითებული უნდა იყოს: რატომ იდგა ასე ხანგრძლივად ეს კოლოსი, მიუხედავად მისი არახელსაყრელი აგებულებისა და ცენტრიდანული ძალების უპირობო ძლიერებისა, რატომ არ დაეცა ეს იმპერია უფრო ადრე?

5. როგორც მთელი, ის უფრო გვიან განადგურდა; მაგრამ საუკუნეთა მანძილზე, ისევ და ისევ, უპირველესად დასავლეთით და სამხრეთით, განაპირა მხარეები ჩამოცილდებოდა გერმანულ-რომაულ იმპერიას და თავის საკუთარ გზას ირჩევდა. ამავე დროს, შეუჩერებელი კოლონიზაცია, გერმანული დასახლებული სივრცის გაფართოება აღმოსავლეთით, გარკვეული დოზით დასავლეთით დაკარგული მიწების კომპენსაციას ახდენდა. თუმცა, მხოლოდ გარკვეული დოზით: იმპერია გვიანდელ შუა საუკუნეებამდე და ნაწილობრივ, მას შემდეგაც, დასავლეთით მაასამდე და რონამდე იყო გადაჭიმული. თუ მხედველობაში არცერთ გადახრას არ მივიღებთ და მხოლოდ მოძრაობის ზოგად ტენდენციას განვიხილავთ, თვალწინ წარმოგვიდგება იმპერიის მუდმივი გასალაშინებისა და შემცირების სურათი, ექსპანსიის მიმართულებისა და სიმძიმის ცენტრის უფრო შიგნით, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ ნელი გადანაცვლების თანხლებით. ეს ტენდენცია უფრო ზუსტად უნდა გადამუშავდეს, ვიდრე ის აქ შეიძლება გავაკეთოთ. რაც რეგიონის მხოლოდ სიდიდეს შეეხება, ის შესაცნობია ნამდვილი გერმანული სივრცის ბოლოდროინდელ ცვლილებებში:

გერმანიის კავშირი	1866 წლამდე	630098 კმ²
გერმანია	1870 წელს	540484 კმ²
გერმანია	1918 წელს	471000 კმ²

მოძრაობის მიმართულება, დაახლოებით, საპირისპიროა ინგლისსა და საფრანგეთში. აქ ტრადიციული ინსტიტუტები, უპირველეს ყოვლისა, შედარებით მცირე და შეზღუდულ მხარეებში ვითარდება და ნელა აფართოებს თავის სამოქმედო წრეს. შეუძლებელია ამ ქვეყნებში გავიგოთ ცენტრალური ინსტიტუტის ბედი, მთელი მმართველობის აპარატის სტრუქტურა და განვითარება, შეუძლებელი ავხსნათ სხვაობა მათ და ძველი იმპერიის მემეკვიდრე ქვეყნების შესაბამის ფორმაციებს შორის, თუ ამ მარტივ ფაქტორს, მცირედან დიდისაკენ ნელ ზრდას არ გავითვალისწინებთ.

გერმანულ-რომაულ იმპერიასთან შედარებით, კუნძულის ტერიტორია, რომელიც 1066 წელს ნორმანელმა ჰერცოგმა ვილჰელმმა დაიპყრო, მართლაც ნაკლებ გავრცობილი იყო. ის დაახლოებით პირველ მეფეთა ეპოქის პრუსიას მოგვაგონებდა. შოტლანდიის მიმართულებით, ჩრდილოეთის საზღვართან, პატარა მონაკვეთების ჩათვლით, ის მოიცავდა დღევანდელ ინგლისს, მაშასადამე, კუნძულის მხარეს, შოტლანდიისა და უელსის გარდა, მთლიანად დაახლოებით 131 764 კმ²–ს. უელსი პირველად, დაახლოებით მე-13 საუკუნის ბოლოს შეუერთდა მთლიანად ინგლისს. (ინგლისი უელსით 151130 კმ²). პერსონალუნიონი *(კავშირი, რომელსაც ერთი პიროვნება მართავს, მთარგ. შენიშვ.)* შოტლანდიასთან ერთად არსებობს დაახლოებით 1603 წლიდან. ეს რიცხვები სხვა არაფერია, თუ არა თვალსაჩინო რიცხვები, ჯერ მხოლოდ გადაუმუშავებელი მითითებანი სტრუქტურულ განსხვავებებზე. ისინი მიგვანიშნებენ იმაზე, რომ ინგლისური და შემდეგ ბრიტანული ნაციის ჩამოყალიბება, დიდ, კონტინენტურ ნაციებთან შედარებით, გარკვეული ტერიტორიის საზღვრებში მიმდინარეობდა, რომელიც გადამწყვეტ ფაზაში ცოტათი თუ აჭარბებდა ტერიტორიულ სამფლობელოს. ის, რასაც ვილჰელმ დამპყრობელი და მისი უახლოესი მემკვიდრენი აშენებდნენ, ფაქტიურად სხვა არაფერი იყო, თუ არა დასავლეთ-ფრანკული იმპერიის დიდი ტერიტორიული სამფლობელო და არც დიდად განსხვავდებოდა იმისაგან, რომელიც იმავე პერიოდში არსებობდა ილ დე ფრანსში, აქვიტანიასა და ანჟუში. ამოცანები, რომლებიც ამ მხარის ტერიტორიულ მმართველებს ჰეგემონიისათვის ბრძოლაში დაეკისრებოდათ, გამომდინარე იმ მარტივი აუცილებლობიდან, რომ თვითონ უნდა მოეხდინათ ექსპანსია, თუ არ სურდათ სხვას მოეპოვებინა მათზე უპირატესობა ექსპანსიის გზით, პოტენციური ცენტრალური მმართველების ეს ამოცანა, აქ, წარმოუდგენლად განსხვავდებოდა იმისაგან, რასაც კონტინენტური იმპერია თავის ცენტრალურ მმართველს უყენებდა; ეს ძალაში იყო უკვე იმ პირველი ფაზისათვის, როცა კუნძულის მხარე ერთგვარ დასავლეთ-ფრანკულ კოლონიას წარმოადგენდა და რომელშიც მისი

ნორმანელი ან ანჟუელი მმართველები, ამავე დროს, მნიშვნელოვან ტერიტორიას ფლობდნენ კონტინენტზე და შესაბამისად, ყოფილ დასავლეთ-ფრანკულ მხარეში ჰეგემონიისათვის იბრძოდნენ; ეს ნამდვილად სამართლიანია უკვე იმ ფაზასთან მიმართებაში, როცა ისინი კონტინენტიდან უკან, კუნძულზე გააძევეს და როცა საუბარი იყო იმაზე, რომ ეს კუნძული ინგლისიდან ხელისუფლების ერთი აპარატით მოეცვათ. და თუ მეფის ფუნქცია, ისევე როგორც მეფისა და სხვა წოდებათა ურთიერთობა, აქ სხვაგვარად ფორმირდებოდა, ვიდრე კონტინენტურ იმპერიაში, აქ ერთ-ერთი მოქმედი ფაქტორი, ცხადია, არა ერთადერთი, მხარის შედარებით მცირე ტერიტორია და ცხადია, მისი განცალკევებაა, მხარისა, რომლის გაერთიანება მნიშვნელოვანი იყო. უფრო დიდი, ლანდშაფტური დიფერენცირების შანსები ამ მხარეში ბევრად უფრო მცირე იყო. ჰეგემონიისათვის ბრძოლები ორ მოწინააღმდეგეს შორის უფრო მარტივი იყო, ვიდრე იქ, მრავალთა შორის. ინგლისური პარლამენტი, რაც მის წარმოქმნას და სტრუქტურას შეეხება, შეიძლება შევადაროთ არა გერმანული იმპერიის წოდებებს, არამედ უპირველესად გერმანიის სოფლის ფენებს: და ასევეა ყველა სხვა ინსტიტუტთან მიმართებაში. ისინი იზრდებიან, როგორც თავად ინგლისი, პატარადან უფრო დიდისაკენ; ფეოდალურ ტერიტორიათა ინსტიტუტებიდან უწყვეტად ხდება გადასვლა სახელმწიფოსა და იმპერიის ინსტიტუტებზე.

მაგრამ აქაც, გაერთებული მხარის გარკვეული სიდიდიდან გამომდინარე, ისევ ძლიერდება ცენტრიდანული ტენდენციები. თვით გადაჯაჭვულობისა და კომუნიკაციის გაძლიერებული მდგომარეობისას, დღესაც ეს იმპერია საშიშად დიდი ჩანს. მხოლოდ ძალზე გამოცდილი და ელასტიური მმართვის ხელოვნება ინარჩუნებს მას, როგორც ადმინისტრაციულ გაერთიანებას მთლიანობაში, თუმცა, უამრავი სირთულის თანხლებით. იმ წანამძღვართა პირობებში, რომლებიც, ცხადია, ძველი გერმანული რაიხის წანამძღვართაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა, აქ ჯერ კიდევ გამოვლინდება, როგორ მიემართებოდა უზარმაზარი იმპერია, რომელიც დაპყრობითა და კოლონიზაციის გზითაა გაერთიანებული, საბოლოოდ მეტნაკლებად დამოუკიდებელი, ადმინისტრაციული ერთეულების გამოყოფისაკენ ან სულ მცირე, ერთგვარ „სახელმწიფოთა კავშირად" გარდაქმნისაკენ. ასე, რომ თუ ახლოდან შევხედავთ, ეს მექანიზმი, თითქმის, თავისთავად ცხადი გამოჩნდება.

6. კაპეტინგთა საგვარეულო მხარე, ილ დე ფრანსის საჰერცოგო, უფრო პატარა იყო, ვიდრე ინგლისის მხარე, რომელსაც ნორმანდიის ჰერცოგი განაგებდა. ის დაახლოებით, შტაუფერის ეპოქის დროინდელი მარკ ბრანდერბურგის სიდიდისა იყო. მაგრამ აქ, იმპერიის საზღვრებში, ხუთი თუ ექვსი საუკუნე დასჭირდა, სანამ ამ პატარა კოლონიური რეგიონიდან ჩამოყალიბდებოდა ძალა, რომელსაც შეეძლო რაღაც ფორმით იმპერიის ძველ, განმტკიცებულ ტერიტორიულ სამფლობელოებს გაჯიბრებოდა. ყოფილ დასავლეთ-ფრანკუ-

ლი მხარის შეზღუდულ საზღვრებში ძალაუფლების საშუალებანი, მატერიალურ და სულიერ დახმარებასთან ერთად, რომელსაც კაპეტინგთა სახლს საეკლესიო ინსტანციები უწევდა, საკმარისად დიდი იყო, რათა ამ სახლს ძალზე სწრაფად შესძლებოდა ბრძოლის დაწყება საფრანგეთის უფრო დიდ მხარეში ჰეგემონიის მოსაპოვებლად.

დასავლეთ-ფრანკული იმპერიის მემკვიდრე რეგიონი, გვიანდელი საფრანგეთის მონახაზი, თავისი მოცულობით, უხეშად რომ ვთქვათ, გვიანდელ ინგლისსა და გერმანულ-რომაულ იმპერიას შორის იდგა. ლანდშაფტური განსხვავებები და ამით, ცენტრიდანულ ძალთა ძლიერებაც, აქ ნაკლები იყო, ვიდრე მეზობელ იმპერიაში და შესაბამისად უფრო იოლი იყო ამოცანა, რომელიც პოტენციურ ცენტრალურ მმართველს უნდა გადაეჭრა. ეს განსხვავებანი და მასთან ერთად, ცენტრიდანულ ძალთა სიძლიერე უფრო დიდი იყო, ვიდრე ბრიტანულ კუნძულებზე.[79] მაგრამ აქ, ინგლისში, სწორედ სივრცის შეზღუდულობის გამო, გარკვეულ გარემოებებში, უფრო იოლი იყო სხვადასხვა ფენათა გაერთიანება და პირველ ყოვლისა, მთელი ამ მხარის მეომართა გაერთიანება ცენტრალურ მმართველთა *წინააღმდეგ*, მით უფრო, რომ ჯერ კიდევ ვილჰელმ დამპყრობელის მიერ მინების დანაწილება ხელს უწყობდა კარგი მდგომარეობის მქონე ფენათა კონტაქტებს და საერთო ინტერესებს მთელს ინგლისში. ჯერ კიდევ უნდა ვაჩვენოთ ის, თუ როგორ აძლიერებდა ცენტრალური მმართველის პოზიციას სამფლობელოთა არაერთგვაროვნება და დისპარატულობა, რომელიც არც ისე დიდი იყო, რომ დაშლა მოსალოდნელი ყოფილიყო და საკმაოდ დიდი იყო იმისათვის, რომ გაერთულებინა ფენათა გაერთიანება მთელს ქვეყანაში. შანსები, რომელსაც ყოფილი დასავლეთ-ფრანკული მხარე თავისი გავრცობის შედეგად, ცენტრალური მმართველის წარმოჩენისათვის, მართვის მონოპოლიის ჩამოყალიბებისათვის იძლეოდა, ცუდი არ იყო.

ისღა რჩება ცალ-ცალკე განვიხილოთ, როგორ გამოიყენა ეს შანსები კაპეტინგთა სახლმა და რომელი მექანიზმებით გამომუშავდებოდა ამ მხარეში, ზოგადად, მმართველობის მონოპოლია.

მონოპოლიური მექანიზმების შესახებ

1. საზოგადოება, რომელსაც ჩვენ ახალი დროის საზოგადოებას ვუწოდებთ, დასავლურ სამყაროში, პირველ ყოვლისა, მონოპოლიათა წარმოქმნის სრულიად განსაზღვრული მდგომარეობით ხასიათდება. სამხედრო ძალისმიერ საშუალებებზე თავისუფალი გამგებლობის უფლება, რა სახეც არ უნდა ჰქონდოდა მას, ინდივიდს ჩამოერთვა და ცენტრალურ ხელისუფლებას დარჩა[80]. სწორედ ასევე, მიწის საკუთრებისა ან ცალკეული ადამიანის შემოსავლებიდან გადასახადების მოკრება საზოგადოებრივი, ცენტრალური ძალაუფლების

ხელშია კონცენტრირებული. ფინანსური საშუალებები, რომლებიც ამ გზით ცენტრალური ხელისუფლების განკარგულებაში ხვდება, უზრუნველყოფს ძალაუფლების მონოპოლიის არსებობას, ძალაუფლების მონოპოლია კი, ინარჩუნებს გადასახადების აკრეფის მონოპოლიას. არცერთს ამ ორთაგან არა აქვს უპირატესობა მეორეს-თან შედარებით, არც ეკონომიკურ მონოპოლიას სამხედროსთან მიმართებაში და არც სამხედრო მონოპოლიას ეკონომიკურთან მიმართებაში. აქ საქმე ეხება ერთი და იმავე მონოპოლიური მდგომარეობის ორ მხარეს. როცა ერთი ქრება, მეორე ავტომატურად მიჰყვება უკან. ზოგჯერ, შეიძლება, ძალაუფლების მონოპოლია ძლიერ რყევებს განიცდიდეს ხან ერთი, ხან მეორეს მხრიდან.

გადასახადებზე და ჯარზე ასეთი მონოპოლიური გამგებლობის საწყისი ფორმები შედარებით დიდ რეგიონებში, აქა-იქ ფუნქციათა ნაკლები დანაწილების მქონე საზოგადოებებშიც არსებობდა, პირველ ყოვლისა, როგორც დაპყრობითი პროცესების შედეგი. ის, რაც პირველ-ად საზოგადოების ფუნქციათა შორს წასული დანაწილების დროს წარმოიქმნება, არის ამ მონოპოლიის მყარი, სპეციალიზებული ადმი-ნისტრაციული აპარატი: მხოლოდ ამ დიფერენცირებული, სახელის-უფლო აპარატის ჩამოყალიბებით შეიძენს ჯარისა და გადასახადების განკარგვა თავის სრულ მონოპოლიურ ხასიათს; მხოლოდ ამით ხდება სამხედრო და საგადასახადო მონოპოლია გრძელვადიანი მოვლენა. სოციალური ბრძოლები მიმდინარეობს არა ხელისუფლების მონო-პოლიის გაუქმებისათვის, არამედ მხოლოდ იმ საკითხის გარშემო, ვინ უნდა განაგოს მონოპოლიური აპარატი, ვის წარმოადგენენ ისინი და როგორ უნდა განაწილდეს ამ აპარატის ტვირთი და გამოსადეგობა. მხოლოდ ცენტრალური ძალაუფლების მყარი მონოპოლიის და ამ სპეციალიზებული სახელისუფლო აპარატის ჩამოყალიბებით შეიძენს მმართველობითი ერთეულები „სახელმწიფოთა“ ხასიათს.

ამ ორ დასახელებულ მონოპოლიას, ცხადია, მათში მთელი რიგი სხვა მონოპოლიები უერთდება, მაგრამ ეს ორი არის და რჩება არსებითი. თუ ისინი ნადგურდება, ნადგურდება ყველა სხვა, ნადგუ-რდება „სახელმწიფო“.

2. კითხვა ისმის ასე: როგორ და რატომ მიდის პროცესი ამ მონოპოლიათა ჩამოყალიბებამდე?

მე-9, მე-10 და მე-11 საუკუნეთა საზოგადოებებში მას ჯერ კიდევ არა აქვს გამოკვეთილი სახე. მე-11 საუკუნიდან, ვხედავთ, რომ ის ნელ-ნელა იწყებს ჩამოყალიბებას ყოფილ დასავლეთ-ფრანკულ მხარეში. თავდაპირველად, ყოველი მეომარი, ქვეყანაში, რომელშიც ის მიწის ნაკვეთს ფლობს, ახორციელებს მმართველობის ყველა იმ ფუნქციას, რომლებიც შემდგომ სპეციალისტთა მანქანის ინსტრუ-მენტის საშუალებით მართული, ცენტრალური ხელისუფლების მონოპოლიად იქცევა. ის აწარმოებს ბრძოლებს ახალი მიწების დასა-პყრობად ან მათ დასაცავად, როცა მას ეს სურს. ახალი მიწების დაპ-ყრობა, მმართველობის ფუნქციებთან ერთად, რომლებიც მის საკუ-

თრებასთანაა დაკავშირებული, ისევე როგორც საკუთრების ბრძოლით დაცვა, უფრო თანამედროვე ენით რომ ვთქვათ, „კერძო ინიციატივაზეა“ მინდობილი. და რადგან აქ, მოსახლეობის მზარდი რაოდენობის პირობებში, მიწებზე მოთხოვნა, მიწაზე ზეწოლა, მიწის შიმშილი განსაკუთრებით ძლიერია, მიწებისათვის კონკურენტული ბრძოლაც მთელს ქვეყანაშია გაჩაღებული. ეს არის კონკურენტული ბრძოლა სამხედრო და ეკონომიკური ძალაუფლების საშუალებებით, მაგალითად, მე-19 საუკუნის იმ კონკურენტული ბრძოლებისაგან განსხვავებით, რომლებიც სახელმწიფო ძალისმიერი მონოპოლიის მეშვეობით მხოლოდ ეკონომიკური ძალადობის საშუალებით იმართებოდა.

გახსენება იმ კონკურენტული ბრძოლებისა და მონოპოლიათა წარმოქმნისა, რომლებიც უშუალოდ ჩვენს თვალწინ მიმდინარეობს, გამოსადეგია საზოგადოების უფრო ადრეული ფაზების მონოპოლიათა წარმოქმნის მექანიზმის გასაგებად. და როცა ამ საზოგადოებრივი განვითარების მთლიანობას თვალწინ წარმოვიდგენთ, გონივრული იქნება, უწინდელის წარმოდგენისას უფრო გვიანდელი გავიხსენოთ. ამ უკანასკნელის წინაპირობას პირველი წარმოადგენს და ორივე პროცესის ცენტრს ქმნის წარმოების მნიშვნელოვან საშუალებათა აკუმულაცია ან სულ მცირე, მათი განკარგვის ძალაუფლების აკუმულაცია მცირერიცხოვანთა ხელში— იქ მიწების აკუმულაცია, აქ კი — ფულისა.

მონოპოლიათა წარმოქმნის მექანიზმზე მოკლედ უკვე ვისაუბრეთ.[81] *თუ ერთ, დიდ, საზოგადოებრივ გაერთიანებაში* — ასე შეიძლება ეს მოკლედ შევაჯამოთ, — *ბევრ, პატარა, სოციალურ ერთეულს, რომლებიც უფრო დიდ ერთეულებს თავიანთი ინტერდეპენდენცის საშუალებით ქმნიან, დაახლოებით თანაბარი, სოციალური ძალა აქვთ და შესაბამისად, თავისუფლად შეუძლიათ — ისე რომ ხელი არ შეუშალონ უკვე არსებულ მონოპოლიებს,— კონკურენცია გაუწიონ ერთმანეთს სოციალური ძლიერების შანსებისათვის, მაშასადამე, უპირველეს ყოვლისა, სუბსისტენცისა და პროდუქციის საშუალებებისათვის, არსებობს ძალიან დიდი სარწმუნოობა იმისა, რომ ერთნი გაიმარჯვებენ, მეორენი დამარცხდებიან. ამის შედეგად, სულ უფრო ცოტა მათგან დაეუფლება უფრო და უფრო მეტ შანსებს, უფრო მეტი მათგანი გამოეთიშება კონკურენტულ ბრძოლას და პირდაპირ თუ არაპირდაპირ, დამოკიდებული აღმოჩნდება მცირერიცხოვან წარმომადგენლებზე.* ადამიანთა ქსელი, რომელიც ამ მოძრაობის პროცესშია, თუ სხვა შემაკავებელი გარემოება არ შეხვდა, უახლოვდება იმ მდგომარეობას, რომლის დროსაც ბრძოლით მოპოვებული შანსების ფაქტიური განკარგვის ძალაუფლება ერთ ხელშია მოქცეული; ის ღია შანსების მქონე სისტემიდან დახურული შანსების მქონე სისტემად გადაიქცევა.[82]

ზოგადი სქემა, რომლის მიხედვითაც ეს პროცესი მიმდინარეობს, მართლაც მარტივია: განსაზღვრულ სოციალურ სივრცეში უნდა იყოს

ადამიანთა გარკვეული რაოდენობა და შანსების გარკვეული რიცხვი, რომელიც უკმარი ან არასაკმარისია ადამიანთა მოთხოვნილებებთან მიმართებაში. თუ დავუშვებთ, რომ ამ სივრცეში ყველა ამ ადამიანთაგან ერთი მეორეს ებრძვის არსებული შანსებისათვის, მაშინ განსაკუთრებით მცირეა იმის ალბათობა, რომ ყველა ისინი უსასრულოდ დიდხანს იქნებიან ამ წონასწორობის მდგომარეობაში და რომ ამ წყვილებიდან არცერთი არ დაამარცხებს პარტნიორს. თუ საქმე ეხება თავისუფალ, ნებისმიერი მონოპოლიური ძალაუფლების გავლენისაგან განყენებულ შეჯიბრს, იმის ალბათობა, რომ ერთმანეთის წინააღმდეგ მებრძოლთაგან რომელიმე გაიმარჯვებს თავის მოწინააღმდეგეზე, განსაკუთრებით დიდია. მაგრამ იმარჯვებს რა მებრძოლთაგან რამდენიმე, მათი შანსებიც მატულობს; დამარცხებულების შანსები მცირდება; თავდაპირველად, მებრძოლთა ერთი ნაწილის ხელში თავს იყრის უფრო და მეტი შანსები; სხვა ნაწილი მათთან უშუალო შეჯიბრს გამოეთიშება; თუ დავუშვებთ, რომ გამარჯვებულთაგან ერთი თავიდან იწყებს ბრძოლას, მაშინ თამაში განმეორდება: „ისევ და ისევ იმარჯვებს ერთი ნაწილი და განმგებლობის ძალაუფლებას მოიპოვებს დამარცხებულთა შანსებზე; ადამიანთა კიდევ უფრო ნაკლები რაოდენობა უფრო მეტ შანსებს ფლობს; ადამიანთა კიდევ უფრო მეტი რაოდენობა გამორიცხულია თავისუფალი კონკურენტული ბრძოლიდან; და პროცესი მეორდება მანამ, სანამ ბოლოს ერთი ადამიანი ყველა შანსს არ დაეუფლება და სხვა ყველა მასზე დამოკიდებული არ გახდება.

სოციალურ სინამდვილეში, ცხადია, საქმე ეხება არა მხოლოდ გადაჯაჭვის მექანიზმში ჩართულ ცალკეულ ადამიანებს, არამედ საკმაოდ ხშირად მთელ საზოგადოებრივ გაერთიანებებს, მაგალითად, ტერიტორიას ან სახელმწიფოს. პროცესი, სინამდვილეში, ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ამას ეს სქემა აჩვენებს და გარდა ამისა, არსებობს უამრავი ვარიაციები. მაგალითად, ხშირად ხდება ისე, რომ უფრო სუსტები ერთიანდებიან, რათა ერთად დაამარცხონ ის ერთი ადამიანი, რომელმაც მეტისმეტად ბევრ შანსებს მოუყარა თავი საკუთარ ხელში და რომელიც მეტისმეტად გაძლიერდა. თუ ეს გამოუვათ, დამარცხებულის შანსებს ან შანსების ერთ ნაწილს თავისკენ გადაქაჩავენ. ასე და ამგვარად, გრძელდება ბრძოლა თვით მათ შორის უპირატესობის მოსაპოვებლად. ეფექტი, ძალთა თანაფარდობის გადანაცვლება, მუდამ ერთი და იგივეა. ამ გზაზეც სისტემა იმისაკენ მიდის, რომ ადრე თუ გვიან, მთელი რიგი შერჩევითი ბრძოლების შედეგად, ადამიანთა უფრო და უფრო მცირერიცხოვან ნაწილს ხელთ ჰქონდეს შანსების უფრო და უფრო მეტი რაოდენობა.

ამასთან, წონასწორობის გადანაცვლების მიმდინარეობა და ტემპი მრავალრიცხოვანთა საზიანოდ და მცირერიცხოვანთა სასარგებლოდ დიდწილადაა დამოკიდებული იმ მიმართებაზე, რომელიც შანსებზე მოთხოვნასა და შეთავაზებას შორის არსებობს.

თუ ვივარაუდებთ, რომ მოძრაობის პროცესში მთხოვნელთა რიცხვი და შანსების რაოდენობა მთლიანობაში არ იცვლება, მაშინ გადაადგილების გზით შანსებზე მოთხოვნა გაიზრდება; დამოკიდებულთა რიცხვი, დამოკიდებულების ინტენსიურობა იზრდება და იცვლება მათი ტიპი. თუ შედარებით დამოუკიდებელი, სოციალური ფუნქციების ადგილას საზოგადოებაში უფრო და უფრო მეტად, წინა პლანზე გამოდიან დამოკიდებულნი, მაგალითად თავისუფალ რაინდთა ადგილზე სასახლის კარის რაინდები და ბოლოს კარისკაცები, ან კიდევ, შედარებით დამოუკიდებელ ვაჭართა ადგილზე დამოკიდებული ვაჭრები და მოსამსახურენი, მაშინ აუცილებლად იცვლება აფექტური მოდელირებაც, ლტოლვითი სამყაროს და აზროვნების სტრუქტურა, მოკლედ, მთელი სოციოგენური ჰაბიტუსი და ადამიანთა პოზიციები. თუმცა, ეს ცვლილება არანაკლებ შეეხება მათ, ვინც მონოპოლიურ მდგომარეობას უახლოვდება, ვიდრე მათ, რომელთათვისაც ჩაკეტილია განსაზღვრული შანსები და ის შესაძლებლობები, რომ ამ შანსებისათვის თავისუფალ კონკურენციაში ჩაერთონ და რომლებიც ამის შესაბამისად, პირდაპირ თუ არაპირდაპირ დამოკიდებულებაში არიან მოქცეული.

3. ეს პროცესი არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს მისი მსვლელობისას სულ უფრო ცოტა ადამიანი ხდება „თავისუფალი" და უფრო მეტი „შებოჭილი". თუმცა, ის გარკვეულ ფაზებში გვიქმნის წარმოდგენას, რომელიც ამ აღწერას სარწმუნოს ხდის. თუ მოძრაობას მთლიანობაში განვიხილავთ, მაშინ ყოველგვარი სირთულის გარეშე შევიცნობთ და გავიგებთ, რომ უფრო მეტი და მდიდარი დიფერენცირების მქონე საზოგადოებაში, დამოკიდებულება, პროცესების განსაზღვრული ფაზიდან მოყოლებული, თავისებურად იცვლება. რაც უფრო მეტი ადამიანი ჩაერთვება დამოკიდებულებაში მონოპოლიის მექანიზმის თამაშის შედეგად, მით უფრო გაიზრდება სოციალური ძალები მონოპოლიური შანსების შენარჩუნებისა და რეგულირებისათვის, თუმცა, არა ცალკეულ დამოკიდებულ ადამიანთა ძალები, არამედ დამოკიდებულთა, როგორც მთელის შანსები მცირერიცხოვანთა ჯგუფთან ან ერთ მონოპოლისტთან მიმართებაში. ეს გაძლიერება ხდება არა მხოლოდ დამოკიდებულთა რიცხვის ზრდით, არამედ უფრო და უფრო მეტ დამოკიდებულზე იმ მცირერიცხოვანთა დამოკიდებულებით, რომლებიც მონოპოლიურ მდგომარეობას უახლოვდებიან. შეიძლება, რაღაც ფორმით, საქმე ეხებოდეს მიწას, ჯარისკაცებს ან ფულს. რაც უფრო მეტია მათგან ერთ ხელში თავმოყრილი, მით უფრო ნაკლებად კონტროლირებადი იქნება ეს ამ ინდივიდისათვის, მით უფრო მეტად იქნება ის თავისი მონოპოლიის წყალობით დამოკიდებული სხვა ადამიანებზე, თავისზე დამოკიდებულთა ქსელზე. საუბარია ცვლილებებზე, რომელთაც ხშირად საუკუნეები სჭირდება, რათა საგრძნობი გახდეს და კიდევ საუკუნეები, რათა გარკვეულ, ხანგრძლივად არსებულ ინსტიტუტებს თავისი კვალი დაატყოს; საზოგადოების

განსაკუთრებულ სტრუქტურულ კანონზომიერებებს შეუძლიათ პროცესების მსვლელობაში განუწყვეტლივ ჩართონ ხელისშემშლელი სიტუაციები; ამ პროცესის მექანიზმი და მისი მიმართულება ერთმნიშვნელოვანია. რაც უფრო მრავლისმომცველი ხდება მონოპოლისტური შანსები, რაც უფრო იზრდება ადამიანთა ქსელი და მასში შრომის დანაწილება, ადამიანებისა, რომელთაც, როგორც ფუნქციონერებს, წვლილი მიუძღვით მონოპოლიური შანსების მართვაში ან რომელთა მუშაობაზე, რომელთა ფუნქციაზე, ასე თუ ისე, დამოკიდებულია მონოპოლიის არსებობა, მით უფრო მეტად აქტუალურს ხდის მონოპოლისტთა ბატონობის მთელი ეს ველი საკუთარ ნონას და საკუთარ კანონზომიერებას. მონოპოლისტი მმართველი შეიძლება შეეგუოს მას და საკუთარ თავს დაუწესოს შეზღუდვები, რომელსაც მისი, როგორც ამგვარი, ძლიერი წარმონაქმნის ცენტრალური მმართველის ფუნქცია მოითხოვს; მას შეუძლია გასაქანი მისცეს საკუთარ თავს და თავის აფექტებსა და მისწრაფებებს უპირატესობა მიანიჭოს ყველა სხვა დანარჩენთან შედარებით; მოგვიანებით, ადრე თუ გვიან, რთული საზოგადოებრივი აპარატი, რომლიდანაც პიროვნულად აკუმულირებული შანსები ამოიზარდა, უწესრიგობაში გადადის და ცენტრალურ მმართველს, პირველად აგრძნობინებს თავის წინააღმდეგობას, თავის საკუთარ კანონზომიერებას. რაც უფრო ფართოვდება მონოპოლიური საკუთრება და რაც უფრო მეტია შრომის დანაწილება მასში, მით უფრო დარწმუნებით და აშკარად მიისწრაფვის მონოპოლისტი იმ პუნქტისაკენ, რომელშიც მონოპოლისტური მმართველი ან მმართველები დანაწილებული ფუნქციების მქონე აპარატის ცენტრალურ ფუნქციონერებად იქცევიან. ისინი, ალბათ, უფრო ძლიერები არიან, ვიდრე სხვა ფუნქციონერები, მაგრამ არანაკლებ დამოკიდებულნი და შებოჭილნი, ვიდრე სხვები. ეს ცვლილება, თითქმის, შეუმჩნევლად შეიძლება განხორციელდეს პატარ-პატარა ნაბიჯებით და ბრძოლებით ან იმის საშუალებით, რომ დამოკიდებულთა მთელი ჯგუფი თავიანთ სოციალურ ძლიერებას ძალადობით აამოქმედებს მცირერიცხოვან მონოპოლისტთა საპირისპიროდ. ასე თუ ისე, ყოველ შემთხვევაში, კერძო ინიციატივის წყალობით, შერჩევით ბრძოლებში აკუმულირებული შანსების განკარგვის ძალაუფლება იქით მიდის, რომ საკუთრების სიდიდე ოპტიმალური მომენტში მონოპოლისტ მმართველებს ხელიდან გამოგლიჯოს და დამოკიდებულთა მთლიანობას ან სულ ცოტა, დამოკიდებულთა ჯგუფის ხელში, მაგალითად, მაშინდელი მონოპოლიური ადმინისტრაციის განკარგვის ძალაუფლებაში გადაიტანოს. ინდივიდის კერძო მონოპოლია განსაზოგადოებას განიცდის; ის მთელი სოციალური ფენების მონოპოლიად, საჯარო მონოპოლიად, სახელმწიფოს ცენტრალურ ორგანოდ იქცევა. იმის განვითარების მსვლელობა, რასაც ჩვენ დღეს „სახელმწიფო ბიუჯეტს" ვუწოდებთ, ამ პროცესისათვის თვალსაჩინო მაგალითს გვთავაზობს. სახელმწიფო ბიუჯეტი ფეოდალურ

გაბატონებულ სახლთა „კერძო ბიუჯეტიდან“ ვითარდება; უფრო ზუსტად რომ ვთქვათ: თავდაპირველად არ არსებობს დაშორება იმას შორის, რასაც მოგვიანებით ერთმანეთს უპირისპირებენ, როგორც „საჯარო“ და „კერძო“ შემოსავლებს თუ გასავლებს. ცენტრალურ მმართველთა შემოსავლები, არსებითად, კერძო მამულისა თუ დომენისაგან მოდის; ამ შემოსავლებიდან დაიფარება ზუსტად ისევე სასახლის კარის შენახვის, ნადირობის, ტანსაცმლის ან მებატონის საჩუქრების ხარჯები, როგორც შედარებით მცირე ადმინისტრაციის, საჯარისო ნაწილების (თუ ისინი არსებობენ), თუ ციხე-სიმაგრეების ნაგებობათა შენახვის ხარჯები. მოგვიანებით, უფრო და უფრო მეტი მიწის ფართობი იყრის თავს ერთი საბატონო სახლის ხელში; შემოსავლების და გასავლების წარმოება, მისი მამულის ადმინისტრირება და დაცვა, ერთეული ადამიანისათვის უფრო და უფრო რთული ხდება. მაგრამ მაშინაც კი, როცა მებატონის სახლის უშუალო საკუთრება, მისი დომენის დოვლათი უკვე დიდი ხანია აღარ წარმოადგენს მებატონის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს, თუ საზოგადოების მზარდი კომერციალიზებით ფულადი შენატანები მთელი ქვეყნიდან ცენტრალური მმართველის „საცავებში“ მიედინება და მიწებზე მონოპოლიიდან ძალაუფლების მონოპოლიასთან ერთად, ფულადი შენატანებისა და გადასახადების მონოპოლია იქმნება, მაშინაც კი, ცენტრალური მმართველი, დასაწყისში, კვლავაც განაგებს მას, როგორც თავისი სახლის კერძო შემოსავლებს. მას ჯერ კიდევ შეუძლია გადაწყვიტოს, რამდენი უნდა გაიცეს ამ შემოსავლებიდან სასახლეთა მშენებლობაზე, საჩუქრების დარიგებაზე, სამზარეულოს და მთელი მისი შინა მეურნეობის შენახვაზე და რამდენი — საჯარისო ნაწილების შენახვასა და სახელისუფლო ადმინისტრაციის ხელფასებზე. მონოპოლიზებული შანსების წყალობით შემოსავლების განაწილებას ის თვითნებურად ახდენს. თუ კარგად დავაკვირდებით, შევნიშნავთ, როგორ იზღუდება უფრო და უფრო მეტად მონოპოლისტი მესაკუთრის გადაწყვეტილების სამოქმედო სივრცე ადამიანთა უზარმაზარი ქსელით. იზრდება მისი დამოკიდებულება ადმინისტრაციულ შტაბსა და მათ გავლენაზე; მონოპოლიური აპარატის ფიქსირებული ხარჯები მუდმივად მატულობს; და ამ განვითარების ბოლოში დგას აბსოლუტური მმართველი, თითქოსდა, შეუზღუდავი განმგებლობის ძალაუფლებით, უკვე განსაკუთრებით ძლიერი ზენოლის ქვეშ, იმ კანონთან და საზოგადოებასთან ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში, რომელსაც ის განაგებს. ეს შეუზღუდაობა არის არა უბრალოდ შედეგი მისი მონოპოლისტური განმგებლობისა შანსებზე, არამედ საზოგადოების აგებულების კანონზომიერების თავისებურება ამ ფაზაში, რომელზედაც კიდევ გვექნება საუბარი. მაგრამ, ყველა შემთხვევაში, ფრანგული მონარქიის ბიუჯეტის დალაგებაში ჯერ კიდევ არ იყო დაყოფა მეფის „კერძო“ და „საჯარო“ დანახარჯებად. კარგადაა ცნობილი, როგორ გამოიხატება შემდგომში

ხელისუფლების მონოპოლიის განსაზოგადოებრიობა ბიუჯეტში. ცენტრალური ძალაუფლების მქონე, რა ტიტულსაც არ უნდა ატარებდეს იგი, როგორც ყველა სხვა ფუნქციონერი, ბიუჯეტიდან იღებს გარკვეულ თანხას; ამ თანხიდან ფარავს ცენტრალური მმართველი, მეფე თუ პრეზიდენტი თავისი სახლისა და სასახლის კარის შენახვის ხარჯებს; სახსრები, რომლებიც აუცილებელია ქვეყნის მმართველობის ორგანიზაციისათვის, მკაცრადაა გამიჯნული იმ ხარჯებისაგან, რომლებსაც ცალკეული პიროვნება განევს თავისი საკუთარი მიზნებისათვის; კერძო ბატონობის მონოპოლიიდან საჯარო ხელისუფლების მონოპოლია იქმნება, მაშინაც კი, როცა ერთეულ ადამიანს, როგორც ფუნქციონერს ხელში უჭირავს საზოგადოება.

და იმავე სურათს მივიღებთ, თუ მთლიანობაში მივადევნებთ თვალს სახელისუფლო აპარატის წარმოქმნას. ის მეფისა და თავადების „კერძო" სასახლის კარისა და დომენის ადმინისტრაციებიდან ამოიზრდება. სახელმწიფო ხელისუფლების აპარატის ყველა ორგანო თავადური შინამეურნეობის ფუნქციათა დიფერენცირებიდან წარმოიშობა, ზოგჯერ კი ლოკალური თვითმმართველობის ორგანოთა ასიმილაციის შედეგად. მაშინ როცა ეს ხელისუფლების აპარატი სახელმწიფო ან საჯარო ხდება, მისი ცენტრალური მმართველის ბიუჯეტი სხვებთან ერთად, უკეთეს შემთხვევაში, ერთ-ერთ ორგანოს ქმნის მასში და ბოლოს, ამასაც არა.

ეს არის ერთ-ერთი მკვეთრად გამოხატული მაგალითი იმისა, როგორ გადაიქცევა კერძო საკუთრება საჯარო ფუნქციად და როგორ ხდება საბოლოოდ ინდივიდის მონოპოლიის განსაზოგადოებრიობა, მონოპოლიისა, რომელიც წარმატებული კონკურენტული ან შერჩევითი ბრძოლების შედეგად, რამდენიმე თაობის მანძილზე შანსების აკუმულაციის გზით ყალიბდება. აქ ძალიან შორს წაგვიყვანდა იმის დაწვრილებით ჩვენება, რას ნიშნავს სინამდვილეში ის, რომ მონოპოლიურ შანსებზე ინდივიდის, თითქოსდა „კერძო" გამგებლობის ძალაუფლებიდან, „საჯარო", „სახელმწიფო" ან „საზოგადოებრივი" გამგებლობის ძალაუფლებას ვიღებთ. როგორც ითქვა, ყველა ამ გამონათქვამს, სრულყოფილი დატვირთვა მხოლოდ ფუნქციათა შორს წასული დანაწილების მქონე საზოგადოებასთან მიმართებაში აქვს; მხოლოდ ასეთ საზოგადოებაშია ყოველი ინდივიდის საქმიანობა და ფუნქცია დამოკიდებული, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ყველა სხვაზე. აქ პირველად, ერთმანეთში გადაწნული აქციები და ინტერესები იმდენად მნიშვნელოვანი ხდება, რომ მცირერიცხოვანი გაბატონებული ადამიანები, რომლებიც მონოპოლიურად განაგებენ უზარმაზარ შანსებს, წინ ვერ აღუდგებიან მის ზეწოლას და ძალას.

სოციალურ პროცესებს, მონოპოლიური მექანიზმის აზრით, ადგილი აქვს ბევრ საზოგადოებაში, მათ შორის იმ საზოგადოებაშიც, რომელსაც შედარებით ნაკლები შრომის დანაწილება და კავშირები

ახასიათებს. მათშიც ყოველი მონოპოლია აკუმულაციის გარკვეული დონიდან იქით ისწრაფვის, რომ გაუსხლტეს ინდივიდის განმგებლობის ძალაუფლებას და გადავიდეს მთელი სოციალური ჯგუფების განმგებლობაში, ხშირად კი, უპირველესად, ადრინდელი ხელისუფლების ფუნქციონერთა, მონოპოლისტების პირველ რიგის მსახურთა განკარგულებაში. ფეოდალიზების პროცესი ამის ერთ-ერთი მაგალითია. ზემოთ ნაჩვენები იქნა, როგორ გამოეცლებათ ხელიდან ამ პროცესთა მსვლელობისას მონოპოლისტ მმართველებს შედარებით დიდი მიწის ფართობები და ძალიან დიდი სამხედრო ძლიერება და ცალკეულ ტალღებად, ჯერ მისი ყოფილი ფუნქციონირების ან მათ მემკვიდრეთა განმგებლობაში, შემდეგ კი მთელი მეომართა ფენის იერარქიულ ხელისუფლებაში გადადის. სოციალური ფუნქციების ნაკლები ინტერდეპენდენტის მქონე საზოგადოებაში ამ განსაზოგადოებრიობის ბიძგს აუცილებლად ერთგვარი „ანარქიისაკენ", მონოპოლიის მეტ-ნაკლებად სრული დამხობისაკენ ან ინდივიდის ნაცვლად, ოლიგარქიის მიერ მის გათავისებამდე მივყავდით. მოგვიანებით, ასეთ ბიძგებს, ნაცვლად მრავალრიცხოვანთა სასარგებლოდ მონოპოლისტური შანსების განაწილებისა, მხოლოდ მათზე სხვაგვარი განმგებლობისაკენ მივყავართ; მხოლოდ ყველა ფუნქციის მზარდი სოციალური ინტერდეპენდენტის პროცესში ხდება შესაძლებელი მონოპოლიათა გათავისუფლება მარტოოდენ რამდენიმე ადამიანის თვითნებური სარგებლობისაგან, ისე რომ არ გააუქმონ ისინი: ყოველთვის, სადაც ფუნქციათა დანაწილება ძლიერია და ზრდის პროცესშია, მცირერიცხოვანთა ჯგუფი, რომლებსაც ისევ და ისევ, გამუდმებით აქვთ პრეტენზია მონოპოლისტურ შანსებზე, თავიანთი დამოკიდებულების გამო ყველა სხვათა სამსახურზე, მაშასადამე, მათზე ფუნქციონალური დამოკიდებულების შედეგად, ადრე თუ გვიან, სიძნელეების წინაშე დგებიან და წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებიან მრავალრიცხოვანთა ჯგუფებთან მიმართებაში. უფრო და უფრო მდიდარი ფუნქციური დანაწილების მქონე ადამიანთა ქსელს, როგორც მთლიანს, საკუთარი კანონი აქვს, რომელიც ყოველთვის უფრო ძლიერ წინააღმდეგობას უწევს შანსების ყოველგვარ კერძო მონოპოლიზებას. მონოპოლიის ტენდენცია, მაგალითად, ძალადობისა და საგადასახადო მონოპოლიისა, „კერძოდან" „საჯარო" ან „სახელმწიფო" მონოპოლიად ქცევისაკენ, სხვა არაფერია, თუ არა სოციალური ინტერდეპენდენტის ფუნქცია. ადამიანთა ძლიერი და მზარდი ფუნქციური დანაწილების ქსელი საკუთარი ზეწოლის საშუალებით, რომელიც მას, როგორც მთელს ახასიათებს, მიისწრაფვის წონასწორობის მდგომარეობისაკენ, რომლის დროსაც შეუძლებელი გახდება მონოპოლიური შანსების უპირატესობათა და მონაპოვართა გამოყენება ცალკეულთა სასარგებლოდ. თუ დღეს ჩვენ თავისთავად ცხადად გვეჩვენება, რომ გარკვეული მონოპოლიები, უპირველესად კი ხელისუფლების გადამწყვეტი მონოპოლია, „სახელმწიფო" ან „საჯაროა", თუმცა,

ადრე ისინი ასეთნი არ ყოფილან, ეს მაინც აღწერს ერთ ნაბიჯს მინიშნებული მიმართულებით. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, რომ მსგავსი პროცესების კურსში, საზოგადოების განსაკუთრებული პირობების გავლენით, მუდმივად ჩაერთოს შეკავებანი; ასეთ შეკავებათა ერთი მაგალითი ზემოთ ნაჩვენები იქნა ძველი, გერმანულ-რომაული იმპერიის განვითარების მაგალითზე; ყველგან, სადაც საზოგადოების ქსელი ოპტიმალურ ზომას აჭარბებს, მსგავს მოვლენებს აქვს ადგილი. მაგრამ ადამიანთა ამგვარი ქსელის მისნრაფება სრულიად განსაზღვრული სტრუქტურისაკენ, რომლის დროსაც მონოპოლია ადამიანთა მთელი გაერთიანების სასარგებლოდ და აზრით იქნება მართული, მაინც საგრძნობია, რა ფაქტორებიც არ უნდა ჩაერთოს საწინააღმდეგო მექანიზმის სახით და როგორც არ უნდა ყოვნდებოდეს პროცესი მუდმივად განმეორებად კონფლიქტურ სიტუაციაში.

მაშასადამე, მონოპოლიათა ჩამოყალიბების პროცესს, თუ ზოგადად განვიხილავთ, სრულიად გარკვეული სტრუქტურა აქვს. ამ პროცესში თავისუფალ კონკურენტულ ბრძოლას თავისი განსაზღვრული ადგილი და თავისი დადებითი ფუნქცია აკისრია: ეს არის შედარებით მრავალრიცხოვანთა ბრძოლა და შეჯიბრი შანსებისათვის, რომელზედაც ჯერ კიდევ არ არსებობს ერთი ან რამდენიმე ადამიანის მონოპოლია. მონოპოლიათა ყოველ, სოციალურ წარმონაქმნს წინ უძღვის ასეთი თავისუფალი შერჩევითი ბრძოლა; ყოველი თავისუფალი, სოციალური შერჩევითი და კონკურენტული ბრძოლა მონოპოლიათა ჩამოყალიბებისაკენ მიდის.

თავისუფალი კონკურენციის ამ ფაზის საპირისპიროდ, მონოპოლიათა ჩამოყალიბება, ერთი მხრივ, გულისხმობს გარკვეულ შანსებთან პირდაპირ მისასვლელს უფრო და უფრო ბევრი ადამიანისათვის, მეორე მხრივ, კი ის გულისხმობს ამ შანსების განკარგვის ძალაუფლების მუდმივად მზარდ ცენტრალიზაციას. ამ ცენტრალიზაციის საშუალებით ეს შანსები მრავალრიცხოვანთა უშუალო ბრძოლას გამოეცლება; ოპტიმალურ შემთხვევაში, ისინი ცალკეული საზოგადოებრივი გაერთიანების განკარგულებაშია. მაგრამ ამ მონოპოლისტს, არასოდეს შესწევს იმის ძალა, რომ თავისი მონოპოლიის მონაპოვარი მხოლოდ საკუთარი თავისათვის გამოიყენოს. ამ შესაძლებლობას ის განსაკუთრებით მოკლებულია იმგვარ საზოგადოებაში, სადაც ფუნქციათა მეტ დანაწილებას აქვს ადგილი; მას შეუძლია, უპირველესად, თუ ამის სოციალური ძალა აქვს, მონოპოლიური მიღწევების უზარმაზარი ნაწილი თავისთვის დაიტოვოს და სამსახური სასიცოცხლო მინიმუმით აანაზღაუროს. ყოველ შემთხვევაში, მან, რამდენადაც სხვათა სამსახურზე და ფუნქციებზეა დამოკიდებული, შანსების დიდი ნაწილი, რომელსაც ის ფლობს, სხვებს უნდა გაუნაწილოს და ამასთან, მით უფრო დიდი ნანილი, რაც უფრო დიდია აკუმულირებული საკუთრება და მით უფრო დიდი ნაწილი, რაც მეტადაა იგი დამოკიდებული სხვებზე და

რაც უფრო მეტია ამ სხვათა სოციალური ძალა. მაშასადამე, ამ შანსების გასანაწილებლად ახალი კონკურენტული ბრძოლა იწყება მათ შორის, რომლებიც ასეთ შანსებზე არიან დამოკიდებულნი, მაშინ როცა წინა ფაზაში კონკურენტული ბრძოლა „თავისუფალი" იყო, კერძოდ, მხოლოდ იმაზე დამოკიდებული, თუ ვინ ჩანდა დროის განსაზღვრულ მონაკვეთში უფრო ძლიერი ან უფრო სუსტი. ახლა ის იმაზეცაა დამოკიდებული, თუ რა მიზნისათვის და რა ფუნქციისათვის სჭირდება მონოპოლისტს ერთეული ადამიანი, თავისი ხელისუფლების სფეროდან გამომდინარე. თავისუფალი კონკურენტული ბრძოლის ადგილზე გამოდის ერთი ცენტრიდან ადამიანების მიერ მართული ან მართვადი კონკურენტული ბრძოლა; და თვისებები, რომლებიც ამ შეზღუდულ კონკურენტულ ბრძოლაში წარმატების წინაპირობაა, სელექცია, რომელსაც ის გაატარებს, ადამიანთა ტიპები, რომელთაც ის წარმოშობს, ძალზე განსხვავდება კონკურენტული ბრძოლის წინამდებარე ფაზისაგან.

განსხვავება თავისუფალ ფეოდალ არისტოკრატთა და სასახლის კარის არისტოკრატთა შორის ამის მაგალითს წარმოადგენს. იქ ცალკეული სახლის სოციალური ძლიერება, ფუნქცია მისი ეკონომიკური და საბრძოლო აღჭურვილობისა, ისევე როგორც ერთეულის ფიზიკური ძალა და მოხერხებულობა, გადამწყვეტია შანსების განაწილების თვალსაზრისით. და ძალადობის პირდაპირი გამოყენება შანსებისათვის ამ თავისუფალ შეჯიბრში აუცილებელი საბრძოლო საშუალებაა. საბოლოოდ აქ გადაწყდება მათი შანსების განაწილება, ვისი სახლიც ან ვისი წინაპრებიც გამარჯვებულნი გამოვიდნენ ძალაუფლებისათვის ამ ბრძოლიდან და ვინც აქედან მოყოლებული, ძალაუფლების მონოპოლიას ფლობს; ამ მონოპოლიის წყალობით, არისტოკრატთა შანსებისათვის კონკურენტული ბრძოლიდან, შანსებისათვის, რომელიც მთავარმა უნდა გაანაწილოს, შემდგომში გამოთიშულია ძალადობის პირდაპირი გამოყენება; შეჯიბრის საშუალებები დაიხვენა და სუბლიმაცია განიცადა; აფექტთა გამოხატვის შეკავება, რომელსაც ინდივიდს მონოპოლისტ მმართველზე თავისი დამოკიდებულება დაუწესებს, გაიზარდა; და ერთეული ადამიანი მერყეობს ერთი მხრივ, იძულებათა წინააღმდეგ აჯანყებას, (რომელთაც მისი არსებობა ექვემდებარება), მისი დამოკიდებულებისა და შებოჭილობის სიძულვილს, თავისუფალთა შეუბოჭაობის ნოსტალგიას, რაინდულ შეჯიბრს და მეორე მხრივ, კულტივირებული თვითფლობის სიამაყეს ან ახალი სიამოვნების შესაძლებლობის სიხარულს შორის, შესაძლებლობისა, რომელთაც ამგვარი თვითფლობა გაუხსნის; მოკლედ რომ ვთქვათ, ეს არის ბიძგი ცივილიზაციის გზაზე.

შემდეგი ნაბიჯია ძალისმიერი და საგადასახადო მონოპოლიის დაუფლება ბურჟუაზიის მიერ, ყველა იმ სახელისუფლო მონოპოლიასთან ერთად, რომლებიც მათზეა დაფუძნებული. ამ ეპოქაში ეს არის ფენა, რომელიც როგორც მთელი, განსაზღვრულ ეკონომიკურ შანსებს ფლობს არაორგანიზებული მონოპოლიის სახით; მაგრამ ეს

შანსები მის წევრებს შორის დასაწყისში ისე თანაბრად იყო განაწილებული, რომ ბევრ მათგანს თავისუფლად შეეძლო ერთმანეთისათვის კონკურენციის გაწევა. რისთვისაც ეს ფენა თავადებს ებრძვის და რასაც ის საბოლოოდ აღწევს, არ არის მმართველობის მონოპოლიის დანგრევა; ის არ მიისწრაფვის იმისაკენ, რომ გადასახადებისა და სამხედრო-პოლიციური ძალადობის ეს მონოპოლიზებული შანსები ისევ თავის ცალკეულ წევრთა შორის დაანაწილოს; მის წევრებს არ სურთ გახდნენ მემამულეები, რომელთაგან ყოველი თავისთვის განაგებს საომარ ძალას და საკუთარ შემოსავლებს. გადასახადების აკრეფვის და ძალადობის გამოყენების მონოპოლიის არსებობა მათი საკუთარი, სოციალური ექსისტენციის საფუძველია; ეს არის თავისუფალი კონკურენტული ბრძოლის შეზღუდვის წინაპირობა, ბრძოლისა, რომელსაც ისინი ერთმანეთთან აწარმოებენ გარკვეული, ეკონომიკური შანსებისათვის. ეს ბრძოლა ეკონომიკური ძალადობის საშუალებებზე დაიყვანება.

რისკენაც ხელისუფლების მონოპოლიისათვის ბრძოლაში ისინი ისწრაფვიან და რასაც საბოლოოდ აღწევენ, როგორც ითქვა, არის არა არსებული მონოპოლიის დანაწილება, არამედ მისი სიმძიმეებისა და შემოსავლების სხვაგვარი განაწილება. ის რომ, ნაცვლად აბსოლუტური მონარქისა ამ მონოპოლიის განმგებლობა მთელს ფენაზეა დამოკიდებული, ერთი ნაბიჯია სწორედ ახლა აღწერილი მიმართულებით. ეს არის ნაბიჯი იმ გზაზე, რომელზედაც შანსები, რომელთაც ეს მონოპოლია იძლევა, უფრო და უფრო ნაკლებად ნაწილდება ერთეული ადამიანის პიროვნული გამოსადეგობისა და პიროვნული ინტერესების მიხედვით. ისინი ნაწილდება არაპიროვნული და ზუსტი გეგმის მიხედვით, ინტერდეპენდენტურად დაკავშირებულთა და ბოლოს, მთელი კაცობრიობის ინტერდეპენდენტური ქსელის ინტერესებიდან გამომდინარე.

სხვა სიტყვებით, ის შანსები, რომელიც უწინ ინდივიდს საომარი თუ ეკონომიკური ძალადობით უნდა მოეპოვებინა ცენტრალიზაციისა და მონოპოლიზების საშუალებით, შეიძლება, დაგეგმვას დაექვემდებაროს და დაუფლებადი გახდეს. მონოპოლიისათვის ბრძოლა განვითარების გარკვეული წერტილიდან მიმართულია არა მის განადგურებაზე, არამედ მისი შემოსავლების ფლობაზე, გეგმაზე, რომლითაც ის აიგო და რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს მისი სიმძიმისა და გამოსადეგობის აღდგენა, ერთი სიტყვით, მიმართულია განაწილების შიფრზე. თავად განაწილება, მონოპოლიური მმართველისა და მონოპოლიური ადმინისტრაციის ამოცანა, ამ ბრძოლაში შედარებით კერძო ფუნქციიდან საჯაროდ გარდაიქმნება; მისი დამოკიდებულება ადამიანთა ინტერდეპენდენტური ქსელის ყველა ფუნქციაზე ორგანიზაციურად სულ უფრო ხშირად გამოვლინდება. ამ ქსელში ცენტრალური ფუნქციონერები უკვე ისევე არიან დამოკიდებულნი, როგორც ყველა სხვა დანარჩენი. მათი კონტროლისათვის მყარი ინსტიტუტები იქმნება ყველა ამ

მონოპოლიურ აპარატზე დამოკიდებულ ადამიანთა მეტ-ნაკლებად დიდი ნაწილის მიერ; და მონოპოლიის ფლობა, მასში გადამწყვეტი პოზიციის დაკავება, გადაწყდება არა ერთჯერადი, მონოპოლიისაგან „თავისუფალი" კონკურენტული ბრძოლით, არამედ გეგმაზომიერად განმეორებადი შესარჩევი ბრძოლებით, შეიარაღებული ძალადობის გარეშე, მონოპოლიური აპარატის მიერ დარეგულირებული, მონოპოლიურად „შეკრული" კონკურენტული ბრძოლებით. ერთი სიტყვით, ყალიბდება ის, რასაც „დემოკრატიულ რეჟიმად" ვახასიათებთ. ამგვარი რეჟიმი არ გამორიცხავს მონოპოლიათა არსებობას და მისი არსებობა არ არის დამოკიდებული (როგორც დღეს ეს ხშირად ცნობიერებას მარტოოდენ ჩვენი დროის განსაზღვრული, ეკონომიკური, მონოპოლიური პროცესების ახლოდან შეხედვისას წარმოუდგება), თავისუფალი კონკურენციის სამოქმედო სივრცის არსებობაზე. ამგვარი რეჟიმის წინაპირობას წარმოადგენს მაღალორგანიზებულ მონოპოლიათა არსებობა. თუმცა, ცხადია, ამ რეჟიმს მხოლოდ გარკვეულ გარემოებებში, სოციალური ველის ძალზე სპეციფიკური სტრუქტურის არსებობის შემთხვევაში და მხოლოდ მონოპოლიათა ჩამოყალიბების პროგრესულ ფაზაში, შეუძლია წარმოქმნა ან მით უფრო ხანგრძლივად ფუნქციონირება.

მაშასადამე, მონოპოლიური მექანიზმის ფუნქციონირების პროცესში შეიძლება გავარჩიოთ ორი დიდი ფაზა, რამდენადაც ჩვენი გამოცდილების დონე ამის განსჯის საშუალებას გვაძლევს: პირველი, თავისუფალი კონკურენციის ან შესარჩევი ბრძოლის ფაზა, უფრო და უფრო მცირერიცხოვანთა და საბოლოოდ, ერთ ხელში შანსების აკუმულაციის ტენდენციით — მონოპოლიათა წარმოქმნის ფაზა და მეორე ფაზა, რომელშიც ცენტრისკენული და მონოპოლისტური შანსების განმგებლობა იქეთაა მიმართული, რომ ერთი ადამიანის ხელიდან სულ უფრო მრავალრიცხოვანთა ხელში გადავიდეს და ბოლოს, ინტერდეპენდენტური ადამიანთა ქსელის, როგორც მთელის, ფუნქციად იქცეს, მაშასადამე, ის ფაზა, რომელშიც შედარებით „კერძო" მონოპოლია „საჯარო" მონოპოლია ხდება.

მეორე ფაზის საწყისები გვხვდება იმ საზოგადოებებშიც, რომელთაც ფუნქციათა ნაკლები დანაწილება აქვთ. მაგრამ თავის სრულ გამოხატულებას, ცხადია, მხოლოდ ძალზე მდიდარი და თანაც, მზარდი ფუნქციური დანაწილების საზოგადოებაში შეიძლება მიაღწიოს.

მთელი მოძრაობა, მართლაც, ერთ მარტივ ფორმულამდე შეიძლება დავიყვანოთ. ის გამოდის სიტუაციიდან, რომელშიც მთელი ერთი ფენა არაორგანიზებულ მონოპოლიურ შანსებს ფლობს და რომელშიც შესაბამისად, მონოპოლიური შანსების განაწილება ამ ფენის წევრებს შორის არსებითად, თავისუფალი ბრძოლის და აშკარა ძალადობის გზით გადაწყდება; ის მიილტვის სიტუაციისაკენ, რომელშიც ერთი ფენის მიერ მონოპოლიური შანსების გამგებლობა — და შემდგომ ამ შანსებზე დამოკიდებულ ყველა ადამიანზე, როგორც ერთ ინტერდეპენდენტურ მთელზე გამგებლობა, — ცენტრალიზებულია

და მაკონტროლებელი ინსტიტუტების მიერაა დაზღვეული. მასში მონოპოლიურ მონაპოვართა განაწილება გეგმის მიხედვით ხორციელდება, რომელიც ორიენტირებულია არა ერთეულთა ინტერესებზე, არამედ თვით შრომის დანაწილების პროცესის ცირკულაციაზე, ფუნქციური დანაწილებით ერთმანეთთან დაკავშირებული ყველა ადამიანის ოპტიმალურ თანამშრომლობაზე.

ეს, რაც შეიძლებოდა გვეთქვა კონკურენციისა და მონოპოლიის მექანიზმის შესახებ ზოგადად. ეს ზოგადი სქემა მთელ თავის მნიშვნელობას შეიძენს მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებთან მიმართებაში; მათში უნდა გამოვლინდეს ის.

ჩვეულებრივ, როცა დღეს „თავისუფალ კონკურენციასა" და „მონოპოლიათა ჩამოყალიბებაზე" საუბრობენ, თვალწინ დაუდგებათ, უპირველეს ყოვლისა, თანამედროვეობის ფაქტები; პირველ რიგში, ფიქრობენ „თავისუფალ კონკურენტულ ბრძოლაზე", „ეკონომიკურ" შანსებზე, რომელთაც ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფები ეკონომიკური ძალადობით განსაზღვრული თამაშის წესების ფარგლებში მოაქცევენ, ფიქრობენ ამ პროცესში ინდივიდის მიერ ეკონომიკურ შანსებზე გამგებლობის თანდათანობით ზრდაზე, ამასთან, სხვათა ეკონომიკური ექსისტენციის განადგურების, დაქვემდებარების ან შეზღუდვის პირობებში.

მაგრამ ჩვენი დროის ამ ეკონომიკურ კონკურენტულ ბრძოლებს არა მხოლოდ ახლა მივყავართ ნამდვილად „მონოპოლიისაგან თავისუფალ" კონკურენტთა წრის მუდმივი შევიწროებისა და მონოპოლიის ტიპის წარმონაქმნის ნელი ფორმირებისაკენ. მათ უკვე წინაპირობად აქვთ (შეძლებისდაგვარად ამაზე უკვე მივუთითეთ), განსაზღვრული, მონოპოლიური წარმონაქმნების უფრო შორს წასული, გამყარებული არსებობა; ფიზიკური ძალადობისა და საგადასახადო მონოპოლიური ორგანიზაციების არსებობის გარეშე, უპირველეს ყოვლისა, ნაციონალურად შემოსაზღვრული რადიუსით, „ეკონომიკური" შანსებისათვის ამ ბრძოლის შეზღუდვა „ეკონომიკური" ძალადობისა და მისი საფუძვლად მდებარე თამაშის წესების დაცვით, ცალკეულ სახელმწიფოთა ფარგლებშიც კი დიდი ხნის მანძილზე არ იქნებოდა შესაძლებელი. ახალი დროის ეკონომიკური ბრძოლები და მონოპოლიათა ჩამოყალიბება, სხვა სიტყვებით, განსაზღვრულ ადგილს იჭერს ფართო, ისტორიული მიმართების ფარგლებში. და მხოლოდ ამ უფრო ფართო ურთიერთმიმართების შეხედვისას იძენს მთელ დატვირთვას ის, რაც ჩვენ კონკურენტული და მონოპოლიური მექანიზმების შესახებ ზოგადად ვთქვით; მხოლოდ მაშინ, როცა თვალწინ წარმოვიდგენთ ამ უფრო მყარი „სახელმწიფო" მონოპოლიური ინსტიტუტების ჩამოყალიბების პროცესს, რომლებიც ძლიერი ექსპანსიისა და დიფერენცირების ფაზაში „ეკონომიკურ სფეროს" თავისუფალი, ინდივიდუალური კონკურენციისა და ამასთან ერთად, კერძო, მონოპოლიური წარმონაქმნებისათვის ათავისუფლებენ, მაშინ პირველად, დამკვირვებლის თვალისათვის ცალკეული

ისტორიული ფაქტების გროვაში უფრო მკვეთრად წინა პლანზე გამოდის მექანიზმების თამაში, წესრიგი, სტრუქტურა, ასეთი მონოპოლიური წარმონაქმნების კანონზომიერება.

როგორ მოხდა „სახელმწიფო" მონოპოლიური ორგანიზაციების ჩამოყალიბება? როგორ გამოიყურება კონკურენტული ბრძოლები, რომელთაც მათკენ მივყავდით?

აქ საკმარისი უნდა იყოს, შემდგომშიც მივადევნოთ თვალი ამ პროცესებს ქვეყნის ისტორიის მანძილზე, ქვეყნისა, რომელშიც ისინი ყველაზე სწორხაზოვნად ვითარდებოდა და რომელიც ამ მიმართებით ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, ევროპისათვის მოდელების დამდგენ ხელისუფლებად იქცა, კერძოდ საფრანგეთის ისტორიაში. არ უნდა შევუშინდეთ იმ სირთულეს, რომ მთელ რიგ წვრილმანებს ჩავუღრმევდეთ; სხვაგვარად შეუძლებელია პროცესების ზოგადი სქემა გამოცდილებით შეივსოს, რომლის გარეშე ის ცარიელია, ისევე როგორც გამოცდილების სისავსე ქაოტურია იმ ცნობიერებისათვის, რომელიც წესრიგს და სტრუქტურებს მასში ვერ ხედავს.

ადრეული კონკურენტული ბრძოლები იმპერიის საზღვრებში

1. ის, რომ ყოფილ დასავლეთ-ფრანკული მხარის ფარგლებში, ადრე თუ გვიან, ჰეგემონია და ბოლოს, მონოპოლიური მდგომარეობაც მოქიშპე მეომართა სახლებიდან ერთ-ერთმა მოიპოვა და რომ ამგვარად ბევრი, შედარებით მცირე, ფეოდალური ტერიტორიული სამფლობელო უფრო დიდ სახელისუფლო ერთეულად გაერთიანდა, მონოპოლიის მექანიზმის კანონზომიერებათა შესაბამისად, ალბათობის მაღალ ხარისხს გულისხმობდა.

ის, რომ სწორედ განსაზღვრული, კაპეტინგების სახლი გამარჯვებული გამოვიდა შესარჩევი ბრძოლების გრძელი რიგიდან და ამით მონოპოლიური მექანიზმის ეგზეკუტორად იქცა, თავდაპირველად ნაკლებ სარწმუნო ან ცხადი იყო, თუნდაც ადვილი ყოფილიყო ფაქტორთა მთელი რიგის გამოკვეთა, რომლებიც ხელს უწყობდა ამ სახლის აღზევებას სხვა კონკურენტულ სახლებთან მიმართებაში. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ასწლიანი ბრძოლის შემდეგ გადაწყდა საბოლოოდ, კაპეტინების სახლის შთამომავლები იქნებოდნენ ქმნადობის პროცესში მყოფი სახელმწიფოს მონოპოლიათა შემქმნელები და ცენტრალური მმართველები თუ სხვა სახლის მემკვიდრენი.

არსებითია ის, რომ თვალთახედვის არედან არ დავკარგოთ განსხვავება კითხვის დასმის ამ ორ ვარიანტს შორის, მონოპოლიისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების ზოგად პრობლემასა და იმ სპეციალურ კითხვას შორის თუ რატომ მოიპოვა და შეინარჩუნა მეომართა სწორედ ამ სახლმა ჰეგემონია? უფრო დაწვრილებით

როგორც ერთი, ისე მეორე კითხვის შესახებ აქ იყო და არის საუბარი.

ზემოთ მოხაზული იქნა მონოპოლიათა ჩამოყალიბების პირველი ბიძგი, კერძოდ, საკუთრების ურთიერთობათა ძლიერი ნიველირების შემდეგ, რომელიც მე-10 და თვით მე-11 საუკუნემდეც კი გაგრძელდა; ეს არის მონოპოლიათა შექმნა გარკვეული ტერიტორიის ფარგლებში. ამ პატარა ოლქების შიგნით თამაშდება პირველი შესარჩევი ბრძოლები და პირველად მათში ხდება წონასწორობის ცვლა ერთეულთა და ბოლოს, ერთი ადამიანის სასარგებლოდ. ჯერ კიდევ *ერთი* სახლი, ერთი ოჯახი წარმოადგენს სოციალურ ერთეულს, რომელიც წარმატებას აღწევს და არა ინდივიდი. ერთი სახლი მოიპოვებს იმდენ მიწას, რომ სხვებს აღარ შეუძლიათ გაეჯიბრონ მას საბრძოლო და ეკონომიკურ ძლიერებაში. სანამ ჯერ კიდევ არსებობს შესაძლებლობა მასთან შედარებისა, ფეოდალური ურთიერთობაც მეტ-ნაკლებად ნომინალური ურთიერთობაა. სოციალური ძალების გადანაცვლებით ის ახალ რეალობას შეიძენს. წარმოიქმნება დამოკიდებულების ახალი ურთიერთობები, მიუხედავად იმისა, რომ მეომართა ბევრი ოჯახის დამოკიდებულებას ერთ ადამიანზე, რომელიც ფაქტიურად ტერიტორიის უძლიერეს სუბიექტად იქცა, ჩამოყალიბებული ცენტრალური აპარატის არარსებობისას, არც ამოუწურავი ძალა აქვს და არც ის ხასიათი, რომელსაც ის შემდგომ აბსოლუტისტური რეჟიმის ფარგლებში შეიძენს.

იმ სიმკაცრისათვის, რომლითაც ეს მონოპოლიური მექანიზმი მუშაობს, მახასიათებელია ის, რომ ანალოგიური პროცესები დაახლოებით ერთსა და იმავე დროს თამაშდება დასავლეთ-ფრანკული მხარის ყველა ადგილას. ლუი VI, ილ დე ფრანსის ჰერცოგი და წოდებით ამ სამთავროს მეფე, როგორც ითქვა, მონოპოლიის ჩამოყალიბების მექანიზმის ამ საფეხურის მხოლოდ ერთი წარმომადგენელია, სხვათა გვერდით.

2. დაახლოებით 1032 წლისათვის, თუ საფრანგეთის რუკას განვიხილავთ, შეგვექმნება ნათელი შთაბეჭდილება მხარის პოლიტიკურ დაყოფაზე პატარა და დიდ ტერიტორიულ სამფლობელოთა რიგებად.[83] რაც თვალწინ წარმოგვიდგება, ცხადია არ არის საფრანგეთი, რომელსაც ჩვენ ვიცნობთ. ეს ქმნადობის პროცესში მყოფი საფრანგეთი, ყოფილი დასავლეთ-ფრანკული მხარე, სამხრეთ აღმოსავლეთით რონითაა შემოსაზღვრული. არლი და ლიონი მის საზღვრებს გარეთ მდებარეობს, ბურგუნდიის სამეფოში; მის გარეთაა ჩრდილოეთით დღევანდელი ტულის, ბარ ლე დაკის და ვერდანის მიდამოებიც, რომლებიც აახენის, მოგვიანებით ანტვერპენის და ჰოლანდიის მხარეთა მსგავსად, ლოტარინგიას ეკუთვნის. ტრადიციული აღმოსავლეთ და ჩრდილო საზღვარი დასავლური, კაროლინგთა ყოფილი მხარისა მდებარეობს დღევანდელი საფრანგეთის სიღრმეში. მაგრამ არც კაპეტინგების ნომინალურ სამეფოს, არც მის შიგნით უფრო პატარა, პოლიტიკურ ერთეულთა საზღვრებს ამ ეპოქაში ჯერ კიდევ არ გააჩნია დღევანდელი სახელმწიფო

საზღვრების ფუნქცია და სიმყარე. გეოგრაფიული მონაკვეთები, მდინარეთა ხეობები და მთები, ენობრივ განსხვავებებთან და ადგილობრივ ტრადიციებთან ერთად საზღვრებს გარკვეულ სტაბილურობას აძლევს. მაგრამ რამდენადაც ყოველი მხარე, დიდი თუ პატარა, მეომართა რომელიმე ოჯახის საკუთრებაა, ამ ოჯახის გამარჯვებანი და დამარცხებები, ქორწინებანი, ყიდვა-გაყიდვანი განსაზღვრავს პირველ რიგში იმას, თუ რა მიეკუთვნება სახელისუფლო ერთეულს. გარდა ამისა, ხელისუფლების ცვლა განსაზღვრულ რეგიონში უფრო ინტენსიურია.

თუ სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ წავალთ, პირველ რიგში, ბარსელონის ჩრდილოეთით, მაშასადამე, პირენეების ჩრდილოეთით, გასკონიის საჰერცოგოს დავინახავთ, თვით ბორდოსა და ტულუზის მიდამოებამდე და ტულუზის საგრაფომდე; ამას ებმის, მხოლოდ უფრო დიდი ერთეულები რომ დავასახელოთ, გიენის საჰერცოგო, ე.ი. აქვიტანია, შემდეგ ანჟუს საგრაფო, ფრანგულ-ინგლისური სამეფო სახლის მეორე რეზიდენცია, მონისა და ბლუას საგრაფოები, ნორმანდიის საჰერცოგო, პირველი ფრანგულ-ინგლისური სამეფო სახლის რეზიდენცია, ტრიის, ვერმანდუას და ფლანდრიის საგრაფოები და ბოლოს, ნორმანულ სამფლობელოს შუა, კაპეტინგთა პატარა სამფლობელო, ილ დე ფრანსის საჰერცოგო. უკვე ხაზგასმული იყო, რომ კაპეტინგების ეს სამფლობელო ისევე ნაკლებ ქმნის სრულ ერთიანობას, ამ სიტყვის გეოპოლიტიკური და სამხედრო მნიშვნელობით, როგორც სხვა ტერიტორიული სამფლობელოები. ის შედგება ორი ან სამი ურთიერთდამოკიდებული რაიონისაგან, ილ დე ფრანსის, ბერისა და ორლეანის მხარისაგან, ამასთან ერთად პუატუში, სამხრეთში, საფრანგეთის სხვადასხვა მხარეში გაბნეული პატარ-პატარა მამულებისაგან, რომლებიც ამა თუ იმ სახით კაპეტინგების საკუთრებას მიუერთდა.[84]

3. ამ ტერიტორიათა უმეტესობაზე ლუი VI-ის დროს ერთმა განსაზღვრულმა სახლმა, მიწის საკუთრების აკუმულაციით, ფაქტიურად, გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა სხვებზე. ბრძოლები თავადთა ამ სახლებსა და წვრილ აზნაურთა გვარებს შორის ტერიტორიულ სამფლობელოთა ფარგლებში ისევ და ისევ იფეთქებს. მათ შორის დაძაბულობა ყოველთვის იგრძნობა.

მაგრამ შანსები ფეოდალთა პატარა სახლის წარმატებული აჯანყებისა ძალიან დიდი აღარ არის. მე-11 საუკუნეში თანდათან გამოვლინდება მათი დამოკიდებულება ფეოდალებსა თუ ტერიტორიულ მმართველებზე. თავადთა სახლების მონოპოლიური მდგომარეობა მათი ტერიტორიის ფარგლებში ჯერ კიდევ ურყევია. და ის, რაც აქედან მოყოლებული საზოგადოების ხასიათს დიდწილად განსაზღვრავს, არის ბრძოლები ამ თავადთა სახლებს შორის უფრო დიდი სივრცის ფარგლებში ჰეგემონიის მოსაპოვებლად. ამ ბრძოლებში ადამიანებს იგივე გარდაუვალობა წარმართავს, რაც წინა საფეხურზე განხორციელებულ ბრძოლებში: თუ ერთი მეზობელი უფრო დიდი და

ძლიერი ხდება, მეორე მეზობელს ემუქრება საფრთხე, რომ ის მისგან დაძლეული და მასზე დამოკიდებული გახდება; მან უნდა დაიპყროს, რათა დამორჩილებული არ აღმოჩნდეს და თუ თავდაპირველად კოლონიზაციური პროცესები, ექსპანსიური ომები გარკვეული ხარისხით გარედან განტვირთავენ დაძაბულობას შიგნით. გარე ექსპანსიის შანსების შემცირების კვალობაზე ეს დაძაბულობა ძლიერდება. თავისუფალი კონკურენტული ბრძოლის გადაჯაჭვულობის მექანიზმის თამაში, აქედან მოყოლებული, შეზღუდული წრის ფარგლებში წარიმართება, კერძოდ, იმ მებრძოლთა ოჯახებს შორის, რომლებიც გარკვეული ტერიტორიის ცენტრალურ სახლებად იქცნენ.

4. ნორმანდიის ჰერცოგის ლაშქრობა ინგლისში იყო, როგორც უკვე ითქვა, ერთ-ერთი, ამ დროისთვის სპეციფიკური, ექსპანსიური მსვლელობა, ერთ-ერთი, მრავალთა შორის. ისიც დაღდასმული იყო მინაზე საყოველთაო შიმშილით, რომელიც სუნთქვას უკრავდა მოსახლეობის მზარდ მასას, პირველ ყოვლისა, მეომარ მოსახლეობას, ღარიბებს და მდიდრებს.

მაგრამ ნორმანდიის ჰერცოგის ეს გამდიდრება, მისი სამხედრო და ძალაუფლების საშუალებათა გაზრდა, ამავე დროს, ნიშნავდა საფრანგეთის ტერიტორიულ მმართველთა შორის მანამდე არსებული წონასწორობის მკვეთრ შერყევას. ეს გადანაცვლება მაშინვე მთელი ძალით არ ყოფილა საგრძნობი; რადგან დამპყრობელს სჭირდებოდა დრო, რათა ორგანიზაცია გაეკეთებინა თავისი ახალი სამფლობელოს ძალისმიერი საშუალებებისათვის და მაშინაც, როცა ეს მოხდა, დასავლეთ-ფრანკული ტერიტორიების ნაკლები კავშირების არსებობისას, გაჩნდა საფრთხე, რასაც ნორმანდიის ჰერცოგის ძალაუფლების ეს ზრდა გულისხმობდა სხვა ტერიტორიულ მმართველთათვის, უპირველესად, ნორმანდიის უშუალო სამეზობლოში, მაშასადამე, ჩრდილოეთ საფრანგეთში მეტად, ვიდრე უფრო ქვემოთ, სამხრეთში. მაგრამ ყველაზე საგრძნობი ეს იმ სახლისათვის იყო და ყველაზე უშუალოდ იმ სახლს შეეხო, რომელსაც ტრადიციულად გააჩნდა პრეტენზია ჰეგემონიაზე ნორმანდიის აღმოსავლეთ სამეზობლოში, კერძოდ, ილ დე ფრანსის საჰერცოგო სახლს, კაპეტინგებს. სარწმუნოობას არ არის მოკლებული ის, რომ ლუი VI-ისათვის უფრო ძლიერ მეზობელთა მუქარა იმპულსს წარმოადგენდა იმ მიმართულებით, რომელსაც ის სისასტიკითა და ენერგიულობით მთელი სიცოცხლის მანძილზე მისდევდა. ეს იყო იმპულსი თავისი ჰეგემონიის შენარჩუნებისა და ყოველ შესაძლო მოწინააღმდეგეზე გამარჯვებისა მისი საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში.

ის რომ დასავლეთ-ფრანკონიის ნომინალური მეფე და ფეოდალი, ფაქტიურად, მისი საკუთრების შეზღუდულობის შესაბამისად, ბევრად უფრო სუსტი იყო, ვიდრე მისი ვასალი და მეზობელი, მათი ყოველი შეპირისპირებისას ვლინდებოდა. ეს უკანასკნელი, როგორც ინგლისის მმართველი, ამავე დროს, მეფის გვირგვინსაც ატარებდა.

ვილჰელმ დამპყრობელს, რამდენადაც მან ხელახლა დაიპყრო ეს

კუნძულთა ქვეყანა, ჰქონდა შესაძლებლობა შეექმნა ამ დროისათვის ძლიერად ცენტრალიზებული სახელისუფლო ორგანიზაციები. ის დაპყრობილ მიწას იმგვარად ანაწილებდა, რომ თავიდან აეცილებინა თანაბრად მდიდარი და თანაბრად ძლიერი საგვარეულო სახლების ჩამოყალიბება, რომლებიც მის სახლს დაუპირისპირდებოდნენ. ინგლისელ ცენტრალურ მმართველთა ადმინისტრაციული აპარატი ყველაზე პროგრესული იყო თავის ეპოქაში; ფულადი შემოსავლებისთვისაც უკვე არსებობდა ცალკე უწყება.

ჯარი, რომლითაც ვილჰელმ დამპყრობელმა გამარჯვება მოიპოვა კუნძულზე, უკვე მხოლოდ ნაწილობრივ შედგებოდა მისი ფეოდალური ამალისაგან, ნაწილობრივ, კი, დაქირავებული რაინდებისაგან, რომელთაც ამავე დროს ჰქონდათ მისწრაფება ახალი მიწებისაკენ. უკვე, ამ ექსპანსიის შემდეგ, ნორმანელ ცენტრალურ მმართველთა სიმდიდრე მართლაც, საკმარისად დიდი იყო მებრძოლთა დასაქირავებლად; და მათი ფეოდალური ამალის სიდიდის მიუხედავად, კუნძულის ბატონებს ესეც აძლევდა სამხედრო უპირატესობას კონტინენტელ მეზობლებზე.

ლუი სქელს ილ დე ფრანსიდან ისევე ნაკლებ შეეძლო მსგავსი რაიმე განეხორციელებინა, როგორც მის წინამორბედებს. მასზე ამბობდნენ, რომ ის დახარბებული იყო ფულზე და მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით ცდილობდა თავისი საკუთრებისათვის ფული მიემატებინა. ფაქტიურად, სწორედ ამ პერიოდში, ისევე როგორც სხვა დროს, როცა ფული შედარებით ნაკლები იყო, დისპროპორცია არსებულ მარაგსა და მოთხოვნას შორის განსაკუთრებით საგრძნობია. წინა პლანზე განსაკუთრებით გამოდის ფულისადმი ლტოლვა ან თუ გნებავთ, ფულზე დახარბება. მაგრამ ლუი VI, ფულით მდიდარ მეზობლებთან მიმართებაში, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ თვალსაზრისით, ისევე როგორც ხელისუფლების ორგანიზაციის, ცენტრალიზაციის, ქვეყნის შიგნით შესაძლო მოწინააღმდეგეთა ჩამოცილების საკითხში, კუნძულის ტერიტორია იძლეოდა მაგალითს, რომელსაც უნდა მიჰყოლოდნენ კონტინენტური ტერიტორიული მმართველები, თუ მათ არ სურდათ ჰეგემონიისათვის ბრძოლიდან ამოვარდნილიყვნენ.

მე-12 საუკუნის დასაწყისში, კაპეტინგების სახლი ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე მოქიშპე სახლი, რომელიც ზღვის მეორე მხარეს ბატონობს ადამიანებსა და ქვეყნებზე. ლუი VI გამარჯვებული გამოდის ინგლისელ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში, როგორც ყველა ბრძოლაში, თუმცა ის ვერ ახერხებს, შეიჭრას ილ დე ფრანსის მხარეში. ეს არის სიტუაცია, რომელშიც ილ დე ფრანსის მეფე იმით შემოიფარგლება, რომ ზრდის თავისი ძალაუფლების საფუძველს, თავისი სახლის დოვლათს და გატეხავს პატარა ფეოდალთა წინააღმდეგობას თავისი ტერიტორიის შიგნით ან ტერიტორიათა შორის. ამით ის, გარკვეულწილად, შეამზადებს თავის სახლს უფრო დიდი კონკურენტული ბრძოლისათვის, იმ მრავალწლიანი ბრძოლისათვის დასავ-

ლეთ-ფრანკულ მხარეში ჰეგემონიის მისაღწევად, რომლის მსვლელობისას უფრო და უფრო მეტი დასავლეთ-ფრანკული ტერიტორია ხელისუფლების ერთადერთ ბლოკს უერთდება და ერთადერთი მეომარი ოჯახის ხელში მოიყრის თავს და რომელსაც მეტ-ნაკლებად უშუალოდ უკავშირდება ამ მხარის ყველა სხვა დაძაბულობანი. ეს არის ბრძოლა საფრანგეთის გვირგვინისათვის ილ დე ფრანსის მმართველებსა და ინგლისური კუნძულის მმართველებს შორის.

5. სახლი, რომელიც ჰეგემონიისათვის ბრძოლაში ჩაებმება კაპეტინგებთან, როცა ვილჰელმ დამპყრობელის სახლი ძალას კარგავს, არის პლანტაგენეტთა სახლი. მათი მემკვიდრეობითი სამფლობელო არის ანჟუ,[85] სწორედ ილ დე ფრანსის მეზობელი მხარე. ისინი მოქმედებენ თითქმის იმავე პერიოდში და იმავე მეთოდით, რომლითაც მოქმედებენ კაპეტინგები. როგორც ილ დე ფრანსში ფილიპ I-ის ეპოქაში, ასევე მეზობლად მდებარე ანჟუში ფულკეს დროს გრაფების ფაქტიური ძალა მათ ვასალებთან მიმართებაში საგრძნობლად შემცირდა. ისევე როგორც ფილიპის შვილი, ლუი VI სქელი, ასევე ფულკეს ვაჟი, ფულკე უმცროსი და მისი ვაჟი ჟოფრეა პლანტაგენეტი თანდათან ამარცხებენ თავიანთი მხარის წვრილ და საშუალო ფეოდალ მმართველებს; და ამით ისინიც ქმნიან საფუძვლებს შემდგომი ექსპანსიისათვის.

თავად ინგლისში თავდაპირველად საწინააღმდეგო მიმართულების პროცესი ვითარდება, რომელიც სხვა მხრიდან აჩვენებს მებრძოლთა ამ საზოგადოების მექანიზმებს. როცა ჰენრი I, ვილჰელმ დამპყრობელის შვილი კვდება, ისე რომ ვაჟ მემკვიდრეს არ ტოვებს, ინგლისის გვირგვინზე პრეტენზიას აცხადებს ვილჰელმის ერთი ქალიშვილის ვაჟი ეტიენ დე ბლუა. ის მოითხოვს საერო ფეოდალთა და ეკლესიის აღიარებას; მაგრამ ის თავად სხვას არაფერს წარმოადგენს, თუ არა საშუალო ნორმანელ ფეოდალს; მისი პირადი საკუთრება, სახლის ძალაუფლება, რომელსაც ის უნდა ეყრდნობოდეს, შეზღუდულია. და მაშასადამე, ის საკმაოდ უძლურია სხვა მეომრებთან და ასევე თავისი მხარის სასულიერო პირებთან მიმართებაში. ხელისუფლებაში მის მოსვლასთან ერთად იწყება სახელისუფლებო ძალაუფლების დეზინტეგრაცია კუნძულზე. ფეოდალები ციხე-სიმაგრეს ციხე-სიმაგრეზე აშენებენ, მოჭრიან საკუთარ ფულს, კრეფენ გადასახადებს თავიანთ მხარეში, მოკლედ, ისინი ხელში იღებენ ყველა ძალისმიერ საშუალებას, რომლებიც აქამომდე ნორმანდიის ცენტრალურ მმართველთა მონოპოლია იყო, მათი აღმატებული სოციალური ძლიერების შესაბამისად. გარდა ამისა, ეტიენ ფონ ბლუა მთელ რიგ შეცდომებს უშვებს, რომელიც მას განსაკუთრებით ეკლესიისაგან დააშორებს და რომელიც ალბათ, უფრო ძლიერ მმართველს შეეძლო აეღო საკუთარ თავზე და არა იმ კაცს, რომელსაც სხვათა დახმარება სჭირდებოდა. ეს ხელს აძლევს მის მოწინააღმდეგეთ.

მეტოქეებად ანჟუს გრაფები გამოდიან. ჟოფრუა პლანტაგენეტი

ამ უკანასკნელთა, ნორმანდია-ინგლისის მეფის ქალიშვილზე დაქორწინდა. იმ პრეტენზიისათვის, რომელიც მას ამ ქორწინების საფუძველზე უჩნდება, ის შესაბამის ძალასაც შეიძენს. ის თანდათანობით მოიკიდებს ფეხს ნორმანდიაში. მისი ვაჟი, ჰენრი პლანტაგენეტი, თავისი ხელისუფლების ქვეშ გააერთიანებს მენს, ანჟუს, ტურენს და ნორმანდიას. და ამ ძალაუფლებაზე დაყრდნობით, მას შეუძლია დაიბრუნოს თავისი ბაბუის ინგლისური სამფლობელო, ისევე როგორც ის ოდესღაც ნორმანდიის ჰერცოგმა დაიპყრო. 1153 წელს ის ინყებს ბრძოლას. 1154 წელს 22 წლის ასაკში გამეფდება და თავისი სამხედრო და ფინანსური ძალაუფლების, ისევე როგორც პიროვნული ენერგიითა და ნიჭიერების წყალობით ცენტრალიზების უნარმქონე მეფეა. ორი წლით ადრე აქვიტანიის მემკვიდრე ქალიშვილზე თავისი ქორწინებით, ის საფრანგეთის ამ სამხრეთული მხარის გამგებელიც ხდება. და ახლა ის ინგლისურთან აერთიანებს კონტინენტურ მხარეს, რომელთა მიმართებაში კაპეტინგების სახლის სამფლობელო, მართლაც, მცირე ჩანს. გადაწყვეტილება იმის თაობაზე, დასავლეთ-ფრანკული მხარე ინტეგრირებული იყოს ილ დე ფრანსის თუ ანჟუის მიერ, სრულიად ღია რჩება. ინგლისი თავად დაპყრობილი ქვეყანაა და უფრო პოლიტიკის ობიექტი, ვიდრე სუბიექტი.[86] ეს არის, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნახევრად კოლონიური მხარე დასავლეთ ფრანკული ტერიტორიის მყიფე გაერთიანებაში. ხელისუფლების განაწილების სურათი ამ პერიოდში გვაგონებს თანამედროვეობის ცნობილ მოვლენებს აღმოსავლეთ აზიაში: ერთ ხელში თავმოყრილია შედარებით პატარა კუნძულის სივრცე და კონტინენტზე არსებული ბევრად უფრო დიდი სამფლობელო. ყოფილი კაპეტინგების იმპერიის მთელი სამხრეთ ნაწილი მასვე ეკუთვნის. თავდაპირველად, პლანტაგენეტთა სამფლობელოს არ მიეკუთვნება ბარსელონას საგრაფო; მისი ცენტრალური მმართველები იმავე ექსპანსიური მოძრაობის პროცესში და სწორედ ქორწინების პრეტენზიათა საფუძველზე არაგონის მეფენი ხდებიან. ისინი ნელა და თითქმის შეუმჩნევლად თავად გამოეყოფიან და თავიანთ მხარეს გამოაცალკევებენ დასავლეთ-ფრანკულ ტერიტორიათა კავშირიდან.

ანგულემურ - ინგლისურ სამფლობელოს აქ, სამხრეთში, გარდა პატარა, საეკლესიო ფართობებისა მიეკუთვნება ტულუზის საგრაფოც; და ისევე როგორც ჩრდილოეთით აქვიტანიის მხარის უფრო პატარა მბრძანებლები, მისი მთავრები ანჟუს იმპერიის საშიში ძლიერების გამო, იწყებენ გადახრას მონინააღმდეგე ხელისუფლების ცენტრის, კაპეტინგებისაკენ; ბალანსის კანონები, რომლებიც მოქმედებას მართავს წონასწორობის სისტემაში, დიდწილად იგივეა; მათი თამაშის წესები, აქ, დასავლეთ-ფრანკული ტერიტორიული კავშირის პატარა ოლქში ძალიან არ განსხვავდება მათგან, რომლებიც ახალი დროის ევროპის და მინიშნებათა ფორმით, უკვე მთელი მსოფლიოს სახელმწიფოთა პოლიტიკას განსაზღვრავს; სანამ არ შექმნილა აბსოლუტური ჰეგემონია – მაშასადამე ჰეგემონია, რომელიც სრულად არაერთმნიშვნელოვნად

გამოსულია სხვათა კონკურენციის სათამაშო სივრციდან და რომელიც ამით ამ წონასწორობის სისტემაში მონოპოლიურ პოზიციას იკავებს, მანამ მეორე რიგის ძლიერების მქონე ერთეულები ცდილობენ სხვადასხვა მხარეთა გაერთიანების საშუალებით შექმნან გარკვეული ბლოკი იმ ერთეულის წინააღმდეგ, რომელიც ყველაზე ახლოა გაბატონებულ მდგომარეობასთან; რაც არ უნდა ხანგრძლივად მიმდინარეობდეს ეს გადახრა აქეთ-იქით, სისტემა, როგორც მთელი, მიდრეკილია უფრო და უფრო დიდ მხარეთა გაერთიანებისაკენ ერთი ცენტრის გარშემო, რათა მოხდეს ნამდვილი ძალაუფლების გადამწყვეტი კონცენტრაცია უფრო და უფრო მცირერიცხოვან ერთეულებთან და ბოლოს ერთადერთი ცენტრის გარშემო.

ნორმანიის ჰერცოგის მიერ განხორციელებულმა ექსპანსიამ შექმნა ბლოკი, რომელიც, პირველ ყოვლისა, საფრანგეთის ჩრდილოეთში წონასწორობას მის სასარგებლოდ გადაანაცვლებდა. ანჟუს სახლის ექსპანსია ამას ემყარებოდა და კიდევ ერთი ნაბიჯით მიიწევდა წინ; ანჟუს იმპერიის ბლოკი კითხვის ნიშნის ქვეშ სვამდა წონასწორობას მთელ დასავლეთ-ფრანკულ სივრცეში; ეს ბლოკი ჯერ კიდევ არ იყო განსაკუთრებით მყარი, ჯერ კიდევ საწყის მდგომარეობაში იყო მმართველობის ცენტრალიზებული აპარატი. პროცესი, რომელშიც ერთი სახლი, მიწაზე საერთო შიმშილის ზეწოლის ქვეშ, მეორეს გამუდმებით გაერთიანებისაკენ ან „მეტი" მიწისაკენ უბიძგებდა, ამ ბლოკთა გაერთიანებებში საკმაოდ ნათლად გამოიხატებოდა. თუ არ ჩავთვლით სამხრეთის მამულებს, პლანტაგენეტთა სამფლობელოებს მიეკუთვნებოდა ფართო ზოლებად გაშლილი საფრანგეთის მთელი, დასავლეთ ნაწილი. ინგლისის მეფე ამ კონტინენტურ მხარეში ფორმალურად, კაპეტინგთა მეფის ვასალი იყო. მაგრამ „უფლება" ნაკლებად მნიშვნელობს, თუ მის უკან არ დგას შესაბამისი სოციალური ძლიერება.

როცა 1777 წელს ლუი VI-ის მემკვიდრე, ლუი VII, ილ დე ფრანსიდან, უკვე მოხუცი და ცხოვრებით დაღლილი კაცი, მოქიშპე სახლის წარმომადგენელს, ჰენრი II-ს, ინგლისის ახალგაზრდა მეფეს შეხვდა, უთხრა მას:

»O roi, depuis le commencement de votre règne et avant, vous m'avez comblé d'outrages en foulant aux pieds la fidélité que vous me deviez et l'hommage, que vous m'aviez prêté; et de tous ces outrages, le plus grand, le plus manifeste, c'est votre injuste usurpation de l'Auvergne que vous détenez au détriment de la couronne de France. Certes la vieillesse qui me talonne m'ôte la force de recouvrer cette terre et d'autres; mais devant Dieu, devant ces barons du royaume et nos fidèles, je proteste publiquement pour les droits de ma couronne et notamment pour l'Auvergne, le Berry et Châteauroux, Gisors et le Vexin normand, suppliant le Roi des rois, qui m'a donné un héritier, de lui accorder ce qu'il m'a dénié[87].»

ვექსინი, ნორმანიის თავისებური ელზას-ლოტარინგია სადაო სასაზღვრო ტერიტორია იყო კაპეტინგების საჰერცოგოსა და

პლანტაგენეტთა ნორმანულ სამფლობელოს შორის. ბერის მხარის გავლით და იმის იქით, სამხრეთით, გადიოდა საზღვარი კაპეტინგების მამულებსა და ანჟუს სახლის სამფლობელოს შორის. პლანტაგენეტთა სახლი უკვე აშკარად, საკმაოდ ძლიერი იყო იმისათვის, რომ მიესაკუთრებინა კაპეტინგების სამფლობელოს ნაწილები. ბრძოლა კაპეტინგებსა და პლანტაგენეტებს შორის მთელი სვლით მიდიოდა; და ანჟუს სამფლობელოს მმართველს ჯერ კიდევ სჯაბნიდა ილ დე ფრანსის სამფლობელო.

მოთხოვნებიც, რომლებსაც კაპეტინგების წინამძღოლი მოწინააღმდეგეს უყენებდა, ძირითადად, მართლაც მოკრძალებული იყო; მას არსებითად სურდა უკან მიეღო რამდენიმე მიწის ნაკვეთი, რომელსაც ის თავის საკუთრებად თვლიდა. თავდაპირველად უფრო მეტზე ფიქრი მას არ შეეძლო. მას ნათლად ედგა თვალწინ ანჟუს სამფლობელოს ბრწყინვალება და საკუთრის შეზღუდულობა.

"nous Français", თქვა მან, სხვათა შორის, მოწინააღმდეგებთან შედარებისას, "nous n'avons du pain et du vin, et du contentement".

6. მაგრამ ამ სახელისუფლო წარმონაქმნებს, როგორც ითქვა, ჯერ კიდევ არ გააჩნდა დიდი სიმყარე. ისინი სინამდვილეში „კერძო დაწესებულებებს" წარმოადგენდნენ; ყოველი მათგანი კონკურენტული ბრძოლის სოციალურ კანონზომიერებას ემორჩილებოდა, მაგრამ მათი მფლობელის პიროვნულ უნარებზე, მათ ასაკზე, მათ მემკვიდრეთა რიგზე და სხვა მსგავს პიროვნულ ფაქტორებზე, არსებობის თვალსაზრისით ბევრად უფრო ძლიერად იყვნენ დამოკიდებულნი, ვიდრე უფრო გვიანდელი ფაზის სახელისუფლო წარმონაქმნები, რომლებშიც არა მხოლოდ მფლობელის პიროვნება, არამედ ფუნქციათა გარკვეული დანაწილება, ორგანიზებულ ინტერესთა მთელი სისრულე და უფრო დიდ ერთეულთა სტაბილური მმართველობითი აპარატი ერთიანობაში მოიაზრება.

1189 წელს კაპეტინგების წარმომადგენელი ისევ დაუპირისპირდება პლანტაგენეტთა წარმომადგენელს. ამასობაში კაპეტინგების სამფლობელოს უკან დაუბრუნდა თითქმის ყველა სადაო ტერიტორია. და ახლა უკვე პლანტაგენეტია მოხუცი და კაპეტინგების წარმომადგენელი – ახალგაზრდა. ეს არის ლუი VII-ს ვაჟი, ფილიპ II, აუგუსტუსის სახელით ცნობილი. ასაკი, როგორც უკვე ითქვა, ბევრს ნიშნავს იმ საზოგადოებაში, სადაც მმართველს ჯერ კიდევ არ შეუძლია ვინმეს გადასცეს ომის წარმართვის ძალაუფლება, რომელშიც ძალზე ბევრია დამოკიდებული პირად ინიციატივაზე და რომელშიც ის, როგორც პიროვნება, თანამონაწილე უნდა იყოს თავდასხმისა და თავდაცვისა. ჰენრი II, პიროვნულად ძლიერი მმართველი, რომელიც ჯერ კიდევ მტკიცედ განაგებს თავის დიდ რეგიონს, უკვე ასაკში მყოფი, აჯანყებებითა და თავისი უფროსი ვაჟის რიჩარდის, მეტსახელად ლომგულის სიძულვილის გამოც იტანჯება, რომელიც გარემოებისდა მიხედვით მოქიშპე კაპეტინგებთან მამის წინააღმდეგ ერთიანდება.

გამოიყენა რა მტრის სისუსტე, ფილიპ აუგუსტუსმა კვლავ დაიბრუნა ოვერნი და თავისი მამის მიერ სახელდებული ბერის ნაწილი. ერთ თვეში, მას შემდეგ, რაც ისინი ტურის მიდამოებთან ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, 56 წლის ასაკში ჰენრი II კვდება.

1193 წელს, მაშინ, როცა რიჩარდ ლომგული ტყვეობაშია, ფილიპი იღებს დიდი ხნის მანძილზე სადაოდ ქცეულ ვექსინს. მისი მოკავშირეა იოანე, დატყვევებულის უმცროსი ძმა. 1199 წელს რიჩარდი კვდება. მან ისევე როგორც მისმა ძმამ და მემკვიდრემ იოანემ, რომელსაც მალე იოან მიწის არმქონეს უწოდებენ, უკვე ბევრი რამ გაფანტა თავისი ძალაუფლების საყრდენებიდან, მამულების დოვლათიდან და მამის საგანძურიდან. იოანეს უპირისპირდება კაცი, რომელმაც საკუთარ სხეულზე გამოსცადა კაპეტინგების ძალაუფლების დაცემა და შეზღუდვა ანჟუსეულ-ინგლისური ძალაუფლების ზრდის გამო და რომლის მთელი ენერგია, ასეთი გამოცდილებით ინსპირირებული, ერთი მიმართულებითაა მიდრეკილი: მეტი მიწა, მეტი ძალაუფლება, უფრო და უფრო მეტი. ის, პირველ პლანტაგენეტთა მსგავსად, შეპყრობილია ამ მისწრაფებით. მოგვიანებით, როცა იოანე მიწის არმქონე შეეკითხება მას: ხომ არ შეეძლო გადახდის სანაცვლოდ რაიმე უკან შეესყიდა ფილიპის დროს დაკარგული მიწებიდან, ფილიპი ეკითხება პასუხად: ხომ არ იცის მან ვინმე, ვისაც თავისი მიწის გაყიდვა სურს; მას ისევ ყიდვა სწადია. და ამ დროს ფილიპი უკვე არის მიწებით მდიდარი და ძლიერი ადამიანი.

როგორც ვხედავთ, აქ საქმე ჯერ კიდევ არ ეხება სახელმწიფოებსა და ერებს შორის ბრძოლას. გვიანდელ მონოპოლიურ ორგანიზაციათა, სახელმწიფოთა და ერების ჩამოყალიბების მთელი ისტორია გაუგებარი დარჩება მანამ, სანამ წინა, „კერძო ინიციატივის" ამ სოციალურ ფაზას თავისთავად არ შევაფასებთ. საქმე ეხება ბრძოლას კონკურენტულ ან დაპირისპირებულ სახლთა შორის, რომლებიც ამ საზოგადოების საყოველთაო მოძრაობის შესაბამისად, თავდაპირველად როგორც პატარა, მოგვიანებით კი როგორც უფრო დიდი ერთეულები, ექსპანსიისაკენ, სულ უფრო მეტი მიწისაკენ ილტვიან.

ბრძოლას ბუვინთან 1214 წელს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. იოანე ინგლისელი და მისი მოკავშირეები დამარცხდნენ ფილიპ აუგუსტუსთან. და ისევე როგორც ხშირად მეომართა ფეოდალურ საზოგადოებაში, გარეშე მტერთან ბრძოლაში დამარცხება აქაც შინაგან შესუსტებას ნიშნავდა. შინ დაბრუნებულ იოანეს ბარონები და სამღვდელონი აჯანყებულნი ხვდებიან და მათი მოთხოვნაა „Magna Charta". პირიქით, ფილიპ აუგუსტისათვის გარეშე მტერთან ბრძოლაში გამარჯვება ნიშნავს ძალაუფლების ზრდას სამფლობელოს შიგნით.

ფილიპ აუგუსტუსს არსებითად თავისი მამისაგან მემკვიდრეობით ერგო პატარა მხარე პარიზიდან ორლეანამდე ქვეყნის შიდა ნაწილში, გარდა ამისა ბერის ნაწილები. მხოლოდ რამდენიმე დიდი

შენაძენი რომ დავასახელოთ, მან ამას დაამატა ნორმანდია, იმ დროს მთელი იმპერიის ყველაზე მდიდარი და დიდი ტერიტორია, შემდეგ კი ანჟუს, მაინის, ტურინის მხარეები, პუატუს და სანტონჟის მნიშვნელოვანი ნაწილი, არტუ, ვალუა, ვერმანდუა, ამენის მხარე და ბოვეს მხარის დიდი ნაწილი. „პარიზისა და ორლეანის მეფე ჩრდილო საფრანგეთის ყველაზე დიდი ტერიტორიული მმართველი ხდება"[89] მან „კაპეტინგების სახლი საფრანგეთის უმდიდრეს ოჯახად"[90] აქცია. მისმა სამფლობელომ გასასვლელები მოიპოვა ზღვაზე. ჩრდილოეთ საფრანგეთის სხვა ტერიტორიებზეც, ფლანდრიაში, შამპანში, ბურგუნდიასა და ბრეტანიაში მისი გავლენის კვალობაზე, მისი ძალაუფლება იზრდება. სამხრეთშიც ის უკვე განაგებს არცთუ უმნიშვნელო რეგიონს.

კაპეტინგების სამფლობელო ჯერ კიდევ არ წარმოადგენს ჩაკეტილ ტერიტორიას. ანჟუსა და ორლეანის მხარეს შორის ბლუას საგრაფო მდებარეობს. სამხრეთით, სენტეს გარშემო და უფრო შორს, ოვერნიდან აღმოსავლეთით მდებარე კუნძულთა მხარე თითქმის არ უკავშირდება ჩრდილოეთის მხარეებს. მაგრამ თვითონ სახლის ეს ძველი სამფლობელო, ნორმანდიასთან და ჩრდილოეთით ახალ დაპყრობილ მხარეებთან ერთად არასამდე, წმინდა გეოგრაფიული თვალსაზრისით, უკვე საკმაოდ ჩაკეტილ ბლოკს ქმნის.

ფილიპ აუგუსტუსიც ჯერ კიდევ ვერ წარმოიდგენს „საფრანგეთს" ჩვენეული აზრით და მისი ნამდვილი სამფლობელო ჯერ კიდევ არ არის ეს საფრანგეთი. რაც მას უწინარეს ყოვლისა, თვალწინ ედგა, იყო მისი შიდა ძალაუფლების ტერიტორიული, სამხედრო და ეკონომიკური ზრდა და საშიში კონკურენტების, პლანტაგენეტთა დაკნინება. მას ორივე გამოუვიდა. კაპეტინგების სამფლობელო ფილიპის სიკვდილისას დაახლოებით ოთხჯერ დიდი იყო, ვიდრე მისი ხელისუფლებაში მოსვლისას. ამის საპირისპიროდ, პლანტაგენეტები, რომლებიც აქამდე უფრო მეტად კონტინენტზე ცხოვრობდნენ, ვიდრე კუნძულზე და მათი ადმინისტრაციული შტაბიც ინგლისში, კონტინენტზე მცხოვრები ნორმანებისა და მათი სხვა კონტინენტური მიწების და კუნძულის მცხოვრებლებისაგან შედგებოდა, კონტინენტურ მიწებზე ახლა მხოლოდ ყოფილი აქვიტანიის ერთ ნაწილს განაგებენ, შუა და დასავლეთ პირენეების ჩრდილოეთით, კუნძულთა გასწვრივ ჟირონდის შესართავამდე, რომელიც გიენის საჰერცოგოს სახელით იყო ცნობილი; ამას ემატებოდა ნორმანდიის არქიპელაგის რამდენიმე კუნძული; ძალთა წონასწორობა მათთვის არახელსაყრელად შეიცვალა. მათი ძალაუფლება შემცირდა; მაგრამ ეს ძალაუფლება, კუნძულებზე მათი ბატონობის წყალობით, არ განადგურებულა. გარკვეული ხნის შემდეგ ძალთა თანაფარდობა კონტინენტზეც შეიცვალა კვლავ მათ სასარგებლოდ. ჰეგემონიისათვის ბრძოლის დასასრული ყოფილ დასავლეთ-ფრანკულ მხარეში დიდი ხნის განმავლობაში გაურკვეველი იყო. როგორც ჩანს, ფილიპ აუგუსტუსმა პლანტაგენეტთა შემდეგ ფლანდრიის გრაფები მთავარ მეტოქეებად

მიიჩნია. იმას, რომ აქ ფაქტიურად ხელისუფლების ცენტრი არსებობდა, საფრანგეთის მთელი შემდგომი ისტორია აჩვენებს. ფილიპმა ერთხელ თქვა: ფრანკეთი ან ფლანდრიული იქნება ან ფლანდრიელები გახდებიან ფრანკები. იმის ცნობიერება, რომ მცირე ტერიტორიული სახლების ამ ბრძოლებში ჰეგემონიას ან დამოუკიდებლობის დაკარგვას ეხებოდა საქმე, მას ცხადია ჰქონდა. მაგრამ მას სწორედ ისევე შეეძლო მთელი მხარის ჰეგემონად ფლანდრია წარმოედგინა, როგორც ილ დე ფრანსი.

7. ფილიპ აუგუსტუსის მემკვიდრეები თავდაპირველად იცავენ კურსს, რომელიც მან აირჩია; ისინი ცდილობენ განამტკიცონ უფრო დიდი სამფლობელო და შემდგომშიც მართონ იგი. პუატუს ბარონები ფილიპის სიკვდილის შემდეგ მაშინვე პლანტაგენეტებს მიუბრუნდებიან. ლუი VIII, ფილიპ აუგუსტუსის ვაჟი, ამ მხარეს თავიდან შემოუმტკიცებს საკუთარ სამფლობელოს, ისევე როგორც სენტონჟს, ონს და ლანგედოკს, გარდა ამისა პიკარდიისა და პერშის საგრაფოს ნაწილებს. ნაწილობრივ რელიგიური ომის ფორმით, იწყება ბრძოლა ალბიგენსელი ერეტიკოსების წინააღმდეგ, კაპეტინგების სახლის შეჭრა სამხრეთით, ერთადერთი დიდი ტერიტორიული მმართველის მხარეში, რომელსაც პლანტაგენტთა გვერდით ჯერ კიდევ შეუძლია მეტოქეობა გაუწიოს კაპეტინგების ძალაუფლებას, ტულუზის გრაფის სამფლობელოში.

შემდეგმა კაპეტინგმა, ლუი IX-მ, წმინდანმა, ყოველგვარი შიდა და გარე თავდასხმებისაგან უნდა დაიცვას ერთმანეთთან სწრაფად შეზრდილი მამულები; ამავე დროს ის განაგრძობს შენებას: ის თავისი ძალაუფლების ქვეშ აერთიანებს ლანგედოკის ნაწილებს აღმოსავლეთ პირენეების ჩრდილოეთით, მასონის, კლერმონის, მორტენის საგრაფოებს და კიდევ რამდენიმე მცირე ტერიტორიას. ფილიპ III, მამაცი, მემკვიდრეობით იღებს გიენის საგრაფოს, კალესა და სენტ ომერს შორის, რომელიც 12 წლის შემდეგ კვლავ გრაფების მემკვიდრეობაში გადადის; ის შესყიდვის ან დაცულობის დაპირების გზით თავისკენ ეექაჩება გარშემო არსებულ ყველა პატარა მამულს; და ის ამზადებს თავისი სახლის მფლობელობაში შამპანისა და ტულუზის დიდი ტერიტორიის ჩართვას.

დასავლეთ-ფრანკულ მხარეში ამ დროს არ არსებობს არცერთი ტერიტორიული მმართველი, რომელსაც შეუძლია მარტო გაეჯიბროს კაპეტინგებს, თუ პლანტაგენტებს არ მივიღებთ მხედველობაში. სხვათა შორის, ესენი კაპეტინგებზე არანაკლები დაჟინებით იყვნენ იმით დაკავებულნი, რომ თავიანთი ბატონობის სფერო გაეზარდათ. კონტინენტიდან მათი ბატონობა გიენის საჰერცოგოზე გავრცელდა. ზღვის იქით მათ უელსი დაიმორჩილეს და შოტლანდიის დამორჩილებას აპირებდნენ. ჯერ კიდევ არსებობს გაფართოების შესაძლებლობანი მათთვისაც, რომელთაც უშუალოდ არ მოუწევთ კაპეტინგებთან შეტაკება. და თავად კაპეტინგებსაც ექსპანსიისათვის სივრცე სხვა მიმართულებით ეგულებათ. იმავე დროს, ფილიპ

ლამაზის ეპოქაში, მათი სამფლობელო გერმანულ-რომაული იმპერიის საზღვრებამდეც კი გაფართოვდება, კერძოდ კი, ერთ მხარეს მაასამდე, რომელსაც მაშინ, ჩვეულებრივ, დასავლეთ-ფრანკული მხარის ბუნებრივ და – კაროლინგების იმპერიის 843 წლის გაყოფის მოგონებაში – ტრადიციულ საზღვრად განიხილავდნენ; მეორე მხრივ, სამხრეთისაკენ, ის რონემდე და საონამდეა გადაჭიმული ე.ი. თვით პროვანსის, დოფინეს მხარეებამდე და ბურგუნდიის საგრაფომდე, რომელიც სხვათა შორის არ მიეკუთვნებოდა დასავლეთ-ფრანკულ ტერიტორიათა ტრადიციულ გაერთიანებას. შამპანს და ბრის, მეზობლად მდებარე არაერთი მიწის ნაკვეთის ჩათვლით, ნაწილობრივ, თვით გერმანულ-რომაული იმპერიის საზღვრებში, ფილიპი ქორწინების გზით იპყრობს. ფლანდრიელი გრაფებისაგან იღებს ის ჩრდილოეთში ლილს, დუეს და ბეტიუნის სამფლობელოებს; შარტრის საგრაფო და ბოჟეანსის სამფლობელო მას გრაფ ფონ ბლუას საკუთრებიდან გადაეცემა, გარდა ამისა, ის მოიპოვებს მარშისა და ანგულემის საგრაფოებს, კაროგეს, მენდესა და პიუის საეკლესიო მიწებს, ამის შემდეგ სამხრეთით ბიჟორის საგრაფოს და სულის ვიცე-საგრაფოს.

მისი სამი ვაჟი, ლუი X, ფილიპ V და შარლ IV ერთიმეორის მიყოლებით კვდებიან, ისე რომ მემკვიდრე არ რჩებათ და გვირგვინი ერგება კაპეტინგების სახლის შედარებით ახალგაზრდა ვაჟის მემკვიდრეს, რომელსაც აპანაჟის სახით ეკუთვნის ვალუას საგრაფო.

აქამომდე თაობათა უწყვეტ მონდომებას დაახლოებით ერთსა და იმავე მიმართულებით მივყავართ, კერძოდ, მიწის აკუმულაციის მიმართულებით. აქ საკმარისი უნდა იყოს შევაფასოთ ამ მისწრაფების შედეგები. უკვე ეს შეფასება, მხოლოდ დასახელებანი მრავალი მხარისა, რომლებიც ნაბიჯ-ნაბიჯ გაერთიანდა, გვაძლევს საშუალებას ვიფიქროთ აშკარა თუ ფარულ მტრობაზე, რომელშიც ჩართულნი არიან სხვადასხვა სათავადო სახლები და რომლის წყალობითაც ერთი მეორის მიყოლებით ქრება უფრო ძლიერის მიერ დამარცხებული სახლები. ამ სახელების მნიშვნელობის სრული რეალიზება შეიძლება მოხდეს და შეიძლება არა, მაგრამ ისინი გარკვეულ წარმოდგენას იძლევიან იმის შესახებ, კაპეტინგების სახლის საზოგადოებრივი სიტუაციის რა იმპულსები უბიძგებდა ამდენად განსხვავებული ინდივიდებს ერთსა და იმავე მიმართულებით.

თუ რუქას განვიხილავთ, ისე როგორც ის შარლ IV-ის სიკვდილის მომენტისათვის იყო წარმოდგენილი — უკანასკნელი კაპეტინგისა, რომელიც გვირგვინს პირდაპირი მემკვიდრეობით ეუფლება — შემდეგს დავინახავთ: კაპეტინგების სამფლობელოს დიდი ფრანგული კომპლექსი – ე.ი. ის კომპლექსი, რომელიც უშუალოდ ილ დე ფრანსის სამფლობელოს გარშემოა თავმოყრილი – გადაჭიმულია ნორმან-დიიდან დასავლეთით შამპანამდე და აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით კანშამდე; არტოს მხარე, რომელიც კიდევ უფრო შორს,

ჩრდილოეთით უერთდება, აპანაჯის ფორმით გაცემულია სახლის ერთ-ერთ წევრზე. ცოტა უფრო მოშორებით, სამხრეთით — ანჟუსაგან ასევე აპანაჯის სახით გაცემული მხარის საშუალებით დაშორებული — პუატიეს საგრაფოც პარიზელ თავადებს უჭირავთ. სამხრეთით მათვე ეკუთვნით ტულუზის საგრაფო და ყოფილი აქვიტანიის საჰერცოგოს ნაწილები. მთლიანად ეს უკვე მიწათა მძლავრი კომპლექსია; მაგრამ ჯერ კიდევ არ არის შეკრული მხარე; მას ჯერ კიდევ ტერიტორიული საოჯახო საკუთრების სახე აქვს, რომლის ცალკეული ნაწილები უფრო ნაკლებ არიან შეკავშირებულნი მათი ორმხრივი დამოკიდებულებით, ფუნქციათა გარკვეული სახის დანაწილებით, ვიდრე მფლობელის პიროვნებით, „პერსონალუნიონის" საშუალებით და საერთო ადმინისტრაციული ცენტრით; ჯერ კიდევ ძლიერად იგრძნობა ლანდშაფტური თვითცნობიერება, ყოველი ტერიტორიის განსაკუთრებული ინტერესები და ხასიათი. მაგრამ მათი გაერთიანება ერთი და იმავე სათავადო სახლის ფარგლებში და ნაწილობრივ, ასევე, ერთი და იმავე ადმინისტრაციულ ცენტრში, უპირველეს ყოვლისა, იმ შეკავებათა რიგს მოხსნის, რომლებიც წინააღმდეგობას უწევს უფრო ძლიერ გადაჯაჭვულობას; ის შეესატყვისება სავაჭრო ურთიერთობათა გაფართოების ტენდენციას, ზელოკალური კავშირების უფრო ინტენსიურად ამოქმედებას, რომელიც უკვე საგრძნობია ქალაქის მოსახლეობის მცირე ნაწილში, მაგრამ ისე, რომ ეს ტენდენცია, როგორც სათავადო სახლების შეკავშირების ან ექსპანსიის იმპულსი, მაშინ სულაც არ თამაშობს იმავე როლს, რასაც უფრო მოგვიანებით, დაახლოებით მე-19 საუკუნეში, როცა ბურჟუაზიულ-საქალაქო ფენების განვითარების სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. აქ, მე-11, მე-12 და მე-13 საუკუნეებში მიწებზე შანსებისათვის ბრძოლა, ქიშპობა სულ უფრო მცირერიცხოვან მეომართა ოჯახებს შორის, პირველ იმპულსს ქმნის უფრო დიდ ტერიტორიათა გაერთიანებისათვის; თავდაპირველად ინიციატივა მოდის უფრო მცირერიცხოვანი, გამსხვილების პროცესში მყოფი მეომართა გვარებისა და თავადთა სახლებისაგან; მათი მფარველობის ქვეშ ვითარდება ქალაქები და სავაჭრო კავშირები; ორივე სარგებელს ხელისუფლების კონცენტრაციაში პოულობს; მათ ცხადია, თავიანთი წილი აქვთ ამაში; ამაზე კიდევ ვისაუბრებთ; და ცხადია, როცა მოზრდილი მხარეები უკვე გაერთიანებულნი არიან ერთ სამფლობელოში, ქალაქის ფენებს ამ დროს უკვე გადამწყვეტი წვლილი შეაქვთ გაერთიანების განმტკიცებასა და უფრო ინტენსიურად ქცევაში; იმ ადამიანური დამხმარე ძალის და ფინანსურ ღირებულებათა გარეშე, რომლებიც თავადებს ქალაქის ფენებიდან, მზარდი კომერციალიზაციიდან მიეწოდებათ, მოუაზრებელი იქნებოდა როგორც ექსპანსია, ისე ამ საუკუნის ხელისუფლების ორგანიზაცია; მაგრამ ეს ქალაქები და კომერციალიზება ჯერ კიდევ უფრო გაშუალებულად და უფრო მეტად თავადთა სახლების ინსტრუმენტების ან ორგანოების სახით მოქმედებს, უფრო დიდ

მხარეთა ინტეგრაციის მიზნით. ეს, მხარეთა ინტეგრირება და გაერთიანება, პირველ რიგში, ნიშნავს მეომართა ერთი სახლის გამარჯვებას მეორეზე, მაშასადამე ერთის ჩაკარგვას მეორეში ან უკეთეს შემთხვევაში, მის დამორჩილებას, მის დამოკიდებულებას გამარჯვებულზე.

თუ ხსენებულ რეგიონს ამ თვალსაზრისით განვიხილავთ, როგორც ის უკვე მე-14 საუკუნის დასაწყისში იყო წარმოდგენილი კაპეტინგების პირდაპირ შთამომავალთა ამოწყვეტის შემდეგ, მაშინ შევამჩნევთ ცვლილების მიმართულებას. პატარა და საშუალო მეომართა ოჯახების ბრძოლა მინებისა და კიდევ უფრო მეტი მინებისათვის ცხადია, არ შეწყვეტილა; მაგრამ ეს მტრობა სულაც აღარ თამაშობს იმ როლს, რომელსაც ის ლუი VI-ის და უფრო მეტად მის წინაპართა დროს თამაშობდა. მაშინ მინები შედარებით თანაბრად იყო ბევრ ადამიანს შორის განაწილებული; რა თქმა უნდა, იყო ქონებრივი განსხვავებანი, რომლებიც იმ დროს მცხოვრებთ, მართლაც, მნიშვნელოვნად შეიძლებოდა მოსჩვენებოდათ, მაგრამ თვით ნომინალურ თავადთა სახლების საკუთრება და ამით ძალისმიერი საშუალებანიც იმდენად მცირე იყო, რომ მათ სამფლობელოში მცხოვრებ რაინდთა ოჯახების მთელ რიგს შეეძლო გაჯიბრებოდა მათ, როგორც მეტოქეებს ან კონკურენტებს, მინის ან ძალაუფლებითი შანსების თვალსაზრისით; რამდენად ჩერთვებოდნენ ისინი ამ ბრძოლაში, მთლიანად, ამ სახლების „კერძო ინიციატივაზე" იყო მინდობილი. უკვე, მე-14 საუკუნეში, ეს სახლები ცალ-ცალკე, არავითარ ანგარიშგასაწევ ძალას აღარ წარმოადგენენ. თუმცა, ერთად, როგორც ფენას, მათ გარკვეული, სოციალური წონა აქვთ; მაგრამ მნიშვნელოვანი ინიციატივა ახლა მხოლოდ მეომართა ძალზე მცირერიცხოვანი სახლების ხელშია, რომლებიც აქამდე გამარჯვებული გამოდიოდნენ შესარჩევი ბრძოლებიდან და რომლებმაც იმხელა მინების აკუმულაცია მოახდინეს, რომ მეომართა სხვა სახლებს აღარ შეუძლია გაეჯიბრონ მათ, არამედ მხოლოდ მათზე დამოკიდებულებაში შეიძლება იმოქმედონ. მეომართა უმეტეს ნაწილს დიდწილად ჩაკეტილი აქვს იმის შესაძლებლობა, რომ უშუალოდ საკუთარი, სოციალური ძალით, მაშასადამე, თავისუფალი კონკურენციის გზით, მოიპოვოს ახალი მინები და ამით შესაძლებლობაც, დამოუკიდებელი სოციალური წინსვლისა. მეომართა ყოველი სახლი, სულ მცირე, იქ უნდა დარჩეს, რა ადგილიც უკვე უჭირავს სოციალურ კიბეზე, თუ რომელიმე მისი წევრი არ მოახერხებს მთლად დიდი ბატონების კეთილგანწყობისა და მათზე დამოკიდებულების საშუალებით მაღლა გადაინაცვლოს.

მათი რიცხვი, რომლებსაც დასავლეთ-ფრანკული მხარის ველში ჯერ კიდევ შეუძლიათ, როგორც დამოუკიდებელ მმართველებს, ერთმანეთთან კონკურენციაში შესვლა მინისა და ძალაუფლებითი შანსებისათვის, სულ უფრო და უფრო მცირდება. აღარ არსებობს ნორმანდიისა და აქვიტანიის დამოუკიდებელი საჰერცოგო სახლი;

აღზევებული ან დამდაბლებულნი არიან, თუნდაც, ყველაზე დიდი სახლები რომ დავასახელოთ, შამპანის, ანჟუს და ტულუზის საგრაფო სახლები. ამ მხარეში ილ დე ფრანსის სახლის გვერდით კიდევ ოთხი სახლი შეიძლება დავთვალოთ: ბურგუნდიის ჰერცოგი, ბრეტანის ჰერცოგი, ფლანდრიის გრაფები და ყველაზე ძლიერნი, ინგლისის მეფენი, გიენის ჰერცოგები და რამდენიმე პატარა მხარის ბატონები. შედარებით თავისუფალი კონკურენციის მეომართა საზოგადოება მონოპოლიურად შეზღუდული კონკურენციის საზოგადოებად გადაიქცა; და ხუთი დიდი მეომარის სახლიდან, რომლებიც ასე თუ ისე, გარკვეულწილად კვლავ ფლობენ კონკურენტუნარიან ძალაუფლების საშუალებებს და ამის შესაბამისად, გარკვეულ დამოუკიდებლობასაც ინარჩუნებენ, კვლავ ორი სახლი გამოირჩევა, როგორც უძლიერესი, კაპეტინგები და მათ მემკვიდრენი, საფრანგეთის მეფეები და პლანტაგენეტები, ინგლისის მეფენი. მათ დაპირისპირებაში უნდა გადაწყდეს, ვის ექნება ბატონობის სრული მონოპოლია ყოფილ დასავლეთ-ფრანკულ მხარეში და სად არის მონოპოლიური მხარის ცენტრი, მისი საზღვრები.

ცენტრიდანული ძალების ახალი მომძლავრება: პრინცების კონკურენტული წრე

8. მაგრამ მმართველობის მონოპოლიის წარმოქმნა შემდეგშიც ისე სწორხაზოვნად არ მიმდინარეობს, როგორც ეს მარტოოდენ მიწების აკუმულაციის განხილვისას ჩანს. რაც უფრო იზრდება მიწის საკუთრება, რომელსაც იქ კაპეტინგები ერთიმეორის მიყოლებით აერთიანებენ და მის ცენტრალიზებას ახდენენ, სულ უფრო აშკარად იჩენს თავს სანინააღმდეგო მიმართულების მოძრაობაც; მით უფრო ძლიერდება ხელახლა დეცენტრალიზაციის ტენდენციაც; და ნინა, უპირატესად ნატურალური მეურნეობის ფაზის მსგავსად, როგორც მაგალითად კაროლინგების ეპოქაში, ეს მოძრაობა მით უფრო ხშირადაა წარმოდგენილი მონოპოლისტი მმართველების უახლოესი ნათესავებისა და ვასალების სახით. მაგრამ საზოგადოებრივი ძალების თამაშის წესები, რომლებიც დეცენტრალიზაციას ახორციელებენ, მნიშვნელოვნად შეიცვალა. ფული, წარმოება და ვაჭრობა საზოგადოებაში უკვე ბევრად უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვიდრე მაშინ; ადამიანთა ჯგუფებმა, რომლებიც ამ საქმიანობით პროფესიულად არიან დაკავებულნი, ბურჟუაზიამ, სოციალური წონა შეიძინა; განვითარდა მიმოსვლის საშუალებები; ყველაფერი ეს უფრო დიდი რეგიონის სახელისუფლო ორგანიზაციას იმ შანსებს სთავაზობს, რომლებიც ადრე არ არსებობდა. მსახურებს, რომელთაც ცენტრალური მმართველი თავისი მამულის სამართავად და სადარაჯოდ სოფლად უშვებს, ისე მარტივად აღარ შეუძლიათ მოიპოვონ დამოუკიდებლობა. გარდა ამისა, ცენტრალურ მმართველთა ამ

დამხმარეთა და მსახურთა მზარდი ნაწილი წარმომავლობით ქალაქური ფენებიდანაა; საფრთხე, რომ ამგვარი ბურჟუები ცენტრალურ მმართველთა მსახურებიდან მათ კონკურენტებად გარდაიქმნებიან, შეუდარებლად ნაკლებია, ვიდრე უწინ, როცა ცენტრალურ მმართველს დამხმარეთა ნაწილი მეომართა ფენიდან უნდა აეყვანა, რადგან მაშინ თვით არათავისუფალნი, რომელთაც ის ზრდიდა, თავიანთი სამსახურისათვის ანაზღაურების სახით გადაცემული მამულის წყალობით, ძალზე სწრაფად გადადიოდნენ სახელისუფლო პოზიციაში და ამით მეომრის ან არისტოკრატის სოციალურ რანგშიც კი.

მაგრამ ძალზე დიდი საკუთრების ერთ ხელში თავმოყრას ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად ემუქრებოდა ადამიანთა გარკვეული სოციალური კატეგორია. შეიძლება მათი ძალაუფლება შემცირდეს, მოქმედების მეთოდები შეიცვალოს, მაგრამ ისინი არიან და შეცვლილ სოციალურ პირობებშიც ხელახლა იქცევიან დეცენტრალიზაციის ძირითად ექსპონენტებად: ესენი არიან ცენტრალურ მმართველთა უახლოესი ნათესავები, მაშასადამე, მისი ძმები, ვაჟები და გარკვეულ შემთხვევებში, თუმცა უფრო იშვიათად, მისი დები და ქალიშვილებიც.

ამ დროს სამფლობელო და სახელისუფლო მონოპოლია, ფაქტიურად, არ წარმოადგენს ერთი ცალკეული ინდივიდის საკუთრებას; ეს ჯერ კიდევ დიდწილად ოჯახის საკუთრებას, მეომრის სახლის ქონებას ქმნის; ამ სახლის ყველა უახლოეს ნათესავს პრეტენზია აქვს და წამოაყენებს მას, სულ მცირე, ამ საკუთრების ნაწილთან მიმართებაში მაინც; ეს არის ის პრეტენზია, რომლის იგნორირება სახლის მოქმედ მმართველს, ჯერ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში, მით უფრო ნაკლებ სურდა ან შეეძლო, რაც უფრო დიდი იყო ოჯახის მამული. ცხადია, აქ საუბარი არ არის „სამართლებრივ პრეტენზიაზე", ამ სიტყვის გვიანდელი აზრით. ამ საზოგადოებაში, თითქმის, მხოლოდ ჩანასახების ფორმით მოქმედებს ზოგადი ანუ საყოველთაო „სამართალი", რომელსაც დიდი მხედართმთავრებიც კი დაემორჩილებოდნენ; რადგან ჯერ არ არსებობს ყოვლისმომცველი ძალაუფლება, რომელიც ასეთი სამართლის რეალიზებას შესძლებდა. მხოლოდ ძალისმიერ მონოპოლიათა ჩამოყალიბებასთან, მმართველობით ფუნქციათა ცენტრალიზებასთან ერთად დადგინდება ზოგადი სამართალი, საერთო სამართლებრივი კოდექსი დიდი რეგიონებისათვის. ბავშვების გამოკვება და უზრუნველყოფა სოციალური მოვალეობაა, რომელსაც საკმაოდ ხშირად ვხვდებით „Coutumes"-ში წერილობითი ფორმით, როგორც ჩვეულებას. ცხადია, ამ ჩვეულების დაცვა მხოლოდ შეძლებულ ოჯახებს შეეძლოთ; სწორედ ამიტომ, ამ ჩვეულებას უკავშირებოდა მათი მეტ-ნაკლებად დიდი პრესტიჟი. როგორ შეეძლო ამ პრესტიჟული მოვალეობისათვის თავი აერიდებინა ქვეყნის ყველაზე მდიდარ სახლს, სამეფო სახლს?

გარკვეული სახლის ტერიტორიული სამფლობელო შემდგომაც, ისევე როგორც უწინ (თუმცა ყოველთვის შეზღუდული აზრით), არის ის, რასაც ჩვენ კერძო საკუთრებას ვუწოდებთ. ამ სახლის უფროსი

ისევე შეუზღუდავად და ალბათ, უფრო შეუზღუდავადაც განაგებს მას, ვიდრე მაგალითად, დღეს დიდი მიწათმფლობელი თავის მამულებს ან დიდი საოჯახო ბიზნესის შეფი თავის კაპიტალს, შემოსავლებს და ცალკეულ განშტოებებს. მას შეუძლია თავისი რომელიმე მამულის გამოცალკევება უმცროსი შვილის სასარგებლოდ ან ქალიშვილის მზითვისათვის, ისე რომ არ დაეკითხოს ამ მამულის სხვა მცხოვრებლებს, გლეხებსა თუ მოსამსახურეებს, მოსწონთ თუ არა მათ ახალი ბატონი, თუ როგორ ამოიღებს თავისი ქალიშვილის მზითვისათვის საჭირო კაპიტალს ან როგორ აქცევს თავის ვაჟს წარმოების ერთ-ერთი განშტოების ხელმძღვანელად, ამასთან სულაც არ არის ვალდებული ანგარიში ჩააბაროს თავის ხელქვეითებს. ზუსტად ასევე განაგებენ თავადები იმ ადრეულ ფაზაში თავიანთი სამფლობელოს სოფლებს, ქალაქებს, მამულებს და ტერიტორიებს. და იმპულსი, რომლითაც დიდი მამულის ბატონი თავისი ვაჟებისა და ქალიშვილების უზრუნველყოფას ცდილობს, აქ დიდწილად იგივეა, რაც იქ. მხედველობაში თუ არ მივიღებთ ბატონის შესაძლო სიყვარულს ერთ-ერთი თავისი უმცროსი შვილის მიმართ, მემკვიდრეთა წოდების შესატყვისად უზრუნველყოფა ამ სახლის სოციალური სტანდარტის შენარჩუნებასა და დემონსტრირებას (სულ ცოტა, ასე წარმოუდგება სიტუაცია უშუალოდ მოცემულზე მიმართულ მზერას), ძალაუფლების შანსების ზრდას და სახლის ხანგრძლივ არსებობას ემსახურება. ის, რომ საკუთრებისა და სახელისუფლო ფუნქციათა გაცემა ოჯახის წევრთა სასარგებლოდ ძალზე ხშირად სწორედ სახლის ძალაუფლებას და დღეგრძელობას აზარალებს, არის ფაქტი, რომელიც მეფეთა ცნობიერებაში ხშირად მხოლოდ მტკივნეულ გამოცდილებათა გრძელი რიგის შემდეგ დამკვიდრდება. საბოლოო და სრული დასკვნები ასეთი გამოცდილებიდან საფრანგეთში, არსებითად, პირველად ლუი XIV-მ გააკეთა. მან თავისი სახლის ყველა ნათესავი, თვით ტახტის მემკვიდრეებიც კი შეუბრალებელი სიმკაცრით ჩამოაშორა (რამდენადაც ამის გაკეთება შესაძლებელი იყო), ყველა მმართველობით ფუნქციას და ყოველ დამოუკიდებელ სახელისუფლო პოზიციას.

9. განვითარების ამ ხაზის დასაწყისში, იმ ადრეულ ფაზაში, რომელშიც კაპეტინგების სახლის საკუთრება ცოტათი მეტად მნიშვნელოვანი თუა, ვიდრე ქვეყნის მეომართა სხვა ოჯახებისა, აშკარად არსებობს საფრთხე, რომელიც ამ საკუთრების ყოველგვარ დანაწილებას შეიძლება მოჰყვეს. თითქმის არ წყდება მეზობელ ფეოდალთა ოჯახების პირდაპირი მუქარა. ეს ყოველ ოჯახს ადამიანთა შეკავშირებისა და საკუთრების შეერთებისაკენ უბიძგებს. ცხადია, ჩხუბობენ, კამათობენ, აქაც ებრძვიან ერთმანეთს, როგორც ყველგან, ერთი სახლის შიგნითაც კი, მაგრამ ამავე დროს მთელი ოჯახი ან სულ მცირე, მისი გარკვეული ნაწილი, ყოველთვის სახლის საკუთრების დასაცავად მუშაობს და აუცილებლობის შემთხვევაში მისი გაფართოებისთვისაც იღწვის. მეფის ოჯახის შედარებით მცირე საკუთრება, ისევე

როგორც მეომართა ყველა სხვა ოჯახისა, ავტარკიულია; მათ აკლიათ გამოკვეთილი, სოციალური წონა; არსებითად, ამას მეტწილად პატარა, საოჯახო წარმოების ხასიათი აქვს. ოჯახის უფროსის ძმებს, ვაჟებს, ასევე დედებს და ცოლებს, თავიანთი პიროვნული ძლიერებისა და გარემოებისდა მიხედვით, თავიანთი სიტყვა ეთქმით მამულის მართვის საქმეში. მაგრამ, სახლის საკუთრებიდან რაიმე მნიშვნელოვანი ნაწილის გამოყოფა და რომელიმე ცალკეული წევრისათვის გადაცემა პირად საკუთრებაში აზრადაც არ მოსდით. მართალია, ოჯახის თავის უმცროსი შვილები აქა-იქ იღებენ პატარა მამულებს ან ქორწინების გზით შეიძენენ მცირე საკუთრებას, მაგრამ ხანდახან ვხვდებით ცნობებს ამა თუ იმ სამეფო სახლის უმცროს ვაჟზე, რომელიც საკმაოდ ღარიბული ცხოვრებით ცხოვრობს.

ეს სიტუაცია მით უფრო რადიკალურად იცვლება, რაც უფრო მდიდარი ხდება სამეფო სახლი. როცა საბოლოოდ, კაპეტინგების სახლი მთელი ტერიტორიის თუ მთელი ქვეყნის უმდიდრეს ოჯახადაც კი იქცევა, უმცროს ვაჟს წვრილი რაინდის მსგავსად ცხოვრების ნებასაც კი აღარ აძლევენ. თვით სამეფო სახლის გარეგნული სახე მოითხოვს, რომ მისი ყველა წევრი, მეფის უმცროსი ვაჟები და ქალიშვილები თავიანთი წოდების შესაბამისად იყვნენ უზრუნველყოფილი, კერძოდ, მიიღონ მეტ-ნაკლებად დიდი ფართობის რეგიონი, რომელზედაც ისინი იბატონებენ და რომლის შემოსავლითაც იცხოვრებენ. გარდა ამისა, ახლა, როცა კაპეტინგები საკუთრებისა და ძალაუფლების თვალსაზრისით ბევრად ამაღლდნენ ქვეყნის ყველა სხვა ოჯახზე. ისე უშუალოდ აღარ იგრძნობა სახლის საკუთრების დაქუცმაცების საფრთხე. და ასე, კაპეტინგების სამფლობელოს ზრდასთან ერთად განუწყვეტლივ მატულობს იმ მხარეთა ფართობი, რომლებიც მეფის უმცროს შვილებს აპანაჟის სახით მიეცემათ. დეზინტეგრაცია ახალ საფუძველზე იწყებს ამოქმედებას.

ლუი VI სქელი, თავის ვაჟს რობერს დრიეს სახით არცთუ დიდ საგრაფოს აძლევს. ფილიპ ავგუსტუსს, კაცს, რომლის მმართველობის დროსაც იწყება ჩამორჩენილობიდან პირველი დიდი წინსვლა, ჯერ კიდევ მტკიცედ უჭირავს ძნელად მოპოვებული მამული; ერთადერთი, რასაც ის თავისი დის მზითვისათვის გასცემს, არის სენ-რიკიეს პატარა სამფლობელო.

ლუი VIII უკვე თავის ანდერძში განსაზღვრავს, რომ აპანაჟის სახით მის ვაჟებს უნდა გადაეცეს არტუას, პუატიეს, ანჟუს და მენის საგრაფოები, მაშასადამე სახლის საკუთრების მნიშვნელოვანი ნაწილი, თუმცა არა მისი ბირთვი.

ლუი IX თავის ვაჟებს აპანაჟის სახით აძლევს ალანსონს, პერშს და კლერმონს; ფილიპ III უმცროს ვაჟს ვალუას საგრაფოთი უზრუნველყოფს. მაგრამ, პუატიე, ალანსონი და პერში ისევ კაპეტინგების სახლს უბრუნდება, როცა მისი სამეფო წარმომავლობის მფლობელები ვაჟი მემკვიდრის გარეშე გარდაიცვლებიან.

1285 წელს ხუთი საგრაფო: დრიეს, არტუას, ანჟუს, კლერმონისა

და ვალუას საგრაფოები აპანაჟის სახით გამოეყო სამეფო სახლის საკუთრებას. 1328 წელს შარლ ლამაზის გარდაცვალების მომენტისათვის ცხრა ასეთი საგრაფო იყო.

როცა ფილიპ ფონ ვალუა მემკვიდრეობით იღებს თავისი სახლის მამულს და კაპეტინგთა გვირგვინს, მისი სახლის აპანაჟები ვალუა, ანჟუ და მენი ისევ ხელისუფლების სათავეში მყოფი ოჯახის დიდ მამულებს უერთდება. შარტრის საგრაფო კიდევ ერთი ვალუას სიკვდილის შემდეგ სამეფო სახლის მამულებს უბრუნდება. თვითონ ფილიპი ამის გარდა კიდევ რამდენიმე პატარა სამფლობელოს შემოიერთებს, მათ შორის მონპელიეს სამთავროს, რომელსაც ის მაიორკას მეფისაგან გამოისყიდის. მაგრამ, პირველ ყოვლისა, მათთან ერთად კაპეტინგთა საკუთრებაში გადადის დოფინე; ამით კაპეტინგთა ექსპანსია ერთი დიდი ნაბიჯით წაიწევს წინ აღმოსავლეთით, დასავლეთ-ფრანკული იმპერიის ტრადიციულ საზღვრებს იქით, ყოფილი ლოტარინგიის მხარეში, სწორედ ის ექსპანსია, რომელიც ჯერ კიდევ ფილიპ ლამაზმა განახორციელა ლიონის საარქიეპისკოპოსოს შემოერთებით, ტულსა და ვერდენის საეპისკოპოსო ქალაქებთან მჭიდრო კავშირის გზით.

მაგრამ ის მეთოდი, რომლითაც დოფინე პარიზელი მეფეების მფლობელობაში შემოდის, ისევე აღწერს ამ ეპოქის ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის მოსურნე ძალებს, როგორც აპანაჟის მნიშვნელობას. დოფინე ეკუთვნოდა არელატისა და ბურგუნდიის იმპერიას, რომელიც ლოტარინგიის ცენტრალური სამეფოს გაგრძელებაზე შეიქმნა, რონისა და საონის აღმოსავლეთით. მისი ბოლო მმართველი, ჰუბერ II, თავისი ერთადერთი ვაჟის სიკვდილის შემდეგ სამეფოს კაპეტინგებს გადასცემს მემკვიდრეობაში ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მიჰყიდის გარკვეული პირობებით; ეს პირობები გულისხმობს მისი უზარმაზარი ვალების გადახდას, აგრეთვე იმ პირობას, რომ დოფინე ფილიპ II-მ უნდა მიიღოს და არა მისმა უფროსმა ვაჟმა. ალბათ, დოფინეს მფლობელს სურს, რომ თავისი მამული მისცეს მას, ვინც საკმარისად მდიდარია, რათა იმ თანხის გადახდა შეძლოს, რაც მას სჭირდება; ილ დე ფრანსის მეფეებისათვის მისი გადაცემით ის მამულს, მისი სიკვდილის შემდეგ სხვა მეზობლების დავის ობიექტად ქცევისაგანაც დაიცავს, რადგან პარიზელ მეფეებს საკმარისი ძალა შესწევთ თავიანთი მემკვიდრეობის დასაცავად. და ეს არ არის ერთადერთი მაგალითი იმ მიზიდულობის ძალისა, რომელსაც კაპეტინგთა ოჯახის ძლიერი ხელისუფლება უფრო სუსტ მეზობლებზე მიმართავს; შედარებით სუატენის დაკვის მოთხოვნილებაც ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ხელს უწყობს და განაგრძობს ცენტრალიზაციისა და მონოპოლიზაციის პროცესს მას შემდეგ, რაც მან უკვე მიაღწია გარკვეულ საზღვრებს.

მაგრამ, ამავე დროს, ძველ მმართველს, რომელსაც მემკვიდრეობა ეკუთვნოდა, არ სურს, რომ მისმა საკუთრებელმა, დოფინემ, საფრან-

გეთის საკუთრებაში გადასვლით მთლიანად დაკარგოს დამოუკიდებლობა. ამიტომ, მოითხოვს, რომ მისი მხარე მეფის მეორე ვაჟს გადაეცეს აპანაჟის სახით. ალბათ, ამას უკავშირდება ის მოლოდინი, რომ ეს მხარე ამით გადარჩება, როგორც კერძო სამფლობელო სახლი და გარკვეულწილად დამოუკიდებელ არსებობას შეინარჩუნებს. აქტიურად, იმ ეპოქაში უფრო და უფრო გამოკვეთილად იწყება ამ მიმართულებით აპანაჟის ფორმით არსებულ მხარეთა განვითარება.

მაგრამ ფილიპ ფონ ვალუა ამ შეთანხმებას არ იცავს. ის დოფინეს ნაცვლად უმცროსისა, უფროს ვაჟს, ტახტის მემკვიდრე იოანეს აძლევს, „იმის გათვალისწინებით"(ასე ახსნის ამ ფაქტს დადგენილება[9]), „რომ დოფინე საზღვარზე მდებარეობს. სამეფო იმპერიის დაცვისა და უსაფრთხოების მიზნით აუცილებელია ძლიერი ხელისუფლება დოფინეში და თუ ამას სხვაგვარად გააკეთებდნენ, სამეფო იმპერიას დიდი საფრთხე დაემუქრებოდა." ამ პერიოდში საკმაოდ ნათლადაა გაცნობიერებული საფრთხე, რომელიც მხარეთა გამოყოფის გამო უმცროს ვაჟებს უკავშირდება; ამას ასაბუთებს მთელი რიგი გამონათქვამები; მაგრამ მეფის წინაშე კვლავ დგას უმცროსი ვაჟების ღირსეულად უზრუნველყოფის აუცილებლობა. მართალია, მან თავის უმცროს ვაჟს უსაფრთხოების დაცვის მიზნით დოფინეზე უარი უთხრა, მაგრამ ამის სანაცვლოდ ის მას აძლევს ორლეანის მხარეს, საჰერცოგოს სახით და გარდა ამისა, მთელ რიგ საგრაფოებს.

და მისი უფროსი ვაჟი, იოანე ქველი, სწორედ ის ადამიანი, რომელსაც ამგვარად ერგო დოფინე, მამის სიკვდილის შემდეგ, უფრო შორს მიდის, როგორც მთელი ამ რეგიონის მეფე: ის უშურველად გასცემს. თავდაპირველად ის გაასხვისებს დომენის საკუთრებიდან ჯერ ორ საგრაფოს და მერე ოთხ ვიცე საგრაფოს. თავის მეორე ვაჟს, ლუის ის ანჟუთი და მენით უზრუნველყოფს, მისი უმცროსი ვაჟი კი პუატიეს და მოგვიანებით მასონის საგრაფოებს მიიღებს. ამას მოჰყვება კიდევ უფრო დიდი დასაჩუქრებანი.

10. იოან ქველი 1350 წელს მოვიდა ხელისუფლებაში. უკვე დიდი ხნიდან მოყოლებული, ჯერ კიდევ მისი წინაპრების მმართველობის დროს იფეთქა ფარულმა დაძაბულობამ ორ, ყველაზე დიდ სამფლობელოს და ყოფილი დასავლეთ ფრანკული მხარის მეომართა ორ უძლიერეს ოჯახს შორის; 1337 წელს დაედო სათავე საომარ დაპირისპირებათა იმ ჯაჭვს, რომელსაც „ასწლიან ომს" უწოდებენ. პლანტაგენეტთათვის, კუნძულის მეფეებისათვის, ქვეყნის კონტინენტურ ნაწილში შემდგომი ექსპანსია სრულიად გამორიცხულია; სანამ მათ არ გაანადგურეს კაპეტინგთა მმართველობა და თავიდან არ აიცილეს სხვა ძლიერი ჰეგემონიის წარმოქმნა კონტინენტზე, გამუდმებით საფრთხე ემუქრებოდა მათ აქამდელ მამულებსაც ქვეყნის კონტინენტურ ნაწილში. და პირიქით, პარიზელი მეფეებისათვის ძალზე შეზღუდულია შემდგომი ექსპანსიის შესაძლებლობანი, მათი სახელისუფლო პოზიციაც მუდმივად საფრთხეშია, სანამ კუნძულის

მკვიდრნი არ დამარცხდებიან ან სულ ცოტა, კონტინენტური ნაწილიდან არ იქნებიან გაძევებულნი. ნამდვილი კონკურენტული სიტუაციის მკაცრი აუცილებლობაა ის, რაც ამ ორივე სახლს, მათზე დამოკიდებულ ადამიანებთან ერთად, ერთმანეთის წინააღმდეგ ამოძრავებს და რაც ბრძოლის ხანგრძლივობას განსაზღვრავს, რადგან დიდი ხნის განმავლობაში არცერთ ძირითად მოქმედ აქტორს ამ ბრძოლისა არ შეუძლია გადამწყვეტი დარტყმა მიაყენოს მეორეს.

მაგრამ, თავდაპირველად, პარიზელი მეფენი სხვა მრავალმხრივი საფუძვლებიდან გამომდინარე, წამგებიან მდგომარეობაში არიან. 1356 წელს, პუატიესთან ბრძოლაში იოანე ქველი ინგლისის ტახტის მემკვიდრემ, უელსის პრინცმა დაატყვევა და ინგლისში გაგზავნა. მაშინვე, როგორც კი ასპარეზზე რეგენტის რანგში ტახტის მემკვიდრე, დოფინი შარლი გამოდის, რომელსაც ჯერ კიდევ არ შესრულებია ოცი წელი, მის მხარეში თავს იჩენს ფარული დაძაბულობანი: რევოლუცია პარიზში, გლეხთა აჯანყებები და რაინდთა ყაჩაღობა ქვეყანაში. ინგლისური სამხედრო რაზმები, დაკავშირებულნი არიან რა კაპეტინების სახლის სხვა მემკვიდრესთან, ნავარას მეფესთან, რომელმაც მემკვიდრებით მიიღო ოდესღაც აპანაჟის სახით გაცემული მამული, იკავებენ დასავლეთ საფრანგეთის დიდ მიწებს; ისინი თვით პარიზის მიდამოებამდე აღწევენ; იოანე ქველი გათავისუფლების მიზნით ახალ ხელშეკრულებას აფორმებს პლანტაგენეტებთან და მათ მოკავშირეებთან, რომლითაც ხელახლა გადასცემს მათ მთელ კონტინენტურ ნაწილს, რომელსაც ბოლოს, მე-12 საუკუნის დასაწყისში, ჯერ კიდევ რიჩარდ ლომგული განაგებდა. მაგრამ ფრანგული სამფლობელოს გენერალიტეტი, რომელიც დოფინმა 1356 წელს შეკრიბა, აცხადებს, რომ ასეთი ხელშეკრულების დადება დაუშვებელია და არ უნდა განხორციელდეს; მასზე ერთადერთი ღირსეული პასუხი კარგი ბრძოლა იქნებოდა. და ეს უეჭველად იმის ნათელი გამოხატულებაა, რამდენად გაძლიერდა კაპეტინგების მემკვიდრეთა დიდ მამულში ის ურთიერთდამოკიდებულება, ქვეშევრდომთა ის გავლენა და კერძო ინტერესები, რომელიც მეფის ფუნქციას თანდათან აცლიდა კერძო მონოპოლიის ხასიათს. მაგრამ, თავდაპირველად, ეს პროცესი საწყის ეტაპზეა. ბრძოლა ხელახლა იწყება და ბრეტინის ხელშეკრულება, რომელსაც ის 1359 წელს დროებით გააფორმებს, იმაზე უფრო ხელსაყრელია ვალუასათვის, რომელიც თავად იოანემ დადო ინგლისში; თუმცა, დაახლოებით იმის მეოთხედი, რასაც ოდესღაც ფილიპ ლამაზი განაგებდა, ისევ პლანტაგენეტებს უნდა გადასცემოდა, პირველ ყოვლისა, ლუარის სამხრეთით: პუატუ, სენტონჟი, ონი, ლიმუზინი, პერიგორი, კერსი, ბიგორი და კიდევ სხვა მხარეები, რომლებიც გიენის ძველ ინგლისურ სამფლობელოსთან ერთად აქვიტანიის სამეფოს ქმნიდნენ; უფრო შორს, ჩრდილოეთით კალე, გინის საგრაფო, პონტიე და მონრეი-სიურ-მერი; ამას ემატება სამი მილიონი ოქროს ტალერი მეფის გამოსასყიდად, ნაცვლად

ლონდონის ხელშეკრულებაში მოთხოვნილი ოთხი მილიონი ტალერისა. მაგრამ როცა თავად ეს პატიოსანი და რაინდი ადამიანი ტყვეობიდან უკან დაბრუნდა, აშკარად არ დარჩენია შეუმჩნეველი დამარცხების მნიშვნელობა. მისი ქცევა ამ სიტუაციაში ნათლად აჩვენებს, რამდენად არის ის ჯერ კიდევ მთელი მხარის მმართველობის უფლების მქონე გამგებელი, მხარისა, რომელიც მას რჩება და რომლიდანაც ოდესღაც „საფრანგეთი", სახელმწიფო და ერი წარმოდგება. ის გრძნობს, რომ მისმა სახლმა, მართლაც, პირველად უნდა აჩვენოს გარეგნული ბრწყინვალება. დამარცხებით გამოწვეული არასრულფასოვნების შეგრძნება აქ საკუთარი პრესტიჟის ხაზგასმისაკენ უბიძგებს. და ის აღმოაჩენს, რომ მისი სახლის ღირსება და ბრწყინვალება საუკეთესო გამოხატულებას ჰპოვებს, თუ მისი ვაჟები სამშვიდობო ხელშეკრულების რატიფიკაციისას ჰერცოგებად წარმოდგებიან. ერთ-ერთი პირველი აქტი მისი ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ არის ვაჟებისათვის თავისი სამფლობელოდან აპანაჟის სახით გაცემული მამულების საჰერცოგოებად გარდაქმნა. მისი უფროსი ვაჟი უკვე ნორმანდიისა და დოფინეს ჰერცოგია, მომდევნოს ის ლუის, ანჟუს და მენის ჰერცოგად აქცევს, იოანეს, კი, საჰერცოგოს სახით გადასცემს ბერის და ოვერნს და ყველაზე უმცროსს ფილიპს — ტურენს. ეს იყო 1360 წელს.

ერთი წლის შემდეგ, 1361 წელს კვდება ბურგუნდიის ახალგაზრდა, 15 წლის ჰერცოგი. მან ორი წლით ადრე იქორწინა მარგარეტზე, ფლანდრიის გრაფის ქალიშვილსა და ერთადერთ მემკვიდრეზე, მაგრამ ჰერცოგი ისე კვდება, რომ შვილები არ რჩება. ეს არის დიდი მხარე, რომელიც ახალგაზრდა ჰერცოგის მოულოდნელი სიკვდილის გამო მეფის გარეშე აღმოჩნდება; მას მიეკუთვნება არა მხოლოდ თავად ბურგუნდიის საჰერცოგო, არამედ ბულონისა და ოვერნის საგრაფოები, გარდა ამისა დასავლეთ-ფრანკული იმპერიის ტრადიციული საზღვრების იქით ბურგუნდიის საგრაფო, ფრანშ-კონტე და სხვა მიწები. იოანე ქველი პრეტენზიას აცხადებს მთელს ამ საკუთრებაზე რთული, ნათესაური კავშირების საფუძველზე. არ არსებობს ადამიანი, ვინც ამას საკამათოდ გახდის და ის 1363 წელს გადასცემს ამ მხარეს უმცროს ვაჟს, ფილიპს, რომელიც მას განსაკუთრებით უყვარს და რომელიც გამორჩეულად მამცურად იბრძოდა პუატიესთან მის მხარდამხარ. ის თან გაჰყვა მას ტყვეობაშიც. ფილიპი იღებს ამ მიწებს აპანაჟის სახით, ტურენის სანაცვლოდ, როგორც მეფე ამბობს, „იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ, ბუნებრივად ვართ განწყობილნი იმისათვის, მივცეთ ჩვენს შვილებს იმდენი, რომ მათ შეძლონ პატივი მიაგონ თავიანთი წარმომავლობის ბრწყინვალებას და რომ ჩვენ კიდევ უფრო დიდსულოვნად უნდა დავასაჩუქროთ ისინი, რომელთა დამსახურებანი განსაკუთრებული ხაზგასმით მოითხოვს ამას"[91].

ამ აპანაჟირების, მოტივაციის ფაქტები სავსებით ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს, რომ ფრანგულ ტერიტორიულ მმართველობას ამ

ეპოქაში ჯერ კიდევ საოჯახო საკუთრების ხასიათი აქვს; მაგრამ ისინი, ამავე დროს, აჩვენებენ როგორ ბიძგს აძლევს ეს ხასიათი დაქუცმაცებას. ცხადია, ამ დროს უკვე მოქმედებს საპირისპირო მიმართულების ტენდენციები, ტენდენციები, რომლებიც მმართველობის კერძო და დომენიალური ხასიათის უკანე პლანზე გადაწევას უწყობს ხელს; იმ ჯგუფების შესახებ, რომლებიც სასახლის კარზე ამ ტენდენციებს წარმოადგენენ, კიდევ იქნება საუბარი. და ის, რომ მისი მმართველობის დროს განსაკუთრებით მკვეთრად გამოიხატება ოჯახის პრესტიჟის გულისათვის მეფის ყველა ვაჟის მდიდრული უზრუნველყოფისაკენ მიდრეკილება, დიდწილად დამოკიდებულია პიროვნულ ხასიათზე, იოანე ქველის ინდივიდუალურ ბედზე. მაგრამ აშკარაა, რომ აქ ეს ტენდენცია არანაკლებ უკავშირდება კონკურენტული სიტუაციის გამწვავებას, რომლის გამოხატულებას ასწლიანი ომი წარმოადგენს და რომელიც დამარცხების შემდეგ, მართლაც პირველად უბიძგებს კაპეტინგების სახლის მემკვიდრეებს სიმდიდრის დამაჯერებელი დემონსტრაციისაკენ. ყოველ შემთხვევაში, იოანეს დროს ძლიერდება დიდ ოჯახურ სამფლობელოთა ერთი ძალზე სპეციფიკური ტენდენცია, რომელსაც კაპეტინგების სახლისოდენა მამულის მქონე ვერცერთი მანამდელი წარმომადგენელი ვერ გადაუხვევდა. მისი შედეგები ნათელია.

როცა იოანე ქველი გარდაიცვლება, ცენტრალური ფუნქციის არსებობა და დაკავება, მიუხედავად დასუსტებისა და დაღმასვლისა, სრულიადაც არ არის საეჭვო. ეს იმის გარკვეული გამოხატულებაა, თუ რა მძლავრად ჩაეყარა საფუძველი მხედართმთავრის ფუნქციის გვერდით ცენტრალური მმართველის ძალაუფლებრივი მდგომარეობის სხვა ფუნქციას. დოფინე, ფიზიკურად სუსტი, მაგრამ ჭკვიანი კაცი, რომელსაც ახალგაზრდობისდროინდელი განსაცდელის გამო კარგი გამოცდილება აქვს მიღებული, ხელისუფლებაში მოდის შარლ V-ის სახელით. ის არის ყველა იმ მამულის გამგებელი, რომელიც ბრეტინის ხელშეკრულებით კაპეტინგების მემკვიდრეებს გადაეცათ, მაშასადამე, აპანაჟის სახით გაცემული მიწებისაც. მაგრამ თუ უფრო კარგად დავაკვირდებით ხელისუფლების გადანაწილებას, მაშინ შევნიშნავთ, როგორ ძლიერდება ისევ ცენტრიდანული ძალები მეფის ამ აბსოლუტური ბატონობის საფარქვეშ. კაპეტინგების სამფლობელოში ხელახლა გამოიკვეთება ტერიტორიული წარმონაქმნების რიგი, რომლებიც მეტ-ნაკლებად აშკრად მიისწრაფიან დამოუკიდებლობისაკენ და რომლებიც ერთმანეთთან კონკურენტულ სიტუაციაში იმყოფებიან. მაგრამ რაც ამ კონკურენტულ სიტუაციას ყოფილ დასავლეთ-ფრანკულ მხარეში თავის სპეციფიკურ ხასიათს შესძენს, არის ის ფაქტი, რომ დაახლოებით ყველა, ვინც მასშია ჩართული, თვით კაპეტინგების სახლის შთამომავლებს წარმოდაგენენ. თუ მცირე გამონაკლისს მხედველობაში არ მივიღებთ, ესენი არიან აპანაჟის მქონენი და მათი მემკვიდრენი, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან, როგორც პოტენციური კონკურენტები თუ

მოქიშპენი. ცხადია, არსებობენ უფრო დიდი ტერიტორიული მმართველები, რომლებიც არ წარმოადგენენ ან პირდაპირ არ წარმოადგენენ სამეფო სახლის წევრებს. მაგრამ ისინი ძალაუფლებისათვის ბრძოლაში პირველი რიგის აქტორები აღარ არიან.

იოანე ქველის მმართველობის დროს მათ რიგებს მიეკუთვნება შარლ ბოროტიც, ნავარას მეფე. მისი მამა ფილიპ დ' ევრე, ფილიპ III-ს შვილიშვილი, ფილიპ ლამაზისა და შარლ ფონ ვალუას ძმისშვილი იყო; მისი დედა იყო ფილიპ ლამაზის შვილიშვილი, ლუი X-ს ქალიშვილი; ის, თავად, არის იოანე ქველის სიძე. გარდა ნავარას ტერიტორიისა პირენეებში, მას ეკუთვნოდა კაპეტინგების სახლის საკუთრების ოდესღაც აპანაჟის სახით გაცემული მიწები, პირველ ყოვლისა, დ'ევრეს საგრაფო და ნორმანდიის საჰერცოგოს ნაწილები. მისი საკუთრება, მართლაც, სახიფათოდ მიუახლოვდა თვით პარიზს.

შარლ ბოროტი ნავარელი ერთ-ერთი პირველი წარმომადგენელია თვით კაპეტინგების სახლის წევრებსა და აპანაჟის მფლობელებს შორის გამართული ამ ბრძოლის დასავლეთ-ფრანკულ მხარეში ჰეგემონიისა და საბოლოოდ, გვირგვინის მოსაპოვებლად. ის პლანტაგენეტების ძირითადი მოკავშირეა კონტინენტურ ნაწილში წარმოებული ასწლიანი ომის პირველ ფაზაში. ამ ომის მანძილზე, გარკვეული ხნის განმავლობაში, ის პარიზის მთავარი სამხედრო პირია (1358); ქალაქის ბურჟუაზია, თვით ეტიენ მარსელიც კი, ძირითადად, მის მხარეს დგას; და მისთვის, როგორც ჩანს, ძალიან მიუწვდომელი არ არის ოცნება, ხელიდან გამოგლიჯოს გვირგვინი კაპეტინგების სხვა მემკვიდრეებს. ცენტრალურ მმართველთა სახლისადმი მიკუთვნებულობა მას გარკვეული იმპულსებით, ძალისმიერი საშუალებებით და პრეტენზიებით აღჭურვავს, რომელიც სხვებს, გარეშე პირებს არ გააჩნიათ.

პლანტაგენეტი, რომელსაც ის შეეკვრება, ედუარდ III, სწორედ კაპეტინგების ძალზე ახლო ნათესავია, თუმცა დედის მხრიდან. ისიც ფილიპ III-ის შვილიშვილია, ფილიპ ლამაზისა და შარლ ფონ ვალუას დისშვილი; დედამისი ფილიპ ლამაზის ქალიშვილი და შარლ ფონ ვალუას დისშვილია. და ის კაპეტინგების ისეთივე ახლო ნათესავია, როგორც ფრანგი მეფე, იოანე ქველი, შარლ ფონ ვალუას შვილიშვილი.

ჩრდილოეთით პლანტაგენეტთა კონტინენტურ მიწებს უერთდება ის ფართობები, რომლებიც იოანე ქველმა უმცროს ვაჟებს უბოძა, ლუის — ანჟუს ჰერცოგის , იოანეს — ბერის ჰერცოგის და ფილიპ მამაცის — ბურგუნდიის ჰერცოგის, შემდეგ კი ლუის — ბურბონიის ჰერცოგის ტერიტორიები; ესეც, ბურბონიის ჰერცოგი, კაპეტინგების შთამომავალია; ის ფილიპ III-ს ძმის, რობერის, კლერმონის გრაფის შთამომავალია, რომელიც ბურბონიის მემკვიდრე ბეატრისზე დაქორწინდა; დედამისი ვალუაა; მისი და შარლ V-ს ცოლია; და მაშასადამე, ის დედის მხრიდან ვალუაა, შარლ VI-ის ბიძაა, ისევე როგორც ანჟუს, ბერისა და ბურგუნდიის ჰერცოგები მამის მხრიდან. ესენი არიან

ძირითადი აქტორები იოანე ქველის, შარლ V-ს და შარლ VI-ს ეპოქის დაძაბულობებისა და ბრძოლებისა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ პლანტაგენეტებს და ბურბონებს, ისინი, მთლიანობაში, კაპეტინგების მემკვიდრეობის აპანაჟის სახით გაცემულ მხარეთა მფლობელები არიან, რომლებიც თავის მხრივ, თავიანთი სახლების ძალაუფლების გაზრდისა და საბოლოოდ, ჰეგემონიისათვის იბრძვიან.

ძალთა თანაფარდობა ამ დაძაბულობის შიგნით, შარლ V-ს დროს, კიდევ ერთხელ გადაიხრება ხელისუფლებაში მყოფი ვალუებისაკენ. როცა ის კვდება, მისი ვაჟი და მემკვიდრე ჯერ 12 წლისაა. აქ, როგორც ყოველთვის, ხელის შემწყობი აღმოჩნდება გარემოებანი, მაგალითად, განსაზღვრული ტენდენციები, რომლებსაც განვითარების პროცესის მთლიანობიდან თუ განვიხილავთ, შემთხვევითი ხასიათი აქვს და რომლებიც უკვე სახეზეა საზოგადოების სტრუქტურაში. ვალუას ახალაგაზრდობა და სისუსტე აძლიერებს უკვე დიდი ხანის განმავლობაში მზარ ცენტრიდანულ ძალებს და მათ შორის დაძაბულობა აფეთქებამდე მიჰყავს.

შარლ V-მ დოფინე საბოლოოდ შემოუერთა სახლის საკუთრებას; მან კვლავ თავის გამგებლობის ქვეშ დააბრუნა ნავარას მეფის ნორმანული სამფლობელო, ისევე როგორც მთელი რიგი აპანაჟის სახით გაცემული მიწები, მათ შორის, ორლეანის საჰერცოგო და ოქსერის საგრაფო. მაგრამ მისი გარდაცვალების მომენტისათვის ქვეყანაში უკვე შვიდი დიდი ფეოდალია, რომლებიც წმინდა ლუის შთამომავალნი, მაშასადამე, კაპეტინგების სახლის მემკვიდრენი არიან; მათ ამ ეპოქაში "princes des fleurs de lis" უწოდებენ; და თუ რიგ წვრილ და საშუალო მებატონეებს გამოვრიცხავთ, რომლებიც დიდი ხანია აღარ თამაშობენ თავისთავად როლს ჰეგემონიისათვის ბრძოლაში[92], პლანტაგენეტთა გვერდით ახლა უკვე არსებობს ორი დიდი სახლი, რომელთა წევრები პირდაპირი, ვაჟ მემკვიდრეთა ხაზით არ არიან კაპეტინგთა შთამომავალნი. ესენი არიან ბრეტანის ჰერცოგები და ფლანდრიის გრაფები. მაგრამ ფლანდრიის გრაფს ამ დროს ერთადერთი შვილი ჰყავს, ერთადერთი ქალიშვილი. მისი ხელის სათხოვნელად და და ფლანდრიის სამომავლოდ დასაუფლებლად ბურგუნდიის ახლაგაზრდა ჰერცოგის სიკვდილის შემდეგ, რომელზედაც ის თავიდანვე იყო დანიშნული, იწყება შეჯიბრი პლანტაგენტებისა და კაპეტინგების მემკვიდრეთა შორის. ბოლოს, ბევრი განევგამოწევის შემდეგ, ფლანდრიის ტახტის მემკვიდრის ხელი, ვალუას მმართველის, შარლ V-ს დახმარებით, მის უმცროს ძმას, ფილიპს ერგება, რომელიც თავისი მამის ქონების წყალობით უკვე გახდა ბურგუნდიის ჰერცოგი; დიდ ფეოდალ მმართველთა ქორწინებით დაკავშირება მხოლოდ და მხოლოდ იმ თვალსაზრისით ხორციელდება, რომელსაც ჩვენ დღეს „საქმიანს" ვუწოდებდით, საკუთრების გაზრდისა და ტერიტორიული კონკურენტული ბრძოლების გათვალისწინებით. მაშასადამე, ფილიპ მამაცი ფლანდრიის გრაფების სიკვდილის შემდეგ მათ მიწებს ბურგუნდი-

ასთან გააერთიანებს; და ძველ, დიდ ფეოდალთა სახლების ფენიდან კონტინენტზე მხოლოდ ბრეტანის საჰერცოგო რჩება. ამ ძველი ფენის ადგილას უკვე თვით კაპეტინგების სახლისა და კაპეტინგების სამფლობელოს განშტოებებიდან გამოდის ტერიტორიულ მმართველთა და ტერიტორიულ სამფლობელოთა ახალი, ვინრო წრე, რომლებიც ტერიტორიული კონკურენციისა და ჰეგემონიისათვის ბრძოლის მექანიზმის საშუალებით ერთმანეთის წინააღმდეგ განეწყობიან. კვლავ ითამაშა თავისი როლი გარდაუვალობებმა, რომლებიც ნაკლებად ფართო კავშირებისა და ფუნქციათა დანაწილების შესაბამისად, უპირატესად ნატურალური მეურნეობის მქონე ყოველ საზოგადოებაში და პირველ ყოვლისა, ასეთი მეურნეობის მქონე რაინდულ საზოგადოებაში, დიდ ფართობებზე არსებულ სახელისუფლებო და სამფლობელო მონოპოლიას განადგურებით ემუქრება. ისინი სამფლობელოს დეზინტეგრაციისაკენ, ცენტრიდანული ძალების გაძლიერებისაკენ უბიძგებენ. კიდევ ერთხელ, ხორციელდება ის ბიძგი დეზინტეგრაციის მიმართულებით, რომელსაც საუკუნეების წინ კაროლინგების ხელისუფლების, მოგვიანებით კი მე-12 საუკუნის ფეოდალური საზოგადოებრივი წესრიგის დეზინტეგრაციისაკენ მივყავდით: ადამიანები, რომელთაც ცენტალურმა მმართველმა თავისი დიდი მამულიდან მიწის ნაკვეთი მისცა, კიდევ ერთხელ ამჟღავნებენ იმ მიდრეკილებას, რომ თავისთავადნი ანუ დამოუკიდებელნი გახდნენ და ცენტალური მმართველის დასუსტებული სახლის კონკურენტებად იქცნენ. მაგრამ კონკურენტულ ბრძოლაში ჩართვის შესაძლებლობა ახლა თვით ცენტალური მმართველის მცირერიცხოვანი შთამომავლობისთვისაც კი შეზღუდულია; ეს არის აშკარა ნიშანი იმისა, თუ როგორ შეიცვალა სოციალურ ველში ამასობაში ადამიანურ ურთიერთობათა სტრუქტურა, როგორ იქცა ადამიანთა ეს ქსელი (სულ მცირე, აგრარულ სექტორში), ჩაკეტილი შანსების სისტემად.

11. ქიშპობა ძლიერ „princes des fleurs de lis"-ს შორის არასრულწლოვანი ტახტის მემკვიდრის რეგენტობისა და მფარველობისათვის შარლ V-ს გარდაცვალებისთანავე გამოვლინდება. შარლ V-მ თავისი ვაჟის რეგენტად თავისი ძმა ლუი, ანჟუის ჰერცოგი, მეურვეებად კი თავისი ძმა ფილიპი, ბურგუნდიის ჰერცოგი და ბურბონის ჰერცოგი, სიძე ლუი დაადგინა. ცხადია, ეს იყო ერთადერთი რამ, რაც მას შეეძლო გაეკეთებინა, რათა მთელი ძალაუფლება ერთი კაცის ხელში არ მოხვედრილიყო. მაგრამ სწორედ ეს ძალაუფლება არის ის, რისკენაც ლუი ფონ ანჟუა და არსებითად, ფილიპიც მიისწრაფვის. მათ სურთ გააერთიანონ რეგენტობა და მეურვეობა. მეფის ოჯახის მოქიშპე ნათესავთა დაპირისპირებებით დახუნძლულია შარლ VI-ს მმართველობის მთელი ხანა, მეფისა რომელსაც ნაკლებად აქვს დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღების უნარი და რომელიც საბოლოოდ შეშლილობის გარკვეულ ფორმამდე მიდის.

დროდადრო, სამეფო სახლის ნათესავებს შორის ჰეგემონიისა-

თვის ბრძოლის მთავარი მოქმედი პირები იცვლებიან. ლუი ფონ ანჟუას ადგილზე, ბრძოლის გარკვეულ ფაზაში, ბურგუნდიის ჰერცოგის უძლიერეს მოქიშპედ გამოდის შარლ VI-ს უმცროსი ძმა ლუი, რომელიც განაგებს ორლეანის საჰერცოგოს, როგორც აპანაჟს. მაგრამ, როგორც არ უნდა მონაცვლეობდნენ პიროვნებები, გადაჯაჭვულობის აუცილებლობანი, რომლებიც მათ ამოძრავებს, უცვლელი რჩება: ამ უკვე ძალზე შეზღუდულ კონკურენტულ წრეში ერთმანეთის პირისპირ დგას ორი ან სამი ადამიანი, რომელთაგან არცერთს არ უნდა დაუშვას, (და ვერც დაუშვებს ისე, რომ საკუთარ არსებობას საფრთხე არ შეუქმნას), რომ სხვა მასზე მეტად გაძლიერდეს. მაგრამ სამეფო ოჯახის ნათესავთა კონკურენტული ბრძოლები ამავე დროს აუცილებლობით გადაეჯაჭვება ამ ეპოქის დიდ დაპირისპირებას, რომელიც კარგა ხანია ვერ გადაწყდა, დაპირისპირებას პლანტაგენეტებთან, რომელთა სხვადასხვა შტო ანალოგიური მექანიზმის საფუძველზე მსგავს ანტაგონიზმებში რჩება ჩართული.

შევეცადოთ წარმოვიდგინოთ სამეფო სახლის წევრების ეს მდგომარეობა: ისინი მთელი ცხოვრების მანძილზე მეორე ან მესამე რანგისანი არიან. თავიანთი გრძნობები მათ ხშირად კარნახობს, რომ ისინი უკეთესი და უფრო ძლიერი გვირგვინოსნები იქნებოდნენ, ვიდრე ის ადამიანი, ვინც უკვე გვირგვინისა და მთავარი სამეფოს კანონიერი მემკვიდრეა. მათსა და ამ მიზანს შორის ხშირად, მხოლოდ ერთი, ორი ან სამი ადამიანი დგას; და ისტორიაში არცთუ იშვიათია მაგალითები, როცა ორი ან სამი ასეთი ადამიანი ერთმანეთის მიყოლებით იღუპეპა და ამ რიგში მომდევნოს უთავისუფლებენ გზას უფრო დიდი ხელისუფლებისაკენ. მაგრამ აქეთ მიმავალი გზა უმეტესად მოქიშპებთან დაუნდობელ ბრძოლაზე გადის. ნაკლებად ძლიერი, თუ ის სახლის მხოლოდ ერთ მხარეს ენათესავება, ამ ეპოქაში და ამ სფეროში ვერასოდეს მოიპოვებს გვირგვინს, თუნდაც, მისი პრეტენზია ყველაზე სამართლიანი იყოს; ამ დროს თითქმის, ყოველთვის, გამოჩნდება ვინმე, ვინც საკამათოდ გახდის მის პრეტენზიას. და ამ უკანასკნელთა მოთხოვნა ნაკლებ სამართლიანიც რომ იყოს, გაიმარჯვებენ, თუ უფრო ძლიერები აღმოჩნდებიან. ასე რომ, ამ ეპოქაში გვირგვინოსნის ახლობლები,— რომლებიც უამისოდაც უკვე აპანაჟის სახით მიღებულ ერთ ან რამდენიმე დიდ ტერიტორიას ფლობენ, — როგორც შეუძლიათ იმით არიან დაკავებულნი, რომ შექმნან თავიანთი დასაყრდენი პუნქტები, არსებული აღადგინონ, გაზარდონ თავიანთი საკუთრება, შემოსავლები და ძალაუფლება. თუ მათ უშუალოდ ტახტზე ასვლა არ ძალუძთ, მაშინ მათი ბატონობა არანაკლებ მდიდრული, არანაკლებ ძლევამოსილი და ბრწყინვალე უნდა იყოს, ვიდრე მათი მონინააღმდეგეებისა და თუ შესაძლებელია, უფრო ბრწყინვალეც კი, ვიდრე მეფისა, რომელიც ყველა სხვა მოქიშპესა და კონკურენტზე აღმატებულია.

ასეთია არსებული მდგომარეობა და ასეთია სუსტი შარლ VI-ის უახლოესი ნათესავების ქცევა, მისი ძმისა და ბიძებისა, თუმცა არა ყველასი, მაგრამ რამდენიმე მათგანისა მაინც. და გარკვეული ცვლილებებით, მეორე და მესამე პიროვნებისათვის სულ უფრო მცირე შანსებით, ისევ და ისევ ჩნდება მსგავსი ვითარებანი, სიტუაცია, დაძაბულობები ტახტის გარშემო, სულ სხვადასხვაგვარ ინდივიდუალურ უნარებში გამოხატული იმ მომენტამდე, სანამ ანრი ფონ ნავარას სახით, უკანასკნელად, საფრანგეთის მეფე შედარებით ნვრილი ტერიტორიული მმართველი არ გახდება. როგორც ითქვა, ასეთი ბრძოლების კვალი თვით ლუი XIV-ს დრომდეც კი გვხვდება.

ყველაზე ძლიერი პიროვნება „princes des fleurs de lis"-ის შეჯიბრში არის ფილიპ მამაცი, იოანე ქველის უმცროსი ვაჟი. ის თავდა-პირველად მხოლოდ ბურგუნდიის საჰერცოგოს ფლობს, როგორც აპანაჟს; შემდეგ ის, ქორწინების წყალობით, შემოუერთებს ამას დასავლეთით ფლანდრიის საგრაფოს, არტუას მხარეს, ნევერის საგრაფოს და დონსის ბარონთა სამფლობელოს. მისი მეორე ვაჟი, ანტონი, ბრაბანტის ჰერცოგი და ანტვერპენის მმართველი, ქორწინების წყალობით ლუქსემბურგის ჰერცოგი ხდება; ამ უკანასკნელის ვაჟი ენოს მფლობელთა მემკვიდრეზე ქორწინდება. ეს არის ბურგუნდიის მმართველთა პირველი ნაბიჯები მათ მიერ განხორციელებული ექსპანსიის, ძლიერი სამეფოს დაარსების გზაზე, რომელიც, ნაწილობრივ, პარიზელი მეფეების ძალაუფლების სფეროს საზღვრებს გარეთ, დღევანდელი ჰოლანდიის მხარეში მდებარეობს.

საფრანგეთში ჰეგემონიისათვის ბრძოლაში ასევე იქცევა შარლ VI-ს ძმა ლუი, ფილიპ მამაცის ყველაზე ძლიერი კონკურენტი. ორივე თვალში საცემი სისწრაფით და შედეგებით აშენებენ საკუთარი სახლის ძლიერებას. ლუი თავდაპირველად აპანაჟის სახით იღებს ორლეანის საჰერცოგოს, რომელიც შარლ V-ს დროს, მისი ბიძის ფილიპ V ორლეანელის სიკვდილის შემდეგ კვლავ სამეფო სახლის საკუთრებას შეუერთდა.

მოგვიანებით, ლუის წილად ხვდება სამი თუ ოთხი საგრაფო და დიდი მამულები შამპანში. ის ცოლის, ვალენტინ ვისკონტის მდიდ-რული მზითევის საშუალებით, შემდგომაც მოიპოვებს რამდენიმე საგრაფოს, მათ შორის ბლუას საგრფოს— შესყიდვის გზით. და ბოლოს, თავისი მეუღლის მხრიდან მას იტალიის მხარეში ეკუთვნის ასტის საგრაფო. გარდა ამისა, ის პრეტენზიას აცხადებს რამდენიმე სხვა იტალიურ ტერიტორიაზე. ბურგუნდიელები ექსპანსიას ახორციელებენ ჰოლანდიის მიმართულებით, ორლეანელები, კი იტალიის მიმართულებით. თვით ყოფილი დასავლეთ-ფრანკული მხარის ფარგლებში საკუთრებითი ურთიერთობანი საგრძნობლად გამყარდა; ამ რეგიონის დიდი მიწები ნაწილობრივ ლონდონელ, ნაწილობრივ პარიზელ მეფეებს ეკუთვნით; „princes des fleurs de lis"-საც კი მათ წრეში მხოლოდ მაშინ შეუძლია დაიმკვიდროს თავი, მხოლოდ მაშინ შეუძლია ერთს ან მეორეს კონკურენცია გაუწიოს

ჰეგემონიისათვის ბრძოლაში, თუ ის რომელიმე სხვა მიმართულებით საკუთარი სახლის ძლიერ ხელისუფლებას ჩამოაყალიბებს. ისევე როგორც ოდესღაც, შესარჩევი და ჰეგემონიისათვის, კაროლინგების შემდგომი ეპოქის ფეოდალთა ფართო კლასის შიგნით წარმოებული ბრძოლები, ახლაც, ანალოგიური დაძაბულობანი, ერთეულ ადამიანებს დიდ, კაპეტინგ ტერიტორიულ მმართველთა ბევრად უფრო შეზღუდული კონკურენტული წრიდან, თავიანთ რეგიონთა გაფართოებისაკენ, *მეტი* მიწებისათვის მუდმივი სწრაფვისაკენ უბიძგებდა. მაგრამ ახლა ქორწინება, მემკვიდრეობა, შესყიდვა, სულ ცოტა, ისეთივე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ექსპანსიის საშუალებათა სახით, როგორც ომები და შუღლი. მაგრამ, ქორწინებიდან დიდი მამულებს მხოლოდ ჰაბსბურგები არ იღებენ. რამდენადაც ამ საზოგადოებაში უკვე წარმოიქმნა შედარებით დიდი სამფლობელო ერთეულები, შესაბამისად დიდი საომარი საშუალებებით, ცალკეულ ადამიანებს, ცალკეულ მეომართა სახლებს, რომლებიც ამ დროს ისევ დაწინაურებისაკენ ისწრაფვიან, მხოლოდ მაშინ შეუძლიათ საომარი გადაწყვეტის წარმატების იმედი იქონიონ, თუ უკვე ფლობენ ტერიტორიულ საკუთრებას, გარკვეული ხარისხით კონკურენტუნარიანი საომარი პოტენციალით. ესეც აჩვენებს, რამდენად მნიშვნელოვნად შემცირდა დიდ მაწათმფლობელთა და ტერიტორიულ მმართველთა სფეროში კონკურენციის შესაძლებლობანი უკვე ამ ფაზაში და როგორ მივყავართ ადამიანთა შორის არსებულ დაძაბულობათა სტრუქტურას მმართველობის მონოპოლიის ჩამოყალიბებისაკენ უფრო დიდი რეგიონების მასშტაბით.

ფრანგულ-ინგლისური მხარე ამ დროისათვის ჯერ კიდევ ინტერდეპენდენტული ტერიტორიული სისტემაა. სოციალური ძლიერების ყოველი ცვლილება ერთ-ერთი მოქიშპე სახლის სასარგებლოდ ან საზიანოდ, ადრე თუ გვიან, სხვებსაც გადაედება და ამით გავლენას ახდენს მთელი სისტემის წონასწორობაზე. დროის ყოველი მომენტისათვის საკმაოდ ზუსტად შეგვიძლია ვთქვათ, სად არის ამ საზოგადოების ცენტრალური და სად ნაკლებად მნიშვნელოვანი დაძაბულობის კერები; ძალთა თანაფარდობის განაწილება და მისი დინამიკა, მისი ცვლილების ტრაექტორია საკმაოდ ზუსტად შეიძლება მოიხაზოს. და ასწლიანი ომი უნდა განვიხილოთ არა მხოლოდ ამბიციური, თავადური წარმომავლობის ინდივიდების საბრძოლო თამაშების სახით (თუმცა, ესეც იყო), არამედ, როგორც აუცილებელი განტვირთვები განსაზღვრული სიდიდის ტერიტორიულ სამფლობელოთა, დაძაბულობით მდიდარი საზოგადოების შიგნით, როგორც მოქიშპე სახლების კონკურენტული და ჰეგემონიისათვის წარმოებული ბრძოლები ძალზე მყიფე წონასწორობის მქონე სახელისუფლო ერთეულების ინტერდეპენდენტური სისტემის შიგნით. პარიზისა და ლონდონის სახლები, ადრინდელი სამეფო სახლის ორი გვერდითი განშტოების, ვალუასა და ლანკასტერის სახით, თავიანთი საკუთრების მოცულობისა და საომარი პოტენციალის წყალობით ძირითადი

მოქიშპენი არიან; ლონდონელი და გარკვეულ შემთხვევებში, პარიზელი ბატონების ყოველი ამოსუნთქვა იმისკენაა მიმართული, რომ ერთი ხელისფულების ქვეშ გააერთიანონ მთელი ყოფილი დასავლეთ-ფრანკული მხარე, კონტინენტური ტერიტორია და კუნძულებზე არსებული გაფართოებული იმპერია. პირველად, მხოლოდ ამ ბრძოლების მიმდინარეობისას, მართლაც, საგრძნობი ხდება, რამდენად დიდია სოციალური განვითარების ამ საფეხურზე ის წინააღმდეგობანი, რომლებიც ამხელა და თანაც, არა ერთგვაროვანი მხარის დაპყრობას და პირველ ყოვლისა, ერთი ხელისუფლებისა და სახელისუფლო აპარატის ქვეშ მოქცევას დაუპირისპირდება. ისმის ერთი კითხვა, რომელსაც გვერდს ვერ ავუვლით: შესაძლებელი იყო თუ არა სოციალური განვითარების ამ საფეხურზე, თვით ვალუათა სრული დამარცხების შემდეგ კუნძულთა მეფეების და მათი მოკავშირეების მიერ, მმართველობის მონოპოლიის შექმნა და ლონდონიდან კონტინენტური მიწებისა და კუნძულთა მხარის ხანგრძლივი ინტეგრაცია? მაგრამ რაც არ უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, თავდაპირველად, ლონდონისა და პარიზის სამეფო სახლები, უპირატესობის მოსაპოვებლად კონკურენციას უწევენ ერთმანეთს ამ რეგიონის ფარგლებში და ყველა სხვა დაძაბულობანი ამ მხარეში, მაშასადამე, დაძაბულობანიც თვით პარიზის სახლის სხვადასხვა განშტოებებს შორის, თავს იყრის მთელი ტერიტორიული სისტემის ამ ძირითადი დაძაბულობების გარშემო; ასე რომ ბურგუნდიელი ვალუები ცენტრალურ ბრძოლაში ხან ერთ, ხან მეორე მხარეს დგანან.

მაგრამ ფუნქციათა დანაწილების ზრდა და ზელოკალური ინტერდეპენდენცი ერთმანეთის მტრებად და მეგობრებად აქცევს არა მხოლოდ უფრო ვრცელი, დასავლეთ-ფრანკული ტერიტორიული საზოგადოების განსხვავებულ სამფლობელოებს. ამ დროს, უფრო სუსტად, მაგრამ შეუქცევადად, ნელ-ნელა შესამჩნევი ხდება ინტერდეპენდენცი და ტერიტორიული წონასწორობის გადანაცვლება მთელი დასავლეთ ევროპის უფრო დიდ სივრცეში. ფრანგულ-ინგლისური ტერიტორიული გაერთიანება, მზარდი კავშირების პირობებში თანდათან ევროპულ ქვეყანათა უფრო ფართო სისტემის ნაწილად იქცევა. დიდ სივრცეებზე გადამწვდომი ეს მზარდი ინტერდეპენდენცი, რომელიც გარკვეულწილად, ალბათ, ყოველთვის არსებობდა, ასწლიან ომში ნათლად იჩენს თავს. გერმანელი და იტალიელი თავადები, ინგლისურ-ფრანგული სექტორის ფარგლებში ჰეგემონიისათვის ბრძოლაში სასწორის პინაზე შეაგდებენ თავიანთ ინტერესებს და სოციალურ ძალას, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, ძირითადად, გვერდითი ფიგურების როლებს თამაშობენ. აქ უკვე გაცხადდება ის, რაც რამდენიმე საუკუნის შემდგომ, ოცდაათწლიან ომში კიდევ უფრო მკვეთრად გამოვლინდება: ევროპის კონტინენტი, როგორც მთელი, თანდათანობით იქცევა ქვეყანათა ინტერდეპენდენტურ სისტემად საკუთარი წონასწორობის და ძალთა თანაფარდობის დინამიკით, რომლის შიგნით ძალთა ყოველი გადანა-

ცვლება, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ყოველ ცალკეულ ერთეულს, ყოველ ქვეყანას ჩაითრევს; კიდევ რამდენიმე საუკუნის შემდგომ, 1914-18 წლების ომში, ე.წ. პირველ „მსოფლიო ომში", გამოჩნდება როგორ გავლენას ახდენს დაძაბულობანი და წონასწორობის ცვლილება იმავე ტრანსფორმაციის, მუდმივად მზარდი ინტერდეპენ-დენტის პროცესში, კიდევ უფრო დიდ სივრცეში გაშლილ სახელისუ-ფლებო ერთეულებზე, დედამიწის დიდ კონტინენტებზე გადაჭიმულ ქვეყანებზე. მონოპოლიათა ჩამოყალიბების მეთოდი და საფეხურები, რომლებზედაც იწყება და სრულდება მსოფლიო გადაჯაჭვულობის დაძაბულობანი, უფრო დიდი სახელისუფლო ერთეულები, რომლებიც შეიძლება ამგვარ ომებში წარმოიქმნას — ყველაფერ ამას ჩვენს წარმოდგენაში ჯერ კიდევ ძალზე ბუნდოვანი მოხაზულობა აქვს, თუ ისინი საერთოდ, ოდესმე, ცნობიერების ჰორიზონტზე გამოჩნდებიან; თითქმის, ანალოგიური სიტუაციაა იმ ტერიტორიულ სახლებთან და ადამიანთა ჯგუფებთან მიმართებაში, რომლებიც მაშინ ასწლიან ომში აღმოჩნდნენ ჩართულნი; მათი მხრიდანაც ყოველ გაერთიანებას დიდი საფრხე ემუქრება, ეს საფრთხე სხვის სიდიდეს ან უფრო მეტად გაძლიერებას გულისხმობს; მოზრდილი გაერთიანებანი, რომლებიც ნელ-ნელა წარმოიქმნება ამ ომებში, საფრანგეთი და ინგლისი (როგორც მათ ჩვენ ვიცნობთ), თავიანთ შემქმნელთა ცნობიერებისათვის, თითქმის იმდენადვე რეალურია, რამდენადაც ჩვენთვის პოლიტიკური ერთეული „ევროპა".

სხვა წიგნებში შეძლება ამოვიკითხოთ, თუ როგორ გადაწყდება ცალკეულ შემთხვევებში დაძაბულობანი მოქიშპე სახლებს ან ჯგუფებს შორის, როგორ იცვლება წამყვან აქტორთა: ინგლისელ ლანკასტერს, ფრანგ ვალუასა და ბურგუნდიელ ვალუას შორის ბრძოლაში ძალთა თანაფარდობა, ხან ერთის, ხან მეორის სასარ-გებლოდ, როგორ იღებენ ინგლისელები ფრანგული მიწების კიდევ უფრო დიდ ნაწილს და თვით ფრანგი მეფის ტიტულს, როგორ აერთიანებს ბოლოს ორლეანელი ქალწულის გამოჩენით ფრანგი ვალუა ყველა ძალას წარმატებული აჯანყებისათვის და როგორ აბრუნებენ სუსტ მეფეს ჯერ რეიმსში მეფედ კურთხევისათვის, შემდეგ, კი, პარიზში, როგორც გამარჯვებულს.

ის, რაც ამგვარად უნდა გაირკვეს, არის შემდეგი საკითხი: ლონ-დონი და ანგლონორმანული კუნძული უნდა გახდეს ყოფილი დასა-ვლეთ ფრანკული მხარის კრისტალიზაციის ცენტრი თუ პარიზი და ილ დე ფრანსის მეფეთა მამული. ეს საკითხი პარიზის სასარგებლოდ გადაწყდება. ლონდონური ხელისუფლება კუნძულების მხარით შემოიფარგლება. ასწლიანი ომი დააჩქარებს და საბოლოოდ მოახდენს განხეთქილებას კონტინენტურ ტერიტორიას (რომელიც სხვათა შორის ისევ „la France" გახდება, კერძოდ ილ დე ფრანსის მეფეთა სამფლობელო) და ზღვის იქითა მხარეს შორის, რომელიც ადრე მხოლოდ კონტინენტის ტერიტორიულ მმართველთა კოლონიურ მხარეს წარმოადგენდა. მაშასადამე, ამ ომს, პირველ რიგში, შედეგად

მოჰყვება დეზინტეგრაცია. კუნძულთა მხარე, კონტინენტელ დამპყრობთა მემკვიდრენი და ადგილობრივი მკვიდრნი, გადაიქცნენ à part საზოგადოებად, რომელიც თავისი საკუთარი გზით მიდის, საკუთარ, სპეციფიკურ სახელისუფლო ინსტიტუტებს აყალიბებს და რომელიც თავის შერეულ ენას ახალი ტიპის სპეციფიკურ ერთეულად განავითარებს. მებრძოლ მოქიშპეთაგან ვერცერთმა ვერ მოახერხა ბატონობის დამყარება და შენარჩუნება მთელ ამ მხარეზე. ფრანგ მეფეებს და მის ქვეშემრდომებს საბოლოოდ გაუსხლტათ ხელიდან კუნთულთა იმპერიაზე ბატონობის პრეტენზია; ინგლისელმა მეფეებმა ვერ მოახერხეს პარიზელ მონინააღმდეგეებზე გამარჯვება და კონტინენტის რეკოლონიზაცია; თუ მათ ქვეშემრდომებს ახალი მიწები, გადასახლებისათვის ახალი მხარეები და ახალი ბაზრები დასჭირდებათ, აქედან მოყოლებული, მათ ეს ყველაფერი შორს უნდა ეძიონ. ინგლისელი მეფეები გამოეთიშენ ჰეგემონიისა და საფრანგეთის გვირგვინისათვის გამართულ კონტინენტურ თამაშს. ეს იმის მსგავსი პროცესია, რომელიც საუკუნეების შემდეგ გერმანულ ტერიტორიულ სახელმწიფოთა გაერთიანებაში განვითარდება ავსტრიაზე პრუსიელთა გამარჯვებით. ორივეგან, დეზინტეგრაციის საშუალებით ინტეგრაცია პატარა რეგიონით შემოიფარგლება და ამით უკიდურესად გამარტივდება.

მაგრამ იმით, რომ ინგლისელები განდევნილნი აღმოჩნდებიან კონტინენტიდან, იმით, რომ ინგლისელი მეფეები გამოეთიშებიან კონტინენტურ ტერიტორიაზე ჰეგემონიისათვის ბრძოლას, ამავე დროს, იცვლება დაძაბულობანი და ბალანსი თვით ამ რეგიონის შიგნით. სანამ ლონდონელი და პარიზელი მეფეები ჰეგემონიისათვის ბრძოლაში, გარკვეულწილად, ერთმანეთს აწონასწორებენ და სანამ მათ შორის არსებული კონკურენტული სიტუაცია ამ წონასწორობის სისტემის არსს შეადგენს, ქიშპობას სხვადასხვა კონტინენტელ, ტერიტორიულ მმართველთა შორის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს; მათ შეუძლიათ დიდი წვლილი შეიტანონ იმაში, რომ ძირითადი ბრძოლა პარიზელი ან ლონდონელი მეფეების სასარგებლოდ გადაწყდეს; მაგრამ მათ არ შეუძლიათ რომელიმე კონკურენტს პირველი ადგილისაკენ უბიძგონ.

ახლა უკვე, ინგლისელთა გამოვარდნით, ძირითად დაძაბულობად იქცევა კონკურენტული სიტუაცია სხვადასხვა, კონტინენტელ ტერიტორიულ მმართველთა შორის, მაშასადამე, ქიშპობა, პირველ ყოვლისა, თვით კაპეტინგთა სახლის სხვადასხვა განშტოებებს შორის. ასწლიანი ომის დასასრულს გადაწყვეტილი ან ყოველ შემთხვევაში, საბოლოოდ გადაწყვეტილი არ არის ამ შტოთაგან რომლის მიერ და რა საზღვრებში განხორციელდება ყოფილი დასავლეთ-ფრანკული მხარის კონტინენტური ტერიტორიების ინტეგრაცია უფრო დიდ სახელისუფლო გაერთიანებად. და, მაშასადამე, ამ მიმართულებით მიდის შესარჩევი ბრძოლები შემდგომშიც.

შარლ VII-ის მეფობის ბოლო წლებში პარიზული სახლის გვერდით

სულ ცოტა რვა დიდი სახლი არსებობს, რომელთაც შეუძლიათ ჰეგემონიისათვის გადამწყვეტ ბრძოლებში თავინთი ავტორიტეტი სასწორზე შეაგდონ; ესენი არიან ანჟუს, ალანსონის, არმანიაკის, ბურბონის, ბურგუნდიის, ბრეტანის, დრიესა და ფუას სახლები; ყოველი ეს სახლი, თავის მხრივ, რამდენიმე შტოთია წარმოდგენილი. მათგან ყველაზე ძლიერია ბურგუნდიის სახლი, რომელიც ეყრდნობა რა ბურგუნდიასა და ფლანდრიას შიდა ძლიერების ძირითადი ბირთვის სახით, დიდი სისასტიკით და შედეგიანობით მუშაობს იმპერიასა და საფრანგეთს შორის უწინდელი ლოტარინგიის მსგავსი, დიდი სამფლობელოს შექმნაზე. ბრძოლა თუ ქიშპობა ჰეგემონიისათვის ამ სახლსა და პარიზელ მეფეებს შორის ფეოდალური ტერიტორიების წონასწორობის სისტემის არსს შეადგენს, რომლისგანაც საბოლოოდ, უკანასკნელთა გამარჯვებით „საფრანგეთი" იქმნება. მათ გვერდით დიდი მნიშვნელობის მქონე ძალაუფლებით ცენტრებს ქმნიან ბურბონებისა და ბრეტანის სახლები.

უკანასკნელის, ბრეტანის საჰერცოგო სახლის გამოკლებით, ყველა ამ დასახელებული სახლის წარმომადგენელნი კაპეტინგების სახლის აპანაჟის ანუ განშტოებების შთამომავალნი არიან. სენიორატი, კაროლინგების შემდგომი ეპოქის ფეოდალობა, როგორც ითქვა, „პრინცების", კაპეტინგურ ფეოდალობას *„დაუპირისპირდა"*[93]. დასავლეთ — ფრანკული სივრცის მეომართა, დიდი თუ პატარა სახლის შესარჩევი ბრძოლებიდან გამარჯვებული ერთადერთი სახლი გამოვიდა. ეს მონოპოლიური საკუთრება, კაპეტინგების სახლის შთამომავალთა მონოპოლიური საკუთრება გახდა ყოფილი დასავლეთ-ფრანკული მხარე.

მაგრამ თაობათა მანძილზე ოჯახი და მის მიერ დაგროვილი ტერიტორიული მამულები ისევ დანაწილდა; და ახლა ერთმანეთს ჰეგემონიისათვის ოჯახის სხვადასხვა შტო ებრძვის. მონოპოლიათა ჩამოყალიბება არც ისე სწორხაზოვნად ხდება, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ის, რის წინაშეც აქ, ასწლიანი ომის შემდეგ აღმოჩნდებიან, ჯერ კიდევ არ არის სახელისუფლო ძალაუფლების ერთ ადგილას და ერთ ხელში სრული კონცენტრაცია ან ცენტრალიზაცია. ეს არის მხოლოდ ერთი საფეხური აბსოლუტური მონოპოლიის გზაზე.

ჩამოყალიბდა მკაცრად შეზღუდული კონკურენციის მდგომარეობა. ამ რეგიონის შიგნით დიდი მამულის მოპოვებისა და დასაკუთრებისა ან არსებულის შენარჩუნების და შემდგომში, შესარჩევ და კონკურენტულ ბრძოლებში მონაწილეობის შანსები განსაკუთრებით შემცირდა ყველასათვის, ვინც რომელიმე განსაზღვრულ ოჯახს არ მიეკუთვნებოდა.

ბოლო თავისუფალი კონკურენტული ბრძოლები და გამარჯვებულის მონოპოლიური მდგომარეობის საბოლოო დადგენა

12. ის, რაც აქ მონოპოლიურ პროცესს განსაკუთრებულ ხასიათს შესძენს და რაც შემდგომი ეპოქის, პირველ ყოვლისა, კი მე-20 საუკუნის ადამიანებმა უნდა გაითვალისწინონ, არის ის ფაქტი, რომ სოციალური ფუნქციები, რომელთა დიფერენცირება ახალ დროში მოხდა, ამ ადრეულ ფაზაში მეტად-ნაკლებად განუყოფელია. უკვე ხაზგასმული იქნა, რომ დასაწყისში დიდი ფეოდალი მმართველების, თავადთა სოციალურ პოზიციაში უმდიდრესი კაცის, მისი მხარის უდიდეს წარმოების საშუალებათა მფლობელის ფუნქცია ხელისუფალის, სამხედრო ძალაუფლებისა და იურისდიქციის მფლობელის ფუნქციასთან სრულ ერთიანობაში მოიაზრება. ფუნქციები, რომლებიც დღეს შრომის დანაწილების გზით ერთმანეთთან დაკავშირებულ სხვადასხვა ადამიანთა და ადამიანთა ჯგუფების საშუალებითაა წარმოდგენილი, მაგალითად, დიდი მიწათმფლობელის და ხელისუფლების უმაღლესი პირის ფუნქცია, აქ, ერთმანეთთან განუყოფლად დაკავშირებული, ჯერ კიდევ, ერთგვარ კერძო საკუთრებას ქმნის. ეს იმაზეა დამოკიდებული, რომ ამ უპირატესად (თუმცა, უფრო და უფრო ნაკლები დოზით) ნატურალური მეურნეობის საზოგადოებაში ფუნქციათა დანაწილების განსხეულებას, უმთავრეს წარმოების საშუალებას მიწები წარმოადგენს, განსხვავებით გვიანდელი საზოგადოებისაგან, სადაც ამ როლს ფული ასრულებს. მაგრამ, ეს არანაკლებაა დაკავშირებული იმასთან, რომ უფრო გვიანდელ ფაზაში ყოველი მმართველობის მონოპოლიის გასაღები, ფიზიკური, სამხედრო ძალის გამოყენების მონოპოლია, დიდი ტერიტორიების მასშტაბით, მტკიცე და სტაბილურ სოციალურ ინსტიტუტს ქმნის, მაშინ როცა ის წინა ფაზაში, მრავალსაუკუნოვანი ბრძოლების მანძილზე ნელა ვითარდება და თანაც, დასაწყისში კერძო, საოჯახო მონოპოლიის ფორმა აქვს.

ჩვენ მიჩვეულნი ვართ, ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ორი სფერო, „ეკონომიკა" და „პოლიტიკა" და სოციალური ფუნქციის ორი ტიპი: „ეკონომიკური" და „პოლიტიკური" ფუნქციები; ამასთან, „ეკონომიკის" ქვეშ გვესმის საქმიანობათა და ინსტიტუტთა მთელი ქსელი, რომელიც გასაღებისა და წარმოების საშუალებათა შექმნას და მოპოვებას ემსახურება; მაგრამ, ამავე დროს, როცა „ეკონომიკაზე" ვსაუბრობთ, თავისთავად ცხადი გვეჩვენება, რომ წარმოებისა და მოხმარების საშუალებათა წარმოება და პირველ ყოვლისა, მოპოვება, ჩვეულებრივ მუქარისა და ფიზიკური თუ სამხედრო ძალის გამოყენების გარეშე ხორციელდება. სინამდვილეში, არაფერია ამაზე ნაკლებად თავისთავად ცხადი. ნატურალური მეურნეობის მქონე მეომართა ყველა საზოგადოებისათვის და არა მხოლოდ მათთვის, სწორედ მახვილია ხელმისაწვდომი, შეუცვლელი იარაღი წარმოების საშუალებათა მოსაპოვებლად

და ძალისმიერი მუქარა — წარმოების აუცილებელი საშუალება. მხოლოდ მაშინ, როცა ფუნქციათა დანაწილება კარგადაა განვითარებული, როცა ხანგრძლივი ომების შედეგად სპეციალიზებული მონოპოლიური ადმინისტრაცია ჩამოყალიბდება, რომელიც მმართველობის ფუნქციებს ადმინისტრირებას უწევს, როგორც საზოგადოებრივ საკუთრებას, მხოლოდ მაშინ, როცა დიდ ტერიტორიებზე არსებობს ცენტრალიზებული და საჯარო ძალისმიერი მონოპოლია, შესაძლებელია კონკურენტული ბრძოლები მოხმარებისა და წარმოების საშუალებათათვის ფიზიკური ძალადობის შემდგომი გამოყენების გარეშე წარიმართოს. მაშინ უკვე არსებობს, წმინდა აზრით, ეკონომიკის ის სახე, რომელსაც ჩვენ „ეკონომიკას" ვუწოდებთ და კონკურენტული ბრძოლის ის სახე, რომელსაც ჩვეულებრივ, „კონკურენციას" უწოდებენ.

თავად კონკურენტული ურთიერთობა ბევრად უფრო ზოგადი და ფართო სოციალური მოვლენაა, ვიდრე ეს „კონკურენციის" ცნების ეკონომიკური სტრუქტურებით [94] და თანაც, უმეტესად მე-19 და მე-20 საუკუნის ეკონომიკური სტრუქტურებით შემოფარგვლისას გამოვლინდება. კონკურენტული სიტუაცია წარმოიქმნება ყველგან, სადაც რამდენიმე ადამიანი ერთი და იმავე შანსებისათვის იბრძვის, სადაც უფრო მეტი მომთხოვნია, ვიდრე მოთხოვნის დაკმაყოფილების შანსები. შანსების განკარგვა შეიძლება მონოპოლისტთა ხელში იყოს და შეიძლება— არა. კონკურენციის განსაკუთრებული სახე, რომელზედაც აქ იყო საუბარი, ე.წ. „თავისუფალი კონკურენცია" იმით ხასიათდება, რომ ბევრი ადამიანის მოთხოვნა იმ შანსებზეა მიმართული, რომელთაც ჯერ არავინ ფლობს მოქიშპეთა კონკურენციის სათამაშო ველის გარეთ მდგომთაგან. „თავისუფალი კონკურენციის" ასეთი ფაზა ბევრი საზოგადოების ისტორიაში არსებობს, თუ არა ყველგან; და „თავისუფალი კონკურენტული ბრძოლა" იწყება მაშინაც, თუ მაგალითად, რამდენიმე ადამიანს შორის, რომლებიც გარკვეული აზრით ურთიერთდამოკიდებულნი არიან, მიწა და საბრძოლო შანსები ისე თანაბრადაა განაწილებული, რომ მათ შორის არავინაა ერთმნიშვნელოვნად შანსებით სხვებზე უფრო მდიდარი და სოციალურად უძლიერესი. მაშასადამე, ასეთი ბრძოლა იწყება ფეოდალ მეომართა სახლების ან სახელმწიფოთა ურთიერთობის იმ ფაზაში, როცა არცერთი მათგანი არაა გამოსული მეორესთან ქიშპობის სათამაშო ველიდან და სადაც ამ ურთიერთობებისათვის ჯერ კიდევ არ არსებობს მმართველობის ორგანიზებული, ცენტრალიზებული მონოპოლია. „თავისუფალი კონკურენტული ბრძოლა" იწყება მაშინაც, როცა ფინანსური შანსები ურთიერთდაკავშირებულთა შორის შედარებით თანაბრად ნაწილდება; და ორივე შემთხვევაში, ბრძოლა მით უფრო ინტენსიური ხდება, რაც უფრო იზრდება მოსახლეობის რიცხვი, მოთხოვნა ამგვარ შანსებზე, თუ ამავე დროს თავად შანსებიც არ მატულობს.

ამ თავისუფალი კონკურენტული ბრძოლების მიმართულებაში მნიშვნელოვან ცვლილებას არ იწვევს ის, რომ ეს ბრძოლები ხან

ფიზიკური ძალისა და მუქარის გამოყენებით მიმდინარეობს და ხან მხოლოდ სოციალური დაკნინების, ეკონომიკური დამოუკიდებლობის დაკარგვის, ეკონომიკური გაკოტრების ან მატერიალური სიდუხჭირის საფრთხის პირობებში. ფეოდალ მეომართა სახლებს შორის წარმოებული ბრძოლებისას ჯერ კიდევ საკმაოდ მჭიდრო კავშირში მოქმედებს საომარ საშუალებათა ორივე ტიპი, ძალადობის ორივე ფორმა, რომელთაც ჩვენ ერთმანეთისაგან განვასხვავებთ, როგორც ფიზიკურ-საომარ და როგორც ეკონომიკურ ძალადობას. ამ ფეოდალურ ომებს ფაქტიურად თავიანთი ფუნქციონალური ანალოგი აქვთ გვიანდელ, ძლიერი ფუნქციური დანაწილების მქონე საზოგადოებაში ერთი მხრივ, თავისუფალი, ეკონომიკური კონკურენტული ბრძოლების სახით (როგორიცაა, მაგალითად, მრეწველობის ერთი და იმავე მიმართულების სავაჭრო სახლების ბრძოლა ჰეგემონიისათვის), მეორე მხრივ, კი განსაზღვრული ტერიტორიული წონასწორობის სისტემის შიგნით სახელმწიფოთა ჰეგემონიისათვის ბრძოლის სახით, რომლებიც ფიზიკური ძალადობის საშუალებით გადაწყდება.

აქაც და იქაც, ის, რაც მონოპოლიისაგან თავისუფალ სფეროში ბრძოლების სახით გამოვლინდება, არის შეზღუდული შანსებისათვის გამუდმებული ჩხუბისა და საყოველთაო კონკურენტული ბრძოლების მხოლოდ ერთი ტალღა, რომელიც მთელს საზოგადოებას გადაუვლის. მათი შანსები, ვინც თავისუფლად, უფრო ზუსტად, მონოპოლიის გარეშე თავისუფლად კონკურირებენ ერთმანეთთან, არაორგანიზებულ მონოპოლიურ საკუთრებას წარმოადგენს სხვებთან მიმართებაში, რომელთაც მათთვის კონკურენციის გაწევა არ შეუძლიათ, რადგან ისინი ბევრად ნაკლებ შანსებს ფლობენ. ეს შანსები, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მათზეა დამოკიდებული, რომლებიც შანსების განაწილებისათვის თავად აწარმოებენ ერთმანეთთან შეზღუდულ კონკურენტულ ბრძოლას. და შედარებით დამოუკიდებელთა ერთმანეთზე კონკურენტული ზეწოლა ყოველმხრივ უმჭიდროეს ფუნქციონალურ კავშირშია უკვე მონოპოლიზებულ შანსებზე დამოკიდებულთა ზეწოლასთან.

ორივე შემთხვევაში, თავისუფალი კონკურენტული ბრძოლები, ქიშპობა შანსების მოსაპოვებლად, რომელთათვის ჯერ არ არსებობს რაიმე ცენტრალიზებული და ორგანიზებული მონოპოლია, მრავალფეროვანი გადახრების მიუხედავად, მაინც მიდრეკილია რაც შეიძლება მეტი მოწინააღმდეგის დამარცხებისა და გამოვარდნისაკენ, რომლებიც როგორც სოციალური ერთეულები ფსკერისაკენ მიდიან ან სხვაზე დამოკიდებულნი ხდებიან. ამ ტენდენციის მეორე მიმართულებას შეადგენს ბრძოლით მოპოვებული შანსების თავმოყრა სულ უფრო მცირერიცხოვან მოწინააღმდეგეთა ხელში, ჰეგემონიისა და ბოლოს, მონოპოლიის შექმნა. არც მონოპოლიის ჩამოყალიბების ეს სოციალური ფენომენი შემოიფარგლება იმ პროცესებით, რასაც დღეს პირველ რიგში მოვიაზრებთ, როცა „მონოპოლიაზე“ საუბრობენ. აკუმულაცია საკუთრების შანსებისა,

რომლებიც ფულად მასად გადაიქცევა ან სულ მცირე, ფულად მასაში შეიძლება გამოიხატოს, მონოპოლიათა ჩამოყალიბების მხოლოდ ერთ-ერთ ისტორიულ ბიძგს წარმოადგენს. ფუნქციურად იგივეობრივი პროცესები, მაშასადამე, ადამიანური ურთიერთობების ქსელის შექმნის ტენდენციები, რომლის დროსაც ცალკეული ადამიანები თუ ადამიანთა ჯგუფები, პირდაპირი თუ არაპირდაპირი ძალისმიერი მუქარით სხვებს შეუზღუდავენ და დაურეგულირებენ უკვე მოპოვებულ შანსებს, რათა განსაზღვრონ მათი მისასვლელი ამ შანსებთან, კაცობრიობის ისტორიაში სხვადასხვაგვარი ფორმით არაერთხელ გამოვლინდება.

აქაც და იქაც, ამ ბრძოლებისას, ყველა მონაწილისათვის სასწორზე დევს მათი აქტუალური, სოციალური არსებობა; და ეს არის მაიძულებელი ამ ბრძოლებში; ეს არის ის, რაც ამ ბრძოლებს და მათ მიმდინარეობას ასე გარდაუვალს და აუცილებელს ხდის ყველგან, სადაც თავისუფალი კონკურენციის სიტუაცია იქმნება. თუ საზოგადოება ერთხელ უკვე ჩაერთო ამგვარ მოძრაობაში, მაშინ ნებისმიერ, მონოპოლიისაგან ჯერ კიდევ თავისუფალ სფეროში, ყოველი სოციალური ერთეული, იქნება ეს რაინდის ოჯახი, ეკონომიკური საწარმოები, ტერიტორიები თუ სახელმწიფოები, ყოველთვის ერთი და იმავე ალტერნატივის წინაშე დადგება:

ისინი შეიძლება დამარცხდნენ — სულ ერთია ისინიც იბრძვიან თუ არა — და ეს მათ გვერდით მყოფი ადამიანებისათვის ნიშნავს, უკიდურეს შემთხვევაში, ტყვეობას, წამებით სიკვდილს ან მატერიალურ სიდუხჭირეს, შეიძლება, შიმშილით სიკვდილსაც კი; უკეთეს შემთხვევაში, ეს მათთვის ნიშნავს სოციალურ დაქვეითებას, შედარებითი სოციალური დამოუკიდებლობის დაკარგვას, გადასვლას უშუალოდ დაქვემდებარებულ მდგომარეობაში, დიდ სოციალურ კომპლექსში გათქვეფას და ამით იმის განადგურებას, რაც მათ ცხოვრებას მათსავე ცნობიერებაში აზრს, ღირებულებას და ხანგრძლივობას შესძენს, თუნდაც, ეს ფასეულობანი მათ თანამედროვეთ ან მათ შემდგომ მცხოვრებ ადამიანებს მათი საზრისის, სოციალური ექსისტენცის და მათი "დღეგრძელობის" საწინააღმდეგო და უბრალოდ, განდაგურების ღირს რაიმედ ეჩვენებოდეთ.

ან მათ შეუძლიათ თავი დაიცვან თავიანთი უშუალო მიქიშპეებისაგან და დაამარცხონ ისინი; მაშინ მათი ცხოვრება, მათი სოციალური ექისისტენცი, მათი სწრაფვა განამდვილდება: ისინი თვითონ მიიღებენ ამ შანსებს, რომელთათვისაც იბრძოდნენ; თავისუფალი კონკურენტული ბრძოლების სიტუაციაში სოციალური ექსისტენცის მარტოოდენ შენარჩუნებაც კი იმავდროულად, გამუდმებით შანსების ზრდას მოითხოვს; ის, ვინც აქ წინ არ მიიწევს, ჩამორჩება; და მაშასადამე, გამარჯვება, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავს ამ უახლოეს მოქიშპეთა შორის ჰეგემონური პოზიციის მიღწევას და ნებსით თუ უნებლიედ, მათ უკან გადაყვანას შედარებით მსუბუქი

თუ უფრო მეტი დამოკიდებულების პოზიციაში; ერთის მოგება უცილ-ობლად მეორის წაგებას ნიშნავს, სულ ერთია, საუბარია მინებზე, საომარ ძალისმიერ საშუალებებზე, ფულზე თუ სოციალური ძლიერების სხვა შინაარსებზე. მაგრამ, ეს გამარჯვება ნიშნავს იმას, რომ, ადრე თუ გვიან, გამარჯვებულს მოუხდება დაპირისპირება და შეჯახება სხვა მასშტაბის მოქიშპეებთან; სიტუაცია ისევ და ისევ მიდის ერთი რომელიმე მოწინააღმდეგის გაძლიერების და მეორის გათქვეფის, დაქვემდებარების, დაკნინებისა და განადგურებისაკენ; ძალთა თანაფარდობის გადანაცვლება, ჰეგემონიის ნარმოქმნა და დაცვა, განხორციელდება ეს აშკარა სამხედრო თუ ეკონომიკური ძალადობით, თუ უფრო მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და გაგების გზით,— როგორც არ უნდა მოხდეს ეს, — ნელა თუ სწრაფად, დაპირისპირებანი დაცემისა თუ გაძლიერების, დაწინაურებისა თუ ჩამორჩენის, საზრისის განხორციელებისა თუ განადგურების გზით, ახალი სოციალური წესრიგის, მონოპოლიური წესრიგის მიმართულებით მაინც ხორციელდება. ამასთან, ეს წინსვლა არცერთ მონაწილეს არ განუზრახავს და წინასწარ არ განუჭვრეტია და ის მონოპოლიისაგან *თავისუფალი* კონკურენტული ბრძოლების მონოპოლიით *შეზღუდული* კონკურენტული ბრძოლებით ჩანაცვლე-ბის საშუალებას იძლევა; მხოლოდ ასეთი მონოპოლიის შექმნით ჩნდება შანსების განაწილების მართვის შესაძლებლობას — და ამით თვით ბრძოლებისაც, — ყველა სიტუაციაში ერთმანეთთან დაკავშირებულ ადამიანთა შორის თანამშრომლობის უფრო შეუფერხებელი ფუნქციონირების აზრით.

ამგვარი ალტერნატივების წინაშე შუა საუკუნეების ფეოდალური საზოგადოების მეომართა ოჯახებიც დგანან; და ამ აზრით უნდა გავიგოთ დიდი ფეოდალების, საბოლოოდ კი, კაპეტინგებისა და პრინცი ფეოდალების აჯანყება სამეფო ხელისუფლების გაძლიერების წინააღმდეგ. თავდაპირველად, პარიზელი მეფე, სინამდვილეშიც და სხვა ტერიტორიულ მმართველთა ცნობიერებაშიც, მხოლოდ ერთ-ერთი მათგანია; ის მათთვის მოქიშპეა და თანაც, გარკვეული დრო-იდან მოყოლებული, ყველაზე ძლიერი მოწინააღდეგე, ყველაზე საშიში მეტოქე; თუ ის გაიმარჯვებს, განადგურდება თუ ფიზიკური არა, მათი არსებული სოციალური ექსისტენცი მაინც — მაშასადამე, ის, რაც მათ თვალში საკუთარ ცხოვრებას საზრისსა და ბრწყინვა-ლებას აძლევს, განადგურდება მათი ხელისუფლების დამოუკი-დებლობა, თავიანთ მამულში თავისუფალი გამგებლობის უფლება. მათი პატივი, რანგი, სოციალური იმიჯი, უარეს შემთხვევაში, უარყო-ფილია, უკეთეს შემთხვევაში, კი წნეხის ქვეშაა. თუ ისინი გაიმარჯვე-ბენ, მაშინ, პირველ რიგში, თავიდან იქნება აცილებული ცენტრა-ლიზაცია, ჰეგემონიისა და მონოპოლიის ჩამოყალიბება, სახელმწი-ფოთა ფორმირება; მეორე: ბურგუნდიის, ანჟუის, ბრეტანისა და ყველა სხვა ტერიტორიული სამფლობელო დასაწყისში, მეტ-ნაკლე-ბად დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად რჩება; ეს მთელ რიგ

თანამედროვეთ, პირველ რიგში, მეფის მოხელეებს, ჩვენც კი, თუ თვალს გადავავლებთ ამ პროცესს, შეიძლება უაზრობად მოგვეჩვენოს. რადგან ჩვენ, ზოგადად, სოციალური კავშირების სხვა საფეხურზე აღარ ვახდენთ საკუთარი თავის ასე ძლიერ იდენტიფიცირებას მსგავს შემოფარგლულ, ტერიტორიულ ერთეულებთან. მათთვის, ბურგუნდიის ან ბრეტანის სამფლობელოს მეფეებისათვის, მათზე დამოკიდებულთა უმეტესი ნაწილისათვის, უწინარეს ყოვლისა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თავიდან აიცილონ ზეძლიერი ჰეგემონიის წარმოქმნა პარიზში; რადგან ამ ჰეგემონიის ჩამოყალიბება ფაქტიურად ნიშნავს მათ სოციალურ დაღმასვლას, როგორც თავისთავადი, სოციალური ერთეულებისა.

მაგრამ როცა ისინი იმარჯვებენ, მაშინ გამარჯვებულები, ადრე თუ გვიან, მოწინააღმდეგეთა სახით, ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდებიან; და ეს დაძაბულობანი, ბრძოლები, რომელიც აქედან გაიშლება, არ შეიძლება მანამ დასრულდეს, სანამ ახალი, აღმატებული ჰეგემონია არ ჩამოყალიბდება. *დაახლოებით ისე როგორც მე-19 და უფრო მეტად მე-20 საუკუნის კაპიტალისტურ საზოგადოებაში აშკარად გამოიხატება საყოველთაო სწრაფვა მონოპოლიათა ჩამოყალიბებისაკან, სულ ერთია, ცალკეულ შემთხვევებში რომელი სახლი გაიმარჯვებს კონკურენტულ ბრძოლაში და ამაღლდება მეორეზე, დაახლოებით ისე, როგორც „სახელმწიფოთა", პირველ ყოვლისა, ევროპულ სახელმწიფოთა შეჯიბრში სულ უფრო საგრძნობი ხდება ანალოგიური ტენდენცია აშკარა ჰეგემონიის ჩამოყალიბებისაკენ, რომელიც მონოპოლიათა ყოველ წარმოქმნას, ყოველ ფართო ინტეგრაციას უძღვის წინ, სწორედ ასევე, შუა საუკუნეობის ეპოქის მეომართა სახლები, მოგვიანებით კი დიდი ფეოდალებისა და ტერიტორიულ მმართველთა სახლებიც ავლენენ იგივე საყოველთაო სწრაფვას მონოპოლიათა ჩამოყალიბებისაკენ.* მხოლოდ თავდაპირველად ეს პროცესი მიწათმფლობელობისა და მმართველობის ფუნქციის სფეროში განუყოფელი ერთიანობის სახით მიმდინარეობს, შემდეგ კი, ფულის გამოყენების სწრაფი ზრდის შედეგად, ცოტა სახეშეცვლილი ფორმით, კერძოდ კი გადასახადების ცენტრალიზაციისა და ფიზიკური უპირატესობის მიღწევის ყველა ინსტრუმენტის განკარგვის ფორმით.

13. ამასობაში, შარლ VII-ს გარდაცვალების შემდეგ, მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში ერთიანად იფეთქებს დაპირისპირება ერთი მხრივ, ვალუების ფრანგულ შტოს და მეორე მხრივ, ბურგუნდიულ შტოს, კაპეტინგების ეპოქის სხვა, დიდ ფეოდალებსა და ბოლოს, კაპეტინგებამდელი ფეოდალთა კლასის უკანასკნელ წარმომადგენელს, ბრეტანის ჰერცოგს შორის. კიდევ ერთხელ გაერთიანდებიან ცენტრიდანული ძალები ამ პარიზელი ვალუას, ლუი IX-ს წინააღმდეგ იერიშის მისატანად, რომლის სიმდიდრე და ძალა, აქამდელი ძირითადი მოწინააღმდეგის, ინგლისელი მეფის თამაშიდან

გასვლის შემდეგ ყველა მათგანისათვის განსაკუთრებით საშიშია. ბურგუნდიელმა ვალუამ, შარლ მამაცმა, ერთხელ, როცა სიმძიმის ცენტრი უფრო და უფრო სახიფათოდ იხრებოდა ფრანგული პოლიტიკური კომპლექსისაკენ, სრულიად ნათლად გამოხატა, რა სურდა და რა აღმოაჩინა მეფის კონკურენტთა უმეტესობამ თავიანთი სოციალური ექსისტენციის ამ საფრთხის სახით: „Au lieu d'un roi, j'en voudrais six!"[95]

თავდაპირველად ლუი XI სრულიადაც არ ახდენს საკუთარი თავის იდენტიფიცირებას სამეფო ამოცანასთან. პირიქით, ის, როგორც ტახტის მემკვიდრე პრინცი, მნიშვნელოვანწილად, სხვების, კერძოდ, დიდი კაპეტინგი ფეოდალების აზრითა და განწყობით მოქმედებს, სწორედ იმ ფეოდალებისა, რომლებიც ფრანგული ტერიტორიული კომპლექსის დეზინტეგრაციაზე მუშაობენ; და ის გარკვეული ხანი იმ ფეოდალის სასახლის კარზე ცხოვრობს, ვინც პარიზული სამეფო ხელისუფლების ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგეა, კერძოდ, ბურგუნდიის ჰერცოგის სასახლის კარზე. ეს იმგვარ ფაქტებთანაა დაკავშირებული, რომელთაც პიროვნული შეიძლება ვუწოდოთ. პირველ ყოვლისა, ეს კავშირშია ლუის თავისუბურ სიძულვილთან მისი მამისადმი; მაგრამ ეს, ამავე დროს, არის ქვეყნის ყველაზე მდიდარი სახლის სპეციფიკური ინდივიდუალიზაციის საბუთი, რაც თითოეული პრინცის აპანაჟირებას უკავშირდება. რაც არ უნდა ყოფილიყო, ლუის მამისადმი სიძულვილის ადრინდელი მიზეზები, საკუთარი ტერიტორიის განმგებლობის სურვილი მის გრძნობასა და მოქმედებებს მამამისის სხვა მტრებთან საერთო ფრონტზე მოაქცევს. თვით მისი ტახტზე ასვლის შემდეგაც, ის, პირველ ყოვლისა, იმაზე ფიქრობს, როგორ იძიოს შური მათზე, ვინც მას, როგორც დოფინს, მტრულად ექცეოდა. მათ შორის ბევრია მეფის ხელისუფლების ერთგული მსახური. ის ასევე ფიქრობს, როგორ დააჯილდოოს ისინი, ვინც მას, როგორც ტახტის მემკვიდრეს, მეგობრობა დაუმტკიცა და ასეთებს შორის მრავლად არიან პარიზული სამეფო ხელისუფლების მოწინააღმდეგენი. ხელისუფლება დიდნილად, ჯერ კიდევ, კერძო საკუთრების ნიშნებს ატარებს და დამოკიდებულია მეფის პიროვნულ მისწრაფებებზე. მაგრამ მასაც, როგორც ყველა დიდ ხელისუფლებას, თავისი, მართლაც, მკაცრი, საკუთარი კანონზომიერება ახასიათებს, რომელსაც არ შეიძლება დაუპირისპირდეს მისი მმართველი, ისე რომ თავადვე არ გაანადგუროს თავისი ხელისუფლება. მალე სამეფო ხელისუფლების მტრები ლუის მტრებად იქცევიან; ის, ვინც მეფის ხელისუფლებას ემსახურებოდა, *მისი* მეგობრები და მსახურები გახდებიან; მისი პიროვნული ამბიციები გაერთიანდება პარიზელი ცენტრალური მმართველის ტრადიციულ ამბიციებთან და პიროვნულ თვისებებთან — მისი ცნობისმოყვარეობა, თითქმის ავადმყოფური მისწრაფება, გაიგოს ყველა საიდუმლო, მისი ეშმაკობა, მისი სიძულვისისა და სიყვარულის სწორხაზოვანი გამოხატვა, თვით მისი ნაივური და მტკიცე ღვთისმოსაობაც კი, რომელიც მას, ამავდრო-

ულად, ნებას რთავს ვაჭართა მსგავსად შეწირულობებით სცადოს თავის მოწინააღმდეგეთა წმინდანებისა და მფრაველი ანგელოზების კეთილგანწყობის მოპოვება, — ყველაფერი ეს იმ მიმართულებით ვითარდება, რომლისკენაც მას ფრანგულ ტერიტორიათა მფლობელის სოციალური პოზიცია უბიძგებს: ცენტრიდანული ძალების, მოქიშპე ფეოდალი მმართველების წინააღმდეგ ბრძოლა მისი ცხოვრების მთავარი ამოცანა ხდება. და ბურგუნდიის სახლი, მისი ტახტის მემკვიდრეობის დროს შეძენილი მეგობრები, მეფის ფუნქციის შინაგანი ლოგიკის შესაბამისად, მისი მთავარი მოწინააღმდეგენი ხდებიან.

ბრძოლა, რომელიც ლუი XI-მ უნდა მოიგოს, სულაც არ არის ადვილი. ზოგჯერ ისე, ჩანს, რომ პარიზის ხელისუფლება ახლოსაა კრახთან. მისი მმართველობის ხანის დასასრულს, ნაწილობრივ ძალისმიერი საშუალებებით, რომელთაც თავისი დიდი საკუთრების წყალობით ჩაიგდებს ხელში, ნაწილობრივ, თავისი მოხერხებულობით, რომლითაც ის ამ საშუალებებს იყენებს, ნაწილობრივ, კი მთელი რიგი შემთხვევითობების წყალობით, რომლებიც მის სასარგებლოდ მოქმედებს, მოწინააღმდეგენი, თითქმის, საბოლოოდ მარცხდებიან. 1476 წელს, შარლ მამაცი ბურგუნდიელი მარცხს იგემებს გრანცონთან და მურტენომთან შვეიცარიელების წინააღმდეგ, რომლებიც ლუიმ აჯანყებისაკენ შეაგულიანა; 1477 წელს, ნანსის დაპყრობის მცდელობისას, ის იღუპება. ამით ფრანგი ვალუების მთავარი მოწინააღმდეგე კაპეტინგების მემკვიდრეთა კონკურენტულ წრეში — და ინგლისელთა თამაშიდან გამოსვლის შემდეგ, საერთოდ, მათი ყველაზე ძლიერი მეტოქე — დასავლეთ-ფრანკული მხარის ტერიტორიულ მმართველთა შეჯიბრს გამოეთიშება. შარლ მამაცს რჩება ერთადერთი ქალიშვილი, მარია; და მისი ხელის სათხოვნელად, მისი მემკვიდრეობისათვის ლუი ახლა კონკურენციას უწევს იმ ძალას, რომელიც ახლა უფრო დიდ ევროპულ სივრცეში ნელ-ნელა პარიზის სამეფო სახლის მთავარი მოწინააღმდეგე ხდება, კერძოდ ჰაბსბურგების სახლს. რაც უფრო მეტად უახლოვდება დასასრულს ყოფილი დასავლეთ-ფრანკული მხარის ფარგლებში შესარჩევი ბრძოლები ერთი რომელიმე მოქიშპე სახლის მიერ ჰეგემონიური ძალაუფლებისა და მონოპოლიური მდგომარეობის მიღწევის წყალობით, მით უფრო მეტად გამოდის წინა პლანზე ამ გამარჯვებული სახლის (რომელიც ახლა თანდათან მთელი ამ რეგიონის ცენტრი ხდება), მტრობა ამ რეგიონის ფარგლებს გარეთ არსებულ, ასეთივე დიდი ძალაუფლების მქონე სახლებთან. თავდაპირველად, ბურგუნდიისათვის ჭიდილში ჰაბსბურგელები იმარჯვებენ; მარიას ხელთან ერთად მაქსიმილიანი მოიპოვებს ბურგუნდიის მემკვიდრეობის უდიდეს ნაწილს. ამით შეიქმნება სიტუაცია, რომელიც ორ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ასაზრდოებს დაპირისპირებას ჰაბსბურგელ და პარიზელ მეფეთა შორის. თუმცა, თავად ბურგუნდიის საჰერცოგო და უშუალოდ

ბურგუნდიის სამემკვიდრო წილის კუთვნილი ორი მამული ვალუას სამეფო სახლის საკუთრებაში ბრუნდება. ამას დაემატება ბურგუნდიული მემკვიდრეობის ნაწილები, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფრანგული სამფლობელოს შეკვრისათვის.

ყოფილ დასავლეთ-ფრანკული მხარის ფარგლებში ახლა რჩება კიდევ ოთხი სახლი, რომლებიც გარკვეული მნიშვნელობის ტერიტორიებს ფლობენ. მათ შორის უძლიერესი, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, უმნიშვნელოვანესი და ყველაზე ხანგრძლივად თავისუფალი, არის ბრეტანის სახლი. მაგრამ, ვერცერთი ამ სახლთაგან ვერ გაუტოლდება პარიზული სახლის სოციალურ ძლიერებას; ფრანგი მეფეების ხელისუფლება გამოეთიშა მეზობელ ტერიტორიულ მმართველთა კონკურენციის სფეროს. ის მათ შორის მონოპოლიურ პოზიციას აღწევს. ადრე თუ გვიან, ხელშეკრულების, ძალადობის თუ სხვა შემთხვევითობათა გზით, ისინი მასზე დამოკიდებულნი ხდებიან და თავიანთ დამოუკიდებლობას კარგავენ.

ის, რომ დაახლოებით მე-15 საუკუნის დასასრულს, ბრეტანის ჰერცოგი, ისევე როგორც მანამდე ბურგუნდიის ჰერცოგი, გარდაცვალების შემდეგ ერთადერთ მემკვიდრედ ქალიშვილს ტოვებს, თუ გნებავთ, შემთხვევითობად ჩავთვალოთ. დაპირისპირება, რომელსაც ეს შემთხვევითობა იწვევს, ზუსტად აჩვენებს ძალთა არსებულ თანაფარდობას. ძველი, დასავლეთ-ფრანკული ტერიტორიის დარჩენილ ტერიტორიულ მმართველთაგან არცერთი აღარ არის საკმარისად ძლიერი იმისათვის, რომ პარიზელ მეფეს ბრეტანულ მემკვიდრეობას შეედაოს. როგორც ბურგუნდიული მემკვიდრეობის შემთხვევაში, აქაც მოქიშპენი გარედან მოდიან; აქაც დგას საკითხი, ვინ მიიღებს ქორწინების შედეგად ბრეტანს, ჰაბსბურგელი თუ ვალუა, შარლ VIII, ლუი XI-ს უმცროსი ვაჟი, თუ მაქსიმილიან ჰაბსბურგელი, რომის კაიზერი და ბურგუნდიის მმართველი, რომელიც ბურგუნდიის მემკვიდრე ქალის გარდაცვალების შემდეგ ისევ თავისუფალია. ისევე როგორც ბურგუნდიის შემთხვევაში, აქაც ჰაბსბურგელი მოახერხებს, დასაწყისში, დროებით გააფორმოს ქორწინება ანნე ფონ ბრეტანთან. ბევრი კამათის შემდეგ (გადამწყვეტი მნიშვნელობა საბოლოოდ ბრეტანელ დიდგვაროვანთა აზრმა იქონია), მემკვიდრე ქალიშვილის ხელი მაინც, საფრანგეთის წარმომადგენელ შარლს ერგება. ჰაბსბურგელები პროტესტს გამოხატავენ; ამას მოწინააღმდეგეთა შორის ბრძოლამდე მივყავართ, ბოლოს ისინი შეთანხმებას აღწევენ და კომპრომისამდე მიდიან: ბურგუნდიის თავისუფალი საგრაფო, რომელიც ტრადიციულ, დასავლეთ-ფრანკულ ტერიტორიულ კომპლექსს არ ეკუთვნის და რომელიც უშუალოდ მაშინდელ ფრანგულ სამფლობელოთა ტერიტორიაზე არ მდებარეობს, ჰაბსბურგელებს ერგება; ამის სანაცვლოდ მაქსიმილიანი აღიარებს ბრეტანის დაპყრობას შარლ VIII-ს მიერ. და როცა შარლ VIII უშვილოდ გარდაიცვლება, მისი მემკვიდრე, ორლეანის შტოს წარმომადგელი ვალუა, ლუი XII, უყოყმანოდ გააუქმებინებს პაპს

თავის შემდგარ ქორწინებას და ცოლად ირთავს თავისი წინამორ-ბედის ოცდაერთი წლის ქვრივს, რათა მიიღოს მისი მემკვიდრეობა ბრეტანი, ტახტის მამული, რომელიც უკვე მის მამულად იქცა. როცა ამ ქორწინებიდან მხოლოდ ქალები იბადებიან, მეფე თავის უფროს ქალიშვილს, რომელსაც დედის მხრიდან მემკვიდრეობის სახით ერგება ბრეტანი, მეფობის კანდიდატ ოჯახის მომდევნო ცოცხალ მემკვიდრეზე, ფრანც ფონ ანჟულემელზე დააქორწინებს. იმის საფრთხე, რომ ეს მნიშვნელოვანი მხარე მოწინააღმდეგეებს, პირველ ყოვლისა, ჰაბსბურგელებს შეიძლებოდა დარჩენოდა, ისევ ამისაკენ უბიძგებს. და მაშასადამე, კონკურენტული მექანიზმის ზეწოლით, დასავლეთ-ფრანკული ტერიტორიის ბოლო რეგიონიც, რომელმაც თავისი დამოუკიდებლობა ყველა შესარჩევ ბრძოლაში შეინარჩუნა, ნელ-ნელა პარიზელი მეფეების ხელისუფლების ქვეშ ინტეგრირდება. თავდაპირველად, როცა ანჯულემელის აპანაჟის მემკვიდრე ფრანც I-ის სახელით გამეფდება, ბრეტანი ჯერ კიდევ ინარჩუნებს გარკვეულ თავისუფლებას. მისი სოციალური ფენების დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა არის და შემდგომშიც, მართლაც, გაცხოველებლი რჩება; მაგრამ ერთი ცალკეული ტერიტორიის საომარი პოტენციალი უკვე მეტისმეტად მცირეა იმისათვის, რომ წარმატებით აღუდგეს წინ სახელისუფლო გაერთიანებებს, რომლებიც მის გარშემო ჩამოყალი-ბდა. 1532 წელს ბრეტანის ფრანგული სამფლობელოსათვის ფაქტი-ური მიკუთვნებულობა ინსტიტუციონალურად გამყარდა.

უწინდელ დასავლეთ-ფრანკულ სივრცეში დამოუკიდებელ მხარეებად რჩება ალანსონის საჰერცოგო, ნევერისა და ვანდომის საგრაფოები, ბურბონისა და ალებრეს მამულები, რომლების პარიზის მეფის სამფლობელოს ან ჰაბსბურგელთა მხარეს არ განეკუთვნებიან ფლანდრიისა და არტოის მსგავსად.[96] მიუხედავად იმისა, რომ მათი ცალკეული მეფეები, მაგალითად, ალბრესა და ბურბონის მმართვე-ლები, შესაძლებლობის ფარგლებში, თავიანთი სამფლობელოს გაზრდაზე მუშაობენ და ჯერ კიდევ ოცნებობენ მეფის გვირგვინზე[97], მათი მამულები მხოლოდ ფრანგი მეფის სამფლობელოს ანკლავებს წარმოადგენს. გვირგვინის მფლობელი მთლიანად გამოთიშულია ამ სხვა ტერიტორიულ მმართველთა კონკურენტული სივრციდან. სახლები, რომლებიც აქ ოდესღაც არსებობდა ან დამოკიდებული გახდა, ან საერთოდ გაუქმდა. ყოფილი დასავლეთ-ფრანკული მხარის ფარგლებში საბოლოოდ გაბატონდნენ პარიზელი მეფეები და მათ აღარც მოცილე ჰყავს ვინმე. მათი პოზიცია, აქედან მოყოლებული, სულ უფრო გამოკვეთილად იძენს აბსოლუტურ-მონოპოლიური მდგომარეობის ხასიათს. დასავლეთ-ფრანკული ტერიტორიის გარეთ იგივე პროცესები განვითარდა, თუმცა დასაწყისში მონოპოლიური პროცესი და შესარჩევი ბრძოლების გათამაშება არსად წასულა ისე შორს, როგორც საფრანგეთში. ჰაბსბურგებმა მაინც გააერთიანეს თავიანთი მამული, რომელიც სამხედრო და ფინანსური პოტენციალით ბევრად აჭარბებდა ევროპული კონტინენტის სხვა სამფლობელოთა

უმეტესობას. ის, რაც მანამდე ბურგუნდიისა და ბრეტანის მემკვიდრეობასთან დაკავშირებით გამოვლინდა, მე-16 საუკუნის დასაწყისიდან უფრო და უფრო ნათლად გამოდის დღის სინათლეზე: ჰაბსბურგელი კაიზერის სახლი და ფრანგი მეფის სახლი, რომლებიც დასაწყისში შარლ V-ითა და ფრანც I-ითაა წარმოდგენილი, ახლა, ახალი მასშტაბების მოქიშპეთა სახით ერთმანეთს უპირისპირდება. ორივე მათგანს მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი მმართველობის მონოპოლია აქვს ვრცელი ტერიტორიის ფარგლებში. ისინი ერთმანეთს ებრძვიან შანსებისა და ჰეგემონიისათვის იმ დიდ რეგიონში, რომელზედაც ჯერ არ ვრცელდება მმართველობის მონოპოლია, ე.ი. იბრძვიან როგორც „თავისუფალი კონკურენტები". და მათ შორის მტრობა, ამის შესაბამისად, დიდი ხნის მანძილზე, უფრო დიდი, ჩამოყალიბების პროცესში მყოფი, ევროპული დაძაბულობის სისტემის არსად იქცევა.

14. ფრანგული სამფლობელო თავისი მასშტაბით ბევრად უფრო პატარაა, ვიდრე ჰაბსბურგელთა მამული, მაგრამ ის ბევრად უფრო ცენტრალიზებულია და პირველ რიგში, უფრო ჩაკეტილი, კერძოდ, სამხედრო თვალსაზრისით, „ბუნებრივი საზღვრებით" უკეთ დაცული. მისი დასავლეთ საზღვრები არხზე და ატლანტის ოკეანეა განლაგებული. ნავარამდე კუნძულთა მხარე მთლიანად ფრანგ მეფეთა ხელშია მოქცეული; სამხრეთ საზღვარს ქმნის ხმელთაშუა ზღვა; აქაც, გარდა რუსიიონისა და სერდანისა, მთელი კუნძულთა მხარე ფრანგული მმართველობის ქვეშაა. აღმოსავლეთით, რონეზე გადის საზღვარი ნიცას საგრაფოსთან და სავოიის საჰერცოგოსთან; შემდეგ დოფინესა და პროვანსის გავლით, საზღვარი რონეს გასწვრივ ალპებამდეა გადატანილი. მისგან ჩრდილოეთით, ბურგუნდიის თავისუფალ საგრაფოსთან ისევ რონე და საონი ქმნის სამეფოს საზღვრებს; შუა და ქვემო წელში საზღვარი ცოტათი გადასცილდება საონს. ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით კიდევ უფრო ნაკლებად აღწევს დღევანდელი საფრანგეთის საზღვრებს; მხოლოდ მეტცის, ტულისა და ვერდენის საეპისკოპოების დაკავებით უახლოვდება სამეფოს ტერიტორია რაინს; მაგრამ ეს ჯერ კიდევ ანკლავებია, გერმანიის იმპერიის მხარეში გადანაცვლებული პოსტები; მასთან მიმართებაში საზღვრები გადის ვერდენიდან ოდნავ დასავლეთით, ჩრდილოეთით — დაახლოებით სედანის მიდამოებში; ისევე როგორც ბურგუნდიის თავისუფალი საგრაფო, ფლანდრიაცა და არტუაც ჰაბსბურგელთა მხარეს ეკუთვნის. ერთ-ერთი საკითხი, რომელიც მათთან ჰეგემონიისათვის ბრძოლაში უნდა გადაწყდეს არის შემდეგი: გადაიწევს თუ არა და რამდენად გადაიწევს აქ საზღვრები. თავდაპირველად, საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში, ფრანგული მმართველობა ამ მხარეში შენარჩუნებულია. და მხოლოდ 1610-1659 წლებში, საფრანგეთს მიუერთდება ჩრდილოეთით არტუას მხარე, უფრო იქით, საფრანგეთსა და სამ საარქიეპისკოპოსოს შორის არსებული მიდამოები და ზემო და ქვემო ელზასი, როგორც ახალი ანკლავი კაიზერის იმპერიაში; მხოლოდ მაშინ უახლოვდება საფრან-

გეთი რაინს[98]. მხარეთა დიდი ნაწილი, რომელიც დღეს საფრანგეთს ქმნის, ერთ სახელისუფლო ერთეულადაა გაერთიანებული. ღიად რჩება მხოლოდ გაფართოების შესაძლებლობის საკითხი: მონახავს თუ არა და სად მონახავს საბოლოოდ ეს გაერთიანება ევროპულ დაძაბულობის სისტემაში „ბუნებრივ", მაშასადამე, ისეთ საზღვრებს, რომელიც კარგად შეიძლება იყოს დაცული.

მას, ვინც თვალს გადაავლებს განვლილს, ვინც პოლიტიკური წესრიგის პირობებში, ფიზიკური ძალადობის სტაბილური და ცენტრალიზებული გამოყენების საზოგადოებაში ცხოვრობს, ფრანგი — საფრანგეთში, გერმანელი — გერმანიაში, ასეთი ძალისმიერი მონოპოლიის არსებობა და ასეთი სიდიდისა და ტიპის მხარეთა გაერთიანება თავისთავად ცხადად და მიზანშეწონოლად მოეჩვენება. ისინი ამას უნებლიეთ განიხილავენ, როგორც რაღაც ცნობიერად დაგეგმილს. ამგვარი ადამიანი ცალკეულ აქციებს, რომელთაც ამისაკენ მივყავართ, აკვირდება და ხშირად მისთვის აზრიანი და თავისთავად ცხადი წესრიგისათვის უშუალო მიზანშეწონილობის თვალსაზრისით აფასებს. ის მიდრეკილია იმისაკენ, რომ ნაკლებად გადაამოწმოს აქტუალური ჩავარდნები და გარდაუვალობანი, რომლითაც ოდესღაც ადამიანები და ადამიანთა ჯგუფები მოქმედებდნენ. კიდევ უფრო ნაკლებად აინტერესებს მას მათი უშუალო გეგმები, სურვილები და ინტერესები. უფრო არსებითია საკითხი, რამდენად კარგი ან ცუდი იყო ეს იმისათვის, რასთანაც ის საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენს. და თითქოს, წარსულის აქტორებს უკვე თვალწინ უნდა ჰქონოდათ ან შეეძლოთ ჰქონოდათ იმ მომავლის წინასწარმეტყველური სურათი, რომელიც მისთვის, რეტროსპექტულად დამკვირვებლისათვის უფრო აზრიანი და ალბათ, მისაღები აწმყო იქნებოდა— ამის შესაბამისად, განადიდებს ან განსჯის ის განვლილი ისტორიის აქტორებს, ასე ჩამოურიგებს შეფასებებს, იმისდა მიხედვით, მათ მოქმედებებს პირდაპირ მივყავართ სასურველ შედეგებამდე, თუ არა.

მაგრამ ასეთი შეფასებების, პიროვნული კმაყოფილების მსგავსი გამოთქმების, წარსულის ასეთი სუბიექტივისტური თუ პარტიული განხილვით, უმეტეს შემთხვევაში ჩავკეტავთ მისასვლელს განვითარების ელემენტარულ კანონზომიერებებთან და მექანიზმებთან, ისტორიული წარმონაქმნების ნამდვილ სტრუქტურულ ისტორიასა და სოციოგენეზისთან. ეს წარმონაქმნები ყოველთვის ერთმანეთთან დაპირისპირებულთა ბრძოლაში ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამბივალენტურ ინტერესთა კამათში ვითარდება. რაც ამგვარ ბრძოლებში იღუპება ან ახალ ფორმაციებში გაიშლება, როგორც თავადთა ხელისუფლება მეფის ხელისუფლებაში, ან მეფის ხელისუფლება — ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, არანაკლებ აუცილებელია ამ ფორმაციათა ჩამოყალიბებისათვის ვიდრე თავად აღმატებული, მრავალგზის გამარჯვებული მოწინააღმდეგე. ძალადობრივი აქციების, თავისუფალი კონკურენციის სტიმულების გარეშე არ

იარსებებდა ძალის მონოპოლია და შესაბამისად, არც მშვიდობის დამყარება, დიდი რეგიონების მასშტაბით ძალის გამოყენების რაიმე შეზღუდვა თუ რეგულირება.

მოძრაობის არასწორხაზოვნებამ, რომელსაც ილ დე ფრანსის საპერცოგოს კრისტალიზაციის ცენტრის გარშემო სულ უფრო დიდი ტერიტორიების ინტეგრაციისაკენ მივყავდით, შეიძლება თვალსაჩინო გახადოს, რომ დასავლეთ-ფრანკული მხარის სრული ინტეგრაცია დიდწილად გადაჯაჭვულობის ავტომატიზმის, მთელი რიგი შესარჩევი ბრძოლების შედეგია და ნაკლებად წარმოადგენს წინასწარ-მეტყველური ხედვის ან მტკიცე გეგმის შედეგს, გეგმისა, რომელსაც ცალკეული გვირგვინოსანი ინდივიდები ემხრობიან.

" Assurément", შენიშნა ერთხელ ანრი ოზემ[99], " il y a toujours quelque chose d'un peu factice à se placer dans une position a posteriori et à regarder l'histoire à rebrousse-poil, comme si la monarchie déjà administrative et la France déjà centralisée de Henri II avaient été de toute éternité destinées à naître et à vivre dans des limites déterminées..."

მხოლოდ მაშინ, თუ ერთი წუთით, კვლავ წარსულში წარმოვიდგენთ თავს, თუ დავინახავთ მეომართა არაერთი სახლის ბრძოლას და მათ უშუალო სასიცოცხლო აუცილებლობებს, მათ უახლოეს მიზნებს, თუ ერთი სიტყვით, თვალწინ გვიდგას მთელი რისკი მათი ბრძოლებისა და სოციალური არსებობისა, შეიძლება გავიგოთ რამდენად საალბათო იყო ამ მხარეში ჰეგემონიისა და მონოპოლიის ჩამოყალიბება, რა არამტკიცე იყო მისი ცენტრი და საზღვრები.

ფრანგ მეფეებსა და მის წარმომადგენლებთან მიმართებაში, გარკვეულწილად სამართლიანია ის, რაც ერთხელ ამერიკელი პიონერების შესახებ ითქვა [100]:

"He didn't want all the land; he just wanted the land next to his."

ეს მარტივი და ზუსტი ფორმულირება ძალზე კარგად გამოხატავს იმას, როგორ იქმნება საბოლოოდ განსაზღვრული რამ ურიცხვი ინდივიდუალური ინტერესებისა და განზრახვების გადაჯაჭვულობიდან— იქნება ეს ერთი, სხვადასხვა მიმართულების, თუ მტრული ინტერესები— ისე, როგორც ის არის და არა რომელიმე ცალკეული ინდივიდის გეგმისა და განზრახვის მიხედვით. თუმცა, ის ამავე დროს, მაინც ბევრი ცალკეული ინდივიდის განზრახვებიდან და ქმედებებიდან გამომდინარეობს. და ეს არის არსებითად მთელი სოციალური გადაჯაჭვულობის, მისი გარდაუვალობის, აგების კანონზომიერების, სტრუქტურის, პროცესული ხასიათის და განვითარების საიდუმლო. ეს არის სოციისგენეზისისა და ურთიერთობათა დინამიკის საიდუმლო.

ფრანგული სამეფო ხელისუფლების წარმომადგენლებს განვითარების უფრო გვიანდელ ფაზაში, თავიანთი ცენტრალური პოზიციის წყალობით, ცხადია, ინტეგრაციის პროცესში უფრო შორს მიმავალი ზრახვები და მოქმედების რადიუსი ჰქონდათ, ვიდრე ცალკეულ ამერიკელ პიონერებს. მაგრამ ისინიც ცხადად და გამოკვეთილად

ყოველთვის, თვალწინ მხოლოდ უახლოეს ნაბიჯებს და მიწის უახლოეს ტერიტორიებს წარმოიდგენდნენ, რომლებიც მათ უნდა მიეღოთ, თუ ის სხვისთვის არ იყო განსაზღვრული და თუ სხვა არასასიამოვნო მეზობელი ან კონკურენტი მათზე უფრო ძლიერი არ გახდებოდა; და თუ რამდენიმე მათგანი, უფრო დიდი სამეფოს ხატსაც ატარებდა თან, დიდი ხნის განმავლობაში მათ სულში ეს ხატი უფრო მეტად, წარსული მონოპოლიური წარმონაქმნების აჩრდილს, კაროლინგებისა და დასავლეთ-ფრანკული სამეფოს ასახვას წარმოადგენდა. ეს უფრო მოგონების ნაყოფი იყო, ვიდრე წინასწარმეტყველური ჩვენება და მომავლისათვის ახალი მიზნის დასახვა. როგორც ყოველთვის, აქ არაერთი ინდივიდუალური ინტერესის, გეგმისა და აქციის გადაჯაჭვა იძლეოდა განვითარების მიმართულებას, ურთიერთშეკავშირებულ ადამიანთა მთელის კანონზომიერებას, რომელიც ცალ-ცალკე არცერთ მათგანს არ დაუსახავს მიზნად და იძლეოდა წარმონაქმნს, რომელიც არცერთს მოქმედთაგანს არ დაუგეგმავს— სახელმწიფოს, საფრანგეთს. სწორედ ამიტომ, ამგვარი წარმონაქმნის გაგება მოითხოვდა გასვლას ახალ, სინამდვილის ნაკლებად ცნობილ დონეზე, საკუთარი კანონზომიერების მქონე ურთიერთობათა დონეზე, ურთიერთობათა დინამიკის ველში.

ძალთა თანაფარდობის განაწილება ხელისუფლებაში მისი მნიშვნელობა ცენტრალური ხელისუფლებისათვის „სამეფო მექანიზმის" ჩამოყალიბება

15. მონოპოლიათა ჩამოყალიბებაში ორ ფაზას გაარჩევენ: თავისუფალი კონკურენციის ფაზა, რომელსაც ახასიათებს ლტოლვა მეტ-ნაკლებად კერძო მონოპოლიის ჩამოყალიბებისაკენ და „კერძო" მონოპოლიათა „საჯარო" მონოპოლიად თანდათანობითი გარდაქმნის ფაზა. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით, ამ პროცესში საქმე არ ეხება ტენდენციათა მარტივ თანმიმდევრობას; მიუხედავად იმისა, რომ მმართველობის მონოპოლიის განსაზოგადოებრიობა ამგვარი გარდაქმნის პროცესში მხოლოდ მოგვიანებით აღწევს მის სრულ გამოხატულებას და დომინანტური მოვლენა ხდება, სტრუქტურები, გადაჯაჭვის გამოვლინებანი, რომელთაც მისკენ მივყავართ, უკვე დიდი ხანია არსებობს და მოქმედებს უკვე იმ ფაზაში, რომელშიც მრავალფეროვანი კონკურენტული ბრძოლებიდან სახელისუფლო მონოპოლია კერძო მფლობელობის სახით ყალიბდება.

უეჭველია, რომ ფრანგული რევოლუცია გულისხმობს განსაკუთრებით საგრძნობ ბიძგს საფრანგეთის სივრცეში საგადასახადო და ძალისმიერი მონოპოლიის განსაზოგადოების გზაზე. აქ, ფაქტიურად, ეს სახელისუფლებო მონოპოლიები უფრო ფართო სოციალური ფენების განმგებლობაში ან სულ მცირე, ინსტიტუციონალურად

გამყარებულ ფორმებში გადადის; ცენტრალური მმართველი, რა ტიტულსაც უნდა ატარებდეს იგი და ყველა სხვა, ვინც სახელისუფლო მონოპოლიას იყენებს, ფუნქციური დანაწილების მქონე საზოგადოების მთელ ქსელში (სხვათა შორის, უწინდელზე უფრო მეტად და აშკარად), ფუნქციონერები ხდებიან; მათი ფუნქციური დამოკიდებულება სხვა სოციალური ფუნქციის წარმომადგენლებზე იმდენად გაიზარდა, რომ ეს ნათლად და გასაგებად გამოიხატება სოციალურ ორგანიზაციაში. სახელისუფლო მონოპოლიისა და მის მფლობელთა ამ ფუნქციონალურ დამოკიდებულებას საზოგადოების სხვა ფუნქციებზე წინა ფაზებშიც ჰქონდა ადგილი; მაგრამ ის ჯერ კიდევ არ იყო ასე ძლიერი; ამიტომ დიდი ხნის მანძილზე საზოგადოების ორგანიზაციაში, ინსტიტუციონალურ სტრუქტურაში ის უშუალოდ და შეუნიღბავად არ გამოვლინდება; ამდენად, სახელისუფლო მონოპოლიის მქონეთა გამგებლობის ძალაუფლებას დასაწყისში მეტ-ნაკლებად „კერძო საკუთრების" ხასიათი აქვს.

16. როგორც ითქვა, ერთი ცალკეული ოჯახის მონოპოლიური მდგომარეობის გარკვეული ფორმის „განსაზოგადოებრიობის" ტენდენციები, თვით უპირატესად ნატურალური მეურნეობის მქონე საზოგადოებებშიც კი, განსაზღვრულ გარემოებებში გამოვლინდება, კერძოდ მაშინ, როცა მათი გამგებლობის სფერო ან საკუთრება საკმაოდ შესამჩნევად იწყებს ზრდას. ის, რასაც ჩვენ „ფეოდალიზმს" ვუწოდებთ და რაც ზემოთ აღწერილი იყო, როგორც ცენტრიდანული ძალების მოქმედება, სხვა არაფერია, თუ არა ამგვარ ტენდენციათა გამოხატულება; ისინი აჩვენებენ, რომ ზრდის პროცესშია ბატონის ფუნქციონალური დამოკიდებულება მის მსახურებზე თუ ქვეშემრდომებზე, მაშასადამე, უფრო ფართო ფენებზე; ამას მოჰყვება ის, რომ მიწებისა და საომარი ინსტრუმენტების განკარგვის უფლება მეომართა ცალკეული ოჯახების ან მათი წინამძღოლის ხელიდან თავდაპირველად მათი უახლოესი მსახურებისა და ნათესავების იერარქიულ განმგებლობაში გადადის, შემდეგ კი გარკვეულ გარემოებებში, ეს ძალაუფლება მეომართა მთელ საზოგადოებაზე ვრცელდება. უკვე მივუთითეთ იმაზე, რომ აქ „განსაზოგადოებრიობა", მინათმფლობელობისა და ძალისმიერ ინსტრუმენტთა თავისებურების შესაბამისად, ცენტრალიზებული, თუმცა სუსტად ცენტრალიზებული მონოპოლიის გაუქმებასაც ნიშნავს, რასაც აქ ერთადაერთი, დიდი მონოპოლიური მამულის მთელ რიგ მცირე მონოპოლურ მამულებად გადაქცევამდე მივყავართ, მაშასადამე, მონოპოლიათა დეცენტრალიზებულ და ნაკლებ ორგანიზებულ ფორმამდე. სანამ მიწათმფლობელობა საკუთრების გაბატონებული ფორმა რჩება, გარკვეულ ვითარებაში ყოველთვის შეიძლება განხორციელდეს ახალი ბიძგები ამა თუ იმ მიმართულებით: ჰეგემონიის წარმოქმნა თავისუფალი კონკურენტული ბრძოლების გზაზე, მიწის დიდი ფართობებისა და მემართა დიდი რაოდენობის თავმოყრა ერთადერთი მეომარი ცენტრალური მმართველის ხელში,

დეცენტრალიზაციის ბიძგები მათ შთამომავალთა მმართველობის დროს, ახალი კონკურენტული ბრძოლები მათ მსახურთა ფენებში, მათ ნათესავებსა და სხვა რანგის დაქვემდებარებულ ადამიანებს შორის, ჰეგემონიის ჩამოყალიბების ახალი მცდელობები; ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის ბიძგების ამ მთლიანობამ გარკვეულ პირობებში,—ადამიანთთვის სასიცოცხლოდ არსებითი გეოგრაფიული და კლიმატური მონაცემების, მეურნეობის განსაკუთრებული ფორმების, ფლორისა და ფაუნის რაგვარობის მიხედვით, — და ასევე გადარჩენის ორგანიზაციის ტრადიციულ სტრუქტურასთან მუდმივ კავშირში, სოციალური ტრანცფორმაციების სხვადასხვა, მსგავსი ბიძგების რთულ კომპლექსამდე შეიძლება მიგვიყვანოს. სხვა არაევროპულ, ფეოდალურ საზოგადოებათა ისტორია ამ თვალსაზრისით ყველგან ანალოგიურ კანონზომიერებას აჩვენებს. მაგრამ რაც არ უნდა ძლიერ იგრძნობოდეს ამგვარი მერყეობანი საფრანგეთის განვითარებაში, მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებებთან შედარებით, აქ პროცესი შედარებით სწორხაზოვნად მიმდინარეობს.

ხდება ამ რიტმის მოდიფიცირება და საბოლოოდ დარღვევა, რაც ყოველთვის შეიცავს დიდ მონოპოლიურ სამფლობელოთა ლიკვიდაციის საფრთხეს, ამასთან დასაწყისში იმდენად, რამდენადაც საზოგადოებაში მზარდი ფუნქციური დანაწილების ზრდის პარალელურად, მიწათმფლობელობის ნაცვლად საკუთრების დომინანტური ფორმა ფინანსურ საშუალებათა ფლობა ხდება. ამით დიდი, ცენტრალიზებული მონოპოლია ერთი ცენტრალური მმართველის ან პატარა ჯგუფის ხელიდან ერთი დიდი ჯგუფის ხელში გადასვლისას ბევრ, პატარა ნაწილად კი არ დაიშლება, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ფეოდალიზების ყოველი ბიძგის შემთხვევაში, არამედ ის თანდათანობით, ცენტრალიზებული წესით, ფუნქციური დანაწილების მქონე საზოგადოების, როგორც მთელის, ინსტრუმენტი ხდება, მაშასადამე, პირველ რიგში, იმ სტრუქტურის ცენტრალური ორგანო, რასაც ჩვენ სახელმწიფოს ვუწოდებთ.

გაცვლა-გამოცვლისა და ფულის მიმოქცევის განვითარება, იმ სოციალურ ფორმაციებთან ერთად, რომლებშიც ეს პროცესები ხდება, ყოველთვის ურთიერთკავშირშია ერთი განსაზღვრული რეგიონის შიგნით სახელისუფლო მონოპოლიის ფორმასა და განვითარებასთან; განვითარების ორივე რიგი მუდმივ ურთიერთქმედებაშია და მონაცვლეობით ამოტივტივდება ზედაპირზე. სახელისუფლო მონოპოლიის ფორმასა და განვითარების მიმართულებაზე სხვადასხვა მხრიდან გავლენას ახდენს საზოგადოების დიფერენციაცია, ფულის მიმოქცევის დაჩქარება და ფულის მშოვნელი და მფლობელი ფენების ჩამოყალიბება. მეორე მხრივ, თვით შრომის დანაწილების გაძლიერება, დიდი რეგიონების მასშტაბით გზებისა და ბაზრების დაცვა, ფულის მოჭრისა და ფულის მთელი მიმოქცევის მოწესრიგება, მშვიდობიანი წარმოების დაცვა ფიზიკური ძალადობის შემოჭრისაგან და კოორდინაციისა და რეგულირების ღონისძიებათა მთელი

სისრულე დიდწილადაა დამოკიდებული უფრო დიდი მონოპოლიური და ცენტრალური ინსტიტუტების ჩამოყალიბებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რაც უფრო მეტად ხდება საზოგადოებრივ გაერთიანებაში სამუშაო პროცესების, მთლიანი ფუნქციების დიფერენციაცია, რაც უფრო გრძელი და რთული ხდება ინდივიდუალურ მოქმედებათა ჯაჭვები, რომლებიც ერთმანეთს უნდა გადაეჭდოს, რათა ცალკეულმა აქციამ თავისი სოციალური მიზნის შესრულება შეძლოს, მით უფრო მეტად გამოდის წინა პლანზე ცენტრალურ ორგანოში ძალზე სპეციფიკური ხასიათი: *უმაღლესი მაკოორდინირებელი და მარეგულირებელი ორგანოს ხასიათი ფუნქციური დანაწილების პროცესების მთელისათვის.* ამ ფუნქციების მქონე, შესაბამისად მაღალორგანიზებული ორგანოს გარეშე, ფუნქციური დანაწილების პროცესები დიფერენციაციის გარკვეული დონიდან დაწყებული, არც წინ მიდის და არც აქტუალურად ფუნქციონირებს გარკვეული საზოგადოების შიგნით. ნაწილობრივ, ეს ფუნქცია, მარტივად ორგანიზებულ და ნაკლებ დიფერენცირებულ საზოგადოებათა ცენტრალურ ინსტიტუტებსაც აქვთ. თვით ისეთი, სუსტად შეკავშირებული საზოგადოებაც კი, როგორიცაა დამოუკიდებელ ფეოდალთა საზოგადოება მე-9, მე-10 საუკუნეებში, გარკვეულ გარემოებებში, უმაღლეს კოორდინატორს მოითხოვდა. თუ ძლიერი, გარეშე მტერი იმუქრებოდა, აქაც ომის წარმართვისათვის საჭირო იყო ვინმე, ვინც რაინდთა დიდი რიცხვის გაერთიანებას უზრუნველყოფდა, ვინც კოორდინირებას გაუწევდა მათ საქმიანობას და საბოლოო გადაწყვეტილებებს მიიღებდა. ამ სიტუაციაში კვალავ, თანაც უფრო ცხადად, ვლინდებოდა მრავალი, იზოლირებულად მცხოვრები მმართველის ინტერდეპენდენცი. თუ არმიაში ურთიერთთანამშრომლობა არ იყო მიღწეული, ყოველ ცალკეულ რაინდს საფრთხე ემუქრებოდა. და რადგან, ამგვარ სიტუაციაში მნიშვნელოვნად იზრდებოდა ყველა მათგანის დამოკიდებულება ცენტრალურ მმართველზე, მეფეზე, შესაბამისად მაღლა იწევდა მისი ავტორიტეტიც, სოციალური ძლიერება და ძალაუფლება, თუ რა თქმა უნდა, ის თავის საზოგადოებრივ ფუნქციას აღასრულებდა და არ დამარცხდებოდა. მაგრამ როცა გარეშე საფრთხე ან ექსპანსიის შესაძლებლობა გამოირიცხებოდა, საზოგადოების ამგვარი სტრუქტურის არსებობის პირობებში ცალკეული ადამიანების და ჯგუფების დამოკიდებულება უმაღლეს მაკოორდინირებელ და მარეგულირებელ ცენტრზე შესამჩნევად მცირდებოდა. ცენტრალურ ორგანოებთან მიმართებაში გრძელვადიან, სპეციალიზებულ და დიფერენცირებულ ამოცანათა სფეროს სახით ეს ფუნქცია, პირველად, წინა პლანზე გამოდის მაშინ, როცა საზოგადოებრივი გაერთიანება, როგორც მთელი, უფრო და უფრო მრავალმხრივ დიფერენცირებას განიცდის, როცა მის უჯრედულ აგებულებაში ახალი ფუნქციები, ახალი პროფესიული ჯგუფები და ფენები წარმოიქმნება; მაშინ მაკოორდინირებელი და მარეგულირებელი ცენტრალური ორგანოები მთელი

საზოგადოებრივი მექანიზმისათვის იმდენად საჭირო ხდება, რომ მის შიგნით სოციალურ ძალთა ცვლილებისას მათი ლიკვიდაცია უკვე შეუძლებელია, თუმცა ისინი რეორგანიზაციას განიცდიან და სხვა ორგანოთი ჩანაცვლდებიან, როგორც ეს ადრე ფეოდალიზაციის ბიძგების შემთხვევაში მოხდა.

17. დიდი ტერიტორიების მასშტაბით განსაკუთრებით სტაბილური და სპეციალიზებული ცენტრალური ორგანოების ჩამოყალიბება დასავლური სამყაროს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოვლენაა. როგორც ითქვა, ყოველ სოციალურ გაერთიანებაში არსებობს რაღაც სახის ცენტრალური ორგანო. სოციალური ფუნქციების დიფერენციაციამ და სპეციალიზაციამ დასავლურ სამყაროში უფრო მაღალ დონეს მიაღწია, ვიდრე დედამინის სხვა რომელიმე სოციალურ გაერთიანებაში და დასავლური სამყაროს გავლით ის ამ დონეზე ასვლას იწყებს სხვა გაერთიანებებშიც. სწორედ ასევე, თავდაპირველად, დასავლეთში მოიპოვებს სპეციალიზებული ცენტრალიზებული ორგანო მანამდე არნახული ზომის სტაბილურობას. ამასთან, ცენტრალური ორგანოები, ცენტრალური ფუნქციონერები, მათი, როგორც უმაღლესი სოციალური კოორდინატორების და რეგულატორების, მზარდი ავტორიტეტიდან გამომდინარე, უპირობოდ არ მოიპოვებენ მმართველობის ძალაუფლებას. ადვილად შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ პროგრესირებად ცენტრალიზაციას, სტაბილური ცენტრიდან მთელი სოციალური მოძრაობის მკაცრ რეგულირებასა და კონტროლს გაბატონებულთა და დაქვემდებარებულთა დაშორების გამწვავება და ამ დაშორების გამყარება უნდა მოჰყოლოდა. ისტორიის მსვლელობის ფაქტიური პროცესი სხვა სურათს იძლევა. ცხადია, დასავლური სამყაროს ისტორიაში არსებობდა ფაზები, რომლებშიც საზოგადოებრივი ცენტრალური ორგანოს მმართველობის ძალაუფლება და გადაწყვეტილების მიღების სამოქმედო სივრცე იმდენად დიდია, რომ შეგვიძლია ვილაპარაკოთ ცენტრალურ მმართველთა „ბატონობაზე". მაგრამ ბევრი, სწორედ, დასავლური საზოგადოებრივი გაერთიანების უახლეს ისტორიაში არის ფაზებიც, რომლებშიც ნებისმიერი ცენტრალიზაციის პირობებში მმართველობის ძალაუფლება ცენტრალიზებულ ინსტიტუტებზე იმგვარადაა განაწილებული და დიფერენცირებული, რომ ძნელია ერთმნიშვნელოვნად დავადგინოთ, ვინ არის ბატონი და ვინ არის დაქვემდებარებული. გადაწყვეტილების მიღების სამოქმედო სივრცე, რომელიც ცენტრალურ ფუნქციებს უკავშირდება, იცვლება. ხანდახან ის ფართოვდება; მაშინ ის ადამიანები, რომლებიც ამ ფუნქციებს ფლობენ, „გაბატონებულთა" იმიჯს იძენენ. დროდადრო კი ის ვიწროვდება, ისე რომ ამას არ მოჰყვება ცენტრალიზაციის, ცენტრალური ორგანოს, როგორც უმაღლესი საკოორდინაციო და მარეგულირებელი ცენტრის მნიშვნელობის დაკნინება. სხვა სიტყვებით, ცენტრალურ ორგანოში, ისევე როგორც ყოველ სხვა სოციალურ ფორმაციაში

ერთმანეთისაგან უნდა გავარჩიოთ ორი ბუნება: *მათი ფუნქცია ადამიანთა ქსელში, რომელსაც ისინი მიეკუთვნებიან* და *სოციალური ძალები, რომლებიც ამ ფუნქციასთანაა დაკავშირებული.* რასაც ჩვენ „ბატონობას" ვუწოდებთ, მაღალი დიფერენციაციის მქონე საზოგადოებაში სხვა არაფერია, თუ არა განსაკუთრებული სოციალური ძალა, განსაზღვრული ფუნქციები, რომლებიც, უპირველეს ყოვლისა, სხვა ფუნქციათა მატარებლებთან მიმართებაში მათ მფლობელებს ცენტრალურ ფუნქციას ანიჭებს. მაგრამ სოციალური ძლიერება იმგვარადვე განისაზღვრება მაღალი დიფერენციაციის მქონე ცენტრალური ფუნქციების შემთხვევაში, როგორც ყველა სხვა ფუნქციებისას: თუ ეს ფუნქციები გრძელვადიანი გამგებლობით არ არიან დაკავშირებულნი ინდივიდუალურად ნაანდერძებ მონოპოლიურ საკუთრებასთან, მათი სოციალური ძლიერება მხოლოდ სხვადასხვა, ინტერდეპენდენტურ ფუნქციათა ურთიერთდამოკიდებულების ზომას შეესაბამება. ის, რომ ცენტრალური ფუნქციონერების „მმართველობის ძალაუფლება" იზრდება, ძლიერი ფუნქციური დანაწილების საზოგადოებაში იმის გამოხატულებას წარმოადგენს, რომ იზრდება ამ კავშირის შიგნით სხვადასხვა ჯგუფებისა და ფენების დამოკიდებულება კოორდინაციისა და რეგულირების ცენტრზე. თუ ის მცირდება, მაშინ ეს ამ დამოკიდებულების შეზღუდვის მანიშნებელია. ცენტრალურ ფუნქციონერთა სოციალური ძლიერების მსგავსი ცვლილებების მაგალითებს გვთავაზობს არა მხოლოდ სახელმწიფოს ჩამოყალიბების ადრეული მონაკვეთი, რომელიც აქ განხილვის ცენტრში დგას, არამედ დასავლური სამყაროს სახელმწიფოთა გაერთიანებების ისტორიაც. ეს ყველაფერი დაძაბულ ურთიერთობათა სპეციფიკური ცვლილებების აშკარა ნიშნებია *მთელი* საზოგადოების შიგნით. აქაც სოციალური სტრუქტურების ყოველგვარი სხვადასხვაობის მიუხედავად, კვლავაც ვეჯახებით გადაჯაჭვულობის განსაზღვრულ მექანიზმებს, რომლებსაც დიფერენცირებულ საზოგადოებებში, ზოგადად, ცენტრალური ძალაუფლების სოციალური ძლიერების შემცირების ან გაზრდისაკენ მივყავართ. რაც უნდა ქმნიდეს საზოგადოებაში აქტუალურ დაძაბულობათა ღერძს, არისტოკრატია და ბურჟუაზია თუ ბურჟუაზია და მუშათა კლასი, ამ დიდ წრესთან დაკავშირებული წარჩინებულთა პატარა წრე, დაახლოებით ისეთი, როგორიცაა კონკურენტული ჯგუფები თავადთა კარზე, თუ უმაღლესი სამხედრო და პარტიული აპარატი, ეს ყოველთვის სოციალურ ძალთა თანაფარდობის განსაზღვრული განლაგებაა, რომელაგან ერთი აძლიერებს, მეორე კი ასუსტებს ცენტრალური ხელისუფლების პოზიციას მის ცენტრში.

გადაჯაჭვულობის ამ მექანიზმის შესახებ, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების ძლიერებას განსაზღვრავს, მოკლედ უნდა ვისაუბროთ. ცენტრალიზაციის პროცესი დასავლურ საზოგადოებაში და პირველ რიგში, „სახელმწიფოს წარმოშობის" ფაზა, ისევე, როგორც ცივილიზაციის პროცესი, გაუგებარი დარჩება, თუ

გადაჯაჭვის მექანიზმის ელემენტარული კანონზომიერებიდან გამომდინარე, აზროვნების ამოსავალი წერტილის სახით თვალწინ არ გვიდგას დაკვირვების ზოგადი სქემა. ეს „ცენტრალიზაცია" თუ სახელმწიფოს წარმოშობა, წინა თავებში სხვადასხვა სამეფო ოჯახებსა და სახელისუფლო ერთეულებს შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლის თვალსაზრისით იქნა ნაჩვენები, მაშასადამე, იმ მხრივ, რასაც ჩვენ დღეს ასეთი სახელისუფლო ერთეულის *„საგარეო საქმიანობას"* ვუწოდებდით. მაგრამ, აქ ჩნდება დამატებითი პრობლემა; ჩვენს წინაშე დგას ამოცანა თვალი მივადევნოთ გადაჯაჭვის იმ პროცესებს ამ ერთ- ერთი სახელისუფლო ერთეულის *შიგნით,* რომლებიც ცენტრალურ ხელისუფლებას, წინა ფაზასთან შედარებით, განსაკუთრებულ ძალასა და სიმტკიცეს ანიჭებენ და ამით სოციალურ მთელს „აბსოლუტისტური სახელმწიფოს" ფორმას აძლევენ. სოციალურ სინამდვილეში პროცესების ორივე ეს რიგი განუწყვეტელ ურთიერთქმედებაშია: ფენათა გავლენების განაწილება და გარდაქმნა სახელისუფლო ერთეულის *შიგნით* და ძალთა თანაფარდობის გადანაწილება *სხვადასხვა* სახელისუფლო ერთეულთა დაძაბულობის სისტემაში.

უკვე ნაჩვენები იყო, რომ სხვადასხვა ტერიტორიულ სამფლობელოთა შორის კონკურენტულ ბრძოლათა პროცესში ერთი სათავადო სახლი თანდათან დანინაურდება მეორესთან მიმართებაში. ამით ის უფრო დიდი სახელისუფლო ერთეულის რეგულატორის ფუნქციას იღებს საკუთარ თავზე. მაგრამ, თავად ეს ფუნქცია მას არ შეუქმნია. ის მას ერგება კონკურენტულ ბრძოლებში აკუმულირებული საკუთრების სიდიდისა და გადასახადებსა და საომარ ინსტრუმენტებზე მონოპოლიური განკარგვის უფლების ძალით; თავად ეს ფუნქცია, კი, ყალიბდება, თავის სახესა და ძალებს იღებს ამ სოციალური გაერთიანების მთელში ფუნქციათა მზარდი დიფერენცირების წყალობით. და თუ აქედან შევხედავთ, თავდაპირველად პარადოქსად მოგვეჩვენება ის, რომ სახელმწიფოს ჩამოყალიბების ამ ფაზაში ცენტრალური მმართველი ამდენად დიდ სოციალურ ძლიერებას მოიპოვებს; რადგან, შუა საუკუნეების დასასრულიდან მოყოლებული, სწრაფად მზარდი ფუნქციური დანაწილების პარალელურად, ის ხომ, უფრო მეტად ექცეოდა სხვა ფუნქციათა შემსრულებლებზე ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში; სწორედ ამ ეპოქაში, ფუნქციური დანაწილების აქციათა ჯაჭვების ცირკულაცია სულ უფრო ფართოვდება და მტკიცდება; სოციალური პროცესების საკუთარი კანონზომიერება, ცენტრალური ხელისუფლების ფუნქციონერული ხასიათი, რომელიც საბოლოოდ საფრანგეთის რევუოლუციის შემდეგ უკვე აშკარა, ინსტიტუციონალურ გამოხატულებას იძენს, ბევრად უფრო მნიშვნელობს, ვიდრე შუა საუკუნეებში; ამის ცხადი გამოხატულებაა ცენტრალურ მმართველთა დამოკიდებულება მთელი მათი სამფლობელოდან მიღებული ფინანსური შემოსავლების სიდიდეზე: უეჭველია, რომ ლუი XIV გაცილებით უფრო ძლიერადაა

მიჯაჭვული ამ ცირკულაციაზე, ფართოდ განტოტვილ აქციათა ჯაჭვების კანონზე, ვიდრე მაგალითად, კარლოს დიდი. როგორ მოხდა, რომ ცენტრალურ მმართველებს ამ ფაზის დასაწყისში იმდენად დიდი სამოქმედო სივრცე ჰქონდათ გადაწყვეტილების მისაღებად, სოციალური ძლიერების ისეთი მაღალი დონე, რომ მის „შეუზღუდაობაზე" ვსაუბრობთ?

სინამდვილეში, ის, რაც მორჩილებაში ამყოფებდა ამა თუ იმ მხარის ფენებსა და მით უფრო, საკმაოდ ძლიერ ზედა ფენებს, სულაც არ იყო მარტოოდენ სამხედრო ძალისმიერ საშუალებებზე მეფეთა მონოპოლიური გამგებლობა, არამედ გადაჯაჭვის თავისებური კონსტელაციის საფუძველზე ამ ფაზაში იმდენად დიდი იყო სწორედ ამ ფენათა დამოკიდებულება დაძაბულობით სავსე სტრუქტურის უმაღლეს კოორდინატორზე და რეგულატორზე, რომ ისინი, ნებსით თუ უნებლიეთ, იძულებულნი იყვნენ დიდი ხნით ეთქვათ უარი უმნიშვნელოვანეს გადაწყვეტილებათა მიღების კონტროლზე ან მასში მონაწილეობაზე.

გადაჯაჭვის ამ თავისებურ კონსტელაციას ვერ გავიგებთ, თუ არ გავითვალისწინებთ ადამიანურ ურთიერთობათა განსაკუთრებულობას, რომელიც სხვათა შორის, ფუნქციათა მზარდი დანაწილებისას კიდევ უფრო აშკარად გამოდის წინა პლანზე: ეს არის ამ ურთიერთობის *ღია თუ ფარული ამბივალენტობა.* როგორც ცალკეულ ადამიანთა, ისე სხვადასხვა ფუნქციურ ფენათა ურთიერთობაში მით უფრო ძლიერად გამოვლინდება *ინტერესთა სპეციფიკური ორად გახლეჩილობა ან სულაც მრავალჯერადი გათიშულობა,* რაც უფრო მეტად და მრავალფეროვნად არის დანაწევრებული ინტერდეპენდენცთა ქსელი, რომელშიც ჩართულია ერთი ცალკეული სოციალური ინდივიდი ან მთელი ფუნქციური კლასი. აქ ყველა ადამიანი, ჯგუფი, ფენა თუ კლასი, რაღაც ფორმით ერთმანეთზეა დამოკიდებული; ისინი არიან პოტენციური მეგობრები, მოკავშირეები ან საქმიანი პარტნიორები; ამავე დროს, პოტენციურად ისინი არიან საწინააღმდეგო ინტერესთა მქონენი, კონკურენტები ან მტრები. ნატურალური მეურნეობის მქონე საზოგადობებში გარკვეულ შემთხვევებში უეჭველად არსებობს ნეგატიური ურთიერთობები, წმინდა და ამდენად, აშკარად გამოხატული მტრობა. როცა მოხეტიალე მომთაბარენი უკვე დასახლებულ მხარეში შეიჭრებოდნენ, მაშინ მათსა და ამ მხარის მოსახლეთა ურთიერთობას ორმხრივი ფუნქციონალური დამოკიდებულების არავითარი ნიშანი არ ეტყობოდა. ამ ჯგუფებს შორის მხოლოდ წმინდა, სამკვდრო-სასიცოცხლო მტრობა იყო. ამგვარ, უფრო მარტივად დანაწევრებულ საზოგადოებებში კიდევ უფრო მეტი შანსია ნათელი და უბრალო ურთიერთდამოკიდებულების, წმინდა მეგობრობის, მოკავშირეობის, სასიყვარულო და სამსახურეობრივი ურთიერთობის არსებობისა. შუა საუკუნეების ეპოქის ბევრი წიგნის თავისებურ შავ-თეთრ ჩანახატებში, რომლებიც როგორც ჩანს, სხვას არაფერს იცნობს, გარდა

კარგი მეგობრებისა და ბოროტი სულებისა, ნათლად გამოიხატება შუა საუკუნეების რეალობის დიდი მზაობა ამგვარი ურთიერთობისადმი. თუმცა, ადამიანთა შორის ნაკლები ფუნქციური კავშირის შესაბამისად, ამ რეალობაში, ხშირად ადგილი აქვს სწრაფ ნახტომს ერთი უკიდურესობიდან მეორეში, „მონაცვლეობას", უპრობლემო გადასვლას ცხადად გამოხატული მეგობრობიდან ასევე აშკარა მტრობაზე. როცა ადამიანთა სოციალური ფუნქციები და ინტერესები სულ უფრო დაქსაქსული და წინააღმდეგობრივი ხდება, მათ ქცევასა და გრძნობებში უფრო და უფრო ხშირად ვხვდებით თავისებურ გაორებას, პოზიტიური და ნეგატიური ელემენტების „თანხვედრას", შედარებით ჩუმ სიმპათიებსა და ანტიპათიებს სხვადასხვა პროპორციებითა და შეფერილობებით. წმინდა და ამბივალენტობისაგან თავისუფალი მტრობა უფრო იშვიათი ხდება; მოწინააღმდეგის საზიანოდ მიმართული ყოველი აქცია, რაღაც ფორმით, სულ უფრო საგრძნობლად ემუქრება მის სოციალურ არსებობასაც, ვინც ამ ქმედებას ახორციელებს; ის, ამავე დროს, ხელს უშლის ფუნქციური დანაწილების მოქმედებათა ჯაჭვების მამოძრავებელ მექანიზმს, რომლის ნაწილსაც წარმოადგენს ორივე დაპირისპირებული მხარის არსებული, სოციალური ექსისტენცი. აქ ძალიან შორს წაგვიყვანდა *ინტერესთა ამ ფუნდამენტური მრავალჯერადი გახლეჩილობის*, პოლიტიკური თამაშებისა თუ ფსიქიკური ჰაბიტუსისათვის მისი შედეგების, მზარდ ფუნქციონალურ დიფერენციაციასთან კავშირში, მისი სოციოგენეზისის უფრო ზუსტი კვლევა. მაგრამ ეს მცირედიც კი, რაც ამის თაობაზე შეიძლება ითქვას, გვაძლევს საშუალებას შევიცნოთ, რომ ის მაღალდიფერენცირებულ საზოგადოებათა ერთ-ერთი, ყველაზე მრავალფეროვანი შედეგების მქონე სტრუქტურული თავისებურება და ცივილიზებულ ქცევათა ფორმირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აპარატურაა.

მაგალითად, ამ აზრით, მზარდ ფუნქციონალურ დიფერენციაციასთან ერთად, სულ უფრო აშკარად ამბივალენტური ხდება ურთიერთობა სხვადასხვა სახელისუფლო ერთეულს შორის. ჩვენი დროის სახელმწიფოთა შორის, პირველ ყოვლისა, ევროპის სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა, ამის თვალსაჩინო ნიმუშს გვთავაზობს. მიუხედავად იმისა, რომ ფუნქციათა გადაჯაჭვულობა და დანაწილება მათ *შორის* არც ისე წინაა წასული, როგორც ფუნქციათა დანაწილება მათ *შიგნით*, დღეს ყოველი საომარი გასროლა იმდენად ემუქრება ერების ამ მაღალდიფერენცირებული ქსელის მთლიანობას, რომ საბოლოოდ, გამარჯვებული საკმაოდ შესუსტებულ მდგომარეობაში შეიძლება აღმოაჩნდეს. მას არ შეუძლია და არც უნდა, იმდენად დაცალოს და უდაბნოდ აქციოს მტრული ქვეყანა მოსახლეობისაგან, რომ იქ თავისი მოსახლეობის ნაწილის დასახლება შეეძლოს. გამარჯვებისათვის მან, შეძლებისდაგვარად, უნდა გაანადგუროს მოწინააღმდეგის მაღალინდუსტრიალიზებული აპარატი და შემდეგ, თავისივე მშვიდობისათვის, კვლავ უნდა ეცადოს ამ

აპარატის გარკვეულ საზღვრებში შენარჩუნებას ან აღდგენას. მას შეუძლია მოიპოვოს კოლონიური სამფლობელოები, გასაღების ბაზრები, ეკონომიკური თუ სამხედრო უპირატესობანი, განახორციელოს საზღვრების კორექტირება, მოკლედ, მიაღწიოს არსებით ძალისმიერ უპირატესობას; მაგრამ მაღალდიფერენცირებულ საზოგადოებათა გაერთიანებაში ყველა ერთმანეთთან მოქიშპე და მონინააღმდეგე, ამავე დროს, საქმიანი პარტნიორია შრომის დანაწილების კონვეიერში. სწორედ იმიტომ, ამ ქსელის ერთ რომელიმე სექტორში სწრაფი და რადიკალური ცვლილება დაუყოვნებლივ იწვევს დარღვევებსა და ცვლილებებს სხვა სექტორშიც. ცხადია, ამის გამო არ წყვეტს მოქმედებას კონკურენტული და მონოპოლიური მექანიზმები. მაგრამ, ქვეყნების მთელი ამ მყიფე სისტემისათვის გარდაუვალი ჰეგემონიური ბრძოლები სულ უფრო რისკიანი ხდება; თუმცა, ისევ ამ რთული დაძაბულობისა და განტვირთვის საშუალებით ეს სისტემა მიდრეკილია უფრო მეტად გამოხატული ჰეგემონიის წარმოქმნისაკენ და ჰეგემონიის გარკვეული ცენტრების გარშემო უფრო დიდი ერთეულების, დასაწყისისათვის *ფედერაციული* გაერთიანებისაკენ. და იმავე აზრით, პროგრესირებად ფუნქციურ დიფერენციაციასთან ერთად უფრო მეტად ამბივალენტური ხდება ურთიერთობა სხვადასხვა სოციალურ ფენებს შორის ერთი პოლიტიკური გაერთიანების *შიგნით*. აქაც, ოღონდ ბევრად უფრო ვიწრო ფართობზე, გარკვეული შანსებისათვის ერთმანეთს ებრძვიან ჯგუფები, რომელთა სოციალური არსებობა ფუნქციური დანაწილებით ერთმანეთთანაა შეთანხმებული. ისინი, ერთდროულად, მონინააღმდეგენიც არიან და საქმიანი პარტნიორებიც. არსებობს საზღვრითი სიტუაციები, რომლებშიც საზოგადოების არსებული ორგანიზაცია ისე ცუდად მუშაობს და დაძაბულობანი მის შიგნით იმდენად მატულობს, რომ ადამიანთა და ფენათა ძლიერ სექტორს მასში, თითქოს, „აღარაფერი ესაქმება"; ასეთ სიტუაციაში ამბივალენტური ურთიერთობის, ინტერესთა დაპირისპირების ნეგატიურმა მხარემ შეიძლება იმდენად გადააჭარბოს მის პოზიტიურ მხარეს, ფუნქციათა ინტერდეპენდენტურობიდან გამომდინარე ინტერესთა ერთობას, რომ ამან დაძაბულობის ძალისმიერ განტვირთამდე, სოციალური წონასწორობის მკვეთრ გადანაცვლებამდე, ახალ, შეცვლილ სოციალურ ბაზისზე საზოგადოების ახლებურ ორგანიზაციამდე მიგვიყვანოს. ასეთ რევოლუციურ სიტუაციამდე ფუნქციური დანაწილებით ერთმანეთთან დაკავშირებული ფენები თავიანთ დაშორებულ და ურთიერთდაპირისპირებულ ინტერესებს შორის აქეთ-იქით გადაიხრებიან. ისინი მერყეობენ, ერთი მხრივ, მონინააღმდეგესთან შედარებით უფრო და უფრო მეტი სოციალური უპირატესობის მოპოვების ნატვრასა და მეორე მხრივ, მასთან ბრძოლაში მთელი სოციალური აპარატის სრული განადგურების შიშს შორის, აპარატისა, რომლის ფუნქციონირებაზე დამოკიდებულია თვით მათი

აქტუალური, სოციალური არსებობა. და ეს არის კონსტელაცია, ეს არის ურთიერთობის ფორმა, რომელიც ცვლილებათა გაგების გასაღებს ცენტრალურ ფუნქციონერთა სოციალურ ძლიერებაში მალავს: თუ საზოგადოების უმძლავრესი ფუნქციური კლასების კოოპერაცია რაიმე განსაკუთრებულ სირთულეს არ წარმოადგენს, თუ მათი ინტერესთა დაპირისპირება არასაკმარისად დიდია იმისათვის, რომ მათი ორმხრივი დამოკიდებულება გადაფაროს და მთელი საზოგადოებრივი აპარატის ფუნქციონირებას საფრთხე შეუქმნას, მაშინ ადმინისტრაციული ცენტრისათვის გადაწყვეტილების მიღების სამოქმედო სივრცე მეტ-ნაკლებად შეზღუდულია; და თუ პროცესების ტენდენციის მიხედვით საზოგადოების განსაზღვრულ, ძირითად ჯგუფებს შორის დაძაბულობა მატულობს, ის მიდრეკილია ზრდისაკენ; თავის ოპტიმალურობას ის მაშინ აღწევს, როცა ერთი მხრივ, სხვადასხვა ფუნქციური კლასების უმეტესი ნაწილი ჯერ კიდევ ისე ძლიერადაა დაინტერესებული მათი სოციალური ექსისტენციის არსებული ფორმის შენარჩუნებაში, რომ აშკარად ეშინიათ მთლიანი აპარატის ყოველი სერიოზული დაზიანებისა და შესაბამისად, მათი საკუთარი არსებობის საფუძვლიანი შერყევისა. მაგრამ ამავე დროს, ძლიერ ფუნქციურ ჯგუფთა შორის ინტერესთა დაპირისპირება იმდენად დიდია, რომ რეგულარული, ნებაყოფილობითი კომპრომისი თითქმის შეუძლებელი ხდება და სოციალური კინკლაობები გადამწყვეტ გამარჯვებასა და დამარცხებას მოკლებულ გრძელვადიან მოვლენად იქცევა. ყველაზე გამოკვეთილად ამ შემთხვევასთან საქმე გვაქვს იმ ფაზებში, რომლებშიც სოციალურ გაერთიანებათა სხვადასხვა ჯგუფები და ფენები დახლოებით თანაბარად გაძლიერდნენ და რომელშიც ასეთი ფენები სოციალური ძალებით თითქმის აწონასწორებენ ერთმანეთს, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, შეიძლება, ინსტიტუციონალურად გათანაბარებულნი არ იყვნენ, როგორც მაგალითად არისტოკრატია და ბურჟუაზია, ან ბურჟუაზია და მუშათა კლასი. ვისაც შეუძლია ამ კონსტელაციაში, ამგვარ უსასრულო ბრძოლებით დაღლილ და არეულ საზოგადოებაში უმაღლეს მარეგულირებელ და მაკონტროლებელ ორგანოს დაეუფლოს, აქვს შანსი, სოციალურ ძალთა არსებული გადანაწილების შენარჩუნების მიზნით, გახლეჩილ ინტერესთა შორის იძულებით კომპრომისს მიაღწიოს. სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებს არც უერთმანეთოდ შეუძლიათ არსებობა და არც ერთად; ამის გამო, ისინი თავიანთი, აქტუალური სოციალური ექსისტენციის შესანარჩუნებლად უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი უმაღლეს მაკოორდინირებელ ცენტრალურ ორგანოზე, მათ მფლობელებზე, ვიდრე იმ სიტუაციაში, რომელშიც ინტერდეპენდენტური ინტერესები ნაკლებად დაპირისპირებულია, რაც უფრო აიოლებს მათ წარმომადგენელთა შორის შეთანხმებას. თუ სხვადასხვა ფუნქციურ კლასთა უმეტესობა ან სულ ცოტა მისი მოქმედი, სათავეში მდგომი ჯგუფები ჯერ კიდევ ისე ცუდად არ გრძნობენ

თავს, რომ თავიანთი შემდგარი სოციალური არსებობა მთლიანად სასწორზე დადონ და თანაც, ერთმანეთის მხრიდან ისეთ საფრთხეს გრძნობენ, ძალები მათ შორის ისე თანაბრადაა განაწილებული, რომ ყოველ მათგანი უფრთხის მეორის სულ მცირე უპირატესობას და ოდნავ გაძლიერებასაც კი, მაშინ ისინი ერთიმეორის ძალებს მონაცვლეობით შეზღუდავენ: ეს უფრო მეტ შანსს აძლევს ცენტრალურ ხელისუფლებას, ვიდრე სხვა რომელიმე კონსტელაცია საზოგადოების შიგნით; ეს გადაწყვეტილების მიღებისათვის ოპტიმალურ სამოქმედო სივრცეს უქმნის მის მატარებლებს, სულ ერთია, ვინც უნდა იყვნენ ისინი. ამ გადაჯაჭვულობათა ფიგურების ვარიაციები სოციალურ სინამდვილეში მრავალგვარია. ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ისინი მკვეთრად გამოხატულ ფორმას მხოლოდ მაღალდიფერენცირებულ საზოგადოებებში იღებენ და რომ ნაკლებად ინტერდეპენდენტურ, ნაკლები ფუნქციური დანაწილების მქონე საზოგადოებაში, პირველ ყოვლისა, საომარი წარმატებანი და სამხედრო ძლიერება უყრის საფუძველს უფრო დიდი რეგიონის მძლავრ ცენტრალურ ხელისუფლებას. უფრო მეტად დიფერენცირებულ საზოგადოებებშიც ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებისათვის, ცხადია, გადამწყვეტ როლს ბრძოლაში გამოცდა თუ სხვა სახელისუფლო ერთეულთან დაპირისპირებისას მიღწეული წარმატება თამაშობს. მაგრამ თუ განყენებას მოვახდენთ გარკვეული საზოგადოების ამ გარე კავშირებისა და შინაგანი ბალანსისათვის მისი მნიშვნელობისაგან, თუ საკუთარ თავს ვკითხავთ, რამდენად შესაძლებელია მდიდარი დიფერენცირების მქონე საზოგადოებაში, მიუხედავად ყველა ფუნქციის ძლიერი და თანაბარი ურთიერთდამოკიდებულებისა, ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობა, მაშინ მუდმივად შეევეჯახებით იმ სპეციფიკურ კონსტელაციას, რომელიც აქ დასაწყისში, ზოგადი დაკვირვების სქემის სახით გამოიკვეთება: *ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების დრო მრავალფეროვნად დიფერენცირებული საზოგადოების შიგნით მაშინ ახლოვდება, როცა მნიშვნელოვანი ფუნქციური ჯგუფების ინტერესთა ამბივალენტობა იმდენად იზრდება და თანაც, მათ შორის ძალები ისე თანაბრადაა განაწილებული, რომ ეს არც გადამწყვეტ კომპრომისამდე მიდის და არც გადამწყვეტ ბრძოლასა და გამარჯვებამდე.*

არსებობს ერთგვარი გადაჯაჭვულობის აპარატი, რომელიც აქ „სამეფო მექანიზმის“ სახით მოკლედ იქნება აღწერილი. სინამდვილეში, ცენტრალური ხელისუფლება „აბსოლუტური“ მონარქიის ოპტიმალურ, სოციალურ ძლიერებას სოციალურ ძალთა ამგვარი კონსტელაციით აღწევს. ამგვარი სახის დამაბალანსებელი აპარატი, ცხადია, არა მხოლოდ მეფეთა ძლიერი ხელისუფლების მამოძრავებელი მექანიზმი აღმოჩნდება; დიფერენცირებულ საზოგადოებაში მას ყოველი ძლიერი ერთპიროვნული ხელისუფლების საფუძველში აღმოვაჩენთ, სულ ერთია, როგორც არ უნდა

იწოდებოდნენ ისინი. დიდი ან პატარა ჯგუფების ცენტრში დაძაბულობას ყოველთვის ის ადამიანი ან ადამიანები აბალანსებენ, რომლებიც მონაცვლეობით ამყოფებენ ერთიმეორეს საკუთარი გავლენის ქვეშ, როგორც ურთიერთდამოკიდებული მოწინააღმდეგენი, როგორც მტრები თუ საქმიანი პარტნიორები. გადაჯაჭვულობის ეს ტიპი, შეიძლება, ერთი შეხედვით, უკიდურესად სუსტ მექანიზმად მოგვეჩვენოს. მაგრამ ისტორიული სინამდვილე აჩვენებს, რა მაიძულებელი და უკომპრომისოა მისი მოქმედება, მსგავსად გადაჯაჭვულობის სხვა აპარატურისა და როგორ შეუძლია მას ერთმანეთან დააკავშიროს მათი შემქმნელი ცალკეული ადამიანები, სანამ საბოლოოდ, ძალთა თანაფარდობის უწყვეტი გადანაცვლება, რომელშიც ეს აპარატურა თაობათა მანძილზე განაგრძობს არსებობას, შესაძლებელს არ გახდის მეტ-ნაკლებად ძალადობრივ ცვლილებებს ამგვარ მონაცვლეობით შეზღუდვაში. ამით გაჩნდება გადაჯაჭვის ახალი ფორმაციების შესაძლებლობაც.

18. სოციალური მექანიკის კანონზომიერება ცენტრალურ მმართველსა და ცენტრალურ აპარატს უცნაურ მდგომარეობაში აყენებს და ამასთან, მით უფრო გამოკვეთილად, რაც უფრო სპეციალიზებულია მისი აპარატი და ორგანოები. ცენტრალურმა მმართველმა და მისი შტაბის წევრებმა, როგორც განსაზღვრული სოციალური ფორმაციის წარმომადგენლებმა, შეიძლება, ცენტრალური ადმინისტრაციის მწვერვალს მიაღწიონ; ან შეიძლება, მას მთელი საზოგადოების განსაზღვრული ფენა წარმოადგენდეს. მაგრამ, თუ ვინმე ერთხელ ცენტრალური აპარატის რომელიმე პოზიციას დაიკავებს და გარკვეული დროით იქ დაიმკვიდრებს თავს, მაშინ ეს პოზიცია მას თავის საკუთარ კანონზომიერებას მოახვევს თავს და მეტ-ნაკლებად ჩამოაშორებს ყველაფერს, მთელი საზოგადოების დანარჩენ ჯგუფებსა და ფენებს, მათ შორის იმ ჯგუფებს, რომლებმაც ის დააწინაურა და ფენას, რომლიდანაც ის მოდის. ცენტრალურ მმართველს დიფერენცირებულ საზოგადოებაში თავისი სპეციფიკური ფუნქციის წყალობით სპეციფიკური ინტერესები აქვს. მისი ფუნქციაა თვალი მიადევნოს მთელი საზოგადოების მთლიანობას და საიმედოობას, მას შემდეგ, რაც ის უკვე შედგა. მაშასადამე, ცენტრალური მმართველი გარკვეულწილად, დაინტერესებულია სხვა ფუნქციურ ჯგუფებს შორის ინტერესთა გაიგივებით. და უკვე ეს ამოცანა, რომელსაც მას უბრალოდ თავისი ყოველდღიური გამოცდილება კარნახობს, ის რაკურსი, საიდანაც ის საზოგადოების მამოძრავებელ მექანიზმს უყურებს, უკვე ეს ამოცანა ჩამოაშორებს მას, ასე თუ ისე, ყველა დანარჩენ ფუნქციურ ჯგუფს. მაგრამ იმავდროულად, ყველა ადამიანის მსგავსად, ის საკუთარი, სოციალური ექსისტენციის შენარჩუნებაზე უნდა ზრუნავდეს; მან იმაზე უნდა იმუშაოს, რომ მისი სოციალური ძალა არათუ არ შემცირდეს, არამედ გაიზარდოს კიდეც; და ამ აზრით, სოციალურ ძალთა თამაშში ის გარკვეულ როლს ასრულებს. რამდენადაც მისი

ინტერესები, მისი ფუნქციის თავისებურების გამო, მთელი სოციალური სტრუქტურის საიმედოობას და ფუნქციონირებასაც უკავშირდება, თავისი პიროვნული პოზიციის გაძლიერების მიზნით, მან ამ სტრუქტურის შიგნით ერთეულები უნდა წაახალისოს, ბრძოლები ნარმატებით დაასრულოს და კავშირები დაამყაროს. ამავე დროს, ცენტრალური მმართველის ინტერესები არასოდეს არ არის *მთლად* იდენტური თავისი საზოგადოების რომელიმე ცალკეული ფენისა თუ ჯგუფის ინტერესებისა. ისინი შეიძლება, გარკვეული ხნის განმავლობაში ეთანხმებოდნენ ერთი ან მეორე ჯგუფის ინტერესებს, მაგრამ თუ ცენტრალური მმართველი რომელიმე ამ ჯგუფთან საკუთარი თავის მეტისმეტ იდენტიფიცირებას მოახდენს, თუ მეტისმეტად შემცირდება დისტანცია მასა და რომელიმე ჯგუფს შორის, ადრე თუ გვიან მისი საკუთარი პოზიციის სოციალურ ძლიერებას საფრთხე დაემუქრება. რადგან, როგორც უკვე ითქვა, ეს ძლიერება დამოკიდებულია, ერთი მხრივ იმაზე, რომ არსებობდეს გარკვეული წონასწორობა ერთი საზოგადოების განსხვავებულ ჯგუფებს შორის და გარკვეული ზომის კოოპერაცია თუ კავშირი მათი განსხვავებული ინტერესებისა; მეორე მხრივ, ეს დამოკიდებულია იმაზეც, რომ სახეზე იყოს ძლიერი, მუდმივი დაძაბულობა და ინტერესთა დაპირისპირება მათ შორის. ცენტრალური მმართველი ძირს გამოუთხრის საკუთარ პოზიციას, თუ ის თავის ძალისმიერ საშუალებებს და მხარდაჭერას იმაზე მიმართავს, რომ თავისი ფართო თუ შედარებით ვიწრო სოციალური ნრის ცალკეულ ჯგუფებს სხვათა ხარჯზე უპირატესობა მიანიჭოს და გააძლიეროს; უმაღლეს კოორდინატორზე ეს დამოკიდებულება და ამით მისი ფუნქციის მმართველობითი ხასიათი აუცილებლად შემცირდება, თუ საზოგადოების ცალკეული ჯგუფი ან ფენა მის ყველა სხვა ჯგუფზე ერთმნიშვნელოვან უპირატესობას მოიპოვებს და ფლობს, თუნდაც თავად ეს ჯგუფი ძალზე არაერთსულოვანი და ძლიერი დაძაბულობების მატარებელი იყოს თავის შიგნით. ცენტრალური მმართველის პოზიცია არანაკლებ შესუსტებული და შერყეული აღმოჩნდება, თუ მისი საზოგადოების ძირითად ჯგუფებს შორის დაძაბულობა იმდენად შემცირდება, რომ მათ თავადვე შეეძლებათ საკუთარი კოოპერაციის რეგულირება და საერთო მოქმედებებისათვის ერთმანეთთან შეკავშირება. ეს სამართლიანია, სულ ცოტა, მშვიდობიან პერიოდთან მიმართებაში. საომარ ვითარებაში, როცა მთელი საზოგადოება ან მისი უმნიშვნელოვანესი ჯგუფები გარეშე მტერს უნდა შეებრძოლოს, შინაგან დაძაბულობათა უკანა პლანზე გადანევა ცენტრალური მმართველისთვისაც, შეიძლება, გამოსადეგი და უსაფრთხო იყოს.

ერთი სიტყვით, ცენტრალური მმართველი და მისი აპარატი, თავისებურ ინტერესთა ცენტრს ქმნიან საკუთარი საზოგადოების შიგნით. საკუთარი პოზიცია მას, უფრო ხშირად, მეორე რიგის ძალებთან კავშირისაკენ უბიძგებს, ვიდრე საკუთარი თავის

თავისსავე საზოგადოების უძლიერეს ჯგუფებთან იდენტიფიცირებისაკენ; მისი ინტერესები მოითხოვს გარკვეულ კოოპერაციას, ისევე როგორც გარკვეულ დაძაბულობას საზოგადოების ნაწილებს შორის. მაშასადამე, მისი მდგომარეობა დამოკიდებულია არა მარტო მთელი საზოგადოების ამ სხვადასხვა ფორმაციებს შორის ამბივალენტობის სახესა და სიძლიერეზე, არამედ მისი ურთიერთობა ყოველ ამ ფორმაციასთან თავად არის ამბივალენტური.

სოციალური აპარატურის ძირითადი სქემა, რომელიც ამგვარად წარმოიქმნება, მართლაც, მარტივია. ერთპიროვნული მმართველი, მეფე, მარტო ბევრად უფრო სუსტია, ვიდრე მთელი საზოგადოება, რომლის მეფე ან უმაღლესი მსახურიცაა ის. თუ მთელი ეს საზოგადოება ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, ერთად შეკრული, მის წინააღმდეგ გამოვა, ის უძლური აღმოჩნდება მათი ზეწოლის წინაშე, ისევე როგორც ყოველი ინდივიდი ადამიანთა მთელი ინტერდეპენდენტური ქსელის ზეწოლის პირისპირ. განსაკუთრებული პოზიცია, ერთადერთი ადამიანის, როგორც საზოგადოების ცენტრალური მმართველის ხელისუფლების სისრულე, როგორც ითქვა, იმით აიხსნება, რომ ამ საზოგადოების ადამიანთა ინტერესები ნაწილობრივ ერთი და იმავე მიმართულებისაა, ნაწილობრივ კი — საწინააღმდეგო მიმართულებისა, ისევე როგორც მათი მოქმედებანი, ნაწილობრივ, კოოპერაციულ ხასიათს ატარებს, ნაწილობრივ, კი ერთმანეთს ეწინააღმდეგება; ის აიხსნება დიფერენცირებული საზოგადოებრივი გაერთიანების შიგნით არსებულ სოციალურ ურთიერთობათა ფუნდამენტური ამბივალენტობიდან. არსებობს გარემოებანი, რომლებშიც ამ ურთიერთობათა პოზიტიური მხარე დომინანტურ ხასიათს იძენს, ან რომლებშიც ის, ყოველ შემთხვევაში, ნეგატიური მხარით არ არის გადაფარული. მაგრამ ნეგატიურის დომინანტურად ქცევის გზაზე არის გარდამავალი ფაზები, რომლებშიც ანტაგონიზმები, ინტერესთა დაპირისპირება იმდენად იზრდება, რომ მოქმედებათა და ინტერესთა ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც არსებობას განაგრძობს, მასში ჩართულთა ცნობიერებაში უკანა პლანზე გადაინაცვლებს, ოღონდ ისე რომ მთლიანად არ კარგავს მნიშვნელობას. გადაჯაჭვის ფიგურა, რომელიც ამით ნარმოიქმნება, ზემოთ აღვწერეთ: საზოგადოების სხვადასხვა ნაწილები სოციალური ძლიერების თვალსაზრისით დაახლოებით განონასნორებულ მდგომარეობაში იმყოფებიან; მათ შორის დაძაბულობანი პატარა თუ დიდ ბრძოლათა მიმდევრობაში გამოიხატება; მაგრამ არცერთ მხარეს არ შეუძლია მეორის დამარცხება ან განადგურება; მათ არც შეთანხმება შეუძლიათ, რადგან ერთი მხარის ინტერესების ყოველი გაძლიერება მეორის სოციალურ არსებობას ემუქრება; მათ არც ერთმანეთის გარეშე არსებობა ძალუძთ, რადგან მათი სოციალური ექსისტენცი ინტერდეპენდენტურია. ეს არის სიტუაცია, რომელიც მეფეს, სათავეში მყოფ კაცს, ცენტრალურ მმართველს ოპტიმალურ ძალაუფლებას აძლევს. ეს სიტუაცია ცალსახად აჩვენებს, რა

შეადგენს მეფის სპეციფიკური დაინტერესების სფეროს. ამ ძლიერი ინტერდეპენდენციისა და ანტაგონიზმის ერთდროული არსებობა ქმნის სოციალურ აპარატურას, რომელიც შეიძლებოდა სახიფათო და ამავე დროს, მნიშვნელოვან და სასტიკ გამოგონებად ქცეულიყო, თუ ის ერთი, ერთადერთი საზოგადოებრივი ინჟინრის ქმნილება იქნებოდა. როგორც ყველა სოციალური წარმონაქმნი ისტორიის ამ ფაზაში, „სამეფო აპარატურაც", რომელიც ერთ ადამიანს, როგორც უმაღლეს კოორდინატორს ხელისუფლების განსაკუთრებული სისრულით აღჭურვავს, სრულიად თანდათანობით და დაუგეგმავად წარმოიქმნება სოციალური პროცესების მსვლელობისას.

ამ აპარატურის თვალსაჩინოდ ქცევას ყველაზე მარტივად ბოგირის გადაქაჩვის წარმოდგენით შევძლებთ. ჯგუფები, სოციალური ძალები, რომლებიც დაახლოებით ანონასნორებენ ერთმანეთს, დაჭიმავენ ბოგირს. ერთი მხარე მთელი ძალით ენინააღმდეგება მეორეს; ისინი განუწყვეტლივ ექაჩებიან ბოგირს, მაგრამ არცერთ მხარეს არ შეუძლია თავის პოზიციაზე გადმოიყვანოს მეორე. თუ ამ ვითარებაში, ბოგირის სხვადასხვა მხრიდან მოჭიდებულ და მაინც, ამ ბოგირით ერთმანეთთან უცილობლად დაკავშირებულ ჯგუფებს შორის განსაკუთრებული დაძაბულობა არსებობს, ერთადერთი ინდივიდი, რომელიც არცერთ მოქიშპე ჯგუფს სრულად არ განეკუთვნება და რომელსაც შესაძლებლობა აქვს თავისი ინდივიდუალური ძალა ხან ერთი და ხან მეორე ჯგუფის სასარგებლოდ ჩართოს და რომელიც ამავე დროს იმაზე ზრუნავს, რომ არც დაძაბულობა შემცირდეს და არც რომელიმე ჯგუფმა მოიპოვოს მეორეზე გადამწყვეტი უპირატესობა, არის ის, ვინც ფაქტიურად დაძაბულობის მთელ ქსელს მართავს. ერთადერთი ადამიანის მინიმალური ძალისხმევა, რომელსაც თავად მარტოს, არც ერთი, არც მეორე და მით უფრო, არც გაერთიანებული ჯგუფის ამოძრავება არ შეუძლია, სოციალური ძალების ამგვარი განლაგებისას საკმარისია ამ მთელის ასამოძრავებლად. ახლა ნათელია, რატომაა ის საკმარისი: ამ წონასწორობის აპარატურის შიგნით უზარმაზარი ძალები ფარულადაა შეკრული; გამშვების გარეშე მათ ამოქმედება არ შეუძლიათ. ერთი, ერთადერთი ადამიანის თითის დაჭერა ათავისუფლებს მეორე მხრიდან შეკრულ ძალებს. ის დაუკავშირდება იმავე მიმართულებით მოქმედ ლატენტურ ძალებს, რათა მათ სულ მცირე უპირატესობა მოიპოვონ. ეს მათ იძულებით გამოავლენს. ამგვარი განლაგებისას სოციალური აპარატურა გარკვეულწილად, ძალის სადგურს წარმოადგენს, რომელიც ავტომატურად ზრდის სადგურის მართვის ცენტრთან მყოფი ერთადერთი ადამიანის უმცირეს ძალისხმევასაც კი. მაგრამ ეს აპარატურა ძალზე ფრთხილ მოხმარებას საჭიროებს, რათა მეტ-ნაკლებად შეუფერხებლად, უფრო ხანგრძლივად იმუშაოს. მმართველი, სხვების მსგავსად, ექვემდებარება მის კანონსა და იძულებებს. გადაწყვეტილების მისაღებად მას სხვებზე მეტი მოქმედების არეალი აქვს, მაგრამ ის უკიდურესადაა დამოკიდებული

აპარატურის სტრუქტურაზე; ის ნამდვილად არ არის თავისუფალი.

ეს სხვა არაფერია, თუ არა სოციალური ძალების განლაგების სქემატური მონახაზი, რომელიც ცენტრალურ მმართველს ოპტიმალურ ძალაუფლებას აძლევს. მაგრამ ეს მონახაზი ნათლად და გასაგებად აჩვენებს მისი სოციალური პოზიციის ძირითად სტრუქტურას. არა შემთხვევით, არა ყოველ ჯერზე, როცა ძლიერი მმართველის პიროვნება დაიბადება, არამედ მხოლოდ მაშინ, როცა განსაზღვრული სოციალური სტრუქტურა იძლევა ამის შანსს, ცენტრალური ორგანო აღწევს იმ ოპტიმალურ სიმძლავრეს, რომელიც, ჩვეულებრივ, ძლიერ ერთპიროვნულ მმართველში გამოვლინდება. გადაწყვეტილების მისაღებად შედარებით დიდი სამოქმედო სივრცე, რომელიც ამგვარად მიეცემა ცენტრალურ მმართველს დიდი და დიფერენცირებული საზოგადოების შიგნით, იმით მიიღწევა, რომ ის სოციალურ დაძაბულობათა ორმხრივ ცეცხლშია გახვეული, მას შეუძლია ითამაშოს სხვადასხვა მიმართულების ინტერესებზე და ამბიციებზე, რომლებიც მის სამფლობელოში ერთმანეთს აწონასწორებს.

ცხადია, ეს სქემა საქმის ვითარებას გარკვეულწილად, ამარტივებს. ბალანსი დაძაბულობათა ველის, რომელსაც ყოველი საზოგადოება ქმნის, ადამიანთა გარკვეული ხარისხით დიფერენცირებულ ქსელში ჯგუფებისა და ფენების თანაარსებობისა და დაპირისპირებათა რიგის საშუალებით მიიღწევა. მაგრამ ამ მულტიპოლარულ დაძაბულობათა მნიშვნელობა ცენტრალური მმართველის პოზიციისათვის არ განსხვავდება იმ ბიპოლარული დაძაბულობის მნიშვნელობისაგან, რომელიც ამ სქემით იქნა ნაჩვენები.

ანტაგონიზმებს საზოგადოების სხვადასხვა ნაწილებს შორის მხოლოდ ცნობიერი ბრძოლის ფორმა არა აქვს. რაც გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონეა და რაც დაძაბულობებს წარმოშობს, აქაც უფრო გადაჯაჭვის ანონიმური მექანიზმებია, ვიდრე გეგმები და ცნობიერად დასახული საბრძოლო მიზნები. ერთი მაგალითი რომ დავასახელოთ, შუა საუკუნეების დასასრულს რაინდ ფეოდალთა დაღმასვლას უფრო მეტად განაპირობს პროგრესირებადი მონეტიზაციისა და კომერციალიზების მექანიზმები, ვიდრე ბურჟუაზიულ-ქალაქურ ნრეთა თავდასხმები. მაგრამ როგორც არ უნდა ვლინდებოდეს ცალკეულ ადამიანთა თუ ჯგუფების გეგმებსა და ბრძოლის მიზნებში ფულის მიმოქცევის ზრდით გამონვეული ანტაგონიზმები, მათთან ერთად იზრდება დაპირისპირებაც უფრო გაძლიერებულ ქალაქის ფენებსა და ქვეყნის ფუნქციონალურად დასუსტებულ მმართველებს შორის; მაგრამ ამ დაძაბულობისა და გადაჯაჭვულობის. კავშირების ზრდასთან ერთად ფართოვდება იმ ადამიანთა გადაწყვეტილების სამოქმედო სივრცეც, რომლებიც კონკურენციის მექანიზმის მოქმედების კვალობაზე მთელი ქვეყნის ცენტრალური მმართველები გახდნენ, მაშასადამე, მეფეებისა, სანამ ისინი საბოლოოდ, ბურჟუაზიასა და არისტოკრატიას შორის პოზიციათა დაბალანსებით, აბსოლუტისტური მონარქიის ფორმაში თავიანთ ოპტიმალურ ძლიერებას არ მიაღწევენ.

19. ზემოთ დასმული იყო შეკითხვა: როგორ არის საერთოდ შესაძლებელი, რომ დიფერენცირებულ საზოგადოებაში აბსოლუტისტური მმართველობის ძალის მქონე ცენტრალური ხელისუფლება ყალიბდება და განაგრძობს არსებობას, მიუხედავად იმისა, რომ ცენტრალური მმართველები აქ არანაკლებ არიან დამოკიდებულნი მთელი, ფუნქციური დანაწილების მექანიზმის მუშაობაზე, ვიდრე სხვა პოზიციის მქონე ადამიანები. ამაზე პასუხს სამეფო მექანიზმის სქემა იძლევა. ამ ფაზაში ცენტრალურ მმართველთა სოციალური ძლიერება აღარ აიხსნება *მხოლოდ* სამხედრო ძალით, მამულებისა და შემოსავლების სიდიდით, თუმცა ამ ორი კომპონენტის გარეშე საერთოდ შეუძლებელია სოციალური გაერთიანების ცენტრალური პოზიციის ფუნქციონირება. იმისათვის, რომ ცენტრალურმა მმართველმა დიფერენცირებულ საზოგადოებაში აბსოლუტიზმის ეპოქის მახასიათებელ, ოპტიმალურ ძლიერებას მიაღწიოს, საჭიროა ძალთა განსაკუთრებული დანაწილებაც საზოგადოების შიგნით.

სინამდვილეში მონარქის სოციალური ინსტიტუტი თავის სიდიდეს და სოციალურ ძლიერებას საზოგადოების ისტორიის იმ ფაზაში აღწევს, რომელშიც დასუსტებული არისტოკრატი უკვე სხვადასხვა ფრონტზე უნდა გაეჯიბროს დანინაურების პროცესში მყოფ ბურჯუაზიულ ჯგუფებს, ისე რომ ვერცერთმა ვერ შეძლოს მონინააღმდეგის სრული გამოდევნა სადაო ველიდან. სწრაფად პროგრესირებადი მონეტიზაცია და კომერციალიზაცია მე-16 საუკუნეში ბურჟუაზიულ წრეებს მძლავრ იმპულსს აძლევს. ის მნიშვნელოვნად დააკნინებს მებრძოლთა ფენის უდიდეს ნაწილს, ძველ არისტოკრატიას. სოციალური ბრძოლების დასასრულს, რომელშიც საზოგადოების ეს მკვეთრი ტრანსფორმაცია გამოვლინდება, ურთიერთდამოკიდებულება არისტოკრატიასა და ბურჟუაზიული ფენის ნაწილებს შორის მნიშვნელოვნადაა გაზრდილი. არისტოკრატიას, რომლის სოციალურმა ფუნქციამ და სახემ რადიკალური ცვლილება განიცადა, საქმე აქვს მესამე ფენასთან, რომლის წევრები სოციალურად ბევრად უფრო გაძლიერდნენ და დანინაურების ჟინით მეტად არიან შეპყრობილნი, ვიდრე მანამ. ძველ არისტოკრატთა არაერთი ოჯახი ამოწყდა, ბევრი ბურჟუაზიული ოჯახი არისტოკრატიულ ხასიათს იძენს და უკვე რამდენიმე თაობის შემდეგ მათი შთამომავლები სახეშეცვლილი არისტოკრატიის ინტერესებს იცავენ ბურჟუაზიული ფენის წინააღმდეგ. მჭიდრო ურთიერთკავშირს მათ გარდაუვალ ურთიერთდაპირისპირებამდე მივყავართ.

მაგრამ ბურჟუაზიის ამ ფენის ან სულ მცირე, მისი დანინაურებული ჯგუფების მიზანი, 1789 წლის დროინდელი ბურჟუაზიის უმეტესი ნაწილისაგან განსხვავებით, არ არის არისტოკრატიის, როგორც სოციალური ინსტიტუტის გზიდან ჩამოშორება. ცალკეული ბიურგერი ინდივიდების, როგორც იტყვიან, უზენაესი მიზანია, საკუთარი თავისა და ოჯახისათვის არისტოკრატიული ტიტულის მოპოვება, მთელი მისი პრივილეგიებით. ბურჟუაზიის ამ მთელის

უმაღლეს წარმომადგენლობით წრეებს, სურთ თვითონ მიიღონ ე.წ. დაშნის ნობილიტეტის არისტოკრატთა პრივილეგიები და პრესტიჟი; მათ არ სურთ არისტოკრატიის, როგორც ასეთის ჩამოშორება, არამედ ახალი არისტოკრატიის სახით მათ ადგილას ან მათ გვერდით გამოსვლა სწადიათ. მესამე ფენის ეს უმაღლესი წრეები, noblesse de robe (ე.წ."მანტიის ნობილიტეტი", მთარგ. შენ.), მე-17 და განსაკუთრებით მე-18 საუკუნის განმავლობაში განუწყვეტლივ აკეთებენ იმაზე აქცენტს, რომ მათი არისტოკრატები ისეთივე კარგი, მნიშვნელოვანი და ჭეშმარიტი არისტოკრატები არიან, როგორც „დაშნის არისტოკრატიისა". და მეტოქეობა, რომელიც ამაში გამოიხატება, არა მხოლოდ სიტყვებითა და იდეოლოგიის სახით განსხეულდება, არამედ მის უკან დგას მუდმივი, მაგრამ მეტ-ნაკლებად ფარული და დაუსრულებელი ქიშპობა ძალაუფლებითი პოზიციებისა და ძალისმიერი უპირატესობისათვის ორივე კლასის წარმომადგენლთა შორის.

აქ უკვე, შეძლებისდაგვარად, წინა პლანზე წამოწიეთ შემდეგი ვითარება: ჩვენ, თვითონვე ჩავკეტავთ გზას ამ აბსოლუტისტური რეჟიმის სოციალური კონსტელაციის გაგებისაკენ, თუ იმ წარმოდგენიდან გამოვალთ, თითქოს, ამ ფაზაში ბურჟუაზია ისეთივე ფორმაცია იყოს, როგორიცაა დღეს ან თუნდაც გუშინ, თუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბურჟუაზიის ყველაზე ტიპიურ და მნიშვნელოვან წარმომადგენლად „დამოუკიდებელ ვაჭარს" განვიხილავთ. სულ მცირე, კონტინენტის უდიდეს ქვეყნებში, მე-17, მე-18 საუკუნეების ბურჟუაზიის ყველაზე გავლენიანი და სოციალურად მნიშვნელოვანი წარმომადგენელია თავადებისა თუ მეფის ბურჟუა მსახური, ე.ი. კაცი, რომლის უახლოესი თუ შორეული წინაპრები აშკარად ხელოსნები ან ვაჭრები იყვნენ, თავად კი უკვე თანამდებობა უჭირავს სახელისუფლო აპარატის შიგნით. სანამ ვაჭართა ფენები ბურჟუაზიის უმაღლეს წრეებს შექმნიან, მესამე ფენის სათავეში, ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, მოხელეები დგანან.

ცალკეულ ქვეყნებში, მართლაც, განსხვავებულია სახელმწიფო თანამდებობათა სტრუქტურა და ხასიათი. ძველ საფრანგეთში ბურჟუაზიის უმაღლესი წარმომადგენელი რანტიესა და მოხელის თავისებურ ნარევს წარმოადგენს. ეს არის კაცი, რომელმაც სახელწიფო აპარატში ფულით იყიდა თავისი ადგილი, როგორც პირადი და ამავე დროს, კერძო საკუთრება ან ამ სახით პოსტი მამისაგან მიიღო მემკვიდრეობით. ამ სამსახურეობრივი თანამდებობის საფუძველზე ის მთელი რიგი პრივილეგიებით ტკბება. მაგალითად, ბევრ ამ თანამდებობასთან გადასახადებისაგან გათავისუფლებაა დაკავშირებული; ინვესტირებული კაპიტალი პროცენტებს სარგოს, ხელფასის თუ სხვა შემოსავლების სახით იძლევა, რომელიც მისთვის თანამდებობას მოაქვს.

არსებობენ ამგვარი ტიპის ადამიანები, „Robe"(მანტიის)-ს კაცები, რომლებიც „ancien régime"-ს განმავლობაში საქალაქო კრებებზე ბურ-

ჟუაზიას წარმოადგენენ და რომლებიც ამ შეკრებათა გარეთაც, საბოლოოდ, მათი მესიტყვეები, მათი ინტერესების დამცველები არიან სხვა ფენებისა და მეფის წინაშე. და თუ რა სოციალურ წონას, სოციალურ ძალას ფლობს აქ მესამე ფენა, ეს ამ უმაღლესი წრეების მოთხოვნებში, გამოსვლებში, პოლიტიკურ ტაქტიკაში გამოიხატება. ცხადია, ბურჟუაზიის ამ უმაღლესი წრეების ინტერესები ყოველთვის მთლად იდენტური არ არის დანარჩენი ბურჟუაზიული წრეების მისწრაფებებისა. მაგრამ, გარდა სხვა ბევრი რამისა, მათ პირველ ყოვლისა, *ერთი* საერთო ინტერესი აქვთ: შეინარჩუნონ თავიანთი პრივილეგიები. რადგან, განსაკუთრებული უფლებებითა და პრივილეგიებით გამორჩეულია არა მხოლოდ არისტოკრატთა და თანამდებობის მქონეთა სოციალური არსებობა; ამ ეპოქაში პრივილეგიებზე დაფუძნებულია ვაჭრის სოციალური ინტერესიც; ამაზევეა დამოკიდებული ხელოსანთა საამქროების არსებობაც. როგორც არ უნდა იყოს ეს ცალკეული პრივილეგია შექმნილი, ბურჟუაზია, რომლის სოციალურ წონასაც აქ ფასი აქვს, ზუსტად ისევე, როგორც არისტოკრატია მე-18 საუკუნის შუა ხანებამდე, არის წოდებრივი, განსაკუთრებული უფლებებით გამორჩეული და დაცული ფორმაცია. მაშასადამე, აქ გარკვეული მხრიდან შეევჯახებით გადაჯაჭვის მექანიზმს, რომლის ძალითაც ეს ბურჟუაზია ვერასოდეს შეძლებს გადამწყვეტი დარტყმა განახორციელოს მისი მოწინააღმდეგის, არისტოკრატიის წინააღმდეგ. მას შეუძლია ამა თუ იმ ცალკეული, განსაკუთრებული უფლებისათვის ებრძოლოს არისტოკრატიას; მაგრამ მას არასოდეს შეეძლო და არც სურდა გაეუქმებინა თავად პრივილეგიათა საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც არისტოკრატიას განსაკუთრებული ფენის სტატუსს ანიჭებდა; რადგან მისი საკუთარი სოციალური არსებობა, რომლის შენარჩუნებაზეც ყველაფერია დამოკიდებული, სწორედ ამ პრივილეგიების საშუალებითაა გამართლებული და დაცული.

მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოების უჯრედულ აგებულებაში, სულ უფრო ძლიერად წინა პლანზე ბურჟუაზიული ელემენტები გამოდიან, რომელთა სოციალურ ბაზისს აღარ შეადგენს წოდებრივი პრივილეგიები, როცა ამასთან კავშირში საზოგადოების უფრო და უფრო დიდი სექტორი, ყველა მთავრობისაგან გარანტირებულ ან შექმნილ ამ განსაკუთრებულ უფლებებს ფუნქციური დანაწილების პროცესის მთელი მიმდინარეობის მძიმე დარღვევად აღიქვამს, მაშინ პირველად სახეზეა სოციალური ძალები, რომელთაც შეუძლიათ გადამწყვეტი ბრძოლა აწარმოონ არისტოკრატებთან და რომელთაც არისტოკრატთა ცალკეული პრივილეგიების კი არა, თვით არისტოკრატთა პრივილეგიების სოციალური ინსტიტუტის ლიკვიდაცია სურთ.

მაგრამ ახალი ბურჟუაზიული ჯგუფები, რომლებიც უკვე პრივილეგიათა დაშვებას აპროტესტებენ, როგორც ასეთს, ამით, ცნობიერად თუ არაცნობიერად, ამავე დროს ძველბურჟუაზიული ფორმაცი-

ების, წოდებრივი ბურჟუაზიის ფუნდამენტსაც მისწვდებიან. მის პრივილეგიებს, მისი მთელი წოდებრივი ორგანიზაციის ფორმას მხოლოდ მანამდე აქვს სოციალური ფუნქცია, სანამ მას პრივილეგირებულ არისტოკრატთა ფენა უპირისპირდება. ეს ფენები მტრული, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ამბივალენტური და-ძმანი არიან, ერთი და იმავე სოციალური წესრიგის ინტერდეპენდენტური უჯრედები. თუ ერთის ინსტიტუტი განადგურდა, მაშინ მეორის ინსტიტუტიც ავტომატურად დაეცემა, მოიშლება მთელი ეს წესრიგი, როგორც მთელი.

სინამდვილეში, 1789 წლის რევოლუცია არ არის უბრალოდ, ბურჯუაზიის ბრძოლა არისტოკრატიის *წინააღმდეგ*. მის შედეგად ისევე განადგურდა წოდებრივი ბურჟუაზიის, უპირველესად, „მანტიის“ მქონეთა, მესამე ფენის პრივილეგირებულ თანამდებობის პირთა და ასევე ძველი, წოდებრივი ამქრის ხელოსანთა ფენის სოციალური არსებობა, როგორც არისტოკრატთა ფენისა. და ეს საერთო აღსასრული ერთი გაელვებით გაანათებს მთელ სოციალურ გართულებას, წინა ფაზაში არსებულ ძალთა სპეციფიკურ კონსტელაციას. ის იმის ილუსტრირებას ახდენს, რაც ზემოთ, დასაწყისში, ძალზე ზოგადად, განსაზღვრული სოციალური ფენების ინტერდეპენდენტურობისა და ამბივალენტურობის შესახებ, ამის შედეგად წარმოქმნილ დამაბალანსებელ აპარატურაზე და ცენტრალური ხელისუფლების სოციალურ ძლიერებაზე ითქვა. აბსოლუტიზმის ეპოქაში ბურჟუაზიის პოლიტიკურად რელევანტური ნაწილები, ახალი, არაწოდებრივი ბურჟუაზიის წინა პლანზე გამოსვლამდე (რომელიც ძალიან ნელა გამოეყოფა ძველს), თავისი ინტერესებით, მოქმედებით და აზროვნებით მთლიანად იყო მიჯაჭვული წოდებრივი წესრიგის არსებობასა და სპეციფიკურ ბალანსზე. სწორედ ამიტომ, არისტოკრატიასთან და რა თქმა უნდა, პირველ ფენასთან, სასულიერო ფენასთან ყოველი დაპირისპირებისას, ორივენი ისევ და ისევ თავიანთი ამბივალენტური ინტერესების ხაფანგში ექცევიან. მათ არასოდეს შეეძლოთ არისტოკრატიასთან ინტერესთა ბრძოლაში ბევრად წაეწიათ წინ, ისე რომ ამით თვითონაც არ დაესაჯათ თავი; ყოველი გადმწყვეტი დარტყმა არისტოკრატიის, როგორც ინსტიტუტის წინააღმდეგ, მთელ სახელმწიფო და საზოგადოებრივ აპარატს არყევდა და ამით, ბუმერანგის მსგავსად, თვით ამ პრივილეგირებული ბურჟუაზიის სოციალურ ექსისტენცს ხვდებოდა. ყველა პრივილეგირებული ფენა ერთნაირადაა დაინტერესებული იმაში, რომ ძალიან შორს არ წავიდეს მათი ბრძოლა ერთმანეთის წინააღმდეგ; თითოეულ მათგანს სხვა არაფერი აშინებს ისე, როგორც მთელი სოციალური აპარატის სიღრმისეული შერყევა და ძალთა წონასწორობის გადანაცვლება.

მაგრამ მათ, ამავე დროს, არ ძალუძთ თავიდან აიცილონ ერთმანეთთან შებრძოლება; მათ ინტერესებს, ერთი მხრივ, საერთო მიმართულება აქვთ, მაგრამ ბევრ პუნქტში დიამეტრალურად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. მათ შორის სოციალური წონა ისეა

განაწილებული და ქიშპობა იმდენად დიდია, რომ ყოველი ნაწილი სხვისი სულ მცირე უპირატესობით, ყველაფერი იმით, რასაც შეეძლო მეორე მხარისათვის სულ უმნიშვნელო ძალაუფლებრივი აღმატებულობა მიენიჭებინა, საფრთხეში გრძნობს თავს. შესაბამისად, ერთი მხრივ, ხშირად სახეზეა მეტისმეტად თავაზიანი და მეგობრული ურთიერთობებიც კი სხვადასხვა ჯგუფების წევრთა შორის, მაგრამ მეორეს მხრივ, მთელი „ancien régime"-ს განმავლობაში უკიდურესად დაძაბული რჩება ურთიერთობა ორივე ფენის წარმომადგენელთა და განსაკუთრებით, მათ დაწინაურებულ წრეებს შორის. თითოეული მათგანი უფრთხის მეორეს; თითოეული მათგანი გამუდმებით, თავშეკავებული უნდობლობით აკვირდება მეორის ნაბიჯს. გარდა ამისა, არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას შორის არსებული ეს უმნიშვნელოვანესი დაძაბულობის ღერძი ჩართულია სხვა არანაკლებ ამბივალენტურ დაძაბულობათა სისრულეში. საერო სახელისუფლო აპარატის უწყებრივი იერარქია მუდმივად აშკარა თუ ფარულ კონკურენტულ ბრძოლაშია ჩაბმული საეკლესიო წოდებრივ იერარქიასთან ძალაუფლებრივი უფლებამოსილებისა და პრესტიჟის მოსაპოვებლად. ეს უკანასკნელი, კლერუსი, გარკვეულ პუნქტებში მუდმივად ეჯახება არისტოკრატთა ამა თუ იმ წრეს. და ასე მიდის ეს ვითარება ამ მულტიპოლარული ბალანსის სისტემაში ხშირად პატარა აფეთქებებამდე და კინკლაობებამდე, მრავალფეროვანი იდეოლოგიური შეფერილობის და უკიდურესად სხვადასხვაგვარი, უმნიშვნელო მიზეზების მქონე სოციალურ ძალთა გამოცდებამდე.

მეფე ან მეფისნაცვალი მართავს და მიმართულებას აძლევს მთელ ამ მამოძრავებელ მექანიზმს, რომელშიც თავის ავტორიტეტს ხან ერთი, ხან მეორე მიმართულებით აამოქმედებს. სტრუქტურული დაძაბულობანი ამ საზოგადოებრივი ქსელის ძირითად ჯგუფებს შორის მეტისმეტად დიდია იმისათვის, რომ თავად მიაღწიონ პირდაპირ შეთანხმებებს საერთო საქმეებთან დაკავშირებით და მეფის წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედება შეძლონ. სწორედ ამიტომაა მეფე სოციალურად ასე ძლიერი.

ცნობილია, რომ ამ პერიოდში, მეფის წინააღმდეგ ასეთი ერთობლივი ბრძოლა ბურჟუაზულ და არისტოკრატიულ ჯგუფებს ერთადერთ ქვეყანაში, ინგლისში გამოუვიდათ. რაც არ უნდა იყოს, ინგლისის საზოგადოების განსაკუთრებული სტრუქტურული თავისებურებანი, რომლებიც ფენებს შორის დაძაბულობათა შემცირებას განაპირობებს და შესაძლებელს ხდის კონტაქტებს ორივე ფენის ნაწილებს შორის, სოციალური კონსტელაცია, რომელსაც აქეთ-იქით მერყეობის შემდეგ ცენტრალური მმართველის სამოქმედო სივრცის შემცირებამდე მივყავართ, კიდევ ერთხელ გასაგებს ხდის იმას, გადაჯაჭვის რა კონსტელაციის საფუძველზე მოიპოვებს სხვა ქვეყნებში ცენტრალური ხელისუფლება სოციალურ ძლიერებას, აბსოლუტისტურ სახეს.

მე-16 საუკუნეში და მე-17 საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში

ადგილი აქვს სხვადასხვა სოციალური წარმომავლობის ადამიანთა გაერთიანების მცდელობებს და სხვადასხვა სოციალურ ფორმაციათა ერთობლივ მოქმედებებს სამეფო ხელისუფლების სახიფათოდ გაზრდილი ძალაუფლების წინააღმდეგ. ყველა ეს მცდელობა ჩაიფუშება. ამ სამოქალაქო ბრძოლებსა და აჯანყებებში თვალნათლივ ჩანს, რა ძლიერი იყო საფრანგეთშიც სხვადასხვა წოდებრივი ჯგუფების მისწრაფება, შემოეზღუდათ მეფისა და მის წარმომადგენელთა სამოქმედო სივრცე. მაგრამ მათში არანაკლებ ცხადად გამოვლინდება, რა ძლიერია ქიშპობა და ინტერესთა დაპირისპირებულობა ამ ჯგუფებს შორის, რაც ხელს უშლის ერთობლივ ქმედებებს ამ მიმართულებით. ყოველ მათგანს სურს თავისთვის ხელსაყრელად შეზღუდოს მეფის ხელისუფლება და ყოველ მათგანს საკმარისი ძალა შესწევს იმისათვის, რომ სხვას ამის მიღწევის საშუალება არ მისცეს. ისინი გამუდმებით ემუქრებიან ერთმანეთს და ბოლოს, შესაბამისად, დამორჩილებულნი და ყველანი ერთად ძლიერ მეფეზე დამოკიდებულნი აღმოჩნდებიან.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უფრო დიდი სოციალური ტრანსფორმაციის შიგნით, რომელიც ბურჟუაზიულ ჯგუფებს აიძულებს ფუნქციონალურად გაძლიერდნენ, არისტოკრატიულ ჯგუფებს კი ფუნქციონალური შესუსტებისაკენ უბიძგებს, არსებობს ის ფაზა, რომელშიც ორივე ფუნქციონალური ჯგუფი, მიუხედავად მესამე ჯგუფთან და თვით მათ შიგნით ყოველგვარი დაძაბულობის არსებობისა, სოციალური ძლიერების თვალსაზრისით თითქმის აწონასწორებს ერთმანეთს. ამით ფაქტიურად, დიდი თუ მცირე ხნით, ყალიბდება ის გადაჯაჭვის აპარატურა, რომელიც ზემოთ „სამეფო მექანიზმის" სახით იქნა აღწერილი: წინააღმდეგობა ორივე ძირითად ჯგუფს შორის მეტისმეტად დიდია იმისათვის, რომ სარწმუნო გახდეს მათ შორის *გადამწყვეტი* კომპრომისი; ამავე დროს, ძალთა თანაფარდობის განაწილების სახე, ისევე როგორც მათი სოციალური ექსისტენციის მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება საშუალებას არ აძლევს არცერთ მათგანს მივიდეს *გადამწყვეტ* შეტაკებამდე და აშკარა უპირატესობა მოიპოვოს. და რადგან არ შეუძლიათ გაერთიანდნენ, მთელი ძალით იბრძოლონ და გაიმარჯვონ, ცენტრალურ მმართველს უნდა გადაულოცონ ყველა ის გადაწყვეტილება, რომლებსაც თავად ვერ იღებენ.

ეს აპარატურა, როგორც ითქვა, ბრმად და უგეგმოდ ყალიბდება სოციალური პროცესების მსვლელობაში. კარგად იმართებიან ისინი თუ არა, ეს დიდწილად დამოკიდებულია იმ პიროვნებაზე, რომელსაც ცენტრალური მმართველის ფუნქცია დაეკისრება. აქ საკმარისი უნდა იყოს რამდენიმე მითითება ისტორიულ ფაქტებზე იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ ყალიბდება ეს აპარატურა. ამით თვალსაჩინო უნდა გახდეს ისიც, რაც აქ მეფობის აბსოლუტისტური მექანიზმის შესახებ ითქვა.

20. მე-9 და მე-10 საუკუნის საზოგადოებაში თავისუფალთა ორი

ფენა არსებობს: სამღვდელოთა და მეომართა. მათზე დაბლა დგას მეტ-ნაკლებად არათავისუფალთა მასა, რომელსაც იარაღი არ გააჩნია, სოციალურ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას არ იღებს, თუმცა, საზოგადოების არსებობის შენარჩუნება მათ საქმიანობაზეა დამოკიდებული. მეომართა, შედარებით ავტარკიულ ფეოდალთა დამოკიდებულება ცენტრალური მმართველის მაკოორდინირებელ მოქმედებაზე, როგორც ითქვა, ნაკლებია დასავლეთ-ფრანკული მხარის განსაკუთრებულ ვითარებაში. სხვადასხვა საფუძვლებიდან გამომდინარე, ბევრად მეტია სამღვდელოთა დამოკიდებულება მეფეზე. დასავლეთ-ფრანკული მხარის ეკლესიას, იმპერიის ეკლესი-ისაგან განსხვავებით, არასოდეს მიუღწევია ძალიან დიდი, საერო ძალაუფლებისათვის. აქ არქიეპისკოპოსები ჰერცოგები არ გამხდარან. უმაღლესი სამღვდელოება აქ, არსებითად, დიდი ტერიტორიული მმართველების კონკურენტული სისტემის გარეთ დგას და რჩება. აქედან გამომდინარე, მათი ცენტრიდანული, ცენტრა-ლური მმართველის შესუსტებაზე მიმართული ინტერესი, არც ისე ძლიერია. კლიროსის მამულები მეტ-ნაკლებად გაბნეული, საერო ხელისუფალთა სამფლობელოების ცენტრში მდებარეობს. ისინი განუწყვეტლივ მათი შეტევებისა და მათ მიერ განხორციელებული თავდასხმების ობიექტს წარმოადგენენ. მაშასადამე, ეკლესიას სჭირდება ცენტრალური ხელისუფლება, მეფე, რომელსაც საკმარისი ძალაუფლება აქვს იმისათვის, რომ მათი დამცველი იყოს საერო ხელისუფლებასთან დაპირისპირებაში. მტრობა, დიდი თუ პატარა ომები, რომლებიც მთელს მხარეში იფეთქებს, ბერებისა და სხვა საეკლესიო პირებისათვის, — რომლებიც ამ დროს ბევრად უფრო მეტად იყვნენ ომის ჟინით შეპყრობილნი და ომის მოსურნენი, ვიდრე მოგვიანებით, თუმცა, ომით და ომისათვის არ ცხოვრობენ, — ხშირად უკიდურესად არასასურველია. ეს მტრობა და ბრძოლები უმეტეს შემთხვევაში მათ ზურგზე გადადის. და მეფეს, როგორც მსაჯულს, სულ უფრო ხშირად მიმართავენ შეზღუდული უფლებების მქონე, განაწყენებული მღვდლები და აბატები, რომელთაც ცუდად მოექცნენ.

აქედან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის მტკიცე კავშირი კაპეტინგთა მეფეებსა და ეკლესიას შორის, რომელიც იშვიათად თუ შესუსტებულა; ამ კავშირს თავისი მიზეზი არც პირველ კაპეტინგთა რწმენის პიროვნულ სიძლიერეში აქვს. არამედ, ეს არის გამოხატულება ინტერესთა აშკარა კონსტელაციისა. მეფის ავტორიტეტი ამ ფაზაში, სხვა ყველაფერთან ერთად, მუდმივად არის მღვდლების იარაღი მეომართა კასტის წარმომადგენლებთან დაპირისპირებაში. მეფის ხელდასხმა, მირონცხება და გვირგვინის დადგმა ყოველთვის, ერთმნიშვნელოვნად, საეკლესიო ინსტიტუცი-ონალური ცერემონიის მიხედვითაა განსაზღვრული; მეფობა ერთგვარ საკრალურ ხასიათს იძენს; გარკვეული აზრით, ის საეკლე-სიო ფუნქცია ხდება. ის, რომ აქ, სხვა საზოგადოებებში მსგავსი

მოვლენების განვითარებისაგან განსხვავებით, საქმე მხოლოდ საეკლესიო და საერო უმაღლესი ხელისუფლების შერწყმის საწყისებთან გვაქვს და ის, რომ განვითარების ეს მიმართულება მალევე წყდება, არცთუ უმნიშვნელო კავშირშია თვით ქრისტიანული ეკლესიის სტრუქტურასთან. ეს ეკლესია უფრო ძველი და ორგანიზაციურადაც უფრო მტკიცედ შეკრულია, ვიდრე ამ დროის საერო მმართველობის სფეროთა უმეტესობა; მას ჰყავს თავისი უმაღლესი ხელისუფალი, რომელიც თავად ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად აცხადებს იმაზე პრეტენზიას, რომ სასულიერო ხელისუფლებას დაუკავშიროს საერო ჰეგემონია და ცენტრალური ხელისუფლება, რომელიც ყველაზე გავრცელდება; შესაბამისად, ადრე თუ გვიან, იქმნება კონკურენტული სიტუაცია და გაჩაღდება ჰეგემონიისათვის ბრძოლა პაპსა და ამა თუ იმ მხარის საერო ცენტრალურ ხელისუფალს შორის; ეს ბრძოლა ყველგან იმით მთავრდება, რომ პაპი იძულებული ხდება შემოიფარგლოს მისი გაბატონებული სასულიერო მდგომარეობით, კაიზერის და მეფის ფუნქციის საერო ხასიათი ისევ წმინდა სახით გამოვლინდება და მათი საეკლესიო იერარქიასა და რიტუალში ჩართვის საწყისები სუსტდება, თუმცა მთლიანად არ ქრება. მაგრამ ისიც, რომ დასავლურ სამყაროში ამ საწყისებამდე მიდის საქმე, გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს, განსაკუთრებით ისტორიული სტრუქტურების შედარებისა და მსოფლიოში მიმდინარე სხვადასხვა სოციალური პროცესების განსხვავებათა ახსნის თვალსაზრისით.

თავის მხრივ, დასავლეთ- ფრანკული მხარის მეფეები, მათი ფუნქციის იმ სტრუქტურული კანონზომიერების შესატყვისად, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი, ამ ფაზაში ძალზე მჭიდროდ თანამშრომლობენ ეკლესიასთან. ისინი მეორე რიგის სიძლიერის, შედარებით სუსტ ჯგუფებს ეყრდნობიან უფრო ძლიერ და საშიშ ჯგუფებთან დაპირისპირებაში. ნომინალურად ისინი ყველა სხვა მეომართა ფეოდალები არიან. მაგრამ სხვა, დიდი ფეოდალების სამფლობელო მხარეში ისინი სწორედაც რომ უძლურნი არიან და თვით მათ საკუთარ ტერიტორიაზეც მათი ძალაუფლება ძალიან შეზღუდულია. სამეფო სახლის მჭიდრო კავშირი ეკლესიასთან, სამეფო ხელისუფლების ბასტიონებად აქცევს სხვა ტერიტორიული მმართველის მხარეში არსებულ მონასტრებს, სააბატოებს და ეპარქიებს; ეს საეკლესიო ორგანიზაციის სულიერ გავლენას მთელი ქვეყნის მასშტაბით ნაწილობრივ სამეფო სახლის ხელში მოაქცევს; მეფეები სარგებლობენ სასულიერო პირთა დახვეწილი წერითი ჩვევებით, საეკლესიო ბიუროკრატიის პოლიტიკური და ორგანიზატორული გამოცდილების საგანძურით და არცთუ იშვიათად, მათი ფინანსური ძლიერებით. ღიად რჩება კითხვა: იღებდნენ თუ არა კაპეტინგების ეპოქის დასაწყისის მეფენი, გარდა მათი საკუთარი ტერიტორიებიდან მიღებული შემოსავლებისა, კიდევ დამატებით „სამეფო შემოსავლებს“, გადასახადებს მთელი

დასავლეთ-ფრანკული სამეფო იმპერიიდან? თუნდაც, ჰქონოდათ ამგვარი შემოსავლები, ეს, ყოველ შემთხვევაში, მათი საკუთარი სამფლობელოს შემოსავლების არცთუ მნიშვნელოვან სუბსიდიებს შეადგენდა. მაგრამ ერთი რამ ცხადია: ისინი შემოსავლებს იღებენ თავიანთი საკუთარი ტერიტორიის გარეთ მდებარე მხარეთა საეკლესიო ორგანიზაციებიდანაც, მაგალითად ისეთ სახსრებს, როგორიცაა ვაკანტური საეპისკოპოსოს შემოსავლები ან დამატებითი შემწეობა განსაკუთრებულ სიტუაციებში. და თუ ტრადიციულ სამეფო სახლს რაიმე ვითარება ძალაუფლებრივ უპირატესობას აძლევს კონკურენტი სახლების წინაშე, თუ რაიმეს წილი აქვს იმაში, რომ ამ ადრეულ შესარჩევ ბრძოლებში, თავიანთი ტერიტორიაზე, დასაწყისში ისევ კაპეტინგები დაწინაურდებიან, ეს არის ნომინალურ ცენტრალურ მმართველთა კავშირი ეკლესიასთან. ამ კავშირიდან წარმოიქმნება ამ ფაზაში ძლიერი ცენტრიდანული ტენდენციების მქონე ის სოციალური ძალები, რომლებიც თავიანთი, ერთი რომელიმე მეფის სიცოცხლეზე ზრუნვიდან გამომდინარე, მეფის ხელისუფლების უწყვეტობისა და ცენტრალიზაციის მიმართულებით მუშაობენ. სამღვდელოების, როგორც ცენტრალიზაციის სოციალური მამოძრავებელი ძალის მნიშვნელობა უკანა პლანზე გადაინაცვლებს, ისე რომ მთლიანად არ იკარგება, მაშინ როცა მესამე წოდების მნიშვნელობა იზრდება. მაგრამ უკვე ამ ფაზაში ჩანს, თუ როგორ მუშაობს ცენტრალური მმართველის სასარგებლოდ დაძაბულობანი საზოგადოების განსხვავებულ, სოციალურ ჯგუფებს შორის, პირველ რიგში, დაძაბულობანი სამღვდელოთა და მეომართა ფენებს შორის. ეს, ამავე დროს, აჩვენებს იმასაც, რომ მეფე შებოჭილია ამ დაძაბულობებით და მათ ტყვეს წარმოადგენს. ბევრი მხედართმთავრის სრული ძალაუფლება მეფესა და ეკლესიას გაერთიანებისაკენ უბიძგებს, თუმცა, მათ შორის მცირე კონფლიქტებსაც ხშირად ჰქონია ადგილი. მაგრამ, პირველ დიდ დაპირისპირებას მეფესა და ეკლესიას შორის, ძალაუფლებისათვის პირველ, ნამდვილ ბრძოლას, იმ ეპოქაში აქვს ადგილი, როცა ბიურგერული ბანაკიდან მეფის ხელში გადის ძალაუფლების დიდძალი საშუალებები ადამიანებისა და ფულის სახით, კერძოდ, ფილიპ ავგუსტის მეფობის ფაზაში.

21. მესამე წოდების ჩამოყალიბებასთან ერთად დაძაბულობა ღრმავდება და დაძაბულობის ღერძი საზოგადოების შიგნით გადაინაცვლებს. კონკურენტი ქვეყნებისა და ტერიტორიულ მმართველთა ინტერდეპენდენცის სისტემაში, გარემოებისდა მიხედვით, განსაზღვრული, ძირითადი დაძაბულობანი გამოიკვეთება, რომელთაც უკავშირდება ყველა სხვა ანტაგონიზმი, როგორც მეორადი დაძაბულობა, სანამ ძალის დიდი ცენტრის უპირატესობა არ მოიმატებს და არ განმტკიცდება. ამის მსგავსად, ყოველი სამფლობელოს შიგნით არსებობს ცენტრალური დაძაბულობანი, რომელთა გარშემო თავს იყრის სხვა, უფრო უმნიშვნელო დაძაბულობანი და

რომლებიც, თანდათანობით, ერთი ან მეორე მხარის სასარგებლოდ განლაგდებიან. თუ მე-11, მე-12 საუკუნეებამდე ცენტრალურ დაძაბულობებს განეკუთვნება ამბივალენტური ურთიერთობა მეომრებსა და სამღვდელოებას შორის, ამ საუკუნიდან მოყოლებული, ნელა, მაგრამ უწყვეტად, წინა პლანზე გადმოინაცვლებს ანტაგონიზმი მეომრებსა და ქალაქურ-ბურჟუაზიულ ჯგუფებს შორის, როგორც ცენტრალური, შინაგანი დაძაბულობა. ამასთან ერთად, საზოგადოების სრულ დიფერენცირებასთან ერთად, რომლის გამოხატულებასაც ეს დაძაბულობა წარმოადგენს, ცენტრალური მმართველის როლი იზრდება: მატულობს საზოგადოების ყველა ნაწილის დამოკიდებულება უმაღლეს კოორდინატორზე. მეფეები, რომლებიც ჰეგემონიისათვის ბრძოლებში, თავიანთი სამფლობელოების ზრდის საშუალებით, უფრო და უფრო ამაღლდებიან მეომართა ფენაზე, ამავდროულად, თავიანთი პოზიციის წყალობით რაინდობასა და ქალაქურ ფენებს შორის არსებულ დაძაბულობაში სულ უფრო შესამჩნევ დისტანციას იკავებენ ყველა სხვა დანარჩენ მეომართან მიმართებაში. ისინი სულაც არ იჭერენ ამ დაძაბულობაში ერთმნიშვნელოვნად მეომართა მხარეს, რომელთაც ისინი წარმომავლობით ეკუთვნიან, არამედ თავიან გავლენას ხან ერთი, ხან მეორე მხარის სასარგებლოდ დებენ სასწორის პინაზე.

ქალაქების მიერ კომუნათა უფლებების მოპოვება პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ გზაზე. ამ პერიოდის მეფეები, ლუი VI და VII, თავიანთ წარმომადგენლებთან ერთად, ისევე, როგორც სხვა ფეოდალები, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ კომუნებს უნდობლობით და სულ ცოტა, „ნახევრად მტრული განწყობით"[101] ეკიდებიან, განსაკუთრებით, თავიანთი დომენის ფარგლებში. მეფეები მხოლოდ დროთა განმავლობაში შეაფასებენ ამ უჩვეულო წარმონაქმნების სარგებლიანობას; როგორც ყოველთვის, დრო სჭირდება იმის შემჩნევას, რომ მესამე წოდების წარმოქმნა საზოგადოების უჯრედულ აგებულებაში მათი საკუთარი შანსების მნიშვნელოვან ზრდას ნიშნავს. მაგრამ, მოგვიანებით ისინი უკვე მეტი თანმიმდევრულობით უჭერენ მხარს ამ მესამე ფენის ინტერესებს, რამდენადაც ეს მათ საკუთარ ინტერესებს შეესატყვისება. ისინი, პირველ რიგში, ნაახალისებენ ბურჟუაზიის მართვად, ფინანსურ პოტენციალს. მაგრამ, სანამ ამისი ძალა შესწევთ, მთელი ენერგიით ებრძვიან ქალაქების პრეტენზიას სახელისუფლო ფუნქციებზე, რომელიც ქალაქის ფენების მზარდ ეკონომიკურ და სოციალურ ძალაუფლებასთან ერთად იჩენს თავს. მეფის ხელისუფლების გაძლიერება და ბურჟუაზიის დაწინაურება უმჭიდროეს, ფუნქციონალურ ურთიერთდამოკიდებულებაშია ერთმანეთთან; ნაწილობრივ ცნობიერად და ნაწილობრივ არაცნობიერად, ორივე ეს სოციალური პოზიცია მონაცვლეობით მიიწევს მაღლა, მაგრამ მათი ურთიერთობები არის და მუდმივად რჩება ამბივალენტური. ხშირად, ადგილი ჰქონდა მტრულ დამოკიდებულებასაც მათ შორის და ისეთი სიტუაციებიც კი

არსებობდა, როცა არისტოკრატია და ბურჟუაზია ერთად ცდილობდნენ შეეზღუდათ მეფის ხელისუფლების ძლიერება. მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში მეფეები კვლავ და კვლავ აღმოჩნდებოდნენ სიტუაციებში, როცა მათ გარკვეულ ღონისძიებათა თაობაზე სხვადასხვა წოდების წარმომადგენელთა თავყრილობის თანხმობის მიღება უნდა ეცადათ; და წოდებათა როგორც მცირე, რეგიონალური, ისე დიდი თავყრილობების მიმდინარეობა, სადაც სამეფოს უმეტესი ნაწილია წარმოდგენილი, ნათლად აჩვენებს, რამდენად განსხვავდება აქ საზოგადოების დაძაბულობის სტრუქტურა, მიუხედავად ყველა გადახრისა, აბსოლუტისტური პერიოდის სტრუქტურისაგან.[102]

წოდებრივი პარლამენტები, მისი ინგლისური სახელი რომ გავიხსენოთ, ბურჟუაზიულ-ინდუსტრიული საზოგადოების პარტიათა პარლამენტების მსგავსად ფუნქციონირებენ, სანამ, განსაზღვრული მიზნებიდან გამომდინარე, შესაძლებელია გარკვეული გაგების მიღწევა სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს შორის; მაგრამ რაც უფრო რთულდება პირდაპირი კომპრომისები, რაც უფრო იზრდება დაძაბულობა საზოგადოების შიგნით, მათი მუშაობა უფრო ფერხდებოდა და იმავე მოცულობით იზრდება ცენტრალური მმართველის შანსები. სინამდვილეში, შუა საუკუნეების საზოგადოებაში, ნაკლები საფინანსო და სავაჭრო კავშირების არსებობის შემთხვევაში, დასაწყისში არც ურთიერთდამოკიდებულება და არც ანტაგონიზმი მინათმფლობელ მეომართა ფენასა და ქალაქის ბურჟუაზიულ ფენებს შორის იმდენად დიდი არაა, რომ მათ თავიანთი საკუთრების რეგულირება ცენტრალურ მმართველს გადააბარონ. ყოველი ფენა, რაინდი და ბიურგერი, ისევე, როგორც სამღვდელოება, მიუხედავად ყველა არსებული კონტაქტებისა (უფრო აშკარად გამოხატულად, ვიდრე მოგვიანებით), თავისთვის ცხოვრობს, საკუთარ ოლქში. სხვადასხვა ფენები ჯერ ისე ხშირად და ისე უშუალოდ არ უწევენ კონკურენციას ერთმანეთს ერთი და იმავე სოციალური შანსებისათვის; და დაწინაურებული ბურჟუაზიული წრეები ჯერ კიდევ არ არიან საკმარისად ძლიერნი იმისათვის, რომ არისტოკრატიას, მეომართა ფენას, მათ სოციალურ უპირატესობაში შეედაონ. საზოგადოების მხოლოდ ერთ სექტორში დაწინაურებული ბურჟუაზული ელემენტები მეფის ხელისუფლების დახმარებით თანდათანობით განდევნიან რაინდებსა და სამღვდელოებას უშუალოდ მათი პოზიციებიდან: ეს ხდება მმართველობითი აპარატის შიგნით, ანუ ჩვენს ენაზე რომ ვთქვათ, ისინი ამას ახორციელებენ მოხელეთა რანგში.

22. სამეფო ხელისუფლების ფუნქციონალური დამოკიდებულება მთლიანად საზოგადოებაში მომხდარ მოვლენებზე განსაკუთრებით ნათლად გამოვლინდება მმართველობის აპარატის განვითარებაში, ყველა იმ ინსტიტუტის დიფერენციაციაში, რომლებიც თავდაპირველად, მხოლოდ სამეფო სახლისა და დომენის ადმინისტრაციის ნაწი-

ლების სახით არსებობდა. თუ თავისუფალთა საზოგადოება არსებითად მხოლოდ რაინდებისა და სამღვდელოებისაგან შედგება, სახელისუფლო აპარატიც, უპირველესად, რაინდებისა და სამღვდელოთაგან იქმნება. ამასთან, კლერკები ანუ „clercs" უმეტესად მეფის ინტერესების ერთგული მსახურნი და წარმომადგენელნი არიან, მაშინ როცა, ფეოდალები, ამის საპირისპიროდ, სასახლის კარზეც და თვით სამეფო ადმინისტრაციის შიგნითაც კი, მეფის მოქიშპენი არიან და უფრო მეტად საკუთარი ძალაუფლებითი პოზიციების ჩამოყალიბებაზე ფიქრობენ, ვიდრე მეფის პოზიციების განმტკიცებაზე. შემდეგში, როცა მეომართა ფენა მმართველობითი აპარატის გარეთ უფრო ძლიერ დიფერენცირებას განიცდის, როცა შესარჩევი ბრძოლების პროცესში დიდი და პატარა ფეოდალები უფრო მეტად შორდებიან ერთმანეთს, ეს კონსტელაცია მზარდი მმართველობითი აპარატის სტრუქტურაშიც აირეკლება: კლერკები და მეომართა მცირერიცხოვანი ოჯახების წევრები მეფის შტაბს ქმნიან; დიდ ფეოდალებს ჯერ კიდევ უჭირავთ რამდენიმე პოზიცია, მაგალითად, დიდი ან მცირე საბჭოს წევრებისა.

უკვე ამ ფაზაში, სამეფო ადმინისტრაციაში არიან მეომართა და სამღვდელოთა ფენის ქვედა საფეხურზე მდგომი ადამიანები. თუმცა, ცხადია, ფრანგული ცენტრალური აპარატის განვითარებაში არათავისუფალი წარმომავლობის ელემენტები იგივე როლს არ თამაშობენ, რასაც გერმანული ცენტრალური აპარატის განვითარებაში. ალბათ, ეს იმასთანაა დაკავშირებული, რომ იქ ცოტა უფრო ადრე, ვიდრე აქ, ამ ფენიდან გამოსული საქალაქო თემი და ამით, თავისუფალთა მესამე ფენა თავისთავად მნიშვნელობას იძენს. ყოველ შემთხვევაში, საფრანგეთის მხარეებში ქალაქების ზრდასთან ერთად, იზრდება ქალაქური ელემენტების წილი სამეფო ადმინისტრაციის პოსტებზე და ეს ელემენტები შემდეგ, თანდათანობით, უკვე შუა საუკუნეებში, გარკვეულ დონემდე შეიჭრებიან მმართველობით აპარატში. გერმანიის ტერიტორიათა უდიდეს ნაწილში, ეს კიდევ დიდი ხანი, ახალ დრომდე არ მიიღწევა.

მათთვის ამ აპარატში მოსახვედრად ორი გზა არსებობს[103]: ჯერ ერთი, ისინი სულ უფრო ხშირად იკავებენ საერო თანამდებობებს, პოსტებს, რომლებიც მანამდე არისტოკრატებს ეჭირათ და მეორე, ისინი ასევე მეტი სიხშირით იღებენ სასულიერო პოსტებს, მაშასადამე, ამ აპარატში ხვდებიან, როგორც „clercs". გამოთქმა „clercs" დაახლოებით მე-12 საუკუნის დასასრულიდან ნელ-ნელა იცვლის თავის მნიშვნელობას; მნიშვნელობა „სამღვდელოება" მასში უკანა პლანზე გადაინაცვლებს და ის უფრო და უფრო მეტად აღნიშნავს ნასწავლ კაცს, რომელსაც ლათინურად კითხვა და წერა შეუძლია. თუმცა, შეიძლება, დასაწყისში კლერკად წოდების წინაპირობას ჯერ კიდევ ქმნიდეს სასულიერო კიბის პირველი საფეხურები. მერე და მერე, ადმინისტრაციული აპარატის გაფართოებასთან ერთად, სულ უფრო

მეტ სეკულარიზაციას განიცდის როგორც „clercs"-ის განმარტება, ასევე საუნივერსიტეტო განათლების განსაზღვრული ტიპები. ლათინურს სწავლობენ არა მხოლოდ იმისათვის, რომ მღვდლები გახდნენ, არამედ უშუალოდ იმისათვის, რომ იყვნენ მოხელეები. რა თქმა უნდა, როგორც მანამ, ისე შემდეგშიც, არსებობდნენ ბიურგერები, რომლებიც მათი კომერციული ან ორგანიზატორული ნიჭიერების გამო ხვდებოდნენ მეფის საბჭოში. თუმცა, ბევრი ბურჟუა სახელისუფლო აპარატის უმაღლეს წრეებში სწავლის, კანონიკური და რომაული სამართლის ცოდნის გზით ხვდებოდა. სწავლა, ქალაქის წარჩინებული ფენების წარმომადგენელთა შვილებისათვის დანინაურების ჩვეულებრივი გზა ხდება. ბიურგერული ელემენტები თანდათან ავიწროებენ არისტოკრატიულ და სასულიერო ელემენტებს მმართველობით აპარატში. მეფის მსახურთა ფენა, „მოხელეები", გერმანიისაგან განსხვავებით, აშკარად ბურშუაზიული ფორმაცია ხდება.

»Dès Philippe-Auguste au plus tard ... les légistes, vrais „chevaliers es lois", apparaissaient: ils allaient, pour en faire la loi monarchique, se charger d'amalgamer la loi féodale avec la loi canonique et la loi romaine ... Petite armée de trente scribes en 1316, de 104 ou 105 en 1359, d'une soixantaine en 1361, ces clercs de la chancellerie gagnèrent maints avantages à grossoyer constamment dans le voisinage du roi. La grande masse formerait des notaires privilégies; l'élite (trois sous Philippe le Bel, douze avant 1388, seize en 1406, huit en 1413) donnerait naissance aux clercs du secret ou bien aux secrétaires des Finances ... L'avenir était à eux. A la différence des grands officiers palatins, ils n'avaient pas d'ancêtres, mais ils allaient être eux-mêmes des ancêtres .[104]«

სამეფო საკუთრების ზრდასთან ერთად ყალიბდება სპეციალისტთა ფენა, რომელთა სოციალური პოზიცია, პირველ რიგში, მათ სამსახურეობრივ მდგომარეობაზეა დამოკიდებული, მათი წოდებრივი პრესტიჟი, პიროვნული ინტერესი, კი, მნიშვნელოვანწილად, სამეფო ხელისუფლებისა და სახელისუფლო აპარატის ინტერესების იდენტურია. თუ ადრე და შემდგომაც (თუმცა ნაკლებად), ეკლესიის წევრები იყვნენ ის ადამინები, ვინც ცენტრალური ფუნქციის ინტერესებს იცავდნენ, ახლა უკვე ეს მისია მესამე ფენის წარმომადგენლებს დაეკისრათ სხვადასხვა ფუნქციის სახით: როგორც მეფის მწერალს და მრჩეველს, გადასახადთა ამკრებს ან როგორც უზენაესი სასამართლოს წევრს. ისინი ცდილობდნენ რომელიმე კონკრეტული მეფის გარდაცვალების შემდგომ მეფის პოლიტიკის გაგრძელება უზრუნველეყოთ და ხშირად, გვირგვინოსნის პიროვნული გადახრებისაგან დაეცვათ იგი. აქაც ბურჟუაზული ფენები მეფის განდიდებას უწყობენ ხელს, მეფები კი ბურჟუაზული ფენების დაწინაურებას.

23. სახელისუფლო აპარატიდან არისტოკრატიის ამ, თითქმის, სრული განდევნით, დროთა განმავლობაში ბურჟუაზია მოიპოვებს სახელისუფლო პოზიციას, რომელსაც დაბალანსებული

ურთიერთობების თვალსაზრისით საზოგადოების შიგნით, დიდი მნიშვნელობა აქვს. საფრანგეთში, როგორც ვთქვით, დაახლოებით ancien régime-ს დასასრულემდე, ბურჟუაზიას არისტოკრატიასთან დაპირისპირებაში წარმოადგენენ არა მდიდარი ვაჭრები ან უშუალოდ ამქრები, არამედ მოხელეობა, მისი სხვადასხვა ფორმაციის სახით. არისტოკრატიის სოციალური პოზიციის შესუსტება და ბურჟუაზიის პოზიციის გაძლიერება ყველაზე ნათლად იმაში გამოიხატება, რომ უმაღლესი მოხელეობა, არაუგვიანეს მე-17 საუკუნის დასაწყისისა, პრეტენზიას აცხადებს არისტოკრატიასთან სოციალურ თანასწორობაზე. ფაქტიურად, ამ ეპოქაში არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას შორის გადაჯაჭვულობამ და დაპირისპირებამ იმ სიძლიერეს მიაღწია, რომელიც ცენტრალურ მმართველს განსაკუთრებით დიდი ძალაუფლებით აღჭურვავს.

წოდებრივი ბურჟუაზიის შვილების ეს შეღწევა ცენტრალურ აპარატში არის გადაჯაჭვის ერთ - ერთი ფიგურაცია, რომელიც ყველაზე უშუალოდ აჩვენებს რა მჭიდრო ფუნქციონალური ურთიერთდამოკიდებულება არსებობს სამეფო ხელისუფლების აღმავლობასა და ბურჟუაზიის დაწინაურებას შორის. ბიურგერული ზედა ფენა, რომლის სახესაც თანდათან იღებს „მეფის უმაღლეს მსახურთა" ოჯახები, შემდგომში, მე-16 და მე-17 საუკუნეებში სოციალურად იმდენად ძლიერდება, რომ მათი გავლენის ქვეშ მოექცეოდა მეფეც, რომ არა არისტოკრატიისა და სამღვდელოების საპირისპირო გავლენა, რომელთა წინააღმდეგობა ამ ფენის ძალებს გარკვეულწილად ზღუდავდა; და ძნელი არ არის დავაკვირდეთ, როგორ მანევრირებენ ამ დაძაბულობის აპარატით თავად მეფენი, პირველ რიგში, ლუი XIV. მაგრამ წინა ფაზაში, არისტოკრატია და სამღვდელოება, მიუხედავად თვით მათ ურთიერთობაში არსებული ამბივალენტობისა, ჯერ კიდევ ბევრად უფრო ძლიერ მოთამაშეებს წარმოადგენენ ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ, ვიდრე ქალაქის ბურჟუაზია. სწორედ ამიტომ, დაწინაურების ჟინით შეპყრობილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები მეფის ხელისუფლების როგორც სასურველი, ასევე დაუზარელი დამხმარენი არიან. მეფეები დაუშვებენ იმას, რომ ცენტრალური აპარატის ქსელი, მესამე წოდების ადამიანთა მონოპოლიური პოზიცია გახდეს, რადგან ეს ფენა სოციალურად ჯერ კიდევ უფრო სუსტია, ვიდრე პირველი და მეორე ფენა.

ეს ინტერდეპენდენცი მეფისა და ბურჟუაზიის სოციალური ძლიერების ზრდასა და არისტოკრატიისა და სამღვდელოების შესუსტებას შორის კიდევ ერთი მხრიდან წარმოჩნდება, თუ მათი სოციალური ექსისტენცის ფინანსურ გადაჯაჭვულობას განვიხილავთ. უკვე აღნიშნული იყო ის, რომ არისტოკრატიის საზიანოდ ძალთა თანაფარდობის ეს გადანაცვლება მხოლოდ მცირეოდენ თუ დაიყვანება ბურჟუაზიული წრეების ცნობიერ და გეგმაზომიერ აქციებზე. ის, ერთი მხრივ, არის შედეგი კონკურენტული მექანიზმისა, რომლის საშუალებითაც არისტოკრატიის დიდი ნაწილი ცალკეულ არისტო-

კრატთა სახლებზე, სამეფო სახლზე დამოკიდებული აღმოჩნდება და ამით იმავე საფეხურს დაიკავებს, რომელიც ბურჟუაზიას უჭირავს. მეორე მხრივ, ეს არის შედეგი მზარდი ფინანსური გადაჯაჭვულობისა. ფულის მასის ზიგზაგისებური გამრავლების პარალელურად მიმდინარეობს ფულის უწყვეტი გაუფასურების პროცესი. ფულის მასის ეს ზრდა და გაუფასურება მე-16 საუკუნეში განსაკუთრებით დაჩქარდება. და არისტოკრატი, რომელიც თავისი მამულების შემოსავლებით ცხოვრობს და რომელსაც არ შეუძლია ფულის ინფლაციის შესაბამისად თავისი შემოსავლებიც გაზარდოს, ღატაკდება.

რელიგიურ ომებს, მხოლოდ ეს დამაგვირგვინებელი აქტი რომ ვახსენოთ, დასუსტებული არისტოკრატიისათვის ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც სამოქალაქო ომებს დაკნინების პროცესში მყოფი ფენებისათვის: ისინი დასაწყისში მათ გარდაუვალ ბედისწერას ფარავენ. აურზაური და შფოთი, ომში საკუთარი თავის გადარჩენა, ნადავლის მოპოვებისათვის ლაშქრობათა შესაძლებლობა და მოგების სიმარტივე — ყველაფერი ეს არისტოკრატში აღვივებს რწმენას, თითქოს მას თავისი სოციალური პოზიციის შენარჩუნება შეეძლოს, რომელსაც საფრთხე ემუქრება. ეს დაარწმუნებს მას, რომ შესწევს ძალა დაცემას და გაღატაკებას გადარჩეს. იმ ეკონომიკურ გადატრიალებებზე, რომელთა წრებრუნვაში აქეთ-იქეთ ეხეთქებიან, ისინი ვერც კი ხვდებიან რაიმეს. ისინი ხედავენ, რომ ფული მრავლდება, ფასები იწევს, მაგრამ ამას ვერ იგებენ. ბრანტომი, ამ ეპოქის სასახლის კარის ერთ-ერთი მეომარი, ამ განწყობას ინარჩუნებს:

„... tant s'en faut», ამბობს ის[105], „que ceste guerre (civile) ait appauvry la France, qu'elle l'a du tout enrichie, d'autant qu'elle descouvrit et mit en évidence une infinité de trésors cachez soubz terre, qui ne servoient de rien, ... et les mirent si bien au soleil et convertirent en belles et bonnes monnoyes à si grand' quantité, qu'on vist en France reluyre plus de millions d'or qu'auparavant de millions de livres et d'argent, et paroistre plus de testons neufz, beaux, bons et fins, forgez de ces beaux trésors cachez, qu'auparavant il n'y avoit de douzains ... Ce n'est pas tout: les riches marchans, les usuriers, les bancquiers et autres raque-deniers jusques aux prebstres, qui tenoiem leurs escus cachez et enfermez dans leurs coffres, n'en eussent pas faict plaisir ny preste pour un double, sans de gros intérestz et usures excessives ou par achaptz et engagemens de terres, biens et maisons à vil prix; de sorte que le gentilhomme, qui, durant les guerres étrangères s'estoit appauvry et engagé son bien, ou vendu, n'en pouvoit plus et ne sçavoit plus de quel bois se chauffer, car ces marauts usuriers avoient tout raflé: mais ceste bonne guerre civile les restaura et mit au monde. Si bien que j'ay veu tel gentilhomme, et de bon lieu, qui paradvant marchoit par pays avec deux chevaux et un petit lacquays, il se remonta si bien, qu'on le vist, durant et après la guerre civile, marcher par pays avec six et sept bons chevaux ...*Et voilà comme la brave noblesse de France se restaura par la grâce, ou la graisse, pour mieux dire, de ceste bonne guerre civile.*"

სიმანდვილეში, ფრანგი არისტოკრატიის დიდი ნაწილი ამ „უწყინარი" სამოქალაქო ომიდან დაბრუნებისას, რომლის „ნაღებითაც" ის

კვლავ ფეხზე დადგომას ფიქრობდა, ისევ ვალებით შევიწროებულად და განადგურებულად გრძნობს თავს. ცხოვრება კიდევ უფრო ძვირდება. კრედიტორები, მდიდარ ვაჭრებთან, მევახშეებსა და ბანკირებთან ერთად, პირველ ყოვლისა, მაღალი მოხელეები და „მანტიის კაცები", გასესხებული ფულის გადახდას მოითხოვენ. ისინი, ყველგან, სადაც მოახერხებენ, იკავებენ არისტოკრატთა მამულებს და მასთან ერთად, საკმაოდ ხშირად, იღებენ არისტოკრატთა ტიტულებსაც.

ის დიდებულებიც, რომელთაც თავიანთი მამულები შემორჩათ, ძალიან მალე აღმოაჩენენ, რომ მათი შემოსავლები საკმარისი აღარ არის მდიდრული ცხოვრების ხარჯების დასაფარად.

"Les seigneurs qui avaient cédé des terres à leurs paysans contre des redevances en espèces, continuaient à percevoir le même revenu, mais qui n'avait plus la même valeur. Ce qui coûtait cinq sols au temps passé en coûtait vingt au temps d'Henri III. Les nobles s'appauvrissaient sans le savoir[106]."

24. საზოგადოებრივ ძალთა გადანაწილების სურათი, რომელიც აქ გამოიკვეთება, საკმაოდ არაორაზროვნია. სოციალური სტრუქტურის ცვლილება, რომელიც უკვე დიდი ხანია, ძველი, მეომარი არისტოკრატიისათვის არახელსაყრელად და ბურჟუაზული ფენების სასარგებლოდ მუშაობს, მე-16 საუკუნეში დაჩქარებული ტემპით მიდის. ეს უკანასკნელნი მოიპოვებენ იმ სოციალურ წონას, რომელსაც პირველები კარგავენ. იზრდება ანტაგონიზმები საზოგადოებაში. მეომარი არისტოკრატია ვერ გაისიგრძეგანებს იმ პროცესების ძალას, რომელიც მათ თავიანთი მემკვიდრეობით მიღებული პოზიციებიდან განდევნის. ეს ძალა მისთვის მესამე წოდების ადამიანებში განსხეულდება, რომლებთანაც მას ყოველთვის უფრო პირდაპირ შეუძლია კონკურენციაში შესვლა თანაბარი შანსებისათვის, პირველ ყოვლისა, ფულისათვის, ფულის საშუალებით კი საკუთარი მიწებისა და თვით სოციალური პრივილეგიებისათვის. ამით თანდათან ყალიბდება ის წონასწორობის აპარატურა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ცენტრალურ მმართველს აძლევს განკარგვის ოპტიმალურ ძალაუფლებას.

მე-16, მე-17 საუკუნეებში მიმდინარე ბრძოლებში ვხედავთ ბურჟუაზიულ კორპორაციებს, რომლებიც საკმაოდ მდიდარი, მრავალრიცხოვანი და ამავე დროს, ძალმოსილნი გახდნენ იმისათვის, რომ მძლავრად აღუდგნენ წინ მეომარი არისტოკრატიის სახელისუფლო და ძალაუფლებრივ პრეტენზიებს. მაგრამ, მათ არც უნარი გააჩნიათ და არც საკმარისად ძლიერები არიან იმისათვის, რომ უშუალოდ თავისზე დამოკიდებული გახადონ მეომრები ან საკუთარ თავზე აიღონ შეიარაღების მართვა. ჩვენ ვხედავთ არისტოკრატს, რომელსაც ჯერ კიდევ საკმარისი ძალა და მეომრული შემართება აქვს იმისათვის, რომ დაწინაურებული ბურჯუაზიული ფენებისათვის მუდმივ საფრთხეს წარმოადგენდეს, მაგრამ უკვე მეტისმეტად სუსტი, პირველ ყოვლისა, ეკონომიურად მეტისმეტად სუსტია იმისათვის,

რომ უშუალოდ გააკონტროლოს ქალაქის მოსახლენი და განკარგოს მათი გადასახადები. ის, რომ არისტოკრატიას ამ დროში მთლიანად გამოეცლება მართვისა და იურისდიქციის ფუნქცია და ის, რომ ეს ფუნქციები მთლიანად ბურჟუაზიული კორპორაციების ხელშია, არცთუ უმნიშვნელო წვლილს შეიტანს არისტოკრატიის დასუსტებაში. მაგრამ, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში საზოგადოების ვერცერთი ნაწილი ვერ მოიპოვებს გადამწყვეტ უპირატესობას სხვებზე. ამ სიტუაციაში მეფე ყოველ ფენას თუ კორპორაციას მოკავშირედ და დამხმარედ ევლინება სხვა ჯგუფების და კორპორაციათა წინააღმდეგ, რომელთაც ისინი მარტო ვერ გაუმკლავდებიან.

თვით არისტოკრატია და ბურჟუაზია ცხადია, სხვადასხვა ჯგუფებისა და ფენებისაგან შედგება, რომელთაც აქედან გამომდინარე, განსხვავებული მიმართულების ინტერესები აქვთ. ამ ორ ფენას შორის არსებულ პირველად დაძაბულობებში გადაიხლართება მთელი რიგი სხვა დაძაბულობები, იქნება ეს მათ შიგნით თუ ამ ჯგუფებსა და სამღვდელოებას შორის არსებული ცალკეული დაძაბულობა; მაგრამ ყველა ამ ჯგუფის თუ ფენის არსებობა მეტ-ნაკლებად სხვებზეა დამოკიდებული; ცალ-ცალკე არცერთი მათგანი არაა ისე ძლიერი, რომ არსებული წესრიგი დაამხოს; უმაღლესი წრეები, რომელთაც, სხვებისაგან განსხვავებით, შეუძლიათ გამოიყენონ გარკვეული პოლიტიკური გავლენა არსებული ინსტიტუტების ფარგლებში, ყველაზე ნაკლებ არიან დაინტერესებულნი რადიკალურ ცვლილებებში. და ამ დაძაბულობათა მრავალფეროვნება, მართლაც, აძლიერებს მეფის სახელისუფლო შანსებს.

ცხადია, ყოველი ეს უმაღლესი ჯგუფი, არისტოკრატიის ნაღები, სასახლის კარის „დიდებულები“, ისევე როგორც ბურჟუაზიისა, პარლამენტი, თავის მხრივ, მოწადინებული იყო მეფის ხელისუფლების შეზღუდვაში. ancien régime-ს განმავლობაში ისევ და ისევ ამოტივდივდება მისწრაფებები ან სულ ცოტა, იდეები მაინც, რომლებიც ამგვარი მიმართულებით ვითარდებიან. ურთიერთსაპირისპირო ინტერესების და სურვილების მქონე სოციალურ ჯგუფებს მეფის ხელისუფლებისადმი სხვადასხვაგვარი პოზიცია აქვთ. იშვიათი არ არის ისეთი სიტუაციები, რომლებშიც ეს ნათლად იჩენს თავს. ადგილი აქვს არისტოკრატთა ჯგუფების დროებით კავშირებს ქალაქის ბიურგერულ ფენებთან, პირველ ყოვლისა, პარლამენტთან, სამეფო ხელისუფლების წარმომადგენელთა წინააღმდეგ. მაგრამ თუ კი რაიმე აჩვენებს უშუალო გაგების სირთულეს და მათ შორის არსებული დაძაბულობის და ქიშპობის სიმძლავრეს, ეს არის ამგვარი შემთხვევითი კავშირების განვითარება.

საკმარია გავიხსენოთ აჯანყება „Fronde“ (ლუი XIV და მაზარინის დროს პოლიტიკურ-ეკონომიკური ხასიათის მღელვარება, მთარგმ. შენიშ.) ლუი XIV ჯერ კიდევ მცირეწლოვანია. ძალაუფლება მაზარინის ხელშია. კიდევ ერთხელ, ამჯერად უკანასკნელად, ერთიანდებიან ყველაზე განსხვავებული სოციალური ჯგუფები,

რათა შტურმით აიღონ მინისტრის სახით წარმოდგენილი მეფის აბსოლუტური ხელისუფლება. პარლამენტი და წოდებრივი არისტოკრატია, ქალაქური კორპორაციები და მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლები — ყველა ცდილობს გამოიყენონ ეს მეფის ხელისუფლებისათვის მძიმე დღეები, დედოფლის რეგენტობა, რომელსაც კარდინალი ახორციელებს. ამ აჯანყების სურათი, სინამდვილეში, საკმაოდ ნათლად აჩვენებს, რა დაძაბულია ურთიერთობები ყველა ამ ჯგუფს შორის."Fronde" ერთგვარი სოციალური ექსპერიმენტია. ის, კიდევ ერთხელ, ღიად წარმოაჩენს ამ დაძაბულობის აპარატურის სტრუქტურას, რომელიც შანსებს აძლევს ცენტრალურ ხელისუფლებას და რომელიც, ჩვეულებრივ, მოფარებულია თვალს, როცა ეს ცენტრალური ხელისუფლება სტაბილური ხდება: როგორც კი მეფის მოწინააღმდეგეთაგან ერთ-ერთი მოკავშირე, სავარაუდოდ, სულ მცირე უპირატესობას მოიპოვებს, სხვები საფრთხეში გრძნობენ თავს, ტოვებენ კავშირს, მაზარინთან ერთად შეებრძოლებიან თავიანთ ყოფილ მოწინააღმდეგეს, ზოგჯერ კი ისევ უბრუნდებიან ძველ მოკავშირეებს; ყოველ ამ ადამიანს, ყოველ ამ ჯგუფს მეფის ხელისუფლების შევიწროება უნდა; მაგრამ ყველა მათგანს ეს თავისი სარგებლისათვის სურს; თითოეულს, ამავე დროს, იმის შიში აქვს, რომ სხვისი ძალაუფლება არ გაიზარდოს. საბოლოოდ ძალთა თანაფარდობა კვლავ სამეფო სახლის სასარგებლოდ დადგინდება, ამასთან ნაწილობრივ, იმ დახვეწილობის წყალობით, რომლითაც მაზარინი დაძაბულობის ამ აპარატურის გამოყენებას ახერხებს. ლუი XIV-ს არასოდეს დავიწყებია ამ დღეების გაკვეთილი; ის, თავის ყველა სხვა წინამორბედზე უფრო გაცნობიერებულად და მეტი მზრუნველობით დარაჯობდა ამ წონასწორობის დაცვას, არსებული სოციალური განსხვავებისა და დაძაბულობის შენარჩუნებას.

25. შუა საუკუნეებში, დიდი ხნის მანძილზე ქალაქური ფენები, თავიანთი სოციალური პოზიციით, ბევრად უფრო სუსტი იყო, ვიდრე მეომარი არისტოკრატიის ფენა. ამ ეპოქაში მეფეთა და საზოგადოების ბურჯუაზიული ნაწილის ინტერესთა ერთობა საკმაოდ შთამბეჭდავია, თუმცა ის არც ისე მჭიდროა, რომ სხვადასხვა ფენებსა და ცენტრალურ მმართველს შორის წინააღმდეგობასა და ბრძოლებს არ ჰქონოდა ადგილი; და როგორც ითქვა, მათი ინტერესთა ერთობის თვალში საცემი შედეგია სამეფო ხელისუფლების მმართველობითი ორგანიზაციიდან არისტოკრატიის განდევნა და მასში ბურჟუაზიული წარმომავლობის ადამიანთა შეღწევა.

შემდგომში ფინანსური კავშირებისა და მონოპოლიათა ჩამოყალიბების პროცესში, არისტოკრატიის სოციალური ძლიერება ბურჟუაზიასთან შედარებით მცირდება, მეფენი თავიანთ ძალას უფრო არისტოკრატიის სასარგებლოდ წარმართავენ. ახლა უკვე ისინი იცავენ არისტოკრატიის ამაღლებული ფენის სახით არსებობას გაძლიერებულ ბურჟუაზიასთან მიმართებაში და თანაც იმდენად, რამდენადაც ეს აუცილებელია იმისათვის, რომ შენარჩუნებული იქნას

სოციალური განსხვავებანი არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას შორის და ამით დაძაბულობის წონასწორობა მათ სამფლობელოში. ასე ათავისუფლებენ ისინი არისტოკრატიის უმეტეს ნაწილს გადასახადებისაგან. სწორედ ამ თავისუფლების გაუქმება ან შეზღუდვა სურდა ბურჟუაზიას. მაგრამ, ცხადია, ეს არ არის საკმარისი იმისათვის, რომ სამეურნეო თვალსაზრისით სუსტ მინათმფლობელებს შეუქმნან ეკონომიკური ბაზისი, რომელიც მათი, როგორც უმაღლესი ფენის პრეტენზიებს და გამორჩეული, თვალშისაცემი წარმოჩენის აუცილებლობას დააკმაყოფილებს. სოფლის მემამულეთა უმეტესობა, მიუხედავად გადასახადებისაგან გათავისუფლებისა, მთელი ancien régime-ს მანძილზე, მართლაც, ხელმოკლედ ცხოვრობს. მათ არ შეუძლიათ შეედარონ ბურჟუაზიის ზედა ფენების მატერიალურ კეთილდღეობას. მოხელეებთან, განსაკუთრებით მოსამართლეებთან შედარებით, ისინი ხელსაყრელ მდგომარეობაში არ იმყოფებიან, რადგან მათი ადგილები ბურჟუაზიული წარმომავლობის ადამიანებს უჭირავთ. ამას ემატება ისიც, რომ რომ მეფენი, არისტოკრატიულ წრეებში არსებული საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერით, იმ შეხედულებას იცავენ, რომ არისტოკრატმა, რომელიც ვაჭრობაშია ჩაბმული და საქმიანობს, თავისი არსიტოკრატიული ტიტული უნდა მოიხსნას და თავის არისტოკრატიულ უფლებებზეც უარი უნდა თქვას, ამ საქმიანობის პერიოდში მაინც. ეს შეზღუდვაც არისტოკრატიას და ბურჟუაზიას შორის არსებული განსაკუთრებული განსხვავების შენარჩუნებას ემსახურება, რომელშიც მეფეები არანაკლებ არიან დაინტერესებულნი, ვიდრე თავად არისტოკრატია. მაგრამ ამით არისტოკრატიისათვის ჩაკეტილია ერთადერთი, პირდაპირი გზა დიდი კეთილდღეობისაკენ. თუმცა, მას შეუძლია არაპირდაპირ, ქორწინების გზით სარგებელი ნახოს იმ სიმდიდრიდან, რომელიც ვაჭრობისა და თანამდებობის გზითაა მოპოვებული. ალბათ, არისტოკრატიას აღარაფერი შერჩებოდა იმ ბრწყინვალებისა და სოციალური ავტორიტეტისაგან, რასაც ის მე-17 , მე-18 საუკუნეებში ჯერ კიდევ ფლობდა, ის უთუოდ დანებდებოდა ეკონომიკურად გაძლიერებულ ბურჟუაზიას და ახალ ბიურგერ-არისტოკრატიას, მას ან სულ ცოტა, მის რომელიმე ნაწილს, მეფის ხელისუფლების დახმარებით სასახლის კარზე ახალი მონოპოლიური პოზიციისათვის რომ არ მიეღწია, რომელიც მას თავისი მდგომარეობის შესატყვის და რეპრეზენტაციული ცხოვრების შესაძლებლობას აძლევდა და ბურჟუაზიულ საქმიანობასთან აღრევისაგანაც იცავდა: არისტოკრატიამ შეინარჩუნა სასახლის კარის და სამეფო მეურნეობის სხვადასხვა მოხელეთა თანამდებობები. ამით ასობით და ბოლოს, ათასობით არისტოკრატი მეტ-ნაკლებად კარგად ანაზღაურებად თანამდებობებს იღებდა, ამას ემატებოდა მეფის კეთილგანწყობაც, რომელიც ხანდახან საჩუქრებით დასტურდებოდა; მეფესთან სიახლოვე ამ თანამდებობებს მაღალ პრესტიჟს უქმნიდა.

ასე წამოიწევს პროვინციული არისტოკრატიის უდიდესი

ნაწილიდან არისტოკრატიის ფენა, რომელსაც შეუძლია გააწონასწოროს ბურჟუაზიული ზედა ფენების ბრწყინვალება და გავლენა. ეს არის სასახლის კარის არისტოკრატია. როგორც ოდესღაც, მაშინ როცა ბურჟუაზია არისტოკრატიასთან შედარებით უფრო სუსტი იყო, სამეფო ადმინისტრაციის პოსტები მეფის ხელისუფლების დახმარებით ბურჟუაზიული ფენების მონოპოლიად იქცა, ახლა უკვე, როცა არისტოკრატია უფრო სუსტდება, ისევ მეფის ხელშეწყობით, სასახლის კარის თანამდებობები არისტოკრატიის მონოპოლია ხდება.

სასახლის კარის თანამდებობათა მხოლოდ და მხოლოდ არისტოკრატიის მიერ დაკავება, ისევე როგორც მანამდე ყველა სხვა სახელმწიფო თანამდებობის მარტოოდენ ბიურგერული წრეებით შევსება, ასევე მრავალჯერადი აქციებით ხორციელდება და არა მხოლოდ მეფის გეგმის მიხედვით.

ანრი IV-ს და ჯერ კიდევ ლუი XIII-ს დროს, სასახლის კარის თანამდებობები, ისევე როგორც ბევრი სამხედრო წოდება და ადმინისტრაციული და სასამართლო სფეროს თანამდებობები ისეთი პოზიციებია, რომელთა ყიდვაც შეიძლება და ამიტომ მათი მფლობელების საკუთრებას წარმოადგენს; სამეფო იმპერიის ცალკეულ ოლქებში ეს ძალაშია თვით გუბერნატორების და სამხედრო მხედართმთავრების პოსტებთან მიმართებაში. თავისთავად ცხადია, განსაზღვრულ შემთხვევებში ასეთი პოსტის მფლობელს თავისი მოვალეობის შესრულება მხოლოდ მეფის თანხმობით შეუძლია. არსებობს შემთხვევებიც, როცა ესა თუ ის პოსტი მხოლოდ მეფის კეთილგანწყობის შედეგად გაიცემა; მაგრამ ზოგადად, ამ დროს თანამდებობის დაკავებას შესყიდვის გზით მაინც უპირატესობა ენიჭება, ვიდრე თანამდების დაკავებას კეთილგანწყობის საშუალებით. და რადგანაც არისტოკრატიის უმეტეს ნაწილს არ შეუძლია ფულის ფლობის თვალსაზრისით ბურჟუაზიის ზედა ფენებს გაეჯიბროს, საშუალო ფენა ან მისგან გამოსული ოჯახები, რომლებიც ცოტა ხნის წინ გაარისტოკრატდნენ, ნელა, მაგრამ შესამჩნევად იკავებენ სამეფო კარის თანამდებობებსა და სამხედრო პოსტებს. მხოლოდ ქვეყნის დიდ არისტოკრატიულ ოჯახებს, ნაწილობრივ თავიანთი მამულების სიდიდის, ნაწილობრივ იმ პენსიის საფუძველზე, რომელსაც მათ მეფე უხდის, აქვთ საკმაო შემოსავლები იმისათვის, რომ ამგვარი პოზიციებისათვის ასეთ დიდ კონკურენციას გაუძლონ.

ამასთან მისწრაფება, დაეხმარონ არისტოკრატიას ამ სიტუაციაში, სავსებით აშკარაა. ანრი IV-ს, ისევე, როგორც ლუი XIII და რიშელიე — ისინი ყველანი ერთი წამითაც არ ივიწყებენ, რომ თავადაც არისტოკრატიას მიეკუთვნებიან. გარდა ამისა, ანრი IV-მ, არისტოკრატიის არმიის სათავეში ყოფნით მოიპოვა სამეფო ტახტი. მაგრამ მხედველობაში რომ არ მივიღოთ ის , რომ ისინიც საკმაოდ უძლურნი არიან ეკონომიკური პროცესების წინააღმდეგ, რომლებიც არისტოკრატიის საზიანოდ მოქმედებს, თავად მეფის ფუნქციას

საკუთარი აუცილებლობა აქვს და არისტოკრატიასთან ამ ფუნქციის დამოკიდებულება ამბივალენტურია. ანრი IV-ს, ასევე რიშელიეს და ყველა მათ მემკვიდრეს სურთ (და ასეც უნდა მოიქცნენ, თუ უნდათ, თავი დაიზღვიონ), შეძლებისდაგვარად ჩამოაშორონ არისტოკრატები ყველა იმ თანამდებობას, რომლებიც პოლიტიკურ გავლენას იძლევიან. მათ სურვილიც აქვთ და უნდა შეინარჩუნონ კიდეც არისტოკრატია, როგორც დამოუკიდებელი, სოციალური ფაქტორი საზოგადოებრივ ძალთა წონასწორობაში.

აბსოლუტისტური სასახლის კარის გაორებული სახე სწორედ მეფისა და არისტოკრატიის ამ ორმაგ ურთიერთობას შეესატყვისება: ეს სასახლის კარი არისტოკრატიაზე გაბატონების და ამავე დროს, მისი უზრუნველყოფის ინსტრუმენტია. ამ მიმართულებით ვითარდება ის ძალიან შეუმჩნევლად.

არისტოკრატიის წრეში ცხოვრებაც ანრი IV-ისათვის თავისთავად ცხადი ჩვეულებაა. მაგრამ მისი პოლიტიკა ჯერ კიდევ არ არის ძალიან მკაცრი იმ აზრით, რომ არისტოკრატიის ნაწილს, რომელსაც მეფის კეთილგანწყობის მოპოვება სურს, სასახლის კარზე მუდმივი ყოფნა მოსთხოვოს. მას არც გააჩნია იმის საშუალებები, რომ ასეთი უზარმაზარი სასახლის კარი დააფინანსოს და სამეფო კარის იმდენი თანამდებობა, წყალობა და პენსია გასცეს, როგორც ამას მოგვიანებით ლუი XIV აკეთებს. გარდა ამისა, მის ეპოქაში, სოციალური ველი ჯერ კიდევ გაცხოველებულ მოძრაობაშია. კეთილშობილი ოჯახები დაცემას განიცდიან, ბურჟუაზთა ოჯახები კი დაწინაურდებიან. ფენები ისევ არსებობს, მაგრამ მათი პიროვნული შემადგენლობა მკვეთრი ცვალებადობის პროცესშია. კედელი, რომელიც ფენებს ერთმანეთისაგან აშორებს, გასასვლელებითაა სავსე. პიროვნული შრომისმოყვარეობა თუ უსაქმურობა, პიროვნული ბედი თუ უბედობა ამ ეპოქაში ისევე დიდწილად განსაზღვრავს რომელიმე ოჯახის შანსებს, როგორც მათი ამა თუ იმ ფენისადმი თავდაპირველი მიკუთვნებულობა. ამ დროში სასახლის კარის შესასვლელი და სასახლის კარის თანამდებობებთან მისასვლელი კარიბჭეც ფართოდაა გაღებული ბურჟუაზული წარმომავლობის ადამიანთათვის.

არისტოკრატია ჩივის ამის გამო. თვითონ მას სურს, რომ ეს თანამდებობები მასვე დარჩეს და შესაბამისი წინადადებებით გამოდის. და არა მარტო ეს თანამდებობები. მას სხვა ბევრ რაიმეშიც უნდა თავისი წილი ჰქონდეს; მას სურს დაიბრუნოს დაკარგული პოზიცია სახელისუფლო აპარატში; ამასთან დაკავშირებით, 1627 წელს არისტოკრატია ლუი XIII-ს უფრო კონკრეტული განცხადებით მიმართავს, სათაურით: „Requestes et articles pour le rétablissement de la Noblesse"[107].

ამ თხოვნაში ერთგან ნათქვამია, რომ ანრი IV, თავისი გვირგვინის მოპოვებას, პირველეს ყოვლისა, ღმერთის შემწეობას და არისტოკრატიის მახვილს უნდა უმადლოდეს მაშინ, როცა სხვა ფენები უკმაყოფილების გამოხატვით იყვნენ დაკავებულნი; მაგრამ,

მიუხედავად ამისა, არისტოკრატია არის , „au plus pitoyable état qu'elle fut jamais... la pauvreté l'accable... l'oisiveté la rend vicieuse... l'oppression l'a presque réduite au désespoir."

აქ რამდენიმე სიტყვით დახატულია დაკნინების პროცესში მყოფი ფენის სურათი. ის, დიდწილად, სინამდვილეს შეესატყვისება. მამულების უმეტესობა ვალებშია ჩაფლული. ბევრმა არისტოკრატიულმა ოჯახმა მთლიანად დაკარგა თავისი ქონება. ახალგაზრდა არისტოკრატია უიმედობას მისცემია; შფოთი და სოციალური ზეწოლა, რომელიც გათავისუფლებულთაგან მოდის, ყველგან იგრძნობა ამ საზოგადოების ცხოვრებაში. რა უნდა გაკეთდეს?

ამ მდგომარეობის საფუძვლებს შორის ხაზგასმით ასახელებენ იმ უნდობლობას, რომელიც არისტოკრატიის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ჩაუნერგა მეფეს თავიანთი ქედმაღლობითა და პატივმოყვარეობით. ამის შედეგად მეფენი ბოლოს, იმ აზრამდე მივიდნენ, რომ ამგვარ არისტოკრატთა ძალაუფლება მათთვის იმ თანამდებობებობათა და ჩინების ჩამორთმევით შეემცირებინათ, რომლებიც მათ, როგორც ჩანს, ბოროტად გამოიყენეს. მეორე მხრივ, მეფეები ამ ძალაუფლების შემცირებას მესამე ფენის დაწინაურებით ცდილობდნენ. ასე, რომ ამ დროიდან მოყოლებული, არისტოკრატიას წაართვეს სასამართლოს წარმოებისა და გადასახადების მართვის უფლება და სამეფო საბჭოდან გააძევეს.

და ბოლოს, არისტოკრატია თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის დასახელებულ 22 პუნქტს შორის ითხოვს შემდეგსაც: სამეფო იმპერიის ცალკეულ გუბერნიათა მხედართმთავრის თანამდებობებთან ერთად, პირველ ყოვლისა, უნდა შეწყდეს სამეფო კარის სამოქალაქო და სამხედრო თანამდებობათა გაყიდვა (მაშასადამე იმ საყრდენისა, რაც შემდგომში სასახლის კარს არისტოკრატიის უზრუნველყოფის დაწესებულებად აქცევს) და ეს თანამდებობები კვლავ არისტოკრატიას დარჩეს.

გარდა ამისა, ამ მოხსენებაში არისტოკრატია მოითხოვს გარკვეულ გავლენას პროვინციათა მართვაზე და რამდენიმე ამისათვის შესაფერი დიდებულის დაშვებას უმაღლეს სასამართლოში, პარლამენტში, სულ მცირე, სათათბირო ხმის უფლებით და ანაზღაურების გარეშე; და ბოლოს, ის მოითხოვს, რომ მისი რიგებიდან შეივსოს საფინანსო საბჭოს, სამხედრო საბჭოსა და სხვა სამეფო სახელისუფლო ორგანიზაციების წევრთა მესამედი.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ ნაკლებ მნიშვნელოვან, წვრილმან მოთხოვნებს, მათგან მხოლოდ ერთადერთი შესრულდა: სასახლის კარის თანამდებობებთან მისასვლელი ბურჟუაზიისათვის ჩაიკეტა და არისტოკრატიას შეუნარჩუნდა. ყველა სხვა მოთხოვნა, რომლებიც უფრო მოკრძალებული ფორმით, ხელისუფლებაში და ქვეყნის ადმინისტრირებაში არისტოკრატიის მონაწილეობაზე დაიყვანებოდა, შეუსრულებელი დარჩა.

გერმანული სივრცის არაერთ ტერიტორიაზე არისტოკრატები,

სამხედრო თანამდებობების გარდა, ეძებენ და იღებენ თანამდებობებს ადმინისტრაციასა და სასამართლო სისტემაში; სულ მცირე რეფორმაციის პერიოდიდან მოყოლებული, არისტოკრატიას უნივერსიტეტებშიც ვხვდებით.[108] სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობები სწორედ მის მონოპოლიად რჩება; სხვა შემთხვევებში, არისტოკრატია და ბურჟუაზია სახელმწიფო თანამდებობებთან მიმართებაში, განაწილების თანაბარი ქვოტის შესაბამისად, ჩვეულებრივ, აწონასწორებენ ერთმანეთს.

საფრანგეთის ცენტრალურ ორგანოში, როგორც ითქვა, დაძაბულობანი და ორ ფენას შორის მიმდინარე აშკარა თუ ფარული ბრძოლები იმაში გამოიხატება, რომ მთელი ადმინისტრაციული აპარატი ბურჟუაზიის მონოპოლიად რჩება, მაშინ როცა მთელი სასახლის კარის აპარატი, ამ სიტყვის ვიწრო აზრით, დიდწილად არისტოკრატებს უჭირავთ. მაგრამ თანამდებობათა ყიდვის შესაძლებლობის დაშვებით მათი ბურჟუათა მიერ დაკავების საფრთხეც არსებობს. მე-17 საუკუნეში ის საბოლოოდ და მთლიანად არისტოკრატიის მონოპოლიურ პოზიციად იქცევა.

უკვე რიშელიე თავის ანდერძში იძლევა რჩევას, სასახლის კარი ჩაუკეტონ მათ, ვისაც „არ გააჩნია ბედნიერება არისტოკრატიული წარმომავლობისა"[109]. შემდგომში, ლუი XIV-მ მინიმუმამდე შეამცირა ბურჟუათათვის სასახლის კარის ამგვარი თანამდებობების მიღების შესაძლებლობები; თუმცა, მთლად არც მას ჩაუკეტავს ისინი. მოსამზადებელი პროცესების შემდეგ, რომელშიც არისტოკრატიისა და სამეფო ხელისუფლების ინტერესები მონაცვლეობით გამოიცდება და აინონება, სასახლის კარი იძენს თავის გამოხატულ სახეს, ერთი მხრივ, როგორც არისტოკრატიის უზრუნველყოფის და მეორეს მხრივ, როგორც მეომართა ძველ ფენაზე გაბატონებისა და მათი დამორჩილების დანესებულება. თავისუფალი, რაინდული ცხოვრება უკვე ჩავლილია.

აქედან მოყოლებული, არისტოკრატიის დიდი ნაწილისათვის სუსტდება არა მხოლოდ მათი ეკონომიკური საფუძვლები, არამედ ვინროვდება მათი სამოქმედო სივრცე და სასიცოცხლო ჰორიზონტიც. არისტოკრატი მხოლოდ თავისი მამულის მეტ-ნაკლებად მწირი შემოსავლებით უნდა იფარგლებოდეს. ეს შეზღუდულობა, ნაწილობრივ, გაირღვევა ომის დროს, საველე ბანაკებისა და გადაადგილების გზით. ომშიც ის იბრძვის არა როგორც თავისუფალი რაინდი, არამედ როგორც ოფიცერი, მკაცრად დადგენილი წესრიგის მიხედვით. და მხოლოდ განსაკუთრებული ბედნიერი შემთხვევის და განსაკუთრებული ურთიერთობების წყალობით ხდება იშვიათად შესაძლებელი, რომ ვინმე ამ პროვინციელ არისტოკრატთაგან იმ წრეში მოხვდეს, რომელიც უფრო ფართო ჰორიზონტს, მეტ გამოცდილებას და დიდ პრესტიჟს აღწევს, სასახლის კარის არისტოკრატთა წრეში.

არისტოკრატთა ეს მცირე ნაწილი, სამეფო კარზე, პარიზში და

მის გარშემო ახალ, უფრო ლაბილურ სამშობლოს ჰპოვებს. ანრი IV-მდე და ლუი XIII-მდე სასახლის კარის წრეების ერთეულ არისტოკრატთათვის, ჯერ კიდევ არ იყო ძნელი, სასახლის კარზე მორიგი სტუმრობა საკუთარ მამულში ან სხვა სიდიდის მამულში ყოფნაზე გაეცვალათ. მართალია, არსებობს კურტუაზი არისტოკრატი, რომელიც პროვინციელ არისტოკრატთა უფრო ფართო ფენიდან ამოტივტივდება, თუმცა, ეს საზოგადოება ჯერ კიდევ ძლიერადაა დეცენტრალიზებული; ლუი XIV, რომელმაც „Fronde"-ს აჯანყებით ადრიანად მიიღო გამოცდილება, დიდი ხაზგასმულობითა და თანმიმდევრულობით იყენებს არისტოკრატიის მასზე დამოკიდებულებას. მას სურს „უშუალოდ თავისი მხედველობის არეში მოაქციოს ყველა, ვინც ამბოხის შესაძლო მოთავეა და ვისი ციხესიმაგრეც შეკრების ადგილად შეიძლებოდა გამომდგარიყო...[110] „.

ვერსალის სტრუქტურა სრულად შეესატყვისება მეფის ხელისუფლების ორივე, ერთმანეთში გადახლართულ ტენდენციას,— ამოცანას, ერთი მხრივ, უზრუნველყოს არისტოკრატიის ნაწილი და აშკარად წინა პლანზე წამოსწიოს ისინი და მეორე, დაიმორჩილოს და მოთოკოს ისინი. მეფე გასცემს და თავის ფავორიტებზე ის, მართლაც, გულუხვად გასცემს; მაგრამ ის მოითხოვს მორჩილებას; ის აიძულებს არისტოკრატიას, მუდმივად გრძნობდეს თავის დამოკიდებულებას ფულზე და დანარჩენ შანსებზე, რომელიც თავად მეფემ უნდა გაანაწილოს.

„მეფე"— წერს სენ-სიმონი თავის მოგონებებში[111],— „არა მხოლოდ იმას აქცევდა ყურადრებას, რომ მაღალი არისტოკრატია გამოჩენილიყო მის კარზე, ის ამას წვრილი არისტოკრატიისაგანაც მოითხოვდა. მისი რიტუალებისას: „Lever" და „Coucher" ჭამისას, თავის ვერსალის ბაღებში, ის ყოველთვის მიმოიხედავდა გარშემო და ყველას ამჩნევდა. ის უკმაყოფილო იყო დიდებულებით, რომლებიც მუდმივად არ იმყოფებოდნენ სასახლის კარზე ან რომლებიც იშვიათად მოდიოდნენ. მის სრულ გულისწყრომას იმსახურებდნენ ისინი, ვინც არასოდეს ან თითქმის არასოდეს ჩნდებოდნენ იქ. თუ რომელიმე მათგანს რაიმე სურდა, მეფე ამაყად ამბობდა: > მე მას არ ვიცნობ<. და ეს განაჩენი შეუვალი იყო. მას არ აბრაზებდა, თუ ვინმეს სოფლად ყოფნა უყვარდა, მაგრამ ამაში ზომიერება უნდა დაეცვათ და წინასწარ მიეღოთ სიფრთხილის ზომები დიდი ხნით პროვინციაში დაყოვნებისას. რუანში ერთი მოგზაურობისას, რომელიც ჩემს ახალგაზრდობაში ერთი ამბის გამო მომიხდა, მეფემ მაიძულა მისთვის მინისტრის მეშვეობით მიმეწერა, რათა მისივე გადაწყვეტილება შემეტყო."

ეს მისწრაფება, ზუსტად აკონტროლებდეს ყველაფერს, რაც ხდება, ნაკლებ ნიშანდობლივი არ არის ამ სამეფო ხელისუფლების სტრუქტურისათვის. მასში ძალზე ნათლად გამოჩნდება, რამდენად ძლიერი იყო ის დაძაბულობანი, რომელსაც მეფე უნდა დაკვირვებოდა და დაეძლია, რათა შეენარჩუნებინა თავისი ხელისუფლება და თანაც

არა მხოლოდ საზოგადოების შიგნით, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. „მართვის ხელოვნება არც ისე ძნელია და არც ისე უსიამოვნო", წერდა ერთგან ტახტის მემკვიდრისათვის მითითებებში ლუი XIV, „ეს ხელოვნება მდგომარეობს უბრალოდ იმაში, რომ ევროპის ყველა პრინცის ნამდვილ აზრებს იცნობდე, ყველაფერი იცოდე, რის დაფარვასაც ცდილობენ ჩვენგან ადამიანები, იცოდე მათი საიდუმლოებანი და კარგად უდარაჯო მათ [112]".

„მეფეთა ცნობისმოყვარეობა, სცოდნოდათ რა ხდებოდა მათ გარშემო", ჰყვება სენ სიმონი სხვა ადგილას [113], „უფრო და უფრო იზრდებოდა; ის ავალებდა თავის პირველ კამერდინერს და ვერსალის გუბერნატორს მეთვალყურეთა განსაზღვრული რაოდენობა დაექირავებინათ. ეს მეთვალყურენი იღებდნენ სამეფო ლივრეას, მხოლოდ დასახელებულ პირებს ემორჩილებოდნენ და საიდუმლო მისია ჰქონდათ, დღედაღამ ეხეტიალათ დერეფნებსა და გასასვლელებში, დამალულიყვნენ, რათა თვალყური ედევნებინათ ადამიანებისათვის და უკან გაჰყოლოდნენ მათ, რათა დაენახათ, სად მიდიან და როდის ბრუნდებიან უკან, ყური მიეგდოთ მათი საუბრებისათვის და ზუსტად მოეხსენებინათ ისინი."

იმ საზოგადოების თავისებური სტრუქტურისათვის, რომელიც შესაძლებელს ხდის ძლიერ ერთპიროვნულ მმართველობას, ცოტა რამ თუა ისე დამახასიათებელი, როგორც აუცილებლობა შეძლებისდაგვარად ზუსტად აკონტროლოს ყველაფერი, რაც ცენტრალური მმართველის სამფლობელოში ხდება. ეს აუცილებლობა არის გამოხატულება სოციალური აპარატურის იმ ძლიერი დაძაბულობისა და დიდი ლაბილურობისა, რომლის გარეშე ცენტრალური მმართველის კოორდინაციის ფუნქციასთან ამდენად დიდი ძალაუფლება არ იქნებოდა დაკავშირებული. წონასწორობა ამ ძლიერი დაძაბულობის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს შორის, რომლებიც თითქმის თანაბარ სოციალურ ძალას ფლობენ და ყოველი ამ ჯგუფის ძლიერი ამბივალენტური პოზიცია თვით ცენტრალური მმართველისადმი, რაც ამ წონასწორობიდან გამომდინარეობს — ყველაფერი ეს, ცხადია, ერთ, რომელიმე მეფეს არ შეუქმნია. მაგრამ თუ ეს კონსტელაცია, თავისი არაჩვეულებრივად მდიდრული დაძაბულობით, ერთხელ უკვე დადგინდა გადაჯაჭვულობის პროცესთა მონაცვლეობაში, მაშინ ცენტრალური მმართველისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა მისი მთელ თავის ლაბილურობაში შენარჩუნება. ეს ამოცანა კი ქვეშემრდომთა შეძლებისდაგვარად ზუსტ თვალთვალს მოიხოვს.

ამასთან ლუი XIV-ს, მართლაც, განსაკუთრებით ფხიზლად უჭირავს თვალი იმ ადამიანებზე, რომლებიც რანგით მასთან ყველაზე ახლოს დგანან. შრომის დანაწილება, ყველა მათგანის თანაბარი დამოკიდებულება ერთმანეთზე და ამით ცენტრალური მმართველის დამოკიდებულებაც მოსახლეობის მასობრივ ფენებზე, აქ ჯერ კიდევ არაა ისე ფართოდ განვითარებული, რომ ხალხის ფართო მასების

ზეწოლა მეფისათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდეს. თუმცა, შფოთი ხალხის მასებში, განსაკუთრებით პარიზის მოსახლეობაში, ცხადია, მეფისათვის, მაინც, საშიშროებას შეიცავს; და ერთ-ერთი საფუძველი, რომლითაც მეფე თავის სასახლის კარს ვერსალში გადაიტანს, უეჭველად ამაში მდგომარეობს. მაგრამ თუ ლუის წინამორბედების მეფობისას მუდმივად იზრდება უკმაყოფილება ხალხის ფართო მასებს შორის და ამ პროცესებს აჯანყებისაკენ მივყავართ, შემდგომში მათ სათავეში მეფის ოჯახის წევრები ან მაღალი არისტოკრატიის წარმომადგენლები უდგანან, ასევე პარტიები, რომლებიც უკმაყოფილებას საკუთარი ამბიციებისათვის იყენებენ. აქ, მეფის უახლოეს წრეში, ჯერ კიდევ იმყოფებიან მონარქიის ყველაზე საშიში მოწინააღმდეგენი.

ზემოთ ნაჩვენები იქნა, როგორ შემოიფარგლება მონოპოლიათა ჩამოყალიბების პროცესში თანდათანობით, სამეფო სახლის წევრებით ადამიანთა ის წრე, რომელთაც მმართველობის შანსებისათვის ერთმანეთთან კონკურირება შეუძლიათ. ლუი XI-მ საბოლოოდ დაამარცხა ეს პრინცი ფეოდალები და მათი ტერიტორიები სამეფო ტახტს დაუბრუნა; მაგრამ რელიგიურ ომებში ჯერ კიდევ ერთმანეთს უპირისპირდებიან სხვადასხვა პარტიათა სათავეში მყოფი სამეფო ოჯახის ამა თუ იმ შტოს გამგრძელებლები. ძირითადი შტოს ამოწყვეტის შემდეგ, ანრი IV-ს სახით ტახტზე ადის არაპირდაპირი შტოს კიდევ ერთი წარმომადგენელი. შემდგომშიც მნიშვნელოვან ძალაუფლებას ინარჩუნებენ წარმოშობით პრინცები, „დიდებულები", ჰერცოგები და პერები. რას ეფუძნება ეს ძალაუფლება, სავსებით ნათელია: ის ეფუძნება პირველ რიგში მათი, როგორც რომელიმე პროვინციის გუბერნატორის თუ სამხედრო მხედართმთავრის პოზიციებს და მათ მყარ თანამდებობებს; ნელ-ნელა, სახელისუფლო მონოპოლიის გამყარებით, მეფის ეს შესაძლო მოწინააღმდეგენიც ძლიერი სახელისუფლო აპარატის ფუნქციონერთა ხასიათს იძენენ. მაგრამ ისინი ეწინააღმდეგებიან ამ სახეცვლილებას. ერთ-ერთი ფრაქციის სათავეში მყოფი ლუი XIII-ის ღვიძლი ძმა, ვანდომის ჰერცოგი, ანრი IV-ს უკანონო შვილი, ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდის; ის ბრეტანის გუბერნატორია და სჯერა, რომ ქორწინების საფუძველზე ამ პროვინციაზე სამემკვიდრო უფლება აქვს. შემდეგი, ვინც წინააღმდეგობას გამოხატავს, პროვანსის გუბერნატორია, შემდეგ ლანგდოკის გუბერნატორი, მონმორანსის ჰერცოგი; ჰუგენოტების არისტოკრატთა წინააღმდეგობის მცდელობებიც მსგავს სახელისუფლო პოზიციებს უქმნის საფუძველს. ქვეყნის არმია ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ ცენტრალიზებული; ცეხე-სიმაგრეთა კომენდანტები და გამაგრებულ ადგილებში მყოფი კაპიტნები ჯერ კიდევ დიდ დამოუკიდებლობას ფლობენ; პროვინციის გუბერნატორები მათ მიერ ნაყიდ ადგილებს, რომელშიც ფული გადაიხადეს, თავიანთ საკუთრებად თვლიან. ასე იფეთქებს კიდევ ერთხელ ქვეყანაში ცენტრიდანული ტენდენციები. ისინი ჯერ კიდევ ლუი XIII-ს დროს იგრძნობა. მეფის ძმა, გასტონი,

ორლეანის ჰერცოგი, როგორც მანამდე არაერთი მეფის ძმა, ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ საბრძოლველად აჯანყდება. ის ყველა ფორმით წყვეტს მეგობრობას კარდინალთან, რის შემდეგაც თავის თავზე იღებს კარდინალისადმი მტრულად განწყობილი ფრაქციის წინამძღოლობას და მიემგზავრება ორლეანისაკენ, რათა ამგვარად გამაგრებული სამხედრო პოზიციიდან დაიწყოს ბრძოლა კარდინალ რიშელიესა და მეფის წინააღმდეგ.

საბოლოოდ, რიშელიემ ყველა ეს ბრძოლა მოიგო და ამაში არცთუ მცირე იყო ბურჟუაზიისა და მის მიერ მიწოდებული ჭარბი ფინანსური საშუალებების წვლილი. აჯანყებული დიდებულები დამარცხებულნი, ნაწილი ციხეში, ნაწილი გადასახლებაში, ნაწილი კი ბრძოლაში იღუპება; რიშელიეს ნებით, თვით მეფის დედაც უცხოეთში გარდაიცვალა.

„De croire que pour être fils ou frère du Roi ou prince de son sang, ils puissent impunément troubler le Royaume, c'est se tromper. Il est bien plus raisonnable d'assurer le Royaume et la Royauté que d'avoir égard à leurs qualités qui donneroient impunité.»

ამას ამბობს ის ერთ მოგონებაში. ამ გამარჯვების ნაყოფი ლუი XIV-მ იგემა; მაგრამ მას სისხლსა და ხორცში გაუჯდა იმ საფრთხის შიში, რომელიც არისტოკრატიის და თანაც, მასთან ყველაზე დაახლოებული, უმაღლესი არისტოკრატიის მხრიდან ემუქრებოდა. ნერილ არისტოკრატებს ის ზოგჯერ მიუტევებს სასახლის კარიდან გარკვეული მიზეზებით მოშორებით ყოფნას. „დიდგვაროვნების“ მიმართ ის შეუწყნარებელია. სასახლის კარის, როგორც სათვალთვალო დაწესებულების ამოცანა მათთან მიმართებაში განსაკუთრებით ცხადად გამოჩნდება. „La meilleure place de sûreté pour un fils de France est le cœur du Roi", ეუბნება ის პასუხად, როცა მისი ძმა გუბერნატორობას და სტაბილურ ადგილს, „plasce de sûreté „-ს თხოვს. მეფის ძალიან დიდ უკმაყოფილებას იწვევს ის, რომ მის უფროს ვაჟს ცალკე სასახლის კარი აქვს მედონში. და როცა ტახტის მემკვიდრე კვდება, სასწრაფოდ გააყიდინებს სასახლის ავეჯს იმის შიშით, რომ მისმა შვილიშვილმა, ვისაც მედონი ერგება, ეს სასახლე ასეთივე მიზნებით არ გამოიყენოს და მას „სასახლის კარი არ გაუყოს [114]."

როგორც სენ-სიმონი ამბობს, ეს აღელვება სრულიად უსაფუძვლო იყო. რადგან ვერცერთი მის შვილიშვილთაგან ვერ გაბედავდა რაიმეს, რაც მეფეს არ მოეწონებოდა. მაგრამ მეფე, როცა საქმე მისი პრესტიჟისა და მისი პიროვნული ძალაუფლების უსაფრთხოების დაცვას ეხება, ერთნაირად მკაცრი მეთოდებით ექცევა ნათესავებსა და გარეშე პირებს.

ამით მმართველობის მონოპოლიებმა, რომლებშიც ცენტრალური ადგილი საგადასახადო მონოპოლიას და ფიზიკურ ძალადობას ეჭირა, გარკვეულ საფეხურზე კერძოდ, ერთადერთი პირის მონოპოლიის სახით, დასრულებულ ფორმას მიაღწია. ამ ხელისუფლებას საკმაოდ კარგად მომუშავე მეთვალყურე ორგანიზაცია იცავს. მეფისაგან, რომელიც მიწებს ფლობდა და მიწებსა და ნატურალურ რენტას

გასცემდა, ფულის მფლობელი და ფულადი რენტის გამცემი მეფე ჩამოყალიბდა: ეს ცენტრალიზაციას აქამდე არნახულ ძლიერებასა და სიმტკიცეს შესძენს. ცენტრიდანული, სოციალური ელემენტების ძლიერება საბოლოოდ გატყდა. მონოპოლიური მმართველის ყველა შესაძლებელი კონკურენტი მასზე ინსტიტუციონალურად განმტკიცებულ დამოკიდებულებაში მოექცა. არისტოკრატიის ნანილი ახლა უკვე არა თავისუფალ, არამედ მონოპოლიურად შეზღუდულ კონკურენციაში ებრძვის ერთმანეთს იმ შანსებისათვის, რომელიც მონოპოლიურმმა მმართველმა უნდა გასცეს. ამასთან ის სარეზერვო არმიის გამუდმებული ზეწოლის ქვეშაა, არმიისა, რომელიც პროვინციელი არისტოკრატიისა და დანინაურებული, ბურჟუაზიული ელემენტებისგანაა შემდგარი. სასახლის კარი ამ შეზღუდული კონკურენტული ბრძოლის ორგანიზაციის ფორმაა.

და თუმცა, მეფის პიროვნული განკარგვის ძალაუფლება მონოპოლიურ შანსებთან მიმართებაში ამ საფეხურზე დიდია, ის მაინც არაა განუსაზღვრელი. ამ შედარებით კერძო მონოპოლიური ძალაუფლების აგებულებაში უკვე ერთმნიშვნელოვნად გამოიკვეთება ის სტრუქტურული ელემენტები, რომელთაც საბოლოოდ იმისაკენ მივყავართ, რომ ამ ერთადერთი ადამიანის მიერ მონოპოლიის პიროვნული გამგებლობიდან, სულ უფრო მეტად საჯარო გამგებლობა, შრომის დანაწილების მქონე მთელის სულ უფრო დიდი ნაწილის კონტროლს დაქვემდებარებული გამგებლობა ყალიბდება. ლუი XIV-სთან მიმართებაში, გარკვეულწილად, მართლაც, სამართლიანია გამოთქმა: „L'Etât c'est moi", სულ ერთია, შეიძლებოდა მას ეს თავად ეთქვა თუ არა: ინსტიტუციონალურად ამ მონოპოლიურ ორგანიზაციას, მცირე დოზით, ჯერ კიდევ პიროვნული საკუთრების ხასიათი აქვს. ფუნქციონალურად კი, მონოპოლიურ მმართველთა დამოკიდებულება სხვა ფენებზე, საზოგადოების ფუნქციური დანაწილების მქონე მთელზე, უკვე განსაკუთრებით ძლიერდება. გარდა ამისა, ეს ფუნქციური დამოკიდებულება მუდმივ ზრდას განიცდის, საზოგადოების სავაჭრო და ფინანსური კავშირების განვითარებასთან ერთად. მხოლოდ საზოგადოების განსაკუთრებული სიტუაცია, მხოლოდ დაძაბულობის თავისებური წონასწორობა დანინაურების პროცესში მყოფ ბურჟუაზიულ და დასუსტებულ, არისტოკრატიულ ჯგუფებს, საერთოდ, ქვეყნის ბევრ, დიდსა თუ მცირე ჯგუფს შორის, აძლევს ცენტრალურ მმართველს განკარგვისა და გადაწყვეტის უზარმაზარ სამოქმედო სივრცეს. მნიშვნელოვანი დამოუკიდებლობა, რომლითაც მეფეები ოდესღაც თავიანთ მამულებსა და დომენს განაგებდნენ, უკვალოდ ქრება. ადამიანთა უზარმაზარ ქსელს, რომელზედაც ლუი XIV ბატონობს, თავისი საკუთარი კანონზომიერება და თავისი განსაკუთრებული სიმძიმის ცენტრი აქვს, რომელსაც ის უნდა დაემორჩილოს; ადამიანთა და ჯგუფების წონასწორობის შენარჩუნება ამ ქსელის შიგნით და დაძაბულობებზე თამაშით მთელის მართვა ძალების უზარმაზარ

დაძაბვას და ძლიერ თვითდაუფლებას მოითხოვს.

ცენტრალური ფუნქციონერის ეს შესაძლებლობა, თავისი პიროვნული ინტერესებით მართოს ადამიანთა მთელი ქსელი, პირველად, მნიშვნელოვნად მაშინ შეიზღუდება, როცა დაძაბულობის წონასწორობა, რომელსაც ის ეყრდნობა, ბურჟუაზიის სასარგებლოდ გადაიხრება და ახალი დაძაბულობის ღერძის მქონე ახალი სოციალური ბალანსი წარმოიქმნება. მხოლოდ მაშინ იწყება პირველად კერძო მონოპოლიათა საჯარო მონოპოლიად ქცევა. მთელ რიგ შესარჩევ ბრძოლებში, ფიზიკური ძალადობის საშუალებათა და გადასახადების გადახდის თანდათანობითი ცენტრალიზაციის პროცესში, უფრო და უფრო ძლიერ ფუნქციურ დანაწილებასა და პროფესიული ბურჟუაზიის აღმავლობასთან კავშირში, ნაბიჯ-ნაბიჯ იძენს საფრანგეთის საზოგადოება სახელმწიფოს ფორმას.

საგადასახადო მონოპოლიის სოციოგენეზისისათვის

26. ამ მონოპოლიის და ამით საერთოდ, სახელმწიფოს ჩამოყალიბების გარკვეული ასპექტი ადვილად გამორჩება მხედველობიდან ისტორიის მკვლევარს, რადგან მას უფრო ნათელი სურათი აქვს ამ პროცესის გვიანდელი სტადიებისა და შედეგებისა, ვიდრე მისი ადრინდელი მონაკვეთებისა: მას ძნელად თუ შეუძლია წარმოიდგინოს, რომ ეს მეფის აბსოლუტური ხელისუფლება და ცენტრალიზებული მმართველობითი აპარატი უწინ, ნელ-ნელა ამოიზარდა შუასაუკუნეობრივი სამყაროდან, როგორიც თანამედროვის თვალისათვის რაღაც ძალიან გასაოცარი და ახალი. ამგვარად, მხოლოდ ამ ასპექტის გაცოცხლების ცდა გვაძლევს შესაძლებლობას, გავიგოთ რა ხდებოდა იქ.

ტრანსფორმაციის მთავარი ხაზი ნათელია. განსაზღვრული ცენტრალური პუნქტიდან თუ ამოვალთ, ის რამდენიმე სიტყვით შეიძლება გადმოვცეთ: *მეომრის ოჯახის მამული, მისი განკარგვის ძალაუფლება გარკვეულ ტერიტორიებზე და მისი პრეტენზია, ნატურალურ თუ სხვა სახის გადასახადებზე იმ ადამიანებთან მიმართებაში, რომლებიც ამ მიწებზე ცხოვრობენ, პროგრესირებადი ფუნქციური დანაწილებისა და არაერთი შესარჩევი და კონკურენტული ბრძოლის მანძილზე, სამხედრო ძალისმიერ საშუალებებზე და რეგულარულ ფულად შენატანებსა და გადასახადებზე ცენტრალიზებულ გამგებლობად ან ბევრად უფრო ფართო რეგიონის მართვად გადაიქცევა.* ახლა, ცენტრალური მმართველის ნებართვის გარეშე ამ მხარეში აღარავის შეუძლია გამოიყენოს იარაღი, ააშენოს ციხესიმაგრენი ან რაიმე სახის ფიზიკურ ძალადობას მიმართოს; ეს რაღაც ახალია იმ საზოგადოებაში, სადაც ადრიდანვე მოყოლებული, ადამიანთა მთელ ფენას საკუთარი შემოსავლებისა და სურვილის მიხედვით შეეძლო იარაღისა და ფიზიკური ძალადობის გამოყენება.

ახლა კი ყოველი, ვისგანაც ცენტრალური მმართველი ამას მოითხოვს, ვალდებულია მას გადაუგზავნოს რეგულარულად თავისი ფულადი შემოსავლების თუ ფულადი საკუთრების ნაწილი. თავდაპირველად ეს, მართლაც, რაღაც ახალია იმასთან შედარებით, რაც შუა საუკუნეების საზოგადოებაში ჩვეულება იყო. აქ, ამ უპირატესად ნატურალური მეურნეობის საზოგადოებაში, სადაც ფინანსური საშუალებები შედარებით ცოტაა, თავადებისა და მეფეთა მოთხოვნას ფულად შენატანებზე, განსაზღვრული, ტრადიციით დაფიქსირებული შემთხვევების გარდა, თავდაპირველად აღიქვამენ, როგორც რაღაც გაუგონარს; ამგვარ ღონისძიებებს ძარცვისა და მევახშეობისაგან ბევრად განსხვავებულად არ განიხილავენ.

"Constituti sunt reditus terranum, ut ex illis viventes a spoliatione subditorum abstineant;"[115] მამულების შემოსავლები იმისათვისაა განსაზღვრული, რომ ამ შემოსავლებით მცხოვრები ადამიანები ქვეშემრდომთა ძარცვისაგან დაიცვას, ამბობს ერთგან წმ. თომა აქვინელი; და ცხადია, ამ პუნქტში ის მხოლოდ საეკლესიო წრეების აზრს არ გამოხატავს, თუმცა, თავიანთი დიდი მამულების გამო, პირველ რიგში, მსგავსი ღონისძიებები, ალბათ, საეკლესიო ინსტიტუტებს შეეხებოდა. სხვაგვარად არ ფიქრობენ მეფეებიც, როცა ფულადი საშუალებების საზოგადო სიმცირისას არ შეუძლიათ თავი შეიკაონ ასეთი იძულებითი გადასახადების მოთხოვნისაგან. მაგალითად, ფილიპ ავგუსტუსმა მთელი რიგი ფულადი გადასახადებით და განსაკუთრებით 1188 წლის ჯვაროსნული ომების გადასახადებით, ცნობილი „dîme saladine"-ით ისეთი შფოთი და აჯანყებები გამოიწვია, რომ საბოლოოდ,1189 წელს, ის დაპირებას იძლევა, რომ მისი ბრძანებით არავითარი გადასახადები აღარ აიკრიბება. იმისათვის, რომ— ნათქვამია მის განკარგულებაში,— არც მას და არც მის მემკვიდრეებს მსგავსი შეცდომა აღარ მოუვიდეთ, ის, მთელი თავისი მეფური ავტორიტეტით და სამეფოს ყველა ეკლესიისა და ბარონების ავტორიტეტით, კრძალავს მსგავს დასაგმობ გაბედულებას. თუ მეფე ან სხვა ვინმე „par une audace téméraire" შეეცდებოდა მიბრუნებოდა ამას, მეფის სურვილისამებრ ასეთი ადამიანი არად უნდა ჩაეგდოთ[116]. შეიძლება, ამ განკარგულების ფორმულირებისას მის კალამს აღელვებული დიდგვაროვნები წარმართავდნენ. მაგრამ, როცა ის 1190 წელს, ჯვაროსნული მსვლელობისათვის ემზადება, თავად გასცემს მკაცრ განკარგულებას, რომ მისი სიკვდილის შემთხვევაში ჯვაროსნული ლაშქრობის შემდეგ, ნადავლის, განძის ერთი ნაწილი მათ დაურიგდეს, ვინც გადასახადების გამო გაღარიბდა. ფულად შენატანებს, რომელსაც მეფენი მოითხოვენ, ფინანსურად შედარებით ღარიბ საზოგადოებაში არსებითად სხვა დატვირთვა აქვს, ვიდრე გადასახადებს მძლავრად კომერციალიზებულ საზოგადოებაში. მათ არავინ მიიჩნევს სტაბილურ მიმართულებად; არც საბაზრო პროცესი და არც ფასების დონე მათ-

ზე ოდნავაც არ არის დამოკიდებული; ისინი თითქოს მოწმენდილი ციდან ჩამოვარდნენ, როგორც რაღაც უჩვეულო და მოულოდნელი და შესაბამისად, მთელი რიგი ექსისტენციების გაკოტრება გამოიწვიეს. მეფეები და მათი წარმომადგენლები, როგორც ვხედავთ, გარკვეულწილად, ნათლად აცნობიერებენ ამას; მაგრამ იმ ფულადი შემოსავლების შეზღუდულობის პირობებში, რომლებიც უშუალოდ თავიანთი დომენებიდან უნდა მიიღონ, ისინი ისევ იმ ალტერნატივის წინაშე აღმოჩნდებიან: ან ყოველგვარი მუქარისა და ძალადობის გზით ფინანსურ საშუალებებს მოუყარონ თავი, ან მოწინააღმდეგე ძალებს რაღაც ფორმით დაემორჩილონ. როგორც ჩანს, სალადინის მეათედი და პროტესტი, რომელსაც ეს შენატანი იწვევდა, დიდხანს დარჩა ადამიანთა მეხსიერებაში. მხოლოდ 79 წლის შემდეგ, მეფე ისევ მოითხოვს ფულად შენატანს თავისი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის, „aide féodale"-ს.

თვით მეფეთა ზოგადი წარმოდგენაც იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეული ტერიტორიის მმართველები საკუთარ თავს და სამფლობელოს თავიანთი დომენალური საკუთრების შემოსავლებიდან (ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით), მაშასადამე, არსებითად საკუთარი მამულების შემოსავლებით უნდა ინახავდნენ. ცხადია, გვირგვინოსნები და სხვა რამდენიმე დიდი ფეოდალი მონოპოლიური მექანიზმის ფორმირების პროცესში შესამჩნევად გამოირჩევიან ფეოდალთა მასიდან და ჩვენ ვხედავთ, რომ იქ ყალიბდება ახალი ფუნქციები. მაგრამ, ეს *ფუნქციები* თავდაპირველად ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ და სხვა ფუნქციათა წარმომადგენლებთან მუდმივ ბრძოლაში გამოიკვეთება და მყარ ინსტიტუტებად ყალიბდება. თავდაპირველად, მეფე ერთი დიდი მეომარია სხვა დიდ და წვრილ მეომართა შორის. ის, როგორც ითქვა, მათ მსგავსად, თავისი მამულების შემოსავლებით ცხოვრობს; და სხვათა შორის, მასაც აქვს ტრადიციულად უფლება, გარკვეულ, განსაკუთრებულ შემთხვევებში ფულადი დახმარება მოითხოვოს თავისი მხარის მცხოვრებელთაგან. ყოველი ფეოდალი მმართველი მოითხოვს და იღებს გარკვეულ ფულად გადასახადებს, თუ მისი ქალიშვილი ქორწინდება, მისი ვაჟი რაინდის წოდებას იღებს ან კიდევ გამოსასყიდისათვის, თუ ის ომის დროს ტყვედ ჩავარდება. ეს არის უძველესი ფეოდალური შემწეობანი „aides féodales"; და მეფენიც სწორედ ისევე მოითხოვენ ამ „aides"-ს, როგორც სხვა დანარჩენი ფეოდალები. აქედან გამომდინარე, ფულის მოთხოვნას რაიმე ჩვეულება არ უდევს საფუძვლად; სწორედ ამიტომ, ეს მოთხოვნები ამ საზოგადოებაში ყაჩაღობად და გამომძალველობად გამოიყურება.

შემდგომ, დაახლოებით მე-12 და მე-13 საუკუნეებში, თავადთა მიერ ფულის შოვნის ახალი ფორმა მკვიდრდება. მე-12 საუკუნეში ნელ-ნელა იზრდება ქალაქები. ძველი, ფეოდალური ჩვეულების მიხედვით, მხოლოდ მეომართა ფენის მამაკაცები, კეთილშობილნი და არისტოკრატნი არიან გაწვეულნი სამხედრო სამსახურში და

ვალდებულნი არიან მეომრებად იმსახურონ; მაგრამ ბიურგერებმა იარაღით ხელში ერთხელ უკვე დაიცვეს თავიანთი ქალაქის თავისუფლება ან მზად არიან ისევ გააკეთონ ეს; და დაახლოებით ლუი VI-ის დროიდან, ფეხს იკიდებს ჩვეულება ქალაქის მცხოვრებთა, „Bourgeois", ბიურგერთა სამხედრო სამსახურში გაწვევისა. მაგრამ მალე ქალაქის მცხოვრებლები ამჯობინებენ ტერიტორიულ მმართველებს სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ ფული შესთავაზონ, რათა მათ მეომრების დაქირავება შეძლონ. ისინი მეომართა სამსახურის კომერციალიზაციას ახდენენ; და მეფეებს ან სხვა დიდ ფეოდალებს ამის საწინააღმდეგო არაფერი აქვთ. უზრუნველყოფას მოკლებული ან ნაკლებად უზრუნველყოფილი მეომრების მხრივ სამსახურის შემოთავაზება უმეტეს შემთხვევაში აჭარბებს მოქიშპე ტერიტორიულ მმართველთა გადახდის უნარს. საკმაოდ სწრაფად ეს, ქალაქისათვის მახასიათებელი ფაქტი, სამხედრო სამსახურის სანაცვლოდ ფულის გადახდა, მყარ ჩვეულებად თუ ინსტიტუტად იქცევა. მეფისნაცვლები თითოეული საქალაქო თემიდან ყოველი განსაზღვრული ლაშქრობისათვის განსაზღვრული რაოდენობის მამაკაცით შევსებას ან შესაბამისი თანხის გადახდას მოითხოვენ. და საქალაქო თემებიც აკმაყოფილებენ ან ევაჭრებიან მათ. მაგრამ, ეს ჩვეულებაც გაგებულია, როგორც შემდგომი ფორმა ფეოდალური „შემწეობისა", განსაკუთრებულ, გამონაკლის შემთხვევებში; ამას უწოდებენ „aide de l'ost" და ამ „aides" შეაჯამებენ, როგორც „შემწეობას ოთხ შემთხვევაში".

შორს წაგვიყვანდა იმის ჩვენება, თუ როგორ იწყებენ თავად საქალაქო თემები სხვადასხვა კომუნალური ამოცანებისათვის შიგა დაბეგვრისა და საგადასახადო აპარატურის ჩამოყალიბებას. საკმარისია მივუთითოთ, რომ მეფის მოთხოვნები ემსახურება მათ განვითარებას, ისევე როგორც, მეორე მხრივ, საქალაქო შენატანის ინსტიტუტებს, რომლებიც დაახლოებით მე-12 საუკუნის დასასრულისათვის ყალიბდებიან, თავის მხრივ, სამეფო ინსტიტუტების ორგანიზაციის თვალსაზრისით შეუფასებელი მნიშვნელობა ჰქონდათ. აქაც, ბურჟუაზია და მეფის ხელისაუფლება, ხშირად უნებლიეთ, ერთმანეთს განვითარებისაკენ უბიძგებენ. მაგრამ ამით სულაც არაა ნათქვამი, რომ ბურჟუაზია ან საზოგადოების რომელიმე სხვა ფენა სიამოვნებით და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე იხდის გადასახადს. ამ განსაკუთრებულ ვითარებაში დადგენილ შემთხვევით გადასახადებს, ისევე როგორც მოგვიანებით რეგულარულ ფულად შენატანებს, არავინ იხდის, თუ ამის პირდაპირ თუ არაპირდაპირ იძულებას არ გრძნობს. როგორც ერთი, ისე მეორე, ძალზე ნათელი გამოხატულებაა საზოგადოების ჯგუფებს შორის არსებული ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულების ტიპისა და მათ შორის არსებული ძალთა თანაფარდობისა.

მეფეებს არ სურთ და არც ძალუძთ მტკიცედ აღუდგნენ ყველაფერ ამას წინ. აშკარაა, რომ ამისათვის მეფის ფუნქცია

სოციალურად ჯერ კიდევ არასაკმარისად ძლიერია. მეორე მხრივ, თავიანთი ფუნქციისათვის, თვითდამკვიდრებისათვის, პირველ ყოვლისა, გამუდმებული კონკურენტული ბრძოლების დაფინანსებისათვის ისინი კვლავ ფულად თანხებს და სულ უფრო მეტ ფულად თანხებს საჭიროებენ, რომლებიც მათ მხოლოდ ასეთი „შემწეობებით" შეუძლიათ მოიპოვონ. მათი ღონისძიებები იცვლება. ჩვენ ვხედავთ, როგორ მოსინჯავენ და ეძებენ ამ სიტუაციის ზენოლით მეფის ნაცვალნი ახალ-ახალ დამხმარე საშუალებებს; ძირითად ტვირთს ისინი ქალაქური და სხვა ფენების ხან ერთ, ხან მეორე მხარეს დააკისრებენ. მაგრამ, მიუხედავად ამ მერყეობისა, მაინც იგრძნობა, როგორ იზრდება, გამუდმებით მეფის ხელისუფლების სოციალური ძლიერება და როგორ იძენს თანდათან ამ ზრდის კვალობაზე სხვა ხასიათს ფულადი შენატანები. მეფე თავად უწყობს ხელს ამ ზრდას.

1292 წელს მეფე ითხოვს ყოველ ფუნტზე ერთი დინარის შენატანს ნებისმიერ გაყიდულ საგანზე და თანაც, ეს შენატანი უნდა გადაიხდოს როგორც მყიდველმა, ისე გამყიდველმა. ეპოქის მემატიანე ამას „exactio quaedam in regno Franciae non audita"-ს უწოდებს. რუანში ძარცვავენ ფულის ამკრეფი მეფის მოხელის სალაროს. რუანი და პარიზი, სამეფოს ორი ყველაზე დიდი ქალაქი, საბოლოოდ გამოსყიდულია მოჭრილი თანხით[117]. მაგრამ ეს შენატანი კიდევ დიდხანს რჩება ხალხის მეხსიერებაში უბედურების მომასწავებელი „mal-tôte"-ს სახელით; და მეფის მოხელეთა მეხსიერებაში კარგა ხნის მანძილზე არსებობს პროტესტი, რომელსაც ის აღძრავს. შესაბამისად, მომავალ წელს მეფე მდიდარი ბურჯუათათვის იძულებითი კრედიტის დანესებას შეეცდება. როცა ესეც ძლიერ წინააღმდეგობას გამოიწვევს, 1295 წელს ისევ უბრუნდებიან „Aide"-ს, მისი უწინდელი ფორმით; შენატანს არა მხოლოდ მესამე, არამედ ყველა ფენისაგან მოითხოვენ. გადახდილი უნდა იყოს ყოველი მამულის ღირებულების მეასედი. მაგრამ, ამ შენატანის მოცულობა აშკარად არაა ჯერ კიდევ საკმარისად დიდი. შემდეგ წელს გადასახადი ერთი მეასედიდან ორ მეასედამდე გაიზრდება. და ცხადია, ამით განსაკუთრებით არიან აღშფოთებულნი ისედაც შეწუხებული ფეოდალები. მეფე უკვე აცხადებს, რომ მზადაა საეკლესიო და საერო ფეოდალებს დაუთმოს იმის ერთი ნაწილი, რასაც ის თავისი სამფლობელოდან ამოიღებს. ის მათ ნადავლსაც უნაწილებს. მაგრამ ამას მათი სრულად დამშვიდება აღარ შეუძლია. პირველ ყოვლისა, საერო ფეოდალები, მეომრები უფრო და უფრო მეტ საფრთხეს გრძნობენ ამ ცენტრალური სახელისუფლო აპარატის მხრიდან თავიანთი მემკვიდრეობითი უფლებების, თავიანთი ავტარკიული მმართველობითი ძალაუფლებისა და ალბათ, მთელი მათი სოციალური არსებობის თვალსაზრისით. მეფის ხალხი ყველგან იჭრება; ისინი თავად იღებენ ხელში უფლებებსა და გადასახადებს, რომლებიც ადრე მხოლოდ ცალკეულ ფეოდალთა განკარგულებაში

იყო. და აქაც, როგორც ხშირად, ეს არის ფულადი გადასახადები, რომლებიც უკვე „ მეტისმეტია". როცა 1314 წელს, ფილიპ ლამაზის სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, კვლავ დადგინდა მაღალი შენატანი ფლანდრიისაკენ ლაშქრობისათვის, ომის ცუდად წარმართვით გაძლიერებული შფოთი და უკმაყოფილება აშკარა აჯანყებაში გადაიზარდა. „ჩვენ არ შეგვიძლია ამ გაზრდილი „Aide"-ის ატანა", ამბობს ერთ-ერთი აღშფოთებულ ადამიანთაგან [118], „ჩვენ არ შეგვიძლია მისი დამშვიდებული სინდისით ატანა. ჩვენ ამით საკუთარ ღირსებას, პრივილეგიებსა და თავისუფლებას დავკარგავთ". „გაუმართლებელი გამოწურვის ახალი მეთოდი, უსამართლო კონფისკაცია გამოიყენეს, აქამდე უცნობი საფრანგეთსა და განსაკუთრებით პარიზში", წერს ამ დროის სხვა წარმომადგენელი, რათა დაეფარათ გადასახადები; როგორც ამბობენ, ისინი ფლანდრიის ომისათვის იყო განსაზღვრული. მეფის მორჩილ მრჩევლებს და მინისტრებს სურდათ, რომ ყოველ მყიდველს და გამყიდველს გასაყიდი ფასის ყოველი ფუნტიდან 6 დინარი გადაეხადა. არისტოკრატები და მდაბიონი ერთიანდებიან და ფიცს დებენ თავიანთი თავისუფლების და მამულის თავისუფლების დასაცავად".

ფაქტიურად, აღშფოთება იმდენად დიდი და საყოველთაო იყო, რომ ქალაქები და ფეოდალი მმართველები მეფის წინააღმდეგ გაერთიანდნენ. ეს არის ის ერთ-ერთი ისტორიული ექსპერიმენტი, რომელშიც მათი ინტერესთა სხვადასხვაობის ხარისხი და მათ შორის არსებული დაძაბულობის სიძლიერე შეიძლება ამოვიკითხოთ. მეფის წარმომადგენელთა მხრიდან ფულის მოთხოვნის საერთო საფრთხის და ამით გამონვეული ძლიერი აღშფოთების პირობებში, აქ, ჯერ კიდევ შესაძლებელია, რომ ბიურგერობა და არისტოკრატია ფიცით შეეკრან ერთმანეთს. იქნება თუ არა ეს ხანგრძლივი და ეფექტური? უკვე მივუთითეთ იმაზე, რომ სხვა ქვეყნებში, პირველ ყოვლისა ინგლისში, განსხვავებული სოციალური სტრუქტურის საფუძველზე ქალაქისა და პროვინციული ფენების თანდათანობით დაახლოება და საერთო მოქმედების ტაქტიკა ხორციელდება, რასაც თვით მათ შორის არსებული ყოველგვარი დაძაბულობისა და მტრული განწყობის მიუხედავად, არცთუ მცირე წვლილი შეაქვს მეფის ძალაუფლების შეზღუდვაში. ასეთი გაერთიანების პროცესი, საფრანგეთში უკვე ამ დროისათვის და შემდგომ უფრო და უფრო მეტადაა აღბეჭდილი ფენათა შორის მზარდი ინტერდეპენდენციით. ფენათა შეკავშირება დიდხანს არ გრძელდება; მათი ერთობლივი დარტყმის ძალა გატეხილია ორმხრივი უნდობლობით. „მრისხანება და უკმაყოფილება შესაძლებელს ხდის დაახლოებას, მათი ინტერესები კი გაერთიანების შესაძლებლობას არ იძლევა[119]."

"Il sont lignée deslignée
Contrefaite et mal alignée."

ასეა ნათქვამი ერთ იმდროინდელ სიმღერაში მოკავშირეთა შესა-

ხებ. მაგრამ, თვითნებურად დაკისრებულ გადასახადებზე ეს ძალისმიერი რეაქცია მაინც ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, მათ შორის მეფის მოხელეებზეც. ასეთი რყევები სამეფოს შიგნით არც ისე უსაფრთხოა გარეშე მტრების წინააღმდეგ კონკურენტული ბრძოლების წარმოებისას. ცენტრალური მმართველის სოციალური პოზიცია ჯერ კიდევ არ არის საკმარისად ძლიერი იმისათვის, რომ მან თავად დაადგინოს გადასახადები და მათი სიდიდე; ძალები ჯერ კიდევ ისეა გადანაწილებული, რომ მან იმ ფენებთან, რომელთაგან რაიმეს მიღება სურს, დრო და დრო მოლაპარაკებები უნდა აწარმოოს და მათი თანხმობა მოიპოვოს, რადგან „Aides" ჯერ კიდევ სხვა არაფერია, თუ არა შემთხვევითი და განსაკუთრებული გადასახადები, ფულადი შემწეობა რაიმე კონკრეტული მიზნით. ეს თანდათანობით მხოლოდ ასწლიანი ომის მანძილზე იცვლება. ომი უკვე ხანგრძლივი მოვლენა ხდება და მასთან ერთად არსებობას განაგრძობს ის გადასახადებიც, რომელსაც ცენტრალური მმართველი მისი წარმართვისათვის საჭიროებს.

27. „On ne peut comprendre et apprécier la lutte que la royauté eut à soutenir, quand elle voulut fonder et développer son pouvoir fiscal, qu'en cherchant à se rendre comte des forces sociales et des intérêts qu'elle rencontra et qui firent obstacles à ses desseins[120]." ეს წინადადება, არსებითად, საგადასახადო მონოპოლიის სოციოგენეზისის ძირითად მიმართულებაზე მიუთითებს. ცხადია, თავად მეფეები ისევე ნაკლებ განჭვრეტენ, რომელი ახალი ინსტიტუტი ყალიბდება ამ დროს, როგორც მათი პარტნიორები ამ ბრძოლებში; სინამდვილეში, მათ არა აქვთ საერთო განზრახვა „გაზარდონ თავიანთი საგადასახადო ძალაუფლება"; მათ და მათ წარმომადგენლებს დასაწყისში უბრალოდ სურთ დრო და დრო, შეძლებისდაგვარად ბევრი ფული ამოიღონ თავიანთი სამფლობელოდან და რაც მათ ამისაკენ უბიძგებს, ეს არის მათ წინაშე მდგომი სრულიად განსაზღვრული ამოცანები და ხარჯები. არცერთ ცალკეულ ადამიანს არ შეუქმნია გადასახადები ან საგადასახადო მონოპოლია; არცერთ ცალკეულ ადამიანს და არც მთელ რიგ ცალკეულ ადამიანებს არ უშრომიათ ამ მიზნისათვის მკაცრად დადგენილი გეგმის მიხედვით საუკუნეთა განმავლობაში, როცა ეს ინსტიტუტები ყალიბდებოდა. გადასახადი, ისევე როგორც სხვა ინსტიტუტი, სოციალური გადაჯაჭვულობის პროდუქტია. ისინი წარმოიქმნებიან (როგორც ძალთა პარალელოგრამიდან) სხვადასხვა სოციალური ჯგუფების და ინტერესების ჭიდილიდან. ინსტრუმენტი, რომელიც სოციალურ ძალთა თანაფარდობის გამუდმებულ გამოცდაში განვითარდა, დაინტერესებულთა მხრიდან სულ უფრო ცნობიერად, ან თუ გნებავთ, გეგმაზომიერად, მოგვიანებით მყარ ორგანიზაციად ანუ ინსტიტუტად ჩამოყალიბდება. ამგვარად, საზოგადოების თანდათანობითი გარდაქმნის და მასში ძალთა თანაფარდობის გადანაცვლების კვალობაზე, მემამულეთა და

ტერიტორიულ მმართველთათვის გაწეული შემთხვევითი შემწეობანი, რომლებსაც აქამდე განსაზღვრული ლაშქრობისათვის, მათი ტყვედ აყვანის შემთხვევაში გამოსასყიდის მიზნით ან კიდევ, მათი ქალიშვილებისა და ვაჟების უზრუნველსაყოფად მოითხოვენ და იხდიან, რეგულარულ ფულად შენატანებად ყალიბდება. მაშინ როცა უპირატესად ნატურალური მეურნეობის საზოგადოებაში ფულადი და სავაჭრო სექტორი ნელ-ნელა იზრდება, როცა ფეოდალი მმართველის რომელიმე სახლი თანდათან უფრო დიდი მხარის მეფის სასახლედ გადაიქცევა, ფეოდალური „aide aux quatre cas" ნაბიჯ-ნაბიჯ გადასახადებად გარდაიქმნება.

1328 წლიდან და კიდევ უფრო მეტად, 1337 წლიდან დაჩქარდება განსაკუთრებულ შემწეობათა სახეცვლა რეგულერულ გადასახადებად. 1328 წელს სამეფოს ზოგიერთ ნაწილში კვლავ დაწესდება პირდაპირი შენატანი ფლანდრიელებთან ომისათვის, 1335 წელს მთელ რიგ დასავლურ ქალაქებში —არაპირდაპირი შენატანი, გადასახადი ყიდვა-გაყიდვის ყოველი აქტიდან, ფლოტის აღჭურვის მიზნით. 1338 წელს, სამეფო კარის ყველა მოხელეს თავის ანაზღაურებაზე ჩამოაკლდება გარკვეული ნაწილი, 1340 წელს კვლავ აღდგება და საყოველთაოდ დაწესდება გადასახადი ნივთების გაყიდვიდან მიღებულ თანხაზე. 1341 წლიდან მას ემატება განსაკუთრებული გადასახადი მარილის გაყიდვაზე, „gabelle du sel". 1344, 1345, 1346 წლებში კვლავ ზრდიან ამ დამატებით გადასახადებს. კრესისთან ბრძოლის შემდეგ, მეფის მოხელეები ამას კვლავ კერძო და პირდაპირი გადასახადებით მოსინჯავენ, 1347 და 1348 წელს ისევ არაპირდაპირ ფორმას, გაყიდვიდან ამოღებული თანხის გადასახადს უბრუნდებიან. ყველაფერი ეს, გარკვეულწილად, ექსპერიმენტებია; გადასახადების ყველა ეს მომატება, როგორც ვთქვით, საზოგადოების მხრივ მეფის მიერ ომის საწარმოებლად გაწეულ დროებით შემწეობად ითვლებოდა; ესენია „les aides sur le fait de la guerre". მეფე და მისი მოხელეები ყოველ ჯერზე აცხადებენ, რომ ფულადი მოთხოვნები სამხედრო მოქმედებებთან ერთად შეწყდება[121]. და ყოველთვის, როცა სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცემათ, ხაზს უსვამენ ამას; ისინი ცდილობენ გარკვეული კონტროლი მოიპოვონ იმაზე, რომ ფული, რომელიც „Aides"- სახით შედის, მართლაც, საომარი მიზნებით იქნას გამოყენებული. მაგრამ თვით მეფეები, ყოველ შემთხვევაში შარლ V-დან მოყოლებული, ძალიან მკაცრად არ იცავენ ამ მოთხოვნას. მათ განკარგულებაშია „Aides"-ის სალარო და თუ ეს აუცილებლად მიაჩნიათ, ამ სალაროდან ფარავენ საკუთარი სახლის ხარჯებს ან ამ ფულის გარკვეულ ნაწილს თავიანთ ფავორიტებზე გასცემენ ჯილდოს სახით. მთელ ამ განვითარებას, ფულის მთელი მასის მოზღვავებას მეფის სალაროში, ისევე როგორც სამხედრო ძალის ფორმირებას, რომელიც ამ ფულით ანაზღაურდება, თანდათანობით, მაგრამ მაინც დამაჯერებლად

მივყავართ ცენტრალური ფუნქციის არაჩვეულებრივ გაძლიერებამდე. ყოველი ფენა და პირველ რიგში, არისტოკრატია, რამდენადაც შეუძლია ეწინააღმდეგება ცენტრალური ხელისუფლების ძლიერების ზრდას. მაგრამ მათი ინტერესების მრავალგზის დაყოფა, უკვე აქაც ასუსტებს ამ წინააღმდეგობას. ისინი მეტისმეტად არიან შეწუხებული ომებით, მეტისმეტად უშუალოდ არიან დაინტერესებულნი ინგლისელთა წარმატებულ მოგერიებაში, რათა შეძლონ, უარი უთხრან მეფეს ომის წარმართვისათვის საჭირო გადასახადებზე. ამასთან, თვით მათში არსებული ანტაგონისტური ძალები, ლოკალურ სხვაობათა სიძლიერესთან ერთად, აბრკოლებენ არა მხოლოდ მეფის მხრიდან ფულის მოთხოვნის შეზღუდვისაკენ მიმართულ ერთობლივ ქმედებებს ან შემოსული ფულის კონტროლს, არამედ ხელს უშლიან ომის გაძღოლის უშუალო წოდებრივ ორგანიზებასაც. გარეშე საფრთხე მეფეზე, უმაღლეს კოორდინატორზე და მის სახელისუფლო აპარატზე უკიდურესად დამოკიდებულს ხდის ამ შედრებით ნაკლებ ერთიანი და შეკავშირებული საზოგადოების ადამიანებს. ისინი იძულებულნი არიან დაუშვან ის ვითარება, რომ მეფის სახელით წლიდან წლამდე ახალ-ახალი, „განსაკუთრებული შემწეობანი" გამოიწერება ომისათვის, რომელსაც დასასრული არ უჩანს.

ბოლოს, პუატიესთან ბრძოლისას, მეფე იოანეს დატყვევების შემდეგ, არანორმალურად დიდი თანხის გამოსასყიდის გადასახდელად, რომელსაც ინგლისელები მოითხოვენ, პირველად დაწესდება გადასახადი არა ერთი, არამედ ექვსი წლით. აქ, როგორც ხშირად, დიდმა, შემთხვევითმა მოვლენამ დააჩქარა ის, რაც საზოგადოების სტრუქტურაში ნელ-ნელა მწიფდებოდა. სინამდვილეში, ეს გადასახადი აიკრიბება არა მხოლოდ უახლოესი ექვსი, არამედ შემგომი ოცი წლის განმავლობაში და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ უკვე ამ დროს ხდება საბაზრო ურთიერთობის გარკვეული მორგება ამგვარ გადასახადებზე. გარდა ამისა, მეფის ამ გამოსასყიდს ემატება სხვა მიზნით დაწესებული გადასახადები, 1363 წელს პირდაპირი შენატანი უშუალოდ ომის ხარჯების დასაფარავად, 1367 წელს — შენატანი ყაჩაღური სალდათობის წინააღმდეგ საბრძოლველად, 1369 წელს — ომის ხელახალი გაჩაღებისას პირდაპირი და არაპირდაპირი შენატანები, მათ შორის ყველაზე საძულველი, ნახირზე გადასახადი —"fouages".

„ცხადია, ყველფერი ეს ჯერ კიდევ ფეოდალური >Aide<-ა , მაგრამ განზოგადებული, ფორმაშეცვლილი და იკრიბება არა მხოლოდ მეფის დომენში, არამედ მთელს იმპერიაში, განსაკუთრებული, ცენტრალიზებული ადმინისტრაციული აპარატის კონტროლის ქვეშ".[22] „სინამდვილეში, ასწლიანი ომის ამ ფაზაში , რომლის დროსაც „Aides" ნელ-ნელა გრძელვადიან მოვლენად იქცევა, ნაბიჯ-ნაბიჯ ყალიბდება სპეციალიზებული სამსახურები, რომლებიც ამ „განსაკუთრებული გადასახადების" (მათ კვლავაც ასე ჰქვია,)

აკრეფას და იურისდიქციას ემსახურება. თავდაპირველად ისინი უბრალოდ წარმოდგენილია რამდენიმე „Généraux sur la fait des finances"-ს სახით, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით აკონტროლებენ „Aides"-ზე პასუხისმგებელთა მთელ არმიას. მოგვიანებით, 1370 წელს უკვე არსებობს ორი უმაღლესი ადმინისტრატორი, რომელთაგან ერთი სპეციალურად „Aides"- ის აკრებასთან დაკავშირებული ფინანსური და მეორე, სპეციალურად სამართლებრივი საკითხებითაა დაკავებული. ეს არის იმის გამოვლენის პირველი ფორმა, რაც შემდგომ მთელი „ancien régime" -ს განმავლობაში საგადასახადო ადმინისტრაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორგანოდ რჩება, Chambre ანუ Cour des Aides. მაგრამ აქ, 1370-1380 წლებში, ეს ინსტიტუტი ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია; მას ჯერ კიდევ არ გააჩნია სიმყარე; თავდაპირველად, ეს ჯერ კიდევ მცდელობაა ღია თუ ფარული ბრძოლისა, რომელშიც სოციალურ ძალთა სხვადასხვა ცენტრები გამუდმებით მოსინჯავენ თავიანთ ძალებს. და მისი გარეგნული სახე, ბევრი მყარი და სტაბილურად ქცეული სოციალური ინსტიტუტის მსგავსად, ჯერ კიდევ არ გვაძლევს შესაძლებლობას დავივიწყოთ სოციალურ ძალთა ის თამაში, რომლიდანაც ეს ინსტიტუტი შედეგის სახით გამომდინარეობს. ყოველთვის, როცა სამეფო ხელისუფლებამ მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფების აჯანყებისას გადასახადებზე თავისი მოთხოვნები უნდა შეზღუდოს, ეს სამსახურებიც უკანა პლანზე გადაინაცვლებს. მათი არსებობა და ზრდის ტრაექტორია არისტოკრატიასთან, სამღვდელოებასთან და საქალაქო ფენებთან მიმართებაში ცენტრალური ფუნქციის და ცენტრალური აპარატის სოციალური ძლიერების ხარისხის საკმაოდ ზუსტი საზომია.

შარლ V-ს დროს, როგორც ითქვა, „aides sur le fait de la guerre" ისევე პერმანენტული ხდება, როგორც თავად ომი. ეს ტვირთად დააწვება ხალხს, რომელიც ისედაც გაღარიბებულია ომით, გაუდაბნოებით, ხანძრებით, ვაჭრობის პრობლემებით და საჯარისო ნაწილების დაუსრულებელი გადაადგილებით, რომელთაც დანაყრება უნდათ და ძალადობით ირჩენენ თავს. კიდევ უფრო ამძიმებს მათ ის ფულადი გადასახადები, რომლებსაც მეფე მოითხოვს; ამის გამო რაღაც გამონაკლისი შემთხვევის წესად გადაქცევა კიდევ უფრო წინააღმდეგობრივად აღიქმება. სანამ შარლ V ცოცხალია, ეს აშკარა გამოხატულებას არ ჰპოვებს. გაჭირვება შეუმჩნევლად მატულობს; და მასთან ერთად იზრდება უკმაყოფილებაც. მაგრამ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მეფისათვის, გარკვეულწილად, ცნობილია ეს მზარდი დაძაბულობა ქვეყანაში, ეს მიჩუმებული აღშფოთება, რომელიც განსაკუთრებით გადასახადების წინააღმდეგაა მიმართული. ალბათ, ის იმ საფრთხესაც ითვალისწინებდა, რომელიც ამგვარ განწყობას შეეძლო გამოეწვია, როცა მის ნაცვლად, ნაცვლად მოხუცი, გამოცდილი მეფისა, ერთმანეთში მოქიშპე

ნათესავების აპეკუნობით, ტახტზე მისი არასრულწლოვანი ვაჟი ადის. ალბათ, მომავლის წინაშე ამ შიშს ერთგვარი სინდისის ქენჯნაც უკავშირდება. ცხადია, მეფეს გარდაუვალ და აუცილებელ რაიმედ ეჩვენებოდა ის გადასახადები, რომლებსაც მისი აპარატი წლიდან წლამდე კრებდა. მაგრამ, თვით მისთვისაც კი, ვისაც სარგებელი აქვს მათგან, ამ გადასახადებს ჯერ კიდევ აშკარად უსამართლობის სუნი ასდის. ყოველ შემთხვევაში, სიკვდილამდე რამდენიმე საათით ადრე, 1380 წლის 16 სექტემბერს, ის ხელს აწერს განკარგულებას, რომლითაც მოიხსნება ყველაზე აუტანელი და საზიზღარი, ნახირზე გადასახადი, რომელიც ერთნაირად მძიმე ტვირთად აწვება როგორც მდიდრებს, ისე ღარიბებს. რამდენად შეესატყვისება ეს განკარგულება საქმის ვითარებას, რომელიც მეფის სიკვდილის გამო შეიქმნა, ძალიან მალე გამოჩნდება. ცენტრალური ფუნქცია შესუსტებულია და ქვეყანაში იფეთქებს აქამდე შეკავებული დაძაბულობანი. გარდაცვლილი მეფის მოქიშპე ნათესავები, პირველ ყოვლისა, ლუი ანჟუელი და ფილიპ მამაცი ბურგუნდიელი ერთმანეთს ძალაუფლებისათვის და პარალელურად, სამეფო საგანძურის განკარგვისათვის ებრძვიან. ქალაქები აბუნტდება გადასახადების წინააღმდეგ. ხალხი სდევნის მეფის მოხელეებს, რომლებიც „Aides" კრეფენ. დაბალი, ქალაქური ფენების აღშფოთება ხელსაც კი აძლევს უფრო მდიდარ ბურჟუაზიას. ორივე ამ ფენის მოთხოვნები ერთი მიმართულების მქონეა. ქალაქის წარჩინებულნი, რომლებიც 1380 წელს სხვა ფენების წარმომადგენლებთან ერთად პარიზში იკრიბებიან, სამეფო გადასახადების გაუქმებას მოითხოვენ. როგორც ჩანს, უშუალოდ ამ ზეწოლით, ანჟუს ჰერცოგი და მეფის კანცლერი მოთხოვნის დაკმაყოფილების პირობას იძლევიან. 1380 წლის 16 ნოემბერს მეფის სახელით გამოიცემა განკარგულება, რომლითაც მოიხსნება „doresnavant à tousjours *აქედან მოყოლებული და სამუდამოდ* – tous les fouaiges, imposicions, gabelles, IIII ᵉˢ, XIII ᵉˢ, dont ils – ქვეშევრდომებს – ont esté et sont moult gravés, touz aydes, subsides quelxconques qui pour le fait des dictes guerres ont esté imposez..."

„მთელი ბოლო ათი წლის ფინანსური სისტემა ყველა იმ დაპყრობას შეეწირა მსხვერპლად, რომელიც 1358/59 და 1367/68 წლებში განხორციელდა. სამეფო ხელისუფლება დაახლოებით ერთი საუკუნით უკან აღმოჩნდა გადაგდებული. ის დაახლოებით იმ ნერტილში იმყოფება, სადაც ასწლიანი ომის დასაწყისში იყო. [123]"

საზოგადოება, ძალაუფლების გადანაწილებისათვის ბრძოლაში. ჯერ კიდევ სიმშვიდეს მოკლებულ ძალთა სისტემის მსგავსად, ერთი პოლუსიდან მეორისაკენ ირყევა. ის, რომ ცენტრალურ აპარატს და სამეფო ფუნქციას შეუძლიათ შედარებით სწრაფად აღიდგინონ დაკარგული პოზიცია, იმ სოციალურ ძლიერებაზე მეტყველებს, რომელიც მათ უკვე აქვთ ამ დროს. თუმცა, მეფე თავად ჯერ კიდევ ბავშვია და მთლიანად სამეფო ხელისუფლების მრჩევლებსა და

მსახურებზეა დამოკიდებული. ის, რაც მოგვიანებით შარლ VII-ს დროს განსაკუთრებული სიცხადით გამოვლინდება, გარკვეულწილად აქაც ნათლად გამოჩნდება: შანსები, რომლებიც ფრანგული საზოგადოების ამგვარი სტრუქტურირებისას და ამგვარ სიტუაციაში მეფის ფუნქციას უკავშირდება, უკვე იმდენად დიდია, რომ სამეფო ხელისუფლების სოციალური ძლიერება შეიძლება მაშინაც კი იზრდებოდეს, როცა მეფე პიროვნულად სუსტია და არავითარი ავტორიტეტი არ გააჩნია. ამ საზოგადოების ჯგუფებისა და ფენების დამოკიდებულება უმაღლეს კოორდინატორზე, რომელიც სხვადასხვა სოციალური ფუნქციებისა და ოლქების კონტაქტებსა და თანამშრომლობას უზრუნველყოფს, იზრდება მათ ინტერდეპენდენც-თან ერთად და უპირველეს ყოვლისა, მართლაც, საგრძნობლად მატულობს ომის საფრთხის ზეწოლით. და ასე აწვდიან ისინი მეფეს ან მის წარმომადგენლებს, მათ, ვინც გარეშე მტერთან ბრძოლაში საერთო ინტერესებს იცავს, ნებაყოფლობით თუ ძალდატანებით, კვლავ და კვლავ იმ საშუალებებს, რომლებიც აუცილებელია საომარ მოქმედებათა წარმართვისათვის; მაგრამ ამავე დროს, ამით ისინი სამეფო ხელისუფლებას მათზე გაბატონების საშუალებებსაც გადასცემენ.

1382/83 წლებში სამეფო ხელისუფლება, მაშასადამე, მეფე მის ყველა ნათესავთან, მრჩევლებთან და მსახურებთან ერთად, რომლებიც რაიმე აზრით, სახელისუფლო აპარატს მიეკუთვნებიან, ისევ იძულებული აღმოჩნდება ქალაქებს, აჯანყებათა მთავარ ცენტრებს მოთხოვოს ის გადასახადები, რომლებიც მას აუცილებლად მიაჩნია.

გადასახადების საკითხი 1382 წლის საპროტესტო მოძრაობის ძირითად საკითხს წარმოადგენს. გადასახადებისა და ცენტრალური აპარატის ტვირთის განაწილებისათვის ბრძოლაში, როგორც ხშირად ხდება, მთელი ძალაუფლებისა განაწილების საკითხი მოისინჯება და გადაწყდება. ამ ეპოქის წარჩინებულებს და არა მარტო მათ, საკმაოდ ნათლად აქვთ წარმოდგენილი მიზანი — მიაღწიონ გადასახადების დაწესებისა და განაწილების პოლიტიკაში მონაწილეობას, მაშასადამე, ცენტრალური პუნქტიდან სახელისუფლო აპარატის კონტროლი უზრუნველყონ; წოდებრივ შეკრებებზე სხვა ფენათა წარმომადგენლებიც ამისაკენ ისწრაფვიან; დაბალი და საშუალო, ქალაქური ფენების თვალთახედვის არე, ზოგადად, უფრო შეზღუდულია; პირველ ყოვლისა, მათ მძიმე ტვირთის წნეხისაგან გათავისუფლება სურთ, სხვა არაფერი. უკვე ამ მიმართულებითაც სხვადასხვა ქალაქური ჯგუფების მიზნები აღარ არის მთლად იგივეობრივი თუმცა, აქ ისინი, ქვეყნის ცენტრალურ აპარატთან მიმართებაში, ერთმანეთისადმი აუცილებლად მტრულად განწყობილნი არ არიან. ქალაქის უფრო პატარა ოლქებში მდგომარეობა სხვაგვარადაა. აქ სხვადასხვა ფენათა ინტერესები, მათი ყოველმხრივი გადაჯაჭვულობისას და სწორედ ამ მჭიდრო

გადაჯაჭვულობის გამოც, დიამეტრალურად საპირისპიროა.

ამ ეპოქაში საქალაქო თემები მართლაც დიფერენცირებული წარმონაქმნებია. მათში არსებობს პრივილეგირებული ზედა ფენები, ნამდვილი ბურჟუაზია, რომელთა განსაკუთრებული მონოპოლიური მდგომარეობა საქალაქო სტრუქტურებზე და ამით, ქალაქის ფინანსებზე გამგებლობაში გამოიხატება. არსებობს ერთგვარი საშუალო ფენა, წვრილი ბურჟუაზიის ერთგვარი სახე, ნაკლებ შეძლებული ხელოსნებისა და მეწარმეებისა და ბოლოს, არსებობს ქარგალთა და მუშათა მასა, „ხალხი". და აქაც გადასახადები ქმნის იმ საკვანძო წერტილს, რომელშიც ორმხრივად გამოვლინდება როგორც ურთიერთდამოკიდებულება, ისე დაპირისპირებულობა. საერთოდ, როცა აშკარა მოთხოვნები გამოითქმის, საშუალო და ქვედა ფენები პირდაპირ და დიფერენცირებულ გადასახადებს ითხოვენ, რომლებიც ყველას თავისი შესაძლებლობის მიხედვით შეეხება, მაშინ როცა ქალაქის ზედა ფენები არაპირდაპირ ან თანაბარი წილის გადასახადებს ანიჭებენ უპირატესობას. გადასახადების გამო ხალხის აღშფოთება და აჯანყების პირველი ტალღა, როგორც ხშირად ხდება, ქალაქური ზედა ფენებისათვის არასასურველ რაიმეს არ წარმოადგენს. ის მხარს უჭერს მოძრაობას, სანამ ეს მოძრაობა მის საკუთარ ოპოზიციას აძლიერებს მეფის ხელისუფლების ან თუნდაც, ადგილობრივ ფეოდალთა წინააღმდეგ. მაგრამ, ძალიან მალე ეს აჯანყება თვით ქალაქის შეძლებულ ფენებს შემოუბრუნდება. ეს, ნანილობრივ, ქალაქის მართვისათვის ბრძოლად იქცევა გაბატონებულ, ბიურგერულ პატრიციატსა და საშუალო ფენებს შორის, რომლებიც სულ მცირე, თავიანთ მონაწილეობას მოითხოვენ საქალაქო სტრუქტურებში, ზუსტად ისევე, როგორც უფრო დიდ ოლქებში ქალაქის წარჩინებულნი მონაწილეობას ითხოვენ ქვეყნის მართვაში. ქალაქის ზედა ფენა ან თავს არიდებს და გარბის ან წინააღმდეგობას უწევს; და ბოლოს, ბრძოლის ამ სტადიაზე მისთვის გადარჩენას სამეფო საჯარისო ნაწილების შემოსვლა მოასწავებს.

სხვადასხვა ქალაქში ამ ბრძოლებისა და აჯანყებათა ცალ-ცალკე განხილვა მეტისმეტად შორს წაგვიყვანდა. დაპირისპირებანი ძალთა თანაფარდობის შემდგომი გადანაცვლებით დასრულდება ცენტრალური აპარატისა და სამეფო ხელისუფლების სასარგებლოდ. აჯანყების მთავარი წამქეზებლები, პირველ ყოვლისა ისინი, რომელთაც გადასახადებზე უარი განაცხადეს, სიკვდილით დასაჯეს, სხვები — მძიმე ფულადი ჯარიმით. ქალაქებს, როგორც მთელს, მაღალი ფულადი გადასახადი დაეკისრა. პარიზში გაამაგრეს ან ხელახლა ააგეს მყარი ციხე-სიმაგრეები თუ ბასტილიები, რომლებიც სამეფო „gens d'armes" უჭირავს. ქალაქების თავისუფლება იზღუდება; აქედან მოყოლებული, ადგილობრივი საქალაქო ადმინისტრაცია უფრო და უფრო ექვემდებარება მეფის მოხელეებს, სანამ ისინიც მეფის ხელისუფლების აპარატის არსებით ორგანოებად არ იქცევიან; ამით ცენტრალური სახელისუფლო აპარატის იერარქია, რომლის

ძირითადი პოზიციები ბურჟუაზიის დაწინაურებულ ჯგუფებს უჭირავთ, მინისტრისა და უზენაესი სასამართლოს მოხელეთაგან ბიურგერმაისტერის და საამქროს ოსტატის პოსტებამდე ვრცელდება. და გადასახადების საკითხიც, მთლიანობაში, ამგვარადვეა გადაწყვეტილი. მათ ახლა ცენტრალური ხელისუფლება განსაზღვრავს.

თუ იმ საფუძვლებს გადავამოწმებთ, რომელთაგან გამომდინარე ძალის ეს მოსინჯვები ასე სწრაფად და აშკარად ცენტრალური ფუნქციის სასარგებლოდ დასრულდება, აქაც წავაწყდებით სურათს, რომელზედაც უკვე ამდენჯერ იყო საუბარი: ესაა ანტაგონიზმების ძლიერება ამ საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს შორის, რომელიც ცენტრალურ ფუნქციას ძალას აძლევს. ბურჟუაზიულ ზედა ფენებს დაძაბული ურთიერთობა აქვთ არა მხოლოდ საერო და სასულიერო ფეოდალებთან, არამედ ქვედა, ქალაქურ ფენებთანაც. ის, რაც აქ ცენტრალურ მმართველებს აძლევს ხელს, პირველ ყოვლისა, არის ქალაქური ფენების დაცალცალკევება. და არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჯერ არც სამეფო იმპერიის სხვადასხვა მხარეთა შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. ადგილი აქვს რამდენიმე ქალაქის ერთობლივ ღონისძიებათა სუსტ ტენდენციებს. მაგრამ, ერთობლივი მოქმედებისათვის კავშირები დიდი ხანია აღარ არის საკმარისად მჭიდრო. ქალაქები, გარკვეული აზრით, ჯერ კიდევ უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც სხვადასხვა სახელისუფლო ერთეულები. გარდა ამისა, მათ შორისაც არსებობს მეტ-ნაკლებად გამოხატული კონკურენტული ბრძოლა. ასე ამყარებენ მეფის წარმომადგენლები დასაწყისში სანახევროდ მშვიდობას პარიზთან, რათა გახსნილი ჰქონდეთ ხელები ფლანდრიის ქალაქების წინააღმდეგ საბრძოლველად; მოგვიანებით ისინი გატეხავენ წინააღმდეგობას ჯერ რუანში, შემდეგ პარიზში. ისინი სათითაოდ ამარცხებენ ყველა ქალაქს. ცენტრალურ ფუნქციას ხელს აძლევს არა მხოლოდ სოციალური, არამედ რეგიონული დაყოფაც, რამდენადაც ეს განსაზღვრულ ფარგლებში რჩება, ისევე როგორც აქ და გარკვეული ინტერდეპენდენციის პარალელურად მიმდინარეობს. სამეფო ხელისუფლება მოსახლეობის ყველა ფენის ერთობლივ წინააღმდეგობას უნდა დაემარცხებინა. მაგრამ, ცენტრალური ფუნქცია, რომლისკენაც ძალაუფლების საშუალებები უწყვეტად მიედინება, უფრო ძლიერია ყოველ ცალკეულ ფენასთან, ყოველ ცალკეულ რეგიონთან დაპირისპირებაში.

საზოგადოების ნაწილები შემდგომშიც ცდილობენ ცენტრალური ფუნქციის მზარდი ძალაუფლების შეზღუდვას ან გატეხვას. გარკვეული ხნის შემდეგ, ამ საზოგადოების იგივე სტრუქტურული კანონზომიერების საფუძველზე, ყოველ ჯერზე, ხელახლა მყარდება ძალთა თანაფარდობა მეფის ხელისუფლების სასარგებლოდ და ძალის ყოველი ამგვარი მოსინჯვა ერთი ნაბიჯით წინ წასწევს ცენტრალური მმართველის ძალაუფლებას. მაშინ მეფისათვის გაღებული ფულადი შენატანები, გადასახადები ქრება ან შეიზღუდება, მაგრამ მხოლოდ

მცირე ხნით; ისინი ყოველთვის მალევე ცოცხლდებიან. ზუსტად ასევე, გაქრება და კვლავ აღდგება დანესებულებები, რომლებიც გადასახადების მართვითა და აკრეფით არიან დაკავებულნი. მაგალითად, „Chambre des Aides" წარმოშობის ისტორია სავსეა ამგვარი მერყეობებითა და გარდატეხებით. აქ არის რამდენიმე, ერთმანეთის მომდევნო გამოცოცხლება 1370 და 1390 წლებში. შემდგომ კვლავ, 1413, 1418, 1425, 1462, 1464, 1474 წლებში, როგორც მისი მემატიანე წერს, ის განიცდის „სიცოცხლისა და კვდომის სიურ-პრიზებს, აღდგომას, რომლის წინასწარმეტყველება შეუძლებელია"[124] მანამ, სანამ მისგან სამეფო სახელისუფლო აპარატის მყარი ინსტიტუტი არ ჩამოყალიბდება. და მიუხედავად იმისა, რომ ამ მერ-ყეობაში მხოლოდ დიდ სოციალურ ძალთა მოსინჯვა არ აირეკლება, ცალკეული ინსტიტუტის ქმნადობაში ეს აქეთ-იქით გადახრა მეფის ფუნქციის სოციოგენეზისის, ზოგადად, მონოპოლიური ორგანიზა-ციის ჩამოყალიბების გარკვეულ სურათს მაინც იძლევა; ეს გასაგებს ხდის იმას, რომ ასეთი ფუნქციები და წარმონაქმნები ნაკლებად ჩნდება გრძელვადიანი გეგმების საფუძველზე, როგორც ერთეული ადამიანის ცნობიერი ქმნილება და უფრო მეტად, ასეული პატარა ნაბიჯის, მოსინჯვის შედეგად, გადაჯაჭვის მექანიზმების სახით წარმოიქმნება სოციალურ ძალთა გამუდმებულ ჭიდილში.

28. თავად ცალკეული მეფეები თავიანთ ქმედებებში, თავიანთი ძალების განვითარებაში მთლიანად არიან დამოკიდებულნი სიტუაციაზე, რომელშიც ისინი მეფის ფუნქციას განახორციელებენ. ეს იშვითად ვლინდება ისე ნათლად, როგორც ამას შარლ VII-ს დროს ჰქონდა ადგილი. როგორც ინდივიდი, ის აშკარად, არც თუ ისე ძლიერია; ის არ არის დიდი და ძლევამოსილი პიროვნება. მიუხედავად ამისა, მას შემდეგ, რაც ერთხელ ინგლისელები მისი სამფლობელოდან გაძევებულნი აღმოჩნდებიან (სულერთია, რა გადაჯაჭვულობათა საფუძველზეც უნდა მომხდარიყო ეს), სამეფო ხელისუფლება მისი მმართველობის ეპოქაში უფრო და უფრო ძლიერდება. მეფე თავისი ხალხის წინაშე ძლევამოსილ მხედარმთმთავრად წარსდგება, თუმცა, ის პიროვნულად ნაკლებადაა ასეთი. ომის დროს ქვეყნის მთელმა ფინანსურმა და ძალისმიერმა საშუალებებმა ცენტრალური მმართვე-ლის ხელში მოიყარა თავი. საგრძნობლად იმატა საბრძოლო მოქმე-დებათა ცენტრალიზებულმა გაძღოლამ თუ გადასახადებზე მონო-პოლიურმა გამგებლობამ. გარეშე მტერი გაძევებულია, მაგრამ ჯარი ან მისი დიდი ნაწილი ისევ ადგილზეა. ეს მეფეს ქვეყნის შიგნით იმგვარ უპირატესობას უქმნის, რომ ფენების აჯანყება მისი სურვილის საწინააღმდეგოდ, სულ მცირე, უიმეოდო საქმედ გამოიყურება და დაღლილ მოსახლეობასაც მხოლოდ ერთი რამ სურს და სჭირდება: მშვიდობა. ამ სიტუაციაში 1436 წელს მეფე გამოაცხადებს, რომ მას ერმა განუსაზღვრელი დროით მისცა „Aides"-ის აკრეფის უფლება და სთხოვეს, რომ ჯერჯერობით აღარ შეეკრიბა ფენები გადასახადების თაობაზე შესათანხმებლად; როგორც ის

ამბობს, ფენების თავყრილობის სამგზავრო ხარჯები დიდი ტვირთია ხალხისათვის.

რა თქმა უნდა, ეს დასაბუთება უსაფუძვლოა; თვით ღონისძიება, ფენათა კრებების აკრძალვა, უბრალოდ, სამეფო ხელისუფლების სოციალური ძლიერების გამოხატულებაა. ეს ძალა იმდენად გაიზარდა, რომ „Aides", რომელიც ომის პერიოდში უკვე იქცა მეტ-ნაკლებად გრძელვადიან მოვლენად, აქედან მოყოლებული, შეიძლება, უკვე დაუფარავად გამოცხადდეს ხანგრძლივ ღონისძიებად; და ეს ძლიერება უკვე ისეთი ერთმნიშვნელოვანი გახდა, რომ მეფე გადასახადის გადამხდელებთან შენატანის სიდიდისა და ფორმის შეთანხმებას საჭიროდ აღარ მიიჩნევს. როგორც ითქვა, ამას ისევ და ისევ მივყავართ კრიზისულ პერიოდებამდე, ფენათა აჯანყების მცდელობებამდე. ძალების მოსინჯვების გარეშე არ დაკანონდება არც ფენათა პარლამენტის გაუქმება და არც მეფის დიქტატორული ძალაუფლება. მაგრამ ძალის ეს ყოველი მოსინჯვა ყოველ ჯერზე ხელახლა და აშკარად აჩვენებს, რა დამაჯერებლად მატულობს ამ ფაზაში ცენტრალური ფუნქციის ძლიერება საზოგადოების მზარდ დიფერენციაციასა და გადაჯაჭვულობასთან ერთად. ცენტრის ხელში კონცენტრირებული სამხედრო ძალა არის ის, რაც შენატანებზე ცენტრალური ფუნქციის გამგებლობას უზრუნველყოფს და აამაღლებს. და გადასახადების კონცენტრირებული განკარგვა შესაძლებელს ხდის ფიზიკური ძალადობის გამოყენების და საომარი ძალის მუდმივად მზარდ მონოპოლიზაციას. ორივე ძალისმიერი საშუალება ნაბიჯ-ნაბიჯ იწევს მაღლა მანამ, სანამ საბოლოოდ, განსაზღვრულ პუნქტში გაოცებულ და გამწარებულ თანამედროვეთა წინაშე შეუნიღბავად არ წარმოაჩენს იმ აღმატებულ ძალებს, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება ამ პროცესში მოიპოვებს. აქაც, როგორც ხშირად, ყოველ აღნერაზე უკეთ თანამედროვეს სიტყვები რეტროსპექტული ხედვისათვის გასაგებს ხდის იმას, თუ როგორ დაატყდება ეს ყველაფერი ადამიანებს თავს, რაღაც ახალის სახით, რომელიც არავინ იცის საიდან და რატომ მოვიდა.

როცა შარლ VII-ს დროს ცენტრალური აპარატი, სრულიად აშკარად, იწყებს გადასახადების დაწესებას და ამოღებას ხანგრძლივად და ფენების თანხმობის გარეშე, იუვენალ ურსინელი, რეიმის მთავარეპისკოპოსი, მეფეს ამის თაობაზე წერილს მისწერს. თავისუფალ თარგმანს თუ მივმართავთ, მასში ნათქვამია[125]:

„როცა თქვენს წინაპრებს წინ ომი ელოდათ, მათ ჩვეულებად ჰქონდათ, შეეკრიბათ სამი ფენა; ისინი ერთ-ერთ საუკეთესო ქალაქში თავისთან ინვევდნენ ადამიანებს ეკლესიიდან, არისტოკრატთაგან და საერთოდ, ხალხისაგან. შემდეგ მოდიოდნენ ისინი და მოითხოვდნენ ახსნას, როგორ მიდის საქმე, შესძლებენ თუ არა მტრისათვის წინააღმდეგობის გაწევას და გამართავნდენ ბჭობას, როგორ მოახერხებდა მეფე გაძლოლოდა ბრძოლას, რათა შემდეგ ამ განხილვის შესაბამისად, შენატანებით დახმარებოდნენ. თავად თქვენ, სანამ ხედავდით და შეიცნობდით, რომ ღმერთი და ფორტუნა (რომელიც ცვალებადია) თქვენს მხარესაა, ყოველთვის ისე გეჭირათ თავი,

რომ თქვენ ამაზე მაღლა დგახართ. თქვენ აწესებთ „Aides"-ს და სხვა გადასახადებს სამ ფენასთან შეთანხმების გარეშე და მოითხოვთ ისე, თითქოს ისინი თქვენი დომენის გადასახადები იყოს.

უნინ... ამ იმპერიისათვის სამართლიანად შეეძლოთ ეწოდებინათ „Royaume France", რადგან ისინი იმისათვის ზრუნავდნენ, რომ თავისუფალი (francs) ყოფილიყვნენ და ყოველგვარი თავისუფლება ჰქონდათ (franchises et libertés). დღეს ისინი მონებს ემსგავსებიან, თვითნებურად აქვთ რა დაკისრებული გადასახადები (taillables à voulenté). თუ თვალს გადავავლებთ სამეფო იმპერიის მოსახლეობას, იმის მეათედსღა აღმოვაჩენთ, ვინც აქ უნინ ცხოვრობდა. მე თქვენი ძალაუფლების შემცირება კი არ მსურს, არამედ ჩემი მცირე შეძლების კვალობაზე მისი გაზრდა. უეჭველია, რომ რომელიმე თავადს და განსაკუთრებით თქვენ, შეგნევთ ძალა განსაზღვრულ შემთხვევებში ქვეშემრდომებს რაიმე ჩამოაჭრათ (tailler) და „Aides" დაანესოთ, განსაკუთრებით სამეფო იმპერიისა და საქვეყნო საქმეების (chose publique) გასამართლებლად. მაგრამ, ეს თქვენ გონივრულად უნდა ახსნათ. რაც ჩემი ამოცანაა, მისი არ არის. შეიძლება თქვენ სამართლებრივი მართვის საკითხებში დამოუკიდებელი ხართ და ეს თქვენი საქმიანობის სფერო. მაგრამ, რაც დომენალურ შემოსავლებს შეეხება, თქვენ გაქვთ თქვენი დომენი და ყოველ ადამიანს — თავისი (სხვა სიტყვებით ეს იმას ნიშნავს, რომ მეფემ საკუთარი მამულების, დომენის შემოსავლებით უნდა შეინახოს თავი და მთელი ქვეყნის გადასახადების სუვერენული განკარგვის უფლება არ უნდა მისცეს საკუთარ თავს.) და დღეს ქვეშევრდომებს არა მხოლოდ შეგნებულად უკეთებენ იგნორირებას, არა მხოლოდ გაკრეჭენ, არამედ ტყავს აძრობენ, ხორცს და სისხლს აცლიან ძვლებამდე."

სხვა ადგილას არქიეპისკოპოსი კიდევ უფრო შეუნიღბავად გამოხატავს თავის აღშფოთებას:

„ის, ვინც თავის ხელისუფლებას მხოლოდ თვითნებურად იყენებს და არა საკუთარ ქვეშემრდომთა სასარგებლოდ, იმას მაინც იმსახურებს, რომ ხელისუფლება ჩამოერთვას... ამიტომ, გაფრთხილ-დით, რომ ფულის დიდმა მოჭარბებამ (სიტყვასიტყვით, დიდი ქონი, დიდი სიჭარბე), რომელიც „Aides" -საგან ღებულობთ და რომელსაც სხეულიდან ამოქაჩავთ, არ გაანადგუროს თქვენი სულები. თქვენ ხომ ამ სხეულის ბატონ-პატრონიც ხართ. განა დიდი ტირანია არ იქნებოდა, რომ ადამიანური ქმნილების მმართველს გული, ხელები და ფეხები (ნ.ბ. სიმბოლურად სამღვდელოება, მეომრები და უბრალო ხალხი) გაენადგურებინა".

აქედან მოყოლებული და კიდევ დიდი ხანი სწორედ ქვეშემ-რდომები არიან ისინი, ვინც მეფის ფუნქციის საჯარო ხასიათზე მიუ-თითებენ. ისეთი გამოთქმები, როგორებიცაა: „საქვეყნო საქმე", „მამული" და თვით „სახელმწიფოც" კი, უმეტეს შემთხვევაში, თავადებთან და მეფეებთან ოპოზიციაში მოიხმარება. ამ ფაზაში ცენტრალური მმართველები თავად ფლობენ მონოპოლიზებულ შანსებს და პირველ ყოვლისა, განაგებენ თავიანთი სამფლობელოს გადასახადებს, როგორც კერძო საკუთრებას — ამბობს იუვენალ ურსინელი. ამ აზრით უნდა გავიგოთ ის სიტყვებიც, რომელთაც ერთ

მეფეს მიაწერენ: „სახელმწიფო მე ვარ", როგორც პასუხი „მამულისა" და „სახელმწიფოს" ოპოზიციურ გამოყენებაზე.

მაგრამ განვითარების მთელი მიმართულებით მხოლოდ ფრანგები არ არიან გაოცებული. რეჟიმი, რომელიც საფრანგეთში ყალიბდება, ცენტრალური აპარატისა და ცენტრალური ფუნქციის სიძლიერე და სიმყარე, რომელიც ანალოგიური სტრუქტურების საფუძველზე ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში გამოვლინდება, მე-15 საუკუნეში არაფრანგი დამკვირვებლის თვალში თავიდან, მართლაც, რაღაც უჩვეულო და ახალია. საკმარისია, თუნდაც ამ დროის ვენეციელ ელჩთა მოხსენებები წავიკითხოთ, რომ შეგვექმნას შთაბეჭდილება, როგორ ამოტივტივდება უცხო დამკვირვებლის და მით უფრო, ფართო ჰორიზონტის და მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე დამკვირვებლის თვალში მისთვის უცნობი მმართველობის ფორმის სურათი.

1492 წელს ვენეცია აგზავნის ელჩებს პარიზში ოფიციალურად იმ მიზნით, რომ შარლ VII-ს ბედნიერება უსურვონ ანე ფონ ბრეტანელზე მის ქორწინებასთან დაკავშირებით. მაგრამ, ეჭვგარეშეა, იმისთვისაც, რომ შეიტყონ სად და როგორ განუზრახავს საფრანგეთს იტალიაში საკუთარი ძალაუფლების დამყარება და გაიგონ ზოგადად, იმის შესახებ, როგორ მიდის საქმე საფრანგეთში, ფინანსური საქმეები, რას წარმოადგენენ მეფე და ხელისუფლებაში მყოფი პირები ხალხისათვის, რა პროდუქტის ექსპორტირებას და იმპორტირებას ახდენენ და რა პარტიები არსებობს; ელჩებმა, ერთი სიტყვით, ყველაფრის შესახებ უნდა მოიპოვონ ინფორმაცია, რისი ცოდნაც სასარგებლოა, რათა ვენეციამ პოლიტიკურად სწორად შეძლოს ქმედება. და თვით ეს ელჩობანიც, რომლებიც შემთხვევითიდან მუდმივ მიმართულებად გადაიქცევა, იმის ნიშანია, თუ როგორ ხდება ევროპა ამ ეპოქაში ინტერდეპენდენტური, დიდი რეგიონების მასშტაბით. სხვათა შორის, მოხსენებაში ვპოულობთ საფრანგეთის ფინანსებისა და ამ ქვეყნის საგადასახადო სისტემის ზუსტ გადმოცემას. ელჩი ვარაუდობს, რომ მეფეს წლიურად დაახლოებით 3 600 000 ფრანკი შემოსავალი უნდა ჰქონოდა — აქედან, „ 1400 000 franchi da alcune imposizioni che si solevano metter *estraordinarie*...le quali si sono continuate per tal modo che al presente sono fatte *ordinarie*." მეფის ხარჯები ელჩის აზრით, სავარაუდოდ 6 600 000 ან 7300 000 ფრანკს შორის მერყეობს. დეფეციტი, რომელიც ამგვარად წარმოიქმნება, მისი ცნობით ასე შეივსება:

„ყოველ წელს, იანვარში, იკრიბებიან ყველა მხარის ფინანსური ადმინისტრაციის დირექტორები, მაშასადამე, ნამდვილი სამეფოებისა, როგორებიცაა, დოფინე, ლანგედოკი, ბრეტანი და ბურგუნდია და აკეთებენ მომავალი წლის შემოსავლებისა და გასავლების ხარჯთაღრიცხვას (fanno il calcolo). თავდაპირველად ისინი განიხილავენ ხარჯებს (prima mettono tutta la spesa) და შემდგომ, გასავლებსა და სავარაუდო შემოსავლებს შორის დეფიციტის სიდიდის საყოველთაო გადასახადს აწესებენ სამეფო იმპერიის

ყველა პროვინციისათვის. ამ გადასახადებიდან არც პრელატები (სასულიერო ჩინის მფლობელნი, მთარგმ. შენიშვ.) და არც კეთილშობილნი არაფერს იხდიან, არამედ მხოლოდ უბრალო ხალხი. ამგვარად, ჩვეულებრივ გადასახადებს და ამ >taille<-ს იმდენი შემოაქვს, რამდენსაც შეიძლება მომავალი წლის ხარჯები შეადგენდეს. თუ ამ წლის მანძილზე ომი მოხდება ან სხვა რომელიმე გაუთვალისწინებელ შემთხვევით ხარჯებს ექნება ადგილი, ისე რომ ეს გამოცხადებული თანხა საკმარისი აღარ აღმოჩნდება სხვა რომელიმე ახალ გადასახადს აწესებენ ან პენსიებს შეკვეცავენ და ამცირებენ ისე, რომ ყველა შემთხვევაში შეაგროვონ საჭირო თანხა."

აქამდე ხშირად იყო საუბარი საგადასახადო მონოპოლიის ჩამოყალიბების შესახებ. აქ, ვენეციელ ელჩთა აღწერაში, ნათელი სურათი შეგვექმნება განვითარების ამ საფეხურზე მისი ფორმისა და ფუნქციონირების შესახებ. ამავე დროს, ამ აღწერაში წავაწყდებით ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სტრუქტურულ თავისებურებას, მდგომარეობას, აბსოლუტუზმისა და ზოგადად, „სახელმწიფოს" სტრუქტურაში: ხარჯებს ენიჭებათ პრიმატი შემოსავლებთან მიმართებაში. საზოგადოებაში თითოეული ადამიანისათვის, პირველ ყოვლისა, ცალკეული ბურჟუასათვის, განვითარების პროცესის კვალობაზე სულ უფრო მეტად, ჩვეულებად და გარდაუვალობად იქცევა ის, რომ თავიანთი ხარჯები ძალზე მკაცრად შეუსაბამონ შემოსავლებს. ამის საპირისპიროდ, მთლიანი საზოგადოების ბიუჯეტში ხარჯები მყარ პუნქტს ქმნის. მათზე დამოკიდებული ხდება შემოსავლები, კერძოდ გადასახადები, რომელსაც საგადასახადო მონოპოლიის საუძველზე თითოეული წევრისაგან მოითხოვენ. ესეც ერთ-ერთი მაგალითია იმისა, რომ ინდივიდთა ურთიერთგადაჯაჭვულობით შექმნილ მთელს სტრუქტურული კანონზომიერებანი ახასიათებს და ეს კანონზომიერებანი, რომლებსაც ის ემორჩილება, ცალკეული ადამიანის კანონზომიერებათა იგივეობრივი არ არის და არც მათგან გაიგება. ერთადერთი ზღვარი, რომელიც ასეთი სოციალური ცენტრის ფულზე მოთხოვნას დაუწესდება, არის მთელი საზოგადოების გადახდისუნარიანობა და ცაკლეული ჯგუფების სოციალური ძლიერება თვით ამ საზოგადოებაში საგადასახადო მონოპოლიის სრულუფლებიან მმართველებთან შედარებით. მოგვიანებით, როცა ამ მონოპოლიის მართვა უფრო ფართო ბურჟუაზიული წრეების კონტროლს დაექვემდებარება, მთელი საზოგადოების ბიუჯეტის შედგენა მკვეთრად გამოეყოფა ცალკეული ინდივიდის ბიუჯეტის გაძღოლას, ინდივიდებისა, რომლებიც ცენტრალურ მონოპოლიებს საზოგადოების ფუნქციონერების სახით მართავენ; საზოგადოებას, როგორც მთელს, სახელმწიფოს, შეუძლია და სურს კიდეც, ისევე როგორც უნინ, გადასახადებზე მოთხოვნები, შემოსავლები, არსებითად სოციალურად აუცილებელ გადასახადებზე დამოკიდებული გახადოს; მაგრამ ახლა მეფეები, ცალკეული სოციალური მმართველებიც კი, ისე უნდა მოიქცნენ, როგორც ყოველი ერთეული ინდივიდი; მათ თავიანთი მკაცრად განსაზღვრული შემოსავლები

აქვთ და თავიანთ ხარჯებს შემოსავლების მიხედვით განსაზღვრავენ.

აქ, დასრულებული მონოპოლიების პირველ ფაზაში, ყველაფერი სხვაგვარად ხდება. სამეფო და საზოგადოებრივი ბიუჯეტი ჯერ კიდევ განუყოფელია. მეფეები მოთხოვნილ გადასახადებს იმ ხარჯების მიხედვით განსაზღვრავენ, რომლებსაც თვითონ მიიჩნევენ აუცილებლად, სულ ერთია, საქმე ეხება ომისათვის, სასახლეთა მშენებლობისათვის თუ მათ ფავორიტთა საჩუქრებისათვის საჭირო თანხებს. ხელისუფლების უმნიშვნელოვანეს მონოპოლიებს, სინამდვილეში აქ პიროვნული მონოპოლიების ხასიათი აქვს. მაგრამ რაც, ჩვენი აზრით, საზოგადოებრივი თუ საჯარო მონოპოლიათა წარმოშობის გზაზე მხოლოდ პირველი მონაკვეთია, დაახლოებით 1500 წელს, ვენეციელ დამკვირვებელს ეს ახალ წარმონაქმნად ეჩვენება, რომელსაც ის დიდი ცნობისმოყვარეობით განიხილავს სხვა ხალხების უცნობ ზნე-ჩვეულებათა მსგავსად. მისთვის ეს სხვაგვარად გამოიყურება. ვენეციის უმაღლესი სახელისუფლებო ორგანოს გამგებლობის ძალაუფლება, ისევე როგორც შუა საუკუნეების თავადებისა, უკიდურესადაა შეზღუდული სხვადასხვა რეგიონების და ფენების თვითმმართველობის უფლებებითა და ორგანიზაციებით. ვენეციაც დიდი სამფლობელოს ცენტრია. სხვა მუნიციპალიტეტები ნებაყოფილობით თუ იძულებით მოექცნენ მისი ხელისუფლების ქვეშ. მაგრამ თავად დამორჩილებული კომუნების შემთხვევაშიც, თითქმის ყოველთვის, პირობებს, რომლითაც ისინი ვენეციის სამფლობელოში ერთიანდებიან, განეკუთვნება ის, რომ ახალი ვალდებულება არ შეიძლება დაწესდეს მრჩეველთა უმეტესობის თანხმობის გარეშე"[127]. ის გარდაქმნა, რომელიც საფრანგეთში განხორციელდა, უცხო, ვენეციელ ელჩთა მშრალ მოხსენებებში, ალბათ, უკეთ გამოიხატება, ვიდრე რეიმის აღშფოთებული არქიეპისკოპოსის სიტყვებში. 1535 წელს ვენეციელი ელჩების მოხსენებაში ვკითხულობთ:

„მიუხედავად იმისა, რომ მეფე ძლიერია თავისი შეიარაღებით, ის ფულს თავისი ხალხის მორჩილებით იღებს. მე ვაცხადებ, რომ მის აღმატებულებას, ჩვეულებრივ, ორნახევარი მილიონის შემოსავალი აქვს. მე ვამბობ, "ჩვეულებრივ" რადგან თუ ის მოისურვებს, შეუძლია გაზარდოს ხალხისათვის დაკისრებული გადასახადები. რა ტვირთსაც დააკისრებს მათ, იმდენს გადაიხდიან, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ სოფლის მოსახლეობა, რომელსაც ამ ტვირთის უმეტესი ნაწილი აწევს, ძალზე ღარიბია, ისე რომ ამ ტვირთის ყოველი ზრდაც კი, რა უმნიშვნელოც უნდა იყოს ის, მისთვის აუტანელი იქნებოდა".

1546 წლის ბოლოს, ვენეციელი ელჩი მარინო კავალი საფრანგეთის შესახებ უფრო დაწვრილებით და ზუსტ ინფორმაციას გვაწვდის, რომელშიც განსაკუთრებით ცხადად წარმოჩინდება ამ ქვეყნის მმართველობის ფორმის თავისთავადობა, როგორც ეს, იმ დროს ფართო ჰორიზონტის მქონე, ნეიტრალური დამკვირვებლის თვალს წარმოუდგება.

„ბევრი სამეფო“, ნათქვამია იქ, სხვათა შორის[128], „უფრო ნაყოფიერი და მდიდარია, ვიდრე საფრანგეთი, მაგალითად, უნგრეთი და იტალია, ბევრი უფრო დიდი და ძლიერი, მაგალითად გერმანია და ესპანეთი. მაგრამ არცერთი არაა ისეთი ერთიანი და მორჩილი, როგორც საფრანგეთი. მე მგონია, სწორედ ეს ორი რამაა მისი ავტორიტეტის საფუძველი და სხვა არაფერი: ერთიანობა და მორჩილება (unione e obbedienza). ცხადია, თავისუფლება ყველაზე სანატრელი საჩუქარია სამყაროში. მაგრამ ყველა არაა მისი ღირსი. ამიტომ, ზოგიერთი ხალხი მორჩილებისათვისაა დაბადებული, ზოგი კი მბრძანებლობისათვის. თუ ამის საპირისპიროდ იქცევა ვინმე, ის ხდება, რაც ახლა საფრანგეთში და ადრე ესპანეთში ხდებოდა. ფრანგებმა, ცნეს რა, საკუთარი თავი ამისათვის გამოუსადეგარად, საკუთარი თავისუფლება და ნება მთლიანად მეფეს გადასცეს. ამიტომ საკმარისია მან თქვას: მე მინდა ეს და ამდენი, მე მნებავს ასე და ამდენი, მე გადავწყვიტე ასე და მსურს ამდენი. და ყველაფერი ეს მაშინვე აღსრულდება და ისე ზუსტად გაკეთდება, თითქოს ყველას ასე გადაეწყვიტოს. საქმე უკვე ისე შორს წავიდა, რომ დღეს ერთ-ერთმა მათგანმა, რომელსაც მეტი ძალაუფლება აქვს, შეუძლია თქვას: უწინ თქვენს მეფეებს >reges Francorum<- ს უწოდებდით, დღეს შეგიძლიათ >reges servorum< უწოდოთ. ასე რომ, უხდიან არა მხოლოდ იმას, რასაც ის მოითხოვს, არამედ მთელი დანარჩენი კაპიტალიც მის ხელთაა.

ხალხის ეს მორჩილება შარლ VII-მ გაზარდა მას შემდეგ, რაც მან ქვეყანა ინგლისელთა უღლისაგან გაათავისუფლა, მის შემდეგ ლუი XI-მ, და შარლ VIII-მ, რომელმაც ნეაპოლი დაიპყრო. ლუი XII-მაც თავისი წვლილი შეიტანა ამაში. მაგრამ მმართველ მეფეს (ფრანც I) შეუძლია იამაყოს, რომ თავის ყველა წინამორბედს ერთი დიდი ნაბიჯით გაუსწრო წინ. ის თავის ქვეშემრდომებს აიძულებს გადაიხადონ განსაკუთრებული თანხა, იმდენი, რამდენიც მას სურს. ის მეფის მამულებს ახალ სამფლობელოებს შემოუერთებს, ისე რომ სანაცვლოდ არაფერს გასცემს. და თუ რამეს გააჩუქებს ამ მამულებიდან, ეს ძალაშია მხოლოდ გამჩუქებლის ან დასაჩუქრებულის სიცოცხლის მანძილზე. და თუ რომელიმე მეტისმეტად დღეგრძელი აღმოჩნდება, გაჩუქებული მამული, როგორც ამდენი ხნის მანძილზე ტახტისათვის გამოუყენებელი, მეფეს ისევ უკან უბრუნდება. მართალია, რამდენიმე მათგანი მოგვიანებით საკუთრებაში დაუმტკიცდებათ. და როგორც ამასთან დაკავშირებით იქცევიან, იგივეს აკეთებენ მეთაურებთან და სხვადასხვა ჩინის პოლიციასთან მიმართებაში. მაგალითად, როცა ვინმე თქვენს სამსახურში შემოდის და ამბობს, რომ მას ფრანგებთან ამდენი და ამდენი ჯამაგირი, ასეთი ტიტული და უზრუნველყოფა ჰქონდა, მაშინ თქვენს ბრწყინვალებას ეცოდინება რა სახის უზრუნველყოფა, ტიტულები და ნაჩუქრობანია ეს. ზოგი ვერასოდეს აღნევს ამას ან მხოლოდ ერთხელ, მთელი ცხოვრების მანძილზე, ზოგი ორი-სამი წლის განმავლობაში ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე რჩება (che non tocanno un soldo). თქვენს ბრწყინვალებაზე, ვინც არა მხოლოდ განსაზღვრულ, არამედ დიდწილად მემკვიდრეობით გადასაცემ საგნებს გასცემთ, არ უნდა იქონიოს გალენა იმ მაგალითმა, თუ რას აკეთებენ სადმე სხვაგან. ჩემი აზრით, წესი რაიმეს მხოლოდ სიცოცხლის მანძილზე გაცემისა... არაჩვეულებრივია. ის ყოველთვის აძლევს მეფეს იმის შესაძლებლობას, რომ საჩუქარი გაუკეთოს მას, ვინც ამას იმსახურებს. და მეფეს მაინც რჩება ყოველთვის რაიმე გასაჩუქებელი. საჩუქრები რომ მემკვიდრეობით გადაცემულიყო, ახლა ღარიბი ილ დე ფრანსი გვექნებოდა და ახლანდელ მეფეებს აღარაფერი დარჩებოდათ გასაცემი. ასე კი, მათ ემსახურებიან ის პიროვნებები,

რომელთაც უფრო მეტი დამსახურებანი აქვთ, ვიდრე რომელიმე ადრე დასაჩქრებულის მემკვიდრეებს. თქვენი ბრწყინვალება უნდა დაფიქრდეს ამაზე: თუ საფრანგეთი ასე იქცევა, რაღა უნდა გააკეთონ დანარჩენმა მეფეებმა, რომლებიც ამხელა ქვეყანას არ განაგებენ. თუ კარგად არ ჩავუფიქრდებით, საით მივყავართ ამ მემკვიდრეობით ნაჩუქრობებს (ზოგიერთმა შეიძლება თქვას, ოჯახის შენარჩუნებისაკენ), მაშინ გამოჩნდება, რომ ფაქტიურად აღარ არსებობს შესაძლებლობა მათი ღირსეული დასაჩუქრებისათვის, ვინც ეს მართლა დაიმსახურა და მაშინ ხალხს ახალი ტვირთი უნდა აჰკიდონ. როგორც ერთი, ისე მეორე, უსამართლოა და საკმაოდ ბევრი ზიანის მომტანი. და თუ მხოლოდ სიცოცხლის მანძილზე გასცემენ საჩუქრს, ასაჩუქრებენ იმას, ვინც ეს დაიმსახურა. მამულები ცირკულაციას განიცდის და გარკვეული ხნის შემდეგ ისევ ბიუჯეტს უბრუნდება... უკვე ოთხმოცი ნელია ტახტის საკუთრებას განუწყვეტლივ ემატება ახალი, ისე რომ არაფერი გაიცემა, კონფისკაციის, მემკვიდრეობაში გადასვლის ან ყიდვის გზით. ამ გზით ტახტმა ყველაფერი შეისრუტა, ისე რომ ქვეყანაში აღარ არსებობენ სხვა თავადები, რომელთაც ოცი ათასი სკუდი შემოსავალი აქვთ. და გარდა ამისა, ისინიც, ვინც შემოსავლებსა და მამულებს ფლობენ, არ არიან ჩვეულებრივი მფლობელები. რადგან მეფეს რჩება უმაღლესი ხელისუფლება აპელაციების, გადასახადების, სამხედრო გარნიზონებისა და ყველა სხვა ახალი და განსაკუთრებული ტვირთის წყალობით. ტახტი უფრო და უფრო მდიდრდება, ერთიანი ხდება და უზარმაზარ ავტორიტეტს იძენს; და ცხადია, ამას ის სამოქალაქო ომებით ახერხებს. რადგან იქ, სადაც ღარიბი თავადების გარდა არავინაა, მათ არც იდეა გააჩნიათ და არც შესაძლებლობა, რაიმე მცდელობა განახორციელონ მეფის წინააღმდეგ, როგორც ამას ოდესღაც ბრეტანის, ნორმანდიის, ბურგუნდიის და გასკონიის სხვა დიდი ბატონები აკეთებდნენ. და თუ ვინმე აღმოჩნდება, რომელიც დაუფიქრებლად გააკეთებს რაიმეს და შეეცდება რაიმე ცვლილების განახორციელების მიზნით, უბრალოდ ხელი მაინც გაანძრიოს, ეს მეფისათვის მხოლოდ დააჩქარებს იმის შესაძლებლობას, რომ მისი დაქცევის ხარჯზე გამდიდრდეს."

აქ, კიდევ ერთხელ, ერთ ხედვაშია მოცემული თვალსაზრისი ჩამოყალიბების პროცესში მყოფი აბსოლუტიზმის უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული თავისებურებების შესახებ. ერთ-ერთი ფეოდალი ხელისუფალი უპირტესობას მოიპოვებს თავის ყველა კონკურენტზე და უზენაეს ძალაუფლებას მთელ მიწებზე. მინაზე ეს გამგებლობა უფრო და უფრო მეტ კომერციალიზაციას და მონეტიზაციას განიცდის. ცვლილება პირველად იმაში გამოიხატება, რომ მეფე ფლობს გადასახადების ამოღებისა და დადგენის მონოპოლიას მთელს ქვეყანაში, რითაც ის ქვეყნის ყველაზე დიდ შემოსავლებს განკარგავს. მეფე, რომელიც უწინ მიწებს ფლობდა და გასცემდა, ფულის მფლობელ და მისი რენტის სახით გამცემ მეფედ იქცევა. სნორედ ამის წყალობით, მას შეუძლია გაარღვიოს ნატურალური მეურნეობის მქონე მებატონეთა მოჯადოებული წრე. ის იმ სამსახურისათვის, რომელიც მას სჭირდება, კერძოდ სამხედრო სამსახურის, სასახლის კარზე და ადმინისტრაციული სამხსახურისათვის, თავის მსახურებს უხდის უკვე არა თავისი ქონების ნაწილის

მემკვიდრეობით საკუთრებაში გაცემით (ნაწილობრივ ამ შემთხვევასთან გვქონდა საქმე ვენეციაში), არამედ უკეთეს შემთხვევაში გასცემს მიწებს და ფულად რენტას სიცოცხლის ხანგრძლივობით და შემდეგ ისევ შემოიერთებს მათ ისე, რომ საბოლოო ჯამში ტახტის საკუთრება არ მცირდება. სულ უფრო ხშირად, ის სამსახურს ფულადი საჩუქრებით, ხელფასებით ანაზღაურებს. მეფე მთელი ქვეყნის გადასახადების ცენტრალიზებას ახდენს და შემოსულ ფულს თავისი შეხედულებებისა და სამეფოს ინტერესების მიხედვით ანაწილებს, ისე რომ ადამიანთა უფრო და უფრო მზარდი არმია ქვეყანაში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მეფის კეთილგანწყობაზე, სამეფო ფინანსური ადმინისტრაციის ფულად ანაზღაურებაზეა დამოკიდებული. არსებობს მეფისა და მისი უახლოესი მსახურების მეტ-ნაკლებად კერძო ინტერესები, რომელიც სოციალური შანსების გამოყენებისაკენ უბიძგებს. მაგრამ, ის რაც სხვადასხვა სოციალური ფუნქციების ინტერესთა ბრძოლაში ყალიბდება, არის საზოგადოების ინტეგრაციის ფორმა, რომელსაც ჩვენ „სახელმწიფოს“ ვუწოდებთ. საგადასახადო მონოპოლია, ფიზიკური ძალადობის მონოპოლიასთან ერთად, ორგანიზაციის ამ ფორმის ხერხემალს ქმნის. ამ გენეზისის, „სახელმწიფოს“ არსებობის გაგება შეუძლებელია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას (თუნდაც ეს ერთი ქვეყნის მაგალითზე იყოს), თუ როგორ წარმოიქმნება ნაბიჯ-ნაბიჯ, „სახელმწიფოს“ ერთ-ერთი ცენტრალური ინსტიტუტი, ურთიერთობათა დინამიკის, კერძოდ, ურთიერთობათა სტრუქტურების, სრულიად განსაზღვრული, ერთმანეთში გადაჯაჭვული ინტერესებისა და აქციების გარდაუვალობის საფუძველზე. აქაც, საზოგადოების ცენტრალური ორგანო— და ეს კარგად ჩანს ვენეციელთა მოხსენებებშიც— აქამდე არნახულ სტაბილურობასა და სიმტკიცეს იძენს, რადგან მის სრულუფლებიან მმართველს მთელი საზოგადოების მონეტიზაციის შედეგად აღარ სჭირდება სამსახურის გადასახდელად საკუთარი საკუთრების მარაგიდან მიწების გაცემა, მარაგიდან, რომელიც ექსპანსიური პროცესების გარეშე მეტ-ნაკლებად სწრაფად ამოინურებოდა, არამედ ის მხოლოდ ფულად თანხებს გასცემს მუდმივი შემოსავლებიდან. მაგრამ ფულის თავისებურება მოუხსნის მას იმ აუცილებლობასაც, რომელიც თავდაპირველად მიწის ნაკვეთებით ანაზღაურებიდან ფულად ანაზღაურებაში გადაიზარდა: ის მოუხსნის მას აუცილებლობას, სიცოცხლის მანძილზე და თანაც, მემკვიდრეობით გადაცემადი საკუთრებით გადაუხადოს სამსახურისათვის. ის შესაძლებელს ხდის ცალკეული ან რიგი სამსახურების ანაზღაურებას შესაბამისად დიდი, ერთჯერადი გადახდით, ჯილდოთი ან ხელფასით. აქ გვერდზე უნდა გადავდოთ ამ ცვლილების მზარდი და შორს გადამწვდომი შედეგები. ვენეციელი ელჩის გაოცება ნათლად აჩვენებს, რომ ადამიანებს ამ დროს სიახლედ წარმოუდგებათ დღეისათვის ყოველდღიური და თავისთავად ცხადი ჩვეულება. ამავე დროს ეს კომენტარები, რომელსაც ის აკეთებს, კიდევ ერთხელ ცხადად

წარმოაჩენს, რატომ ხდის შესაძლებელს სტაბილური ცენტრალური ორგანოს არსებობას მხოლოდ საზოგადოების მონეტიზაცია: ფულადი ანაზღაურება ყველა მასზე მიბმულ ადამიანს ცენტრზე ხანგრძლივ დამოკიდებულებაში ამყოფებს. მხოლოდ ახლა, ცენტრიდანული ტენდენციები სამუდამოდ შეიძლება იქნას დაძლეული.

ამ დიდი ურთიერთკავშირიდან უნდა გავიგოთ ისიც, თუ რა ემართება ამ დროს არისტოკრატიას: წინა ეპოქაში, როცა არისტოკრატია ძალზე ძლიერი იყო, მეფემ თავისი ძალაუფლება, როგორც ცენტრალური მმართველისა, ბურჟუაზიის სასარგებლოდ მიმართა. ასე იქცა მისი სახელისუფლო აპარატი ბურჟუაზიის ბასტიონად. რამდენადაც, ფინანსური კავშირებისა და სამხედრო ცენტრალიზაციის პროცესში მეომრები, ფეოდალები და არისტოკრატია მუდმივად დაღმასვლას განიცდიან, თავის ავტორიტეტს და შანსებს რომელიც მან უნდა გაანაწილოს, გარკვეულ საზღვრებში, მეფე კვლავ არისტოკრატიის სასარგებლოდ იყენებს. ის არისტოკრატიის ნაწილს აძლევს შესაძლებლობას, განაგრძოს არსებობა, როგორც ბურჟუაზიაზე აღმატებულმა ფენამ. ნელ-ნელა, სხვადასხვა ფენათა ელემენტების წინააღმდეგობის უნაყოფო მცდელობათა შემდეგ, რელიგიურ ომებში და მოგვიანებით „ფრონდეში", სასახლის კარის თანამდებობანი პრივილეგიად და ამით არისტოკრატიის ბასტიონად იქცევა. ამგვარად იცავენ მეფეები არისტოკრატიის უპირატესობას; ისინი ისე ანაწილებენ თავიანთ კეთილგანწყობას და მათ განკარგულებაში არსებულ ფულად შანსებს, რომ არისტოკრატიის დაკნინების შედეგად დამყარებული ბალანსი დაცული იქნას. მაგრამ ამით მაშინდელი, შედარებით თავისუფალი, მეომარი არისტოკრატი იქცევა არისტოკრატად, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილზე ცენტრალურ მმართველზეა დამოკიდებული და მის სამსახურში დგას. რაინდები კარისკაცები ხდებიან. და თუ დავსვამთ კითხვას, რა სოციალური ფუნქცია აქვთ სინამდვილეში ამ კარისკაცებს, პასუხიც აქაა. ჩვეულებრივ, ancien règime-ს კურტუაზიულ არისტოკრატიას ახასიათებენ, როგორც „უფუნქციო" ფენას. და ფაქტიურად, ამ არისტოკრატიას არც გააჩნდა არავითარი ფუნქცია შრომის დანაწილებისა და ამით მე-19, მე-20 საუკუნეებში შრომის დანაწილებაში ჩართული ნაციების აზრით. ancien règime-ს ფუნქციური ცირკულაცია სხვაგვარია. ის, არსებითად, იმითაა განსაზღვრული, რომ აქ ცენტრალური მმართველი დიდწილად ისევ სახელისუფლო მონოპოლიის პიროვნული მფლობელია და ჯერ კიდევ არ არსებობს სხვაობა ცენტრალურ ხელისუფალს, როგორც კერძო პიროვნებასა და ცენტრალურ ხელისუფალს, როგორც საზოგადოების ფუნქციონერს შორის. სასახლის კარის არისტოკრატიას არავითარი პირდაპირი ფუნქცია არ გააჩნია შრომის დანაწილების პროცესში, მაგრამ მას აქვს ფუნქცია მეფისათვის. ის მისი ხელისუფლების უცილობელ საყრდენს განეკუთვნება. ის საშუალებას აძლევს მეფეს დისტანცირება მოახდინოს ბურჟუაზიისაგან, ისევე როგორც ბურჟუაზია უქმნის მას

არისტოკრატიისაგან დისტანცირების შესაძლებლობას. არისტოკრატია საზოგადოებაში ბურჟუაზიას აწონასწორებს. ეს მეფისათვის, სხვათა შორის, მისი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა. არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას შორის დაძაბულობის გარეშე, ფენათა ამ ხაზგასმული განსხვავების გარეშე, მეფე დაკარგავდა თავისი ძალაუფლების დიდ ნაწილს. სამეფო კარის არისტოკრატიის არსებობა სინამდვილეში იმის გამოხატულებაა, რამდენადაა აქ ჯერ კიდევ, სახელისუფლო მონოპოლია ცენტრალურ მმართველთა კერძო საკუთრება, რამდენად შეიძლება ცენტრალური ფუნქციის განსაკუთრებული ინტერესის შესაბამისად განაწილდეს ქვეყნის შემოსავლები. ეს შესაძლებლობა ქვეყნის შემოსავლების ერთგვარი გეგმაზომიერი განაწილებისა, უკვე მოცემულია მათი მონოპოლიზაციით. მაგრამ აქ დაგეგმვის ეს შესაძლებლობა დაღმავალი ფენებისა და ფუნქციების შესანარჩუნებლადაც იქნება გამოყენებული. ეს რაც ამ ყველაფერით მოგვეცემა, აბსოლუტისტური საზოგადოების სტრუქტურის ნათელი სურათია: ფრანგული ancien règime-ს საერო საზოგადოება, უფრო გამოკვეთილად, ვიდრე მე-19 საუკუნისა, შედგება ორი სექტორისაგან, ერთი დიდი პროვინციულ-აგრარულისა და მეორე, მცირე, მაგრამ ეკონომიკურად სულ უფრო ძლიერი, ქალაქურ- ბურჟუაზიულისაგან. ორივეში არსებობს ქვედა ფენა, აქ, ქალაქის ღარიბთა, ქარგალთა და მუშების ფენა, იქ კი — გლეხებისა. ორივე მათგანში არსებობს დაბალი საშუალო ფენა, აქ წვრილი ხელოსნებისა და ყველაზე დაბალი მოხელეებისა და იქ კი — შედარებით ღარიბი სოფლის არისტოკრატიისა, რომელიც პროვინციულ მხარეებში ცხოვრობს. ორივეში არსებობს დაწინაურებული საშუალო ფენა, აქ — დალხინებული და მდიდარი ვაჭრებისა, ქალაქის მაღალი ფენისა და პროვინციაში თავად უმაღლესი სასამართლო და ადმინისტრაციული მოხელეობისა, იქ კი — კეთილდღეობაში მცხოვრები სოფლის და პროვინციის არისტოკრატიისა. და ბოლოს, ორივე ფენაში არსებობს უმაღლესი წრეები, რომლებიც სასახლის კარამდე აღწევენ, აქ უმაღლესი მოხელეობა, noblesse de robe, იქ — კურტუაზი არისტოკრატი, noblesse d'épée-ს უმაღლესი მწვერვალი. მეფე დიდი რუდუნებით ინარჩუნებს წონასწორობას დაძაბულობაში ამ სექტორთა შიგნით და თავად მათ შორის. ეს დაძაბულობა გართულებლია ორივე სექტორის დაძაბულობითა და კავშირებით შესაბამისად დაყოფილ სასულიერო წოდებასთან. მეფე იცავს არისტოკრატიის პრივილეგიებს და სოციალურ ძლიერებას, ბიუროკრატიული ჯგუფების მზარდ, ეკონომიკურ ძლიერებასთან მიმართებაში. და როგორც ითქვა, სოციალური პროდუქტის ნაწილს, რომელიც მას ფინანსურ მონოპოლიაზე გამგებლობის წყალობით შეუძლია გაანაწილოს, უშუალოდ არისტოკრატიის უმაღლესი წრეების უზრუნველსაყოფად იყენებს. თუ რევოლუციამდე ცოტა ხნით ადრე, მას შემდეგ, რაც რეფორმის

ყველა მცდელობა ჩაიშალა, ოპოზიციური ბურჯუაზიული ჯგუფების ლოზუნგებით წინა პლანზე არისტოკრატთა პრივილეგიების გაუქმების მოთხოვნა გამოდის, მასში ასევე უშუალოდაა მოცემული საგადასახადო მონოპლიისა და საგადასახადო შენატანების სხვა-გვარი გამოყენების მოთხოვნაც. არისტოკრატიული პრივილეგიების გაუქმება, ერთი მხრივ, ნიშნავს: არისტოკრატთა გადასახადებისაგან გათავისუფლების მოხსნას, ე. ი. საგადასახადო ტვირთის სხვაგვარად განაწილებას და მეორეს მხრივ, სასახლის კარის ბევრი თანამდებობის გაუქმებას ან შემცირებას, განადგურებას ახალი, პროფესიული ბურჯუაზიის თვალთახედვით უსარგებლო და უფუნქციო არისტო-კრატიისა და ამით, საგადასახადო შენატანების სხვაგვარად განაწილებას — მაშასადამე, არა მეფის შეხედულებისამებრ, არამედ ფუნქციური დანაწილების მქონე სოციალური მთელიდან გამომდინარე, ე.ი. სულ მცირე, თვით ბურჯუაზიის მაღალი წრეების აზრით მაინც. და ბოლოს, არისტოკრატიის პრივილეგიათა გაუქმება ნიშნავს ცენტრალური მმართველის აქამდელი პოზიციის გაუქმებას, როგორც ორივე ფენას შორის წონასწორობის დამცველისა მათი არსებული რანგობრივი იერარქიის მიხედვით. ფაქტობრივად, შემდგომი პერიოდის ცენტრალური მმართველები დაძაბულობის სხვა ქსელს ეყრდნობიან. ამ ქსელს და შესაბამისად, მათ ფუნქციასაც სხვა ხასიათი აქვს. მხოლოდ ერთი რჩება უცვლელი: დაძაბულობის ღერძის ამ სხვაგვარი სტრუქტურის შემთხვევაშიც, ცენტრალური ინსტი-ტუტების ძალაუფლების სისრულე ნაწილობრივ შეზღუდულია მანამ, სანამ დაძაბულობა მეტისმეტად არ გაიზრდება და სანამ დაძაბულობის ქსელის წარმომადგენელთა შორის, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, შესაძლებელია მუდმივი უშუალო გაგება. და ძალაუფლება იმ ფაზაში, რომელშიც დაძაბულობანი მატულობს, იზრდება მანამ, სანამ მოქიშპე ჯგუფებიდან ერთ-ერთი გადამწყვეტ უპირატესობას არ მიაღწევს.

შ ე ჯ ა მ ე ბ ა

ცივილიზაციის თეორიის მონახაზი

საზოგადოებრივი იძულება თვითიძულებისაკენ

1. რა მიმართებაშია „ცივილიზაციასთან“ ისეთი ფენომენები, როგორიცაა საზოგადოების „სახელმწიფოს“ ფორმით ორგანიზება, დიდ რეგიონებში გადასახადებისა და ფიზიკური ძალადობის მონოპოლიზაცია და ცენტრალიზაცია?

ცივილიზაციის პროცესზე დამკვირვებელი აქ პრობლემათა გროვის წინაშე აღმოჩნდება. თუ მათგან რამდენიმე უმნიშვნელოვანეს პრობლემას გვერდზე გადავდებთ, დასაწყისისათვის დაგვრჩება ზოგადი საკითხი: ჩვენ ვხედავთ და ეს ამ ნაშრომის პირველ ტომში წარმოდგენილი სპეციფიკური თვალსაჩინო მასალის საფუძველზეც იქნა ნაჩვენები, რომ ცივილიზაციის პროცესი ადამიანის ქცევათა და აღქმათა სრულიად განსაზღვრული მიმართულებით გარდაქმნას წარმოადგენს. მაგრამ აშკარაა, რომ წარსულ დროში ცალკეულ ადამიანებს ეს „ცივილიზაცია“არასოდეს, ერთხელაც კი არ განუხორციელებიათ ეს ცვლილება, განზრახ, სრულიად ცნობიერად და „რაციონალურად“, მიზნის შესატყვის ღონისძიებებათა საშუალებით. აშკარაა, რომ „ცივილიზაცია“ ზუსტად ისევე ნაკლებადაა ადამიანური „რაციოს“ პროდუქტი და შორეულ პერსპექტივაზე გათვლილი დაგეგმვის შედეგი, როგორც რაციონალიზაცია. როგორ შეიძლებოდა იმის მოაზრება, რომ თანდათანობით „რაციონალიზაციას“ საუკუნეებით ადრე, საფუძვლად უდევს უკვე ამ სახით არსებული, „რაციონალური“ ქცევა და გეგმები? შეიძლებოდა თუ არა გვეფიქრა, რომ რომ ცივილიზაციის პროცესს საწყისი დაუდეს პერსპექტიული ხედვის მქონე ადამიანებმა, რომელთაც შესწევდათ უნარი რეგულარულად დაეძლიათ ყოველგვარი წამიერი აფექტები, მით უფრო, რომ ამგვარი დაძლევა თავად გულისხმობს ცივილიზაციის ხანგრძლივ პროცესს, როგორც წინაპირობას?

სინამდვილეში, ისტორიაში არაფერი მიუთითებს იმაზე, რომ ეს ცვლილება „რაციონალურად“, ცალკეულ ადამიანთა ან მათი ცალკეული ჯგუფების, თითქოსდა, მიზანმიმართული აღზრდის შედეგად განხორციელდა. ის, როგორც მთელი, დაუგეგმავად ხორციელდება; მაგრამ ის არ მიმდინარეობს ყოველგვარი წესრიგის გარეშე. ზემოთ უფრო დაწვრილებით იქნა აღწერილი, როგორ გადადის სხვადასხვა მხრიდან გარეგანი იძულება თვითიძულებაში, როგორ გადაინაცვლებს ადამიანის ფიზიოლოგიური მოქმედებანი საზოგადოებრივი ცხოვრების კულისებში უფრო და უფრო დიფერენცირებული ფორმით და როგორ დაიფარება ისინი სირცხვილის გრძნობით, როგორ ხდება მთელი ლტოლვითი და აფექტური ცხოვრების რეგულირება სულ უფრო ყოვლისმომცველი, თანაბარზომიერი და სტაბილური, მუდმივი თვითკონტროლის საშუალებით. ყველაფერი ეს, ცხადია, არ დაიყვანება რაციონალურ *იდეაზე*, რომლის კონტურები საუკუნეთა წინ, ოდესღაც ცალკეულმა ადამიანებმა

მოხაზეს და შემდგომ თაობიდან თაობას გადაეცემოდა, როგორც მოქმედების აზრი და სურვილის მიზანი, სანამ საბოლოოდ „პროგრესის საუკუნეში“ ეს იდეა მთლიანად არ განამდვილდა; მაგრამ ეს ტრანსფორმაცია მაინც არა არის სტრუქტურას მოკლებული და ქაოტური ცვლილება.

ის საკითხი, რომელიც აქ ცივილიზაციის პროცესის თვალსაზრისით წამოიჭრება, სხვა არაფერია თუ არა სოციალური გარდაქმნის ზოგადი პრობლემა: ეს გარდაქმნა, როგორც მთელი, არ არის „რაციონალურად“ დაგეგმილი; მაგრამ ის არც უწესრიგო ფორმების მარტოოდენ წესებს მოკლებული გაჩენა და გაქრობაა. როგორ არის ეს შესაძლებელი? როგორ მივდივართ ადამიანთა ამ სამყაროში იმ წარმონაქმნებამდე, რომლებიც არცერთი ცალკეული ადამიანის განზრახვით არ შექმნილა და მიუხედავად ამისა, სულაც არ წარმოადგენენ რაღაც ღრუბლის მსგავს ქმნილებებს, სიმყარის, აგებულებისა და სტრუქტურის გარეშე?

წინამდებარე გამოკვლევაში და განსაკუთრებით მის იმ ნაწილებში, რომლებიც სოციალურ მექანიკას ეხება, ნაცადია გარკვეულ პასუხი გაეცეს ამ კითხვებს. ის საკმაოდ მარტივია: ცალკეულ ადამიანთა გეგმები და მოქმედებები, ემოციური და რაციონალური სწრაფვები, მუდმივად კეთილგანწყობილად ან მტრულად გადაეხლართება ერთმანეთს. *ცალკეული, ადამიანური გეგმებისა და მოქმედებების ამ ფუნდამენტურმა გადაჯაჭვულობამ შეიძლება განაპირობოს ცვლილებანი და წარმონაქმნები, რომლებიც არცერთ ცალკეულ ადამიანს არ დაუგეგმავს და არ შეუქმნია. მისგან, ადამიანთა ინტერდეპენდენციისაგან, ყალიბდება სრულიად სპეციფიკური სახის წესრიგი, რომელიც უფრო მაიძულებელი და უფრო ძლიერია, ვიდრე იმ ცალკეულ ადამიანთა ნება და გონება, რომლებიც მას ქმნიან*[129]. სწორედ გადაჯაჭვულობის ეს წესრიგი არის ის, რაც ისტორიული ცვლილების მიმდინარეობას განსაზღვრავს; სწორედ, ის უდევს საფუძვლად ცივილიზაციის პროცესს.

ეს წესრიგი არც „რაციონალურია“, თუ „რაციონალურის“ ქვეშ იმას გავიგებთ, რაც ცალკეულ ადამიანთა მიზანმიმართულ განაზრებათა მექანიზმის საშუალებითაა წარმოქმნილი და არც „ირაციონალური“, თუ „ირაციონალურის“ ქვეშ მიუწვდომელი გზით აღმოცენებულს მოვიაზრებთ; გარკვეულ შემთხვევაში, ის ცალკეულ ადამიანთათვის „ბუნების“ წესრიგს უიგივდება; ჰეგელისა და სხვათა მიერ ის ინტერპრეტირებულია, როგორც ზეინდივიდუალური „გონის“ გარკვეული სახე. ჰეგელის წარმოდგენა *„იდეის ეშმაკობის“* შესახებ აჩვენებს, თუ როგორ იყო ის იმ რეალობით დაინტერესებული, რომ ადამიანთა მთელი გეგმებისა და მოქმედებების საფუძველზე ჩნდება ბევრი რამ, რომელიც სინამდვილეში, თავის საქმიანობისას არცერთ მათგანს არ განუზრახავს. მაგრამ აზროვნებით ჩვევებზე მითითება, რომლებიც იმისაკენ გვიბიძგებენ, რომ განვსაზღვროთ ისეთი ალტერნატივები, როგორიცაა „რაციონალური“ და „ირაციონალური“,

„ბუნება“ და „გონი“, აქ არასაკმარისი ჩანს. ამ თვალსაზრისითაც, სინამდვილე მთლად ისე არაა აგებული, როგორც ამაში განსაზღვრული სტანდარტის ცნებით აპარატს სურს დაგვარწმუნოს, რომელმაც ცხადია, თავის დროზე კარგი სამსახური გასწია, როგორც კომპასმა უცნობ სამყაროში. *სოციალური გადაჯაჭვულობის გამოვლინებათა ეს საკუთარი კანონზომიერება არც „გონის“, ინდივიდუალური აზროვნებისა და გეგმების კანონზომიერების იდენტურია და არც იმ ფენომენის კანონზომიერებისა, რასაც ჩვენ „ბუნებას“ ვუწოდებთ, მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილის ყველა ეს სხვადასხვა განზომილება ფუნქციონალურად განუყოფლად უკავშირდება ერთმანეთს.* მაგრამ ეს ზოგადი მითითება სოციალური გადაჯაჭვულობის გამოვლინებებზე მხოლოდ ნაკლებად თუ უწყობს ხელს ასეთ მოვლენათა გაგებას. ის ცარიელი და გაუგებარი რჩება, თუ ამავე დროს, უშუალოდ თვით გადაჯაჭვულობის კონკრეტულ მექანიზმებს და ამით ამ კანონზომიერების მოქმედებას არ ვაჩვენებთ განსაზღვრულ, ისტორიულ ცვლილებებთან მიმართებაში. სწორედ ეს განეკუთვნება იმ ამოცანებს, რომელთაც ამ წიგნის მესამე თავი ეძღვნება. ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, გადაჯაჭვულობის, ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულების რა ტიპი დაუდებს საწყისს, მაგალითად, ფეოდალიზაციის პროცესს. აქ ნაჩვენები იქნა, როგორ განაწყობს კონკურენტული სიტუაციის იძულება მთელ რიგ ფეოდალებს ერთმანეთის წინააღმდეგ, როგორ ვიწროვდება თანდათან კონკურენტთა წრე, როგორ მივყავართ ამას ერთ-ერთი მათგანის მონოპოლიურ მდგომარეობამდე და საბოლოოდ, გადაჯაჭვულობის სხვა მექანიზმებთან კავშირში, აბსოლუტისტური სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე. ადამიანურ ურთიერთობათა მთელ ამ ხელახალ ორგანიზებას, რა თქმა უნდა, თავისი პირდაპირი მნიშვნელობა აქვს ადამიანური ჰაბიტუსის იმ ცვლილებებისათვის, რომელთა აქამდელი შედეგია „ცივილიზებული“ ქცევისა და აღქმათა ჩვენეული ფორმა; ადამიანურ ურთიერთობათა სტრუქტურაში ამ სპეციფიკურ ტრანსფორმაციებსა და ფსიქიკური ჰაბიტუსის სტრუქტურაში შესაბამის ცვლილებებს შორის მიმართების თაობაზე კიდევ იქნება საუბარი. მაგრამ უფრო ზოგადად, ამ გადაჭვულობის მექანიზმების მიმოხილვა მნიშვნელოვანია თვით ცივილიზაციის პროცესის გასაგებად: მხოლოდ მაშინ, როცა დავინახავთ, რამდენად დიდი გარდაუვალობით უბიძგებს საზოგადოების განსაზღვრული სტრუქტურა, სოციალური გადაჯაჭვულობის განსაზღვრული ფორმა, თავიანთი დაძაბულობების მეშვეობით სპეციფიკური გარდაქმნებისა და ამით გადაჯაჭვულობის ახალი ფორმებისაკენ[130], მხოლოდ მაშინ შევძლებთ გავიგოთ, როგორ ხორციელდება ადამიანური ჰაბიტუსის ის ცვლილებები და ტრანსფორმაციები პლასტიკური, ფსიქიკური აპარატის მოდელირებაში, რომელთაც კაცობრიობის ისტორიაში ისევ და ისევ შეიძლება დავაკვირდეთ უძველესი ეპოქიდან დღევანდელ დღემდე. და ამგვარად, მხოლოდ მაშინ შეგვიძლია გავიგოთ, რომ

ფსიქიკური ჰაბიტუსის ცვლილებას, ცივილიზაციის აზრით, სრულიად გარკვეული მიმართულება და წესრიგი ახასიათებს, თუმცა ის ცალკეულ ადამიანთა მიერ არ არის დაგეგმილი და „გონივრულ", მიზანშეწონილ ღონისძიებათა გზით არ ხორციელდება. ცივილიზაცია ისევე არ არის რაიმე „გონივრული", რაიმე „რაციონალური", როგორც „ირაციონალური"[13]. ის ბრმად იწყებს მოძრაობას და ამ მოძრაობას განაგრძობს ურთიერთობათა ქსელის საკუთარი დინამიკის, ადამიანთა თანაცხოვრების ტიპის სპეციფიკური ცვლილებების მეშვეობით. მაგრამ ამით გამორიცხული არ არის, რომ ჩვენ მისგან „უფრო გონივრული", ჩვენი მოთხოვნილებისა და მიზნების აზრით, უკეთ ფუნქციონირებადი რამ გამოვიყვანოთ. რადგან სწორედ ცივილიზაციის პროცესთან კავშირში ბრმა თამაში, თავად აძლევს გადაჯაჭვულობის მექანიზმებს ნელ-ნელა უფრო მეტ სამოქმედო სივრცეს გადაჯაჭვულობის ქსოვილში გეგმაზომიერი ჩარევისათვის და ფსიქიკურ ჰაბიტუსს მათ დაუგეგმავთ კანონზომიერების ცოდნით ოპერირებისათვის.

მაგრამ ადამიანთა თანაცხოვრების ტიპის რომელი სპეციფიკური ცვლილებები ახდენს ადამიანთა პლასტიკური, ფსიქიკური აპარატის მოდელირებას სწორედ „ცივილიზაციის" აზრით? ამ კითხვაზე პირველი, ზოგადი პასუხიც ადვილია იმის საფუძველზე, რაც მანამ დასავლური საზოგადოების ტრანსფორმაციათა შესახებ ითქვა: უძველესი დროიდან მოყოლებული დღემდე ხდება სოციალურ ფუნქციათა სულ უფრო მეტი დიფერენცირება ძლიერი კონკურენტული ზეწოლის ქვეშ. რაც უფრო მეტად დიფერენცირდებიან ისინი, მით უფრო იზრდება ფუნქციათა და ამით, ადამიანთა რიცხვი, რომლებზედაც მუდმივადაა დამოკიდებული ცალკეული ინდივიდი თავისი ყოველი მოქმედებისას, იქნება ეს უმარტივესი და ყოველდღიური, თუ უფრო რთული და იშვიათი საქმეები. სულ უფრო მეტი ადამიანის ქცევა უნდა იყოს ერთმანეთთან შეთანხმებული და აქციათა ქსელი სულ უფრო ზუსტად და მკაცრად ორგანიზებული, რათა ცალკეულმა მოქმედებამ მასში სოციალური ფუნქციის შესრულება შეძლოს. ინდივიდს აიძულებენ, თავისი ქცევა უფრო და უფრო დიფერენცირებულად, თანაბარზომიერად და სტაბილურად არეგულიროს. ის, რომ აქ საქმე სრულიადაც არ ეხება მხოლოდ ცნობიერ რეგულირებას, უკვე იყო ხაზგასმული. ცივილიზაციის პროცესში, ფსიქიკური აპარატის ცვლილებისათვის სწორედ ისაა მახასიათებელი, რომ ცალკეულ ადამიანში პატარაობიდანვე ხდება ქცევის უფრო დიფერენცირებული და სტაბილური მოწესრიგების კულტივირება, ავტომატიზმის, თვითიძულების სახით, რომელთა იგნორირება მას არ შეუძლია, თუნდაც ეს ცნობიერად სურდეს. მოქმედებათა ქსელი ისე რთულდება და ფართოვდება, დაძაბულობა, რომელიც მოითხოვს ამ ქსელის შიგნით „სწორად" მოვიქცეთ, იმდენად იზრდება, რომ ცალკეულ ადამიანში ცნობიერი თვითკონტროლის გვერდით, ამავე დროს, ფეხს იკიდებს ავტომატურად და

ბრმად მომუშავე თვითონტროლის აპარატი, რომელიც ცდილობს მძიმე შიშების მავთულხლართების საშუალებით თავიდან აიცილოს ცდომილებანი საზოგადოებრივი ქცევის თვალსაზრისით. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ჩვეულებისამებრ და ბრმად ფუნქციონირებს, ამგვარი ცდომილებები საკმაოდ ხშირად, შემოვლითი გზით, სოციალური რეალობის საწინააღმდეგოდ გვიბიძგებს. მაგრამ ცნობიერად თუ არაცნობიერად, ქცევის ამ გარდაქმნის მიმართულება, მთელი, ფსიქიკური აპარატის სულ უფრო მეტი მოწესრიგების აზრით, განსაზღვრულია სოციალური დიფერენციირების მიმართულებით, ფუნქციათა პროგრესირებადი დანანილებით და ინტერდეპენდენტური ჯაჭვების გაფართოებით, რომელშიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ ჩაერთვება ცალკეული ადამიანის ყოველი სწრაფვა, ყოველი გამოხატულება.

თუ მარტივ სურათს ვეძებთ, რათა თვალსაჩინო გავხადოთ ცალკეული ადამიანის ნაკლებად დიფერენცირებულ და მეტად დიფერენცირებული საზოგადოებათა შიგნით გადაჯაჭვულობის სხვაობა, მაშინ, შეიძლება, მოვიყვანოთ გზებისა და ქუჩების მაგალითი ერთი და მეორე სახის საზოგადოებაში. გარკვეულწილად, ისინი სოციალური გადაჯაჭვულობის სივრცობრივ ფუნქციებს წარმოადგენენ, რომელიც აღარ გამოიხატება ოთხგანზომილებიანი კონტინუუმიდან მიღებული ცნებითი აპარატის საშუალებით. შეიძლება გავიხსენოთ მარტივი, მეომართა ნატურალური მეურნეობის მქონე საზოგადოების ოღროჩოღრო, მოკირწყლული, წვიმისა და ქარისაგან გატიალებული სოფლის გზები. აქ, მოძრაობა, გამონაკლისის გარდა, ძალზე იშვიათია; ძირითად საფრთხეს, რასაც აქ ერთი ადამიანი მეორისათვის წარმოადგენს, საბრძოლო ან მძარცველური თავდასხმის ფორმა აქვს. თუ ადამიანები გარშემო მიმოიხედავენ, თვალით ჩხრეკენ ხეებსა და გორაკებს, ან ქუჩის გასწვრივაც კი იხედებიან, პირველ რიგში, ეს იმითაა განპირობებული, რომ ისინი ყოველთვის მოელიან, რომ ვინმე იარაღით ხელში თავს დაესხმის მათ. მეორე და მესამე რიგში ეს იმითაა განსაზღვრული, რომ ისინი ფიქრობენ: უნდა დაუთმონ თუ არა ვინმეს გზა. ამ საზოგადოებაში დიდ გზებზე ცხოვრება ბრძოლისათვის მუდმივ მზადყოფნას და საკუთარი სიცოცხლისა და საკუთრების ფიზიკური ძალადობისაგან თავგამეტებით დაცვას მოითხოვს. ჩვენი დროის დიფერენცირებული საზოგადოების დიდი ქალაქების ძირითად მაგისტრალებზე ცხოვრება ფსიქიკური აპარატის სულ სხვა მოდელირებას საჭიროებს. აქ მინიუმუმამდეა შემცირებული მძარცველური თუ საომარი თავდასხმის საფრთხე. ავტომობილები მიიჩქარიან აქეთ-იქით; ფეხითა და ველოსიპედით მოსიარულენი ცდილობენ მანქანების ზედახორაში გაიკვლიონ გზა; დიდ გზაჯვარედინებზე დგას პატრული, რათა მეტ-ნაკლები წარმატებით არეგულიროს მოძრაობა. მაგრამ ეს გარეგნული რეგულირება იმას ეფუძნება, რომ ყოველი ცალკეული ადამიანი *თავადვე* აწესრიგებს უზუსტესად საკუთარ ქცევას ამ

გადაჯაჭვულობების აუცილებლობათა შესაბამისად. მთავარი საფრთხე, რასაც აქ ერთი ადამიანი მეორესათვის ქმნის, იმისაგან წარმოიქმნება, რომ ამ გაცხოველებულ მოძრაობაში ვიღაც თვითკონ-ტროლს კარგავს. აუცილებელია გამუდმებული თვითკონტროლი, ქცევის უკიდურესად დიფერენცირებული თვითრეგულირება, რათა ცალკეულმა ამ მოძრაობაში გზის გაკვლევა შეძლოს. საკმარისია, დაძაბულობა, რომელიც ამ მუდმივ თვითრეგულირებას მოითხოვს, ერთი ინდივიდისათვის მეტისმეტად გაიზარდოს, რომ ისიც და სხვებიც სიკვდილის საფრთხის წინაშე აღმოჩნდებიან.

ცხადია, ეს მხოლოდ სურათია. აქციათა ჯაჭვების ქსელი, რომელშიც ამ დიფერენცირებული საზოგადოების შიგნით განხორცი-ელებული ყოველი ცალკეული მოქმედება ერთმანეთს გადაეჯაჭვება, ბევრად უფრო რთულია, თვითკონტროლი, რომელსაც აქ მცხოვრები ადამიანი პატარაობიდანვე შეითვისებს და ბევრად უფრო ღრმადაა ფესვგადგმული, ვიდრე ეს მაგალითი ამის დანახვის საშუალებას იძლევა. მაგრამ ის, სულ ცოტა, გვიქმნის შთაბეჭდილებას, რა დამოკიდებულებაშია თვითიძულებათა უწყვეტობა და დიფერენ-ცირებულობა, რაც ასე ძლიერად აღიბეჭდება „ცივილიზებული" ადამიანის ფსიქიკურ ჰაბიტუსზე, სოციალური ფუნქციების დიფერენცირებულობასთან და ქმედებათა მრავალფეროვნებასთან, რომლებიც აქ ყოველთვის უნდა ეთანხმებოდეს ერთმანეთს.

თვითიძულებათა სქემა, ლტოლვათა მოდელირების შაბლონები, მართლაც, განსხვავებულია ფუნქციათა ამ ქსელში ცალკეულის ადგილის მიხედვით. და დღესაც, დასავლური საზოგადოების სხვა-დასხვა სექტორებში არსებობს თვითიძულების აპარატის სიძლიერისა და სტაბილურობის სხვადასხვა საფეხურები, რომლებიც საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდება, თუ მათ კარგად დავაკვირდებით. აქ ცალკეულ საკითხთა მთელი სიმრავლე იჩენს თავს. მათზე პასუხის გასაცემადაც, შეიძლება, სოციოგენეტიკურმა მეთოდმა გაგვიხსნას გზა. ნაკლებად დიფერენცირებული საზოგადოებების ადამიანთა ჰაბიტუსთან შედარებისას ეს განსხვავებანი დიფერენცირებულ საზოგადოებათა შიგნით, თავისი მნიშვნელობით უკანა პლანზე გადაინაცვლებს და კიდევ უფრო ნათელ და მკვეთრ კონტურებში გამოვლინდება ტრანსფორმაციის დიდი ხაზი, რომელზედაც აქ პირველ რიგში გავამახვილებთ ყურადღებას: სოციალური ქსელის დიფერენცირებასთან ერთად, სოციოგენური, ფსიქიკური თვითკონ-ტროლის აპარატიც უფრო დიფერენცირებული, ყოველმხრივი და სტაბილური ხდება.

მაგრამ, სოციალური ფუნქციების პროგრესირებადი დიფერენ-ცირება მხოლოდ პირველი და ყველაზე ზოგადია სოციალურ ტრანს-ფორმაციათაგან, რომელიც მკვლევარს თვალში მოხვდება, როცა ის კითხვას დასვამს, „ცივილიზაციის" აზრით ფსიქიკური ჰაბიტუსის ცვლილების შესახებ. ამ პროგრესირებადი ფუნქციური დანაწილების პარალელურად ხორციელდება სოციალური ქსელის ტოტალური

ხელახალი ორგანიზება. ზემოთ დაწვრილებით იქნა ნაჩვენები იმის მიზეზები, თუ რატომ ხდება, რომ ნაკლები ფუნქციური დანაწილების მქონე საზოგადოებაში ცენტრალური ორგანოები, განსაზღვრული სიდიდის საზოგადოებებთან შედარებით, არასტაბილურია და ადვილად ნადგურდება; ასევე ნაჩვენები იყო, თუ როგორ გამოეცლება თანდათან ურთიერთობათა გარდაუვალობის განსაზღვრული მექანიზმის საშუალებით ძალა ცენტრიდანულ ტენდენციებს, ფეოდალიზების მექანიზმებს და როგორ ყალიბდება ნაბიჯ-ნაბიჯ სტაბილური ცენტრალური ორგანოები, ფიზიკური ძალადობის უფრო მყარი მონოპოლიური ინსტიტუტები. ფსიქიკური თვითიძულების აპარატის თავისებური სტაბილურობა, რომელიც ყოველი „ცივილიზებული" ადამიანის ჰაბიტუსში უმნიშვნელოვანესი პროცესის სახით წინა პლანზე გამოდის, უმჭიდროეს კავშირშია ფიზიკური ძალადობის მონოპოლიური ინსტიტუტების წარმოქმნასა და ცენტრალური სოციალური ორგანოების მზარდ სტაბილურობასთან. პირველად, მხოლოდ ამგვარი სტაბილური, მონოპოლიური ინსტიტუტების ჩამოყალიბებით იქმნება ის სოციალური ფორმირების აპარატი, რომელიც ცალკეულ ადამიანს პატარაობიდანვე აჩვევს გამუდმებულ და ზუსტად დარეგულირებულ თავდაჭერას; პირველად, მხოლოდ ამასთან კავშირში იქმნება ინდივიდში უფრო სტაბილური, დიდწილად ავტომატურად მომუშავე თვითკონტროლის აპარატი.

როცა ძალისმიერი მონოპოლია ყალიბდება, აღმოცენდება მშვიდობიანი სივრცეები, სოციალური ველები, რომლებიც, ჩვეულებრივ, თავისუფალია ძალადობისაგან. ის იძულებანი, რომლებიც მათ შიგნით ცალკეულ ადამინზე ზემოქმედებს, უწინდელთან შედარებით სხვაგვარია. ძალადობის ფორმები, რომლებიც ყოველთვის არსებობდა, მაგრამ რომლებსაც აქამდე მხოლოდ ფიზიკურ ძალადობასთან შერეული ან შერწყმული სახით ჰქონდათ სიმყარე, გამოეყოფა მათ; ისინი თავისთვის და შესაბამისად შეცვლილ ფორმაში, მშვიდობიან სივრცეებში უკანა პლანზე რჩებიან; დღევანდელობის სტანდარტული ცნობიერებისათვის ისინი ყველაზე თვალსაჩინოდ ეკონომიკური ძალადობის, ეკონომიკური იძულებების საშუალებით განსხეულდებიან; სინამდვილეში, როცა ფიზიკური ძალადობა ნელ-ნელა საზოგადოებრივი ყოველდღიურობის სცენიდან კულისებში გადაინაცვლებს და მხოლოდ გაშუალებული ფორმით თანამონაწილეობს ჩვეულებათა კულტივირების საქმეში, ადამიანურ სივრცეებში შემოინახება სხვადასხვაგვარი სახის ძალადობისა თუ იძულების ნარევი.

ზოგადად, ამ მიმართულებით იცვლება ადამიანთა ქცევები და აფექტური სამყარო, როცა ადამიანურ ურთიერთობათა სტრუქტურა აღწერილი მეთოდით გარდაიქმნება: საზოგადოებანი სტაბილური ძალისმიერი მონოპოლიის გარეშე, ამავე დროს, წარმოადგენს საზოგადოებებს, რომლებშიც ფუნქციური დანაწილება შედარებით ნაკლებია და მოქმედებათა ჯაჭვები, რომლებიც ინდივიდებს აკავშირებს, შედარებით მოკლე. პირიქით: სტაბილური ძალისმიერი

მონოპოლიის მქონე საზოგადოებები, რომლებიც თავდაპირველად დასაწყისში დიდი თავადების სასახლეთა და სამეფო კარის სახით განსხეულდებიან, არის საზოგადოებანი, რომლებშიც ფუნქციური დანაწილება მეტ-ნაკლებად გაფართოებულია, მოქმედებათა ჯაჭვები, რომლებიც ინდივიდებს ერთმანეთთან აკავშირებს უფრო გრძელია და ერთი ადამიანის მეორეზე დამოკიდებულება — უფრო ძლიერი. აქ ინდივიდი უფრო მეტადაა დაცული უეცარი თავდასხმისაგან, ფიზიკური ძალადობის შოკისმომგვრელი შემოჭრისაგან; მაგრამ ის ამავე დროს, იძულებულია შეიკაოს საკუთარ ვნებათა ამოფრქვევა, მღელვარება, რომელიც მას სხვაზე ფიზიკური თავდასხმისაკენ უბიძგებს. იძულების სხვა ფორმები, რომლებიც მშვიდობიან სივრცეებში ბატონობს, იმავე მიმართულებით ახდენენ ცალკეული ადამიანის ქცევისა და აფექტთა გამოხატვის მოდელირებას. რაც უფრო მჭიდრო ხდება ინტერდეპენდენტური ქსელი, რომელშიც გაბმულია ინდივიდი პროგრესირებადი ფუნქციური დანაწილების შედეგად, რაც უფრო იზრდება ადამიანური სივრცეები, რომლებზედაც ეს ქსელია გადაჭიმული და რომლებიც ამ კავშირებით (იქნება ეს ფუნქციონალური თუ ინსტიტუციონალური) ერთიანდებიან, მით უფრო მეტი საფრთხე ემუქრება იმ ინდივიდის სოციალურ ექსისტენცს, რომელიც სპონტანურ მღელვარებას და ვნებებს ემორჩილება; მით უფრო მეტი უპირატესობა გააჩნია სოციალური თვალსაზრისით მას, ვისაც თავისი აფექტების ჩახშობა შეუძლია; მით უფრო მეტად უბიძგებენ ყოველ ინდივიდს პატარაობიდანვე იმისაკენ, რომ გათვალოს საკუთარი და სხვათა ქმედებების გავლენა, რომელიც მოქმედებათა ჯაჭვების მთელ რიგ რგოლებს გადასწვდება. სპონტანურ მღელვარებათა ჩაქრობა, აფექტების შეკავება, აზროვნების ველის გაფართოება კონკრეტული მომენტიდან წარსულის მიზეზებისა და სამომავლო შედეგების ჯაჭვებამდე ქცევის იმავე, სწორედ იმ ცვლილების სხვადასხვა ასპექტებს წარმოადგენს, რომელიც აუცილებლობით ხორციელდება ფიზიკური ძალადობის მონოპოლიზებასთან, მოქმედებათა ჯაჭვების და სოციალურ სივრცეებში ინტერდეპენდენცის გაფართოებასთან ერთად. ეს არის ქცევის ცვლილება „ცივილიზაციის“ აზრით.

ამის ერთი მაგალითია არისტოკრატთა გადაქცევა რაინდთა ფენიდან კარისკაცთა ფენად. იქ, იმ სივრცეებში, სადაც ძალადობა გარდაუვალი და ყოველდღიური მოვლენაა და რომლებშიც ინდივიდთა დამოკიდებულების ჯაჭვები შედარებით მოკლეა, რადგან ის უმეტესწილად უშუალოდ საკუთარი მიწისა და მამულის მოსავლით ცხოვრობს, ლტოლვებისა და აფექტების მკაცრი და გამუდმებული ჩახშობა არც აუცილებელია, არც შესაძლებელი და არც გამოსადეგი. თვით მეომრის და ყველა დანარჩენი ადამიანის სიცოცხლეს, რომლებიც მეომართა ასეთი ზედა ფენების მქონე საზოგადოებაში ცხოვრობს, მეტი გარდაუვალობით და უფრო უშუალოდ ემუქრება ძალადობის საფრთხე; შესაბამისად, მათი ცხოვრება, თუ მშვიდობიან

სივრცეებს შევადარებთ, უკიდურესობებს შორის მოძრაობს. სხვა საზოგადოებებისაგან განსხვავებით, ეს მეომარს განსაკუთრებით დიდი თავისუფლების შესაძლებლობას აძლევს საკუთარი გრძნობებისა და ვნებების გამოხატვაში. მას შეუძლია გამოხატოს ველური სიხარული, შეუკავებელად დაიკმაყოფილოს ქალის სურვილი ან გამოხატოს სიძულვილი მტრის წამებაში და მისი კუთვნილი ქონების განადგურებით. მაგრამ თუ მეომარი დამარცხდება, მასაც ემუქრება ის, რომ სხვისი ძალადობის ობიექტად იქცეს და ისეთ რადიკალურ მონობაში აღმოჩნდეს, ფიზიკური წამების ისეთი ფორმები განიცადოს, რომლებიც მოგვიანებით, როცა ინდივიდის ფიზიკური წამება, დატყვევება და რადიკალური დამცირება ცენტრალური ხელისუფლების მონოპოლია ხდება, თითქმის აღარ გვხვდება ყოველდღიურ ცხოვრებაში; ამ მონოპოლიზებით ცალკეული ადამიანის ფიზიკური მუქარა ნელ-ნელა პიროვნულობას კარგავს; ის უკვე იმდენად აღარ არის დამოკიდებული უშუალოდ წამიერ აფექტებზე და სულ უფრო მეტად ემორჩილება ზუსტ წესებსა და კანონებს; და ბოლოს, თვით კანონის დარღვევის შემთხვევაშიც კი, ის შერბილდება გარკვეულ საზღვრებში და განსაზღვრული გადახრებით.

ლტოლვათა უფრო მეტი თავისუფლება და ფიზიკური ძალადობის მაღალი ნილი, რომელსაც ყველგან შევეჯახებით, სადაც ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა მყარი და ძლიერი ცენტრალური მონოპოლია, როგორც ვხედავთ, დამატებითი გამოვლინებანია. საზოგადოების ამგვარი სტრუქტურის შემთხვევაში ლტოლვათა და აფექტების თავისუფალი გამოვლენის უფრო მეტი შესაძლებლობა გამარჯვებულებსა და თავისუფალ ადამიანებს აქვთ. მაგრამ, ამავე დროს, უფრო პირდაპირ და მეტ მუქარას შეიცავს ერთისათვის მეორე ადამიანის აფექტები და უფრო საყოველთაო ხდება მონობისა და აღვირახსნილი დამცირების შესაძლებლობა, თუ ერთი ადამიანი მეორის მორჩილებაში მოექცევა. ეს სამართლიანია არა მხოლოდ ერთი მეომრის მეორესთან ურთიერთობის აზრით, რომელთათვის მონეტიზაციისა და თავისუფალი კონკურენტული წრის დავიწროების პროცესში, უკვე თანდათან ყალიბდება აფექტების შემარბილებელი ქცევის კოდექსი. მთელ საზოგადოებაში ბევრად უფრო მკვეთრი დაპირისპირებაა ერთი მხრივ, ბატონების არსებობის წესის შეუზღუდაობასა და მეორე მხრივ, ქალების არსებობის წესის შეზღუდულობასა და ქვეშემრდომთა, დამარცხებულთა ან ყმათა რადიკალურ დაქვემდებარებას შორის, ვიდრე მოგვიანებით.

ასეთ ექსტრემულ, გამუდმებულ დაუცველობაში ცხოვრებას, რომელშიც ადამიანური ქსელის სტრუქტურა ინდივიდს მოაქცევს, შეესატყვისება ინდივიდუალური ქცევისა და ინდივიდუალური სულიერი სამყაროს სტრუქტურაც. ისევე როგორც ადამიანთა ურთერთობაში, აქაც უფრო შოკისმომგვრელად იჩენს თავს საფრთხე, უფრო უცაბედად და წარმოუდგენლად ჩნდება გამარჯვებისა ან ინდივიდის გათავისუფლების შესაძლებლობა, ასევე უფრო ხშირად და პირდაპირ

ვარდება ადამიანი კმაყოფილება-უკმაყოფილებაში. თავისუფალი მეომრის სოციალური ფუნქცია სინამდვილეში ნაკლებადაა ისე აგებული, რომ საფრთხის განჭვრეტა ძალიან დიდი ხნით ადრე იყოს შესაძლებელი, რათა ცაკლეულ მოქმედებათა გავლენის გააზრება ძალზე ზუსტად, მოქმედებათა მესამე ან მეოთხე რიგის რგოლამდე შეიძლებოდეს, მიუხედავად იმისა, რომ ის, ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში, არმიის მზარდ ცენტრალიზებასთან ერთად ნელ-ნელა იცვლება ამ მიმართულებით. პირველ ყოვლისა, რაც ამისათვის იმპულსს იძლევა, არის უშუალო სინამდვილე; ამ წამიერ მდგომარეობათა მსგავსად, იცვლება აფექტების გამოვლინებანიც; თუ ის სიამოვნების მომტანია, მაშინ ამ სიამოვნებით ბოლომდე ტკბებიან, ისე რომ არ ფიქრობენ, რა შედეგები შეიძლება ამას მოჰყვეს ოდესმე, მომავალში; თუ მას გაჭირვება, ტყვეობა, დამცირება მოაქვს, ეს უნდა იგემონ. და დაუსრულებელი შფოთი, საფრთხის მუდმივი სიახლოვე თუ ნაკლებად პროგნოზირებადი და დაუცველი ცხოვრების მთელი ატმოსფერო, რომელშიც სხვათა შორის, შეხვდებით უფრო დაცული არსებობის პატარა და დროებით კუნძულებს, საკმაოდ ხშირად, გარეგანი მიზეზების გარეშე, თავად იწვევს ასეთ უცაბედ გარდატეხას სრული კმაყოფილებიდან დათრგუნულობისა და სინანულისაკენ. თუ შეიძლება თქვას, სულს აქ შეუდარებლად უფრო მეტი მზადყოფნა აქვს და მიჩვეულია იმას, რომ თანაბარი ინტენსივობით გადაეშვას ერთიდან მეორე უკიდურესობაში. ხშირად, შიშისა და გარდატეხის გამოსანვევად საკმარისია უმნიშვნელო შთაბეჭდილებები და არაკონტროლირებადი ასოციაციები[32].

როცა ადამიანურ ურთიერთობათა სტრუქტურა იცვლება, ფიზიკური ძალადობის მონოპოლიური ორგანიზაციები ყალიბდება და ინდივიდს ხანგრძლივი მტრობისა და ომების გარდაუვალობის ნაცვლად, უფრო მშვიდობიანი, უწყვეტი, ფულზე და პრესტიჟზე მიმართული იძულებანი ანონასწორებს, აფექტთა გამოვლინებანიც გაშუალებისაკენ მიდის. ქცევასა და აფექტთა გამოხატულებაში გადახრები არ ქრება, მაგრამ ისინი ზომიერ ხასიათს იძენენ. მოძრაობა ზემოთ და ქვემოთ აღარ არის ისე ინტენსიური და არც ნახტომები — ისე გაუთანაბრებელი.

თუ საპირისპირო სურათს წარმოვიდგენთ, ცვლილება უფრო ნათლად გამოჩნდება. საფრთხე, რომელსაც ერთი ადამიანი მეორეს უქმნის, ძალისმიერი მონოპოლიის ჩამოყალიბებით უფრო მკაცრ რეგულირებას ექვემდებარება და პროგნოზირებადი ხდება. ყოველდღიურობა უფრო მეტად თავისუფლდება შოკისმომგვრელი ქმედებებისაგან. ძალადობა ახლა ყაზარმებშია გადატანილი; და მისი საცავიდან, ყაზარმებიდან ის მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, ომიანობისა და სოციალური გარდატეხების დროს შეიჭრება ერთეული ადამიანის ცხოვრებაში. ჩვეულებრივ, ის, როგორც განსაზღვრულ სპეციალისტთა ჯგუფების მონოპოლია, გამოთიშუ-

ლია სხვათა ცხოვრებიდან; და ეს სპეციალისტები, ძალადობის მთელი მონოპოლიური ორგანიზაცია, ახლა მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველდღიურობის სადარაჯოზე დგას, როგორც ინდივიდის ქცევის მაკონტროლებელი ორგანიზაცია.

ამ ფორმაშიც, მაკონტროლებელი ორგანიზაციის სახით, ფიზიკურ ძალადობასა და საფრთხეს, რომელიც მისგან მომდინარეობს, საზოგადოებაში გარკვეული გავლენა აქვს ინდივიდზე, შეუძლია მას ეს იცოდეს თუ არა. მაგრამ ის, რაც მას ინდივიდის ცხოვრებაში შეაქვს, უკვე არის არა მუდმივი დაუცველობა, არამედ დაცულობის თავისებური ფორმა. ის აღარ გადაისვრის ადამიანს, როგორც მარჯვე მოჩხუბარს ან როგორც გალახულს, როგორც ფიზიკურად გამარჯვებულს ან ფიზიკურად დამარცხებულს, სიხარულის ძლიერ ამოფრქვევასა თუ შიშებს შორის. არამედ ამ აკუმულირებული ძალადობიდან ყოველდღიურობის კულისებში გამოჩნდება გამუდმებული, თანაბარზომიერი ზეწოლა ინდივიდის ცხოვრებაზე, რომელსაც ის თითქმის ვეღარ გრძნობს, რადგან სრულიად შეჩვეულია მას, მისი ქცევა და ლტოლვათა გაფორმება, პატარაობიდან მოყოლებული, მორგებულია ამ საზოგადოების სტრუქტურას. სინამდვილეში, ის, რაც იცვლება, ეს არის ქცევის ფორმირების მთელი აპარატი; და მის შესაბამისად იცვლება, არა მხოლოდ ცალკეული ქცევის ფორმები, არამედ ქცევათა მთელი სტანდარტები, ფსიქიკური თვითმართვის მთელი სტრუქტურა. ფიზიკური ძალადობის მონოპოლიური ორგანიზაცია, ჩვეულებრივ, პირდაპირი მუქარით არ ახორციელებს ცალკეული ადამიანის იძულებას. ეს არის სხვადასხვა მეთოდით გაშუალებული და ბევრად უფრო პროგნოზირებადი იძულება და ზეწოლა, რომელსაც ის გამუდმებით მიმართავს ინდივიდზე. ეს ორგანიზაცია დიდწილად თვით მისი საკუთარი განსჯის მედიუმის საშუალებით მოქმედებს. ჩვეულებრივ, ის თავად საზოგადოებაში არსებობს, მხოლოდ როგორც პოტენცია, როგორ მაკონტროლებელი ინსტანცია; აქტუალური იძულება არის ის იძულება, რომელსაც ინდივიდი თავად ახორციელებს, თავის მოქმედებათა შედეგების ცოდნის (რომელთაც მთელი რიგი მოქმედებათა ჯაჭვებით ადრე განჭვრეტს); ან იმ ზრდასრული ადამიანების შესაბამისი ჟესტების საფუძველზე, რომლებმაც მისი, როგორც ბავშვის ფსიქიკური აპარატის მოდელირება მოახდინეს. ფიზიკური ძალადობის მონოპოლიზება, იარაღის და შეიარაღებულთა ერთი ადამიანის ხელში კონცენტრაცია ძალადობის გამოყენებას მეტ-ნაკლებად პროგნოზირებადს ხდის და უიარაღო ადამიანებს, მშვიდობიან სივრცეებში თავშეკავებას აიძულებს, საკუთარი წინასწარ განჭვრეტისა და გააზრების შედეგად; ერთი სიტყვით, ის ამ ადამიანებს, ნაკლები თუ მეტი დოზით, თვითდაუფლებისაკენ უბიძგებს.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს შუა საუკუნეების მეომართა საზოგადოებაში ან სხვა საზოგადოებებში, რომელთაც არ გააჩნდათ ფიზიკური ძალადობის დიფერენცირებული და მყარი მონოპოლიური

ადმინისტრაციები, საერთოდ არ არსებობდა თვითდაუფლების რაიმე ფორმა. თვითკონტროლის ფსიქიკური აპარატურა, „ზე- მე", სინდისი, თუ რაც უნდა ვუწოდოთ მას, — ყველაფერი ამის კულტივირება, ძალით მიღწევა და მხარდაჭერა უშუალოდ ფიზიკური ძალადობის აქტებთან კავშირში, მხოლოდ მეომართა ასეთ საზოგადოებაში ხდება; მისი ფორმა ამგვარ, დიდი კონტრასტებითა და გარდატეხებით სავსე ცხოვრებას შეესატყვისება. ძლიერად პაფიფიცირებულ საზოგადოებათა თვითიძულების აპარატთან მიმართებაში ის დიფუზურია და არასტაბილური, მასში ბევრი ხვრელებია მძაფრი, აფექტური განმუხტვებისათვის; შიშები, რომლებიც სოციალურად „მართებულ" ქცევას უზრუნველყოფენ, აქ ჯერ კიდევ ოდნავაც არაა ინდივიდის ცნობიერებიდან ე.წ. „შინაგანში" გადატანილი. ჩვეულებრივ, შიში აქ უფრო მეტად გარეშე ძალების შიშს გულისხმობს, ისევე როგორც ძირითადი საფრთხე ჯერ კიდევ არ მომდინარეობს თვითრეგულირების შეწყვეტიდან, თვითკონტროლის შესუსტებიდან, არამედ გარედან, უშუალო, ფიზიკური საფრთხიდან. და ისევე როგორც ნაკლებ სტაბილურია ეს შიში, ასევე უფრო ცალმხრივი, კერძო და არც ისე მრავლისმომცველია ეს აპარატურა. ასეთ საზოგადოებაში, შეიძლება, ადამიანს გამოუმუშავდეს შედარებით ექსტრემული თვითდაუფლება მაგალითად, ტკივილის ატანაში; მაგრამ ის თავის დასრულებას ისეთ რაიმეში ჰპოვებს, რაც სხვა სტანდარტთან შედარებით გამოვლინდება, როგორც სხვათა წამებაში აფექტთა უკიდურესი გათავისუფლება. შესაბამისად, შუა საუკუნეების საზოგადოების გარკვეულ სექტორებში ვხვდებით ასკეზის, თვითიძულებისა და თვითუარყოფის შედარებით უკიდურეს ფორმებს, რომელთაც საზოგადოების სხვა ნაწილში სურვილის დაკმაყოფილების არანაკლებ ექსტრემული ფორმები უპირისპირდება და საკმაოდ ხშირად, წავაწყდებით ერთი პოზიციიდან მეორეზე გადახტომას ერთი ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში. თვითიძულება, რომელსაც აქ ინდივიდი საკუთარ თავს დაუწესებს, საკუთარი ხორცის წინააღმდეგ ბრძოლა, არანაკლებ ინტენსიური და ცალმხრივია, არანაკლებ რადიკალური და ვნებებით დატვირთული, ვიდრე მისი საპირისპირო რამ, სხვათა წინააღმდეგ ბრძოლა ან სიამოვნებით ტკბობა.

ის, რაც აქ ძალადობის მონოპოლიზებასთან ერთად მშვიდობიან სივრცეებში ყალიბდება, თვითდაუფლებისა თუ თვითიძულების სხვა ტიპს წარმოადგენს. ეს ვნებებისაგან უფრო დაცლილი თვითდაუფლებაა. კონტროლისა და თვალყურის დევნების აპარატი საზოგადოებაში მაკონტროლებელ აპარატს შეესატყვისება, რომელიც ინდივიდის სულიერ სამყაროში ყალიბდება. როგორც ერთი, ისე მეორე, ცდილობს მთელი ქცევა, მთელი ვნებები თანაბარზომიერ, უფრო ზუსტ რეგულირებას დაუქვემდებაროს. ორივე— დიდწილად ერთი მეორის საშუალებით— გამუდმებულ, თანაბარ ზეწოლას ახორციელებს აფექტთა გამოვლენის დაცხრობის მიზნით. ისინი

მოითხოვენ ქცევებსა და აფექტთა გამოვლინებაში უკიდურესი გადახრების შესუსტებას. ფიზიკური ძალადობის მონოპოლიზაცია ამცირებს შიშსა და ძრწოლას, რომელიც ერთ ადამიანს მეორის წინაშე უნდა უჩნდებოდეს და ამავე დროს, შესაძლებლობას სხვების დაშინებისა, მათში შიშის აღძვრისა ან მათთვის ტანჯვის მიყენებისა, მაშასადამე, შესაძლებლობას განსაზღვრული სურვილებისა თუ აფექტებისაგან განტვირთვისა. ასევე გამუდმებული თვითკონ-ტროლი, რომელსაც უფრო და უფრო მეტად ეჩვევა ინდივიდი, მიმართულია ქცევებში კონტრასტებისა და უეცარი გარდატეხების, ნებისმიერი გამოვლინების აფექტური დატვირთულობის თანაბარი შემცირებისაკენ. კიდევ ერთი რამ, რასაც ცალკეული ადამიანისაგან მოითხოვენ, ეს არის მთელი სულიერი სამყაროს გარდაქმნა მისი ლტოლვითი ცხოვრების და ქცევის ყოველმხრივი, განუწყვეტელი, თანაბარზომიერი რეგულირების აზრით.

და ზუსტად იმავე მიმართულებით მოქმედებს იარაღის გარეშე განხორციელებული იძულებანი და ძალადობანი, რომელთაც ექვემდებარება ცალკეული ადამიანი თვით არაკონფლიქტურ სივრცეებშიც კი, მაგალითად, ეკონომიკური იძულებანი. ისინიც უფრო ნაკლებადაა დატვირთული აფექტებით, უფრო ზომიერია, სტაბილური და უფრო გაწონასწორებული, ვიდრე ის იძულებანი, რომელსაც არამონოპოლიურ მეომართა საზოგადოებაში ერთი ადამიანი მეორის მიმართ იყენებს. და ასევე ისინიც, განსხეულდება რა ფუნქციათა მთლიანობაში, რომელიც ცალკეულ ადამიანს საზო-გადოებაში გაეხსნება, აიძულებს მას განუწყვეტლივ, ამ წუთიდან დაწყებული თვალი გადააავლოს წარსულს და განჭვრიტოს მომავალი, იმ გრძელი და დიფერენცირებული ჯაჭვების შესაბამისად, რომელშიც უკვე ავტომატურად ჩაეწვნება ყოველი ქმედება; ისინი ცალკეული ადამიანისაგან, მისი ქცევის უფრო შორეული ეფექტის თვალსა-ზრისიდან გამომდინარე, ნამიერი, აფექტური და ლტოტვითი იმპუს-ლების გამუდმებულ დაძლევას მოითხოვენ; ისინი ინდივიდს უყალი-ბებენ სხვა სტანდარტთან შედარებით ზომიერ თვითდაუფლებას, რომელიც მთელ ქცევას ერტყმის გარს მტკიცე რკალის მსგავსად. ამავე დროს, ისინი ცალკეულ ადამიანს უნერგავენ ლტოლვათა განუწყვეტელ რეგულირებას, სოციალური სტანდარტის აზრით. თანაც, როგორც ყოველთვის, ეს არ არის მხოლოდ უშუალოდ ზრდასრულთა ფუნქციები, რომლებიც ადამიანებში ამ თავშეკავებას, ლტოლვათა და აფექტთა გამუდმებულ რეგულირებას აყალიბებს; არამედ, ზრდასრული ადამიანები თავიანთი ქცევის ფორმებითა და ჩვევებით ნაწილობრივ ავტომატურად, ნაწილობრივ ცნობიერად, საფუძველს უყრიან შესაბამის ქცევის ფორმებსა და ჩვევებს ბავშვე-ბში. უკვე ბავშვობიდანვე ინდივიდს ასწავლიან გამუდმებულ თავშე-კავებას და პერსპექტიულ ხედვას, რაც მას ზრდასრულთა ფუნქციის შესასრულებლად სჭირდება; ეს თავშეკავება, თავისი ქცევისა და ლტოლვითი სამყაროს ეს რეგულირება მას ბავშვობიდანვე ჩვევაში

გადასდის ისე, რომ მასში (ამავე დროს, სოციალური სტანდარტის ცვლილებათა სადგურის სახით) ყალიბდება ლტოლვათა ავტომატური თვითდაკვირვება შესაბამისი, საზოგადოდ მიღებული სქემისა და მოდელების აზრით, ყალიბდება „გონება", უფრო დიფერენცირებული და სტაბილური „ზე-მე", ისე რომ, ის უშუალოდ, საერთოდ აღარ აცნობიერებს შეკავებული ლტოლვითი იმპულსებისა და მისწრაფებების ერთ ნაწილს.

უწინ, მეომართა საზოგადოებაში, ცალკეულ ადამიანს შეეძლო გამოეყენებინა ძალადობა, თუ ის ამისათვის საკმაოდ ძლიერი და ძლევამოსილი იყო. მას შეეძლო ღიად მიჰყოლოდა თავის მიდრეკილებებს ბევრი მიმართულებით, რომლებზედაც დროთა განმავლობაში სოციალური აკრძალვა დაწესდა და მათი განცდა შეუძლებელი შეიქნა. მაგრამ ეს ადამიანი უშუალო დაკმაყოფილების მეტი შანსისათვის ამავე დროს აშკარა და უშუალო ძრწოლის მეტი შანსითაც იხდიდა; შუა საუკუნეების წარმოდგენები ჯოჯეხეთის შესახებ შესაძლებლობას გვაძლევს დაახლოებით მივხვდეთ, რა ძლიერი და ინტენსიური იყო ეს ძრწოლა ცალკეულ ადამიანში, მათ შორის არსებული ურთიერთობის ამგვარი სტრუქტურისას. აქ ორივე, კმაყოფილება და უკმაყოფილება უფრო ღიად და თავისუფლად გამოიხატებოდა. მაგრამ ინდივიდი მათი ტყვე იყო; საკმაოდ ხშირად, ცალკეულ ადამიანს საკუთარი აღქმები ხან ერთ მდგომარეობაში გადააგდებდა და ხან მეორეში, თითქოსდა ბუნების ძალები ყოფილიყოს. ის ნაკლებ განაგებდა თავის ვნებებს; პირიქით, თავად უფრო მეტად ემორჩილებოდა მათ.

უფრო მოგვიანებით, როცა კონვეიერი, რომელიც ერთეულთა სიცოცხლეზე გაივლის, უფრო გრძელი და დიფერენცირებული ხდება, ინდივიდი სწავლობს საკუთარი თავის უფრო ზომიერ დაუფლებას; ახლა ცალკეული ადამიანი ნაკლებადაა თავისი ვნებების ტყვე, ვიდრე უწინ. მაგრამ ის ფუნქციონალური დამოკიდებულების გზით, ახლა, უფრო მეტად, ვიდრე უწინ, სულ უფრო მრავალრიცხოვან ადამიანთა საქმიანობაზეა მიბმული. ის თავის ქცევებშიც, ლტოლვებისა და მიდრეკილებათა უშუალო დაკმაყოფილების შანსებში ბევრად უფრო მეტადაა შეზღუდული, ვიდრე უწინ. გარკვეული აზრით, ცხოვრება უფრო მეტად უსაფრთხო ხდება, მაგრამ ამავე დროს აფექტებისა და სურვილებისაგან უფრო დაცლილი, იმასთან მიმართებაში მაინც, რაც სიამოვნების მოთხოვნილების უშუალო გამოხატვას შეეხება; და იმის სუროგატს, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში აკლიათ, ოცნებებში, წიგნებსა და სურათებში ქმნიან: ასე იწყებს არისტოკრატია გაკურტუაზების გზაზე რაინდული რომანების კითხვას, ასე უყურებს ბიურგერი ძალადობასა და სასიყვარულო ვნებებს ფილმში. ფიზიკური დაპირისპირება, ომები და ჩხუბი კლებულობს; ისიც კი, რაც როგორმე მას გაგვახსენებს, მაგალითად, მკვდარი ცხოველის დანაწილება ან სუფრასთან დანის მოხმარება, უკანა პლანზეა გადატანილი ან სულ მცირე, უფრო ზუსტ, სოციალურ რეგულირებას ექვემდებარება.

თვით საომარი ველიც კი, გარკვეული აზრით, შიგნით გადაინაცვლებს. დაძაბულობათა და ვნებათა ნაწილი, რომელიც ოდესღაც უშუალოდ ადამიანთა შორის ბრძოლაში გადაწყდებოდა, ახლა ადამიანმა მხოლოდ საკუთარ თავში უნდა დაძლიოს. მასში ჩნდება უფრო მშვიდობიანი იძულებანი, რომელიც მასზე სხვასთან ურთიერთობების პროცესში მოქმედებს; ადამიანში ფეხს იკიდებს თავისებური ჩვევათა აპარატი, სპეციფიკური „ზე-მე“ , რომელიც განუწყვეტლივ მიისწრაფვის მოანესრიგოს მისი აფექტები სოციალური სტრუქტურის შესაბამისად, მოახდინოს მათი ხელახლა ფორმირება ან დამორჩილება. მაგრამ ლტოლვები, ვნებით აღსავსე აფექტები, რომელთაც აღარ შეუძლიათ ადამიანთა *შორის* ურთიერთობაში უშუალოდ გამოვლენა, ახლა უკვე, საკმაოდ ხშირად, არანაკლებ გაცხარებული იბრძვიან თავად ინდივიდში მისი „თვით“-ის ამ მოთვალთვალე ნაწილის წინააღმდეგ. და საკუთარ თავთან ეს ნახევრად ავტომატური შეჭიდება ადამიანში ყოველთვის წარმატებით როდი მთავრდება; თვითგარდაქმნას, რომელსაც ამ საზოგადოებაში ცხოვრება მოითხოვს, ყოველთვის არ მოჰყვება ლტოლვათა სამყაროს ახალი წონასწორობა. საკმაოდ ხშირად, მის მსვლელობას ახლავს დიდი თუ მცირე დარღვევები, ადამიანში ერთი ნაწილის მეორის წინააღმდეგ აჯანყებამდე ან ხანგრძლივ დაუძლურებამდეც კი. ეს, დასაწყისში, მართლაც, ართულებს ან შეუძლებელს ხდის სოციალური ფუნქციისათვის თავის გართმევას. ვერტიკალური გადახრები, თუ შეიძლება ვთქვათ, ნახტომები ძრნოლიდან სიამოვნებაზე, ტკბობიდან სინანულზე მცირდება, ხოლო ჰორიზონტალური ნახტომი, რომელიც ყველა ადამიანში ხდება, დაძაბულობა „ზე-მე“ -სა და „არაცნობიერს“ თუ „ქვეცნობიერებას“ შორის მატულობს.

აქაც, კიდევ ერთხელ, საკმაოდ მარტივი აღმოჩნდება გადაჯაჭვის ამ გამოვლენათა ძირითადი მონახაზი, თუ სტატიკურ სტრუქტურებთან ერთად მათ სოციოგენეზისს მივადევნებთ თვალს: ადამიანთა უფრო დიდი ჯგუფების ინტერდეპენდენცის საშუალებით და მასში ფიზიკური ძალადობის გამოცალკევებით ყალიბდება სოციალური აპარატი, რომელშიც ადამიანთა ერთმანეთის მიმართ განხორციელებული იძულებანი თვითიძულებებში უწყვეტად გადადის; ამ თვითიძულებებს, გამუდმებული რეტროსპექციისა და წინასწარგანჭვრეტის ფუნქციებს, რომლებიც ინდივიდს პატარაობიდანვე უყალიბდება მოქმედებათა გრძელ ჯაჭვში თავისი ჩართულობის შედეგად, ნაწილობრივ ცნობიერი თვითდაუფლების სახე აქვთ, ნაწილობრივ, კი ავტომატურად მოქმედი ჩვეულებებისა. ისინი დიფერენცირებული, სოციალური მდგომარეობის შესატყვისი სქემით მოქმედებენ ლტოლვათა და აფექტთა გამოვლინებების უფრო თანაბარ დაცხრობაზე, განუწყვეტელ თავშეკავებასა და უფრო ზუსტ მოწესრიგებაზე. მაგრამ შინაგანი ზეწოლის, საზოგადოების და მასში ცალკეული ადამიანის მდგომარეობის მიხედვით, ისინი

თავისებურ დაძაბულობასა და დარღვევებს იწვევენ ინდივიდის ქცევასა და ლტოლვით სამყაროში. გარკვეულ გარემოებებში, ამას გამუდმებულ შფოთსა და ადამიანთა უკმაყოფილებამდე მივყავართ, სწორედ იმიტომ, რომ მისი მიდრეკილებებისა და ლტოლვების ნაწილი დაკმაყოფილებას მხოლოდ გარდაქმნილ ფორმაში ჰპოვებს, მაგალითად, ფანტაზიაში, ცქერაში თუ მოსმენაში, დღისა თუ ღამეულ ზმანებებში; ზოგჯერ აფექტების დაცხრობის ჩვევა ისე შორს მიდის, რომ ინდივიდისათვის უკვე შეუძლებელია გარდაქმნილი აფექტების რაიმე ფორმაში უშიშარი გამოხატვა, შეკავებული ლტოლვების სწორხაზოვანი დაკმაყოფილება. მოწყენილობის თუ მარტოობის მუდმივი გრძნობები ამის მაგალითებს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში ლტოლვათა გარკვეული განშტოებანი გარკვეულწილად ანესთეზირებულია ურთიერთობათა ქსელის იმ სპეციფიკური სტრუქტურით, რომელშიც ადამიანი ბავშვობიდან იზრდება. ისინი ისე გარემოცული არიან საფრთხეთა ზეწოლით, რომლებიც ბავშვის სოციალურ გარემოში მათ გამოხატვას მოჰყვება, მაშასადამე, ავტომატურად გაჩენილი შიშებით, რომ გარკვეულ შემთხვევებში, მთელი ცხოვრების მანძილზე ყრუ და უტყვნი რჩებიან. პატარა ადამიანურ არსებას მისი გაუთლელი, აფექტური და ვნებიანი ბუნება „ცივილიზებულ" არსებად მოდელირების გზაზე გარდაუვალად ჩაითრევს მძიმე კონფლიქტებში. ასეთი კონფლიქტების შედეგად, შეიძლება, ცალკეული ლტოლვათა განშტოებანი ისე იყოს გადახრილი, რომ მათი ენერგია მხოლოდ შემოვლითი გზით, იძულებით მოქმედებებში და სხვა დარღვევებში პოულობდეს არასასურველ გამოსავალს. სხვა შემთხვევებში, ეს ენერგიები, ამგვარი სახით გარდაქმნილი, არაკონტროლირებად და ცალმხრივ სიმპათია-ანტიპათიებში, რომელიმე კურიოზული გართობის აჩემებაში გადაირთვება. და ორივეგან, ხანგრძლივმა, მოჩვენებითად უსაფუძვლო შინაგანმა შფოთიანობამ, შეიძლება, ცხადად აჩვენოს თუ რამდენი ლტოლვითი ენერგიაა ამ გზით ისეთ ფორმაში მოქცეული, რომელიც ნამდვილი დაკმაყოფილების შესაძლებლობას არ იძლევა.

ინდივიდუალური ცივილიზების პროცესი, ისევე როგორც სოციალური ცივილიზებისა, დღემდე, დიდწილად ბრმად მიმდინარეობს. ზრდასრულთა აზრებისა და გეგმების საფარქვეშ, მათსა და მოზარდებს შორის დამყარებული ურთიერთობის ტიპს მათ სულიერ სამყაროში ისეთი მოქმედება და ფუნქციები აქვს, რომელიც მათ არ განუზრახავთ და თითქმის, არაფერი იციან მათ შესახებ. როგორც ეს მაგალითები აჩვენებს, ამ აზრით, დაუგეგმავად წარმოიქმნება უკიდურესად არახელსაყრელი და სოციალურად არანორმალური მოდელირების პროდუქტები. ფსიქიკური გადახრები, რომლებიც ფაქტიურად მოდელირების გამოვლინებებს არ წარმოადგენს და რომლებიც *უცვლელ*, მემკვიდრეობით თვისებებზე დაიყვანება, აქ შეგვიძლია არ განვიხილოთ. მაგრამ ჰაბიტუსი, რომელიც მოქმედი სოციალური ნორმის ფარგლებში რჩება და ამავე დროს სუბიექტურად

უფრო დამაკმაყოფილებელია, არანაკლებ დაუგეგმავად პროდუ-ცირდება. იმავე სოციალური ფორმირების აპარატიდან ფართო ნაკადად გამოდის ხელსაყრელად და არახელსაყრელად განლაგე-ბული ადამიანური სტანდარტები. ავტომატურად გაჩენილ შიშებს, რომლებიც ცივილიზაციის კონფლიქტების მიმდინარეობისას გარკვეულ ლტოლვათა გამოვლინებებს ახლავს თან, გარკვეულ შემთხვევებში მივყავართ არა ცალკეულ ლტლვათა განშტოებების ხანგრძლივ და ტოტალურ ჩახშობასთან, არამედ მხოლოდ ნორმალურობის ფარგლებში მათ დაცხრობასა და მონესრიგებასთან. ლტოლვათა ცალკეული ენერგიის გადართვამ და გარდაქმნამ, ნაც-ვლად სოციალურად გამოუსადეგარი თავსმოხვეული ქმედებებისა, ნაცვლად სწრაფვისა და ჩვევებისა, რომლებიც განსაკუთრებულად ითვლება, შეიძლება, გამოხატულება ჰპოვოს ინდივიდუალურად სრულიად დამაკმაყოფილებელ და სოციალურად უკიდურესად ნაყოფიერ საქმიანობასა თუ ნიჭიერებაში. აქ, ისევე როგორც იქ, ყველაზე გამოკვეთილი ფაზის, ბავშვობისა და ახალგაზრდობის ასაკის ურთიერთობათა ქსელი ცალკეული ადამიანის ფსიქიკურ აპარატში, „ზე-მე"-სა და მისი ლტოლვითი ცენტრის ურთიერთობაში ინდივიდუალურ თვისებად გამოიხატება. ორივეგან ის დამკვედრდება ჩვევათა აპარატის სახით, რომელიც ყველა სხვა მანერაში, სხვა ადამიანთან ყოველ შემდგომ ურთიერთობაში გამოვლინდება და ჩაიქსოვება. ხელსაყრელ შემთხვევაში, ხატოვნად რომ ვთქვათ, ჭრილობები, რომელსაც ცივილიზაციის კონფლიქტები ინდივიდის სულს აყენებს, შეიძლება ნელ-ნელა შეხორცდეს. არახელსაყრელ შემთხვევებში ისინი არასოდეს დაიხურებიან ან ისევ ადვილად გაიხსნებიან ახალი კონფლიქტისას. აქ ფსიქიკურ აპარატში ფესვგადგმული, ადრეული ხანის ადამიანთაშორისი კოფლიქტები ისევ დამანგრეველად შეიჭრება ადამიანთა შემდგომ ურთიერთობებში, იქნება ეს თვითიძულების ცალკეულ ჩვევებს შორის წინააღმდეგობათა ფორმით, რომლებიც საწყისს სხვადასხვა ურთიერთობიდან, ბავშვის მრავალფეროვანი დამოკიდებულებიდან იღებს, თუ იქნება ეს ამ თვითიძულების აპარატისა და ლტოლვითი ცენტრის მუდმივად განმეორებადი დაპირისპირების ფორმით. იქ, განსაკუთრებით ხელსაყრელ შემთხვევებში, ეს წინააღმდეგობანი „ზე-მე"-ს აპარატის სხვადასხვა ნაწილებს შორის თანდათან განონასნორდება; ყველაზე ხელისშემშლელი კონფლიქტები ამ აპარატსა და ლტოლვით ცენტრს შორის თანდათან გარკვეულ გარსში მოექცევა; ისინი ქრებიან არა მხოლოდ ნათელი ცნობიერებიდან, არამედ ისე დაძლეული და გადმუშავებულნი არიან, რომ სუბიექტურ დაკმაყოფილების ძალზე დიდი დანახარჯების გარეშე უნებლიედ ველარ ერევიან ადამიანთა შემდგომ ურთერთობებში. ერთ შემთხვევაში, ცნობიერი და არაცნობიერი თვითკონტროლი მხოლოდ ცალკეულ ადგილებზე რჩება დიფუზური და ღია, სოციალურად მიზანშეუწონლად გაფორმებული ლტოლვითი ენერგიის გატარე-

ბისათვის. სხვა შემთხვევაში, ეს თვითკონტროლი, რომელიც დღესაც ახალგაზრდობის ფაზაში, ხშირად ყინულის ზემოთ — ქვემოთ და ერთმანეთის საპირისპიროდ მოძრავ ნაჭრებს ერთი მტკიცე ყინულის საფარველის მსგავსად ასწორებს, უფრო ერთიანი და სტაბილური ხდება და კარგად პასუხობს საზოგადოების სტრუქტურას. მაგრამ, რადგან ეს სტრუქტურა სწორედ ჩვენს ეპოქაში უკიდურესად ცვალებადია, ის ამავე დროს, მოითხოვს ქცევის ჩვეულებათა ელასტიურობას, რაც უმეტეს შემთხვევაში, სტაბილურობის დანაკარგის ხარჯზე შეიძლება იქნას მიღწეული.

მაშასადამე, თეორიულად რთული სათქმელი არ არის, რა განსხვავებაა შემდგარ და შეუმდგარად მიჩნეულ ინდივიდუალურ ცივილიზაციის პროცესს შორის: ერთ შემთხვევეაში, ამ პროცესის ყველა სირთულისა და კონფლიქტების შემდეგ, საბოლოოდ, სოციალური ზრდასრულობის ფუნქციის ფარგლებში ყალიბდება კარგად მორგებული ქცევის ფორმები, ადექვატურად მოქმედი ჩვევითი აპარატი და ამავე დროს— რაც უცილობლად ამის პარალელურად არ მიმდინარეობს — კმაყოფილების პოზიტიური ბალანსი; სხვა შემთხვევაში, სოციალურად აუცილებელი თვითრეგულირება მიიღწევა ან კვლავ ურთიერთსაწინააღმდეგო ლტოლვითი ენერგიების დაძლევით გამოწვეული ძლიერი დაძაბულობის, პიროვნული კმაყოფილების დიდი დანაკარგების ხარჯზე, ან ამ ენერგიების დაძლევა, კმაყოფილებაზე უარის თქმა, საერთოდ ვერ მიიღწევა და საკმაოდ ხშირად, საერთოდ შეუძლებელია კმაყოფილების პოზიტიური ბალანსის დამყარება, რადგან სოციალური მოთხოვნები და აკრძალვები წარმოდგენილია უკვე არა მხოლოდ სხვა ადამიანთა მიერ, არამედ თვით ამგვარად გატანჯულთა მიერ, რადგან ერთი ინსტანცია ამ ადამიანებში კრძალავს და სჯის იმასათვის, რაც მეორეს სურს. სინამდვილეში, ინდივიდუალური ცივილიზაციის პროცესის შედეგი ერთმნიშვნელოვნად ხელსაყრელად თუ არახელსაყრელად, მხოლოდ შედარებით მცირერიცხოვან შემთხვევებში, მხოლოდ გავრცელების ტრაექტორიის კიდეებთან შეიძლება შეფასდეს. ცივილიზებულთა უმეტესობა შუა ხაზზე ცხოვრობს ამ უკიდურესობათა შორის. სოციალურად ხელსაყრელი და არახელსაყრელი პროცესები, პიროვნულად დამაკმაყოფილებელი და არადამაკმაყოფილებელი ტენდენციები მათში სხვადასხვა პროპორციებითაა შერეული.

განსაკუთრებით რთულია სოციალური მოდელირების პროცესი, დასავლური ცივილიზაციის აზრით. ნაწილობრივ რომ მაინც იყოს წარმატებული, დასავლური საზოგადოების სტრუქტურის შესაბამისად, მან ფსიქიკური აპარატის განსაკუთრებით მდიდარი დიფერენცირება, განსაკუთრებით ინტენსიური და სტაბილური რეგულირება უნდა მოიტანოს. აქედან გამომდინარე, ზოგადად და პირველ ყოვლისა, საშუალო და მაღალ ფენებში, ის მეტ დროს მოითხოვს, ვიდრე მოდელირების პროცესი ნაკლებად დიფერენ-

ცირებულ საზოგადოებებში. პროტესტი ცივილიზაციის ასეთი წინასწარმოცემულ სტანდარტზე მორგების წინააღმდეგ, დაძაბულობა, რომელსაც ინდივიდში ეს მორგება, ფსიქიკური აპარატის ეს ღრმადმიმავალი ტრანსფორმაცია იწვევს, ყოველთვის ძალზე საგრძნობია; და აქედან გამომდინარე, ინდივიდიც დასავლურ საზოგადოებაში უფრო გვიან, ვიდრე ნაკლებ დიფერენცირებულ საზოგადოებებში, ზრდასრულის ფუნქციასთან ერთად იძენს ზრდასრულის ფსიქიკურ ჰაბიტუსსაც, რისი გამოჩენაც დიდწილად უკვე ცივილიზაციის ინდივიდუალური პროცესის დასასრულად ითვლება.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ფსიქიკური აპარატის ეს გადამუშავება აქ განსაკუთრებით შორს წასული და ინტენსიურია, იმავე მიმართულების, სოციალური და ინდივიდუალური ცივილიზაციის პროცესები, ცხადია, მხოლოდ დასავლურ სამყაროში არ თამაშდება. მათ ყველგან ვხვდებით, სადაც კონკურენტული ზეწოლის ქვეშ, ფუნქციური დანაწილება ადამიანთა უფრო დიდ სივრცეებს ერთმანეთზე დამოკიდებულს, ფიზიკური ძალადობის მონოპოლიზაცია ვნებებისაგან დაცლილ კოოპერაციას შესაძლებელს და აუცილებელს ხდის, ყველგან, სადაც ისეთი ფუნქციები ჩნდება, რომლებიც სხვათა ქმედებებისა და განზრახვების გამუდმებულ გადახედვას და განჭვრეტას მოითხოვს, თანაც მოქმედებათა არაერთი რგოლის იქით; ამასთან, ყოველთვის, ცივილიზაციის ამგვარი ბიძგების ტიპისა და ხარისხისათვის განმსაზღვრელია ინტერდეპენდენცის სიფართოვე, ფუნქციური დანაწილების ხარისხი და ფუნქციათა სტრუქტურა მათში.

იძულებათა გავრცობა პერსპექტიულ ხედვამდე და თვითიძულების გაფართოება

ის, რაც დასავლური სამყაროს ცივილიზაციის პროცესს განსაკუთრებულ და თავისთავად მოვლენად აქცევს, არის ის ფაქტი, რომ აქ იმდენად დიდი მასშტაბის ფუნქციურ დანაწილებას, ძალადობისა და საგადასახადო მონოპოლიის ისეთ სტაბილურობას ჰქონდა ადგილი, ინტერდეპენდენცი და კონკურენცია იმდენად ფართო სივრცეებს და ადამიანთა იმდენად დიდ მასებს გადასწვდა, როგორც არასდროს კაცობრიობის ისტორიაში.

კიდევ უფრო ფართო ფინანსური და სავაჭრო კავშირები და აქაიქ, გარკვეულწილად მყარი, ფიზიკური ძალადობის მონოპოლიური ორგანიზაციები, მანამდე, თითქმის, მხოლოდ სანაოსნო გზების გასწვრივ, მაშასადამე, პირველ ყოვლისა, მდინარეთა ხეობებში და ზღვების აუზებში ვითარდებოდა; ამასთან, ქვეყნის ზურგში კონტინენტური მხარეები მეტ-ნაკლებად ნატურალური მეურნეობის მდგომარეობაში რჩებოდა, ე. ი. ისინი შედარებით მოკლებულნი იყვნენ კავშირებს და უფრო ფართო დამოუკიდებლობას ინარჩუნე-

ბდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ცალკეული სავაჭრო არტერიები მათზე გადიოდა და აქ რამდენიმე მოზრდილი ბაზარი არსებობდა. დასავლური საზოგადოებიდან განვითარდა ისეთი ინტერდეპენდენტური ქსელი, რომელიც არა მხოლოდ ზღვებს მოედება, როგორც უწინ, წარსულში, არამედ იქედან ძლიერ კონტინენტურ მხარეებსაც გადასწვდება თვით უკანასკნელი აკრი მიწის ნაკვეთამდე. ამის შესაბამისად დგება დიდი რეგიონების მასშტაბით ადამიანთა ქცევის შეთანხმების აუცილებლობა და მოქმედებათა იმდენად გრძელი ჯაჭვის წინასწარხედვა, რომელსაც მანამდე არასოდეს ჰქონია ადგილი. შესაბამისად, ძლიერია თვითდაუფლებაც, უწყვეტია იძულება, აფექტთა დაცხრობა და ლტოლვათა მონესრიგება, რასაც აუცილებელად მოითხოვს ამ გადაჯაჭვულობათა ქსელის ცენტრში ცხოვრება. ერთ-ერთი მოვლენა, რომელიც განსაკუთრებით ნათლად აჩვენებს ამ კავშირს ერთი მხრივ, ინტერდეპენდენტური ქსელის სიდიდესა და შინაგან ზეწოლას და მეორე მხრივ, ინდივიდის სულიერ სამყაროს შორის, არის ის, რასაც ჩვენი დროის „რიტმს“ ვუწოდებთ[133]. ეს „რიტმი“, ფაქტიურად სხვა არაფერია, თუ არა გამოხატულება მთელი რიგი ჯაჭვური კავშირებისა (რომლებიც ყოველ ცალკეულ, სოციალურ ფუნქციაში გადაინასკვება) და იმ კონკურენტული ზეწოლისა, რომელიც ამ ფართო და მჭიდროდ დასახლებული ქსელიდან ყოველ ცალკეულ ქმედებას დააჩქარებს. ის შეიძლება მოხელისა თუ მეწარმის შემთხვევაში მოლაპარაკებებისა თუ შეთანხმებათა სიმრავლეში გამოიხატოს, მუშასთან — ხელის ყოველი მოძრაობის გარკვეულ დროსთან და ხანგრძლივობასთან უფრო ზუსტ შეთანხმებაში — აქაც და იქაც, რიტმი არის გამოხატულება ურთიერთზე დამოკიდებულ მოქმედებათა სიმრავლისა, გამოხატულება იმ ჯაჭვების სიგრძისა და სიმჭიდროვისა, რომელთაც ცალკეული მოქმედებები უკავშირდება, როგორც ერთი მთელის ნაწილები. და ამავე დროს რიტმი არის გამოხატულება იმ შეჯიბრთა და შესარჩევი ბრძოლების სიძლიერისა, რომლებიც მთელ ამ ინტერდეპენდენტურ ქსელს მოძრაობაში ამყოფებს. როგორც აქ, ისევე იქ, ასე მრავალრიცხოვან მოქმედებათა ჯაჭვების გადანასკვის წერტილში, ფუნქცია მოითხოვს სასიცოცხლო დროის ძალიან ზუსტ განაწილებას; ეს ფუნქცია აჩვევს წამიერი მიდრეკილებების ფართო ინტერდეპენდენცის აუცილებლობლობისათვის დაქვემდებარებას; ის ავარჯიშებს ქცევაში გადახრების გამორიცხვასა და გამუდმებულ თვითიძულებაში. ეს არის საფუძველი, რომლიდანაც გამომდინარე, ასე ხშირად იფეთქებს ინდივიდში აჯანყების ტენდენციები მისი საკუთარი, „ზე-მე“-ს საშუალებით წარმოდგენილი საზოგადოებრივი დროის საწინააღმდეგოდ და რომლიდანაც ამდენი ადამიანი საკუთარი თავის წინააღმდეგ ბრძოლაშია ჩაბმული, თუ მათ პუნქტუალურნი სურთ იყვნენ. დროის ინსტრუმენტებისა და დროითი ცნობიერების განვითარების მიხედვით, ისევე როგორც ფულისა თუ გადაჯაჭვულობის სხვა ინსტრუმენტების მიხედვით, შეგვეძლო

საკმაოდ დიდი სიზუსტით ამოგვეკითხა, როგორ მიდის წინ ფუნქციური დანაწილება და მასთან ერთად თვითრეგულირებაც, რომელიც ინდივიდს დაეკისრება.

თუ რატომაა ამ ქსელის შიგნით აფექტთა რეგულირების სქემა რამდენიმე ასპექტში განსხვავებული, რატომაა ერთ ქვეყანაში სექსუალობა უფრო მკაცრი აკრძალვებით გარემოცული, ვიდრე სხვა ქვეყანაში, ეს ცალკე საკითხია; მაგრამ როგორც არ უნდა ხორციელდებოდეს ეს განსხვავებანი ინდივიდში, ქცევათა ცვლილების მთელი მიმართულება, ცივილიზაციის პროცესის „Trend"-ი ყველგან ერთია. ცვლილება ყოველთვის უბიძგებს მეტ-ნაკლებად ავტომატური თვითკონტროლისაკენ, ხანმოკლე იმპულ-სების ჩვეული პერსპექტიული ხედვის მოთხოვნებისადმი მორჩილებისაკენ, უფრო დიფერენცირებული და მტკიცე „ზე-მე" –ს აპარა-ტურის შექმნისაკენ. და დიდწილად, ანალოგიურია წამიერი აფექტების შორსმიმავალი მიზნების აუცილებლობისათვის დაქვემდებარების გავრცელების ეს მეთოდიც: ყველგან დასაწყისში, იგი მოიცავს დასავლური საზოგადოების უფრო ვიწრო, მაღალ წრეებს, შემდგომ კი, სულ უფრო და უფრო ფართო წრეებს.

ძალიან დიდი განსხვავებაა იმაში, მჭიდრო, ფართოდ გაბმული დამოკიდებულების ძაფების სამყაროში ესა თუ ის ადამიანი ცხოვრობს მხოლოდ, როგორც ურთიერთდაქვემდებარების პასიური ობიექტი თუ თვითონაც განიცდის მისგან შორს მიმდინარე მოვლენებს, ოღონდ ისე რომ ეს გადაჯაჭვულობათა ფართო ქსელი მის საკუთარ ექსისტენცზე გავლენას არ ახდენს ან ის უბრალოდ ვერ აცნობიერებს ამას, თუ კიდევ ვინმეს საზოგადოებაში იმგვარი მდგომარეობა და ფუნქცია აქვს, რომელიც მისი დაძლევისათვის დიდი კავშირების მასშტაბით პერსპექტიული ხედვის ხანგრძლივ დაძაბვას და ამ აზრით, საკუთარი ქცევების გამუდმებულ რეგული-რებას საჭიროებს. დასავლური საზოგადოების განვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, ეს არის ზედა და საშუალო ფენების გარკვეული ფუნქციები, რომლებიც ხანგრძლივ პერსპექტივაში მისი მფლო-ბელებისაგან ასეთ გამუდმებულ, აქტიურ თვითდისციპლინირებას მოითხოვს. ესენია სასახლის კარის ფუნქციები დიდი სოციალური გაერთიანებების სახელისუფლო ცენტრებში და სავაჭრო ფუნქციები შორ მანძილებზე განვითარებული ვაჭრობის ცენტრებში, რომლებიც, გარკვეულწილად, სტაბილური ძალადობრივი მონოპოლიის დაცვის ქვეშაა. მაგრამ დასავლური სამყაროს სოციალური პროცესების განსაკუთრებულობებს მიეკუთვნება ის, რომ თავად ინტერდეპენდენცის გაფართოებასთან ერთად აქ, ამავე დროს, საზოგადოების უფრო და უფრო ფართო ფენებში ვრცელდება პერსპექტიული ხედვისა და ინდივიდუალური ქცევის უფრო დიდ, სივრცულ-დროულ დაშორებაზე ასეთი აქტიური შეთანხმების აუცი-ლებლობა. ოდესღაც დაბალი სოციალური ფენების ფუნქციებიც, მთელი სოციალური სიტუაცია სულ უფრო მეტად მოითხოვს და

შესაძლებელს ხდის გარკვეულ პერსპექტიულ ხედვას და იწვევს შესაბამის ცვლილებას თუ შეკავებას ყველა იმ მიდრეკილებისა, რომელიც შორეულის ხარჯზე წამიერ თუ ხანმოკლე დაკმაყოფილებას გვპირდება. წარსულში ქვედა, ხელოსნური ფენის ფუნქციები, ზოგადად, მხოლოდ იმდენად იყო გადაჯაჭვული ამ ინტერდეპენდენტურ ქსელთან, რომ თუ მისი მფლობელები შორი მანძილიდან ზემოქმედებას გრძნობდნენ და ეს გავლენა არახელსაყრელი იყო, არეულობითა და აჯანყებით, აფექტთა ხანმოკლე განტვირთვით პასუხობდნენ. მაგრამ ფუნქციები არ იყო იმგვარად აგებული, რომ მათში გარეგანი იძულება თავად, მუდმივად გადასულიყო თვითიძულებაში. მათი ყოველდღიური სასიცოცხლო ამოცანები მხოლოდ ნაკლებად აძლევდა მათ იმის უნარს, რომ რაღაცის უპირატესობის გამო, რაც აქ და ახლა მიუწვდომელი ჩანდა, შეეკავებინათ ახლანდელი სურვილები და აფექტები. და ამდენად, ამგვარ აფეთქებებს, თითქმის, არასოდეს მოჰქონდა ხანგრძლივი წარმატება.

აქ ურთიერთქმედების რთულ სისტემასთან გვაქვს საქმე. ყოველი დიდი ადამიანური ქსელის შიგნით არსებობს სხვადასხვა გრადაციის ცენტრალური და ნაკლებ ცენტრალური სექტორები. ამ ცენტრალურ სექტორების, მაშასადამე, მაღალი კოორდინაციის ფუნქციები უფრო გამუდმებული და მკაცრი თავდაჭერისაკენ უბიძგებენ, თანაც, არა მხოლოდ მათი ცენტრალური პოზიციისა და იმ მოქმედებათა ჯაჭვების სიმრავლის გამო, რომლებიც მათში გადაიკვეთება; მოქმედებათა იმ სიმრავლის შესაბამისად, რომლებიც ამ ფუნქციათა მფლობელების ქმედებაზეა დამოკიდებული, ამას უფრო დიდი სოციალური ძლიერებაც უკავშირდება. ის, რაც დასავლური საზოგადოების განვითარებას განსაკუთრებულ ნიშნებს შესძენს, არის ის ფაქტი, რომ მისი მიმდინარეობისას უფრო თანაბრი ხდება ყველას ყველაზე დამოკიდებულება. დასავლური საზოგადოების უკიდურესად დიფერენცირებული, შრომის უმაღლესი დანაწილების მქონე საზოგადოებათა მამოძრავებელი მექანიზმები სულ უფრო მეტადაა დამოკიდებულია იმაზე, რომ თავიანთ ქცევას და საქმიანობას ქვედა, აგრარული და ქალაქური ფენებიც ხანგრძლივი და შორეული კავშირების პერსპექტივიდან აწესრიგებენ. ეს ფენები წყვეტენ არსებობას, როგორც „ქვედა“ სოციალური ფენები. შრომის დანაწილების აპარატი ისე მგრძნობიარე და რთული ხდება, დარღვევები მოძრავი კონვეიერების თითოეულ წერტილში იმდენად ემუქრება მთელს, რომ წამყვანი, არსებითად გაბატონებული ფენები, საკუთარი შესარჩევი ბრძოლების ზეწოლით იძულებულნი არიან სულ უფრო მეტი ყურადღება მიაქციონ ადამიანთა დიდ მასებს. მათი ფუნქციები ამ ცვლილების პროცესში უფრო ცეტრალური ხდება და კიდევ უფრო მეტ წონას მოიპოვებს შრომის დანაწილების მქონე, მთელი ადამიანური ქსელის შიგნით. მაგრამ, ამავე დროს, მათი დაძლევისათვის ეს მოითხოვს და შესაძლებელს ხდის უფრო

პერსპექტიულ ხედვას. ძირითადად, ძლიერი სოციალური ზეწოლით, ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ ეჩვევიან მთელი ქცევის დისციპლინირებას და წამიერი აფექტების შეკავებას, იმ მთელის კავშირების, მასში თავიანთი ამოცანის და პოზიციის უფრო ფართო პერსპექტივიდან გამომდინარე, რომელშიც ისინი მუშაობენ. მაშასადამე, ამით მათი ქცევა, ვინც ოდესღაც ქვედა ფენებს წარმოადგენდა, უფრო და უფრო მეტად წარიმართება იმ მიმართულებით, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ დასავლური საზოგადოების ზედა ფენებს ახასიათებდა. ამასთან მიმართებაში იზრდება მათი სოციალური ძლიერება; მაგრამ, ამავე დროს, გახშირდება იმ ადამიანთა წვრთნა პერსპექტიული ხედვისათვის, ვინც დასაწყისში ამ ფენებს უდგას სათავეში და ვისაც ამ პერსპექტიული ხედვის სააზროვნო მოდელები შეუძლია შექმნას; მათზეც უფრო და უფრო მეტად მოქმედებს გარეგანი იძულების ის ტიპები, რომლებიც ინდივიდში თვითიძულებად გარდაიქმნება; მათშიც იზრდება ჰორიზონტალური დაძაბულობა მათი თვითკონ-ტროლის აპარატის, „ზე-მე“ –სა და უკვე განცდის შესაძლებლობას მოკლებულ, ცუდად თუ კარგად რეფორმირებულ, მოწესრიგებულ და შეზღუდულ ლტოლვით ენერგიებს შორის. ასე ვრცელდება გამუდმებით ცივილიზაციის სტრუქტურები დასავლური საზოგადო-ების შიგნით; და ამავე დროს, მთელი დასავლური საზოგადოება, დაბალი და ზედა ფენები ერთად, მიდრეკილია იმისაკენ, რომ გახდეს გარკვეული ტიპის ზედა ფენა და გადაჯაჭვულობის ქსელის ცენტრი, რომლიდანაც ცივილიზაციის სტრუქტურები დედამიწის სხვა დასახლებულ და დაუსახლებელ ნაწილებში, დასავლური სამყაროს ფარგლებს გარეთ გავრცელდება. და მხოლოდ ამ ფართო მოძრაობის, განსაზღვრული ფუნქციათა და ქცევის სტრუქტურების ახალ- ახალ ფენებში და რეგიონებში ბიძგისმაგვარი გავრცელების ხედვა მხოლოდ იმის გაგება, რომ ჩვენ თავად, ტალღების ამ მოძრაობის, ცივილიზაციის პროცესის ამგვარი წრეების შუაში ვართ და არა მის ბოლოში, გადაიყვანს „ცივილიზაციის“ პრობლემას სწორ გზაზე. კითხვა მდგომარეობს შემდეგში: როგორ გამოიყურება ეს მოძრაობა, თუ ერთი ტალღიდან მეორეზე გადასვლით, ანმყოდან წარსულში გადავინაცვლებთ?

კონტრასტების შემცირება, ვარიაციების მატება

ცივილიზაცია აღმავალ და დაღმავალ მოძრაობათა გრძელი რიგის გავლით ხორციელდება. კვლავ და კვლავ, ზეაღმავალი ქვედა ფენა ან საზოგადოება საკუთარ თავზე იღებს ზედა ფენის ფუნქციას და პოზიციას სხვა ფენებთან თუ საზოგადოებებთან მიმართებაში, რომლებიც მას ქვემოდან ზემოთ უბიძგებენ; და ისევ და ისევ, დაწინაურებულ, ზედა ფენად ქცეულ ფენას ფეხდაფეხ მიყვება

ადამიანების უფრო ფართო, უფრო მრავალრიცხოვანი ფენა თუ ჯგუფი.

ბევრი შეკითხვა, რომელიც ზედა, საშუალო და ქვედა ფენების ქცევათა გრადაციიდან და განსხვავებებიდან წარმოიშობა, თავისთავად პრობლებათა წრეს ქმნის. ზოგადად, შეიძლება ვთქვათ, რომ ქვედა ფენები უფრო უშუალოდ ემორჩილებიან თავიანთ აფექტებსა და ლტოლვებს და მათი ქცევა ნაკლებ ზუსტადაა რეგულირებული, ვიდრე ზედა ფენების წარმომადგენლებისა; ქვედა ფენებზე მოქმედი იძულებანი ისტორიის დიდი მონაკვეთების მანძილზე უშუალო, ფიზიკური საფრთხით, ფიზიკური წამებით თუ მახვილით, სილატაკითა და შიმშილით ამოწყვეტის საფრთხით განპირობებულ იძულებებს წარმოადგენს. და ასეთ ძალადობებს, ასეთ სიტუაციებს გარეგანი იძულების თვითიძულებად სტაბილურ გარდაქმნებამდე არ მივყავართ. შუა საუკუნეების ეპოქის გლეხი, რომელიც უარს ამბობს ხორცზე, რადგან ის მეტისმეტად ღატაკია, რადგან პირუტყვი ბატონების ტაბლისთვისაა განკუთვნილი, მაშასადამე, მარტოოდენ ფიზიკური იძულების გამო, გარეშე საფრთხის არარსებობის შემთხვევაში ხორცის ნდომას დანებდება, თუ მას ნდომის დაკმაყოფილება შეეძლება, განსხვავებით ზედა ფენების წარმომადგენელი ორდენის დამფუძნებლისაგან, რომელიც იმქვეყნიურ სამყაროზე თავისი ფიქრებისა და საკუთარი ცოდვიანობის შეგრძნებიდან გამომდინარე, თავად ამბობს უარს ხორცის ჭამაზე. სრულიად უქონელი ადამიანი, რომელიც შიმშილის გამუდმებული საფრთხის ქვეშ შრომობს ან კატორღაში იძულებით სამუშაოს ასრულებს, შეწყვეტს მუშაობას, თუ გარედან ძალადობის საფრთხე მოიხსნება, განსხვავებით დალხინებული ვაჭრისაგან, რომელიც გამუდმებით მუშაობს, მიუხედავად იმისა, რომ მას, ალბათ, ამ სამუშაოს გარეშეც საკმარისად აქვს ყველაფერი, რომ იცხოვროს და რომელიც არა უბრალოდ გაჭირვების, არამედ კონკურენციის, ძალაუფლების და პრესტიჟისათვის ბრძოლის ზეწოლით განაგრძობს საქმიანობას, რადგან მისი პროფესია, გაზრდილი სტანდარტი, მის ცხოვრებას სააზრისს და ლეგიტიმაციას აძლევს და რომელსაც, ბოლოს, შრომის ეს გამუდმებული თვითიძულება იმდენად ექცევა ჩვევად, რომ თუ მას მუშაობა აღარ შეუძლია, მისი სულიერი სამყაროს წონასწორობა გარკვეულწილად ირღვევა კიდეც.

დასავლური საზოგადოების თავისებურებებს მიეკუთვნება ის, რომ მისი განვითარების მანძილზე მნიშვნელოვნად მცირდება ეს კონტრასტი ზედა და ქვედა ფენების მდგომარეობასა და ქცევის კოდექსს შორის. ამ განვითარების პროცესში ქვედა ფენის ხასიათები ყველა ფენაზე ვრცელდება; ის, რომ დასავლური საზოგადოება, როგორც მთელი, რეგულარულად მომუშავე საზოგადოებად იქცა, ამის სიმპტომია; ადრე მუშაობა ქვედა ფენების მახასიათებელი იყო. ასევე მთელ საზოგადოებაში ვრცელდება ის ხასიათებიც, რომლებიც უწინ ზედა ფენების განმასხვავებელ თვისებებს განეკუთვნებოდა.

საზოგადოებრივი იძულების გარდაქმნა თვითიძულებად, ავტომატურ, თავისთავად ცხად ჩვეულებად ქცეულ ლტოლვათა რეგულირებად და აფექტთა შეკავებად, რომელიც ჩვეულებრივ, შესაძლებელია მხოლოდ, მახვილისა და შიმშილით სიკვდილის გარეგანი, ფიზიკური საფრთხისაგან დაცულ ადამიანებში, დასავლური საზოგადოების შიგნით სულ უფრო მეტად რეალიზდება ადამიანთა ფართო მასებშიც.

ახლო ხედიდან, რომელიც ამ მოძრაობის მხოლოდ მოკლე მონაკვეთს გადასწვდება, ქვედა და ზედა ფენების ლტოლვათა მოდელირებასა და ქცევებს შორის განსხვავება ცივილიზებულ სამყაროში, შეიძლება, ჯერ კიდევ ძალზე მნიშვნელოვნად მოგვეჩვენოს. თუ თვალწინ წარმოვიდგენთ ამ მოძრაობის დიდ პროცესს, მაშინ დავინახავთ, რომ მკვეთრი კონტრასტები სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთა ქცევებს შორის, სწორედ ისევე, როგორც კონტრასტები და გარდატეხები ცალკეულ ინდივიდთა ქცევებს შორის, განუწყვეტლივ მცირდება. ლტოლვათა მოდელირებანი, ქცევის ფორმები, ქვედა ფენების მთელი ჰაბიტუსი ცივილიზებული საზოგადოების შრომის დანაწილების მთლიან ქსელში თავისი ფუნქციის მზარდი მნიშვნელობით სხვა ფენებისას უახლოვდება, პირველ რიგში, საშუალო ფენებისას. თუმცა, შეიძლება, თვითიძულებათა და ტაბუს ნაწილი, რომლებიც უკანასკნელთა შემთხვევაში „გამორჩევის" მისწრაფებიდან, განსაზღვრული მაღალპრესტიჟულობის მოთხოვნილებიდან მომდინარეობს, დაბალ ფენებში, ჯერ კიდევ არ არსებობს. შეიძლება, სოციალური დამოკიდებულობის სახე მათთან ჯერ კიდევ არ ხდიდეს აუცილებელს და შესაძლებელს აფექტთა მოთოკვისა და პერსპექტიული ხედვის იმგვარ დონეს, როგორც იმავე ეპოქის მაღალ ფენებში.

კონტრასტების ეს შემცირება საზოგადოებაში, ისევე როგორც ინდივიდებში, ქცევის ფორმების ეს თავისებური შეღწევა და შერევა ერთმანეთში, რომლებიც დასაწყისში შეესატყვისება უკიდურესად განსხვავებულ სოციალურ განლაგებას, საკმაოდ მახასიათებელია დასავლური საზოგადოების მთელი განვითარების მიმართულებისათვის. ის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურებაა „ცივილიზაციის" პროცესისა. მაგრამ საზოგადოებისა და ცივილიზაციის ეს მოძრაობა სწორხაზოვანად არ მიმდინარეობს. დიდი მოძრაობის შიგნით არსებობს უფრო დიდი და მცირე პატარა ტალღები, როცა კვლავ მატულობს საზოგადოებაში არსებული კონტრასტები, აფექტების ამოხეთქვა და გადახრები ინდივიდის ქცევაში.

ის, რაც ჩვენს თვალწინ ხდება, რასაც ჩვენ ჩვეულებრივ, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, „ცივილიზაციის გავრცელებას" ვუწოდებთ, ჩვენი ინსტიტუტებისა და ქცევის სტანდარტის დასავლური სამყაროს გარეთ გავრცელების პროცესები, როგორც ითქვა, ჯერჯერობით ეს იმ მოძრაობის უკანასკნელი ტალღებია, რომელიც თავდაპირველად, საუკუნეთა მანძილზე, თავად დასავლურ

საზოგადოებაში განხორციელდა და რომლის მიმართულება და მახასიათებელი ფიგურები აქ მანამდე დიდი ხნით ადრე დამკვიდრდა, სანამ „ცივილიზაციის" ცნება გაჩნდებოდა. დასავლური საზოგადოებიდან, როგორც ერთგვარი ზედა ფენიდან, დღეს ეს დასავლურად „ცივილიზებული" ქცევის ფორმები, იქნება ეს ევროპელთა ჩასახლების გზით, თუ სხვა ხალხთა ჯგუფების ზედა ფენების ასიმილაციით, დასავლური სამყაროდან დიდ მანძილზე ვრცელდება, ისევე როგორც ოდესღაც, დასავლური სამყაროს ფარგლებში ქცევის მოდელები ამა თუ იმ დაწინაურებული ფენიდან, განსაზღვრული, კურტუაზიული თუ სავაჭრო ცენტრებიდან ვრცელდებოდა. ყველა ამ ექსპანსიის მიმდინარეობას მხოლოდ ნაწილობრივ განსაზღვრავს მათი გეგმები და სურვილები, ვისი ქცევის მეთოდებსაც გადაიღებენ. ის ფენები, რომლებიც მოდელებს იძლევიან, დღესაც არ არიან მარტივად ამ ექსპანსიური მოძრაობის თავისუფალი შემოქმედნი და ინიციატორები. ქცევის ანალოგიური ფორმების ეს გავრცელება „თეთრკანიანთა დედულეთიდან და მამულიდან" კვალდაკვალ მისდევს სხვა ადამიანური სივრცეების ჩართვას პოლიტიკური თუ ეკონომიკური ინტერდეპენდენციის იმავე ქსელში, დასავლური სამყაროს ერებს შორის და ამ ერებს შიგნით გამართული შესარჩევი ბრძოლების ველში. ქცევის ამ ცვლილების *მიზეზი* „ტექნიკა" არ არის; რასაც ჩვენ „ტექნიკას" ვუწოდებთ, მხოლოდ *ერთ-ერთი* სიმბოლოა. ეს არის იმ უწყვეტი პერსპექტიული ხედვის დამკვიდრების ერთ-ერთი უკანასკნელი ფორმა, რომლის შექმნას მოქმედებათა სულ უფრო გრძელი ჯაჭვების ჩამოყალიბება და ამგვარად ერთმანეთთან დაკავშირებულთა შორის შეჯიბრი დააჩქარებს. ქცევის „ცივილიზებული" ფორმები ვრცელდება ამ სხვა სივრცეებშიც, რადგან და რამდენადაც ამ ინტერდეპენდენტურ ქსელში ჩართვის გზით, რომლის ცენტრსაც თავდაპირველად დასავლური ქვეყნები ქმნიან, მათში მთლიანად იცვლება საზოგადოების სტრუქტურაც, ადამიანური ურთიერთობის მთლიანი აგებულება. ტექნიკა, სასკოლო აღზრდა, ყველაფერი ეს მხოლოდ ნაწილობრივი გამოვლინებანია. აქაც, ძველი დასავლეთის ექსპანსიის მხარეებში, სოციალური ფუნქციები, რომელსაც ინდივიდი უნდა მოერგოს, სულ უფრო მეტად, იმგვარად გარდაიქმნება, რომ ისინი მოითხოვდნენ და შესაძლებელს ხდიდნენ პერსპექტიული ხედვისათვის ისეთ გამუდმებულ ნვრთნას და აფექტების ისეთ მკაცრ რეგულირებას, როგორც თავად დასავლურ სამყაროშია შესაძლებელი. მთელი სოციალური ექსისტენციის გარდაქმნა აქაც ქცევის ცივილიზაციის ფუნდამენტია. მაგრამ სწორედ ამიტომ, ამ შემთხვევაშიც, დედამიწის სხვა მხარეებთან დასავლური სამყაროს მიმართებაში, მზადდება კონტრასტების იმგვარი შემცირება, რომელიც ცივილიზაციის მოძრაობის ყველა ტალღის თავისებურებას ქმნის.

ფუნქციონალურად უფრო მაღალი ფენების ქცევის ფორმათა ეს განმეორებადი შერწყმა დაწინაურების პროცესში მყოფ, ქვედა

ფენების ქცევის ფორმებთან არანაკლებ ნიშანდობლივია ამ ეტაპზე ზედა ფენების უცნაური, გაორებული პოზიციისათვის. პერსპექტიული ხედვის, ქცევისა და აფექტების უფრო მკაცრი რეგულირების მიჩვევა, რაც მათ ფუნქციებსა და მდგომარეობას არსებული ზედა ფენების ჩვეულებად აქცევს, ამ ფენებისათვის, მაშასადამე, კოლონიზატორი ევროპელებისათვის, სხვებზე თავიანთი აღმატებულობის მძლავრ ინსტრუმენტებს წარმოადგენს; ეს მათთვის სპეციფიკური ნიშან-თვისების როლს ასრულებს და იმ თვისებებს მიეკუთვნება, რომლებიც მათი, როგორც ზედა ფენების მდგომარეობას პრესტიჟულობას შესძენს. სწორედ ამიტომ, ასეთი საზოგადოება მეტ-ნაკლებ მწვავე გაკიცხვით დასჯის შეცოდებას ლტოლვათა და აფექტთა რეგულირების ტრადიციული სქემის წინააღმდეგ, მათი ერთ-ერთი წევრის „თავის-ნებაზე-მიშვებულობას". ის მით უფრო მკაცრად განიკითხავს ამგვარ დარღვევებს, რაც უფრო მატულობს ქვედა ფენების სოციალური ძლიერება, რაც უფრო მეტად მიიწევენ ამ სოციალური ჯგუფის ადამიანები ზემოთ და რაც უფრო ინტენსიურია კონკურენცია, უფრო ზუსტად, ბრძოლა ზედა და ქვედა ფენების ჯგუფებს შორის, ერთი და იმავე შანსებისათვის. დაძაბულობა და პერსპექტიული ხედვა — ფასი, რომლითაც ზედა ფენების მაღალი მდგომარეობის შენარჩუნება ხდება, საზოგადოების შიდა ურთიერთობებში გამოხატულებას საზოგადოებრივი თვალთვალის სიძლიერეში პოულობს, რომელსაც მისი წევრები ერთმანეთზე მიმართავენ. შიში, რომელიც მთელი ჯგუფის მდგომარეობიდან, დაწინაურებული პოზიციის შენარჩუნებისათვის მათი ბრძოლიდან და მათი დიდი თუ მცირე საფრთხეებიდან მომდინარეობს, უშუალოდ, ქცევის კოდექსის შენარჩუნების, მის ცალკეულ წევრებში „ზე-მე"-ს კულტივირების იმპულსის სახით მოქმედებს; ის გადადის ინდივიდუალურ შიშში, ერთეული ადამიანის ძრწოლაში პიროვნული დეგრადირების ან უბრალოდ ამ საზოგადოებაში მისი პრესტიჟის შემცირების წინაშე; და ეს, თვითიძულებად კულტივირებული შიში სხვათა თვალში საკუთარი ავტორიტეტის შემცირებისა, (მიიღებს ეს სირცხვილისა თუ პატივმოყვარეობის გრძნობის ფორმას), უზრუნველყოფს ცალკეულ ადამიანში სპეციფიკური ქცევის გამუდმებულ, ჩვეულ გამომუშავებას და ლტოლვათა მკაცრ რეგულირებას.

მაგრამ, ერთი მხრივ, ეს ზედა ფენები — და, როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული თვალსაზრისით, ზედა ფენების ფუნქცია აქვთ დასავლურ სამყაროს ერებს, როგორც მთელს, — უბიძგებენ იმისაკენ (და თვითონაც განიცდიან ბიძგს), რომ მთელი ძალით ეცადონ შეინარჩუნონ თავიანთი განსაკუთრებული ქცევა და მათი ლტოლვების სპეციფიკური რეგულირება, როგორც განმასხვავებელი ნიშანი. მეორე მხრივ, მათი საკუთარი მდგომარეობა, ისევე როგორც მთლიანი მოძრაობის სტრუქტურა, რომელშიც ისინი არიან ჩართულნი, საბოლოოდ, ქცევათა განსხვავების უფრო და უფრო მეტად შემცირე-

ბისაკენ უბიძგებს. დასავლური ცივილიზაციის გავრცელების პროცესი საკმაოდ ნათლად აჩვენებს ამ გაორებულ ხასიათს. ეს ცივილიზაცია არის ოქციდენტალთა გამოსარჩევი და უპირატესობის მიმნიჭებელი ნიშანი. მაგრამ, ამავე დროს დასავლური სამყაროს ადამიანები, თავიანთი საკუთარი კონკურენტული ბრძოლის გავლენით, დედამინის სხვადასხვა ნაწილებს ადამიანური ურთიერთობებისა და ფუნქციების საკუთარი სტანდარტის მიხედვით ცვლილებისაკენ უბიძგებენ. ისინი მსოფლიოს დიდ რეგიონებს თავისზე დამოკიდებულს ხდიან და ამავე დროს (შესაბამისად ყოველთვის შესამჩნევი პროგრესირებადი ფუნქციური დანაწილებისა), თავად ხდებიან მათზე დამოკიდებულნი. მთელი რიგი ინსტიტუტებისა და საკუთარი ქცევის მკაცრი თვალთვალის საშუალებით, ერთი მხრივ, ისინი მავთულხლართებს გაავლებენ საკუთარ თავსა და იმ ჯგუფებს შორის, რომელთა კოლონიზებასაც ახდენენ და რომელთაც ისინი „ძლიერის უფლებით" დაბლა მდგომებად განიხილავენ, მაგრამ ამავე დროს, თავიანთ სოციალურ ფორმებს მათი ქცევის ფორმებსა და ინსტიტუტებზე ავრცელებენ. ისინი უნებლიეთ იმ მიმართულებით მუშაობენ, რომელსაც ადრე თუ გვიან იმისაკენ მივყავართ, რომ მცირდება განსხვავება როგორც კოლონიზატორთა და კოლონიზებულთა სოციალურ ძლიერებას, ასევე მათ ქცევებს შორის. უკვე ჩვენს დროში, კონტრასტები საგრძნობლად შერბილებულია. კოლონიზაციის ფორმის, უფრო დიდი, ფუნქციური დანაწილების ქსელში გარკვეული რეგიონის მდგომარეობის და არცთუ ყველაზე ნაკლებ, ამა თუ იმ მხარის ისტორიისა და სტრუქტურის მიხედვით, დასავლური სამყაროს ცალკეულ რეგიონებში ნელ-ნელა იწყება ურთიერთგამსჭვალვისა და შერევის პროცესები, ანალოგიურად იმისა, რაც ზემოთ კურტუაზიული და ბურჟუათათვის მახასიათებელ ქცევების მაგალითზე გამოიკვეთა დასავლური სამყაროს სხვადასხვა ქვეყნებში. კოლონიურ მხარეებშიც, სხვადასხვა ჯგუფის მდგომარეობისა და სოციალური ძლიერების მიხედვით, ზემოდან ქვემოთ ვრცელდება დასავლური სამყაროს ქცევის ფორმები და ზოგიერთ შემთხვევაში, უკვე ქვემოდან ზემოთ (თუ ეს სივრცული ხატი გვინდა შევინარჩუნოთ) და შეერწყმიან ერთმანეთს მრავალსახეობის ახალ, განუმეორებელ ერთიანობად, ცივილიზებული ქცევის ახალ მრავალსახეობად. *უწინდელი ზედა და ქვედა ფენის ჯგუფების ქცევათა შორის კონტრასტები ცივილიზაციის გავრცელებასთან ერთად მცირდება; ცივილიზებული ქცევის მრავალსახეობა და შეფერილობანი კი მატულობს.* აღმოსავლეთის სამყაროს ან აფრიკელ ადამიანთა დასავლური ქცევის სტანდარტის მიმართულებით გარდაქმნის ეს დასაწყისი ცივილიზაციის პროცესის ჯერ-ჯერობით უკანასკნელ მოქცევას წარმოგვიდგენს, რომლის დანახვა ჩვენთვის შესაძლებელია. მაგრამ იმაში თუ როგორ აიწევს ეს ტალღა, უკვე გამოიხატება იმავე მიმართულების ახალი, შემდგომ ტალღათა საწყისები;

რადგან, ის, რაც დასავლურ ზედა ფენას კოლონიურ მხარეებში დაბალი, დაწინაურების პროცესში მყოფი ფენის სახით უახლოვდება, პირველ ყოვლისა, ადგილობრივ ხალხების ზედა ფენებია.

ერთი ნაბიჯით უკან, თვით დასავლურ სამყაროში, იგრძნობა იმ შესატყვისი მოძრაობის ტალღების ზვირთცემა, რომელზედაც იყო საუბარი: ცივილიზებული ქცევის სტანდარტში ერთვებიან ქვედა, ქალაქური და აგრარული ფენები, ისინი უფრო და უფრო ეჩვევიან პერსპექტიულ ხედვას, აფექტების თანაბარზომიერ დაცხრობას და უფრო ზუსტ რეგულირებას, მათთანაც სულ უფრო მტკიცედ ყალიბდება თვითიძულების აპარატი. და აქაც, ცივილიზებული ქცევის საზღვრებში, ამა თუ იმ ქვეყნის სტრუქტურული ისტორიის მიხედვით, წარმოიქმნება აფექტთა გაფორმების სხვადასხვა მოდელირებანი თუ ვარიაციები. მაგალითად, ინგლისში, მუშის ქცევაში ჯერ კიდევ გამოსჭვივის პროვინციელ კეთილშობილთა და შორეულ მანძილებზე მოვაჭრეთა ქცევის გავლენა, საფრანგეთში — ერთდროულად კარისკაცთა და რევოლუციის შედეგად ძალაუფლებაში მოსული ბურჟუაზიისა. ამავე დროს, მუშებთან ვხვდებით ქცევის ფორმების უფრო ზუსტ რეგულირებას. ტრადიციებით უფრო მეტად დატვირთულ კურტუაზიულობას აღმოვაჩენთ იმ ერებში, რომელთაც, როგორც კოლონიზატორებს, ზედა ფენების ფუნქცია ჰქონდათ ფართო ინტერდეპენდენტური ქსელის შიგნით. აფექტების ნაკლებად ზუსტ, ნაკლებად დახვეწილ რეგულირებას ვამჩევევთ იმ ერებში, რომლებიც უფრო გვიან ან ვერასოდეს ახორციელებენ კოლონიურ ექსპანსიას, რადგან კონკურენტ ერებთან შედარებით მათთან მხოლოდ მოგვიანებით ყალიბდება ძლიერი ძალისმიერი და საგადასახადო მონოპოლია, ნაციონალური სახელისუფლო საშუალებების ცენტრალიზება, რაც თავისთავად წინაპირობაა ხანგრძლივი, კოლონიური ექსპანსიისა.

უფრო ადრე, მე-17, მე-18 და მე-19 საუკუნეებში— ქვეყნის აღმშენებლობის მიხედვით, ზოგან უფრო ადრე, ზოგან უფრო გვიან— ანალოგიურ ფიგურას, კერძოდ არისტოკრატიისა და ბურჯუაზიის ქცევათა ფორმების ერთმანეთში შეღწევას ვხვდებით კიდევ უფრო ვინრო ნრეში. ძალისმიერი მიმართებების შესაბამისად, თავდაპირველად, აქაც, ამ შეღწევის შედეგად მიღებულ პროდუქტში ბატონობს ის მოდელები, რომლებიც ზედა ფენების მდგომარეობას შეესატყვესება, შემდეგ — ქვედა, დაწინაურების პროცესში მყოფ ფენათა ქცევის ფორმები, მანამ, სანამ წარსული პროცესების ნალექის სახით, ოდესმე რაღაც ამალგამი, თავისებური ბუნების მქონე ახალი ერთიანობა არ წარმოიქმნება. და აქაც, ვეჯახებით ზედა ფენების იმ გაორებულ მდგომარეობას, რომელშიც დღეს იმყოფებიან „ცივილიზაციის“ მედროშენი. სასახლის კარის არისტოკრატიაც, „civilité“-ს მედროშე, უფრო და უფრო მეტად განიცდის აფექტების შეკავებისა და ქცევის უფრო ზუსტი ფორმირების იძულებას, ინტერდეპენდენტურ ქსელში სულ უფრო ძლიერი ჩართულობის

შედეგად; აქ ეს განხორციელდება მეფის ხელისუფლებისა და ბურჯუაზიის მარწუხების საშუალებით, რომელშიც ისაა მოქცეული. სასახლის კარის არისტოკრატიასაც, რომელსაც თავისი ფუნქცია და მდგომარეობა უბიძგებს საკუთარ-თავზე-დაყრდნობისაკენ, ეს გამოადგება, როგორც პრესტიჟული ღირებულება, როგორც მოზღვავებული, ქვედა ფენებისაგან გამორჩევის საშუალება. და ის, ერთი მხრივ, ყველაფერს აკეთებს, რაც შეუძლია, რათა ეს განსხვავებანი არ წაიშალოს. კარგი ყოფაქცევის საიდუმლო მხოლოდ განდობილებს, მხოლოდ ამ წრის წარმომადგენლებს შეეძლოთ სცოდნოდათ; მხოლოდ კარგ საზოგადოებაში ტრიალით შეიძლებოდა ამის სწავლა. ნაშრომი „Savoir-vivre"-ს შესახებ, ცნობილი „Handorakel", როგორც ერთგან ერთ-ერთი სასახლის კარის პრინცესა წერს[134], გრასიანმა აშკარად ბუნდოვანი დატოვა, რათა ამ წიგნით რამდენიმე გროშად ყოველი ადამიანისათვის ხელმისაწვდომი არ გამხდარიყო ეს ცოდნა. კურტენსაც არ ავიწყდება „Civilité"-ს „ შესახებ დაწერილი თავისი ტრაქტატის შესავალში ხაზი გაუსვას იმას, რომ მისი ხელნაწერი მხოლოდ რამდენიმე მეგობრის კერძო მოხმარებისათვის შეიქმნა და რომ დაბეჭდილი სახითაც ის მხოლოდ კარგი საზოგადოების ადამიანთათვის იქნებოდა განკუთვნილი. მაგრამ აქ უკვე გამოაშკარავდება ამ სიტუაციის გაორება. თავისებური გადა-ჯაჭვულობის საფუძველზე, რომელშიც ის ცხოვრობდა, სასახლის კარის არისტოკრატიას არ შეეძლო თავიდან აეშორებინა თავისი მანერების, ჩვეულებების, გემოვნებისა და ენის გავრცელება სხვა ფენებში, თავდაპირველად, მე-17 საუკუნეში ბურჟუაზიის მცირერიცხოვან, უმაღლეს წრეებში (ამის თვალსაჩინო მაგალითს იძ-ლევა „ექსკურსი მეტყველების კურტუაზიული მოდელირების შესახებ" [135]), შემდეგ კი მე-18 საუკუნეში ბურჟუაზიის უფრო ფართო ფენებში; მას ხომ თავისი კონტაქტებით მდიდარ, ბურჟუაზიულ ფენებთან (რომლებიც მას ამა თუ იმ ფორმით სჭირდებოდა კიდეც) თავად შეჰქონდა წვლილი ამაში. Civilité-თხზულებების რაოდენობა, რომელიც ამ ეპოქაში გამოდის, ამას ნათლად აჩვენებს. აქაც, ზვინული, რომელსაც არისტოკრატია თავის გარშემო აშენებს, ვერ უძლებს გადაჯაჭვის ნაკადის, როგორ მთელის დაწოლას, კონკურენტული ბრძოლების დაძაბულობებს, რომლებიც მზარდი დიფერენცირების პირობებში თითოეულ ადამიანს უფრო მეტ ადამიანზე დამოკიდებულებისაკენ უბიძგებს და უფრო ფართო ფენებს დაწინაურების იმპულსს აძლევს.

არსებობს პატარა ფუნქციური ცენტრები, რომელშიც თავდაპირველად შესამჩნევი ხდება მზარდი ფუნქციური გადაჯაჭვულობის იძულება პერსპექტიული ხედვის, დიფერენცირებული თვითდისციპლინის, უფრო მყარი „ზე-მე"-ს ჩამოყალიბებისაკენ; შემდგომში, ამ თვალსაზრისით, დასავლური სამყაროს ფარგლებში სულ უფრო მეტი ფუნქციური წრის გარდაქმნა

ხდება. და ბოლოს, ცივილიზაციის უკვე არსებულ ფორმებთან კავშირის დამყარებით, არაევროპულ ქვეყნებში დაიწყება სოციალური ფუნქციების და ამით ქცევის, მთელი ფსიქიკური აპარატის ანალოგიური ტრანსფორმაცია. ამგვარ სურათს მივიღებთ, თუ შევეცდებით მთლიანობაში გადავავლოთ თვალი დასავლური ცივილიზაციის პროცესის აქამდელ მსვლელობას სოციალურ სივრცეში.

მეომართა გაკურტუაზება

მე-17 და მე-18 საუკუნის კურტუაზიულ საზოგადოებას და პირველ ყოვლისა, საფრანგეთის სასახლის კარის არისტოკრატიას, რომელიც მის ცენტრს ქმნის, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მთელ ამ ტალღოვან მოძრაობაში, ზედა ფენების ქცევის ფორმების ქვემოთ გავრცელებაში და ქვედა ფენების ქცევის ფორმათა ზემოთ სვლაში, საბოლოოდ, კი სულ უფრო ფართო წრეების ამ ქცევის ფორმებით გამსჭვალვაში. აფექტთა ჩაცხრობა და მთლიანად ქცევის უფრო თანაბარი ფორმირება კურტუაზიულ საზოგადოებას არ დაუწყია და აღმოუჩენია. მისი წევრები, ყველა სხვა ადამიანის მსგავსად ამ მოძრაობის შიგნით გადაჯაჭვულობის იმ იძულებებს მიჰყვებიან, რომელიც არცერთ ცალკეულ ადამიანს და არცერთ ცალკეულ ჯგუფს არ დაუგეგმავს. მაგრამ ამ კურტუაზიულ საზოგადოებაში ყალიბდება ქცევისა და ურთიერთობის არაერთი ფორმის ხერხემალი, რომლებიც შემდგომ, გაიჟღენთება რა სხვა ფორმებით და გარდაიქმნება მისი მატარებელი ფენების მდგომარეობის შესაბამისად, პერსპექტიული ხედვის იძულებით სულ უფრო ფართო ფუნქციურ წრეებში ვრცელდება. კურტუაზიული, კარგი საზოგადოების ადამიანებს თავიანთი განსაკუთრებული სიტუაცია, დასავლური სამყაროს ამ მოძრაობის სხვა, რომელიმე ჯგუფზე მეტად, საზოგადოებრივ ურთიერთობაში ქცევის ფორმირებისა და მოდელირების სპეციალისტებად აყალიბებს; რადგან განსხვავებით ყველა სხვა შემდგომი ჯგუფებისაგან, ზედა ფენების მდგომარეობაში, მართალია, მათ სოციალური ფუნქცია აქვთ, მაგრამ პროფესია არ გააჩნიათ.

არა მხოლოდ დასავლურ ცივილიზაციაში, არამედ ცივილიზაციის სხვა პროცესებშიც, მაგალითად, აღმოსავლეთ აზიისა, ასეთივე დიდი მნიშვნელობა აქვს იმ მოდელირებას, რომელსაც ქცევა განიცდის დიდი სასახლის კარზე, გადასახადებისა და ფიზიკური ძალადობის უმნიშვნელოვანესი მონოპოლიების ადმინისტრაციულ ცენტრებში. აქ პირველად, მონოპოლიურ მმართველთა რეზიდენციაში გადის დიდი ინტერდეპენდენტური ქსელის ყველა ძაფი; აქ, ამ სოციალური პროცესების განსაზღვრულ მონაკვეთში მოქმედებათა უფრო გრძელი ჯაჭვები გადაკვეთს ერთმანეთს, ვიდრე ქსელის რომელიმე სხვა წერ-

ტილში. თვით შორეული ვაჭრობის გზებიც, რომლებშიც ჩართულია ცალკეული ქალაქური სავაჭრო ცენტრები, ვერ იარსებებს ხანგრძლივად და სტაბილურად, თუ ისინი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე დაცულნი არ იქნება ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მიერ. შესაბამისად, პერსპექტიული ხედვა და ქცევის მკაცრი რეგულირება, რომელსაც ეს ცენტრალური ორგანო თავისი ფუნქციონერებისაგან, თვით მეფეებისა ან მათი წარმომადგენლებისაგან და მსახურებისაგან მოითხოვს, გაცილებით დიდია, ვიდრე სხვა რომელიმე წერტილში. ამ სიტუაციას ნათლად გამოხატავს ცერემონიები და ეტიკეტი. პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მთელი სამფლობელოდან იმდენად ძლიერი ზეწოლაა ცენტრალურ მმართველსა და მის უახლოეს გარემოცვაზე, გარკვეულ შემთხვევებში მის ყოველ ნაბიჯს, მის ყოველ ჟესტს იმდენად მძიმე შედეგები მოაქვს და იმდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, თანაც სწორედ იმ მიზეზით და მაშინ, როცა მონოპოლიებს ჯერ კიდევ კერძო თუ პიროვნული მონოპოლიების ხასიათი აქვს, რომ ამ ზუსტი დაყოფის, დიფერენცირებული თავშეკავებისა და დისტანცირების გარეშე, დაძაბულობათა წონასწორობა საზოგადოებაში, რომელზედაც მონოპოლიური ადმინისტრაციის მშვიდობიანი საქმიანობა ეფუძნება, ძალიან სწრაფად უწესრიგობად იქცევდა. და მართალია არაპირდაპირ, მაგრამ სულ მცირე, ცენტრალურ მმართველთა პიროვნებებისა და მათი მინისტრების გავლით, ყოველი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მოძრაობა და რყევა დიდ სამფლობელოში კარისკაცთა უმეტესობაზე, თავადთა ვიწრო და ფართო გარემოცვაზე აისახება. გაშუალებულად, თუ უშუალოდ, ის კავშირები, რომელშიც სასახლის კარზე უცილობლად ჩართულია ყოველი ადამიანი, აიძულებს მათ გამუდმებით სიფრთხილე გამოიჩინონ, ზუსტად აწონ - დაწონონ ყველაფერი, რასაც ისინი ამბობენ და აკეთებენ.

ძალისმიერი და საგადასახადო მონოპოლიის და დიდი სასახლის კართა ჩამოყალიბება ამ მონოპოლიის გარშემო სხვა არაფერია, თუ არა ერთ-ერთი შემადგენელი მოვლენა მთელი პროცესის მსვლელობისა, რომელსაც თან მოაქვს თანდათანობითი ცივილიზება. მაგრამ ის არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვლენა, რომლიდანაც დიდი სირთულეების გარეშე შეიძლება ვიპოვნოთ მისასვლელი ამ პროცესების მამოძრავებელ მექანიზმამდე. მეფის დიდი სასახლის კარი გარკვეული ხნის მანძილზე იმ სოციალურ გადაჯაჭვულობათა ცენტრში დგას, რომლებიც მოძრაობაში მოიყვანს და ამყოფებს ქცევის ცივილიზების პროცესს. თუ სასახლის კარის სოციოგენეზისს მივყვებით, ცივილიზატორული გარდაქმნის შუაგულში აღმოვჩნდებით, რომელიც განსაკუთრებით საყურადღებოა და რომელიც, ამავე დროს, ცივილიზაციის მიმართულებით ყველა სხვა შემდგომი ცვლილების წინაპირობას წარმოადგენს: ჩვენ ვხედავთ, როგორ ნაბიჯ-ნაბიჯ გამოდის სამხედრო არისტოკრატიის ადგილას დამცხრალი აფექტების მქონე, მოთოკილი არისტოკრატია,

კურტუაზიული არისტოკრატია. არა მხოლოდ დასავლური სამყაროს ცივილიზაციის პროცესში, არამედ საზოგადოდ, (რამდენადაც ამის დანახვა შესაძლებელია), ყოველი ცივილიზაციის დიდი პროცესის შიგნით მიმდინარეობს *მეომართა გაკურტუაზების* მნიშვნელოვანი პროცესები. თითქმის აღარ საჭიროებს აღნიშვნას ის გარემოება, რომ საქმე გვაქვს ამ გაკურტუაზების, გარკვეული საზოგადოების ამ შინაგანი პაციფიცირების სრულიად სხვადასხვა საფეხურებთან და გრადაციებთან. დასავლურ სამყაროში, მეომართა კარისკაცებად ქცევა ხდება სულ ნელ-ნელა, მე-11 თუ მე-12 საუკუნიდან მოყოლებული, სანამ ის მე-17, მე-18 საუკუნეებში თავის დასასრულს არ მიაღწევს.

როგორ მიდის აქამდე საქმე, ეს ზემოთ დეტალურად იქნა აღწერილი: პირველ რიგში მოცემულია ფართო ლანდშაფტი მისი მრავალი ციხე-სიმაგრითა და მამულებით; ადამიანთა გადაჯაჭვულობა ნაკლებია; მეომართა, ისევე როგორც გლეხების უმეტესობის ყოველდღიური დამოკიდებულება და შესაბამისად, ჰორიზონტი ძალზე ვიწრო სფეროს არ სცილდება:

"Localism was writ large across the Europe of the early Middle Ages, the localism at first of the tribe and the estate, later shaping itself into those feodal and manorial units upon which mediaeval society rested. Both politically and socially these units were nearly independent, and the exchange of products and ideas was reduced to a minimum"[136].

შემდგომ, ყოველი ლანდშაფტის ციხე-სიმაგრეთა და მამულების ამ სიმრავლიდან დაწინაურდება რამდენიმე, რომელთა ბატონებმა მათი მამულების მზარდი სიდიდითა და ბრძოლებში მიღწეული საომარი ძლევამოსილებით სხვა მეომრებზე უპირატესობა მოიპოვეს მეტ-ნაკლებად დიდ რეგიონში. მათი სამკვიდრებელი, იმ დიდი მოცულობის დოვლათის შესაბამისად, რომელიც იქ იყრის თავს, ბევრი ადამიანის თავშესაფარად, „სასახლის კარად" იქცევა, ამ სიტყვის ახალი მნიშვნელობით. ადამიანები, რომლებიც აქ იკრიბებიან თავისი შანსების ძიების პროცესში, მათ შორის, ღარიბ მებრძოლთა გარკვეული რაოდენობა, იმდენად დამოუკიდებელნი აღარ არიან, როგორც თავისუფალი მეომრები, რომლებიც ერთპიროვნულად განაგებდნენ თავიანთ მეტ-ნაკლებად ავტარკიულ მამულებს; ყველა მათგანი უკვე ჩართულია მონოპოლიურად შეკრულ კონკურენციაში. და უკვე აქ, ადამიანთა განსაზღვრულ წრეში, რომელიც აბსოლუტისტურ სასახლის კართან შედარებით ჯერ კიდევ პატარაა, ერთი რიგის ადამიანთა თანაარსებობა, რომელთა საქმიანობა გამუდმებით გადაეჯაჭვება ერთმანეთს, ამ გადაჯაჭვულობაში ჩართულ მეომრებსაც მუდმივად აიძულებს წარსულის გააზრებას და სამომავლო მოქმედებათა შედეგების წინასწარჭვრეტას, ქცევათა უფრო ძლიერ რეგულირებას და აფექტების უფრო მეტად შეკავებას, ლტოლვითი სამყაროს რეფორმირებას პირველ ყოვლისა, სასახლის იმ ქალ-

ბატონთან ურთიერთობაში, რომელზედაც ისინი არიან დამოკიდებულნი. კურტუაზიული ქცევის კოდექსი იძლევა წარმოდგენას ურთიერთობის რეგულირების შესახებ, მინეზანგი კი[137] შთაბეჭდილებას გვიქმნის ლტოლვათა იმგვარი დაძლევის თაობაზე, რაც ამ დიდ და პატარა ტერიტორიულ სასახლეთა კარზე აუცილებელი და ჩვეულებრივი რამ ხდება. არსებობს საბუთები იმ მიმართულებით განხორციელებული პირველი ბიძგებისა, რომელთაც შემდგომში, საბოლოოდ, არისტოკრატიის სრულ გაკურტუაზებამდე და „ცივილიზაციის" აზრით მისი ქცევის ხანგრძლივ გარდაქმნამდე მივყავართ. მაგრამ გადაჯაჭვულობათა ქსელი, რომელშიც მებრძოლი ჩაერთვება, ჯერ კიდევ არ არის ისე ფართო და ჩაკეტილი. თუ სასახლის კარზე თავშეკავებას უნდა მიეჩვიონ, კვლავ არსებობს უამრავი ადამიანი და სიტუაცია, რომელთან მიმართებაშიც არავითარი განსაკუთრებული იძულების დაწესება არ ჭირდებათ. შეიძლება გაექცნენ ერთი სასახლის კარის ბატონსა და ქალბატონს იმ იმედით, რომ სხვა სასახლის კარზე იპოვნიან თავშესაფარს და საცხოვრებელს. სოფლის გზა სავსეა სასურველი და არასასურველი შეხვედრებით, რომელიც ქცევის რაიმე განსაკუთრებულ რეგულირებას არ მოითხოვს. სასახლის კარზე, ქალბატონთან ურთიერთობაში, უარი უნდა თქვან ძალადობასა და აფექტთა გადმოფრქვევაზე; მაგრამ კურტუაზი რაინდიც, პირველ რიგში, მეომარია და მისი სიცოცხლე, თითქმის, უწყვეტი ჯაჭვია ომების, ბრძოლებისა და ძალადობისა. უფრო მშვიდობიანი გადაჯაჭვულობის იძულებანი, რომლებიც ლტოლვათა სამყაროს უფრო ღრმადმიმავალი რეფორმირებისაკენ უბიძგებს, მის ცხოვრებაზე ჯერ კიდევ არ მოქმედებს მუდმივად და თანაბრად. ეს იძულებები მხოლოდ ადგილ-ადგილ გამოჩნდება, მაგრამ დროდადრო ნყდება და კვალავ საომარ სნრაფვაში პოულობს გაგრძელებას, რომელიც აფექტთა შეკავებას ვერც იტანს და არც მოითხოვს. ამის შესაბამისად, ის თვითიძულებანი, რომლებსაც კურტუაზი რაინდი სასახლის კარზე საკუთარ თავს დააკისრებს, ჯერ კიდევ ნაკლებად, ნახევრად არაცნობიერად მომუშავე ჩვევების, თითქმის ავტომატურად მოქმედი აპარატის სახით მკვიდრდება, რომელიც მას აფორმებს და შეაკავებს. კურტუაზიული მიწერილობანი, როგორც უკვე მივუთითეთ, რაინდულ-კურტუაზიული საზოგადოების აყვავების ხანაში, თანაბრადაა მიმართული ბავშვებსა და ზრდასრულებზე; ამ მიწერილობათა შესატყვისად მოქცევა ზრდასრულებში არასოდეს არ არის ისე ცხადი, რომ შეიძლებოდეს ამის შესახებ საერთოდ აღარ ვისაუბროთ. ამის საპირისპირო იმპულსები ცნობიერებიდან არ ქრება. თვითიძულების აპარატი, „ზე-მე", ჯერ კიდევ არაა ძალიან ძლიერი და თანაბრად განვითარებული.

გარდა ამისა, აქ ჯერ არ არსებობს ერთ-ერთი ძირითადი მამოძრავებელი მექანიზმი, რომელიც შემდგომ, აბსოლუტისტურ-კურტუაზიულ საზოგადოებაში, ცალკეულ ადამიანს განსაკუ-

თრებული სიძლიერით უბიძგებს კარგი მანერების განმტკიცებისა და ამასთან, მათი პროგრესირებადი დახვეწისაკენ: ქალაქურ-ბურჟუაზიული ფენების სულისკვეთება არისტოკრატიის წინააღმდეგ ჯერ კიდევ მცირეა; ამის შესაბამისად, ნაკლებია კონკურენტული დაძაბულობა ორივე ფენას შორის. ცხადია, ტერიტორიულ სასახლის კარზე თანაბარი შანსებისათვის დრო და დრო ერთმანეთს უკვე მეომრები და ქალაქელები უწევენ კონკურენციას. არსებობენ როგორც ბიურგერი, ასევე არისტოკრატი მინეზენგერები. ამ თვალსაზრისითაც, კურტუაზიული სასახლის კარი კიდევ ერთხელ აჩვენებს ისეთივე სტრუქტურულ კანონზომიერებას, როგორც მოგვიანებით, სრულიად აშკარად — აბსოლუტისტური სასახლის კარი: მას მუდმივ შეხებაში მოჰყავს ერთმანეთთან ბიურგერული და არისტოკრატიული წარმოშობის ადამიანები. მაგრამ მოგვიანებით, უკვე სრულად ჩამოყალიბებულ სახელისუფლო მონოპოლიათა ეპოქაში, შედარებით მატულობს არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის ფუნქციონალური გადაჯაჭვულობა და მასთან ერთად, როგორც გამუდმებული კონტაქტების, ისე ხანგრძლივ დაძაბულობათა შესაძლებლობა. კონტაქტები ბურჟუათა და მეომრებს შორის, როგორც ეს კურტუაზიულ სასახლის კარზე გვხვდება, ჯერ კიდევ საკმაოდ იზოლირებულ მოვლენას წარმოადგენს. თავად ამ საზოგადოების სხვა სიცრცეებში, ბურჟუაზიისა და არისტოკრატიის გადაჯაჭვულობა, ორმხრივი ინტერდეპენდენცი ჯერ კიდევ მცირეა შემდგომ ეპოქასთან შედარებით. ქალაქები, მისი ახლო და შორეული მიდამოს ფეოდალი მმართველები ერთმანეთს ჯერ ისევ უპირისპირდებიან, როგორც უცხო პოლიტიკური და სოციალური ერთეულები. ამ ნაკლებად განვითარებული ფუნქციური დანაწილების გამოხატულება, თვალსაჩინო მტკიცება სხვადასხვა ფენების ამ შედარებით მცირე დაკავშირებულობისა არის ის ფაქტი, რომ ურთიერთობა ან ჩვეულებათა და იდეების გავრცელება ქალაქსა და ქალაქს, ორ სასახლის კარს, მონასტერსა და მონასტერს შორის, მაშასადამე ურთიერთობა საზოგადოების ერთსა და იმავე ფენის შიგნით, ხშირად დიდ მანძილებზეც კი უფრო ინტენსიურია, ვიდრე კონტაქტები ერთი და იმავე მიდამოს ციხე-სიმაგრეებსა და ქალაქებს შორის.[138] და ეს არის საზოგადოების ის სტრუქტურა, რომელიც მუდამ (ამავე დროს საპირისპირო სურათის სახით) თვალწინ უნდა გვედგას, რათა გავიგოთ სხვა სტრუქტურა, სხვა სოციალური პროცესები, რომელთაც თანდათანობით მივყავართ ფსიქიკური თვითმართვის უფრო და უფრო ძლიერი „ცივილიზებისაკენ“.

აქ, ისევე როგორც ყველა უპირატესად ნატურალური მეურნეობის მქონე საზოგადოებაში, გვიანდელ ფაზებთან შედარებით, გაცვლა-გამოცვლა და და მაშასადამე, გადაჯაჭვულობა, ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულება სხვადასხვა ფენებს შორის ჯერ კიდევ მცირეა. ამის შედეგად გაუწონასწორებელია ცხოვრების წარმართვის მთლიანი მანერა. სამხედრო ძლიერება, საომარი

პოტენციალი და საკუთრება აქ ჯერ კიდევ უმჭიდროეს და ყველაზე პირდაპირ დამოკიდებულებაშია ერთმანეთთან. შესაბამისად, უიარაღო გლეხი დამცირებულ მდგომარეობაში ცხოვრობს. ის ისე ძლიერად ემორჩილება შეიარაღებულ ბატონს, როგორც არცერთი ადამიანი სხვა, მეორე ადამიანს იმ შედარებით გვიანდელი ფაზების ყოველდღიურობაში, რომელშიც უკვე ჩამოყალიბებულია საჯარო და სახელმწიფო ძალისმიერი მონოპოლიები. მეორე მხრივ, შეიარაღებული ბატონი, მეომარი იმდენად თავისუფალია, მისი ფუნქციონალური დამოკიდებულება ქვედა ფენის ადამიანებზე (რომელიც რაღაც ზომით ყოველთვის არსებობს) თვით მისგანვე მომდინარე პირდაპირი, ფიზიკური მუქარის წყალობით იმდენად შეზღუდულია, როგორც ეს არსად აღარ გვხვდება მოგვიანებით, ზედა და ქვედა ფენების ურთიერთდამოკიდებულებაში. იგივე მდგომარეობასთან გვაქვს საქმე ცხორების სტანტარტთან მიმართებაშიც; აქაც, კონტრასტი საზოგადოების უმაღლეს და ყველაზე დაბალ ფენებს შორის განსაკუთრებით დიდია, პირველ ყოვლისა, იმ ფაზაში, რომელშიც მეომართა მასას სულ უფრო მცირერიცხოვანი, განსაკუთრებით ძლიერ და დალხინებულ ბატონთა მასა გამოეყოფა. ამის მსგავს დიდ კონტრასტებს დღეს კიდევ ვხვდებით იმ ადამიანურ სივრცეებში, რომლებიც თავიანთი სოციალური სტრუქტურით უფრო ახლოს დგას შუა საუკუნეების ეპოქის დასავლურ საზოგადოებასთან, ვიდრე თავად ამ უკანასკნელის მემკვიდრე დღევანდელი დასავლური სამყარო, მაგალითად, ინდოეთში ან აბისინიაში: მცირერიცხოვანი უმაღლესი წრეების წარმომადგენელთა ხელშია ძალზე დიდი შემოსავლები, რომლის უმეტესი ნაწილი, როგორც ეს დასავლეთში ხდება, მაღალი შემოსავლების პირობებში, მისი მფლობელის პირადი დანახარჯების, მისი „პირადი ცხოვრების“ ფუფუნებით მოწყობისათვის, მაშასადამე, ტანსაცმლისა და სამკაულის, ბინის და საჯინიბოს, ჭურჭლისა და სადილ-ვახშამის, დღესასწაულებისა და სხვა სიამოვნებისათვის შეიძლება მოიხმარებოდეს და უნდა მოიხმარებოდეს; მეორე მხრივ, ყველაზე დაბალი ფენის წარმომადგენლები, გლეხები, ღარიბულად ცხოვრობენ, მოუსავლიანობისა და შიმშილით სიკვდილის გამუდმებული საფრთხის ქვეშ არიან. მათი შრომის ანაზღაურება, ჩვეულებრივ, მხოლოდ იმისათვისაა საკმარისი, რომ ისინი შიმშილით სიკვდილისაგან იხსნას; მათი ცხოვრების სტანდარტი მნიშვნელოვნად დაბალია, ვიდრე სხვა რომელიმე ფენისა „ცივილიზებულ“ საზოგადოებებში. და მხოლოდ მაშინ, როცა ეს კონტრასტები მცირდება, როცა კონკურენტული ზეწოლის ქვეშ, რომელიც ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევს მთელს ამ საზოგადოებას, —როგორც ზედა, ისე ქვედა ფენებს — ნაბიჯ-ნაბიჯ, სულ უფრო ძლიერდება ფუნქციური დანაწილება, სხვადასხვა ფუნქციათა მონაცვლეობითი დამოკიდებულება და კავშირები დიდ მანძილებზე, როცა იზრდება ზედა ფენების ფუნქციონალური დამოკიდებულებაც

და სიცოცხლის სტანდარტთან ერთად მატულობს დაბალი ფენების სოციალური ძლიერებაც, მხოლოდ მაშინ მიდის ეს პროცესები თანდათანობით ზედა ფენებში იმ უწყვეტ პერსპექტიულ ხედვამდე და „საკუთარ-თავზე-დაყრდნობამდე", ქვედა ფენებში კი მუდმივ ენერგიულობამდე და ყველა იმ ცვლილებამდე, რომლებსაც წვლილი შეაქვს ცივილიზაციის მოძრაობის გავრცელების ბიძგებში.

თავდაპირველად, ამ მოძრაობის დასაწყისში, მეომრები მეტ-ნაკლებად საკუთარი ცხოვრებით ცხოვრობენ, ქალაქის მცხოვ-რებლები და გლეხები— საკუთარი ცხოვრებით. ფენებს შორის უფსკრული, თვით სივრცული სიახლოვის შემთხვევაშიც კი, ჯერ კიდევ ღრმაა; ჩვეულებები, მანერები, ტანსაცმელი, ან სიამოვნებანი, აქ და იქ, ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ, ცხადია, მთლიანად არც გავლენათა გამორიცხვა შეიძლება. სოციალური კონტრასტი ან როგორც ამას, ხშირად, უფრო უნიფორმირებული სამყაროს ადამიანები უწოდებენ, ცხოვრების სიჭრელე, ყოველმხრივ მეტია. ზედა ფენები, არისტოკრატია ჯერ კიდევ არ გრძნობს განსაკუთრებულ ძლიერ სოციალურ დაწოლას ქვემოდან; თვით ბურჟუაზიაც კი ჯერ კიდევ არ ეცილება მას ფუნქციასა და პრესტიჟს. არისტოკრატიას ჯერ კიდევ არ ესაჭიროება გამუდმებით საკუთარ თავს დაეყრდნოს და იფიქროს, როგორ შეინარჩუნოს უცვლელად თავისი, როგორც ზედა ფენის პოზიცია. მას საკუთარი მამული და მახვილი აქვს; ძირითადი საფრთხეს მეომრისათვის სხვა მეომრები წარმოადგენენ. და შესაბამისად, ნაკლებია ის კონტროლი, რომელსაც არისტოკრატები ერთმანეთში მათთვის სპეციფიკურ ქცევაზე ახორციელებენ, ამ მხრივ, ნაკლებია თვითკონტროლიც, რომლისკენაც ცალკეული რაინდი ისწრაფვის. ის შეუდარებლად უფრო მყარად და მტკიცედ დგას თავის სოციალურ პოზიციაზე, ვიდრე არისტოკრატი. მას არ სჭრდება თავისი ცხოვრებიდან უხეშობისა და ვულგარულობის განდევნა. ქვედა ფენებზე ფიქრი მისთვის ბევრად შემაწუხებელი არაა, ამას არ უკავშირდება გამუდმებული შიში. ამის შედეგად, ზედა ფენების ურთიერთობაში დაწესებულიც არა არის აკრძალვა ყველაფერ იმაზე, რაც ქვედა ფენების მოგონებას იწვევს, როგორც მოგვიანებით. ქვედა ფენების ან მისთვის მახასიათებელი მანერების დანახვა აღძრავს არა *უსიამოვნების გრძნობას*, არამედ *ზიზღს*, რომელიც დაუფარავად, შეუკავებლად, ანგარიშისგაუწევლად, სახეცვლილებისა და დაცხრობის გარეშე გამოიხატება. მოკლე „თვალის გადავლება რაინდულ ცხოვრებაზე"[139], რომელიც ამ ნაშრომის ფარგლებში იყო შესაძლებელი, გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს ამ მდგომარეობის შესახებ, თუმცა თვალსაჩინო მასალა, რომელიც აქ იქნა შერჩეული, უკვე რაინდობის უფრო გვიანდელი, კურტუაზიული პერიოდიდანაა აღებული.

ზემოთ დაწვრილებით იყო აღწერილი როგორ აღმოჩნდებიან მეომრები, სხვა ფენებთან და ჯგუფებთან ერთად, ნაბიჯ-ნაბიჯ

ჩათრეულნი უფრო ძლიერი და მჭიდრო გადაჯაჭვულობის მორევში, როგორ ჩაერთვება მათი სულ უფრო დიდი ნაწილი სხვებზე მზარდ ფუნქციონალურ და ბოლოს, ინსტიტუციონალურ დამოკიდებულებაში. საუკუნეთა მანძილზე ადგილი ჰქონდა პროცესებს, რომლებიც ამ მიმართულებით მოქმედებდა: ეს პროცესები მიმართული იყო ყველა მეომრის სამხედრო და ეკონომიკური ავტარკიის დაკარგვისაკენ და მათი ერთი ნაწილის კარისკაცებად გადაქცევისაკენ.

მე-11 და მე-12 საუკუნეში უკვე იგრძნობა ამ გადაჯაჭვის მექანიზმების მოქმედება. მაშინ როცა დამკვიდრებას იწყებს ტერიტორიული სამფლობელოები, ადამიანთა გარკვეული რაოდენობა, პირველ ყოვლისა, ნაკლებ დალხინებულ მეომართა ნაწილი სამსახურის ძებნაში პატარა და დიდ თავადთა სასახლის კარისაკენ ისწრაფვის.

შემდგომში, თანდათან, შედარებით მცირერიცხოვანი, პრინცული წარმომავლობის ფეოდალთა დიდი სასახლის კარი სხვებზე მეტად დაწინაურდება; მხოლოდ მეფის ოჯახის წევრებს აქვთ ახლა იმის შანსები, რომ თავისუფლად გაეჯიბრონ ერთმანეთს. პირველ ყოვლისა, ამ კონკურენტული წრის პრინცული წარმომავლობის ფეოდალთა ყველაზე მდიდარი, ყველაზე ბრწყინვალე სასახლის კარი, ბურგუნდიის სასახლის კარი გვიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, რა ნელა და ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარეობს მეომართა გაკურტუაზება.

მე-15 და პირველ ყოვლისა, მე-16 საუკუნეში, დაჩქარდება მთელი მოძრაობა, საიდანაც მეომართა ეს გაკურტუაზება თავის იმპულსებს იღებს, დაჩქარდება ფუნქციური დანაწილება, ინტეგრაცია, სულ უფრო დიდ ადამიანურ სივრცეთა და ფენათა ეს ურთიერთგადაჯაჭვულობა. ამას განსაკუთრებით ნათლად დავინახავთ იმ სოციალური ინსტრუმენტის მოძრაობის მაგალითზე, რომლის მოხმარება და ცვლილება ყველაზე ზუსტად აჩვენებს ფუნქციური დანაწილების დონეს, სოციალური ინტერდეპენდენციის მაშტაბებსა და ტიპს, კერძოდ, ფულის მოძრაობის მაგალითზე: ფულის მასა მკვეთრად იზრდება და შესაბამისად, სწრაფად კლებულობს მსყიდველობითი უნარი და ფულის ღირებულება. ეს მოძრაობაც, ფულის სახით მოჭრილი ლითონის გაუფასურების ტენდენციაც, ისევე როგორც მეომართა გაკურტუაზება, საწყისს იღებს ადრეულ შუა საუკუნეებში; შუა საუკუნეებიდან ახალ ეპოქაზე გადასვლისას უკვე სიახლეა არა მონეტიზაცია, მოჭრილი ფულის მსყიდველობითი უნარის შემცირება, როგორც ასეთი, არამედ ამ მოძრაობის ტემპი და მოცულობა. მაგრამ აქ, როგორც ხშირად ხდება, ის, რაც დასაწყისში მხოლოდ რაოდენობრივ ცვლილებად გვეჩვენება, ზუსტი დაკვირვების შედეგად თვისობრივი, ადამიანურ ურთიერთობათა სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებების, სოციალური სტრუქტურის გარდაქმნის გამოხატულება აღმოჩნდება.

თუმცა, მხოლოდ ეს დაჩქარებული ინფლაცია არ არის იმ

სოციალურ ცვლილებათა მიზეზი, რომლებიც ამ ეპოქაში უფრო და უფრო ნათლად გამოიკვეთება; ის არის ნაწილობრივი გამოვლენა, ერთ -ერთი ბერკეტი სოციალურ გადაჯაჭვულობათა უფრო მრავლისმომცველი საწარმოს მთელს მექანიზმში. გარკვეული საფეხურის და სტრუქტურის კონკურენტული ბრძოლის ზეწოლით ამ ეპოქაში იზრდება *მოთხოვნილება* ფულზე; მის დასაკმაყოფილებლად ადამიანები ეძებენ და პოულობენ კიდეც ახალ გზებს და საშუალებებს. მაგრამ ამ მოძრაობას საზოგადოების განსხვავებული ჯგუფებისათვის, მართლაც, განსხვავავებული მნიშვნელობა აქვს, რაზეც ზემოთ უკვე მივუთითეთ [140]; სწორედ ამაში ჩანს, როგორ გაიზარდა სხვადასხვა ფენების ფუნქციონალური ურთიერთდამოკიდებულება: მთელი ამ ცვლილების პროცესში მოგებულნი რჩებიან ის ჯგუფები, რომელთაც თავიანთი ფუნქცია საშუალებას აძლევს მემკვიდრეობით მიღებული *მეტი* ფულის, ფულადი შემოსავლების შესაბამისი ზრდით გააწონასწორონ ფულის მსყიდველობითი უნარის დაცემა, მაშასადამე, პირველ ყოვლისა, ბიურგერული ფენები და საგადასახადო მონოპოლიის მფლობელები, მეფეები; წამგებიან მდგომარეობაში აღმოჩნდებიან მეომართა და არისტოკრატთა ჯგუფები, რომელთაც რაოდენობის მიხედვით მუდამ თანაბარი და მსყიდველობითი უნარის მიხედვით, მით უფრო მცირე შემოსავლები აქვთ, რაც უფრო მეტად და უფრო სწრაფად უფასურდება ფული. სწორედ ამ მოძრაობის მორევის გავლით, მე-16 და მე-17 საუკუნეებში სულ უფრო მეტი მეომარი მოდის სასახლის კარზე და მეფეზე უშუალო დამოკიდებულებაში მოექცევა, მაშინ როცა, მეორე მხრივ, ამის პარალელურად, მეფეთა საგადასახადო შემოსავლებიც იმდენად იზრდება, რომ მათ სულ უფრო მეტი ადამიანის შენახვა შეუძლიათ თავიანთ სასახლეთა კარზე.

თუ წარსულის მემკვიდრეობას განვიხილავთ, როგორც თავისებურ ესთეტიკურ, დასურათებულ წიგნს, თუ ხედვა, პირველ რიგში, ერთგვარად „სტილის“ ცვლილებაზეა მიმართული, შეიძლება, ადვილად შეგვექმნას შთაბეჭდილება, თითქოსდა, ადამიანის სული და გემოვნება, დროდადრო და თანაც ნახტომისებურად, უეცარი მუტაციის საშუალებით შიგნიდან განიცდიდა ცვლილებებს: ისინი ხან „გოტიკური ადამიანები“ არიან, ხან „რენესანსის ადამიანები“, რომელსაც ჩვენს თვალწინ ვხედავთ და ხანაც „ბაროკოს ადამიანები“. თუ ვცდილობთ, შევიქმნათ წარმოდგენა ურთიერთობათა მთელი ქსელის სტრუქტურის შესახებ, რომელშიც ჩართულია ყველა ეპოქის ყოველი ცალკეული ადამიანი, როცა ვცდილობთ თვალი მივადევნოთ ინსტიტუტთა ცვლილებებს, რომელთა პირობებშიც ისინი ცხოვრობენ ან ფუნქციებს, რომლებიც მათ სოციალურ არსებობას დააფუძნებს, მაშინ სულ უფრო და უფრო ქრება ის წარმოდგენა, რომ ოდესღაც, უცაბედად, ბევრ, ცალკეულ სულში, აუხსნელად და სხვებისაგან დამოუკიდებლად შეიძლებოდა განხორციელებულიყო ერთი და იგივე მუტაცია. ყველა ეს ცვლილება საკმაოდ ნელა ხორციელდება

გარკვეული ხნის განმავლობაში, პატარ-პატარა ნაბიჯებით და დიდწილად უხმაუროდ იმ ყურთათვის, რომლებსაც მხოლოდ დიდი, ბევრად უფრო ხმაურიანი მოვლენების აღქმის უნარი შესწევთ. დიდი აფეთქებები, რომელშიც ერთეულ ადამიანთა არსებობა და მდგომარეობა ერთი დარტყმით და ამდენად, განსაკუთრებით საგრძნობლად იცვლება, სხვა არაფერია თუ არა ნანილობრივი გამოვლენებანი ასეთი ხანგრძლივი და და ხშირად, თითქმის შეუმჩნეველი, სოციალური გადაჯგუფებების ფარგლებში, რომელთა შედეგები სხვადასხვა თაობათა შედარებისას, მამებისა და შვილების სოციალურ ბედთა კონფრონტაციისას შეიძლება შევაჯამოთ. ასე ხდება მეომართა გაკურტუაზებაც, ის ცვლილება, რომლის დროს თავისუფალ რაინდთა ზედა ფენების ადგილზე კარისკაცთა ზედა ფენა გამოდის. თვით ამ პროცესის ბოლო ფაზაში, შეიძლება, ბევრი ინდივიდი თავისი არსებობის, სურვილების, აფექტებისა და უნარების განამდვილებას თავისუფალი რაინდის ცხოვრებაში ხედავდეს; მაგრამ ყველა ეს უნარი და აფექტი ადამიანური ურთიერთობების თადათანობითი სახეცვლილების კვალობაზე უფრო და უფრო არარეალიზებადი ხდება. ის ფუნქციები, რომლებიც მათ სამოქმედო სივრცეს აძლევს, ქრება ადამიანთა ქსელის სტრუქტურიდან. და სწორედ ასევეა ეს, საბოლოოდ, აბსოლუტისტურ სასახლის კართან მიმართებაშიც; ისიც, უცაბედად არ გამოუგონია და შეუქმნია ამა თუ იმ ადამიანს, არამედ ის თანდათანობით გამოიკვეთა სოციალურ ძალთა თანაფარდობის გარკვეული გადანაცვლების საფუძველზე; მასში, ურთიერთობის ამ სპეციფიკურ ფორმაში, ყველა ინდივიდი ჩართულია სხვაზე განსაზღვრული დამოკიდებულების საფუძველზე. ისინი ერთმანეთს ეყრდნობიან ურთიერთმიმართებისა და ურთიერთდამოკიდებულების საფუძველზე. და ამ ურთიერთდამ-კიდებულებათა ქსელიდან სასახლის კარი იქმნება არა მხოლოდ ერთხელ, არამედ ყოველ ჯერზე, როგორც ადამიანურ ურთიერთობათა ცალკეული ადამიანების სიცოცხლეზე უფრო ხანგრძლივი ფორმა, როგორც მყარი ინსტიტუტი მანამ, სანამ ეს განსაზღვრული სახის ურთიერთდამოკიდებულება, მთელი საზოგადოების გარკვეული სტრუქტურის საფუძველზე, ისევ და ისევ, ყალიბდება სხვა ადამიანთა შორის. ჩვენ ვერ გავიგებთ ფაბ-რიკის სოციალურ ინსტიტუტს, თუ არ შევეცდებით გამოვიდეთ მთელი სოციალური ველის სტრუქტურიდან, რომელიც გამუდმებით წარმოქმნის ასეთ ფაბრიკებს, თუ არ შევეცდებით ავხსნათ, რატომ არიან აქ ადამიანები დამოკიდებული იმაზე, რომ მეწარმეს გაუწიონ სამსახური, როგორც მოსამსახურეებმა და მუშებმა და რატომ არიან, თავის მხრივ, მეწარმენი დამოკიდებულნი ასეთ სამსახურზე და შრომაზე. სწორედ ასევე, აბსოლუტისტური სასახლის კარის სოციალური ინსტიტუტი გაუგებარი დარჩება, თუ არ ვიცნობთ მოთხოვნილების იმ ფორმულას, უფრო ზუსტად კი, ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულების სახესა და ზომას, რომლიც სხვადასხვა

ტიპის ადამიანებს ამგვარი ფორმით აერთებს და აკავშირებს. მხოლოდ ასე ჩვენს თვალში სასახლის კარი წარმოჩნდება ისე, როგორც ის სინამდვილეში იყო. მხოლოდ ასე დაკარგავს ის შემთხვევით და თვითნებურად შექმნილ დაჯგუფებათა სახეს, რომლის შესახებაც შეუძლებელი და უსარგებლოა დავსვათ კითხვა: „რატომ"? ის შეიძენს ადამიანურ ურთიერთობათა ქსელის მნიშვნელობას, ქსელისა, რომელიც გარკვეული ხნის მანძილზე ყოველთვის ამგვარად იქმნებოდა, რადგან ის, მრავალ ადამიანს სთავაზობდა შანსებს იმ მოთხოვნილებებისა და დამოკიდებულებათა დასაკმაყოფილებლად, რომელთა ფორმირებას მათში საზოგადოება გამუდმებით ახდენდა.

მოთხოვნილებათა კონსტელაცია, რომლისგანაც თაობათა მანძილზე ისევ და ისევ, ხელახლა ყალიბდებოდა „სასახლის კარი", როგორც ინსტიტუტი, ზემოთ იქნა ნაჩვენები: არისტოკრატიას ან სულ მცირე, არისტოკრატიის ნაწილს, მეფე სჭირდებოდა, რადგან მონოპოლიათა პროგრესირებადი წარმოქმნის კვალობაზე საზოგადოებიდან ქრებოდა თავისუფალი მეომრის ფუნქცია და მზარდი ფინანსური კავშირების პროცესში მარტოოდენ მამულების შემოსავლები, დაწინაურების გზაზე შემდგარი ბურჟუაზიის სტანდარტთან შედარებით, მხოლოდ საშუალო შემოსავალს ნიშნავდა და აღარ აკმაყოფილებდა არც მას და არც იმ სოციალურ ექსისტენცს, რომელიც არისტოკრატიას, როგორც ზედა ფენას, პრესტიჟს შეუნარჩუნებდა ბიურგერული ფენების მზარდი ძლიერების პირისპირ. ამ ზეწოლის შედეგად არისტოკრატიის ერთი ნაწილი, სასახლის კარზე მიემგზავრებოდა და ამით მეფეზე უშუალო დამოკიდებულებაში ექცეოდა, იმ იმედით, რომ იქ იპოვნიდა თავშესაფარს. მხოლოდ აქ, სასახლის კარზე ცხოვრება, უხსნიდა ცალკეულ არისტოკრატებს გზას იმ ეკონომიკური და ამავე დროს პრესტიჟული შანსებისაკენ, რომელთაც ნაწილობრივ შეეძლოთ ზედა ფენების ღირსეული არსებობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება. საქმე რომ მხოლოდ ან პირველ ყოვლისა, ეკონომიკურ შანსებში ყოფილიყო, არისტოკრატებს არ დასჭირდებოდათ სასახლის კარზე წასვლა; სავაჭრო საქმიანობის წყალობით ან ქორწინებით დანათესავების გზით ბევრ მათგანს უკეთ და უფრო წარმატებით შეეძლო ფულის შოვნა, ვიდრე სასახლის კარზე ცხოვრებით. მაგრამ, იმისათვის რომ სავაჭრო საქმიანობით ფული ეშოვნათ, თავიანთი არისტოკრატიული ტიტული უნდა მოეხსნათ; ამით ისინი დეგრადაციას განიცდიდნენ საკუთარ და სხვა დანარჩენ არისტოკრატთა თვალში. მაგრამ, სწორედ ეს, მათი დისტანცია ბურჟუაზიასთან მიმართებაში, მათი ხასიათი, როგორც არისტოკრატისა, მათი მიკუთვნებულობა ქვეყნის უმაღლეს ფენისადმი — სწორედ ეს იყო ის, რაც მათ ცხოვრებას საკუთარი აღქმისათვის აზრს და მიმართულებას აძლევდა; მათი წოდებრივი პრესტიჟის შენარჩუნების სურვილს, „გამორჩეულობის" მოთხოვნას,

როგორც მათი მოქმედების მოტივს, აქედან გამომდინარე, უპირატესობა ჰქონდა სიმდიდრის, ფულის დაგროვების წყურვილთან შედარებით. და მაშასადამე, ისინი მიდიოდნენ სასახლის კარზე და რჩებოდნენ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ეკონომიკურად იყვნენ დამოკიდებულნი მეფეზე, არამედ ისინი რჩებოდნენ მეფეზე დამოკიდებულნი, რადგან მათ სასახლის კარზე მისვლა-მოსვლით და კურტუაზიული საზოგადოების წრეში ცხოვრებით ყველა სხვა ადამიანის მიმართ დისტანციის და იმ პრესტიჟის შენარჩუნება შეეძლოთ, რომელზედაც დამოკიდებული იყო მათი სულის სიმრთელე, მათი მყოფობა, როგორც ზედა ფენების წარმომადგენლებისა, ქვეყნის „სოციუმისა". ცხადია, არისტოკრატთა სულ ცოტა, ერთ ნაწილს მაინც, არ შეეძლო სასახლის კარზე ცხოვრება, თუ მათ იქ მრავალფეროვან ეკონომიკურ შანსებს არ შესთავაზებდნენ; მაგრამ, რასაც ისინი ეძებდნენ, ეს არ იყო უბრალოდ ეკონომიკური არსებობის შესაძლებლობანი, — ასეთი შესაძლებლობანი მათ, როგორც ითქვა, არა მხოლოდ სასახლის კარზე შეეძლოთ ეპოვნათ, — არამედ ეს იყო ექსისტენციალური შესაძლებლობანი, რომლებიც თანხმობაში იქნებოდა მათ გამორჩეულ პრესტიჟთან, მათ არისტოკრატიულ ხასიათთან. და ეს ორმაგი ვალდებულება, ერთდროულად ეკონომიკური და პრესტიჟის აუცილებლობით შებოჭილობა, მეტ-ნაკლები ხარისხით ყველა ზედა ფენისათვისაა მახასიათებელი, თანაც არა მხოლოდ „Civilité"-ს, არამედ „ცივილიზაციის" მატარებელი ზედა ფენებისათვის. იძულება, რომელსაც ინდივიდი განიცდის „ამაღლებულ" ფენის წარმომადგენლად ყოფნის და იმ სურვილის გამო, რომ ასეთად დარჩეს, არანაკლებ ძლიერია, არანაკლებ ახდენს მისი ქცევის მოდელირებას, ვიდრე იძულება, რომელიც მისი გამოკვების მარტივი აუცილებლობიდან მომდინარეობს. ორივე ტიპის სურვილები ასეთ ფენათა ცალკეულ ადამიანებს ორმაგ და უწყვეტ ჯაჭვად შემოერტყმის გარს. ერთი ვალდებულება, პრესტიჟის წყურვილი, შიში პრესტიჟის დაკარგვის გამო, ბრძოლა სოციალურ განსხვავებათა წაშლის წინააღმდეგ, ყოველთვის ნაკლებად აიხსნება მარტოოოდენ მეორე ვალდებულებიდან, ის არ გაიგება როგორც მხოლოდ შენიღბული სურვილი უფრო მეტი ფულის, ეკონომიკური მოგებისათვის. ასეთი სურვილი შეიძლება შეგვხვდეს იმ ფენებში ან ოჯახებში, რომლებიც ძალზე ძლიერი, გარეგანი ზეწოლის ქვეშ ცხოვრობენ, შიმშილისა და სიღატაკის ზღვარზე. განსაზღვრული, სოციალური პრესტიჟის სურვილით შეპყრობილობა მხოლოდ იმ ფენების წარმომადგენელთა საქმიანობის პირველად მოტივს შეადგენს, რომელთა შემოსავლები ნორმალურ სიტუაციაში არცთუ ძალიან მცირეა, ზრდის პროცესშია და მნიშვნელოვნად აჭარბებს შიმშილის ზღვარს. ასეთ ფენებში ეკონომიკური აქტივობის სურვილიც აღარ არის შიმშილის მოკვლის მარტივი აუცილებლობა, არამედ მისწრაფება ცხოვრების განსაზღვრული, მაღალი,

სოციალურად ტიპიური სტანდარტისა და პრესტიჟის შენარჩუნებისაკენ. სწორედ ამით აიხსნება ის, თუ რატომ არის ამ დანინაურებულ ფენებში აფექტური რეგულირება და პირველ ყოვლისა, ზოგადად, თვითთიძულების ჩამოყალიბება უფრო ძლიერი, ვიდრე შესაბამის ქვედა ფენებში: სოციალური პრესტიჟის დაკარგვის ან მარტოოდენ შემცირების შიშიც კი ერთ-ერთი უძლიერესი მოტივია გარეგანი იძულების თვითთიძულებად გარდაქმნისათვის. როგორც ყველა სხვა პუნქტში, აქაც ზედა ფენების, „კარგი საზოგადოების" ხასიათი, განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოხატული მე-17, მე-18 საუკუნეების კურტუაზიულ საზოგადოებაში, რადგან სწორედ მის საზღვრებში, ფული მართალია აუცილებელია და სიმდიდრე— ცხოვრების აშკარად სასურველი ინსტრუმენტი, მაგრამ სავსებით ცხადია, ისინი ჯერ კიდევ არ ქმნიან იმდენად პრესტიჟის ცენტრს, რამდენადაც ბურჟუაზიულ სამყაროში. კურტუაზიული საზოგადოების წარმომადგენლობა მისი წევრების ცნობიერებაში უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე სიმდიდრე; სწორედ ამიტომ, ისინი ასე მჭიდროდ არიან დაკავშირებული სასახლის კართან და მისთვის გვერდის ავლის შესაძლებლობა არ გააჩნიათ; სწორედ ამიტომაა კურტუაზიული ცხოვრების იძულება, რომელიც მათ ქცევას აფორმებს, ასე ძლიერი; მათთვის არ არსებობს სხვა ადგილი, სადაც შეძლებდნენ დეგრადაციის გარეშე ეცხოვრათ. და სწორედ ამიტომაა მათი დამოკიდებულება, მათი მიჯაჭვულობა მეფეზე ამდენად დიდი.

თავის მხრივ, მეფე, მთელი რიგი საფუძვლებიდან გამომდინარე, დამოკიდებულია არისტოკრატიაზე. მას თავისი ურთიერთობისათვის სჭირდება საზოგადოება, რომლის აღზრდილობა მისთვის მისაღებია; ქვეყნის ყველა დანარჩენ ჯგუფზე ამაღლების სურვილს უკმაყოფილებს ის, რომ ადამიანები, რომლებიც მეფეს ემსახურებიან, იქნება ეს სუფრასთან, დასაძინებლად წასვლისას თუ ნადირობისას, ამ ქვეყნის უმაღლეს არისტოკრატიას ეკუთვნიან. მაგრამ არისტოკრატია მას უფრო მეტად სჭირდება, როგორც ბურჟუაზიასთან დაპირისპირებული ძალა, ისევე როგორც ბურჟუაზია, არისტოკრატიის გავლენის გასაწონასწორებლად, თუ მეფეს სურს, რომ მისი სამოქმედო სივრცე არ შეიზღუდოს, ძირითადი მონოპოლიების მართვის თვალსაზრისით. ეს არის, უპირველეს ყოვლისა, „სამეფო მექანიზმის" კანონზომიერება, რომელიც აბსოლუტისტურ მმართველს არისტოკრატიაზე დამოკიდებულს ხდის. არისტოკრატიის, როგორც გამორჩეული ფენისა და ამით არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას შორის დაძაბულობის წონასწორობის შენარჩუნება, ისე რომ არცერთს ამ ორი ფენიდან არ მიეცეს მეტისმეტად დასუსტების ან მეტისმეტად გაძლიერების უფლება, მეფის პოლიტიკის საფუძველს შეადგენს.

მარტოოდენ არისტოკრატია, ისევე როგორც ბურჟუაზია, არ არის მეფეზე დამოკიდებული; მეფეც დამოკიდებულია არისტოკრატიის არსებობაზე; მაგრამ, ცხადია, ცალკეული არისტოკრატები ბევრად უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი მეფეზე, ვიდრე მეფე

რომელიმე მათგანზე; ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდება მეფისა და არისტოკრატიის იმ ურთიერთობაში, რომელიც სასახლის კარზე ყალიბდება.

მეფე არა მხოლოდ მჩაგვრელია არისტოკრატიისა, როგორც ამას სასახლის კარის არისტოკრატთა ნაწილი აღიქვამს; ის არც მხოლოდ არისტოკრატიის დამცველია, როგორც ბურჟუაზიის უმეტეს ნაწილს მიაჩნია; ის ერთიცაა და მეორეც. და სასახლის კარიც სწორედ ასევე არის ორივე ერთად: არისტოკრატიის ჭკუის სწავლებისა და გადარჩენის დაწესებულება. "Un Noble", ამბობს ლა ბრიუერი თავის ნაწყვეტში სასახლის კარის შესახებ, "s'il vit chez luy dans sa Province, il vit libre, mais sans appuy: s'il vit à la Cour, il est protégé, mais il est esclave". გარკვეული თვალსაზრისით, ეს ურთიერთობა წვრილ, დამოუკიდებელ მეწარმესა და ძლიერი ოჯახური კონცერნის მაღალ მოხელეს შორის ურთიერთობას ემსგავსება. არისტოკრატიის, ერთი ნაწილი, სასახლის კარზე თავისი მდგომარეობის შესაფერ სარჩოს პოულობს; მაგრამ ცალკეული არისტოკრატები, უწინდელ რაინდთა მსგავსად, აქ თავისუფალ, მეომრულ კონკურენციაში აღარ არიან ერთმანეთთან. ისინი ჩაბმულნი არიან მონოპოლიურად შეკრულ კონკურენციაში იმ შანსებისათვის, რომელიც მონოპოლიურმა მმართველმა უნდა გასცეს. და ამავე დროს, ისინი ცხოვრობენ არა მხოლოდ ამ ცენტრალური მმართველის ნნეხის ქვეშ, არა მხოლოდ იმ კონკურენტული ზეწოლის ქვეშ, რომელსაც თავად ისინი და კიდევ პროვინციელ არისტოკრატთა სარეზერვო არმია ერთმანეთზე ახორციელებენ, არამედ პირველ ყოვლისა, დაწინაურების პროცესში მყოფი, ბიურგერული ფენების ზეწოლას განიცდიან. მათი მზარდი სოციალური ძლიერება უშუალოდ ეხება სასახლის კარის არისტოკრატიის ინტერესებს; ეს არისტოკრატია ცხოვრობს იმ შენატანებით, გადასახადებით, რომლებიც ძირითადად მესამე ფენიდან მოდის. ინტერდეპენდენცი, სხვადასხვა, სოციალურ ფუნქციათა გადაჯაჭვულობა და პირველ ყოვლისა, არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის ურთიერთდამოკიდებულება ბევრად უფრო მჭიდრო ხდება, ვიდრე წინა ფაზებში. შესაბამისად, ყველგან იგრძნობა დაძაბულობა მათ შორის. ამის შედეგად იცვლება ადამიანურ ურთიერთობათა სტრუქტურა, ინდივიდიც, ადრინდელთან შედარებით, სხვაგვარადაა ჩართული ადამიანთა ქსელში და მოდელირებას განიცდის თავისი დამოკიდებულებათა ნართის საშუალებით. სწორედ ასევე იცვლება ცნობიერებისა და ლტოლვითი სამყაროს სტრუქტურაც. მრავალმხრივი მჭიდრო ინტერდეპენდენცი, მრავალმხრივი ძლიერი და უწყვეტი ზეწოლა მოითხოვს და დანერგავს გამუდმებულ თვითკონტროლს, სტაბილურ „ზე-მე"-ს და მოქცევის ახალ ფორმებს ადამიანთა ურთიერთობაში: მეომრები კარისკაცებად იქცევიან.

სადაც არ უნდა შევხვდეთ დედამიწაზე ცივილიზაციის მეტ-

ნაკლებად ფართო პროცესს, აღმოვაჩენთ ისტორიულ-სოციალურ მამოძრავებელ მექანიზმს, რომელიც ჰაბიტუსის ამ ცვლილებას, მსგავსი ტიპის მოვლენებს იწვევს. ეს პროცესი შეიძლება იყოს სწრაფი და ნელი, შეიძლება, როგორც აქ, ერთი დიდი პროცესის ან რამდენიმე ბიძგისა და უფრო ძლიერი უკუბიძგების სახით განხორციელდეს, მაგრამ მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი, მეომართა სტაბილური თუ თანდათანობითი გაკურტუაზება ცივილიზაციის ყოველი დიდი მოძრაობის ყველაზე ელემენტარულ სოციალურ წინაპირობებს განეკუთვნება. და რაც უნდა ნაკლებ აქტუალური მნიშვნელობა ჰქონდეს სასახლის კარის სოციალურ წარმონაქმნს, ერთი შეხედვით, ჩვენი დღევანდელი ცხოვრებისათვის, ცივილიზაციის პროცესის გასაგებად აუცილებელია სასახლის კარის სტრუქტურის გარკვეული ცოდნა. მისი ერთი თუ ორი სტრუქტურული თავისებურება, ამავე დროს, ალბათ ნათელს მოჰფენს ცხოვრებას ძლიერ სახელისუფლო ცენტრში, საერთოდ.

ლტოლვათა ჩაცხრობა

ფსიქოლოგიზაცია და რაციონალიზაცია

"La vie de la cour", ამბობს ლა ბრიუერი,[141] "est un jeu sérieux, mélancolique, qui applique: Il faut arranger ses pièces et ses batteries, avoir un dessein, le suivre, parer celui de son adversaire, hasarder quelquefois, et jouer de caprice; et après toutes ses rêveries et toutes ses mesures on est éches, quelquefois mat. `

სასახლის კარზე და პირველ ყოვლისა, დიდ, აბსოლუტისტურ სასახლის კარზე, პირველად ყალიბდება იმ ტიპის საზოგადოება და ადამიანური ურთიერთობები სტრუქტურული თავისებურებებით, რომლებიც აქედან მოყოლებული, დასავლური სამყაროს ისტორიის ხანგრძლივი მონაკვეთის მანძილზე, ყველა გარდაქმნაში ყოველთვის გადამწყვეტ როლს თამაშობს. ფართო ადამიანური სივრცის შუაგულში წარმოიქმნება „კარგი საზოგადოება", რომელიც, არსებითად, თავისუფალია ფიზიკური ძალადობისაგან; მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ფიზიკური ძალადობის გამოყენება ადამიანთა ურთიერთობაში უკანა პლანზე გადადის, მიუხედავად იმისა, რომ მათთვის აკრძალულია დუელის გამართვაც კი, ერთი ადამიანი მეორეზე სხვა, უფრო მრავალფეროვანი ფორმით იყენებს იძულებასა და ძალადობას. ამ წრეში ცხოვრება მშვიდობიანი ცხოვრება არ არის. აქ უამრავი ადამიანი მუდმივადაა დამოკიდებული ერთმანეთზე. კონკურენციის წნეხი პრესტიჟისა და მეფის კეთილგანწყობის მისაღწევად ძლიერია. „Affairen", ჩხუბები რანგისა და კეთილგანწყობის მოსაპოვებლად არ წყდება. მართალია, დაშნა,

როგორც გადაწყვეტილების მიღების საშუალება, დიდ როლს აღარ თამაშობს, მაგრამ მის ადგილას გამოდის ინტრიგები და ბრძოლა, რომლის დროსაც კარიერისა და სოციალური წარმატებისათვის სიტყვით იბრძვიან. ეს სხვა თვისებებს მოითხოვს და აყალიბებს, ვიდრე ის ბრძოლები, რომლებიც იარაღით შეიძლება გადაწყდეს: მოფიქრება, ხანგრძლივ პერსპექტივაზე გათვლა, თვითდაუფლება, საკუთარი აფექტების უზუსტესი რეგულირება, ადამიანთა და მთელი რეგიონის გაცნობა ყოველი სოციალური წარმატების აუცილებელ წინაპირობად იქცევა.

ყოველი ერთეული ადამიანი მიეკუთვნება "Clique"-ს, საურთიერთო წრეს, რომელიც მას მოცემულ შემთხვევაში მხარს უჭერს; მაგრამ დაჯგუფებანი იცვლება და ეს ადამიანი კავშირს ამყარებს სხვასთან, ამასთან სასურველია, ესენი ის პიროვნებები იყვნენ, რომლებიც დიდი პატივისცემით სარგებლობენ სასახლის კარზე; მაგრამ, სხვათა შორის, პიროვნებებზე ორიენტირებული კურსი ძალზე სწრაფად იცვლება; ყოველ მათგანს ჰყავს კონკურენტები, აშკარა და ფარული მტრები; და ბრძოლების ტაქტიკა, ისევე როგორც კავშირებისა, ზუსტ გააზრებას საჭიროებს; ქცევაში ზუსტად იყოს უნდა დოზირებული სხვასთან დისტანცირება და დაახლოება; ყოველ მისალმებას, ყოველ საუბარს აქვს მნიშვნელობა, რომელიც პირდაპირი ნათქვამისა და ნამოქმედარის საზღვრებს სცილდება; ისინი ადამიანთა ღირსებას განსაზღვრავენ; და მათ თავისი წვლილი შეაქვთ ამ ღირსებას შესახებ სასახლისკარისეული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში:

"Qu'un favori s'observe de fort près: car s'il me fait moins attendre dans son antichambre, qu'à l'ordinaire, s'il a le visage plus ouvert, s'il fronce moins le soircil, s'il, m'écoute plus volontiers, et s'il me reconduit un peu plus loin, je penserai qu'il commence à tomber, et je penserai vrai" [142].

სასახლის კარი ერთგვარი ბირჟაა; როგორც ყოველ „კარგ საზოგადოებაში", აქაც ადამიანთა ურთიერთობაში იქმნება „აზრი" თითოეულის ღირსების შესახებ; მაგრამ ამ ღირსებას თავისი რეალური საფუძველი აქვს არა ფულად საკუთრებაში ან ინდივიდის უნარებსა და შესაძლებლობებში, არამედ იმ კეთილგანწყობაში, რომელსაც ის მეფისგან იღებს, გავლენაში, რომელიც მას სხვა ძლიერ ადამიანებზე აქვს, იმ ავტორიტეტში, რომლითაც ის სასახლის კარის დაჯგუფებათა თამაშში სარგებლობს. ეს ყველაფერი, კეთილგანწყობა, გავლენა, ავტორიტეტი, მთელი ეს რთული და სახიფათო თამაში, რომლის დროსაც აკრძალულია ფიზიკური ძალადობის გამოყენება თუ აფექტების პირდაპირი გადმოფრქვევა და რომელიც არსებობას უქმნის საფრთხეს, ყოველი მონაწილისაგან მოითხოვს გამუდმებულ წინასწარჭვრეტას, ყოველი სხვა ადამიანის და თავისი ადგილის, თავისი საბირჟო ფასის ზუსტ ცოდნას კურტუაზიული თვალსაზრისების ქსელში; ეს საჭიროებს საკუთარი

ქცევის ზედმიწევნით დიფერენცირებას ამ გადაჯაჭვულობით დადგენილი ღირებულების შესაბამისად. ყოველი შეცდომა, ყოველი დაუფიქრებელი ნაბიჯი კურტუაზიულ თვალთახედვისათვის ამცირებს იმის ავტორიტეტს, ვინც ეს ნაბიჯი გადადგა; ასეთი რამ, გარკვეულ შემთხვევებში, მის მთელს პოზიციას უქმნის საფრთხეს სასახლის კარზე.

"un homme, qui sait la cour, est maître de son geste, de ses yeux et de son visage; il est profond, impénétrable; il dissimule les mauvais offices, sourit à ses enemis, contraint son humeur, déguise ses passions, dément son cœur, agit contre ses sentiments"[143].

არისტოკრატთა გარდაქმნა „ცივილიზებული" ქცევის თვალსაზრისით შეუქცევადია. ის აქ ჯერ კიდევ არაა ყველა პუნქტში ისეთი ღრმა და ყოვლისმომცველი, როგორც მოგვიანებით, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, რადგან კარისკაცს ან სეფექალს მხოლოდ თავისივე წოდების ადამიანებთან მიმართებაში სჭირდება საკუთარ თავზე ძლიერი იძულების განხორციელება და სოციალურად დაბლა მდგომებთან მიმართებაში, კი, ეს მხოლოდ მცირე ზომით მოეთხოვება. იმის გარდა, რომ კურტუაზიულ საზოგადოებაში ლტოლვათა და აფექტთა რეგულირების სქემა სხვაგვარია, ვიდრე ბურჟუაზიულში, კიდევ უფრო ცხადია ცოდნა იმის შესახებ, რომ საქმე ეხება სოციალური საფუძვლებით რეგულირებას; კონტრასტული მისწრაფებანი, ნაწილობრივ, ჯერ კიდევ არ ქრება დღის ცნობიერებიდან; თვითიძულებანი ჯერ კიდევ არაა მთლიანად გადაქცეული თითქმის ავტომატურად მომუშავე და ყველა ადამიანური ურთიერთობის მომცველ ჩვევით აპარატად. მაგრამ უკვე აშკარაა, როგორ განიცდის აქ ადამიანი მეტ დიფერენცირებას სრულიად სპეციფიკური ფორმით და უფრო მეტად გაიხლიჩება. ის, გარკვეულწილად, საკუთარ თავს უპირისპირდება: „მალავს თავის ვნებებს", „ღალატობს თავის გულს", „თავისი გრძნობების წინააღმდეგ მოქმედებს". ის შეიკავებს წამიერ გულისთქმას და მისწრაფებას, როცა იმ მოსალოდნელ უსიამოვნებებს განჭვრეტს, რაც მას შეიძლება შეემთხვეს, თუ ამ გულისთქმას მიეცემა; და ფაქტიურად, ეს არის ის მექანიზმი, რომლითაც, ძირითადად, ზრდასრული ადამიანები, იქნებიან ესენი მშობლები თუ სხვა პირები, ბავშვებში პატარაობიდანვე ახდენენ სტაბილური „ზე-მე"-ს კულტივირებას. ლტოლვათა და აფექტთა მომენტალური აღძვა გარკვეულწილად დათრგუნული და დაძლეული იქნება მოსალოდნელი უსიამოვნების შიშით, სანამ ეს შიში ჩვეულებისამებრ არ აღუდგება წინ აკრძალულ ქცევებსა და მისწრაფებებს, მაშინაც კი, როცა მოცემულ მომენტში, არ არსებობს სხვა რომელიმე პიროვნება, რომელიც ამ შიშს აღძრავდა; და ამგვარ მისწრაფებათა ენერგიები უსაფრთხო მიმართულებით წარიმართება, რომლიდანაც არავითარი უსიამოვნება არ გვემუქრება.

საზოგადოების გარდაქმნის, ადამიანთა შორის ურთიერთობების

ცვლილებათა შესაბამისად გარდაიქმნება ინდივიდის აფექტური სამყაროც: იქ იზრდება ქმედებათა რიგი და ადამიანთა რაოდენობა, რომელზედაც მუდმივადაა დამოკიდებული ინდივიდი და მისი ქმედებანი, აქ კი მატულობს მოქმედებათა უფრო გრძელი ჯაჭვების პერსპექტიული ხედვა. და ცალკეული ადამიანის ქცევისა და სულიერი სამყაროს ცვლილების შესაბამისად, იცვლება ის მეთოდიც, რომლითაც ერთი ადამიანი მეორეს განიხილავს; ადამიანის მიერ ადამიანზე შექმნილი სურათი, ხატი უფრო მდიდრდება შუქჩრდილებით უფრო გათავისუფლდება მომენტალური ემოციებისაგან: ხდება მისი „ფსიქოლოგიზება“.

იქ, სადაც სოციალურ ფუნქციათა სტრუქტურა ინდივიდს უფრო ფართო გასაქანს აძლევს იმოქმედოს წამიერი იმპულსების გავლენით, ვიდრე სასახლის კარზეა ნებადართული, იქ არც შესაძლებელია და არც აუცილებელი, დაწვრილებით გამოვიკვლიოთ საკითხი, როგორ არის შექმნილი სხვა ადამიანის პიროვნული ცნობიერებისა და აფექტების სტრუქტურა და რა ფარული მოტივები, მისი ქცევის რა გათვლები უდევს მათ საფუძვლად. თუ აქ გათვლას გათვლა მოჰყვება, იქ აფექტს უშუალოდ აფექტი მოსდევს. მაგრამ უშუალო აფექტების ეს ძლიერება ცალკეულ ადამიანს ქცევის განსაზღვრული რაოდენობის ფორმებში მოაქცევს: ვინმე ან მეგობარია, ან მტერი, ან კეთილია, ან ბოროტი; და იქცევიან კიდეც იმის მიხედვით, თუ როგორ განიხილავს ერთი ადამიანი მეორეს აფექტთა ამ შავ-თეთრი ნახატის შესაბამისად. როგორც ჩანს, ყველაფერი განმცდელ ადამიანზეა აგებული. ის, რომ მზე ანათებს, ის, რომ სწორედ ახლა ელავს, ის, რომ სხვა იცინის ან შუბლს ჭმუხვნის, ყველაფერი ეს ამგვარი აფექტური სტრუქტურისას უფრო მეტად იმ ადამიანის გრძნობას ეფუძნება, რომელიც მას ხედავს; და როგორც განაწყობს მას ეს აქ და ახლა, მეგობრულად თუ მტრულად, ასე აღიქვამს კიდეც ამას, თითქოს ეს მისდამი მეგობრულად ან მტრულად ყოფილიყო განზრახული. მას აზრად არ მოსდის შორეული კავშირებით ახსნას ყველაფერი ეს: ელვა, რომელიც მის ახლოს გაკრთება, სახის გამომეტყველება, რაც მას ტკივილს მიაყენებს და რასაც სულაც არა აქვს საქმე უშუალოდ მასთან. საკუთარ თავზე და ბუნებაზე ამ პერსპექტიულ ხედვას ადამიანები მხოლოდ იმ საფეხურზე აღწევენ, რომელზედაც პროგრესირებადი ფუნქციური დანაწილება და ყოველდღიური გადაჯაჭვულობა ადამიანთა გრძელ ჯაჭვებში ჩართულ თითოეულ მათგანს ასეთ პერსპექტიულ ხედვას და აფექტთა შეკავებას აჩვევს. მხოლოდ მაშინ, ოდნავ უფრო გამჭვირვალე გახდება ის საბურველი, რომელსაც ვნებები თვალს ჩამოაფარებს და თვალწინ გადაგვეშლება ახალი სამყარო, რომელიც კონკრეტული ადამიანისათვის მეგობრულად ან მტრულად მიედინება, ისე რომ აუცილებელი არ არის წინასწარ მეგობრულად ან მტრულად იყოს ჩაფიქრებული ამ ადამიანისათვის. ეს სამყარო არის მოვლენათა ჯაჭვი, რომლის კავშირები მათი გადაბმისათვის დიდ მონაკვეთებზე რაციონალურ

დაკვირვებას მოითხოვს.

ისევე როგორც მთლიანი ქცევა, ადამიანთა და საგნებზე დაკვირვებაც ცივილიზაციის პროცესში აფექტურად ნეიტრალური ხდება; „სამყაროს სურათიც" თანდათან ნაკლებ განისაზღვრება უშუალოდ ადამიანური სურვილებითა და შიშებით. ის უფრო მეტად ორიენტირებულია იმაზე, რასაც ჩვენ „გამოცდილებას" ან „ემპირიას" ვუწოდებთ, იმ გადაჯაჭვულობათა რიგებზე, რომელსაც საკუთარი კანონზომიერება აქვს. როგორც დღეს მაგალითად, ისტორიისა და სოციალური მდინარების ეს ტიპი შემდგომი ბიძგით თანდათანობით გამოდის პიროვნული აფექტებისა და შეცბუნებულობის ნისლიდან, ჯგუფურ მისწრაფებათა და შიშების გარსიდან და ჩვენს თვალს ნელ-ნელა წარმოუდგება, როგორც ავტონომიური გადაჯაჭვულობის ურთიერთმიმართება, ასე ემართებოდა ეს მაშინ ბუნებას და „უფრო შეზღუდულ ველში", ადამიანებს. განსაკუთრებით სასახლის კართან დაახლოებულ და უფრო ფართო წრეებშიც ვითარდება ის, რასაც ჩვენ დღეს ადამიანთა „ფსიქოლოგიურ" განხილვას დავარქმევდით, საკუთარი თავისა და სხვების უფრო დაწვრილებითი დაკვირვება მოტივაციათა გრძელი რიგისა და ურთიერთმიმართებათა გრძელი ჯაჭვის გავლით, სწორედ იმიტომ, რომ აქ საკუთარი თავის კონტროლი და სხვებზე გულმოდგინე დაკვირვება სოციალური პოზიციის შენარჩუნების ელემენტარულ წინაპირობას განეკუთვნება. მაგრამ ფაქტიურად, ეს მხოლოდ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ ვითარდება სწორედ მაშინ უფრო გრძელ გადაჯაჭვულობებზე დაკვირვება, როცა თვით საზოგადოების სტრუქტურა უბიძგებს ერთეულს იმისაკენ, რომ თავისი წამიერი აფექტები ძალზე მკაცრად დათრგუნოს და თავისი იმპულსური ენერგიები უკიდურესად გარდაქმნას. ამას ჩვენ დღეს „გამოცდილებაზე ორიენტირებას" ვუწოდებთ.

სენ-სიმონი აკვირდება ადამიანს, მაგრამ მან ზუსტად არ იცის, რას უნდა მოელოდეს მისგან. ის საკუთრ ქცევას ამ სიტუაციაში შემდეგნაირად აღწერს:

"Je m'aperçus bientôt, qu'il se refroidissait; je suivis de l'oeil sa conduite à mon égard, pour ne pas me méprendre entre ce qui pouvait être accidentel dans un homme chargé d'affaires épineuses et ce que j 'en soupçonnais. Mes soupçons devinrent une évidence, qui me firent retirer de lui tout à fait sans toutefois faire semblant de rien ".[144]

ადამიანებზე დაკვირვების კურტუაზიული ხელოვნება, იმისაგან განსხვავებით, რასაც ჩვენ დღეს, ჩვეულებრივ, „ფსიქოლოგიურს" ვუწოდებთ, არასოდესაა იმაზე მიმართული, რომ ცალკეული ადამიანი განიხილოს თავისთავად, თითქოს, ის თავისი ქცევის არსებით ნიშნებს სხვასთან მისი ურთიერთობებისაგან დამოუკიდებლად ატარებდეს და მხოლოდ შემდგომ შედიოდეს სხვასთან ურთიერთობაში; აქ მიდგომა მით უფრო ახლოა სინამდვილესთან,

რაც უფრო მეტად გაიაზრება ერთეული ადამიანი მის სოციალურ გადაჯაჭვულობაში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში, როგორც ინდივიდი სოციალურ სიტუაციაში.

ზემოთ მივუთითეთ იმაზე [145], რომ მე-16 საუკუნის ქცევათა მიწერილობანი არც იმდენად ან არა მხოლოდ შინაარსით განსხვავდება წინა საუკუნეთა მიწერილობებისაგან, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ტონით და შეცვლილი აფექტური ატმოსფეროს მიხედვით; მათში უფრო და უფრო დიდ როლს თამაშობს ფსიქოლოგიური მიმართებანი, პიროვნული დაკვირვებანი. ამას ერაზმის ან დელა კაზას ქცევათა მიწერილობების შესაბამის, შუასაუკუნეობრივ წესებთან შედარებაც გვაჩვენებს. ამის ახსნას იძლევა გამოკვლევა სოციალურ ცვლილებათა, ამ ფაზაში ადამიანთა ურთიერთობებში მომხდარი გარდაქმნის შესახებ. ქცევის მიწერილობათა ეს „ფსიქოლოგიზება", უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დაკვირვებებითა და გამოცდილებით მათი უფრო მეტად გაჟღენთვა არის გამოხატულება ზედა ფენების სწრაფი, პროგრესირებადი გაკურტუაზებისა და ამ ეპოქაში საზოგადოების ყველა ფენის მჭიდრო კავშირებისა. ამ მიმართულებით განხორციელებული ცვლილების ნიშნებს ვპოულობთ არა მხოლოდ იმ ნაშრომებში, რომლებიც ამ ეპოქის „კარგი ყოფაქცევის" სტანდარტს ეყრდნობა; მათ აღმოვაჩენთ იმ თხზულებებშიც, რომლებიც ამ ფენათა ადამიანების გართობას ემსახურება. ადამიანებზე დაკვირვება, რომელსაც სასახლის წრეში ცხოვრება მოითხოვს, ადამიანთა აღწერის ხელოვნებაში პოულობს თავის ლიტერატურულ გამოხატულებას.

თავისთავად, წიგნებზე დიდი მოთხოვნილება საზოგადოებაში უკვე არის უტყუარი ნიშანი ცივილიზაციის ძლიერი ბიძგისა; რადგან ლტოლვათა გარდაქმნა და რეგულირება, რომელსაც ისევე მოითხოვს წიგნების წერა, როგორც მათი კითხვა, ყველა შემთხვევაში, ყურადსაღებია. მაგრამ, კურტუაზიულ საზოგადოებაში წიგნი ჯერ კიდევ არ თამაშობს იმ როლს, რასაც ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. კომპანიური ურთიერთობა, პრესტიჟულ ფასეულობათა ბაზარი, აქ ყოველი ადამიანისათვის მისი ცხოვრების ცენტრალურ პუნქტს ქმნის; ასევე წიგნებიც უფრო ნაკლებადაა განკუთვნილი სამუშაო კაბინეტში კითხვისათვის ან განმარტოებისას, თუნდაც პროფესიული საქმიანობისაგან თავისუფალ დროს, ვიდრე საზოგადო-კომპანიური შეკრებებისათვის. წიგნები საუბრებისა თუ კომპანიური თამაშების ნაწილს ან გაგრძელებას წარმოადგენს ან კიდევ, კურტუაზიული მემუარების უმეტესობის მსგავსად, თავიდან აშორებულ საუბრებს, კონვერსაციებს, რომლებშიც რაიმე მიზეზიდან გამომდინარე, პარტნიორი არ არსებობს. კურტუაზიულ მემუარებში, წერილებში თუ აფორიზმებში გამოვლენილი ადამიანთა აღწერის მაღალი ხელოვნება კარგ წარმოდგენას გვიქმნის ადამიანთა დიფერენცირებულ დაკვირვებაზე, რომელსაც თავად სასახლის კარი ცხოვრება ასწავლიდა მათ. და აქაც, ისევე როგორც ბევრ სხვა ურთიერთობაში,

საფრანგეთის ბურჟუაზიული საზოგადოება განსაკუთრებით თანმიმდევრულად განავითარებს კურტუაზიულ მემკვიდრეობას; პარიზული „კარგი საზოგადოების“ შემდგომმა არსებობამ, როგორც ყველაფერი იმის მომხმარებლისა და გამგრძელებლისა, რაც კურტუაზიულ წრეებში პრესტიჟის ინსტრუმენტების სახით განვითარდა, რევოლუციის შემდგომ პერიოდში, თვით დღევანდელობამდე, თავისი წვლილი შეიტანა ამაში. ყოველ შემთხვევაში, შეიძლება ვთქვათ, რომ სენ - სიმონის და მის თანამედროვეთა მიერ ადამიანის კურტუაზიული მანერით აღწერას, ბალზაკის, ფლობერის, მოპასანის გავლით და პრუსტის დახმარებით მე-19 საუკუნის „კარგი საზოგადოების“ აღწერამდე მივყავართ. მოგვიანებით, უფრო ფართო ფენების ასახვა ისეთ მწერალთა ნაწარმოებებში, როგორებიც არიან ჟიულ რომენი და ანდრე მალრო და გარდა ამისა, მთელ რიგ ფრანგულ ფილმებში, საბოლოოდ ქმნის სწორ ტრადიციულ ხაზს, რომლის მახასიათებელ ნიშნებს ადამიანის აღწერის სწორედ ეს სინათლე განეკუთვნება, ეს უნარი, დავინახოთ ადამიანი მისი სოციალური კავშირების მთლიანობაში და გასაგები გავხადოთ მათი ურთიერთგადაჯაჭვულობიდან. აქ ცალკეული პორტრეტი არასოდეს ამოიგლიჯება ხელოვნურად მისი სოციალური არსებობის ქსელიდან, სხვა ადამიანზე მისი მარტივი დამოკიდებულებიდან და განპირობებულობიდან. სწორედ ამიტომ, აღწერაში ეს პორტრეტი ნამდვილად განცდილის ატმოსფეროს და პლასტიურობას ინარჩუნებს.

და ამ „ფსიქოლოგიზების“ მსგავსადაა საქმე „რაციონალიზების“ თვალსაზრისითაც, რომელიც მე-16 საუკუნიდან მოყოლებული, თანდათანობით სულ უფრო მეტად საგრძნობი ხდება საზოგადოების სხვადასხვაგვარ გამოვლინებებში. „რაციონალიზება“ არ არის თვითკმარი ფაქტი; ისიც მხოლოდ *ერთ-ერთი* გამოხატულებაა *მთელი* სულიერი სამყაროს ცვლილებისა, რომელიც ამ პერიოდში უფრო მკვეთრად გამოდის წინა პლანზე და ამავე დროს გამოვლენაა იმ მზარდი პერსპექტიული ხედვისა, რომელიც, აქედან მოყოლებული, სულ უფრო მეტი სოციალური ფუნქციის კულტივირებას ახდენს და მოითხოვს.

აქაც ისე, როგორც ბევრ სხვა პუნქტში, ისტორიულ-სოციალური ხდომილებათა გაგება მოითხოვს იმ აზროვნებითი ჩვევების შერბილებას, რომლითაც ჩვენ აღვიზარდეთ. ამ ხშირად შემჩნეული ისტორიული რაციონალიზების შემთხვევაში, ფაქტიურად, საქმე ეხება არა იმას, რომ ისტორიის მანძილზე ბევრი, ცალკეული ადამიანი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, ერთდროულად, თითქოსდა, პრესტაბელური ჰარმონიის საფუძველზე, „შიგნიდან“ განავითარებს ახალ ორგანოს ან ახალ არსს, ახალ „გონებას“ თუ „რაციოს“, რომელიც აქამდე სახეზე არ იყო. არამედ, იცვლება ის წესი, რომელიც აქამდე ადამიანებს თანაცხოვრების საშუალებას აძლევდა; ამიტომ იცვლება მათი ქცევაც, იცვლება მათი

ცნობიერებაც და მათი ლტოლვითი სამყაროც, როგორც მთელი. ცვალებად „გარემოებათა“ შორის არაფერია ისეთი, რაც „ადამიანებს“ თითქოსდა, გარედან დაატყდება თავს; „გარემოებანი“, რომლებიც იცვლება, არის თვით ურთიერთობანი ადამიანთა შორის.

ადამიანი არის არსება, რომელიც განსაკუთრებით ექვემდებარება მოდელირებას და ცვალებადობას; ადამიანური პოზიციის ცვლილებანი, რომლებზედაც აქ იყო საუბარი, მოდელირების ამგვარი უნარის მაგალითებია; აქედან გამომდინარე, ის კავშირშია არა მხოლოდ იმასთან, რასაც ჩვენ, „ფსიქოლოგიურის“ სახით „ფიზიოლოგიურისაგან“ განვასხვავებთ. ისტორიის მანძილზე, ურთიერთდამოკიდებულებათა ქსელის შესაბამისად, რომლითაც გამსჭვალულია ადამიანის ცხოვრება, სხვადასხვაგვარად მოდელირდება ინდივიდის “Physis“ (ბუნება), იმასთან განუყოფელ კავშირში, რასაც ჩვენ “Psyche”-ს (სულს) ვუწოდებთ. აქ, შეიძლება, გაგვახსენდეს სახის მუსკულატურის და ამით სახის გამომეტყველების მოდელირება ადამიანის მთელი სიცოცხლის მანძილზე; შეიძლება გავიხსენოთ კითხვისა და წერის ცენტრების ჩამოყალიბება ადამიანის ტვინში. ეს სრულ შესაბამისობაშია იმასთან, რასაც ჩვენ არსობრივად „რაციოს“, „განსჯას“ ან „გონებას“ ვუწოდებთ. როგორც აზროვნების შემდგომი განვითარება აჩვენებს, ამ ყველაფერს სოციალური ცვლილებებისაგან ისეთივე დამოუკიდებელი არსებობა არ გააჩნია, როგორც მაგალითად, გულს ან კუჭს. ისინი მთელი სულიერი სამყაროს განსაზღვრული მოდელირების გამოხატულებას წარმოადგენენ; ესენი იმ მოდელირების ასპექტებია, რომელიც თანდათანობით, არაერთი ბიძგისა და უკუდარტყმის საშუალებით ხორციელდება და რომელიც მით უფრო ძლიერად გამოდის წინა პლანზე, რაც უფრო აშკარად და ტოტალურად ემუქრება საფრთხე ადამიანური ურთიერთდა-მოკიდებულების საშუალებით ინდივიდის სპონტანურ ლტოლვით და აფექტურ განტვირთვებს უსიამოვნებით, სხვა ადამიანების წინაშე დამცირებით, დაქვემდებარებით, ან სოციალური არსებობის სრული განადგურებით; ესენი იმ მოდელირების ასპექტებია, რომლითაც ფიზიკურ სამყაროში უფრო და უფრო მკვეთრად გამოეყოფა ერთმანეთს ლტოლვითი ცენტრი და „მე-ცენტრი“ (Ich-zentrum), სანამ საბოლოოდ არ ჩამოყალიბდება ფართო, ყოვლისმომცველი, სტაბილური და ძლიერად დიფერენცირებული თვითიძულების აპარატი. სინამდვილეში არსებობს არა „რაციო“, არამედ უკეთეს შემთხვევაში „რაციონალიზაცია“.

ჩვენი სააზროვნო მოდელები ადვილად გვიბიძგებენ იმისაკენ, რომ ვეძიოთ „საწყისები”; მაგრამ ადამიანთა განვითარებაში არ არის „პუნქტი“, რომელზედაც შეგვეძლო გვეთქვა: აქამდე აქ არ იყო „რაციო“ და ახლა ის „წარმოიშვა“; აქამდე არ არსებობდა თვითიძუ-ლებანი და „ზე-მე“ და ახლა, ამ თუ იმ საუკუნეში, უცებ გაჩნდა ეს. არ

არსებობს ამ მოვლენათა ნულოვანი წერტილი. მაგრამ ფაქტებს ასევე ნაკლებად დავძლევთ, თუ ვიტყვით: ყველაფერი ეს ყოველთვის ისე იყო, როგორც ახლა. „ცივილიზებულ“ ადამიანთა თვითიძულების აპარატი, ცნობიერი და აფექტური სამყარო, როგორც მთელი, თავისი სტრუქტურით ნათლად და ცხადად განირჩევა ე. წ. „პრიმიტივებისეულისაგან“. მაგრამ ორივე შემთხვევაში საქმე გვაქვს თავიანთ სტრუქტურით ნათლად გააზრებად მოდელირებასთან, დახლოებით, ნატურალური ფუნქციების ანალოგიურად.

ტრადიციული სააზროვნო მეთოდები ყოველთვის სტატიკური ალტერნატივების წინაშე გვაყენებს; ესენია გარკვეულნილად ელეატური მოდელები, რომლითაც ისინი ხელმძღვანელობენ: შეიძლება წარმოვიდგინოთ ან მხოლოდ ცალკეული პუნქტები, ცალკეული ნახტომისებური ცვლილებები ან საერთოდ, არავითარი ცვლილებები. თავდაპირველად, აშკარად ძნელი ასატანია ის, რომ საკუთარი თავი გარკვეული წესრიგისა და კანონზომიერების თანდათანობით, უწყვეტ ცვლილებებში ჩართულად განვიხილოთ, ცვლილებებისა, რომლებიც ჩვენი თვალისათვის უკან, შორს, სიბნელეშია ჩაკარგული, მოძრაობაში, რომელიც, შეძლებისდაგვრად, მთლიანობაში უნდა წარმოვიდგინოთ, ისრის ან ნაკადის მოძრაობის ტრაექტორიის მსგავსად და არა როგორც წრებრუნვა ან ერთი პუნქტიდან მეორეზე გადახტომა. ის რაც ისტორიის მსვლელობაში იცვლება არის, კიდევ ერთხელ რომ აღვნიშნოთ, ადამიანთა ორმხრივი ურთიერთობა და მოდელირება, რომელსაც ერთეული ადამიანი მასში განიცდის; მაგრამ, სწორედ მაშინ, როცა ხედვა გათავისუფლდება ადამიანთა ამ ფუნდამენტური ისტორიულობისათვის, მისთვის, ამავდროულად, გაცხადდება ადამიანური მყოფობის უცვლელი სტრუქტურული კანონზომიერება. ყოველი ცალკეული ადამიანური გამოვლენა მხოლოდ მაშინაა გასაგები, თუ მას ამ უწყვეტი მოძრაობის მთლიანობაში დავინახავთ; დეტალებს ვერ გამოვაცალკევებთ; ის იქმნება ამ პროცესული ურთიერთკავშირის შიგნით — პროცესი შეიძლება იყოს ნელი, როგორც პრიმიტივებთან, შეიძლება სწრაფი, როგორც ჩვენს შემთხვევაში — და ამ პროცესში ის უნდა შეფასდეს, როგორც ნაწილი განსაზღვრული საფეხურისა თუ ტალღისა. ასე რომ, ადამიანებში ყველგან ვხვდებით ლტოლვათა განსაზღვრულ, სოციალურ რეგულირებას და შეზღუდვას ან გარკვეულ წინასწარხედვას. მაგრამ ამ წინასწარხედვას, აფექტთა დაძლევას, მაგალითად, უბრალო მესაქონლეებში ან მეომართა კასტაში სხვა სახე და მოცულობა აქვს, ვიდრე სასახლის კარისკაცთა, სახელმწიფო მოხელეთა ან მექანიზებული სამხედრო ნაწილების წარმომადგენელთა შორის. ის მით უფრო ფართოვდება და ძლიერდება, რაც უფრო იზრდება ფუნქციური დანაწილება და მასთან ერთად, ადამიანთა რიცხვი, რომელთანაც ცალკეული ადამიანის მოქმედება უნდა შეთანხმდეს. და „გაგების“ თუ „აზროვნების“ მეთოდი, რომელიც ინდივიდს ჩვევაში

გადასდის, მისი საკუთარი საზოგადოების ადამიანებთან მიმართებაშიც, შესაბამისად, იმდენადვე მსგავსი და განსხვავებულია, როგორც სოციალური მდგომარეობა და ადგილი ადამიანურ ქსელში, რომელშიც ის იზრდება და რომელსაც ის შეეზრდება, იმდენადვე მსგავსი და განსხვავებული, როგორც მისი და მისი მშობლების სოციალური მდგომარეობა ან მისი უმნიშვნელოვანესი მოდელების შემქმნელი ფუნქცია. წიგნის მბეჭდავის ან მანქანათმშენებლის პერსპექტიული ხედვა განსხვავებულია ბუღალტერის ასეთივე ხედვისაგან, ინჟინრისა კიდევ უფრო სხვაა, ვიდრე მარკეტინგის მენეჯერისა, ფინანსთა მინისტრისა განსხვავდება გენერლისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ეს სხვადასხვა ზედაპირული მოდელირებანი ფუნქციათა ინტერდეპენდენციის წყალობით, განსაზღვრული ხარისხით, ერთმანეთს გამუდმებით უთანაბრდება და ერთმანეთის ასიმილაციას ახდენს. უფრო ქვედა დონეზე, მუშათა გარემოში აღზრდილთა რაციონალური და აფექტური მოდელირება განსხვავებულია მათი სტრუქტურებისაგან, ვინც სიმდიდრესა და კეთილდღეობაში აღიზარდა. და ბოლოს, მათი ინტერდეპენდენტული ისტორიის, რაციონალობისა და აფექტური სქემის განსხვავებათა შესაბამისად, სხვადასხვაა გერმანელთა და ინგლისელთა, ფრანგებისა და იტალიელების თვითცნობიერება და ლტოლვითი სტრუქტურა, ასევე განსხვავდება ოქციდენტალთა სოციალური მოდელირება მთელი ორიენტის ადამიანთა მოდელირებისაგან. მაგრამ ყველა ამ განსხვავების გაგება სწორედ იმიტომაა შესაძლებელი, რომ მათ საფუძვლად უდევთ ერთი და იგივე, ადამიანური და სოციალური კანონზომიერება. ინდივიდუალური განსხვავებანი ყველა ამ ჯგუფის *შიგნით*, მაგალითად, ისეთი, როგორიცაა „ინტელექტის“ განსხვავებანი, სხვა არაფერია, თუ არა განსხვავებანი მოდელირების განსაზღვრული, ისტორიული ფორმების ფარგლებში, განსხვავებანი, რომელთაც საზოგადოება, ადამიანთა ქსელი, რომელშიც ერთეული ადამიანი იზრდება, თავისი სტრუქტურისდა მიხედვით, მეტ-ნაკლებად დიდ სამოქმედო სივრცეს აძლევს. შეიძლება გავიხსენოთ ძლიერად ინდივიდუალიზებულთა, ე.წ. „შემოქმედებითი ინტელიგენცის“ ფენომენი. არაავტორიტარული, ინდივიდუალურად დამოუკიდებელი აზროვნების რისკის, იმ პოზიციის წინაპირობას, რომლითაც ესა თუ ის ადამიანი თავს დაიმკვიდრებს, როგორც „შემოქმედებითი ინტელიგენცი“, მხოლოდ თავისთავადი, ინდივიდუალური, იმპულსური ბედი არ წარმოადგენს. ასეთი გაბედულება მხოლოდ განსაზღვრული სტრუქტურის სახელისუფლო აპარატის შემთხვევაშია შესაძლებელი; მის წინაპირობას წარმოადგენს სრულიად გარკვეული *სოციალური სტრუქტურა*. და ეს, გარდა ამისა, დამოკიდებულია იმაზე, რომ ასეთი სტრუქტურის მქონე საზოგადოებაში, ერთეული ადამიანისათვის მისაწვდომი იყოს ის სწავლება და ის, არცთუ ძალზე მრავალრიცხოვანი, სოციალური ფუნქციები, რომლებიც მხოლოდ მის ინდივიდუალურ,

დამოუკიდებელ პერსპექტიულ და სიღრმისეულ ხედვას უწყობს ხელს.

მაშასადამე, ამ აზრით, რაინდის პერსპექტიული ხედვა ან „აზროვნება“ განსხვავებულია კარისკაცის ხედვისა და აზროვნებისაგან. ერთი სცენა, რომელსაც რანკე აღწერს[46], ადვილად გვიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, როგორ იყო განნირული დასაღუპად, ძალისმიერი საშუალებების მზარდ მონოპოლიზებასთან ერთად, ჭეშმარიტი, რაინდული ჩვეულებითი და აფექტური მდგომარეობა. ზოგადი თვალსაზრისით, ის ამავე დროს, იძლევა იმის მაგალითს, თუ როგორ განაპირობებს სოციალური ფუნქციების სტრუქტურის ცვლილება ქცევის ცვლილებას.

მონმორანსის ჰერცოგი, იმ კაცის შვილი, რომელმაც მნიშვნელოვანი ნვლილი შეიტანა ანრი IV-ს გამარჯვებაში, აჯანყდა. ეს იყო რაინდი, თავადური ნარმომავლობის კაცი, ხელგაშლილი, და გამორჩეული, მამაცი და მიზანსნრაფული. ისიც მეფეს ემსახურებოდა. მაგრამ ის ვერ იგებდა და არ ამართლებდა, რომ ამ მეფეს, უფრო ზუსტად კი, რიშელიეს უნდა გადასცემოდა მთელი ძალაუფლება და მართვის ყველა უფლება. ასე დაინყო მან თავის ამლასთან ერთად ბრძოლა მეფის ნინააღმდეგ, ისევე როგორც ძველ დროში რაინდები, ფეოდალები ილაშქრებდნენ სხვათა ნინააღმდეგ. საქმე შეტაკებამდე მივიდა. მეფის მხედართმთავარმა, შომბერგმა, მის მიმართ არცთუ მთლად ხელსაყრელი პოზიცია დაიკავა. მაგრამ ეს, როგორც რანკე გვაუწყებს, „უპირატესობა იყო, რომელსაც მონმორანსი ნაკლებად აქცევდა ყურადღებას; როგორც კი მან მტრის ხროვა დაინახა, შესთავაზა მეგობრებს, დაუყოვნებლივ დაერტყათ მათთვის. რადგან, პირველ ყოვლისა, ბრძოლას ის გაბედულ ჭენებაში ხედავდა. გამოცდილი თანამებრძოლი, გრაფი რიე სთხოვდა მას დაეცადა მანამ, სანამ რამდენიმე გასროლით, რომელიც ის-ის იყო მოხდა, მტრის საომარ ნესრიგს შეარყევდნენ. მაგრამ მონმორანსი უკვე შეპყრობილი იყო ბრძოლის დაუოკებელი წყურვილით. ის ფიქრობდა, რომ დროის დაკარგვა აღარ შეიძლებოდა და მრჩეველმა ველარ გაბედა შენინააღმდეგებოდა რაინდი მხედართმთავრის ნებას, თუმცა, გრძნობდა მოსალოდნელ უბედურებას. „ბატონო“, დაიყვირა მან, „მე მინდა თქვენს ფეხებთან მოვკვდე.“

მონმორანსი ადვილად შესაცნობი იყო საუცხოო ნითელი, ლურჯი და მელნისფერი ფრთებით მორთული მუზარადით; აქ იყო მხლებელთა მხოლოდ მცირერიცხოვანი ჯგუფი, რომელიც მასთან ერთად სიკვილისათვის იყო მზად და ანადგურებდა ყველაფერს, რაც ნინ ხვდებოდა; ისინი ბრძოლით მიინევდნენ ნინ, სანამ საბოლოოდ მტრის ძირითადი ფორმირებების ნინა ხაზამდე არ მივიდნენ. მაგრამ აქ ისინი მუშკეტების (საბრძოლო იარაღი, მთარგ. შენიშვნა) ახლო, სნრაფ ცეცხლს წაანყდნენ: ცხენები და მათი მხედრები დაჭრეს და დახოცეს; გრაფი რიე და ბევრი სხვა ბრძოლის ველზე დაეცა, მონმორანსის ჰერცოგი, დაჭრილი, გადმოვარდა დაშავებული ცხენიდან და ტყვედ ჩავარდა.“

რიშელიემ ის სასამართლოს ნინაშე გამოიყვანა, რომლის განაჩენი მისთვის ცხადი იყო და მალე უკანასკნელ მონმორანსს თავი მოჰკვეთეს ტულუზის საქალაქო საბჭოს ეზოში.

ნინა ფაზათა ქცევის ფორმებს, როცა მეომრებს ჯერ კიდევ შეეძლოთ ერთმანეთთან თავისუფლად კონკურირება, განეკუთვნებოდა ის, რომ იმპულსებს პირდაპირ მინებებოდნენ და ნინასწარ არ მოეხდინათ შორეული პერსპექტივის გათვლა. ეს ქცევის მეთოდები, მიუხედავად იმისა, რომ ერთეული ადამიანი მათ დაღუპვამდე მიჰყავდა, საზოგადოების მთლიანი სტრუქტურის ადექვატური და აქედან გამომდინარე, „რეალისტური“ იყო. საბრძოლო ფურორი აქ არისტოკრატი მამაკაცისათვის წარმატებისა

და პრესტიჟის აუცილებელი წინაპირობა იყო. ეს ყველაფერი იცვლება მზარდ მონოპოლიზებასა და ცენტრალიზებასთან ერთად.

საზოგადოების შეცვლილი სტრუქტურა, ახლა უკვე გარდაუვალ დამარცხებას უწინასწარმეტყველებს შესაბამისი პერსპექტიული ხედვის გარეშე განხორციელებულ აფექტურ განტვირთვასა და მოქმედებას. და თუ ვინმე არ ეთანხმება არსებულ მიმართებებს, არ ემორჩილება მეფის აბსოლუტურ ძალაუფლებას, ის სხვაგვარად უნდა მოიქცეს. მოვუსმინოთ რას ამბობს სენ-სიმონი. ეს უკანასკნელიც, რომელსაც მხოლოდ ერთი თაობა თუ აშორებდა მონმორანსს, არის და მთელი სიცოცხლის განმავლობაში რჩება ოპოზიციონერ ჰერცოგად. მაგრამ, ყველაფერი, რაც მან შეიძლება გააკეთოს, სასახლის კარზე ერთგვარი ფრაქციული დაჯგუფების შექმნით ამოიწურება; და თუ ის იყოჩაღებს, მოახერხებს მეფის მემკვიდრე დოფინს თავისი იდეები ჩაუნერგოს. მაგრამ ეს სახიფათო თამაშია ლუი XIV-ის სასახლის კარზე და დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. ჯერ კარგად უნდა შეისწავლონ პრინცები და შემდეგ თანდათანობით ეცადონ მათ გადახრას სასურველი მიმართულებით:

»Je m'étais principalement proposé», so schildert St.-Simon[147] — ასე აღწერს თავის მოქმედებას სენ-სიმონი დოფინთან საუბრისას — „de le sonder sur tout ce qui intéresse notre dignité; je m'appliquai donc à rompre doucement tous les propos qui s'écartaient de ce but, à y ramener la conversation et la promener sur tous les différents chapitres ... Le Dauphin, activement attentif, goûtait toutes mes raisons prit feu et gémit de l'ignorance et du peu de réflexion du Roi. De toutes ces diverses matières, je ne faisais presque que les entamer en les présentant successivement au Dauphin, et le suivre après, pour lui laisser le plaisir de parler, de me laisser voir qu'il était instruit, lui donner lieu à se persuader par lui-même, à s'échauffer, à se piquer et à moi de voir ses sentiments, sa manière de concevoir et de prendre des impressions pour profiter de cette connaissance ... Je cherchais moins à pousser les raisonnements et les parenthèses que ... de l'imprégner doucement et solidement de mes sentiments et de mes vues sur chacune des ces matières ...«

თუ თვალს გადავავლებთ ორივე ამ მამაკაცის, ჰერცოგი მონმორანსისა და ჰერცოგი სენ-სიმონის პოზიციას, სადაც მათ სურთ გამოხატონ თავიანთი დაპირისპირება მეფის აბსოლუტური ხელისუფლების მიმართ, ეს შეიძლება, გარკვეულწილად, დაგვეხმაროს შექმნილი სურათის დასრულებაში. რაინდთა ეს ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი, ცდილობს თავის მიზანს ფიზიკური ბრძოლით მიაღწიოს, მეორე, კარისკაცი, ამისათვის საუბარს მიმართავს; პირველი მოქმედებს თავისი იმპულსებიდან გამომდინარე, ისე რომ განსაკუთრებით არ ფიქრობს სხვაზე. მეორე კი განუწყვეტლივ ცდილობს აკონტროლოს თავისი ქცევა, ითვალისწინებს რა მეორე ადამიანის რეაქციას. ორივე არა მხოლოდ, მონმორანსი, არამედ სენ-

სიმონიც განსაკუთრებით სახიფათო სიტუაციაში იმყოფება. დოფინს შეუძლია ნებისმიერ მომენტში დაარღვიოს კურტუაზიული საუბრის მიზანმიმართული თამაშის წესები; მას, თავისი სურვილისამებრ, შეუძლია საუბარი და ურთიერთობა, ამა თუ იმ საფუძვლიდან გამომდინარე, შეწყვიტოს, ისე რომ ამასთან ბევრს არაფერს დაკარგავს; თუ სენ-სიმონი დიდ სიფრთხილეს არ გამოიჩენს, დოფინს შეუძლია, განჭვრიტოს ჰერცოგის ოპოზიციური აზრები და მეფეს მოახსენოს. მონმორანსი ანგარიშს არ უწევს საფრთხეს. ის მიჯაჭვულია სწორხაზოვან მოქმედებაზე, რომელსაც მას თავისი გრძნობა კარნახობს; ის ცდილობს სწორედ თავისი ვნების ფურორით დაძლიოს საფრთხე. სენ-სიმონი ზუსტად ხედავს და აცნობიერებს საფრთხის სიდიდეს. ის უკიდურესი სიფრთხილითა და დაფიქრებით იწყებს საქმეს. მას არ სურს ძალადობით მიაღწიოს რაიმეს; ის პერსპექტიულ ხედვაზე მუშაობს და თავს იკავებს, რათა სხვები თავისი გრძნობებით შეუმჩნევლად, მაგრამ დაჟინებით „გამსჭვალოს".

ის, რაც საკუთარი თავის წარმოდგენაში თვალწინ გვიდგას, არის, მართლაც, მშვენიერი მაგალითი იმ *კურტუაზიული რაციონალობისა*, რასაც (უმეტესად სათანადო შეფასების გარეშე), არათუ არანაკლები, არამედ მართლაც, უფრო მეტი მნიშვნელობა ჰქონდა იმის განვითარებისათვის, რასაც ჩვენ „განმანათლებლობას" ვუწოდებთ, ვიდრე ქალაქურ-ვაჭრულ რაციონალობას, ვიდრე პერსპექტიულ ხედვას, რომლის ფუნქციებს თავად ადამიანები გამოიმუშავებენ სავაჭრო ქსელში; მაგრამ, თავისთავად ცხადია, პერსპექტიული ხედვის ეს ორივე ფორმა, სასახლის კარის არისტოკრატიის და საშუალო ფენათა უმაღლესი წრეების რაციონალიზება და ფსიქოლოგიზება, განხვავდება რა თავისი სქემის მიხედვით, უმჭიდროეს ურთიერთკავშირშია ერთმანეთთან; ორივე მიუთითებს მათ მიღმა არსებულ, არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის ძლიერ გადაჯაჭვულობაზე და ორივე დაიყვანება მთელს საზოგადოებაში ადამიანური ურთიერთობების ტრანსფორმირებაზე. ისინი უმჭიდროესად არიან დაკავშირებული იმ ცვლილებასთან, რომლის მიმდინარეობისას, შუა საუკუნეების საზოგადოების შედარებით მსუბუქად შეკავშირებული, ქალაქური ჯგუფები თანდათანობით ძლიერად ცენტრალიზებული საზოგადოების, აბსოლუტისტური სახელმწიფოს შემადგენელ ფორმაციებად იქცევიან.

რაციონალიზების ისტორიული პროცესი არის სანიმუშო მაგალითი ერთგვარი მოვლენებისა, რომლებიც აქამდე, თითქმის არ ყოფილა ან ძალზე ბუნდოვნად იყო შეფასებული სისტემური, მეცნიერული აზროვნების თვალსაზრისით. თუ გვსურს მეცნიერებათა ტრადიციულ სქემას დავეყრდნოთ, ეს უნდა მივაკუთვნოთ იმ მეცნიერებათა სფეროს, რომელიც ჯერ არ არსებობს, კერძოდ, ისტორიული ფსიქოლოგიის სფეროს. მეცნიერული კვლევის დღეს არსებულ ფორმაში, ზოგადად, ისტორიკოსებისა და ფსიქოლოგების

სამუშაოს შორის მკვეთრი გამყოფი ხაზია გავლებული. როგორც ჩანს, ფსიქოლოგიური კვლევისათვის მხოლოდ დასავლური სამყაროს თანამედროვე ადამიანებია საჭირო და მისაწვდომი ანდა კიდევ უკიდურეს შემთხვევაში, ე.წ. პრიმიტივები. გზა, რომელსაც თავად დასავლური სამყაროს ისტორიაში, ამ მარტივი, პრიმიტიული სულიერი სტრუქტურიდან ჩვენი დროის დიფერენცირებული სტრუქტურისაკენ მივ ყავართ, ბნელში რჩება. სწორედ იმიტომ, რომ ფსიქოლოგი უბრალოდ არაისტორიულად ფიქრობს და დღევანდელი ადამიანის ფსიქიკურ სტრუქტურებს იმგვარად განიხილავს, თითქოს, ისინი რაღაც შეუქმნელი და უცვლელი იყოს. ისტორიკოსისათვის, ზოგადად, ამგვარი შედეგები არცთუ ბევრის მიმცემია. და თავის მხრივ, ისტორიკოსსაც ცოტა რამ თუ აქვს სათქმელი ფსიქოლოგისათვის, რადგან ცდილობს, შეძლებისდაგვარად, თავიდან აიცილოს ფსიქოლოგიური პრობლემები იმასთან მიმართებაში, რასაც ის ფაქტებს უწოდებს.

ბევრად უკეთესად არაა საქმე სოციალურ მეცნიერებასთან მიმართებაში. რამდენადაც ზოგადად, სოციალური პრობლემებითაა დაკავებული, ეს დისციპლინა სრულად ახდენს იმ გამყოფი ხაზის აქცეპტირებას, რომელსაც ისტორიკოსი ადამიანთა ფსიქიკურ აქტიურობასა და მათ განსხვავებულ გამოხატვის ფორმებს, ხელოვნების ტიპებს, იდეებს, თუ სხვა ხერხებს შორის გაატარებს. არ აღიარებენ, რომ ისტორიული, სოციალური ფსიქოლოგია ერთდროულად მოითხოვს ფსიქოგენეტიკურ და სოციოგენეტურ გამოკვლევას, რათა შემაერთებელი ხაზით დააკავშიროს ადამიანთა ყველა ეს მრავალგვარი გამოხატულება და მათი სოციალური არსებობა. მას, ვინც საზოგადოების ისტორიითაა დაკავებული, ზუსტად ისევე, როგორც გონის ისტორიის შემსწავლელთ, ერთი მხრივ, „საზოგადოება", მეორე მხრივ, ადამიანურ აზრთა სამყარო და მათი „იდეები" ორ სხვადასხვა წარმონაქმნად ეჩვენება, რომლებიც რაღაც აზრით, ერთმანეთს შეიძლება დავაცილოთ. როგორც ჩანს, ორივეს სჯერა, თითქოს ან საზოგადოება არსებობდეს იდეებისა და აზრების გარეშე ან იდეები— საზოგადოების მილმა. და ისინი მხოლოდ იმაზე კამათობენ, რომელია მათგან უფრო „მნიშვნელოვანი" მოვლენა: ერთნი ამბობენ, რომ ეს არის თავისთავად ასოციალური იდეები, რომელთაც მოძრაობაში მოჰყავთ საზოგადოება და მეორენი ამბობენ, რომ ესაა თავისთავად იდეებს მოკლებული საზოგადოება, რომელიც თითქოსდა, „იდეებს" ამოძრავებს.

ცივილიზაციის პროცესი და მის ფარგლებში მიმდინარე მოვლენები, როგორიცაა თანდათანობითი ფსიქოლოგიზება და რაციონალიზება, ამგვარ კითხვით სქემაში არ ჯდება. მათი გამოცალკეევება ადამიანთაშორისი ურთიერთობების სტრუქტურაში მომხდარი ისტორიული ცვლილებებისაგან აზროვნებაშიც შეუძლებელია. სავსებით ცხადია, არავითარი აზრი არა აქვს იმ კითხვის დასმას, შეცვალა თუ არა საზოგადოება ნაკლებ რაციონალურიდან აზროვ-

ნებისა და ქცევის რაციონალურ მეთოდებზე თანდათანობითმა გადასვლამ, რადგან ეს რაციონალიზების პროცესი სწორედ ისევე, როგორც ცივილიზაციის უფრო ფართო პროცესი, ერთდროულად არის ფსიქიკურიც და სოციალური მოვლენაც. ამავე დროს, ნაკლებად აზრიანია, რომ ცივილიზაციის პროცესი ავხსნათ, როგორც რაღაც „ზედნაშენი" ან რაღაც „იდეოლოგია", უფრო ზუსტად, მხოლოდ მისი ფუნქციიდან, როგორც იარაღი სხვათა წინააღმდეგ ცალკეულ სოციალურ ჯგუფთა და ინტერესთა ბრძოლაში.

თანდათანობითი რაციონალიზაცია და შემდგომ მთელი ცივილიზატორული ტრანსფორმაცია, სხვადასხვა სოციალური ფენისა და გაერთიანების დაპირისპირებასთან უწყვეტ კავშირში მიმდინარეობს. დასავლური სამყაროს ურთიერთობათა ქსელის მთლიანობა, ჯერჯერობით ბოლო და უძლიერესი ცივილიზატორული ბიძგის სუბსტრატი, ცხადია, არ ქმნის იმგვარ მშვიდობიან ერთიანობას, როგორც ეს ზოგჯერ იდეათა ჰარმონიულ სისტემებში ჩანს. ეს არ არის სანყისისეული ჰარმონიული მთლიანობა, რომელშიც მხოლოდ შემთხვევით შეაქვთ კონფლიქტი, ბოროტი ნებით თუ ცალკეულ ადამიანთა უგნურებით. არამედ, დაძაბულობანი და ბრძოლები, ადამიანთა ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულების მსგავსად, მისი სტრუქტურის ინტეგრალურ ელემენტს ქმნის; მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მისი ცვლილებების მიმართულების თვალსაზრისით. ცხადია, ცივილიზაციის ბიძგმა, როგორც იარაღმა, ამ დაპირისპირებებში შეიძლება, დიდი მნიშვნელობა მოიპოვოს. რადგან მიჩვევა პერსპექტიული ხედვის მაღალ ხარისხსა და მომენტალური აფექტების ძლიერ დათრგუნვაზე (აქ ცივილიზაციის მხოლოდ ეს გამოვლინებანი რომ გავიხსენოთ), გარკვეულ ვითარებაში, ერთი ჯგუფის წარმომადგენელს მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს მეორესთან შედარებით. მაგრამ, რაციონალობისა და ლტოლვათა დაცხრობის მაღალი ხარისხი, *შეიძლება*, ზოგჯერ შემასუსტებლად მოქმედებდეს და ზარალი მოჰქონდეს ამ უნარის მქონეთათვის. „ცივილიზაცია" გარკვეულ გარემოებებში, მართლაც, ორლესული იარაღია. და როგორც დეტალურად, ისე მთლიანობაში, ასეთი ცივილიზატორული ბიძგები, დიდწილად, იმისაგან დამოუკიდებლად ხდება, მისაღები ან გამოსადეგია თუ არა ისინი იმ ჯგუფებისა და გაერთიანებებისათვის, რომლებშიც ისინი ხორციელდება. ეს ბიძგები მიმდინარეობს გადაჯაჭვის ძლიერი მექანიზმების საფუძველზე, რომელთა ერთიანი მიმართულების შეცვლა ცალკეულ ჯგუფებს არ ხელეწიფებათ. ისინი უფრო ნაკლებად ექვემდებარებიან ცნობიერ თუ ნახევრად ცნობიერ მანიპულაციას, სოციალური ბრძოლის იარაღად გააზრებულ გადამუშავებას, ვიდრე *აზროვნების შინაარსები*. მთელი ფსიქიკური ჰაბიტუსის ფორმა, ისევე როგორც ცივილიზაციის სპეციფიკური სტრუქტურები ერთდროულად წარმოიქმნება მასშტაბური სოციალური პროცესიდან, როგორც პროდუქტი და როგორც მამოძრავებელი მექანიზმი. ამავე სოციალურ პროცესში

იქმნებიან და ტრანსფორმირებას განიცდიან ცალკეული ფენები და ცვალებადი სახის ინტერესები. ცივილიზატორული ტრანსფორმაცია და მასთან ერთად რაციონალიზაციაც არ წარმოადგენს „იდეებისა“ და „აზრების“ სამყაროში მიმდინარე პროცესებს. აქ საქმე აღარა გვაქვს მხოლოდ „ცოდნის“ ტრანსფორმაციებთან, „იდეოლოგიის“ ცვლილებებთან, მოკლედ, „ცნობიერების *შინაარსების*“ გარდაქმნებთან, არამედ მთელი ადამიანური ჰაბიტუსის ცვლილებასთან, რომლის შიგნით ცნობიერებითი შინაარსები და პირველ რიგში, აზროვნებითი ჩვევები, მართლაც, მხოლოდ ნაწილობრივ გამოვლინებებს, მხოლოდ ცალკეულ სექტორებს ქმნიან. აქ საქმე ეხება მთელი სულიერი შინაარსის სახეცვლილებას მისი ყველა ზონის გავლით, მე-ს უფრო ცნობიერი მართვისა (Ichsteuerung) და სრულიად არაცნობიერად ქცეულ ლტოლვათა მართვამდე. და ამგვარ ცვლილებათა შეფასებისათვის საკმარისი აღარ არის ის სააზროვნო სქემა, რომელიც თვალწინ წარმოუდგებათ, როცა „ზედნაშენსა“ და „იდეოლოგიაზე“ საუბრობენ.

უკვე დიდი ხანია ადამიანთა ცნობიერებაში ღრმადაა ფესვგადგმული წარმოდგენა, რომ „Psyche“ (სული), ადამიანის სულიერი სამყარო სხვადასხვა ზონებისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებენ და რომ ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად შეიძლება განვიხილოთ. ჩვეულებრივ, გააზრებისას დიფერენცირებული სულიერი სამყაროს ერთ-ერთ ფუნქციურ ფენას, ამავე დროს, როგორც ჭეშმარიტად „არსებითს“ ადამიანის ფსიქიკური თვითმართვის თვალსაზრისით, მეორისაგან გამოყოფენ. ადამიანის გონით-ისტორიული და ცოდნის სოციოლოგიური გამოკვლევაც, პირველ ყოვლისა, ცდილობს ცოდნისა და აზროვნების მხრივ მიუდგეს საქმეს. ამგვარ გამოკვლევათა შუქზე აზრები და იდეები გარკვეულწილად ისე ჩანს, როგორც რაღაც უმნიშვნელოვანესი ადამიანის ფსიქიკური თვითმართვისათვის. და არაცნობიერი იმპულსები, ლტოლვით და აფექტურ სტუქტურათა მთელი ველი, მეტ-ნაკლებად შეუცნობელი რჩება.

მაგრამ გამოკვლევის ყოველი ტიპი, რომელიც მხოლოდ ადამიანის ცნობიერებას, მათ „რაციოს“ ან მათ „იდეებს“ განიხილავს და ამავე დროს, მათთან ერთად ლტოლვათა სტრუქტურას, ადამიანურ აფექტთა თუ ვნებათა მიმართულებას და ფორმას არ ითვალისწინებს, თავიდანვე ნაკლებ ნაყოფიერია. ბევრი რამ იმისაგან, რაც აუცილებელია ადამიანთა გაგებისათვის, მისთვის მიუწვდომელი რჩება. თვით ცნობიერების შინაარსთა რაციონალიზაცია და შემდგომ „მე“-სა და „ზე-მე“-ს ფუნქციათა მთელი სტრუქტურული ცვლილებები, ყველა ეს მოვლენა — ეს ზემოთ უკვე იქნა ნაჩვენები და შემდგომშიც უფრო დაწვრილებით უნდა ვაჩვენოთ— მხოლოდ არასრულად მისაწვდომია გააზრებისათვის, სანამ ცნობიერების შინაარსთა, „მე“-სა და „ზე-მე“-ს სტრუქტურების გამოკვლევა ცდილობს იზოლაციაში დარჩეს და არავითარ ყურადღებას არ

უთმობს ლტოლვითი და აფექტური სტრუქტურების ნიშანდობლივ ცვლილებებს. იდეებისა და სააზროვნო ფორმების ისტორიის სწორი გაგება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ადამიანთაშორისი ურთიერთობების ცვლილებასთან ერთად, ამავე დროს, ვითვალისწინებთ ქცევის სტრუქტურას, სულიერი სამყაროს, როგორც *მთელის* აგებულებას.

არასწორ აქცენტირებასთან ერთად, დღეს ფსიქო-ანალიტიკურ გამოკვლევებში საკმაოდ ხშირად ვხვდებით ჰორიზონტის შეზღუდულობას. ამგვარი კვლევა ხშირად იმისაკენ იხრება, რომ ადამიანის განხილვისას მთელი სულიერი სტრუქტურიდან გამოვყოთ რაღაც „არაცნობიერი", როგორც უისტორიოდ გააზრებული Es („ის" განუსაზღვრელი სუბიექტი, მთარგ. შენიშვ.), როგორც ყველაზე მნიშვნელოვანი რამ. კორექტურებმა, რომლებიც ამ თვალსაზრისით უკანასკნელ ხანს განხორციელდა, ალბათ, თერაპიულ პრაქტიკაში შედეგი გამოიღო, მაგრამ თეორიულ გადამუშავებაში ჯერ კიდევ არ მიგვიყვანა პრაქტიკაში მოპოვებული ცდისეული მასალის გზით აზროვნების ინსტრუმენტების შემდგომ განვითარებამდე, რომლისკენაც მას საბოლოოდ უნდა მივყავდეთ. აქ, თეორიულ გადამუშავებაში, ეს ჯერ კიდევ ისე ჩანს, თითქოს არაცნობიერი იმპულსებით ადამიანის მართვას, უპირველეს ყოვლისა, თავისთავად ჰქონდეს ფორმა და სტრუქტურა, ცალკეული ადამიანის ურთიერთობითი ბედის, სულიერი სამყაროს მართვის სხვა დანარჩენი ფუნქციების ფორმისა და სტრუქტურისაგან დამოუკიდებლად და თითქოს, მათზე უფრო მნიშვნელოვანი იყოს ადამიანური ყოფიერებისათვის. აქ ერთმანეთისაგან არ განასხვავებენ გადაუმუშავებელ, ნატურალურ ლტოლვით მასალას (რომელიც ალბათ, სინამდვილეში, კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ნაკლებად იცვლება) და უფრო და უფრო გამყარებად სტრუქტურებსა და გზებს, რომლისკენაც ყოველ ადამიანში, მისი სიცოცხლის პირველსავე დღიდანვე, ნარიმართება ფსიქიკური ენერგია, მეორე ადამიანთან მისი ურთიერთობის საშუალებით. მაგრამ ამ უკვე გადამუშავებულ ლტოლვით ენერგიებს, (რომლთანაც საქმე გვაქვს ყოველი ცოცხალი ადამიანის შემთხვევაში, რადგან ადამიანი, გარდა შეშლილობის შემთხვევისა, მეორე ადამიანთან შეხვედრის დროს, უბრალოდ, ძნელად აღმოჩნდება გადაუმუშავებელი, ფსიქიკური ფუნქციების პირისპირ), ამ სოციოგენურ, ლტილვით მიმართულებებს და სტრუქტურებს, ვერცერთი ფორმით ვერ გამოვაცალკევებთ შესაბამისი „მე"-ს და „ზე- მე"-ს სტრუქტურებიდან. მათ ვერ დავყოფთ ადამიანის ქცევისათვის უფრო არსებით და ნაკლებ არსებით სტრუქტურებად. და ისინი არ არიან საზოგადოებაზე ნაკლებად მიმართულნი, როგორც ამას ხშირად ამტკიცებენ ფსიქოანალიტიკურ ლიტერატურაში, არ არიან სოციალურად ნაკლებ ცვალებადი, ვიდრე „მე"-ს და „ზე- მე"-ს ფუნქციათა სტრუქტურები.

ადამიანის საზომი, რომელსაც უშუალოდ ვაკვირდებით, არის არა

მარტოოდენ „ის“ (Es), არა მარტოოდენ „მე“, ან „ზე-მე“, არამედ მისი განმსაზღვრელია ფსიქიკური თვითმართვის, ნაწილობრივ ერთმანეთთან მებრძოლი, ნაწილობრივ ერთმანეთთან თანამშრომლობის უნარმქონე ფუნქციური ფენების *მიმართებანი*. მაგრამ, *თავად ეს მიმართებანი ცალკეულ ადამიანში*, — და მათთან ერთად ლტოლვათა მართვის ფორმა, — მისი „მე”-სა და „ზე-მე”-ს მართვის ფორმა, ცივილიზაციის პროცესის მსვლელობაში *ადამიანთა შორის ურთიერთობის, სოციალური ურთიერთობების* სპეციფიკური ტრანსფორმაციის შესაბამისად იცვლება. ამ პროცესის მსვლელობისას, ლოზუნგის სახით რომ გამოვთქვათ, *ცნობიერება ხდება ლტოლვებისათვის ნაკლებ შეღწევადი და ლტოლვები — ცნობიერებისათვის ნაკლებ შეღწევადი.*

ამგვარი მიმართულების პროცესებს, რომლებიც თანხმობაშია ძირითად სოციოგენეტურ კანონთან, დღეს ჯერ კიდევ, შეიძლება დავაკვირდეთ თითოეულ ბავშვთან: მხოლოდ მაშინ, როცა კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ან ცივილიზაციის ინდივიდუალური პროცესის მსვლელობისას, ერთი მხრივ, „მე”-სა და „ზე-მე”-ს მართვა, მეორე მხრივ, კი, ლტოლვათა მართვა, ერთმანეთთან მიმართებაში სულ უფრო ძლიერ დიფერენცირებას განიცდის, ლტოლვებისათვის ნაკლებ შეღწევადი ცნობიერების ფუნქციების ჩამოყალიბებით ლტოლვითი ავტომატიზმები პირველად უფრო და უფრო მეტად შეიძენენ იმ ხასიათს, რომელსაც დღეს მათ, ჩვეულებრივ მიაწერენ, როგორც წმინდა „ნატურალურ“, წინა ისტორიის არმქონე თვისებას, შეიძენენ „არაცნობიერის“ ხასიათს. და იმავე ტრანსფორმაციის პროცესში ცნობიერება იცვლება მზარდი „რაციონალიზების“ მიმართულებით: მხოლოდ სულიერი სამყაროს ამ ძლიერი და სტაბილური დიფერენცირებით იძენს უშუალოდ გარეგანზე მიმართული, ფსიქიკური ფუნქციები ლტოლვებისაგან და აფექტებისაგან შედარებით თავისუფალი, რაციონალურად მოქმედი ცნობიერების ბუნებას.

ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ ან დავაკვირდეთ ცნობიერი და არაცნობიერი ფსიქიკური თვითმართვის ფორმასა და სტრუქტურას, თუ მათ რაღაც აზრით, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებულ და ფუნქციონირებად რაიმედ წარმოვიდგენთ. ორივე თანაბრად არსებითია ადამიანის მყოფობისათვის; ორივე ერთად ქმნის ერთადერთ, დიდ ფუნქციურ კავშირს. და ჩვენ არ შეგვიძლია გავიგოთ მათი სტრუქტურა და ცვლილებები, სანამ ცალკეულ ადამიანზე დაკვირვებით შემოვიფარგლებით. მათ მხოლოდ ადამიანთა *შორის* ურთიერთობის სტრუქტურასთან და გადაჯაჭვულობის წესრიგთან კავშირში შევიცნობთ, რომელშიც ეს სოციალური სტრუქტურები იცვლება.

აქედან გამომდინარე, ცივილიზაციის პროცესის ახსნა ერთდროულად, მთელი ფსიქიკური და სოციალური სახეცვლილების გამოკვლევას მოითხოვს. და ეს არის გზა, რომლის გავლაც ამ ნაშრომში ვცადეთ. უფრო ვიწრო სფეროში ის ითხოვს *ფსიქოგენეტიკურ*

გამოკვლევას, რომელიც გათვლილია ინდივიდუალური, ფსიქიკური ენერგიის მთელი საბრძოლო და სამუშაო ველის წვდომაზე, მისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია იმპულსური თვითმართვის სტრუქტურა და ფორმა, ვიდრე ცნობიერისა. და ცივილიზაციის პროცესის გაგებისათვის უფრო ფართო სფეროში საჭიროა *სოციოგენეტიკური* გამოკვლევა, იმ განსაზღვრული, სოციალური ველის და ისტორიული წესრიგის მთლიანი სტრუქტურის შესწავლა, რომელშიც ის იცვლება.

მაგრამ ასეთი სოციალური პროცესების ადექვატური გამოკვლევა მოითხოვს ტრადიციული სააზროვნო ჩვევების ანალოგიური კორექტურას, როგორც ეს აუცილებელი გახდა უწინ, რათა სოციოგენეტურ პლანში საკითხის ადექვატური დასმისათვის მიგვეღწია. სოციალური სტრუქტურებისა და პროცესების გასაგებად არასოდეს არ არის საკმარისი ერთადერთი ფუნქციური ფენის გამოკვლევა სოციალური ველის შიგნით. ამ სტრუქტურებისა და პროცესების გაგება მოითხოვს *სხვადასხვა ფუნქციურ ფენას შორის მიმართების* გამოკვლევას, რომლებიც ერთმანეთთან არიან დაკავშირებულნი ერთი სოციალური ველის შიგნით და რომლებიც ამ ველის სპეციფიკური სტრუქტურების საფუძველზე ძალთა თანაფარდობის უფრო ნელ თუ სწრაფ გადანაცვლებასთან ერთად, გარკვეული ხნის განმავლობაში ისევ და ისევ ყალიბდებიან. ისევე როგორც ყოველი ფსიქოგენეტური გამოკვლევისას, აუცილებელია გავითვალისწინოთ არა მხოლოდ „არაცნობიერის" ან მხოლოდ „ცნობიერების" ფსიქიკური ფუნქციური ფენა, არამედ ფსიქიკური ფუნქციების *მთელი* ცირკულაცია, ასევე, ყოველი სოციოგენეტიკური გამოკვლევისათვის იმთავითვე ძალაშია ის, რომ მხედველობაში ვიქონიოთ მეტ-ნაკლებად დიფერენცირებული და დაძაბულობებით მდიდარი, *მთელი* სოციალური ველი. ამის გაკეთება მხოლოდ იმის წყალობითაა შესაძლებელი, რომ სოციალური ქსელი და მისი ისტორიული სახეცვლილება ქაოსს კი არ წარმოადგენს, არამედ თვით უდიდესი სოციალური შფოთისა და უწესრიგობის ფაზებშიც, გარკვეულ წესრიგს და სტრუქტურას ფლობს. სოციალური ველის მთელის გამოკვლევა არ ნიშნავს მასში არსებული ყველა ერთეული მოვლენის გამოკვლევას. თავდაპირველად, ეს გულისხმობს იმ ძირითადი სტრუქტურების აღმოჩენას, რომლებიც ამ ველის შიგნით ყოველ ერთეულ მოვლენას თავის მიმართულებას აძლევს და სპეციფიკურ დაღს დაასვამს. ეს ნიშნავს იმ კითხვის დასმას, რით განსხვავდება მე-15 საუკუნის საზოგადოების დაძაბულობათა ღერძი, ფუნქციური ჯაჭვები და ინსტიტუტები მე-16 და მე-17 საუკუნის საზოგადოებათა ამგვარი მომენტებისაგან და რატომ იცვლებიან პირველები მეორეთა მიმართულებით. ამისათვის, ცხადია, კონკრეტული ფაქტებით მდიდარი ცოდნაა საჭირო. მაგრამ მონაცემთა ცოდნის განსაზღვრულ დონეზე ასვლის შემდეგ ისტორიის კვლევა იმ ფაზაში აღმოჩნდება, რომელშიც ის აღარ უნდა დაკმაყოფილდეს შემდგომი დეტალების შეგროვებით და არც უკვე შეგროვებულთა აღწერით, არამედ მას

შეუძლია წინ წაიწიოს იმ კანონზომიერებებისაკენ, რომელთა საფუძველზე გარკვეული საზოგადოების ადამიანები, ისევ და ისევ განსაზღვრული თვისებებითა და სრულიად სპეციფიკური ფუნქციური კავშირებით ერთმანეთზე არიან მიბმულნი, როგორც, მაგალითად, რაინდი და ყმა, მეფე და სახელმწიფო მოხელე, ბიურგერი და არისტოკრატი და რომელთა საფუძველზე ეს ურთიერთობათა ფორმები და ინსტიტუტები სრულიად სპეციფიკური მიმართულებით იცვლება. ერთი სიტყვით, მასალათა ცოდნის გარკვეული დონიდან, ერთეული, ისტორიული ფაქტების უსასრულო გროვაში შესაძლებელია მყარი ჩონჩხის, სტრუქტურული კავშირის შეცნობა. და ყველა შემდგომი ფაქტი, რომელიც შეიძლება აღმოაჩინონ, — მიუხედავად ისტორიული პანორამის გამდიდრებისა, რასაც ისინი გვთავაზობენ,— ისინი ან ამ სტრუქტურებში მანამდე მიღწეული შეხედულების გადამოწმებას ემსახურებიან, ან გაფართოებას და გაღრმავებას. როცა აქ ითქვა, რომ ყოველი სოციოგენეტიკური გამოკვლევა ყველა ცალკეული ფუნქციური ფენიდან სოციალური ველის *მთლიანობაზე* უნდა იყოს მიმართული, ეს ნიშნავს არა დეტალების ჯამს, არამედ მისი სტრუქტურის მთლიანობას.

და ამ აზრით უნდა გავიგოთ ისიც, რაც ზემოთ რაციონალიზების შესახებ ითქვა: თანდათანობითი გადასვლა „რაციონალურ" ქცევასა და აზროვნებაზე, ისევე როგორც უფრო ძლიერ თვითკონტროლზე, დღეს, უმეტესად, მხოლოდ ბურჟუაზიულ ფუნქციებთან კავშირში განიხილება. ხშირად თანამედროვეთა გონებაში აღმოვაჩენთ იმ ფესვგადგმულ წარმოდგენას, თითქოსდა „ბურჟუაზია" იყოს რაციონალური აზროვნების „ავტორი" და „აღმომჩენი". კონტრასტულობისათვის ჩვენ ვაჩვენეთ რაციონალიზაციის გარკვეული პროცესები არისტოკრატიის ბანაკში. მაგრამ აქედან არ უნდა დავასკვნათ, რომ სასახლის კარის არისტოკრატია რაციონალიზაციის ამ ბიძგის სოციალური „ინიციატორია". როგორც მანუფაქტურული პერიოდის სასახლის კარის არისტოკრატიას ან ბურჟუაზიას არ გააჩნია „ინიციატორი" სხვა სოციალურ ფენაში, ამდენადვე არ გააჩნია რაციონალიზების ამ ბიძგს ასეთივე ნამომწყები. მთელი სოციალური სტრუქტურების ანალოგიური ცვლილება, რომელთა მიმდინარეობისას, თავის მხრივ, პირველად წარმოიშობა ეს ბურჟუაზიული და არისტოკრატიული ფორმაციები, რომელიმე განსაზღვრული მხრიდან განხილული, არის თავად რაციონალიზაცია. ის, რისი უფრო მეტი რაციონალიზაციაც ხდება, არ არის მხოლოდ ადამიანთა ცალკეული პროდუქტები; ეს არც წიგნებში დალექილი აზროვნების სისტემებია. ის, რაც რაციონალიზაციას განიცდის, არის უპირველეს ყოვლისა, ადამიანთა განსაზღვრული ჯგუფების ქცევის ფორმები. „რაციონალიზება", სხვა არაფერია (აქ შეიძლება გაგვახსენდეს რაინდთა გაკურტუაზება) თუ არა იმ მიმართულების გამოხატულება, რომლითაც ადამიანთა თვისებები გარკვეულ სოციალურ ფორმაციებში, ამ პერიოდის განმავლობაში იცვლება. მაგრამ ამგვარ

ცვლილებებს თავიანთი „ინიციატორი“ ჰყავთ არა ამა თუ იმ ფენაში, არამედ ისინი ვითარდებიან ერთი სოციალური ველის სხვადასხვა ფუნქციურ ჯგუფებსა და ამ ველში კონკურენციაში მყოფ ადამიანთა შორის არსებულ დაძაბულობებთან კავშირში. ამგვარი დაძაბულობების ნნეხის ქვეშ, რომლებიც საზოგადოების მთელს ქსელს გამსჭვალავს, ერთ გარკვეულ ფაზაში იცვლება მისი მთლიანი სტრუქტურა ცალკეულ სამფლობელოთა ცენტრალიზების და უფრო მდიდარი სპეციალიზების, შესაბამისად, მასში ერთეულ ადამიანთა უფრო მკაცრი ინტეგრირების მიმართულებით. და მთელი სოციალური ველის ტრანსფორმაციით, თავდაპირველად უფრო პატარა, შემდგომ კი უფრო ფართო სექტორებში, ერთდროულად გარდაიქმნება სოციალური და ფსიქიკური ფუნქციების სტრუქტურა რაციონალიზების აზრით.

პირველი წოდების ხელისუფლებისაგან ნელი ჩამოშორება, მეორე წოდების პაციფიცირება და მესამე ფენის თანდათანობითი დანინაურება, ეს ყველაფერი შეუძლებელია ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად გავიგოთ, ისევე როგორც ვაჭრობის განვითარების გაგება შეუძლებელია ამ ეპოქაში ძლიერი ძალისმიერი მონოპოლიისა და ძლევამოსილი სასახლის კარის ჩამოყალიბებისაგან მოწყვეტით. ეს ყველაფერი ბერკეტებია აქციათა ყველა ჯაჭვის იმ მზარდი დიფერენცირებისა და გაგრძელების მრავლისმომცველ პროცესში, რომელიც აქამდე გადამწყვეტ როლს თამაშობდა დასავლური სამყაროს ისტორიაში. ამ პროცესში ყალიბდება არისტოკრატიის ფუნქციები, მათთან მუდმივ კავშირში გარდაიქმნება ბიურგერული ფუნქციები და ცენტრალურ ორგანოთა სახე, რაც გარკვეული მხრიდან იქნა კიდეც ნაჩვენები. დასაწყისში, როგორც არისტოკრატიის, ისე ბურჟუაზიის უმაღლეს წრეებში, მთელი ამ სოციალური ფუნქციებისა და ინსტიტუტების თანდათანობითი ცვლილებას ფეხდაფეხ მისდევს ფსიქიკური თვითმართვის ცვლილება პერსპექტიული ხედვისა და წამიერი, ლტოლვითი იმპულსების მკაცრი რეგულირების მიმართულებით.

როცა დასავლური სამყაროს სულიერი განვითარების ტრადიციულ წარმოდგენებს გადავხედავთ, ხშირად გვექმნება შთაბეჭდილება, რომ მათ ავტორებს რაღაც გაურკვეველი შეხედულება ჰქონდათ, თითქოსდა ცნობიერების რაციონალიზებას, მაგიურ-ტრადიციულის რაციონალურ სააზროვნო ფორმებად გარდაქმნას დასავლური სამყაროს ისტორიაში მიზეზი მთელ რიგ გენიალურ და განსაკუთრებით ჭკვიან ინდივიდთა გამოჩენაში უნდა ჰქონოდა. ამ შეხედულებათა მიხედვით, მსგავსი ნათლით მოსილი ინდივიდები, თავიანთი გასაოცარი ინტელექტის წყალობით, დასავლური სამყაროს ადამიანებს ასწავლიდნენ თავიანთი თანშობილი გონების სწორად გამოყენებას.

ჩვენ აქ ამას სხვაგვარად ვხედავთ. ის, რაც დასავლეთის დიდმა მოაზროვნეებმა შეძლეს, რა თქმა უნდა, ცოტას არ ნიშნავს. ისინი

დიდ, შემაჯამებელ და იდეალურ ფორმას აძლევდნენ რაღაც ისეთს, რასაც მათი თანამედროვენი ყოველდღიური საქმიანობით შეიტყობდნენ, ისე რომ ამას ნათლად და სრულად ვერ გაიაზრებდნენ. ეს მოაზროვნენი ცდილობდნენ გაეწმინდათ რაციონალური სააზროვნო ფორმები, რომლებიც თანდათანობით ყალიბდებოდა მთელი სოციალური ქსელის ფართო სტრუქტურული ცვლილებების საფუძველზე და მათი დახმარებით ადამიანური არსებობის საფუძვლებამდე მიეღწიათ. ისინი უზიარებდნენ სხვა ადამიანებს დიდ სინათლეს სამყაროსა და თვით მათ შესახებ და ამავე დროს, როგორც ბერკეტი, მონაწილეობას იღებდნენ ძლიერი სოციალური მექანიზმის მოქმედების პროცესში. მათი სიდიადისა და პიროვნული პოზიციის მიხედვით, ისინი იყვნენ სოციალური ქოროს დიდი თუ მცირე მასშტაბის ინტერპრეტატორები და მესიტყვენი. მაგრამ ეს ადამიანები არ ყოფილან თავიანთ საზოგადოებაში აზროვნების გაბატონებული ტიპის ავტორები. ისინი არ ყოფილან იმის „შემოქმედნი", რასაც ჩვენ „რაციონალურ აზროვნებას" ვუწოდებთ.

თვით ეს გამოთქმა, როგორც ჩანს, რაღაც მეტისმეტად სტატიკური და მეტისმეტად არადიფერენცირებულია იმისათვის, რაც მან უნდა გამოხატოს. მეტისმეტად სტატიკური იმიტომ, რომ სულიერი სამყაროს სტრუქტურა სინამდვილეში ისე სწრაფად ან ისე ნელა იცვლება, როგორც სოციალური ფუნქციების სტრუქტურა; მეტისმეტად არადიფერენცირებული იმიტომ, რომ რაციონალიზების სქემა, რაციონალურ სააზროვნო ჩვევათა სტრუქტურა, სხვადასხვა სოციალურ ფენაში, როგორც სასახლის კარის არისტოკრატიის, ისე ბურჟუაზიის უმაღლეს წრეებში, ნაწილობრივ, მართლაც განსხვავებული იყო და არის მათი სოციალური ფუნქციების სხვადასხვაობისა და მათი მთლიანი ისტორიული პოზიციის შესაბამისად. და ბოლოს, რაციონალიზებასთან მიმართებაში სამართლიანია ის, რაც ზემოთ უკვე ითქვა საერთოდ ცნობიერების ცვლილებების შესახებ: მათში გამოვლინდება მთელი სულიერი სამყაროს უფრო ფართო ცვლილების მხოლოდ *ერთი* მხარე. ის ლტოლვითი სტრუქტურების შესაბამისი ცვლილებების პარალელურად მიმდინარეობს. ის არის, მოკლედ რომ ვთქვათ, ცივილიზაციის ერთი გამოვლენა სხვათა გვერდით.

სირცხვილი და უსიამოვნება

„ქცევის რაციონალიზებაზე" არანაკლებ მახასიათებელი ცივილიზაციის პროცესისათვის არის ლტოლვითი სამყაროს ის თავისთავადი მოდელირებაც, რომელსაც ჩვენ „სირცხვილს" და „უსიამოვნების გრძნობას" ვუწოდებთ. ორივე— რაციონალიზების ძლიერი ბიძგი და სირცხვილისა და უსიამოვნების გრძნობის ზღურბლის არანაკლებ ძლიერი წანაცვლება, რომელიც განსაკუთრებით მე-16 საუკუნიდან სულ უფრო მეტად იგრძნობა

დასავლური სამყაროს ადამიანთა ჰაბიტუსში, ერთი და იმავე ფსიქიკური ტრანსფორმაციის სხვადსხვა მხარეებს შეადგენს.

სირცხვილის გრძნობა არის სპეციფიკური აღელვება, შიშის გარკვეული სახე, რომელიც ავტომატურად და ჩვეულებრივ წარმოიქმნება ცალკეულ ადამიანში განსაზღვრულ შემთხვევებში. ზედაპირულად რომ განვიხილოთ, ეს არის შიში სოციალური დეგრადაციის წინაშე ან უფრო ზოგადად რომ ვთქვათ, სხვა ადამიანის უპირატესობის მაჩვენებელი ჟესტების წინაშე; მაგრამ ეს არის უკმაყოფილების ან შიშის ფორმა, რომელიც მაშინ ჩნდება და იმით გამოირჩევა, რომ ადამიანს, რომელსაც ამ დამცირების უნდა ეშინოდეს, არ შეუძლია ეს საფრთხე მოიგერიოს არც უშუალოდ ფიზიკური თავდასხმით და არც რაიმე სხვაგვარი შეტევით. ეს დაუცველობა სხვათა უპირტესობის წინაშე, მთლიანად მათ დაქვემდებარებაში ყოფნა, არ მოდის უშუალოდ იმ სხვა ადამიანთა ფიზიკური უპირატესობის საფრთხიდან, რომლებიც აქ და ახლა სახეზე არიან. თუმცა, ის სავსებით ცხადად დაიყვანება ფიზიკურ იძულებებზე, ბავშვის ფიზიკურ ჩამორჩენილობაზე მათთან მიმართებაში, ვინც ბავშვის მოდელირებას ახორციელებს. ზრდასრულებში კი ეს დაუცველობა იქედან მომდინარეობს, რომ ადამიანები, რომელთა უპირატესობის გამომხატველი ჟესტებისაც ეშინიათ, თანხმობაში მოდიან დაუცველთა და შეშინებულთა „ზე-მე"-სთან და თვითიძულების აპარატთან, რომელიც ინდივიდში ყალიბდება სხვათა მიერ, რომლებზედაც ის დამოკიდებული იყო და რომელთაც აქედან გამომდინარე, მასთან მიმართებაში გარკვეული ძალაუფლება და უპირატესობა ჰქონდათ. შესაბამისად, შიში, რომელსაც ჩვენ „სირცხვილს" ვუწოდებთ, სხვათა თვალისათვის მაქსიმალურად აორთქლებულია; რაც უნდა ძლიერი იყოს ის, პირდაპირ, ხმამაღალ ჟესტებში მაინც არ გამოიხატება. სირცხვილის აღძვრა განსაკუთრებულ შეფერილობას იძენს იმით, რომ მან, ვისთანაც ის ჩნდება, რაღაც გააკეთა ან რაიმეს გაკეთებას აპირებს, რითაც ერთდროულად წინააღმდეგობაში მოდის ამა თუ იმ ფორმით მასთან დაკავშირებულ ადამიანებთან და საკუთარ თავთან, საკუთარი ცნობიერების იმ სექტორთან, რომლითაც ის თავის თავს აკონტროლებს. კონფლიქტი, რომელიც სირცხვილის შიშში გამოვლინდება, არის არა მხოლოდ ინდივიდის კონფლიქტი გაბატონებულ საზოგადოებრივ აზრთან, არამედ კონფლიქტი, რომელშიც ინდივიდი თავისი ქცევით მოდის საკუთარი თვითობის იმ ნაწილთან, რომელიც ამ საზოგადოებრივ აზრს წარმოადგენს; ეს მისი საკუთარი სულიერი სამყაროს კონფლიქტია; ის თვითონ აღიარებს თავს, როგორც დაქვემდებარებული. მას ეშინია სხვების სიყვარულისა და პატივისცემის დაკარგვის, რომელთა სიყვარული და პატივისცემა მისთვის მნიშვნელოვანი იყო და არის. მათი პოზიცია ამ ინდივიდში იმ პოზიციის სახით დამკვიდრდება, რომელსაც ის საკუთართან დაპირისპირებულად აღიქვამს. ეს არის ის, რაც მას ასე დაუცველს

ხდის სხვების უპირატესობის გამომხატველ ჟესტებთან მიმართებაში, სხვებისა, რომლებიც რაღაც აზრით, თავად ახდენენ მასში ამ ავტომატიზმის გააქტიურებას.

და ამით აიხსნება, მაშასადამე, ისიც, რომ საზოგადოებრივი აკრძალვების გადაბიჯების შიში მით უფრო მეტად და აშკარად იძენს სირცხვილის ხასიათს, რაც უფრო მეტად გარდაიქმნება საზოგადოების სტრუქტურის გავლენით გარეგანი ითულებანი თვითიძულებად და რაც უფრო ფართო და დიფერენცირებული ხდება თვითიძულებათა რკალი, რომელიც გარს აკრავს ადამიანის ქცევას. მაშინ, როცა ადამიანი გრძნობს ბიძგს, რომელიმე ადგილას განყვიტოს ეს რკალი ან თუ მან უკვე გაწყვიტა ის, ჩნდება შინაგანი დაძაბულობა და აღელვება, რომელიც სხვადასხვა სიდიდისაა, საზოგადოებრივი აკრძალვისა და თვითიძულების სიმძიმის მიხედვით. ჩვეულებრივ ცხოვრებაში ის შეიძლება, მხოლოდ გარკვეულ მიმართებებში და გარკვეული სიძლიერის დროს დავახასიათოთ, როგორც სირცხვილი; სტრუქტურულად, ის ყოველთვის ერთი და იგივე მოვლენაა სხვადასხვა შეფერილობით და სიძლიერის სხვადასხვა ხარისხით. თვითიძულებათა მსგავსად, ისიც შეიძლება შეგვხვდეს საზოგადოების განვითარების დაბალ საფეხურებზე, უფრო არათანაბარი, ნაკლებ ყოვლისმომცველი, სტაბილური ფორმით; ამგვარად აგებული დაძაბულობა და შიში, როგორც ასეთი, ცივილიზაციის ყოველ ბიძგთან ერთად, უფრო ძლიერად გამოდის წინა პლანზე. საბოლოოდ, ამგვარი შიშები სხვაგვარი შეფერილობის შიშებთან, — განსაკუთრებით სხვების მხრივ ფიზიკური მუქარისა და დამარცხების შიშებთან, — მიმართებაში მით უფრო დომინანტური ხდებიან, რაც უფრო დიდ ადამიანურ სივრცეებში დამყარდება მშვიდობა, რაც უფრო მეტ მნიშვნელობას შეიძენს ადამიანის ჩამოყალიბებისათვის უფრო ზომიერი იძულებანი, რომლებიც ადამიანურ სივრცეებში პირველ ადგილზე გადაინაცვლებს, მაშინ როცა ფიზიკური იძულება მხოლოდ მისი საზღვრების სადარაჯოზე დგას, ერთი სიტყვით, რაც უფრო წინ მიდის ქცევის ცივილიზაციის პროცესი. "რაციოზე" სხვაგვარად ვერ ვისაუბრებთ, თუ არა რაციონალიზების ბიძგებთან და იმ ფუნქციათა ჩამოყალიბებასთან კავშირში, რომლებიც პერსპექტიულ ხედვასა და თავშეკავებას მოითხოვს. ასევე სირცხვილის გრძნობის შესახებ შეიძლება, მხოლოდ იმ ბიძგების სოციოგენეზისთან მიმართებაში ვილაპარაკოთ, რომლებშიც სირცხვილის ზღურბლი წინ წაინაცვლებს ან სულ მცირე, იცვლება მაინც. ამ ბიძგებში განსაზღვრული მიმართულებით გარდაიქმნება თვითიძულებათა სტრუქტურა და სქემაც, რათა შემდგომ, მოკლე თუ დიდი ხნით, კვლავ იმავე ფორმით წარმოიქმნას. ორივე თანაბრად, როგორც რაციონალიზება, ისე სირცხვილისა და უსიამოვნების საზღვრების წანაცვლება, არის გამოხატულება სხვა არსების მხრიდან მუქარისა თუ ფიზიკური დაძლევის წინაშე პირდაპირი შიშების შემცირებისა და ავტომატური, შინაგანი შიშების, იძულებათა გაძლიერებისა, რომელსაც ცალკეული

ადამიანი საკუთარ თავზე მიმართავს. ორივეში თანაბრად, სირცხვილის გრძნობის წანაცვლებაში არანაკლებ, ვიდრე რაციონალიზების წინსვლაში, გამოიხატება, უფრო დიდი, უფრო დიფერენცირებული წინდახედულება და პერსპექტიული ხედვა, რომელიც საზოგადოების მზარდ დიფერენცირებასთან ერთად ადამიანთა უფრო და უფრო ფართო ჯგუფებს ესაჭიროება თავიანთი სოციალური ექსისტენციის შესანარჩუნებლად. ძნელი არ არის იმის ახსნა, რა კავშირშია ერთმანეთთან ეს, ერთი შეხედვით, განსხვავებული, ფსიქიკური სახეცვლილებანი. ორივე, სირცხვილის შიშის გაძლიერება, ისევე როგორც უფრო ძლიერი რაციონალიზება, სხვა არაფერია, თუ არა სხვადასხვა ასპექტები ინდივიდუალური სულიერი სამყაროს ძლიერი გახლეჩილობისა, რომელიც მზარდ ფუნქციურ დანაწილებასთან ერთად იწყება ლტოლვით ფუნქციებსა და ლტოლვათა კონტროლის ფუნქციებს შორის, სხვა არაფერია, თუ არა „ის"-ს და „მე"-ს ან „ზე-მე"-ს შორის მზარდი დიფერენცირების სხვადასხვა ასპექტები. რაც უფრო გაფართოვდება ფსიქიკური თვითმართვის ეს დიფერენცირება, მით უფრო აშკარად იძენს ორმაგ ფუნქციას ფსიქიკური მართვის ფუნქციების სექტორი, რომელსაც ფართო აზრით „მე"-ს, ვიწრო აზრით, კი „ზე-მე"-ს ვუწოდებთ: ერთი მხრივ, ეს სექტორი ქმნის ცენტრს, რომლიდანაც ადამიანი სხვა საგნებთან და არსებებთან თავის ურთიერთობას მართავს და მეორე მხრივ, ის წარმოქმნის ცენტრს, რომლიდანაც ადამიანი ნაწილობრივ ცნობიერად, ნაწილობრივ სრულიად ავტომატურად და „არაცნობიერად", თავის „შინაგანს", თავის საკუთარ ლტოლვათა აღძვრას მართავს და არეგულირებს. ფსიქიკური ფუნქციების ფენა, რომლებიც აღწერილი სოციალური ცვლილებების პროცესში თანდათანობით მკვეთრად გამოეყოფა ლტოლვათა აღძვრას, „მე"-სა და „ზე-მე"-ს ფუნქციები, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სულიერი სამყაროს ფარგლებში ორმაგი ამოცანის წინაშე დგას: *ისინი ერთდროულად ატარებენ საშინაო და საგარეო პოლიტიკას,* რომლებიც, სხვათა შორის, არათუ ყოველთვის არ არის თანხმობაში ერთმანეთთან, არამედ საკმაოდ ხშირად, ეწინააღმდეგება კიდეც ერთმანეთს. და მაშასადამე, ამით აიხსნება ის, რომ ერთსა და იმავე ისტორიულ-სოციალურ ეპოქაში, როცა საგრძნობლად მატულობს რაციონალიზება, სირცხვილისა და უსიამოვნების საზღვრების წანაცვლებაც შეიმჩნევა. ამგვარად, გასაგები ხდება ისიც, რომ აქ, როგორც ყოველთვის, ძირითად სოციოგენეტიკურ კანონთან თანხმობაში, შეიძლება, დღესაც დავაკვირდეთ შესაბამის პროცესს თითოეული ბავშვის ცხოვრებაში: ქცევის რაციონალიზება არის იმავე „ზე-მე"-ს წარმონაქმნის საგარეო პოლიტიკის გამოხატულება, რომლის საშინაო პოლიტიკა სირცხვილის საზღვრის წანაცვლებაში გამოიხატება.

აქედან, შეიძლება, მთელი რიგი დასკვნები გამოვიტანოთ. ისღა რჩება ვაჩვენოთ, როგორ გამოიხატება სულიერი შინაარსის ეს უფრო ძლიერი დიფერენცირება ცალკეული ლტოლვითი იმპულსების

სახეცვლილებაში. პირველ ყოვლისა, უნდა ვაჩვენოთ, როგორ მივყავართ ამას ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაში სექსუალური იმპულსის გარდაქმნისა და სირცხვილის გამძაფრებული განვითარებისაკენ.* აქ, ალბათ, დასაწყისისათვის საკმარისი იქნება გამოვააშკარაოთ ძირითადი დამაკავშირებელი ხაზები, რომელთაც ზემოთ აღწერილი სოციალური პროცესებიდან სირცხვილისა და უსიამოვნების ამ ხაზის წანაცვლებისაკენ მივყავართ.

თვით დასავლური სამყაროს უახლეს ისტორიაში სირცხვილის

---

* ეს სპეციალური პრობლემა, რამდენადაც ის მნიშვნელოვანია, აქ უკვე უნდა დაისვას. მისი გაგება მოითხოვს წარმოადგენას და ზუსტ ანალიზს იმ ცვლილებებისა, რომელთაც დასავლური სამყაროს მთელი ისტორიის მანძილზე ოჯახის სტრუქტურა და მთელი სქესობრივი ურთიერთობა განიცდიდა. ის მოითხოვს აგრეთვე, ბავშვთა და საერთოდ, მოზარდთა ზრდის პროცესის ცვლილებათა კვლევას. მასალები, რომლებიც ამ მიმართულებითაც შეიკრიბა ცივილიზაციის პროცესის ასახსნელად და ის ანალიზი, რომლის შესაძლებლობასაც ის იძლეოდა, მეტისმეტად ფართო ჰორიზონტის აღმოჩნდა. შეიძლება, ეს გასცილდეს ამ გამოკვლევის საზღვრებს და სხვა ტომში ჰპოვოს ასახვა.

იგივე შეიძლება, ითქვას ცივილიზაციის პროცესის საშუალო- ნოდებრივ ხაზზე, ბურჟუაზიულ- ქალაქურ და პროვინციელ, არაკურტუაზი არისტოკრატიის ფენებში მომხდარ ცივილიზატორულ ტრანსფორმაციებზე. ისევე როგორც ქცევის და ფსიქიკური ფუნქციების ეს ტრანსფორმაცია მათში აშკარად კავშირშია დასავლური სამყაროს სოციალური ქსელის *მთლიანი სტრუქტურის* ისტორიულ ცვლილებასთან, ასევე ნათლად შეიძლება განვასხვაოთ (რაზეც ზემოთ უკვე მრავალგზის მივუთითეთ), არაკურტუაზიული საშუალო-ნოდებრივი ცივილიზატორული ხაზი კურტუაზიულისაგან. ყოველ შემთხვევაში, სექსუალობის გადამუშავება იქ, — ნაწილობრივ ოჯახის განსხვავებული სტრუქტურის, ნაწილობრივ, განსხვავებული პერსპექტიული ხედვის საფუძველზე, —იგივე არ არის, რაც აქ. მსგავს ვითარებას წავაწყდებით, თუ დასავლური სამყაროს რელიგიის ცივილიზატორულ ტრანსფორმაციას განვიხილავთ. რელიგიური გრძნობის ის ცივილიზატორული ცვლილება, რომელსაც სოციოლოგები აქამდე ყველაზე მეტად აქცევდნენ ყურადღებას, გაშინაგანებისა და რაციონალიზების ბიძგი, რომელიც სხვადასხვა პურიტანულ-პროტესტანტულ მიმდინარეობებში გამოიხატება, აშკარად მჭიდრო კავშირშია საშუალო წოდების ფენათა მდგომარეობასა და სტრუქტურაში მომხდარ ცვლილებებთან. კათოლიციზმის შესაბამისი, ცივილიზატორული ტრანსფორმაცია, როგორც ეს იეზუიტთა ორდენის ჩამოყალიბებასა და ძალაუფლებრივ პოზიციაში გამოვლინდება, როგორც ჩანს, აბსოლუტისტურ ცენტრალურ ორგანოსთან მჭიდრო შეხებაში ხორციელდებოდა, რასაც ხელს უწყობდა კათოლიკური ეკლესიის იერარქიულ-ცენტრალიზებული სტრუქტურა. ამ პრობლემის გადაჭრაც მაშინ იქნება შესაძლებელი, როცა ზუსტი წარმოდგენა გვექნება არაკურტუაზიული საშუალო-ნოდებრივი და კურტუაზიული ცივილიზაციის ხაზის ერთმანეთში და ერთმანეთის გვერდით არსებობის შესახებ, თუ მხედველობაში ჯერჯერობით არ მივიღებთ უფრო ნელ და ბევრად უფრო გვიან გამოვლენილ ცივილიზატორულ მოძრაობას მუშებისა და გლეხთა ფენებში.

გრძნობა სულაც არ არის ყოველთვის ერთნაირად განთავსებული სულიერ სამყაროში. და განთავსების წესი (მხოლოდ ეს განსხვავება რომ ვახსენოთ), მაგალითად, საზოგადოების წოდებრივ-იერარქიული წესრიგის შემთხვევაში, არ არის აბსოლუტურად ისეთი, როგორც შემდგომ, ბურჟუაზიულ-ინდუსტრიული წესრიგის მქონე საზოგადოებაში.

ზემოთ მოცემულ მაგალითებს, პირველ ყოვლისა, გაშიშვლების გარკვეული ფორმებით გამოწვეული სირცხვილის გრძნობის განვითარებაში არსებული სხვადასხვაობის მაგალითებს[148], შეუძლია გარკვეული წარმოდგენა შეგვიქმნას ამგვარ ცვლილებებზე. კურტუაზიულ საზოგადოებაში, სხეულის გარკვეული გაშიშვლებისას, ამ საზოგადოების სტრუქტურის შესაბამისად, სირცხვილის გრძნობა ჯერ კიდევ დიდადაა წოდებრივად თუ იერარქიულად შემოსაზღვრული. სოციალურად მაღლა მდგომთა გაშიშვლება სოციალურად დაბლა მდგომთა გარემოცვაში, მაგალითად მეფისა მისი მინისტრის წინაშე, ცხადია, აქ ჯერ კიდევ არ არის მოქცეული მკაცრი, საზოგადოებრივი აკრძალვის ქვეშ, დაახლოებით ისე, როგორც მაგალითად, კიდევ უფრო ადრეულ ფაზაში მამაკაცის გაშიშვლება სოციალურად უფრო სუსტი და დაბალი რანგის ქალის წინაშე; ეს გაშიშვლება მასში ჯერ კიდევ არ იწვევს დამცირებისა და სირცხვილის გრძნობას, უფრო დაბალი რანგის მქონე ადამიანებზე მისი უმნიშვნელო, ფუნქციონალური დამოკიდებულების შესაბამისად; როგორც დელა კაზა ამბობს, ასეთი საქციელი შეიძლება, კეთილგანწყობის ნიშანიც კი იყოს სოციალურად დაბლა მდგომთათვის. უფრო დაბალი რანგის ადამიანთა გაშიშვლება მაღალი ან თანაბარი რანგის მქონეთა წინაშე, ამის საპირისპიროდ, განდევნილია სოციალური ურთიერთობის სფეროდან, როგორც უპატივცემულობის ნიშანი. მას დანაშაულის დაღი დაესმება და შესატყვისად, შიშით მოცული აღმოჩნდება. და მხოლოდ მაშინ, როცა წოდებრივი ზღუდეები დაინგრევა, როცა ყველას ფუნქციონალური დამოკიდებულება ურთიერთზე კიდევ უფრო მატულობს და ყველა ადამიანი საზოგადოებაში რამდენიმე სოციალურ საფეხურზე ერთმანეთს უახლოვდება, მხოლოდ მაშინ, თანდათანობით, ასეთი გაშიშვლება ვინრო წრის გარეთ, სხვა ნებისმიერი ადამიანის თანდასწრებით, დანაშაულად მიიჩნევა; მხოლოდ მაშინ, ეს ქცევა ყოველ ადამიანში პატარაობიდანვე სრულად დაიფარება შიშით იმგვარად, რომ აკრძალვის სოციალური ხასიათი მისი ცნობიერებიდან მთლიანად ქრება და ეს შიში მას მხოლოდ თავისი საკუთარი შინაგანის მოთხოვნად ევლინება.

და იგივე რამ სამართლიანია უსიამოვნების გრძნობებთან მიმართებაშიც; ისინი სირცხვილის გრძნობებთან განუყოფლად დაკავშირებულ მეწყვილეს ქმნიან. ისევე როგორც შიშის გრძნობები ჩნდება, მაშინ როცა ადამიანი საკუთარი მე-სა და საზოგადოების წინაშე შესცოდავს, ასევე გამოვლინდება უსიამოვნების გრძნობები, როცა რაიმე ცალკეული ადამიანის გარეთ, მათ „სახიფათო ზონებს“

შეეხება — ქცევის ფორმებს, საგნებს, მიდრეკილებებს, რომლებიც ადრიდანვე მათი გარემოცვის მიერ შიშით დაიფარა, სანამ ეს შიში, „პირობითი რეფლექსის“ ტიპის მიხედვით, მსგავს შემთხვევაში მასში ავტომატურად აღიძვრებოდა. უსიამოვნების გრძნობები წარმოადგენს უკმაყოფილების აღძვრას ან შიშს, რომლებიც მაშინ ჩნდება, როცა სხვა არსება ზე-მე-ს საშუალებით წარმოდგენილი საზოგადოების მოთხოვნათა შკალის დარღვევით იმუქრება ან არღვევს მას. და ისინიც მით უფრო მრავალფეროვანი და მრავლისმომცველნი ხდებიან, რაც უფრო გაფართოებული და დიფერენცირებულია სახიფათო ზონა, რომლითაც ერთეული ადამიანის ქცევა დარეგულირდება და მოდელირდება, რაც უფრო შორს მიდის ქცევის ცივილიზაცია.

ზემოთ ნაჩვენები იქნა მთელი რიგი მაგალითები, როგორ წაინაცვლებს წინ მე-16 საუკუნიდან მოყოლებული მკვეთრად სირცხვილისა და უსიამოვნების გრძნობები. აქაც ნელ-ნელა იკვრება აზროვნებითი ჯაჭვები. ეს წანაცვლება კავშირშია ზედა ფენის დაჩქარებულ გაკურტუაზებასთან. ეს არის ის ეპოქა, როცა დამოკიდებულების ჯაჭვები, რომელიც ერთეულ ადამიანში გადაიკვეთება, უფრო მჭიდრო და გრძელი ხდება, ეპოქა, რომელშიც სულ უფრო მეტი ადამიანია უფრო და უფრო მჭიდროდ ერთმანეთთან დაკავშირებული და იზრდება თვითკონტროლის იძულება. ორმხრივი ურთიერთდამოკიდებულების მსგავსად, უფრო ძლიერი ხდება ადამიანთა ურთიერთდაკვირვება; მგრძნობელობა და შესაბამისად, აკრძალვები, უფრო და უფრო მეტად დიფერენცირდება; თანაცხოვრების სხვა ტიპის შესაბამისად, უფრო მრავლისმომცველი, მრავალფეროვანი ხდება ისიც, რისიც უნდა რცხვენოდეთ, ის, რასაც სხვაში უსიამოვნოდ აღიქვამენ.

ჩვენ უკვე მივუთითეთ იმაზე, რომ მზარდ ფუნქციურ დანაწილებასა და ადამიანთა უფრო ძლიერ ინტეგრირებასთან ერთად მცირდება კონტრასტები სხვადასხვა ფენებსა და ქვეყნებს შორის, მაშინ როცა, პირიქით, მატულობს მათი მოდელირების შუქჩრდილები, სახესხვაობანი ცივილიზაციის ფარგლებში. აქ შესაბამის მოვლენას წავაწყდებით ინდივიდუალური ქცევისა და აღქმის განვითარებაშიც.. რაც უფრო სუსტდება ინდივიდუალური ქცევის ძლიერი კონტრასტები, რაც უფრო მეტად შეკავებული, დამცხრალი და გარდაქმნილი ხდება თვითიძულებათა საშუალებით კმაყოფილებისა და უკმაყოფილების ხმამაღალი გამოხატვა, მით უფრო იზრდება მგრძნობელობა ქცევის შეფერილობათა და ნიუანსების მიმართ, მით უფრო სენსიბელური ხდებიან ადამიანები უმნიშვნელო ჯესტებისა და ფორმებისადმი, მით უფრო დიფერენცირებულად აღიქვამენ ისინი საკუთარ თავს და თავიანთ სამყაროს იმ ფენებში, რომლებიც მანამდე შეუკავებელი აფექტების საბურველით იყო დაფარული და ცნობიერებამდე არ აღწევდა .

„პრიმიტივები“, ჩვენს თვალწინ არსებული მაგალითი რომ გავი-

ხსენოთ, შედარებით ვიწრო არეალში, რომელიც მათთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, — ვიწრო არეალში, რადგან დამოკიდებულებათა მათი ჯაჭვები შედარებით მოკლეა, — გარკვეული თვალსაზრისით, ბევრად უფრო დიფერენცირებულად აღიქვამენ ადამიანურ და ბუნებრივ სივრცეს, ვიდრე „ცივილიზებულნი". დიფერენციაცია განსხვავებულია იმის მიხედვით, საქმე ეხება მინაზე მომუშავე გლეხს, მონადირეს თუ მესაქონლეს. მაგრამ ვინც არ უნდა იყოს ეს, ზოგადად შეიძლება ვთქვათ, რომ იმდენად, რამდენადაც ეს განსაზღვრული ჯგუფისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, პრიმიტიულ ადამიანებთან „ცივილიზებულებზე" მეტად განვითარებულია იმის უნარი, რომ გაარჩიონ ტყეში და მინდვრად ერთი რაიმე მეორისაგან, იქნება ეს გარკვეული ხე, ხმაური, სუნი თუ მოძრაობანი. მაგრამ იქ, პრიმიტივებთან, „ბუნებრივი სივრცე" უფრო მეტად ქმნის სახიფათო ზონას; ის აღსავსეა შიშებით, რომელსაც ცივილიზებული ადამიანი აღარ იცნობს. ამ გარემოებასთან შესაბამისობაშია ის, თუ რა განიცდის დიფერენცირებას და რა — არა. „ბუნების" განცდის მანერა, რომელიც შუა საუკუნეებიდან იწყება და მე-16 საუკუნიდან უფრო ინტენსიური ხდება, იმითაა აღბეჭდილი, რომ სულ უფრო დიდი ადამიანური სივრცეები დაიმკვიდრებს აშკარად გამოხატულად მშვიდობას. მხოლოდ ამის შედეგად, ტყეები, ველები და მთები თანდათანობით კარგავს პირველი რიგის სახიფათო ზონების მნიშვნელობას, საიდანაც გამუდმებით შემოიჭრება ხიფათი და ძრწოლა ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში; და უკვე მაშინ, როცა საგზაო ქსელი და კავშირები უფრო მჭიდრო ხდება, როცა თანდათან ქრებიან მძარცველები და მტაცებელი ცხოველები, როცა ტყე-ველი აღარ არის დაუოკებელი ვნებების, ადამიანებზე და ცხოველებზე ველური ნადირობის, ცხოველური სიამოვნებისა და შიშის გამოვლენის ადგილი, როცა ისინი, ამის ნაცვლად, მშვიდობიანი საქმიანობის, დოვლათის წარმოების, ვაჭრობისა და მიმოსვლის საშუალებით, სულ უფრო მეტად განიცდიან მოდელირებას, „მშვიდობიანი" ბუნება უკვე სხვაგვარად წარმოუდგება თვალწინ „მშვიდობიან" ადამიანს. იმ მზარდი მნიშვნელობის შესატყვისად, რომელსაც თვალი შეიძენს აფექტთა უფრო ძლიერ დაცხრობასთან ერთად, ბუნება უფრო მეტად ხდება თვალისა და ადამიანთა ნდომის საგანი ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ადამიანები, კერძოდ, ქალაქებს მიჯაჭვული ადამიანები, რომელთათვის მინდორი და ტყე უკვე ყოველდღიურობად კი არა, დასასვენებელ ადგილად ქცეულა, უფრო მგრძნობიარენი ხდებიან. ისინი უფრო დიფერენცირებულად ხედავენ ღია სამყაროს იმ სიბრტყეში, რომელიც ადამიანებისათვის მანამდე საფრთხისა და მოუთოკავი ვნებების თამაშით იყო დაფარული; ისინი ხარობენ ფერებისა და კონტურების ჰარმონიულობით, გაიხსნებიან იმისათვის, რასაც ბუნების სილამაზეს უწოდებენ. მათ გრძნობებს აამეტყველებს ღრუბლიანი ცის ტონები თუ ფიგურები და სინათლის ათინათი ხის ფოთლებში.

ამ პაციფიცირების პროცესში, იცვლება ადამიანთა მგრძნობელობაც ერთმანეთისადმი ქცევის მიმართ. გარეგანი შიშების შემცირების პროპორციულად უკვე იზრდება შინაგანი შიშები, ადამიანში არსებული ერთი სექტორის შიში მეორის წინაშე. ამ შინაგანი დაძაბულობების საფუძველზე ადამიანები ურთიერთობაში ერთმანეთს უფრო დიფერენცირებულად აღიქვამენ. ასეთი რამ არ არსებობს იქ, სადაც ადამიანები გარედან გამუდმებით მოელიან ძლიერ და გარდაუვალ საფრთხეს. დაძაბულობათა დიდი ნაწილი, რომლებიც ოდესღაც ადამიანთა შორის ბრძოლით წყდებოდა, ერთეული ადამიანის საკუთარ თავთან ბრძოლაში დაიძლევა, როგორც შინაგანი დაძაბულობა. სოციალურ-კომუნიკაციური ურთიერთობა აღარ წარმოადგენს სახიფათო ზონას, რადგან ჭამა-სმა, ცეკვა და ხმაურიანი გართობები სწრაფად და ხშირად აღარ გადადის სიბრაზეში, ცემა-ტყეპასა და მკვლელობაში. ის ახლა სახიფათო ზონად იქცევა მაშინ, თუ ერთეული ადამიანი თავს საკმარისად არ იკავებს და სხვათა მგრძნობიარე ადგილებს, სირცხვილის საკუთარ საზღვრებს და სხვათა უსიამოვნების ზღურბლს შეეხება. ეს სახიფათო ზონა გარკვეულწილად ყოველი ინდივიდის სულში გადის. სწორედ ამიტომ ხდებიან ადამიანები ამ სფეროში მგრძნობიარები იმ განსხვავებათა მიმართ, რომელიც მანამდე არც კი აღწევდა ცნობიერებამდე. ისევე როგორც უწინდელზე მეტად ბუნება თვალით გაშუალებული წადილის წყაროდ იქცევა, ასევე ადამიანებიც დიდწილად, ერთმანეთისათვის თვალით ნდომის, ან პირიქით, თვალით გაშუალებული უკმაყოფილების წყაროდ, სხვადასხვა ხარისხის უსიამოვნების გრძნობის აღმძვრელად იქცევიან. პირდაპირი შიში, რომელსაც ერთი ადამიანი მეორეში აღძრავს, შემცირდა და მასთან მიმართებაში იზრდება თვალითა და „ზე-მე"-თი გაშუალებული, შინაგანი შიში.

როცა იარაღს ბრძოლაში თავისუფლად და ყოველდღიურად იყენებენ (ერთი ზემოთ გაანალიზებული მაგალითი რომ მოვიყვანოთ), ისეთ პატარა ჟესტებს, რომლითაც მეორე ადამიანს სუფრასთან დანას აწოდებენ, არავითარი დიდი მნიშვნელობა არა აქვს. როცა დანის გამოყენება უფრო და უფრო იზღუდება, როცა ერთდროულად გარეგანი იძულებანი და თვითიძულებანი ცალკეული ადამიანისათვის სულ უფრო მეტად ართულებს აღშფოთებისა და გაბრაზების ფიზიკური შეტევის ფორმით გამოხატვას, თანდათანობით ადამიანები მგრძნობიარენი ხდებიან ყველაფრის მიმართ, რაც მათ თავდასხმას მოაგონებთ. მარტოოდენ თავდასხმის ჟესტებიც კი სახიფათო ზონას უახლოვდება; უკვე უსიამოვნოა იმის დანახვა, როგორ აწოდებს ერთი ადამიანი მეორეს დანას, თუ დანის წვერი მეორე ადამიანისაკენაა მიმართული.[149] და კარგი, კურტუაზიული საზოგადოების ყველაზე მგრძნობიარე, ვიწრო წრეებიდან, რომელთათვის ეს მგრძნობიარობა ამავე დროს პრესტიჟულ ფასეულობას, საკუთარი თავის გამორჩევის საშუალებას წარმოადგენს და რომლის კულტივირებას ისინი სწორედ

ამიტომ ახდენენ, ეს აკრძალვა შემდგომში მთელს ცივილიზებულ საზოგადოებას მოივლის. გარდა ამისა, საომარ ასოციაციებს შეერწყმის მთელი რიგი სხვა ასოციაციები შიშებთან დაკავშირებული ლტოლვათა ფენიდან.

როგორ იზღუდება შემდგომში თანდათანობით დანის გამოყენება და როგორ გამოიყოფა ის, როგორც სახიფათო ზონა, დიდი და მცირე აკრძალვების ღობით, მთელი რიგი მაგალითებით იქნა ნაჩვენები. ძნელი სათქმელია, რამდენად რჩება კურტუაზიულ არისტოკრატიაში ფიზიკურ ძალადობაზე უარის თქმა გარეგან იძულებად და რა დონემდე გადადის ის თვითიძულებაში. ყველა შეზღუდვის მიუხედავად, სუფრის დანის გამოყენება, დაშნის გამოყენებასთან ერთად, აქ დასაწყისში, საკმაოდ დიდხანს შენარჩუნდება. ისევე როგორც ნადირობა და ცხოველების კვლა ჯერ კიდევ ნებადართულია და ბატონების, მართლაც, ყოველდღიურ გართობას წარმოადგენს, ასევე მოკლული ცხოველის დანაწილება სუფრასთან უსიამოვნების ზღურბლის ამ მხარესაა, ნებადართულის ზონაში. შემდგომში, ბურჟუაზიული ფენების თანდათანობით დაწინაურებასთან ერთად, რომლებთანაც პაციფიცირება, თვითიძულებაში სრული გადასვლა, მათი სოციალური ფუნქციების მთელი სისტემის საშუალებით ამ პუნქტში ბევრად უფრო სრულყოფილი და დამაჯერებელია, მოკლული ცხოველის დანაწილება, საბოლოოდ, სოციალური ცხოვრების კულისებს იქით გადაინაცვლებს. თუმცა, შეიძლება როგორც ეს ხშირად ხდება, ცალკეულ ქვეყნებში და განსაკუთრებით ინგლისში, ახალ ჩვეულებაში შენარჩუნდეს და არსებობა განაგრძოს რომელიმე ძველმა ჩვეულებამ. დანის გამოყენებას, თვით დანის უბრალოდ დაჭერასაც კი, სადაც ეს აუცილებელი არ არის, თავიდან აიცილებენ. იზრდება მგრძნობნელობა ამ მიმართულებით.

ეს არის ერთ-ერთი მაგალითი სულიერი სამყაროს განსაზღვრული მხარეების იმ სტრუქტურული ცვლილებებისა, რომელსაც ჩვენ მოკლედ და მოსწრებულად „ცივილიზაციას" ვუწოდებთ: არსად, ადამიანთა საზოგადოებაში, არ არსებობს გარეგანი ძალების წინაშე შიშების ნულოვანი წერტილი და არც ავტომატური, შინაგანი ძალების წინაშე შიშების ნულოვანი წერტილი. ორივე მათგანი ადამიანისათვის რაღაც განსხვავებულს ნიშნავს, მაგრამ საბოლოოდ ორივე განუყოფელია ერთმანეთისაგან. ის, რაც ცივილიზაციის პროცესში ხდება, არ არის ერთის გაქრობა და მეორის გაჩენა. ის, რაც იცვლება, ეს არის პროპორცია გარეგან და თვითმოქმედ შიშებს და მათ მთლიან სტრუქტურას შორის: ადამიანის შიშები გარეგანი ძალების წინაშე მცირდება, თუმცა, მთლიანად არ ქრება; მათთან შედარებით, ძლიერდება, ყოვლისმომველ და გამუდმებულ ხასიათს იძენს ის ფარული თუ აქტუალური შიშები, რომლებიც იმპულსისა და „მე"-ს დაძაბულობიდან წარმოიშობა და რომლებიც მთლიანად არასოდეს ქრება. სირცხვილისა და უსიამოვნების ზღურბლის წანაცვლების საბუთები, რომელსაც ამ ნაშრომის პირველ ტომში აღმოვაჩენთ, სინამდვილეში

სხვა არაფერია, თუ არა განსაკუთრებით მარტივი და თვალსაჩინო მაგალითები ადამიანის სულიერ სამყაროში მომხდარი ცვლილების მიმართულებისა და სტრუქტურისა, რომლებიც სხვადასხვა მხრიდან შეიძლება განვიხილოთ. სრულიად ანალოგიურ სტრუქტურას აჩვენებს მაგალითად, გადასვლა შეუსაუკუნეობრივ - კათოლიკურიდან პროტესტანტული „ზე-მე"-ს ჩამოყალიბებაზე. ისიც გადამწყვეტ ბიძგზე მიუთითებს შიშების გაშინაგანების მიმართულებით. მაგრამ, ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი რამ: დღეს, როგორც უწინ, შინაგანი ზრდასრული ადამიანის შიშების ყველა ფორმა კავშირშია ბავშვების შიშებთან სხვა ადამიანების, გარეგანი ძალების წინაშე.

ზედა ფენების შებოჭილობის ზრდა უფრო ძლიერი იმპულსი ქვემოდან

ზემოთ ერთხელ უკვე მივუთითეთ იმაზე, რომ გარკვეულ სურათებზე[150], რომლებიც გვიანდელი შუა საუკუნეების რაინდულ-კურტუაზიული ზედა ფენისათვის იყო განსაზღვრული, ქვედა ფენების ადამიანთა და მათთვის მახასიათებელი გამომეტყველების ნარმოდგენა ჯერ კიდევ არ აღიქმებოდა, როგორც განსაკუთრებით უსიამოვნო, მაშინ როცა უფრო მკაცრი სელექცია, რომელიც აბსოლუტისტურ-კურტუაზიული უმაღლესი წრეების უსიამოვნების სქემას შეესატყვისება, მხოლოდ უფრო დიდებული, ზომიერი ან ყოველ შემთხვევაში, დახვეწილი ჟესტების გამოსახვას უშვებს და შეძლებისდაგვარად, არ გამოიხატება არაფერი, რაც ქვედა ფენებს გვახსენებს, რაც ვულგარულია.

ვულგარულისაგან ეს თავდაცვა, ეს მზარდი მგრძნობელობა ყველაფრისადმი, რაც დაბალი რანგის მქონე ფენების ნაკლებ სენსიბელურობას შეეფერება, კურტუაზიულ ზედა ფენაში საზოგადოებრივ-კომუნიკაციური ქცევის ყველა სფეროს გამსჭვალავს. ზემოთ უფრო ზუსტად იყო ნაჩვენები,[151] როგორ აისახება ის მეტყველების კურტუაზიულ მოდელირებაში. არ ამბობენ — ასე განმარტავს სასახლის კარის ქალბატონი: "un mien ami" ან "le pauvre deffunct"; ყველაფერ ამას „ბიურგერული სუნი ასდის"; და როცა ბიურგერი თავის დასაცავად შეეპასუხება, რომ თვით კარგი საზოგადოების ბევრი ადამიანი იყენებდა ამ გამოთქმებს, მას პასუხობენ: „ადვილი შესაძლებელია, რომ არსებობს მთელი რიგი ღირსეული ადამიანებისა, რომელთაც საკმარისი მგრძნობელობა არ გააჩნიათ ჩვენი ენის დელიკატურობისა. ეს „დელიკატურობა"...მხოლოდ მცირერიცხოვან ადამიანთათვისაა საცნაური."

ეს ისევე კატეგორიულია, როგორც თვით ამ სენსიბელურობის მოთხოვნები. ადამიანები, რომლებიც ამგვარ სელექციას ახდენენ, არ ცდილობენ დანვრილებით დაასაბუთონ (და არც შეუძლიათ ეს) რატომაა მათთვის ცალკეულ შემთხვევებში ეს სიტყვათნარმოება სასიამოვნო და სხვა კი — უსიამოვნო. მათი განსაკუთრებული მგრძნობელობა, უმჭიდროეს კავშირშია ლტოლვითი იმპულსების უფრო ძლიერ, სპეციფიკურ რეგულირებასა და გარდაქმნასთან, რომელსაც ისინი თავიანთი სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე იძულებით ახორციელებენ. განსაზღვრულობა, რომლითაც მათ შეუძლიათ თქვან: „ეს სიტყვათა შეკავშირება, კარგად ისმინება; ის ფერთა შეხამება ცუდადაა არჩეული", მათი გემოვნების სანდოობა, ერთი სიტყვით რომ ვთქვათ, მათი ფსიქიკური თვითმართვის უფრო არაცნობიერად მომუშავე ფიგურებზე დაიყვანება, ვიდრე ცნობიერად გააზრებულზე. მაგრამ აქაც გაცხადდება, რომ დასაწყისში, სასახლის კარის კარგი საზოგადოების ვიწრო წრეები „დელიკატურობით", მზარდი მგრძნობელობით მოისმენენ გაგონილი და დაწერილი

სიტყვების რიტმების, ტონებისა და აქცენტების შეფერილობებსა თუ ნიუანსებს და რომ ეს მგრძნობელობა, ეს „კარგი გემოვნება“ ასეთი წრეებისათვის ამავე დროს პრესტიჟულ ფასეულობას წარმოადგენს: ყველაფერს, რაც მათი უსიამოვნების ზღურბლს შეარხევს, ბიურგერული სუნი ასდის და სოციალური თვალსაზრისით, ნაკლებ ღირებულია; და პირიქით: ყველაფერი, რაც ბიურგერულია, მათი უსიამოვნების ზღურბლს შეეხება. ის, რაც ამ მგრძნობელობას ამძაფრებს, არის პირველ რიგში, ბიურგერთაგან გამორჩევის აუცილებლობა; და ამის შესაძლებლობას იძლევა კურტუაზიული ცხოვრების ნამდვილი სტრუქტურა, რომლის მიხედვით არა პროფესიული საქმიანობა ან ფულის ფლობა, არამედ სოციალურ-კომუნიკაციური ქცევის დახვეწილობა ხდება პრესტიჟისა და კეთილგანწყობის მოპოვების მთავარი ინსტრუმენტი.

ამ ნაშრომაში მითითებული იყო მთელი რიგი მაგალითები იმისა, თუ როგორ იწყებს სწრაფ მოძრაობას მე-16 საუკუნიდან სოციალურ-კომუნიკაციური ქცევის სტანდარტი, როგორ ინარჩუნებს ის ცვალებად ხასიათს მე-17 და მე-18 საუკუნეშიც, რათა მე-18 და მე-19 საუკუნის განმავლობაში, გარკვეულწილად ტრანსფორმირებული სახით, მთელს დასავლურ საზოგადოებაში გავრცელდეს. შეზღუდვებისა და ლტოლვათა გარდაქმნის ეს ბიძგი რაინდ დიდებულთა სასახლის კარის არისტოკრატიად გარდაქმნასთან ერთად იწყება. ის უმჭიდროეს კავშირშია ზედა ფენების დამოკიდებულების ცვლილებასთან სხვა ფუნქციურ ჯგუფებთან მიმართებაში, რომელზედაც უკვე ვისაუბრეთ. მეომართა კურტუაზიული საზოგადოება, სულაც არ განიცდის იმდენად ზეწოლას, ის ჯერ კიდევ არ ცხოვრობს იმდენად ბურჟუაზიულ ფენებთან მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულებაში, როგორც სასახლის კარის არისტოკრატია. ეს კურტუაზიული ზედა ფენა ერთი ფორმაციაა ბევრად უფრო მჭიდრო ინტერდეპენდენტურ ქსელში. ის ერთი მხრივ, სასახლის ცენტრალური მმართველის მარწუხებშია მოქცეული, რომლიც კეთილგანწყობაზეცაა დამოკიდებული და მეორე მხრივ, ეკონომიკურად დალხინებული ბურჟუაზიული ზედა ფენების მარწუხებში, რომლებიც ზემოთ მიიწევენ და ცდილობენ საკამათოდ აქციონ მათი უპირატესობა. მე-18 საუკუნის დასასრულს და მე-19 საუკუნის დასაწყისში ეს ზედა ფენა პირველად არ მოდის ბიურგერულ ფენებთან ძლიერ დაპირისპირებაში. მის სოციალურ არსებობას აქედანვე ძლიერად და დაჟინებით ემუქრებიან ის ბურჟუაზიული ფენები, რომლებიც ზემოთ მიიწევენ. არისტოკრატთა გაკურტუაზება, ზოგადად, ბურჟუაზიული ფენების ზემოთ სწრაფვის გაძლიერებასთან კავშირში მიმდინარეობს. არისტოკრატიასა და ამ ფენებს შორის ძლიერი ინტერდეპენდენციისა და ძლიერი დაძაბულობის არსებობა, უბრალოდ კონსტიტუციურია წარჩინებულთა მაღალი ფენების კურტუაზიულ-არისტოკრატიული ხასიათისათვის.

შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს იმან, რომ საუკუნეები გაივლის, სანამ ბოგირის ეს გადაქაჩვა არისტოკრატიასა და ბურ-

ჟუაზიულ ჯგუფებს შორის რომელიმეს სასარგებლოდ გადაწყდება. არც იმით უნდა მოვტყუვდეთ, რომ მე-17, მე-18 საუკუნეების აბსოლუტისტურ-წოდებრივ საზოგადოებაში ჯერ კიდევ მცირეა ზედა ფენების შებოჭილობა, ფუნქციონალური ურთიერთდამოკიდებულება და ლატენტური დაძაბულობანი სხვადასახვა ფენებს შორის. შუა საუკუნეების რაინდი, თავისუფალი არისტოკრატიის ფუნქციონალურ შებოჭილობასთან შედარებით, კურტუაზი არისტოკრატიის შებოჭილობა უკვე ძალიან დიდია.

სოციალური დაძაბულობანი და განსაკუთრებით, დაძაბულობა მეომარ არისტოკრატიასა და ბურჟუაზიას შორის, მზარდი პაციფიცირების კვალობაზე სხვა ხასიათს იძენს.

სანამ ფიზიკური ძალადობის განხორციელების ინსტრუმენტებზე, იარაღებსა და საჯარისო ნაწილებზე კონტროლი ჯერ კიდევ არაა ძლიერად ცენტრალიზებული, მთელ რიგ სოციალურ დაძაბულობებს, ისევ და ისევ რეგულარულ, საომარ აქციებამდე მივყავართ. ცალკეული სოციალური ჯგუფები, ხელოსანთა დასახლებები და მათი ფეოდალი მმართველები, ქალაქებისა და რაინდთა გაერთიანებანი, ამავე დროს, ერთმანეთს უპირისპირდებიან, როგორც სახელისუფლო ერთეულები, ისე როგორც მოგვიანებით სახელმწიფოები, რომლებიც მუდამ მზად უნდა ყოფილიყვნენ იმისათვის, რომ თავიანთი ინტერესის საგანი იარაღით ხელში დაეცვათ. სოციალურ დაძაბულობათა ამგვარი სტრუქტურის შემთხვევაში, შიშები, რომელთაც ისინი აღძრავენ, შეიძლება, უფრო იოლად და ხშირად განიტვირთოს საომარ აქციებში, ფიზიკური ძალადობის პირდაპირ გამოყენებაში. ეს მოგვიანებით, ძალისმიერი მონოპოლიის გამუდმებულ სტაბილიზაციასა და არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის მზარდ, ფუნქციონალურ ინტერდეპენდენცთან ერთად იცვლება. დაძაბულობანი უფრო უწყვეტი ხდება. მაგრამ, ახლა ისინი მხოლოდ კულმინაციურ ან გარდატეხის მომენტში გადაწყდება პირდაპირი ფიზიკური ძალადობის გამოყენებით. ისინი იმ განუწყვეტლივ ზენოლაში გამოვლინდებიან, რომელიც არისტოკრატიის ყოველმა წარმომადგენელმა თავის თავში უნდა გამოიმუშაოს. საზოგადოებრივი ურთიერთობების გარდაქმნასთან ერთად სოციალური შიშები კარგავენ იმ ცეცხლის ხასიათს, რომელიც უეცრად აალდება, მანათობლი ალის მსგავსად გამოვარდება გარეთ და ისევ სწრაფად ჩაქრება, რათა, ალბათ, კვლავ სწრაფად აალდეს. ამის ნაცვლად, ისინი იძენენ ისეთი ცეცხლის ბუნებას, რომელიც ნელ-ნელა იწყებს ბჟუტვას და ღვივდება, რომლის ალი დაფარულია და იშვიათად გამოაღწევს გარეთ.

ამ მხრივაც, კურტუაზიული არისტოკრატია ზედა ფენების უფრო სხვა ტიპს წარმოადგენს, ვიდრე შუა საუკუნეების თავისუფალი რაინდები. ის არის პირველი იმ ძლიერად შებოჭილი ზედა ფენებისაგან, რომელთაც შემდეგ, ახალი დროში კიდევ უფრო მეტად შებოჭილი ზედა ფენები მოჰყვება. მათი სოციალური ექსისტენციის მთლიან

საფუძვლებს, მათ პრივილეგიებს უფრო უშუალოდ და ძლიერად უქმნის საფრთხეს ბურჟუაზიული ფენები, ვიდრე თავისუფალ მეომრებს. უკვე მე-16, მე-17 საუკუნეებში, სულ ცოტა საფრანგეთში მაინც, ბურჟუათა გარკვეულ, დაწინაურებულ ჯგუფებში, პირველ ყოვლისა, უმაღლესი ტრიბუნალისა და ადმინისტრაციული სასამართლოების მოხელეებში არსებობს ძლიერი სწრაფვა იმისაკენ, რომ წინ წაიწიონ და „დაშნის ნობელიტეტის" ადგილას ან უკიდურეს შემთხვევაში, მათ გვერდით გადაინაცვლონ, როგორც ქვეყნის ზედა ფენებმა; ამ ბიურგერული ფენების პოლიტიკა დიდწილად იმაზეა მიმართული, რომ ძველი არისტოკრატიის ხარჯზე გაზარდონ თავიანთი პრივილეგიები, რითაც ეს ურთიერთობა, ამავე დროს, თავისთავად ამბივალენტურ ხასიათს იძენს, მიუხედავად იმისა, რომ მათ ძველ არისტოკრატიასთან არაერთი სოციალური ფრონტი აკავშირებთ. სწორედ ამიტომ, შიშები, რომელთაც ასეთი გაუთავებელი დაძაბულობანი მოსდევს, ამ ბურჟუაზიულ დაწინაურებულ ფენებში ძირითადად მხოლოდ ფარული, „ზე-მე"-ს ძლიერი იმპულსების მხრივ გაკონტროლებული ფორმით გამოვლინდება. და ეს, პირველ ყოვლისა, სამართლიანია ნამდვილ არისტოკრატიასთან მიმართებაში, რომელიც უკვე საკმაოდ ხშირად პასიურ მდგომარეობაში იმყოფება და რომელზედაც, გარდა ამისა, კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ზემოქმედებს დამარცხებისა და წაგების შოკი, რომელსაც ის პაციფიცირებისა და გაკურტუაზების შედეგად განიცდის. სასახლის კარის არისტოკრატმა ადამიანებმაც თავი უნდა შეიკავონ იმ აღელვებისაგან, რომელსაც მათში ბიურგერულ ჯგუფებთან გამუდმებული ქიშპობა აღძრავს. ურთიერთდამოკიდებულების ამგვარი სტრუქტურის არსებობისას სოციალური დაძაბულობა, ზედა ფენის იმ ადამიანებში, რომელთაც საფრთხე ემუქრებათ, ძლიერ *შინაგან* დაძაბულობას იწვევს. ის შიშები, რომელიც ამის საფუძველზე სასახლის კარის ზედა ფენის ადამიანებში ჩნდება, თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც, სულიერი სამყაროს არაცნობიერ ზონებში ჩაიძირება და იქედან მხოლოდ გარდაქმნილი ფორმით, თვითმართვის სპეციფიკური ავტომატიზმების სახით გამოდის დღის სინათლეზე. ისინი გამოვლინდებიან კურტუაზიული არისტოკრატიის რაღაც განსაკუთრებულ მგრძნობელობაში, ყოველივე იმასთან მიმართებაში, რაც თუნდაც შორიდან შეეხება მათ მემკვიდრეობით, მათი არსებობის საფუძვლად მდებარე პრივილეგიებს. ეს შიშები აფექტებით დატვირთულ, იმ თავდაცვით ჟესტებში პოულობენ გამოხატულებას, რომლითაც კურტუაზი ადამიანები ხვდებიან ყველაფერს, რასაც „ბიურგერული სუნი ასდის". ისინი განაპირობებენ იმას, რომ სასახლის კარის არისტოკრატია შუა საუკუნეების მეომარ არისტოკრატიასთან შედარებით ბევრად უფრო მგრძნობიარეა ქვედა ფენისათვის მახასიათებელი მანერებისადმი, რომ ის ხაზგასმული სიმკაცრით გამოყოფს ყველაფერს „ვულგარულს" თავისი სასიცოცხლო წრისაგან. და ეს გამუდმებით მბჟუტავი, სოციალური შიში

ქმნის საბოლოოდ ძლიერ იმპულსს იმ მკაცრი კონტროლისათვის, რომელსაც კურტუაზიული ზედა ფენების ყოველი წარმომადგენელი საკუთარ თავზე და თავისი წრის ყოველ ადამიანზე ახორციელებს; ის გამოვლინდება იმ დაძაბულ ყურადღებაში, რომლითაც კურტუაზიულ–არისტოკრატიული „სოციუმის“ ადამიანები ყველაფერს თვალყურს ადევნებენ და დააჯგუფებენ, რაც მათ სხვა, დაბლა მდგომი ადამიანებისაგან განასხვავებს. და ეს არის არა მხოლოდ მათი რანგის გარეგნული გამოხატვა, არამედ მათი ენა, მოძრაობები, მათი საზოგადოებრივი სიამოვნებანი და ურთიერთობის ფორმები. გამუდმებული ბიძგები ქვემოდან და შიში, რომელსაც ის ზემოთ აღძრავს, მართალია, ერთადერთი არა, მაგრამ ერთ-ერთი ძლიერი იმპულსური ძალაა იმ სპეციფიკური, ცივილიზატორული დახვეწილობისა, რომელიც ამ ზედა ფენების ადამიანებს სხვებისაგან გამოარჩევს და საბოლოოდ, მათ მეორე ბუნებად იქცევა.

კურტუაზიული არისტოკრატიის ძირითადი ფუნქცია — მათი ფუნქცია ძლიერი ცენტრალური მმართველისათვის, — ხომ, სწორედ გამორჩეულობაა, საკუთარი თავის, როგორც გამორჩეული სოციალური ფორმაციის, ბურჟუაზიის სოციალურ საპირწონედ არსებობის გამართლებაა. ის, სრულიად გამოთავისუფლებულია დახვეწილი, სალონური ქცევის, კარგი მანერებისა და კარგი გემოვნების გამუდმებული გამომუშავებისათვის. მას კვალდაკვალ მისდევენ ბიურგერული, დაწინაურების პროცესში მყოფი ფენები. ისინი ნაკლებ არიან გამოთავისუფლებული ქცევისა და გემოვნების გამომუშავებისათვის; მათ გარკვეული პროფესია აქვთ. მაგრამ, მათ იდეალსაც არისტოკრატიის მსგავსად მხოლოდ პენსიაზე ცხოვრება და შეძლებისდაგვარად, კურტუაზიულ წრეებში შესასვლელის მონახვა წარმოადგენს. სასახლის კარის წრე ბურჟუათა დიდი ნაწილისათვის, რომელსაც საკუთარ თავზე გარკვეული წარმოადგენა აქვს, ჯერ კიდევ იდეალს წარმოადგენს. ისინი “Bourgeois Genttilhommes” ხდებიან. ისინი ბაძავენ არისტოკრატიას და მათ მანერებს. მაგრამ, ამით ის ქცევის ფორმები, რომლებიც ზემოთ, კურტუაზიულ წრეებში ჩამოყალიბდა, თანდათან გამოუსადეგარი აღმოჩნდება, როგორც გამორჩევის საშუალება და კომპეტენტური არისტოკრატიული ჯგუფები იძულებული ხდებიან განაგრძონ ქცევის შემდგომი სრულყოფა. ის ჩვეულებანი, რაც ადრე „დახვეწილად“ ითვლებოდა, გარკვეული დროის შემდეგ „ვულგარულად“ იქცევა. ისევ და ისევ ახდენენ ქცევის ფორმების დაჯგუფებას და უსიამოვნების ზღურბლი წინ გადაინაცვლებს, სანამ ბოლოს, საფრანგეთის რევოლუციაში აბსოლუტისტურ-კურტუაზიული საზოგადოების დაკნინების შედეგად ცვალებადობის ეს მოძრაობა არ შეწყდება და ინტენსივობას არ დაკარგავს. მოტორი, რომელიც კურტუაზიულ ფაზაში არისტოკრატიის ცივილიზატორულ ტრანსფორმაციას და მასთან ერთად სირცხვილისა და უსიამოვნების ზღურბლის გადაწევას მკვეთრად დააჩქარებს (როგორც ეს უკვე პირველ წიგნში მოყვანილი

მაგალითებით ვაჩვენეთ), სინამდვილეში, თვით კურტუაზიულ წრეებში უძლიერესთა კეთილგანწყობის მოპოვებისათვის მძაფრ კონკურენციასთან ერთად, ახორციელებს ქვემოდან გამუდმებულ დაწოლას. *მოდელების ცირკულაცია*, სხვადასხვა ფენას შორის დიდი ინტერდეპენდენცის წყალობით, რომელსაც თან ახლავს როგორც უფრო მჭიდრო კონტაქტები, ისე გამუდმებული დაძაბულობა ამ ფენებს შორის, ბევრად უფრო სწრაფად მიმდინარეობს, ვიდრე შუა საუკუნეებში. „კარგი საზოგადოებები", რომლებიც კურტუაზიულ საზოგადოებათა შემდგომ ჩნდება, მეტ-ნაკლებად უშუალოდ არიან ჩართულნი პროფესიული საზოგადოების ქსელში და მიუხედავად იმისა, რომ მათთანაც, გარკვეულწილად, ყოველთვის არსებობს მსგავსი ტიპის ფიგურები, თავაზიანი ურთიერთობის სფეროში მათ ოდნავადაც არ გააჩნიათ ფორმირების ძალა; რადგან აქედან მოყოლებული, პროფესია და ფული სულ უფრო მეტად იქცევა პრესტიჟის პირველად წყაროდ. და ხელოვნებას, ქცევის დავენილობას თავაზიან ურთიერთობაში აღარ აქვს ერთეული ადამიანის ავტორიტეტისა და წარმატებისათვის იმხელა მნიშვნელობა, როგორც სასახლის კარის საზოგადოებაში ჰქონდა.

ყოველ სოციალურ ფენაში ქცევათა ის წრე, რომელიც მათი ფუნქციის შესაბამისად, ამ ფენების ადამიანებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია, უდიდესი რუდენებითა და ინტენსიურობით განიცდის მოდელირებას. ის სიზუსტე, რომლითაც კურტუაზიულ საზოგადოებაში ჭამისას ყოველ ილეთს, ეტიკეტის ყოველ მოქმედებას ან საუბრის ყოველ მანერას სრულყოფენ, იმ მნიშვნელობას შეესატყვისება, რაც ყველა ამ მოქმედებას აქვს სასახლის კარის ადამიანებისათვის, როგორც ქვედა ფენებისაგან გამორჩევის საშუალებას და როგორც ინსტრუმენტს მეფის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად გამართულ კონკურენტულ ბრძოლაში. გემოვნებით მოწყობილი სასახლის ნაგებობა ან პარკი, ოთახის მოდაზე, უფრო პომპეზურად თუ უფრო ინტიმურად მორთვა, საუბრისა თუ სასიყვარულო ურთიერთობის სულიერებით წარმართვა, ეს კურტუაზიულ ფაზაში არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა სიამოვნებით განხორციელებული პიროვნული ტკბობაა, არამედ სოციალური პოზიციის შენარჩუნებისათვის აუცილებელ მოთხოვნებს წარმოადგენს. ისინი განეკუთვნებიან სხვათა მხრიდან პატივისცემის, სოციალური წარმატების წინაპირობებს, რომელიც აქ ისეთივე როლს თამაშობს, როგორსაც პროფესიული წარმატება ბიურგერულ საზოგადოებაში.

მე-19 საუკუნეში, პროფესიული ბურჟუაზიის ზედა ფენების ფუნქციაში გადასვლასთან ერთად ეს ყველაფერი აღარ დგას საზოგადოებრივი ფორმირების ტენდენციათა ცენტრში. სოციალურ იძულებათა პირველი შეტევების სიბრტყეს, რომელიც ცალკეული ადამიანის მოდელირებას ახდენს, უკვე ფულის შოვნა და პროფესია შეადგენს. და უმეტესი ნაწილი იმისა, რაც კურტუაზიულ საზოგადოებაში არსებობის განმსაზღვრელი იყო და აქედან გამომდინარე,

განსაკუთრებით ინტენსიურ მოდელირებას განიცდიდა, იმ სფეროში მოხვდება, რომელიც ადამიანის სოციალური მდგომარეობისათვის მხოლოდ არაპირდაპირი, მხოლოდ მეორე რიგის განსაზღვრულობის მქონეა. კომუნიკაციის ფორმები, სახლის მორთვა, სტუმრობის ეტიკეტი თუ ჭამის რიტუალი — ყველაფერი ეს ახლა პირადი ცხოვრების სფეროში მოექცევა. ისინი, თავიანთ ფუნქციას — დააფუძნონ რაიმეს არსებობა, — ყველაზე მეტად იმ სოციალურ გაერთიანებებში ინარჩუნებენ, რომლებშიც, ბიურგერული ელემენტების დანინაურების მიუხდავად, არისტოკრატიული სოციალური ფორმაციები ყველაზე ხანგრძლივად და ყველაზე ცოცხლადაა შემონახული, კერძოდ ინგლისში. მაგრამ, ქცევის თავისებურ შენაერთშიც, რომელიც აქ საუკუნეთა განმავლობაში არისტოკრატიული და ბიურგერული წარმომავლობის ქცევის მოდელების ორმხრივი ურთიერთგამსჭვალვის საფუძველზე იქმნებოდა, ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, წინა პლანზე უფრო მძლავრად გამოდის ბურჟუაზიულ-საშუალო-წოდებრივი მოვლენები. ყოველ შემთხვევაში, ძირითადად, დასავლური სამყაროს საზოგადოებებში, უფრო წმინდა არისტოკრატიის დაკნინებასთან ერთად, როდის და როგორც არ უნდა ხორციელდებოდეს ეს, ადამიანებში უფრო ძლიერად და უშუალოდ ვითარდება ქცევის ის ფორმები და აფექტური გაფორმება, რომელიც აუცილებელია შრომის ფუნქციის შესრულებისათვის, მეტ-ნაკლებად ზუსტად მოწესრიგებული სამუშაოს წარმართვისათვის. ეს არის ის საფუძველი, რის გამოც პროფესიულ-ბურჟუაზიული საზოგადოება ყველაფერში, რაც სოციალურ-კომუნიკაციურ ქცევას შეეხება, თავდაპირველად კურტუაზიული საზოგადოების რიტუალს გადმოიღებს, ისე რომ თვითონ ინტენსიურად არ ახდენს მის კვლავწარმოებას; ეს არის საფუძველი, რომლითაც აფექტთა რეგულირების სტანდარტი ამ სფეროში, პროფესიული ბურჟუაზიის დაწინაურებასთან ერთად, მართალია ნელა, მაგრამ მაინც იცვლება. სასახლის კარის საზოგადოებაში და ნაწილობრივ, ინგლისურ „სოციუმში“, არ არსებობს ადამიანური ყოფიერების ეს დანაწილება პროფესიულ და პირად ცხოვრებად. როცა ეს გახლეჩა საყოველთაო ხდება, იწყება ახალი ფაზა ცივილიზაციის ისტორიაში; ლტოლვათა რეგულირების სქემა, რომელიც აუცილებელს ხდის პროფესიულ შრომას, ბევრი თვლსაზრისით განსხვადება ლტოლვათა რეგულირების იმ სქემისაგან, რომელიც თითოეულს სასახლის კარისკაცთა ფუნქციას და კურტუაზიული ცხოვრების თამაშს დააკისრებს. დაძაბულობა, რომელსაც ბურჟუაზიული, სოციალური ექსისტენციის შენარჩუნება განაპირობებს, „ზე-მე"-ს ჩამოყალიბების სტაბილურობა, ლტოლვათა რეგულირებისა და გარდაქმნის ინტენსიურობა, რომელსაც პროფესიული და შრომის ბიურგერული ფუნქციები ცალკეული ადამიანისაგან მოითხოვს, მიუხედავად გარკვეული შერბილებისა ქცევათა სფეროში, მთლიანობაში ჯერ კიდევ ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე შესაბამისი ფსიქიკური ფიგურები, რომელსაც სასახლის კარის არისტოკრატის

ცხოვრება მოითხოვს. ყველაზე თვალშისაცემია სხვაობა სქესობრივი ურთიერთობის რეგულირებაში. მაგრამ ადამიანთა კურტუაზიულ-არისტოკრატიული მოდელირება ბიურგერულ-პროფესიულის ამა თუ იმ ფორმაში გამოდის და მასში შენახული სახით შემდგომშიც გატარდება. ქცევის ფორმებით და ლტოლვათა მოდელირებით ფართო ფენების ამ გამსჭვალვას, რომელიც თავიდანვე კურტუაზიული საზოგადოების მახასიათებელი იყო, ყველაზე მეტად იმ რეგიონებში შეხვდებით, სადაც სასახლის კარი დიდებული და მდიდარი იყო და აქედან გამომდინარე, მისი შეღწევის ძალა — უფრო დიდი. პარიზი და ვენა ამის საუკეთესო მაგალითებია. ესენი მე-18 საუკუნის ორი დიდი, მოქიშპე აბსოლუტისტური სასახლის კართა რეზიდენციებს წარმოადგენენ; ამის გამოძახილს თვით თანამედროვე ეპოქამდე ვგრძნობთ, არა მხოლოდ მათი, როგორც „კარგი გემოვნების" ცენტრების ან როგორც ფუფუნების ინდუსტრიათა რეპუტაციაში, ინდუსტრიისა, რომლის პროდუქცია უმეტესად „ქალბატონების" საჭიროებისათვისაა განკუთვნილი, არამედ თავად სქესობრივი ურთიერთობების რეფორმირებაში, მოსახლეობის ეროტიკულ დაღდასმულობაში, თუმცა სინამდვილე ამ თვალსაზრისით, შეიძლება იმდენად აღარ შეესაბამებოდეს იმ რეპუტაციას, რომელსაც კინოინდუსტრია ასე ხშირად იყენებს.

მაგრამ ამა თუ იმ ფორმით კურტუაზიულ-არისტოკრატიული "bonne compagnie" –ის ქცევის ფორმებმა იქაც შეაღწია უფრო ფართო, ინდუსტრიული საზოგადოების ქცევის ფორმებში, სადაც სასახლის კარი ნაკლებ მდიდარი და ძლევამოსილი იყო და მისი ფორმირების ძალა, ნაკლებ სიღრმისეული. ის, რომ დასავლური სამყაროს სახელისუფლო ერთეულთა ურთიერთობის ფორმები, ის რომ მათი აფექტთა რეგულირების საფეხური და მეთოდი, მიუხედავად ნაციონალურ სქემათა განსხვავებულობისა, ერთიანობის მაღალ ხარისხს აჩვენებს, თუ მთლიანობაში შევხედავთ, შედეგია ამ ჯგუფთა ურთიერთგადაჯაჭვულობისა, დასავლური სამყაროს სხვადასხვა ნაციონალურ გაერთიანებებში ფუნქციური დანაწილების ყველა პროცესის უწყვეტი ინტერდეპენდენციისა. ამ ზოგადი ჩარჩოს ფარგლებში, დასავლური ცივილიზებული ქცევის ფორმირებისათვის, მთელი ევროპის მასშტაბით, განსაკუთრებულ როლს თამაშობს ნახევრად კერძო ძალისმიერი მონოპოლიის და ძლიერი ინტერდეპენდენციის მქონე კურტუაზიულ-არისტოკრატიული საზოგადოების ფაზა. ამ კურტუაზიულ საზოგადოებას, როგორც პირველს, განსაკუთრებით წმინდა ფორმაში, ჰქონდა ფუნქცია, რომელიც შემდგომ სხვადასხვა გრადაციებსა და მოდიფიკაციებში დასავლური საზოგადოების სულ უფრო ფართო ფენებს გადაეცემოდა. ეს იყო„კარგი საზოგადოების", ზედა ფენის ფუნქცია, რომელიც ინტენსიური და ფართო გადაჯაჭვულობის, ერთი მხრივ, ძალისმიერი და საგადასახადო მონოპოლიის და მეორე მხრივ, აბეზერი ქვედა ფენების წნეხის ქვეშ იყო მოქცეული. ფაქტიურად, სასახლის კარის საზოგა-

დოება იყო პირველი წარმომადგენელი ზედა ფენების იმ განსაკუთრებული ფორმისა, რომელიც მით უფრო ნათლად იკვეთებოდა, რაც უფრო მეტად დამოკიდებული ხდებოდნენ ერთმანეთზე მზარდი ფუნქციური დანაწილების პარალელურად სხვადასხვა სოციალური ფენები, რაც უფრო იზრდებოდა ადამიანთა რაოდენობა, ადამიანური სივრცეები, რომლებიც ამგვარი ინტერდეპენდენციის მიმართებაში იყო ერთმანეთთან. ეს იყო უკიდურესად შებოჭილი ზედა ფენა, რომლის მდგომარეობა გამუდმებულ თავდაჭერას და ლტოლვათა ინტენსიურ რეგულირებას მოითხოვდა. სწორედ ზედა ფენების ეს ფორმა გაბატონდა ამ დროიდან მოყოლებული დასავლურ სივრცეში. და ამ თავშეკავების მოდელები, როგორც ისინი კურტუაზიულ-არისტოკრატიულ საზოგადოებაში დასაწყისში განვითარდა საზოგადო ურთიერთობის, „პირადი ცხოვრების“ სფეროში, სხვადასხვა გრადაციით და მოდიფიკაციით ერთი ფენიდან მეორეს გადაეცემოდა, როგორც ზედა ფენების პოზიცია და ფუნქცია. არისტოკრატიული საზოგადოების მემკვიდრეობას მეტი თუ ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმის მიხედვით, რამდენად დიდ როლს თამაშობდა მისი, როგორც „კარგი საზოგადოების“ ხასიათი ერთი რომელიმე ფენისა თუ ხალხისათვის. და სადაც ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი, — და მსგავს შემთხვევებს, როგორც უკვე ითქვა, მეტ-ნაკლებად ყოველთვის ჰქონდა ადგილი სულ უფრო ფართო წრეებში, ბოლოს კი დასავლური სამყაროს ყველა ხალხთან, პირველ ყოვლისა იმ ხალხებში, რომლებიც ძლიერი ცენტრალური ორგანოს ადრეული ჩამოყალიბების კვალობაზე, ადრევე იქცნენ კოლონიურ იმპერიებად — ფართო გადაჯაჭვულობის ზეწოლით, რომელიც განსხეულდებოდა როგორც საკუთარ ფენაში კონკურენტული ბრძოლის სიძლიერეში, ასევე იმ აუცილებლობაში, რომ დაცული ყოფილიყო დაწინაურებული და გამორჩეული ფენების უფრო მაღალი ცხოვრების სტანდარტი და პრესტიჟი დაბალ ფენებთან მიმართებაში, ყველგან გამძაფრდებოდა სოციალური კონტროლის ძლიერებაც გარკვეული სქემის მიხედვით, მგრძნობელობა სხვა წევრების ქცევის მიმართ, ინდივიდის თვითკონტროლი და „ზე-მე"-ს ძლიერება. ასე შეივსებოდა კურტუა-ზიულ-არისტოკრატიული მანერები სხვადასხვა ბიურგერული ფენების ქცევებით, როცა ეს უკანასკნელნი წინ მიიწევდნენ და ზედა ფენების მდგომარეობას აღწევდნენ; ის, რაც თავდაპირველად, "Civilité"-ს ფორმით ჩამოყალიბდა, განიცადა რა ცვლილება მისი მატარებლის განსაკუთრებული პოზიციის მიხედვით, მოიხსნა და შენახული სახით იმაში მოახდინა რეალიზება, რასაც უკვე „ცივილიზაციად“ ან ზუსტად რომ ვთქვათ, „ცივილიზებულ ქცევად“ ახასიათებდნენ. ასე ვრცელდება მე-19 საუკუნიდან მოყოლებული ეს ცივილიზებული ქცევის ფორმები თვით დასავლურის საზოგადოების შემტევ ქვედა ფენებში, შემდეგ კოლონიური ქვეყნების სხვადასხვა ფენებში და შეივსება იმ მანერებით, რომლებიც ამ ფენების ბედსა და

ფუნქციას შეესატყვისება. დაწინაურების ყოველი ასეთი იმპულსის არსებობისას ერთმანეთში შეაღწევს ოდესღაც მაღალი და დაწინაურების პროცესში მყოფი, ქვედა ფენებისა თუ გაერთიანებათა მანერები. დაწინაურებულთა ქცევის სტანდარტი, მათი მოთხოვნებისა და აკრძალვების სქემა, თავის სტრუქტურის მიხედვით, ამ დაწინაურების პროცესის ისტორიას შეესატყვისება. და ასე ხდება ის, რომ სხვადასხვა ბურჟუაზიულ, ნაციონალურ გაერთიანებათა ლტოლვით და ქცევით სქემაში, მათ „ნაციონალურ ხასიათში" ძალიან ზუსტად ჩანს არისტოკრატიული და ბიურგერული ფენების ადრეული ურთიერთობის ტიპი და სოციალურ დაპირისპირებათა სტრუქტურა, რომელშიც რომელიმე მათგანი საბოლოოდ ძალაუფლებას მოიპოვებდა. ერთი მაგალითი რომ დავასახელოთ, ქცევისა და ლტოლვათა რეგულირების სქემა ჩრდილოეთ ამერიკაში, ბევრი საერთოს მიუხედავად, ბევრად უფრო წმინდად და გამოხატულად საშუალოწოდებრივია, ვიდრე ინგლისში, რადგან იქ არისტოკრატია შედარებით ადრე გაქრა, მაშინ როცა აქ არისტოკრატიულ ზედა ფენებსა და ბიურგერულ საშუალო ფენებს შორის დაპირისპირებას, სხვადასხვა ბიძგებით, ორივე მათგანის თავისებურ, იერარქიულ შევსებამდე და ამით, ამ ფენათა ქცევის მოდელების არანაკლებ გრადაციულ ურთიერთგამსჭვალვამდე მივყავდით. ანალოგიური პროცესები ამ ნაშრომის პირველ წიგნში გერმანულ და ფრანგულ ხასიათებს შორის განსხვავების საფუძველზე იქნა ნაჩვენები. რთული არ იქნებოდა, მისი დემონსტრირება მოგვეხდინა ევროპის დანარჩენი ნაციონალური ხასიათების მაგალითზეც.

შემდგომ ფენაზე ცივილიზაციის სტანდარტის გავრცელების ყოველი ეს ტალღა მათი სოციალური ძლიერების ზრდის, მათი სასიცოცხლო სტანდარტის უახლოესი ზემდგომი ფენის სტანდარტთან გათანაბრების ან სულ მცირე, მათი ცხოვრების სტანდარტის ამ მიმართულებით ამაღლების პარალელურად მიმდინარეობს. იმ ფენებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში შიმშილით სიკვდილის საფრთხის წინაშე, გაჭირვებასა და სიღატაკეში ცხოვრობენ, არ შეუძლიათ ცივილიზებულად მოიქცნენ. „ზე-მე"-ს სტაბილური აპარატის კულტივირება და გამართულად შენარჩუნება მოითხოვდა და მოითხოვს ცხოვრების შედარებით მაღალ სტანდარტს და საიმედოობის საკმაოდ მაღალ ხარისხს.

რა რთულიც არ უნდა გვეჩვენებოდეს, ერთი შეხედვით, გადაჯაჭვის პროცესების მამოძრავებელი მექანიზმი, რომელთა შიგნით დასავლურ სამყაროს ქცევის ცივილიზაცია მიმდინარეობს, ურთიერთკავშირთა ელემენტარული სქემა საკმაოდ მარტივია: ყველაფერი, რაც აქამდე ცალკეულ მოვლენებთან დაკავშირებით იქნა ნახსენები, როგორც მაგალითად, მოსახლეობის უფრო ფართო ფენების ცხოვრების სტანდარტის თანდათანობითი ამაღლება, ზედა ფენების უფრო ძლიერი ფუნქციონალური დამოკიდებულება ან ცენტრალური მონოპოლიის სტაბილურობა, ყველაფერი ეს არის შედეგი და

ნაწილობრივი გამოვლინებანი ხან სწრაფად, ხან კი ნელა პროგრესირებადი ფუნქციური დანაწილებისა. ამ ფუნქციური დანაწილებით მაღლდებოდა და ახლაც მაღლდება შრომის ნაყოფიერება; უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერება, კი, არის სულ უფრო ფართო ფენების ცხოვრების სტანდარტის ამაღლების წინაპირობა. ამ ფუნქციური დანაწილებით იზრდება მოქმედი ზედა ფენების ფუნქციური დამოკიდებულება; და პირველად, ფუნქციური დანაწილების მხოლოდ ძალიან მაღალი საფეხურიდან მოყოლებული, შესაძლებელია უფრო სტაბილური ძალისმიერი და საგადასახადო მონოპოლიის ჩამოყალიბება, ძლიერად სპეციალიზებული მონოპოლიური ადმინისტრაციით, მაშასადამე, სახელმწიფოს ჩამოყალიბება ამ სიტყვის დასავლური მნიშვნელობით, რითაც ერთეული ადამიანის ცხოვრება თანდათანობით უფრო მაღალ „საიმედოობას" შეიძენს. მაგრამ ეს პროგრესირებადი ფუნქციური დანაწილება სულ უფრო მეტ ადამიანს, სულ უფრო დიდ ადამიანურ სივრცეებს ხდის ერთმანეთზე დამოკიდებულს; ის მოითხოვს და ახდენს ერთეული ადამიანის უფრო მეტი თავშეკავების კულტივირებას, მისი ქცევისა და აფექტების უფრო ზუსტ მონესრიგებას; ის მოითხოვს ტლოლვათა უფრო მკაცრ შებოჭვას და გარკვეული საფეხურიდან დაწყებული, გამუდმებულ თვითიძულებას. ეს არის, თუ შეიძლება ასე ვთქვათ ის ფასი, რომელსაც ჩვენ უფრო მეტი მდგრადობისათვის, ყველაფერი იმისათვის ვიხდით, რაც ამავე გზაზე შეგვხვდება.

სხვათა შორის, ეს თავშეკავება და თვითიძულება — და ამას ჩვენი დროის ცივილიზაციის სტანდარტისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს — ცივილიზაციის მოძრაობის დღევანდელ ფაზამდე თავის სახეს იძენს არა უბრალოდ ყოველი ერთეული ადამიანის სხვებთან ამ უწყვეტი კოოპერაციის აუცილებლობით, არამედ, თავიანთ სქემაში, უპირველეს ყოვლისა, კიდევ უფრო მეტად არიან განსაზღვრული საზოგადოების თავისებური დაყოფით ზედა და ქვედა ფენებად. თავშეკავებისა და ლტოლვათა მოდელირების მეთოდი, როგორც ის დღევანდელი მაღალი ფენის ადამიანებთან ყალიბდება, თავის განსაკუთრებულ თვისებებს იძენს გამუდმებულ დაძაბულობათა საშუალებით, რომელიც საზოგადოებას გამსჭვალავს. ამ ადამიანთა „მე"-სა და „ზე-მე"-ს ჩამოყალიბება განსაზღვრულია როგორც კონკურენტული ზეწოლით, საკუთარი ფენის შიგნით წარმოებული შესარჩევი ბრძოლებით, ასევე ქვემოდან გამუდმებული დაწოლით, რომელსაც პროგრესირებადი ფუნქციური დანაწილება სულ ახალ-ახალი ფორმებით წარმოქმნის. საზოგადოებრივი კონტროლის სიძლიერე და წინააღმდეგობრიობით სიმდიდრე, რომელსაც შესაბამის ზედა ფენებში ერთეული ადამიანის ქცევა ექვემდებარება და რომელიც მისი საკუთარი „ზე-მე"- თია წარმოდგენილი, კავშირშია არა მხოლოდ იმასთან, რომ ეს კონკურირებად და ნაწილობრივ, თავისუფლად კონკურირებად ექსისტენცთა ერთმანეთზე განხორციელებული კონტროლია, არამედ პირველ ყოვლისა,

იმასთან, რომ ამ კონკურენტებმა შიშნარევი პერსპექტიული ხედვითა და სიფრთხილით უნდა შეინარჩუნონ მათი განმასხვავებელი პრესტიჟი, მათი ამაღლებული სტანდარტი შემტევ ადამიანებთან მიმართებაში.

თუ ამ პროცესებს საუკუნეთა განმავლობაში განვიხილავთ, დავინახავთ ცხოვრებისა და ქცევის სტანდარტის გათანაბრების, დიდი კონტრასტების ნიველირების ტენდენციას. მაგრამ, ეს მოძრაობა სწორხაზოვნად არ ვითარდება. პატარა წრის ქცევის ფორმების უფრო ფართო, დაწინაურების პროცესში მყოფ წრეებში გავრცელების ამ ყოველ ტალღაში, შეიძლება, გარკვევით გავარჩიოთ ორი ფაზა: კოლონიზაციის ანუ ასიმილაციის ფაზა, რომელშიც მართალია, შესაბამისი დაბალი და ფართო ფენა, აღმავლობის პროცესშია, მაგრამ მაინც, აშკარად, ზედა ფენას ექვემდებარება. ამ ფაზაში ის საგრძნობლადაა ორიენტირებული ზედა ფენების იდეალზე და ეს მაღალი ფენა მას, ნებსით თუ უნებლიეთ, თავისი ქცევის ფორმებით გამსჭვალავს. მეორე ფაზაა უკუგდების, დიფერენცირების ანუ ემანსიპაციის ფაზა, რომელშიც დაწინაურების პროცესში მყოფ ჯგუფს საგრძნობლად ემატება სოციალური ძლიერება და თვითცნობიერება, ზედა ფენა განიცდის ბიძგს უფრო ძლიერი თავდაჭერისაკენ, უფრო ხაზგასმული კარჩაკეტილობისაკენ. აქ ძლიერდება დაძაბულობანი, კონტრასტები საზოგადოების შიგნით.

როგორც ყოველთვის, ორივე ტენდენცია, გათანაბრებისა და გამორჩევისა, მიზიდვისა და განზიდვისა, ცხადია, სახეზეა ამ ორივე ფაზაში; ეს ურთიერთობებიც საფუძველშივე ამბივალენტურია; მაგრამ პირველ ფაზაში, რომელიც ძირითადად, ქვედა ფენიდან ზედა ფენისაკენ ინდივიდუალური აღმასვლის ფაზის ანალოგიურია, უფრო ძლიერად გამოვლინდება ზემოდან ქვემოთ კოლონიზების, ქვემოდან ზემოთ გათანაბრების მისწრაფება; მეორე ფაზაში, რომელშიც იზრდება შესაბამისი ქვედა ჯგუფების, როგორც მთლიანის სოციალური ძლიერება, ზედა ფენებისა კი მცირდება, მტრობისა და შეტაკების ტენდენციებთან ერთად ძლიერდება ორივე ჯგუფის თვითცნობიერება და საკუთრივი ცნობიერება, ძლიერდება მიდრეკილება, რომ თვალხილულად აქციონ განმასხვავებელი ნიშნები და რამდენადაც საქმე ზედა ფენებს ეხება, მოხდინონ კიდეც მისი სტაბილიზება. ფენათა შორის კონტრასტები იზრდება და შესაბამისად, მაღლდება მათი გამყოფი კედლები.

პირველი ტიპის ანუ ასიმილაციის ფაზებში, ზეაღმავალი ფენის ბევრი, ცალკეული ადამიანი არა მხოლოდ მათ სოციალურ ექსისტენციში, არამედ თავიანთ იდეებისა და იდეალების თვალსაზრისით, უნებლიედ, ბევრადაა დამოკიდებული ზედა ფენებზე. ისინი ყოველთვის თუ არა, ხშირად ბევრი თვალასზრისით ჩამოუყალიბებელნი არიან, მაშინ როცა ზედა ფენის ადამიანები საკმაოდ მაღალი ხარისხის ფორმირების უნარს ფლობენ და პირველები, თავიანთი სოციალური დაქვემდებარების შესაბამისად, ზედა ფენების აკრძა-

ლვების ცხრილის, აფექტური რეგულირებისა და ქცევის სტანდარტის იმდენად დიდ ზეგავლენას განიცდიან, რომ ცდილობენ თავიანთი აფექტური რეგულირება ამავე სქემას მოარგონ. აქ ცივილიზაციის პროცესის ერთ-ერთ ყველაზე ღირსშესანიშნავ გამოვლენას წავანყდებით: დანინაურების პროცესში მყოფი ფენის ადამიანები თავის თავში განავითარებენ „ზე-მე"-ს მათზე აღმატებული და კოლონიზატორი ზედა ფენების ნიმუშის მიხედვით. მაგრამ ეს, თითქოსდა, ზედა ფენის მოდელის მიხედვით შექმნილი დანინაურების გზაზე მყოფთა „ზე-მე", თუ ზუსტად დავაკვირდებით, ბევრი თვალასაზრისით, მართლაც, განსხვავებულია თავის მოდელისაგან. ის უფრო გაუწონასწორებელია და ამასთან, საკმაოდ ხშირად, ბევრად უფრო მტკიცე და მკაცრი. ის არასოდეს ამბობს უარს ძალისმიერ დაძაბულობებზე, რომელსაც ინდივიდუალური დანინაურება მოითხოვს; და ის კიდევ უფრო ნაკლებად აიღებს ხელს ქვემოდან თუ ზემოდან განხორციელებულ გამუდმებულ შეტევაზე, ჯვარედინ ცეცხლზე, რომელიც ინდივიდუალურად დანინაურების გზაზე დამდგარ ადამიანებს დაატყდება თავს. ქვემოდან ზემოთ განხორციელებული სრული ასიმილაცია ერთ თაობაში მხოლოდ რამდენიმე ადამიანს თუ გამოსდის. ამიტომ, დანინაურების ჟინით შეპყრობილ ფენათა უმეტესობაში ამ ძალისხმევას დასაწყისში გარდაუვალად მივყავართ ცნობიერების და პოზიციის გამრუდებამდე. ამგვარი გამრუდებანი აღმოსავლეთში და კოლონიურ ქვეყნებში "ლევანტინიზმის" სახელითაა ცნობილი; და მას საკმაოდ ხშირად ვხვდებით დასავლური სამყაროს წვილბურჟუაზიულ-საშუალო წოდების წრეებში, როგორც „ნახევრად განათლებულობას", როგორც პრეტენზიას რაიმე ისეთზე, რაც არ არიან, როგორც ქცევის და გემოვნების არასაიმედოობას, როგორც „გამასობრივებას" არა მხოლოდ ავეჯისა და ტანსაცმლისა, არამედ სულებისაც: ყველაფერი ეს გამოხატავს იმ სოციალურ მდგომარეობას, რომელიც სხვა, სოციალურად უფრო მაღალი რანგის ჯგუფის მოდელების იმიტაციისაკენ უბიძგებს. ეს არ მიიღწევა; ის კვლავ ამოიცნობა, როგორც უცხო მოდელის იმიტაცია. ამ ფაზაში ზედა ფენებისა და დანინაურების პროცესში მყოფთა აღზრდა, ცხოვრების სტანდარტი და სასიცოცხლო სივრცე ჯერ კიდევ იმდენად განსხვავებულია, რომ მცდელობას, მიაღწიონ ქცევის საიმედოობას და მის შეკვრას ზედა ფენის სქემის შესაბამისად, ზეაღმავალი ფენის ადამიანთა უმეტესობაში ყოფაქცევის განსაკუთრებულ სიყალბემდე და უფორმობამდე მივყავართ, რომლის უკან მათი სოციალური ექსისტენციის ნამდვილი და ჭეშმარიტი განსაცდელი დგას — მოთხოვნა, თავიდან აიცილონ ზეწოლა, რომელიც ზემოდან მოდის და გაექცნენ დაქვემდებარებას. ზედა ფენის მხრივ ამ „ზე-მე"-ს გამოვლენა ზეაღმავალ ფენებში სირცხვილისა და დაქვემდებარების გრძნობათა სრულიად სპეციფიკურ ფორმას წარმოქმნის. ისინი ძალზე განსხვავებულია იმ ქვედა ფენების შეგძნობათაგან, რომელთაც დანინაურების შანსები

არ გააჩნიათ. მათი ქცევა შეიძლება უფრო უხეში იყოს, მაგრამ ის ჩაკეტილი, უფრო ერთიანი, გაუტეხელია და ამ აზრით, უფრო მეტად გაფორმებული; ისინი უფრო საკუთარ სამყაროში ცხოვრობენ, ზედა ფენების მსგავს პრესტიჟზე პრეტენზიის გარეშე და შესაბამისად, აფექტური განტვირთვების უფრო დიდი სამოქმედო სივრცით; ერთობლივ ცხოვრებაში ისინი უფრო ძლიერად იცავენ საკუთარ ზნესა და ჩვეულებებს; მათი დაქვემდებარება ზედა ფენებისადმი, მათი მორჩილებისა თუ წინააღდგომის ჟესტები ნათელია, მათი შედარებით დაუფარავი აფექტების მსგავსად და დაკავშირებულია გარკვეული, მარტივი ფორმებით. თავად მათ და სხვა ფენებს მათ ცნობიერებაში საკმაოდ განსხვავებული პოზიცია უჭირავთ, როგორც კარგის, ისე ცუდის თვალსაზრისით.

ამის საპირისპიროდ, ინდივიდუალურად ზეაღმავალი ადამიანების დაქვემდებარების გრძნობები და ჟესტები განსაკუთრებულ შეფერილობას იძენს იმით, რომ ეს ადამიანები გარკვეულნილად ზედა ფენებთან საკუთარი თავის იდენტიფიცირებას ახდენენ; ამ გრძნობებს ის სტრუქტურა აქვთ, რომელიც ზემოთ სირცხვილის გრძნობასთან მიმართებაში იქნა აღწერილი: ამ მდგომარეობაში მყოფი ადამიანები თავისი ცნობიერების ერთი ნაწილით ზედა ფენების აკრძალვებისა და მოთხოვნების ცხრილს, ნორმებსა და ქცევის ფორმებს აღიარებენ, როგორც თავისთვის სავალდებულოს, მაგრამ ისე, რომ ნებაყოფილობით და ეჭვგარეშე არ შეუძლიათ დაეყრდნონ მათ, როგორ ზედა ფენის ადამიანები. ეს არის ის თავისთავადი წინააღმდეგობა ზედა ფენებს შორის, თვით მათ შიგნით, რომელიც წარმოდგენილია მათი „ზე-მე"-ს საშუალებით და მათი უუნარობით, განახორციელონ ეს მოთხოვნა საკუთარ თავზე, ეს არის ის გამუდმებული შინაგანი დაძაბულობა, რომელიც მათ აფექტურ ცხოვრებას და მათ ქცევას თავის განსაკუთრებულ ხასიათს შესძენს.

მაგრამ, ამავე დროს, ერთი მხრივ, აქ გამოვლინდება ის, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქცევათა მკაცრ რეგულირებას შესაბამისი ზედა ფენისათვის: ის არის პრესტიჟის ინსტრუმენტი; მაგრამ, გარკვეულ ფაზაში ის ხელისუფლების ინსტრუმენტსაც წარმოადგენს. დასავლური საზოგადოების სტრუქტურისათვის არანაკლებ მახასიათებელია ის, რომ მათი კოლონიალური მოძრაობის ლოზუნგს „ცივილიზაცია" შეადგენს. ძლიერი ფუნქციური დანაწილების მქონე საზოგადოების ადამიანთათვის საკმარისი არ არის მეომართა კასტის მსგავსად იარაღით ხელში გაბატონდეს დაპყრობილ ხალხებზე და ქვეყნებზე, თუმცა, დასავლური გაფართოების მოძრაობაში არცთუ უმნიშვნელო როლს თამაშობდა უწინდელი, უმეტეს ექსპანსიურ მოძრაობათა ძველი, მარტივი მიზანი — სხვა ხალხების განდევნა მათი მიწებიდან, ახალი სახნავ-სათესი მიწებისა და დასახლებული ადგილების დაპყრობა. მაგრამ მარტო მიწები საკმარისი არ არის; მათ ადამიანებიც სჭირდებათ; მათ სურთ სხვა ხალხების ჩართვა

საკუთარი, ზედა ფენების მამულების შრომის დანაწილების ქსელში, იქნება ეს სამუშაო ძალის თუ მომხმარებელთა სახით; მაგრამ ეს უბიძგებს არა მხოლოდ ცხოვრების სტანდარტის გარკვეული ამაღლებისაკენ, არამედ დაქვემდებარებულთა თვითიძულებისა და „ზე-მე"-ს აპარატურათა კულტივირებისაკენ თავად დასავლური სამყაროს ადამიანთა მაგალითის მიხედვით. ეს, მართლაც, მოითხოვს დაპყრობილი ხალხების ცივილიზებას. ისევე როგორც თავად დასავლურ სამყაროში, ინტერდეპენდენციის განსაზღვრული დონის შემდეგ, შეუძლებელი გახდა ადამიანთა მხოლოდ იარაღითა და ფიზიკური მუქარით დამორჩილება, ასევე ყველგან, სადაც იმპერიის შენარჩუნებისათვის უფრო მეტი სურდათ, ვიდრე პლანტაციები და პლანტაციაში მომუშავე მონები, აუცილებელი შეიქნა ადამიანებზე გაბატონება ნაწილობრივ მათივე საშუალებით, მათი საკუთარი „ზე-მე"-ს ფორმირების გზით. სწორედ ამით იჩენს თავს დაპყრობილთა ერთ ნაწილში ყველა ის მოვლენა, რომელიც მახასიათებელია დაწინაურების ამ პირველი ფაზისათვის და რომელზედაც აქ იყო საუბარი: ინდივიდუალური დაწინაურება, ზეაღმავალთა მიერ ზედა ფენების აფექტურ რეგულირებასა და მცნებათა ცხრილზე მორგება, მათთან ნაწილობრივი იდენტიფიცირება და მათი სქემის მიხედვით „ზე-მე"-ს აპარატის ჩამოყალიბება თუ გარდაქმნა, არსებული ჩვეულებებისა და თვითიძულებათა მეტ-ნაკლებად წარმატებული შევსება სხვა, დასავლურად ცივილიზებული საზოგადოებრივი რიტუალით, ყველა იმ შედეგთან ერთად, რომელიც უკვე იყო აღწერილი.

მაგრამ ასეთ მოვლენებზე დაკვირვებისათვის შორს ნასვლა არ გვჭირდება. სრულიად ანალოგიურ ფაზას ვხვდებით, თუნდაც მარტო ეს რომ დავასახელოთ, თავად დასავლური ბურჟუაზიის დაწინაურების მოძრაობაშიც. ეს არის კურტუაზიული ფაზა. აქაც, თავდაპირველად, ბიურგერული უმაღლესი წრეების არაერთ ინდივიდს უდიდესი მისწრაფება ჰქონდა, მოქცეულიყო და ეცხოვრა ისე, როგორც ზედა ფენის ადამიანს, როგორც არისტოკრატს. ისინი შინაგანად აღიარებდნენ კურტუაზიულ-არისტოკრატიული ქცევის უპირატესობას და ცდილობდნენ საკუთარი თავის მოდელირება თუ კონტროლი ამ იდეალის მიხედვით განეხორციელებინათ. ბურჟუათა მსჯელობა სასახლის კარის წრეებში სწორი მეტყველების შესახებ, რომელიც ზემოთ იქნა მოყვანილი, ამის მაგალითს წარმოადგენს. გერმანული ენის ისტორიაში ბურჟუაზიის ეს კურტუაზიული ფაზა საკმაოდ გამორჩეულია მოსაუბრეთა და მწერალთა ცნობილი ჩვეულებით, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ყოველი მესამე თუ მეოთხე გერმანული სიტყვის შემდეგ ერთი ფრანგული სიტყვა მაინც უნდა ჩაერთოთ, თუ ისინი არ ამჯობინებდნენ მთლიანად ფრანგული ენა, ევროპის კურტუაზიული ენა გამოეყენებინათ. სასახლის კარის წრეების წარჩინებულნი და თვით ბურჟუებიც კი ამ ეპოქაში ხშირად დასცინოდნენ ბიურგერთა სხვა წარმომადგენლებს, რომლებიც უშედეგოდ ცდილობდნენ „დახვეწილად" მოქცეულიყვნენ ან კურტუ-

აზიული მანერები გამოევლინათ.

როცა ბურჟუაზიის სოციალური ძლიერება იზრდება, დაცინვა წყდება. ადრე თუ გვიან, წინა პლანზე გამოდის ყველა ის მოვლენა, რომელიც დაწინაურების მეორე ფაზას თავის ხასიათს შესძენს. ბიურგერული ჯგუფები სულ უფრო ძლიერად და ცხადად აჩვენებენ საკუთარ, სპეციფიკურ, ბურჟუაზიულ თვითცნობიერებას; ისინი სულ უფრო აშკარად და ცნობიერად დაახვედრებენ მცნებათა და აკრძალვათა საკუთარ ცხრილს კურტუაზიულ-არისტოკრატიულს. თავიანთი განსაკუთრებული მდგომარეობიდან გამომდინარე, ისინი არისტოკრატიისათვის მახასიათებელ უსაქმურობას შრომას უპირისპირებენ, ეტიკეტს — „ბუნებას", მანერებისათვის ზრუნვას — ცოდნისათვის ზრუნვას, რომ აღარაფერი ვთქვათ ძირითად ცენტრალურ მონოპოლიათა გაკონტროლების, საგადასახადო და საჯარისო ადმინისტრაციის სხვა სტრუქტურის განსაკუთრებულ ბურჟუაზიულ მოთხოვნებზე. ისინი, პირველ ყოვლისა, „სიქველეს" კურტუაზიულ „ფრივოლურობას" დაუპირისპირებენ: სქესობრივი ურთიერთობის მოწესრიგება, მავთულხლართი, რომელიც გარს შემოერტყმება ლტოლვითი სამყაროს სექსუალურ სფეროს, საშუალო და დაწინაურების პროცესში მყოფ, ბიურგერულ ფენებში მათი პროფესიული სიტუაციის შესაბამისად, ბევრად უფრო მტკიცეა, ვიდრე კურტუაზიულ-არისტოკრატიულ ზედა ფენებში და მოგვიანებით, უფრო მტკიცე, ვიდრე მსხვილბურჟუაზიულ ჯგუფებში, რომლებიც უკვე სრულად დაწინაურდნენ და სოციალურ მწვერვალს მიაღწიეს, უმაღლესი ფენის ხასიათი შეიძინეს. მაგრამ რაც უნდა მწვავე იყოს ბრძოლის ამ ფაზაში ეს დაპირისპირება, რაც უნდა დიდი იყოს ბურჟუაზიის ემანსიპაცია არისტოკრატიის იდეალებისა და ბატონობისაგან, ქცევის სქემა, რომელსაც ბიურგერული უმაღლესი წრეები განავითარებენ, მას შემდეგ, რაც ისინი საბოლოოდ არისტოკრატიის ფუნქციას იღებენ და სოციალური ზედა ფენების პოზიციას დაიკავებენ, არის ძველი და ახალი ზედა ფენების ქცევის კოდექსის ამ შევსების პროდუქტი, რადგან დაწინაურების ყოველი მოძრაობა ასიმილაციის ფაზას გულისხმობს.

ცივილიზაციის მოძრაობის დიდი ხაზი, სულ უფრო ფართო ფენების ბიძგისებური დაწინაურება იგივეობრივია დასავლური სამყაროს ყველა ქვეყანაში და მის გარეთ არსებულ უფრო და უფრო ფართო რეგიონებშიც. იგივეობრივია ასევე მისი სტრუქტურული თავისებურება, საფუძვლად მდებარე მზარდი ფუნქციური დანაწილება კონკურენციის წნეხის ქვეშ, ყველაფრის ყველაფერზე თანაბარად დამოკიდებულების ტენდენცია, რომელიც დიდი ხნის მანძილზე არცერთ ფუნქციონალურ ჯგუფს არ აძლევს მეორეზე მეტ სოციალურ ძალას და რომელიც მნიშვნელოვან პრივილეგიებს აუქმებს. იგივეობრივია თავისუფალი კონკურენტული ბრძოლების მიმდინარეობაც: ამ ბრძოლებს მონოპოლიათა რამდენიმე ადამიანის ხელში თავმოყრისა და საბოლოოდ, მონოპოლიებზე გამგებლობის

ძალაუფლების უფრო ფართო ფენების ხელში გადასვლამდე მივყავართ. ყველაფერი ეს ნათლად გამოვლინდება ამ საფეხურზე, არისტოკრატიის პრივილეგიების წინააღმდეგ ბურჟუაზიის ბრძოლაში, ოდესღაც პატარა ჯგუფების ინტერესებით მართული საგადასახადო და ძალისმიერი მონოპოლიის „საჯაროდ გადაქცევაში", გაბურჟუაზებაში ან გასახელმწიფოებრიობაში; ყოველივე ეს, ადრე თუ გვიან, ამა თუ იმ გზით, ერთნაირად ხდება დასავლური ინტერდეპენდენტური ქსელის ყველა ქვეყანაში. მაგრამ, მსგავსად განსხვავებული გზებისა, რომელთაც ცალკეულ ქვეყნებში მათი სტრუქტურისა და მდგომარეობის შესაბამისად ამისაკენ მივყავართ, განსხვავებულია ქცევის ნიშნები, აფექტური რეგულირების სქემა, ლტოლვითი სამყაროსა და „ზე-მე"-ს ის სტრუქტურა, რომელიც ცალკეულ ერებში საბოლოოდ დაინერგება.

ისინი განსხვავებულია, კიდევ ერთხელ რომ აღვნიშნოთ, იმგვარ ქვეყნებში, როგორიცაა მაგალითად, ინგლისი, სადაც კურტუაზიულ-არისტოკრატიული ფაზა შედარებით მოკლე იყო, სადაც ადრიანად დამყარდა კავშირები და კონტაქტები საქალაქო-ბურჟუაზიულ და პროვინციულ-არისტოკრატიულ ფენებს შორის და სადაც ზედა ფენებისა და დაწინაურების პროცესში მყოფი საშუალო ფენების ქცევათა ფორმების შევსება თანდათანობით, არაერთი ბიძგითა და უკუსვლით ხორციელდებოდა. ისინი განსხვავებულია გერმანიაში, რომელიც არარსებული ცენტრალიზაციისა და მისი შედეგების გამო, ოცდაათწლიანი ომის მიზეზით, ბევრად უფრო დიდხანს იყო შედარებით ღარიბი ქვეყანა, ცხოვრების უფრო დაბალი სტანდარტით, ვიდრე მისი დასავლელი მეზობლები. გერმანიამ განვლო აბსოლუტიზმის განსაკუთრებით გრძელი ფაზა არაერთი პატარა, არცთუ კარგად უზრუნველყოფილი სასახლის კარით და სწორედ ცენტრალიზაციის არარსებობის გამო, შედარებით გვიან და სუსტად დაინყო კოლონიური ექსპანსია ქვეყნის გარეთ. ყველა ამ მიზეზის გამო, გერმანიაში შინაგანი დაძაბულობანი, არისტოკრატიის წინააღმდეგობა ბურჟუაზიისადმი ძლიერი და შეუპოვარი იყო, ცენტრალური მონოპოლიები კი, ბიურგერული ფენებისათვის ძნელად მისადგომი. ქალაქურ-ბურჟუაზიული ფენები გერმანიაში, შუა საუკუნეებში, გარკვეული ხნის მანძილზე, პოლიტიკურად და ეკონომიურად ძლიერები იყვნენ; აქ ისინი უფრო დამოუკიდენელნი და თვითდაჯერებულნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ევროპის რომელიმე სხვა ქვეყანაში. ამდენად, განსაკუთრებით საგრძნობი იყო მათი პოლიტიკური და ეკონომიკური დაღმასვლის შოკი. თუ ოდესღაც, გერმანიის ბევრ მხარეში ბურჟუაზიული საშუალო-წოდებრივი ტრადიციები განსაკუთრებით წმინდა ფორმით ჩამოყალიბდა, რადგან ქალაქური ფორმაციები ასე მდიდარი და დამოუკიდებელი იყო, ახლა ისინი აგრძელებდნენ არსებობას, როგორც სპეციფიკურ- ბიურგერული ტრადიციები, რადგან მისი მატარებლები განსაკუთრებით ღარიბნი და სოციალურად უძლური ადამიანები იყვნენ. და მხოლოდ

მოგვიანებით მივიდა ეს პროცესი, შესაბამისად, ბიურგერული და არისტოკრატიული წრეების უფრო მეტ ურთიერთშეღწევამდე, ორივე ფენის ქცევის ფორმების შევსებამდე; დიდი ხნის განმავლობაში, მათი მცნებათა და აკრძალვათა ცხრილები, ერთმანეთის გვერდით განაგრძობდნენ არსებობას თითქმის ყოველგვარი კავშირის გარეშე. და რამდენადაც მთელი ამ ხნის მანძილზე, საგადასახადო მონოპოლიის, ისევე როგორც პოლიციური და საჯარისო ადმინისტრაციათა ძირითადი პოსტები არისტოკრატიას ეკუთვნოდა, ბურჟუაზიის მეხსიერებაში ღრმად აღიბეჭდა მიჩვევა ძლიერ, გარეგნულ სახელმწიფო ავტორიტეტზე; მაგალითად, ინგლისში, მისი არაკონტინენტური მდებარეობის გამო [152], დიდი ხნის განმავლობაში არც სახმელეთო ჯარი და არც ცენტრალიზებული პოლიციური ძალაუფლება მისი მცხოვრებლებისათვის არავითარ დიდ როლს არ თამაშობდა, როგორც ფორმირების ინსტრუმენტი. თუმცა, გარკვეული ხარისხით ფლოტს ეს ფუნქცია ჰქონდა. მაშინ როცა, პრუსიის გერმანიაში მისი გაშლილი და ადვილად გადასალახი სახელმწიფო საზღვრებით, მის მცხოვრებთა ფორმირებისათვის ისეთივე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა არისტოკრატიის, პრივილეგირებული ფენების წინამძღოლობით მართულ არმიას, როგორც ძლიერ პოლიციურ ძალაუფლებას. მაგრამ ძალისმიერი მონოპოლიის ამგვარი სტრუქტურა იმდენად არ საჭიროებდა ცალკეულ ადამიანებს თავის კონტროლისათვის, როგორც მაგალითად ინგლისური; ის არ უბიძგებდა ინდივიდებს მთელი სიცოცხლის მანძილზე "team-work"-ში დამოუკიდებელი და ნახევრად ავტომატური ჩართვისაკენ, არამედ ის პატარაობიდანვე აჩვევდა ცალკეულ ადამიანს უკიდურესი ზომით სხვებისადმი, ბრძანებისადმი მორჩილებას. სახელმწიფოებრივი თანაცხოვრების თვალსაზრისით, ძალისმიერი ინსტრუმენტების ამ სტრუქტურის საფუძველზე გარეგანი იძულების გადასვლა შინაგან იძულებაში ნაკლებად ხდებოდა. გარდა ამისა, დიდი ხნის განმავლობაში აქ არ არსებობდა ფუნქცია, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში, განსაკუთრებით ინგლისში, არისტოკრატიულ და ბურჟუაზიულ ფენებს საერთო პერსპექტიული ხედვისაკენ, ერთი და იმავე სქემის მიხედვით განხორციელებული თვითკონტროლისაკენ უბიძგებდა, კერძოდ, ფართოდ დაქსელილი ინტერდეპენდენტური ქსელის ცენტრის, კოლონიური იმპერიის ზედა ფენების ფუნქცია. ასე, რომ აქ ერთეული ადამიანის ლტოლვათა რეგულირება განსაკუთრებით შეთანხმებული იყო ძლიერ, გარეგნულ სახელმწიფო ძალაუფლების არსებობასთან. თუ ასეთი რამ სახეზე არ იყო, აფექტურ წონასწორობას, ინდივიდის თვითფლობას საფრთხე ემუქრებოდა; თაობიდან თაობამდე ბიურგერულ მასებში ყალიბდებოდა „ზე - მე", რომელიც იმაზე იყო მიმართული, რომ სპეციფიკური პერსპექტიული ხედვა, რომელსაც მთელი საზოგადოების მართვა და ორგანიზაცია მოითხოვდა, განსაკუთრებული და სოციალურად მაღალი რანგის მქონე წრეებისათვის დაეთმოთ. ამ

ნაშრომის შესავალში უკვე ვაჩვენეთ, როგორ მივყავართ ამ ბედისწერას ბურჟუაზიის აღმავლობის ადრეულ ფაზაში ბიურგერული თვითცნობიერების სპეციფიკური ფორმისაკენ, ყოველივე იმისგან შემობრუნებისაკენ[153] (რაც მმართველობის მონოპოლიის ადმინისტრირებას უკავშირდება) და შიგნით ჩაღრმავებისაკენ, ღირებულებათა შკალაზე გონითისა და კულტურულისათვის განსაკუთრებით მაღალი ადგილის მინიჭებისაკენ.

და საბოლოოდ, ნაჩვენები იქნა სხვა მსვლელობაც, რომელსაც შესაბამისი მოძრაობები იღებდა საფრანგეთში. აქ, ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, ეს პროცესი უფრო სწორხაზოვნად მიდიოდა სასახლის კარის წრეების, ჯერ კურტუაზიულ, შემდეგ კი უფრო და უფრო დიდებულ სასახლის კართა ჩამოყალიბებისაკენ, სანამ საბოლოოდ, სასახლის კარის ბევრ მმართველს შორის შესარჩევი ბრძოლები ერთადერთი, ყველაზე ძლიერი და მდიდარი სამეფო კარის ჩამოყალიბებით არ დასრულდა, რომლისკენაც მთელი ქვეყნის შემოსავლები მიედინებოდა. ამიტომ, აქ, შედარებით ადრე ჩამოყალიბდა ცენტრზე ორიენტირებული, ეკონომიკური თვდაცვის პოლიტიკა, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, თვით მონოპოლიური მმართველის ინტერესიდან გამომდინარე, მართული იყო რაც შეიძლება მდიდარი საგადასახადო შემოსავლების მოთხოვნით, მაგრამ, რომელიც, ამავე დროს, ვაჭრობის გაჩაღებას ემსახურებოდა, რასაც შეძლებული ბიურგერული ფენების განვითარებისაკენ მივყავდით. შედარებით ადრე მყარდებოდა კონტაქტები დაწინაურების პროცესში მყოფ ბურჟუაზიასა და ყოველთვის ფულით ღარიბ, სასახლის კარის არისტოკრატიას შორის. გერმანიის ბევრი, შედარებით პატარა და უმეტესად ნაკლებად შეძლებული აბსოლუტისტური სამეფოებისაგან განსხვავებით, საფრანგეთის ცენტრალიზებული და მდიდარი, აბსოლუტისტური რეჟიმი ხელს უწყობდა როგორც გარეგან იძულებათა თვითიძულებად ტრანსფორმირებას, ისე კურტუაზიულ-არისტოკრატიული და ბიურგერული ქცევის ფორმების შევსებას. და როცა საბოლოოდ, ამ საფეხურზე დასრულდა ქვემოდან აღმასვლა და მასთან ერთად საზოგადოებრივი სტანდარტის ის გათანაბრება და ნიველირება, რომელიც მახასიათებელია ცივილიზაციის მთელი ამ პროცესისათვის, როცა არისტოკრატიამ დაკარგა თავისი მემკვიდრეობითი უფლებანი, თავისი, როგორც განსაკუთრებული ზედა ფენის ექსისტენცი და ბიურგერულმა ფენებმა ზედა ფენების ფუნქცია შეიძინეს, აქ ის უფრო სწორხაზოვნად და უწყვეტად განაგრძობდა განვითარებას, ვიდრე ევროპის სხვა დანარჩენ ბიურგერულ ფენებში, როგორც შედეგი კურტუაზიული ფაზის მოდელების, ლტოლვათა გაფორმებისა და ქცევათა ფორმების აქამდელი, ხანგრძლივი გამსჭვალვისა.

მოკლე შეჯამება

თუ ამ განვლილ მოძრაობას მთლიანობაში გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ეს არის ცვლილება სრულიად განსაზღვრული მიმართულებით. რაც უფრო შორს წავალთ, მრავალი ერთეული ფაქტის გავლით, წარსულის სტრუქტურებისა და გადაჯაჭვულობის იძულებათა მიმართულებით, მით უფრო ცხადად გამოიკვეთება ჩვენს თვალწინ იმ პროცესთა მყარი კონსტრუქცია, რომელსაც აქა-იქ გაბნეული ფაქტები მიებმის. ისევე როგორც ოდესღაც, დაინტერესებული ადამიანისათვის აზროვნების არასწორი ბილიკებისა და თემშარის გავლით, ბუნებაზე ცალკეული დაკვირვებებიდან ნელ-ნელა, ბუნებრივი კავშირების უფრო სრული ხედვა ამოიზარდა, ასევე ჩვენს დროში, კაცობრიობის წარსულის ფრაგმენტები, რომლებიც მრავალი თაობის გარჯის წყალობით ჩვენს თავში და წიგნებშია დაგროვილი, თანდათან დალაგდება ისტორიული კავშირებისა და ადამიანური კოსმოსის უფრო დასრულებული სურათის სახით. შეიძლება დასაშვები და მისთვის მომგებიანი იყოს ის, რომ ეს ჩაკეტილი სურათი რამდენიმე შტრიხით დავასრულოთ და გარკვეული თვალსაზრისით შევაჯამოთ, იმის გათვალისწინებით, რაც ჩვენს თავს ხდება: კერძოდ, სოციალური ქსელის ცვლილებები მკვეთრად გამოხატულ პროფილს დამკვირვებლისათვის მაშინ შეიძენენ, როცა ის მათ საკუთარი ეპოქის მოვლენებთან კავშირში განიხილავს. აქაც, ისევე როგორც ეს ხშირად ხდება, თანამედროვე ხდომილებათა ხედვა გასაგებს ხდის წარსულ მოვლენათა გაგებას და მომხდარში ჩაღრმავება ნათელს მოჰფენს იმას, რაც ახლა ხდება: ჩვენი დროის გადაჯაჭვულობის მექანიზმთაგან მრავალი შემდგომშიც იგივე მიმართულებით აგრძელებს დასავლური საზოგადოების სტრუქტურაში განხორციელებულ, უკვე განვლილი ტრანსფორმაციების ცვალებად მოძრაობას.

ჩვენ ვაჩვენეთ[154], რომ დასავლური საზოგადოების უკიდურესი, ფეოდალური დეზინტეგრაციის მდგომარეობაში, ამოქმედებას იწყებს გარკვეული გადაჯაჭვულობის მექანიზმები, რომლებიც ინტეგრაციისაკენ უბიძგებს სულ უფრო დიდ გაერთიანებებს. უფრო პატარა სახელისუფლო ერთეულების, ტერიტორიულ გაერთიანებათა კონკურენტული და შესარჩევი ბრძოლებიდან (რომლებიც თავად კიდევ უფრო პატარა გაერთიანებათა შესარჩევი ბრძოლების შედეგად ყალიბდებიან), თანდათან გამოდის ჯერ რამდენიმე, საბოლოოდ კი *ერთადერთი* გამარჯვებული. გამარჯვებული ქმნის უფრო დიდი სახელისუფლო ერთეულის ინტეგრაციულ ცენტრს, სახელმწიფო ორგანიზაციის მონოპოლიურ ცენტრს, რომლის ფარგლებშიც ოდესღაც თავისუფლად კონკურირებადი მხარეები და ადამიანთა ჯგუფები ერთმანეთს შეერწყმის მეტ-ნაკლებად ერთიანი, მაღალი რიგის უკეთესად თუ უარესად დაბალანსებული ადამიანური ქსელის სახით.

თავის მხრივ, დღეს ეს სახელმწიფოები, ერთმანეთთან კვლავ

ქმნიან თავისუფლად კონკურირებად ადამიანურ გაერთიანებათა ანალოგიურ წონასწორობის სისტემას, როგორც ოდესღაც პატარა ერთეულები, რომლებიც ახლა მათთანაა შერწყმული. თანადათან, დაძაბულობათა წნეხის ქვეშ, კონკურენტული მექანიზმის იძულებით, რომლებიც მთელს ჩვენს საზოგადოებას გამუდმებულ ბრძოლითა და კრიზისებით აღსავსე მოძრაობაში ჩართულს ამყოფებს, ეს სახელმწიფოებიც უფრო და უფრო ძლიერად უპირისპირდებიან ერთმანეთს. ბევრი მოქიშპე, სახელისუფლო გაერთიანება იმდენადაა გადაჯაჭვული ერთმანეთს, რომ ყოველ გაერთიანებას, რომელიც ერთ ადგილზე დგას და რომლის ძლიერება არ მატულობს, იმის საფრთხე ემუქრება, რომ კიდევ უფრო დასუსტდება და სხვა სახელმწიფოებზე დამოკიდებული გახდება. ისევე როგორც მზარდი კონკურენტული დაძაბულობის ყოველ ბალანსურ სისტემაში, სადაც ცენტრალური მონოპოლია არ არსებობს, ძლიერი სახელმწიფო გაერთიანებანიც, რომლებიც ამ ბალანსური სისტემის პირველადი დაძაბულობის ღერძს ქმნიან, განუწყვეტელი ტრიალში ერთმანეთს თავიანთი ძალაუფლებრივი პოზიციის გაფართოებისა და გაძლიერებისაკენ უბიძგებენ. სრული ინტენსივობით იწყება ბრძოლა ჰეგემონიისათვის და ასევე, გააზრებულად თუ გაუაზრებლად, კიდევ უფრო დიდი მხარეების მონოპოლიური ცენტრის წარმოქმნისათვის. და თუ დასაწყისში, პირველ რიგში, საქმე ეხება ბატონობას დედამიწის სხვადასხვა ნაწილებზე, მჭიდრო კავშირების დამყარების შესაბამისად, ამის ქვეშ უკვე იგულისხმება უფრო და უფრო დიდი რეგიონები, მართლაც, ბატონობისათვის ბრძოლები იმ გადაჯაჭვულობათა სისტემაში, რომელიც მთელ დასახლებულ მიწებს მოიცავს.

დღევანდელ დღეს, ისევე როგორც წარსულში, გადაჯაჭვულობის ის მექანიზმი, რომელზედაც ამ გამოკვლევაში ასე ხშირად გვქონდა საუბარი, არანაკლებ შეუკრავს ადამიანებს სუნთქვას და ინსტიტუტებისა და მთელი ადამიანური ურთიერთობის გარდაქმნისაკენ უბიძგებს. ჩვენი საკუთარი ეპოქის ეს გამოცდილებაც ეწინააღმდეგება წარმოდგენას, რომელიც საუკუნეზე მეტია ბატონობს ადამიანთა აზროვნებაში, წარმოადგენას, რომ თავისუფლად კონკურირებად ერთეულთა — იქნება ეს სახელმწიფოები, კონცერნები, მეწარმენი თუ სხვა — ბალანსურ სისტემას უსასრულოდ დიდხანს შეუძლია დარჩეს ამ ლაბილური წონასწორობის მდგომარეობაში. დღეს, როგორც ოდესღაც, მონოპოლიისაგან თავისუფალი კონკურენციის ეს წონასწორობის მდგომარეობა მონოპოლიათა ჩამოყალიბებისაკენ ისწრაფვის. რატომაა ეს წონასწორობის მდგომარეობა ამდენად არასტაბილური და მისი სხვაში გადასვლის ალბათობა ამდენად დიდი, კონკურენტული და მონოპოლიური მექანიზმის ზემოთ მოცემულ [55] ზოგად შესავალში ვაჩვენეთ.

და დღეს, ისე ნაკლებად, როგორც არასდროს, „ეკონომიკური" მიზნები და იძულებანი, ქმნიან ასეთი ცვლილებების საწყის იმპულსს

მხოლოდ თავისთვის *და* *მხოლოდ* პოლიტიკური მოტივებისა და მოტორებისათვის. სახელმწიფოთა ამ კონკურენციაში „მეტი" ფულის ან „მეტი" ეკონომიკური ძალაუფლების საშუალებათა მოპოვება სრულიადაც არ არის ნამდვილი საბოლოო მიზანი და მეორე მხრივ, ასევე სახელმწიფო ძალაუფლების სფეროს გაფართოება, უფრო მეტი პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლების მოპოვება სულაც არ არის მხოლოდ მისი ნიღაბი, მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის საშუალება. ფიზიკური ძალადობის გამოყენების მოწესრიგებული თუ მოუწესრიგებელი მონოპოლიები და ეკონომიკური მოხმარებისა და წარმოების საშუალებანი ერთმანეთთან განუყოფლადაა დაკავშირებული, მაგრამ არა ისე, რომ ერთი ნამდვილ ბაზისს და მეორე, მარტოოდენ „ზედნაშენს" წარმოადგენდეს. ორივე, თავიანთი მდგომარეობის შესაბამისად, სოციალურ ქსელში სპეციფიკურ დაძაბულობებს იწვევს, რომელთაც ამ ქსელის ცვლილებებისაკენ მივყავართ. *ორივე ერთად ქმნის იმ ჯაჭვების კლიტეს, რომლითაც ადამიანები ერთმანეთს შებოჭავენ.* და გადაჯაჭვულობათა ორივე სფეროში, როგორც პოლიტიკურში, ისე ეკონომიკურში, გადაჯაჭვულობის იგივე იძულებანი მოქმედებს, თანაც, ერთმანეთთან გამუდმებულ ინტერდეპენდენცში. დიდი ვაჭრის მიერ თავისი საქმიანობის გააქტიურების ტენდენცია საბოლოოდ გაქრება, მთელი ადამიანური ქსელის დაძაბულობათა ზეწოლით, პირველ ყოვლისა, მისი გამგებლობის სფეროს შემცირების და მისი დამოუკიდებლობის დაკარგვის საფრთხის მეშვეობით, რომელშიც ის აღმოჩნდება, თუ მოქიშპე მეწარმენი მასზე მეტად გაძლიერდებიან. ზუსტად ასევე, მოქიშპე სახელმწიფოები მთელი ქსელის დაძაბულობის ზეწოლის გავლენით, რომელსაც ისინი ქმნიან, კონკურენტული ხრახნის ტრიალით ერთმანეთს უფრო და უფრო წასწევენ წინ. ბევრ ადამიანს შეიძლება სურდეს შეაჩეროს ხრახნის ეს მოძრაობა, „თავისუფალი" კონკურენტებისა და ბრძოლების წონასწორობის მდგომარეობის ეს ამოვარდნა, ცვლილებები, რომელიც ამ ამოვარდნას მოაქვს თან. განვლილი ისტორიის განმავლობაში, ამგვარი გადაჯაჭვულობის იძულებები უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ამ სურვილების ძალა. და ასე უბიძგებენ დღესაც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, რომლებიც ჯერ კიდევ არ რეგულირდება ყოვლისმომცველი ძალისმიერი მონოპოლიით, ასეთ მონოპოლიათა წარმოშობისაკენ და ამით უფრო დიდ სახელისუფლო გაერთიანებათა წარმოქმნისაკენ.

ასეთ დიდ სახელისუფლო გაერთიანებათა წინარე ფორმები, შეერთებული შტატები, იმპერიები თუ ერთა ლიგები, ცხადია, ჩვენს დროშიც არსებობს. ისინი ყველა შედარებით არასტაბილურნი არიან. ისევე როგორც ოდესღაც ტერიტორიულ სამფლობელოთა საუკუნოვან ბრძოლაში, ახლაც, ისევე სახელმწიფოთა შორის ბრძოლაში გადაუწყვეტელი და გადაუწყვეტადია, სად იქნება ცენტრი და საზღვრები უფრო დიდი პოლიტიკური გაერთიანებისა, რომელთა წარმოშობისაკენ ეს შერკინება უბიძგებს. ისევე როგორც უნინ,

დღესაც შეუძლებელია იმის გათვლა, რა დრო შეიძლება გავიდეს, სანამ ეს ბრძოლა თავისი უამრავი ბიძგისა და უკუბიძგის გავლით საბოლოოდ დასრულდება. და ამავე დროს, უფრო პატარა გაერთიანებათა წევრების მსგავსად, რომელთა ბრძოლას თანდათან სახელმწიფოთა ჩამოყალიბება მოჰყვებოდა[156], ჩვენც, თითქმის მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა გვაქვს იმის შესახებ, როგორი შეიძლება იყოს იმ დიდ სახელისუფლო გაერთიანებათა სტრუქტურა, ორგანიზაცია და ინსტიტუტები, რომელთა ჩამოყალიბებისაკენ დღევანდელ აქციებს მივყავართ და იციან ეს მასში მონაწილე აქტიორებმა, თუ არა. ცხადია მხოლოდ ერთი რამ— მიმართულება, რომლითაც ჩვენი გადაჯაჭვულობის ტიპი გაგრძელდება. დაძაბულობის ძლიერი ზეწოლის არსებობისას, რომელიც თან მოაქვს ჩვენი საზოგადოების სტრუქტურას, სახელმწიფოთაშორისი კონკურენტული დაძაბულობანი არ ჩაწყნარდება მანამ, სანამ მთელი რიგი სისხლიანი თუ უსისხლო შეტაკებათა გზით, სტაბილური არ გახდება უფრო დიდ პოლიტიკურ გაერთიანებათა ძალისმიერი მონოპოლია და ცენტრალური ორგანიზაცია, რომლის ფარგლებში მრავალ პატარ „სახელმწიფოს", თავის მხრივ, უფრო განონასწორებულ ერთიანობად შეზრდის უნარი აქვს. გადაჯაჭვულობის მამოძრავებელ მექანიზმი, ფაქტიურად უკიდურესი ფეოდალიზმის ხანიდან დღემდე, აქ, დასავლური სამყაროს ადამიანური ქსელის ცვლილებებს იგივე მიმართულებით აგრძელებს.

და ანალოგიურ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე „თანამედროვეობის" სხვა ბევრი მოძრაობის თვალსაზრისით. ისინი სულ სხვაგვარად წარმოგვიდგება, თუ მათ იმ ნაკადის მომენტებად განვიხილავთ, რომელსაც ჩვენ, „წარსულს" ან „ისტორიას" ვუწოდებთ. სხვადასხვა სახელისუფლო გაერთიანებათა *შიგნითაც* მონოპოლიისაგან თავისუფალი კონკურენტული ბრძოლების სერიას ვხედავთ. მაგრამ აქ, თავისუფალი კონკურენტული ბრძოლები ბევრ ადგილას საბოლოო ფაზას უახლოვდება. ყველგან, ეკონომიკური იარაღით წარმოებულ ამ ბრძოლებში უკვე ყალიბდება კერძო მონოპოლიური ორგანიზაციები. და როგორც ოდესღაც, ცალკეული სათავადო სახლების ხელში საგადასახადო და ძალისმიერი მონოპოლიათა თავმოყრასთან ერთად საგრძნობი გახდა გარდაუვალობანი, რომელთაც საბოლოოდ ხელისუფლების გაფართოებამდე მივყავდით, იქნებოდა ეს მონოპოლიური, აღმასრულებელი ხელისუფლების რომელიმე საჯაროდ არჩეული საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის დაქვემდებარების გზით თუ „განსახელმწიფოებრიობის" რომელიმე ფორმის საშუალებით, ასევე ჩვენს ეპოქაში, სრულებით ერთმნიშვნელოვნად ვხედავთ იმ გადაჯაჭვულობათა იძულებების ამოქმედებას, რომლებიც შეზღუდავს შედარებით ახალი, „ეკონომიკური" მონოპოლიური ორგანიზაციების კერძო მფლობელობის შესაძლებლობას და მათი სტრუქტურის ძველთან დაახლოებისაკენ, საბოლოოდ კი ორივე ამ სტრუქტურის ორგანიზატორული შერწყმისაკენ უბიძგებს.

იგივე ითქმის სხვა დაძაბულობებზეც, რომელთაც სხვადასხვა პოლიტიკურ გაერთიანებათა შიგნით ცვლილებებისაკენ მივყავართ. ეს არის დაძაბულობები ერთი მხრივ, იმ ადამიანთა შორის, რომლებიც უშუალოდ განაგებენ მონოპოლიურ ინსტრუმენტებს, როგორც მემკვიდრეობით მიღებულ საკუთრებას და მეორე მხრივ, მათ შორის, რომელთაც ამგვარი ინსტრუმენტების ფლობის შესაძლებლობა არ გააჩნიათ და რომლებიც არა თავისუფალ, არამედ შეზღუდულ კონკურენციაში არიან ჩართულნი, ერთობლივად არიან დამოკიდებულნი შანსებზე, რომლებიც მონოპოლიურ მმართველთა განკარგულებაშია. აქაც ისტორიული ბიძგის ცენტრში ვიმყოფებით, რომელიც საკუთარ თავში გააერთიანებს აღმავლობის ადრინდელ ბიძგებს, ისე როგორც აღელვებული ზღვის დიდი ტალღა უფრო პატარას შეიერთებს და თავისი დინების მიმართულებით წაიღებს.

ზემოთ, მონოპოლიის მექანიზმის დადგენისას ზოგადად ვაჩვენეთ[157], როგორ და რატომ იცვლება განსაზღვრული სიძლიერის დაძაბულობის ზეწოლისას მონოპოლიის მმართველთა და მონოპოლიის მსახურთა შორის არსებულ დაძაბულობაშიც წონასწორობა ხან სწრაფად, ხან კი ნელა. ნაჩვენები იქნა ისიც, რომ ამ მიმართულებით ბიძგები დასავლური საზოგადოების ჯერ კიდევ ადრეულ ეტაპზე ხორციელდება. მაგალითად, მათ ვხვდებით ფეოდალიზების პროცესშიც, მიუხედავად იმისა, რომ აქ, უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება გარდატეხას თვით ზედა ფენების შიგნით; და გარდა ამისა, აქ ამ გარდაქმნას, ნაკლები ფუნქციური დანაწილების შესაბამისად, ბევრისათვის ხელსაყრელად, მცირეთათვის კი საზიანოდ, მონოპოლიურ შანსებზე გამგებლობის დეზინტეგრაციისაკენ, მონოპოლიური ცენტრების გაუქმებისაკენ მივყავართ.

თუ ფუნქციათა დანაწილება და მათი ინტერდეპენდენცი იზრდება, მაშინ ძალთა თანაფარდობის ასეთი გადანაცვლება გამოიხატება არა მანამდე ცენტრალიზებული მონოპოლიური შანსების მრავალ ცალკეულ ინდივიდს შორის დანაწილების ტენდენციაში, არამედ თვით მონოპოლიური ცენტრებისა და მონოპოლისტური შანსების სხვაგვარად სტრუქტურირებულ გამგებლობაში. ამას საკმაოდ ნათლად აჩვენებს ამგვარი, პირველი, დიდი გარდატეხის ფაზა, ბიურგერული ფენების ქიშპობა ახალი დროის უფრო ძველი, პირველი, დასრულებული მონოპოლიური ცენტრების მართვისათვის, რომელსაც თავდაპირველად, თავად მეფეები და ნაწილობრივ, არისტოკრატია განაგებდა, როგორც მემკვიდრეობით მიღებულ საკუთრებას. აღმასვლის ტალღები ჩვენს დროში უფრო რთულია, არაერთი მიზეზიდან გამომდინარე. ისინი უფრო რთულია თუნდაც იმიტომ, რომ უკვე აუცილებელია ბრძოლა არა მხოლოდ შედარებით ძველი საგადასახადო და ფიზიკური ძალადობის მონოპოლიური ცენტრის და არც მხოლოდ შედარებით ახლადჩამოყალიბებული, ჯერ კიდევ ქმნადობის პროცესში მყოფი ეკონომიკური მონოპოლიური ცენტრისათვის, არამედ აუცილებელია ერთდროული ბრძოლა ორივე

ამ მონოპოლიურ ცენტრზე კონტროლისათვის. მაგრამ გადაჯაჭვულობის იძულებათა ელემენტარული სქემა, რომელიც აქ მოქმედებს, ამ შემთხვევაში, მართლაც, მარტივია: ყოველ მემკვიდრეობით, განსაზღვრული ოჯახისათვის კუთვნილ შანსების მონოპოლიას შესაბამის სოციალურ გაერთიანებებში სპეციფიკური დაძაბულობებისა და დისპროპორციებისაკენ მივყავართ. ცხადია, ამგვარი დაძაბულობები ყველა საზოგადოებაში ურთიერთობათა ქსელის და ამით ინსტიტუტების ცვლილებისაკენაა მიდრეკილი, მიუხედავად იმისა, რომ ნაკლები დიფერენცირების და პირველ ყოვლისა, მეომართა ზედა ფენის ჩაყალიბების შემთხვევაში, ისინი მნიშვნელოვან როლს არ თამაშობენ. მაგრამ ძალზე მდიდარი ფუნქციური დანაწილების მქონე საზოგადოებანი განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან იმ დისპროპორციონალობისა და ფუნქციური დარღვევების მიმართ, რომლებიც ასეთ დაძაბულობებს მოჰყვება. ისინი, მთლიანობაში, უფრო მეტად დაზარალდებიან მათგან და უფრო ხანგრძლივად არიან ამგვარი დაძაბულობებით აფორიაქებული, ვიდრე ნაკლებ დიფერენცირებული საზოგადოებანი. და თუ ზოგჯერ, ამგვარი ძლიერი ფუნქციური დანაწილების მქონე საზოგადოებაში, ერთი კი არა, არამედ ორი და სამი გზა შეიძლება არსებობდეს, რომლითაც ეს დაძაბულობები გადაწყდებოდა და მოიხსნებოდა, *მიმართულება*, რომლითაც ისინი საკუთარი თავის დაძლევისაკენ წავიდოდნენ, ეს ყველა შემთხვევაში წინასწარაა მოცემული მათი გამოწვევის მეთოდის, მათი გენეზისის საფუძველზე: დაძაბულობანი, დისპროპორციები და ფუნქციური დარღვევები, რომლებიც რამდენიმე ადამიანის მონოპოლიური შანსების ფლობის ინტერესიდან გამომდინარეობს, არ შეიძლება დასრულდეს და გადაწყდეს, სანამ ფლობის ეს მეთოდი გადალახული არ იქნება. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, სრულიად აშკარად გადაუწყვეტელი და გადაუჭრადია, რა *დროს* მოითხოვს ეს დაძლევა და ბრძოლა.

ამ პროცესს შეესატყვისება ის, რაც ჩვენს დროში, ადამიანის ქცევასთან მიმართებაში, მისი ფსიქიკური ფუნქციების მთელ სტრუქტურასთან კავშირში ხდება. ამ ნაშრომში შევეცადეთ გვეჩვენებინა, როგორ და რატომ უკავშირდება ფსიქიკური ფუნქციების, ქცევის მართვის სტანდარტული სტრუქტურა სოციალური ფუნქციების სტრუქტურას და ადამიანთა შორის ურთიერთობების ცვლილებებს. ამ კავშირების ზედმიწევნით მიყოლა არის ის ამოცანა, რომელიც ჯერ კიდევ დგას ჩვენს წინ. ის, რაც ყველაზე ზოგადია, თავიდანვე ითქვა. გადაჯაჭვის იძულებანი, რომელიც დღეს ასე საგრძნობლად მოქმედებს ინსტიტუტების სწრაფ თუ ნელ ცვლილებებზე, ადამიანთაშორისი ურთიერთობების გარდაქმნაზე, არანაკლებ შესამჩნევად განაპირობებს ადამიანთა თვისებებისა და სულიერი სამყაროს აგებულების შესაბამის ცვლილებებს. ამ თვალსაზრისითაც, ნათელ სურათს იმისა, რაც გვემართება, მხოლოდ მაშინ მივიღებთ, თუ ამას განვიხილავთ, როგორც გარკვეული მიმართულების ბიძგს იმ

ადრინდელ პროცესებთან კავშირში, რომელთაც ის ეყრდნობა. აღმავლობის სხვა ბიძგების ვიბრაციაში ზედა ფენების მანამდე გაბატონებული სტანდარტი, საბოლოოდ, მეტ-ნაკლებად შერბილდა. ახალი სტანდარტის გამყარებას წინ უძღოდა დასუსტების ფაზა. ქცევის ფორმების გადატანა ხდებოდა არა მხოლოდ ზემოდან ქვემოთ, არამედ სოციალურ ძალთა თანაფარდობის გადანაცვლების შესაბამისად, ქვემოდან ზემოთაც. ასე დაკარგა ალბათ, ბურჟუაზიის აღმავლობის პროცესში კურტუაზიულ-არისტოკრატიულმა ქცევის კოდექსმა, გარკვეულწილად, შემბოჭავი ძალა. ურთიერთობისა და კომუნიკაციის ფორმები უფრო მერყევი ხდება და ამავე დროს, ნაწილობრივ, გაუხეშდა კიდეც. საშუალო ფენის წრეებში ქცევის გარკვეულ სფეროებზე უფრო მკაცრი ტაბუ იყო დაწესებული, პირველ ყოვლისა, ფულთან და სქესობრიობასთან დამოკიდებულებაში. შემდგომში ისინი სხვადასხვა გრადაციით უფრო ფართო წრეებში ვრცელდებოდა, სანამ ამ დაძაბულობის ბალანსის გაქრობასთან ერთად, ნორმების ლიბერალიზაციასა და გამკაცრებას შორის ამ მერყეობამ, ხანგრძლივი ბრძოლის შედეგად ორივე ფენის ქცევის კოდექსის ელემენტების ქცევის ახალ, მტკიცე კოდექსად შერწყმამდე არ მიგვიყვანა.

აღმავლობის ეს ტალღები, რომელთა ცენტრში ჩვენ ვცხოვრობთ, თავიანთი სტრუქტურის მიხედვით განსხვავებულია ყველა ადრეულთაგან. ისინი განაგრძობენ ადრინდელ მოძრაობებს და მათზე აშენებენ ახალ სტრუქტურებს. თუმცა, მსგავსი სტრუქტურის განსაზღვრულ მოვლენებს ვხვდებით ჩვენს ეპოქაშიც. აქაც წავაწყდებით ქცევის ტრადიციული სქემის შერბილებას, განსაზღვრული ქცევის მეთოდების აღმასვლას ქვემოდან, განსხვავებული ფენების ქცევის ფორმების უფრო ძლიერ ურთიერთგამსჭვალვას; ჩვენ ვხედავთ ქცევის სხვა სფეროთა გარკვეულ გამკაცრებას და სხვათა გაუხეშებას.

მსგავსი გარდატეხის პერიოდები დაფიქრებისათვის განსაკუთრებულ შანსებს გვთავაზობს: ძველი სტანდარტები ნაწილობრივ საეჭვო გახდა, ახალი, მტკიცე სტანდარტები ჯერ კიდევ არ არსებობს. ადამიანები დარწმუნებულნი არ არიან თავიანთი ქცევის მართვისას. თვით საზოგადოებრივი სიტუაცია „ქცევას“ ფარულ პრობლემად აქცევს. ასეთ ფაზებში და ალბათ, მხოლოდ ასეთ ფაზებში, ადამიანს ბევრ რამეზე აეხილება თვალი, რაც წინა თაობების ადამიანებს თავისთავად ცხადად მიაჩნდათ. შვილები განაგრძობენ დაფიქრებას იმაზე, რაზეც მათი მამები შეჩერდნენ; ისინი სვამენ კითხვას იმ საფუძვლებზე, რომელთა თაობაზე მამები კითხვის დასმის საჭიროებას ვერ ხედავდნენ: რატომ უნდა მოვიქცეთ აქ ასე და იქ — ისე? რატომ არის ეს ნებადართული და ეს აკრძალული? რა შეადგენს ამ მანერათა და იმ მორალურ მიწერილობათა აზრს? შეთანხმებანი, რომლებიც გადაუმოწმებლად გადადიოდა ერთი თაობიდან მეორეში, პრობლემური ხდება. და გარდა ამისა, უფრო მეტი მობილურობის, სხვა თვისებების მქონე ადამიანებთან უფრო ხშირი შეხვედრის

წყალობით ადამიანები სწავლობენ დისტანციიდან შეხედონ საკუთარ თავს: რატომაა ქცევის სქემა გერმანიაში სხვაგვარი ინგლისთან შედარებით, ინგლისში სხვაგვარი — ამერიკასთან შედარებით, რატომაა ყველა ამ ქვეყნების ქცევის მახასიათებლები განსხვავებული აღმოსავლეთის ან პრიმიტიულ საზოგადოებათა ქცევის მახასიათებელთაგან?

წინამდებარე გამოკვლევებით შევეცადეთ ამ კითხვებზე პასუხის გაცემას. ეს გამოკვლევები ძირითადად მხოლოდ იმ პრობლემებს მოიცავს, რომლებიც „ჰაერში ტრიალებს". რამდენადაც ამის შესაძლებლობას ცალკეულ ადამიანს თავისი ცოდნა აძლევს, ის ცდილობს, ახსნას ეს საკითხები და გაკვალოს გზა, რომელმაც დისკუსიების ქარცეცხლის გავლით, ადამიანთა თანამშრომლობისაკენ შეიძლება წაგვიყვანოს. ჩვენი საზოგადოების ქცევის სქემა, რომელიც ყოველ ადამიანში მოდელირების გზით პატარაობიდანვე ერთგვარ მეორე ბუნებად ყალიბდება და ძლიერი, სულ უფრო ზუსტად ორგანიზებული სოციალური კონტროლის საშუალებით მასში მუდამ ფხიზლობს, როგორც ჩანს, ზოგადადამიანური და ისტორიულობას მოკლებული მიზნებიდან გამომდინარე კი არ უნდა გავიგოთ, არამედ რაღაც ისტორიულ ხდომილებად, მთელი დასავლური სამყაროს ისტორიის მთლიანი ურთიერთკავშირიდან გამომდინარე, იმ სპეციფიკური ურთიერთობის ფორმებიდან, რომლებიც მისი მსვლელობისას წარმოიქმნება და იმ გადაჯაჭვულობის იძულებიდან, რომლებიც მის გარდაქმნას და მის რეპროდუცირებას უზრუნველყოფს. ეს სქემები მრავალშრიანია, ისევე როგორც ჩვენი ქცევის მთლიანი კონტროლი, როგორც ჩვენი სულიერი ფუნქციების სტრუქტურა. საერთოდ, მათ წარმოქმნასა და მათ კვლავწარმოებაში არანაკლები წვლილი მიუძღვის ემოციურ იმპულსებს, ვიდრე რაციონალურ, ლტოლვით და „მე"-ს ფუნქციებს ერთდროულად. უკვე დიდი ხანია ჩვეულებრივ რამედ იქცა, რომ რეგულირება, რომელსაც ინდივიდის ქცევა ემორჩილება ჩვენს საზოგადოებაში, არსებითად რაღაც რაციონალურად, მხოლოდ გონივრული განსჯის საშუალებით დააფუძნონ. აქ ეს სხვაგვარად გამოჩნდა:

როგორც ვნახეთ,[158] თავად რაციონალიზაცია და მასთან ერთად, სოციალური ტაბუს რაციონალური გაფორმება და დაფუძნება, მხოლოდ ერთი მხარეა ტრანსფორმაციისა, რომელიც მთელ სულიერ სამყაროს მოიცავს — როგორც ლტოლვათა, ისე „მე"-სა და „ზე-მე"-ს მართვას. ფსიქიკური თვითმართვის ამ ცვლილების მოტორს, როგორც ნაჩვენები იქნა, ქმნის გარკვეული მიმართულების გადაჯაჭვულობათა იძულებები, ურთიერთობათა ფორმების და მთელი სოციალური ქსელის ფორმის ცვლილება. ეს რაციონალიზაცია ფუნქციური ჯაჭვების ძლიერ დეფერენცირებასა და ფიზიკური ძალადობის ორგანიზაციაში მომხდარ შესაბამის ცვლილებებთან ერთად ხორციელდება. მის წინაპირობას წარმოადგენს ცხოვრების სტანდარტის და უშიშროების ზრდა, ფიზიკური დამარცხებისა თუ

განადგურებისაგან და ამით არარეგულირებადი შიშების შემოჭრისაგან უფრო მეტი დაცულობა, შიშებისაგან, რომლებიც ნაკლებ სტაბილური ძალისმიერი მონოპოლიების და ნაკლები ფუნქციური დანაწილების მქონე საზოგადოებებში ბევრად უფრო ძლიერად და ხშირად გამსჭვალავს ცალკეული ადამიანის მყოფობას. დღესდღეობით ჩვენ იმდენად ვართ მიჩვეულნი ასეთი სტაბილური ძალისმიერი მონოპოლიების არსებობას და შესაბამისად, ძალადობის გამოყენების დიდ შეზღუდვას, რომ თითქმის ვეღარ ვამჩნევთ მათ მნიშვნელობას ჩვენი ქცევის და სულიერი სტრუქტურისათვის. ჩვენ თითქმის აღარ ვაცნობიერებთ იმას, რა სწრაფად დაქუცმაცდებოდა და განადგურდებოდა ის, რასაც ჩვენ „გონებას" ვუწოდებთ, ჩვენი ქცევის ეს შედარებით შორსმჭვრეტელი, ლტოლვათა დამთრგუნველი და დიფერენცირებული მართვა, თუ შეიცვლებოდა შიშისმიერი დაძაბულობანი ჩვენში და ჩვენს გარშემო, თუ შიშები, რომლებიც ჩვენს ცხოვრებაში გარკვეულ როლს თამაშობს, უცებ მნიშვნელოვნად გაძლიერდებოდა ან შემცირდებოდა, ან როგორც ზოგიერთ მარტივ საზოგადოებაში ხდება, ერთდროულად, ხან მოიმატებდა, ხან შემცირდებოდა.

მხოლოდ მაშინ, თუ ამ ურთიერთკავშირამდე მივაღწევთ, მოვიპოვებთ მისასვლელს ქცევისა და მისი შესაბამისი, სოციალური მოთხოვნებითა და აკრძალვებით რეგულირების პრობლემასთან. შიშისმიერი დაძაბულობანი, ისე, როგორც სიამოვნებათა მთელი ეკონომია განსხვავებულია ყოველ ადამიანურ საზოგადოებაში, მის ყოველ ფენაში და ისტორიულ ფაზაში. ქცევის რეგულირების გასაგებად, რომელსაც საზოგადოება თავის წევრებს კარნახობს და მეხსიერებაში ჩაუბეჭდავს, საკმარისი არ არის ვიცნობდეთ რაციონალურ მიზნებს, რომლებიც მოთხოვნებისა და აკრძალვების დასაფუძნებლად არის მოყვანილი, არამედ გააზრებისას უნდა მივუბრუნდეთ იმ შიშის საფუძვლებს, რომლებიც ქცევების რეგულირების მიმართულებით გააქტიურებს ამ საზოგადოების წევრებს და უპირველეს ყოვლისა, კი იმ წევრებს, რომლებიც აკრძალვების განხორციელებას ადევნებენ თვალყურს. ამის დახმარებით, პირველად მივაღწევთ ცივილიზაციის თვალსაზრისით ქცევის ცვლილებათა უკეთეს გაგებას, თუ შევამჩნევთ შიშების სტრუქტურასა და დადგენაში განხორციელებულ რა ცვლილებებზე არიან ისინი დამოკიდებულნი. ამ გარდაქმნის მიმართულება ზემოთ იყო მოხაზული[159]: ძრწოლვა, ერთი ადამიანის უშუალო შიში მეორის წინაშე გარკვეულწილად მცირდება; მათთან მიმართებაში მატულობს გაშუალებული ანუ გაშინაგანებული შიშები; და როგორც ერთი, ისე მეორე უფრო უწყვეტი ხდება; შიშისა და ძრწოლვის ტალღები, ისე ხშირად აღარ აზვირთდება, რათა შემდგომ ისევ სწრაფად დაეშვას დაბლა, არამედ, ჩვეულებრივ, წინა ფაზასთან შედარებით ნაკლები მერყეობით საშუალო დონეზე გაჩერდება. თუ ამ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, მაშინ, როგორც აღმოჩნდა, ნელ-ნელა, უამრავი

საფეხურისა და ბიძგის გავლით, ქცევა უფრო „ცივილიზებულ“ ხასიათს იძენს. მაგრამ აქ, როგორც ყველგან, შიშების სტრუქტურა იძულებათა ფსიქიკური ანტიპოდია, რომელსაც ადამიანები თავიანთი სოციალური გადაჯაჭვულობის წყალობით ერთმანეთზე განახორციელებენ. შიშები ქმნის ერთ-ერთ დამაკავშირებელ გზას, ამასთან უმნიშვნელოვანესს, რომლის გავლითაც საზოგადოების სტრუქტურა ინდივიდუალურ ფსიქიკურ ფუნქციებზე გადადის. ქცევის, ისევე როგორც შიშების ცივილიზატორული ცვლილების მოტორი, განაპირობებს სოციალურ იძულებათა ერთ, სრულიად განსაზღვრულ ცვლილებას, რომელიც ერთეულ ადამიანზე მოქმედებს, საწყისს დაუდებს მთელი ურთიერთობათა ქსელის და უპირველეს ყოვლისა, მასში ძალისმიერი ორგანიზაციის სპეციფიკურ გარდაქმნას.

საკმაოდ ხშირად, ადამიანებს ეჩვენებოდათ და ეჩვენებათ, რომ მცნებები და აკრძალვები, რომლის საშუალებითაც ისინი ერთმანეთთან მიმართებაში თავიანთ ქცევას აწესრეგებენ და შესაბამისად შიშები, რომლებიც მათ ამოძრავებს, რაღაც ადამინისაგან დამოუკიდებლად არსებულია. რაც უფრო მეტად ვუღრმავდებით იმ ისტორიულ მიმართებებს, რომლებშიც აკრძალვები და შიშები წარმოიქმნება და ცვლილებას განიცდის, მით უფრო მეტად აეკვიატება დაფიქრებულ ადამიანს აზრი, რომელიც არც ჩვენი საქმიანობისა და თვითობის გაგებისათვის უნდა იყოს უმნიშვნელო; *მით უფრო ცხადად გამოჩნდება, რამდენადაა ადამიანური-ქმნილებანი ის შიშები, რომლებიც ადამიანს ამოძრავებს.* ცხადია შიშის, ისევე როგორც სიამოვნების აღქმის შესაძლებლობა, ადამიანური ბუნების უცვლელი ატრიბუტია. მაგრამ შიშების სიძლიერე, ტიპი და სტრუქტურა, რომელიც ერთეულ ადამიანში ჩაიბეჭუტება ან აალდება, არასოდეს არაა დამოკიდებული მხოლოდ მის ბუნებაზე დიფერენცირებულ საზოგადოებებში, და არც მაინც და მაინც იმ ბუნებაზე, რომელშიც ის ცხოვრობს. ისინი, საბოლოოდ, განისაზღვრებიან ისტორიისა და სხვა ადამიანებთან მისი ურთიერთობის აქტუალური აგებულების საშუალებით, მისი საზოგადოების სტრუქტურით და იცვლებიან კიდეც მათთან ერთად.

სინამდვილეში, აქ ჩვენ ვიპოვნით იმ ყველა იმ პრობლემის შეუცვლელ გასაღებს, რომელთაც ჩვენს წინაშე დააყენებს მცნებათა და „ტაბუს“ სულიერი ცხრილისა და ქცევის რეგულირება. სხვა ადამიანთა წინაშე შიშის აღძვრის გარეშე მოზარდი ვერასოდეს მოახდენს თავისი ქცევის რეგულირებას. ასეთი, ადამიანთა მიერ გამოწვეული შიშების მექანიზმის გარეშე ახალგაზრდა ადამიანური ცხოველი ვერასოდეს გახდება ზრდასრული არსება, რომელიც ადამიანის სახელს იმსახურებს, მისი ადამიანურობაც ნაკლებად აღწევს სიმწიფეს, რაც მის ცხოვრებას არასაკმარის სიხარულს და სიამოვნებას ანიჭებს. შიშები, რომელსაც უფროსი ასაკის ადამიანები ცნობიერად თუ არაცნობიერად პატარა ბავშვში აღძრავენ, მასში დაილექება და აქედან მოყოლებული, ნაწილობრივ, მეტ-ნაკლებად

დამოუკიდებლად რეპროდუცირდება. შიშების საშუალებით ბავშვის მოქნილი სული ისე გადამუშავდება, რომ ზრდის პროცესში ის თანდათანობით იძენს მოქმედი სტანდარტის შესაბამისად მოქცევის უნარს, მიუხედავად იმისა, ეს შიშები გამოწვეულია პირდაპირი ფიზიკური ძალადობის გზით რაიმეზე უარის თქმით თუ საკვებისა და სიამოვნებათა შეზღუდვით. და ადამიანის მიერ გამოწვეული შიშები საბოლოოდ, შინაგანად თუ გარეგნულად, ზრდასრულსაც შებოჭავენ. სირცხვილის შეგრძნობანი, შიში ომისა და ძრწოლა ღმერთის წინაშე, დანაშაულის გრძნობები, შიში სასჯელის თუ სოციალური პრესტიჟის დაკარგვის წინაშე, ადამიანთა შიში საკუთარი თავის, საკუთარი ლტოლვებისადმი მორჩილების წინაშე— ყველა ეს შიში, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, ადამიანში სხვა ადამიანის მიერაა გამოწვეული. მათი ძალა, ფორმა და ის როლი, რომელსაც ისინი ცალკეული ადამიანის სულიერ სამყაროში თამაშობენ, დამოკიდებულია საზოგადოების სტრუქტურაზე და მათ ბედზე ამ საზოგადოების შიგნით.

არცერთი საზოგადოება არ შეიძლება არსებობდეს ინდივიდუალური ლტოლვებისა და აფექტების რეგულირების, ინდივიდუალური ქცევის სრულიად განსაზღვრული მოწესრიგების გარეშე. ასეთი რეგულირება შეუძლებელია ისე, რომ ადამიანებმა ერთმანეთზე იძულება არ გამოიყენონ. ყოველი იძულება იმ ადამიანში, რომელზედაც იძულებას ახორციელებენ, შიშის ამა თუ იმ ფორმაში გადადის. ამან შეცდომაში არ უნდა შეგვიყვანოს: თვით ადამიანის მიერ სხვა ადამიანში ადამიანური შიშების აღძვრა და კვლავ გაჩენა გარდაუვალი და აუცილებელია, ადამიანთა თანაცხოვრების რა ფორმასთანაც უნდა გვქონდეს საქმე, სადაც არ უნდა გადაიკვეთებოდეს მრავალი ადამიანის მისწრაფება და ქმედება, იქნება ეს მუშაობისას, ურთიერთობისას თუ სასიყვარულო თამაშებისას. მაგრამ არ უნდა დავიჯეროთ და არ უნდა ვეცადოთ თავი მოვიტყუოთ, რომ მცნებებსა და შიშებს, რომლებიც *დღეს* ადამიანის ქცევას თავის დაღს დაასვამს, უბრალოდ და არსებითად, ადამიანური თანაცხოვრების ეს ელემენტარული აუცილებლობები აქვთ „მიზნად“, რომ ისინი უკვე ჩვენს სამყაროში, იმ იძულებებით და შიშებით იზღუდებიან, რომლებიც აუცილებელია მისწრაფებათა უფრო ზომიერი დაბალანსებისა და სოციალური თანამშრომლობის გამართულად ფუნქციონირებისათვის. ქცევის ეს ტაბულები ისე წინააღმდეგობრივი და ისე სავსე დისპროპორციონალობებით, როგორც ჩვენი თანაცხოვრების ფორმები, როგორც ჩვენი საზოგადოების აგებულება. იძულებანი, რომელთაც დღეს ცალკეული ადამიანი ექვემდებარება და შესაბამისი შიშები, ხასიათის, სიძლიერისა და სტრუქტურის თვალსაზრისით, ძირითადად, ჩვენი საზოგადოებრივი ნაგებობის სპეციფიკური გადაჯაჭვულობის იძულებათა მიხედვით განისაზღვრება, რომლებზედაც ზემოთ იყო საუბარი, კერძოდ, დონის სხვაობით და ძლიერი დაძაბულობებით, რომელიც ამ ნაგებობას განმსჭვალავს.

ჩვენ ვიცით იმ მოძრაობებისა და საფრთხის შესახებ, რომელშიც ვცხოვრობთ. იმ გადაჯაჭვულობის იძულებათა შესახებ, რომლებიც მათ მიმართულებას აძლევს, ზემოთ უკვე იყო საუბარი. ეს იძულებანი, ამგვარი დაძაბულობანი და შეზღუდვები, რომლებიც დღეს ცალკეული ადამიანის ცხოვრებაში გამუდმებით შიშს აღძრავს, თანამშრომლობის იძულებაზე გაცილებით მეტია. დაძაბულობანი სახელმწიფოთა შორის, რომლებიც ერთმანეთს შეებრძოლებიან დიდ სახელისუფლო ერთეულებზე ბატონობისათვის, ინდივიდებისათვის სრულიად განსაზღვრულ მარცხსა და შეზღუდვებში გამოვლინდება; მათ ერთეული ადამიანისათვის შრომის გაძლიერებული ნნეხი და ღრმა არასაიმედოობა მოაქვს. ყველაფერი ეს: გასაჭირი, არეულობა და შრომის ტვირთი არანაკლებ ბადებს შიშებს, ვიდრე ცხოვრების უშუალო სახიფათოობა. ასევე ხდება სხვადასხვა სახელისუფლო ერთეულთა შიგნით არსებულ დაძაბულობებთან მიმართებაში. ერთი მხრივ, დაურეგულირებადი, არამონოპოლიური კონკურენტული ბრძოლები ერთი ფენის წარმომადგენელთა შორის, მეორე მხრივ, დაძაბულობა სხვადასხვა ფენებსა და ჯგუფებს შორის, ერთეული ადამიანისათვის სწორედ გამუდმებულ მოუსვენრობაში, სრულიად განსაზღვრულ აკრძალვებსა და შეზღუდვებში პოულობს ასახვას; ისინიც თავიანთ სპეციფიკურ შიშებს ბადებენ: შიში დათხოვნის, უფრო ძლიერთა არაპროგნოზირებადი დაქვემდებარების წინაშე, შიში შიმშილისა და სიღატაკის ზღვარზე აღმოჩენის წინაშე, როგორც ეს ხშირად ხდება ქვედა ფენებში, შიში დაკნინების, საკუთრებისა და დამოუკიდებლობის, ამაღლებული პრესტიჟისა და მდგომარეობის დაკარგვის წინაშე, პრესტიჟისა და მდგომარეობისა, რომელიც საშუალო და ზედა ფენების ცხოვრებაში ამდენად დიდ როლს თამაშობს. და როგორც ზემოთ გამოჩნდა[160], სწორედ ამგვარ, სოციალური გამორჩეულობის, მემკვიდრეობით მიღებული და მემკვიდრეობით გადაცემადი პრესტიჟის დაკარგვის შიშებს, დღემდე გადამწყვეტი წილი აქვთ გაბატონებული ქცევის კოდექსის ფორმირებაში. ისიც ნაჩვენები იყო, რომ სწორედ ეს შიშები მიისწრაფვის განსაკუთრებით ძლიერად გაშინაგანებისაკენ; ისინი, უფრო მეტად, ვიდრე შიში სიღატაკის, შიმშილის და უშუალო ფიზიკური საფრთხის წინაშე, დამკვიდრდებიან შინაგანი შიშების სახით ასეთი ფენების ცალკეულ წარმომადგენლებში, მათი აღზრდის მეთოდის შესაბამისად. ეს შიშები, სხვისგან ყოველგვარი კონტროლისაგან დამოუკიდებლად, ძლიერი „ზე-მე"-ს ზეწოლით, ასეთ ადამიანებს ავტომატურად შებოჭავს. მამისა და დედის გამუდმებულ დარდი, მიაღწევს თუ არა მათი შვილი საკუთარი ან უფრო მაღალი ფენის ქცევის სტანდარტს, შეინარჩუნებს ის ოჯახის პრესტიჟს თუ კიდევ უფრო გაზრდის მას, დაიცავს თუ არა ის საკუთარ ფენას შესარჩევ ბრძოლებში— ამგვარი შიშები ბავშვს აქ პატარაობიდანვე გაუკრთება გონებაში და თანაც, საშუალო, დაწინაურების მოსურნე ფენებში მეტად, ვიდრე ზედა ფენებში. ამგვარ შიშებს მნიშვნელოვანი

წილი აქვთ იმ წესებში, რომელსაც ბავშვი პატარაობიდანვე ექვემდებარება, იმ აკრძალვებში, რომლებსაც მას დაუწესებენ. ეს შიშები, რომლებიც ნაწილობრივ ცნობიერად, ნაწილობრივ დამოუკიდებლად, მშობლებშიც მოქმედებს, ბავშვს არანაკლებ გადაეცემა ჟესტების საშუალებით, ვიდრე სიტყვებით. მათ მუდმივად შეაქვთ წვლილი იმ შინაგანი შიშების ცეცხლოვანი წრის ჩამოყალიბებაში, რომლებიც მოზარდთა ქცევასა და შეგრძნობებს დიდი ხნის განმავლობაში გარკვეულ საზღვრებში მოაქცევს და მათ სირცხვილისა და უსიამოვნების აღქმის გარკვეულ სტანდარტს თუ საუბრისა და მოქმედების სპეციფიკურ მანერას მიაჯაჭვავს, სულ ერთია, სურთ მათ ეს, თუ არა. თვით მოთხოვნები, რომლებიც სქესობრივ ცხოვრებასთან მიმართებაში დაწესდება და ავტომატური შიშები, რომლებიც მას უკიდურესად შეზღუდავს, ცხადია, დღეს მხოლოდ ბევრი, ერთად მცხოვრები ადამიანის მისწრაფებათა რეგულირებისა და ბალანსირების ელემენტარული აუცილებლობიდან არ წარმოიქმნება; მათ დიდწილად საწყისები დაძაბულობის ძლიერ ზეწოლაში აქვთ, რომლის ქვეშაც სოციალური გაერთიანების ზედა და საშუალო ფენების წარმომადგენლები ცხოვრობენ; ისინიც უმჭიდროეს კავშირში არიან საკუთრების და ამაღლებული პრესტიჟის დაკარგვის, სოციალური დეგრადაციის, მკაცრ კონკურენტულ ბრძოლაში შანსების შემცირების შიშებთან, რომლებიც უკვე პატარაობიდანვე მოქმედებენ ბავშვებზე მშობლებისა და აღმზრდელების ქცევის საშუალებით. და თუ ზოგჯერ მშობლების იძულებით და შიშებით სწორედ ის მოხდება, რაც თავიდან უნდა აგვეცილებინა და თუ მოზარდები ასეთი ბრმად კულტივირებული შიშის ავტომატიზმებით უძლურნი აღმოჩნდებიან წარმატებით იბრძოლონ ამ კონკურენტულ ბრძოლებში, ანდა კიდევ, ამაღლებული სოციალური პრესტიჟის მოპოვებისა და შენარჩუნებისათვის — სულ ერთია, როგორც არ უნდა დასრულდეს ეს, ბავშვში სოციალური დაძაბულობანი მუდმივად პროეცირდება მშობელთა ჟესტების, აკრძალვებისა და შიშების საშუალებით. მონოპოლიური შანსებისა და სოციალური პრესტიჟის მემკვიდრეობითი ხასიათი უშუალოდ გამოვლინდება მშობლების დამოკიდებულებაში მათი შვილისადმი; და ბავშვი მაინც გრძნობს იმ საფრთხეს, რომელიც ამ ხასიათს და ამ პრესტიჟს ემუქრება, ის გრძნობს ადამიანური ქსელის მთელ ამ დაძაბულობებს, მაშინაც კი, როცა არაფერი იცის მათ შესახებ.

გარეგან, მშობელთა უშუალოდ სოციალური მდგომარეობით განპირობებულ შიშებსა და შინაგან შიშებს, მოზარდთა შიშისმიერ ავტომატიზმებს შორის არსებული ეს კავშირი, ცხადია, უფრო საყოველთაო მნიშვნელობის მოვლენაა, ვიდრე აქ შეიძლება ვაჩვენოთ. ცალკეული ადამიანის სულიერი სტრუქტურის, ისევე როგორც ერთმანეთის მომდევნო თაობათა თვისებების ისტორიული ცვლილების სრულ გაგებას მხოლოდ მაშინ მივაღწევთ, თუ შევძლებთ დღევანდელზე უკეთ ვაწარმოოთ დაკვირვება თაობათა გრძელ

ჯაჭვზე და ამის გათვალისწინებით ვიაზროვნოთ. მაგრამ ერთი რამ აქ უკვე საკმარისად ცხადია: კერძოდ, რამდენად დიდ გავლენას ახდენს საკუთარი ეპოქის დონის სხვაობანი, ზეწოლის მიმართებანი და დაძაბულობანი თითოეული ადამიანის სულის სტრუქტურაზე.

იმ ადამიანებისაგან, რომლებიც ასეთ დაძაბულობათა ეპიცენტრში ცხოვრობენ და რომლებიც ამგვარად, უნებლიეთ თუ სამაგიეროს გადახდის მიზნით ერთმანეთის წინააღმდეგ არიან განწყობილნი, არ შეიძლება მოველოდეთ, რომ ისინი ერთმანეთს ისე მოექცევიან, რაც „ცივილიზებული" ქცევის საბოლოო წერტილს და მწვერვალს შეესატყვესება (როგორც ჩანს, ამის დღეს ხშირად სჯერათ). გადაჯაჭვის იძულებათა მთელ მამოძრავებელ მექანიზმს საუკუნეთა გავლით, ქცევის თანდათაობითი გარდაქმნის გზით ჩვენს სტანდარტამდე მოვყავართ. დღეს, საკმაოდ თვალნათლივ, იგივე იძულებანი მოქმედებს ქცევის შემდგომ გარდაქმნებზე ჩვენი სტანდარტის ზემოთ. ქცევის ჩვენი მეთოდი, იძულებათა, მოთხოვნათა და შიშების ჩვენეული მდგომარეობა ისევე ნაკლებადაა რაღაც საბოლოო პუნქტი, მწვერვალზე რომ აღარაფერი ვთქვათ, როგორც ჩვენი სოციალური გადაჯაჭვულობის ტიპი.

აქ არის ომის გამუდმებული საფრთხე. კიდევ ერთხელ, სხვა სიტყვებით რომ გამოვხატოთ, ომი არ არის მხოლოდ მშვიდობის საპირისპირო რამ. იმ გარდაუვალობით, რომლის საფუძვლები გასაგები გავხადეთ, უფრო პატარა გაერთიანებათა ბრძოლები, ისტორიის აქამდელ მსვლელობაში უფრო დიდ საზოგადოებათა პაციფიცირების აუცილებელ საფეხურებს და ინსტრუმენტებს განეკუთვნება. ცხადია, მით უფრო დიდია საზოგადოების სტრუქტურის მგრძნობელობა, მით უფრო მეტია საომარი განმუხტვით გამოწვეული რისკი და რყევა მისი ყველა წევრისათვის, რაც უფრო მეტია, რაც უფრო ფართოა ფუნქციური დანაწილება, რაც უფრო იზრდება მოქიშპეთა ორმხრივი დამოკიდებულება. ამით შევიგრძნობთ ჩვენს დროში მზარდ მისწრაფებას, სხვა, ნაკლებ სარისკო და სახიფათო ძალისმიერი საშუალებებით ბოლომდე მიიყვანონ შემდგომი სახელმწიფოთაშორისი შესარჩევი ბრძოლები. მაგრამ საკმაოდ ნათელია ის ფაქტი, რომ ჩვენს ეპოქაში, ზუსტად ისე, როგორც ადრე, გადაჯაჭვის იძულებანი კვლავ უბიძგებს ასეთი დაპირისპირებებისაკენ, დედამიწის დიდ ტერიტორიებზე ძალისმიერი მონოპოლიების ჩამოყალიბებისა და ამით, ყოველგვარი დაშინებისა და ბრძოლების საშუალებით მათსავე პაციფიცირებისაკენ. და როგორც იტყვიან, ჩვენ ვხედავთ, როგორ წამოყოფს თაეს უკვე კონტინენტებს შორის დაძაბულობებს მიღმა და ნანილობრივ მათში გადახლართული სახით, უახლოესი საფეხურის დაძაბულობანი. ჩვენ უკვე შევნიშნავთ დედამიწის გადამწვდომი სახელმწიფოთა გაერთიანებების, სხვადასხვა სახის ზესახელმწიფო ერთეულების დაძაბულობათა სისტემის პირველ კონტურებს, შესარჩევი და ჰეგემონიისათვის ბრძოლის წინასწარ გათამაშებას მთელი მსოფლიოს მასშტაბით,

რომელიც დედამიწის ძალისმიერი მონოპოლიის, ცენტრალური პოლიტიკური ინსტიტუტის ჩამოყალიბების და ამით, მისი პაციფიცირების წინაპირობას წარმოადგენს.

იგივეს აღმოვაჩენთ ეკონომიკურ ბრძოლებთან დაკავშირებით. თავისუფალი ეკონომიკური კონკურენციაც, როგორც დავინახეთ, მარტოოდენ მონოპოლური წესრიგის საპირისპირო რაიმეს არ წარმოადგენს. ამ კონკურენციას სწორედ მისი საპირისპიროსაკენ მივყავართ. ამ მხრივაც თუ განვიხილავთ, ჩვენი ეპოქა არცერთ შემთხვევაში არ არის ტოტალური საბოლოო პუნქტი და მწვერვალი, რამდენადაც მასში, ისევე როგორც მსგავსი სტრუქტურის გარდამავალ ხანაში, ადგილი აქვს ნაწილობრივ დაღმასვლას. ამ თვალსაზრისითაც ის სავსეა გაუთამაშებელი დაძაბულობებით, ურთიერთქმედების შეუმდგარი პროცესებით, რომელთა ხანგრძლივობა ჩვენთვის, თითქმის, უცნობია და რომელთა მიმდინარეობის წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია. ცნობილია მხოლოდ მათი განსაზღვრული მიმართულება: თავისუფალი კონკურენციის ან რაც იგივეა, არაორგანიზებული მონოპოლიური საკუთრების შეზღუდვის ან გაუქმების ტენდენცია, ადამიანურ ურთიერთობათა ის ცვლილებები, რომლითაც შანსების ფლობა ზედა ფენის მემკვიდრეობითი და კერძო ამოცანიდან თანდათანობით სოციალურ და საჯაროდ კონტროლირებად ფუნქციად გადაიქცევა. და აქაც, ახლანდელი დაძაბულობების საფარქვეშ გამოჩნდება უახლოესი საფეხურის დაძაბულობანი ერთი მხრივ, მონოპოლიური ადმინისტრაციის მაღალ და საშუალო ფუნქციონერთა ანუ „ბიუროკრატიასა" და მეორეს მხრივ, საზოგადოების დანარჩენ ნაწილს შორის.

მხოლოდ მაშინ, როცა ეს სახელმწიფოთაშორისი და შიდასახელმწიფოებრივი დაძაბულობანი ბოლომდე მივა და გადაილახება, უფრო მეტი უფლება გვექნება ვთქვათ, რომ ჩვენ ცივილიზებულნი *ვართ*. მხოლოდ მაშინ, ქცევათა ცხრილიდან, რომელიც ერთეულ ადამიანში „ზე-მე"-ს სახით კულტივირდება, შეიძლება ამოვარდეს ბევრი რამ, რასაც ის ფუნქცია აქვს, რომ აღნიშნოს არა რაიმე პიროვნული, არამედ მისგან დამოუკიდებელი, მემკვიდრეობითი უპირატესობა. ასევე შეიძლება ამოვარდეს ადამიანთა ის იძულებანი, რომლებიც მის ქცევას განსაზღვრავს, იმის აუცილებლობა, რომ სხვა ინდივიდებისაგან არა მხოლოდ ინდივიდუალური უნარებით გამოირჩეოდეს, არამედ ქვედა ფენებისაგან განსხვავებულ საკუთრებისა და პრესტიჟის ინსტრუმენტებს ფლობდეს. მხოლოდ მაშინ შეიძლება ადამიანის ადამიანთან ურთიერთობის მოწესრიგება უფრო მეტად იმ მცნებებითა და აკრძალვებით შეიზღუდოს, რომლებიც აუცილებელია სოციალური ფუნქციების მაღალი დიფერენცირების შესანარჩუნებლად და რომელთა წინაპირობას ცხოვრების მაღალი სტანდარტი, მუშაობის მაღალი პროდუქტიულობა, მზარდი ფუნქციური დანაწილება შეადგენს. მხოლოდ მაშინ შეიძლება თვითთიძულებანი იმ აკრძალვებით შემოიფარგლოს, რომლებიც აუცილებელია იმისათვის,

რომ შეძლებისდაგვარად ადამიანებმა ხელის შეშლისა და შიშის გარეშე ერთად ცხოვრება, მუშაობა და ცხოვრებით ტკბობა შეძლონ. მხოლოდ ადამიანთა შორის დაძაბულობებით, ადამიანურ ქსელში სტრუქტურული წინააღმდეგობებით შეიძლება შერბილდეს დაძაბულობანი და წინააღმდეგობანი თვით ადამიანებში. მხოლოდ მაშინ, საჭირო აღარ არის გამონაკლისი და შეიძლება წესად იქცეს ის, რომ ცაკლეულმა ადამიანმა თავისი სულის ის ოპტიმალური წონასწორობა იპოვნოს, რომლის აღსანიშნავად ასე ხშირად ვიყენებთ ისეთ ხმამაღალ სიტყვებს, როგორიცაა „ბედნიერება“ და „თავისუფლება“: *ხანგრძლივი წინასწორობა ან სულაც ჰარმონია ადამიანის სოციალურ ამოცანებს, ერთი მხრივ, მისი სოციალური ექსისტენციის მოთხოვნებსა და მეორე მხრივ, მის პიროვნულ მიდრეკილებებსა და მოთხოვნილებებს შორის.* მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანთაშორისი ურთიერთობების სტრუქტურა ამგვრად ჩამოყალიბდება, როცა ადამიანთა თანამშრომლობა, რომელიც ყოველი ერთეული ადამიანის არსებობის საფუძველს შეადგენს, იმგვარად დაიწყებს ფუნქციონირებას, რომ ყველასათვის, ვინც საზოგადო ამოცანების მრავალი დანაყოფის მქონე ჯაჭვში ჩაბმული შრომობს, სულ ცოტა, შესაძლებელი გახდება ამ წონასწორობის პოვნა, მხოლოდ მაშინ, ადამიანებს ექნებათ მეტი უფლება თქვან, რომ ისინი ცივილიზებულნი *არიან.* მანამდე, უკეთეს შემთხვევაში, ცივილიზაციის პროცესში არიან. მანამ მათ გამუდმებით უნდა იმეორონ: „ცივილიზაცია არ დასრულებულა. ის ჯერ მხოლოდ ხდომილების პროცესშია“.

შენიშვნები მესამე ნაწილისათვის

1. James Westfall Thompson, Economic and Sicial History of Europe in the later Middle Ages (1300-1530) , New York and London 1931, S.506/7
2. ამის მაგალითია ის შედეგები, რომლებიც კაროლინგების მამულების, ფისკალური ინსტიტუტების მდგომარეობამ გამოიწვია. ეს შედეგები, ალბათ, იმდენად მნიშვნელოვანი არ იყო, როგორც ეს შემდეგი ციტატიდან ჩანს; მაგრამ სრულიად ცხადია, რომ კაროლინგების მამულების სიტუაციამ, ერთ-ერთი ფაქტორის სახით, თავისი როლი ითამაშა ნაციონალური საზღვრების ჩამოყალიბებაში.

   "The wide-spread character of the Carolingian fisc... made the fisc like a vast net in which the Empire was held. The division and dissipation of the fisc was a more important factor in the dissolution of the Frankish Empire than the local political ambition of the proprietary nobles...

   The historical fact that the heart of the fisc was situated in central Europe accounts for the partitions of central Europe in the ninth century, and made these regions a battle-ground of kings long before they became a battle-ground of nations...

   The dividing frontier between future France and future Germany was drown in the ninth century because the greatest block of the fisc lay between them."

   James Westfall Thompson, Economik and Social History of the Middle Adges (300-1300), New York, London 1928, S. 241/ 42. იხ. იგივე ავტორის The Dessolution of the Carolingian Fisc, Berkeley, Uiversity of California Press, 1935.
3. A. Luchaire, Les premiers Capétiens, Paris 1901, S.180.
4. Ch. Petit-Dutaillis, La Monarchie féodale en France et en Angleterre, Paris 1933, S. 8, შემდეგი რუკით. დასავლეთ-ფრანკების აღმოსავლეთ საზღვრის დეტალები და მისი განლაგება. იხ. Fritz Kern, Die Anfänge des französischen Ausdehungspolitik, Tübingen 1910, S. 16.
5. Paul Kirn, Das Abendland vom Ausgang der Antike bis zum Zerfall des karolingischen Reiches, Propyläen- Weltgeschichte Bd. III, Berlin 1932, S. 118
6. Brunner, Deutsche Rechtsgeschichte zit. b. Dopsch, Wirtschaftliche und soziale Grundlagen der europäischen Kulturentwicklung, Wien 1924. T II, S. 100/101.
7. Alf. Dopsch, Wirtschaftliche und soziale Grundlagen der europäischen Kulturentwicklung, aus der Zeit von Cäser bis auf Karl den Größen. Wien 1918-1924. T II, S. 115.
8. P. Kirn, Das abendland vom Ausgang der Antike a.a. O., S. 118.
9. A.v. Hofmann, Politische Geschichte der Deutschen, Stuttgart u. Berlin, 1921-1928. Bd. I, S. 405.
10. Ernst Dümmler, Geschichte des ostfrankischen Reiches. Berlin 1862-1888. Bd. II, S. 306
11. Paul Kirn; Politische Geschichte der deutschen Grenzen. Leipzig 1934, S.24
12. Ferd. Lot, Les derniers Carolingiens. Paris 1891, S. 4 u. a. Jos. Calmette, Le monde féodal. Paris 1934, S. 119.
13. Beaudoin zit. b. Calmette, La société féodale. Paris 1932, S. 27 .
14. A. Luchaire, Les premiers Capétiens. Paris 1901, S. 176f. ძალაუფლების განაწილების მონახაზი ჰუგო კაპეტის დროისათვის იხილეთ აგრეთვე: M. Mignet, Essai sur la formation territoriale et politique de la France, Notices et Mémoires historiques. Paris 1843, Bd. II, S. 154f.

15. A. Luchaire, Histoire des institutions Monarchiques de la France sous les premiers Capétiens (987-1180). Paris 1883. Bd. II, Notes et Appendieces, S. 329.
16. Karl Hampe. Abendländisches Hochmittelalter (Prop.- Weltgesch. Bd. III). Berlin 1932, S. 306.
17. Paul Kirn, Das Abendland vom Ausgang der Antike bis zum Zerfall des karolingischen Reiches a.a. O., S. 119.
18. Alf. Dopsch, Die Wirtschaftsentwiklung der Karolingerzeit, vornehmlich in Deutschland. Weimar 1912. Bd. I, S.162; საფეოდალოთა და სოფლის შესახებ ზოგადი წარმოდგენისათვის იხ. აგრეთვე: Knight, Barnes u. Flügel. Economic history of Europe, London 1930, The Manor. S. 163 ff.
19. Marc Bloch, Les caractéres originaux de l' histoire rurale française. Oslo 1931. S. 23.
20. Alf. Dopsch, Wirtschaftliche und soziale Grundlagen der europäischen Kulturentwiklung aus der Zeit von Caesar bis auf Karl den Großen. T. II, 1924, S. 309.

„რაც უფრო იზრდებოდა ამ თანამდებობის პირთა ფაქტიური ძალაუფლება, ეკონომიკური და სოციალური საყრდენები, მით უფრო ნაკლებ შეეძლო მეფის ხელისუფლებას იმაზე ფიქრი, რომ თანამდებობა მისი მფლობელის სიკვდილის შემდეგ მისი ოჯახის გარეთ, სხვაზე გაეცა."

21. Jos. Calmette, La Société féodale. Paris 1932, S. 3.
22. Jas. Calmette, La Société féodale. Paris 1932, S.4 შეად. ამ პრობლემის შესახებ ევროპული და იაპონური ფეოდალიზმის დაპირისპირება ნიგნში: W. Ch. Macleod, The Origin and History of Politics, New York 1931, S. 160ff. აქაც, სხვათა შორის, დასავლური სამყაროს ფეოდალიზების ახსნას უფრო მეტად წინამორბედ გვიან- რომაულ ინსტიტუტებში ეძებენ, ვიდრე აქტუალურ გადაჯაჭვულობის იძულებებში: "Many writers appear to believe that western European feodalism has its institutional origiens in pre-Roman Teutonic institutions. Let us explain to the Student that the fact is that Germanic invaders merely seized upon those contractual institutions of the later Roman empire which..." (S. 162). სწორედ ის ფაქტები, რომ დედამინის სხვადასხვა ადგილებში ანალოგიური ფეოდალური ურთიერთობის ფორმები და ინსტიტუტები ყალიბდება, პირველად სრულად მხოლოდ მაშინ აიხსნება, თუ არსებობს ნათელი ხედვა აქტუალურ ურთიერთობათა იძულების ძალის და გადაჯაჭვის მექანიზმების შესახებ; მხოლოდ მათ ანალიზს შეუძლია გასაგები გახადოს, რატომ არის, გარკვეული აზრით, ერთმანეთისაგან განსხვავებული ფეოდალიზაციის პროცესები და ფეოდალური ინსტიტუტები სხვადასხვა საზოგადოებებში.

ფეოდალურ საზოგადოებათა სხვა შედარებას ვხვდებით ნიგნში: Otto Hintze, Wesen und Verbreitung des Feodalizmus, Sitzungsberichte der Preußischen Akademie der Wissenschaften. phil.-hist.-Klasse, Berlin, 1929, S. 321ff. ავტორი, ისტორიისა და საზოგადოების კვლევის თაობაზე მაქს ვებერის აზრების გავლენით, ცდილობს *„აღწეროს იდეათა ტიპები, რომელიც ფეოდალიზმის ცნებას უდევს საფუძვლად."* მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ აქ უკვე ისტორიის კვლევის ძველი მეთოდი სხვაში, უფრო მეტად აქტუალურ სოციალურ სტრუქტურებზე მიმართულ მეთოდში გადადის და ამასთან ცალკეულ შემთხვევებში ნაყოფიერ თვალსაზრისებამდე მიდის, ფეოდალურ საზოგადოებათა ეს შედარება არის იმ მრავალრიცხოვან სირთულეთა ერთ-ერთი მაგალითი, რომელიც მაშინ ჩნდება,

როცა ისტორიკოსი მაქს ვებერის ძირითად მეთოდურ აზრებს გადმოიღებს, როცა ის, ოტო ჰინტცეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „თვალსაჩინო აბსტრაქციების, ტიპიური წარმონაქმნებისათვის" ირჯება. იმასთან კავშირში, რაც დამკვირვებელს სხვადასხვა ადამიანებში და საზოგადოებებში მსგავსად ეჩვენება, საუბარია *არა იდეალურ ტიპებზე*, „ტიპებზე", რომელიც გარკვეულწილად, თავიდან მკვლევარის აზრობრივი ოპერაციების შედეგად შეიქმნა, არამედ თვით სოციალური სტრუქტურების ფაქტიურად არსებულ მსგავსებაზე. თუ ეს არ არსებობს, მაშინ არასწორი გზით მიდის ისტორიკოსის ცნებითი ტიპობრივი წარმონაქმნებიც. თუ გვინდა *„იდეალტიპს „* სხვა ცნება დავუპირისპიროთ, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ საუბარია *„რეალტიპებზე"*. სხვადასხვა ფეოდალურ საზოგადოებათა მსგავსება მკვლევარის ხელოვნების ქმნილება კი არ არის, არამედ კიდევ ერთხელ რომ ვთქვათ, მსგავს გადაჯაჭვის იძულებათა შედეგი, რომელსაც არა მხოლოდ „იდეაში", არამედ სხვადასხვა დროსა და დედამიწის სხვადასხვა ადგილას, ფაქტიურად, მსგავს ისტორიულ პროცესებამდე, მსგავს ურთიერთობათა ფორმებამდე და ინსტიტუტებამდე მივყავართ. (შემეცნების თეორიული გამართლება ამ აზრებისა აქ არ მოგვყავს; პრობლემის ამ მხარეზე რამდენიმე მითითებას ნახავთ შენიშ. 129- ში ციტირებულ ნაშრომში "Der Gesellschaft der Individuen".)

მაგალითების რამდენიმე გადამოწმება, რომელსაც მე რალფ ბონვიტს უნდა ვუმადლოდე, აჩვენებს, თუ რა საოცარი მსგავსება ჰქონდა, სინამდვილეში, გადაჯაჭვის იძულებებს, რომელთაც იაპონიაში ფეოდალურ ურთიერთობებთან და ინსტიტუტებთან მივყავდით, იმ სტრუქტურებთან და გადაჯაჭვის იძულებებთან, რომლებიც აქ დასავლური საზოგადოების ფეოდალური ეპოქის მასალებიდანაა გამოყვანილი. და როგორც, აღმოჩნდა, ასეთი შედარებითი სტრუქტურული ანალიზი, ამავე დროს, იძლევა უკეთეს შესაძლებლობას იმ თავისებურებათა ასახსნელად, რომელთა საფუძველზე იაპონიისა და დასავლური სამყაროს ფეოდალური ინსტიტუტები და მათი ისტორიული ცვლილებები ერთმანეთისაგან განსხვავდება.

იგივე შედეგს იძლევა ჰომერული ეპოქის მეომართა საზოგადოების საცდელი გამოკვლევა. დიდი ეპიკური ციკლების წარმოშობა, მხოლოდ ეს მოვლენა რომ გავიხსენოთ, ანტიკურ მხედართა საზოგადოებაში, ისევე როგორც დასავლურში და მსგავსი სტრუქტურის კიდევ რამდენიმე სხვა საზოგადოებაში, ახსნისათვის არ საჭიროებს ბიოლოგიურ-სპეკულატურ ჰიპოთეზას, სოციალური „ორგანიზმების" „ახალგაზრდა ასაკის" დაშვებას; ამისათვის სრულიად საკმარისია სპეციფიკური საუბრის ფორმების გამოკვლევა, რომლებიც საშუალო და მდიდრულ ფეოდალურ სასახლის კარზე ან რაინდულ საომარ და სამოგზაურო ლაშქრობებში ყალიბდება. მომღერლებსა და მსახიობებს, ასევე ლექსად წაკითხულ თხზულებებს იმ ბედისწერაზე და დიდი მეომრების საგმირო საქმეებზე, რომელიც ზეპირად გადაეცემოდა ასეთ ფეოდალურ, მეომართა საზოგადოებაში, განსაზღვრული ადგილი და ფუნქცია ჰქონდათ, განსხვავებული იმ ადგილისა და ფუნქციისაგან, რომელიც ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთობაში მცხოვრები ტომების მომღერლებსა და სიმღერებს ჰქონდათ ამ ტომების ცხოვრებაში.

მეორე მხრივ, სტრუქტურულ ცვლილებებზე დაკვირვების განსა-

ზღვრულ იარაღს ანტიკურ მეომართა საზოგადოებაში გვთავაზობს ადრეული ანტიკურობის ვაზებისა და ვაზებზე ასახული სურათების სტილის ცვლილება. როცა, მაგალითად, ვაზებზე გამოსახულ გარკვეული ნარმომავლობისა და დროის სურათებზე „ბაროკოს" სტილის ელემენ-ტები ჩნდება უფრო აფექტური, ან პოზიტიურად რომ გამოვხატოთ, დახვეწილი ჟესტებითა და ჩაცმულობით, ნაცვლად შესაბამისი საზოგადოების ბიოლოგიური „ზრდასრულობისა", უფრო მეტად უნდა ვფიქრობდეთ დიფერენცირების პროცესებზე, მეომართა საზოგადოების დანარჩენი ნანილიდან მდიდარი მეომრებისა და თავადების სახლების დანინაურებაზე, მაღალი ან შედარებით დაბალი ჩინის „მეომართა გაკურტუაზებაზე", ან სხვა, უფრო ძლიერ სასახლის კართა კოლონი-ზატორული გავლენის შესახებ. თვალსაზრისებმა ფეოდალური საზო-გადოების სპეციფიკურ დაძაბულობათა და პროცესთა შესახებ, რომლის შესაძლებლობასაც ადრეული ევროპული ხანის მდიდარი მასალები იძლევა, ანტიკურ მასალებზე დაკვირვებაც, შეიძლება, გაამძაფროს ან სხვა მხარეს გადახაროს. მაგრამ, ცხადია, ასეთი ვარაუდი შემთხვევიდან შემთხვევამდე მკაცრ სტრუქტურულ-ისტორიულ გადამონმებას მოითხოვს თვით ანტიკურობის მასალების საფუძველზე.

ამგვარი შედარებითი სოციოგენეტიკური და სტრუქტურულ-ისტორიული კვლევების ჩატარება არის ის ამოცანა, რომელიც ჯერ, თითქმის, არ დაწყებულა და რომლის განხორციელება მხოლოდ მომავალშია შესაძლებელი. მისი დაძლევისათვის აუცილებელია ერთი ღონისძიება, რომელიც ძნელად განსახორციელებელი იქნება მეცნიერული დისციპლინების ძალზე მკვეთრი დაშორების ან მეცნიერებათა სხვადასხვა განშტოებების არასაკმარისი კოოპერაციის გამო, რაც დღემდე თავის დაღს ასვამს მეცნიერულ სამუშაოს. მაგალითად, ადრეულ ფეოდალურ საზოგადოებათა და მათი სტრუქტურის გაგებისათვის აუცილებელია თანამედროვე ფეოდალური საზოგადოებების ზუსტი შედარებითი კვლევა, სანამ ასეთები ჯერ კიდევ არსებობს. მცირე სვლების, სტრუქტურული კავშირებისა და გაშუალებათა სიმრავლე, რომლებიც შეუცვლელია ყოველი საზოგადოების გაგებისათვის და რომელთა შეცნობისათვის წარსულის ფრაგმენტული მასალები საკმარისი არ არის, მხოლოდ მაშინ იქნება მისანვდომი ახსნისა და შემეცნებისთვის, როცა ეთნოლოგია თავის კვლევას იმდენად მარტივ საზოგადოებათა, „ტომების" ნვდომით აღარ შემოზღუდავს და ისტორიული კვლევა თავის სამუშაოს მხოლოდ მკვდარი, წარსული სოციალური ფორმებისა და პროცესების გამოკვლევით კი არ შემოფარგლავს, არამედ ორივე დისციპლინა, ერთდროულად, ყოველი ცოცხალი საზოგადოების ახსნაზე იმუშავებს, რომლებიც მათი სტრუქტურის მიხედვით ახლოს დგანან დასავლური სამყაროს შუა საუკუნეების საზოგადოებასთან და როცა ორივე ერთად, ამ სიტყვის მკაცრი აზრით, ასეთ საზოგადოებათა სტრუქტურაზე იზრუნებენ, იმ ფუნქციონალურ დამოკიდებულებასა და მიმართებებზე, რომლითაც ამგვარ საზოგადოებათა ადამიანები ერთმანეთთან სრულიად განსაზღვრული ფორმით არიან დაკავშირებულნი, იმ გადაჯაჭვულობათა იძულებაზე, რომლებსაც გარკვეულ გარემოებებში, ამ დამოკიდებულებათა და მიმართებათა გარკვეული ცვლილებისაკენ მივყავართ.

23. ამ საკითხის შეს. და შემდგომ განხილვისათვის შეად. A. u.E. Kulischer,

Kriegs- und Wanderzüge. Berlin u. Leipzig 1932, S. 50f.

24. I.B. Bury. History of the Eastern Roman Empire, 1912, S. 373 zit. b. Kulischer a.a.O., S.62.
25. Henri Pirenne. Les villes du Moyen âge, Bruxelles 1927.
26. Paul Kirn, Politische Geschichte der deutschen Grenzen. Leipzig 1934, S. 15f. გერმანიისა და საფრანგეთის ფეოდალიზების პროცესების ტემპსა და სტრუქტურას შორის უფრო ზუსტი განსხვავებისთვის იხ. J. W. Thompson. German Feudalism, American historical Review, Bd. XXVIII. 1923, S. 440ff., " What the ninth century did for France in transforming her into a feodal country was not done in Germany until the civil wars of the reign of Henry IV." a.a.O., S. 444.

სხვათა შორის, იქ (და შემდგომ მაგ. W.O. Ault, Europe in the Middle Ages, 1932) დასავლეთ-ფრანკული მხარის დაცემა ძლიერ გარეშე საფრთხეს უკავშირდება: "Germany being less exposed to attack from outside and possessed of a firmer texture within that France, German feudalism did not become as hard and set a system as was French feodalism. >Old< France crumbled away in the ninth and tenth centuries, >old< Germany, anchored to the ancient duchies which remained intact, retained its integrity" (Thompson a.a. O., S. 441). მაგრამ გადამწყვეტი დასავლეთ-ფრანკული მხარის ფეოდალური დეზინტეგრაციის ტემპისა და ძლიერებისათვის იყო ის ფაქტი, რომ აქ ნორმანების დასახლების შემდეგ უცხო ტომების თავდასხმები და ამდენად, გარედან ზეწოლა და მუქარა ნაკლები იყო, ვიდრე აღმოსავლეთ-ფრანკულ მხარეში. კითხვა, იშლება თუ არა ოდესღაც გაერთიანებული, დიდი მხარეები უფრო ნელა და პირიქით, დაშლის შემდეგ ძნელად და უფრო ნელა განიცდიან ინტეგრირებას, ვიდრე პატარა რეგიონები— საზოგადოების მექანიკის ეს პრობლემა კიდევ გადასამოწმებელია. მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, კაროლინგების სამეფო სახლის თანდათანობით დასუსტების პარალელურად, რომელიც ნაწილობრივ, თაობათა მანძილზე მისი სიმდიდრის იძულებითი შემცირებით, ნანილობრივ, კი მისი მიწების მოხმარებით, მთელს კაროლინგურ სამეფოში ხორციელდებოდა დეზინტეგრაციული ბიძგი. ამ მიწებით ან სამსახურს ანაზღაურებდნენ, ან ისინი მათ სამფლობელოს გამოეყოფოდა, ან კიდევ მემკვიდრეებზე ანაწილებდნენ (ეს ჯერ კიდევ გადასამოწმებელია). უკვე მე-9 საუკუნეში, შეიძლება, დასავლეთ-ფრანკულ მხარეში ეს ბიძგი ცოტა უფრო შორს იყო წასული, ვიდრე უფრო გვიანდელ გერმანულ მხარეებში. მაგრამ ამ მხარეებში ის ნამდვილად იწყებდა შესუსტებას სწორედ ძლიერ გარე საშიშროებასთან კავშირში. ეს საფრთხე, ცალკეულ გვაროვნულ ფეოდალებს კიდევ დიდი ხნის განმავლობაში და არაერთგზის აძლევდა შანს, საერთო მტერზე საომარი გამარჯვებებით ძლიერი ცენტრალური მმართველები გამხდარიყვნენ და ამით კაროლინგების ცენტრალური ორგანიზაცია ისევ და ისევ გაეცოცხლებინათ და დაეხვეწათ. იმავე მიმართულებით, ცენტრალური ძალაუფლების გაძლიერებისათვის სასიკეთოდ მოქმედებდა, გარკვეული ხნის განმავლობაში, კაროლინგური ექსპანსიის, უშუალოდ გერმანიის აღმოსავლეთ საზღვართან ახალი მიწების დაპყრობის შესაძლებლობა. დასავლეთ-ფრანკულ მხარეში, ამის საპირისპიროდ, მე-9 საუკუნიდან მოყოლებული ორივე ფაქტორი ნაკლებ მნიშვნელოვან როლს თამაშობდა: უცხო ტომების თავდასხმის საფრთხე და საზღვრის იქითა, ერთობლივი ექსპანსიების შესაძლე-

ბლობა. შესაბამისად, ნაკლები იყო ძლიერი სამეფოს შექმნის შანსი; არ არსებობდა „მეფის ამოცანა"; უფრო სწრაფად და ინტენსიურად მიმდინარეობდა ფეოდალური დეზინტეგრაცია. (შეად. ზემოთ გვ. 26 ff და გვ. 55/56)

27. Levasseur, La population française. paris 1889. Bd. I, S. 154f.
28. Mark Bloch, Les caractères originaux de l'histoire rurale française. Oslo, 1931, S. 5.
29. W. Cohn, Das Zeitalter der Normannen in Secilien. Bonn u. Leipzig, 1920.
30. H. Sée, Französische Wirtschaftsgeschichte, Jena 1930, S. 7.
31. Kurt Breysing, Kulturgeschichte der Neuzicit. Berlin 1901. Bd. II, S. 937f.bes. S. 948.

„თუ სამი მონარქიის ქცევის ფორმებს ერთმანეთს შეავადარებთ და მათი არათანაბარი წარმატების საფუძვლებს გამოვიკვლევთ, მაშინ საბოლოო მიზეზი ცალკეულ ცვლილებებში არ უნდა ვეძებოთ. ნორმანულ-ინგლისურმა სამეფომ მაშინ იმ გარემოებით ისარგებლა, რომელიც არც მისი მეფის და არც რომელიმე მოკვდავის ძლიერებაზე არ ყოფილა დამოკიდებული და რომელიც ინგლისის საგარეო და შიდა ისტორიის *გადაჯაჭვულობას* ეფუძნებოდა. იმის საშუალებით, რომ 1066 წელს ინგლისში ახალი სახელმწიფო გარკვეულწილად ყველაზე ღრმა ფუნდამენტზე შენდებოდა, შესაძლებელი იყო იმ გამოცდილების გამოყენება, რომლებიც დიდმა მონარქიებმა, ყველაზე მეტად ახლომდებარე, ფრანგულმა მონარქიამ შეიძინა. მაღალი არისტოკრატიის ლენის დანაწილება და თანამდებობათა მემკვიდრეობით გადაცემა— ეს იყო ფაქტიურად, ის პრაქტიკული დასკვნები, რომლებიც ნორმანდიის სამეფომ თავისი უახლოესი იდეალის ბედიდან გააკეთა."

32. Henri Pirenne, Les villes du moyen âge. Brüssel, 1927, S. 53. საპირისპირო შეფასება ჯერ კიდევ ახალ დროში იყო წარმოდგენილი: D.M. Petruševski, Strettige Fragen der mittelalterlichen Verfassungs und Wirtschaftsgeschichte, Zietschrift für die gesamte Staatswissenschaft Bd.85, 3. Tübingen, 1928, S. 468ff. შრომა იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც, მისი საწინააღმდეგო მიმართულების ცალმხრივობის გამო, სწორად გააშუქებს ისტორიის ტრადიციული შეფასების ბუნდობან მხარეებს და ცნებათა ტრადიციული ჩამოყალიბების უკმარობას.

აქ იმ წარმოდგენას, რომლის მიხედვით ანტიკური ქალაქები შუა საუკუნეებში საბოლოოდ გაქრნენ, არანაკლებ არაზუსტი შეხედულება დაუპირისპირდება. შეად. შედარებით განონასწორებული შეხედულება: H. Pirenne, Economic and socaial history of medieval Europe, London 1936, S. 40: "When the Islamic invasion had bottled up the ports of the Tyrrhenian Sea, ... municipal activity rapidly dies out. Save in southern Italy and in Venice, where it was maintained thanks to Byzantine trade, it disappeared everywhere. The wowns continued in existence, but they lost their population of artisans and merchants and with it all that had survived of the municipal organisation of the Roman Empire. `

მყარ თვალსაზრისს, რომელშიც „ნატურალური მეურნეობა და ფინანსური მეურნეობა", თანდათანობითი ისტორიული პროცესის *მიმართულების* გამოხატულების ნაცვლად, უფრო მეტად საზოგადოების ორ, ერთმანეთისაგან დაშორებულ, ერთმანეთის შემდგომ არსებულ და გაერთიანების შესაძლებლობას მოკლებულ ფიზიკურ მდგომარეობადაა წარმოდგენილი (s.o.S.43 u. S. 70) პეტრუშევსკი სხვა შეხედულებას უპირიპირებს, თითქოს ისეთი რამ, როგორიცაა „ნატურალური მეურნეობა", საერთოდ არ არსებობდეს: „აქ ჩვენ არ გვინდა იმას

შევეხოთ, რომ საერთოდ ნატურალური მეურნეობა, როგორც მაქს ვებერმა წარმოადგინა, მეცნიერულ უტოპიებს განეკუთვნება, რომლებიც არათუ ცხოვრებისეულ სინამდვილეში არ არსებობს და არასოდეს უარსებია, არამედ სხვებისაგან განსხვავებით... თავიანთი ლოგიკური ბუნების მიხედვით, სხვა უტოპიური ზოგადი ცნებების მსგავსად, არცერთ ცხოვრებისეულ სინამდვილეს არ შეიძლება მივუყენოთ"(გვ. 448). ეს შეიძლება ისევ პირენეს წარმოდგენას შევადაროთ (a.a. O., S.8) " From the economic point of view the most striking and charakteristic institution of this civilisation is the great estate. Its origin is, of course, much more ancient and it is easy to establish its affiliation with a very remote past...(S. 9) What was new was the way in which it functioned from the moment of the disappearence of commerce and the towns. So long as the former had been capable of transporting its products and the latter of furnishing it with a market, the great estate had commanded and consequently profited by a regular sale outside...But now it ceased to do this, because there were no more merchants and townsmen... Now that everyone lived off his own land, no one bothered to buy food from outside... thus, each estate devoted itself to the kind of economy which has been described rather inexactly as the >closed estate economy<, and which was really simply an economy without markets."

საბოლოდ პეტრუშევსკი იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით „ფეოდალიზმი" და „ნატურალური მეურნეობა" საზოგადოების ორ განსხვავებულ არსობრივ სფეროდ ან სართულად გვევლინება, რომელთაგან ერთი მეორეს იწვევს და განაპირობებს, როგორც ბაზისი და ზედნაშენი, იმ შეხედულებას დაუპირისპირებს, რომ ამ ორ მოვლენას არაფერი აქვს საერთო ერთმანეთთან: „... ისტორიულ ფაქტობრივ მასალას არ ეთანხმება წარმოდგენა, რომ ფეოდალიზმი განპირობებული იყო ნატურალური მეურნეობით ან მისი შეუთავსებლობით უფრო ფართო სახელმწიფოებრივ ორგანიზაციასთან (გვ. 488)".

როგორ ხდებოდა ეს სინამდვილეში, ჩვენ ვცადეთ ტექსტში გვეჩვენებინა. ნატრალური მეურნეობის სპეციფიკური ფორმა, რომელთანაც საქმე გვაქვს ადრეულ შუა საუკუნეებში, დიდი მიწათმფლობელების ნაკლებ დიფერენცირებული და ბაზართან ნაკლები კავშირის მქონე მეურნეობა და პოლიტიკურ-სამხედრო ორგანიზაციის სპეციფიკური ფორმა, რომელსაც ჩვენ „ფეოდალიზმს" ვუწოდებთ, სხვა არაფერია, თუ არა ორი განსხვავებული ასპექტი ადამიანური ურთიერთობებათა ერთი და იმავე ფორმებისა. ისინი შეგვიძლია აზროვნებაში *განვასხვაოთ* ერთმანეთისაგან, როგორც ადამიანურ ურთიერთობებათა ორი განსხვავებული ასპექტი, მაგრამ მათ აზროვნებაშიც ვერ *დავაშორებთ* ერთმანეთს, როგორც ორ განსხვავებულ სუბსტანცს, რომელთაც რაიმე აზრით თავისთავადი არსებობა აქვთ. ფეოდალი მებატონის მმართველობითი და სამხედრო ფუნქციები და მისი, როგორც მიწისა და ყმების მფლობელის ფუნქცია სულ მცირე ერთმანეთშია გადაწნული და განუყოფელია ერთმანეთისაგან. და ასევე ცვლილებებიც აიხსნება არა მხოლოდ სამეურნეო ურთიერთობათა და ფუნქციების მოძრაობიდან და არც მარტოოდენ პოლიტიკურ-სამეურნეო ფუნქციებისა და ურთიერთერთობათა ცვლილებებიდან, არამედ იმ გადაჯაჭვის მისწრაფებებიდან, რომლებიც ორივე, ერთმანეთთან განუყოფლად დაკავშირებული ფუნქციური სფეროდან და ურთიერთობათა ფორმებიდან გამომდინარეობს.

33. იხ. ლუი ალფენის შესავალი წიგნისათვის: A. Luchaire, Les Communes Françaises à l' Epoque des Capétiens directs. Paris 1911, S. VIII
34. Halphen, Einl. z. Luchaire, Les Communes a.a. O., S. IX.
35. A. Luchaire, Les Communes Françaises à l' Epoque des Capétiens directs. Paris 1911,S. 17.
36. Hans v. Werveke, Monnaie, lingots ou marchandises? Les Instruments d'échange au XIe et XIIe siècles. Annales d'Histoire Economique et Sociale No. 17. September 1932, S. 468.
37. Hans v. Werveke a. a. O. შესაბამისი, საწინააღმდეგო მიმართულების პროცესი, ფულის მიმოქცევიდან ამოღება, გადახდის ნატურალურ პროდუქტებში გადატანა, უკვე გვიანდელ ანტიკურობაში ადრიდანვე იღებს დასაბამს:"A mesure qu'on avance dans le IIIe siècle, la chute se précipite. La seule monnaie en circulation reste l'antoninianus..." (F. Lot, La Fin du Monde Antique, Paris 1927, S. 63). "La solde l'armée tend de plus en plus à être versée en nature" (S. 65)... "Quant aux conséquences inéluctables d'un système que ne permet de récompenser les services rendus que sous forme de traitment en nature, de distribution de terre, on les entrevoit aisément: Elles mènent au régime dit féodal ou à un régime analogue" (S. 67).
38. M. Rostovtsev, the Social and Economic History of the Roman Empire, Oxford 1926, S. 66/67, S. 528 და ბევრ სხვა ადგილას (შეად. Index Transportation).
39. Lefebvre des Noettes, L' Attelage. Le cheval de selle à travers les âges. Contribution à l'histoire de l'esclavage. Paris 1931.

ლეფევრე დე ნოეტის გამოკვლევებს როგორც მისი შედეგების, ასევე მისი კითხვის დასმის მიმართულების თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამ შედეგების მნიშვნელობასთან მიმართებაში, რომლებიც ცალკეულ პუნქტებში, ცხადია, გადამონმებას საჭიროებს, დიდ როლს არ თამაშობს ის, რომ ავტორი თავდაყირა დააყენებს მიზეზ-შედეგობრივ კავშირს და გამნევი ტექნიკის განვითარებას მონობის გაუქმების მიზეზად განიხილავს.

აუცილებელ შესწორებებზე მითითებებს შეიცავს ამ წიგნის კრიტიკული ანალიზი, რომელიც განახორციელა მარკ ბლოხმა წიგნში: Problèmes d'histoire des techniques, Annales d'histoire économique et sociale, sept. 1932. პირველ ყოვლისა, ლეფევრე დე ნოეტის ნაშრომის ორი მომენტია იქ ნაწილობრივ, მძაფრად შეფასებული და ნაწილობრივ, სწორად დასმული. 1. ჩინეთისა და ბიზანტიის გაელენა შუა საუკუნეების აღმოჩენებზე, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ საჭიროებს უფრო დაწვრილებით კვლევას. 2. მონობა დიდი ხანია აღარ თამაშობს მნიშვნელოვან როლს ადრეული შუა საუკუნეების სამყაროს სტრუქტურაში, როცა გამნევი პირუტყვის ახალი აკაზულობა ჩნდება: "En absence de toute succession nette dans le temps comment parler de relation de causa à effet?" (S. 484) ლეფევრე დე ნოეტის ამ ნაშრომის არსებითი შედეგების შეჯამებას გერმანულ ენაზე ვიპოვნით შემდეგ წიგნში: L.Löwenthal, Zugtier und Sklaverei. Zietschrift F. Socialforschung, Frankf.a. M. 1933 H. 2.
40. Lefebvre des Noettes, La "Nuit" du moyen âge et son inventaire, Mercure de France 1932 Bd. 235, S. v.
41. Hans v. Werveke, Monnaie, lingots ou marchandises? a.a. O., S. 468.
42. A. Zimmern, Solon and Croesus, and other Greek essays, Oxford 1928, S. 113.

შეად. ამასთან დაკავშირებით Alfr. Zimmern, The Greek Commonwealth. Oxford 1931.

გარკვეული პერიოდიდან მოყოლებული, ცხადია სრული უფლებით, ამტკიცებენ, რომ რომში თავისუფლად დაბადებულნიც შრომობდნენ ხელით მონების გვერდით. პირველ ყოვლისა, როსტოვცევის შრომებში (იხ. The Social and Economic History of the Roman Empire, Oxford 1926), შემდგომ სპეციალურ კვლევებში, როგორიცაა R.H. Barrow, Slavery in the Roman Empire, London, 1928 (იხ. მაგ. S.124f), ეს მიმართებები დაწვრილებითაა გადამუშავებული. მაგრამ თავისუფალად დაბადებულთა შრომის ფაქტი, რა დიდადაც არ უნდა შევაფასოთ მისი წილი მთლიანი პროდუქციის მასშტაბით, წინააღმდეგობაში არ მოდის იმასთან, რაც ცხადი გახდა ციმერნის ნაშრომიდან მოყვანილი ციტატით, იმ ფაქტთან, რომ სოციალური კანონზომიერებანი და პროცესები იმ საზოგადოებაში, რომელშიც ხელით შრომის უმეტეს ნაწილს მონები ახორციელებენ, სრულიად სპეციფიკურად განსხვავდება იმ საზოგადოების შიგნით მიმდინარე პროცესებისაგან, სადაც სულ მცირე, ქალაქში მაინც, მთელი სამუშაო თავისუფალთა მიერ სრულდება. თავისუფალთა ეს მისწრაფება იმ საქმიანობისაგან დისტანცირებისა, რომელსაც ნაყიდი მონებიც ასრულებენ და შესაბამისად, „ღარიბი უსაქმურების" ახალი ფენის წარმოშობა, სოციალური ტენდენციის სახით მუდამ იგრძნობა მონური შრომის ძლიერი სექტორის მქონე როგორც ახალ, ისე ძველ საზოგადოებებში. ცხადია, ძნელი არ არის იმის გაგება, რომ მიუხედავად ამისა, სიღატაკის ზეწოლით თავისუფლად დაბადებულთა მეტ-ნაკლებად დიდი რაოდენობა იძულებულია იგივე სამუშაო შეასრულოს, რასაც მონები ასრულებენ. მაგრამ არანაკლებ ცხადია ის, რომ მათი მდგომარეობაზე, ისევე როგორც ხელით მომუშავეთა საერთო მდგომარეობაზე ასეთ საზოგადოებაში, დიდ გავლენას ახდენს მონური შრომის არსებობა. ეს თავისუფალნი ან, სულ ცოტა, მათი ერთი ნაწილი, იძულებულია იმავე პირობებში ან მსგავს პირობებში ჩააყენოს საკუთარი თავი, როგორშიც მონები არიან. მათი შრომა ხომ, ამ საზოგადოებაში მონების დიდი რაოდენობის გამო და ამ შრომის მონათა შრომასთან ურთიერთდამოკიდებულების მიხედვით, გამუდმებულ, მეტ-ნაკლებად ძლიერ კონკურენტულ ნნეხს განიცდის მონური შრომის მხრიდან. ესეც მონათმფლობელურ საზოგადოებათა სტრუქტურულ კანონზომიერებებს განეკუთვნება. შეად. აგრეთვე F. Lot, La fin du Monde Antique a.a. O., S. 69ff.

43. ა. ციმერნის გამოკვლევების მიხედვით ბერძნული საზოგადოება მის კლასიკურ პერიოდში არ იყო მონათმფლობელური საზოგადოება ამ სიტყვის ტიპიური აზრით: " Greek society was not a slave-society; but it contained a sediment of slaves to reform ist most degrading tasks, while the main body of ist so-calles slaves consisted of apprentices haled in from outside to assist together and almost on equal terms with their masters in creating the material basis of a civilisazion in which they were hereafter to share". (Solon and Croesus S. 161.)
44. Henri Pirenne, Les villes du moyen âge. Bruxelles 1927, S. Iff.
45. Henri Pirenne,a.a. O., S. 10ff.
46. Henri Pirenne,a.a. O., S. 27. "კონტინენტზე ეს დაბრუნება „ და მისი მნიშვნელობა დასავლური საზოგადოების განვითარების ტენდენციისა-

თვის იმ ფაქტით დასტურდება, რომ ანტიკურობის სტანდარტს ზემოთ სახმელეთო ტრანსპორტის შემდგომი განვითარება, რამდენადაც დღეს ამის დანახვა შესაძლებელია, დაახლოებით ერთი საუკუნით ადრე იწყება, ვიდრე სანაოსნო ტექნიკის განვითარება. ერთი იწყება დაახლოებით 1050 და 1100 წლებში, მეორე კი, როგორც ჩანს, დაახლოებით 1200 წელს. იხ. ამასთან : Lefebvre des Noettes, De la marine antique à la marine moderne. La révoluition du gouvernail. Paris 1935. S. 105ff. შეად. Eug. H. Byrne. Genose shipping in the twelfth and thirteenth centuries. Cambridge (Mass.) 1930. S. 5-7.

47. A. Luchaire. Lous VII., Philippe Auguste, Lous VIII. Paris 1901 (Lavisse. Histoire de France. Bd. III, I). S. 80.

48. Jos. Calmette. La société féodale. Paris 1932. S. 71. შეად. იგივე ავტორის Le monde féodal. Paris 1934.

49. სხვათა შორის, სამართალი შედარებით ძნელად მოძრავი და ცვალებადი ხდება ფიქსირების, სამართლებრივი აპარატის დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალებით და საკუთარი, არსებულის შენარჩუნებისათვის მზრუნველ სპეციალისტთა ჯგუფების არსებობით. თვით „სამართლებრივი საიმედოობა", რომელშიც ყოველთვის დაინტერესებულია საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, ერთ მხრივ, ეყრდნობა სამართლის ქმედითობას. და მის ამ თვისებას სწორედ ეს ინტერესი დააფუძნებს. რაც უფრო იზრდება რეგიონები და ერთმანეთთან გადაჯაჭვულ და ურთიერთდაქვემდებარებულ ადამიანთა რიცხვი, რაც უფრო ერთიანი ხდება სამართალი ამ შედარებით დიდი რეგიონების მასშტაბით (რაც დახლოებით ისეთივე აუცილებელია, როგორც ერთიანი ვალუტა), მით უფრო ძლიერად ეწინააღმდეგება სამართალი და სამართლებრივი აპარატი (რომელიც, ისევე როგორც ვალუტა, თავის მხრივ, ამავე დროს გადაჯაჭვის კიდევ ერთი ორგანო, ურთიერთდაქვემდებარების კიდევ ერთი მიზეზია) ყოველ ცვლილებას და მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება ის დარღვევები, ინტერესთა გადანაცვლებანი, რომელიც ყოველ ცვლილებას ახლავს. ამასაც თავის წვლილი შეაქვს იმაში, რომ მხოლოდ ფიზიკურ უპირატესობაზე აგებული მუქარა ძალაუფლების აპარატის „ლეგიტიმური ორგანოს" საშუალებით უმეტეს შემთხვევაში, დიდი ხნის მანძილზე საკმარისია იმისათვის, რომ ცალკეულ ადამიანთა და მთელი სოციალური ჯგუფები იმას დაუმორჩილოს, რაც სამართლებრივი და საკუთრების ნორმის სახით უკვე დადგინდა სოციალურ ძალთა განსაზღვრული თანაფარდობის საფუძველზე. ინტერესები, რომლებიც უკვე არსებულ სამართლებრივ და საკუთრებით ურთიერთობათა შენარჩუნებას უკავშირდება, იმდენად დიდია, წონა, რომელსაც სამართალი მზარდი გადაჯაჭვის საფუძველზე იძენს, იმდენად საგრძნობი, რომ ფიზიკური ბრძოლის საშუალებით სოციალურ ძალთა თანაფარდობის მუდმივ ხელახალ გადამონმებას, რომლისკენაც ყოველთვის ისწრაფვიან ნაკლებად ინტერდეპენდენტულ საზოგადოებათა ადამიანები, ჩაენაცვლება არსებული სამართლისადმი დამორჩილებისათვის ხანგრძლივი მზაობა. და მხოლოდ მაშინ, როცა რყევა და დაძაბულობა საზოგადოების შიგნით განსაკუთრებით იზრდება, როცა ინტერესი, რომელიც არსებულ სამართალთანაა დაკავშირებული, საზოგადოების ფართო ნაწილში შესუსტდება, მხოლოდ მაშინ, ხშირად საუკუნეებით გაგრძელებული პაუზის შემდეგ, საზოგადოების გარკვეული ჯგუფები ხელისუფლებისათვის ფიზიკურ

ბრძოლაში იწყებენ იმის გამოცდას, კვლავ შეესაბამება თუ არა ფიქსირებული სამართალი სოციალურ ძალთა თანაფარდობას.

ამის საპირისპიროდ, უპირატესად ნატურალური მეურნეობის მქონე საზოგადოებაში, რომელშიც ადამიანები უფრო ნაკლებად არიან ურთიერთდაქვემდებარებულნი და რომელშიც, მაშასადამე, თითოეულ ადამიანს მასზე ძლიერის სახით ყოველთვის უპირისპირდებოდა, მართალია, ჯერ კიდევ, არა უმაღლესი რეალობის მქონე, მაგრამ შეფარული, უფრო ზუსტად, საზოგადოების, როგორც მთელის, მუდმივად უხილავი ქსელი, აქ ერთეული ადამიანის სამართლებრივი პრეტენზიის უკან ყოველთვის უშუალოდ, ხილულად უნდა მდგარიყო სოციალური ძალა, რომელიც ამ პრეტენზიას გაამართლებდა; თუ ეს ძალა არ არსებობდა ან საეჭვო იყო, ეს პრეტენზიაც კარგავდა ეფექტურობას. ყოველი მესაკუთრე მზად იყო და მზად უნდა ყოფილიყო ფიზიკურ ბრძოლაში დაემტკიცებინა, რომ ის ჯერ კიდევ საკმაო საომარ ძალას, ჯერ კიდევ საკმაო სოციალურ ძლიერებას ფლობდა „სამართლებრივი პრეტენზიის" შესაბამისად. დიდ რეგიონებში არსებულ ადამიანთა უფრო მჭიდრო და ძლიერ გადაჯაჭვულობას და საკმაოდ კარგ კომუნიკაციას შეესატყვისება სამართალი, რომელიც განყენებულია ლოკალური და ინდივიდუალური თავისებურებებისაგან, ეგრეთ წოდებული ზოგადი სამართალი, ე.ი. სამართალი, რომელიც თანაბრად გამოიყენება და ძალაშია ყველა მხარესთან მიმართებაში და ამ მხარეში მცხოვრები ყველა ადამიანისათვის.

უპირატესად ნატურალური მეურნეობის საზოგადოებაში გადაჯაჭვულობის და ურთიერთდამოკიდებულების სხვა ტიპი შედარებით პატარა ჯგუფებს და ხშირად ცალკეულ ინდივიდებს იმ ფუნქციებს აკისრებდა, რომელთაც დღეს სახელმწიფოები ახორციელებენ. ამის შესაბამისად, შეუდარებლად უფრო მეტად „ინდივიდუალიზებული" და „ლოკალური" იყო სამართალი. არსებობდა გარკვეული კავშირი და ვალდებულება, რომელსაც ერთმანეთთან ამყარებდა ესა თუ ის ფეოდალი და ვასალი, ყმების ესა თუ ის ჯგუფი და მემამულე, ესა თუ ის ბიურგერები და სენიორი, ესა თუ ის საობატო და ჰერცოგი. და ამ „სამართლებრივი ურთიერთობების" შესწავლა გვაძლევს ამავე დროს იმის ძალზე ნათელ გაგებას, რას ნიშნავს ეს: ამ ფაზაში ნაკლები იყო ადამიანთა საზოგადოებრივი გადაჯაჭვულობა და ინტერდეპენდენცი და შესაბამისად სხვაგვარი იყო საზოგადოებრივი ინტეგრაციის, ადამიანის ადამიანთან ურთიერთობის მეთოდი. "Il faut se garder ", ამბობს მაგ. პირენნე, " d'attibuer aux chartes urbanes une importance exagéréé. Ni en Flander ni dans aucune autre région de l'Europe, elles ne renferment tout l'ensamble du droit urbain. Elles se bornent à es fixer les lignes principales, à en formular quelques principes essentiels, à trancher quelques conflits particulièrement importants. La plupart du temps, elles sont le produit de circonstances spéciales et elles n'ont tenu comte que des questions qui se débattaient au moment de leur rédaction... Si les bourgeois ont veillé sur elles à travers les siècles avec une sollicitude extraordinaire, c'est qu'elles étaient le palladium de leur liberté, c'est qu 'elles leur permettaient, en cas de violation, de justifier leurs révoltes, mais ce n'est point qu'elles renfermaient l'ensemble de leur droit. Elles n'étaient pour ainsi dire que l'armature de celui-ci. Tout autour de leurs stipulations existait et allait se développant sans cesse une végétation touffue de coutumes, d'usages, de privilèges

non écrits, mais non moins indispensables.

Cela est si vrai que bon nombre de chartes prévoyent elles-mêmes et reconnaissent à l'avance le développement du droit urbain...Le Comte de Flandre accorda en 1127 aux bourgeois de Bruges : >ut de die in diem comsuetudinarias leges suas corrigerent < c'est à dire la faculté de compléter de jour en jour leurs coutumes municipales." (Pirenne, Les villes du moyen âge a. a. O., S. 168)

აქაც, კვლავ ვხედავთ, რომ გადაჯაჭვულობის ახალი მდგომარეობის შესატყვისად სხვა სიდიდის ელემენტები, მაგ. ქალაქი და დიდი ფეოდალი დაახლოებით ისეთ მიმართებაშია ერთმანეთთან, როგორშიც დღეს „სახელმწიფოები"; მათი სამართლებრივი შეთანხმება იმავე კანონზომიერებებს ემორჩილება, როგორსაც დღეს სახელწიფოთა შორის შეთანხმება: ისინი საკმაოდ განუხრელად მისდევენ ინტერესთა და სოციალურ ძალთა გადანაცვლებას.

50. Jos. Calmette, La société féodale, S. 70f.
51. A. Luchaire, La société française au temps de Philippe Auguste. Paris, 1909, S. 265.
52. Ch. H. Haskins, The Renaissance of the Twelfth Century. Cambridge 1927, S. 55.
53. Ch. H. Haskins,, a. a. O., S. 56.
54. Ch. H. Haskins, a. a. O., S. 56
55. Eduard Wechssler, Das Kulturproblem des Minnesangs. Halle 1909, S. 173.
56. Eduard Wechssler, a.a. O., S. 174.
57. Eduard Wechssler, a.a. O., S. 143.
58. Eduard Wechssler, a.a. O., S. 113.
59. Hennig Brinkmann, Entstehungsgeschichte des Minnesangs. Halle 1926, S. 86.
60. Eduard Wechssler, a.a. O., S. 140.
61. A. Luchaire, La société française au temps de Philippe Auguste, S. 374.
62. A. Luchaire,a.a. O., S. 379.
63. A. Luchaire, a.a. O.,S. 379/80
64. Pierre de Vaissière Gentilshommes Compagnards de l' ancienne France. Paris 1903, S. 145
65. Hennig Brinkmann, Entstehungsgeschichte des Minnesangs. Halle 1926, S. 35.
66. Eduard Wechssler, a.a. O., S. 71.
67. შონბახი ახდენს ციტირებას Eduard Wechssler, a.a. O.,S. 74. იმავე აზრით, Marianne Weber, Ehefrau und Mutter in der Rechtsentwiklung. Tübingen 1907, S. 265.
68. ბუშე ახდენს ციტირებას P. de Vaissière , a.a. O., S. 145.
69. Eduard Wechssler, a.a.O., S. 214.
70. Hennig Brikmann, a.a. O., S. 45ff., 61. 86ff. შეად. ამასთან და შედგეშიც C.S. Lewis, The Allegory of Love, a Study in Medieval tradition. Oxford 1936, S.II.

"The new thing itself, I do not pretend to explain. Real changes in human sentiment are very rare, but I believe that they occur and that this is one of them. I am not sure that they have >causes<, if by a cause we mean something which would wholly account for the new state of affairs, and so explain away what seemed ist novelty. It is, at any rate, certain that the efforts of scholars have so far failed to find an origin for the content of provençal love poetry ."

71. ინგლისში შესაბამის გამოთქმას ვპოულობთ უფრო გვიანდელ ეპოქაში,ზოგჯერ, აშკარად მხოლოდ მოსამსახურეებთან მიმართებაში. ამის მაგალითია ის, რომ იმის ინგლისურ აღწერას, რაც კარგ სადილად ითვლება, იხ. G.G. Coulton, Social Life in Britain, Cambridge 1919, S. 375,

"*curtese* and honestie of servantes" უპირისპირდება „kynde frendeshyp and company of them that sytte at the supper".

72. Zarnke, Der deutsche Cato, a.a. O., S. 130 V.71 u S. 132 V.141f. მეომართა სასახლის გაკურტუაზების ამ პირველი დიდი ბიძგის სხვა მხარეებისათვის (რაინდთა ორდენების ჩამოყალიბება და კოდექსი სხვადასხვა ქვეყნებში) შეად. E. Prestage, "Chivalry", A series of studies to illustrate ist historical significance and civilizing influence, London 1928; A. T. Byles. Medieval courtesy-books and the prose romances of chivalry (S. 183ff.)
73. Achille Luchaire. Les premiers Capétiens, Paris 1901, S. 285. იხილე აგრეთვე A. Luchaire. Louis VI: le gros. Paris 1890, instroduction.
74. A. Luchaire. Histoire des institutions monarchiques de la France sous les premiers Capétiens (987-1180). Paris 1891, Bd.2, S. 258.
75. იხ. ზემოთ 17ff. განსაკუთრებით S. 31/32.
76. Sugar, Vie de Louis le Gros, Ausg. v. Molinier, kap. 8, S. 18/19, ციტირებულია შემდეგი წიგნის მიხედვით: A. Longnon, La formation de l' unité française, Paris 1878, S. 181.
77. Vuitry, Etudes sur le régime financier, paris 1878, S. 181.
78. Luchaire, Louis VI, a. a. O.
79. "ნორტუმბერლანდიდან არხამდე უფრო ადვილად დგინდებოდა ერთიანობა, ვიდრე ფლანდრიიდან პირინეებამდე. „ Petit- Dutaillis, La Monarchie féodale, Paris, 1933, S. 37. მხარეთა სიდიდესთან დაკავშირებით იხ. აგრეთვე : Rob. H. Lowie, The Origin of the State, New York 1927, The Size of the State, S. 7ff.

W.M. Macleod, The Origin and History of Politics, New York 1931, მიუთითებს იმაზე, რა საოცარია მიმოსვლის საშუალებათა სიმარტივის პირობებში, არსებითად, ისეთ დიდ პოლიტიკურ გაერთიანებათა არსებობა და შედრებითი სტაბილურობა როგორიცაა ინკების სამეფო და ჩინეთის იმპერია. მხოლოდ ამ იმპერიებში ცენტრიდანული და ცენტრისკენული ძალების ტენდენციებისა და ინტერესების თამაშის ზუსტ სტრუქტურულ-ისტორიულ ანალიზს შეუძლია აგვიხსნას სინამდვილეში ამ უზარმაზარ მხარეთა შეზრდის და მათი ურთიერთმიმართების ხასიათი.

ცენტრალიზების ჩინური ფორმა ცხადია, განსაკუთრებით თავისთავადია ევროპულთან შედარებით. აქ მეომართა ფენა აშკარად უფრო ადრე და განსაკუთრებით რადიკალურად ამოიძირკვა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების მიერ. ამ ამოძირკვას — როცა კი ის ხორციელდებოდა — უკავშირდება ჩინური საზოგადოების სტრუქტურის ორი ძირითადი თავისებურება: მინებზე გამგებლობის გადასვლა გლეხების ხელში (რასაც ჩვენ დასავლური ეპოქის ადრეულ ხანაში ძალზე იშვიათად, კერძოდ, შვედეთში ვხვდებით) და სახელისუფლო აპარატის დაკავება ნაწილობრივ გლეხობისაგან შემდგარი, მთლიანად პაციფიცირებული მოხელეობისაგან. ამ მოხელეთა იერარქიით გაშუალებული კურტუაზიული ცივილიზაციური ნაკადები ხალხის ყველაზე ქვედა ფენებამდე აღწევს: ისინი მრავალგვარად ტრანსფორმირებული ფორმით ფეხს იკიდებენ სოფელში მოქმედ ქცევის კოდექსში. და ის, რასაც ხშირად ახასიათებენ, როგორც ჩინელი ხალხის „არამებრძოლ" ხასიათს, ეს არა რომელიმე „ბუნებრივი უნარის" გამო-

ხატულებაა, არამედ იმითაა გამონვეული, რომ ფენა რომლისგანაც ხალხი, თავისი გამუდმებული კონტაქტების გამო ბევრ მოდელს აიღებს, საუკუნეებიდან მოყოლებული იყო არა მეომართა ან არისტოკრატთა ფენა, არამედ მშვიდობიანი და ნასწავლი მოხელეობა. პირველ რიგში, მათი მდგომარეობა და ფუნქცია იმაში გამოიხატება, რომ ჩინელი ხალხის ტრადიციულ ღირებულებით შკალაზე, იაპონელებისაგან განსხვავებით, ძალიან მაღალი ადგილი აღარ უჭირავს საომარ საქმიანობას და ძლიერებას. მაშასადამე, რა განსხვავებულიც უნდა იყოს ჩინეთის ცენტრალიზება დასავლური სამყაროს ცივილიზაციის პროცესებისაგან, აქაც და იქაც, დიდი სამფლობელოს ერთიანობის საფუძველს ქმნიდა თავისუფლად კონკურირებად მეომართა და ფეოდალთა დაძლევა.

80. „სახელმწიფოთა" აღმშენებლობისათვის ფიზიკური ძალადობის გამოყენების მნიშვნელობის შესახებ იხ. პირველ ყოვლისა: Max Weber, "Wirtschaft und Gesellschaft". Tübingen 1922.

81. იხ. ზემოთ S. 142ff. აუცილებლად არ მიგვაჩნია, დღევანდელი ჩვეულების შესაბამისად, აქ მონოპოლიური მექანიზმის კანონზომიერებისათვის მათემატიკური გამოხატულება ვეძებოთ. თუმცა, მისი პოვნა შეუძლებელი არ უნდა იყოს. თუ ის მონახული იქნება, მაშინ შესაძლებელი იქნება, ამ მხრივაც, განვიხილოთ ერთი საკითხი, რომელსაც დღეს, თითქმის, საერთოდ, არ სვამენ: კერძოდ, მათემატიკური ფორმულირების *შემეცნებისეული ღირებულების* პრობლემა. საკუთარ თავს უნდა ვკითხოთ: რას მოიგებს მაგალითად, მათემატიკური ფორმულირების შედეგად მონოპოლიური მექანიზმი შემეცნების შესაძლებლობისა და სიცხადის თვალსაზრისით? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მხოლოდ მარტივი გამოცდილების საფუძველზეა შესაძლებელი.

მართალია, უეჭველია, რომ ზოგადი კანონზომიერების ფორმულირებასთან ბევრი ადამიანის ცნობიერებაში დაკავშირებულია გარკვეული ღირებულება, რომელსაც (ყოველ შემთხვევაში, რამდენადაც საქმე ისტორიულ და სოციალურ მეცნიერებებს ეხება) არავითარი კავშირი არა აქვს შემეცნებისეულ ღირებულებასთან; და ღირებულებათა ამ გადაუმოწმებელ შეფასებას, საკმაოდ ხშირად, შეცდომისაკენ მიჰყავს კვლევა. ბევრ ადამიანს ყველა ცვლილების რაღაც უცვლელით ახსნა კვლევის უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია. მათემატიკური ფორმულირების სახე საბოლოოდ არ დაიყვანება მარადიული ღირებულების შეფასების ამ ფორმაზე. მაგრამ ამ იდეალს და ღირებულებით შკალას თავისი ფესვები აქვს არა თავად კვლევის შემეცნებით ამოცანებში, ისინი არ წარმოადგენენ ისტორიულ-სოციალური კვლევების საბოლოო მიზანს ან დაგვირგვინებას, არამედ ამგვარ კანონზომიერებათა გაგება ნაყოფიერია, როგორც სხვა საბოლოო მიზნისაკენ სვლისა, როგორც ადამიანების საკუთარ თავში და სამყაროში ორიენტირების საშუალება. მათი ღირებულება მხოლოდ ისტორიული ცვლილების ახსნის მათეულ ფუნქციაშია.

82. იხ. ამასთან Kap. III. Über die Entwicklungsmechanik d. Gesellschaft im Mitelalter, Teil I, S. 23ff. შეად. „სოციალური ძლიერების" ცნების თვალსაზრისით ქვემოთ : „Bemerkung über d. Begr. d. ges. Stärke" , S. 91ff.

83. Auguste Longnon, Atlas historique de la France, Paris 1889.

84. A, Luchaire, Histoire des institutions monarchiques, 1891, Bd. I, S. 90.

85. Ch. Petit-Dutaillis, La monarchie féodale es France et en Angleterre, Paris 1933, S. 109ff.
86. A. Cartellieri, Philipp II. August und der Zusammenbruch des Angevinischen reiches. Leipzig. 1913, S. 5.
87. იხ. A. Longnon, La Formation de l'unité française, Paris 1922, S. 98.
88. Luchaire, Louis VII., Philipp Augustus, Louis VIII, Paris 1901
(Lavisse Hist. d. Fr. III, I)S. 204
89. Ch. Petit- Dutaillis. Etudes sur la vie et le règne de Louis VIII., Paris 1894, S. 220.
90. Vuitry, Etudes sur le régime financier de la France,nouvelle série, Paris 1883, Bd. I. S. 345.
91. Vietry, a.a. O., nouv. sér., 1883, S. 370
92. მსგავს ფეოდალურ სასახლის კართა ზუსტ აღწერას შეხვდებით წიგნში : A. Longnon. La Formation de l'unité française, Paris 1922, S. 224f.
93. Vuitry, a.a. O., nouv. ser.,.S. 414.
94. იხ. მაგ. Karl Mannheim, Die Bedeutung der Konkurenz im Gebiete des Geistigen. Verhandlungen des sechsten deutschen Soziologentages, Tübingen, 1929, S. 35ff.
95. Dupont - Ferrier, La formation de l'état français et l' unité française. Paris 1934, S. 150.
96. L. Mirot, Manuel de géographie historique de la France, Paris, 1929. Karte 19. ადრინდელ თვალსაზრისებთან დაკავშირებითაც აქ შევხვდებით შესაბამის რუკებს.
97. P. Imbart de la Tour, Les origines de la réforme, Paris 1905, Bd. I,Buch I, Kap. IV.
98. L. Mirot, Manuel de géographie historique de la France, karte 21.
99. Henri Hauser, Besprechung v. G. Dupont- Ferrier, La formation de l'Etat français, Revue historique 1929, Bd. 161, S. 381.
100. L.W. Fowles, Loomis Institute, USA, zit. in Newa Rewiew, Nr. 35, S. 32.
101. A. Luchaire, Les communes françaises à l'époque des Capétiens directs. Paris, S. 276.
102. ადგილის უკმარობის გამო, ჩვენ იძულებული გავხდით აქ, ისევე როგორც სხვა მონაკვეთებთან დაკავშირებით, გვერდზე გადაგვედო დამამტკიცებელი მასალა. ავტორი იმედოვნებს, რომ ის შეძლებს ამ მასალები ერთად თავმოყრას დამატებით ტომში.
103. P. Lehugeur, Philippe le Long (1316-1322). Le mécanisme du gouvernement, Paris1931, S. 209.
104. G. Dupont-Ferrier, La formation de l' Etat français, Paris 1934, S. 93.
105. Brantôme, Œ uvres complètes, publiées par L. Lalanne. Bd. IV, S. 328 ff.
106. Mariéjol, Henri IV. et Louis XIII., Paris 1905, S. 2.
107. Mariéjol, Henri IV. et Louis XIII., Paris 1905, S.390.
108. იხ. და სხ. Ad. Stölzel, Die Entwicklung des gelehrten Richtertums in deutschaen Territorien, Stuttgart 1872, S. 600.
109. Richelieu, Politisches Testament, Teil I, Kap. 3, Absch. I.
110. Lavisse, Louis XIV., Paris, 1906, S. 128.
111. St.-Simon, Memoiren, Übers.v. Lotheißen, Bd. II, S. 85.
112. იხ. Lavisse, Louis XIV, a.a. O., S. 130.
113. St.-Simon. Memoiren, Übers.v. Lotheißen, Bd. I,S. 167.
114. St.-Simon, Memoiren(Nouv. éd. Par A. de Boislisle), Paris 1910. Bd. 22, S. 35 (1711).
115. Th.v. Aquino, De regimine Judaeorum Ausg. v. Rom Bd. XIX, S. 622.
116. Vuitry, Etudes sur la Régime financier de la France, Paris 1878, S. 392f.
117. Vuitry, a.a. O., nouv., série, Bd.I, Paris 1883, S. 145. ფულზე მეფის

გაზრდილი მოთხოვნის გავლენით ფეოდალი მმართველების უფლებების მონეტიზაციის სხვა ფორმა ყმების გათავისუფლებისა, მეფისა და მისი მოხელეებისათვის გარკვეული თანხის გადახდით იხ. Mark Bloch, Rois et Serfs, Paris 1920.

118. P. Voillet. Histoire des institutions politiques et administrarives de la France, Paris 1898, Bd. 2, S. 242.
119. P. Voillet,a.a. O., S. 242.
120. Vuitry, a.a. O., nouv., série, Bd.II, S. 48.
121. G. Dupont-Ferrier, La Chambre ou Cour des Aides de Paris, Revue historique, Bd. 170, Paris 1932, S. 195; აქ და შემდეგ საკითხთან დაკავშირებით იხ. ამავე ავტორის : Etudes sur les institutions finansières de la France, Bd. 2, Paris 1932
122. Léon Mirot, Les insurrections urbaines au début du règne de Charles VI, Paris 1905, S. 7.
123. L. Mirot, a.a.O., S.37.
124. G. Dupont-Ferrier, La Chambre ou Cour des Aides de Paris, a.a. O., S. 202. შეად. Petit-dutaillis, Charles VII, Louis Xi, et les premières années de Charles VIII. (Lavisse, Hist. de France, IV, 2.)Paris 1902.
125. Voillet, a.a.O., Bd. III, Paris 1903, S. 465. ის. აგრეთვე Thomas Basin, Histoire des règnes de Charles VII et de Louis XI, Hrsgb. v. Quicherat, Paris 1855, Bd. I, S. 170ff. ფინანსური ორგანიზაციის ცალკეული დეტალები: G. Jacqueton, Documents relatifs à l'administration financière en France de Charles VII à François Ier, (1443-1523) , Paris 1897, განსაკუთრებით კითხვასა და პასუხში მოცემული Nr. XIX, Le vestige des finances (Instruktionsbuch für zukunftige Finanzbeamte der Zeit?)
126. Eug. Albèri, Relazioni degli Ambasciatori Veneti al Senato. I. Serie, Bd. IV, Florenz 1860, S. 18f. (Relazione di Francia di Zaccaria Contarini, 1492).
127. L.v. Ranke, Zur Vvenezianischen Geschichte, Leipzig 1878, S. 59; H. Kretschmayer, Geschichte v. Venedig. Stuttgart 1934, S. 159ff.
128. Eug. Albèri, Relazioni degli Ambasciatori Veneti , I. Serie, Bd. I, Florenz 1839, S. 232ff.
ხშირად და არცთუ უსაფუძვლოდ იყო მითითებული, რომ საფრანგეთის პირველი აბსოლუტური მონარქები იტალიური ქალაქ-სახელმწიფოთა მეფეებისაგან სწავლობდნენ. ასე, მაგ. Gab. Hanotaux. Le pouvoir royale sous François Ier, in Etudes historique sur le XVIe et le VIIe siécle en France, Paris 1886, S. 7ff.: "La cour de Rome et la chancellerie vénitienne eussent suffi, à elles seules, pour répamdre les doctrines nouvelles de la diplomatie et de la politique. Mais, en réalite, dans le fourmillement des petits Etats qui se partageaint la péninsule il n'en étaet pas un qui ne pût des examples... Les monarchies de l' Europe se mirent à l'école des princes et des tyrans de Naples, de Florence et de Ferrare."

ცხადია, აქ, ისევე როგორც ხშირად, პროცესები იმავე მიმართულებით ვითარდება, როგორც მსგავსი სტრუქტურის პროცესები ჯერ უფრო პატარა, შემდეგ კი დიდ რეგიონებში და ამ დიდ რეგიონთა მმართველები ცხადია, გარკვეულნილად, სარგებლობდნენ პატარა რეგიონების გამოცდილებით, ორგანიზაციისა და ურთიერთობათა ფორმების ცოდნით. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც, მხოლოდ ზუსტ, შედარებით სტრუქტურულ-ისტორიულ კვლევას შეეძლო გამოემუშავებინა იმის საიმედო ცოდნა, რამდენად უახლოვდება ერთმანეთს იტალიური

ქალაქ-სახელმწიფოების ცენტრალიზების პროცესები და პოლიტიკური ორგანიზაცია საფრანგეთის ადრეული მონარქიის შესაბამისი პროცესებს და ინსტიტუტებს და რამდენად გადაიხრება მათგან, რადგან საზოგადოებათა განსხვავებებს სიდიდის მიხედვით მუდამ მოსდევს ხარისხობრივი სტრუქტურული განსხვავებები. ვენეციელი ელჩის აღწერა და მისი ტონი იმის სასარგებლოდ არ მეტყველებს, რომ მას საფრანგეთის მეფის ძალაუფლების სპეციფიკური მდგომარეობა და ფინანსური ორგანიზაცია, რომელზედაც ეს მდგომარეობაა დამოკიდებული, რაღაც ისეთად ეჩვენებოდეს, რასაც იტალიიდან დიდი ხანია იცნობს.

შენიშვნები „ცივილიზაციის თეორიის მონახაზისათვის"

129. დღეს ფართოდაა გავრცელებული ის შეხედულება, რომ სოციალური თანაცხოვრების ფორმები და ცალკეული სოციალური ინსტიტუტები პირველ რიგში იმ მიზანშეწონილობიდან უნდა აიხსნებოდეს, რომელიც მათ ამგვარად დაკავშირებულ ადამიანთათვის აქვთ. ამ შეხედულების მიხედვით, არსებითად, ისე ჩანს, თითქოს ადამიანებმა ამ ინსტიტუტების მიზანშეწონილობის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ოდესღაც ერთობლივად გადაწყვიტეს ასე ეცხოვრათ და არა სხვაგვარად. მაგრამ ეს წარმოდგენა ფიქციაა და ამდენად, ის არ არის კვლევისათვის კარგი გზამკვლევი ინსტრუმენტი.

თანხმობა, რომელსაც ერთეული ადამიანი იძლევა სხვა ადამიანებთან თანაცხოვრების განსაზღვრულ ფორმაზე და იმის გამართლება, რომ გარკვეული მიზნებიდან გამომდინარე, ის სხვებთან გაერთიანებულია სახელმწიფოებრივი ერთობის ფორმაში, როგორც მოქალაქე, მოხელე, მუშა თუ გლეხი და არა რაინდი, მღვდელი, ყმა, ან როგორც მომთაბარე მესაქონლე, ეს თანხმობა და გამართლება უფრო რაღაც შემდგომია. ერთეულ ადამიანს, ამ თვალსაზრისით, დიდი არჩევანი არ გააჩნია. ის იბადება გარკვეული ტიპის წესრიგსა და ინსტიტუტებში ჩართული; ის მეტ-ნაკლები წარმატებით მოერგება მათ. და მაშინაც, კი, თუ ეს წესრიგი მას ნაკლებ მოსაწონად და მიზანშეწონილად მიაჩნია, მას არ შეუძლია უბრალოდ უკან წაიღოს თავისი თანხმობა და არსებული წესრიგიდან ამოხტეს. ის შეიძლება შეეცადოს მისგან თავის დაღწევას, როგორც ავანტიურისტი, როგორც "Tramp" ხელოვანი ან მწერალი, მას შეუძლია, ბოლოს და ბოლოს, უკაცრიელ კუნძულზე გაიქცეს, მაგრამ როგორც ამ წესრიგიდან ლტოლვილი, ის მაინც მისი პროდუქტია. მისი დაუფასებლობა და მისგან გაქცევა ისევე გამოხატავს მისით განპირობებულობას, როგორც მისი განდიდება და გამართლება.

იმ ამოცანებს, რომელთა დაძლევა ჯერ კიდევ წინ გველოდება, იმ მიზანშეწონილობის დამაჯერებლად განმარტებაც მიეკუთვნება, რომლის საფუძველზე რეალიზდებოდა, შემოინახებოდა და იცვლებოდა თანაცხოვრების გარკვეული ფორმები, მაგალითად, ჩვენი საკუთარი სოციალური ფორმები და ინსტიტუტები. მაგრამ თავს მოვიტყუებთ და მათი გენეზისის გაგებასთან მისასვლელი ჩაკეტილი დარჩება თუ წარმოვიდგენთ, რომ ისინი ადამიანის ქმნილებებისა და საქმეების

მსგავსად წარმოიშვნენ, კერძოდ: ინდივიდუალური მიზნის დასახვისა ან სულაც გონივრული გააზრებებისა და გეგმების გზით. წარმოადგენა, რომ დასავლური სამყაროს ადამიანებმა ადრეული შუა საუკუნეებიდან მოყოლებული საერთო მისწრაფებით და ნათელი მიზნების დასახვით, გონივრული გეგმით შეიმუშავეს თანაცხოვრების ის წესრიგი და ის ინსტიტუტები, რომელშიც ჩვენ დღეს ვცხოვრობთ, ფაქტებით ძნელად თუ დასტურდება. თუ როგორ მოხდა ეს სინამდვილეში, ეს შეიძლება მხოლოდ თვით ამ სოციალური ფორმების ისტორიული ხდომილების ფაქტებზე ორიენტირებული და თვალსაჩინო მასალით მდიდარი კვლევის გზით შევისწავლოთ. ამის გაკეთებას, სახელმწიფოს ორგანიზაციის თვალსაზრისით ჩვენ შევეცადეთ ზემოთ, ერთ-ერთ მონაკვეთში. მაგრამ, ამით ამავე დროს შევიქმნით უფრო ფართო მნიშვნელობის მქონე ამა თუ იმ თვალსაზრისს, მაგალითად, გარკვეულ შეხედულებას ისტორიულ-სოციალური პროცესების ბუნების შესახებ: ჩვენ ვხედავთ, რამდენად ცოტა რამ გაცხადდება არსებითად იმით, თუ ამგვარ ინსტიტუტებს, როგორიცაა „სახელმწიფო", რაციონალური მიზანდასახულობიდან ავხსნით.

ცალკეულ ადამიანთა მიზნები, გეგმები და ქმედებები გამუდმებით ერთმანეთს გადაეჯაჭვება. მაგრამ ბევრი ადამიანის ქმედებათა და გეგმების ეს გადაჯაჭვულობა, რომელიც სხვათა შორის განუწყვეტლივ, თაობათა მანძილზე მიმდინარეობს, თავად არ არის დაგეგმილი. მას ვერ გავიგებთ ცალკეულ ადამიანთა გეგმებიდან და მიზნებიდან, ან მათ მაგალითზე. აქ საქმე გვაქვს თავისთავად მოვლენებთან, იძულებებთან და მიზანშეწონილობასთან. ამის შედეგად ხდება ის, რომ რამდენიმე ადამიანი ერთსა და იმავე მიზანს ისახავს, რომ მათ მიწის ერთი და იგივე ნაკვეთი, ერთი და იგივე გასაღების ბაზარი ან ერთი და იგივე სოციალური პოზიცია სურთ. ეს კი არცერთ მათგანს არ დაუსახავს მიზნად და არ დაუგეგმავს. ასე რეალიზდება სპეციფიკური სოციალური ფენომენი, თავისთავადი კანონზომიერების მქონე კონკურენტული ურთიერთობა, რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი. ასევე, სულ უფრო დიდ ადამიანურ სივრცეთა მზარდი დიფერენცირება, თვით სახელმწიფოთა ფორმით ინტეგრაცია და ბევრი ისტორიულ-სოციალური პროცესი არის შედეგი არა ბევრი ადამიანის საერთო გეგმისა, არამედ რაღაც დაუგეგმავი, მრავალი ადამიანის გეგმის დამთხვევისა და დაპირისპირებულობისაგან გამომდინარე რამ.

და მხოლოდ ინდივიდუალური გეგმებისა და მოქედებათა გადაჯაჭვულობის კანონზომიერებაში, ერთეული ადამიანის სხვასთან თანაცხოვრებაში ჩახედვა გვაძლევს ინდივიდუალობის ფენომენის უკეთ გაგების შესაძლებლობას. ადამიანთა თანაცხოვრება, მათი განზრახვებისა და გეგმების ქსელი, ადამიანთა ერთმანეთთან დაკავშირებულობა — ეს ფაქტორები მეტად ქმნიან მედიუმს, რომელშიც ისინი გაიშლებიან, ისე რომ სულაც არ ანადგურებენ ერთეული ადამიანის ინდივიდუალობას. ისინი უწესებენ ადამიანებს საზღვრებს, მაგრამ ამავე დროს, აძლევენ მათ მეტ-ნაკლებად დიდ სამოქმედო სივრცეს. ადამიანთა სოციალური წნული ქმნის სუბსტრატს, რომლიდანაც და რომელშიც ერთეული ადამიანი საკუთარ მიზნებს განუწყვეტლივ ხლართავს და ჩააქსოვს. მაგრამ თვით ეს წნული და მისი ისტორიული ცვლილება, როგორც მთელი, მის ნამდვილ მსვლელობაში არავის დაუსახავს მიზნად და არ დაუგეგმავს.

ამასთან დაკავშირებით უფრო ზუსტად იხ. N. Elias, Die Gesellschaft der Individuen. Basel. 1939 (თავდაპირველად გამოვიდა კრებულში: Jahrbuch der schwedischen Gesellschaft für Philosophie und Spezialforschung, Uppsala 1939).

130. დისკუსია სოციალური პროცესების პრობლემის შესახებ იხ. Social Problems and Social Processes, Selected Papers from the Proceedings of the American Sociological Society 1932, hrsgb. v. E.S. Bogardus, Shicago 1933. სოციალური პროცესების შესახებ უფრო ძველი ბიოლოგისტური თვალსაზრისის კრიტიკის შესახებ იხ. W. F. Ogburn, Social Change, London 1932. S. 56f. : " The publication of the >Origin of Species< , setting forth a theory of evolution of species in terms of natural selection, heredity and variation , created a deep impression on the anthropologists and sociologists. The conseption of evolution was so profound that the changes is society were seen as a manifestetion of evolution and there was an attempt to seek the causes of these social changes in termps of variation and selsction... Preliminary to the search for causes, however, attempts were made to establish the development of particular social institutions in succesive stages, a evolutionary series, a particular stage necessarily proceding another. The search for laws led to many hypotheses regarding factors such as geografical location, climate, migration, group conflict, racial ability, the evolution of mental ability and such principes as variation, natural selection, and survival of the fit. A half-century or more of investigations on such theories has vielded some results, but the achievements have not been up the higt hopes entertained shortly after the publication of Darwin's theory of natural selection.

The inevitable series of stages in the development of social insitutions has not only been proven but has been disproven...".

ისტორიული ცვლილების პრობლემისადმი მიდგომის ახალი ტენდენციების შეს. შეად. A. Goldenweiser, Social Evolution in Encyclopedia of Social Sciences, New York 1931. Bd. 5, S.656ff.(იქვე დაწვრილებითი ბიბლიოგრაფია). სტატია სრულდება შემდეგი მსჯელობით : "Since the World War students of the social sciences without aiming at the logical orderliness of evolutionary schemes have renewed their search for relatively stable tendencies and regulerities in history and society. On the other hand, the growing discrepancy between ideals and the workings of history is guiding the sciences of society into more and more pragmatic channels. If there is social evolution, whatever it may be, it is no longer accepted as a process to be contemplated but as a task to be achieved by deliberate and concerted human effort."

ცივილიზაციის პროცესის შესახებ ეს გამოკვლევა პრაგმატული მისწრაფებებისაგან გადაიხრება, როცა ის, დასაწყისში, დროებით, გვერდზე გადადებს ჯერარსულისათვის ყველა სურვილს და მოთხოვნას და ცდილობს დაადგინოს, რა იყო და არის და რა გზით, რის საფუძველზე იყო ის ასე, როგორც იყო და არის. ჩვენ უფრო სნორად მიგვაჩნდა თერაპია ყოფილიყო დამოკიდებული დიაგნოზზე და არა დიაგნოზი თერაპიაზე.

შეად. ამასთან Fr.J. Teggart, Theory of History, New Haven 1925, S. 148 "... the investigation of >how things have come to be as they are<...".

131. შეად. E.C. Parsons, Fear and Conventionality, New York, London. 1914. სხვაგვარ შეხედულებას ვხვდებით მაგ. ნაშრომში: W.G. Summer, Folkays,

Boston 107, S. 419: "It is never correct to regard any one of the taboos as an arbitrary invention or burden laid on society by tradition without necessity... they have been sifted for centuries by such as experience has proved to be expedient."

132. იხილე ამასთან კარგი გადმოცემა Huizinga, Der Herbst des Mitelalters. München 1924. Kap. I, შემდეგი მაგალითები S. 239ff. ზემოთ თქმული სამართლიანია მაგალითად, დღევანდელი აღმოსავლეთის მსგავსი სტრუქტურის მქონე საზოგადოებათათვის და სხვადასხვა გრადაციით ე.ნ. „პრიმიტიული საზოგადოებებისათვის", გადაჯაჭვულობის ტიპის, ხარისხისა და სიდიდის მიხედვით.

თუ რა ძლიერად გამოვლინდება ჩვენი საზოგადოების ბავშვებში, ფართოდ გავრცელებული ცივილიზაციის ხასიათებით გამსჭვალვის მიუხედავად, სხვა სტანდარტის ქცევის ფორმები თავისი მარტივი და სნორხაზოვანი ფორმებით და სწრაფი გარდატეხებისათვის თავისი მზაობით, გვიჩვენებს მაგალითად იმის შემდეგი აღწერა, რა მოსწონთ ბავშვებს ფილმებში: (Daily Telegraph, 12. Febr. 37): "Children, especially young children, like aggresion... They favour action, action and more action. They are not averse from the shedding of blood, but it must be dark blood. Virtue triumpnant is cheered to the echo: villaing is booed with a fine enthusiasm. When scienes of one alternate with scienes of the other, as in sequences of pursuit, the transition from the cheer to the boo is timed to a split second".

მარტივ საზოგადოებებში ტაბუს სპეციფიკური სტრუქტურა უმჭიდროესად უკავშირდება ემოციური გამოხატულების სხვა ძალას, ორივე მხარეს, შიშისა თუ სიამოვნებისაკენ, სიმპათიისა თუ ანტიპათიისაკენ მისი გადახრის სიძლიერეს. ზემოთ უკვე მივუთითეთ ამაზე (S. 330ff. Bd. 337/338, შეად. ა. Bd. I, S. 248ff), რომ დასავლურ შუა საუკუნეებში არა მხოლოდ სიამოვნებაზე მიმართული იმპულსთა და აფექტთა გამოვლინებანი, არამედ აკრძალვები, მაგალითად, თვითგვემისა და ასკეტური ტენდენციებიც, უფრო ძლიერი, ინტენსიური და აქედან გამომდინარე, მკაცრი იყო, ვიდრე ცივილიზაციის პროცესის უფრო გვიანდელ საფეხურებზე.

შეად. ამასთან აგრეთვე R.H. Lowie, Food Etiquette, in "Are we civilizes?"London 1929, S. 48: "... The savage rules of etiquette are not only strict, but formidable. Nevertheless, to us their table manners are shocking."

133. შეად. Ch. H. Judd, The Psychology of Social Institutions, New York 1926, S. 105ff. შეად. ა. S. 32ff. და S. 77ff.

134. Grazians "Handorakel"— ამ წიგნის ფრანგული თარგმანის წინასიტყვაობა : Amelot de la Houssaie, Paris 1684. Cracians "Oraculo Manuale", რომელიც 1647 წელს გამოიცა, მხოლოდ მე-17 და მე-18 საუკუნის საფრანგეთში დახლოებით ოცჯერ გამოვიდა შემდეგი სახელით: "L'Homme de Cour". გარკვეულწილად, ის შეიძლება კურტუაზიული ფსიქოლოგიის პირველი სახელმძღვანელოდ ჩავთვალოთ, ისევე როგორც მაკიაველის წიგნი მეფეთა შესახებ კურტუაზიულ-მონარქიული პოლიტიკის პირველ, კლასიკურ სახელმძღვანელოს წარმოადგენს. თუმცა მაკიაველი, როგორც ჩანს, უფრო მეტად გამოხატავს მეფეთა პოზიციას, ვიდრე გრასიანი. ის მეტ-ნაკლებად ამართლებს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი აბსოლუტიზმის „სახელმწიფო ინტერესს". გრასიანი, ესპანელი იეზუიტი, თავისი გულის სიღრმეში არად მიიჩნევს სახელმწიფო ინტერესს. ის განუმარტავს საკუთარ თავს და სხვებს დიდი სასახლის

კარის თამაშის წესებს, როგორც ისეთ რაიმეს, რასაც უნდა დაემორჩილო, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია.

მაგრამ არანაკლებ მახასიათებელია ის, რომ მიუხედავად მაკიაველის და გრასიანის მიერ აღწერილი ქცევის ფორმათა ამ განსხვავებებისა, ისინი საშუალო წოდების მოქალაქეებს „ამორალურად ეჩვენებათ", თუმცა, მსგავს ქცევებსა და შეგრძნობებს ბიურგერთა სამყაროშიც ვხვდებით. არა-კურტუაზი ადამიანების მიერ კურტუაზიული ფსიქოლოგიისა და ქცევის ფორმების ამ გაკიცხვაშიც გამოიხატება სპეციფიკური განსხვავება მთლიანი სოციალური მოდელირებისა, რომელსაც ადამიანების ერთსა თუ მეორე ჯგუფში განიცდიან. ბიურგერული არაკურტუაზიული ფენების სულიერ სამყაროში სხვაგვარად ჩაშენდება საზოგადოებრივი მოთხოვნები და აკრძალვები, ვიდრე სასახლის კარისეული ფენის სულიერ სამყაროში. იქ „ზე-მე"-ს წარმონაქმნი ბევრად უფრო მწვავე და ბევრი თვალსაზრისით უფრო მკაცრია, ვიდრე აქ. ადამიანთა შორის ყოველდღიური ურთიერთობის ძალისმიერი მხარე, მართალია, საშუალო წოდების ბიურგერულ სამყაროშიც არ ქრება, თუმცა აქ ის უფრო მეტად განიდევნება იმისაგან, რაც მწერალმა, ადამიანმა შეიძლება გამოთქვას და შეძლებისდაგვარად უფრო მკაცრად განიდევნება ცნობიერებიდანაც, ვიდრე სასახლის კარისეულ ფენაში.

კურტუაზიულ-არისტოკრატიულ ფენებში: „შენ ვალდებული ხარ" ამ გამოთქმას, ხშირად, მხოლოდ ცხოვრებისეული სიბრძნის ძალა აქვს, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პრაქტიკული აუცილებლობიდან გამომდინარე; ამ წრეში ზრდასრულებსაც არასოდეს ავიწყდებათ, რომ ამ დროს საუბარია იმ მცნებებზე, რომელიც მან საკუთარ თავს უნდა დაუწესოს, რადგან ის სხვა ადამიანებთან ერთად ცხოვრობს. საშუალო წოდებრივ – ბურჟუაზიულ ფენებში, ხშირად, შესაბამისი მოთხოვნები და აკრძალვები პატარაობიდანვე უფრო ღრმადაა ფესვგადგმული თითოეულ ადამიანში, თანაც არა როგორც ცხოვრებისეული სიბრძნის წესები, არამედ როგორც სინდისის ავტომატურად მოქმედი იმპულსები. აქედან გამომდინარე აქ, „ზე-მე"-ს მოთხოვნა „შენ ვალდებული ხარ" და „შენ არა ხარ ვალდებული" უფრო აქტიურად ერევა არსებულის გადამუშავებასა და მასზე დაკვირვებაში. უთვალავი მაგალითებიდან , რომელიც შეგვეძლო მოგვეტანა, ერთს დავასახელებთ : გრასიანი ამბობს თავის მითითებაში : Connaître à fond caractère de ceux avec qui l'on traite" (Nr. 237) და სხვა: "N'attends presque rien de bon de ceux qui ont quelque défaut natural au corps; car ils ont coutume de se venger de la Nature...". მე-17 საუკუნის, ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული წიგნი საშუალო წოდების მანერათა შესახებ, რომლიდანაც მომდინარეობს ჯორჯ ვაშინგტონის ცნობილი წესები (Francis Hawkins, Yout's Behaviour , 1646). წინა პლანზე აყენებს მაქსიმას :„შენ არა ხარ ვალდებული" და ამით როგორც ქცევას, ისე ქცევაზე დაკვირვებას სხვა მორალურ დატვირთვას აძლევს (Nr. 31): "Scorne not any for the infirmityes of nature, which by no art can be amended, nor do thou delight to put them in minde of them, since it very oft procures envye and promotes malice even to revenge".

ერთი სიტყვით, გრასიანთან, ისევე როგორც მის შემდეგ ლა როშფუკოსთან და ლა ბრუიერთან, მაქსიმების ფორმაში კვლავ ვხვდებით ყველა იმ ქცევის ფორმას, რომლებიც მაგალითად, სენ-სიმონთან თვით

სასახლის კარის პრაქტიკაში გვხვდება. აქ ისევ და ისევ ნავანყდებით მითითებებს აფექტების შეკავების შესახებ: (Nr. 287)N'agir jamais durant la passion parle tougâtera tout. ან (Nr. 273): L'homme prévenu de passion parle toujours un langage différent de ce que sont les choses, la passion parle en lui et non la raison. აქ ვხვდებით მითითებას „ფსიქოლოგიურ განწყობაზე", ხასიათზე გამუდმებულ დაკვირვებაზე (Nr. 273): Connaître à fond le caractère de ceux, qui l'on traite. ან დასკვნა, როგორც მათი შედეგი (Nr. 201): Teus ceux qui paraissent fous, le sont, et encore la moitié de ceux, qui ne le parassent pas. თვითდაკვირვების აუცილებლობა(Nr. 225): Connaître son défaut dominant. ნახევრადჭეშმარიტების აუცილებლობა(Nr.210): Savoir jouer de la vérite. შეხედულება, რომ ნამდვილი ჭეშმარიტება მთელი ექსისტენციის ჭეშმარიტებაში, ადამიანის სუბსტანციალობაში მდგომარეობს და არა ცალკეულ სიტყვაში(Nr. 175): L'homme substantiel. Il n'y a que la Vérite, qui puisse donner une véritable réputation; et que la substance, qui tourne à profit. პერსპექტიული ხედვის აუცილებლობა(Nr. 151): Penser aujourd'hui pour demain, et pour longtemps. ზომიერება ყველაფერში(Nr. 82): Un Sage a compris toute la sagesse en ce précepte, RIEN DE TROP. სრულყოფილების სპეციფიკური კურტუაზიულ-არისტოკრატიული ფორმა, ზომიერი და გარდაქმნილი იმპულსური ბუნების სრული შეკრულობა, სიმსუბუქე, შარმი, ადამიანებად გარდაქმნილი ცხოველის ახალი სილამაზე (Nr. 127): LE JE-NE-SAIS-QUOI. Sans lui toute beauté est morte, toute grâce est sans grâce... Les autres perfections sont l'ornement de la Nature, le Je-ne-sais-quoi est celui des perfections. Il se fait remarquer jusque dans la manière de raisonner... ან, სხვა მხრივ, ადამიანი აფექტულობის გარეშე (Nr. 123): L'homme sans affectation. Plus il y a de perfections et moins il y a d'affectation. Les plus éminentes qualités perdent leux prix, sil'on y découvre de l'affectation, parce gu'on les attribue plutôt à une contrainte artificieuse qu'au vrai caractère de la personne. ომი ადამიანსა და ადამიანს შორის გარდაუვალია; აწარმოე ის გამუდმებით (Nr. 165): Faire bonne guerre. Vaincre en scélérat, ce n'est pas vaincre, mais bien se laisser vaincre. Tout ce qui sent la trahison, infecte le bon renom. ამ ქცევის მიწერილობებში ისევ და ისევ მეორდება დასაბუთება სხვა ადამიანების პატივისცემაზე მითითებით, იმის აუცილებლობით, რომ კარგი რეპუტაცია, კარგი „რენომე" მოვიპოვოთ, ერთი სიტყვით, დასაბუთება *შიდასამყაროული,* საზოგადოებრივი აუცილებლობით. მასში რელიგია უმნიშვნელო როლს თამაშობს. ღმერთი გამოჩნდება მხოლოდ ბოლოში, მხოლოდ ზღვარზე, როგორც ადამიანთა წრის გარეთ მყოფი. ყველა სიკეთეს ადამიანი მეორე ადამიანისაგან იღებს (Nr. 111): Faire des amis. Avoir des amis, c'est un second être.. tout ce que nous avons de bon dans la vie, dépend d'autrui.

ამ დასაბუთებას მცნებათა და მიწერილობებისა არა მარადიული მორალური კანონის მიხედვით, არამედ „გარეგანი" აუცილებლობის საშუალებით, სხვა ადამიანებზე მითითებით, პირველ ყოვლისა, წვლილი შეაქვს იმაში, რომ ეს მაქსიმები და კურტუაზიული ქცევის მთელი მოძღვრება ბიურგერულ-საშუალო წოდების დამკვირვებელს მეტ-ნაკლებად „ამორალური" ან სულ მცირე, „უსიამოვნოდ რეალისტური" ეჩვენება. ბიურგერულ წრეებში მიაჩნიათ, რომ ღალატი ადამიანებს უნდა ეკრძალებოდეთ არა პრაქტიკული საფუძვლიდან გამომდინარე,

არა სხვა ადამიანთა შორის „კარგი ავტორიტეტის“ მხედველობაში მიღების გამო, არამედ შინაგანი ხმით, სინდისის მიერ, ერთი სიტყვით, მორალური მცნებით. იგივე ცვლილება მოთხოვნებისა და აკრძალვების სტრუქტურაში, რომელიც ზემოთ ჭამის ჩვეულებათა, დაბანისა და სხვა ელემენტარული საქმიანობის შესწავლისას გამოჩნდა, აქაც გამოვლინდება. ქცევის წესები, რომელიც კურტუაზიულ-არისტოკრატიულ წრეებში ზრდასრულებთანაც კი საკმაოდ უშუალოდ სხვა ადამიანთა აზრის გათვალისწინების, მათ წინაშე შიშის საშუალებით შენარჩუნდება, ბიურგერულ სამყაროში თითოეულ ადამიანში უფრო მეტად თვითძულების სახით ფორმირდება. ის ზრდასრულებში უშუალოდ სხვა ადამიანთა წინაშე შიშის გამო კი აღარ ჩნდება და ფხიზლობს, არამედ „შინაგანი“ ხმით, საკუთარი „ზე-მე“-საგან ავტომატურად წარმოქმნილი შიშით, მოკლედ, მორალური მცნებით, რომელიც არავითარ დასაბუთებას არ საჭიროებს.

135. იხ. ზემოთ Proz.d. Ziv. Bd.I., S. 237ff.
136. Ch.H. Haskins, The Spread af ideas in the Middle Ages, in Studies in Medieval Culture, Oxford 1929, S. 92ff.
137. იხ. ზემოთ S. 97ff. მინეზანგის სიმღერათა გვერდით არსებობს მთელი რიგი სხვა მასალები, რომლებიც ამ სტანდარტს კიდევ უფრო თვალსაჩინოდ წარმოადგენს, მაგალითად, ანდრეა კაპელანუსის პროზაული ნაწარმოები მარია ფონ შამპანის წრიდან „De Amore“ და შუა საუკუნეების ეპოქის ქალთა კამათის ამსახველი მთელი ლიტერატურა.
138. Ch . H. Haskins, a.a. O., S.94.
139. იხ. ზემოთ Proz.d. Ziv. Bd.I., S. 376ff.
140. იხ. ზემოთ .17ff.
141. La Bruyère, Caractères, Paris, De la Cour, 1922 (Hachette) Œuvres Bd. II, S. 237 Nr. 64; იხ. აგრეთვე S. 248 Nr. 99: "Dans cent ans le monde subsistera encore en son entier: ce sera le même théâtre et les mêmes décorations , ce ne seront plus les mêmes acteurs. Tout ce qui se réjouit sur une grâce reçue, ou ce qui s'attriste et se désespère sur un refus, tous auront disparu de dessus la scène. Il s'avance déjà sur le théâtre d'autres hommes qui vont jouer dans une même pièce les mêmes rôles... Quel fond à faire sur un personnage de comédie!" რა ძლიერია აქ ჯერ კიდევ არსებული წესრიგის უცვლელობის და ამასთან ერთად, მისგან თავის დაღწევის შეუძლებლობის გრძნობა, რამდენად უფრო მტკიცედ გამოდის „civilité“-ს ცნების ადგილას, გვიანდელ ფაზასთან შედარებით, „ცივილიზაციის“ ცნება.
    მისი განვითარების პროცესს შეად. თავი „Des Jugements“: "Tous les étrangers ne sont pas Barbares, et tous nos Compatriotes ne Sont pas civilisez."
142. La Bruyère, a.a.O., S.247. Nr.94.
143. La Bruyère, a.a.O., S.210, Nr.2; იხ. აგრეთვე S. 211, Nr. 10 " la Cour est comme un édifice bâti de marbre: je veux dire qu'elle est composée d'hommes fort durs, mais fort polis." შეად. აგრეთვე Anm. . 134
144. St. Simon. a.a. O., S. 63.
145. Über d. Proz.d. Ziv. Bd.I., S.181ff, S. 192/193.
146. Ranke, Französische Geschcihte, Buch 10, Kap. 3.
147. St. Simon, a.a. O., Bd. 22, S. 20; S. 22f. (1711). ამ საუბრებისას არც მეტი, არც ნაკლები, საქმე ეხება მცდელობას, განეწყოთ ტახტის მემკვიდრე

მმართველობის სხვა ფორმის სასარგებლოდ, მმართველობის იმ ფორმისა, რომლის დროსაც ბურჟუაზიის უმაღლესი წრეების წარმომადგენლებსა და სასახლის კარის უმაღლესი წრეების არისტოკრატთა შორის ბალანსი ამ უკანასკნელთა სასარგებლოდ უნდა შეცვლილიყო. „პერთა" ძალაუფლების აღდგენა შეადგენდა სენ-სიმონისა და მისი მეგობრების მიზანს. განსაკუთრებით, უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობანი, მინისტრთა პოსტები ბურჟუათაგან უმაღლეს არისტოკრატთა ხელში უნდა გადასულიყო. ერთი მცდელობა ამ მიმართულებით ლუი XIV-ს სიკვდილის შემდეგ მაშინვე განხორციელდება რეგენტების მიერ, სენ-სიმონის აქტიური მონაწილეობით. ეს მცდელობა მარცხით მთავრდება. ფრანგულ არისტოკრატიას არ გამოუვიდა ის, რაც ინგლისის არისტოკრატიამ შეძლო, კერძოდ, არისტოკრატიის ბატონობის სტაბილიზაცია, რომლის დროსაც არისტოკრატთა სხვადასხვა ჯგუფები და გაერთიანებანი სასახლის კარზე მეტ-ნაკლებად მკაცრი ნესების მიხედვით ექიშპებიან ერთმანეთს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პოზიციების დასაკავებლად. დაძაბულობანი და ინტერესთა დაპირისპირება არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის უმაღლეს წრეებს შორის საფრანგეთში შეუდარებლად მეტია, ვიდრე ინგლისში. ეს ყოველთვის იგრძნობა აბსოლუტიზმის საფარქვეშ. მაგრამ ბრძოლა მეფის გარემოცვაში, უმაღლეს წრეში დახურულ კარს მიღმა მიმდინარეობს, ისევე როგორც ყველა ძლიერ მონარქიაში. სენ-სიმონი ამ გასაიდუმლოებული ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი წარმომადგენელია.

148. Über d. Proz.d. Ziv. Bd.I., S.378ff. სირცხვილის აღქმის ზოგად პრობლემასთან კავშირში შეად. The Spectator, 1807, Bd. 5, Nr. 373: "If I was put to define modesty, I would call it, The reflection of an ingenuous mind, either when a man has committed an Action for which he censures himself, or fancies that he is exposed to the Censure of others". იხ. იქ აგრეთვე შენიშვნა მამაკაცებისა და ქალების სირცხვილის შეგრძნობათა განსხვავების შესახებ.

149. Über d. Proz.d. Ziv. Bd.I., S.225 ff.

150. Dgl., S. 376 ff.

151. Dgl. S. 237ff.

152. ხშირად ცდილობენ, ინგლისელის ნაციონალური ხასიათი ან მისი რამდენიმე თვისება ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობით, კუნძულის ბუნებით ახსნან. მაგრამ თუ კუნძულის ბუნება, როგორც უბრალოდ ბუნების მოცემულობა, განმსაზღვრელი იქნებოდა კუნძულის მცხოვრებთა ნაციონალური ხასიათისათვის, მაშინ სხვა კუნძულებზე მცხოვრებ ერებსაც იგივე სახასიათო თვისებები უნდა გამოევლინათ და მაშინ ინგლისელებთან ყველაზე ახლოს თავისი ქცევითა და ჰაბიტუსით იაპონელები უნდა ყოფილიყვნენ.

ის, რაც კუნძულის მცხოვრებლებს ეროვნულ ხასიათს უყალიბებს, არის არა კუნძულზე მდებარეობა, როგორც ასეთი, არამედ ის მნიშვნელობა, რაც ამ მდებარეობას კუნძულის საზოგადოების მთლიანი სტრუქტურისათვის, მათ ისტორიასთან ურთიერთკავშირში აქვს. მაგალითად, განვითარების თავისებური ისტორიული მსვლელობის საფუძველზე, კონტინენტური საზღვრების არარსებობას ინგლისში, იაპონიისაგან განსხვავებით, იმისაკენ მივყავართ, რომ აქ საომარ

საქმიანობას და უფრო კონკრეტულად, ჯარისკაცთა ქმედებას განსაკუთრებით დიდი ღირებულება არ გააჩნია და არც ისე მაღლა დგას სოციალური ფუნქციების რანგობრივ წესრიგში. ინგლისში, შედარებით პაციფიცირებული არისტოკრატიის ნაწილი ბურჟუაზიულ უმაღლეს წრეებთან ერთად ახერხებს, მართლაც უფრო ადრე, ქვეყანაში საგრძნობლად შეზღუდოს მეფის განმგებლობა იარაღსა და ჯარზე და განსაკუთრებით, ძალადობის ინსტრუმენტების გამოყენებაზე და ეს პროცესი საკმაოდ მკაცრ კონტროლს დაუქვემდებაროს. და ძალისმიერი მონოპოლიის ამ სტრუქტურას, რომელიც ფაქტიურად მხოლოდ ქვეყნის არაკონტინენტური მდებარეობის გამოა შესაძლებელი, არავითარი კავშირი არა აქვს სპეციფიკური ინგლისური ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებასთან. რამდენად მჭიდროდ არის დაკავშირებული ინგლისური „ზე-მე"-ს, ან თუ გნებავთ, სინდისის ჩამოყალიბების გარკვეული ტენდენციები ძალისმიერი მონოპოლიის ამ სტრუქტურასთან, დღეს ჯერ კიდევ აჩვენებს განსაკუთრებული სამოქმედო სივრცე, რომელიც ინგლისში ეძლევა „conscientious objector"-ს იმას, ვინც სინდისის საფუძველზე უარს ამბობს ყოველგვარ სამხედრო სამსახურზე. ამაზე მიანიშნებს ფართოდ გავრცელებული შთაბეჭდილებაც, რომ საყოველთაო სამხედრო ვალდებულება ინდივიდის თავისუფლების გადამწყვეტ და სახიფათო შეზღუდვას ნიშნავს. როგორც ჩანს, ტყუილუბრალოდ არ ვარაუდობენ, რომ ნონ-კონფორმისტულმა მოძრაობებმა და ორგანიზაციებმა ინგლისში მხოლოდ იმით შეძლეს ასე ძლიერი და ცოცხალი დარჩენილიყვნენ საუკუნეთა მანძილზე, რომ ინგლისის ოფიციალური ეკლესია იმდენად არ იდგა პოლიციური და სამხედრო აპარატის მხარეს, როგორც ეკლესია გერმანიის პროტესტანტულ სახელმწიფოებში. და ყოველ შემთხვევაში ის ფაქტი, რომ ინგლისში სამხედრო ძალა, უშუალოდ, ბევრად უფრო ნაკლებ გარე იძულებას ახორციელებდა ცალკეულ ადამიანზე, ვიდრე სხვა რომელიმე დიდ კონტინენტურ ქვეყანაში, უმჭიდროეს კავშირშია სხვა ფაქტთან, კერძოდ: თვითიძულება, რომელსაც ერთეული ადამიანი საკუთარ თავზე მიმართავდა, განსაკუთრებით ყველაფერ იმაში, რაც პოლიტიკურ ცხოვრებას შეეხებოდა, ინგლისში უფრო ძლიერი და ყოველმხრივი იყო, ვიდრე კონტინენტის სხვა რომელიმე დიდ ერში. ამგვარად, როგორც საზოგადოებრივი ისტორიის ელემენტი, ფაქტიურად კუნძულის და ქვეყნის მთელი ბუნება სულ სხვადასხვა გზით ახდენს გავლენას ეროვნული ხასიათის ჩამოყალიბებაზე.

153. Über den Proz.d. Ziv. Bd.I., S. 105ff., S. 188 ff. ; S. 404 Anm.30. შეად. აქვე A. Loewe, The price of Liberty, London 1937. S. 31: "The educated German of the classical and post-classical period is a dual Being. In public life he stands in the place which authority has decreed for him, and fills it in the double capacity of superior and subordinate with complete devotion to duty. In private life he may be a critical intellectual or an emotional romantic... This educational system has come to grief in the attempt to achieve a fusion of the bureaucratic and the humanist ideals. It has in reality created the introverted specialist, unsurpassed in abstract speculation and in formal organization, but incapable of shaping a real world out of his theoretical ideas. The English educational ideas not know this cleavage between the world within and the world without..."

154. იხ. ზემოთ S. 97 ff.

155. იხ. ზემოთ S. 144 f. და S. 151 ff. ის, რომ დაძაბულობათა სიძლიერე სხვადასხვა სახელისუფლო ერთეულთა შორის განუყრელადაა დაკავშირებული მათ შიგნით არსებული დაძაბულობისა და მთელი სოციალური წესრიგის ძლიერებასთან, ზემოთ უკვე რამდენჯერმე აღინიშნა. ნაჩვენები იყო, რომ ამგვარი ტიპის ურთიერთკავშირები უკვე არსებობდა დასავლური სამყაროს ადრეული ხანის უპირატესად ნატურალური მეურნეობის მქონე ფეოდალურ საზოგადოებებში. მოსახლეობის ზეწოლა, რომელსაც თვით მასში სხვადასხვა სახის ექსპანსიური და კონკურენტული ბრძოლებისაკენ მივყავართ, მაგალითად, ღარიბ მეომრებში მინის ერთი ნაკვეთის მოთხოვნისაკენ, უფრო მეტი მიწის ფლობისკენ სწრაფვა, სხვათა ხარჯზე საკუთარი საკუთრების გაფართოების მოთხოვნა შეინიშნება მდიდარ მეომრებში, გრაფებში, თავადებში, და მეფეებთან. მოსახლეობის ეს ზეწოლა არის შედეგი არა უბრალოდ მოსახლეობის რიცხვის ზრდისა, არამედ მოსახლეობის რიცხვის ზრდისა იმ დროს არსებულ საკუთრებით ურთიერთობებთან, მეომართა ერთი ნაწილის მიერ ამ საზოგადოების წარმოების მნიშვნელოვან საშუალებათა მონოპოლიზებასთან კავშირში. მიწა დროის გარკვეული მომენტიდან მყარ საკუთრებაშია; სულ უფრო და უფრო ძნელად მიუწვდებათ მასზე ხელი იმ ოჯახებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ „უჭირავთ" იგი. საკუთრების ურთიერთობები უფრო და უფრო მყარდება. ამ სოციალურ კონსტელაციებში მოსახლეობის შემდგომი ზრდა გლეხებისა და მეომართა ფენაში და ბევრი ადამიანის გამუდმებული დაღმასვლა თავიანთ სტანდარტთან მიმართებში, იმ ზეწოლის რეალიზებას ახდენდა, რომელიც მთელ საზოგადოებაში აძლიერებდა დაძაბულობებს და კონკურენტულ ბრძოლას ქვემოდან ზემოთ, როგორც ცალკეულ ტერიტორიებზე, ისევე ამ ტერიტორიათა შორის და კონკურენტული მექანიზმის შემდგომ ფუნქციონირებას უზრუნველყოფდა (იხ. ზემოთ S.57, S.67, S. 84ff). სწორედ ასევე, ინდუსტრიულ საზოგადოებაში ცალკეულ სახელისუფლებო გაერთიანებათა შიგნით ზეწოლისათვის გადამწყვეტია არა მოსახლეობის აბსოლუტური რიცხვი და მოსახლეობის ზრდა, არამედ მოსახლეობის სიმჭიდროვე არსებულ საკუთრებით ურთიერთობებთან მიმართებაში, განუსაზღვრელი მონოპოლიის ფორმით საკუთრების შანსების მქონეთა ამ შანსების არმქონე ადამიანებთან ურთიერთობასთან მიმართებაში.

ზედაპირული განხილვაც აჩვენებს, რომ სოციალური ზეწოლა განსხვავებული სიძლიერისაა დასავლური სამყაროს სხვადასხვა სახელისუფლო ერთეულებში. მაგრამ დღეს ჩვენ ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია მეტად საჭირო სააზროვნო ინსტრუმენტები, რათა დაწვრილებით გავაანალიზოთ ეს ზეწოლის მიმართებები და არ ვფლობთ დაკვირვების ზუსტ სქემას, ზეწოლის სიძლიერის, ზუსტი გაზომვისათვის, თუნდაც, სხვადასხვა სახელისუფლო ერთეულების შედარების გზით. ამდენად, ნათელია, რომ ეს „შინაგანი ზეწოლა" დაკვირვებისა და ანალიზისათვის ყველაზე უკეთ მისაწვდომი იქნება ცხოვრების სტანდარტის მხრიდან, თუ ამ დროს არა მხოლოდ შემოსავლების მაშინდელ მსყიდველობით ძალას, არამედ სამუშაო დროს და შრომის ინტენსიურობასაც გავითვალისწინებთ, რომლებიც ამ შემოსავლების მისაღებადაა აუცილებელი. და გარდა ამისა, ჯერ კიდევ

ვერ მოვიპოვებთ სწორ მიდგომას ადამიანთა საზოგადოების დაძაბულობისა და ზეწოლის მიმართებებთან, თუ მისი სხვადასხვა ფენების ცხოვრების სტანდარტს სტატიკურად, კერძოდ, განსაზღვრული დროის მონაკვეთებში, სხვა საზოგადოებათა სტანდარტებს შევადარებთ. ამას სჭირდება შედარება დროის დიდი მონაკვეთის მანძილზე. დაძაბულობისა და მოსახლეობის სიმჭიდროვის ზეწოლის ძალა ერთ საზოგადოებაში ძალზე ხშირად აიხსნება არა იმდროინდელი სტანდარტის აბსოლიტური სიმაღლით, არამედ იმ სიმკვეთრითა და მოულოდნელობით, რომლითაც ეს სტანდარტი გარკვეულ ფენებში ერთი დონიდან მეორეზე ჩამოდის. ჩვენ თვალწინ უნდა გვქონდეს ერთი საზოგადოების სხვადასხვა ფენის ცხოვრების დონის ისტორიული მოძრაობის ტრაექტორია, მასში არსებული ზეწოლისა და დაძაბულობის მიმართებათა გასაგებად.

ეს არის საფუძველი, რომლიდანაც არ შეიძლება თავისთავად განვიხილოთ რომელიმე ინდუსტრიული ერი, თუ გვინდა მათში არსებული ზეწოლისა და დაძაბულობის მიმართებათა ტიპისა და სიძლიერის ნათელი სურათი მივიღოთ. რადგან ცხოვრების დონე განსხვავებული (ისევე როგორც განსხვავებულია ის ერთი და იმავე საზოგადოების სხვადასხვა ფენებში) იქნება ყოველთვის ამ განსაზღვრული საზოგადოების ადგილის მიხედვითაც დედამიწის სხვადასხვა ერთა და პოლიტიკურ ერთეულთა ფუნქციურად დანანილებულ ქსელში. თუ ყველა არა, სულ მცირე, ევროპის ინდუსტრიულ სახელისუფლო გაერთიანებათა უმეტეს ნანილში მაინც, ცხოვრების სტანდარტის შენარჩუნება, რომელიც თავად ინდუსტრიალიზებასთან მიმართებაში იქნა მიღწეული, შეიძლება, მხოლოდ აგრარული პროდუქტებისა და ნედლი მასალის უწყვეტი ექსპორტის საფუძველზე იქნას შენარჩუნებული. ამ ექსპორტისათვის შესაბამისად შეიძლება გადაიხადონ, ან დიდი იმპორტიდან მიღებული შემოსავლებიდან, ან სხვა ქვეყნებში დაბანდებული კაპიტალის მოგებიდან ანდა ოქროს რეზერვებიდან. ამდენად, კონკურენტულ დაძაბულობას სხვადასხვა ინდუსტრიულ პოლიტიკურ ერთეულებს შორის ინარჩუნებს და გარკვეულ შემთხვევებში, ამძაფრებს არა მხოლოდ შინაგანი ზეწოლა, უფრო ფართო ფენების ცხოვრების დონის მოსალოდნელი ან აქტუალური დაქვეითება, არამედ ამ სახელმწიფოთა შორის კონკურენტულ დაძაბულობას, თავის მხრივ, გარკვეულ გარემოებებში, ძალზე მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ერთა კონკურენტული წრის ერთი ან მეორე პარტნიორის ქვეყანაში სოციალური ზეწოლის გაძლიერებაში.

გარკვეულწილად, ეს სამართლიანია იმ ქვეყნებთან მიმართებაშიც, რომლებიც უმეტესწილად, რომელიმე ელემენტის, აგრარული პროდუქტების თუ ნედლი მასალის ექსპორტს აწარმოებენ. ფაქტიურად, საქმე ეხება ყველა ქვეყანას, რომელთაც ერთხელ უკვე დაეკისრათ გარკვეული ფუნქცია სხვადასხვა სახელისუფლო გაერთიანებათა შრომის დანანილების ქსელში და რომელთა ცხოვრების სტანდარტი მხოლოდ მაშინ შეიძლება იქნას შენარჩუნებული, თუ საკმარისი სივრცე არსებობს შესაბამისი ექსპორტისა და იმპორტისათვის. მაგრამ ძალზე განსხვავებულია სხვადასხვა ქვეყნების მგრძობიარობა ზენაციონალური გაცვლის მერყეობისადმი, ჩავარდნებისადმი, კონკურენტული ბრძოლაში ერების უფრო ნელი ან სწრაფი შევიწროებისადმი. ის, ცხადია,

განსაკუთრებით ძლიერია შედარებით მაღალი ცხოვრების სტანდარტის მქონე სახელმწიფოებრივ გაერთიანებებში, რომელთანაც ბალანსი საკუთარ ინდუსტრიულ და აგრარულ პროდუქციას შორის მნიშვნელოვნად შეიცვლება უკანასკნელისათვის საზიანოდ და რომლებიც ამ ორივე სექტორში დამოკიდებულნი არიან ძირითადი ელემენტების მნიშვნელოვან იმპორტზე, მით უფრო, თუ მათ არ შეუძლიათ ამგვარი მარცხი სხვა ქვეყნებში არსებული კაპიტალდაბანდებებით ან ოქროს მარაგით აიცილონ თავიდან და თუ ამასთან, ადამიანების ექსპორტი, ემიგრაციის ფორმით, შეუძლებელი ხდება. მაგრამ თავისთავად, ეს არის კითხვა რომელიც უფრო დაწვრილებით გამოკვლევას საჭიროებს, ვიდრე ეს აქ შეიძლება გავაკეთოთ. მხოლოდ მისი გადაწყვეტის გზით, მხოლოდ ამ მიმართულებით ზუსტი კვლევით, შეიძლებოდა უკეთ გაგვეგო თუ რატომაა ევროპული სახელმწიფოების ბალანსურ სისტემაში დაძაბულობანი ამდენად ძლიერი, ვიდრე მაგალითად, დაძაბულობანი სამხრეთ და ცენტრალურ ამერიკულ ქსელში.

ჩვენ ხშირად გვექმნება წარმოდგენა, თითქოსდა მხოლოდ ისაა აუცილებელი, რომ ამგვარი მაღალინდუსტრიული სახელნიფოებრივი გაერთიანებების ეკონომკური კონკურენტული ბრძოლა ძალთა თავისუფალ თამაშს მივანდოთ, რათა ყველა პარტნიორი უკეთ გრძნობდეს თავს ამ თამაშში. მაგრამ, სინამდვილეში ძალთა ეს თავისუფალი თამაში დაუნდობელი კონკურენტული ბრძოლაა, რომელიც იმავე კანონზომიერებას ემორჩილება, რასაც ყოველი თავისუფალი კონკურენტული ბრძოლა სხვა სფეროში. ბალანსი კონკურენტულ სახელნიფოებრივ გაერთიანებათა შორის უკიდურესად ლაბილურია. ის მიდრეკილია იმ სპეციფიკური ცვლილებებისაკენ, რომელთა მიმართულების გაგება, მართლაც, ხანგრძლივი დაკვირვებებით თუ შეიძლება. მაღალ ინდუსტრიულ ერებს შორის ამ ეკონომიკური კონკურენტული ბრძოლების მსვლელობისას ძალთა თანაფარდობა გამუდმებით მონაცვლეობს ერთის სასარგებლოდ და მეორის საზიანოდ. იზღუდება დასუსტებულ სახელმწიფოთა ექსპორტისა და იმპორტის შესაძლებლობები. გარკვეულ სახელმწიფოს ამ სიტუაციაში, (როგორც უკვე ითქვა, თუ მას მარცხის თავიდან აცილება კაპიტალდაბანდებებით და ოქროს რეზერვით არ შეუძლია) ორი შესაძლებლობიდან მხოლოდ ერთი რჩება: მან ხელოვნურად, მაგალითად, საექსპორტო ფასის შემცირებით, უნდა გაზარდოს ექსპორტი ან შეზღუდოს იმპორტი. ორივე ამ პროცესს, პირდაპირ თუ არაპირდაპირ, მისი მცხოვრებლების ცხოვრების სტადნარტის დაწევამდე მივყავართ. ეს დაქვეითება მათ ნაცვლად, ვინც ამ ქვეყნის შიგნით მონოპოლიურად განაგებს ეკონომიკურ შანსებს, შეძლებისდაგვარად, მათზე გადაივლის, რომელთაც ასეთი მონოპოლიური შანსები არ გააჩნიათ; და ეს მონოპოლიური შანსების არმქონენი საკუთარ თავს მონოპოლისტთა ორმაგი წრისადმი დაპირისპირებულად აღიქვამენ: მონოპოლიური მმართველები საკუთარ საზოგადოებაში და მონოპოლიური მმართველები, რომლებიც უცხო საზოგადოებას წარმოადგენენ. მათგან მომდინარე ზეწოლა გარკვეულ როლს თამაშობს იმაში, რომ საკუთარი წარმომადგენელნი და შესაბამისი სახელმწიფო, როგორც მთელი, სხვა გაერთიანებათა წინააღმდეგ კონკურენტული ბრძოლისათვის განაწყოს. და ფაქტიურად, ასე აძლიერებს ერთმანეთს დაძაბულობანი სხვადასხვა

სახელისუფლო გაერთიანებათა შიგნით და მათ შორის. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სრულიად აშკარად, ეს არის მხოლოდ ერთი გადაჯაჭვულობა, სხვადასხვაგვარ გადაჯაჭვულობათა რიგის მთელი სიმრავლიდან. მაგრამ, თვით ფრაგმენტულ გახსენებას გადაჯაჭვულობათა ამ რიგისა შეუძლია წარმოდგენა შეგვიქმნას იძულებათა ძალაზე, რომელიც დღეს სახელმწიფოთაშორისი კონკურენტული ბრძოლებისა და მონოპოლიური მექანიზმის მოქმედებას უზრუნველყოფს.

156. იხ. ზემოთ. S.227-229. სახელმწიფოთა წარმოშობის შესახებ თანამედროვე თეორიათა შემაჯამებელი წარმოადგენა იხ: W.C. Macleod, The Orgin and History of Politics, a.a. O., S. 139 ff.

157. იხ. ზემოთ. S. 155 ff.

158. იხ. ზემოთ. S.380ff, განსაკუთრებით, S. 388ff.

159. იხ. ზემოთ. S. 330 ff., S. 359 და 417ff.

160. იხ. ზემოთ. S.357 ff., S. 369, S. 375-377, S. 408ff., შეად. ამასთან E. C. Parsons, fear and Conventionality, a.a. O., S. XIII: "Conventionality rests upon an apperehensive state of mind..." და S.73: "Table manners are, I Suppose, one of our most marked class distinctions" იქვე ციტირებული: W. James, Principles of Psychology, New York 1890, S. 121: "Habit is thus the enormous fly-wheel of society, ist most precious conservative agent. It alone is what kees us all within the bounds of ordinance, and saves the children of fortune from the envious uprisigs of the poor. I alone prevents the hardest and most repulsive walks of life from being deserted by those brought up to tread therein."

ამერიკულ სოციალურ მეცნიერებაში უკვე დიდი ხანია დაისვა კითხვა, რომლის გადაწყვეტაში წვლილის შეტანის მცდელობას ეს ნაშრომი წარმოადგენს. ასე მაგალითად, W.G. Summer, Folksways, Boston 1907, S. 418: "When, therefore, the ethnographers apply condemnatory or depreciatory adjectives to the people whom they study, they beg the most important question which we want to investigate; that is, what are standarts, codes, and ideas of chastity, decency, propriety, modesty etc. and whence do they arise? The ethnographical facts contain the answer to this question, but in order to reach it we want a colorless report of the facts." თითქმის აღარ არის საჭირო იმის აღნიშვნა, რომ ეს სამართლიანია არა მხოლოდ უცხო და უფრო მარტივი საზოგადოებების კვლევისას, არამედ ჩვენი საკუთარი საზოგადოებისა და მისი ისტორიის კვლევისათვის. ეს პრობლემა, რომლის გადაწყვეტაზეც ეს ნაშრომია მიმართული, უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით ნათლადაა ფორმულირებული ნაშრომში: Ch.H. Judd. The Psychology of Social Institutions, New York 1926, თუმცა იქ პრობლემის გადაწყვეტა სხვა გზითაა ნაცადი, ვიდრე აქ (S. 276): "This chapter will aim to prove that the types of personal emotions which are known to civilizes men are products of an evolution in which emotions have teaken a new derection... The instruments and means of this adaptation are the institutions, some of which have been described in foregoing chapters. Each institution as it has become astablished has developed in all andividuals who come under its influence a mode of behavoir and an emotional attitude which conform to the institution. the new mode of behavior and the new emotional attitude could not have been perfected until the institution itself was created.

The effort of individuals to adapt themselves to institutional demands results in what may be properly described as a wholly new group of pleasures and disleasures."

ორივე ტომის ციტატებში ხაზგასმა ავტორს ეკუთვნის.

გამომცემლის შენიშვნა

ეს რედაქცია არის მეორე, შესავლით გაფართოებული გამოცემა წიგნისა "Über den Prozeß der Zivilisation", რომელიც 1969 წელს ბერნში დაიბეჭდა გამომცემლობა Francke-ში. ახალ რედაქციაში ტექსტს კრიტიკულად გადავხედეთ. ამასთან გადამოწმებული იქნა ელიასის მიერ მოტანილი ან დამონმებული წყაროები, ხოლო ის დამონმებები, რომელიც აკლდა, შეძლებისდაგვარად სრულად შეივსო. ინგლისური ვარიანტები II წიგნისათვის და ასევე ყველა უცხო ენაზე ციტირებული ტექსტების თარგმანები ცალკე ნაწილად დაერთო წიგნს.*

ახალი გამოცემა პრინციპულად თანმიმდევრულად მიჰყვება ბეჭდურ ვატიანტს. შესწორებები შეტანილია მხოლოდ აშკარა სინტაქსური შეცდომების შემთხვევაში. ბეჭდური ვარიანტის ინტერპუნქტურა მხოლოდ ისეთ შემთხვევაში შეიცვალა, თუ ეს რაიმე გაუგებრობას იწვევდა. შენიშვნებში შესწორება შემოიფარგლება მხოლოდ იმ ციტატებით, რომლებიც აკლდა ან გაუგებარად იყო მითითებული. ბიბლიოგრაფიაში თქვენ აღმოაჩენთ სრულ ბიბლიოგრაფიულ მონაცემებს. გაუმჯობესებანი აღდგენილია „ციტატებისა და ვარიანტების „ ნაწილში.

ტექსტში მოცემული პირველი წიგნის შენიშვნა 44 და 45 , რომელიც აქამდელ გამოცემებში გამოტოვებული იყო შესწორებათა ჩამონათვალში, დასრულებულია. შემდეგი კორექტურები და ცვლილებები უკომენტაროდაა გაკეთებული:

- აშკარა ბეჭდური შეცდომები
- ss და ß-ის გაიგივება
- კურსივითაა დაბეჭდილი დაყოფით დაბეჭდილი ტექსტები.
- ბრჭყალები მოცემულია „....." ფორმით, ციტატების შიგნით კი >.....<.
- II წიგნში არსებული თავების ნუმერაცია შეერთებულია პირველი წიგნის თავების ნუმერაციასთან.
- შინაარსი წინ აქვს დართული. თავების ნუმერაცია I გამოცემის მიხედვით არაბული ციფრებით ხდება.
- შესავლის გვერდების ნუმერაცია არაბულ ციფრებშია მოცემული და ტექტობრივი ნაწილით გრძელდება.
- ნუმერაცია შემდგომ წიგნში და შესაბამისად თავების ნუმერაცია: წიგნი I, შესავალი, თავი VII და შემდეგი თავი; წიგნი II: თავი მესამე. I ნაწილი, 8, 28 და შემდეგი მონაკვეთები; 2 ნაწ. 8 თავი , 27 და შემდეგი მონაკვეთები — პირველი გამოცემასთან შედარებით ოდნავაა შეცვლილი ინგლისურ გამოცემასთან შეჯერებით და მითითების გარეშეა გასწორებული „ვარიანტებსა და ციტატებში".
- თავში დასმული ნუმერაცია და პუნქტები დასათაურებებში დასმულს ემთხვევა.

---

* თარგმანები გადამუშავებულია ჰაიკე ჰამერის, რეგინა ჰუნკეს, იზაბელა მაის და ჰაიდრუნ ოპიცის მიერ; აპარატის შექმნაზე მუშაობდნენ აგრეთვე: ნინა ალფერსი, ნინა ბაური, კორდულა ბუხსე, ჰაიკე და სტეფან დირბახი, ილკა ნოიმანი, კერსტინ ნიკოლაისენი და გუიდო ვესპერმანი; მათი მასალები მოგვაწოდეს იოჰან გოუდსბლომმა, ჰან ისრაელსმა და ვილემ კრანენდონკმა; ზოგიერთი რჩევა მოგვცა კლაუს კრისტიან კიონკემ.

• შენიშვნებში a.a. O., აღნიშნავს იმავე წყაროს.

ინგლისურ თარგმანთან დაკავშირებით მოხდა მეორე წიგნის გადამუშავება. ელიასი ამგვარად ხსნის თავის სამადლობელ სიტყვაში ამ გადამუშავებას : "The exsercise of checking the translation was in itself a most uself one for me as it enabled me to revise the text in minor, but important ways and to add notes which set the work in the context of my later thinking" (Norbert Elias: *TheCivilizing Process. Vol 2: State Formation and Civilisazion,* translated by Edmund Jephcott with some notes and revisions by the author, Oxford: Basil Blackwell 1982, S. VIII). შეიძლება გავრჩიოთ ცვლილების შემდეგი ფორმები.

• დამატებითი შენიშვნები (ავტორის შენიშვნები თარგმანებთან დაკავშირებით) .

• დამატებები: ცალკეული სიტყვები, ცნებები, წინადადებები, პასაჟები.

• ცნებითი ცვლილებები: სრული მოხმარება ფიგურაციული ცნებებისა, მაგ "power figuration" „მმართველობის აპარატისათვის, "figuration dynamics" გადაჯაჭვის მექანიზმისათვის; "balance of power" ჩაანაცვლებს „სოციალურ ძალთა თანაფარდობის" ცნებას. ცნებების "relative autonomy", "established" და outsiders"-ს მოხმარება .

• ჩანაცვლებულია რამდენიმე სიტყვა ორიგინალში ბუნდოვანების ან უზუსტობის გამო (მაგ. „ „აქ" ჩანაცვლებულია სიტყვით „გერმანიაში").

• ცნებების გამარტივება, გამოტოვება.

• „ვარიანტებისა და ციტატების" ნაწილში აღდგენილია ინგლისური გამოცემის შინაარსობრივად მნიშვნელოვანი ცვლილებები. საფუძველი ამ აღდგენისათვის იყო პროფესორ იოჰან გოუდსბლომის (ამსტერდამი) მონაცემები, რომელმაც ელიასთან ერთად განიხილა თარგმანი. ინგლისური ვარინტები ციტირებულია 1982 წლის გამოცემის მიხედვით. გვერდების ახალი ნუმერაცია ამ გამოცემის მიხედვით დამატებითაა მოტანილი (Norbert Elias, *The civilizing Process*, translated by Edmund Jephcott, Oxford (UK)Cambridge (USA): Blackwell 1994) .

ელიასს ციტატები მოჰყავს როგორც სიტყვა-სიტყვით (განსაკუთრებით მაგალითების დასახელებისას), ასევე ახდენს პარაფრაზირებას — დაწყებული ტექსტზე მორგებისათვის განხორციელებული უმნიშვნელო ცვლილებებიდან, თვით აზრობრივად მიზანშეწონილ თარგმანამდე. თუმცა, პარაფრაზირებაც ისევეა მოყვანილი ორმაგ ბრჭყალებში, როგორც ციტატები და ციტატების ცვლილებაზე არ მიუთითებს. ამასთან, მან ნაწილობრივ, არაერთგვაროვანი მოდერნიზებული სახე მისცა ციტატებს ძველი წყაროებიდან. ინტერპუნქტუაცია ციტატებში უმეტესად პუნქტუაციის მის ნესებზეა მორგებული. ჩარევა ტექსტში შემოიფარგლება ერთმნიშვნელოვანი ბეჭდვითი და გადაწერის შეცდომებით, ასევე იმ გაყალბებით და დეფექტებით, რომლებიც ტექსტის აზრს ამახინჯებს. თუმცა „ვარიანტებში და ციტატებში" ციტატები უცვლელადაა მოცემული ორიგინალური წერის მანერით. ამასთან ყველა ტიპოგრაფიული განსაკუთრებული აღნიშვნები გაუქმებულია. ხაზგასმები, შემოთავაზებული არ არის ვარიანტებში, რადგან ყველა ხაზგასმა ელიასის მიერაა გაკეთებული.

ციტატებისათვის ძალაშია, რომ ისინი ხშირად უნდა ნავიკითხოთ, როგორც f ან ff, ან უნდა მივუთითოთ ციტატის კონტექსტი. ეს ამავე დროს, ნაწილობრივ, ძალაშია მომდევნი ციტატებისა და მონაკვეთებისათვის.

მონაცემების დასრულება f ან ff-ით გაუქმებულია და თითოეული ციტატა გასაგებადაა მითითებული. შეცდომით მითითებული ციტატები გასწორებულია თვითონ ტექსტში ან ციტატების ჩამონათვალში, თუ ასეთი მითითება აკლია, ის შევსებულია ვარიანტებისა და ციტატების ნაწილში.

ყველა ციტირება უცხო ენაზე ითვალისწინებს თვით ელიასის თარგმანს, ისინი გადამოწმებულია და ზოგჯერ ხელახლაა თარგმნილი.

თუ ელიასის მიერ მათი თარგმანისას უცხო ენაზე ციტატა არაა მოცემული, ეს შევსებულია ვარიანტებისა და ციტატების ნანილში.

ბიბლიოგრაფია აღწერს ელიასის მიერ დამოწმებულ ნაშრომებს, სრული ბიბლიოგრაფიული მონაცემებით.

გამოცემის დროისა და ადგილის გამოტოვების შემთხვევაში, მითითებულია ბრიტანულ ბიბლიოთეკაში არსებული გამოცემის მონაცემები, რადგან ელიასი თავის ნაშრომს ძირითადად იქ წერდა და წყაროები (განსაკუთრებით მის მიერ გამოყენებული წიგნები მანერების შესახებ) ხელმისაწვდომია ლონდონში. თუ მათი განსაზღვრა შეუძლებელი იყო ბრიტანული ბიბლიოთეკის კატალოგით, მითითებულია „ცივილიზაციის პროცესის" გამოსვლის დროს არსებული სტანდარტული გამოცემა .

გადამამუშავებლის შენიშვნები კუთხოვან ფრჩხილებშია მოცემული.

საფუძველი და მარცვალი ინდექსისათვის არის ინგლისური გამოცემის ინდექსი. დამატებით აღებული ძირითადი ცნებები კურსივითაა გამოყოფილი.

თარგმანები*

21, 32-33 სანამ ის ყოყმანობდა, ევროპაში და თვით მისი მამის კარლოსის იმპერიაში, ბევრმა პატარა მთავარმა ნამოჰყო თავი.

25, 6-11 დადგა დღე, როცა კარლოს დიდის მემკვიდრე, მინათმფლობელებით გარშემორტყმული, რომლებიც თავიანთი მამულების გამგებელნი იყვნენ, ველარ პოულობდა სხვა საშუალებას, მამაკაცების თავის სამსახურში დაკავებისა, იმის გარდა, რომ მათთვის გადასახადებისაგან თავისუფალი მამულები დაერიგებინა ლენის ფორმით: ეს ნიშნავს შემდეგს: იმისათვის რომ მის წინაშე ვალდებულნი ყოფილიყვნენ, მათ უფრო და უფრო დამოუკიდებელს ხდიდა და საკუთარი მმართველობის გასახანგრძლივებლად, უფრო და უფრო მეტ სახელისუფლო კომპრომისზე მიდიოდა.

50, 26-27 ისინი, ვინც ლოცულობენ, ისინი, ვინც იბრძვიან, ისინი, ვინც მუშაობენ.

58, 8-34... მონური შრომა ხელს უშლის თავისუფალი სამუშაო ძალის მიერ განეულ პროდუქტიულ შრომას. ის ხელისშემშლელია სამმაგად: ის იწვევს რიგი მამაკაცების გამორიცხვას წარმოებიდან, ერის დაცვისა და მეთვალყურეობის მიზნით; ის ავრცელებს საერთო განწყობას ფიზიკური შრომისა და ყოველგვარი კონცენტრირებული საქმიანობის საწინააღმდეგოდ; და ის, რაც მთავარია, ჩამოაშორებს თავისუფალ მუშებს იმ პროფესიებს, რომელშიც მონები არიან ჩართულნი; ისევე როგორც გრეშემის კანონის მიხედვით ცუდი მონეტები გამოდევნიან კარგებს, ამასვე აჩვენებს გამოცდილებაც, რომ ყოველ მოცემულ პროფესიაში და შესაბამისად, მონური შრომის ყოველ პროფესიულ საქმიანობაში მონური შრომა გამოდევნის თავისუფალ სამუშაო ძალებს; საბოლოოდ, რთულდება რომელიმე პროფესიული განშტოების მაღალი თანამდებობებისათვის ახალგაზრდა კადრების პოვნა, თუ მათი პროფესიული უნარებისა და მოქნილობისათვის აუცილებელია, რომ სწავლება უფრო დაბალ პროფესიულ დონეზე, მონების გვერდით უნდა დაასრულონ.

ამას მძიმე შედეგები მოსდევს; რადგან ადამიანები, რომლებიც ამ პროფესიიდან განიდევნებიან, თავად საკმარისად მდიდრები არ არიან იმისათვის, რომ მხოლოდ მონური შრომის ხარჯზე იცხოვრონ. ისინი იმისაკენ გადაიხრებიან, რომ შექმნან უსაქმურთა შუალედური კლასი, რომელიც, რა გზითაც შეუძლია, ცხოვრების სახსარს ეძებს— კლასი, რომელსაც თანამედროვე ეკონომისტები "mean whites" ან "white trash"-ის** სახელით იცნობენ, რომაული ისტორიის შემსწავლელი სტუდენტები კი "clientes" ან "faex Romuli"-ის სახით.***

---

* 1. [ ] კუთხოვანი ფრჩხილები მიუთითებს ტექსტის იმ ნაწილებზე, რომლებიც არ არის უცხოენოვანი ციტატების შემადგენელი ნაწილი.

2. {}მომრგვალებული ფრჩხილები აღნიშნავს სიტყვებს, რომლებიც გერმანულ ენაზე აზრობრივად იქნა დასრულებული ?

** აშშ-ის სამხრეთ შტატებში ღარიბი, გასაცოდავებული თეთრკანიანი— „მდაბიო, საძაგელი თეთრკანიანი", „თეთრი საზოგადოების ნაძირალები, ნაგავი"

*** „clientes" — თავისუფალი, ღარიბი მიწის მუშები; "faex Romuli" — „რომის ნაძირალები".

ასეთი კლასი მიისწრაფვის იმისაკენ, რომ ხაზი გაუსვას, როგორც სოციალურ არეულობებს, ისე მონური სახელმწიფოს სამხედრო და აგრესიულ ხასიათს.

აქედან გამომდინარე, მონათა საზოგადოება არის საზოგადოება, რომელიც მკვეთრადაა დაყოფილი სამ კლასად: ბატონები, მინაზე საკუთრების არმქონე თეთრკანიანები და მონები. და შუალედური კლასია უსაქმურთა კლასი, რომელიც საზოგადოების, ომის ან უმაღლესი კლასის ხარჯზე ცხოვრობს.

მაგრამ ამას სხვა შედეგიც მოაქვს. პროდუქტიული შრომის საწინააღმდეგო საერთო განწყობას იმ ურთიერთობებისაკენ მივყავართ, რომელშიც მონები ტენდენციურად ერთადერთი მწარმოებლები არიან და ის საქმიანობა, რომელშიც ისინი არიან ჩართულნი, ქვეყნის ერთადერთი ინდუსტრია ხდება. სხვა სიტყვებით: თავისი სიმდიდრის შესანარჩუნებლად, საზოგადოება დამოკიდებული ხდება საქმიანობის იმ ფორმებზე, რომლებიც, თავის მხრივ, არ იძლევა რაიმე ცვლილების და ახალ გარემოებებზე მორგების შესაძლებლობას და მუდმივად საჭიროებს კაპიტალს, თუნდაც ეს სამუშაო ძალის ნაკლებობის მისი გამოზრდის გზით აღმოფხვრა იყოს. მაგრამ კაპიტალის ამ ფორმას საზოგადოებაში ვერსად ვიპოვნით. ამიტომ ის სხვა ქვეყნებში უნდა ეძებონ: მონათმფლობელური საზოგადოება, ჩვეულებრივ, ან აგრესიულ ომებს აწარმოებს და ან იმ მეზობლებზე დამოკიდებული ხდება, რომლებიც თავისუფალი სამუშაო ბაზრის სისტემას ფლობენ. ..

60, 11 " mare nostrum" — ჩვენი ზღვა

60, 24-27 ისლამის შემოჭრამ ფაქტიურად ის შედეგი მოიტანა, რომელმაც ის {L'Europe occidentale — დასავლეთ ევროპა} იმ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომელშიც ისტორიის დასაბამიდან არასოდეს ყოფილა.

78, 35-43 მათგან ჩემი ბაბუა, თავისი რვა ვაჟით, იყო უკანასკნელი გადმონაშთი, რომელიც ჩვენს პროვინციას ამგვარი პატარა ფეოდალი ტირანებისაგან იცავდა; ისინი საუკუნეების მანძილზე თავს ესხმოდნენ და აოხრებდნენ საფრანგეთს. ცივილიზაცია, რომელიც სწრაფად მიიწევდა წინ დიდი რევოლუციული არეულობებისაკენ, გაქრობას უქადდა ამ გამომძალველობასა და ორგანიზებულ ყაჩაღობას. განათლება ცოდნის საშუალებით, ერთგვარი კარგი გემოვნება, გალანტური სასახლის კარის შორი რეფლექსი და ალბათ, წინათგრძნობა ხალხის მოახლოებული და საშინელი გაღვიძებისა აღწევდა სასახლეებში და თვით ჩამორჩენილ მემამულეთა ნახევრად გლეხურ მამულებსაც სწვდებოდა.

79, 17-24 მაუპრა ფულს არ ითხოვდა. ფული არის ის, რასაც ამ მხარის გლეხი, მართლაც, დიდი ზიზღით უყურებს, როგორც ნამდვილს, ის, რისი ხელიდან გაცემაც მას ასე ეზიზღება. „*ფული ძვირფასია*", ეს მისი ერთ –ერთი ანდაზაა, რადგან ფული მისთვის ფიზიკური სამუშაოსაგან განსხვავებულს, რაღაც სხვას წარმოადგენს: *ეს არის ვაჭრობა საგნებით და გარედან მოსულ ადამიანებთან, გარჯა წინდახედულებისა და შორსმჭვრეტელობისათვის, ბაზარი, ერთგვარი ინტელექტუალური ბრძოლა,* რომელიც მას თავისი ჩვეულებრივი უზრუნველობიდან გამოიყვანს, ერთი სიტყვით: გონითი შრომა; და მისთვის ეს ყველაზე შრომატევადი და შემანუხებელია.

85, 13-15 მეფეს ისმენს ამას და მრისხანება გამოისახება მის სახეზე: ის მაღლა ასწევს მუშტს და ცხვირში ურტყამს მას, ისე მაგრად, რომ სისხლის ოთხი

ნვეთი გადმოვარდება ცხვირიდან. და ქალბატონი ამბობს: მართლაც გულითადი მადლობა. თუ თქვენ ეს მოგწონთ, შეგიძლიათ ისევ დაიწყოთ.

85, 20-23 ქალბატონო, მიბრძანდით ჩრდილში, [ამბობს მაგალითად ერთი რაინდი,] და მიბრძანდით საჭმელად და დასალევად თქვენს მოხატულ და მოოქროვილ დარბაზში თქვენი თანმხლები ქალებით; შეღებეთ აბრეშუმი: ეს არის თქვენი ამოცანა. ჩემი ამოცანა ფოლადის მახვილის ცემაა.

88, 42 მისი მოთხოვნილებებისა და გართობისათვის

89, 3-4 ისეთი კაცები, რომლებიც თავისი მოთმინების საჩვენებლად, დიდი ხნით იტანენ თავიანთ ცოლებს, თითქმის არ არსებობენ.

97, 7-8 პირველ ყოვლისა, იმას მიაქციე ყურადრება, /რომ კეთილშობილ ქალებთან თავაზიანად/ ისაუბრო, შენ ეს შეგფერის...

მაგრამ თუ საქმე იქამდე მივა, / რომ შენ რომელიმე მიგიწვევს, / რომ მას გვერდით მიუჯდე, იფიქრე ამაზე, / არ დაჯდე მის ტანსაცმელზე/ და არც მეტისმეტად ახლოს მასთან./ თუ მასთან ინტიმური საუბარი გსურს, / მაშინვე არ მოეხვიო, / რისი თქმაც არ უნდა შეგეძლოს მისთვის.* *

101, 17-26 კეთილი, ჩემო საყვარელო შვილო ლუი, კარგად დაიცავი ეს მონტლერის კოშკი, რადგან მან ამდენი სევდა მომიმზადა, ამან ადრეულად დამაბერა და მის გამო ვერასოდეს შევძელი ხანგრძლივი მშვიდობით ან ნამდვილი სიმშვიდით დავმტკბარიყავი... ის იყო ცენტრი ახლოდან და შორიდან გამოვლენილი ყველა ორგულობისა და მხოლოდ მისი გავლით და მისით იწყებოდა ყოველი არეულობა. რადგან... იმით, რომ მოტლერი კორბეისა და შატოფორს შორისაა, პარიზი ყოველთვის ზარალდებოდა, როცა კონფლიქტი გაჩაღდებოდა, ასე რომ პარიზსა და ორლეანს შორის კავშირი შეუძლებელი იყო სხვაგვარად, თუ არა შეიარაღებული ძალით.

134, 26-34 მეფეო, თქვენი ტახტზე ასვლის დღიდან და მანამდეც, შეურაცხყოფით ამავსეთ, რითაც ფეხით გათელეთ ჩემი ერთგულება, რის გამოც ჩემს წინაშე ვალში ხართ და შეურაცხყვეთ მოწინება, რომელიც თქვენ მიბოძეთ. ამ შეურაცხყოფათაგან ყველაზე დიდი და უსამართლოა ოვერნის არაკანონიერი მისაკუთება რომელიც თქვენ საფრანგეთის გვირგვინით დაუფლებულად მიგაჩნიათ. ცხადია, ასაკი, რომელიც მე ფეხდაფეხ მომდევს, მართმევს ძალას, ამ და სხვა მიწების დასაბრუნებლად. მაგრამ ღმერთის, სამეფოს ბარონებისა და ჩვენი ერთგული ხალხის წინაშე, მე სახალხოდ განვაცხადებ პრეტენზიას ჩემს გვირგვინზე და განსაკუთრებით ოვერნზე, ბერიზე, შატორუზე, ჟიზორსა და ნორმანიის ვექსენზე და შევთხოვ მეფეთმეფეს, რომელმაც მემკვიდრე მიბოძა, რომ მას მისცეს ის, რაც მე არ მერგო წილად.

135, 8-9 ჩვენ ფრანგებს [, თქვა მან ჩვეულებრივ თავის მოწინააღმდეგეებთან შედრებისას,] გვაქვს მხოლოდ პური და ღვინო და მომთხოვნელები არა ვართ.

---

* ბუნდოვანება სიტყვათგამოყენებაში და სინტაქსში ტანპოიზერის >Hofzucht<-თან და >Deutsche Cato<-სთან მიმართებაში ანდრეას ვინკლერთან ნათელი ხდება ხელნაწერთა შედარებისას და ტექსტის ბეჭდური ვარიანტების დახმარებით. იხ. ამასთან : Andreas Winkler, Selbsständige deutsche Tischzuchten des Mittelalters. Texte und Studien. Marburg/ Lahn: Uni., Phil. Diss. 1982.

153, 22 "princes des fleurs de lis" — ლილიების პრინცი

166, 40-41. ერთი მეფის ნაცვლად მე ექვსის ყოლას ვარჩევდი !

173, 2-6 ცხადია[.თქვა ერთხელ ჰენრი ჰაუზერმა,] ყოველთვის რაღაც ხელოვნურია იმაში, რომ „a posteriori" პოზიცია დავიკაოთ და ისტორია მისი შედეგებიდან გამომდინარე განვიხილოთ, თითქოსდა ადმინისტრაციული მონარქია და ანრი II-ის ცენტრალიზებული საფრანგეთი უკვე მრავალი წლის წინ იყო განსაზღვრული იმისათვის, რომ განვითარებულიყო და მყარ საზღვრებში მოქცეულიყო.

173, 18 მას არ უნდოდა მთელი ქვეყანა; მას მხოლოდ ის მიწა სურდა, რომლიც მისას ესაზღვრებოდა.

191, 39 "noblesse de robe" — მანტიის ნობილიტეტი "noblesse d'épé" — დაშნის ნობილიტეტის საპირისპიროდ

203, 3-13 არაუგვიანეს ფილიპ ავგუსტის დროიდან გამოჩნდნენ სამართლის მცოდნენი, ნამდვილი „კანონის რაინდები". ისინი, როგორც ჩანს შემდგომ პერიოდში იმით იყვნენ დაკავებულნი, რომ ფეოდალური სამართალი კანონიკურ და რომაულ სამართალთან შეერიათ, რათა ამისაგან მონარქიული სამართალი მიეღოთ... როგორც გადამწერთა პატარა, ოცდაათკაციანი არმია 1326 წელს, 104 თუ 105 კაცისაგან შემდგარი 1359 წელს და დაახლოებით სამოცი კაცისაგან — 1361 წელს, ეს გადამწერები სახელმწიფო კანცელარიისაგან გარკვეულ პრივილეგიებს იღებდნენ იმის წყალობით, რომ გამუდმებით მეფის სიახლოვეს ასრულებდნენ თავიანთ სამუშაოს და ქმნიდნენ ასლებს. იმ დროისათვის მათი უმეტესობა პრივილეგირებული ნოტარიუსები უნდა ყოფილიყვნენ, ელიტა (სამი მათგანი ფილიპ ლამაზის დროს, თორმეტი 1388 წლამდე, თექვსმეტი 1406 წელს, რვა 1413 წელს) შედგებოდა გასაიდუმლოებული სახელმწიფო მოხელეებისაგან ან მდივნებისაგან საფინანსო დარგში... მომავალი მათ ეკუთვნოდათ. განსხვავებით მაღალი წარმომავლობის მოხელეთაგან მათ არ ჰყავდათ წარჩინებული წინაპრები, არამედ თვითონ უნდა გამხდარიყვნენ ასეთი წინაპრები სხვისათვის.

205, 15-34 ... შორსა ვართ იმ აზრისაგან, [ამბობს ის], რომ ამ სამოქალაქო ომმა საფრანგეთი გააღარიბა, პირიქით ყველა თვალსაზრისით გაამდიდრა, რამდენადაც უსასარულოდ ბევრი, მიწაში დაფლული განძი აღმოაჩინა და გამოააშკარავა, რომელიც გამოუყენებელი იყო... ისინი მზის სინათლეზე გამოიტანა და იმდენ კარგ და ლამაზ მონეტად გადააქცია, რომ საფრანგეთში უფრო მეტი ოქროს მილიონები ბრწყინავდა, ვიდრე მანამ ფუნტებისა და ვერცხლის მილიონები და უფრო მეტი ახალი, მშვენიერი, კარგი და დახვეწილი, ამ განძისაგან გაკეთებული ფრანგული ვერცხლის მონეტა (1513 წელსა და ლუი XIII-ს მამართველობას შორის პერიოდში) გამოჩნდა, მაშინ როცა, ადრე რამდენიმე დუკინი არსებობდა... ეს ყველაფერი არ არის: მდიდარი ვაჭრები, მევახშეები, ბანკირები და ფულის სხვა გამსესხებელნი, თვით მღვდლების ჩათვლით, რომლებსაც სკივრში ჰქონდათ ჩაკეტილი თავიანთი ტალერები, არც თვითონ ხარობდნენ მისით და არც ორმაგად გაასესხებდნენ, რათა მნიშვნელოვანი სარგებლის, გადაჭარბებული მევახშეობის გარეშე ან მამულების და მიწის დაგირავების გზით დაბალ

ფასად შეეძინათ მიწები და სახლები. ამის გამო დიდგვაროვანს, რომელიც ქვეყნის გარეთ ბრძოლისას გაღარიბდა და თავისი ქონება დააგირავა ან გაყიდა, ძალა აღარ შესწევდა და აღარ იცოდა, როგორ გაეთბო სახლი, რადგან ყველაფერი ყაჩაღ მევახშეს ნაელო. მაგრამ ამ კარგმა სამოქალაქო ომმა მათ ისევ მისცა ძალა და ისევ დააყენა ფეხზე. სხვათა შორის, არსებობდა ისეთი წარჩინებული, რომელიც უწინ ორი ცხენით და ერთი მცირეწლოვანი ლაქიათი დადიოდა: ის ისე დადგა ფეხზე, რომ სამოქალაქო ომის შედეგ მას ექვსი თუ შვიდი კარგი ცხენით მიმავალს ხედავდნენ ქვეყნაში... *და ასე მოძლიერდა ისევ საფრანგეთის მამაცი არისტოკრატია ამ სამამულო ომის წყალობით, უკეთ რომ ვთქვათ, მისი ნაღებით.*

206, 5-8 ბატონები, რომლებმაც თავიანთ გლეხებს არენდით გადახდის სანაცვლოდ მიწები დაუთმეს, იმავე შემოსავლებს იღებდნენ, მაგრამ ამ შემოსავალს ის ღირებულება აღარ ჰქონდა. ის, რაც წარსულში ხუთი პფენინგი ღირდა, ანრი III-ს დროს უკვე ოცი იყო. არისტოკრატები ისე გაღარიბდნენ, თვითონვე ვერ ამჩნევდნენ ამას.

211, 36 განაცხადები და სტატიები არისტოკრატიის აღდგენისა და გაძლიერების შესახებ

211, 42-43 საცოდავ მდგომარეობაში, რომელშიც ის მაშინ იმყოფებოდა... სიღატაკე ისევ ტვირთად აწევს მას... უსაქმურობა რყვნის... ჩაგვრული მდგამორეობა უიმედობაში აგდებს.

217, 8-11 თუ მათ სჯერათ, რომ როგორც მეფის ვაჟი, ძმა ან თავადური სისხლის მქონე დაუსჯელი დარჩებიან, თუკი სამეფოში არეულობას დათესავენ, ძალიან ცდებიან. ბევრად უფრო გონივრული იქნებოდა, დაეცვათ სამეფო და მეფის ხელისუფლება, ვიდრე თავიანთი მდგომარეობიდან გამომდინარე ეფიქრათ, რომ მათ ეს სასჯელისაგან გაათავისუფლებდა.

217, 20-21 საფრანგეთის შვილისათვის ყველაზე საუკეთესო და საიმედო ადგილი მეფის გულია,

218, 21 სახელმწიფო, ეს მე ვარ.

220, 21 „adîme saladine" — სალადინიური ათეული.

220, 28 გაბედული სიმამაცით.

221, 11 "aide féodale" — ფეოდალური შემწეობა

222, 18 "aide de l'ost" — საომარი შემწეობა

223, 14 ცნობილი, საფრანგეთში არნახული აჯანყება

224, 39-40 თქვენ ხართ გადაგვარებული თაობა, გაუნათლებელი და ერთიანობას მოკლებული.

225, 14-17 ის ბრძოლა, რომელიც სამეფო ხელისუფლებას უნდა მოეგო, თუ მას თავისი ფინანსური ძალაუფლების დაფუძნება და გაძლიერება სურდა, მხოლოდ მაშინ შეიძლება გავიგოთ და დავაფასოთ, როცა ნათლად გავიაზრებთ სოციალურ ძალებსა და ინტერესებს, რომელთაც ის ეჯახებოდა და რომლებიც გზაზე ეღობებოდნენ მის განზრახვებს.

226, 6 "aide aux quatre cas" — შემწეობა ოთხი შემთხვევეისათვის

226, 27 " les aides sur le fait de la guerre" —საომარი შემწეობა

227, 43 "Généraux sur le fait des finances" — ფინანსური გენერლები

228, 7-8 " Chambre" ან "Cour des Aides" — შემწეობათა პალატა ან კარი

229, 27-30 აქედან მოყოლებული, სამუდამოდ, ყველა შენატანი, გადასახადი და მარილის გადასახადი, მეოთხედისა და ცამეტი პროცენტის გადასახადი რომლებიც მათ [ქვეშემრდომებს] ძალზე მძიმე ტვირთად დააწვა და დააწვება, ასევე ყოველგვარი შემწეობები და დახმარებები, რომელიც ხსენებული ომის გამო დაწესდა...

236, 30-32 [მათგან] 1.400000 ფრანკი იმ რამდენიმე გადასახადისაგან, რომელთა დაწესებას „რიგგარეშე" ცდილობდნენ... ისე შეინარჩუნეს, რომ ახლა ისინი უკვე ჩვეულებრივად იქცა.

239, 15 "reges Francorum" —ფრანკთა მეფენი

239, 15-16 "reges servorum" —ყმათა მეფენი

279, 15-19 „ლოკალიზმი" ადრეული შუა საუკუნეების ევროპაში დიდი ასოებით იყო დაწერილი, პირველ ყოვლისა, ტომებისა და მიწათმფლობელთა „ლოკალიზმი", რომლებიც მოგვიანებით ფეოდალურ და სამამულო ერთეულებად ყალიბდებოდა და რომელსაც შუა საუკუნეების საზოგადოება ეყრდნობოდა. როგორც პოლიტიკურად, ისე სოციალურად, ეს გაერთიანებანი თითქმის დამოუკიდებელნი იყვნენ და პროდუქტებისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლა მინიმუმამდე იყო შეზღუდული.

289, 40-42 როცა არისტოკრატი, თავის სახლში, თავის პროვინციაში ცხოვრობს, ის თავისუფლად ცხოვრობს, მაგრამ მფარველობის გარეშე. თუ ის სასახლის კარზე ცხოვრობს, მას პროტეუეობას უწევენ, მაგრამ ამ შემთხვევაში ის მონაა.

291, 3-7 ცხოვრება სასახლის კარზე [ამბობს ლა ბრიუერი,]სერიოზული, მელანქოლიური თამაშია, რომელიც თანმიმდევრობის სახეს იღებს: უნდა იცოდე როგორ განალაგო შენი ფიგურები და პოზიციები, უნდა გქონდეს გეგმა, მას მისდიო, რომელიც გაბათილებს მტრის გეგმას, ზოგჯერ უნდა გარისკო კიდეც რაიმე და ჯიუტი იყო; ამ ყველა ფანტაზიისა და ფანდების შემდეგ ხან მოიგებთ და ხან წააგებთ.

292, 6-9 ფავორიტი ყოველთვის ყურადღებით უნდა აწარმოებდეს საკუთარ თავზე დაკვირვებას: რადგან თუ ის მე ჩვეულებრივზე ნაკლებს მალოდინებს თავის მისაღებში, თუ ის უფრო გახსნილ გამომეტყველებას მაჩვენებს, თუ ის შუბლს ნაკლებ შეჭმუხვნის, თუ უფრო თავაზიანად მომისმენს და უფრო მეტ მანძილზე გამომაცილებს, მაშინ ვიფიქრებ, რომ ის დაღმასვლის გზაზეა და მე არ შევცდები.

292, 30-33 კაცი, რომელიც სასახლის კარის ცხოვრებას იცნობს, თავის ეესტიკულაციას, თვალებს და სახის გამომეტყველებას ოსტატურად ფლობს; ის ღრმაა და მისი განჭვრეტა შეუძლებელია; ის შენიღბავს უნამუსობას,

უცინის თავის მტრებს, აკონტროლებს თავის განწყობილებას, ფარავს თავის ვნებებს, არ უსმენს თავის გულს, მოქმედებს თავისი გრძნობების საწინააღმდეგოდ.

295, 9-13 მე მაშინვე ვიგრძენი, რომ ის გაცივდა; მე გვერდიდან ვადევნებდი თვალს მის ქცევას ჩემს მიმართ, რათა ერთმანეთში არ ამრეოდა ის, რაც ყოველგვარ რთულ საქმეებში ჩაფლულ კაცს შემთხვევით შეიძლებოდა დამართოდა და ის, რასაც მე ვეჭვობდი. ჩემი ეჭვები სრულად დადასტურდა და მე ვშორდებოდი მას, ისე რომ ეს არ დამტყობოდა.

301, 31-44 მე გადავწყვიტე, [ასე აღწერს თავის მოქმედებას სენ-სიმონი დოფინთან ერთ-ერთი საუბრისას] მისთვის მომეხსენებინა ყველაფერი, რაც ჩვენს ღირსებას შეეხება. მაშასადამე, მე ვცდილობდი, წინდახედულად გამეწყეტინებინა მისთვის ის გამოთქმები, რომელიც ამ მიზანს აშორებდა, საუბარი კვლავ ამაზე დამებრუნებინა და ყველა განსხვავებულ პუნქტზე შემეჩერებინა. .. ტახტის მემკვიდრე, განსაკუთრებით ყურადღებიანი იყო, სიამოვნებას ნახულობდა ჩემს განმარტებებში... ცოტა წამოენთო. დავიჩივლე მეფის უცოდინარობაზე და მის ნაკლებ საზრიანობაზე. მე მხოლოდ წამოვწევდი ყველა ამ სხვადასხვაგვარ თემას და ერთიმეორის მიყოლებით წარმოვუდგენდი ტახტის მემკვიდრეს და საბოლოოდ მას მივყვებოდი, რათა მისთვის დამეთმო საუბრის სიამოვნება, სიამოვნება ჩემთვის იმის ჩვენებისა, რომ განსწავლული იყო. რათა მისთვის შესაძლებლობა მიმეცა დაერწმუნებინა საკუთარი თავი, გაცხარებულიყო, შეურაცხყოფილად ეგრძნო თავი და ჩემთვის გრძნობები დაენახვებინა, შთაბეჭდილებათა მიღებისა და შენარჩუნების მანერა, იმ მიზნით, რომ ამ ცოდნიდან სარგებელი მიეღო... მე ნაკლებ ვფიქრობდი იმაზე, რომ ჩემი აზრები და გადახრები განმევითარებინა ვიდრე იმაზე, რომ ის ფრთხილად და საფუძვლიანად გამემსჭვალა ჩემი აზრებით ყველა ამ ცალკეულ თემაზე. ..

357, 9-17 კაროლინგების დომენის ფართოდ განტოტვილი ხასიათი...მას უზარმაზარ ქსელად წარმოგვიდგენს, რომელშიც იმპერია არსებობდა. დომენის დანაწილება და გაფანტვა უფრო მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო ფრანკთა სამეფოს გაუქმებისათვის, ვიდრე მინათმფლობელი არისტოკრატიის ლოკალური პოლიტიკური ამბიციები...

ისტორიული ვითარება, რომ დომენის გული ცენტრალურ ევროპაში მდებარეობდა, ახსნის ცენტრალური ევროპის დანაწილებას მე-9 საუკუნეში და ამ მხარეს ბევრად უფრო ადრე მეფეთა ბრძოლის ველად აქცევს მანამ, სანამ ის ერების ბრძოლის ველად იქცეოდა...

საზღვრები, რომელსაც თანამედროვე საფრანგეთი და გერმანია უნდა გაეყო, მე-9 საუკუნეში გაავლეს, რადგან დომენალური საკუთრების უმეტესი ნაწილი მათ შორის მდებარეობდა.

358, 26-30 როგორც ჩანს, ბევრ ავტორს სჯერა, რომ დასავლეთ ევროპულ ფეოდალიზმს თავისი ინსტიტუციონალური საწყისები წინარომაულ ტევტონურ ინსტიტუტებში აქვს. მოგვეცით საშუალება სტუდენტებს ავუხსნათ შემდეგი: პირიქით სიმართლეს შეეფერება ის, რომ გერმანული დამპყრობლები გვიანდელი რომაული იმპერიის მხოლოდ იმ სახელშეკრულებო ინსტიტუტებს მისწვდნენ, რომლებიც ...

361, 14-18 რამდენადაც გერმანია უფრო ნაკლებ განიცდიდა გარეშე თავდასხმებს, ვიდრე საფრანგეთი და შინაგანადაც უფრო მტკიცე სტრუქტურას ფლობდა, გერმანული ფეოდალიზმი არ ქცეულა ისე მტკიცე და ფიქსირებულ სისტემად, როგორც ფრანგული ფეოდალიზმი. „ძველი" საფრანგეთი დაქუცმაცდა მე-9 და მე-10 საუკუნეებში; „ძველი" გერმანიამ, რომელიც ჰერცოგთა ძველ, დაუზიანებლად გადარჩენილ ციხეებში იყო გამაგრებული, თავის ერთიანობას ინარჩუნებდა.

362, 35-40 თუმცა, ეს ურბანული კულტურა უფრო სწრაფად წაიშალა, როცა ისლამის შემოჭრამ დაკეტა ტირენიის ზღვის ნავსადგურები. ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენდა სამხრეთ იტალია და ვენეცია, ბიზანტიასთან კავშირის წყალობით; სხვაგვან კი ამის კვალსაც ვეღარ ვპოულობთ; თუმცა, ქალაქები, როგორც ასეთი, განაგრძობდნენ არსებობას, მაგრამ იქედან გაქრნენ ხელოსნები და ვაჭრები და მათთან ერთად ყველაფერი, რაც რომაული ეპოქის ქალაქური ცხოვრებიდან იყო დარჩენილი.

363, 8-19 ეკონომიკური თვალსაზრისით, ამ კულტურის ყველაზე თვალშისაცემ და მახასიათებელ ფენომენს წამოადგენს უძრავი ქონების ფენომენი. ცხადია ეს ფონომენი ბევრად უფრო ძველია და უფრო ადვილია, დამაკავშირებელი ხაზის გავლება შორეულ წარსულთან ... სიახლეა მხოლოდ, თუ შეიძლება ითქვას, მისი ფუნქციები იმ მომენტიდან, როცა ვაჭრობა და ქალაქები ქრება. სანამ ვაჭრობას პროდუქტების წარმოების ძალა შესწევდა, ქალაქები კი ბაზრებს წარმოადგენდა, დიდი მიწათმფლობელები განაგებდნენ ქვეყნის გარეთ რეგულარულ ვაჭრობას და თავის მოგებას ნახულობდნენ მისგან...მაგრამ დღეს ეს აღარ გვხვდება, რადგან აღარც ვაჭრები შემორჩნენ და აღარც ქალაქის მოსახლეობა... ყოველი საკუთარი მიწის ნაკვეთით და მამულით ცხოვრობს, ისე, რომ სხვისი ხელშეწყობა არ სჭირდება და ასე ხდება სოფლის მეურნეობის მწარმოებელთა მოთხოვნის ნაკლებობა მიზეზი მისი საკუთარი პროდუქტის მომხმარებლის ნაკლებობისა. მეურნეობა შემოიფარგლება იმ ეკონომიკური სისტემით, რომელსაც საკმაოდ არაზუსტად საშინაო მეურნეობად ახასიათებენ და რაც, სინამდვილეში არის მხოლოდ ეკონომიკა გასაღების ბაზრის გარეშე.**

364, 12-18 იმდენად, რამდენადაც მესამე საუკუნეში წინ მივდივართ , ჩქარდება დაცემაც. ერთადერთი მონეტა, რომელიც მიმოქცევაში რჩება არის Antoninianus-ი. ... არმიაში ანაზღაურების პრაქტიკა თანდათან იმისაკენ მიდის, რომ ნატურით გადაუხადონ... გარდაუვალი შედეგები სისტემისა, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გაწეული სამსახურისათვის მხოლოდ ნატურით და მიწის განაწილების ფორმით გადახდისა, ადვილად შეიძლება წინასწარ გავთვალოთ: მას ფეოდალიზმამდე ან ანალოგიურ მმართველობის ფორმამდე მივყავართ.

364, 39-41 როგორ შეიძლება დროში ნათელი თანმიმდევრულობის გარეშე მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე ვისაუბროთ?

365, 39-44 ბერძნული საზოგადოება არ ყოფილა მონათმფლობელური

---

* Henri Pirenne: Social- and Wirtschaftsgeschichte Europas im Mittelalter, 5. Auflage, München: Francke Verlag 1982 (UTB 33), S. 43

** იქვე, S. 11f.

საზოგადოება; მაგრამ ის თავის თავში მოიცავდა მონების ყველაზე მდაბიო ნაწილს, ყველაზე დამამცირებელი სამუშაოს შესასრულებლად, მაშინ როცა მისი ე.წ. მონების დიდი ნაწილი შეგირდებისაგან შედგებოდა, რომლებიც ქვეყნის გარედან იყვნენ შემოყვანილნი, რათა თავიანთ ოსტატებთან ერთად და თითქმის თანასწორად შეექმნათ ცივილიზაციის საფუძველი, რომელშიც შემდგომ თავადვე უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

367, 36-48 თავი უნდა ავარიდოთ, [ამბობს პირენე,] ქალაქის ქარტიებისათვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭებას. არც ფლანდრიაში და არც ევროპის სხვა რომელიმე რეგიონში ისინი არ მოიცავენ ქალაქის სამართლის მთლიანობას. ისინი შემოიფარგლებიან თავიანთი სამართლებრივი მიმართულებების დადგენით, რამდენიმე არსებითი პრინციპის ფორმულირებით და რამდენიმე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კონფლიქტის გადაჭრით. ძირითადად, ეს ქარტიები განსაკუთრებულ გარემოებათა შედეგს წარმოადგენს და მხოლოდ იმ საკითხებს ითვალისწინებს, რომლებიც მათი შემუშავების მომენტისათვის წამოიჭრა. ..და თუ საუკუნეების შემდეგ ბიურგერები განსაკუთრებული მზრუნველობით იცავდნენ ქალაქის ქარტიებს, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი მათი თავისუფლების გარანტს წარმოადგენდნენ; რადგან იმ შემთხვევაში, თუ შეთანხმება დაირღვეოდა, ბიურგერებს ნება ეძლეოდათ, გაემართლებინათ თავიანთი აჯანყება, მაგრამ არა იმიტომ, რომ ისინი მათი უფლებების მთლიანობას მოიცავდნენ. ისინი, ასე რომ ვთქვათ, ქალაქის სამართლის ჩონჩხს შეადგენდნენ. ქარტიების შეთანხმებების ირგვლივ არსებობდა და განუწყვეტლივ ვითარდებოდა ადათების, წეს-ჩვეულებითი სამართლის ქსელი, რომელიც გულისხმობდა არა წერილობით დაფიქსირებულ, მაგრამ არანაკლებ აუცილებელ პრივილეგიებს.

ამიტომ ბევრი ქალაქის ქარტიაში წინასწარაა განჭვრეტილი და შეცნობილი საქალაქო სამართლის განვითარება. ფლანდრიის გრაფი 1127 წელს ბრიუგეს მოქალაქეებს დაჰპირდა „მათი ჩვეულების შესატყვისი კანონების ყოველდღიურ გაუმჯობესებას", ე.ი. აღიარა იმის შესაძლებლობა, რომ დღითიდღე სრულეყოთ თავიანთი ქალაქის ჩვეულებითი სამართალი.

368, 38-44 მე თავს არ გაჩვენებთ ისე, თითქოს ამ სიახლის თავისთავად ახსნა შემეძლოს. ადამიანის გრძნობათა ნამდვილი ცვლილებები საკმაოდ იშვიათია, მაგრამ მე მჯერა, რომ მათ ადგილი აქვთ და რომ ეს ერთ-ერთია მათგან. დარწმუნებული არა ვარ, რომ მათ „მიზეზები" აქვთ, თუ ჩვენ მიზეზს ვუწოდებთ რაღაც ისეთს, რასაც ახალი სიტუაციის სრულად ახსნა და თანაც ისე ახსნა შეუძლია, რომ მისი სიახლე დაიკარგება. ყველა შემთხვევაში ცხადია, რომ სწავლულებმა მიუხედავად დიდი მონდომებისა, ვერ შეძლეს, ეპოვნათ პროვენცალური სასიყვარულო პოეზიის შინაარსის წყარო.

369, 1-2 ერთმანეთს უპირისპირდება „მსახურთა თავაზიანობა და პატივისცემა" და „საკადრისი მეგობრობა და ურთიერთობა მათთან, ვინც ვახშმის მაგიდას უზის".

372, 34-40 რომაული სასახლის კარი და ვენეციური კანცელარია საკმარისი იქნებოდა დიპლომატიისა და პოლიტიკის ახალი დოქტრინების გასავრცელებლად. მაგრამ, სინამდვილეში, პატარა სახელმწიფოთა სიმრავლეში, რომლებიც ნახევარკუნძულს ინაწილებდნენ, არ იყო არცერთი,

რომელიც ვერ შეძლებდა იდეალები მოეწოდებინა. ევროპის მონარქიებმა ნეაპოლის, ფლორენციისა და ფერარას მეფეთა და ტირანების სკოლა გაიარეს.

375, 10-25 „სახეობათა წარმოშობის" გამოქვეყნებამ, რომელიც ევოლუციის თეორიას უწევდა პროპაგანდას, ბუნებრივ გადარჩევას, მემკვიდრეობითობას და ვარიაციას ეყრდნობოდა, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ანთროპოლოგებსა და სოციოლოგებზე. ევოლუციის თეორია იმდენად რადიკალური იყო, რომ სოციალური ცვლილება განიხილებოდა, როგორც ევოლუციის გამოხატულება და ნაცადი იყო ამ სოციალური ცვლილების მიზეზი ვარიაციებსა და სელექციაში ეძებნათ. .. თუმცა, ამ მიზეზთა ძიებას წინ უძღოდა მცდელობები, განსაზღვრულ სოციალურ ინსტიტუტთა განვითარება ერთმანეთის მომდევნო სტადიებიდან, ევოლუციური რიგიდან გამოეყვანათ, რომელშიც ერთი სტადია აუცილებლად მეორისაგან გამომდინარეობს. ცხადია, კანონების ამ ძიებას ბევრ ჰიპოთეზასთან მივყავდით, განსხვავებით ისეთ ფაქტორებთან მიმართებაში, როგორიცაა გეოგრაფიული მდებარეობა, კლიმატი, მიგრაცია, ჯგუფთა კონფლიქტები, რასობრივი შესაძლებლობანი, გონით უნართა ევოლუცია და პრინციპები, როგორიცაა ვარიაცია, ბუნებრივი გადარჩევა და საუკეთესოთა გადარჩენა. ასეთ თეორიათა შესახებ ჩატარებული გამოკვლევებიდან ნახევარი საუკუნის ან მეტის შემდეგ მართალია, გარკვეულ დასკვნებამდე მივიდნენ , მაგრამ მათ ვერ დააკმაყოფილეს ის დიდი მოლოდინი, რომელიც დარვინის ბუნებრივი გადარჩევის თეორიის გამოქვეყნების შემდეგ გაჩნდა.

სოციალურ ინსტიტუტთა განვითარებაში სტადიათა რიგის გარდაუვალობა არათუ დაუსაბუთებელია, არამედ უარყოფილიც იქნა.

375, 29-36 მსოფლიო ომის დროიდან სოციალური მეცნიერების შემსწავლელმა სტუდენტებმა და მეცნიერებმა განაახლეს თავიანთი ძიება ისტორიაში და საზოგადოებაში არსებული შედარებით სტაბილური განვითარების მიმართულებებისა და კანონზომიერებებისაკენ, ისე რომ ამასთან აღარ მიისწრაფოდნენ ევოლუციური წესრიგის ლოგიკური სქემისაკენ მეორე მხრივ, მზარდი წინააღმდეგობა ისტორიის იდეალებსა და მსვლელობას შორის სოციალურ მეცნიერებებს ყოველთვის უფრო პრაგმატული გზისაკენ უბიძგებს. თუ არსებობს სოციალური ევოლუცია, როგორიც არ უნდა იყოს იგი, ის აღარ იქნება აღიარებული, როგორც პროცესი, თუ მასზე იმსჯელებენ, არამედ როგორც ამოცანა, რომელიც ადამიანთა ცნობიერი და ერთობლივი მონდომებით გადაწყდება.

375, 42 იმის გამოკვლევა, >როგორ იქცნენ საგნები იმად, რაც არიან<...

376, 1-3 არაა მართებული რომელიმე ტაბუ განვიხილოთ, როგორც თვითნებური აღმოჩენა ან ტვირთი, რომელიც საზოგადოებას ტრადიციით დაეკისრა აუცილებლობის გარეშე... ტაბუ საუკუნეების მანძილზე გამოცდილებითაა შემოწმებული თუ დაცული და ის ტაბუ, რომელიც ჩვენ გადმოგვეცა ან მივიღეთ, გამოცდილების საფუძველზე დამტკიცდა, როგორც მიზანშეწონილი.

376, 15-20 ბავშვებს, განსაკუთრებით პატარა ბავშვებს, მოსწონთ აგრესია... ისინი უპირატესობას ანიჭებენ „მოქმედებას", „მოქმედებას" და კიდევ ერთხელ, „მოქმედებას". მათში სისხლისღვრა ზიზღს არ ინვევს, მაგრამ ეს

სისხლი მუქი ფერის უნდა იყოს. გამარჯვებული სიკეთე ხმაურიან აპლოდისმენტებს მოიმკის; ბოროტებას დიდი ენთუზიაზმით აპროტესტებენ: ერთ სცენას მეორე ცვლის, როგორც ნადირობის დევნაში, სიხარულის შეძახილი წამიერად იცვლება სტვენით.

376, 37-38 ველურების მოქცევის წესები არა მარტო მკაცრია, არამედ შთამბეჭდავი. მით უფრო შოკის მომგვრელია ჩვენთვის მათი სუფრასთან ჯდომის მანერები.

377, 33-36 მათი ხასიათის საფუძვლიანი გაგება, ვისთანაც ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ... თითქმის არაფერს კარგს არ მოელოდე მათგან, რომელთაც თანშობილი ფიზიკური ნაკლი აქვთ; რადგან ისინი ცდილობენ ბუნებაზე იძიონ შური...

377, 41-44 არავის დასცინო ფიზიკური სისუსტის გამო, რომელიც ვერცერთი ხელოვნებით ვერ გაუმჯობესდება და არც გიხაროდეს, რომ ვინმეს შეახსენო ის, რადგან ხშირად ეს იწვევს შურს და აღძრავს ბოროტებას, თვით შურისძიებამდეც კი.

378, 2-88 (Nr.287) არასოდეს იმოქმედო ვნებებით. თორემ ყველაფერს გააფუჭებ;

ვნებებით შეპყრობილი კაცი ყოველთვის ისეთ ენაზე საუბრობს, რომელიც საგნებს ამახინჯებს; მასში საუბრობს ვნება და არა გონება.

(Nr.273) მათი ხასიათის საფუძვლიანი გაგება, რომლებთანაც ჩვენ საქმე გვაქვს.

(Nr.201) ყველა ის ადამიანი, რომელიც გიჟი ჩანს, ასეთია და მათივე მსგავსია კიდევ იმის ნახევარი, ვინც ასეთი არ ჩანს.

(Nr.225) მისი ძირითადი სისუსტის ცოდნა

(Nr.210) ჭეშმარიტებით თამაშის უნარი

(Nr.175) სუბსტანციური ადამიანი. მხოლოდ ჭეშმარიტებას შეუძლია მიგვიყვანოს ნამდვილ პატივისცემამდე და მხოლოდ სუბსტანციამ შეიძლება მოგვიტანოს სარგებელი.

(Nr.151) დღეს უკვე იფიქრე ხვალინდელ დღეზე და შორეულ მომავალზე.

(Nr.82) ერთმა ბრძენმა მხოლოდ ერთ მცნებაში ჩაატია მთელი ჭეშმარიტება: „ყველაფერში ზომიერება".

(Nr.127) „მე –არა-ვიცი-რა". მის გარეშე ყოველი მშვენიერება მკვდარია, ყოველი მომხიბლაობა ხიბლს კარგავს... სხვა სრულყოფილებანი ბუნების სამკაულია; „მე –არა-ვიცი-რა" სრულყოფილების სამკაულია. ის აზროვნების წესშიაც კი იქცევს ყურადღებას...

(Nr.123) ადამიანი გადაპრანჭულობის გარეშე. რაც უფრო მეტია სრულყოფილება, მით ნაკლებია გადაპრანჭულობა. შესანიშნავი თვისებები თავიანთ ფასს კარგავს, თუ მასში გადაპრანჭულობას აღმოაჩენენ, რადგან ამას უფრო მეტად ხელოვნურ ძალდატანებას მიაწერენ, ვიდრე პიროვნების

ნამდვილ ხასიათს.

(Nr.165) ღირსეულად იბრძოლე. ვერაგულად გამარჯვება გამარჯვებას კია არა, დამარცხებას ნიშნავს. ყველაფერი, რასაც ღალატის სუნი ასდის, აზარალებს კარგ სახელს.

(Nr.111) გაიჩინე მეგობრები. მეგობრების ყოლა მეორე არსებობაა...ყველაფერი, რაც ჩვენ ცხოვრებაში სიკეთე გვაქვს, მეორე ადამიანზეა დამოკიდებული.

379, 25-30 100 წლის შემდეგ სამყარო ისევ უცვლელად იარსებებს: იგივე თეატრი და იგივე დეკორაციები იქნება, მაგრამ აღარ იქნებიან იგივე მსახიობები. ყველა, ვინც მიღებული კეთილგანწყობით ხარობს და ისინიც, ვინც დამწუხრებულია ან სასონარკვეთილი, რადგან უარი უთხრეს მასზე, ყველა გაქრება სცენის მიღმა. სცენაზე სხვა კაცენი გამოვლენ, რომლებიც იგივე პიესაში იგივე როლებს ითამაშებენ... ეს არის არსებითი კომედიის მოქმედი პირის შესახებ!

379, 35-36 ყველა უცხოელი ბარბაროსი არ არის და არც ყველა ჩვენი თანამემამულე— ცივილიზებული.

379, 38-40 სასახლის კარი მარმარილოს შენობას ჰგავს: ამით ის მინდა ვთქვა, რომ ის ძალზე უტეხი, მაგრამ ამავე დროს ძალზე დახვეწილი მამაკაცებისაგან შედგება.

380, 22-25 თუ სირცხვილის გრძნობა უნდა განვსაზღვრო, მე აღვწერდი მას, როგორც გულწრფელი სულის ადამიანის დაფიქრებას, როცა კაცმა რაღაც ქმედება ჩაიდინა, რომლისთვისაც ის ან საკუთარ თავს განსჯის, ან დაუშვებს, რომ ამისათვის სხვები განსჯიან.

381, 31-42 კალსიკური და კლასიკურის შემდგომი ეპოქის განათლებული გერმანელი გახლეჩილი არსებაა. საჯარო ცხოვრებაში მას უჭირავს თანამდებობები, რომელიც მას ძალაუფლებისა საშუალებით მიანდეს და ასრულებს მას უფროსისა და ხელქვეითის ორმაგი უნარით, მოვალეობის სრული ერთგულებით. თავის პირად ცხოვრებაში ის შეიძლება კრიტიკულად მოაზროვნე ინტელექტუალი ან გრძნობამორეული რომანტიკოსი იყოს... განათლების ეს სისტემა დაიმსხვრა, როცა ცდილობდა ერთმანეთთან შეერწყა ბიუროკრატიული და ჰუმანისტური იდეალები. მან სინამდვილეში შექმნა ინტროვერტირებული სპეციალისტები, რომლებიც არ გასცდომიან აბსტრაქტულ აზროვნებას და ფორმალურ ორგანიზაციებს, მაგრამ მათ არ ჰქოდათ უნარი, გაეფორმებინათ ნამდვილი სამყარო თავიანთი იდეების მიხედვით. განათლების ინგლისური იდეალი არ იცნობს ამ გახლეჩილობას შინაგან და გარე სამყაროს შორის.

385, 5-6 კონვენციონალობა დაფუძნებულია სულის შიშნარევ მდგომრეობაზე.

385, 6-7 სუფრასთან მოქცევის ჩვეულებანი, მე ვფიქრობ, ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული საშუალებაა კლასობრივი განსხვავებებისათვის.

385, 8-12 ამით ჩვეულება იქცევა საზოგადოების არანორმალურ მამოძრავებელ ძალად, მის ყველაზე ღირებულ კონსერვატიულ ძალად. მხოლოდ ის მოგვაქცევს ჩვენ წესრიგის საზღვრებში და გადაარჩენს

მდიდართა შვილებს ღარიბების შურით აღსავსე აჯანყებებისაგან. მხოლოდ ის აგვაცილებს თავიდან, რომ ცხოვრების ყველაზე რთული და საშიში გზები დატოვონ იმ ადამიანებმა, რომლებიც მასზე გასავლელად არიან აღზრდილნი.

385, 16-21 როცა ეთნოლოგები, იმ ადამიანებთან მიმართებაში, რომელთაც ისინი იკვლევენ, შეურაცხმყოფელ და დამამცირებელ განსაზღვრებებს იყენებენ, ისინი, გვერდს აუვლიან არსებით საკითხს, რომლის კვლევასაც ჩვენ ვცდილობთ: რომელია უმწიკვლოების, დახვეწილობის, ზრდილობის, სირცხვილის გრძნობის და ა.შ. ის სტანდარტები, კოდექსები და წარმოდგენები და საიდან მოდიან ისინი? ეთნოლოგიური მონაცემები შეიცავს პასუხს ამ კითხვაზე, მაგრამ მათი მიღებისათვის საჭიროა ფაქტებზე შეუფერადებელი დაკვირვება.

385, 28-37 ეს თავი იმის დასამტკიცებლადაა გამიზნული, რომ პიროვნული ემოციების ტიპები, რომელიც ცნობილია ცივილიზებულ ადამიანთათვის, იმ ევოლუციის პროდუქტია, რომელმაც ემოციების ახალ მიმართულებას დაუდო სათავე. ..ამგვარი ადაპტაციის ინსტრუმენტებად და საშუალებებად გამოდიან ის ინსტიტუტები, რომელთაგან რამდენიმე წინა თავშია აღწერილი. ყოველი ინსტიტუტი, მას შემდეგ, რაც ის ჩამოყალიბდება, მისდამი დაქვემებარებულ ყოველ ინდივიდში განავითარებს შესაბამის ქცევის ფორმას და ემოციურ დამოკიდებულებას. ქცევის ახალი ფორმები და ახალი ემოციური დამოკიდებულება არ შეიძლება დაიხვეწოს მანამ, სანამ თავად ინსტიტუტი არ შეიქმნება.

ინდივიდების დაძაბულობას, მოერგონ ინსტიტუტების მოთხოვნებს, რაღაც ისეთისაკენ მივყავართ, რაც ალბათ, ყველაზე შესატყვისად შეიძლება აღვწეროთ, როგორც სიამოვნებათა და უსიამოვნებათა სრულიად ახალი ჯგუფი.

სახელთა საძიებელი

ა

აბსოლუტიზმი I 56, 74, 77, 222 II 5, 6, 10, 29, 36, 76, 83, 192, 195, 241, 340
ადამიანებზე დაკვირვება I 5 II 296, 297
ადამიანის ხატი იხ. აგრეთვე homo clausus I 37-42, 47, 52
ანთროპოლოგია I 59, 64
ადამიანური ურთიერთობები I 118, 119, 144, 182, 184, 209, 231 II 6, 7, 53, 84, 89, 165, 273, 275, 287, 294, 304, 344
- სტრუქტურა I 129, 161, 184, 196 II 36, 292
არისტოკრატია I 68, 70, 73, 77, 80-82, 90, 95-97, 99, 103, 134, 135, 137, 141, 166-169, 176, 223, 260, 261, 295 II 5, 7, 8, 10, 12-14, 22, 24, 45, 46, 60, 64, 75, 84, 87, 92, 144, 180, 185, 191-196, 201, 204-215, 217-219, 225, 227, 229, 243
- სასახლის კარის I 83, 87, 223, 285 II 124, 210, 212, 214, 243
- მეომარი II 11, 202, 207, 209
არისტოკრატთა სახლები II 46, 205
აფექტები იხ. ფსიქოგენეზი I 5-8, 45, 46, 75, 92, 109, 119, 123, 130, 154, 183, 189, 213, 223, 263, 265, 266, 279, 280, 289, 293 II 35, 63, 73, 85, 90, 93, 94, 97, 113, 248, 255-257, 259-263, 267-269, 271, 272, 276, 278, 279, 281, 287, 293-296, 302, 307, 309, 320, 327, 337
აფექტების ამოხეთქვა II 272
- გამოხატვა II 124, 255, 257, 263
- დაძლევა I 190 II 90, 300
- დათრგუნვა II 306
- განტვირთვა I 271 II 260, 269, 299, 303, 337
- გაფორმება II 276, 330
- სამყარო II 254, 294, 300
- მოდელირება I 109, 203 II 98, 118, 255, 301
- მოწესრიგება II 334
- რეგულირება I 5, 280 II 248, 260, 268, 273, 274, 276, 290, 293, 294, 330, 331, 336, 338, 340, 353
- სქემა II 301
- სტრუქტურა I 5, 6 II 295, 307
- შეკავება I 45, 92, 168, 209, 224 II 6, 9, 255, 270, 272, 276, 280, 281, 295
ავლანეთი I 277
აგრესია I 279, 280
აფრიკა I 133, 228
აგრარული სექტორი II 39, 55, 62, 63, 77, 78, 154, 244
აკუმულაცია II 104, 198, 109, 116, 122
- მიწების II 104, 116, 130, 140, 142, 143
- შანსების II 121, 126, 164
ალბერი ეჟენ II 373
ალანსონი II 146, 161, 171
ალენ, პირსი სტენფორდ I 317, 318
ალფონსი პეტრუს I 120
ამბიციები II 168, 191, 217

ამბივალენტი იხ. გახლეჩვა II 173, 182-184, 186, 189, 195, 196, 200, 201, 205, 211, 216, 327, 335
ამერიკა I 90 II 350
აკრძალვები I 54, 58, 123, 125, 139, 140, 151, 166, 172, 173, 189-193, 195, 199, 203, 212, 229-231, 233, 239, 241, 256, 264, 267, 281 II 9, 265, 268, 315, 319, 322, 333, 337, 351, 352, 354, 255, 357
ამპერი ანდრე I 87, 88
ანარქია II 122
ancient régime, /ანსიენ რეჟიმ/ ძველი რეჟიმი I 110
ანდრესენ ლუდვიგ I 312, 313
აგრესია იხ. ძალადობა, ფიზიკური, სისასტიკე, ომი I 279, 280
ანჟუ II 26, 106, 112, 130, 133-136, 138, 141, 146-148, 150, 152, 154, 161, 230
- სახლი II 135, 136
ანა ბრეტანელი II 169
ანთროპოლოგია I 59, 64
ანტიკურობა I 41, 120, 246 II 38, 39, 52, 55-58, 60, 62
ანტონი, ბრაბანტისა და ანტვერპენის ჰერცოგი II 156
აპრიორიზმი I 36
აქვიტანია II 26, 112, 130, 134, 138, 141, 149
- სახლი II 142
არაბები II 37, 41, 43, 61
არაგონი II 134
არისტოტელე I 360
არლი II 17, 129
არმანიაკი II 161
ასკეზა II 259
ასიმილაცია I 79, 81, 96 II 121, 273, 301, 335, 336, 339
ასტი II 156
არტუა II 146, 156, 172
ავტარკია II 78, 97, 146, 198, 224, 280
- ეკონომიკური II 285
არმია I 269 II 11, 20, 25, 43, 45, 46, 74, 75, 178, 211, 217, 219, 229, 242, 257, 291, 341
ანრი II, საფრანგეთის მეფე II 394
ანრი III, საფრანგეთის მეფე I 129
ანრი IV, საფრანგეთის მეფე I 216, 220, 296 II 5, 211, 212, 214, 217, 302
ანრი VI ნავარელი, საფრანგეთის მეფე II 156
ასწლიანი ომი II 148, 158, 159
აზრი, საზოგადოებრივი I 259, 260, 262, 264 II 209
აღმოსავლეთ აზია I 133, 277 II 134, 278
ავსტრია I 22, 159 II 23, 160
აჯანყება იხ. ოპოზიცია II 21, 106, 124, 130, 136, 149, 159, 166, 169, 197, 208, 209, 215, 217, 221, 225, 229, 231, 232, 234, 235, 262, 267, 269
არაცნობიერი I 267 II 261, 263, 307-310

ბ

ბანაობის ჩვეულებანი I 263
ბალანსის სისტემა II 196
ბალიოლი ანა I 314
ბალზაკი ონორე II 298

ბარბაროსობა I 70, 106, 108, 118, 122, 284
ბარბაროსები I 194 II 36, 37
ბარსელონა II 16, 129, 133
ბარნსი ჰარი II 359
ბაროკო II 7, 92, 286
ბარო რ. ჰ. II 366
ბაზინი თომას II 373
ბოდო I 107
ბაუერი მაქს I 314, 317
ბაიერნი II 24
ბეატრიქს ბურბონელი II 151
ბოვე II 51, 138
ბერი I 277 II 17, 130, 136, 137, 150, 152
ბერტოლდ ფონ რეგენსბურგი I 287
ბეცოლდ ფრიდრიხ I 318
ბიგორი II 149
ბლანშარ ჟაკ I 318
ბლოხი მარკ II 359, 363, 373
ბლუას საგრაფო II 130, 138, 156
ბოგარდუ ს. ემორის II 376
ბუალო პიერ I 70
ბომერი ალიოს I 308, 317
ბონო ალსიდ I 311
ბონვიტ რალფ II 360
ბერტრან დე ბორნი I 270
ბუშე გიიომ II 369
ბურგუნდია II 17, 26, 31, 41, 106, 129, 138, 140, 143, 147, 150, 152-156, 161, 166-172, 237, 241, 285
ბურბონთა გვარი II 16, 153, 161
ბუვინის ბრძოლა II 137
ბრანდერბურგი II 5, 113
ბრანდერბურგელი I 70
ბრანდესი ჯორჯ I 314
ბრანტომი პიერ II 206
ბრეტანი II 138, 166, 167, 170, 171, 217, 237, 241
- სახლი II 161, 170
- ჰერცოგი II 143, 153, 154, 167, 170
ბრეტინის ხელშეკრულება II 149, 151
ბრეიზინგი კურტ II 363
ბრინკან ჰენიგ II 369
ბროე პიერ I 235
ბრუნელეჩი ფილიპო II 7
ბრუნფელსი ოტო I 312
ბრუნერ ჰაინრიხ II 358
ბიუელ ჟან I 319
ბურჟუაზია I 69, 77, 80, 96, 102, 103, 109, 110, 167, 169, 177, 180, 223, 261 II 5, 7-9, 11, 14, 51, 70, 76, 124, 143, 152, 180, 185, 192-196, 201, 204, 205, 208-211, 213, 214, 218, 220, 223, 230,232, 243-245, 276, 277, 282, 284, 288, 290, 291, 304, 311-313, 326, 328-330, 338-342, 349
- გერმანული I 67, 69, 71, 72, 76, 80, 86, 87, 90, 95, 97, 110, 136
- ფრანგული I 70, 87, 95-97, 101, 110, 135 II 193
- ინდუსტრიული I 22
ბიუროკრატია I 101, 180 II 29, 30, 76, 199, 357
ბილზი ალფრედ თომას II 370
ბერნი ეუენ ჰ. II 359
ბალანსური იხ. წონასწორობის სისტემა II 70, 344
ბედნიერება I 68, 71, 76, 107, 278 II 16, 214, 237, 358
ბავშვები I 43, 55, 125, 132, 163, 196, 203, 205, 210, 211, 217,

221, 229, 232, 237, 241-255, 258, 259, 265, 266, 278, 281 **II** 45, 144, 230, 258, 260, 263, 264, 281, 294, 309, 314, 316, 323, 352-355
ბუნებრივი მოთხოვნილებანი **I** 199, 202, 204, 205, 209-211, 222, 238, 290
ბუნება **I** 25, 35, 37, 39, 44, 46, 48, 70, 76, 78, 83, 88, 91, 105, 108, 190, 197, 207, 232, 242, 285, 286 **II** 30, 32, 35, 38, 179, 249, 250, 261, 263, 276, 295, 296, 299, 309, 320, 321, 326, 328, 339, 343, 350, 352
ბანაობა **I** 208, 210, 237, 238, 263

გ

განსხვავებები **I** 64, 73, 87, 135, 294 **II** 8, 10, 17, 58, 64, 98, 105, 112, 114, 130, 142, 210, 253, 268, 271, 275, 277, 301, 317, 321, 333
- სოციალური **I** 134, 173 **II** 199, 209
გადასახადები **I** 101 **II** 11, 18, 27, 28, 50, 52, 67, 74, 80-82, 107, 114, 115, 120, 125, 133, 167, 181, 193, 199, 207, 210, 213, 220-239, 241, 242, 245, 248, 278, 291
განათლება **I** 69, 74, 84-87, 89, 91, 95, 96, 108, 135, 178, 180, 254, 257, 258 **II** 7, 89, 203
"Galateo" **I** 137, 138, 141-143, 155, 199, 207, 208, 212, 216, 226, 296
გერმანული რაიხი **I** 81 **II** 113
გაუცხოება **I** 41, 49, 115
განვითარება, საზოგადოებრივი **I** 5, 16, 24, 28 **II** 22, 102, 116, 269, 272, 315
- სოციალური **I** 5, 8, 9, 16, 19, 170 **II** 51, 58, 158
განვითარება ევროპული ქვეყნების **II** 61
განვითარების ცნება **I** 5, 7, 8, 17, 18, 24, 28
- კანონზომიერება **II** 17
- ისტორიის მექანიკა **I** 60
- მოდელები **I** 18
- თეორიები **I** 8
გათვალისწინება **I** 22, 33, 35, 66, 221, 281 **II** 8, 31, 93, 148, 150, 153, 343, 356
გარეგანი იძულება **I** 60, 230 **II** 79, 248, 269-271, 290, 321, 322, 341, 342
გაბელ დიუ სელ (gabelle du sel) გადასახადი მარილზე **II** 227
გარლანდი იოანე **I** 120
გედუაენ, აბატი **I** 169
გრძნობები **I** 73, 75, 77, 82, 84, 92, 119, 144, 196, 230, 231, 239, 241, 255, 265, 266, 270, 272, 282, 286 **II** 86, 87, 90, 91, 155, 183, 256, 263, 294, 304, 318-320, 337, 353
გერმანული ტომები **II** 23, 37, 61
გინსბერგი მორის **I** 315
გოეთე იოჰან ვოლფგანგ **I** 48, 72, 76, 77, 79, 85, 87, 88, 91-94, 302
გოტცი ვალტერ **I** 306
გოლდენვაიზერი ა. **II** 376
გოტფრიდ ფონ ბუილონი **II** 48
გოთშედი იოან ქრისტოფ **I** 70

გრაციანი ბალთაზარ დე II 377
გრიმი, იაკობი და ვილჰელმ I 305
გიენა, ოლქი საფრანგეთში II 130, 138, 139, 143, 149
გერმანულ-რომაული იმპერია II 105-107,110-112, 114, 123, 140
გადასახადები I 101, 327
გადანერწყვება I 131, 224, 228, 230, 268, 294
გადაჯაჭვულობა I 36, 168, 265, 266, 269, 281 II 16, 29, 31, 32, 35, 36, 52, 54-57, 60, 67, 95-97, 105, 107, 113, 131, 141, 155, 159, 174, 181-183, 186, 187, 191, 205, 216, 226, 231, 234, 235, 249-253, 267, 268, 270, 277-282, 285, 286, 291, 293, 295, 296, 304, 309, 331, 332, 343-346, 352, 356
გადაჯაჭვულობის მექანიზმები II 180, 194
- იძულებანი II 346, 348, 350, 353, 354, 356
გაკურტუაზება I 285 II 261, 278, 280, 281, 285, 287, 292, 297, 311, 319, 325, 327
გაშინაგანება I 266
გონება I 36, 41, 45, 48, 72, 75, 77, 78, 84, 87, 104, 108, 184, 275 II 92, 249, 311, 312, 354
გახლეჩილობა I 267 II 182, 183, 316
- იდეალების I 33
გაორება, ქცევის II 183

დ

დამოუკიდებლობა, იხ. ავტარკია I 33, 107, 260 II 5, 19, 20, 24, 28, 32, 51, 75, 139, 143, 148, 151, 163, 165, 170, 171, 217, 219, 266, 345, 354
დაშნის ნობილიტეტი II 192, 327
დასავლური სამყარო იხ. საზოგადოება, დასავლური I 53, 54, 56, 62, 63, 112, 118, 185, 189, 258, 268, 281 II 5, 6, 8-10, 14, 21, 34, 37, 39, 44, 53, 56, 57, 59, 60, 62, 67, 89, 90, 94, 96, 114, 179, 180, 199, 266, 268, 270, 272-278, 280, 283, 292, 304-306, 312, 313, 317, 330-333, 336, 338, 339, 346, 350
დამოკიდებულება I 27, 68, 74, 81, 99, 131, 140, 175, 185, 207, 223, 224, 231, 254, 262, 269, 274, 289, 294, 296 II 8, 10, 20, 29, 31, 33, 50, 60, 63, 66-68, 71, 73, 76-79, 86-89, 94, 96, 97, 98, 118, 120, 122, 124, 125, 129, 130, 142, 165, 178, 180-182, 188, 198, 201, 215, 219, 231, 243, 253, 255, 264, 268, 269, 277, 280, 283, 285-288, 290, 291, 298, 325, 339, 349, 355
- ფუნქციონალური II 176, 181, 182, 202, 219, 261, 283, 318, 333, 334
- ორმხრივი, იხ. ინტერდეპენდენცი I 33 II 58, 68, 70, 94, 141, 185, 356
დამოკიდებულების ჯაჭვები I 28 II 255, 319
დაღმასვლა I 106, 141, 169, 272, 284 II 25, 47, 151, 191, 243, 340, 357
- სოციალური, იხ. დეგრადირება I 172 II 167

დანიელი ნორმანები II 22
დოფინე I 282 II 140, 147-151, 153, 168, 172, 237, 303, 304
დედეკინდი ფრიდრიხ I 135
დეფან მარი, მარკიზა I 202, 348
დეგრადირება II 274
დეკადენტი I 106
დელიკატური I 174, 243 II 324
დელილი ჟაკ, აბატი I 340
დემოკრატიული რეჟიმი II 126
დენეკე არტურ I 311
დეკარტი რენე I 37, 38, 41
დეზინტეგრაცია II 25, 27-29, 34, 72, 73, 97, 133, 146, 154, 160, 168, 343, 347
დეცენტრალიზაცია II 24, 33, 34, 106, 143, 144, 147, 176, 177, 215
დიდრო დენი I 79, 88
დიფერენცირება I 6-9, 16, 173, 267 II 9, 32, 40, 48, 50, 53-57, 61, 62, 67, 68, 73, 77, 81, 83, 94, 96, 103, 113, 118, 121, 127, 162, 178, 181, 186, 201, 203, 251-253, 266, 277, 293, 294, 309, 312, 316, 320, 348, 357
დიფერენცირება, ქცევის II 87, 335
დისტანცირება I 37, 43, 45, 46, 134, 138, 238, 242 II 243, 279, 293
დონატელო II 7
დონსი II 156
დრაიდენი ჯონ I 75
დიუმლერი ერნსტ II 358
დიუპინი ანრი I 319
დიუპონ დე ნემური I 305
დიუპონ ფერიე გუსტავ II 372, 373
დეიურკემი ემილ I 14
დეურიე პაულ I 319
დიდი ბრიტანეთი II 107
დანაშაულის გრძნობა I 221, 256, 278 II 353
დაძაბულობანი II 44, 133, 149, 157-160, 167, 188, 189, 191, 196, 200, 208, 214, 215, 230, 245, 262, 282, 306, 321, 326, 327, 334, 335, 340, 344-346, 348, 351, 354-358
- სახელმწიფოთაშორისი I 29 II 357
დაძაბულობათა სტრუქტურა II 157, 202
დაძაბულობანი არისტოკრატიას და ბურჟუაზიას შორის II 326
დაძაბულობის ღერძი I 47 II 180, 310
დაძაბულობის ბალანსი II 349
დაძაბულობის წონასწორობა II 279
დამოუკიდებლობის დეკლარაცია I 107
დახვეწა I 109, 113, 167 II 89, 281
დრო I 8, 9, 15, 16, 23, 30, 33, 40, 42, 44, 48, 49, 51, 58, 61, 68-70, 72, 81, 82, 86, 93, 99, 103, 105, 110, 113, 122-124, 126-131, 133-136, 142, 145, 159, 166, 170-178, 183-186, 188, 190, 191, 193, 195, 196, 199, 200, 202, 204, 208, 210, 212, 220-222, 224, 226, 228, 229, 231, 238-240, 244, 250, 253-255, 258, 261, 262, 265, 269, 271-273, 276, 279, 282-285, 288, 292 II 5-8, 11, 13-15, 18-

23, 25-29, 32, 33, 39, 40, 42, 44-49, 51, 53, 55, 59, 61, 62, 64-67, 71, 76-78, 83, 84, 88, 89, 92, 95-98, 101, 103, 105, 106, 108-110, 112-115, 121-123, 125, 126, 128-133, 136-138, 140, 141, 143-147, 150-152, 154-157, 159, 161, 162, 164, 165, 167, 168, 173, 176, 181-187, 189, 192-194, 196-200, 202, 203, 206-208, 210-213, 216, 221, 222, 224, 225, 227-230, 233, 234, 236-238, 241, 242, 247, 249-251, 253-256, 259, 260, 262, 264, 266-269, 274, 275, 278, 281, 286, 287, 290-292, 296, 297, 301, 304-307, 312, 314, 320, 324-327, 331, 333, 336, 341, 342, 344-348, 355

ე

ეპისკოპოსი I 143, 199 II 23, 27, 84

ეკერმანი იოან პეტერ I 85, 87, 91-94

ედუარდ III, ინგლისის მეფე II 151

ერისმანი გუსტავ I 307

ელეატები I 19

ელიას ნორბერტ I 61

ემანსიპაცია I 259 II 92, 334, 338

ემოციები I 189, 190, 266, 278 II 294

ემოციური იმპულსები II 349

ენგელსი ფრიდრიხ I 22

ეპიციკლების თეორია I 13

ერაზმ როტერდამელი I 113, 114, 116-119, 130-144, 154, 155, 159, 166, 173, 186, 198, 202-205, 215, 220, 225, 229, 230, 235, 240, 241, 243-251, 254-257, 265, 306, 310, 311, 314, 346, 359, 360 II 296

ეთნოლოგია I 59, 64

ენა I 5, 71, 80, 84, 88, 95, 96, 109, 112, 135, 136, 175-178, 180, 182, 246, 267 II 7-9, 34, 40, 108, 159, 192, 201, 327, 337

- გერმანული I, 67, 70-72, 76, 77, 90, 180

- ფრანგული I 70, 73, 74, 112, 176, 180, 240 II 337

ენის განვითარება I 44, 180

ენის გამოყენება I 70

ენობრივი აპარატურა II 93

ეტიენ მარსელ II 151

ეტიკეტი I 75, 85, 121, 123, 125-127, 131, 141, 145, 173, 181, 224, 228, 234, 263 II 8, 10, 279, 329, 330, 339

ევროპა I 71, 73, 74, 79, 92, 98, 99, 111, 112, 238 II 6-8, 10, 13, 21, 22, 36-38, 40, 44, 51, 52, 56, 61, 128, 134, 158, 159, 183, 216, 237, 331, 333, 338, 340, 342

ევოლუცია I 8, 111 II 35

ექსისტენცი სოციალური I 242 II 14, 85, 93, 125, 165, 166, 168, 183, 185, 187, 189, 195, 197, 205, 255, 273, 288, 316, 326, 330, 335, 336, 358

ექსპანსიისა და კოლონიზაციის მოძრაობა I 80

ეროარი ჟან I 265

ეკლესია I 112, 168, 229, 244, 245, 258, 271, 286, 291 II 5, 6, 9, 24, 41, 43, 44, 54, 77, 103, 106, 133, 198-200, 204, 221, 235
ერები I 22-27, 29, 33, 62, 64, 71, 90, 93, 94, 111, 268, 280, 281 II 9, 16, 18, 62, 137, 183, 273, 274, 276, 340
ესპანეთი II 37, 43, 240

ვ

ვაჭრობა I 69, 71, 86, 101, 104, 109 II 31, 38-40, 47, 50, 57, 74, 78, 143, 210, 229, 268, 279, 312, 320, 342
ვაჭრები I 277 II 97, 118, 193, 205, 206, 223, 244
ვაგანტები II 90
ვესიერ პიერ II 369
ვალენსია, სიდ II 42
ვალენტინ ვისკონტი II 156
ვასალები II 25, 28, 29, 67, 73, 75, 76, 105, 133, 143
ვენეცია I 129 II 56, 237, 239, 241
ვერდენი II 16, 146, 171
ვერდენის საეპისკოპოსო II 147, 172
ვილჰელმ I, დამპყრობელი
ვინკელმანი I 79
ვებერი, მარიანე
ვებერი, მაქს I 33, 37, 41, 58
ვაშინგტონი, ჯორჯ I 314, 360 II 378
ვატსონი, ჯონ ბ. I 312
ვერსალი I 147 II 215-217
ვოლტერი I 73, 75, 79, 88, 96, 107, 109, 170, 178, 208, 326, 327
ვიოლე პოლ
ვექსინი II 135, 137
ვალტერ უქონელი II 43
ვაშინგტონი I 314, 360
ვეხსლერი, ედუარდ II 369
ვაილ, ჰანს I 303
ვაიმარი I 87 II 7
ველფები II 109
ვენა I 87, 251 II 330
ვოლფი, ფრიდრიხ ოგუსტ I 79
ვოლცოგენი, კაროლინ ფონ I 84
ვუდვარდ, უილიამ ჰარისონ I 306
ვულფი, ვირჯინია I 41
ვერნეი, მადამ დე I 313
ვანდომის ჰერცოგი II 216
ვუიტრი, ადოლფ II 370, 372, 373

ზ

ზრდასრული I 35-38, 40, 55, 163, 196, 197, 204, 205, 209-212, 217, 219, 241-243, 245, 249, 250-258 II 257, 259, 262, 265, 280, 293, 313, 322, 351, 352
ზრდასრულთა ფუნქციები II 259
ზე-მე I 58, 197, 230, 256, 264, 267 II 78, 260, 261, 263, 266, 269, 273, 276, 280, 290, 293, 298, 308, 313, 315, 318, 320, 322, 326, 329, 331-333, 335-337, 339, 349, 353, 356

ზე-მე-ს
- ფუნქციები II 306, 315
ზიბერი, ლ I 314
ზიბერტი, იოან I 308, 312
ზედამხედველობა II 81

თ

თავაზიანობა I 67-69, 74, 85, 89, 91-93, 96, 98, 130, 135, 137, 139, 142, 197, 202, 209, 212, 215, 217, 219 II 7
თვითდაუფლება I 231 II 219, 258-260, 262, 267, 293
თვითცნობიერება I 41, 44, 46, 48, 62, 64, 67, 68, 74, 76, 77, 86, 87, 94, 99, 112, 122, 134, 136, 170, 222 II 141, 301, 335, 339, 342
- ხალხების I 64
- ნაციონალური I 65, 110
თვითდისტანცირება I 39, 43-45
თვითდისციპლინირება I 260, 262, 296 II 268
თვითკონტროლი I 43-46, 49, 144 II 248, 251, 253, 254, 259, 260, 264, 265
თვითგარდაქმნა II 262
თვითიძულება I 5, 46, 47, 60, 162, 185, 207, 209, 210, 222, 230, 240, 251, 256, 261-264, 267, 269, 278, 281, 283, 294 II 79, 248, 251, 253, 254, 259, 262, 264, 266, 267, 269-272, 274, 276, 281, 290, 294, 299, 300, 314, 315, 319, 321, 322, 334, 338, 342, 357
თომა აქვინელი II 372
თანაცხოვრება I 27, 46, 62, 104, 141, 168, 174, 206, 232, 239

ი

ინგლისი I 69-71, 75, 80, 87, 92-94, 107, 129, 136, 137, 188, 276 II 5, 9, 11, 14, 16, 49, 56, 105, 107, 112-114, 131, 133-135, 138, 143, 149, 159, 196, 225, 276, 322, 330, 333, 340, 341, 350
ისტორია I 35, 53, 54, 56-58, 60, 65, 66, 93, 112, 113, 118, 233, 238, 244, 258, 284 II 5, 16, 21, 33-35, 39, 64, 73, 76, 78, 82, 89-92, 95, 96, 107, 109, 128, 137, 139, 155, 163, 165, 173, 177, 179, 180, 190, 192, 220, 234, 248, 250, 266, 271, 275, 276, 292, 296, 298-301, 305, 307-310, 312, 317, 330, 333, 338, 345, 346, 350, 352, 356
ისტორიული კვლევა I 59 II 310
- ნაციონალური I 27, 28
- პოლიტიკურ-მსოფლმხედველობრივი I 18, 19, 32
იდეოლოგია I 31, 32 II 193, 306, 307
იდეოლოგიის ცნება I 28
ინდოეთი I 358 II 283
ინდივიდუალიზება I 36, 46, 86, 133 II 66
ინდუსტრიალიზება I 24 II 39, 183
ინდუსტრიული ქვეყნები I 20, 21
ინტეგრაცია I 30, 31, 57, 140, 183, 261, 294, 296 II 7, 16, 29-

31, 33, 53, 61, 62, 65, 66, 75, 81, 94-97, 105, 106, 110, 142, 158, 160, 167, 174, 242, 285, 343
- საომარი II 33
- სოციალურ-წოდებრივი I 184 II 9
- ეკონომიკური II 33
ინტელიგენცი II 301
ინტელიგენციის ფენა I 70, 80, 87, 134, 136
- ბურჟუაზიული I 176
- გერმანული I 67, 68, 70, 74, 88, 93, 103
ინტერდეპენდენცი I 298 II 30, 70, 79, 96, 98, 116, 158, 178, 182, 189, 200, 205, 225, 231, 233, 249, 255, 262, 266-268, 273, 282, 291, 301, 325, 326, 329, 331, 332, 338, 345, 347
ინტერნალიზება, იხ. გაშინაგანება I 44, 45
იტალია I 120, 129, 136, 137, 220 II 21, 42, 51, 106, 156, 237, 239
იაპონია II 381, 360
იერუსალიმი II 42
იოდლი ფრიდრიხ I 302
იოანე ქველი, საფრანგეთის მეფე II 148-153, 156
იუვენალ ურსინელი, რეიმის ეპისკოპოსი II 235, 236
იარაღი I 9, 16, 23, 24, 31-34, 44, 50, 110, 189, 223, 262, 272, 275, 277, 289, 295 II 12, 13, 45, 63, 80, 89, 96, 162, 197, 198, 220, 222, 252, 258, 260, 293, 302, 306, 321, 326, 337, 338
იძულება I 11, 45, 46, 60, 140, 143, 144, 168, 173, 191, 195, 196, 198, 203, 204, 206, 208, 223, 224, 230, 231, 237, 241, 252, 257, 260-263, 279, 283, 289, 291, 294-296 II 10, 29, 30, 33, 35, 36, 43, 50, 65, 78-80, 84, 88-90, 92, 93, 97, 104, 110, 124, 185, 190, 197, 215, 221, 223, 239, 240, 248, 250, 251, 254, 255, 257, 258, 260, 262, 263, 266, 267, 269-272, 276-281, 289, 290, 292, 294, 314, 315, 319, 321, 322, 324, 328, 329, 341-346, 348, 350, 352-357
- თვით I 5, 46, 47, 60, 162, 185, 207, 209, 210, 222, 230, 240, 251, 256, 261-264, 267, 269, 278, 281, 283, 294 II 79, 248, 251, 253, 254, 259, 262, 264, 266, 267, 269-272, 274, 276, 281, 290, 294, 299, 300, 314, 315, 319, 321, 322, 334, 338, 342, 357

კ

კაბანე ოგიუსტ I 229
კალე II 139, 149
კალმეტი ჯოზეფ II 358, 359, 367, 367
კალვიაკი I 155, 173, 174, 191
კაპელანუსი ანდრეას II 380
კარტელიერი ალექსანდრე II 372
კაზა ჯოვანი დელა, ბენევენტის არქიეპისკოპოსი I 137, 141, 144, 155, 199, 107, 212, 216, 226, 230, 295 II 297, 318

კასტილიონე ბალთაზარ I 141
კავალი მასინო II 239
კაქსტონი უილიამ I 144, 191
კლერმონი II 139, 146, 152
კონი ეგონ I 304
კონი ვილი II 363
კოლბერტი ჯან ბატისტ I 101
კომტი ოგიუსტ I 22
კონდორსე მარი ჟან I 109
კორდიე I 113, 205
კონრადი II 24, 85
კორნელი პიერ I 76
კოსონი, აბატი I 164, 340, 341
კურტენ ანტუან I 162, 166, 174, 181, 182, 187, 195-197, 205, 229, 337, 345 II 277
კანონზომიერება I 57, 104-106, 136, 230, 232 II 12, 17, 22, 25, 58, 60, 65-67, 70, 92, 119, 120, 128, 136, 168, 173-175, 177, 180, 181, 187, 199, 219, 233, 238, 250, 251, 282, 290, 296, 300, 301, 310
კანტი იმანუელ I 67-69, 72, 77-79, 85, 89, 98
კაპეტინგები II 12, 16, 28, 47, 101-105, 113, 114, 128-140, 142, 143, 145-149, 151-154, 157, 160, 161, 166-169, 198-200
კაპიტალიზმი II 36, 47
კარლოს დიდი II 18, 21, 30, 181
კარლოს მამაცი, ბურგუნდიის ჰერცოგი I 285
კარლოს ბოროტი, ნავარიის მეფე II 151
კარლოს III სქელი, დასავლეთ ფრანკების მეფე II 21
კაროლინგების იმპერია II 34, 140
კაროლინგები II 25, 26, 39, 47, 154, 175
კაროლინგების ეპოქა II 16, 21, 26, 42, 54, 56, 62, 143, 157, 161
კათოლიკური ეკლესია I 112, 244 II 317
კერნი ფრიც II 358
კირნი პაულ II 358, 359, 362
კლოპშტოკი, ფრიდრიხ გოთლიბ I 72, 76
კლასები, ინდუსტრიული I 21, 22, 24, 27
კლასობრივი ცნობიერება I 24
კნიგე ადოლფ I 85
კიობნერი რიჩარდ I 317
კოლბი გეორგ ფრიდრიხ I 302
კოლონიზაცია I 64, 81 II 42, 43, 46, 62, 63, 111, 113, 275, 335
კომუნიკაცია I 40, 72, 88 II 8, 31, 32, 45, 61, 62, 113, 330, 349
კონდიციონირება I 121, 130, 146, 203-206, 210, 212, 213, 219, 221-224, 229, 241, 242, 248, 250, 253, 257, 265, 281, 283 II 90
კონფლიქტი I 19, 29, 30, 74, 222, 242, 260, 276 II 106, 200, 263-265, 306, 314
კონკურენცია I 52, 101, 177, 223, 252 II 9, 103, 104, 108, 109, 116, 125, 127, 135, 142, 154, 156-158, 163, 164, 169, 170, 191, 202, 207, 211, 271, 274, 280, 282, 291, 292, 312, 329, 339, 345, 357

- თავისუფალი I 51 II 76, 109, 118, 123, 126, 127, 142, 143, 163, 165, 173, 175, 344, 357
- შეზღუდული II 143, 161, 219, 347
- ეკონომიკური II 357
კონკურენტული ბრძოლები II 32, 92, 100, 116, 117, 121, 123-128, 131, 132, 136, 153-155, 161, 163-167, 175, 176, 181, 196, 219, 224, 226, 233, 275, 277, 286, 329, 332, 339, 343, 346, 354, 355
კონტროლი, გარეგანი II 73, 82, 125, 179, 182, 215, 216, 219, 227, 228, 231, 238, 259, 284, 303, 314, 316, 326, 328, 334, 338, 348, 350, 354
- სოციალური I 229, 269 II 7, 332, 350
-თვით I 43-46, 49, 144 II 248, 251, 253, 254, 259, 260, 264, 265, 268, 270, 284, 291, 296, 311, 319, 332, 341
კოორდინაციის ფუნქცია II 216, 269
კრეჩმაიერი ჰაინრიხ II 361
კულიჩერი იოგენ II 361
კულტურა I 26, 62, 63, 67-70, 78, 83, 85-87, 89, 91, 94-96, 104-106, 113, 137 II 37, 38, 342
კულტურის ცნება I 53, 63-67, 74, 80, 85, 86, 98, 110, 135
კერძო საკუთრება II 121, 144, 162, 168, 176, 193, 236
- შემოსავლები II 120
კენე, ფრანსუა I 103, 104
კენელ, ს.ჰ.ბ. I 308
კენელ მარჟორი I 308
კერსი II 149
კიტცოვ II 101

ლ

ლა ბრიუერი, ჟან დე II 291, 292
ლა ფაიეტი, მადამ დე I 260
ლა როში, სოფი დე I 72, 82
ლა როშფუკო, ფრანსუა II 378
ლა სალ ჟან ბატისტ I 159, 161, 162, 163, 168, 181, 192, 195-197, 202, 205, 218, 220, 221, 227, 229, 230, 235, 236, 241, 281, 338, 339, 342, 347, 348, 350, 351, 353, 355
ლაბორდ ლეონ I 313, 318
ლალანი II 372
ლამბრეხტი კარლ I 304
ლანგ დ'ოკი II 16
ლანგ დ'ოილი II 16
ლენის მფლობელი II 65, 67
ლერსი მაქს I 319
ლევასერ, ე. II 363
ლავისი, ერნესტ I 305
ლეფებვრ დე ნეტ II 365, 367
ლეიუჟერ პოლ II 372
ლიმუზენ II 148
ლიფსე, სეიმურ მარტინ I 300, 358
ლონონ ოგიუსტ II 370-372
ლოვი, რობბერ ჰ. II 370, 377
ლიუშერ, აშილი I 318, 319 II 77, 86
ლაიბნიცი გოთფრიდ I 39, 41, 70
ლესინგი გოთჰოლდ ეფრაიმ I 72, 76
"ლაოკოონი" I 72

"Briefe der neueste Literatur betreffend" I 76
"Die Hamburger Dramaturgie" I 72
ლევანტინიზმი II 336
ლევის, კლაიფ ს. II 369
ლიხტენბერგი ჯორჯ კრისტოფ ჰ. I 90
ლინკოლნი აბრაამ I 314, 360
ლისაბონი II 43
ლიტერატურა I 41, 69, 70, 74, 75, 92, 93, 127, 246, 270 II 88, 308
- გერმანული I 71, 72, 85, 135
ლუარა II 17, 27, 149
ლონდონი I 60, 61, 93 II 150, 157-159
ლო ფერდინანდ
ლოტარინგია II 17, 24, 41, 129, 135, 147, 161
ლოვენტალი, ლეო II 365
ლუი IV, საფრანგეთის მეფე II 25, 98
ლუი ანჟუელი II 230
ლუი IV, სქელი, საფრანგეთის მეფე II 25, 28, 98, 104, 132, 133, 146
ლუი VII, საფრანგეთის მეფე II 135, 136
ლუი VIII საფრანგეთის მეფე II 139, 146
ლუი IX, წმინდა, საფრანგეთის მეფე II 139, 146, 167
ლუი X, საფრანგეთის მეფე II 140, 152
ლუი XI, საფრანგეთის მეფე II 168-170, 217, 240
ლუი XII, საფრანგეთის მეფე II 170, 240
ლუი XIII, საფრანგეთის მეფე I 265, 318 II 211, 212, 214, 217
ლუი XIV, საფრანგეთის მეფე I 69, 102, 109, 166, 220, 223, 327 II 145, 156, 181, 205, 208, 209, 212, 214-216, 218, 219, 303
ლუი XV, საფრანგეთის მეფე I 106, 107, 163 II 7
ლუი, ბურბონის ჰეცოგი II 154
ლუი, ორლეანის ჰერცოგი II 155
ლუკიანე I 132
ლიონი II 17, 129, 147
ლტოლვათა სტრუქტურა II 307
- ფუნქციები I 268
- კონტროლი I 47 II 316
- მდგომარეობა II 29
- მოდელირება I 60, 224, 261 II 98, 253, 272, 331, 334
- რეგულირება I 206, 253, 256-259 II 272, 330, 333, 341
- მართვა II 307, 309
- აღძვრა II 316
- უარყოფა I 203, 204, 207, 223, 294
- შეკავება I 123, 196, 203, 207, 211, 224, 238, 245, 246, 257, 259
ლტოლვითი ცხოვრება I 196, 207, 209, 210, 239, 241, 245, 250, 257, 261, 262, 264-266, 272, 289 II 44, 71, 78, 89, 93, 94, 96, 260
- ცენტრი II 264, 299
ლტოლვითი და აფექტური სამყაროს ცვლილებები I 195 II 57

მ

მიერთება II 108
მოხელეები I 77, 79, 84, 108 II 20, 21, 29, 30, 166, 193, 204, 207, 210, 226, 227, 230, 232, 244, 327
მოხელეობა I 137 II 6, 205, 244
მოთხოვნილებანი I 69, 130, 199, 200, 204, 209, 211, 232, 238 II 64, 89, 117, 288, 358
ფიზიკური/სხეულებრივი I 118, 159
მშვიდობიანობა, იხ. პაციფიცირება I 33
მეძავი ქალი I 251, 252, 257
მონეტიზაცია II 76, 191, 192, 241, 242, 256, 285
"მე" I 267 II 308
მონასტერი I 271, 279 II 282
მანტიის ნობილიტეტი II 193
მეფეები I 75, 102, 208, 296 II 5, 10, 19, 20, 22, 27, 28, 65, 67, 73, 74, 76, 97, 100, 143, 147, 148, 156, 158, 160, 161, 167, 170, 171, 174, 191, 198, 199, 201, 205, 2109, 213, 219, 221-223, 226, 227, 234, 236, 238, 240, 241, 243, 279, 286, 347
მეფის ფუნქცია II 12, 22, 26, 28, 103, 104, 107, 113, 149, 169, 199, 211, 223, 231, 234, 236
- სასახლე I 177, 231 II 20, 28, 227
- ძალაუფლება II 16, 27, 225
მეფის ხელისუფლება I 60 II 21, 24, 30, 43, 104, 168, 173, 197, 200-202, 205, 208-211, 215, 224, 232, 233, 277
მეომარი არისტოკრატია II 11, 13, 202, 207, 2098, 243, 327
მეომართა ოჯახები II 46, 101, 141, 142, 166
მაკიაველი ნიკოლო II 377
მეკლოდ უილიამ, ჩ. II 359, 370, 386
Magna Charta II 137
მალიორკა, მეფე II 146
მალრო, ანდრე II 298
მენენ, ჯონ ჯოზეფ I 306
მენ, მარგარეტ I 306
მანჰაიმი, კარლ I 303 II 372
მარგარეტ ფლანდრიელი II 149
მარია ფოვ შამპანი II 380
მარია, კარლ მამაცის ქალიშვილი I 285 II 169
მარკიზ დე შატლე I 208
მარქს, კარლ I 17, 22, 28
მასაჩიო II 7
მოპასანი, გი დე II 298
მოვიონი, ელეაზა დე I 70, 71, 80
მაქსიმილიან I, გერმანია-რომის კაიზერი II 170
მაზარინი II 208, 209
მედიჩი II 5
მაჟენდი, მორის I 307
მან მარგარეტ I 306
მარიეჟოლ, ჟან II 372
მორას, იოაკიმ I 305
მორისოტუსი, იოან I 248, 249, 251, 317, 356
მერსენის ზავი II 17
მენაჟ ჟილ I 217, 350
მენიურე ჟ. ჟ. დე შამბო I 90
მერიმე პროსპერ I 88
მერკერი პოლ I 308
მეროვინგების ეპოქა II 21, 39
მერტონი რობერ I 297

მედონი II 218
მაიერ, ფრიდრიხ იოან I 90, 302
მინე, ფრანსუა II 358
მილტონი, ჯონ I 70
მინეზანგი I 72, 83-85, 87-93, 98, 281
მინეზენგერი I 56, 270 II 83-85, 87, 282
მირაბო, ვიქტორ მარკიზ დე I 98-101, 105, 106, 108, 305
- "Amie des hommes", "Théorie de l'impôt" I 105, 106
მირო, ლეონ II 372, 373
მისი დომინიჩი II 21
მუჰამედი II 37
მოლიერი I 71, 88
მოლინიე II 370
მონეტიზაცია, იხ. საფინანსო ეკონომიკა II 76, 191, 192, 241, 242, 2156, 285
მონოპოლია, სამხედრო II 115
- საჯარო II 119, 220, 239
საგადასახადო II 115, 122, 124, 127, 218, 220, 226, 238, 242, 245, 266, 276, 2789, 286, 331, 334, 341
არაორგანიზებული II 124, 126, 164, 357
- იარაღზე II 13
- ეკონომიკური II 115, 126, 347
მონოპოლია I 52, 58, 101, 280, 289
მონოპოლია ფიზიკური ძალის I 58
მონოპოლიის
აპარატი/აპარატურა II 115, 120, 126
- საკუთრება II 119, 161, 164, 180, 357
- მექანიზმი I 60 II 73, 114, 121, 126-129, 184, 222, 344
- პროცესი II 126, 162, 171
- მდგომარეობა II 101, 103, 108, 115, 118, 128, 130, 169, 171, 176, 232, 250
- მართვა II 119, 238, 290
მონოპოლიზება I 58 II 108, 109, 122, 125, 255, 256, 258, 259, 302
მონტენი, მიშელ დე I 315
მონტლერის სახლი II 102
მონმორანსის სახლი II 100
მონრეი სიურ-მერ, სააბატო XI-XIII სს-ში II 149
მმართველობის აპარატია, ორგანიზაცია I 57 II 55, 94, 99, 112, 121, 202
მიმოსვლა I 86, 101 II 55, 56, 58, 71, 73, 75, 143, 320
მომთაბარე ტომები II 37, 60, 61
მსოფლიო ომი, პირველი I 67 II 159

ნ

ნაპოლეონი I 111, 314, 360
ნაციონალური ცნობიერება I 62, 90
- ხასიათი I 80, 91, 93, 96, 178 II 333
- გრძნობა I 83
- სახელმწიფო I 26, 32
ნაციონალობა, გერმანული
ნაციონალური ერთობები
ნაციები I 269 II 112, 243
ნატურალური მეურნეობა I 55 II 10, 21, 31-33, 36, 40, 50, 52, 65, 74, 76, 81, 85, 96, 104, 107,

143, 154, 162, 176, 182, 221, 227, 241, 252, 266, 282
ნეაპოლი II 42, 240
ნერო I 314, 360
ნევროზები I 222
ნოისის ბრძოლა I 285
ნიუტონ, ისააკ I 302
ნიცშე, ფრიდრიხ I 93, 96, 178
"Jenseits von Gute und Boese"
"Die froehliche Wissenschaft"
noblesse de robe I 103, 180 II 193, 244
ნორმანდია II 26, 31, 49, 106, 113, 130, 131, 133, 134, 138, 140, 142, 150, 152, 241
ნორმანები II 22, 41, 42, 49, 138

ო

ოცდაათწლიანი ომი I 81, 136 II 158, 340
ოჯახი I 51, 63, 65, 79, 82, 161, 176, 207, 219, 240, 242, 254, 258, 259, 264, 265, 276, 278 II 20, 21, 25, 28, 46, 65, 85, 101-105, 120-131, 133, 138, 141, 142, 144-148, 151, 154, 155, 161, 165, 166, 171, 176, 181, 192, 203, 205, 211-213, 217, 220, 241, 285, 289, 348, 354
- პატარა I 236, 239, 255, 264, 265 II 63
ოჯახის მამული II 25, 103, 144, 220
ომი I 23, 24, 26, 29, 33, 67, 71, 112, 193, 210, 239, 263, 272, 273, 278, 280, 284, 291, 293 II 20, 25, 26, 71, 76, 84, 94, 97, 136, 151, 152, 157, 159-161, 178, 198, 214, 222, 225-231, 234, 235, 238, 239, 353, 356
- სამოქალაქო II 206, 241
- რელიგიური II 139, 206, 217, 243
ომის წარმართვა II 136, 178, 228
ოგბურნ, უილიამ II 376
ოქციდენტი, იხ. დასავლური საზოგადოება II 275, 301
ოლიგარქია II 122
ოპოზიცია I 97 II 232, 236
ორიენტი II 301
ორლეანი II 102-104, 106, 130, 137, 138, 148, 153, 155, 156, 170, 218
ორლეანელი ქალწული II 159
ოტო II 23, 24, 85, 106
ოცნება I 20, 77, 78, 100, 269 II 93, 152, 171, 261

პ

პარიზი I 60, 61, 79, 88, 101, 175, 276, 282 II 7, 8, 17, 22, 102, 106, 137, 138, 149, 152, 157-159, 167, 169, 171, 214, 217, 224, 225, 230, 232, 233, 237, 331
პარლამენტი I 102, 276 II 5, 113, 202, 208, 209, 213, 235
პაროდი, დ. I 307, 318
პარსონსი ელსოდ II 376, 386
პარსონსი, ტალკოტ I 10-15, 29, 33, 34, 37, 297, 301, 358
პაციფიცირება II 10, 12, 84, 280, 312, 320, 322, 326, 327, 356, 357
პერ გიუნტი II 91

პეტი-დიუტაი, შარლ I 319 II 358, 372
პირენ, ანრი II 362, 363, 366, 369, 398
პონტიე II 149
პროფესია I 96, 187 II 271, 278, 328, 329
პროფესიული შრომა II 330
პატივმოყვარეობა I 67, 68 II 47, 213, 274
პროგრესი I 8, 18, 19, 22-24, 26, 28-30, 63, 128 II 57, 58, 95, 249
პროგრესის რწმენა I 23, 29
პიროვნულობა I 11, 33-35, 50, 86, 91, 100 II 256
- სტრუქტურები I 6, 15, 43, 46-48
პეტერსი, ივა ლ. I 318
პეტრუშევსკი, დ.მ. II 363, 364
პეირატი ჟან, დე I 295, 296
პლანტაგენეტი II 133-139, 143, 148, 149, 152, 153, 155
პლატინა, ბატისტა I 312
პლატონი I 41
პუატიეს ბრძოლა II 149, 228
პუატუ, რეგიონი II 130, 138, 139, 149
პოლიტუსს, თავაზიანობა, იხ. civilité, courtoisie I 67-69, 74, 85, 89, 91-93, 96, 98, 130, 135, 137, 139, 142, 197, 202, 209, 212, 217, 219
პოლიტიკა I 70, 74, 86, 97, 184 II 11, 134, 162, 204, 212, 231, 290, 316, 327, 342
პოლიციური ძალაუფლება, იხ. ცენტრალიზება II 341
პოზიტივიზმი I 36
პრესტიჟი I 264 II 92, 144, 150, 151, 193, 196, 204, 210, 214, 218, 257, 274, 284, 288-290, 292, 298, 302, 325, 329, 332, 335, 337, 354, 357
პრესტიჟისათვის ბრძოლა II 83, 271
- დაკარგვა, დაკარგვის შიში II 289, 290, 353-355
ვალდებულება I 261 II 10, 25, 239, 289
პრუსია I 73, 76 II 44, 112, 341
"პრიმიტიული" საზოგადოებები I 62, 230 II 350
"პრიმიტივები" I 233 II 300, 305, 319, 320
პრიმიტიულობა I 99, 122 II 305
პრივილეგიები I 58 II 51, 192-195, 207, 225, 244, 245, 327, 339, 340
პროდუქციის საშუალებები II 116
პროტექციონიზმი I 101
პრუსტი მარსელ II 298
პროვანსი I 120 II 140, 172, 217
პროცესი, იხ. აგრეთვე პროცესუალური აზროვნება სოციალურ მეცნიერებებში I 5-12, 14, 16-21, 24, 25, 27-29, 31, 32, 34-38, 42-44, 46-49, 51, 52, 54-56, 58-60, 64, 66, 67, 81, 90, 92, 96, 98, 102, 104-106, 108, 109, 111, 114, 118-120, 122, 133-135, 139-141, 144-146, 159, 166, 168-170, 172-175, 177-180, 182, 183, 186-189, 196, 197, 205, 207, 209, 210, 221, 232, 233, 242, 243, 246, 255, 257, 258, 261-263, 266, 267, 276, 280, 281, 284, 293, 295 II 6, 10-15,

20, 21, 25, 28-35, 37, 38, 43-45, 49, 50, 52, 53, 55, 56, 58, 59, 62-64, 66, 69, 70-72, 74, 76, 77, 91-98, 103-105, 107-110, 114-118, 120-122, 125-128, 130, 132-134, 140, 146, 148, 152, 158, 159, 161, 163, 164, 166, 170, 171, 173-180, 184, 189, 191, 193, 196, 198, 200, 202, 205, 206, 208, 210-213, 215, 216, 218-221, 224, 228, 234, 237, 240-242, 247-250, 253, 255, 261, 262, 264, 265, 267-272, 274, 275, 277-279, 281, 283-288, 290, 291, 295, 299, 303-306, 308-312, 314-316, 319, 321, 327, 330, 332, 334, 335, 338-342, 346-348, 352, 356, 357
პტოლომეუსი I 13

ჟ

ჟოფრუა პლანტაგენეტი, ანჟუს მეფე II 132
ჟაკეტონი გ. II 373

რ

რაბლე ფრანსუა I 314
რასინი, ჯან ბატისტ დე I 70, 76
რანკე, ლეოპოლდ ფონ II 301
რაციონალური აზროვნება I 46 II 304, 310-312
რაციონალიზება II 297, 303, 304, 308, 310-312, 314, 315
რაციონალობა II 300, 303, 305
- კურტუაზიული II 303
რაუმერი, კარლ ფონ I 244, 247, 254-257
- "Die Erzihung der Maedchen"
- "Geschichte der Pedagigik"
რეინალი, გიიომ ფრანსუა I 107
რეფლექსია, გრძნობათა კონტროლი, იხ. დისტანცირება, თვითდისტანცირება I 34, 40, 43, 45, 92, 242, 249
რეფორმაცია II 213
რელატიური ავტონომია I 36, 50
რელიგია I 63, 86, 278
რენესანსი, იხ. აგრეთვე შუა საუკუნეების II 6, 7, 56, 57, 285
რევოლუცია I 71, 76, 90, 105, 110, 111, 168, 171 II 9, 34, 59, 61, 78, 148, 174, 194, 243, 275, 297, 327
რიჩარდ I, ლომგული II 135, 136, 148
რიშელიე შ. ჟ. I 322
რიშელიე, არმან ჟან დიუ პლესი II 210, 211, 213, 217, 301
რიდერჰოფი, კუნო I 304
რაინდი I 185, 215, 222, 237, 262, 271-275, 277, 283-287, 290, 291, 293-296 II 6, 10, 11, 13, 42-49, 59, 62, 72, 74-78, 81-86, 88, 91, 92, 96, 97, 102, 107, 117, 131, 141, 145, 148, 164, 177, 201, 202, 213, 221, 242, 254, 280, 283, 286, 290, 301, 302, 310, 325
რაინდთა საზოგადოება I 112, 258, 261 II 64, 69, 71, 72, 76, 82, 85, 88, 89, 92, 93, 153
რაინდობა I 112, 122, 285 II 13, 97, 200, 283

რივა, ბონვიჩინო და I 121, 126, 127, 214, 222
რობერი, კლერმონის გრაფი II 151
როში, სოფი დე ლა I 72, 82
როშფორის სახლი II 100, 102
როკოკო II 7
რომი II 36, 42
რომის იმპერია II 51, 60
"Roman de la Rose" I 121
რომანი I 72, 82, 260, 274 II 260
"Romans de la Violette" I 237
რუზველტი, თეოდორ I 360
როსტოვცევი, მ. II 366
რენო, ანრი I 318
რობერ გისკარი II 41
რომენ, ჟიულ II 297
რუანი, ქალაქი II 214, 223, 232
რუსო, ჟან-ჟაკ I 99, 100, 254
რუსიიონი II 171
რუდეკ, უილიამ 314, 317, 318
რასელი, ჯონ I 121
რაილი, ჯილბერტ 301
რაითი თომას 314

ს

სამართალი II 66, 67, 69, 72, 143
სამართლებრივი, აპარატი II 67
საკუთარი თავის კონტროლი II 295, 337
საკუთრება I 103, 119, 179, 272, 279 II 11, 19, 24, 26, 29, 39, 41, 44-47, 49, 52, 62-67, 70, 71, 74, 76, 80, 87, 91, 100-105, 107, 108, 113, 115, 118-120, 122, 128-132, 135, 139-147, 149-152, 154-156, 160-163, 167-169, 175, 176, 179, 180, 192, 201, 203, 210, 216, 218, 220, 221, 235, 239-241, 243, 251, 282, 292, 346, 353, 354, 356
საძინებელი ოთახები I 236, 261
საქსონია I 175
საქსონია-ვაიმარის სასახლის კარი I 79
სალერი, ლეონ I 312
სენ-სიმონი, ლუი დე რუვრუა, ჰერცოგი II 214, 217, 295, 302, 303
სანტონი II 16, 137
სეკულარიზება I 112 II 203
სანდი, ჟორჟ II 78
სარკინოზები II 40, 41
სედანი II 171
საფრანგეთი I 53, 60, 69-71, 74, 79-81, 85, 87, 88, 90, 92, 95-97, 100, 101, 103, 107, 109-111, 129, 131, 132, 135-137, 140, 159, 168, 169, 171, 175, 177, 178, 180, 187, 188, 202, 208, 239, 252, 276, 296 II 5, 7, 10, 12, 14-16, 23-25, 27, 28, 32, 36, 40-43, 53, 73, 84, 87, 103-106, 111, 113, 127-130, 132-134, 137, 138, 142, 144, 148, 149, 155, 158-160, 169-172, 174, 176, 192, 195, 196, 202, 204, 213, 219, 224, 236, 238-240, 275, 277, 296, 326, 341
საფრანგეთის რევოლუცია I 71, 90 II 78, 180, 327
სისუფთავე I 228
სი, ანრი II 363
სირცხვილი I 167, 196-199, 203, 204, 208, 231, 241, 254, 256, 265-267, 269, 283, 293 II 312-316, 320, 352, 354

სირცხვილის შიში I 58, 250 II 313, 315
- აღქმა I 266 II 354
- გრძნობა I 54, 130, 144, 195-199, 203-205, 208-210, 212, 221, 230-232, 238-241, 243, 246, 249, 252, 255, 256, 265, 266, 292, 293 II 247, 273, 312-314, 316-318, 335, 336
- ზღურბლი I 8, 203, 237, 238, 242, 259 II 314, 321, 327
- ზღვარი I 203, 241 II 314, 315, 320
- სტანდარტი I 199, 239, 266
სქესი I 241, 243, 252-255, 258-260, 262, 293 II 85-87, 108
სქესობრივი ურთიერთობა I 258 II 330, 338
სქესობრიობა I 254, 266 II 348
სქესობრივი ცხოვრება II 354
საზოგადოება, დასავლური I 53, 55-57, 62, 112, 118, 189, 230, 237, 244, 246 II 5, 6, 9, 21, 32, 39, 51, 53, 58, 60, 62, 70, 179, 180, 251, 253, 265-273, 283, 325, 331, 332, 337, 343, 347
- აბსოლუტისტური I 75, 252, 259, 291 II 10, 243, 280, 325, 327
- ბურჟუაზიული I 170, 171, 175, 176, 180, 224, 253, 259, 261, 262 II 9, 293, 296, 329
- ბურჟუაზიულ-ინდუსტრიული I 224, 253 II 201
დემოკრატიულ-ინდუსტრიული I 207
- ფეოდალური I 53, 272 II 66-70, 76, 86, 88, 90, 91, 136, 153, 165, 176
- კურტუაზიული I 95, 96, 98-100, 103, 108, 112, 120, 131, 135, 166, 168, 173, 175-178, 182, 193, 220, 224, 231, 239, 252, 253, 259, 261, 262, 291 II 5, 7-9, 92, 277, 280, 288, 289, 293, 296, 317, 320, 324, 327-331
- ინდუსტრიული I 29, 103, 208 II 63, 66, 68, 69, 201, 330
- პაციფიცირებული I 143
- გარდაქმნა I 6, 133, 244 II 13, 293
საზოგადოების სტრუქტურა I 6, 9, 56, 58, 86, 129, 146, 161, 175, 183, 190, 232, 242, 246, 258-260, 267, 270, 275, 279, 283 II 5
- სურათი I 22, 28, 30, 32, 116 II 82
- კრიტიკა I 100
- მეცნიერება, ე.ი. სოციალური მეცნიერება I 33, 39 II 304
სისასტიკე I 269, 271, 278, 282, 284, 293 II 130, 160
საბერძნეთი II 60
სავაჭრო კავშირები II 59, 64, 74, 93, 140, 201, 265
სამხედრო, იხ. აგრეთვე, -არმია, მონოპოლია შეიარაღებაზე 11-13, 18, 19, 24, 25, 28, 47, 57, 60, 63, 65, 66, 69, 74, 75, 95, 100-104, 113-115, 121, 124, 129-131, 133, 137, 148, 151, 161, 165, 170, 171, 179, 181, 183, 185, 191, 210, 212, 213, 216, 217, 219, 221, 222, 226, 234, 240, 242, 278, 281, 284, 299, 344

სასახლის კარი I 68, 69, 75, 77, 79, 82-86, 89, 92, 96-98, 122, 123, 134, 136, 175, 177-180, 182, 185, 200, 206, 207, 223, 253, 279, 282, 284, 285, 295, 296 II 6-9, 24, 27, 29, 38, 53, 73, 78, 80-88, 92, 93, 96, 98, 106, 117, 119, 120, 123, 150, 167, 202, 205, 207, 209-214, 216-218, 240, 242-244, 267, 275-281, 284—296, 302, 303, 310-312, 324, 326-330, 337, 339, 341
- აბსოლუტისტური I 223, 261 II 88, 97, 211, 279, 281, 286, 291
სასახლის კარი, როგორც სტილის დამდგენი ცენტრი II 6
საომარი ტექნიკა II 12, 13, 100
ცხოვრების სტანდარტი I 23 II 282, 331-333, 335, 337, 349
სიყვარული I 68, 78, 83, 84, 208, 245, 273, 291, 293, 295 II 85, 88-90, 144, 167, 313
სიშიშვლე I 238, 292
სარეზერვო არმია II 44, 73, 218, 290
სულიერი სამყარო I 58, 88, 232, 233 II 94, 95, 255, 258, 259, 262, 266, 270, 294, 297, 298, 306-308, 312, 313, 315, 316, 321, 326, 347, 349, 352
სენტიმენტალობა I 82
სექსუალობა I 253, 255, 259, 261, 262, 264-266 II 267
სექსუალური განათლება I 254, 257, 258
- ურთიერთობა, ურთიერთობის რეგულირება I 243, 255, 260
- იმპულსები II 315
- ლტოლვები I 257
სიცილია II 41
სლავი ხალხები II 25, 36
სლავური ქვეყნები II 36
სმელსერი, ნაილ ჯ. I 297
სოკრატე I 246, 355
სოციალური ხასიათი I 91, 93, 96, 138
სოციალური მეცნიერებანი I 33, 39 II 304
სოციოგენეზისი, იხ. აგრეთვე ფსიქოგენეზისი I 31, 55, 56, 57, 62, 91, 95, 101, 209 II 5, 10, 41, 62, 71, 80, 92, 97, 99, 172, 182, 219, 225, 233, 261, 278, 314
სოციოგენეტიკური ძირითადი კანონი I 55 II 315
სოციოლოგია I 8, 10, 12, 15-21, 24, 27, 31, 37-39, 50, 51, 59, 60
- ამერიკული I 28
- რუსული I 300
სპენსერი ჰერბერ I 17
სპეციალიზაცია II 178
სპეციალისტები I 96, 187, 189 II 114, 203, 256, 257, 277
სპორტი I 239, 263
სახელმწიფო I 7, 10, 16, 20, 22, 25-28, 30, 31, 50, 51, 56-58, 69, 74, 77, 81, 86, 97, 102, 109, 119, 279 II 16-18, 28,33, 47, 61, 69-72, 74, 94, 96, 98, 99, 101, 103, 106, 108-110, 112, 114-116, 118, 120, 121, 126-128, 133, 136, 149, 163-166, 172, 174, 176, 179, 180, 182, 194, 213, 219, 235-237, 241, 247, 249, 282, 325, 333, 340, 342, 343-345, 353

- აბსოლუტისტური I 57, 77 II 180, 303
- ბიუჯეტი II 118
- ორგანიზაცია I 269 II 342
სახელმწიფოთა გაერთიანებები II 159, 179, 343, 355
სახელმწიფოთა წარმოქმნა I 50 II 10, 109
სახელმწიფო ნაციონალური I 28, 32
სიძლიერე I 97, 171, 207, 259, 268, 294 II 113, 188, 197, 198, 204, 224, 227, 236, 252, 266, 273, 281, 314, 331, 333, 346, 351, 352
- სოციალური II 69
სტრუქტურული ისტორია I 58 II 34, 172, 275
- ცვლილებები I 6-9, 12, 32, 36, 46 II 5, 13, 94, 95, 306, 312, 321
სუბლიმირება II 83
სილპიციუსი, იოანე I 113
სამნერი, უილიამ II 376, 386
სისტემური ცნება I 31 II 303
- თეორია I 16
საგადასახადო აპარატი II 11, 222
- შენატანი II 244
სიკვდილი I 191, 243, 268, 273-275, 287 II 20, 22, 137-139, 146, 147, 149, 152, 155, 164, 220, 224, 229, 231, 252, 271, 282, 332
სუფრის ჩვეულებანი I 171
სამყაროს სურათი I 39 II 295
საამქრო II 193, 232
საამქროთა სისტემა II 62
სან რიკიე II 145

ტ

ტკივილის ატანა II 258
ტომობრივი გაერთიანებანი II 64, 65
ტაბუ I 121, 145, 162, 182, 189-191, 193, 195, 206, 208, 210, 230, 231, 241, 242, 253, 262, 278, 293 II 271, 348, 349, 351
ტაბუიზირება, იხ. აგრეთვე კულისებს მიღმა გადატანა II 53, 54, 85, 348
ტანჰოიზერი I 121, 123, 125, 127, 181, 211
"Hofzucht" I 121, 125, 127, 211
ტექნიკა I 23, 24, 62, 111, 127, 171, 172, 193, 195, 209 II 12, 13, 34, 37, 41, 56, 77, 100, 104, 272
ტეგარტი, ფრედერიკ ჯ.
ტემპი I 23, 24, 172 II 41, 55, 62, 77, 79, 116, 206, 284
ტერიტორიული საკუთრება II 105, 156
- მმართველები II 5, 12, 19, 20, 22-26, 29, 32, 42, 46-48, 73, 81, 83, 95, 98, 104, 105, 107, 111, 129-131, 137, 138, 151, 153, 155, 156, 158, 159, 165, 166, 168-170, 197-199, 222, 226
- მმართველობა II 108, 109, 149
- კონკურენცია II 153
ტერიტორიები, გერმანული II 109, 159, 212
ტესკე, ჰანს I 308
"The Babees Book" I 121,224, 225
"The Habits of Good Society" I 165, 188, 192-194, 228

ტომპსონი, ჯეიმს ვესტფალი **II** 358, 362
ტოლედო **II** 42
ტულუზა **II** 129, 138, 301
ტულუზის საგრაფო **II** 129, 133, 140, 142
ტურენი **II** 133, 149
ტრაგედია, კლასიკური **I** 75
ტრანსპორტი **II** 19, 37, 38, 54-56, 75
ტროიშ ფონ ბუტლარი, კურტ **I** 313
ტურგო **I** 102, 107
ტრუბადური **I** 56 **II** 82, 83, 85, 88, 89, 92
ტრირი **II** 16
ტიუდორები **II** 5
ტანკრედ დე ოტვილ **II** 41
ტოინის, ფერდინანდ **I** 11

უ

უთიერთობის დინამიკა **II** 173, 174, 241, 250
ურთიერთობათა ქსელი **I** 51, 52, 100 **II** 35, 73, 250, 262, 263, 287, 347, 351
ურთიერთობის ფორმები **I** 96, 126, 130, 133, 134, 136, 137, 175, 183 **II** 86, 327, 330, 349
უსე ამელო **II** 377
უნგრეთი **II** 239
უნივერსიტეტი **I** 73, 84, 96, 103, 108, 178, 180, 251 **II** 6, 7, 213
უელსი **II** 106, 111, 138, 148

ფ

ფერარა **II** 400
ფეოდალი **I** 123, 169, 185, 284 **II** 11, 19, 24, 27, 34, 42, 46, 49, 52, 63, 65, 68, 70, 71, 73-76, 78, 80-83, 85, 87, 91, 93, 95, 96, 98-102, 107, 129-132, 144, 152, 153, 156, 160-162, 165-168, 177, 190, 197, 198, 200, 202, 216, 221-224, 226, 231, 232, 240, 242, 249, 281, 284, 301, 325
ფეოდალური სისტემა **I** 51, 56 **II** 33, 62, 65, 91
ფეოდალიზირება **I** 56 **II** 28, 29, 33, 35, 64, 66, 71, 100, 121, 176, 178, 249, 253, 346
ფეოდალიზმი **II** 33, 62, 90, 175, 345
ფიხტე გოთლიბ **I** 79
ფენა **I** 5, 21, 22, 29, 41, 53, 56, 65, 68, 70, 72, 74-76, 79, 80, 81, 87, 88, 91, 93-95, 97, 99, 100, 102, 103, 107, 109, 122, 128, 129, 131, 134-138, 159, 166, 169, 171, 174-176, 180, 183-185, 188, 192, 194, 203, 206, 207, 211, 212, 220, 223, 229, 231, 238, 242, 252, 262, 265, 275, 278, 288, 289, 294 **II** 5, 8, 9, 11-14, 38, 43-46, 49, 50, 57, 73, 76, 77, 86, 88, 91, 96, 106, 112, 113, 118, 121, 123-125, 140, 141, 143, 153, 170, 174-177, 179-181, 183, 184, 186, 187, 190-195, 197, 199-205, 207-209, 211-213, 215, 218, 219, 221-235, 238, 242-244, 254, 264, 267, 268, 270-273, 275-277, 281-285,

287-290, 296, 297, 305, 306, 308-312, 318, 321, 323, 325-328, 330-336, 338-341, 346, 348, 350, 353
- არისტოკრატთა I 80, 81, 86, 134 II 14, 44, 45, 62, 87, 91, 194, 208, 210, 214, 303, 340
- ბურჟუაზიის I 71, 76, 89, 90, 103, 177, 222 II 13, 14, 59, 191, 203, 206, 210, 232, 276, 281, 321
ბურჟუაზიულ-ქალაქური II 140, 201, 339, 340
- საშუალო I 67-70, 75, 77, 79-83, 86-91, 93, 95-98, 100, 102, 103, 108-110, 135-137, 167, 170, 171, 217, 242, 288 II 8, 9, 58, 59, 210, 270, 271, 303, 332, 339, 348, 354
- ზედა I 70, 87, 89, 90, 98, 111, 117, 120, 123, 141, 159, 167, 170, 175, 177, 179, 182, 185-187, 190, 203, 207, 210, 221, 223, 224, 229, 237, 241, 246, 259, 262, 264, 265, 269, 272, 274, 275, 284-286, 288, 289, 291 II 9, 10, 44-46, 57, 59, 62, 65, 73, 79, 82, 83, 87, 92, 93, 97, 181, 204, 209, 210, 231, 254, 267, 269-275, 277, 282, 283, 286-289, 296, 318, 323-328, 330-341, 346-348, 353, 354, 356
- მომუშავეთა I 223, 289
რაინდულ-კურტუაზიული I 229
- ქვედა I 185, 238, 289 II 9, 46, 49, 57, 59, 63, 83, 231, 243, 269, 270, 271, 273, 274, 276, 277, 282, 283, 289, 323, 328, 330-335, 353, 356
ფიგურაცია, იხ. გადაჯაჭვა I 9, 22, 36, 42, 50-52 II 204
ფიგურაციული ცვლილება I 7, 9, 20, 52
ფლახსლანდი კაროლინ I 82
ფლანდრიელები II 138, 226
ფლობერი გუსტავ II 297
ფლორენცია II 5
ფლიუგელი ფელიქს II 359
ფონტენი თეოდორ I 93, 94
ფულკე, ანჟუს გრაფი II 132
ფუკე ნიკოლა I 177
ფოულსი ლ.ო. II 372
ფრანკული იმპერია II 16, 40, 43, 48, 99, 111, 113, 146, 149
ფრანკლინი ალფრედ I 307, 312, 313, 319
ფრანც I, საფრანგეთის მეფე II 5, 106, 170, 171, 239
ფროიდი ზიგმუნდ I 267
ფროიდენტალი მარგარეტ
ფრიდრიხ II დიდი, პრუსიის მეფე I 71-76 II 12, 84
ფრონდა II 207, 208, 214
ფუნქცია, ბურჟუაზიული I 261
- სავაჭრო II 267
- სოციალური I 208, 275 II 12, 32, 95, 117, 121, 161, 175, 178, 182, 194, 230, 241, 242, 247, 250, 252, 256, 261, 272, 277, 297, 300, 301, 311, 312, 321
- ფსიქიკური I 233 II 307-309, 311, 315, 347
ფუნქციური ჯგუფები II 184-186, 311, 324
ფურნივალი ფრედერიკ I 307, 308
ფული I 69, 80, 105, 106, 173, 176, 270, 271, 275 II 11, 13,

17, 20, 21, 30, 31, 37, 46, 47, 51-55, 59, 72-79, 115, 117, 131, 132, 142, 161, 165, 166, 176, 190, 192, 199, 205, 206, 210, 214, 216, 218, 220-227, 235, 237, 238, 240, 241, 256, 266, 284, 285, 287-289, 324, 328, 341, 344, 348
- გაუფასურება **II** 205
ფილიპ მამაცი, ბურგუნდიის ჰერცოგი **I** 215 **II** 151, 152, 155, 229
ფილიპ **II**, ოგიუსტ, საფრანგეთის მეფე **II** 135, 146
ფილიპ **III** საფრანგეთის მეფე **II** 138, 145, 151
ფილიპ **IV**, ლამაზი **II** 138, 146, 148, 151, 224
ფილიპ V **II** 139, 155
ფილიპ VI, ვალუა **II** 146, 147
ფილოლოგია **I** 59
ფილოსოფია **I** 35, 41, 72, 76, 86, 246
ფიზიოკრატიზმი **I** 101-103
ფსიქიკური აპარატი **II** 249-251, 257, 258, 263-265, 247
- ცვლილება **I** 209 **II** 250
ფსიქოანალიზი **I** 212
ფსიქოგენეზისი იხ. აგრ. სოციოგენეზისი, ფსიქო და სოციოგენეზისის მიმართება **I** 31, 55, 60, 91, 209
ფსიქო და სოციოგენეზისის მიმართება **I** 31, 91, 209
ფსიქოლოგია **II** 303, 304
ფსიქოლოგიზირება **II** 291, 294, 296, 297, 303, 304

ქ

ქვეშევრდომი **I** 208, 209, 279 **II** 148, 229, 235
ქრისტიანობა **I** 112, 275 **II** 43, 45
ქორწინება **I** 251, 253, 258-262 **II** 80, 102, 129, 133, 139, 145, 152, 155, 156, 169, 170, 209, 216, 236, 287
ქალები **I** 78, 82, 85, 132, 138, 237, 248-252, 259, 260, 263, 271, 290, 291 **II** 62, 79, 84, 85, 87, 88, 90, 97, 170, 255
ქალაქები **I** 51, 110, 136, 237, 251, 275, 278 **II** 8, 16, 37, 49, 50, 52-55, 73, 75, 80, 81, 105, 140, 144, 146, 200, 202, 221, 224, 226, 229-232, 251, 281, 319, 325
ქცევები **I** 5, 8, 34, 53-55, 59, 87, 89, 92, 95, 98, 109, 110, 115, 126, 139, 147, 173, 185, 195, 210, 283, 293 **II** 34, 77, 92, 182, 247, 253, 259, 260, 267, 271, 274, 279, 293
- შუასაუკუნეობრივი **I** 122
ქცევაში კონტრასტების შემცირება **II** 259, 271, 274
ქცევის დიფერენცირება **II** 86, 250, 252, 293
- ფორმები **I** 56, 91, 92, 94, 96, 99, 116, 120, 128-130, 133, 134, 140, 145, 146, 167, 196, 223, 238, 265 **II** 7, 82, 83, 87, 92, 94, 249, 257, 259, 264, 271-275, 277
- მოწესრიგება **I** 168 **II** 352
- სტანდარტი **I** 54, 56, 119-122, 131, 143-146, 196, 203, 242,

246, 250, 253, 258, 272 **II** 92, 94, 98, 257, 271, 274, 275
- შერბილება **I** 210 **II** 329, 348
- მიწერილობანი **I** 92, 120, 123, 126, 139, 240 **II** 296
- მეთოდები **I** 92 **II** 272

ღ

ღამის ჩაცმულობა **I** 237, 238, 240

ყ

ყმა **I** 287-292, 294 **II** 44, 65, 255, 310

შ

შიში **I** 55, 58, 60, 79, 82, 183, 190-192, 195, 196, 203, 207, 213, 221, 223, 230, 231, 233, 242, 250, 255, 256, 266, 271-273, 278, 283, 289 **II** 78, 183, 208, 217, 229, 251, 256-259, 262, 263, 273, 283, 288, 289, 293, 295, 313-315, 317-322, 325-327, 350-355, 357
შრომა **II** 18, 27, 20, 30, 35, 37, 46, 49-51, 53, 54, 56-59, 61, 70, 72, 76, 77, 79, 80, 93, 104, 106, 118, 120, 126, 161, 176, 183, 215, 218, 242, 268, 270, 271, 282, 286, 329, 333, 337, 338, 353
შენატანი **II** 119, 219-224, 226, 227, 232, 234, 244, 290
შამპანი **II** 25, 137-139, 142, 155
შანსები **I** 26, 52, 81, 97, 134, 136, 283 **II** 9-13, 16, 24, 39, 42, 44, 45, 50, 63, 69, 70, 72-76, 81, 82, 86, 87, 95, 100, 102, 108, 112, 113, 115-126, 129, 130, 140-142, 144, 153, 155, 160, 162-165, 171, 183, 200, 201, 206-208, 211, 214, 216, 218, 230, 235, 241, 242, 260, 273, 279, 281, 284, 287, 288, 290, 335, 346-348, 354, 356
შარტრი **II** 139, 146
შატლე, მარკიზა **I** 208
შემეცნების თეორია **I** 37, 40, 44, 45
შარლ IV, ლამაზი, საფრანგეთისა და ნავარიის მეფე **II** 139, 146
შარლ V ბრძენი, საფრანგეთის მეფე **II** 150-153, 155, 171, 226, 228
შარლ VI, საფრანგეთის მეფე **II** 151-155
შარლ VII საფრანგეთის მეფე **II** 159, 166, 230, 233, 234, 236, 239
შარლ VIII საფრანგეთის მეფე **II** 169, 239
შარლ დე ვალუა **II** 151
შუა საუკუნეები **I** 49, 54, 60, 81, 91, 92, 112, 115, 120-123, 126, 128, 130, 132-134, 136, 140, 143, 144, 169, 172, 173, 184-186, 190, 195, 210, 211, 217, 219, 224, 228, 229, 237, 240, 242, 245, 251, 253, 258, 259, 269, 272, 274-276, 280, 283, 284, 286, 289, 293, 294 **II** 5, 8-10, 12, 13, 15, 17, 28-30, 46, 48, 56, 59, 61, 62, 77, 78, 84, 86, 93, 165, 180-182, 190, 201,

202, 208, 220, 238, 256-258, 260, 270, 282, 284, 303, 319, 325, 326, 328, 339
- ადრეული I 56, 57 II 20, 28, 59, 284, 341
- გვიანდელი I 45, 252, 286, 289 II 110, 323
შეფერი, კარლ I 317
შაიდტი, კასპარ I 135, 309
შილერი, ფრიდრიხ I 72, 77, 79, 84, 239, 244
შომბერგი, გენერალი II 301
შონბახი II 369
შოტლანდია II 106, 111, 138
შუბარტი, ქრისტიან ფრიდრიხ I 79
შულცი, ალვინ I 316
შვედეთი II 370
შვეიცარია II 11
შექსპირი, უილიამ I 72, 73, 75, 76, 289
შტამლერი, ვ. I 308
შტეფანი, ვალტერ I 312, 313
შტორკი, ვილი I 319
"Sturm und Drang" I 72, 77
შეჯიბრი, იხ. კონკურენცია I 88, 276, 279, 290 II 76, 116, 122, 123, 152, 155, 166, 168, 266, 272
შეჯიბრი, სპორტული I 280

ჩ

ჩვეულება I 53, 62, 68, 81, 84, 97, 109, 121, 122, 126, 128, 129, 132, 136, 138, 139, 143-146, 159, 161, 166, 171-174, 176, 179, 181, 182, 184, 187, 188, 192-194, 199, 201, 207-211, 218, 221, 222, 228-230, 237, 238, 240, 242, 252, 263, 267, 279 II 9, 66, 76, 97, 143, 211, 220-222, 234, 237, 241, 264, 271, 273, 276, 281, 283, 321, 327, 336, 337
ჩრდილო ამერიკა II 332

ც

ცნობიერება I 25, 37, 53, 57, 62, 79, 90, 111, 113, 118, 119, 130, 204, 209, 212, 213, 221, 230, 253, 255, 257, 267, 278, 285, 289 II 33, 125, 127, 138, 144, 158, 164, 165, 188, 253, 258, 263, 266, 280, 289, 290, 293, 294, 298, 306, 308, 309, 311-313, 317, 318, 320, 334-336
ცივილიზაცია I 7, 8, 10-12, 16, 26, 34, 36, 42, 44, 46-48, 50, 52-56, 58-60, 62-69, 75, 78, 80, 85, 89-91, 94, 95, 98-100, 104-112, 118-120, 122, 129, 137, 145, 159, 163, 167, 170, 171, 175, 179, 183, 189, 193, 203, 205, 210, 220, 223, 224, 228, 230-233, 238, 243, 244, 246, 250, 253, 255, 257-259, 161, 262, 266, 267, 280, 281, 283 II 5, 6, 10, 28, 30, 35, 43, 51, 56, 58, 62, 70, 77, 92, 95, 97, 123, 179, 247-250, 252, 254, 263-265, 267, 269, 271, 272, 274, 275, 277-280, 283, 288, 290, 291, 295, 296, 304, 305, 308, 309, 312, 314, 318, 321, 329, 331-333, 335, 336, 338, 341, 350, 357

ცივილიზაციის ცნება I 7, 64, 98, 99, 111, 163 II 272
- პროცესი I 8, 11, 12, 16, 34, 42, 44, 48, 52, 54-56, 58, 109, 111, 118, 119, 122, 170, 179, 183, 243, 255, 257, 261, 262, 266, 267, 280, 281 II 6, 10, 30, 35, 43, 62, 70, 77, 92, 95, 179, 247-250, 264, 265, 267, 269, 271, 274, 277, 278, 290, 291, 295, 296, 304, 305, 308, 309, 312, 314, 321, 335, 341, 357
ცივილიზაციის სტანდარტი II 265, 332, 333
- თეორია I 7, 10, 42, 48, 58
- მოძრაობა I 259 II 271, 272, 283, 338
ცენტრიდანული ძალები II 17, 20-22, 24, 26, 28, 29, 32, 48, 66, 73, 74, 104-106, 110, 113, 142, 150, 152, 153, 166, 168, 175, 370
- ტენდენციები II 21, 23, 26, 31, 104, 112, 199, 216, 242, 253, 370
ცივილიზაციის კონფლიქტები II 263
ცხვირის მოწმენდა I 115, 173, 216, 219, 220, 223, 294
ცხვირსახოცები I 115, 124, 173, 174, 216, 217, 220-222
ცეკვები I 51
ცვლილებათა მიზეზი II 285
ცაპერტი, ჯორჯ I 314
ცარნკე, ფრიდრიხ I 225, 308, 312, 313, 319
ცენტრალური სექტორები II 268
ცენტრალური ფუნქციონერები II 118, 124, 178, 179, 278
ცენტრალური ხელისუფლება I 27, 279, 280 II 10-15, 17-19, 22, 23, 24, 26-29, 32, 74, 113, 114, 174, 179, 180, 185, 191, 194, 195, 197, 198, 204, 208, 216, 217, 227, 232, 234, 255, 278
ცენტრალური მმართველი II 10-14, 18-21, 24, 26, 31-33, 87, 111, 113, 118-120, 127, 131-133, 142, 143, 151, 153, 167, 175-178, 180, 181, 186-188, 190, 191, 195-197, 199-201, 204, 206, 208, 215, 218-220, 225, 232, 233, 235, 242-244, 278, 290, 324
ცენტრალური მმართველის ფუნქციები II 22, 32, 118, 150, 186, 196, 327
ცენტრალიზება I 58 II 10, 28, 71, 75, 104, 109, 133, 142, 143, 241, 256, 275, 302, 311
ცენტრალური ორგანოები II 177, 178, 253
ცერემონიული I 78, 85, 179
ციმერნი, ალფრედ II 365, 366
ცირკლარია, თომაზინ ფონ I 120, 127
ცივილურობა I 113, 137, 142 II 8
ცოკლერი, ოტო I 314
ცვლილებები სოციალური I 6-8, 16, 79 II 6, 34, 91, 298, 315, 342

ძ

ძალადობა, ფიზიკური I 58, 143, 264 II 79, 87, 126, 162, 163, 172, 176, 217, 219, 234, 241,

247, 251, 253-259, 261, 265, 277, 291, 292, 321, 325, 344, 346, 349, 352
ძალაუფლება, იხ. ძლიერება I 21, 22, 24-26, 52, 84, 101, 104, 134, 259, 270 II 5, 6, 12-15, 17, 18, 20, 23, 26, 27, 32, 33, 42, 46-48, 59, 67, 69, 72, 82, 99, 100, 103, 104, 106-109, 113-116, 118-123, 130-138, 141-145, 151-155, 160, 161, 168, 175, 177-180, 188, 190, 192, 196-200, 204, 206-208, 212, 215-219, 223-225, 229, 230, 232, 234-236, 238, 239, 242-244, 270, 275, 301, 302, 313, 332, 339, 340, 344
- ეკონომიკური II 115, 344

წ

წყაროები I 133, 171, 237, 287 II 19, 39, 90
წმ. ბონავენტურა I 129, 330

ჭ

ჭურჭლეულობა I 8, 116, 127, 128, 161, 171-174, 190, 192, 202
- ჩანგლები I 128, 129, 154, 157, 160, 171, 172, 181, 194-197, 220
- კოვზები I 116, 117, 127, 128, 155, 157, 160, 171, 172, 174, 175, 182, 192
- დანები I 116, 117, 126-128, 131, 139, 154, 160, 162, 164, 171-173, 189-194, 196, 278
ჭამა-სმა I 120, 154 II 320

ჯ

ჯანმრთელობა I 23, 182, 203, 204, 219, 222, 231
ჯიბერტი ლორენცი II 7
ჯეიმს უილიამ II 386
ჯვაროსნული ომები II 220

ხ

ხეთების სამეფო II 38
ხალხთა გადასახლება II 33

ჰ

ჰაბიტუსი I 54-56, 58, 263 II 35, 117, 182, 249, 250, 252, 253, 262, 265, 271, 291, 305, 306, 313
ჰაბსბურგები II 47, 106, 156, 168, 170
ჰაინბუნდი I 77
ჰალპენი ლუის II 365
ჰამბურგი I 72
ჰამპე კარლ II 28
ჰესკინზ ჩარლზ II 369, 380
ჰოიზერ ჰენრი II 372
ჰოკინზი ფრანსის II 378
ჰეგელი გ.ვ.ფ. II 248
ჰეგემონია I 22 II 103-105, 107, 109, 111-113, 127, 129-133, 137, 138, 147, 151-153, 155-157, 159, 160, 163, 165, 166, 171, 173, 175, 176, 183, 198, 200, 343, 355

ჰეგენდორფი კრისტოფ I 312
ჰენრი I, საქსონიის ჰერცოგი II 132
ჰენრი I, ინგლისის მეფე II 133
ჰენრი II, ინგლისის მეფე II 134-136, 173
ჰაინრიხ IV, კაიზერი II 105
ჰერაკლიტე I 19
ჰერდერი იოან გოტფრიდ I 72, 76, 79
ჰერმანი კონრად I 303
ჰეტნერი ჰერმან I 304
ჰაიდენ სებალდუს I 312
ჰობბაური ლეონარდ I 17, 22
ჰოფმანი ალბერტ II 358
ჰოლბახი პაულ I 305
ჰოლანდია II 128, 155
homme civilisé I 99, 100, 104
ჰიუბერ II
homo clausus I 37-42, 47, 52
- historicus I 37
- oeconomicus I 37
- philosophicus I 35-37
- psychologicus I 37
- sociologicus I 37, 39
ჰოპტონი რალფ I 314
ჰუგენოტების არისტოკრატია II 216
ჰუგო კაპეტი II 25, 27, 99
ჰიუგო დე სენ-ვიქტორი I 120
ჰუიცინგა იოან I 244, 273
ჰუმანისტები I 134-136, 246
ჰიგიენა I 182, 221
ჰიმა ალბერტ I 318